

100
1981/2

75

ପ୍ରଗତି

ଉତ୍କଳ ବିଶ୍ୱବିଦ୍ୟାଳୟ
ଭୁବନେଶ୍ୱର
1981

1

ISSN 0134-9848



სტუდენტუ



მხატვრული თარგმანისა და ლიტერატურულ შრომთა მთავარი სარედაქციო კოლეგია

შინაარსი

რთარ ნოღია. უკილოგიდან უკილოგამდე მიხეილ ლოხვიციკი. მიხთაბიხა. ისტორიული მოთხრობა.	4
თარგმნა გიორგი ბაქანიძემ	10
აფხაზური ხალხური ანეკდოტები.	
თარგმნა გიორგი ნიშნიაძემ	90
იასუნი ინოუე. სანადირო თოფი. მოთხრობა.	
თარგმნა ლილი მჭედლიშვილმა	98
ვლადიმერ სოლოვიოვი. ლექსები.	
თარგმნა გივი ალხაიშვილმა	121
ჯონ აკადიკი. მოთხრობები.	
ინგლისურიდან თარგმნა ზაზა ალექსიძემ	125
სერბი ეხანიანი. ფერილი დედას. თარგმნა კალე ბობოხიძემ	132
ვაჟინგბონ ირვინგი. რიკ ვან ვინკლი. მოთხრობა.	
ინგლისურიდან თარგმნა ქეთევან ტოროტაძემ	134
ანტონ ჩეხოვი. ივანოვი. დრამა.	
თარგმნა მიხეილ ქვლივიძემ	148
უილიამ ფოლკნერი. ხვალ. მოთხრობა.	
ინგლისურიდან თარგმნა ანა რატიანიმა	182
ივლინ ვო. ნიტარხსენებული. რომანი. ინგლისურიდან თარგმნა ჭულიეტა მჭედლიშვილ-ბაქრაძემ	181



მთავარი რედაქტორი ურთა ნიშნიაძე

ხარუდაქციო კოლეგია: მზია ბაქრაძე, ბანანა ბრეზვასე, გურამ გოგიაშვილი, ნანა ჯარჩია (კ. მ. მღვიანი), ვახალი თოფუა, ნოდარ კაკაბაძე, მიხეილ კვესელავა, ზურაბ კიკნაძე, ვახუშტი კოტაბიშვილი, რომან მივინოვილი, რთარ ნოღია, ნიკო შინასაშვილი, თამაზ ჩხეკელი, ლავითი ფერედიანი.

საქართველოს მწერალთა კავშირი
 მსოფლიო ლიტერატურის ორთვიური
 ალმანახი

შინაარსი

ვიტორია ტოკარევა. ბედნიერი დასასრული. მოთხრობა. თარგმნა ჯაბა ასათიანმა	251
ნიკოლოზ ვრეტიკოსი, ლემსიბი. თარგმნა იზა ორჯონიძემ	256
ფიოდორ აბრამოვი. რასა სტირიან ცხენები. მოთხრობა. თარგმნა ნოდარ ებრაღიძემ	262
ფლენერი ოკონერი. ხელოვნური ზანგი. მოთხრობა. ინგლისურიდან თარგმნა მანანა ფორჩხიძემ	268
ფედერიკო გარსია ლორკა. დონ ლუის დე გონგორას პოეტური სახეები. თარგმნა შურმან ჭგუბურიამ	282
პინო ფენიხი. ულკიკ კლენცდორფის ჯოთხროვის „ახალგაზრდა ვ-ს ახალი ვნებების“ ბედნიერი თარგმანი გერმანულიდან თარგმნა გიორგი მაჭუტაძემ	289
ბაბრიელ გარსია მარკესის შემოქმედებით სახელოსნოში. შეხვედრი სტატია და პუბლიკაცია ლ. მსოვბათისა. თარგმნა მედეა ზუბადალაშვილმა	291
ალექსანდრ სტროგანოვი. პიკასოს სიუჟეტი შემსკირზე. თარგმნა ანდრო რობაქიძემ	309
ლალო ჯაფარიძე. კორტრეტი ავტობიოგრაფიით გარეკანზე: უჩა ჯაფარიძე. შრომის ზეიში	317



«САУНДЖЕ»
 ЛИТЕРАТУРНО-ХУДОЖЕСТВЕННЫЙ АЛЬМАНАХ
 НА ГРУЗИНСКОМ ЯЗЫКЕ № 1 1981.
 ГЛАВНАЯ РЕДАКЦИОННАЯ КОЛЛЕГИЯ
 ХУДОЖЕСТВЕННОГО ПЕРЕВОДА И ЛИТЕРАТУРНЫХ ВЗАИМОСВЯЗЕЙ
 ТВИЛИСИ, УЛИЦА ШАЛВЫ ДАДИАНИ. 2



ყრილობიდან ყრილობამდე

საქართველოს მკვიდრს, რესპუბლიკის გულშემატკივარ ადამიანს ცოტა რაღი აქვს სათქმელი დროის ამ მონაკვეთში — საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXV ყრილობიდან დღემდე მიღწეულ წარმატებებზე. ეს იყო, პირველ რიგში; საინტერესო და მძაფრი მოვლენებით აღსავსე წლები, დაუღალავი შრომის და ბრძოლის, რესპუბლიკაში ბევრი სიახლის დანერგვის, საზოგადოებრივი ყოფისა და სულიერი ცხოვრების ყველა სფეროში დემოკრატიზმის განმტკიცების, სიკეთისა და სიმართლისათვის დაუცხრომელი, თანმიმდევრული ბრძოლის ხანა.

რთულია თანამედროვეობა, იოლადა, ერთი ხელის დაკვრით ძნელია მნიშვნელოვან საქმეს შეასხა ხორცი... ზოგჯერ, ერთი შეხედვით, შეუიარაღებელი თვალთვით ერთხანს შეუმჩნეველიც რჩება დიდი მორალური, მიზნობრივი გამარჯვების ზღვარი, რაიმე მძიმე შემკვიდრეობაზე უარის ბოლომდე თქმა ან რომელიმე, მეტად მნიშვნელოვანი საზოგადოებრივი შინაარსის მქონე საშვილიშვილო საქმის აღსრულება. ადამიანიც თითქოს ეჩვენება ამ სიახლეებს, მით უმეტეს, თუ ყოველივე ეს ჩვენს სინამდვილეში „ჩვეულებრივი“ ფორმით, უხმაუროდ შემოდის; თითქოს ისე მკვეთრად ვეღარ იცნობიერებს ამ მოვლენათა განსაკუთრებულ, ისტორიულ მნიშვნელობას. ზოგჯერ ის მრველენა უფრო იქცევა ყურადღებას, რომელიც ზედაპირზე „ძვეს“ — იოლადა აღიქვება, ხოლო რესპუბლიკის მატერიალურ და სულიერ ცხოვრებაში, მის ყოფაში მიმდინარე ღრმა პროცესები ზოგჯერ, გარკვეული დროის განმავლობაში, ჩრდილში რჩება. ჯეროვნად ვერ ფასდება ის წარმატებები, რომელთა მოპოვება მხოლოდ ახლა, ამ პერიოდში გახდა შესაძლებელი. ბუნებრივიცაა: მნიშვნელოვან საზოგადოებრივ მოვლენათა შეფასება ჩაფიქრებასა და ობიექტურ ანალიზს მოითხოვს.

რა დიდი სოციალურ-პოლიტიკური შინაარსის შემცველია თუნდაც ის ფაქტი, რომ შესაძლებელი გახდა ადრე დაშვებული ამა თუ იმ შეცდომის გასწორება, ისიც მინიმალურ დროში; ეს ხომ ჩვენი საზოგადოების, რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციის სიცოცხლისუნარიანობის, მისი ქმედითი აქტივობის მაჩვენებელია. რა თქმა უნდა, უშეცდომო და უნაკლო არაფერი არსებულა და მით უმეტეს მოსალოდნელია ამა თუ იმ ცალკეული უზუსტობის დაშვება მაშინ, როცა შემოქმედებითი შრომაა გაჩაღებული, როცა ქმნადობის პროცესი მიმდინარეობს, როცა მალალ იდეალებს ესწრაფვი და სინამდვილე — თანამედროვეობის რთული სიტუაციები, ჩვენი პლანეტის მრავალმხრივ საყურადღებო კოლიზიები ობიექტურ, სერიოზულ დაბრკოლებებს უქმნიან ამ იდეალების დღევანდელობაში დამკვიდრების საქმეს.

წარმატებებზე როცა ვლაპარაკობთ, მთავარია, არ მივეცეთ რიტორიკულ მსჯელობას, პირდაპირ შევხედოთ ფაქტებს და რეალურად განვსაზღვროთ, თუ რის გაკეთება იყო შესაძლებელი. და ვისაც სურს თავისი ხალხის სამსახური, ვინც მონოდებულია კეთილი და საჭირო საზოგადოებრივი მოღვაწეობისათვის, ის აუცილებლად ეცდება შეამჩნიოს, დაინახოს ჩვენი ცხოვრების დადებითი ტენდენცია, დაინახოს ის დადებითი გამოცდილება, რის შეძენაც მხოლოდ ხალხის, ქვეყნის სამსახურში შეიძლება.

... განვლილი წლების მანძილზე პარტიამ კომუნისტური მშენებლობის შესანიშნავი გამოცდილება შეიძინა და ახლა საჭიროა უდიდესი ყურადღებით მოვეკიდოთ ყოველივე დადებითს, რაც კი რამ გვაქვს ჩვენს მუშაობაში, — იქნება ეს ქალაქად თუ სოფლად, — აღნიშნა თავის მოხსენებაში საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო ორგანიზაციის XXXVIII პარტიულ კონფერენციაზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევ-

რობის კანდიდატმა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ამხანაგმა ე. ა. შევარდნაძემ.

სახალხო მეურნეობის სფეროში სოფლის და ქალაქის მშრომელთა სანარმოო ამოცანები იმთავითვე გამოთვლილია. ის, რომ საქართველომ მოძმე რესპუბლიკათა შორის თავისი სამეურნეო მაჩვენებლებით ერთ-ერთი ბოლო ადგილიდან მონინავეთა რიგებში გადაინაცვლა, ის, რომ გეგმები და ზეგეგმითი ვალდებულებანი გადაჭარბებით სრულდება, წლიდან წლამდე რესპუბლიკა სოციალისტურ შეჯიბრებაში ნარმატებათა დასტურად გარდამავალ დროშებს იღებს, ყოველივე ეს ჩვენი — მუშათა კლასის, სოფლის მშრომელთა და ინტელიგენციის დიდი გამარჯვებაა.

ისიც ნათელია, რომ ეს გამარჯვებები თავისთავად კიდევ უფრო მეტს გვავალებს მომავალში. არა ერთი და ორი პრობლემაა კიდევ გადასაწყვეტი თანამედროვეობის მოთხოვნათა დონეზე მრეწველობასა თუ სოფლის მეურნეობაში, ქალაქად თუ სოფლად. არა ერთი და ორი დიდი სოციალურ-პოლიტიკური და საზოგადოებრივი საქმე ელის კიდევ მართებულ განსჯას და გადაწყვეტას, გასაკეთებელია უფრო ბევრი და თავისი შინაარსით აღმატებული საქმე...

სოციალისტური საზოგადოების თავისებურებას, საბჭოთა სახელმწიფოს საშინაო პოლიტიკის ერთ-ერთ განმსაზღვრელ ფაქტორს წარმოადგენს პარტიისა და მთავრობის თანმიმდევრული ზრუნვა ჩვენს ქვეყანაში კულტურული მშენებლობის აღმავლობისათვის, ზრუნვა ადამიანისათვის, მისი ზრდისა და ყოველმხრივი განვითარებისათვის. თანამედროვე პირობებში, როდესაც ჩვენს სინამდვილეში განსაკუთრებით ამაღლდა და გაიზარდა სუბიექტური ფაქტორის როლი, ამაღლდა და გაიზარდა ლიტერატურისა და ხელოვნების ესთეტიკურ-იდეოლოგიური ფუნქციაც, ამაღლდა ხელოვნების ყველა დარგისა და ჟანრის წარმომადგენელთა, თითოეული შემოქმედის პირადი პასუხისმგებლობა ახალი ადამიანის, მომავლის მშენებელი ადამიანის აღზრდის საქმეში, პასუხისმგებლობა მშობლიური ქვეყნის წინაშე, შთამომავლობის წინაშე.

მოქალაქეობრივი პათოსი თუ პასუხისმგებლობის შეგნება განსაკუთრებით მოეთხოვება ოსტატს, შემოქმედს. პარადოქსია, მაგრამ ზოგჯერ პროფესიონალი შემოქმედის საზოგადოებრივ-პრაქტიკულ, სამსახურებრივ საქმიანობაში მონაწილეობის კოეფიციენტი თითქმის ნულს უდრის — იგი თავისი პოზიციით, საერთო, სასარგებლო საზოგადოებრივი საქმიანობისაგან „განდგომის“ პოზიციით, ერთი შეხედვით, თითქოს უარს ამბობს მომავლის აღმშენებლობით პროცესში პრაქტიკულ მონაწილეობაზე. შემცდარია შემოქმედი, თუ იგი თავის ამგვარ პასიურობას პირადი შემოქმედების დიდმნიშვნელოვნებით ამართლებს. გავიხსენოთ თუნდაც გენიალური ბარათაშვილის სტრიქონები: „მაგრამ რადგანაც კაცნი გვეჭიან, შვილნი სოფლისა, უნდა კიდევაც მივსდიოთ მას, გვესმას მშობლისა“. თუკი ასეთი „განდგომის“ პოზიციისათვის გამართლება ძნელი მოსაძებნია ან არც არსებობს, თვით შემოქმედს შინაგანი საყრდენი შერტილი — ინდივიდის შემოქმედებითი იმპულსი თუ თავისი, მართლაც განუმეორებელი სულიერი სამყარო მაინც აძლევს რაღაც დამამშვიდებელ არგუმენტს, თავისებურ გამართლებას, რამეთუ მისი ჭეშმარიტი ნამუშავევი, საბოლოო ჯამში, კეთილ გრძნობებს და მაღალ აზრებს უწევს სამსახურს, ჰუმანისტური იდეალების დამკვიდრებას ემსახურება. მაგრამ პარადოქსი ისაა, რომ ჩვენს სინამდვილეში გაჩნდნენ ცალკეული ინდივიდები, რომელთა პირად შემოქმედებაზე არათუ არავის უჩნდება „ეჭვი“, არამედ არც ეს ინდივიდები აწერენ საკუთარ თავს ასეთ რამეს. და მაინც, ამასთანავე, ისინი სამსახურშიც, საზოგადოებრივ-პრაქტიკულ მოღვაწეობაშიც საოცრად უსაქმური არიან. არ ვიქნებით სამართლიანი, თუ არ დავსძენთ, რომ ისინი ერთი მიმართულებით მაინც „შრომობენ“: საზოგადოებას, უფროსებს ილუზიას უქმნიან, თითქოსდა მეტად საჭირონი არიან საზოგადოებრივი საქმისათვის; დროთა განმავლობაში შესაძლოა თვითონაც იჯერებენ ამას და ყოველგვარი სინდისის ქენჯნის გარეშე, საკუთარ ეგოცენტრულ შეგრძნებებში ჩაძირულნი განაგრძობენ ამ უსაქმურ საქმიანობას...

უშუალო წარმოდგენა სინამდვილეზე, სინამდვილის უშუალო განცდა ზოგჯერ სანყის რეალობადაა მიჩნეული და აქედან მომდინარეობს ამ ობიექტური სინამდვილის ანალიზი. ცხადია, ეს უშუალო რეაქცია თავისთავად არ არის მოკლებული ნამდვილობას, მით უმეტეს მაშინ, თუკი ხდება ამ წარმოდგენების, ამ განცდის გონებრივი განსჯა, პრაქტიკული ანალიზი და შემოწმება.

თითქოს ყველამ იცის, რომ არ შეიძლება ცალმხრივი, ერთგანზომილებიანი მსჯელობა.

კ. მარქსის ნაბ. საქ. სსრ.
საზოგადოებრივი-პრაქტიკული
მონაწილეობა

ნაკლებზე, უარყოფითზე. რაც მთავარია, ასეთი მსჯელობა ადამიანებზე სასურველ ზემოქმედებას ვერ ახდენს, საქმის გამოსწორების იმედს ვერ აძლევს მათ, ბოლომდე ვერ არწმუნებს ამა თუ იმ მოქმედების სისწორეში. თანამედროვეობა, ჩვენი სინამდვილე საზოგადოებრივ-სოციალური პრობლემატიკის ღრმა და ყოველმხრივ ანალიზს მოითხოვს. ნებისმიერი აქტუალური საკითხის გააზრება შესაძლებელია მხოლოდ თანამედროვეობის მნიშვნელოვანესი მოვლენების გათვალისწინებით, თვით ადამიანის პრობლემატიკაში, მატერიალური და სულიერი ცხოვრების ერთიანობიდან ამოსვლით. „ხაზი უნდა გაესვას საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ერთგულებას მარქსიზმ-ლენინიზმის პრინციპებისადმი, — ნათქვამია სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებაში „იდეოლოგიური და პოლიტიკური-აღმზრდელობითი მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების შესახებ“, — პარტიის დაუღალავ მოღვაწეობას მეცნიერულ კომუნიზმის თეორიისა და პრაქტიკის შემოქმედებითი განვითარებისათვის. რევოლუციური თეორიის, პარტიის პოლიტიკის ცოდნა საბჭოთა ადამიანებს უნდა გადაეცეთ კომუნიზმისათვის უცხო იდეოლოგიის ყოველგვარი გამოვლინების წინააღმდეგ მტკიცე მებრძოლის მრწამსად, აქტიურ ცხოვრებისეულ პოზიციად, მოქმედების სახელმძღვანელოდ განვითარებული სოციალიზმის აქტუალური პრობლემების გადაჭრისათვის“.

ისევე, როგორც წარსულში, ჩვენს დროშიც ძნელი წარმოსადგენია რომელიმე ადამიანი, ნებაყოფლობით, თავისივე სურვილით ხალხის წინაშე რომ გამოვიდეს და გულმხურვალედ დაიწყოს მტკიცება: ის ცუდი, უარყოფითი ადამიანი, ჩამორჩენილი, უცოდინარი და უჭკუო, ის კაცი, ვისაც თქვენ გამოთ და უარყოფთ, სწორედ მე ვარო. რა თქმა უნდა, ეს ასეა. მაგრამ სინამდვილის ღრმა ანალიზს, არსებულის შესახებ სწორად გააზრებული დასკვნების გამოტანას, მდგომარეობის განსაზღვრას და შეფასებას, სათქმელის თქმას — რა არის ცუდი და რა არის კარგი, მაინც ყოველთვის ჰქონდა და ახლაც აქვს უპირველესი მნიშვნელობა. მნიშვნელობა აქვს თუნდაც იმიტომ, რომ მხარს უჭერს ჭეშმარიტი მორალის მატარებელ ყოველი ერის შვილს, მონინავე პიროვნებას პროგრესისათვის, ადამიანის აღზრდისათვის მის შრომასა და ბრძოლაში. მეორე მხრივ, უარყოფითის, ნაკლის წინაარსის გამოვლენა თავისთავად დიდად სასურველი და დადებითი აქტია საზოგადოების დემოკრატიული განვითარებისათვის: ამ, საზოგადოებისათვის საშიშ ძალას ეკარგება შესაძლებელი, მოჩვენებითი მიშვიდველობა, ერთგვარი გარეგანი და, მასთან ერთად, საზოგადოებრივი პოზიცია, ეკარგება საზოგადოების პოზიტიური უმრავლესობისადმი „პირისპირ დგომის“ — პირობითი ვიზუალობის გარკვეული საფუძველი. ამ „საშიში“ ძალების არსის გამოვლენით იწყება სწორედ მათი დაჭარბება, ის სუფევა სიკეთისა, რუსთაველის ცნობილ აფორიზმში რომ არის მოცემული: „ბოროტსა სძლია კეთილმან, არსება მისი გრძელა“.

აღბათ არასოდეს დადგება ისეთი დრო, როცა ადამიანებს გონებრივი შესაძლებლობანი თუ ჭეშმარიტი წვდომის უნარი ერთნაირად „საჭირო“ დოზით ექნებათ მიმადლებული. საკითხის დიამეტრალურად საპირისპირო გაგება, ნებისმიერი დებულების სხვადასხვა „ნაკითხვა“ არც იმ პიროვნებათა შორის არის გამორიცხებული, რომელთაც პიროვნული განვითარების შედარებით მაღალ დონეს მიაღწიეს და საერთო პოლიტიკურ-ფილოსოფიური მიმართულებისანი არიან. საკითხის პოზიტიური განსჯა აუცილებლად მოითხოვს საქმიან დემოკრატიულ ატმოსფეროს, სადაც მოვლენაზე, ფაქტზე საბოლოო დასკვნის გამოტანამდე გამორიცხებულია კატეგორიული, იმპერატიული ტონი. არსებითად საკითხი ეხება იმას, რომ ვულგარიზატორი არ ნყვეტდეს ცხოვრებისეულ თუ თეორიულ პრობლემას, რა გინდ გულწრფელი არ უნდა იყოს იგი და რა ღრმა რწმენითაც არ იყოს ნაკარნახევი მისი მოსაზრებები. საკითხი ეხება საზოგადოებრივ-სასარგებლო საქმიანობაში სუბიექტივიზმისა და ვოლუნტარიზმის გამორიცხვას, რაც სრულიად არ ნიშნავს იმას, რომ წინ აღუდგე ხელმძღვანელის ერთიანი ნების, იგივე — კოლექტიური ნების ცხოვრებაში გატარებას, არ ნიშნავს ანარქიას ან მოქალაქეობრივ ინდიფერენტიზმს... აქ ლაპარაკია მხოლოდ ყოველი დაწესებულების, ყოველი საწარმოო ორგანიზმის ხელმძღვანელობის სტილზე, ხელმძღვანელობის დემოკრატიულ, აუჩქარებელ და კოლექციურ ხასიათზე, ხალხისადმი სამსახურის, პარტიის გადაწყვეტილებათა რეალიზაციისათვის, პერსპექტივისათვის გამიზნულ ქმედებაზე...

და მაინც აღემდე ჯერ კიდევ იმდენად იგრძნობა ამ საშუალო დონის ვულგარიზატორთა არსებობა, რომ არცთუ ისე იშვიათად, აზრის გამოთქმისთანავე, ზომაზე მეტად

ვცდილობთ „თავის მართლებას“: იქვე, იმთავითვე ვიშველივით ამა თუ იმ „თავდაცვითი“ ფუნქციის მქონე სიტყვებს... გასაგებია ამ სიტყვების აზრი და მიზანი, გასაგებია ზოგჯერ, რისთვისაც იწერება ეს ანაბანა, ეს ყოვლად ცნობილი ფრაზები; გასაგებია, რომ იწერება არა საკითხის არსის წარმოსაჩენად, არამედ საგანგებოდ — ვულგარიზატორის დასამშვიდებლად, მოსალოდნელი, გათვალისწინებული თუ გაუთვალისწინებელი ოპონენტისათვის.

ცნობილია, რომ მარქსს ესთეტიკურის გაგებისათვის, საერთოდ — ესთეტიკის, მშვენიერების საკითხებზე ბევრი რამ არ დაუწერია, მაგრამ ის დებულებები, რომლებიც მან წამოაყენა, ყველა უკლებლივ, პრინციპულად ეწინააღმდეგება ყოველგვარ გაუბრალოებას, მშვენიერის ცალმხრივ გაგებას, არავითარ „ადგილს“ და შესაძლებლობას არ ტოვებს ვულგარიზაციისათვის. მარქსი ხაზს უსვამს იმ დებულებას, რომ მშვენიერი თავის ბუნებაში აერთიანებს ობიექტურ და სუბიექტურ საწყისებს, რომ ესთეტიკურის, მშვენიერის სუბიექტური ალქმა ესთეტიკურის აუცილებელი, ორგანული მხარეა და ამ ალქმის გარეშე ესთეტიკურის არსებობა მეტად პირობითია — ესთეტიკური ალქმა თავისთავად ესთეტიკურში თანამონაწილეობაა. ამ საკითხის გათვალისწინება ლიტერატურისა და ხელოვნების თეორიაში, კრიტიკაში, რა თქმა უნდა, აუცილებელია. აქვე, რაკი საკითხმა მოიტანა, დავსძენთ, რომ კრიტიკა თავის ძალასა და ქმედითობას კარგავს, თუკი იგი ლიტერატურულ-შემოქმედებით პროცესში ორგანულად არ თანამონაწილეობს, თუკი თვით კრიტიკას არ გააჩნია მხატვრული ღირებულება. ამასთანავე, როცა კრიტიკაზე ვლაპარაკობთ, არ შეიძლება დავივიწყოთ პროფესიული ლიტერატურულ-მეცნიერული ანალიზის მომენტი, რაც სრულ პარამონიაში უნდა იყოს მხატვრული ნაწარმოების ესთეტიკურ ალქმასთან. ამითაა განპირობებული სწორედ კრიტიკის წარმმართველი, განსაკუთრებული როლი ლიტერატურულ პროცესში. აქედან გამომდინარე, საერთოდ გაუგებარი და უსარგებლოა კრიტიკა, რომელიც არ ემსახურება ლიტერატურის განვითარების ინტერესებს, აგებულია პირადულ ემოციებზე, ხელაღებით ლანძღვასა თუ ქებაზე...

ცნობილია, რომ მხატვრული სიტყვა დიდ ზეგავლენას ახდენს ადამიანის ზნეობრივ-მორალურ ფორმირებაზე. საბოლოო ჯამში, მკითხველზე შთაბეჭდილებას ახდენს მხოლოდ ნამდვილი, გულში ჩამწვდომი, მაღალი იდეურობითა და მხატვრულობით გამორჩეული ნაწარმოები. დღესაც, თანამედროვე ლიტერატურის მიღწევები უპირატესად იმით განისაზღვრება, თუ რამდენად ახდენს ლიტერატურული ნაწარმოები უშუალო შემოქმედებას მკითხველის პიროვნებაზე, რამდენად ანიჭებს მას ესთეტიკურ ტკბობას, აკეთილშობილებს მის გრძნობებს, განამტკიცებს მასში ზნეობრივ საწყისებს, ხელს უწყობს პიროვნებას მოწინავე ჰუმანისტური შეხედულებების, აქტიური მოქალაქეობრივი პოზიციის შემუშავებაში, ინტერნაციონალიზმის სულისკვეთებით აღზრდა-ჩამოყალიბებაში.

მაღალმხატვრული დონის, ღრმა იდეურობით გამსჭვალული ნაწარმოები, რა თქმა უნდა, წარმოადგენს ხალხთა შორის ინტერნაციონალური ურთიერთობის, მაღალი ეროვნული და ესთეტიკური ღირებულების გამოხატულებასა და გამოვლენას. ამიტომაცაა, რომ ხელოვნების პარტიულობისა და იდეურობის, ხალხურობისა და პატრიოტიზმის, სოციალისტური ეროვნულობისა და ინტერნაციონალიზმის ამოცანები მწერლობის წინაშე თავისთავად აყენებს ჭეშმარიტი მხატვრულობისა და პროფესიონალიზმის ამოცანასაც. საბოლოოდ მკითხველს მაინც ღირებულებები რჩება, მასზე მაინც სულიერი ღირებულებები ახდენს კეთილმყოფელ გავლენას და არა ის, თითქოსდა „მრავალმნიშვნელოვანი“ და, ამასთანავე, უსახური ლიტერატურა, რომელსაც შეიძლება მკითხველიც კი გამოუჩნდეს...

არსად, მთელ მსოფლიოში ალბათ იმდენი არ კეთდება მკითხველის სწორი ორიენტაციისათვის, რამდენიც ჩვენს ქვეყანაში, მაგრამ ამ სფეროში სასურველი მიზნის მიღწევა იოლ საქმედ არ უნდა მივიჩნიოთ. მკითხველის გემოვნების ამაღლება, მისი ესთეტიკური აღზრდა — ეს ხომ იგივე დიდმნიშვნელოვანი საქმე, კულტურული მშენებლობის ერთ-ერთი ცენტრალური საკითხია, ახალი, მომავალი საზოგადოების აღზრდის პრობლემაა და, არსებითად, შედეგობრივი შინაარსის შემცველი.

მკითხველისათვის ჭეშმარიტი ლიტერატურის მიწოდება, იმ ფასეულობათა პროპაგანდა, რაც კი რამ საუკეთესო და ამაღლებული შეუქმნავებია კაცობრიობას, ერთ-ერთი უპირველესი ამოცანაა ყოველი ერის თანამედროვე მთარგმნელობითი ლიტერატურისა. პრინციპული პარტიული პოლიტიკა, რომელიც ჩვენს სინამდვილეში საერთო ლიტერატურული პროცესის აღმავლობას, მის სწორ იდეურ-მხატვრულ გეზს განსაზღვრავს, არანაკლებ მაორგანიზებელ და წარმმართველ როლს ასრულებს მხატვრული თარგმანის სფერო-

შიც. დროის ამ მონაკვეთში — ყრილობიდან ყრილობამდე მოპოვებული წარმატებები, ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა ის არსებითი ტენდენცია, რომლებზედაც ზემოთ ვილაპარაკეთ, თავის მხრივ ყოველ კონკრეტულ სფეროს და, მათ შორის, მხატვრული თარგმანის სფეროსაც შეეხო და კეთილმოფხვლი გავლენა მოახდინა ლიტერატურის ამ მნიშვნელოვანი დარგის შემდგომ აღმავლობაზე. ბუნებრივია, რომ ბოლო წლების ქართულ მთარგმნელობით ლიტერატურას მრავალი საგულისხმო ნაწარმოები შეემატა. ამ საქმეში, რესპუბლიკის ლიტერატურულ-საგამომცემლო დაწესებულებებთან ერთად, თავისი მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა საქართველოს მწერალთა კავშირთან არსებულმა მხატვრული თარგმანისა და ლიტერატურული ურთიერთობების საქმეთა მთავარმა სარედაქციო კოლეგიამ და მსოფლიო ლიტერატურის აღმანახმა „საუნჯემ“.

განსაკუთრებით უნდა ითქვას, რომ ყრილობებს შორის განვლილი პერიოდი (1976-1980 წწ.) აღინიშნა ქართველ მთარგმნელთა ინტენსიური შემოქმედებითი მოღვაწეობით. რესპუბლიკაში ქართულ ენაზე გამოიცა იდეურ-ესთეტიკური შინაარსით მდიდარი მრავალი ნაწარმოები, ქართველი მკითხველის თაროს შეემატა როგორც საბჭოთა კავშირის ხალხთა, ისე უცხო ენებიდან თარგმნილი ბევრი ლიტერატურული ძეგლი.

უწინარეს ყოვლისა, აღსანიშნავია რუსული კლასიკური და თანამედროვე მწერლობის ნიმუშები, ისეთები, როგორცაა, მაგალითად, ს. აქსაკოვის „ბაგროვიანთ შვილიშვილის ბავშვობა“, რომელიც ქართულ ენაზე ჩვეული ოსტატობით თარგმნა რუსუდან ქებულაძემ; აქვე უნდა მოვიხსენიოთ რუსული ბილინების ომარ გოგიჩაიშვილისეული თარგმანი; ი. ბუნინის „მიტიას სიყვარული“, რომელიც გიორგი ბაქანიძემ თარგმნა; აგრეთვე ა. პუშკინის „კაპიტანის ქალიშვილი“ (მთარგმნელი აკაკო ბრეგვაძე); პუშკინისავე „მცირე ტრაგედიები“, თამაზ ჩხენკელის მიერ მაღალმხატვრულად თარგმნილი.

მონონებას იმსახურებს აგრეთვე ლ. ტოლსტოის „კაზაკები“ (მთარგმნელი ნ. ებრაელიძე), ლ. ტოლსტოის „მოთხრობები და ზღაპრები“ (მთარგმნელი ჯ. თითმერია) და ა. ფუტის ლექსები (მთარგმნელი გ. აღხაზიშვილი).

დიდი რაოდენობით ითარგმნა რუსული საბჭოთა ლიტერატურის ნიმუშებიც. უპირველეს ყოვლისა, უნდა გამოვყოთ თ. კვაჭანტირაძის მიერ თარგმნილი ი. ბაბელის მოთხრობები, ვ. ბელოვის მოთხრობები — „სამი სათრიელის მიღმა“, თარგმნილი გ. ბაქანიძის მიერ; ვ. შუკშინის (მთარგმნელი ჯ. თითმერია) და მ. ზომჩენკოს (მთარგმნელი გ. ზარნაძე) მოთხრობათა კრებულები.

მხატვრული პროზის თარგმანებს ტოლს არ უდებს პოეზიის ნიმუშთა ქართული თარგმანებიც, მაგალითად, ვვ. ვეტუშენკოს პოემის „გზაჭრილის“ შ. ნიშნიანიძისეული თარგმანი; მ. ლუკონინის ლექსების თარგმანები — მ. ლებანიძის, რ. მარჯიანის, ო. ჭელიძისა და კ. კალაძისეული.

ასევე ქების ღირსია თანამედროვე რუსული მოთხრობების ვრცელი კრებული, რომლის თარგმანიც შესრულებულია ბევრი თვალსაჩინო მთარგმნელის მიერ.

მოდძე საბჭოთა ერების ლიტერატურულ ნიმუშთა შორის, უპირველეს ყოვლისა, გამოვყოფდით პ. მათევეოსიანის მოთხრობების კრებულს „აგვისტო“ (მთარგმნელი ზ. მედულაშვილი), პ. სევაკის რჩეული ლექსების ნიგნს „იქმენინ ნათელი“ (მთარგმნელი გ. შაჰნაზარი), ი. იანოვსკის „მხედრებს“ (მთარგმნელი ჯ. ასათიანი), ლ. პისშენაიას მოთხრობებს „ათასი სარკმელი და ერთი წერო“ (მთარგმნელი ნ. გავაშელი); ითარგმნა აგრეთვე ა. ბელის რომანი „გალია“ (მთარგმნელი უ. სახლთხუციშვილი), ესტონური მოთხრობები (მთარგმნელი ა. კალაძე).

განვლილ პერიოდში განსაკუთრებული ყურადღება მიექცა აფხაზური და ოსური ლიტერატურის ნიმუშთა თარგმანს. მაღალმხატვრულ დონეზე ითარგმნა აფხაზური პოეზიის რჩეულ ნაწარმოებთა კრებული „აფხიარცა“ (მთარგმნელთა ჯგუფი), ნართების ეპოსი (მთარგმნელები გ. ბაქანიძე და ჯ. აჯიაშვილი), აღ. გოგუას მოთხრობების კრებული (მთარგმნელი ჯ. თითმერია); აგრეთვე ოსური პოეზიის კრებული „მთების სიმღერა“ (მთარგმნელთა ჯგუფი) და სხვ.

ქართველ მთარგმნელთა სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მათ ამ პერიოდში ნაყოფიერად იმუშავეს უცხოური ლიტერატურის ქართულ ენაზე გადმოცემის საქმეშიც. საერთო აღიარება ხვდა წილად ჯ. აჯიაშვილის მიერ თარგმნილ შუა საუკუნეების ებრაელი პოეტების ლექსებს; სახელგანთქმული ინგლისელი პოეტის ჯ. ჩოსერის „ვენტერბერიული მოთხრობების“ გ. ნიშნიანიძისეულ თარგმანს; მსოფლიო ლიტერატურის ოთხმოცტომეულის

სერიით გამოცემული ირანული პოეზიის კრებულს (მთარგმნელები: გ. ახვლედიანი, მ. ანდრონიკაშვილი, მ. თოდუა, ვ. კოტიტიშვილი, თ. ჩხენკელი, ა. გვახარია და სხვ.); ამავე სერიით გამოცემულ შოტლანდიურ პოეზიას (მთარგმნელები: თ. ერისთავი, მ. ლებანიძე და სხვ.); ფრანგულ პოეზიას (მთარგმნელი გ. გიგეჭკორი); არისტოფანეს „ფრინველებს“ (მთარგმნელი ე. კვიციანიშვილი), ესქილეს დრამების გ. სარიშვილისეულ თარგმანს, ჰიკაშაძეს დრამატულ პოემას „შეყვარებულთა თვითმკვლელობა ციურ ბაღეთა კუნძულზე“ (მთარგმნელი ჯ. აჯიაშვილი); ბ. შალვაშვილის მიერ თარგმნილ „შაჰ-ნამეს“ ეპინოდს („ამბავი სიაუშისა“); ევრიპიდეს დრამებს (მთარგმნელები: ზ. კიკნაძე და გ. სარიშვილი) და სხვ.

უცხოურ პოეზიას ქართულ ენაზე ინტენსიურად და მალალმხატვრულად თარგმნიან ცნობილი ქართველი პოეტები გ. აბაშიძე, ი. აბაშიძე, მ. მაჭავარიანი, ჯ. ჩარკვიანი, მ. ფოცხიშვილი, თ. ბექაშვილი, ჯ. ფხოველი, მ. ჯგუბურია, ი. ორჯონიკიძე, გ. ალხაზიშვილი და სხვ.

უცხოური პროზის თარგმანებიდან განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ფ. რაბლეს „გარგანტუა და პანტაგრუელის“ გ. გოგიაშვილისეული თარგმანი. ასევე აღსანიშნავია თ. მანის „ჯადოსნური მთა“ (მთარგმნელი დ. ფანჯიკიძე); რ. მუზილის „სამი ქალი“ (მთარგმნელი თ. პატარაია); ხ. გოტიშოლოს რომანი „კუნძული“ (მთარგმნელი ე. ახვლედიანი); ს. ენდოს მოთხრობები (მთარგმნელები ლ. მჭედლიშვილი და ს. ქეთელაური); რ. კიპლინგის მოთხრობები (მთარგმნელი ედ. გიორგაძე); ი. ანდრიჩის „დრინის ხიდი“ (მთარგმნელები მ. კახიძე და ზ. მანისაშვილი); ი. ივაშკევიჩის „არყის ქალა“ (მთარგმნელი ნ. გავაშელი); ე. კოლდუელის მოთხრობები (მთარგმნელი ვ. ხელაშვილი) და სხვ.

ამავე პერიოდში ინტენსიურ მოღვაწეობას ეწეოდნენ ცნობილი ქართველი მთარგმნელები: ვ. ჭელიძე, ე. მაღრაძე და რ. მიმინოშვილი.

ნაყოფიერად მუშაობდა უნივერსიტეტის კლასიკური ბერძნული და რომაული ლიტერატურის მთარგმნელთა ჯგუფიც, რომელმაც არაერთი კარგი თარგმანი შესძინა ჩვენს მკითხველებს.

სასიამოვნო და მისასალმებელია ის ფაქტი, როცა მთარგმნელი თავისი ნიჭის ღირსეულ აღიარებასა და დაფასებას პოულობს: ცნობილ მთარგმნელსა და ლიტერატორს ბაჩანა ბრეგვაძეს ივანე მაჩაბლის სახელობის პრემია მიენიჭა ამ ბოლო სამი წლის განმავლობაში შესრულებულ მალალმხატვრულ თარგმანებში. ივანე მაჩაბლის სახელობის პრემია მიენიჭა აგრეთვე საბჭოთა მთარგმნელობითი სკოლის გამორჩენილ წარმომადგენელს, მსოფლიო ლიტერატურის ნიმუშთა რუსულ ენაზე ერთ-ერთ საუკეთესო მთარგმნელს ელიზბარ ანანიაშვილს თანამედროვე ქართული ლიტერატურის წარმომებთა რუსული თარგმანებისათვის.

რესპუბლიკაში ქართული მთარგმნელობითი ლიტერატურის აღმავლობის პროცესი სავსაშუალოდ გამოძახილის გარეშე არ დარჩენილა აფხაზურ და ოსურ ლიტერატურაში. გაძლიერდა და განმტკიცდა მათი ლიტერატურული კონტაქტები. ამ მხრივ დიდი, ნაყოფიერი მუშაობაა ჩატარებული საქართველოს მწერალთა კავშირის, რესპუბლიკის ლიტერატურული უნივერსიტეტის, გამომცემლობათა და მთავარი სარედაქციო კოლეგიის მიერ. კოლეგიის მონაწილეობით განხორციელდა ან მომზადდა არაერთი საინტერესო თარგმნითი გამოცემები ქართულ, აფხაზურ, ოსურ და რუსულ ენებზე. აფხაზეთის მწერალთა კავშირისა და მთავარი სარედაქციო კოლეგიის თაოსნობით დაიწყო დიდი კულტურულ-ლიტერატურული მოძრაობა — საფუძველი ჩაეყარა მსოფლიო ლიტერატურის მრავალტომიანი ბიბლიოთეკის აფხაზურ ენაზე თარგმნასა და გამოცემას.

„ცხოვრება არასოდეს არ დგას ერთ ადგილზე. — აღნიშნავს ე. ა. შევარდნაძე თავის წიგნში (ე. ა. შევარდნაძე, „საბჭოთა საქართველო“, გვ. 131, გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, 1980 წ.), — იგი სწრაფად და მტკიცედ მიაბიჯებს მომავლისაკენ. მომავალი კი ახალი მწვერვალებია, რომლებიც უნდა დავლაშქროთ. მაშასადამე, როგორადაც არ უნდა გვახარებდეს მიღწევები, რომლებითაც დღევანდელ დღეს ვეგებებით, საჭიროა ვიფიქროთ ხვალინდელ დღეზე. საქმისადმი სწორედ ასეთი მიდგომა წარმატებათა საფუძველია კომუნისტურ მშენებლობაში“.

სწორედ ამ ახალი მწვერვალებისაკენ. ამ მომავლისაკენ არის მიმართული ქართველ მთარგმნელთა, ქართული მთარგმნელობითი ლიტერატურის მესვეურთა გული და თვალი. გვეჯერა, რომ ხვალინდელი დღე კიდევ უფრო გაამდიდრებს ამ ლიტერატურის მრავალსაუკუნოვან საგანძურს.

მისეილ ლოხვიძე

მეხთათესა



ისტორიული მოთხრობა

თარგმნა გიორგი ბაძანიძემ

„კაცი ოდესმე წარმოადგენდნენ ერთს ხალხსა,
შერე დაცილდნენ...“

მიზეზი, რომელმაც მე, სახელმწიფო დამნაშავე იაკოვ კაისა-როვს, მხედრული მოვალეობის დალატისა და სამეფო გვარის წევრის შეურაცხყოფისათვის ზემო ტუნგუსკაზე ანუ, როგორც მას ტუნგუსები უწოდებენ — ანგარაზე გადმოსახლებულ კაცს ხელში კალამი ამაღებინა, რამდენიმეა. უფრო სწორად, თავიდათავი მიზეზი ერთია, ოღონდ მისგან გამომდინარე მოსაზრებანია საკმაოდ ბევრი.

ლიტერატორი არ გახლავართ, ბარათების გარდა არაფერი დამიწერია. მემუარების წერა რომ გადამეწყვიტა, რაღა მიჭირდა. მემუარებს ახლა ყველა წერს რუსეთში, ვისაც კი წერა არ ეზარება, და ყოველი მემუარი სულ ერთნაირად იწყება: „მე, ესა და ეს, დაეიბადე...“ ანდა: „პაპაჩემი, ესა და ეს კაცი, გახლდათ...“ და მორჩა, დატრიალდა ჯარა! მაგრამ მე არ ვაპირებ ჩემი წინაპრების გახსენებას და არც პატივმოყვარეობის დასაკმაყოფილებლად ან საკუთარი პიროვნების განსაღიღებლად ვუზივარ ახლა დაბინდულ ანგარაზე გამავალ ფანჯარას, თან ზედიზედ ვხევ ფურცლებს, ვლრლნი კალმისტარს და ასე მგონია, უკიდევანო ტრამალზე ვარ და გზა ვერ გამიგნია. რაკი ეს ხამი კაცი წერას შევუდექი, ყველაფერს ისე მოვყვები, როგორც თავში მომივა, რაც შეიძლება მოკლედ ვიტყვი სათქმელს, მხოლოდ იმაზე შევჩერდები, უფრო მნიშვნელოვანი რომ მგონია, უფრო კარგად რომ მახსოვს ანდა ძალიან ძვირფასია ჩემთვის. თუკი ჩემი ესა თუ ის თვალსაზრისი გულუბრყვილო, ხოლო მსჯელობა ნამეტნავად მკვეთრი გამოდგება, ანდა ადამიანები თუ ამბები ასე თუ ისე მიკერძოებით იქნება დახატული, სანამ ამას მიკეიენებდეს, მკითხველმა დაე იმაზედაც იფიქროს, რომ ეს სტრიქონები ერთი უბრალო პორუჩიკის, პატივყარილი, გადასახლებული კაცის მიერ არის დაწერილი და, რაც მთავარია, პირდაპირ და პატიოსნად შეხედოს სიმართლეს თვალეში.

ამ ჩანაწერებს ერთხელაც გადავწერ და გზას რომ გავუდგები, ასლს ვინმე

საიმედო კაცს მივაბარებ შესანახავად, პირველ პირს კი „ოტეჩესტვენიე ზაპის-კის“ რედაქციას გავუგზავნი. ვინც რა უნდა თქვას, მე მგონია, ახლა ეს არის ჩვენი ყველაზე უფრო რიგიანი ჟურნალი. თუკი დამიბეჭდავენ, მიზანი მიღწეული მექნება, არ დაბეჭდავენ და, რა ვუყო, არც პირველი ვიქნები, და უკვე უკონსკნელი. იქნებ დრო დადგეს და მაშინ წაიკითხოს წამკითხველმა, და დგება ეს დრო? არ ვიცი. ყოველ შემთხვევაში, მე მაინც ვერ მოვესწრები.

გადაწყვეტილება, რომ ფურცლებზე გადმომეღვარა ნაგრძნობ-ნაფიქრალი, როგორც ახლა ვხედები, თანდათან მწიფდებოდა ჩემს გულში და სინდისის იღუმალი ქენჯნისაგან, იმ გამუდმებული ტკივილისაგან წარმოიშვა, რამაც ასე გაღმომფიტა და ლამის ბერიკაცად მაქცია ეს შუახნის კაცი. ვგულისხმობ არა მარტო ჩემს პირად სინდისს, არამედ იმ ზოგად სინდისსაც, რომლის ნაწილაკი არის თქვენშიაც, ჩემშიაც და ყოველ ადამიანშიც. ჩვენს მრავალტანჯულ ხალხში იგი გაცნობიერებულად არ არის გამოხატული, ჯერაც თვლემს და, თუკი ვლინდება ხოლმე ყოფაში, მარტოდენ ლოთობის მახინჯი ფორმითა ვლინდება. ჩაისხამს გლეხი სტომაქში არაყს, შემოიფხრეწს გულზე პერანგს და ბლავის ტკივილისაგან, რომელიც მისთვის გაუგებარია და ამიტომაც სიტყვებით გამოუთქმელი, ჩემს წიგნებსა და ჟურნალებში, ამ გადასახლების წლებში რომ შევკრიბე — მათი უმეტესობა კავკასიას ეხება — არის „სოვრემენნიკის“ 1859 წლის მეცხრე წიგნი, სადაც დაბეჭდილია ბატონ ნ. დობროლიუბოვის რეცენზია ვილაცის, ახლა აღარ მახსოვს, თხზულებაზე და ნათქვამია, რომ მოუსავლიანობა, პირუტყვის გაწყდომა, მამასახლისის წყრომა, ბატონის რისხვა, ბოქაულის პარპაში — ყველა ეს ზნეობრივი მიზეზი ეღობება წინ ცხოვრების მშვიდ მდინარებას და აიძულებს ადამიანს არაყში ჩაკლას გულის ვარამი. ძალიანაც სწორი ნათქვამია. მაგრამ რატომ არც ერთმა ჩვენმა ცნობილმა ლიტერატორმა ხმა არ აღიმალა იმ დანაშაულის წინააღმდეგ, სწორედ იმ წლებში რომ მოხდა, როცა მეფის მანიფესტით ბატონყმობის გაუქმება გამოცხადდა? თუმცა მე ვის რა უნდა ვუკივინო, როცა არც თვითონ ვარ სხვაზე ნაკლებ ბრალეული? იმაზედაც მადლობა, უფრო განათლებული მოღვაწეები სიბრალულსა და თანაგრძნობას რომ იჩენდნენ უდანაშაულოდ ტანჯული ჩერქეზი ტომებისადმი. ჩვენს ხალხს თუ ვიტყვით, მას შემდამ იზიდავდა მთიელთა თავისუფლების ხიბლი და სისხლის ორი წვეთი — რუსული და ჩერქეზული აქამდე რახანია შერწყმული იქნებოდა, რუსეთში მონარქიული ხელისუფლების წინააღმდეგობა რომ არა.

ბიძგი, რამაც მაიძულა მაგიდას მივჯდომოდი, გახდა ის, რომ უეცრად გადავწყვიტე აქედან გაქცევა. იმდენად გაქცევა არ მომინდა, რამდენადაც იქ, იმ მხარეში ჩასვლა, სადაც ჩემი ცხოვრება ისე ძირფესვიანად შეიცვალა, რომ ახლა მე თვითონაც ძლივს დამიჯერებია. ყველას ახასიათებს ამგვარი უცაბელი აფეთქება, განსაკუთრებით — რუს კაცს. რაც ამ ქვეყნადა ვარ, ბევრი არ მქონია ეს აფეთქებანი, მაგრამ რაც მქონია, ყველა ძირფესვიანად ცვლიდა ხოლმე ჩემს ცხოვრებას. შიგადაშიგ კი მეც ისევე ვცხოვრობდი, როგორც ყველა, და სწორედ ეს იყო ყოვლის უარესი, რამეთუ ზუსტად ასე ცხოვრობენ ცხერები, ჯერ საძოვარზე რომ გარეკავენ ხოლმე და მერე — სასაკლაოზე.

ერთ დღეს სამაზრო პოლიციის უფროსს, ჩვენს სოფელს რომ ეწვია — თქვენ, რასაკვირველია, ბევრი გსმენიათ, თუ როგორ ჩადიან სოფლებში ეს უფ-

როსები, ლამის იტალიისოდენა ფართობის მქონე აჭაურ მხარეებში შეუზღუდველი ძალაუფლება რომ აქვთ ხოლმე ხალხზე: ყივილით მოიჭრება მხედარი, თან მოსდევს სამცხენშებმული ტარანტასი, ისმის ზანზალაკების წკრიალი, გადმოშვავდება დონდროხა, ლოთობისაგან თვალეზდაბლელტილი ტყვესტყუთიანი მძორი, არის ერთი გინება, კბილების მტვრევა, ქმნა სამართლისა და სასჯელისა, შემდეგ მამასახლისის ქოხში სვამენ უამრავ რაბს, დილით კი კვლავ ატყდება ფლოქვების გრიალი, ზანზალაკების წკრიალი და ყველანი შვეებით ამოისუნთქავენ — პოდა, აი, სამაზრო პოლიციის უფროსს, რაღაც სასწაულად კითხვის მოყვარული რომ გამოდგა, მამასახლისისას რ. ა. ფადეევის წიგნი — „კავკასიის ომის 60 წელი“ დარჩა. წიგნის კაცი სოფელში ჩემ გარდა სხვა ვინ იყო და, პოლიციის უფროსის დანატოვარი წიგნი მამასახლისმა მე მომიტანა. რაღა სათქმელია, მაშინვე ვეცი წიგნს, თავიდან ასე თუ ისე გულგრილად ვკითხულობდი, რაკი ყველაფერი, რაც აქ ეწერა, ჩემს თავზე მქონდა გადანატანი, მაგრამ ამ სიტყვებზე რომ მივედი: „რაც მართალია, ეს გაქრობის პირზე მდგარი ხალხის დასამარება იყო... არა უშავს, სასაზღვრო ხაზი ჯერჯერობით თუ უკაცურია. ღვარძლი ამოიფესვა, აწხორბალი აღმოცენდება“, — წიგნი მოვისროლე, ანგარის პირას გავედი და ბოლთის ცემას მოვყევი, რაკი მშვიდად ჯდომა აღარ შემეძლო. ვაყურადებდი ძალღვანი წყლის თანაბარ დუდუნს, ზედ ფლატესთან მოსული კაპოეტების ჩქაფანს, მერე თვალსაწიერს მივაჩერდი, შორს, სადაც მდინარე თითქოსდა ცას უერთდებოდა და ამ დაფიონის ფერებმა სულ სხვა დღე და ზღვაზე დაწვერილი მეწამული მზე მომაგონა, მომაგონა ის შიშის ზარიც, ზღვის პირას ნანახმა რომ დამცა, ერთი სიტყვით — ყველაფერი ის, რამაც მაშინ თავდაყირა დააყენა მთელი ჩემი ცხოვრება. და გავოცდი, ამ მონურ მორჩილებაში რამ გამაძლებინა, როგორ გავათრიე ამდენი წელიწადი. არა, უნდა გავიქცე, რაღაც არ უნდა დამიჯდეს — უნდა გავიქცე! და არც მარტო იმისთვის, რომ კვლავ დავიარო ოდესღაც დავლილი ტანჯვის გზები, არამედ იმისთვისაც, რომ ბიჭი და გოგონა მოვძებნო — ერთადერთი ადამიანები, რომლებიც, როგორც ახლა ვფიქრობ, ცოცხლები დარჩნენ.

დავბრუნდი სახლში. ერთხანს ვიჯექი და კვარის შუქზე გაზეთებს ვათვალთვლებდი. გაზეთები აქ ორი-სამი თვის დაგვიანებით მოაქვთ, ზოგჯერ მთელი შეკვრა ერთად, ზოგჯერ კი საერთოდ იკარგება ხოლმე ყოველგვარი კორესპონდენცია და ველარ აღწევს ადრესატამდე.

მკითხველი ვერც კი წარმოიდგენს, როგორაა მოწყვეტილი მთელ ქვეყნიერებას აქ გადმოსახლებული ადამიანი, მით უმეტეს — ისეთ ჯურღმულში, როგორიც ეს ანგარისპირეთია. რაიმე ხმა და ჭორი რომ გავარდება, ისიც კი უჩვეულოდ გადასხვაფერებული მოაღწევს ხოლმე ამ ლაღალუდა ტაიგამდე. ბარათებს მე არ ვიღებ, არავინა მყავს გამომგზავნი, ახალი ამბებით მხოლოდ მაშინ თუ ვმარაგდები, ათასში ერთხელ ენისეისკში რომ ჩავდივარ.

გაზეთები გვერდზე გადავდე და დავწექი, მაგრამ ძილი არ მომეკარა. ვიწექი თვალდია და ჩემს წინაშე კვლავ დიოდა მდინარე, აალებული ცისკენ მიაგორებდა ზვირთებს. რა უკიდვგანო სივრცეებია ამ მხარეში! სავსებით აუთვისებელი უმდიდრესი ადგილები, სადაც ათასობით ვერსზე კაციშვილს ვერ შეხვდები. მხოლოდ ერთი მუჭა მომთაბარე ტუნგუსებსა და ოსტიაკებს თუ გადაეყრები, ამ მიმნდობ, სტუმართმოყვარე ხალხს.

გამთენიისას გაქცევის გეგმის დაწყობას შევეუდექი. ამ გეგმის განხორციე-

ლება სრულიადაც არ არის ძნელი, განა ერთჯერ და ორჯერ გავყოლილვარ ჩემს კეთილ მასპინძელს სანადიროდ ტაიგაში, მთელი თვე და კიდევ მეტიც ტყეში გამიტარებია, ენისეისკშიაც რამდენჯერმე ვყოფილვარ. ასე რომ, კარგა ხანს აზრზე ვერ მოვლენ. ფულით ალბათ ძნელი არ იქნება საჭირო საბუნების-მეცნიერება, მე კი რაღაც დანაზოგი მაქვს, განსვენებული დედაჩემის დანატოვარი. კიდევ კარგი, ანგარაზე რომ დამასახლეს და არა ტობოლსკში, ნარიშში ანდა ბერეზოვში. იქიდან გამოქცევა, როგორც ამბობენ, თითქმის შეუძლებელი საქმეა.

შეიძლება ჩემს მხარეში ველარ ჩავალწიო და გზაში დამიჭირონ. მაშინ კატორღა არ ამცდება და ერთი ბოლო მელის — უკვალოდ ჩავლპები და ჩავილუპები სადმე, რომელიმე საბადოზე. ეს რომ გავიფიქრე, უმალ ერთმა აზრმა შემიძრა გული: თუ ხიფათი შემემთხვა, ჩემთან ერთად გაქრება ყოველივე ისიც, რაც ვიცი და მახსოვს. არადა, რაც მე გამოვცადე, ჩემსავით არ გამოუცდია ან, ყოველ შემთხვევაში, არ უნახავს სხვა ვინმეს. ხოლო თუ მე ვცდები და სხვებიც იყვნენ, ყველაფერი რომ ჩემსავით განიცადეს და გადაიტანეს, ისინი დუმან, არას ამბობენ. მაშ, განა მაქვს უფლება სამარეში ჩავიტანო ჩემი ცოდნა, არ მოვუთხრო ხალხს ცოცხალი სასაფლაოების, შამბით დაფარული დანაცრული კერების, იმ ერთადერთი ქალის ამბავი, რომელიც მიყვარდა და რომელიც იმიტომ დაიღუპა, რომ ველარ შევძელ მისი დაცვა?

შეიძლება-კი დავენდო უფლისა თუ ბედის წყალობას, ლტოლვილ კაცს რომ შეეწევიან და პოლიციის თვალთაგან დაიფარავენ, ჯანსა და სიცოცხლეს რომ შეუნარჩუნებენ? პო, ჯერ ყველაფერი უნდა დავწერო, მერე კი ავდგები და გზას გავუყვები ანუ, როგორც კატორღელები იტყვიან ხოლმე — ტყეში ვდურთავ თავს.

ისევე, როგორც ჩემი წრის ხალხს, მეც ბევრი არაფერი გამეგებოდა პოლიტიკისა, იშვიათად ჩავუფიქრებოდი ხოლმე ჩვენი თუ სხვისი მთავრობის ამა თუ იმ მოქმედებას, არც დიპლომატიის მზაკვრობისა ვიცოდი რამე, ჩვეულებისამებრ ბრმად ვენდობოდი გაზეთებს და არასოდეს, განსაკუთრებით სიტაბუჟეში, არ ვცდილობდი საკუთარი თვალსაზრისი მქონოდა. ყოველ ჩვენთაგანს, მით უმეტეს კადეტებს, ტახტისადმი ერთგულების სულისკვეთებით გვზრდიდნენ და საუკუნის შუა წლებში სამხედრო განათლებულმიღებულ ამ ხალხს თვით დეკაბრისტების აჯანყებამაც ვერ მოგვცა სულიერი საზრდო. ჟურნალ-გაზეთებში აკრძალული იყო 1825 წლის დეკემბრის ხსენება. მხოლოდ ჩამოხრჩობილთა სახელები ვიცოდი და ა. მარლინსკის მოთხრობები მქონდა გადაკითხული. ვიცოდი, რომ მარლინსკი დეკაბრისტ ბესტუჟევის ფსევდონიმი იყო, ისიც გამეგონა — მარლინსკი კავკასიაში, არდილერის კონცხთან კი არ დაიღუპა ბრძოლაში, არამედ მთიელთა მხარეზე გადავიდა. ამას იმიტომ ამბობდნენ, დახოცილთა შორის ვერ უპოვიათ მისი ცხედარი. რაკი ეს ვერსია უფრო რომანტიული იყო და უბრალო ლოგიკაც პირდაპირ კარნახობდა წარმოსახვას, რომ შეთქმულს, მეფის წინააღმდეგ ამბოხებულს არ შეეძლო თავზებულაღებულ ჩერქეზთა მხარეზე არ გადასულიყო — ჩვენ, ახალგაზრდებს, უფრო ამ ლეგენდის დაჭერება გვინდოდა, ვიდრე მისი უარყოფა. ფრიად სალალობო ამბავია, რომ ჩინოსნებმა, თავიანთი ძველისძველი საკარო გერმანოფილობის კვალობაზე, ჩერქეზული „არდილერი“ გერმანული „ადლერი“ შეცვალეს — ან მდინარე ელბის შენაკადის ბოჰე-

მიური სახელი ეხმატკბილებოდათ, ან იმას ვარაუდობდნენ, ეს ბგერები შეიძლება უფრო ესათნოს იმპერატორის მრჩევლის გრაფ ადლერბერგის ყურსო.

ყოველივე ამას იმიტომ ვიხსენებ, მინდა ნამცეც-ნამცეც შევკრიბო და ვამთლიანო ის ნიადაგი, რომელზედაც ჩაისახა და აღმოცენდა ჩვენი დროის კვალობაზე ესოდენ უგუნური ჩემი საქციელი. სიჭაბუკეში რა ვიცოდი მე კავკასიისა? რამდენიმე სიტყვით რომ ვთქვა, აი რა იყო მთელი ჩემი ცოდნა: ცხოვრობენ იქ ველური, ურჩი ტომები, ყაჩაღ-აბრაგები, რომელთა მთელი ცხოვრება მეზობლებზე თავდასხმაა; მუსულმანები, მაჰმადის სჯულისანი — ვიდრე მათ საბოლოოდ არ დაიმორჩილებენ, მართმადიდებელ საქრისტიანოს მოსვენება არ უწერია. ერთი სიტყვით, ჩემთვის, ახალგაზრდა კაცისათვის, ვის ძარღვებშიაც აზნაურის სისხლი ჩქეფდა, არ არსებობდა მთიელებთან ბრძოლაზე უფრო საპატიო საქმე და სამსახური. გარდა ამისა, ჩერქეზები ზარმაცი და გონებაშიც ხალხია ისევე, როგორც ყველა აზიელი. ამას ერთგვარად ეწინააღმდეგებოდა ა. მარლინსკის მოთხოვნები, რომელთა მიხედვითაც ჩერქეზობა ლამაზი, კეთილშობილი, გონიერი, მშვიდი ხალხი ჩანდა. ეს წინააღმდეგობა მე არ მაცბუნებდა ისევე, როგორც არ აცბუნებდა ყველა ჩემს ნაცნობსაც, რაც რაიმე კითხვას ბადებდა, რადგანაც იყო რაღაც მესამე, რომლისგანაც გამომდინარეობდა ჩვენი საერთო, ზოგადი კეთილშობილება და დიდსულოვნება. ჩვენივე ჰუმანურობით გულაჩუყებულნი სულ იმას გავიძახოდით, კავკასიელ ტომებს ქრისტიანულად უნდა მივუტევოთ ველურობა და კაზაკთა სტანიცებზე თავდასხმები, რამეთუ ყოველივე ეს სხვა არ არის რა, თუ არა ბარბაროსობის გამოვლინებაო. დავიმორჩილებთ მთიელებს, შევიტანთ მათში მართმადიდებლურ რწმენას, ჩვენს განათლებას (ვიშ, ყაჩაღი მოხელენი და — განათლებაო! სადა ხარ, ჰოი, გოგოლის დიადო სულო, სად არის ის ჭკუით გაპენტილი სობაკევიჩი და ძმანი მისნი?) და ჩვენი მადლითა და სიკეთით აღვაავსებთო ყველაკას. გვებრალებოდა უმეცრებაში ჩაფლული ბეჩავი მთიელები და ალბათ ახლაც ისევე, როგორც ჩემსობას იყო, მოდად აქვთ ჩვენს მხარეებში შემთხვევით მოხვედრილი ავარელის, ჩერქეზის, ქართველისა თუ სომეხის შინ შეპატიება და თავაზა — თავისი განათლებით ესოდენ მოამაყე პროვინციული საზოგადოება სულ ვერ ანსხვავებდა ხოლმე მათ ერთმანეთისაგან. კავკასიაში გამგზავრების წინ დედის სანახავად ჩავედი კალუვის გუბერნიაში და იმან მიამბო — ქალაქში ყოფილა, გუბერნატორს ბალზე მიუწვევია, და იქ უნახავს შამილთან ერთად კალუგაში გადმოსახლებული მთიელები. თვითონ შამილს უარი უთქვამს მიწვევაზე, მარტო მისი ნათესაები და შინაკაცები მისულან. „ერთობ სანდომიანი, მოხდენილი ჭაბუკები იყვნენ, — გამიზიარა თავისი შთაბეჭდილებები დედამ, — დიდი ღირსებით ეჭირათ თავი. ყველა ყურადღებით ეპყრობოდა მათ, მაგრამ, იცი რა: მე რატომღაც მგონია, აი, აფრიკიდან ლომის ბოკვერები რომ ჩამოეყვანათ, იმათაც ასე ყურადღებით მოეკიდებოდნენ ეს ჩვენი მანდილოსნები“. მაშინ დედაჩემის ეს მახვილი დაკვირვება ყურიდან ყურში გავუშვი, ახლაც გამახსენდა. კიდევ ერთი ამბავი მახსენდება, თვითმხილველთაგან განაგონი და სავსებით სარწმუნო. 1861 წლის სექტემბერში მამრიუკ-ოგოის მიჯნაზე, სადაც მისი საიმპერატორო უდიდებულესობის, გლეხთა განმათავისუფლებელი ყოვლადმოწყალე მეფე ალექსანდრე II-ის ბანაკი იდგა, ჩერქეზთა დეპუტაცია მივიდა თხოვნით — რუსის ჯარმა შეწყვიტოს მშვიდობიანი მოსახლეობის აყრა და ბრძოლაო. მეფემ არც კი მოუსმინა მათ, ისე თქვა: „დასახლდით, სადაც გიბრძანებენ, ანდა თურქეთში წადით!“ ზურგი აქცია

ჩერქეზებს და გავიდა. როცა მთელმა ამაღამ მეფეს მზერა მიაპყრო, მან ხელი აიფარა აცრემლებულ თვალებზე და ხმადაბლა, მწუხარედ წარმოთქვა: „ალარ შემეძლო ამ უბედურ ტანჯულთა ცქერა“. მერე ოფიცრები აღფრთოვანებით ლაპარაკობდნენ ერთმანეთში — რა დიდსულოვანია, რა კეთილი გულისპირი ჩვენი საზოგადოება განუხრელად მიჰყვებოდა თავისი ჰუმანური იმპერატორის კვალს მართმადიდებლობის ფარისევლობაზე კი დაწვრილებით აღარც მინდა ლაპარაკი. წმინდა ეკლესიის მამანი ქრისტეს სახელით ისე აშკარად აკურთხებდნენ ადამიანთა მოსპობას, რომ ეს ყველას უნდა მოხვედროდა თვალში, მით უმეტეს — მორწმუნე კაცს. „ცერკოვნი ლეტოპისის“ 1864 წლის ნოემბრის ნომერში დაიბეჭდა ცნობა დიდმთავარ მიხეილის ხერსონესის მონასტერში მისვლისა და წმიდა შვიდთა მთავარმოწამეთა ეკლესიაში პარაკლისის გადახდის შესახებ. მონასტრის წინამძღვარმა, არქიმანდრიტმა ევგენიმ; დიდ მთავარს რომ მიესალმა და „დასავლეთ კავკასიის დაზავება“ ჰქონდა მხედველობაში, თქვა, რომ დიდმა მთავარმა „სამშვიდობო ზეთისხილის რტო მიიტანა იქ, სადაც ოდესღაც ნოეს კიდობანი გაჩერდა (პატივცემული არქიმანდრიტი, ეტყობა, მწყრალად გახლდათ გეოგრაფიაზე) და სადაც რუსეთის მტერთა ბუნაგი იყო“. კარგი „ზეთისხილის რტოა“, ღმერთმანი! წარმოდგენილი მაქვს, ეს სიტყვები რომ გაიგონეს, როგორ შეხტნენ თავიანთ აკლდამებში მთავარმოწამეთა ნაწილები! ანდა სიტყვა „დაზავება“ როგორია? ამას ხომ მოგონება უნდა!

ჩემს ამბავს დავუბრუნდები. სოფელი ტროიცკოვ, სადაც ჩვენ ვცხოვრობდით — მამაჩემი იქ მმართველად მსახურობდა, ადრე გარდაიცვალა, როცა ცხრა წლისა ვიყავი — მდინარე პროტვის პირასაა გაშენებული. მამული ოდესღაც თავადის ქალს ვორონცოვა-დაშკოვას ეკუთვნოდა, რუსეთის მეცნიერებისა და ხელოვნების აკადემიის პირველ პრეზიდენტს. ჩვენ თავადის ქალის ძველებური სახლის გვერდით, ფლიგელში ვცხოვრობდით. სახლის მიღმა ვეებერთელა პარკი იყო გაშენებული, სადაც ეკატერინე II-ის საპატივსაცემოდ მარმარილოს ობელისკი იდგა. მდინარის პირას აღმართულიყო ქალაქის ფაბრიკა, სახლის პირდაპირ კი ეკლესია, სადაც ვორონცოვა-დაშკოვა არის დაკრძალული. პარკი საკმაოდ ხელმიშვებული იყო და ამ გატყიურების გამო განსაკუთრებით მიმზიდველი. ზაფხულში, საღამოობით ბუჩქების თავზე ციციხათელები ციმციმებდნენ ხოლმე. მდინარისაკენ ციცაბო ფლატე ეშვებოდა, წყლის ზედაპირზე დუმფარები დაცურავდნენ, მეორე ნაპირი კი დამრეცი იყო და ისლით მოფარული. მდინარეს დიდი არ ეთქმოდა, თხუთმეტითღე მეტრი სიგანე ექნებოდა, მაგრამ წყალდიდობისას ზოგჯერ ისე აივსებოდა, მთელი სოფელი უკიდევანო ტბაში მოქცეულ კუნძულს ემსგავსებოდა. რა კარგები ვართ ხოლმე ბავშვობაში და ამის გამო რა კარგია ჩვენს ირგვლივ ყველაფერი! სანამ კადეტთა კორპუსში წავიდოდი, ზაფხულობით, აგვისტოს თვეში სულ მდინარეში დავცურავდი ბიჭებთან ერთად და წყლის კაკლებს ვაგროვებდი, უფრო ხშირად კი ომობანას გავაჩაღებდით ხოლმე, ხის ხმლებს ვაქნევდით და ხისსავე ჯაზაირებს ვაბათქუნებდით. ამ თოფებს ტიმოფეი კუზმინი გვიკეთებდა, ძველი უნტერ-ოფიცერი, ოცდახუთი წელი კავკასიაში რომ ემსახურნა — ჯარში. არ მახსოვს, ბავშვობისას თუ მოუყოლია მთიელების ამბავი, მაგრამ უფროსკლასელი რომ გახლდით და სოფელში არდადეგებზე ჩამოვიდოდი, რამდენჯერმე ვცადე რამე შეთქმევინებინა. რაც უფრო ახლოვდებოდა კადეტთა კორპუსის დამთავრების დრო, ჩვენც მით უფრო ხშირად ვბჭობდით ერთმანეთში ჩვენს მომავალზე, კარიერაზე, კავკასიაში სამსახურ-

რზე, ახალგაზრდა ოფიცერს სწრაფი დაწინაურების საშუალებას და ზოგიერთ სხვა უპირატესობას რომ აძლევდა. ტიმოფეი რაღაცას ჩაიბზუილებდა ხოლმე თამბაქოთი გაბოლილ უღვაშებში და არცთუ ისე დიდი ხალისით მწურობდა. აი, მისი ნაამბობის მიხედვით, რა იყო კავკასიის ომის მიზეზი:

— სულ თავიდან თუ გინდა, აი, როგორ იყო საქმე: ჩერქეზებმა სულმუდამ თავისუფლად ცხოვრობდნენ, არავის ანებებდნენ თავიანთი მიწა-წყალს აქეთ კიდევ, ეკატერინე დედოფალს ჭკუაში არ დაუჯდა, ზაპოროჟიეს კაზაკობამაც რომ თავისუფალი ცხოვრება ააწყო. ადგა და კავკასიაში გადაასახლა ეს კაზაკები. იმედი ჰქონდა, დაერევიან ერთმანეთს და აქეთ კაზაკები გაწყდებიან და იქით ჩერქეზებიო. არადა, ადგნენ ეს შენი კაზაკები და დაუმეგობრდნენ ჩერქეზებს. ყონალობა აქვთ ერთმანეთში. ტანსაცმელიც იმათი გადაიღეს და ზნე-ჩვეულებებიც. ერთი სიტყვით, ისე მოიმაგრეს ფეხი, ისე საშინლად გაძლიერდნენ, სულ დაიზაფრა ეკატერინე დედოფალი. რა ექნათ, ადგა სენატი და თქვა: აბა, ჩემო სალდათებო, ვაშა ჩვენს დედა-დედოფალს, თქვენ იცითო! მიაწვნენ და კაზაკებიც მიაყოლეს...

როცა ვკითხავდი, როგორები არიან-მეთქი ჩერქეზები, ტიმოფეი რატომღაც ჩაიციინებდა და წაიდუღუნებდა:

— წყნარი ხალხია, წესიერი.

სხვა ვერაფერი ვათქმევინე. იმისიც ვერაფერი მითხრა, რაც ყველაზე მეტად მაინტერესებდა — ფიცხელი შეტევებისა და ბრძოლის ამბავი. ტიმოფეის ნალპარაკევით ისე ჩანდა, თითქოს მთელი მისი სამხედრო სამსახური ტყის ჩეხვა, ბალების კაფვა, გზების გაყვანა, ყანებისა და სახლების დაწვა იყო. ვერაფრით გავიგე, რისთვის უნდა გაეჩეხათ ბალები, დაენგრიათ მთიელთა სახლები და ეჭვი შემეპარა — ტიმოფეი ან სულ ტყუილებს იგონებს, ანდა მთელი ის ოდცახუთი წელიწადი უსაქმოდ იყო საინტენდანტო რაზმში და დენტის სუნი ერთხელაც არ უყნოსია-მეთქი. ერთხელ, სიმღერაში, ტიმოფეიმ ძველი ჯარისკაცური სიმღერა დააგუგუნა — სიმღერა შემდეგ ერთხელაც მოვისმინე, კაპიტანმა ზაკურდაევმა იმღერა, ვინაც მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ჩემს ცხოვრებაში; ტიმოფეი „სმენაზე“ დადგა, თავის თავს უბრძანა:

— ნაბიჯით ია-ა-არ!

დაიძრა და ხრინწიანი ტენორით — ახალგაზრდობისას ალბათ სიმღერის წამომწყები იქნებოდა ასეულში — აღრიალდა:

ჩერქეზებო, ჩირად გვიღირს
ჩვენ ეგ თქვენი ფარ-ხმალი
მთაში ჯდომა გიჯობთ, ვიდრე
ჩვენს შუბებზე ფართხალი!
ალექსანდრეს შეევედრეთ
აწ სიცოცხლის დანდობა!
და მუხლმოყრით მოახსენეთ
მეფეთ მეფეს მადლობა!

სიმღერა მოვიწონე — მან ცოტათი შეავსო ტიმოფეის მოგონებებში საგმირო საქმეთა ნაკლებობა. ის კი არა, ბერიკაცი შინ წამოვიყვანე და დედაჩემს ვთხოვე, შინაური არყით გამასპინძლებოდა სტუმარს. ტიმოფეიმ ერთი სირჩა გადაკრა, ამოიჯიუჯიუა და ისე დაიღრიალა, დედაჩემი შეკრთა:


— უუმორჩილესი მადლობა!

კორპუსი რომ დავამთავრე, უფრო საფუძვლიანად გავნათლდი მთავრობის

პოლიტიკაში. ჩვენ, ახალგაზრდა ოფიცრებს, უკვე სავსებით დაბეჯითებით შეგვეძლო ვინმე უეცრისათვის შეგვეგონებინა, რომ ინგლისი კარგა ხანია კავკასიის დაპყრობას ესწრაფვის, რამეთუ კავკასია გასაღებია მცირე აზიის, სპარსეთის, ავღანეთის და, ბოლოს, ინდოეთისაკენ მიმავალ გზაზე, რომ ინგლისელები და მათი ჩვენი მტრები, თუკი კავკასიაში ფეხს მოიკიდებენ ანდა კავკასიის დაპყრობის დაამყარებენ მთიელებთან, ამით ზიანს მიაყენებენ რუსეთის სახელმწიფოს და, ბრიტანელთაგან რომ ვიხსნათ სამშობლო, ჩვენ უნდა აღვასრულოთ ჩვენი პატრიოტული ვალი, არქიმანდრიტ ევგენის ზემოთ მოყვანილი სიტყვები რომ გავიმეოროთ — უნდა გავანადგუროთ რუსეთის მტერთა ბუნაგი. საოცარია, რა ბრმა ვიყავი მაშინ, ინგლისის კოლონიალური პოლიტიკის სწორად შემფასებელს როგორ შეგეძლო არ დამენახა, რომ ავღანეთი, სპარსეთი, ცარგრადი თუ ინდოეთი რახანია ჩვენც არანაკლებ გვიზიდავდა, რომ დედოფალ ვიქტორიას წამქეზებელი ლორდი პალმერსტონი და მეფე ნიკოლოზ I-ის კანცლერი ნესელროდე არაფრით ჩამოუვარდებოდნენ ერთმანეთს. „სხვისას რომ ითვლი, სვინაო, არ სჯობს, შენი თქვა შინაო?“ ჩვენს იმპერიაზე როცაა საქმე, ვერა და ვერ ვისწავლეთ იგავთმწერალი კრილოვის ბრძნული რჩევის მიყოლა. თვალი რომ აგვეხილოს, ეტყობა ჯერ თვითონვე უნდა ყელამდე ჩავჯდეთ სისხლსა და ლაფში.

დამლოცა დედაჩემმა, გიორგი-ძლევაშოსილის მამაპაპეულ ხატს შემავედრა და მეც დავიძარი სამხრეთისაკენ, თან გულში ვიმეორებდი პუშკინის პოემის სიტყვებს: „დადრკი, კავკასიაჲ, მოდის ერმოლოვი!“ უკვე სავსებით მომწიფებული ვიყავი, რომ რუსეთისათვის საგმირო საქმენი ჩამედინა, და დიდების შესახვედრად მივიჩქაროდი. გზა და მთებთან ჩემი პირველი შეხვედრა ახლაც ისე ცინცხლად მაქვს ხსოვნაში, თითქოს გუშინ იყო ეს ყველაფერი.

წინამთებში კინალამ ჩავრჩი — შემცვლელი ცხენები არ ჰყავდათ, მაგრამ ბედმა ჭამილიმა: ერთმა ჯიჯგვა, ჩაიარღვულ-ჩაყანგულკისერა ფელდიეგერმა კუშტად ამხედ-დამხედა და მომდევნო სადგურამდე ჩემი წაყვანა იკისრა. ხარბად რომ ვათვალთვრებდი მოახლოებულ მთებს, ფელდიეგერს კავკასიის ამბების გამოკითხვა დავუწყე, მაგრამ მან არაფერი მითხრა, მდუმარედ იჯდა მეეტლის გვერდით და მეც იძულებული ვაეხდი ცნობისწადილი დამეოკებინა, მით უმეტეს, რომ ეტლიც წარმოუდგენლად ინჯღრეოდა ოღროჩოღრო გზაზე. აქეთ მტკვრიც მადარდებდა, სულ უფრო და უფრო სქლად რომ ეფინებოდა ჩემს კეწკეწა მუნდირს, მაგრამ მეტი რა გზა მქონდა, ყველაფერს უნდა შევრიგებოდი. მერე შორეული, მზის შუქში მბრწყინავი თოვლიანი მწვერვალი დავინახე. ბნელ, გაყურსულ ხეობაში შევედი. მეეტლემ ცხენები შეაჩერა, ძირს ჩავიდა, ზანზალაკები დაამაგრა, ისევ აიჩაჩხა კოფოზე და გზა განვაგრძეთ. ფელდიეგერს ვკითხე, ხომ არავინ დაგვესხმის-მეთქი, მაგრამ მან კვლავ არაფერი მითხრა. მის ფართო ზურგსა და ამ ჯიუტ დუმილში — ასე რომ არ სურდა ჩემთან ლაპარაკი — რაღაც იდუმალი იგრძნობოდა, თითქოს რაღაც ისეთი იყო, არ უნდოდა ჩემთვის გაემხილა. შევშფოთდი, ხმლის ვადაზე ხელი მოვისვი, რატომღაც მოვიხსენი ხმალი, მერე ისევ დავიბნიე. ვუცქეროდი ნესტიან, ხშირ ტყეს, ხან ამაღათ-ბეგს, ხან ისმაილ-ბეის ვიხსენებდი და რას არ წარმოვიდგენდი ხოლმე: აი, გატყვრება თოფები, ტყიდან ველური ყიყინით გამოიჭრებიან ჩერქეზები, მეც უმაღ გადავეშვები ეტლიდან და მათ კაფვას შევუდგები. შეშინდებიან ჩერქეზები, მიიმალებიან, მეც მოვბრუნდები და, ეტლი ცარიელი დამხვდება, მხოლოდ ახლა გამოძვრებიან



ბუჩქებიდან ფერწასული, აკანკალებული ფელდიეგერი და მეეტლე. „ნუ დაგვს-
ჯით, თქვენო კეთილშობილებავ, ძაან შიში ვჭამეთ, თქვენ კი, გეტყობათ, მამაცი
ჭაბუკი ხართ, დახეთ, მთელი ბრბო დაიფრინეთ“.

გამუდმებულმა ნჯღრევა-ჯაყჯაყმა თავბრუ დამახვია, ტყვეს თვალი მოვაცი-
ლე და თვლემამ მომერია, ძილ-ღვიძილმა გამთანგა. უცებ მახანო გავხვდი, თითქოს
თოფმა დაიჭექაო. უმაღლესი, ხეირიანად ვერაფერი გავიგე, თვალეზდაცეცე-
ბული გადმოვხტი ძირს, დავეცი გზაზე, ცხენებმაც ჭიხვინი გააბეს, წამოვიჭე-
რი და, ქარქაშიდან ხმლის ამოძრობას რომ ვლამობდი, ფაცხაფუცხით გავიქეცი
უახლოესი ბუჩქებისაკენ, თან ამაოდ ვცდილობდი გამეგო, ვინ დაგვესხა თავს და
საიდან დაგვესხა.

— საით, თქვენო კეთილშობილებავ? — დამიყვირა მეეტლემ.

მოვბრუნდი, კარგად დავაკვირდი გადაქანებულ ეტლს და დავინახე — წი-
ნა ღერძს თვალი მოსძრომოდა. სირცხვილისაგან თავში სისხლმა ამასხა.

— მუცელი ამტკივდა, — ვთქვი საქციელწამხდარმა. — ამ წუთსვე...

ხეებს მივეფარე და კარგა ხანს ვიდექი მუხის ქვეშ, სანამ ხელახლა არ გა-
მომძახეს. ეტლთან რომ დავბრუნდი, ვცდილობდი არ შემეხედა ფელდიეგერისა
და მეეტლისათვის. დამცინავი ღიმილი რომ დამენახა მათ სახეებზე, მეტი რა გზა
მქონდა, თავი უნდა მომეკლა და ამით ჩამომერეცხა სირცხვილი.

სადგურზე რომ მივედით, ხალხის ლაპარაკს წავკარი ყური, თურმე უღე-
ლტეხილზე მართლაც თარეშობდნენ აბრაგები — მეეტლეს ჩემს შესაშინებლად
სულაც არ დაუბია ზანზალაკები.

პირველ თვეებში ყველაფერი მატკობდა და მახარებდა. მართო იმიტომაც
არა, რომ სამსახური ახალი ხილი იყო ჩემთვის, იმიტომაც, რომ ჭაბუკი გახლ-
დით. ლეკვს ყველაფერი მოსწონს, რასაც კი თავის ირგვლივ ხედავს. საამაყო იყო
საკუთარი ჯანმრთელობისა და ძალ-ღონის შეგრძნება, მხნეობა, მომწონდა ტყა-
ვის, წეკოს, კუპრით გაპოხილი ჯარისკაცური ჩექმების, ცხენის ჩონჩორიკის სუ-
ნი, მიხაროდა, მთების გადაღმიდან ნაგვიანევი მზის ამოსვლას რომ ვუცქერო-
დი ანდა თავს რომ გადავიგდებდი და ცაზე მსხვილ, ბარჩხალა ვარსკვლავებს
ვზვერაავდი. ირგვლივაც რა დიდებული, რა კარგი ხალხი მეხვია! ვერ გავმძლარი-
ყავი წმინდა გიორგის საოფიცრო ჯვრის ცქერით, ბატალიონის მეთაურის — მა-
იორ ოფრეინის მძლავრ მკერდზე რომ ბრწყინავდა. უღვაშა კაცი იყო, ცხვირ-
წითელა, დაბიჟვინებულ ლოყებზე წვრილი ძარღვები აჩნდა და მახვილი, ღორი-
სებური თვალეზი ჰქონდა. ჩვენმა ფელდფებელმა როგორც აღფრთოვანებით აღ-
ნიშნა — ბოცმანივით იგინებოდა და მეც ვოცნებობდი, ასე ცხრასართულიანი
გინება და ასე დარდიმანდული, აჯა-ბაჯა სიარული შემძლებოდა, ასე წითელი
ცხვირი მქონოდა, ყველაზე მეტად, რასაკვირველია, იმას ვოცნებობდი, გიორგის
ჯვარი მიმეღო. ჯვრის გულისთვის მაშინ უყოყმანოდ გავიმეტებდი ხელსა და
ფეხსაც კი. მინდოდა, რაც შეიძლება მალე გამომეჩინა თავი.

ერთხანს ბედი არა მწყალობდა. არა და არ მომიწია საბრძოლო ნათლობა. სა-
ლამობით შევიყრებოდით, ანთებული სპირტის ცისფერ შუქზე მწვარას ვსვამ-
დით და წარმატებას ვულოცავდით მავან ვაჟკაცს, მტერს მარჯვედ რომ ჩამოათა-
ლა მხარ-მკლავი ანდა შიგ თავში ჩაუსვა ტყვია. მე კი ვერა და ვერ მოვხვდი ამ
ვაჟკაცებში. მაგრამ დადგა ჩემი დროც. დავინახე ბალახში წაქციული, ტანსაც-
მელშემოფლეთილი, თავგადაპარსული კაცი — ფაფახი გადასძვრა და იქვე დაუ-
ვარდა — შავი, საშინლად მშვიდი თვალეზი ჰქონდა, წამისწამზე უჭრებოდა თვა-

ლისჩინი. ეს კაცი ჩემმა ტყვიამ წააქცია და მეც, შეშინებულმა, თავზარდაცემულმა, გაცოფებულმა უკვე წაქცეულს რამდენჯერმე ვკარი ხმალი მუცელში, კრილობებიდანაც მაშინვე, მის ფეხებსა და ბალახში გადმოიშალა რაღაც ლორწოვანი, მრგვალი, ორთქლიანი — აი, თბილ წყალს ორთქლი რომ აუვა ხოლმე, უცებ მივხვდი, ნაწლავები იყო და უკან გამოვხტი, უნტერ-ოფიცერს მივანწყდი!

სალამოს ოფიცრებმა წარმატება მომილოცეს და რომის სმე გააჩაღეს. მეც დავითვერი, თავშეუკავებლად, ლამის სლოკინით ვხარხარებდი და ყველას საკოცნელად ვეტანებოდი. მერე ბანქოს ჩავუჯექით და ორმოცდაათი მანეთი ნაღდი რომ წავაგე, სამოცდათხუთმეტი შემდეგში ჩასაბარებელიც ზედ მივაყოლე. მეორე დღეს ნებართვა ვითხოვე, უახლოეს სადგურზე წავედით, ბლომად ღვინო და კამფეტი ვიყიდეთ და ქეიფი გავმართეთ ვილაც დედაკაცის სახლში. იმანაც მოიწვია მეგობრები — ჯარში კენჭისყრით წაყვანილ კაზაკთა ცოლები და, დილით როცა გავიღვიძე, ცხვირი ვილაც დედაკაცის ფუმფულა, გრძელძუძუსთავებიან მკერდში მქონდა წარგული.

სამსახური გრძელდებოდა. ის მთიელი, მე რომ ჩემი ხელით მოვკალი, ჩემი პირველი და საბოლოო მსხვერპლი გამოდგა. იმითმ კი არა, რომ მეტად აღარ ვცდილობდი, არა, გარემოებამ ასე მოიტანა.

შამილის დატყვევების შემდეგ აღმოსავლეთ კავკასიაში ომი ძირითადად დამთავრდა, 1861 წლის ბოლომდე დაღესტანსა და ჩეჩნეთში თუ ხდებოდა ისევ პატარ-პატარა ბრძოლები. ჩვენი სარდლობა გადამწყვეტ შეტევას აპირებდა იმიერყუბანისპირეთში, რათა შემდგომ წლებში კავკასიონის მთავარი ქედის ჩრდილო ფერდობებზე მოსახლე მთიელთა და შავი ზღვის პირას მცხოვრებ ტომთა გადასახლებას შესდგომოდა. საქმეში ჩაუხედავ ხალხს ამთავითვე ავუხსნი, რომ ჩერქეზობა რამდენიმე ტომი იყო: შაპსულები, ჟანეველები, ბეედულები, ნატუხაელები, ყაბარდოელები, თემირგოეველები, აბაბეხები, უბიხები და სხვები. ამ ბოლო დრომდე ჩერქეზულ ტომებში ყველაზე უფრო მრავალრიცხოვანი შაპსულები იყვნენ, ახლა ისინი თითქმის აღარ დარჩნენ ისევე, როგორც, ალბათ უბიხებიც.

როგორც ცნობილია, ერმოლოვმა შექმნა, ხოლო ბარიატინსკიმ განაახლა და განავითარა სწორედ ის დაუნდობელი, ბარბაროსული სისტემა, ძველი უნტერ-ოფიცრის — ტიმოფეი კუზმინის ნაამბობში ერთ დროს მოცლილი ჭკუის ნაყოფად რომ მეჩვენებოდა. ბარიატინსკიმ დიდი სახელი მოიხვეჭა — კავკასიის ომის დამთავრებასთან დაკავშირებით გამართულ საზეიმო სადილზე, 1864 წლის 21 მაისს დიდმა მთავარმა მიხეილმა ტყუილად კი არ წარმოთქვა გენერალ-ფელდმარშლის სადღეგრძელო. მე მაშინ დაჭრილი ვიწექი ფარაჯაზე, ამქვეყნად ყველაფერს ვწყევლიდი და მესმოდა მისი საიმპერატორო უდიდებულესობის მკვექარე ხმა:

— გაუმარჯოს თავად ბარიატინსკის, რომლის დანიშენითაც შემოღებულ იქნა ომის სისტემა, რამაც ესოდენ ბრწყინვალე შედეგები მოგვიტანა!

უმალვე გაისმა კარავში მოქეიფე გენერალთა ტაში და მოწონების შეძახილები, მე კი გადაფურთხების ძალაც არ შემწევდა.

სისტემის თავი და ბოლო კი ის იყო, რომ ჩვენ ვკაფავდით ტყეებს, შევდიოდით აულებში, გადავბუგავდით იქაურობას და ყანა-ბალებსაც ვანადგურებდით. მთელს ნადავლს, რაღა თქმა უნდა, ოფიცრობა იტაცებდა, თანაც ყველაფერი უფროს-უმცროსობაზე ეკიდა: შტაბის ოფიცრებს მეტი ერგებოდათ ხოლმე,

ობერ-ოფიცრებს ნაკლები. ბევრი რამ, ცხადია, საკუთარ უნარსა და სიმარტეზედაც იყო დამოკიდებული.

აუღს რომ დავიპყრობდით, თარჯიმნის მეშვეობით ვეუბრებოდით მთიელებს — ან ყუბანის ზეგნის მწირ მიწებზე დასახლებულთაგან ჩვენს გარნიზონების ზედამხედველობით, ანდა თურქეთში წასულიყვნენ. ამ დანატოვარ მიწებზე კი, მიუხედავად მათი წინააღმდეგობისა, კაზაკებს ვასახლებდით. კაზაკები არაერთხელ გაიქცნენ, მაგრამ მუდამ ვეწეოდით ხოლმე ლტოლვილებს და უკანვე ვერეკებოდით. კაცები მგლებივით გვიყურებდნენ ოფიცრებს, მათი ღედები და ცოლები კი ისეთი ჩასკვნილ-ჩამარყუქებული გინებით გვიმასპინძლებოდნენ, ოფრენის ნატიფი სტილი მონაგონია. არც კაზაკობას და არც რუს გლებობას უნდოდა ჩერქეზთა მიწაზე დასახლება. ის ბრტყელი სიტყვები, თითქოს კავკასიის დაპყრობა რუსი ხალხის ძველთაძველი ოცნება იყო, ბილწი სიცრუეა. მონარქები მუდამ ასე ნიღბავენ ხოლმე თავიანთ სიბილწეს — ჩვენ რა, ხალხის ნებას და ოცნებას ვასრულებთო.

ვუბრუნდები თავად ბარიატინსკის და თავს ნებას ვაძლევ დავუმატო, რომ იგი, ერთგვარად, მეორე მაკიაველი გახლდათ, ყოველ შემთხვევაში ისიც მაკიაველივით სჯიდა: ყველაფერი, რაც პოლიტიკის მიზნებს ემსახურება, კარგია, ხოლო რაც ამ მიზნებს ეწინააღმდეგება — ცუდიო. სწორედ ბარიატინსკის იდეით დაიწყეს ჩვენს სამხედრო სამსახურში მთიელ შემამულეთა მოზიდვა — ვინ ოქროს დახარბდა, ვინ მიწებს, ჩინსა და ჯილდოებს. ჩვენს პოლკში ჩერქეზებიც იყვნენ და თავისი ხალხის წინააღმდეგ იბრძოდნენ — პორუჩიკი კრიმგირევი და პრაპორშჩიკი ბატიევი. კავკასიელთა რაზმში შემხვედრია სხვებიც — პოლკოვნიკი ზვანბაია, თავადი ციციანოვი და თავადი ბებუტოვი, შტაბის ოფიცერი მუსტაფა არაბლინსკი. სხვებიც ბლომად იყვნენ, ერთგულად რომ ემსახურებოდნენ ჩვენს ხელმწიფეს.

ერთხელ, როცა ჩვენი პოლკი მდინარე ლაბისა და ბელაიას მიდამოებში იბრძოდა და მეც, ჩემი გულმოდგინების კვალობაზე, უკვე პოდპორუჩიკობა მქონდა მიღებული, ფიცხელი ბრძოლის შემდეგ რომელიღაც აულში შევედი და ჯარისკაცებს ვუბრძანეთ, ცულისთვის მოეკიდათ ხელი. ასეუღს, რომელშიც მე ვიყავი, წილად ერგო მთის ფერდობზე შეფენილი ბალის გაჩეხვა. ამისთანა აქამდე არაფერი მენახა ან, თუ ვნახე, არ დავაკვირდი: ფერდობზე ტერასებად ჩარჩებულყო შესანიშნავად მოვლილ-გახარებული ვენახი, უფრო დაბლა ძირებშემობარული მსხლის, ვაშლის, ატმის, ალუბლის, თუთისა და ალუჩის ხეები იდგა, იქვე ჩანდა ტანაყრილი კოწახური, მუშმალა და ჩემთვის უცნობი რალაც ბუჩქები, ნაყოფით დახუნძლული. ბაღში სარწყავი არხი შემოდინოდა. ვიდრე ჩვენი ვაჟკაცები ხეებს მიწაზე აფენდნენ, გავყევი ამ არხს — ბალიდან სათავემდე კარგა ორი ვერსი გამოდგა. მერე იქითა ფერდობზე გადავედი, სადაც ქერი ეთესა. ამ დროს ფელდფებელი კოჟეენიკოვი წამომეწია.

კოსტრომელი კოჟეენიკოვი ოცდამეორე წელს ამთავრებდა სამხედრო სამსახურში, გიორგის ჯვარი მქონდა მიღებული — ჯარისკაცისა. ეს მშვიდი, საქმიანი კაცი აქაც ისევე შრომობდა, როგორც ყმაწვილკაცობისას მუშაობდა თავის სოფელში, როცა მიწას ხნავდა და თესავდა. ყველგან, იქაც და აქაც უღრტვინველად, ხალისიანად ირჯებოდა.

— რა სილამაზეა! — თქვა კოჟეენიკოვმა, თან არემარეს ათვალეურებდა. — კარგია აქაურობა!

— ნახე, იქ რა ბალი იყო?

თავი დამიქნია და ქვემოდან ყორემოვლებულ ქერის ყანას მოავლო თვალი.

— გონიერი ხალხია, საქმე იციან. აი, ნახე... ჯერ მიწას შეარჩევინ ფერდობზე, ისე, რომ წყალმა ნიადაგი არ ჩარეცხოს. მერე ქვებს აკრეფენ და ფერდობს ქვემოდან ყორეს ამოუშენებენ. ახლა რუს მიუპირებენ — წამოიღებს წყალი ქვიშასა და ხრეშს, სულ ამოავსებს და მოასწორებს იმ ფერდობს. მერე ერთ-ორ წელიწადს საქონელს დააყენებენ ზედ ღამეობით, რათა ნაკელი დაგროვდეს. ბოლოს შავი მიწა ამოაქვთ დაბლობიდან, დაყრიან, დათესავენ და, ესეც შენი ყანა. მომწონს, ასე გულიანად რომ მუშაობენ ხოლმე. — მას კიდევ უნდოდა რაღაცის თქმა, მაგრამ გადაიფიქრა, ამოიოხრა, ამოილო წეკოს ქისა და თავისი მოკლე ჩიბუხის დატენვას შეუდგა.

მთიდან რომ ჩამოვედით, ჯარისკაცები დავინახეთ, ვიღაც დავრდომილ, ალბათ ავადმყოფ ჩერქეზს შემოხვეოდნენ და გაცხოველებით უმტკიცებდნენ თუ შეაგონებდნენ რაღაცას.

— აი, შენ, — ეუბნებოდა ერთი, — რატომ მაშინვე არ დაგვნებდით? აბა, ახლა ხედავ, რა ამბავი დატრიალდა, თან თქვენებიც რამდენი გაწყდა!

— მოდი, ჩემს ჩექმებს მიეცემ, მე რაღაც ვიწროდა მაქვს, მაგას კი კარგად მოუვა. მოუნათლავი კია, მაგრამ ადამიანი შეილია მაინც.

— მეც აგერ, კარგი ქურთუკი მაქვს, ძველი თარაჯიდან გადავაკეთე.

— ჰოდა, მიეცი, გამოვაწყობ...

ბრძოლის შემდეგ ჩვენი ჯარისკაცები გულჩვილები ხდებოდნენ ხოლმე.

ერთხელაც ჩვენი პოლკი მორიგი მტრული აულის მახლობლად გაჩერდა. შებინდებულზე მოსახლეობამ მიატოვა აული. მალე ჯარისკაცები ვახშმის მზადებას შეუდგნენ და თბილ ჰაერში კოცონების სუნი დატრიალდა. კოჟევნიკოვი ჩინებული თაფლით გამიმასპინძლდა, მოწნული სკიდან გამოეწურა. ჩვეულებრივი ვახშმის — ქონისა და დამბალი ორცხობილის ნაცვლად მწვადი გვქონდა, ნაკერჩხლებზე წვავდნენ ჯარისკაცები.

ანახდად ღამის სიბნელეში, სადღაც ზემოდან გაბმული ყივილი მოისმა. ხმა ხან მიუჩილებოდა, ხანაც სიმღერასავით აზევდებოდა კვლავ და მთელს შემოგარენს ედებოდა. ყველანი წამოვიშალეთ, უნტერ-ოფიცერმა კი რამდენიმე ჯარისკაცი გაიყოლა და ხმისკენ გაემართა. მალე ხორხოცი მოგვესმა. თურმე მოხუცი მუეძინი დარჩენილიყო მიტოვებულ აულში. ეტყობა, დაავიწყდათ ან, იქნებ, თვითონ არ ინდომა წასვლა. ჰოდა, საღამოს ლოცვის ეპი რომ დაუდგა, მინარეთზე ასულა. როგორც მუეძინთა უმრავლესობა, ისიც ბრმა იყო — ზემოდან რას დაინახავდა, თუ რა ხდებოდა ძირს, ეზოებში. ერთხანს ველაყბეთ, ველაზლანდარეთ ბერიკაცს, მერე თავის ნებაზე გავუშვით, მაგრამ გაჩიუტდა, კვლავ მინარეთზე ავიდა და დიდხანს, ხმის ჩახლეჩამდე ყიოდა. თარჯიმანმა გვითარგმნა მისი ქადაგება:

— დიდია ალაჰი! არ არის ღმერთი, ალაჰის გარდა!.. მოდით, ილოცეთ, ისენით თქვენი სულები!... დიდია ალაჰი! არ არის ღმერთი, ალაჰის გარდა...

რატომღაც სევდა მომგვარა ამ გაბრაზებულმა. ბერიკაცულმა ხმამ, ამოდ რომ იხმობდა აქედან უკვე წასულ ხალხს. ფიქრებმა წამილო.

მერე, ღრეობას რომ შევეუდექით, გამახსენდა მთელი დღის განმავლობაში გაჩეხილი ბალები და გაკვირვება გამოვთქვი ჩვენი უაზრო მოქმედების გამო.

— ვერ გამიგია, ბატონებო, — ვთქვი ღვინით შეხურებულმა, — რატომ

ვანადგურებთ ბალებსა და ყანებს? უფრო სასარგებლო არ იქნებოდა, ხელუხლებლად გადაგვეცა კაზაკებისათვის?

ბატალიონის მეთაურმა ოფრეინმა, რომელიც, როცა თავისი ხასმელის მარაგი გამოუთავდებოდა, ჭაბუკ ოფიცერთა ქეიფშიაც მონაწილეობდა ხოლმე, მაშინვე მომაშტერა უძრავი, ღორისებური თვალები:

— მხედრული საზრიანობის უქონლობას გამჩნევთ, პოდპორუჩიკო! არადა, დროა... აი, რა ჩაიბეჭდეთ მაგ ყმაწვილურ გოგრაში: სარდლობა არ არის თქვენზე უფრო სულელი! ჩვენ რომ ხელუხლებლად დავტოვოთ მთიელთა სახლ-კარი და ბალები, მათ დაბრუნების სურვილი და საშუალება ექნებათ, ახლა კი, თუკი უნდათ, რომ შიმშილით არ ამოწყდნენ, უნდა დაგვემორჩილონ და დატოვონ აქაურობა.

— ჭეშმარიტად გენიალური ტაქტიკაა! — ხმამაღლა განაცხადა პორუჩიკმა პოპოვ-აზოტოვმა. — იდიდე, იდიდე, ჩვენო მეფეო! დარწმუნებული ვარ, ომი რომ დამთავრდება, ამ ადგილებში, რომელიმე მთაზე ერმოლოვსა და ბარიატინსკის კაი ბაზალტის ძეგლს დაუდგამენ, ნაჯახის ფორმა ექნება და ზედაც წარწერა: „დიად ტყისმჭრელებს“.

ეს სიტყვები, მიუხედავად მთელი მათი სიმართლისა, მეტად მეჩოთირა. ოფრეინმა ვერაფერი გაიგო და მოწონებით დაიბუხუნა:

— ჩინებულია, პორუჩიკო!

იძულებული ვარ, ცოტა ხნით ამბავს გადავუხვიო, რათა წარმოგიდგინოთ პოპოვ-აზოტოვი და მის გვერდით მჯდომი პორუჩიკი გაივორონსკი.

პოპოვ-აზოტოვი ერთი გაუღიმარი კაცი იყო, დაწვმაღალ პირისახეზე ცივად უელავდა რუხი თვალები, ქვედა ყბა ოდნავ წინ ჰქონდა წამოწეული და, როცა დაპარაკობდა, ბნელი ნაპრალის მსგავსი შუალედით ზემო და ქვემო ნაწილებად გაყოფილი თეთრი კბილები უჩანდა, მკერდზე გიორგის ორი ჯვარი ეკონწიალებოდა — საოფიცრო და ჯარისკაცისა. პოლკში ახალმისული რომ ვიყავი, მითხრეს, პოპოვ-აზოტოვი დუელის გამო ჩამოაქვეითეს, მაგრამ ვედენის ბრძოლაში, თავი გამოიჩინა და ხელახლა დაიმსახურა ოფიცრობაო. არავის მეგობრობდა. ბანქოს იშვიათად თამაშობდა და მარტო სვამდა ხოლმე. გესლიანი საუბარი იცოდა, თანაც საუბარში უცნაური გაორება სჭირდა, გეგონებოდათ, სერიოზული კილო შეფარებულმა ირონიამ წალეკაო, რატომღაც მეჩვენებოდა, რომ ყველანი ვეზიზღებოდით. ჯარისკაცებს უყვარდათ იგი.

პორუჩიკი გაივორონსკი, შავგვრემანი, შავთვალა, ცოტათი შესუქებული კაცი პირველ გაცნობაზე ერთი გულკეთილი, დონდლო ვინმე ჩანდა. სინამდვილეში კი უფროსთა თვალებში შეჩერებული მუყაითი მოსამსახურე გახლდათ, რომელიც, როგორც ზუსტად შენიშნა პოპოვ-აზოტოვმა, მეთაურთა შეცვლის კვალობაზე ლაყლაყებდა ხან ერთ, ხან მეორე მხარეს. მითხრეს, ოფრეინის მოსვლამდე მეთაურად ვიღაც ჯარისკაცობიდან აღზევებული ლიბერალი ყოფილა. მის დროს გაივორონსკი სხვების დასანახავად ზრუნავდა ხელქვეითებზე, იმასაც ამბობდა, რომელიღაც ჩემი წინაპარი ხელოსანი იყოო: უფრო მეტიც — ყმა გლეხიო. ოფრეინი როცა მოვიდა, გაივორონსკი ერთი მხრივ ზაპოროჟიეს კაზაკთა, ხოლო მეორე მხრივ — სამღვდელო პირთა მთამომავალი აღმოჩნდა. ასე იჩემებდა ხოლმე. მეც მითხრა, აზნაური ვარ, ჩემი გვარი პოლტავის გუბერნიის საგვარეულო წიგნშია შეტანილიო. ჩემს იქ ყოფნაში გაივორონსკი სულმუდამ ოფრეინს ბაძავდა და უშვერი სიტყვებით აგინებდა ჯარისკაცებს, წამდაუწუმ ულა-

წუნებდა მათ ცხვირ-პირში. სხვა ჩვენს ოფიცრებზე სიტყვის გაგრძელება არა ღირს — მათ შორის მსგავსება მეტი იყო, ვიდრე განსხვავება.

ახლა კვლავ ჩვენს ამბავს დავუბრუნდები.

კარგა ბლომად დავლიეთ, განსაკუთრებით პოპოვ-აზოტოვმა. მარტო იმით თუ ეტყობოდა, რომ ბევრს ლაპარაკობდა.

ორი-სამი წელიც და, ომი დამთავრდებაო, შენიშნა ოფრეინმა.

— მწყინს, ეს რომ მესმის, — მამაცურად განაცხადა გაივრონსკიმ. — მაშინ რითი და როგორ ვიცხოვრებთ ჩვენ, კადრის ოფიცრები?

პოპოვ-აზოტოვმა ღვინიანი ჭიქა გამოსცალა, ტუჩები მოილოკა და თქვა:

— ჩრდილო ამერიკის შტატებში გამგზავრებას გირჩევთ. აკი თავი გამოიჩინეთ ამ ძლევამოსილ ომში, მამაცურ შეტაკებებში. ასეთ გამოცდილ მეთაურს სიხარულით მიგიღებენ პრეზიდენტ ლინკოლნის წინააღმდეგ მებრძოლ ჯარში.

ვერავინ ჩაწვდა მისი ნათქვამის აზრს, ყურიდან ყურში გაუშვეს ყველაფერი, მე კი სულ უფრო და უფრო მიბყრობდა გაოცება. აქამდე მეგონა, მთელს პოლკში თუ არა, ყოველ შემთხვევაში — ჩვენს ასეულში მაინც ერთადერთი კაცი ვიყავი, ვინც ეურნალ-გაზეთებს იწერდა. გაივრონსკი და სხვა ოფიცრები დამცინოდნენ ამის გამო და უკვე მალულად ვკითხულობდი ხოლმე, წიგნის სიყვარული არავინ შემატყოს-მეთქი.

— თუმცა, — განაგრძო პოპოვ-აზოტოვმა, — თქვენ, პორუჩიკო, კარიერა აქაც უზრუნველყოფილი გაქვთ, ოღონდ ერთი პირობით: პატაკი უნდა დაწეროთ მისი უდიდებულესობის წინაშე და ითხოვოთ ნებართვა, რათა ნაწილაკ „გაი“ ჩამოაცილოთ თქვენს გვარს. მალოროსიის სუნი უდის მეტისმეტად.

— მოწყალეო ხელმწიფევ! — გაივრონსკი გამწვანდა, — ჩემი წინაპრები...

პოპოვ-აზოტოვმა სათქმელი არ დააცალა და ახლა ოფრეინს მიმართა:

— თქვენ საქმეში ჩახედული კაცი ხართ, განა ბევრი შემთხვევა იცით, როცა სამსახურში ადვილად დააწინაურეს პოლონური და მალოროსიული გვარის ოფიცრები?

— რა თქმა უნდა, არა, — დარწმუნებით მიუგო ოფრეინმა. — გამონაკლისები, რასაკვირველია, არიან, მაგრამ ხელმწიფე, როგორც თავად იცით...

— გაიგეთ? — ჰკითხა პოპოვ-აზოტოვმა გაივრონსკის. — ეს ბედისწერაა. თვით ჩვენს გვარებშია მოცემული ჩვენივე მომავალი. — იგი მაიორს მიუბრუნდა. — ავიღოთ თქვენი გვარი. ოფ-რე-ინი! რას ვხედავთ ამ ბგერების მიღმა? პუნქტუალობას, აუღელვებლობას სროლის დროს, გენერლის ეპოლეტებიანი მუნღირის ტარებისადმი მიდრეკილებას.

მაიორს წვრილი თვალები აუციმციმდა.

— ბრავო! მე თქვენ დღეს მართლა მომწონხართ!

პოპოვ-აზოტოვმა ჩაიციხა და ახლა მე შემხედა.

— კა-ი-სა-როვი! — თქვა დამარცვლით. — თათარ მირზებისაგან მომდინარე ქედმოხრა მონარქის წინაშე, როცა მზადა ხარ ჩადგე მწყობრში, „მეფისა და მამულისათვის“ შეპყიენო და ეკვეთო შინაურ თუ გარეულ მტრებს.

დავიბენი, აღარ ვიცოდი, რა მექნა. პორუჩიკის სიტყვების შხამი ისე მომხვდა, თითქოს სილა გამაწნესო, თუმცა, ვიმეორებ, ყველაფერი, რასაც იგი ამბობდა, საერთოდ სამართლიანი იყო. ყველა დუმდა, სიტყვა არავის გაუღია. ჩხუბის სუნი დატრიალდა.

— თქვენ კი, თქვენი გვარი? — ესლა მოვახერხე მეთქვა.

— პოპოვებსა და ივანოვებზე დგას რუსეთი! — არც დაფიქრებულა, მიბასუხა მან და ისევ ჩაიციხა. — ქვეყანა რომ აიკლოს, პოპოვს საძრახ აზრებს მაინც არ დააბრალებენ. ჩვენი ძმა რუსი ანდა ჩვენი მეგობარი გერმანელი თუ ცულლუტობს რაიმეს, არა უშავს, სიჭაბუკის ცდომილებაა და მეტი არაფერი. მაგრამ აი, ვინმე მიცკევიჩი ან, მით უმეტეს — იციკოვიჩი თუ არ არის, რაიმეში შემჩნეული, ეს უკვე საეჭვო ამბავია. რატომ არ ცულლუტობს? აყუყუყუყუყუყვისი დაბადებით, თავისი გვარით, შეიძლება ითქვას, საამისოდ არის მოწოდებული. მოვთრგუნოთ ეგეთები, არ მივცეთ გასაქანი. დიდი სახელმწიფოებრივი სიბრძნეა ამ პოზიციაში, ამინ! მაშ, შევსვათ, ბატონებო, სახელმწიფოებრივი სიბრძნისა და მისი საიმპერატორო უდიდებულესობის ნათელი ჭკუის სადღეგრძელო!

ყველა წამოდგა.

მე შევეყოვნდი. ურთიერთსაწინააღმდეგო გრძნობებმა დამძალა. ერთი მხრივ, თავს შეურაცხყოფილად ვგრძნობდი, მეორე მხრივ, პოპოვ-აზოტოვის ნათქვამმა თანაგრძნობა თუ არა, ინტერესი ანდა, როგორც მუსიკოსები ამბობენ — რეზონანსი მაინც გამოიწვია ჩემს გულში. მაგრამ პორუჩიკის ბოლო სიტყვებმა წაშალა ეს გაორება. განა შეიძლებოდა ყველა ჩვენგანის თანდასწრებით ასე დამცინავად ლაპარაკი უფლისგან მირონცხებულზე, ვის სადღეგრძელოსაც მუდამ უდიდესი პატივისცემითა და მოწიწებით ვსვამდით?! ყველა წკიპზე იყო შემდგარი, მაგრამ — უფრო ინტუიციით, ვიდრე შეგნებულად — სხვებს დავასწარი და პირში შევაფრინდი პორუჩიკს, მისი უდიდებულესობის შეურაცხყოფა დავაბრალე. მუშტი მკრა და მომიცილა. ვილაცამ წამოიყვირა:

— დუელი!

— დიახ, უეჭველად დუელი! — ვყვიროდი და თვალებში ცრემლი მერეოდა.

დაგვიღრიალა ოფრეინმა, ახლავე წადით და დილით მომაკითხეთო, გვიბრძანა. გაივრონსკიმ გამომაცილა და გამოთხოვებისას მითხრა:

— ყველანი თქვენს მხარეზე ვართ. იმედი მაქვს, შერიგებას არ მოისურვებთ?

— არავითარ შემთხვევაში! — აღვუთქვი.

— კარგად ფარიკაობთ? დამბაჩაზე არ დაეთანხმით, პორუჩიკი გამფრინვალე მერცხალს ახვედრებს ტყვიას.

პირველი, ვინც გაღვიძებისთანავე დავინახე, პოპოვ-აზოტოვი გახლდათ. ტაბურეტზე ჩამომჯდარიყო და სიბრალულით დამჩერებოდა.

— დილა მშვიდობისა, კაისაროვ. ნუ ბრაზდებით, ისე მომისმინეთ. იმედი მაქვს, სიმთვრალე უკვე გამოგიქარდათ?

თავი დავუქნიე. ნეტავი თუ ახსოვს, რა ილაპარაკა?

— თუკი ოფრეინს ეტყვი, რომ უარს ამბობთ ბრალდებაზე, მეც უარს ეიტყვი დუელზე. არ მინდა თქვენი მოკვლა, მგონი დედისერთა ხართ...

ველარა ვცნობდი მუდამ ესოდენ გულფიცხელ და ბოღმიან პორუჩიკს, გულის სიდრმეში ლამის დავყევი მის მშვიდობიან კილოს, მაგრამ უმაღ ვძლიე თავს. თანხმობა რომ მეთქვა, მევე უნდა მომეწერა ხელი ჩემივე სიმდაბლეზე, რასაც საეჭვოა, ხვდებოდა. ოფიცრის ღირსებაზე ყმაწვილობიდანვე შეთვისებული წარმოდგენაც მაგრად მბოჭავდა. რას იფიქრებენ ჩემზე თანაპოლკელები? ჰოდა, ისეთი ხმით, თვითონაც გაივრონსკის ხმად რომ მომეჩვენა, განვაცხადე:

— თქვენ თვითონ უნდა თქვათ უარი თქვენს სიტყვებზე, ბატონო პორუ-

ჩემო, თქვენ ხელმწიფეს მიაყენეთ შეურაცხყოფა.

უცებ ლაღად გაიღიმა:

— განა არ გგონიათ, რომ კეისარი შორსა დგას ყოველგვარი შეცდომისაგან? —
შევცბი.

— ჩემს სიტყვებზე უარის თქმა არ შემიძლია, — დამიწყო ახსნა, — სინამდვილეში მე მხოლოდ მეფის სადღეგრძელო შემოგთავაზებთ. მე რომ ბოდიში მოვიხადო... ხომ გაიგეთ? სულ ერთია, ღირსების სამსჯავრო მაინც არმიიდან ჩემს გაძევებას მოითხოვს, მე კი მიზეზები მაქვს, არ ვინანო არმიის დატოვება.

— თქვენ პირადად მე მომაყენეთ შეურაცხყოფა, — ვთქვი ჯიუტად, — შემიძლია ასე მოვახსენო ოფრეინს.

თავის თავს არა ჰგავდა, ლაწვმაღალი პირისახე დაეჭიმა, თვალები ფიქრიანი გაუხდა, დაუნაღვლიანდა.

— რა გაეწყობა, აგრე იყოს. მაშასადამე, მაინც დუელი?

კვლავ გამახსენდა გაივორონსკი, მისი რჩევა — ხმლით იბრძოლეთო. ნუთუ რომელიმე ჩვენთაგანს, პოპოვ-აზოტოვი იქნება თუ — ღმერთმა ნუ ჰქნას და — მე, ისევე გამოეფაშვება მუცელი და ნაწლავები გამოუცვივა, როგორც იმ მთიელს გამოუცვივდა?

ვიგრძენი, ფეხები რომ გამეყინა და ათრთოლებული ხმით დავეთანხმე:

— აუცილებლად!

— თქვენი ნებაა. მაშინ... ამ მეორე წინადადებაზე დამეთანხმეთ: მივიდეთ ოფრეინთან და ვუთხრათ, გაუგებრობა მოგვარდა-თქო, ჩვენ კი კავკასიურ დუელზე შევთანხმდეთ. ამაზე რას იტყვიან?

კავკასიური დუელი აი, რა იყო: მთიელების მხრიდან სროლა რომ ატყდებოდა, მოჭიშპე ოფიცრები წამოდგებოდნენ და ერთად, გვერდი-გვერდ, გამართულები მიდიოდნენ ტყვიებისაკენ, ბედისწერას ანდობდნენ თავს.

გულიდან თითქოს ლოდი ამეცალა.

ოფრეინს ჩვენი შერიგება მოვახსენეთ. შემდეგ ოფიცრებმა ღირსების სამსჯავროზე გვიხმეს და იმათაც ავუხსენით ყველაფერი. მოიწონეს დუელის არჩევანი.

გავიდა ორი კვირა და მთიელებთან შეტაკება მოგვიხდა. მივიხედ-მოვიხედე, პოპოვ-აზოტოვი სად არის-მეთქი. უკვე თვითონაც ჩემსკენ მოდიოდა. შიშით ვიყავი დაზაფრული, მაგრამ ვცდილობდი არაფერი დამტყობოდა.

— შესძლებთ უკანვე ჩემს მოთრევას? — მკითხა პორუჩიკმა. სახე სერიოზული ჰქონდა, არ ხუმრობდა. რა საძაგელი რამაა ადამიანი! აკი გამიხარდა მისი ნათქვამი. მაინც შევცბელი და ამოვღერდე:

— იქნებ თქვენ მოგიწევთ ჩემი გამოთრევა?..

— ნახავთ, — თქვა დარწმუნებით. — რაო, წავედით?

ნახევარი საათის შემდეგ ჩვენი პოზიციისაკენ მოვათრევდი მის ცხედარს. მთიელებმა მხოლოდ ერთხელ გვესროლეს, ეტყობა, პორუჩიკის მკერდზე დაბნეულ გიორგის ჯვრებს დაუმიზნეს. ტყვია მზისწნულში მოხვდა და ირიბად გავიდა მარცხენა ბეჭში. სიკვდილის წინ პოპოვ-აზოტოვმა ჩაიბუტბუტა:

— საზიზღრობაა... ყველაფერი საზიზღრობაა...

ვახშამზე ჩემი სადღეგრძელო და პოპოვ-აზოტოვის შესანდობარი შეისვა.

— უშიშარი კაცი იყო, ეს მაინც არ უნდა დავუკარგოთ, — შენიშნა გაივორონსკიმ. — თქვენ კი დიდ მომავალს გიწინასწარმეტყველებთ, პორუჩიკო!

გული მიწუხდა. ტირილი მეწადა. მებრალებოდა პოპოვ-აზოტოვი, ახლა უკვე ყველაზე კარგ კაცად მიმაჩნდა. ადრე რომ დავახლოებულყავით, იქნებ დავმეგობრებულყავით კიდევ.

გაივრონსკიმ კვლავ წამოროშა რაღაც აბდაუბდა, წაფლავლავ ღანსვენებულზე და გული ამეწვა.

— აი, თქვენ აგრე ლაპარაკობთ მიცვალებულზე, — ვუთხარი მშვიდად; რატომღაც ძალიან მშვიდად ვიყავი იმ წუთას. — მაგრამ თქვენ რომ ყოფილიყავით მისკადგილზე?.. გინდათ, შეურაცხყოფას მოგაყენებთ?

გაივრონსკის მრგვალი პირისახე შელესავით გაუხდა. იგი წამოდგა, წაექცა ტაბურეტი, წაიბურტყუნა:

— უადგილო ხუმრობაა. უკაცრავად ვარ, ბატონებო, სამორიგოდ უნდა წავიდე.

თქვა და ლამის სირბილით გავარდა.

თვალი მოვაველე ოფიცრებს, კიდევ ვინ გავკენწლო-მეთქი. მზერა ამარიდეს, ჩაღუნეს თავები.

პოპოვ-აზოტოვი მარტოხელა ვაშლის ხის ძირას, მშვიდობიანად მოჩუხჩუხე ნაკადულის ნაპირზე დავასაფლავეთ. არ ვიცი რატომ, მაგრამ მასზე კი არა, ჩემგან მოკლულ მთიელზე ვფიქრობდი. პირველად ახლა მოვისაზრე, რომ იგი თავისი სახლის მახლობლად იქნა მოკლული. ამ უბრალო აზრმა თითქოს გამჭყლიტა. ცხოვრობდა კაცი თავისთვის, თავის ოჯახში, თავის დედასთან, მამასთან, ბავშვებთან ერთად, მერე კი საიდანღაც მოვედი მე, სწორედ მე, და მოვეკალი იგი. კვლავ თვალწინ დამიდგა მისი მზერა — მშვიდი, ყოვლის უწადინო. პოპოვ-აზოტოვს კი, სული როცა ამოსდიოდა, ყველასა და ყველაფრისადმი უნაპირო ზიზღი ედგა თვალებში...

მას შემდეგ იყო, რაღაც დამემართა, თითქოს საკუთარ არსებაში რაღაც უხილავ ზღურბლს გადავაბიჯე, ჩემს წინანდელ ცხოვრებას ახლანდელისაგან რომ ყოფდა. შეუძლებელი იყო ამ ცვლილების ძირისძირში ჩაწვდომა. პოპოვ-აზოტოვზე ვფიქრობდი — განა შეიძლება ითქვას, რომ ხელი მირევია მის სიკვდილში? აკი იქნებ მეც მოვეკალი ტყვიას, ან ორივენი ერთად მოვმკვდარიყავით. დუელზე რომ უარი მეთქვა, ისიც ჩემსავით უნდა მოქცეულიყო. ორივენი ერთი და იგივე წარმოდგენების, დაწერილი თუ დაუწერელი კანონების მიხედვით ვცხოვრობდით, რაც საერთო იყო ყველა ჩვენთაგანისათვის. მაშასადამე, არც მის სიკვდილში მიძევს ბრალი. თავს ვიმშვიდებდი, მაგრამ მაინც გული მიწუხდა. თანდათან დავკარგე სამსახურის ხალისი, იმასაც გულგრილად შევხვდი, ჩვენს და, მათ შორის — ჩემს დასაჯილდოებლად წარდგენაზე რომ ატყდა ლაპარაკი. ჯვარი რა ბედენაა? პოპოვ-აზოტოვს გიორგის ორი ჯვარი ჰქონდა, მერე რა? მწყობრის დატოვება გადავწყვიტე, ოფრეინს სიტყვა ჩამოვუგდე, გული შტაბში მუშაობისაკენ მიმიწევს-მეთქი.

— სისულელეა! — დამიღრიალა ოფრეინმა.

და ყველაფერი ძველებურად დარჩა.

პოპოვ-აზოტოვზე კვლავ ხშირად ვფიქრობდი. ვერა და ვერ ამეხსნა, რა მიზეზი იყო, ჯარში რომ ასე ეჭირა თავი. ნათესავები და ახლობლები არა ჰყავდა, ამიტომ ოფრეინს ვთხოვე, სიკვდილის შემდეგ რაც კი რამ წიგნები თუ ქურნალები დარჩენოდა, ყველაფერი წამოვიღე — ოციოდე წიგნი იყო, ამდენივე ქუ-

რნალი და გაყვითლებული, საკმაოდ ძველი გაზეთების რამდენიმე დასტა, მათ შორის — ევროპული გაზეთებისა. ვეძებე რაიმე ჩანაწერები, აშიებზე მინაწერი შენიშვნები, მაგრამ არაფერი აღმოჩნდა.

ბევრი რამ, რაც სამსახურის პირველ ხანებში აგრერიგად მუშაობდა, ახლა სულ სხვანაირი მეჩვენებოდა. უკვე ვიცოდი, რომ ჩვენი ბატონის მხატვარი ჩუმ-ჩუმად ითვისებდა სურსათ-სანოვაგისათვის განკუთვნილი ფულის ერთ წილს. ახლა ჩემთვის საიდუმლო არ იყო, რომ პორუჩიკი მასლოვი შულერი გახლდათ, რომ წინათ სახაზინო ფულის პარვაში ეჭვმიტანილმა მორდიუკოვმა ყველაზე მეტად გაითქვა ძარცვა-გლეჯით სახელი, პოდპორუჩიკი გნედოვი კი, ყოფილი გვარდიელი, თვალეზმომწყლიანებული, უღვაშებშეყვალელებული კოკობზიკა, პოლკოვნიკის მეუღლეს ჰყვარობდა. ეს ყველაფერი კი გავიგე, მაგრამ ამით ჩემს დარდს არაფერი მოაკლდა. ახლა მიკვირს, სხვებივით ტლანქი და უხეში რომ არ გავხდი. ეტყობა, ღმერთმა დამიფარა, ან წიგნების კითხვამ მიშველა.

ერთთავად კოცონთან ვიწექი ნაბადზე, ანდა ცხენით დავდიოდი. ზოგჯერ სრულიად უმიზეზოდ ჩავფიქრდებოდი ხოლმე და მინდოდა ტყვია მეკრა შუბლში. ზანტად ვფიქრობდი თვითმკვლელობაზე, რაიმე მტკიცე განზრახვა არცა მქონია. სწორედ ასე იფიქრებს კაცი, მოდი, ბურახი დავლიოო. რატომაც არ უნდა დალიო, თუკი გაქვს, მაგრამ ეს წამოდგომაო, ტოლჩის მოსატანად წასვლაო, დამბაჩის დატენვაო... ერთი მაგისი!

ცხენებმა, ცხენოსნობამ გამიტაცა ძლიერ. ცხენი საოცრად კეთილშობილი და ერთგული ცხოველია. ამით ძალღსა ჰგავს. პირველ ხანობას კავალერიისა კი არა, როგორც მე მიმაჩნდა — ფორნის ცხენი მყავდა, არც მიყვარდა და არც მძულდა ისევე, როგორც ეტლისა თუ ფორნის მიმართ არა გრძნობ რაიმე სიმპათიას ან ანტიპათიას. სხვა ოფიცრების მსგავსად, მეც მაშინვე დავიწყე საკუთარი ცხენის შესაძენი სახსრების გროვება. საკუთარი ცხენის ყოლა კარგ ტონად ითვლებოდა და, რაკი ცხენის ცნობა კავკასიელი ოფიცრის ერთ-ერთი ღირსებაც იყო, პოლკში ფეხის მოკიდებისთანავე ბევრს ვმსჯელობდი ხოლმე თავგამოდებულ ცხენის მოყვარულებთან, მათ შორის — ფელდფებელ კოჟევნიკოვთან, რომელიც აქაურ ცხენთა კარგი მცოდნე გახლდათ. სწორედ იგი დამეხმარა და, პოპოვ-აზოტოვის სიკვდილიდან დიდი ხანი არ იყო გასული, ისეთი უაბარდოული ბედაური მაყიდვინა, ყველა გაშტერდა. კოჭლი ცხენი იყო, ვილაც ჩერქეზი ბერიკაცი ყიდდა, ეჩქარებოდა, ფეხში ჩანდა დაჭრილი, სადავით ეჭირა პატრონს. ბერიკაცი რაღაცას უხსნიდა კოჟევნიკოვს, თან დროდადრო თვალდაუხამხამებლად გაპყურებდა მზეს და ხელს დასავლეთისაკენ იშვერდა. მივხვდი — ზღვისაკენ მიიჩქაროდა, ეისკსა თუ ანაპაში, რათა იქიდან ხომალდით თურქეთში წასულიყო. ჭაღარა წვერით მოფარული პირისახე და მშვიდად მომზირალი თვალეზი მქონდა. ვილაცას მაგონებდა ეს ბერიკაცი. ღმერთო!.. კინალამ უკან გამოვხტი.

არის ხოლმე ადრეული ბავშვობის მოგონებები, როგორც იტყვიან — სიბერემდე რომ წაგყვება. აი, სწორედ ასე ღრმად ჩამებეჭდა გულში ერთი შემთხვევა: გაზაფხულზე, სამი თუ ხუთი წლისა ვიქნებოდი, ჩვენი პარკიდან გამოვედი და შემოგარენის თვალღერებაში ანეულის კიდემდე მოვალწიე. დაღლილი გლეხები ჩამსხდარიყვნენ საყანე მიჯნაზე. წამოდგა ერთი მათგანი, ჭაღარა, შავთვალა მოხუცი, ჩემსკენ გადმოაბიჯა, „ოჰო, ბატონიშვილო“ წამოიძახა, ხელი დამავლო და ამიყვანა. მოღელღელ გულისპირში, მზით გარუჯული კისრის ქვემოთ ჭაღარა ბალნით მოფარული მკერდი დავინახე, წვერიც თეთრი მქონდა, ისე ახლოს იყო,

თმის თითოეულ ღერს ვხედავდი. ოფლის მძიმე სუნი უდიოდა. ორი წინა კბილი აკლდა. მაგრად შემომაჭდო ფერდებზე დაკოყრილი ტორები. შემეშინდა, შემზარავად დავიწივლე, მოვიკრუნჩხე და, ხელი მიშვა თუ არა, უკანვე გამოვიქეცი. უმაღვე მივიხედე, ხომ არ მომდევს-მეთქი, და მისი თვალები შემეფეცა — ტკივილით, საყვედურით, წყენით მიმზერდა... ღამით მესიზმრა, ვიბლავლე, გამომელვიდა, ძიძამაც გაიღვიძა და დამშვიდება დამიწყო. არაფერი უკითხარს, რადგან გამოღვიძებულს მარტო მისი საყვედურითა და ტკივილით საწესე მზერა გამახსენდა და სირცხვილმა შემაწუხა. ამის შემდეგაც ხშირად მესიზმრებოდა, მუდამ შეშინებული ვყვიროდი ხოლმე, მერე კი სირცხვილი მტანჯავდა. დედაჩემმა და ძიძამ იფიქრეს, ავად თუ არისო. ნაკურთხ წყალს მასხამდნენ, ექიმთან მატარებდნენ... ჰოდა, იმ გლეხსა ჰგავდა ეს ჩერქეზი ბერიკაცი. ველარ ვუყურე, გამოგბრუნდი და ვთქვი, ცხენს აღარ ვყიდულობ-მეთქი.

მაგრამ კოყევნიკოვი კაი ხურჩინივით გადამეკიდა, მარწმუნებდა, ისეთი ცხენია, ფასი არ დაედებაო, თანაც ორ დღეში მოვარჩენო. შემდეგ როგორც გამოირკვა, ორას მანეთზე ნაკლები არ ღირებულა. ხუთ მანეთად კი ვიყიდე. ბერიკაცი ცხენს შესცქეროდა, მის მტკივან ფეხს უჩვენებდა კოყევნიკოვს, კვლავ უხსნიდა რაღაცას, კოყევნიკოვიც უღიმოდა და თავს უკრავდა. წავიდა ბერიკაცი თუ არა, ცხენმაც გაიწია, ტლინკები ჰყარა, ჰიხვიინებდა, პატრონს უხმობდა. ძლივს დავაკავეთ. კინალამ ხელი წამაჭამა. გავხედე მიმავალ ჩერქეზს და ისევე, როგორც ბავშვობისას, სირცხვილი მომეძალა, მაგრამ ასეთი შემთხვევებისათვის ჩვეულებრივი ფიქრით დავიმშვიდე თავი: მე რომ არ მეყიდა, სხვა იყიდდა-მეთქი და ამგვარი რამეები...

უკვე საზრუნავი გამიჩნდა. კოყევნიკოვი ცხენს მკურნალობდა, ფეხზე მალამოს უსვამდა, თბილი წყლით ჰრილობას ჰბანდა, მე კი ვიჩვევდი, მიმქონდა შაქარი, ველაპარაკებოდი, კისერზე ხელს ვუთათუნებდი. მერე, როცა მოიკეთა და აღარ კოჭლობდა, უკვე აღარავის ვანდობდი, მე თვითონ ვბანდი, ჩემი ხელით ვწმენდდი, ტანს ვუზელდი, ცივ წყალს ვავლებდი, რათა გამაგრებულიყო, ძალი მოეცა. სახელად ჯბგა ერქვა, რაც, როგორც მითარგმნეს, ქარს ნიშნავდა. მიჭირდა ამ სახელის გამოთქმა და ჯუბგას ვეძახდი. გავა და ჯიდაო ერთმანეთის სისწორეზე ჰქონდა, მკერდი და ბეჭები — ძლიერი, კუნთოვანი, ფეხები და თავი — წვრილი, თვალებიდან სწორედ რომ ცეცხლს აფრქვევდა, რაც მის ჯიშს, სიჯანსაღეს ამხელდა.

სამსახურიდან გავთავისუფლდებოდი თუ არა, მაშინვე ცხენების საბმურს მივაშურებდი ხოლმე. ჯუბგა შორიდანვე მესალმებოდა — ზარივით ჰიხვიინი ჰქონდა, მოუთმენლად ატოკებდა ფლოქვებს, თვალს გეზად მიბრიალებდა. შაქრის ნატეხს რომ მიიღებდა, სულ გაცელქდებოდა, შიგ სახეში შემომხვიხვიინებდა, განგებისად მკბენდა თითქოს მხარსა თუ ხელზე. მეც განგებისად ვუბრაზდებოდი, ლაგამს ამოვდებდი, ვადგამდი მაღალკოტიან ჩერქეზულ უნაგირს და ვხედავდი, სულწასულს როგორ უთრთოდა და უცეკვავდა აბრეშუმით კანი. შეეჭდებოდი და უმაღ გამაქანებდა ბანაკიდან — კისერგაწვართული, ძუაგაშლილი. შურის თვალით მიგვაცილებდნენ ყველანი. ისევე, როგორც ყველა ჩერქეზულ ცხენს, არც მას სჭირდებოდა დეზი და მათრახი, ქუსლით გავდიოდი იოლას.

ნახევარი საათის განმავლობაში თავს ვუჭერდი, თავის ნებაზე არ ვუშვებდი, ნაბიჯით მიმყავდა, მერე კი მივუშვებდი სადავეს და ლაღად მივქროდი მინდორ-

ველებში, ავიჭრებოდით კბოდეებზე, დაღმართს ჩავიჭირითებდით, მივჭენაობდით ხან ჩორთით, ხან ოთხით, მერე ისევ ჩორთით და სულ უფრო გვალაღებდა თავისუფალი ნავარდი. ამ საათებში თითქმის ბედნიერი ვიყავი. ზოგჯერ გზა მეკარგებოდა, მაგრამ სულაც არ მეშინოდა, მივანებებდი ცხენს ლაგამს და ისიც შინისაკენ წამომიყვანდა ხოლმე. ისეც მომხდარა, გვიან საღამოს დავბრუნებულვარ, გამომიციხადებდნენ დაგვიანებისათვის საყვედურს, კოუეენიკოვიც ჩაბრუნებდა წვერებში, მაგრამ ყურს არავის ვუგდებდი. ჩერქეზები ცხენს იშვიათად ესროდნენ ხოლმე, ჩემი თავის შიში კი სულაც არ მქონდა. რატომღაც მეჩვენებოდა, რომ ყვავილთა დამათრობელი სურნელით აღვსილ ტყესა თუ ტრამალში, ამ წყნარ, მშვიდობიან სამყაროში, რომელსაც თითქოსდა ვერწყმოდით ჰე და ჩემი ბედაური, არ შეიძლებოდა ხიფათს რასმე გადავყოლოდი. „თუკი რამე შემემთხვა, — ვფიქრობდი ურწმუნოდ, — დაჭრილიც და მკვდარიც რომ ვიყო, ჯუბგა მაინც მომიყვანს ბანაკში“.

სწორედ ეს დრო იყო, მთავარსარდალი თავადი ბარიატინსკი და გენერალი გრაფი ევდოკიმოვი გვეწვია პოლკში, გზად შემოგვიარეს. როგორც ცნობილია, თავადი ბარიატინსკი მთავარსარდალის პოსტზე მალე კავკასიის ახალმა ნაცვალმა, დიდმა თავადმა მიხეილ ნიკოლოზის ძემ შეცვალა. ამ დანიშვნის არსი, თუმცა იგი ბარიატინსკის ავადმყოფობით აიხსნებოდა, გასაგები იყო — ომის დამთავრებას ბევრი არაფერი უკლდა, მის საიმპერატორო უდიდებულესობას კი სწყუროდა, კავკასიის დამმორჩილებლის დაფნის გვირგვინით შეემკო თავი.

დაიწყო ჩვეულებრივი გაწამაწია, ჯარის დათვალიერებას წინ რომ უძღვის ხოლმე. აწესრიგებდნენ ბალაგნებსა და კარვებს, ფორმის ტანსაცმელს სასწრაფოდ რეცხავდნენ, საკერებლებს ადებდნენ, კემსავდნენ, უვარგის ჩექმებს შედარებით ვარგისით ცვლიდნენ, ჯარისკაცები წმენდნენ და ზეთავდნენ იარაღს, წამდაუწუმ ისმოდა შეძახილი თუ გაწნული სილის ტკაცუნა, შტაბს-კაპიტანი მორდიუკოვი საწყობში აფრინეს შამპანურის მოსატანად, მზარეულებიც დიდ ამბავში იყვნენ — კლავდნენ, წვავდნენ, ხარშავდნენ. ბოლოს დამწყრივდა მთელი პოლკი. ორი საათის შემდეგ ცხენები შემოაჭენეს გზებში წინდაწინ დაყენებულმა გზირებმა — მოდიანო!

ცხენთა ფლოქვების თქარათქური, ეპოლეტების, აქსელბანდების, ორდენების ბრჭყვიალი.

— პოლკო, სმე-ნა! ყარაუ-ლიი!

ჯარის დათვალიერება, პრეტენზიების გამოკითხვა (პრეტენზია, რასაკვირველია, არავის არაფერი ჰქონდა, ამაზე გუშინვე იზრუნეს ფელდფებლებმა, შედარებით „მყრალ“ ჯარისკაცებს მძიმე მუშტი უჩვენეს და ერთიორი ტკბილი სიტყვა უთხრეს), ევდოკიმოვის მოკლე, მგრძნობიარე სიტყვა:

— ვაუკაცებო, მდაბლად გიხრით ამ ჭალარა თავს!

ყველა აღელვებულია, ყველა ამაყადაა, ერთხმად, მჭექარედ ყვირიან: „ურა!“

ოფიცერთა კერპი, დარგოს, გერგებლისა და პოლონეთის გმირი, გენერალ-ფელდმარშალი თავადი ბარიატინსკი აცხადებს, მის საიმპერატორო უდიდებულესობას მოვახსენებ, რომ პოლკი ჩინებულ მდგომარეობაშიაო. ისევ გრიანებს „ურა“. ბევრს ცრემლი მორევია თვალებში.

ისმის დაფდაფთა გრიალი, მოვდივართ საზეიმო მარშით. მე ჯარისკაცების წინ მოვდივარ, ჯუბგაზე ვზივარ და ჯუბგაც გაფიცებულა, ქშინავს, ნავარდით

მოდის. ხელი ქუდის წინაფრასთან მიჭირავს, თავი მარცხნივ მაქვს მიბრუნებული და ვამჩნევ — გრაფი ევდოკიმოვი ჩემსკენ, უფრო სწორად — ჯუბგასკენ ახედებს თავად ბარიატინსკის. ამას სხვებიც ამჩნევენ და ცერემონიალის შემდეგ გაივორინსკი შურით მეუბნება:

— ბედი გაქვთ, რალა, კაისაროვ, თვითონ გენერალ-ფელდმარშალს გააჩვენეთ თავი!

მიხარია. მაინც სასიამოვნოა, როცა უურადლებას მიიპყრობ, დალაზვროს ღმერთმა! ჯუბგა საბმურზე მიმყავს, შაქრით ვუმასპინძლდება.

სალამოთი, როცა ნაბადზე ვარ წამოწოლილი, ოფლში გაწურული ოფრეინა მორბის და მეუბნება ქოშინით — ახლავე თავი მოიწესრიგე, თვით მთავარსარდალი გიბარებსო. მაშინვე ზეზე ვარ, ვერაფერი გამიგია.

— აბა, ჩემო კარგო, თქვენ იცით, არ დამალატოთ, — მევედრება ოფრეინი და აჯა-ბაჯა სიარულით მომყვება გვერდში. — თავი ყოჩაღად დაიჭირეთ, ზედმეტი არაფერი წამოროშოთ.

ხელსა მკრავს და კარავში მაგდებს. მდიდრულად გაწყობილი სუფრა. სუფრის თავში — ბარიატინსკი და ევდოკიმოვი. ამაღის ოფიცრები და ჩვენი პოლკის უფროსობა მშობლიურად მიღიმიან. მოკრძალება მბოჭავს, ფეხზე, მუხლქვეშ მოთ რომელიღაც პატარა ძარღვი მითრთის, სახეზედაც, როგორც თვითონვე ვგრძნობ, ალტაცებული ღიმილი მეფინება. ყელდაბლუნძული, ნაწყვეტ-ნაწყვეტ ვამბობ, გამოვცხადდი-მეთქი. ზიზლსა მგვრის ჩემივე მაამებლობა და დაბნეულობა, მაგრამ თავს ვერაფერს ვშველი. სამოქალაქო პირი რომ ვიყო, ალბათ, მთლად მოვიკაკვებოდი.

— ახლოს მოდით, პორ-რუჩიკო, — გვარდიელის ყრუ ხმით ამბობს გენერალ-ფელდმარშალი და თითით მიხმობს.

პორუჩიკო? შეცდა. შემიძლია-კი, მაქვს უფლება, თავადს შევუსწორო შეცდომა? უფროსობას შეცდომებს არ მიუთითებენ ხოლმე. უსიტყვოდ მივდივარ სუფრასთან. ბარიატინსკიცა და ევდოკიმოვიც ჩემსკენ ბრუნდებიან. ევდოკიმოვი რალაცას ამბობს. მე ბარიატინსკის მკერდზე მიბნეულ, წმინდა ანდრია პირველწოდებულის ხმლებგადაჭდობილ ორდენის ვარსკვლავს შევცქერო, აქამდე რომ არასდროს მინახავს, მერე თავადის მხნე, ოდნავ ლოყებჩაყარდნილ ახალგაზრდულ სახეს ვუყურებ. ჯიში, მბრძანებლური ხასიათი და, იმავდროულად, ბევრის მნახველი ჯარისკაცის სიმამაცე იგრძნობა ამ სახეზე. მაღე იმდენად გრაფი ევდოკიმოვის სიტყვებით არა, რამდენადაც ჩემივე გუმანით ვხვდები, რომ პოლკის მეთაურს ერთობ კარგად მოვუხსენებოვარ და მთავარსარდალს ჩემი შემდგომი დაწინაურება უბრძანებია. მაგრამ მე ხომ სულ ახლახან, ერთი წელიც არ არის, რაც პოდპორუჩიკი გავხდი? განა შესაძლებელია?..

— პორ-რუჩიკო, — მესმის თავადის ხმა, — გინდათ ჩემი ყონალი გახდეთ? მოდით, ცხენები გავცვალოთ.

ოფიცერთა ალტაცებული გნისი. ვამჩნევ შურიან თვალებს — ასე იწყება ხოლმე თავბრუდამხვევი კარიერა. შუბლი ოფლით მეცვარება. კვლავ მონდომებით ვაკვირდები წმინდა ანდრია პირველწოდებულის ორდენის ვარსკვლავს და ვდუმვარ, მიუტევებლად დიდხანს ვდუმვარ. მდგომარეობას ისევ ევდოკიმოვი ასწორებს — ხმამაღლა, ჯარისკაცურად ხარხარებს და ყვირის:

— რა გიკვირთ, ასეთი ორმაგი სიხარული ვის არ გააოგნებს! გაქებთ, პო-

რუჩიკო! ბრძოლაში — არწივი, შინ — ქალიშვილივით წყნარი! თქვენი სადღე-
გრძელო იყოს!

ვილაცა შამპანურით სავსე სირჩას მიწვდის, ვლულულულეზ უბადრულე სამა-
დლობელო სიტყვებს, ვცმუკავ, გამოსვლას ველარა ვხედები. სახედოზე მგწე-
ვიან და, როგორც იქნა, მოუბრუნებლად, უკუსვლით ვტოვებ კარავს, როგორც
პარამხანის ხარჭა.

ოფრეინი ხელებს შლის და გულში მიკრავს.

იმაზე ლაპარაკი აღარ ღირს, როგორ გამოვეთხოვე ჯუბგას, ჩემგან დალაღ-
ტებულ მეგობარს. თავადი ბარიატინსკის დანატოვარი ცხენის შეხედვაც კი არ
მინდოდა. ერთი თვე რომ გავიდა, იაფად დავუთმე შტაბის ერთ-ერთ ოფიცერს,
რამაც ჩემს თანაპოლკელთა გაოცება გამოიწვია, ყველამ დამძრაბა. ავადმყოფო-
ბა მოვიმიზეზე და პატაკი დავწერე, მაგრამ პოლკის უფროსმა უარი მითხრა, მგო-
ნი ოფრეინმა შეაგონა.

სიცარიელე სუფევდა ჩემს გარშემო, რაც გამოწვეული იყო პოპოვ-აზოტოვ-
თან დუელის შემდეგ მოპოვებული თავზეხელაღებული კაცის რეპუტაციითაც
და იმ ამბითაც, თავად ბარიატინსკისთან რომ შემემთხვა, რომელშიაც ჯუბგა ისე
არ იყო საგულისხმო, როგორც ჩემი ესოდენი, ყველასათვის მოულოდნელი და
წინაურება; აგრეთვე იმით, რომ უკვე საზოგადოებას გავურბოდი და მუდამ ვუა-
რობდი, როცა ბანქოს სათამაშოდ ანდა რომის სასმელად დამპატიებდნენ ხოლ-
მე, მაგრამ ყველაფერი ეს, ერთად აღებული, ისე არ მანაპირებდა ყველასაგან,
როგორც თვით ჩემი უცნაური ქცევა, რუსეთში კი უცნაურ ქცევაზე უფრო არა-
ფერი იწვევს კაცის განაპირებას. ასეთი კაცი უცხო ხდება, უცხოებს კი ჩვენში.
როგორც ცნობილია, მუდამ ეჭვით ეკიდებიან ხოლმე.

ერთხელ როგორღაც რაზმში პაკეტის წაღება ვიკისრე. მერე მეორედაც წა-
ვიღე. პოლკის გარეთ უფრო თავისუფლად ვსუნთქავდი. ეტყობა, სხვებსაც რაც
შეიძლება ნაკლებად ეწადათ ჩემი სიფათის დანახვა, რადგანაც თანდათანობით
ყველა დავალემა, საკვარტირმეისტერო იქნებოდა თუ სხვა რამ, ძირითადად მე
მეკისრებოდა. სულ მარტო დავდიოდი ცხენით, ჯარისკაცებს არ ვიახლებდი
ხოლმე და რამდენჯერმე დამიშინეს ტყვია, ერთხელ კიდეც დამჭრეს მხარში.

პოლკოვნიკ გეიმანის (მალე იგი გენერალი გახდა) შტაბში რაღაც საქმეებზე
ჩამოსული კაპიტანი ზაკურდაევი გავიცანი, გულკეთილი, სამხედრო სამსახურ-
ში დაბერებული კაცი, საგუშაგოს უფროსად რომ იყო ზღვის პირას, საიდანაც
ჩერქეზები თურქეთს მიემგზავრებოდნენ. შევატყვე, ჩემსავით მარტოხელა გა-
ხლდათ. ერთი-ორი დღით მესტუმრეო, მთხოვა. რა ვიცოდი, სწორედ ამ წუთას
რომ წყდებოდა ჩემი ბედი.

გზა არც ისე ოღროჩოღრო გამოდგა, ეტლშიც თივა გვეგო, მხართემოზე
ვიყავით წამოწოლილები და ხან ვთვლემდით, ხან ნება-ნება ვბაასობდით. სახე-
ლი მკითხა და უკვე იაკოვს, ანდა, უბრალოდ — იაშას მეძახდა, მეც მთხოვა, უფ-
როს-უმცროსობა არ გვინდა, აფანასი იგნატიევიჩი დამიძახეო. გონიერი კაცი გა-
ნოდგა, თავისი ხანგრძლივი, მოხეტიალე ცხოვრების განმავლობაში ბევრი რამ
გაეგო და აღარც მომიწყენია, მით უმეტეს — თვალში მოვუვედი და აღარ მერი-
დებოდა, სათქმელს გულახდილად ამბობდა.

ვკითხე, ამდენი ხანია ჯარში ხართ და ბესტუევე-მარლინსკი ხომ არ შეგხვე-
დრიათ სადმე-მეთქი.

— აჰა, ის, არა? — თქვა დაყოვნებით. — არა, არ შემხედრია. სხვები, დეკაბრისტები, კი მინახავს, ბესტუჟეევ-მარლინსკი კი, სამწუხაროდ...

— იქნებ, ახლაც ცხოვრობს მთიელებთან და ჩვენ სულაც არ ვენახვებით. ალბათ, გაგონილი გაქვთ, არა?

ეროვნული

— ის ძველი ლეგენდა? ჰო, გამიგია. სულ ტყუილებითაა მარცხი მარლინსკი და არც სხვა დეკაბრისტები მამულს არ უღალატებდნენ, რასაკვირველია. საქმეში მინახავს ყველა, მამაცი ხალხი იყო, ნამუსიანად იბრძოდნენ. ეგენი ხომ, რა დიდი გაგება უნდა, სხვა ფხისანი არიან, ოფიცრები, თავადაზნაურობი, დიდგვაროვანნი. არადა, ჯარისკაცებად იყვნენ გამწესებული. მიტომაც იყო, თავის გამოჩენას ცდილობდნენ, გიორგის ჯვრის მიღება უნდოდათ: უნტერად მაინც გადაგვიყვანონო... ყველა ერთნაირიც არ იყო, ზოგმა, როგორც მე ვიცი, ენატანიობაც დაიწყო, თავის დანაშაულს სხვას აბრალებდა... გლებები ჰო, რასაკვირველია, ამკარად გადადიოდნენ ჩერქეზების მხარეზე. აი, შამილთან იყვნენ შეზარბაზნებულად, ყუმბარებს ასხამდნენ. ახლაც ბევრი ცხოვრობს იმათ აულებში. ხომ კარგად ზიხართ?

თავი დავუქნიე. თვლელმა მძალავდა.

— ყონალი დაღის ერთი ჩემთან, — სხვა ამბავი წამოიწყო ზაკურდაევმა და მაშინვე მოვფხიზლდი. — მტრული ტომიდანაა. მესტუმრება ხოლმე, საჩუქარსაც მომიტანს, რასაკვირველია. მივაწოდებ რახს, ანდა რომს. აუცილებლად მკითხავს, რაიმე დღესასწაული ხომ არა გაქვსო. თუკი ვეტყვი, ჰო-მეთქი, ერთ სირჩას ან თასს დალევს და მორჩა, მეტს ვერაფრით დააღევიანებ. ჩერქეზები კი სვამენ ხოლმე ხანდახან, რახს თუ ღვინოს, მაგრამ არ თვრებიან, ვერავის ნახავ დამთვრალს.

— თქვენთან როგორღა მოდის, თუკი მტერთაგანია? — ვკითხე.

— ისე. მოდის და მორჩა. ოზერმესი ჰქვია. მამამისსაც ვიცნობდი, თავისიანებს გაჰყვა თურქეთში. სიმღერებს თხზავენ ორივენი. მაგათი მომღერლები იარაღს არ ატარებენ ხოლმე, გინდაც ომი იყოს. სხვა ყველა იბრძვის, ეგენი კი მღერიან, აგულიანებენ თავისიანებს. თუკი მტერთაგანია, როგორღა მოდისო, მეკითხებით. მაგისტვის მტერი კი არა, ადამიანი ვარ, ჩემში ადამიანს ხედავს — გაგება უნდა ამას. ჩემთვის და თქვენთვის ძნელია ამის გაგება. ჩვენ მაგათსაც ვერაფერს გავიგებთ. მარტო ის რა არი, რომ ბატონი არ იციან, თავისუფლად ცხოვრობენ....

აზრი არა აქვს ყოველივე იმის მოყოლას, რაც ზაკურდაევმა მიაშრო გზადაგზა. ბევრი რამ ჩერქეზთა ცხოვრებისა ყურმოკვრით იცოდა და ერთმანეთში ერეოდა ტყუილი და მართალი. როგორც ცნობილია, ჩვენში წინათაც ბევრს წერდნენ და ახლაც ბევრს წერენ ჩერქეზთა საზოგადოებრივ წესწყობილებზე. ვფიქრობ, რომ ჩერქეზთა საზოგადოებრივი წყობილებით დაინტერესება, ეთნოგრაფიულ მიზეზთა გარდა, ერთი წყაროდან მომდინარეობდა — რუსეთის სახელმწიფო წყობილებით დაუკმაყოფილებლობისაგან. ჩვენი პროგრესული მოღვაწენი იდეალს ან რუსულ თემში ეძებენ, ან დასავლეთს გასცქერიან, ან მეზობლებისაკენ მოიქცევენ ხოლმე პირს. მაგრამ განა ესაა საკითხავი? შეიძლება რამდენიც გნებავთ ვიკამათოთ, მაგალითად, იმაზე, თუ რატომ მთლიანად არ მიიღეს შაფსულებმა შარიათის კანონები, ვამტკიცოთ, რომ შარიათი ძალმომრეობას ნერგავს და ამით ეწინააღმდეგება მთიელთა თავისუფლებისმოყვარე სულს, მაგრამ ამ ყველაფერს არ შეეძლო ხსნა მოეტანა შაფსულებისათვის. მით უმეტეს, რომ

უფრო ისინი მსჯელობენ და კამათობენ, ვისაც არათფერი ეკითხება — მათ ხელში როდია ხალხთა ბედი.

შორიდან განსჯა ძნელია, არც მინდა ცოდვა დავიდო და დაბეჯითებით ვამტყიცო სათქმელი. მაგრამ მე მგონია, რომ ჩვენში ჯერჯერობით მერე უფრო დაუბრუნდება იმისა, რა ვიცო, მე არათფერი გამიგია. ერთი ყოფილი გადასახლებულთაგანი შემხვდა ენისეისკში, წიგნის პატარა სავაჭრო ჰქონდა, მერე გაკოტრდა — ეს კაცი ერობებსა და გლეხთა საკრებულოებზე შეპაექრებოდა. მათში უმაღლესი ხელისუფლებისაგან დამოუკიდებელ, საყოველთაო-წოდებრივი თვითმმართველობის ჩანასახებს ხედავდა. რაკი ჩვენს გუმბერნიას, ისევე როგორც პოლონეთსა და კავკასიას, ერობები არ მისცეს, მე საერობო რეფორმის ამბები მხოლოდ უურნალებითა და ყურმოკრული ზეპირი ცნობებით ვიცოდი, მაგრამ მაინც ვუთხარი, ყველა ამ რეფორმის ავტორები ჩემთვის ეგზომ ნაცნობი ბარიატინსკები და ევდოკიმოვები არიან, ოღონდ ერთი განსხვავებით — უკვე სამოქალაქო ტანსაცმელი აცვიათ-მეთქი. შეეცადა თავის ჰკუაზე გადავერწმუნებინე. ნეტარ არიან მორწმუნენი. ჩემთვის ყველა ეს რეფორმა ამაოებათა ამაოებაა და მეტი არათფერი.

ახლა ჩვენს ამბავს დავუბრუნდეთ. XVIII საუკუნის ბოლოს რამდენიმე აზნაურთა ოჯახმა, მათ შორის — შერეტლუკოვებმა, იმაზე მეტი მიწა ჩაიგდეს ხელში, რამდენიც გამოსაკვებად სჭირდებოდათ, დაიწყეს მუშახელის დაქირავება და აქა-იქ ვაჭრებიც გაძარცვეს. შაფსულეებმა გააძევეს ისინი, რაკი მათი ალათების მიხედვით არ ეწადათ ცხოვრება. მაშინ შერეტლუკოვებმა დახმარება სთხოვეს ბეედულებს, რომელთაც თავადები ჰყავდათ. ბეედულთა თავადი ბატი-გირეი და შერეტლუკოვები მიხვდნენ, აღშფოთებულ შაფსულეებს მარტო ვერ გავუმკლავდებითო და პეტერბურგში, ეკატერინე II-სთან ჩავიდნენ. დედოფალმა ბრძანა, ბატი-გირეისთვის კაზაკთა სამი ასეული და არტილერია მიეცათ. შაფსულეებიც შეგროვდნენ, რათა თავი დაეცვათ. სასტიკი ბრძოლა გაიმართა. ერთხელ ჩერქეზული თქმულება მოვისმინე, ამ ბრძოლის ამბავი, სადაც ნათქვამია: შაფსულეები ბრძოლის ველიდან რომ დაბრუნებულან, ერთ ქალს უკითხია მათთვის, ჩემი ქმარი და ვაჟი რა იქნენო. დაიხოცნენო — მიუგეს. დაუწყია თავპირის კაწვრა, თქვენ რატომღა მოხვედით ცოცხლებიო? ჩვენ ბატი-გირეი მოვკალით და მოვედითო. ამაზე ქალმა გაიცინა და ტაში დაჰკრა... გავიდა წლები და შაფსულთა აზნაურებმა საბოლოოდ დაკარგეს თავიანთი უპირატესობანი. მალე კი აბაძეხებშიაც მოხდა ასეთივე დემოკრატიული გადატრიალება.

ამ ამბებზე რომ ვფიქრობ, რისი მოწმე და მონაწილეც მე ვყოფილვარ, ჩემს თავს ვეკითხები: ესეც ხომ არ იყო ერთი მიზეზთაგანი, რის გამოც ჩვენი იმპერია შაფსულთა მოსპობას ასე ჩქარობდა? შაფსულეების თავისუფალი ყოფა, დამონებულ რუს გლეხს უდიდეს ცდუნებად რომ ესახებოდა, ალბათ საშიში იყო მონარქიისათვის. კაცობრიობის მთელი თვალმისაწვდომი ისტორიის მანძილზე შაფსულთა დამორჩილება ვერც მონღოლებმა შეძლეს, ვერც ალექსანდრე მაკედონელმა და ვერც ყირიმის ხანმა. ჩვენც ვერ შევძელით მათი დამორჩილება, ნაწილობრივ ამოვწყვიტეთ და ნაწილობრივ განვდევნეთ ისინი. ჩვენი ჩინოსანი ისტორიკოსები ირწმუნებიან, თითქოს ორი ხალხის შეჯახებისას აუცილებლად უფრო უვიცი, ნაკლებ მოწინავე წესწყობილების მქონე ხალხი ილუპება. მაგრამ

რომელი ჭკუათამყოფელი დაეთანხმება ამას? მარტოოდენ იმით გავიმარჯვეთ, რომ ჩვენს მეფეს განუზომლად მეტი ჯარისკაცი ჰყავდა.

ვუბრუნდები ეტლს, რომლითაც მე და ზაკურდაევი მივემგზავრებოდით. კარგა ბლომად რომ ვისმინე მისი ნაამბობი, ნელ-ნელა ძილში დამრია ხელი. უცებ ცხენები დადგნენ და გამომეღვიძა.

— სადა? — კითხულობდა იდაყვზე წამოწეული ზაკურდაევი.

— აგე, შეხედეთ, — მიუგო მეეტლე ჯარისკაცმა და გზისპირა ბუჩქებისაკენ გაიშვირჩა მათრახი.

— რა არის? — მეც დავინტერესდი.

ზაკურდაევი ეტლიდან ჩამოვიდა, მეც ძირს ჩავხტი, დაბუყებულ ფეხებს გავმართავე-მეთქი. მაყვლის ბარდებისაკენ გავემართეთ და გადაბრუნებული ეტლი დავინახეთ. ცხენები არსად ჩანდა, ცოტა მოშორებით ვილაც მკვდარი ეგდო ვულალმა. საფოსტო ჩანთაც იქვე მოესროლათ. ზაკურდაევი მივიდა, მკვდარს დახედა.

— თავში მოხვედრია ტყვია. ეტყობა, კაჟიანი თოფისაა, აი რამოდენა ნახვრეტია.

ახლოს მივედი. მოკლულის სახე ნაცნობი მეჩვენა. კარგად რომ დავაკვირდი, ფელდიეგერი ვიცანი, ოდესღაც ეტლით რომ წამომიყვანა. გამახსენდა მისი სიკუშტე, ჯიუტად რომ არ მცემდა პასუხს, მისი იღუმალი, ფართო, თითქოსდა ქვის ზურგი, ჩემი შიშიც გამახსენდა, როცა ეტლს ბორბალი მოსძვრა. ახლა პირლია იწეა, უჩანდა ყვითელი კბილები, თვალები გადმოკარკლოდა, იცინოდა თითქოს: ხომ ხედავ, მაინც არაფერი გითხარიო. თვალი ავარიდე.

— მეეტლე, ეტყობა, წაიყვანეს, — ჩაიბურტყუნა ზაკურდაევმა. — ხათაბალაა. ჩვენ მოგვიწევს ამის წაღება.

ავწიეთ ფელდიეგერის გაშეშებული გვამი და ეტლში გადავიტანეთ. ცხენები ფთხვინავდნენ, გავარდნას ლამობდნენ. ზაკურდაევმა მიცვალებულს სახეზე თივა დააფარა და თქვა:

— პირველად კი არ მიხდება მტრვალეებულთან ყოფნა. თქვენ კი, გულზიზღი თუ ხართ, ანდა გეშინიათ, აგერ, ჯარისკაცთან გადაჯექით.

— სულ ერთია. — ეტლში ავძვერი. — იქნებ ჩვენც არ გვიწერია დიდი დღე.

საგუშაგოს რომ ვუწიეთ, უკვე ბინდი იდგა.

ფისისა და მარილის სუნით გაყლენთილიყო ჰაერი. ქვითა და ხის მორებით ნაგები სიმაგრის მიღმა მუქ-ლურჯი კედელი წამომართულიყო, რომელსაც სამი-ოდე შავი წერტილი აჩნდა, თითქოს მუმლიაო. ვერაფერს მივხვდი, ზაკურდაევს იდაყვი შეეახე და კედელი დავანახე.

— თქვენ რაო, ზღვა არ გინახავთ? — გაუკვირდა.

ეტლი შეჩერდა. მოირბინა მაღალმა, გამხდარმა ფელდფებელმა, ორი ჯარისკაციც ახლდა, მხიარულად მიესალმნენ კაპიტანს. ჩამოვედით ძირს. ჯარისკაცებმა მიწაზე დაასვენეს ფელდიეგერის გვამი.

შრიალი ისმოდა, თითქოს ვილაც ხვნეშა-ხვნეშით საცერში კენჭებს აჩხრიალებსო. ლურჯი, არწეულ-დარწეული კედლისაკენ გავემართე და კედელიც თანდათან დადაბლდა, მისი ზედა ნაწილი სულ შორს და შორს წავიდა და მეც ვიცანი ზღვა, სწორედ ისეთი, ბოგოლიუბოვის ნახატი რომ მინახავს კადეტთა კორპუსის სააქტო დარბაზში ჩამოკიდებულ სურათზე, ოღონდ ეს ზღვა ცოცხალი იყო. ის

მუმლივით სამი წერტილი კანჯოები გამოდგა, მათი ანძები მკაფიოდ ისახებოდა ისამნისფერ ცაზე. ქვემოთ, ფლატის ძირას წყალი ხან უკან იხევდა, ხან კვლავ ნაპირს აწყდებოდა და ქათქათა, მოციმციმე ქაფს ისროდა. მაშინვე ძირს ჩაფირბინე, ტალღას ხელი შევეშვირე, წყალი სახეზე შევისხი, ენით მოვილოე მარლიანი წვეთები და ამ გრილმა სიმწკლარტემ თითქოსდა გამომდგვიტყუა ძილი-საგან კი არა, ჩემი ამასწინანდელი გაბეზრებული ცხოვრებისაგან. — იქნებ...

ზაკურდაევმა მიხმო. გავებასუხე და ფერდობს ზემოთკენ შევუყევი. ზღვიდან მონაბერმა ნიაემა ზრწნის მოტკბო სუნი მოიტანა. სადღაც ახლომახლო ეტყობა სანაგვე იყო.

ნახევარი საათის შემდეგ უკვე დაბალ მაგიდას ვუსხედით. სუფრაზე ჯამებით ყველი, ცივად მოხარშული ხბოს ხორცი, შემწვარი თევზი და კიდევ რაღაც კერძი გვედგა. ჩემს უკან, ქვევით ამოყვანილ ვეება ბუხარში ფისიანი შეშა ტაცუნობდა. ცეცხლზე ჩამოკიდებული ქვაბიდან ხორცის ნოყიერი სურნელი დიოდა. კუთხეში ხალიჩაგადაფარებული ტახტი იდგა. დენშჩიკმა თიხის დოქით ღვინო შემოიტანა. ზაკურდაევი იამაიკური რომით სავსე ბოთლის გახსნას შეუდგა. თვალი შევაღლე ხარის ბუშტით მოფარულ სარკმელს, ზეთის მბუუტავ კრაქს, ზაკურდაევის ზრუნვით შეწუხებულ სახეს (ცდილობდა, კორპის ნამცეცი მტოფში არ ჩაეარდნოდა) და თავი თითქმის შინ ვიგრძენი.

— ფელდიეგერს პაკეტი მოჰქონდა ჩემთვის, — მითხრა და თან რომი ჩამოასხა მინის მწვანე ჭიქებში. — გენერალი ევდოკიმოვი ანგარიშის წარმოდგენასა მთხოვს... რა ვქნათ, დავიწყოთ, არა? ჩვენს მშვიდობიან ჩამოსვლას გაუმარჯოს!

დავლიეთ, ერთიკ მივაყოლეთ. გულიანად ვიცინოდი მასპინძლის ხუმრობა-ოხუნჯობაზე და სულ უფრო და უფრო ვეთვისებოდი ბერიკაცს.

— რა დიდებულად ხართ აქ, აფანასი იგნატიევიჩ, — ვუთხარი მე. — თითქოს კუნძულზე ცხოვრობთ, ყოველი ამქვეყნიური სისაძაგლისა და დარდისაგან შორს.

ზაკურდაევმა ამოიქმინა. მუნდირის საყელო შეიხსნა და ჯამებში ღვინო ჩამოასხა.

კარგ გუნებაზე რაკი ვიყავი, ლაპარაკის საღერღელი ამეშალა და ყველაფერი მოვუყევი მოხუცს, რაც კი შემმთხვეოდა. პოპოვ-აზატოვთან დუელის თაობაზე მითხრა, დიდი არაფერი, ჩვეულებრივი ამბავიაო, ჯუგბაზე რომ ვუთხარი, დაეჭვდა — თჳვადი ბარიატინსკი ეგრე როგორ მოიქცეოდაო, მაგრამ რაც უფრო მეტს მისმენდა, მით უფრო მეტი თანაგრძნობა და გაგება ემჩნეოდა თვალებში. არგა ბლომად დავლიეთ და შევატყვე — რაც უფრო თვრებოდა, მეტად და მეტად ღელავდა, რაღაც აწუხებდა, დარდი ეძალეებოდა. უკვე კი არ მხიარულობდა, მხიარულობას ლამობდა, სულ უფრო ხმამაღლა ლაპარაკობდა თითქოს უნდა დავერწმუნებინე და თავისი თავიკ დავერწმუნებინა, ორივენი უზომოდ ბედნიერები ვართ ამ ცხოვრებითაო.

დენშჩიკი შემოვიდა, რაიმე ხომ არ გინდათო, იკითხა. ზაკურდაევმა რომი დაუსხა.

— სტუმრის სადღეგრძელო დალიე, ივან. იქ როგორაა საქმე?

— მიცვალებულს წესს უგებენ, — მიუგო დენშჩიკმა, — სანთელი დაუნთეს, ერთი ცალი ჰქონია კაპტენარმუსს.

დენშჩიკი რომ წავიდა, სადღაც შორს ბავშვმა წამოიტირა. გამიკვირდა, მაგ-

რამ ტირილი შეწყდა. მზად ვიყავ დაძეგნილებინა, რომ ზაკურდაევმაც გაიგონა ტირილი, მაგრამ ისეთი სახე მიიღო, თითქოს არაფერი სმენია; ხმაძალა თქვა:

— რუსი ჯარისკაცის ბადალი სხვა ჯარისკაცი არ არსებობს და არა აგერ, გეტყვი... ოღონდ შორიდან მოვყვები. — მან ჩიბუხი გაწმინდა, ხელახლა დატენა, ბუხარში შეშა შეასწორა, ჩაახველა და დაიწყო: — იქნებ კორპუსშიც გისწავლიათ, ოცდაათიანი წლების ბოლოს და ორმოციანი წლების დასაწყისში თურქების წინააღმდეგ ციხეები, ფორტები და სიმაგრეები ავაგეთ ზღვის ნაპირებზე — სულიწმინდისა არდილერის კონცხზე, ველიამინოვისა მდინარე ტუაფსეს პირას (ტუაფსე მაფსუღურად ორწყალს ნიშნავს), მერე ვოლოვინის, ლაზარევის ციხეები, აქეთ ალექსანდრესი მდინარე სოჩაზე, მერე იმას ნავაგინი დაარქვეს, შეუცვალეს სახელი... ამას გარდა, რასაკვირველია, გვინდოდა მთიელებისთვისაც შეგვეშალა ხელი, სურსათ-სანოვაგე და იარაღი რომ არ მიეღოთ საზღვარგარეთიდან, არ ევაჭრათ, ზამთრობით საქონელი არ მოერეკათ ზღვისპირა თბილ საძოვრებზე. კატორლაზე უარესი იყო ამ ფორტებში სამსახური. დარდი, ციებ-ციხლება, გარეთ ცხვირს ვერ გაყოფდი. ბლომად იხოცებოდა ჯარისკაცობა, დღე არ გავიდოდა, ვინმე არ მომკვდარიყო. არდილერის კონცხზე მთელი გარნიზონი პირწმინდად გაჟუჟა ავადმყოფობამ, ასე ათასამდე კაცი იქნებოდა. რვაას ორმოცი წლის ზამთარში მთებზე დიდი თოვლი დადო და ჩერქეზებს საშინელი შიმშილობა დაატყდა. თარჯიმნები გამოგვიგზავნეს — სურსათ-სანოვაგეს ითხოვდნენ, საჭმელს ბავშვებისა და ქალებისათვის, მერე ტყავში, თაფლსა და საქონელში გაგიცვლითო. რასაკვირველია, ვააგდეს ეს თარჯიმნები. მაშინ ჩერქეზებმა თავდასხმა დაიწყეს. ლაზარევის ფორტში ყველა ამოხოცეს და სურსათ-სანოვაგე წაიღეს. მერე მიურიდებმა ველიამინოვის სიმაგრე გაძარცვეს. გაზაფხულზე მიხაილოვსკის რიგიც მოვიდა. გარნიზონის უფროსად იქ შტაბსკაპიტანი იყო ერთი, გვარად ლიკო, კაი მაგარი ოფიცერი. თავდასხმამდე ერთი დღით ადრე მაფსუღლებმა თარჯიმანი გამოგზავნეს. ასე და ასეო, სურსათ-სანოვაგე გვჭირდებაო, სისხლის დაღვრა არ გვინდა, ჯობს უომრად დაგვნებდეთ, თორემ ხვალ თავზე დაგესხმებითო. ლიკომ დაიყვირა: „რუსებს დანებება არ სჩვევიათ, მოკალით ეგ, ბიჭებო!“ თარჯიმანი მოკლეს, რასაკვირველია. დიდი მამაცი მეთაური გახლდათ ის ლიკო, სისხლით ფრანგი კი იყო, მაგრამ გულით — ნაღდი რუსი კაცი. ვისაც კი თოფის აღება შეეძლო გარნიზონში, სულ ორას ორმოცდაათი სული იყო, დანარჩენები ან ფეხზე ძლივს იდგნენ, ანდა ლაზარეთში იწვნენ. დაიყვირა ლიკომ — თუ მთიელები სიმაგრეში ამოვლენ, დენტის სარდაფს რომელი ააფეთქებთო. ერთი რიგითი ჯარისკაცი გამოვიდა, არხიპ ოსიპოვი, ასე თქვა: „მსურს გამოვადგე რუსეთს. ვინც გადარჩებით, ჩემი საქმეც გახსოვდეთ“. აკურთხა მაშინ პაისი მღვდელმონაზონმა, მეთაურის მარაგიდან ორი თუ სამი შტოფი რომიც მისცეს, რასაკვირველია. როცა მეორე დღეს ჩერქეზები სიმაგრეში შეიჭრნენ და დენტის სარდაფის კარს მტვრევა დაუწყეს — სურსათ-სანოვაგე იქ ეგულებოდათ, ოსიპოვმაც, რასაკვირველია, ააფეთქა სარდაფი. ნანგრევებში ჩაიღუპა საწყალი. იქიდან მოკიდებული, უზენაესი ბრძანებით, ტენგინის ფეხოსანთა პოლკში საღამოს ამოძახებაზე რიგით არხიპ ოსიპოვსაც იძახებენ ხოლმე, პოლკის სიაში სამუდამოდ არის შეტანილი. მარჯვენა ფლანგზე ვინცა დგას, პასუხობს: „დაიღუპა რუსული იარაღის სადიდებლად“. გაიგონებ ასეთ რამეს და სისხლი აგიჩქროლდება კაცს ძარღვებში. მოდი, ოსიპოვის სადღეგრძელო ვთქვათ!

ზაკურდაევმა ღვინით სავსე ჯამი დაცალა და უღვაშები მოიწმინდა.

არ ვიცი, სიმთვრალემ მიქნა თუ ბერიკაცის ნაამბობმა, მაგრამ სინამდვილეს დავუბრუნდი თუ არა, დარდი მომეძალა. გამახსენდა, რომ კარგა ხანია, ~~არაბათ~~ მას შემდეგ, რაც პოლკში ბარიატინსკი მოვიდა, დედისთვის წერილი არ მიმიწერია.

ეროვნული

სადღაც კვლავ წამოიტირა ბავშვმა. რა საცდურია, ნეტავი? შეგხედე, ხაკურა — დაეც, მაგრამ იგი მონდომებით ეწეოდა ჩიბუხს.

— სმენა-ა! — იყივლეს გარეთ გუშაგებმა.

ზაკურდაევი უცებ შეფხიზლდა.

— ახლა ერთ კომედიას მოგიყვები. ერთხელ შაფსულეებმა და აბაძეებმა ნავაგინის ფორტს შემოუტიეს. ადგა გარნიზონის უფროსის, პრისიპკინის ცოლი — ალიან მამალი ქალი იყო — და პირდაპირ ტყვიების სეტყვაში ქოლგით გავიდა ციხის გალავანზე. დაინახეს თუ არა ჩერქეზებმა, რასაკვირველია, მაშინვე ალყა მოხსნეს და ფორტს გაეცალნენ, ნახევარი საათის შემდეგ კი პრისიპკინს შემოუთვალეს, ჩვენ ქალებს არ ვეომებითო. მერე ამაზე გენერალ-ლეიტენანტი რაევსკი ხუმრობდა, ჯობდა ჯარების ნაცვლად აქ ოფიცერთა ცოლები ჩამოგვეყვანა მთელი რუსეთიდან, ჯიგიტები ეგრევე ბოდის მოიხდიდნენო...

— რამდენი რამ გადაიტანა ჩემმა თაობამ, თქვენსაზე ხომ არაფერს ვამბობ, — ვთქვი მე. — რამდენი რამ ვნახეთ...

— ჯერ არაფერიც არ გინახავს, — ცოტა უხეშად თქვა ზაკურდაევმა, წამოდგა, ოთახში ბოლოთი ცემას მოჰყვა და თან ჩემთვის ბავშვობიდანვე ნაცნობი ჯარისკაცული სიმღერა წამოიწყო. მერე მიადგა კედელზე ჩამოკიდებულ ალექსანდრე II-ის მონეტრო პორტრეტს და ისე მიაჩერდა მეფის დაქანებულ შუბლს, დიდ ყურებს, მარცხნივ გადაყოფილ თმას, ბაქენბარდებსა და გრძელ უღვაშებს, თითქოს ყველაფერს სწავლობსო.

— ამბობენ, ახლა წვერი მოუშვაო, — უპატივცემულოდ წარმოთქვა.

— რა არის, მეფეს რომ აკვირდებით? — ვკითხე. ერთხანს არაფერი მიპასუხა.

— უნდა მოვახსენო... — იგი პორტრეტის წინაშე გაიჭიმა და დაიყვირა: — თქვენო საიმპერატორო უდიდებულესობავ, ჩემდამი რწმუნებულ სასაფლაოზე ყოველივე საჭირო წესრიგშია! როგორც იხოცებოდნენ, ახლაც ისევე იხოცებიან!

ეტყობა, დათვრა ბერიკაცი. მაინც ვკითხე:

— რა სისულელეებს ამბობთ?

არც მობრუნებულა, ისე მომხედა რალაცნაირი შეშლილი მხერით, კოჭლობით მივიდა მაგიდასთან, დაეშვა ტაბურეტზე, თავი ჯამებზე წარგო და ატირდა.

— კარგით ახლა, — დავუწყე შეგონება. — რა მოგივიდათ?

სლუკუნი არ შეუწყვეტია, ისე მთხოვა, მომეშვი, უნდა დავწვე და დავიძინო.

მეც დავწექი, ტანზე არ გამიხდია, მხოლოდ ჩექმები წავიძვრე. ძილში შესიზმრა, თითქოს კლდეებს შორის რალაც ნაპრალში ჩავვარდი და ვერაფრით ვეღარ ამოვძვერი. ვილაც იყო ჩემს გვერდით, სულშეხუთული ქშინავდა. მერე მიყუჩდა და პოპოვ-აზოტოვის ხმით წარმოთქვა: „მაშ ასე, ძმაო, რა გაეწყობა, წავიდეთ...“

გამომელვია.

ამომავალი მზის სხივებს გაეშუქებინა ოთახი.

როცა ავდექი, ზაკურდაევი უკვე სუფრას უჯდა, მუნდირი მოეღვრა, თვალე-
ბი ჩასწითლებოდა, მე მელოდა, როდის შევუერთდებოდი. გვერდით საესე შტო-
ფი ედგა.

დენშიკმა ხელები დამაბანინა, პირსახოცი მომაწოდებდა და მთხრალა ჩახ-
ჩახა მზემ, ათასგვარად მოკაშკაშე ღრუბლებმა, ზღვის ბრჭყვიალა ზედაპირმა.
ჩემს ზურგს უკან ცისკენ მიიწევდა მთების გრეხილი. დახუთულ, გამჭვარტლულ
ოთახში დავბრუნდი. ზაკურდაევმა აკანკალებული ხელით მომაწოდა რომით სა-
ესე ჭიქა და მუავე კიტრის ჯამზე მანიშნა. ლუკმა რომ გავტეხე, ცოტა მოვმჯო-
ბინდი შფოთიანი ღამის შემდეგ და ვკითხე:

— აფანასი იგნატიევიჩ, მომეჩვენა თუ მართლა იყო, ამას წინათ თითქოს
ვიღაც ბავშვი ტიროდა? ქალები გყავთ აქა?

— გვყავს.

დღეს რაღაც არ იყო ლაპარაკის გუნებაზე, ისევ ვკითხე:

— ფელდრეგერი როდის უნდა დაასაფლავოთ?

— უკვე დავასაფლავეთ, — ჩაიბურტყუნა მან, სახეზე ხელი მიიღო, ლო-
ყები მოისრისა და ტაბურეტზე რწევა დაიწყო, თითქოს კბილი სტკივათ.

— ამ დილით? — გამიკვირდა.

ბერიკაცს ერთიანად შეაერუოლა, უხალისოდ ამიხსნა:

— ჩვენ წინდაწინ ვთხრით ხოლმე საფლავს... მისმინე, იაშენკა, მოდი, ჯა-
მებით ვსვათ რომი, პა?

მე გადაჭრით ვიუარე. მოიღუშა, დაისხა თავისთვის, ჯამი ასწია და ურუდ
ჩაილაპარაკა:

— განსვენებულის შესანდობარი იყოს. საერთო საფლავში დავამარხვინე.
იმქვეყნად გარკვევენ, ვინ ქრისტიანია და ვინ არა.

ვკითხე, რა საერთო საფლავს ამბობ-მეთქი. ბერიკაცმა ჯამი დასცალა, ღია
პირთან ხელი გააქნ-გამოაქნია და არანაკლებ იდუმალი ხმით მომიგო:

— რაკი ღვთის წინაშე ყველა ადამიანი ერთმანეთის ძმია, ფელდრეგერი სა-
ძმო საფლავში დავკრძალეთ.

იგი ჩაფიქრდა, მერე ფიქრებისაგან გამოერკვა და თქვა:

— წავიდეთ, თვითონ ნახავ.

ჭიშკარს რომ გავცდით და ზღვას ნაპირ-ნაპირ გავუყევით, ამ უსასრულო,
აქა-იქ ქაფმოღებულმა სივრცემ, მზის ჩახჩახმა, მარილის სუნით გაჟღენთილმა
გრილმა ნიაგმა გული კვლავ გამიხალვიათა, დილის საუზმემაც მიშველა და უკვე
ლაღად, შვებით ვსუნთქავდი. „რა ჭირად მიმათრევს საფლავზე?“ — ცოტა ამას
ვწუხდი, თან თვალს ვერ ვაცილებდი ლუზაჩაშვებულ აფრიან გემებს.

ერთი ფელდრეგელი აგვეტორლიალა, მაღალი, გაჩხინკული, წელში მოხრი-
ლი კაცი იყო, გრძელსა და წვრილ კისერზე დიდი, ყურპანტურა თავი ედგა, აი,
გვირილა რომ ყანყალებს ხოლმე ღეროზე, ოდნავ ჩემს უკან მოდიოდა. შემატ-
ყო, რომ კვლავ იალქნიან გემებს ვუმზერდი და ამიხსნა:

— თურქების ხომალდებია, თქვენო კეთილშობილებავ, საქონლისათვის
მოვიდნენ, ჩერქეზებისთვის რაღა.

სასაცილო მეჩვენა მისი ნათქვამი.

— რაო, ხომ არ ჰყიდით ამ ჩერქეზებს?

— თითქოს არა ვყიდით, მაგრამ ეგრე გამოდის და...

ზაკურდაევი უკან არ იხედებოდა. ტყისკენ გაუხვია, პატარა ნაკადულს გადაახტა და ნაბიჯი შეანელა, დაგველოდა. ნაკადულის გაღმა ბუჩქნარი მიიკლანებოდა. დავეწიე ზაკურდაევს, რაღაცის თქმა მინდოდა, მაგრამ ხელით მანიშნა, გაჩუმდით და ტყის პირას ფართოდ გაშლილი მინდორი დამანახა. ეს მინდორი, ეტყობა, სიმაგრის ასაგებად ტყე რომ გაჩეხეს, მაშინ წარმოიშვა.

— შეხედე, — ჩაილაპარაკა ზაკურდაევმა. — ესენი ყველა ერთი აულის ხალხია...

ფელდფებელი ჩვენს ახლოს გაჩერდა, ქუდი მოიხადა და პირჯვარი გადაიწერა.

მინდორს გავხედე. ხალხი დავინახე, კაცები და ქალები, მთიელთა ტანსაცმლით მოსილნი. ჭერებად იწვნენ, ზოგი ცალკე, ზოგი ორ-ორად, სხვები ერთად ჩარიგებულნი, პირქვე, გვერდზე, მოკუნტულნი თუ გამზლართულნი, უფრო ხშირად — გულაღმა, მკერდზე ხელებდაკრეფილნი. ამდენი მკვდარი ერთად არასოდეს მენახა. რამ დახოცა ეს ხალხი? დენტის აფეთქებით რომ მომკვდარიყვნენ, რაიმე კვალი დაემჩნეოდათ — წარმოვიდგინე კიდეც, რასაც დამართებდა კაცს დენტის აფეთქება. არც თოფის ტყვიით იქნებოდნენ მოკლულნი. რა სნებამ — შავმა ჭირმა, ქოლერამ — დააფინა აქ ეს ხალხი? აი, საიდან მოიტანა გვამის სუნი გუშინ ქარმა. აქ კი, ახლოს რომ ვიყავი, სულ ვერ ვგრძნობდი რაიმე სუნს. შემკითხველი მზერით შევხედე ზაკურდაევს, მაგრამ იგი სადღაც შორს, მინდვრის ზემოთ იყურებოდა. მაშინ ფელდფებელს მივუბრუნდი. მან ჩემსკენ გადმოხარა მალლა აწვდილი თავი და ისე, თითქოს შიშობს, მკვდრებმა არაფერი გაიგონონო, გულდაჯერებულმა წამჩურჩულა:

— სამოთხეში მოხვდებიან ყველანი...

სიჩუმე იდგა. შორით ზღვა ფშვინავდა, მინდვრის ზეგარდმო კი ფუტკრებსა და მწერებს გაჰქონდა ზუზუნნი.

ვიფიქრე, გარნიზონს სნეულების გადადებისა ეშინია და გარდაცვლილ მთიელებს თანდათანობით მარხავენ საერთო საფლავში, პოდა, ზაკურდაევმაც მათთან დაამარხვინა ფელდიეგერის გვამი-მეთქი. ვერაფრით მოვისაზრე, ასე რატომ უნდა მოქცეულიყო. ფელდიეგერის დაკრძალვის მთელი სიმართლე უფროსობის ყურამდე რომ მისულიყო, ზაკურდაევს წყენა არ ასცდებოდა.

— ეს რა გიქნიათ, — ვკითხე ფელდფებელს, — ქრისტიანი კაცი მუსულმანებთან როგორ დამარხეთ?

— მისმა კეთილშობილებამ გვიბრძანა, — ხმადაბლა მიპასუხა მან. — დილაზე კარგა ნასვამი გახლდათ. შევეკამათეთ, მაგრამ რომ დაგვიღრიალა...

— აფანასი იგნატიევიჩი, — ხელი შევახე ჩაფიქრებულ კაპიტანს, — ვერ არის კარგი საქმე... ფელდიეგერზე ვამბობ.

პირქუშად მომაჩერდა, თითქოს ვერ მიხვდა, რას ვეუბნებოდი. მერე მწარედ ჩაიციხა და მთლად უცნაური რამ ჩაიბურტყუნა:

— მშვიდობიანად იქნებიან ერთმანეთში. მეც მანდ დამმარხეთ, როცა მოკვდები... ჩვენ, ყველას, საფლავში თუ გვექნება თანხმობა, მეტი არსად.

მხრებილა ავიჩეჩე. რა მიზნით მომიყვანა აქ, თანაც ასეთ ნათელ, საამოდღეს? უკან წამოსვლა რომ დავაპირე, უნებლიეთ ერთ უცნაურობას მივაქციე ყურადღება — ყველა მთიელს სახე მზისაკენ, აღმოსავლეთისაკენ ჰქონდა მიქცი-

ული, მაშასადამე, ავადმყოფობამ კი არ წააქცია ისინი, თვითონ, სიკვდილამდე დაწვნიან ასე.

ზაკურდაევი მინდორზე გავიდა, გვამებს ისე გადააბიჯებდა ხოლმე, თითქოს მორები არიანო, მეც ხელის დაქნევით მიმიხმო. თავს ვძვლივდებ წავედი, თანაც ვცდილობდი გვამებზე კი არ გადამებიჯებინა, გვერდი უმეგლოდ უხელოდ შევბედი გამომყვა, ზურგს უკან მესმოდა მისი არაზანაბარი სუნთქვა.

ერთ მიცვალებულთაგანს, რომლის ასაკი ვერ განვსაზღვრე, რადგან სახეზე ფაფახი ეფარა, უუნაგრო ლურჯა ცხენი ადგა თავზე. რაღაც უცნაურად იდგა, ფეხები გან-გან გაებოძიძგებინა და თავი ჩამოეშვა. კარგად რომ დავაკვირდი, შევნიშნე, უსაშველოდ იყო ქანცაწყვეტილი, რუხ-მოთეთრო ტყავზე ნეკნები ამოსჩროდა, ხერხემალზე მიჰკვროდა მუცელი. მივხვდი, ასე იმიტომ გაედგა ფეხები, სისუსტისაგან არ წაქცეულიყო. იდგა და თვითონაც პატრონთან ერთად კვდებოდა. გვერდი ავუარე მიცვალებულს, ცხენთან მივედი და ხელი შევახე შუბლზე, ზედ რომ ფაფრის თეთრი ბუბგი ჩამომლოდა. ცახცახმა გადაურბინა მთელს ტანზე, თვალებიდან რამდენიმე კურცხალი გადმოედინა და პატრონის სახეზე დაფარებულ ფაფახს დაეცა.

შევეცი, სასწრაფოდ უკან გამოვბრუნდი და ზაკურდაევს წამოვეწიე.

— აფანასი იგნატიევიჩ, — მეც ფელდფებელივით წამოვიწიე ჩურჩული, მაგრამ ზაკურდაევმა კვლავ გამაფრთხილებლად ასწია ხელი და ძირს, მიწაზე მანიშნა. ჩვენს ფერხთით, ერთ რიგად ოთხნი იწვნენ: თეთრწვერა, ფაფახიანი ბერიკაცი, ლაზლის თავსაფრით პირმობურული მოხუცი ქალი, თავსაფრიდან გრძელი, შექალარავებული თმა რომ მოუჩანდა, მოზრდილი ბიჭი, გვერდზე რომ იწვა და ისე მოკუნტულიყო, მუხლები ნიკაპთან მიეტანა, და ახალგაზრდა ქალი, ბეშმეთი და პერანგი რომ გაელეღა და თეთრი, დაცვარული მკერდი მოუჩანდა. ოდნავ გაეხსნა მაგრად მოკუმული ბაგეების კუთხეები, და ასე უძრავი რომ არ ყოფილიყო, იფიქრებდით, იღიმებო. ცალი ხელი გვერდზე გადაეგდო — ბავშვის პერანგი ჰქონდა მომუჭული. მიმოვხედე, ბავშვს ვეიებდი, მაგრამ არსად ჩანდა. ნეტა იგი ხომ არ იყო, ღამით რომ ტიროდა?

კვლავ შევხედე ბიჭს — ზურგი ჩემსკენ მოექცია და ბერიკაცს მისწოლოდა — და ისევე, როგორც ბავშვობისას, შიშისაგან ღამის დავიყვირე: ბერიკაცი ჯუბგას ყოფილ პატრონსა და იმ ტროიკოველ გლეხკაცს ჰგავდა. იგივე დანაოჭებული შუბლი, იგივე ჩაყანგებული კისერი, ქალარა წვერი და დაკოყრილი ხელები. მარჯვენა ხელის თითები გაეფარჩხა და ვხედავდი, ხელისგულზე როგორ ფენა-ფენად გადატყავებოდა კოყრები. წინა კბილებიც კი აკლდა. არ შეიძლებოდა, სამი სხვადასხვა ადამიანი ასე ჰგვანებოდა ერთმანეთს, არა, ალბათ შეჩვენებოდა.

ახლა ქალს დავაკვირდი. რა ღამაში იყო! გრძელი და ხშირი წამწამების ჩრდილი მოლურჯოდ ეფინა ქუთუთოებსა და ღაწვებზე, პატარა პირი ჰქონდა, სწორი და თხელი ცხვირი, პატარა ყურები — ერთზე ხშირი წაბლისფერი კულულები ეფარა, სახეც — თითქოს სპილოს ძვლისგან ნაქანდაკარი. მკვდარი რომ ასეთი იყო, რა მშვენიერი იქნებოდა ცოცხალი! მის ტანსაცმელსაც დავადგი თვალი — ვარდისფერ ბეშმეთზე მეტალის საკინძე ჰქონდა, მალალსაყელოიანი პერანგი, ქვემოთკან დავიწროებული შეიდიში, პატარა ფეხებზედაც ღამაში, წითელი წაღები. ნეტა მუდამ ასე ფაქიზად იცვამდა ხოლმე, თუ მხოლოდ სიკვდილის წინ ჩაიცვა ახლები, რათა ღამაზად მორთული წარსდგომოდა ალაჰს?

— აფანასი იგნატიევიჩი! — კვლავ გავეხმიანე ბერიკაცს.

იგი მკვეთრად მობრუნდა და, იმედროულად, უცებ შეინძრა დედაბრის გვამი. მოულოდნელობისაგან ისე შეეკრთი, გამობრუნების ძალაც კი არ მქონდა დედაბერი შეინძრა, სახიდან თავშალი მოიძრო, ისე გულგრილად და უგულის-ყუროდ შემოგვხედა, თითქოს აჩრდილები ვყოფილიყავით, რაღაც წინაშეუტეხად და ისევ დაიფარა თავშალი.

— ხელს ნუ გვიშლით, გვაცალეთ სიკვდილი, — ნელა, სიტყვა-სიტყვით წარმოთქვა ზაკურდაევმა და მივხვდი, მოხუცის ნათქვამი გვითარგმნა. ყელში გორგალი ამომაწვა. მოხუცი მთიელის სახეზე დადლილობისა და ყოველივესაგან განდგომის ისეთივე იერი შევნიშნე, დედაჩემს რომ ჰქონდა მამაჩემის გარდაცვალების შემდეგ.

მოვბრუნდი, მეტად არ მინდოდა დამენახა დედაბრის გამოფიტული სხეული. ისე მსუბუქი იყო, მომეჩვენა, ბალახიც კი არ გათელილიყო მის ტანქვეშ. ამ დროს რაღაცამ მაიძულა, უკან მიმეხედა. შორიახლოს მწოლარე, გულზე ხელებდაჭდობილი კაცის ცოცხალი თვალები დავინახე. მზე დანათოდა მის გაშეშებულ შუბლს, ცხვირსა და ლაწვებს, უციმციმებდა მუქ-ყავისფერ თვალებს, რომლებშიაც, ისევე, როგორც დედაბრის თვალებში, არც ტანჯვა ჩანდა, არც სიძულვილი. განსხვავება მხოლოდ ის იყო — მისთვის მე ვარსებობდი, მოხუცი ქალივით კი არ იყურებოდა ჩემს მიღმა, მე მიმზერდა, სწორედ მე, დაკვირვებით, თვალდაუხამხამებლად შემომცქეროდა. თავი მივაბრუნე, მაგრამ აღმოჩნდა, რომ მართლაც ამ მთიელს კი არ გაუხელია თვალები, არამედ სხვებსაც, აქამდე რომ მკვდრებად მიმაჩნდნენ. ახლა კი ვიცი, რომ რამდენიმე ადამიანიღა მიცქეროდა, მაგრამ მაშინ მომეჩვენა — ყველა, ყველა მიცქერის-მეთქი, ვერსად წავუვიდოდი ამ თვალებს. ყველგან, საითაც არ უნდა მივბრუნებულყავი, მათ მზერას ვაწყდებოდი, თითქოს შემოსევაათ...

შემდეგ ყველაფერი ამერია თავში და აღარაფერი მახსოვს, დღემდეც არ ვიცი, რა დამემართა. იქნებ ვცდილობდი, ამ მინდვრიდან გამეყვანა და გადამერჩინა დედაბერი, მაგრამ ალბათ ვცვიროდი მხოლოდ — გადავარჩინოთ-მეთქი. ზოგჯერ მგონია, თითქოს ახალგაზრდა ქალი ავიტატე და სადღაც გავარბენინე, ხოლო ზაკურდაევმა და ფელდფებელმა არ დამანებეს, დამიჭირეს. ვფიქრობ, არც ეს ყოფილა.

ზღვის პირას, სიმაგრის შორიახლოს მოვეგე გონს. ზაკურდაევს მხრებით ვეჭირე, ფელდფებელი კი სპილენძის თუნგით სახეზე წყალს მასხამდა. სული შემეხუთა, გასხლტომას ვლამობდი.

— დაწყნარდი, დაწყნარდი, — მითხრა ზაკურდაევმა, — პირი შეიმშრალე და წამოაყეჭი.

ჯერაც დარეტიანებული და ილაჩგაწყვეტილი გახლდით, ზურგით მივეყრდნე ხის დაკორილ ზროს. ზაკურდაევიც გვერდით მომიჯდა, უბიდან მათარა ამოიღო და მომაწოდა.

დავლიე რომი.

ფელდფებელი წავიდა, მხოლოდ ერთხელ მოიხედა, ჩემს შემდეგ ზაკურდაევმაც რამდენჯერმე მოიყუდა მათარა. არაფერი გამომიკითხავს, უკვე ისედაც ყველაფერი ვიცოდი. უფროწაკვრით ვუსმენდი, როგორ ბუტბუტებდა:

— აი მაგათ, მანდ რო წვანან, თავიანთი უხუცესი ერთთავად თურქეთში წასვლას ჩახიჩინებდა. დიდხანს არ თანხმდებოდნენ, მაგრამ... ხომ ხედავ, რა

უბედური დროა. შეგროვდნენ, ჩამოვიდნენ ბარში, აქ კი უცებ გაჩვენს, არც თურქეთში ელით თურმე თაფლი და შაქარი. ადრე წასულებიდან ზოგიერთმა უკან გამოსხლტომა მოახერხა და ამბავი მოიტანა: თურმე თურქთა ფაშები ჩერქეზებს ქალტაში ჰყრიან, ირგვლივ იანიჩრებს მიუყენებენ და შიმშილით ხოცავენ. ამის მერე სადღა უნდა წავიდნენ? ჰოდა, დაწვნიენ აგერ ერთად და კვდებიან. ჩემს რაზმს გვაშები გააქვს, მარხავენ... ის მათი უხუცესი კი სადღაც მიიძალა, იქნებ თურქეთში გაცოცხლა, ან იქნებ სადმე ყუბანშია მოყუჩებული. აკი ჩვენს სამსახურში გამოგზავნა თავისი ვაჟი. ვნახე მე ის ყმაწვილი — პრაპორშჩიკი ახმეტუკოვი; მაგარი ცხენოსანია, ისეთი რიხიანი ვინმე, მეტი რომ არ იქნება! აი, რა ამბები ხდება.

— ჰო, მაგრამ თურქები შიმშილით რაღაზე ხოცავენ? — ვკითხე უნდომლად. — აკი თვითონ ეპატიუებოდნენ...

— გადატვირთვა მოუვიდათ, ძმობილო... ასი ათასი თუ, არ ვიცი, რამდენი კაცი უკვე მიიღეს, ჯარისთვის თავსაყრელად ჰყოფნით, მეტს ვერ გამოკვებავენ, ესენი კი დაუკითხავად მიდიან და მიდიან. ჰოდა, აღარ უნდათ მეტი... მეც საკუთარი დარდი მაქვს, ის ჩემი ურჯუკი...

— ვინა? — კვლავ ვკითხე.

— გენერალი ევდოკიმოვი, მეტი ვინა! მტუქსავს, ცუდად ირჯებიან! მე ხომ მისგან მაქვს დავალებული — გადასახლებაში ხელი შევეუწყო ჩერქეზებს. ბულალტერიაც უნდა ვაწარმოო, ესე იგი, უნდა აღვსუსხო — გუშინ რამდენი კაცი მოკვდა ან თურქეთს გაემგზავრა, დღეს რამდენი... ყოველკვირეულ პატაკს ვუგზავნი ხოლმე. ევდოკიმოვი კი, რასაკვირველია, ისევ ითხოვს: შეამცირეთ, მალე შეამცირეთ ჩერქეზთა ნუსხაო. ზოგიერთი ოფიცერი, აქაოდა უფროსს თავი მოვაწონო, თვალს უხვევს, ასი ჩერქეზი თუ წავიდა, იგი ორასს წერს ხოლმე...

მინდოდა გამეჩუმებინა ზაკურდაევი, მაგრამ ხელი ჩავიქნიე. რისთვის უნდა გამეჩუმებინა? რა მნიშვნელობა ჰქონდა ახლა ამას? ალბათ მომაკვდავი ჩერქეზებისადმი თავისი თანაგრძნობა ვერვისთვის გაუზიარებია. ეტყობა, მეც ამიტომ წამიყვანა იმ მინდორზე.

— იცი, ერთმა თურქმა რა მოიფიქრა? — ბუტბუტებდა ზაკურდაევი. — ჩერქეზებს სამგზავრო ქირა რომ მივეცი, გაიყვანა გემი ზღვაში, ძირი გაუხვრიტა და მგზავრებიანად დაუშვა ფსკერისაკენ. ეს უფრო სარგებლიანი ეჩვენა, ვიდრე ხალხის კვება და თავის ადგილზე ჩაყვანა...

მეტად აღარ მეწადა მისი მოსმენა.

დაბადებიდანვე ვიცოდნი: ადამიანი სიბერით, ავადმყოფობით, ტყვიითა თუ ხანჯლით, საწამლავეთ, ზღვაში გემის დაღუპვითა თუ ხანძრით კვდებოდა. აქ კი იმიტომ იხოცებოდნენ, რომ სხვა გზა არ ჰქონდათ სიკვდილის გარდა, უკიდურესი სასოწარკვეთილებისაგან იხოცებოდნენ, თანაც თითო-თითოდ კი არა, მთელი ოჯახობით ჰქრებოდნენ ნელ-ნელა. თვით სიკვდილსაც უცნაური იერი ჰქონდა. მან ყოველგვარ აღწერასა თუ ნაამბობზე უკეთ ამიხსნა ჩერქეზთა უდიდესი რწმენა იმისა, რომ კი არ გაქრებოდნენ, სხვა სამყაროში გადავიდოდნენ და იქ გააგრძელებდნენ სიცოცხლეს. „ყველანი, ყველანი სამოთხეში მოხვდებიან“, — აკი ასე ჩამჩურჩულა ფელდფებელმა, რომელმაც თუმცა თავისებურად, მაგრამ მაინც სწორად აღიქვა ამქვეყნიური ცხოვრებიდან ამ მისთვის უცხო ხალხის გარდასვლა.

— აფანასი იჭნატიევიჩი, ვკითხე ბერიკაცს, — ბავშვი სადღაა? ვინსოვს, აი იმ ჩერქეზი ქალის ბავშვი? რა, დედაზე აღრე მოკვდა?

— ბავშვები დედაზე აღრე არ კვდებიან ხოლმე. დედა სულ რომ ვაცვივდება, ბავშვი მაინც წოვს და წოვს ძუძუს. ალბათ თურქებმა წაიყვანეს.

„კაცისმკვლელი! — უხმოდ ვუთხარი საკუთარ თავს. — დამნაშავე და კაცისმკვლელი ხარ!“ ვიჭეჭი დაკორძილი ხის ქვეშ, მთვრალი ბერიკაცის გვერდით, და ერთთავად ამ სიტყვებს ვიმეორებდი, არც არავის ვემალებოდი, არც უფროსობასა თუ უმცროსობას ვლანძღავდი, არც სამშობლოს სამსახურს ვიფარებდი, არც მხედრული მოვალეობისა და ფიცის აღსრულებას ვიმოწმებდი და არც ისტორიის უღმობელოებას, ხან ერთ და ხან მეორე ხალხს თავის ბორბლებში რომ მოიქცევს ხოლმე — მხოლოდ საკუთარ თავს ვერჩოდი.

სანამ ჩვენ აქეთ, წაბლის ხის ძირას ვისხედით, ზღვის ნაპირას რამდენიმე ჩერქეზი გამოჩნდა, ერთ მათგანს სადავით ცხენი მოჰყავდა. მივიდნენ ჯარისკაცები, შეათვალიერეს ჩერქეზები და წავიდნენ. უახლოესი გემიდან კანჯო გამოცურდა.

ზაკურდაევი ხვნეშით წამოდგა და მთიელებისაკენ გაემართა, რალაც ჰკითხა მათ. კანჯო მორებით შეკოწიწებულ ნავმისადგომთან შეჩერდა. გადმოვიდა ვიღაც ზონზროხა თურქი, ჩალმა ეხურა, საყურე ეკეთა—მზეზე უბრწყინავდა და შორიდან ჩანდა — და ჩერქეზებს ლაპარაკი დაუწყო. ჩერქეზები რალაცაზე გაცხარებით ეკამათებოდნენ თავისიანს, იმას, ცხენი რომ ეჭირა. შორიდან როგორც გავარჩიე, ყაბარდოული ცხენი იყო, ჯუგბას ჰგავდა. მთიელი უარის ნიშნად აქნევდა თავს, არ ეთანხმებოდა დანარჩენებს. ზაკურდაევმაც უთხრა რალაც, მაგრამ მთიელმა გაუღიმა და კვლავ თავი გააქნია. ცხენს ხელი შეუშვა — ზურგს უკან ედგა ცხენი, თავი პატრონის მხარზე ჩამოედო. ჩერქეზები კანჯოში ჩასხდნენ და ნაპირს გასცილდნენ. როცა კანჯო გემს მიადგა და ხალხიც გემბანზე ავიდა, ნაპირზე დარჩენილმა მთიელმა თოფი გადმოიღო, ჰაერში დასცალა, მოიქნია და ზღვაში ჩააგდო. მერე ქამარ-ხანჯალიც მოიხსნა, ისიც ზღვაში გადააგდო და ფერდობი ჩაირბინა, ზღვის პირს მიადგა. მოისმა სტვენა. ცხენმა ისკუპა და ძირს, პატრონის ან ჩახტა. მთიელმა კისერზე მოჰხვია ხელი, ტალღებში შეიყვანა და თვითონაც შესცურა.

ვიფქრე, გემთან მივლენ და თურქები ორივეს აიყვანენ-მეთქი, მაგრამ ცხენის ფაფ რსჩაჭიდებულმა ჩერქეზმა გემს ჩაუარა და წინ გასცურა. ნელ-ნელა შორს და შორს მიცურავდნენ კაცი და ცხენი, ხან იკარგებოდნენ ტალღებში, ხან კვლავ ჩნდებოდნენ, სანამ სულ არ მიიკარგნენ თვალსაწიერზე.

ყოველივე იმის შემდეგ, რაც მინდორში ვიხილე, უკვე აღარ გავუოცებივარ ამ ამაყს კვდილს, მხოლოდ ეს გავიფიქრე: „აი, საშენო მაგალითი! დროა ისწავლო, რამ ასე უბრალოდ გაუსწორო ცხოვრებას ანგარიში. წასვლის წინ კარი რატომ ღნდა მიიჭახუნო კაცმა? სულ ერთია, ამით მაინც არაფერი შეიცვლება. რამნიშვნელობა აქვს, მერე რას იტყვიან შენზე?“ მივხვდი, ზღვაში თავს ვერ დავიხრჩობდი, საამისოდ ნებისყოფა არ მეყოფოდა, და გადავწყვიტე, შუბლში ტყვიას კიკრავ, თანაც აქ კი არა, ზაკურდაევი რომ არ შევაწუხო, პოლკში ჩავალ და მერე-მეთქი. თუ მოთმინება არ მეყოფოდა, გზაში მოვიკლავდი თავს.

დაბრუნდა ზაკურდაევი, ერთხანს ჩუმად იდგა ჩემს გვერდით, მერე ტაკიმა-სხარასავით გამომეჭიმა და მომახსენა:

— სადილი მზადაა, ბატონო პორუჩიკო. გთხოვთ.

გულგრილად შევხედე. ჩვენს შორის უკვე კედელი გაჩნდა, საბოლოოდ გვაშორიშორებდა ეს კედელი. ყველაფერი აქ, ამ მიწაზე რჩებოდა. ზაკურდაევიც, ხეხელა ფელდფებელიც, დენშჩიკიც, სიმაგრეც, კონცხიც, ზღვაც, ის მინდორიც, მე კი უკვე იქით გადავდგი ცალი ფეხი. ახლა როგორც ვეხებოდა ვეებერთელა განსხვავებაა აფექტისეულ თვითმკვლელობასა — რომელიც მუდამ შემთხვევითია — და იმ თვითმკვლელობას შორის, ერთადერთი შესაძლო გამოსავალი რომ არის ჩიხიდან, სადაც თავისი ნება-სურვილის წინააღმდეგ შეაგდეს კაცი.

საიდანღაც ახალგაზრდა, ტანადი მთიელი გამოჩნდა, ზაკურდაევთან მივიდა. შევნიშნე, რომ ბერიკაცს სახე გაეზადრა. რაღაც ილაპარაკეს რუსულად, თან მინდვრისაკენ იხედებოდნენ, მერე მთიელი წავიდა.

— ჩემი ნაცნობია, — ამიხსნა კაპიტანმა, — გახსოვს, მომღერალი ოზერმესის ამბავს რომ გიყვებოდით? მომაკვდავებს მოაკითხა...

სადილის შემდეგ უკანვე, ანდა, როგორც ერთგვარი თავმოწონებით გავიფიქრე — იმ ქვეყანას წასასვლელად გავემზადე, მაგრამ მასპინძელმა უარი მითხრა, მარტოკას ვერ გაგიშვებ, ხვალ სულ ერთია, მაინც შეიკრიკი უნდა გავაგზავნო ოლქშიო. წინააღმდეგობას აზრი არა ჰქონდა, თანაც რა მნიშვნელობა აქვს, ერთი დღით ადრე თუ გვიან... ზაკურდაევი რაღაც თავის საქმეზე გავიდა, მე კი ტახტზე წამოვწექი და კედლის თაროზე ერთი გაქუცული წიგნი მოვიხელთე, არც თავი ჰქონდა და არც ბოლო, გიმნაზიელებისა და სამხედრო სასწავლებლებისათვის შედგენილი ისტორიის სახელმძღვანელო ჩანდა. ძველთაგანვე შემჩნეულია, კაცს ფეხი რომ დაუცდებდა, მერე სულ ამას უკიჟინებენ ხოლმე. მართლაც, წიგნი გადავშალე თუ არა, შეიდგზის ნაცოლარი, დიდი მექალთანე ივანე მრისხანის ცხოვრება მომხვდა თვალში. როცა მეფეს რუსი ქალი მოჰყირჭებია, ჩერქეზი გოშანაი მიჰგვარეს, ყმაწვილი ქალი, უფრო მარია ტემრიუკოვნას სახელით ცნობილი. გოშანაის რომ ჰკოცნიდა, მეფე ამით თითქოს ამბორს-ჰყოფდა იმ ადილეელ და ყაბარდოელ თავადებს, მანამდე თავმოდრევილ ელჩებად რომ ეახლნენ და თურქებისა და ყირიმის ხანისგან დაცვა, მფარველობა შესთხოვეს. მეფემ ხანის წინააღმდეგ ორი რაზმი გაგზავნა და ამით ყაბარდოს მიწების, ჩერქეზთა და მთიელთა მეფის ტიტულიც შეიმატა, თან ელჩების დაპირებაც მიიღო — ყოველწლიურად ათას ბედაურს აღუთქვამდნენ, ამასთან ოცი ათასი მეომარიც უნდა გამოეყვანათ ომსა თუ სამხედრო სამსახურში... ისედაც გულმოდმარული გახლდით და კითხვას თავი მივანებე, წიგნი თაროზევე შემოვდე — ეტყობა ერთადერთი ცალი ჰქონდა ზაკურდაევს. ნეტა ვის ძალუძს, გონების თვალით ჩასწვდეს ისტორიის ჩარხის ტრიალს?! აკი, როგორც მახსოვს, ადილეელი თავადები პავლე I-საც თხოვდნენ ქვეშევრდომობას, რაზედაც მეფემ ცივი უარი თქვა — ჩვენს ეხვირპაჭუა თვითმპყრობელს ოტომანთა პორტასთან ურთიერთობის გამწვავებისა შეეშინდა.

იმ დროს მე ჯერაც არ გამეგებოდა ჩერქეზებს, ჩვენსა და თურქეთს შორის გაბმული ურთიერთობის მთელი სირთულე, მაგრამ რამდენიმე თვის შემდეგ მივხვდი, რომ შავსულთა უმრავლესობა თურქებსაც არ ენდობოდა და ოტომანთა პორტის მოციქულების — მოღებისა და ფაშების დაპირებებში, მათ ტყბილ სიტყვებში მთიელთა მიწებისადმი ხარბი ლტოლვა ესახებოდათ. მერე და მერე შეწუხებულები მიყვებოდნენ, რომ მრავალი მთიელი აჰყვა ტყუილს და მიურიდი გახდა (ესენი წარმოადგენდნენ ერთგვარ მორჩილებს, რომელთაც ამქვეყნიური ცხოვრებიდან განდგომისა და ალაპის სამსახურის გზა აირჩიეს), ქადაგებდნენ

პაზავათს — ყოველი ურჯულოს წინააღმდეგ საღვთო ომს და იატაგანით ხელში თავს ესხმოდნენ არა მარტო რუსებს, არამედ თავისუფლებისმოყვარე თავისიანებსაც კი.

ფანჯრის მიღმა უკვე დასავლეთისკენ გადასულიყო მეწამულე ^{ერისუფლის} მწვენი ^{მწვენი} მწვენი ^{მწვენი} ლოდ მომინდა მაგრად დათრობა და კიდევ დავითვერი ვახშამზე.

ღამით ძილი არ მომეკარა, ერთთავად ვკიცხავდი ჩემს თავს აქ დარჩენის გამო, სოხანეზე გაგებულ ნაბადში გახვეული ზაკურდაევის ხვრინვაც სულს მიწრიალებდა, მალიზიანებდა. ისევ ავდექი და გარეთ გავედი. გუშაგმა ჭიშკარი გამიღო.

— შორს არ წახვიდეთ, თქვენო კეთილშობილებავ, რაიმე არ მოგივიდეთ. ბადრი მთვარე ქათქათებდა. ზღვა ეხეთქებოდა ნაპირს, კენჭებს აჩხრიალებდა. ერთი გემი წასულიყო, დანარჩენებზე კვლავ ციმციმებდა სინათლე. უნებურად იმ ცხენიან მთიელს დავუწყე ძებნა და გავიფიქრე, ნეტავი რამდენ ხანს შეუძლია ცხენს ცურვა და პირველად რომელი დაიბრჩო-მეთქი. ისინი უკვე კარგა ხანია სხვა ქვეყანაში არიან... წყალზე აციმციმებული მთვარის ბილიკი შორს, პორიზონტისაკენ მიხმობდა.

კონცხისაკენ შევუხვიე. იმიტომ კი არა, რომ მინდორი მიზიდავდა, როგორც მკვლელს იზიდავს ხოლმე დანაშაულის ჩადენის ადგილი, უბრალოდ მინდოდა სადმე წავსულიყავი და ნაცნობ გზას დავადექი. გამოჩნდა ჩაბნელებული ბუჩქნარი. ბუჩქების მიღმა ვიღაც ნაღვლიანად მღეროდა. გადავწიე ქვერი და ხეებთან მდგარი ვიღაც მთიელი დავინახე. იმანაც შემნიშნა.

მოვბრუნდი, წამოსვლა მინდოდა, და ბუჩქებში მიწოლილ ადამიანს კი გადავაწყდი. სახეზე ხელი შევახე — მკვდარი იყო. ტანში ჟრუანტელმა დამიარა. მომაკვდავმა და ცნობამიხდილმა ალბათ მარტოოდენ სიცოცხლის ინსტინქტის კარნახით შეძლო მინდვრიდან გამოცოცება. საეჭვოა, ამ ყრუ ტევრში ჯარისკაცებს გვამი ეპოვათ. ვძლიე თავს, მიცვალებულს დავწვდი და, რაკი სულაც არ იყო მძიმე, ადვილად გადავიტანე მინდორში, თავისიანებთან დავასვენე. უველაფერი, რაც კი გულში დამიგროვდა და ყელში გორგალივით ამომაწვა, უცებ ამოსკდა და ქვითინი დავიწყე. გამოვბრუნდი. ანაზღად რაღაც შრიალი შემომესმა. შორიახლოს მაღალი მთიელი იდგა და დაკვირვებით შემომცქეროდა. ეტყობა ის იყო, დღისით ზაკურდაევთან რომ ვნახე.

— ოზერმესი ხარ?

ნელა მომიახლოვდა. სიზმარს ჰგავდა ყოველივე: მთვარის მკვეთრი, უსიცოცხლო შუქი, მინდორზე დაფენილი, უკვე საგრანობლად შემეჩხერებული ხალხი, ნაპირზე მოხლილი ტალღების ყრუ ნჩქლევა, დიდი შავი პეპელა, უხმოდ რომ გვერდით ჩამიფრინდა და ეს ჩოხოსანი, ფაფახიანი კაცი, ქუდის ჩრდილი შუბლსა და თვალებზე რომ სცემდა და ხელში რაღაც მუსიკალური საკრავი ეჭირა. არ ვიცოდი, ჩახვდებოდა თუ არა ჩემს საქციელს. გამახსენდა, რუსული რომ იცოდა, ჩემი და ზაკურდაევის ყონალობა ვუთხარი და ვკითხე, შენ ხომ არ მღეროდ-მეთქი. მე ვმღეროდით, მითხრა, სწორად და მკაფიოდ გამოთქვამდა რუსულ სიტყვებს. თურმე ეხვეწებოდა ხალხს: ადექით და იქ წამოდით, სადაც ომი არ არისო, ამათ კი არა სჯეროდათ, ასე უთქვამთ: უკვე აღარ არის სიცოცხლე. სიკვდილმა შეჭამაო. მაშინ სიმღერა დაუწყია...

უცნაური, კვლავ სიზმრისეული ჩანდა ჩვენი საუბარი. პასუხს რომ გამცემდა, კარგა ხანს ვდუმდი, მერე კვლავ ვკითხავდი რამეს, რაც მაინტერესებდა.

ვკითხე: მე რომ მოვედი, რას მღეროდი-მეთქი. გამოთხოვების სიმღერა ყოფილა, დედა როგორ ეთხოვება თავის ვაჟიშვილს... მერე მითხრა, შეჩქარება, ახლა უნდა წავიდეთ.

— უკაცრავად ვარ და, ერთი რამე უნდა გკითხო, — მითხრა, — რატომ გადმოიყვანე მიცვალებული და რატომ ატირდი? ნაცნობი რუსი შენ?

თავი უარის ნიშნად გავაქნიე, მაგრამ პასუხი გამიძნელდა, — აბა, როგორ ვითხრა?..

— რაღაც დარდი გაქვს, არა? — კვლავ ჩამეძია.

— მებრალება ესენი. — ხელი მინდვრისკენ გავიშვირე.

— ა-ჰა, — დაყოვნებით თქვა, — მესმის. ზოგჯერ ჩვენშიაც დაიტირებენ ხოლმე მტერს, ვაჟკაცურად დაღუპულს.

თავისებურად გაიგო ჩემი ნათქვამი.

— არა, — ვუთხარი მე — ამიტომ არა... მეც აღარ მიდგას სული...

ერთხანს ჩემს სიტყვებს ჩაუკვირდა, მერე მკითხა:

— სიკვდილი გინდა?

— ჰო. — თითი საფეთქელზე მივიღე და ენა გავაწკლაპუნე.

გაოცდა, თვალი მომაშტერა: მაშინ ჯერაც არ ვიცოდი, მთიელები თავს რომ არ იკლავენ ხოლმე. ისინი გმობენ თვითმკვლელობას, როგორც ჩვენი ეკლესია გმობს. საკუთარი თავის მოკვლა — ცოდვად ითვლება. ადამიანს შეუძლია მხოლოდ ხელი შეუწყოს სიკვდილის მოახლოებას, წაყვანით კი თვითონ სიკვდილმა უნდა წაიყვანოს სულიერი.

— მე ერთი რუსი ყონალი მყავს, — თქვა ოზერმესმა. — ალია ჰქვია, თქვენებურად ილია. ჩვენთან ბრძოლა არ უნდოდა და ახლა აულში ცხოვრობს. თუ გინდა, შემიძლია წაგიყვანო.

სისხლი ამიძვრიალდა საფეთქლებში. როგორ მოხდა, რომ აქამდე ვერ მოვისაზრე?..

— კარგი, ოზერმეს, წამოგყვები.

მითხრა, ზღვის პირას, კლდესთან დამელოდე, სანამ მე მინდორზე გავალ და ხალხს გამოვემშვიდობებო.

ზღვისკენ წავეხეტე, ხავსიან კლდესთან დავდექი და გავიფიქრე, საცაა გარულდება სიზმარი და ზაკურდაევის ხვრინვა გამომალევიძებს-მეთქი ტახტზე მწოლარეს. ზღვა თორთქოლებდა, მთვარის ათინათი გადარბოდა ტალღებზე. შემცივდა. საით მივყავარ ბედს? განა სულერთი არ არის? ბოლოს და ბოლოს რა განსხვავებაა, თავს მოიკლავ თუ უცნობი მომავლისაკენ გაემართები, იმ ჩიხიდან გამოსასვლელს იპოვი, რომლის არსებობასაც აქამდე ვერ ხვდებოდი? ზაკურდაევი გამახსენდა, განგაშს ატეხს დილით, მაგრამ არ ღირს მისთვის ბარათის დატოვება, ჯობს არავინ იცოდეს ჩემი ასავალ-დასავალი, დედაჩემსაც ჩემი დაბრუნების იმედი და მოლოდინი უფრო გაუადვილდება, ვიდრე ჩემი სიკვდილის ცნობის მიღება. მერე აქ, გადასახლებაში მომწერა — მართლაც არ დაუჭერებია მითქმა-მოთქმა ჩემი დაღუპვის შესახებ. ყველაფერი რომ გაიგო, ისევე გამამართლა, როგორც ამქვეყნად ყველა დედა ამართლებს ხოლმე თავის შვილს.

ველარ გავიგე ოზერმესის ნაბიჯთა ჩქამი. თითქოს მიწიდან ამოძვრა.

საითქენლაც წავედით — ჯერ კონცხი გავიარეთ, ზღვას გავცდით, ხან გორებზე ავდიოდით, ხან ლარტაფებში ვეშვებოდით, მივტოპავდით დეღეებს, სულ შორს და შორს მივდიოდით და ზღვაც სულ მარჯვნივ გვრჩებოდა, მთვარეც თა-

ნდათან დაბლა იწევდა და ბოლოს სულ ჩაიძირა წყალში. ნაბიჯი მაინც არ შეგვინელდება, მივაბიჯებდით სიბნელეში და კვლავ სიზმარში მეგონა თავი.

ახლა ბუნდოვნად ვიხსენებ, რას ვლაპარაკობდით. ალბათ, რაც მანდორი დავტოვეთ, ორი საათი იქნებოდა გასული, როცა ოზერმესმა, თითქოს სუცებ გონს მოვიდაო, მკითხა:

— როგორა ხარ? როგორა ცხოვრობ?

— გმადლობ. — მივუგე გაოცებულმა.

— იმედი მაქვს, ოჯახი კარგად და ჯანმრთელადა გყავს?

მივხვდი, ოზერმესის ეს კითხვები ჩერქეზული ზრდილობის რიტუალს წარმოადგენდა, კვლავ მადლობა ვუთხარი და დავუმატე, მარტო დედა მყავს, აქედან შორს ცხოვრობს-მეთქი.

— ჯანმრთელობა ნუ მოაკლოს ალაჰმა. შენი სახელი მითხარი.

ვუთხარი სახელი. ოზერმესი ცოტა ხანს ჩაფიქრდა და ახლა ეს მკითხა:

— ჩვენი სტუმარი იქნები, იაკუბ, თუ აულში დასახლდები?

იაკუბი — აი რა მერქმევა. მთიელებთან გადასვლა და მათთან ცხოვრება არასოდეს აზრადაც არ მომსვლია. ადრე, ზაკურდაევთან ჩემი საუბრის ამბავს რომ ვყვებოდი, აღვნიშნე: ისინი, ვისი სახელიც ისტორიაში შევა — დეკაბრისტები — ჩერქეზების მხარეზე არ გადადიოდნენ-მეთქი. მეპატიოს, რომ მათ გვერდით ჩემს თავს ვახსენებ, მაგრამ ერთი გამართლება კი მაქვს: სახელიანებსაც და უსახელოებსაც საერთო აქვთ ცრურწმენა და ცოდვები, ტოლს არ უდებენ ერთმანეთს. ოზერმესს რომ წამოვყევი, შათსულებთან კი არ მივდიოდი, გაბეზრებულ ცხოვრებას, სიკვდილს, ჩემივე თავს გავუბოდი. ახლა დავფიქრდი და მივხვდი: ადრე იქნებოდა თუ გვიან, ოზერმესის კითხვაზე მაინც მომიწევდა პასუხის გაცემა.

— თქვენთან ვიცხოვრებ, — ყოყმანით ვუთხარი.

— ჰაი, აფერიმ! — ჩვეულ სიღინჯეს უღალატა და წამოიძახა ოზერმესმა.

— ამ ღამეში რად მივდივართ? საით გეჩქარება? — ვკითხე.

ბედმა წყალობა მიყო, ოზერმესი რომ გამომიგზავნა. მე თვითონაც რომ მომენდომებინა ჩერქეზეთში გადასვლა, გზაში უეჭველად ტყვიას მომაჭედებდა ვინმე — ან მთიელი აბრაგი, ან ჩვენს ფრეგატებს შორის სანდლით გამომსხლტარი თურქი კონტრაბანდისტი.

განთიადისას, როცა უკვე შეიძლებოდა შემჩნევა, რომ ოზერმესს ოდნავ მომწვანო, თაფლისფერი თვალები ჰქონდა, ვკითხე — მამაშენს რად არ გაჰყევი-მეთქი თურქეთში. ჩაფიქრდა.

— მამაჩემმა თქვა: კაცის სიცოცხლე მზის ამოსვლა და ჩასვლაა. ბევრი შათსული წავიდა, მზეს უნდა დაეწიონ. ჩემი ადგილიც მათთანაა. ახალგაზრდა რომ წავიყოლო, იგივე იქნება, დილით მზეს ამოსვლა არ დავანებო... კიდევ თქვა მამაჩემმა: მე ბევრი ვიცხოვრე, ბევრი ვნახე, აწ საითაც არ უნდა გადამაგლოს ქარმა, ჩემი სამშობლო მაინც ჩემთან იქნება. შენ კი ჯერ კარგად არ გაგიდგამს, არ გვამაგრებია ფესვები, შენ რომ წახვიდე, დაგავიწყდება შენი მიწა. და კიდევ თქვა მამაჩემმა: ორივენი რომ წავიდეთ, ვინლა იმღერებს, ჩვენი წარსულის ამბებს ვინლა მოუთხრობს იმათ, ვინც აწ დაიბადება? მამაჩემი სიტყვებით არასოდეს მასწავლიდა ხოლმე, სულ თვითონ იდგა ჩემს თვალწინ, მაგრამ წასვლის წინ მაინც მითხრა: კარგი ხმა ალაჰის მადლია, მაგრამ მგალობელი ფრინველი არაფრით

1 მთწონების გამოხატვა ჩერქეზულად.

სჯობს ირემს, ანდა ცხენს. ამიტომაც ჭეგუაქომ სხვებზე მალლა არასოდეს არ უნდა დააყენოს თავისთავი. მან თავისი საკუთარივით უნდა იფრინოს და სიმღერით განდევნოს სხვისი ტკივილი. ისეთ გმირობას არ უმღერო, რომელიც არ ჩაუდენიათ, და არც ისეთ სილაშაზეს, შენი თვალით რომ არ გინახავს. შენთვის იმ ჭეგუაქოს არ შემთავლდება, ვისი თვალი და ყური მუდამ ღიაა და ვისი წალებიც მუდამ გზის მტვრითაა დაფარული. თუ გინდა, შენი ზმა ტურის ჩხავილად არ იქცეს, არასოდეს უმღერო შურისძიებას, ჯალათებსა და დაღვრილ სისხლს.

დროებით რვეულის გვერდზე გადადება მომიხდა.

ენისეისკში გავემგზავრე, საჭირო საბუთების ამბავი უნდა გამეგო ერთი ნაცნობისაგან, რომლის სახელსაც, ბუნებრივია, აქ არ ვახსენებ. გავებული მქონდა, რომ მისი ნდობა შეიძლებოდა. მართლაც, სიამოვნებით იკისრა დახმარება, თანაც ჭერ გამოიკითხა, ვისზე უნდა გაკეთებულიყო საბუთები — აზნაურზე, ვაჭარზე თუ მოქალაქეზე. მე ეს უკანასკნელი ავირჩიე, რადგან აზნაური სინამდვილეს შეესაბამებოდა, ვაჭრისა ნაკლები აზოვანება და სიტლანქე მქონდა, სიფათიც — მეტიმეტად გონივრული, ეჭვს გამოიწვევდა. მოქალაქეს კი სავსებით ვგავარ — დაკოჟრილი ხელები, თხელი მუცელი და აზრიანი თვალები მაქვს. ნაცნობმა წიგნები მომცა და მითხრა — თუ დამიბრუნებ, „ოტეჩესტვენნიე ზაპისკის“ ნომერს გაგატან, შიგ ფ. დოსტოევსკის ბოლო რომანია დაბეჭდილიო. არ გამოვართვი, რადგანაც დოსტოევსკის კითხვისას ისე ვხდები, ლამის ავტირდევ კაცი. მადლობელი ვარ, „მკვდარი სახლის ჩანაწერებში“ ჩერქეზები კეთილი სიტყვით რომ მოიხსენია. ერთხანს ენისეისკში ვიხეტიალე — ქალაქი ისევ გაშენებულიყო 1869 წლის ხანძრის შემდეგ, შეიდასიოდე სახლი რომ შეიწირა — და ლამის გასათევად ისევ ნაცნობთან დავბრუნდი. არ მიყვარს ენისეისკი, ვაჭრობისა და გამორჩენის მონაა, რაც განსაკუთრებით აგვისტოს ბაზრობაზე ჩანს ხოლმე: ოქროს ყიდვა-გაყიდვა და სავაჭრო გარიგებები რომ ჩამთავრდება, ერთი ორომტრიალი იწყება, სამიკიტნოებში კუპრით თხუპნიან ხელზე მოსამსახურეებს, ტალახიან ქუჩებში ჩითის გრაგნილებს აფენენ, ჩამოსულ ტურეებს დედისობილა აბანავენ ბენ შამპანურ ღვინოში.

ნაცნობი აფორიაქებული დამხვდა, დაჯდომა შემთავაზა და ოთახში ბოლთის ცემას მოჰყვა, თან მოკლე წვერს იწიწვნიდა. მერე თავის საყვარელ ჩაღდონ ქალს, ხალხის თვალის ასახვევად საცოლედ რომ ჰყავდა შერაცხილი, გასთახა, ჩაი მოგვიმზადეო. სანამ სამოვარი აღუღდებოდა, გამაფრთხილა, რომ ერთიერთში ვილაპარაკებდით და მითხრა: დღეს მაცნობეს, პეტერბურგში ათასზე მეტი კაცი დაუპატიმრებიათ, საიდუმლო საზოგადოების წევრები, ხალხს რომ მოძღვრავდნენ და აკრძალულ ლიტერატურას ავრცელებდნენო. მერე ხმადაბლა დაუმატა:

— ახალი თავდასხმა ჰქონიათ განზრახული. თქვენ რას იტყვით ამაზე?

ჩავფიქრდი. ერთ დროს, მეფეზე კარაკოზოვის თავდასხმის ამბავი რომ გავიგე, გულზე ცეცხლი მომედო, დიდი ციებ-ციხლება ამიტყდა. უნდა გარდმოსულიყო უფლის სასჯელი — უსამართლობის, იცრუის, უდანაშაულოდ მოკლული ხალხის სისხლის წილ! მაგრამ ერთი რამ მაცბუნებდა: რისთვის შეაბრკოლა განგებამ მსროლელის ხელი, რისთვის ააცდინა კარაკოზოვმა მეფეს ტყვია?! იქნებ ეს მხოლოდ გაფრთხილება იყო? მაგრამ მაშინ შურისძიება, სასჯელი სადღაა?

— აბა რას იტყვი, რა აზრისა ხარ? — კითხვა გაიმეორა მასპინძელმა

მეც ის ეუბასუხე, რასაც ამ ბოლო წლების განმავლობაში ჩაგხვდით.

— რამდენიც არ უნდა ესროლო სხვას, ამით შენს თავს მაინც ვერაფერს

უშველი.

შინ რომ დავბრუნდი, ჩემი ნაწერები გადავიკითხე. აღმოჩნდა, რომ სიტყვა ჩერქეზის წარმოშობაზე არსად არაფერი მითქვამს, არადა, აუცილებლად დგება ეს საკითხი. ერთნი ირწმუნებიან, თითქოს ჩერქეზთა ტომების ფუძემდებელი ორი ძმა — ჩერი და კესი ყოფილა, სხვები მდინარე ჩერეკის სახელს იმორწმუნებენ — ამ მდინარის პირას ჩერქეზებს ურიცხვი თათარი გაუნადგურებიათ სასტიკ ბრძოლაში. ზოგიერთს ძირეულად ავარული სარ-კიასი მიაჩნია, რაც თავზეხელაღებულს ნიშნავს. ქართველები კი ადიღელებს ძველთაგანვე ჩერქეზებს ეძახიან, ეტყობა ერთ-ერთი უძველესი ადიღეური ტომის — კერკეტების სახელის მიხედვით. რომელი შეხედულებაა მართალი — არ ვიცი.

ისიც შევნიშნე, რომ დასაწყისში გაცხარებულ თხრობას მერე და მერე ხშირად ცვლის სევდა და მწუხარება, რაც სავსებით ბუნებრივია. ალბათ ამ ჩანაწერებს არც ერთი ეურნალი არ დაბეჭდავს, რადგან, ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, მეტისმეტად უპატივცემლოდ და დაფუძვებული ტონით ვიხსენიებ მეფეებსა და დიდ მთავარ მიხეილს, აგრეთვე თავად ბარიატინსკის. რაც მთავარია, თხრობა საკმაოდ გაჭიანურებულია. რასაკვირველია, მეც მწარე სიტკბოებას მომგერიდა ყველაფრის დაწვრილებით. დღიდან-დღემდე გახსენება, მაგრამ მაშინ ხომ ორი წელიც არ მეყოფოდა. Volens nolens, გულს ვიმოშმინებ და განზე ვტოვებ ხსოვნაში ასე ცხოვლად აღდგენილ უამრავ უძვირფასეს წვრილმანს.

მთავარი გრძნობა, რასაც ოზერმესსთან ერთად მგზავრობისას განვიცდიდი, იყო მძაფრი სიხარული — რაკი კვლავ ვცოცხლობდი, კვლავ შეძებლო სუნთქვა, ზეცის, მთების, თანდათან უკან დარჩენილი ზღვის ცქერა. თავს ძლივს ვიკაიებდი, რომ თიკანივით კუნტრუში არ დამეწყო და არც არაფერზე შემეძლო ფიქრი. ხანგრძლივი სიარულისაგან ფეხები მიყუოდა, მაგრამ გულმოდგინედ ვცდილობდი ჩემი წინამძღოლისათვის დაღლილობა არ მეგრძობინებინა.

მეორე დღეს, მზის ჩასვლისას, ოზერმესმა მიმიყვანა აულში, სადაც ერთი კაცი, სახელად აცელუკი კვდებოდა. ეს სახელი ღრმად ჩამრჩა მეხსიერებაში. თუმცა იმ ტანჯულს სინამდვილეში სხვა სახელი ერქვა.

შორიდან ყრუ მღერა ისმოდა ჩვენც იქითკენ გავეშურეთ. როგორც საღამოს გავიგე, შაფსულებს ჩვევად ჰქონიათ, ტკივილის დაძლევისა და სიკვდილის განდევნაში დაეხმარონ ავადმყოფს. ამ მიზნით, მთიელოს სახლში თავს იყრიდნენ ჭაბუკები და ქალიშვილები, მღეროდნენ, ცეკვავდნენ, სახალისო ამბებს ჰყვებოდნენ. მძიმედ დაჭრილს პირველ ღამეს დაძინების საშუალებას არ აძლევდნენ. კარის წინ გუთნის სახნისს დებდნენ ხოლმე და ყოველი მომსვლელი, სანამ სახლში შევიდოდა, რამდენჯერმე სცემდა რკინას, ამით მჭედელთა და მეომართა მფარველს — ტლეპუსს იხმობდნენ დასახმარებლად. ხალხის მონდომებამ ვერაფერი უშველა აცელუკს და ოზერმესის მოსაყვანად გაგზავნეს კაცი, იქნებ მომღერალმა შეძლოს და ძალ-ღონე დაუბრუნოსო. აქ, ანგარაზე, ავადმყოფი რომ მოძვობინდეს, ცეცხლი მხოლოდ ხეზე ხის ხახუნით უნდა გააჩაღონ, სხვაგვარად — აკრძალულია. ხოლო გადამდები სნეულება სხვა სოფელში რომ არ გავრცე-

ლდეს, რომელიმე გლეხი სოფლის ირგვლივ სახნისით თხრილს შემოატარებს ხოლმე. ყოველ მხარეს თავისი მაგია აქვს.

ოზერმესის მოსვლა, ვინ იცის, როგორ გაიგო სუყველამ სახლებიდან გამოდოდნენ კაცები და ქალები. პატივისცემით ესალმებოდნენ ოზერმესს და, მასთან ერთად, მეც. მერე და მერე მივხვდი, ასე რად უხაროდათ მისი მოსვლა — მთიელები განსაკუთრებულ პატივს სცემენ ხოლმე ჯეგუაკოს, მგოსანს, რომელსაც ერთადერთს აქვს უფლება იყოს ხელშეუხებელი, სიტყვით განსაჯოს ნებისმიერი ადამიანი, ისინი ინახავენ და თაობიდან თაობას გადასცემენ წარსულის ამბებს, კაცთა კეთილ და გმირულ საქმეებს, ინახავენ ადათ-წესებს, ყოველივე ამას კი უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა ისეთი ხალხისათვის, რომელსაც არ შეუქმნია, ანდა ამა თუ იმ მიზეზთა გამო დაჰკარგვია დამწერლობა.

რიდი მბოჭავდა მტრულ აულში შესულს, თავი მატყუარა და ცუდლუტი მეგონა. ვთქვათ და, ეფიქრათ, მზეერავად შემოპარულაო? ოზერმესს ვთხოვე და მან აუხსნა ხალხს, ვინც ვიყავი. ჩემდა გასაკვირად, გაეხარდათ, თვალეში სითბო ჩაუდგათ. მეც დავმშვიდდი, შვებით ამოვისუნთქე და მომავალზე ფიქრს მოვეშვი.

მომაკვდავთან მიგვაცილეს, შევედით სახლში. ფერმკრთალი, ჭადარა კაცი იწვა ტახტზე, ჯერ მოხუცი არ ეთქმოდა, არწივივით ცხვირი და ჩაცკენილი, ტანჯვით აღსავსე თვალეები ჰქონდა. მაშინვე მივხვდი, ჩერქეზი არ იყო. თვალი რომ გაახილა, ვკითხე:

— ვინა ხართ, რა მოგსვლიათ?

წამსვე მოცოცხლდა, გული აუჩუყდა, გამომიწოდა ცხელი ხელი და მთხოვა, ჩემთან ჩამოჯექო. როგორც თვითონ მითხრა, შტეფან ვისოცკი რქმევია.

— ღმერთმა გამომიგზავნა თქვენი თავი, — წარმოთქვა მან. — ძალიან ცდილობენ ჩემს მორჩენას, მაგრამ... ექიმი გახლავართ, ვიცი, არაფერი მეშველება. სანამ დრო მაქვს — არადა, დიდი დრო არ დამრჩენია — ჩემს ამბავს მოგიყვებით. ბედი სად არ წაიყვანს კაცს და, გთხოვთ, თუკი ოდესმე ვარშაეაში მოგიხდეთ ყოფნა, ვასილევსკის სახლი იკითხეთ კრაკოვის გარეუბანში, კოპერნიკის ძეგლთან, ჩემი ცოლი და ვაჟიშვილი ცხოვრობენ იქ... უთხარით ჩემი ამბავი... ნაპოლეონ III-ის იმედი გვქონდა, მაგრამ ბისმარკმა, პრუსიელებმა, რუსეთთან სამხედრო კონვენცია დადეს, ჩვენი აჯანყება ჩაახშობინეს რუსეთს... ჯერ, თავიდან დემონსტრაცია იყო, პოლონეთის დროშები მოჰქონდათ სტუდენტებს. თავისუფლება! ნებს ეიე პოლსკა! ვივატ! მაგრამ სტუდენტებს ტყვია დაუშინეს... ოცი ათასი კაცი შეიკრიბა დასაფლავებაზე. კვლავ ესროლეს უდანაშაულო ხალხს, კტური ზბირაშია მოდლიტვი!... — ვისოცკიმ პოლონური სიტყვები წამოაბოდა და უკვე ველარაფერს ვხვდებოდი. გონს რომ მოეგო, კვლავ ხელზე მომიჭირა ხელი: — მაპატიეთ, მე მიყვარს რუსეთი, თქვენი მეფე მძულს მხოლოდ. თქვენ ღირსეული კაცი ხართ, რაკი ჩერქეზებთან... არ გინდათ ეგ მუნდირი, გაიხადეთ, მე მაქვს ბეშმეთი, ჩოხა, ფაფახი... თქვენი იყოს, როცა მოვეკვდები. არა, არა, ნუ მეტყვით მადლობას...

კვლავ პოლონურად დაიწყო ლაპარაკი, მერე გაჩუმდა და ბურანში წავიდა. ოზერმესმა თავისი ქამანი აახშიანა, მაგრამ საეჭვოა ავადმყოფს რაიმე გაეგონა. მეორე დღეს მოკვდა. მგონი, ციებ-ცხელება ჰქონდა.

¹ რომლებიც შეიკრიბნენ სალოცავად. (პოლ.)

გამოვიკითხე მისი ამბავი — ამ აულში დიდი ხანი არ უცხოვრია, აქამდე კი შაფსულ მეომრებთან ერთად იბრძოდა თურმე მდინარე ტუაფსეს ვალში. ვიცი რომ ცხადი იყო — ბარიატინსკის მიერ პოლონეთის აჯანყების ჩახშობის შემდეგ ვისოცკის სამშობლოდან გამოქცევა მოუხერხებია. მაგრამ აქაც კარგად მოხერხდა ვერსად წაუვიდა რუსთა მეფის მრისხანე მარჯვენას. ახლა რომ ვამბობს, რომ გრძნობით მიწოდა ღირსეული კაცი, გული ტკივილით მეწურება.

ოზერმესმა მკითხა, როგორ დაგვესაფლავებინა აცელუკი — ქრისტიანი კაცი იყო და ალბათ კმაყოფილი იქნება, თუ ქრისტიანულ წესზე მიაბარებენ მიწასო. ჩემდაუნებურად მომიხდა გასვენების თავკაცობა, თუმცა ცოტათი ის მაცბუნებდა, ვისოცკი კათოლიკე რომ იყო, მე კი მართმადიდებელი. მაგრამ მთიელებთან ერთად ერთ სამარეში დაკრძალული ფელდიგერი გამახსენდა და ხელი ჩავიქნიე, მართმადიდებლური ლოცვა აღვაღვინე ყოფილი პოლონელი მეამბოხის ნეშტის წინაშე, მერე კი ოზერმესი დავიხმარე და საფლავზე ჯვარი აღვაშრეთ.

მიცვალეებულმა როგორც მთხოვა, შევუდექი მისი სამოსის ჩაცმას. სხვისი ოფლის სუნით გაჟღენთილი ბეშმეთის საყელო ყელზე რომ მომადგა, თითქოს ტანი გამიშეშდა, თითები დამეკრუნჩხა და ვერა და ვერ შევიბნეე ღილები. ბოლოს, როგორც იქნა, ჩავიცვი ჩოხა, თავზე შუბანი დავიფხატე, წელზე ქამარი შემოვირტყი — ყველაფერი ზუსტად მომერგო. გარეთ გამოსულმა ოზერმესს შევხედე და მანაც მოწონებით დამიქნია თავი. ჩემი მუნდირი და ქუდი სახლში დავტოვე. მაგრამ უნდა გამოვტყდე: ტანსაცმელი რომ გავიხადე, თითქოს რაღაც ჩამწყდა გულში. მუნდირი ხომ ჩვარია, მაგრამ მაინც ისე გავხდი, თითქოს ჭიბლარი გადამიჭრეს.

ვარშავაში ვერ მოვხვდი, საექვოც არის, რომ იქ წამიყვანოს ბედმა. მაგრამ თუკი ვინმე, ამ ჩანაწერების მკითხველთაგანი, პოლონეთში ჩავა, ნუ დაიზარებს და ვასილევსკის სახლი იკითხოს ვარშავაში, კრაკოვის გარეუბანში, კოპერნიკის ძეგლთან, და ამ ჩემი ნაამბობის მიხედვით მოჰყვეს, როგორ გარდაიცვალა შტეფან ვისოცკი, შაფსულებში აცელუკად ხმობილი. ღმერთმა გაანათლოს...

იქიდან რომ წამოვედი, მე და ოზერმესი უკვე აღარ ვჩქარობდით. ხარბად ვაკვირდებოდი ყველაფერს, შემოგარენის სიმშვიდით ვტკბებოდი და ცალი ყურით ვუსმენდი თანამგზავრს, აქაურ ტყეებში მობინადრე ნადირ-ფრინველის ამბებს რომ მიყვებოდა. აულები ხშირ-ხშირად გვხვდებოდა, ყველგან გულთბილად გვეპატიყებოდნენ და ჩვენც დასასვენებლად შევივლიდით ხოლმე. როცა გაიგებდნენ, მთიელებთან ცხოვრებას ვაპირებდი, აღტაცებულები „აფერიმს“ გაიძახოდნენ და მთხოვდნენ — ჩვენთან დარჩიო, მაგრამ ოზერმესს კვლავ შორს და შორს მივყავდი. აულიდან რომ გავიდოდით და შაფსულებიც გზას დაგვილოცავდნენ, გული მუდამ ჯავრით მევსებოდა: აბა ტროიციკოელ გლეხებს თუ გაეხარებოდათ ჩემი მისვლა, როგორც ამ უცხო ხალხს უხარია-მეთქი. გლეხები კი არა, მე რომ მე ვარ, ტროიციკოეში იმ მველ ჭკუაზე რომ მეცხოვრა და ვინმე მთიელი გამოჩენილიყო — თქვენთან დასახლება მინდაო, სიხარულს ვინ ჩივის, გაოცება და უნდობლობა ამიტანდა.

დავწერე ეს სტრიქონები და უცებ ისე მომენატრა მშობლიური ადგილები, გული საშინელმა, ლამის მხეცურმა სევდამ ამივსო. ნეტავი თვალი მაინც დამაჯვრევიანა ტროიციკოეს ქოხებისათვის, მომაეებნინა თანატოლები, ჩემი ყმაწვილური თამაშების მოზიარენი! იქნებ ტროიციკოეში შევიარო გზადმიმავალმა? ჩემი

ენისეისკელი ნაცნობი მეუბნებოდა, თითქოს გლეხთა ჯანყითა და ურჩობით და-
შინებულმა ზოგიერთმა შემამულემ კავკასიაში ჩერქეზები დაიქორავე — შიშის
ზარში ჰყავთ ხალხიო. ღმერთმა ნუ ქნას და ნუ მანახოს, ტრიცკოელ გლეხებს
მთიელთა რაზმი ზურგზე მათრახს უტლაშუნებდეს, ანდა ხანჯლებს უღერებდეს!

რაც უფრო ახლოს ვეცნობოდი ოზერმესს, მით უფრო ვეჭვებოდა. სიტ-
ყვაძვირი, დინჯი ჭაბუკი იყო, მაგრამ ყოველივე ამის მიღმა კეთილი გული იგრ-
ძნობოდა — ალბათ პირადად ჩემდამი კი არა, საერთოდ ყველასადმი, და ჩემზე-
დაც ვრცელდებოდა ეს გულის სითბო. რაიმეს მოყოლა რომ უნდოდა, ჯერ გაი-
გებდა, ვიყავი თუ არა მოსმენის გუნებაზე.

რამდენიმე დღის შემდეგ ღრმა, ჩაბინდული ხეობით ავალწიეთ შორეულ
თოვლიან ქედს, ბობოქარ პატარა მდინარეზე დაკიდული ხიდი გადავიარეთ, ერთ
მომცრო ქალაზე გავედით და გულმა მიკარნახა, სწორედ ამ აულში დამთავრდე-
ბოდა ჩვენი მოგზაურობა.

საყონალოში შესულებს ერთი ტანადი, მოხდენილი, წვერულვაშიანი კაცი
მოგვეგება. მაღალი შუბლი ჰქონდა, ხშირი შავი წარბები, ფიქრიანი თვალები.
ყველაზე უფრო მისი ლალი, ღირსეული თავდაჭერა მენიშნა. სულ პირველად
ასეთი ვიხილე აჭუკი — ჩემი მომავალი ქვისლი, სიკვდილამდეც ასეთივე დარჩა.

ოზერმესმა ჩემი ამბავი რომ უთხრა, აჭუკი რუსულად მომესალმა. ჩვენგან
გაქცეული ჯარისკაცებისაგან უსწავლია თურმე რუსული.

ზოგმა ჩერქეზმა რუსული რომ იცის, ამას ახსნა სჭირდება. ჩვენთვის აღი-
ღეური ენა ერთობ რთულია, მასში დაახლოებით სამოცდაათი ბგერაა ისეთი,
სხვა ენებში რომ არა გვხვდება. მაგრამ სმენამახვილ უბიხსა და შაფსულს სულაც
არ უჭირდა რუსული გამოთქმა. მეხსიერებაც კარგი ჰქონდათ. ერთხელ აჭუკის
პატარა ვაჟმა, ზაკირმა მოისმინა ჩემი და გამოქცეული ჯარისკაცის კნიშევის
საუბარი და ისე, რომ სიტყვების აზრი არც გაეგებოდა, ათიოდე ფრაზა გაიმეორა,
თან ჩვენს გაოცებაზედაც მხიარულად გაიცინა. კრიტიკოს ბ. ბელინსკის აზრსაც
დავიმორწმებ, სადღაც რომ ამოვიკითხე. „სოვრემენნიკში“ კაზი-გირეის მოთხრო-
ბა წაუკითხავს და შეუნიშნავს, რომ ჩერქეზი ბევრ ჩვენს პატივცემულ ლიტე-
რატორზე უკეთ ფლობდა რუსულ ენას. ამაში, ჩემი აზრით, არაფერია გასაკვი-
რი — ეტყობა, ძველ კულტურას თავისი გააქვს. ძველად შაფსულებს ფერწერა
და ქანდაკება ჰქონიათ. აღარ ვიცი, შემდეგში რად დაკარგვიათ ხელოვნება. შუა
საუკუნეებში აქ მონათვაქრობა იყო გაჩაღებული, ვენეციაში, გენუაში, ეგვიპ-
ტეში განსაკუთრებით დიდი მოთხოვნილება იყო თორმეტი წლის ასაკამდე ჩერ-
ქეზ ბავშვებზე, უფრო მოგვიანებით — ქალიშვილებზე. ლამაზი ჩერქეზი გოგო-
ნები ერთი ვაჭრიდან მეორის ხელში გადადიოდნენ, სანამ ბოლოს ვინმეს მხევე-
ლები ანდა ცოლები გახდებოდნენ. მონების გარდა, აქედან გაჰქონდათ თევზი,
ხიზილალა, ბეწვეული, ვერცხლის მადანი, ბზის ხე, ხილი... შაფსულთა ცხოვრე-
ბას კარგად ვიცნობ და ვიტყვი: ბევრი მათგანი ღარიბი იყო, ზოგს პერანგიც კი
არა ჰქონდა, ძველმანები ეცვათ. მე თვითონაც წელიწადზე მეტ ხანს მეცვა ვი-
სოცკის დანატოვარი ჩოხა. ეგებაც ძირითადად ცუდი ჰქონდათ, თანაც განსაზღ-
ვრულ დროს კი არ ჰამდნენ საჭმელს. მაშინ წაიხემსებდნენ, როცა კუჭი თავისას
მოითხოვდა. ბუნება თუმცა მწირი არ იყო, მაინც ხშირად უხდებოდათ შიმშილი,
მოუსავლიანი წელიც ხშირად დგებოდა. ჩვენში თითქმის ყოველ სოფელში რომ
აბანოა, აქ არ შემხვედრია, მდინარეში იბანდნენ ტანს, ქალები ნაცარს ხმარობ-
დნენ თავის დასაბანად. შაფსულები სისუფთავის მოყვარული ხალხია, მაგალი-

თად, ჭამის წინ ხელის დაბანა სავალდებულოდ მიაჩნდათ, ასევე აუცილებლად იბანდნენ ფეხს შინ დაბრუნების და დაძინების წინ. მაგრამ სათქმელს გადაუხვიე.

აღარ გავაგრძელებ და არ მოვეყვები, როგორ შემოვიდა ზაქრიაშვილში პატარა ტაშტით ხელში, როგორ დამბანა ფეხები, როგორ გამარცხა აჯუკის შეულღემ — ზარამ, სუფრა რომ გაგვიწყო — შემდეგში აჯუკი სიცილით მეუბნებოდა, ისე ჯიქურ მისჩერებოდი, ზრდილობის ყველა წესი დაარღვიეო. რამდენჯერმე ვცადე, აჯუკისათვის ჩემი ამბავი მომეთხრო, მაგრამ სულ ხელის გაქნევით მაჩუმებდა ხოლმე, ერთხელ კიდევ მითხრა:

— შენი ამბისა შენ იცი.

შაფსულებს თუმცა აინტერესებდათ ადამიანი, მაგრამ არ უყვარდათ სხვისი სულის ჩიჩქნა, შიგ ხელის ფათური.

აჯუკი, ოზერმესი და აჯუკის ჩოფურა მეზობელი — ასლანი რიგრიგობით დამატარებდნენ ტყეში, მაჩვენეს საძოვრები, ყანები, წყაროები: აულისათვის ერთობ გონივრულად შეერჩიათ ადგილი. შუადღემდე, სანამდეც კაცს შრომა უფრო ეხალისება, ჭალაში არ ცხელოდა, ბალ-ბოსტნების მორწყვაც უპრიანი იყო, რადგან წყალი სწრაფად არ ორთქლდებოდა, მზის სხივებიც ნაწილობრივ კარგავდნენ სიმხურვალეს და მერე ეფინებოდნენ ყანებს, მდინარეც ახლოს ჩამოდინდა, ჭორომთა კიბეზე მოხტოდა და ყველა ჭორომიდანაც სარწყავი არხი იყო გამოყვანილი. აულის ბოლოს მდინარე კლდეზე გადადიოდა და ჩანჩქერად ეშვებოდა ხეობაში. საკმაო იყო დაკიდული ხიდის გადაჭრა და, უცხო კაცი ქვემოდან ძნელად თუ შემოაღწევდა აულში.

საღამოობით დარბაზში ვისხედით, წყაროს ცივ წყალს ვსვამდით დროდადრო და ათას რამეზე ვბაასობდით. ბუხარში შეშა ტკაცუნებდა, სახლის კედლების მიღმა ჩანჩქერი ჩხრიალებდა, ქარი ახმიანებდა ტყეს და ეს ყველაფერი, აჯუკის ალერსიანი მზერა, რაღაცაზე მეოცნებე ოზერმესი — ეს ყველაფერი ისეთ თანაღმობად მეღვრებოდა გულში, როგორც მთელს ჩემს ცხოვრებაში არ განმიცდია. საუბარიც განსაკუთრებული, უჩვეულო გვექონდა, არ ვკამათობდით, ხმას არ ვუწევდით, ერთის ნათქვამს ყურადღებით ისმენდნენ სხვები, შეკითხვებსაც დაფიქრებით პასუხობდა ყველა, მეც — მათ შორის. ალბათ ასე საუბრობენ ხოლმე ბრძენი კაცები, ყოველგვარ წვრილმანსა და ამას განრიდებულნი.

გავიგე: ამ აულში, სადაც ბედმა ან, უფრო სწორად, ოზერმესმა მომიყვანა, უმეტესი მოსახლეობა მოსული ხალხი ყოფილა, შაფსულთა გარდა აქ უბიხები და ადგილობრივი აჩხიჰსოუს ტომის ოჯახებიც ცხოვრობდნენ. აჯუკის ნათესაობა ადრე კავკასიონის ქედის ჩრდილო კალთებზე ცხოვრობდა, სადღაც მდინარე ადაგუმისა და მდინარე სუფსის შუა, მერე კი, რუსის ჯარი რომ მოახლოვდა, აჯუკის რჩევას დაუჯერეს და მიატოვეს აული. ბევრმა წინაპართა ნეშტი მოთხარა და თან წაიღო. გრძელი, მძიმე გზა გაიარეს, რამდენჯერმე იარალით დაიცვეს თავი, ასე მივიდნენ მდინარე ტუაფსემდე, გადალახეს პატარა მდინარეები — შეფსი და მაკოფსე, მერე მდინარე ხაკუჩინკას მიადგნენ, აქ გაჩერდნენ მთელი გაზაფხული და ზაფხული, ყანები დათესეს და მოსავალი მოიწიეს, ბოლოს კვლავ გზას დაადგნენ და მიუვალ ხეობაში დასახლდნენ აჩხიჰსოუს ტომის მიწებზე, მათთან წინასწარი შეთანხმებისამებრ. ყველას არ მოუღწევია აქამდე, რამდენიმე კაცი იმთავითვე ძველ სამკვიდრებელში დარჩა და გააბრაგდა, ათიოდე ყველაზე მდიდარმა ოჯახმა ყური არ ათხოვა აჯუკისა და მისი მომხრეების რჩევას და რო-

მელილაც უბიხ აზნაურს შეაფარა თავი, მასთან დასახლდა. ერთი სიტყვით, დროის მოტანილი იყო თუ აჯუკის გარჯისა, როცა მივედო, აულში დიდი თანხ-
მობა სუფევდა, რაც არ იყო სხვა აულებში. მაგალითად, აქ ერთ დიდგულა აზ-
ნაურსაც ვერ ნახავდი.

აჯუკს ვკითხე, ზღვისპირას მოსახლე შაფსულებთან თუ უბიხებთან რატომ არ დასახლდით და ასე მალლა რატომ ამოდით-მეთქი.

— შენს მეფეს დიდი ხანია ზღვის ნაპირებზე უჭირავს თვალი, — მიპასუხა მან. — მგონი გაძლება და აქ არ ამოგზავნის თავის ჯარისკაცებს.

როცა მოვუყევი, პეტერბურგში დიდ-დიდი, სამსართულიანი სახლები დგას-მეთქი, მითხრა:

— როცა ცოტა მიწაა, მეტი რა გზა აქვთ.

მინდოდა შემეგონებინა, რომ ბევრი მიწა გვაქვს, მაგრამ თავი გააქნია:

— მეფეს რომ მიწა სამყოფად ჰქონდეს, ჩვენ არ წაგვართმევდა.

აქამდეც არ ვიცი, მართლა ასე ფიქრობდა თუ მართლად მწარედ ხუმრობდა. ეტყობა, ხუმრობდა.

ახალი რამ ვკითხე, თან ვცდილობდი, წინასწარ გამომეცნო პასუხი.

— სულთანზე რაღას იტყვი?

მოიღუშა, წარბები შეყარა.

— თქვენი მეფე და სარდლები სულთანსა და ფაშებზე უფრო პატიოსნები არიან, ძმებს არ გვეძახიან და სიყვარულს არ გვეფიცებიან...

აულში ხუთი თუ ექვსი დღე იქნებოდა, რაც მისული ვიყავი, რომ აჯუკმა მკითხა:

— მაინც ჩვენთან ცხოვრება გინდა?

— ჰო.

განა შემეძლო, სხვანაირად მეპასუხა? ერთი ნაბიჯი გადადგმული მქონდა, ახლა მეორე ნაბიჯის გადადგმა დაძრწინებოდა. წარსულს მოვწყდი, აწმყოსი ჯერაც არაფერი ვიცოდი, მომავალში სულ ბურუსით იყო მოცული. მეტი რა გზა მქონდა, უნდა მივყოლოდი მდინარეს, რომელშიაც ასე დაუფიქრებლად შევცურე.

აჯუკმა მკითხა, სახლის ასაშენებლად რა ადგილი მოგწონსო. შევყოყმანდი. მისი ეზო-კარის მომიჯნავე მიწის არჩევა შემომთავაზა.

— მეზობლები ვიქნებით, — თქვა მან. — ერთ მხარეს ასლანი მეყოლება, მეორე მხარეს შენ. რა კარგია! სახლს ხვალ აგიშენებთ. ჯერჯერობით ერთ ძროხას, ხუთ ცხვარს, ათ ქათამს და ერთ მამალს მოგცემთ. აგერ, ჩემი ჭაკი რომ მოიგებს, კვიცი გეყოლება. ყანას ხვალ გიჩვენებ...

არ ვიცოდი, რა პირობებით მივიღებდი ყოველივე ამას, ან ვინ მომცემდა. ვერ წარმომედგინა, როგორ მოვუვლიდი ძროხასა და ცხვრებს. ეტყობა, მათი მოწველაც მომიწევდა. პირველ ხანობას ყველს, ფქვილს და თაფლს მოგიტანენო, დაუმატა აჯუკმა.

აულში ახალ მეკომურს რომ მიიღებდნენ, შაფსულები ერთად უშენებდნენ მას სახლს და ყოველი ოჯახიც ცოტაოდენ საქონელსა და საკვებს მისცემდა ხოლმე. რა მიეცათ და რამდენი, ამას ყრილობაზე — მეკხემეზე მოილაპარაკებდნენ. თურმე ჩემი მისვლის მეორე დღესვე ჰქონიათ ყრილობა, მაგრამ მე ამისი არაფერი ვიცოდი. ეტყობა, ძალიან დაბნეული ვჩანდი, რადგანაც აჯუკი ჩაფიქრდა და უცებ მითხრა:

— თუ გინდა, ქვრივ ქალებს ვეტყვი, რომ რომელიმე ქმრად ავირჩიოს. შეგხედავენ, შეგამოწმებენ და ავირჩევს ვინმე ქვრივი. ხუთი ოჯახია ისეთი, არავინა ჰყავს მარჩენალი, მარტოკა ქალებს უჭირთ ოჯახის გაძლოლა.

— სულ ამებნა თავგზა, დავდუმდი. ვერ წარმომედგინა ეს სურათი. შოლიან დედაკაცები, ამწონ-დამწონიან, მერე ერთ-ერთი მათგანი იტყვის: „რა გაეწყობა, გამომადგება, მიმყავს ეს კაცი“, და მეც მივყვები, რათა შევუდგე ქმრისა და პატრონის მოვალეობის აღსრულებას. არაფერი რომ არ ვუპასუხე, აჯუკმა ოდნავ გაიცინა თვალებით და მითხრა: მართალი ხარ, დაცდა სჯობს, ვიდრე რომელიმე ქალიშვილი არ მიმახვედრებს, გათხოვების დრო დამიდგაო.

არ ვიცი, როგორ მოგვარდებოდა ჩემი საქმე, თავში მხსნელი აზრი რომ არ მომსვლოდა. აჯუკს ვკითხე, მუშა ხომ არ გჭირდება-მეთქი. თავზე ხელი შემოიდგა, დაფიქრდა, თან დაკვირვებით მიყურებდა. ბოლოს თვალები გაუთბა, წელში გასწორდა.

— მიხარია, რომ ჩემი შემწეობა გინდა. კი ვწვდებით საქმეს, მაგრამ ყანაში თუკი მომეხმარები, მოსავლის ერთი წილი შენი იქნება, თანაც ჩემი ქალები საქმელს გაგიკეთებენ, ტანსაცმელს დაგირეცხავენ.

აჯუკის ოჯახში სამი ქალი იყო: მისი მეუღლე ზარა და ზარას ორი უმცროსი დაი — თექვსმეტი წლის ზაიდეთი და თორმეტი წლის ბიბა, დიდი ყაჩაღი ვინმე. ზარას დიდებულმა სილამაზემ, ნაზად შჩხაზულ წარბებქვეშ მოკიაფე მისმა გამჭვალავმა თვალებმა სულ დამამორცხვა, ზაიდეთმა ერთი-ორჯერ ჩამიქროლა და ძლივს მოვლანდე მისი კენარი ტანი და კვიმატი მზერა, გრძელკანჭა ბიბა კი თავდაპირველად სულაც ბიჭი მეგონა.

მერე და მერე გავიგე, ჩემს წინადადებას მართლაც გაუხარებია აჯუკი, აულის სხვა მცხოვრებთაც მათდამი სრული ნდობის დასტურად ჩაუთვლიათ ეს ამბავი.

დილით გაირკვა, რომ ჩემსა და აჯუკის შეთანხმებას სულაც არ შეუცვლია ყრილობის გადაწყვეტილება — აჯუკის სახლთან მოასხეს ცხვრები, მოიყვანეს მეწველი ძროხა, მალე ხბოც რომ მოიგო, ქათმები, ხან ვინ და ხან ვინ მოიტანა ფქვილი, ყველი, თაფლი.

ერთხანს გაშინაურება რომ მაცალა, ერთ ადრიან დილით აჯუკმა ცული მომაწოდა და ტყეში წავედით შეშის საჭრელად — პირველად ჩემს სიცოცხლეში ვეზიარე შრომას. იმ დღეს, ორი ძირშემხმარი ფიქვი რომ მოვჭერით და დასასვენებლად ჩამოვჯექით, პირველად ვკითხე აჯუკის ჩემი საწუხარი: ასე გულთბილად რატომ მიმიღეს შაფსულებმა, წესით ხომ მოსისხლე მტრად უნდა მიგულეთ-მეთქი.

— ჩვენ არავის არ ვემტერებით, არც რუსებს და არც თურქებს. — გულითადად, ისე, როგორც ბავშვებს ელაპარაკებიან, ამიხსნა აჯუკმა. — ცუდი კაცი არ მოვა და ჩვენს ცხოვრებას არ გაიზიარებს. არაერთხელ მოსულა ჩვენთან დაჩაგრული ხალხი. განა ყოველი ადამიანის ვალი არ არის გასაჭირში ჩავარდნილის დახმარება?

ჩემს — მტკიცე ზნეობრივ საყრდენს მოკლებული ადამიანის ეჭვებს და ჩემი გონების სიზარმაცეს რომ არ შეეშალა ხელი, ყველაფერს თვითონვე უნდა მივმხვდარიყავი, მაგრამ ასე მოხდა — აჯუკის უბრალო სიტყვები დამჭირდა, რათა გული შემეჩერებინა.

რამდენჯერმე გადავიკითხე ეს აჩხა-ბაჩხა ნაწერი ფურცლები — არ მშურს

იმისა, ვისაც ამ სტრიქონებში კირკიტი მოუწევს — და სულ ის მტყუარებაა, როგორ გაიგებდა მკითხველი, თუნდაც ისეთი განათლებული კაცი, როგორც ჩემი ენისეისკელი ნაცნობია, შაფსულთა ტომის ზნე-ჩვეულებებს, ირწმუნებდა თუ არა ჩემს მონათხრობს. ჩვენი საზოგადოება, განსაკუთრებით პარკინციული საზოგადოება, მუდამ ეჭვით უყურებს ხოლმე მწერლებს, მათში არა მარტო არსებული წეს-წყობილების მნგრეველს ხედავს, არამედ მატყუარასაც, იმ ბოშას მსგავსს, მიმკვდარებულ ჭაკს მუცელს ჰაერით რომ გაუბერავს და ისე გაყიდის. რომელიმე წვრილფეხა ვიგინდარა აიღებს წიგნს და აუცილებლად იტყვის: „აბა, ვნახოთ ერთი, როგორ გვიხვევენ თვალს ეს მჭლახნელები“. ალბათ ამიტომაცაა, ზოგ არც თუ ისე გულდაჯერებულ მწერალს ცნობილ ავტორიტეტთა დამოწმება რომ უყვარს. აი, ახლაც ცხადად წარმოვიდგინე ჩემი ენისეისკელი ნაცნობის უნდო თვალები, მომესმა მისი სასიამოვნო, მაგრამ სარკაზმით აღვსილი ხმა: „როგორ არა, სულ ტაშ-ფანდურით უხვდებოდნენ ჩვენებს შაფსულები; გიყვარდეს მოყვასი შენიო — მაჰმადიანებს სულ ეს ეკერათ პირზე“. რა გაეწყობა, ლ. ი. ლიულიეს ავტორიტეტული წერილის ციტატით გავამყარებ ჩემს პოზიციას. ეს განსწავლული კაცი შაფსულთა, აბაძებთა, უბიხთა და სხვა ჩერქეზთა 1841 წლის საერთო მეკხემის შესახებ ყვება — აჯუკი მაშინ ჯერაც ყრმა იყო, ამა სტრიქონთა ავტორი კი დაბადებულიც არ გახლდათ — და იმოწმებს მაშინდელ დავთარს, სადაც ერთი ასეთი მუხლია: „ყველას, რუსეთიდან გამოქცეულსა და გადმოსახლებულს მიეცეს თავშესაფარი, ყოველმხრივ შეეწყოს ხელი ჩერქეზი ხალხის დასახმარებლად მოსულ თვითეულ მუსულმანს, მეგობრულად მოვებყრათ მოსულებს და, თუ საჭიროა, ყოველგვარი უნდობლობის ასაცილებლად, საკუთარი შვილები მივცეთ მათ მძევლებად“.

გამომეტხოვა ოზერმესი და წავიდა. წასვლის წინ დალონებულმა ვკითხე, კვლავ როდის ვნახავთ-მეთქი ერთმანეთს, რაზედაც ასე მითხრა: მეგობრებს არასოდეს ივიწყებენ; როცა კვლავ მოვინახულებ ამ მხარეს, არც შენი ნახვა დამავიწყდებაო.

დავიწყე ახალი ცხოვრება. ვდარდობდი კი წარსულზე, ყოველივე იმაზე, რასაც მივეჩვიე და შევესისხლბორცე? დროც კი არ მქონდა დარდისა — ყანაში ვმუშაობდი, შეშას ვამზადებდი, ვნადირობდი, ვთევზაობდი, შაფსულთა ენას ვითვისებდი, თან ხარბად და სიამოვნებით ვსწავლობდი ამ უცნობ სამყაროს, რომელმაც არ უწყოდა ადამიანისათვის ალბათ ყველაზე უფრო საშინელი რამ — იძულება იმ სახით, მანამდე რომ მენახა. ამაზე კვლავ დავფიქრდი, როცა აჯუკმა აულში მცხოვრები ორი გამოქცეული ჯარისკაცი გამაცნო — კნიშევი და ოზერმესის ყონალი ილია.

ჩემს შეკითხვაზე, აქ როგორ ცხოვრობთ-მეთქი, წყნარმა, ეტყობა ჩემი გამოჩენით შეშინებულმა კნიშევმა ჩაიბუტბუტა:

— ისე, თქვენო კეთილშობილებავ... გააჩნია, ვის როგორ მოსწონს, იქნებ თქვენ პირველად უცხოდ მოგეჩვენოთ, მაგრამ არ გეჩაგრავენ, მშვიდადა ვართ...

გოლიათმა ილიამ სიტყვა გააწყვეტინა და ისე დაიღრიალა, ლამის გამომაყრუა: არა გვიშავს, ბევრი თუ არაფერი, საჭმელი მაინც გვეშოვება და რაზიც უზღვავი გვაქვსო.

ორივეს ქვრივები ჰყავდა ცოლად — კნიშევს მასზე ხნიერი, პატარა ტანის, ჩუმი, კეთილსახიერი ქალი, გოგონას დედა; ილიას ცოლი კი ჩერქეზ ქალს არც

პავდა. მაგარი, ღონიერი დედაკაცი იყო, სწრაფი მიხრა-მოხრა ჰქონდა, და, ეტყობა, დიდად მოყვარული იყო სიყვარულის სიამეთა. აულში ილია თვითონ, მართო მოვიდა, მხარზე სპილენძის ზარბაზანი ედგა, ახლა მის ეზოში. სახლთან რომ ეგდო, ყველას უცებ შეეთვისა, ხდიდა და ლამის ვედროებით სვამდა რაბს და ცოლსაც კი დაუწყო ცემა. ამაზე მეკხემმა დააჯარიმა და ურჩიეს: „არ უნდა უნდა“ — უნდა ცემას მოეშვი, ანდა ეგ გაუშვი და სხვა შეირთეო. „კარგი, — განაცხადა ილიამ, — რაკი თქვენში არ შეიძლება, ხელს აღარ ვახლებ“. სახელის გამო პატივისცემით ეპყრობოდნენ: ალია — ილია ჭექა-ჭუხილის ღმერთის — შიბლეს მეორე სახელი გახლდათ. საოცარი, ხარივით ძალ-ღონე ჰქონდა და ამიტომაც მოსწონდათ. ვერა და ვერ მივხვდი, სადაური იყო. ხან ვოლგურ ყაიდაზე, ხანაც ციმბირულად მოუქცევდა ხოლმე ლაპარაკში. ვკითხე კიდევ, სადაური ხარ-მეთქი, მაგრამ მიპასუხა: „აქაურიცა ვარ, იქაურიცა ვარ, საცა ვყოფილვარ, იქ კარგა ხანია აღარა ვარ“. ეტყობა, ან გამოქცეული ჯარისკაცი იყო, ან კატორიდან გამოპარული დამნაშავე, ანდა თავისუფალი მაწანწალა, მრავლად რომ არიან ხოლმე რუსეთში.

შინ შეგვიპატიუა მე და კნიშევი — ჩვენი გაცნობისა დავლიოთო.

სანამ ილია ირმის მწვადებს წვადა, — ცოლს ამ მნიშვნელოვან საქმეს არ ანდობდა, — კნიშევმა სითამამე მოიცა და ენა აიხსნა:

— ირი წელი დენშიკობაში გავტყუე, თქვენო კეთილშობილებავ. კაპიტანი მყავდა, უკაცრავად ვარ და, პირუტყვი ზოო, კაცი კი არა... რაც კი რამ ქონება ჰქონდა, ერთ წილს ცხენს რომ ავკიდებდი, დანარჩენი ჩემი ზურგით მიმქონდა. გავივლით ოც ვერსს — დასვენებაა. სხვა ჯარისკაცები მოიხსნიდნენ ზურგჩანთებს და ეგრევე დაეყრებოდნენ მიწაზე, მე კი ბატონთან გავრბოდი, საქმელი უნდა მიმერთმია. სანამ მივართმევ, სანამ შეჭამს, გავხედავ, ბატარეა უკვე ამდგარა, ხელახლა უნდა ავკრიფო ბარგი-ბარხანა. მიდიხარ შშიერი, გზადაგზა ხან ტოტს, ხან ფიხს იღებ, სალამოს ცეცხლი რომ დაანთო. წყალსაც ვერ მიეკარები დასვენებაზე, ვინ მიგიშვებს, სანამ ჯარისკაცები თვითონ არ დალევენ. თუკი გზაში ჩამორჩი, კაზაკთა ცხენოსანი პატრული დაგაცხრება, მათრახს გიცხუნებს, მათრახს!.. ისინი ხომ მუდამ უკან მოდიან, ღმერთმა ნუ ქნას და, ჯარისკაცებმა შინისკენ არ ქნან პირიო...

ვუსმენდი, სიტყვას არ ვაწყვეტინებდი, თუმცა ყოველივე ეს ასე ნაცნობი იყო ჩემთვის — მადლი უფალს, ყველაფერი უკან დარჩა. სხვა რამ მაინტერესებდა, ველოდი — ყველაფერს გამანდობდა, მომიყვებოდა: ერთხელ როგორ მოეწყინა მონური ცხოვრება, დაჰკრა ფეხი და გაიქცა. მაგრამ კნიშევი დუმდა მაშინ მე ვკითხე, როგორ გამოიქეცი-მეთქი. ჩაიციხა და გამომიტყდა:

— ეშმაკი დამეხმარა, თქვენო კეთილშობილებავ. ბანაკად ვიდექით, სიბნელეში დაგვეცხენ, ვიღაცამ კეტი თუ თოფის კონდახი მდრუზა, ახლაც არ ვიცი. ვინ იყო, უცხო თუ ჩვენიანი. კლდეზე გადავიხაფრე. იქ გონზე მოველ, აეტეხე ყვირილი: ძმებო, აბრაგებო, მეც თქვენთან წამიყვანეთ-მეთქი. ასე ჩავვარდი. ხაროში ვიჭექი, რასაკვირველია. მერე ვთქვი, თქვენთან ცხოვრება მწადია-მეთქი და მეშველა.

ილიამ ირმის მწვადები შემოიტანა, დაჯდა, დოქიდან ჩამებში რახი ჩამოასხა, პირველად მე მომაწოდა და მითხრა, სუფრა დაგვილოცეო. თვითონ უკვე შემთვრალი ჩანდა.

— მაინც არ მეტყვი, სადაური ხარ? — ვკითხე.

— კიდევ დამივიწყდა, სად დავიბადე. თანაც სიფრთხილესაც თავი არ სტკი-
ვა. მეფეს გრძელი ხელი აქვს, შენ კი, არ გეწყინოს და, ყოფილი აფიცერი ხარ,
ვინ იცის... ეს მამაძაღლი კნიშიც არაა სანდო. ჩერქეზები კი მიყვარს, ამათ კი
ვენდობი. ნაკუწ-ნაკუწ რომ დასჭრა, ყონაღს მაინც არ გაყიდებიან. თავის დროზე
ეგენი ბევრი მიხოცია, ამისთვის ეშმაკები ჯოჯოხეთში ჩანვალს გაძიყრიან ნეკნე-
ბში და ისე ჩამომკიდებენ.

ეს ბოლო სიტყვები რომ წარმოთქვა, ისეთი სახე და ხმა ჰქონდა, აი, ბრძო-
ლაში თავგამოჩენილი ჯარისკაცები რომ იტყვიან: ამ საქმისთვის აუცილებლად
გიორგის ჯვარს ჩამოჰკიდებენო გულზე. ჰოდა, ვერ მივხვდი, ნანობდა თავის ნა-
მოქმედარს თუ პირიქით — ამაყობდა ამით. კნიშევმა ამოიოხრა.

რახს ვსვამდით, ირმის მწვადებს ვატანდით. თავი მიგუგუნებდა. ილია შე-
მომცქეროდა და თან რაღაცაზე იცინოდა. მერე მკითხა:

— გინდა, ზღაპარს მოგიყვები?

— მოყევი, ოღონდ მალე, თორემ ჩემი წასვლის დროა.

— შენც რა გაჩქარებს, ნუ გეშინია, იმ ქვეყანას წასვლას ყოველთვის მოეს-
წრები. მაშ ასე: იყო და არა იყო რა, ჯარისკაცად ვარ გამწესებული. — მარცხე-
ნა მკლავი ნიდაყვეში მოხარა, მარჯვენა ხელის თითები ჩამოუქნია, თითქოს სი-
მებს ჩამოჰკრაო, და ღრიალით დაამღერა:

გავიხედოთ, ვინ მოდის:
ბილწი მამასახლისი,
ბილწსა მამასახლისსა
მოჰყავს ქურდი-მწერალი,
იმ ქურდ-მწერლის კალამი,
მეფის მწე და დამქაში,
ჯარისკაცად ჩაგვწერს და
გაგვყრის დასაკარგავში!

ილიას რომ ვუყურებდი, გავიფიქრე, ასეთი ვაჟკაცები უამრავია-მეთქი
რუს ხალხში. ყველაფერი შეუძლიათ — ლამის გიჟური გამირობაც, უყოყმანო
თავგანწირვაც და თავაშვებული ღრეობაც. მთელი უბედურება ისაა, რომ
ჩვენი ცხოვრების პირობებში ხშირად სულ ტყუილ-უბრალოდ იფლანგება მა-
თი ბობოქარი ძალ-ღონე, იქით არ არის მიმართული, საითაც საჭიროა.

ეს შეხვედრა დიდი ხნის განმავლობაში წარსულის უკანასკნელ მოსაგონ-
რად დამრჩა. კნიშევთან და ილიასთან ისეთივე კეთილშობილური ურთიერთ-
ობა მქონდა, როგორც აულის ყოველ სხვა მცხოვრებთან. ეს იყო და ეს. თი-
თქოს პირი შევკარით, რომ წარსული არ გვეხსენებინა. ეს კია, ერთხელ ილი-
ამ გამაჩერა და მკითხა: „შენ, იაშკა, შემთხვევით გერმანელი ხომ არა ხარ?
ეჭვი მაქვს ეგეთი, მაშ რად არა სვამ ხოლმე?“ თქვა და ისე გადაიხარხარა, ხმა
მთელს ხეობას მოედო.

საჭიროა ის ოჯახიც დაეახასიათო, რომელშიაც ვცხოვრობდი და რომე-
ლსაც თანდათანობით ნათესაურად დავუახლოვდი. თავისთავად იგულისხ-
მება, რომ ოჯახის უფროსით — აჯუკით უნდა დავიწყო. აულში მას „ხალხის ენ-
ას“ ეძახდნენ, როგორც ყველაზე საპატიო, გონიერ და მჭევრმეტყველ კაცს.
ეს არ იყო ტიტული თუ წოდება. ანდა რაიმე უპირატესობის მომცემი თანა-
მდებობა. სახალხო კრებაზე — მეკხეძეზე „ხალხის ენას“ განსაკუთრებული
ყურადღებით უსმენდნენ. რაც, სხვათა შორის, ხელს არავეს უშლიდა, არ და-

სთანხმებოდა მას, შეკამათებოდა. შაფსულებში გამორიცხული იყო ერთი უპირატესობა მეორეზე, ანდა ხალხის ერთი, თუნდაც დიდი ნაწილისა და ნარჩენზე. ერთადერთი ძალა, რაც მათ სწამდათ, სიტყვის ძალა იყო. იქნებ ამიტომაც, ყმაწვილები ერთად რომ შეიყრებოდნენ, თავი მოხუცებად მოჰქონდათ ხოლმე, აქაოდა ცხოვრებანახული, გამოჯეკილი მამაკაცები ერთო. რაიმე გადაწყვეტილება, ანდა ახალი ადათის შემოღება დამტკიცებულად მხოლოდ მაშინ ჩაითვლებოდა, როცა უკლებლივ ყველა თანახმა იყო. ამიტომაც, ზოგი მეკხემე მთელს წელიწადსა და მეტ ხანსაც გრძელდებოდა. ახლა, ამაზე როცა ვფიქრობ, უნებურად მახსენდება ენისეისკის სამაზრო პოლიციის უფროსი — მთელი იმ მხარის ტირანი, ანდა ჩვენი სათემო კრებები, სადაც სოფლის რომელიმე წურობელა ერთი სათლი არაყითა თუ დაშინებით იმხრობს ხალხს, ან მთავრობის მოხელეს ქრთამს მისცემს და ჯარისკაცად გაამწესებინებს უჯიათ ჰაბუკებს, თვალში რომ არ მოსდით ხოლმე. რა ხშირად გესმენია, ჩვილი ბავშვი გაგუდეს, ანდა წყალში დაახრჩვესო — ჯარისკაცთა ახალგაზრდა ცოლები მთელი მეოთხედი საუკუნის განმავლობაში უკაცოდ რომ რჩებიან, ვინც გინდა იყოს — იმასთან მრუშობენ, მერე კი ჩვილი ბავშვის მოკვლით ცდილობენ სირცხვილის დაფარვას, მაგრამ უფრო ხშირად დანაშაული აშკარა ხდება და სასჯელიც ზედა აქვთ ხოლმე. გაზეთები ყოველ ასეთ შემთხვევას აქვეყნებენ, მაგრამ ეს რა შელავათია?

ომიანობისას აჯუკს ბელადადაც ირჩევდნენ, მაგრამ მხოლოდ ბრძოლის წინ, ან თვით ბრძოლაში ჰქონდა გამგებლობის უფლება. ერთხელ ისე მოხდა, ჩემი მოგონებები იმ შემთხვევებულ ენისეისკელ ნაცნობს გავუზიარე, მან კი (რა დამახასიათებელია ეს ჩვენი აზროვნებისათვის!) მკითხა: „ხალხის ენას“ თუ ბელადს აკი ცოტა დრო რჩებათ მიწის დასამუშავებლად, პოდა, ხალხი როგორ ანაზღაურებს მათ შრომასო. მე ავუხსენი, ხალხის რჩეულმა იცის, რომ თანამოდმეებს ეხმარება, კმაყოფილია ამით და მისი ანაზღაურებაც ეს არის-მეთქი. საერთო საქმის გამო თავის სახლ-კარს დიდხნობით მოცილებული ბელადის მიწას რიგ-რიგობით ამუშავებენ მისი მეზობლები, მის ოჯახსაც სურსათ-სანოვავით უმართავენ ხელს, ეს არის და ეს, სხვა საზღაური ხალხის რჩეულს არა აქვს. ნადავლიც თანაბრად ნაწილდება, რადგანაც როცა ომია, ყველა თანაბრად იგდებს საფრთხეში თავს. ჩემმა ნაცნობმა ყოველივე ეს უმართებულოდ მიიჩნია. მე გავცხარდი და ვუთხარი, ასეთი აზრების მქონეს სხვა არაფერი დაგრჩენია, თუ არა ის, რომ „ვაშა“ უძახო იმპერატორს, თავად ბარიატინსკის და მისთანებს-მეთქი.

შინ აჯუკი ყველასთან ერთნაირი იყო, ერთხელაც არ აუწევდა ხმას. ერთი შეხედვით, გეგონებოდა, განაპირებული ჰყავს ცოლი, შვილი, ცოლისდებიო, მაგრამ მე ბევრჯერ შემიძინევია, სინაზე რომ ჩაუდგებოდა ხოლმე თვალეში, განსაკუთრებით მაშინ, როცა ცოლს შეხედავდა.

ზარა პირველი დღიდანვე თანაგრძნობით მეკიდებოდა, გულს მიჩვენებდა. ერთხელ ისიც კი თქვა, აჯუკი რომ არ მყოლოდა, ცოლად შენ გამოგყვებოდიო. ეს რომ გაიგონა, აჯუკმა ხანჯლის ვადა ჩაბლუჯა, განგებისად მოიქუფრა, მაგრამ თვალეში მაინც უცინოდა. მიუხედავად ამისა, ზარას მოწიწებით ვეპყრობოდი, ვერიდებოდი, როგორც ყმაწვილი — თავის უფროსს, მკაცრ დას. ერთობ მტკიცე ქალი იყო, რაღაცით მამაკაცსა ჰგავდა. ტყუილად კი არ დაახურეს რამდენჯერმე თავზე კაცის ფაფახი. შაფსულებს ჩვევა აქვთ — გულად ქა-

ლიშვილს ფაფახს თუ დაახურავენ, ეს უდიდეს ქებად ითვლება; მამაც ჭიგიტ-საც, როცა თავმოდრეკილობას უქებენ, ქალის თავსარქმელს დაახურავენ ხო-ლმე. ზაიდეთმა მიაგებო აჯუკისა და ზარას შეუღლების ამბავი.

მამა რომ დაელუპათ, დედამ გოგონები შეზობლებს და კლდიდან ჩანჩქერში გადაეშვა. ზარამ და ზაიდეთმაც გადაწყვიტეს, — ბიბას ტყეში დავტო-ვოთ, ვინმე ნახავს და აიყვანს, ჩვენ კი უფსკრულში გადავიხაფროთო. ბიბას ძი-ლი უნდოდა და სლუკუნებდა. ზარამ ხმელი ფოთლები მოაქუჩა და ბავშვს ჩანჩქერის ახლოს გაუკეთა საწოლი. დააძინეს ბიბა, კლდეზე ავიდნენ, პირი-სახეზე თავსაფრები მოიბურეს. ერთმანეთს გადავეხვიოთ და გადავბტეთო, თქვა ზარამ. მაგრამ ზაიდეთი შეშინდა: ირწმუნებოდა — ცოდვას თავის მოკვ-ლა, ჯერ ხომ შვილები არ გვიშვიაო. ზარამ შესთავაზა, ზედ ფლატის პირას და-მსხდარიყვნენ: ჩაეძინებოდათ, ძილში კი ვერაფერს გაიგებდნენ, ისე გადავარდ-ებოდნენ უფსკრულში. მართლაც ჩაეძინათ, მაგრამ არსადაც არ გადავარდნი-ლან, დილით მზემ გამოაღვიძა ორივე. — ხედავ? — უთხრა ზაიდეთმა დას, — ალაჰმა არ ინდომა ჩვენი სიკვდილი. ძლივს ჩაცოცდნენ ძირს. უცებ ხმაუ-რი შემოესმათ, ვილაც ხმამალლა ლაპარაკობდა ტყეში. რუსი ჯარისკაცები ყოფი-ლიყვნენ, შეჭამადს ხარშავდნენ კოცონზე. ერთ ხნიერ ჯარისკაცს ბი-ბა მუხლებზე დაესვა, საჭმელს აჭმევდა. ზაიდეთი შეშინდა, ზარა კი გულ-დაგულ გამოვიდა ბუჩქებიდან და ჯარისკაცს ბავშვი გამოართვა. ზარა და, შემდეგ, ზაიდეთი რომ დაინახა, რუსი ძალიან გაოცდა. ჯარისკაცებმა და-პურეს გოგონები, არაფერი დაუშავებიათ მათთვის. მხოლოდ ერთმა ახალგა-ზრდა ჯარისკაცმა სცადა ზარასთვის ლოყაზე ხელი მოეცაცუნებინა, მაგრამ ზარამ ისეთი თვალეზი შეაფეთა, რომ იგი მაშინვე უკან გახტა, სხვებმა კი ხა-რხარი ატეხეს. წამოვიდნენ იქიდან და იმავე დღეს დაეწივნენ თავისიანებს. ნათე-სავი არავინ დარჩათ, ისევ ზარას უნდა გაეწია დებისთვის მშობლების მაგიერობა. დაფიქრდა აჯუკი — რომელიმე უცოლო ჭიგიტისათვის უნდა დაეკისრები-ნა ობლებზე ზრუნვა. ერთხელ, როცა ზაიდეთიც იქ იყო, ჰკითხა ზარას: — რა გგონია, ვინ წავა შენთვის სანაღიროდ? ზარამ, წარბიც არ შეუხრია, ისე წა-რმოთქვა: — ვერ გამიგია, სხვებს რაღად კითხულობ, აკი თავადაც უცოლო ხარ? აჯუკმა ხმა ჩაიწყვიტა, თითქოს სწორ გზაზე მიდიოდა და უცებ წაიბორ-ძიკა. მალე ერთმანეთს თვალი-თვალში შესცქეროდნენ და ისე სხაპასხუპით ლაპარაკობდნენ, თითქოს ციცაბო ფერდობზე უფსკრულისაკენ დაცურებუ-ლან და, ვიდრე ლოდებს დაენარცხებოდნენ, სათქმელი უნდა მოასწრონო. — გინდა, ჩემთვის საჭმელი აკეთო? — შენ კი გინდა, ჩემი ხელით გაკეთებული საჭმელი ჭამო? — მაშ, ცეცხლი დაანთე და დებს აჭამე, — უთხრა აჯუკმა. — ზაიდეთი უკვე დიდია, ამასაც უბრძანე, — მიუგო ზარამ. — ზაიდეთ, წადი და ცეცხლისთვის ფიჩხი მოაგროვე, — დაუყვირა აჯუკმა ზაიდეთს. — კარგი, — თქვა ზაიდეთმა, ბიბა აიყვანა, შევიდა ტყეში და განგებ დადიოდა დიდხანს, რათა აჯუკსა და ზარას ერთად ყოფნა დასცლოდათ. ტყიდან რომ გამოვიდა, ისინი აღარ დაუხვდნენ... აული მაშინ გზას ადგა, მაგრამ სალამოთი მაინც ქო-რწილი ქნეს. კაცებმა სამი ირემი მოკლეს, ქალებმა საჭმელი გაამზადეს და კო-ცონების შუქზე კარგა ხანს ცეკვავდა და მხიარულობდა ყველა.

ადრე როგორც ვთქვი, ეს ყველაფერი დაწვრილებით მომითხრო ზაიდე-თმა. იგი, თუკი შეიძლება ასე განვსაზღვროთ ჩვენი ურთიერთობა, ჩემთან მეგობრობდა, ხალისით მპასუხობდა კითხვებზე, მაგრამ მხოლოდ თავისი უფ-

როსი დის თანდასწრებით მელაპარაკებოდა და, თუკი ზარა შინ არ იყო, მარტოდენ შორიდან მიჭერეტდა, სიანციბა და ეშმაკობით სავსე ავალებს მიუყუენებდა. თექვსმეტი წელი შეუსრულდა, ზარაზე უფრო გულთაღი და მოქნილი იყო, მე კი ჯერაც ბავშვად მეჩვენებოდა.

სულ უმცროსი და — ბიბა დიდი ყაჩაღანა ვინმე გახლდათ, ქაღალციანად რი კდებმა ჯერ არ დასტყობოდა, ყველას თვალწინ ტანთ გაიხდიდა ხოლმე და ბიჭებთან ერთად პერანგისამარა ხტუნაობდა მდინარის ყურეში.

ახლა ოჯახის ყველაზე უმცროსი წევრი — ზაქირი. იგი ყველაზე უფრო დამიანლოვდა. ერთი ღამე რომ გაათია ჩემს ოთახში, მერე, თანდათანობით სულ გადმობარგდა, უკვე ძიას მეძახდა და აულშიაც ჩემს გაზრდილად თვლიდნენ, თუმცა სინამდვილეში, წესით, მე არ შეიძლება მის გამზრდილად — ათალიკად ვწოდებულყავი, რაკი სრულ კმაყოფაზე არა მყავდა. ჩემთან თავისუფლად ეჭირა თავი, შეეძლო, როცა მოეპრიანებოდა, ზურგზე ამცოცებოდა, ეკითხა ყველაფერი, რაც კი უნდოდა, საათობით ეტიტინა: სულ კულში მღევდა ხოლმე. მამის შიში ჰქონდა. მამა სადღაც მალა, ორივე ჩვენთაგანზე ზემოთ ეგულებოდა, მე კი ძიძასავით ვყავდი, რომელსაც შეიძლება კიდევ გაუბრაზდე და გაებუტო. შათსულებში მშობლები, განსაკუთრებით — მამა, მკაცრად ეკიდებოდნენ შვილებს, სახელს არ დაუძახებდნენ ხოლმე, სამაგიეროდ ალერსიანად ეპყრობოდნენ ძმისწულს, მეზობლის ბავშვებს, საერთოდ — პატარებს. ბიბა კი ისე ახლობლად ეთვლებოდა ძმისწულისა თუ გაზრდილისათვის, ადათის მიხედვით შურისძიება მას ეკისრებოდა, თუკი ძმისწულს ან გაზრდილს ვინმე შეურაცხყოფდა. ხუთ წლამდე ზაქირი საქალეზოში ცხოვრობდა დედასთან ერთად, მერე მამასთან გადაიყვანეს. გაზაფხულზე მამის ხანჯალი დაუვარდა, ხანჯლის წვერი ფეხში ჩაერჭო და ღრიალი მორთო. აჯუკს სიტყვა არ დასცდენია, ისე შეხედა ვაჟიშვილს, დაელოდა, კიდრე იგი ტირილს შეწყვეტდა, მერე ხანჯალი ამოაძრო და ისე, თითქოს სიტყვები ჭვებივით ისროლა პირიდანო, წარმოთქვა:

— ვაჟკაცი მხოლოდ მწუხარებაში ტირის. თუკი ტყვილის გამო ღვრის ცრემლს, ვაჟკაცი კი არა, ტურაა. აბლაბუდა დაადე მაგ განაკაწრს, ჩვრით შეიხვიე.

სწავლება ამაზე არ დამთავრებულა. იმავე საღამოს აჯუკმა ამბავი მომიტხრო, ჩემს გვერდით მდგარი ზაქირის გასაგონად რომ იყო თქმული.

— ერთი ბერიკაცი, სახელად ხატუკი, კვდებოდა. ეწვივნენ მეზობელი აულიდან კაცები, რათა მოენახულებინათ, გამოთხოვებოდნენ. ხატუკს ტყვილი აწამებდა, თითქოს ხანჯლებს ურჭობდნენ, მაგრამ მაინც ღიმილით დაუხვდა მეგობრებს. — ვინ გითხრათ, რომ ავადა ვარ? — თქვა და მანამდე იცინა, სანამ მართლა არ დაუჯერეს. სტუმრებმაც იციანეს, იხუმრეს, მერე შესხდნენ ცხენებზე და წავიდნენ. მაშინ ცოლმა ჰკითხა ხატუკს — რატომ მოატყუე ხალხი, აკი ასე ეწამებო. ხატუკმა კი ვერაფერი უპასუხა. რადგან უკვე სული აღარ ედგა, მომკვდარიყო. მაშინვე კაცი დაადევნეს სტუმრებს, ის-ის იყო აულიდან გასულიყვნენ.

ვერ ვისწავლე შათსულთა ტყვილის ატანა, ეტყობა, თმენა და ამტანობა ბავშვობიდანვე უნდა შეისისხლხორცოს კაცმა. როცა აჯუკი ამაზე სიტყვა ჩამოვუგდე, მითხრა: ცდები, თუ გგონია, რომ მამაკაცები ტყვილს ითმენენ; მოთმენა ნიშნავს, რომ ტყვილს დაჰყვე, დაემორჩილო; ასე შეიძლე-

ბა კიდევ მოკვდეს ადამიანი. არა, უნდა უთხრა საკუთარ თავს — კარგად ვარ, არაფერი მტკივაო, და უკვე ველარც იგრძნობ ტკივილს, თვითონ იგი დაგყვება და დაგემორჩილებათ.

იმ საღამოს, ამაზე რომ ვლაპარაკობდით, სახლთან ვიჯექით ჩრდილში, ნიკაზე. ზარა და ზაიდეთი მარცვალს ანიავებდნენ. ზაქარიას გვერდით იჯდა და ელოდა, როდის მოვრჩებოდი ხის ხანჯლის გამოთლას. ბიბა, ჩვეულებისამებრ, სადღაც დაკარგულიყო. ხანჯალი რომ მივეცი, ზაქირი საომრად გავარდა — ჭინჭრებს დაერია. აჯუკს ვუთხარი:

— კარგი ბიჭი გყავს. მასში გაგრძელდება შენი სიცოცხლე.

აჯუკმა ხუჭუჭა წვერზე ჩამოისვა ხელი. მას უყვარდა კამათი, ამტკიცებდა: კარგი კამათი იგივეა გონებისათვის, რაც სალესი — ხანჯლისთვისო.

— ის, რაც შენა თქვი, იაკუბ, მართებული არ არის. სულთანს ასი და ასზე მეტი შვილი ჰყავს, მე კი — ერთი. შენი თქმით ისეა, თითქოს ერთი ადამიანი თავისი სიცოცხლის სანაცვლოდ ას სიცოცხლეს მიიღებს, მეორე — ერთს, უშვილო კი — სულაც არც ერთს.

— ასეცაა, — კვერი დაუჟარი. — რა არის უმართებულო? ყველას იმდენი შვილის ყოლა შეუძლია, რამდენსაც მოისურვებს. ერთი ეს მითხარი, თქვენში რატომ არავის არა აქვს პარამხანა?

აჯუკი გამოცოცხლდა.

— ყველა ამას გვეკითხება — რუსებიც, თურქებიც, ფრანგებიც... ერთმა ბრძენმა კაცმა ამაზე კარგი პასუხი თქვა. მისი პასუხი — ჩემი პასუხია. ჯერ ერთი, მე მიყვარს ჩემი ცოლი, მეორეც — ბევრი ცოლის ყოლა ძალიან ძვირია, მესამეც — ძალიან დიდი აყალმაყალი იცის ბევრი ცოლის ყოლამ. შენ თუ იცი, რომ ჩვენში კაცს შეუძლია გარდაცვლილი ცოლის და შეირთოს, ქალს კი — განსვენებული ქმრის ძმას ეცოლოს? მართლა ჭკვიანური ჩვეულებაა: ქვრივები, კაცი თუ ქალი, მარტონი არ რჩებიან, თან სისხლიც ერთი და იგივე ირევა... მაგრამ ჩვენ არ დაგვიმთავრებია ლაპარაკი. შენ, იაკუბ, მართალი იქნებოდი, კაცს შვილები გარდაცვალების შემდეგ რომ უჩნდებოდეს, ისე კი, აგერ, მეც ცოცხალი ვარ და ჩემი შვილიც...

— მაგრამ მას აკი შენ და ზარამ მიეცით სიცოცხლე, — არ დავეთანხმე აჯუკს.

— არა. ჩვენ მხოლოდ გადავცემთ ერთმანეთს სიცოცხლეს, მონიჭებით კი არა, ესენი გვანიჭებენ ყველა ჩვენთაგანს, — და მან დამანახა ცა, მთები და ჩანჩქერი.

ვერაფერი ვუპასუხე, დავდუმდი, თან ზაიდეთის სხარტ მიხვრა-მოხვრას ვადევნებდი თვალს. ზაიდეთი არც მიგულისხმია, უნებლიეთ გაგიფიქრე, რომ ჩემი დროც დადგებოდა, ვინმეს შევიყვარებდი და ჩვენც გვეყოლებოდა შვილები, რომლებსაც მშობლებისაგან მონიჭებულ სიცოცხლეს გადავცემდით.

იმ შემოდგომაზე ქალებს დაუწყვეთ თვალთვალი, დავდიოდი ჯარობაზე, ს დაც შეიძლებოდა სიმღერების მოსმენა, ცეკვა, მერე კი თუნდაც დილაშდ სეირნობა არჩეულ ქალიშვილთან, თუკი ისიც თანახმა იყო. გულზე ხელი რომ დავიდო, იმ დროს მთელი საქალეთი ერთად მომწონდა, თითოეული ქალიშვილი — თავისებურად. მხოლოდ ერთი იქცევდა საგანგებო ყურადღებას, თანაც ძარტო მე კი არა, მთელს აულს მოსწონდა. ჩაბახანი ერქვა, საოცრად დიდრონი რუხი თვალები ჰქონდა, რომლებშიაც ცის ყველა ელფერი ირეკლებოდა;

ნიავივით დადიოდა ხოლმე, იფიქრებდით — ამ ჩვენი მიწიერი ცხოვრების შვილიცაა და რალაც სხვა სამყაროსაც ეკუთვნის, ჩვენთვის, ადამიანთათვის უცხო სამყაროსა.

მაინც რა უცნაურია კაცთა ბუნება! ვერ ამოხსნია, როგორ ეგუებოდა მთიელებში ერთმანეთს ქალისადმი მოწიწება და, ამავე დროს, მისდამი თვითნებობა. უმცროსი და ჰყავდა ჩაბახანს, ზაიდეთის მეგობარი, მასავე და ტანკენარი. მამამისმა იგი აულში მოსულ თურქ თუ სირიელ ვაჭარს მიჰყიდა. ვაჭარმა ფართალი, სამაჯურები და ყელსაბამები ჩამოიტანა ქალთათვის, მამაკაცებისათვის კი — თოფები, თუ არ ვცდები — შტუცერები. ორ თოფში გაღეს ქალიშვილი. როცა ჩემი გულისტკივილი აჯუკს გავუზიარე, მან გულგრილად მითხრა: ყველა საკუთარი თავის პატრონია, მე არც ბიბას და არც ზაიდეთს გავყიდდი, ოღონდ ეს არავის ავალდებულებს, რომ ჩემსავით მოიქცესო. რამდენი არ ვეკამათე, მაგრამ ვერ შევთანხმდით, მაინც თავისაზე იდგა.

გაზაფხულის ერთ დღეს მე და აჯუკი სიმინდის სათოხნად წავედით. პაერი უჩვეულოდ ჩახუთულიყო, ხეებს ფოთოლი ჩამოჰყროდა, როგორც ავდრის წინ იცის ხოლმე. ჯერ კიდევ ადრე, აღმართს რომ ავდიოდით, ვიგრძენი ეს უჩვეულოდ ჩახუთული პაერი, ჩოხის სახელოს ხელი გავუსვი და უმაღლისნა სუსტი ტკაცანი: ეტყობა, ჭექა-ჭუხილი ახლოვდებოდა. ქედს გავხედე — ვეება ღრუბელი მოიწვედა მთებიდან. არა უშავს, შეგვეძლო სადმე ნაძვნარში დაემსხდარიყავით და გადაგვემყუდროვებინა.

გავიხადეთ ჩოხები, ბეშმეთის სახელოები ავიკაბიწეთ, კალთები ავიკეცეთ და თოხნას შევუდექით. სიმინდი კარგად აყრილიყო, ოღონდ ნაწვიმარზე სარეველა მოსდებოდა ყანას.

შორიახლოს ასლანი მუშაობდა, მალალი მუხა იდგა მის ყანაში, შუა მინდორზე.

ღრუბელი ქედზე გადმოგორდა და აულისაკენ გამოემართა. მოლურჯომეწამული იყო, უჩვეულოდ მომრგვალებული, ქვემოდან ნელ-ნელა ეტოტებოდა ვეება ჩოხის სახელოს მსგავსი ვეყანი გამონაზარდი და ზედ მიწაზე დასთრევდა. სიცხის აღმურმა სახე ამილანძა. მივაგდე თოხი და აჯუკთან მივედი. დამდგარიყო, თხუნელა ეჭირა, დასცქეროდა. თხუნელას ხორთუმივით წაწვრილებული პატარა თავი ჰქონდა, აქნევდა ფართო წინა თათებს — ადამიანის ხელისგულებს ჰგავდა ეს უბალნო, შიგნით შებრუნებული თათები. ბეცი თვალები ცხვირზემოთ კი არ ასხდა, როგორც ყველა სხვა ცხოველს აქვს ხოლმე, არამედ ქვემოთ, თავის ქვედა მხარეს მოუჩანდა. ეტყობა, სიბნელეში ასე უფრო უკეთ ხედავდა.

ჩვენში ჰგონიათ, თითქოს თხუნელა ხეხილს ფესვებს უჭამს, — თქვა აჯუკმა, — მაგრამ ტყუილია. ასე რომ იყოს, ერთი ხეხილიც არ დარჩებოდა. ესენი თავგებს ჭამენ ხოლმე. — მან ფრთხილად ჩამოსვა თხუნელა მიწაზე და მკითხ: — არ წავიდეთ, სადმე არ შევეფაროთ?

უახლოესი ნაძვის ხის ქვეშ შევედით. აჯუკი რალაცაზე ჩაფიქრდა, იდგა და საელლოთი შებლზე ოფლს იწმენდდა. მე ასლანს გავცქეროდი. სხარტად აქნევდა თოხს. ჯირკვიით იყო ჩადგმული და კვადრატული გეგონებოდა — გინდ ფეხზე დააყენე, გინდ წამოაწვინე, მაინც ერთნაირი იყო. შორიდან პირისახეზე ნაიარევი და ნაყვავილარი არ ემჩნეოდა. შემოდგომაზე ასლანმა და-

თვის ბელი ნახა, იფიქრა— შევკრავ და შინ წამოვიყვანო. ბელმა წყმუტუნი მო-
რთო, ჰოდა, გაიგონა ძუ დათვმა და ასლანს ეცა. სანამ ასლანი გულში დანას
გაუყრიდა და მოკლავდა, დათვმა მთელი პირისახე და მკერდი ჩამოაღარა,
მკლავიც დაუგაზა. შემდეგ ბიჭები ხუმრობდნენ, ბელმა ჩემი ტომი წყმუტუნა,
ასლანის ჩოფურა სიფათმა შეაშინაო. გ. ი. ბ. ლ. ი. მ. ი. მ. ი. მ.

ჩიტები გაყუჩდნენ, ჭრიჭინობლებმაც შეწყვიტეს მღერა. რაღაც ავბედი-
თი იგრძნობოდა ამ გულისგამაწვრილებელ დუმილში.

— ასლან! — დაუბახა აჯუკმა, — აქ ამოდი!

ასლანი წელში გაიმართა, თოხი შეაქანა, რაღაც თქვა და კვლავ სამუშაოს
მიუბრუნდა.

— კარგი მშრომელი გაზარდა გოშნახმა, — თქვა აჯუკმა ასლანის დედაზე.

უცებ ჩვენს თავზეით მოგრაგნილი ღრუბლის შავი, ვეება ჩოხის სახელოს
მსგავსი წამონახარდიდან შუბივით გამოიჭრა გრძელი, კლავნილი ელვა და ას-
ლანის ყანაში მდგარ მარტოხელა მუხას ჩაერჭო. წამით თვალთ დამიბნელდა.
ყურებში გამაყრუებლად, ხარბახანივით იქვეა მესმა და მგრგვინავი ექო მთელს
ხეობას მოედო.

თვალში სინათლე რომ მომივიდა, ორად გაჩეხილი მუხა დავინახე. ძირს
დაცემულ ნაჩეხზე ცეცხლის ენები ცეკვავდნენ, ასლანი კი სიმიწებში იწვა
დაკრუნჩხული. აჯუკი უმაღლეს წამოხტა, მეც მივბაძე და ორივენი ფერდობზე
დავეშვიით. ასლანი გვერდზე იწვა, ცალი ხელი ტანქვეშ მოჰყოლოდა, პირისა-
ხე გაშავებოდა. იქვე თოხი ეგდო — პირი ელვას დაედნო და გაეშავებინა, ტა-
რიც დაენახშირებინა.

აჯუკმა გადმოაბრუნა ასლანი, დაიხოჭა და ყური მკერდზე დაადო. მერე
თვალები დაუხუჭა და თქვა:

— შიბლემ წაიყვანა ასლანი.

მეხით სიკვდილს შაფსულები უზენაეს ნეტარებად თვლიდნენ, ასეთი სი-
კვდილი სწრაფად, ხალისით უნდა უტნობებინათ ახლობლებისათვის, მიცვალ-
ებულს იქვე ასაფლავებდნენ, სადაც მეხი დაეცა — ცეკვითა და მხიარული სი-
მღერით.

სანამ ასლანის გვამს დავსცქეროდით, ღრუბელმა, წვეთიც არ დაუღვ-
რია, შორეული ზღვისკენ ჰქნა პირი.

ჩავიცვით ჩოხები, ფაფახები დავიხურეთ. აჯუკი აულისაკენ გაეშურა, მე
კი ერთხანს იქვე დავრჩი, დავცქეროდი ასლანის გაშავებულ, გადასხვაფერე-
ბულ სახეს, ვფიქრობდი ამ წამიერი სიკვდილის იდუმალებაზე და იმაზე, თუ
რა მართალი არიან შაფსულები, როცა სჯერათ, რომ მომავალს ვერავინ განჭ-
ვრეტს, რამეთუ იგი ყოველად ძლიერი ბედისწერითაა წინასწარ განსაზღვრული.

ბევრი სხვა შაფსულივით, აჯუკიც არ იყო რწმენის მკაცრი დამცველი.
პირველ საუკუნეში, როცა შავი ზღვის სანაპიროებზე ებრაელები გამოჩნდნენ,
ჩერქეზებმა მათგან ქრისტიანული სარწმუნოების გადმოღება იწყეს, მეშვიდე
საუკუნეში კი მსოფლიო საეკლესიო კრებამ შაფსული მღვდელები — შოგენე-
ბი საქართველოს მცხეთელ პატრიარქს დაუქვემდებარა. იმდროინდელი საყდ-
რები, ჯიორი ანდა ჯური¹ რომ ერქვა და რუსულ I ასოს ჰგავდნენ, აქამდე შე-
მორჩენილია ჩერქეზეთის ტყეებში. ოღონდ შაფსულებმა ნაწილობრივ აით-

¹ ქართული სიტყვიდან — „ჯვარი“.

ვისეს ქრისტიანული სარწმუნოება, ადამიანსა და სამყაროზე თავიანთ წარმართულ წარმოდგენებს მიუსადაგეს იგი. ქალის მეხოტბე მთიელებს ერიობ კარგად მოერგო ღვთისმშობლის, როგორც თვითონ უწოდებდნენ — შერემის კულტი.

XV საუკუნის ბოლოდან ქრისტიანობა ჩერქეზებში ქრება. ისლამის წოდებულთა ლავრებამ თავისი ჰქნა, შავსულებმა ზოგი რამ შეითვისეს, მაგრამ ძირითადად მათთვის უფრო ახლობელ ღმერთებს სცემდნენ თაყვანს — უზენაეს მიწათმოქმედ სოხერისს, საყანე ხარების ღვთაებასა და თავიანთ უახლოეს მფარველ ხაკუსტაშს, მსლეთამძლე მჭედელ ტლებშს. აჯუკი აშკარად არ არღვევდა ამა თუ იმ რწმენას, მაგრამ მუდამ საკუთარი საღი აზრით ხელმძღვანელობდა. ვხედავდი, სულაც არ უნდოდა, თავი ისე მოეჩვენებინა, თითქოს უხაროდა ასლანის სიკვდილი, და სიცილით შეხვედროდა მის უბედურ დედასა და ცოლს, რომლებმაც ჯერ არაფერი იცოდნენ.

ასლანის სახლის სიახლოვეს ერთ პატარა ბორცვზე ავედით და ასლანის ცოლს — ხაცაცს დავუძახეთ. ქალი ეზოში გამოვიდა და კითხვის თვალით მოგვაჩერდა.

— ასლანი დაბრუნდა შინ? — გასძახა აჯუკმა.

ხაცაცმა არაფერი უპასუხა. დავინახე, როგორ დაეძაბა პირისახე, გაეყინა თვალები. ვერაფერი გაეგო — აკი ასლანი ბრძოლაში არ იყო წასული.

— ასლანი თუ დაბრუნდა ყანიდან? — კვლავ ჰკითხა აჯუკმა. — იქაა, იქაა, შიბლემ წაიყვანა. ჭეჭა-ჭუხილს გაიგონებდი...

ხაცაცმა წამოიკივლა, სახეზე ხელები აიფარა და სახლში შევიარდა.

— გავახარე, — კუშტად თქვა აჯუკმა. — წამო, ნიჩბები ავიღოთ.

მკვდარს სიკვდილის დღესვე მარხავდნენ ხოლმე, ამით მცირდებოდა მიცვალებულის საიქიოში გადასვლის ვადა, თანაც ახლობლებსაც უფრო ნაკლებ უწევდათ გლოვა-ტირილი. ქალები მუდამ როდი მიჰყავდათ დასაფლავებაზე. მე ამიხსნეს — სუსტი გული აქვთ და მამაკაცებზე ბევრათ უფრო უძნელდებათ იმის ყურება, ახლობელ ადამიანს მიწას როგორ აყრიანო. მაგრამ, მე მგონი, აქ სხვა მიზეზია: მიცვალებული სირბილით მიიქვით სასაფლაოზე, სასაფლაოც აულის ზემოთ, მთაზე იციან, ქალები კი, განსაკუთრებით მოხუცები, ძალაუნებურად დააბრკოლებენ სირბილით მიმავალთ. შეიძლება ეს ისლამის გავლენაც იყოს — ისლამს ხომ ბევრ რამეში განაპირებული ჰყავს ქალი. ზოგჯერ, როცა სხვა აულებიდან მიცვალებულის ნათესავებსა და მეგობრებს უნდა დალოდებოდნენ, გასვენება ჭიანჭურდებოდა ხოლმე. ასლანი კი რაც შეიძლება სწრაფად უნდა დაემარხათ, რათა შიბლეს დიდხანს არ მოსწეოდა თავისი რჩეულის ლოდინი და არ განრისხებულიყო.

მუხის ქვეშ სამარე გავჭერით თუ არა, აულიდან უკვე გამოჩნდა ასლანის დასაფლავებაზე გამოჩქარებული ხალხი. ყველაზე წინ გომნახი და ხაცაცი მობოდნენ.

მოგვეახლა ერთი ჯიგიტთაგანი — სალიხი. სხვა მთიელთაგან განსხვავებით, სალიხი ზონზროხა ტანისა გახლდათ, მაგრამ მსუბუქად დადიოდა, სხარტი მიხვრა-მოხვრა ჰქონდა. ყველაზე უფრო სახით ირჩეოდა — სულ დაჩეხილი ჰქონდა თავ-პირი და დიდრონი, ერთთავად კეთილად მომღიმარი თვალები მოუჩანდა ამ იარებში. რამდენიმე მტერთან ერთად მოუხდა შეტაკება და ასე დასახიჩრდა. გონს რომ მოეგო, ფორთხვა-ფორთხვით მიაღწია თავის სახ-

ლს, სპილენძის კრიალა ტაშტში თავის სახეს ჩააჩერდა და საკუთარი ხელით ამოიკერა ჭრილობები.

— შიბლემ წაიყვანა? — გვკითხა და ასლანის გვამს დახედა.

— ჩვენს თვაწლინ წაიყვანა, — მიუგო აჭუკმა.

სალიხმა მუხას შეხედა. ნამეხარი კვლავ ბოლავდა და მუცლის ცხელი თანდათან ქრებოდა.

— ვალლაპ! — სალიხმა მოწონების ნიშნად გააქნია თავი. — გაუმართლა. არც კი გაუგია, ისე ამაღლდა კაცი.

დაიწყო წესის აგება.

— დიდება შიბლეს, ძლიერსა და ბრწყინვალეს! — მხიარულად წამოიტორა მოხუცმა გოშნახმა. — რა ბედი ეწია ჩემს ვაჟს...

ხაცაცმაც მხარი აუბა:

— კურთხეულია ასლანი, ბედნიერია!..

მას დალალი მოკვეცეს, მიცვალეზულს მკერდზე დაადეს, შემდეგ ასლანი სამარეში ჩაასვენეს და მიწის დაყრა დაუწყეს.

ვიღაცამ სამხიარულო სიმღერა წამოიწყო, დღესასწაულებსა და ქორწილებზე რომ მღერიან ხოლმე. ყველამ აიტაცა ჰანგი:

— ო-რი-და-და!

ცეკვა-სიმღერა დამთავრდა.

ყანაში მხოლოდ მე და აჭუკი დავრჩით. მან შეხედა სიმინდის მწვანე ღეროებში მიგდებულ თოხებს და მკითხა:

— მოვათავოთ ეს ყანა?

თავი დავუქნიე და ჩოხა გავიხადე. მზეს რომ არ დავეწვით, თავი ბაღდადით შევიხვიეთ, სახელოები ავიკაპიწეთ და თოხს მოვკიდეთ ხელი. მალე მომშივდა. ნაპირი რომ გავიტანეთ და ყანის ბოლოს გავედით, შესასვენებლად დავსხედით. ბუჩქში შენახული საჭმლის თოფრა და დოჭი გამოვიღე.

დაუბერა ნიავმა. სიგრილეს, მივუშვირე გათაკარებული პირისახე. მეხდაცემულ მუხას ჭერაც უდიოდა დამწვრის სუნი. იქვე შავად მოჩანდა ახალი საფლავის ბორცვი.

ყოველივე ეს თითქოს გუშინ მოხდა...

აულში ძალზე განვიცდიდი წიგნების უქონლობას. ერთხელ კიდეც მესიზმრა, თითქოს მაგიდას ვუჯექი, წინ სქელი ფოლიანტი მედო და თავისით, ერთიმეორის მიყოლებით იშლებოდა ფურცლები. ჩემი გამდელისაგან ბავშვობაში უამრავი ზღაპარი და თქმულება მქონდა მონასმენი. ყველაფერს, რაც კი დამახსოვდა, ახლა ზაქირს ვუყვებოდი. ხარბად მისმენდა. ზოგჯერ ზაიდეთი და ბიბაც შემოგვემატებოდნენ ხოლმე. აჭუკმა კიდეც იხუმრა, შინ საკუთარი ჭეგუაქო გაგვიჩნდაო.

ასე ერთმანეთის მიყოლებით დიოდნენ დღეები, სანამ ერთ დღეს არ გავიგე, რომ ქალი შემიყვარდა, უფრო სწორად — თურმე რახანია მყვარებია. ერთობ საინტერესო იყო ეს ჩემი აღმოჩენა, თითქოს პატრუქი დიდხანს, დიდხანს იწვოდა და უცებ აფეთქდა — ზაიდეთს შეეხვდი ჯარობაზე, რალაც ერთი საათის წინ შინ მყავდა ნანახი, მაგრამ აქ რომ თვალი-თვალში გავუყარე, სახეზე რომ დავაჩერდი, უკვე ვეღარ მოვწყვიტე მხერა. არც მან ამარიდა თვალი და ასე, თითქოს მოლაპარაკებული გვქონდა, გამოვედით სახლიდან და სადღაც წავე-

დით, გადავიარეთ ნაკადულები, გავარღვიეთ ტევრები, გაშმაგებით მივიღებოდით ერთი, ორივე ჩვენთაგანისათვის საერთო მიზნისაკენ. ვარსკვლავთა ციმციმით განათებულ მდელოზე ზაიდეთმა დაკვირვებით შემხედა და ტყისკენ გიჟყა. როცა დავეწიე, მიმოიხედა, ვეება მუხის ხეს მივარდა, თვალისდახამხამებაში აცოცდა ქვემო ტოტზე და ფოთლოვანში მიიძალა. გული იდუმალმა სინარულმა ამიძგერა, მეც ხეზე ავცოცდი. მგონი, თოვლით დაფარული ძიტაკუს მწვერვალი რომ ყოფილიყო ახლომახლო, იმაზეც კი ავიდოდით. ზაიდეთმა გაიღიმა და მისაყვედურა, ეს რა ზოზინა ყოფილხარ, სანამ შენ კეთილინებებდი და ყურადღებას მომაქცევდი, ხომ დაებერდებოდით ადამიანი. მე ვუთხარი, შენი ბრალია — გიცდიდი, სანამ თვრამეტი წლისა გახდებოდი, შენ კი ნელა იზრდებოდი-მეთქი...

ჩიტებივით ვქანაობდით ტოტებზე და ისე ხმამაღლა ვლაპარაკობდით და ვიცინობდით, ნაღდად მთელ აულს ესმოდა. ერთმანეთს არ მივკარებდით, არც გვიკოცნია ერთმანეთისათვის. დიდი სიყვარულის დროს არ ჩქარობენ ხოლმე, რამეთუ ჭეშმარიტი სიყვარული — მარადისობის ნაწილაკია.

დილით აულმა იცოცდა, ზაიდეთს იაკუბი ქმრად რომ მიჰყავდა. დაითქვა ქორწილის დღეც და მე და აჯუკი ახალი სახლისაგებას შევუდექით.

ჩვენს ხეობამდე აღწევდა ხმები, რუსი მეფის ჯარი ახლოვდებოდა. რუსებმა გადმოლახეს მდინარე შეპსი, გადმოიარეს ხაკუჩინკა, გაათიალეს შახეს ხეობა, მდინარე სოჩას უწიეს.... ყოველივე ეს ჩემგან სამუდამოდ მიტრეებული წარსულის ამბები იყო, წარსულისა, რომელსაც, როგორც მეგონა, უკვე აღარასოდეს დავუბრუნდებოდი. სიყვარულით ვიყავი აღსავსე და ეს ხმები გულზე არ მეკარებოდა.

ჩვენა ქორწილის დღეს, როცა აჯუკს ირმის გატყავება-აჩარიქებაში ვეხმარებოდი, აქლოშინებულმა ზაქირმა მოირბინა და გვაცნობა: მოსისხლე გამოჩნდა ტყიდონ, აულში მოვიდა, შვილად აყვანას ითხოვსო.

ირემ, ქალებს მივაბარეთ. სურეთის — ერთი დედაბრის სახლისაკენ გავეშურეთ; ცყიდან გამოსულ ჭაბუკს მისი ვაჟი მოეკლა ამ ერთი წლის წინათ. მკვლელს როგორც აჯუკმა მითხრა, შუმაფი ერქვა. დედა შატსული ჰყავდა, მამა — აჩიპსოუს ტომის კაცი. სურეთის სახლთან ხალხი შეგროვილიყო. მე შიგნით შევედი, აჯუკი კი ერთხანს გარეთ დარჩა, რაღაცას ბჭობდა სალიხთან და ერთ ბერეკატთან, ედიღე რომ ერქვა.

სურეთი საყონალოს კუთხეში იჯდა ტახტზე, თავზე შავი თავსათარი მოეხვია და სლუკუნით მოთქვამდა:

— შვილო, სადა ხარ, შვილო? კაცი აღარავინ დაგვრჩა გვარში, ვერავინ აიღებს შენს სისხლს, ვერავინ მიუზღავს შენს მკვლელს.... აგერ, შენი პირშავი მტერი, ხედავ? ნეტა როგორ გაბედა შემოსვლა! გადაშენდა აული, აღარავინაა ვაეკაცი.

სურეთთან ქალები იდგნენ და ისინიც ტიროდნენ.

შუმაფი მაღალი ჭაბუკი იყო; გაქუცული, ჭუჭყიანი ჩოხა და წულები ეცვა, ფაფახი სულ დასორსოლებოდა. წვერგაუპარსავი იყო, ლოყა ლოყაზე მიჰკეროდა. თავჩაკიდებული იდგა, მკლავები გულზე დაეჭდო. პირდაპირ კედელთან მამაკაცები ჩარიგებულებიყვნენ, ხელები ხანჯლის ვადაზე დაედოთ და კუშტად შესცქეროდნენ მოსისხლეს. შემოვიდა ედიღე, აქეთ-იქიდან აჯუკი და სალიხი შესდგომოდნენ მხარში. სამფეხა სკამი მიართვეს მოხუცს. ისედაც მოკუზული იყო

და სკამზე დამჯდარი სულ პატარა გამოჩნდა. მაგრამ ნათელი თვალები ჰქონდა, სულაც არ უგავდა ბერიკაცისას. ედილემ შუმაფსა და სურეთს შეხედა და თქვა: — შენზე უბედური არავინაა, ჩემო შვილო. აღარავინა გყავს/ მომხედავი, ვაჟიშვილი დაგეკარგა.

დედაბერმა თავსაფარი აიწია, შუმაფს თვალები ჩუმად დაიხილა: — აი, აქ არის! მოკალით!

შუმაფი არ გატოკებულა, ოდნავ უფრო დახარა თავი და ის იყო. აჭუკისაგან გაგონილი მქონდა, რომ სახლში შემოსულს არ კლავენ ხოლმე. დავუმატებ, რომ არა მარტო ჰერქვეშ არ შეიძლებოდა მკვლელობა, საერთოდ არავის მოკლავდნენ, თუ იქ ქალი იქნებოდა.

— ილაპარაკე, შუმაფ, — ბრძანა ედილემ. — ყველანი გისმენთ.

შუმაფმა თავი ასწია, ყველას მოგვავლო თვალი, კედელს მოსცილდა და ყრუ ხმით დაიწყო ლაპარაკი. ძალიან ღელავდა და ისევე, როგორც ყველა მთიელს სჩვევია დიდი მღელვარების წუთებში, გრძნობით ლაპარაკობდა, თითქოს ლექსად ამბობსო:

— ყველამ იცით, მკვლელი ვარ. ვაი, ჩემს თავს! სიკვდილი მოგიტანეთ აქ, შურისძიებაც დავიმსახურე. აგერ, ჩემი გული, თავს აღარ დავიცავ. ვინც ვაჟაკი ხართ, ხანჯლები აიღეთ...

მისი სიტყვები გამომწვევად გახშიანდა და კაცებმა ერთმანეთს გადახედეს.

— გესმით? — წამოიყვირა სურეთმა. — მხდალები ხართო, თქვა. მოკალით, მოკალით-მეთქი!

— განაგრძე, შუმაფ, — აუღელვებლად წარმოთქვა აჭუკმა და სურეთს მკაცრად შეხედა. ვერ გავიგე, მოხუცს მართლა შურისძიება სწყუროდა თუ მკვლელას დასჯის მოთხოვნა მხოლოდ წესისამებრ იყო საჭირო. არც შუმაფისა და სურეთის ვაჟის ჩხუბის მიზეზი ვიცოდი. ვინ იყო მათში უფრო ბრალეული? გულწრფელად ინანიებს შუმაფი დანაშაულს, თუ შიმშილმა და მარტოობამ გააწამა და ტყიდან გამოაგდო?

— იმ სახლში, სადაც მე დავიბადე, — მჭექარე ხმით თქვა შუმაფმა, — ორი მეოქარია: მამაჩემი და ჩემი ძმა. მტერი უკვე ხმაღს ღესავს და თოფს ტენის. ვილა დაიცავს სურეთს, სადაა მისი ქმარი, მისი შვილი?

კაცები ღუმდნენ. ეტყობოდა, რომ შუმაფი დანაშაულს არ ინანიებდა და მხოლოდ იმიტომ გამოცხადდა, რომ მთებს რუსი ჯარისკაცები უახლოვდებოდნენ. როგორ შეაფასებენ ამას მამაკაცები? ყველა დაიძაბა.

— ჩემი შვილი შენ მოკალი, შენ! — კვლავ დაიყვირა სურეთმა და ქალებმაც ხმამაღალი ტირილი გააბეს. ედილემ თავი გააქნია — გაჩუმდითო.

— დედი, — თქვა შუმაფმა და უკვე სურეთს მიუბრუნდა, — შვილად ამიყვანე და შენს სახლ-კარში ჩავდგები, როგორც შენი შვილი და როგორც მეომარი. მოვრჩი ჩემს სათქმელს. — კვლავ კედელთან მიდგა და თავი დახარა.

მამაკაცები მოწონების ნიშნად ახმაურდნენ.

სურეთი ჭიუტად ღუმდა.

ედილემ აჭუკს შეხედა.

— მე, — დინჯად თქვა აჭუკმა, — მოკლულის მამის მეგობარი გახლდით. ლაპის უფროსი ძმა იყო ჩემი. ვინ იტყვის, რომ არა მაქვს სისხლის ალების უფლება? იქნებ, სწორს არ ვამბობ?

— სწორს ამბობ, — ზვიადად თქვა ედილემ, — შენ სხვაზე უწინ გაქვს შურისძიების უფლება.

— ჰოდა, უარს ვამბობ შურისძიებაზე, — თქვა აჭუკმა. — მე უფიქრობ, სურეთი უძეოდ არ უნდა დარჩეს.

ედილემ ახლა სალიხს შეხედა.

— მე, — მშვიდად თქვა სალიხმა, — სურეთის მეზობელი ვარ, მაგრამ მეც უარზე ვდგავარ.

— ვის სურს შურისძიება? — იკითხა ედილემ.

კაცები დუმდნენ. მაშინ ედილემ ხელი ჩამოისვა გრძელ, ჭალარა წვერზე და სურეთს მიაჩერდა.

— დედაო, გსურს შუმაფი შვილად აიყვანო?

მოხუცმა არაფერი უპასუხა. თავსაფარს სმუსნიდა დაკრუნჩხული თითებით. დედაკაცები მისკენ დაიხარნენ, ჩურჩული დაუწყეს.

— მოვიდეს, — ხმადაბლა, მაგრამ მკაფიოდ თქვა მოხუცმა.

შუმაფიც მივიდა, მუხლი მოიყარა, კალთაზე დაუდო თავი. სურეთმა თავსაფარი მოიძრო და თავზე დააფარა. ორივენი ატირდნენ. შემდეგ ქალმა აცახცახებულ თითებით გაიხსნა ბეშმეთის უბე და პურანგი, დამჭკნარი ძუძუ გამოიღო და შუმაფმაც ბაგეები შეახო ძუძუსთავზე. ვაჟს ცრემლი სდიოდა.

— ალაპი იყოს თქვენი მფარველი, — თქვა ედილემ. — დედა ხარ და კიდევ მეტი, სურეთ, რაკი ასე კეთილი და ბრძენი გამოდექი. შენ, შუმაფ, ყველას ვაჟკაცად გაგვაჩვენე თავი, ჰოდა, ერთგული შვილი იყავი შენი ახალი დედისა. წავიდეთ, ხალხო, მარტო დავტოვოთ...

სალიხი წამოდგომაში მიეშველა ბერიკაცს, კარისკენ წაიყვანა იგი.

მე და აჭუკიც გამოვედით. ხალხი იშლებოდა, მხოლოდ ედილე იდგა ღობესთან.

— ვინმეს რომ ეკისრა შურისძიება?... — ვკითხე აჭუკს.

— არავის ჰქონდა ამის უფლება, ჩვენ ხომ სურეთის ოჯახის წევრები არა ვართ. შენ ალბათ მიხვდი, რომ შუმაფი დამნაშავედ არ ცნობს თავს. მე მითხრა, თავდაცვისას შემომაკვდაო. არავინ იცოდა, რაზე ჰქონდათ ჩხუბი, გამოკითხვაც უკვე გვიანი იყო, თანაც უხერხული — მიცვალებულზე ხომ, თუნდაც დამნაშავე იყოს, ცუდს ვერ იტყვი. ყველაფერი შერიგებისკენ მიდიოდა, მაგრამ რა არ ხდება ხოლმე... შეიძლება მოსისხლემ სიტყვა ვერ მოზომოს, ანდა ვინმე გაფიცბდეს და შეურაცხყოფა მიაყენოს დედის კენესა-ტირილით გულმომბაღმა... ამიტომაც იყო, წინდაწინ მოველაპარაკე ედილესა და სალიხს. მე და სალიხმა განგებ გამოვაცხადეთ, თითქოსდა სისხლის აღების უფლება გვქონდა. ჩვენი უარის შემდეგ ვინ ჩაერეოდა, შეურაცხყოფას ვინ მოგვაყენებდა?

— წინ გახედვას არასოდეს მოაქვს ხოლმე ზიანი, — თქვა ედილემ. — აკი ნათქვამია: ჯერ დაფიქრდი და მერე თქვი სიტყვა, ჯერ მიიხედ-მოიხედე და მერე დაჯექი, დილით თუ ფეხს წაიკრავ — საღამომდე იბორძიებო.

— სურეთი კი რა ჯიუტია, — ჩაილაპარაკა აჭუკმა. — ჭეშმარიტად: ცხენს მათრახს შემოჰკრავ, ფეხს ააჩქარებს, სახედარს შემოჰკრავ — ნაბიჯს წინ ვერ წაადგმევინებ. იმ ქალს მუფთის ზნე სჭირს, ადათი ლოდი ჰგონია, კაცს თავზე რომ უნდა დააწვეს. მაგრამ ადათი ლოდი კი არა, სახლის სახურავია, წვიმაში თავშესაფარი. ბოძები როცა დაღებება, უნდა გამოცვალო, რათა სახურავი არ ჩამოვარდეს და ქვეშ არ მოიყოლოს დიდი თუ პატარა.

ფიქრობ, ეს ჩემი მონათხრობი მკითხველს საფიქრალს გაუჩვენს. ეს კითხვე-
ბა თავიდან რომ ავიცილოთ, ზოგი რამის ახსნაა საჭირო. თუმცა, ამდენვე ვიცა,
ზოგიერთები ეჭვიან მოეკიდებიან ჩემს სიტყვებს. აი, რა უნდა შეთქვა: სისხლის
აღება ჩერქეზებში ისე ხშირი როდია, როგორც ჩვენ გვეჩვენებდა გეოგრაფი, რომ
ამ ჩვეულების წახალისება ხალხის გაწყვეტას შეუწყობდა. ახლა ვგონებ, ამ
ძიუხედავად, ადათით დაკანონებულ უფლებათა შორის, კერძო საკუთრების უფ-
ლების გარდა, შენარჩუნებული იყო იარაღის ტარებისა და შეურაცხყოფის შემ-
თხვევაში ამ იარაღის გამოყენების უფლება, განსაკუთრებით მაშინ, როცა დე-
დას, საერთოდ — ქალს შეურაცხყოფდნენ. მკვლელის მოქმედების სამართლი-
ანობას რომ აღიარებდა, ადათი იმავედროულად აღიარებდა პირადი შურისძიების
შესაძლებლობასაც მამის ანდა იმის მოკვლისათვის, დაღვრილი სისხლისათვის,
ოჯახის მარჩენალის დაკარგვისათვის. მკვლელი მაშინვე მიდიოდა თავისი სახ-
ლიდან, ტყეში დაეხეტებოდა, ამასობაში კი მისი ნათესავები და მეგობრები მხა-
რეთა მორიგებაზე ზრუნავდნენ. უფრო ხშირად, იმისდა მოხედვით, როგორი იყო
ჩადენილი დანაშაული, შეთამხმდებოდნენ და მოკლულის ოჯახს, გაჭირვებაში
რომ არ ჩავარდნილიყო, ამა თუ იმ რაოდენობის საქონელს აძლევდნენ საზღაურ-
რად. არც ისე ხშირი იყო შემთხვევა, როცა მკვლელი, შუამფრის მსგავსად, შვი-
ლად აყვანას სთხოვდა მოკლულის დედას, მის ოჯახზე ზრუნვას კისრულობდა
და მთელი თავისი სიცოცხლის განმავლობაში შვილივით ეზიდებოდა ამ ტვირთს.
ჩვენ ყოველივე ეს უცნაურად და გაუგებრად გვეჩვენება. სიტყვამ მოიტანა და
ჩვენს სოფელში მომხდარ მკვლევლობებს გავიხსენებ. მაგალითები საყმაოზე მე-
ტია. მეზობელი მეზობელს კლავს სიმთვრალეში, ერთი ნაჭერი მიწის გულის-
თვის, ანდა ძარცვასა თუ ცხენის ქურდობაზე შემოაკვდება კაცს კაცა — ციმბი-
რი სავსეა ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს მიერ მკვლევლობისათვის გასამართლე-
ბული კატორღელებით. ამ დროს ორივე ოჯახი, როგორც მოკლულის, ისე მკვლე-
ლისა, უმარჩენალოდ რჩება ხოლმე. თანაც, აბა, რომელი დედა იშვილებს, ჩვენში
ღვიძლი შვილის მკვლელს?

საღამოთი მთელი აული ჩვენსა შეიყარა. კოცონებისა და ჩირაღდების
ბრიალში ცეკვავდნენ ჩემსა და აჭუკის ეზოებში, ცეკვავდნენ მდელოზე, გზაზე.
ყველანი, კაცებიცა და ქალებიც ერთ დიდ, ბობოქარ ფერხულში იყვნენ ჩამბულ-
ნი, მე და ზაიდეთმაც ჩამოვუარეთ და ასე შეჩურჩულდებოდა ჩემი გულის სასურ-
ველი:

— ბედნიერი ვარ, ჩემო იაკუბ, ბედნიერი ვარ...

ამქვეყნად გაჩენა მარტო ამ სიხარულადაც ღირდა — სიყვარულით ათრთო-
ლებული, მხოლოდ ჩემთვის გასაცონი სიტყვების მოსმენად.

გვიან ღამით შევედით ჩვენს სახლში და კარი მივიკეტეთ. ზაიდეთი თავის
ოთახში გავიდა. ალერსი, წესით, მხოლოდ სიბნელეში შეიძლებოდა, მის საწოლ-
ზე. დავიცადე, სანამ ზაიდეთი გაიხდიდა, მეც ვავიხადე და კარის ზღურბლს გა-
დავაბიჯე.

იმ ღამით არაფერი გვიქნია, ერთმანეთს ჩახვეულები ვიწექით ალიონამდე,
ერთმანეთს ვეჩვენოდით და, როცა შევეჩვიეთ, უკვე მზეც ამოვიდა.

ჩემს ირგვლივ თითქოს ყველამ პირი შეიკრა, რომ წერაში შევშალათ ხე-
ლი. მეზობელი გლეხი ბირკავასავით მომეწება — თოფი გამიმართეო. ერთთავად
დაუანგებელი იყო და საღამომდე მოვუნდი, მეორე დღეს კი ტყვიას ვასხამდი:

თოფ-იარაღის ოსტატად მთვლიდნენ სოფელში. მერე სახლის პატრონს თივის
ხიდვამი ვეხმარებოდი. ამასობაში ენისეისკში დამობარეს. შევშფოთდი, შეხებ-
ნევიტ ჩემი გაქცევის გეგმები ხომ არ შეიტყვეს-მეთქი. ენისეისკელი ნახობი
ვერ დამასმენდა, მაგრამ... ჩემი შიში ფუჭი გამოდგა—ენისეისკში გადასვლა შე-
პოშთავაზეს, კანცელარიაში საქმისმწარმოებლად მუშაობა. მოხელეთა გმარებ-
რად უარი ვთქვი, დავეთხოვე ყველას და გულდაშვითდებული წამოვედი.

კარჭაბს რომ ველოდებოდი, შორს, პატარა დაქაობებულ მდინარე მელნიჩ-
ნიას პირას ვილაც თეთრწვერა ბერიკაცი დავინახე. არგანს დაყრდნობილი, მოკუ-
ხული იჯდა ცუნძზე და კაცებს უცქეროდა, წყალში ნაქს რომ უშვებდნენ. ახლოს
ნივედი. შიშველ, გასაებულ ფუნებზე ბუზები დახვეოდა, იქვე, მიწაზე ჩანთა
ედო. ჩემსკენ მობრუნდა... ისევ ის ჩაყანგებული კისერი, ჩავარდნილი ლოყები
და დანაოტებული შუბლი, ჭაღარა წვერის ქვეშ მოღვდილი ბერანგი... შეხედვაც
არ უნდოდა — მკერდიც უმეტველად ჭაღარა ბაღნით ექნებოდა მოფარული. უკვე
მერანდუნედა... ხან ხელში ამიტატებდა და დაკოყრილი ხელისგულებით ფერდებს
მრტყლევტდა, ხან დაღონებული იდგა და სადავით კხენი ეჭირა, ხან უბრადად
წვა და ხელები გადაეყარა, ახლა კი კვლავ ჩემს წინ იჯდა არგანს დაყრდნობი-
ლი და გულყეთილად შენომცქეროდა.

დედამიწაზე უთვალავია ერთმანეთის მსგავსი ბერიკაცი. და განა მართლ
ბერიკაცები? კავკასიაშიც, მალთროსიაშიც და კიდევ სადღაც-სადღაც უამრავი
ჩემსავით აწრიალებული, ჩემნაირი კაისაროვი წუხს და ეწამება...

ღილით უეცრად გამომეღვიძა, თითქოს ვილაცამ მუშტი მკრაო. ჯერ
თვალის არ გამეხილა, რომ უკვე ძილი აღარც მახსოვდა.

ზაიდეთი გოგვა-გოგვით გვიდა ეზოს. შევხედე თუ არა, ნეტარი გაბრუება
დამეუფლა. გადაწყვიტე, ყველა საოჯახო საქმეს მე გავაყეთებ-მეთქი. თუმცა
მამაკაცები ქალის საქმეებს არ აკეთებენ, ჩემი ქცევა აულში არ გაუკვირდებო-
დათ. აქ წესად ჰქონდათ, პირველ ორ წელაწადს პატარძლისათვის არაფერი
დაეკისრებინათ, ლოვიმს ძალაგებინებდნენ, სახლსა და ეზოს დააგვევინებდნენ
და სულ ფე იყო. მაგრამ ზაიდეთს არც დედამთილი ჰყავდა და არც მულები.
გარძნო თუ არა ჩემი მხერა, სხარტად შემობრუნდა, ლბილი დალალეები მხრებ-
ზე ჩამოეფინა და თაფლისფერი თვალბიცი ალერსით აეჭაო. სინაზის ამ თამამ-
მა, თავისუფალმა გამოვლინებამ კვლავ გამაბრუა, ისევე, როგორც დაუმსახუ-
რებელი ქება აბრუებს ხოლმე ადამიანს. ალბათ ასე უანგაროდ უყვართ ირმებს
თავიანთი ნუჭრები. ეშმაკურად გაიღიმა და თავი დახარა, მე კი მსხლის ხინ
როყზე ჩამოკიდებული თუნგი ჩამოვიდე, ზაიდეთს პირქუშად ჩავუარე და ბა-
ღის გავლით საპირფარეოსაკენ წავედი განსაბანად.

ხელ-პირი რომ დავიბანე და ჩოხა ჩავიცვი, პატარა მავიდაზე იკაშლილი
საუზმე მელოდა — პური, ყველი, თაფლი და რბე. შევუღდექით ჭამას. მოვთხო-
ვე, პირს ნუ მიიბრუნებ-მეთქი. ჩვეულებისამებრ, მაინც პირზე იფარებდა
ბელს, რათა მამაკაცს არ დაენახა, საქმელს როგორ ღეჭავდა. საუზმეს რომ
მოვრჩით, ჯამით წყალი მომაწოდა. გამოვირეცხე პირი, წამოვდექე, ხელები გა-
უწწოდე და გულზე მივიკარი — ისიც მომექრო. ვაკოცე თაფლით გაწებულ ტუ-
ჩებში. შეკრთა, თვალეები დახუჭა. ზარას, რასაკვირველია, ამას არ ეტყოდა, იგი
ხომ შეარცხვენდა ამგვარი სიითამამისათვის.

ისეთი თხელი და მოქნილი ტანი ჰქონდა, უკან რომ გადახრილიყო, თავის

წულებს ხელს ადვილად დაუწვდენდა. წინდაწინ გრძობდა ჩემს ყოველ —
სულიერ თუ ხორციელ — მოძრაობას. ის იყო, თავისთვის ძალა უნდა დამეტა-
ნებინა და მის ტუჩებს მოვწყდომოდი, რომ თვითონვე, ნელა გადასწია უკან
თავი და თვალები გაახილა. მის ზედა ტუჩზე პირველად ახლა შევნიშნე ძლიერ-
წესამჩნევი ბუსუსები.

— ნეტავი ძალე დადგებოდეს ღამე! — ეუჩურჩულე ვარსკვლავთა, თითქო-
ნა ყურში.

წამწამები დახარა, მკერდი გაშინახუნა და ექოსავით გაიმეორა:

— ნეტავი...

ღანანებით შეფუჭვი მკლავები და თოხის მოსატანად წავედი. ეზოში დამე-
წია და საგზელს თოფრა მომაწოდა.

ზოგჯერ, განსაკუთრებით მაშინ, როცა გარეთ, ქოხის სარკმლებთან ქარბუ-
ქი ღრიალებს ანდა ვარსკვლავთა სუსხიან, მკედრულ შუქზე ტყეში ტყაცატკუ-
ცი გაუდით კედრის ხეებს, მეჩვენება, თითქოს ის დილა არასოდეს მქონია და
მე გამოვიგონე, რათა ცოტა ხნით მაინც დამევიწყებინა ჩემი ახლანდელი ცხოვ-
რების მათხოვრული სიცარიელე.

მე და აჯუკა თითქმის შუადღემდე ვიმუშავეთ ყანაში. ასიცხდა. თოხი
დავუშვი და პირისახეზე ოფლი შევიშრაღე. აჯუკი მომიბრუნდა:

— იაკუბ, რუსები ივიახლოვდებიან.

მეგონა, გამოქცეულ ჯარისკაცებზე ამბობს-მეთქი და თავი დავუქნიე, სევ
თოხს მოვკიდე, ხელი.

როცა შვინდის ბუჩქქვეშ დასასვენებლად ჩამოვჯექით ჩრდილში, აჯუკმა
განმიმარტა:

— ჩრდილერიდან მოემართებიან, ბევრი არიან, თან ზარბაზნებიცა აქვთ.

კვლავ არაფერი გამეგებოდა, დოქით წყალი მოვსვი, ჭურჭელს კვლავ სი-
ნინდის ნაქურჩალით დავუცე თავი, ჩრდილში მივდგი და ახალა შევფო-
რიაქდი.

— ჰო, რატომღაც ძალზე მოგჭარბან. — აჯუკი უფრო მოხერხებულად
დაჯდა, ფეხები გაწვართა. — დილაუთენია სალიხი და კიდევ სამი კაცი გავგზავ-
ნე, ყველაფერი გაიგეთ-მეთქი...

ჩავფიქრდი. მერე ვკითხე, ამ ათი წლის წინათ ჩერქეზებმა რატომ არ ისარ-
გებლეთ თურქეთ-რუსეთის ომით, მოკავშირეთა მიერ სევასტოპოლის გარე-
მოცვით, ინგლისელებსა და თურქებს რატომ არ შეუერთდით და თავს არ დაგ-
ვესხით-მეთქი? აჯუკს არც გაუცინია, რათა უხერხულ მდგომარეობაში არ ჩა-
ვეგდე — მთიელები არასოდეს დაიტყობენ ხოლმე თავიანთ უპირატესობას უგუ-
ნურ თანამოსაუბრეზე — მხოლოდ ყავისფერ თვალებში გაუცრთა ნაპერწყლე-
ბი და ღმობიერად მიბასუხა:

— აქამდეც არაერთხელ გითხარი, არავისთან ომი არ გვინდა-მეთქი, აღარც
რუსი მეფის დაჯდომა გვინდა კისერზე, აღარც თურქი სულთნისა და აღარც
ინგლისის დედოფლისა, თუმცა კი ქალია. თურქებთან და ინგლისელებთან მე-
გობრობა თავისუფლების ფასად დაგვიჩადებოდა...

ჩვენი სამხედრო ისტორიკოსები და თვით რ. ფადევიც კი ამ მხრივ ჯე-
როვნად აფასებენ ჩერქეზებს. მთიელები სანაპიროზე არ აჭაჭანებდნენ თურ-
ქებს, ინგლისელებსა თუ ფრანგებს, და იმ წლებში კავკასიის სარდლობამ თავი-
სი ჯარები თამამად მოხსნა სანაპირო ხაზიდან, და საქართველოში, თურქეთის

სახლუარზე გადაიყვანა, რადგან ზურგი არ უნაღვლეძოდა. მეფე რომ უყოფილი-
ყავი, ბარტო ამიტომაც, რუსეთისათვის თუნდაც უნებლიეთ, სულ ერთია — რა
ნოსაზრებით აღმოჩენილ დახმარებისათვის ძაღლობას გადავუხდოდი ჩუქურჭე-
თის ტომებს, მოკავშირეებად ჩავთვლიდი და სამუდამოდ თავს დაგანებებდით.

— ჯერაც ბავშვი ვიყავი. — თქვა აჭუქმა. — როცა ვიქტორმა დაეცა, მის
დესპანი მოგვივიდა. სტუმარი იყო და ფეხები დაებანე, სუფრაზე საჭმელს
გაწვდიდი და მესმოდა, რაზე ლაპარაკობდა ჩვენს უბუცესებთან. — აჭუქს
წერილი ნაოჭები დაასხდა თვალთა კილოებთან და მივხვდი, ეცინებოდა ამ თა-
ვას მოგონებაზე. — სტუმარი რუბივით იყო გაბერილი. მაგრამ ცდილობდა
გაქმებული მჯდარიყო, გეგონებოდა სარზე ჩამოუგიათო. საჭმელს არ მიკარე-
ბია, სულ ჩიბუქს აბლაკუნებდა. სულ ეს ეკერა პირზე: ეომეთ რუსებს, ჩვენ ვი-
რარდს მოგაწვდი, მერე კი ბედნიერი იქნებით, რადგან დედოფალი გეყოლე-
ბათ გამგებლადო. ჰკითხეს, როგორიაო, ლამაზიაო დედოფალი? ვაბრაშდა,
თვალეზიკი ჩაუწითლდა...

აჭუქი ჩაფიქრდა, მერე თქვა:

— დაქსაქსულია ყველა ჩვენი ტომი, ყველა ცალ-ცალკე ცხოვრობს, თვი-
თოეული აული თავისთვისაა. ერთი ხელია. თითები კი ველარა გრძნობენ ერთ-
ნანეთს. ჰოდა, ყველას თითო-თითოდ მოჰკვეთენ. აზნაურებიც ნაცარს აყრიან
უბიხებს თვალში — ვისაც მეფის წყალობა უნდა, დაჩოქებას უჩიჩინებს ხალხს,
ვისაც თურქეთში ფიქრობს ხელის მოთბობას, ქადაგებს: უნდა წავიდეთ, იქ ისე
ცხოვრებთ, როგორც სამოთხეში, ჰურიები გააღერსებენ და ცივ-ცივ შარბათს
მოგართმევენო...

დადუმდა და მოიღუშა.

კვლავ მიუშობას შევეუდექით. დროდადრო აჭუქს გავყურებდი და გულში
მოძალეებულ შიშს იმის იმედით ვახშობდი, ზღვისპირიდან ამომავალი ჯარი
აუღლს ვერ შეამჩნევს და გვერდს აგვივლის ამეთქი. რა უცნაურია: რამდენჯერ
მე თვითონ მიმიღია მონაწილეობა აულებს გადაბუგვაში, ახლა კი, სულ რაღაც
ორი წლის შემდეგ, ყანაში თოხით ვიდექი და მთელი სისრულით ვერ წარმო-
მდგინა მოახლოებული სამშრომლობა. გვერდს აგვივლიან და წავლენ-მეთქი,
ეფიქრობდი.

აჭუქმა უცებ სხაპასხუბით თქვა:

— ეს ბინდოდა, კიდევ ორი ვაჭიშვილი მყოლოდა. სამივე კი, ხუთიც, თუა
გამიჩინდებოდა...

— ღმერთმა ავისრულოს, — ისე ეუთხარი, მისი სიტყვების აზრს ყურად-
ღება არ მივაქციე.

ასლანის საფლაფს ბალახი და წითელი ყაყაჩო მოსდებოდა. გომნახი ხში-
რად მოდიოდა საფლაფზე და მეც მსმენია, ცრემლნარევი ღიმილით რომ ადი-
დებდა უბლეველ შიბლეს, მისი შვილის წამყვანს.

დედაჩემი გამახსენდა, სადღაც შორს. კალუგის იგუბერნიამი დღედაღამ
ჩემზე რომ ფიქრობდა. სხვათაშორის გამახსენდა და არც გული მომწურვია. ახ-
ლა გონება სხვა საფიქრალით მქონდა სავსე, იმას ვანგარიშობდი, შევძლებდი
თუ ვერა, რომ შემოდგომაზე ზაიდეთისათვის ბეშმეთი ანუ, როგორც შაფსულე-
ვი ეძახდნენ — საი შევიღნა. ამ სტრატეგიითა წამკითხველი უფულობას მისაყვე-
დურებს და მართალიც იქნება. მაგრამ ასეთი ყოფილა ადამიანის ბუნება — რო-
ცა ლაღადა ვართ, გვავეწყობება ხოლმე დედა, ასე გვგონია, ჩვენი კარგად ყოფ-

ნით იმასაც უადვილდება ცხოვრება. ერთადერთი, რაც ამ წლებში დედას გა-
ვუყვებო, ის იყო, რომ პატარა წერილი გავატანე ერთ ვაჭარს. აღმოთქვა, რომ
სადმე, რომელიმე ცივილიზებულ ადგილას ჩააგდებდა ფოსტაში.
მაღე მზვერავებიც დაბრუნდნენ. ყანას სალიხი მოაგვამდა, ტომარე მოეგდო
მხარზე.

ყანის გაღმა, ნაძვნარისაკენ წავედით და დავსხედით. სალიხი გვერდით და-
ვიჯდა, თავისი ტომარა იქვე მიაგდო.

ჩაცუცქულიყო, ხან მე, ხან აჭუკს შეხედავდა სხივიანი, მომლიმარი თვა-
ლებით და დინჯად ელოდა შეკითხვებს.

— ყველანი დაბრუნდით? — ჰკითხა აჭუკმა და ტომარას ცერად გახედა:
ტომრის ძირზე სასხლი შემხმარიყო.

— ყველანი. რუსები ზემოთ, მიჯნისაკენ მოდიან. ღამით დაიბანაკეს, მე-
რე ორად გაიყვნენ. დაახლოებით ორასი ჯარისკაცი ჩვენსკენ მოემართება.

— ჩვენსკენ? — კითხვა გაუმეთრა აჭუკმა.

— პო. ალიამ მიაყურა და ყველაფერი გაიგონა. ისიც გაიგო, თურმე
ბაადზე რუსი მეფის ძმა თავის ლაშქარს ელოდება. წინ კაზაკი მზვერავები გა-
მოუშვეს, შორიდან დაინახეს ჩვენი აული. უკან მობრუნებულებს გზაში ვუყუ-
ლეთ, სამნი წაგვივიდნენ, ოთხნი კი აგერ... — სალიხმა ტომარა ასწია და ბალახ-
ზე მოჭრილი თავები წამოაპყარა. სამი წვერულვაშიანი იყო, მეოთხე კი, რო-
გორც პირველად მომეჩვენა — სახეგაპარსული.

მოულოდნელობისა და შიშისაგან სუნთქვა შეშეკრა. აქამდე არასოდეს მენა-
ხა და, უფალს ვევედრები — ნუმც აწ მანახოს ადამიანის სხეულს მოცილებუ-
ლი თავი. წვერულვაშიანი თავები ხან ძველ უნტერს, ტიმოფეის მაგონებდა,
რომელმაც ოდესღაც პირველად მომიტხრო ჩერქეზთა ამბავი, ხან ფელდფებელ
კოფენიკოვსა და ჩემი ასეულის სხვა ხნიერ ჯარისკაცებს, ხოლო უწვერული
რალაციით თვითონ მე მგაედა.

ბალახზე მიყრილი ეს სისხლანი თავები იმ წარსულს ეკუთვნოდა, რომელ-
საც, ჩემი ჭკუით, სამარადისოდ მოვცილდი. ახლა იგი კვლავ მოდიოდა მთელი
თავისი მრისხანე სისასტიკით, მაგრამ მე ისევ არ მინდოდა დამეჭვრებინა ეამთა
სიავის შემობრუნება და, კაზაკთა ჩასისხლული თვალები რომ არ დამე-
ნახა, განზე გავიხედე. სალიხმა შემხედა და, მერე, აჭუკს მიაჩერდა. მეც
ქვისლს მივაპყარი მზერა. მან უწვერულ თავს ქოჩორში ხელი წაავლო, ასწია
და მიცვალებულის ყმაწვილური, სუფთა სახისა და ღია, თეთრად დამტვერილი
თვალების თვალიერებას შეუდგა. შუბლზე წარბები გადაბმულიყვნენ, თითქოს
ტკივილისაგან მოჭმუნულანო. აჭუკმა თითი გადაუსვა ნაოქს, მაგრამ ვერ გა-
ასწორა.

— ყმაწვილია, — თქვა აჭუკმა, — ჯერ ულვაშიც არ გაზრდია, გოგოსა
ჰგავს. კიდევ რა?

— უბიხები შეგვხვდნენ, იმათ თქვეს, ზღვის სანაპიროზე უკვე აღარ დარჩა
აულებიო. ბაკუჩინჯას სათავეებში შვიდასი მეომარი შეყრილა, ომს ეპირებიან.
აჩხიპსოუც საომრადაა გამზადებული, ზოგიერთი არდილურზე დაცემას ფიქ-
რობს...

აჭუკმა ყმაწვილის თავი სხვა თავებთან მიაგდო — მიწაზე დაცემისას კბი-
ლებმა კრატუნი მოიღეს. ქვისლს მივაჩერდი. უცნაური გრძობა მქონდა — ვე-
ღარა ვცნობდი. ანდა, სხვანაირად რომ ვთქვა, რალაც შევნიშნე მის ხასიათში,

ჩემთვის უცხო და გაუგებარი. ასევე ვერაფრით ვუკავშირებდი ერთმანეთს სა-
ლიხის ნათელ, ბავშვივით სუფთა თვალებსა და მის ნამოქმედარს — აქი ალბათ
ჩან მოსკრა ჩემს თანამემამულეებს თავები.

აჭუკმა მზეს ახედა და წამოდგა.

— დრო კიდევ გვაქვს. წავიდეთ, მეკხემე შევეყაროთ. წაღობ; ეს სხვა
ბი მიწაში ჩაფალი.

კაზაკ-პლასტუნთა გასისხლიანებული, ბალახზე მიყრილი თავები ამქვეყნი-
ური ყოფის არარაობას მაგონებდა. უკვე ვიცოდი, რომ ჯარისკაცები — ალბათ,
მთელი ბატალიონი — აულისაკენ მოიჩქაროდნენ. მაგრამ მაინც, აჭუკის კვალ-
ზე მაგალი, იმაზე კი არ ვფიქრობდი, რომ მეც ამ კაზაკთა ბედი მელოდა, არა-
მედ სრულიად სხვა რამეზე — ზაიდეთისათვის ამ შემოდგომაზე საი კი არა,
ჯარვის ყელსაბამი ხომ არ მეყიდა-მეთქი? ასეთები ვართ ადამიანები. მუდაჰ,
დღე იქნება თუ ღამე, სულ ამას ვჩიჩინებთ: სიკვდილი გარდუვალთა, მაგრამ
სხვას მოკლავს, მე კი არაო; ისინი წავლენ, მე კი დავრჩებიო. ნეტა ეს ხომ არ
არის ზენი გადარჩენის, გამძლეობის საწინდარი?

მალე მამაკაცები მეკხემეზე შეიყარნენ. მშვიდად, ყურადღებით უსმენდნენ
აჭუკის მზვერავებს და სწორედ ამ სიმშვიდით ჩანდნენ პირქუშნი. რუსთა ჯარის
მოქმედებისა და დასავლეთ კავკასიაში საქმის ვითარების შესახებ მიღებული
ცნობები, რასაკვირველია, არასრული იყო და მხოლოდ ზოგადად იქნებოდა
სარწმუნო. სინამდვილეში კი აი, რა ხდებოდა:

1863 წლის დასაწყისში ზღვასა და მდინარე ადალუმს, ყუბანსა და ბელა-
იას შორის მოქცეული მთელი მიწა რუსთა ჯარს ჰქონდა დაპყრობილი. იმ წლის
გაზაფხულზე, რომელი წლის ამბებსაც ვყვები, მთიელები უკვე კავკასიონის
ქედის მთელი ჩრდილო წინამთებიდან განდევნეს — მდინარე ლაბადან ზღვამ-
დე; ქედის გადმოღმაც — ყუბანის სათავეებიდან მდინარე ტუაპსემდე. მერე
ჰეიმანის რაზმი ნაპირის გასწვრივ, სამხრეთისაკენ იმავე გზით წამოვიდა, რომ-
ლითაც ოზერმესმა წამომიყვანა, მივიდა მდინარე სოჩას სათავემდე და აქ,
ნავაგინის ფორტის ადგილას ახალი სიმაგრე ააგეს, რომელსაც რაზმის საბა-
ტივსაცემოდ დახოვსკი ეწოდა. მერე გენერალი ჰეიმანი მთიელთა თურქეთში
გასახლებას შეუდგა, გრაფ ევდოკიმოვს ერთთავად გემებს სთხოვდა და ასახ-
ლებდა ხაკუჩინებს, შაფსულებს, პსხუსა და აჩხიპსოუს ტომს. დაუმორჩილე-
ბელი დარჩათ მხოლოდ უბინები, აგრეთვე მდინარე მძიმთას ქვაბულში მცხოვ-
რებ ხაკუჩინთა და აჩხიპსოუს ერთი ნაწილი. აქეთკენ, მდინარე მძიმთას სათა-
ვეებისაკენ, კბადას მიჯნისაკენ გამოემართნენ: ვაგრის მხრიდან გენერალ-
მაიორ შატილოვის რაზმი, სოხუმიდან — გენერალ-ლეიტენანტ თავად სვიატო-
პოლკოვნიკის რაზმი, მალაია ლაბადან ულელტეხილისაკენ — გენერალ-მაიორ
გრაბეს, ხოლო მდინარე სოჩიდან — გენერალ ჰეიმანის რაზმები. ამ რაზმში,
როგორც მალე გავიგე, ჩემი ყოფილი პოლკიც ყოფილა. გავვრით აღვნიშნავ,
რომ ოფრეინმა ისე გამოიჩინა თავი, კავკასიის ბრძოლების ჩამთავრების შემ-
დეგ მისი სახელი კადეტთა კორპუსებისათვის შედგენილ სახელმძღვანელოშიც
კი მოხვდა. იმ სახელმძღვანელოში ასეთი წინადადება ამოვიკითხე: „კშეხასა და
ბელაიას შორის აუღთა განადგურება ბოლომდე ჯერაც არ იყო მიყვანილი და
პოლკოვნიკი ოფრეინი წარმატებით განაგრძობდა დაწყებულ საქმეს“. როგორც
უხედავთ, ოფრეინი უკვე პოლკოვნიკი გამხდარა. ომის მიწურულს სამხედრო ხა-
რისნებს ისე არიგებდნენ, გეგონებოდათ, საიდგომო თავლაკვერიაო. ოფრე-

ინთან ჩემს საბოლოო შეხვედრაზე კიდევ ვიტყვი სიტყვას. ახლა რას შერება, არ ვიცი. უნდა ვიფიქრო, რომ ქონება შეიძინა, გენერლის ჩინით გავიდა თადარიგში და ახლა სადმე, რეველსა თუ თბილისში ხელს ისევე მოტვლებილ თავზე და შვილიშვილებს თავის საგმირო საქმეებს უყვება.

ვერაფრით გავიგე, რა მიზეზი იყო, რომ დიდი თანხა — მისი ქვამდებლობის ქვამდებლობა — დას ქვამდებლობაში ჯარების თავმოყრას. შეიძლება უნდოდა ეამებინა თავისი რძლის — ოლდენბურგის პრინცესა ალექსანდრასათვის, ნიკოლოზის მეუღლისათვის, ვისდამიც, როგორც ჭორები დადიოდა, გულგრილი არ გახლდათ — მისი დღეობა, ალექსანდრაობა 21 მაისს აღინიშნებოდა.

მეკხემემ აულის დაცვა გადაწყვიტა. უმრავლესობა დაეთანხმა ადიღეს ნათქვამს:

— ისევ რომ წაეიდეთ, უფრო გონივრული იქნება. მაგრამ სად? იქ — მან მზის სხივებში აელვარებულ თოვლიანი მწვერვალებისაკენ გაიშვირა ხელი — არაფერი ხარობს. სადმე ცხრა მთას იქით სიკვდილს ისევ შინ სიკვდილი ჯობს.

რვა ოჯახმა წასვლა თქვა. არავინ ცდილა მათ გადარწმუნებას. არც წამსვლელთ უცდიათ დანარჩენებისათვის შეეგონებინათ — ჩვენ გამოგვყევითო.

აჯუკს ედიღე მიუახლოვდა.

— თუ ყველაფერი კარგად იქნა, — თქვა მან, — მინდა ხალხს ვთხოვო: დამეხმარონ და აი, ფიჭვნარსიქითა ფერდობი დამიხნან და გამიპატივონ, ვაშლი მინდა დავრგო... უცხოური ვაშლი ვნახე; იმოდენაა. ბავშვის თავი გეგონება, თავლის სუნი უდის, ოღონდ დედაკაცივით სუსტია. შევაჯვარებ ჩვენებურ ჯიშთან და მამაკაცის ძალა მიეცემა, ყინვას გაუძლებს...

— გონიერი კაცი თავისი საქმეებითაა ქებული, — მოწონებით დაეთანხმა აჯუკი.

არ ვიცოდი თავი დამეკრა მოხუცისათვის (შაფსულებს არცა აქვთ ჩვევად თავის დაკვრა), თუ გამცინებოდა უკეთესი მომავლის ამ ყოვლად გაუგებარ რწმენაზე. აქაც ის ამბავი იყო, რაზედაც ზემოთ ვწერდი: მე თვითონ იმედი მქონდა, სხვისი იმედნეულობა კი უაზრო მეჩვენებოდა.

— რაო, მართლა იმედი აქვს, რომ გადავრჩებით? — ვკითხე აჯუკს, როცა ედიღე გაეცალა.

აჯუკმა არაფერი მიპასუხა.

ხალხი მდუმარედ უთვალთვალებდა, როგორ აქუჩებდნენ აულიდან წამსვლელნი თავიანთ ბარგი-ბარხანას. რა უნდა წაიღოს კაცმა? თოფი, ნაბადი, საგლიანი ჩანთა, შეჭამადის მოსახარში ქვაბი, მხარზე შემოსმული ბავშვი... გავვოცდი, როცა მიმავალთა შორის კნიშევის ცოლი, ბავშვიანი გერი და სიძე დავინახე. თვითონ კნიშევი არ ჩანდა.

— სად მიდიან? — ვკითხე სალიხს.

— სადაც თვითონ ეგუნებებათ. — გულგრილად მომიგო სალიხმა.

აჯუკმა თადარიგი დაიჭირა, რომ ხეობიდან აულში ამომავალი ბილიკები ჩაეხერგათ. ილიას მოტანილი სპილენძის ძველი ზარბაზანი, თუჯის ყუმბარები რომ არა მქონდა და ქვებით შეუცვალეს. მდინარეზე გადმოსასვლელი ფონის პირდაპირ, გორაკზე დაადგმევინა. ათი ჯიგითი სათვალთვალოდ გაგზავნეს, მტრის მოახლოება რომ ეცნობებინათ. მამაკაცები წავიდ-წამოვიდნენ, რათა საომრად გამზადებულიყვნენ. სამოცდაათი კაცი თუ იქნებოდა. აულიდან გასატენი კაჟიანი თოფები და ფისტონიანი ხირიმები მქონდათ, მხოლოდ ზოგი-

ერთს თუ მოეხვედებოდა შაშხანა. მაგრამ შაფსულები ისედაც ცივ იარაღს — ხმალსა და ხანჯალს ამჯობინებდნენ, თანაც, როგორც წესი, ერთ მწყობრივ კარა, ცალკეულ, ოც-ოცკაციან ჯგუფებად იბრძოდნენ.

მოულოდნელად ოზერმესი მომეახლა. გახარებულები ერთმანეთს მოხუც-სალმეთ. ვუსაყვედურე — ყონადი ხარ, ჩემს ქორწილში რად არ მოხვედრი-ნეთქი. დამნაშავესავეთ გაშალა ხელები და მკითხა, მეუღლით ხომ ხარ კმაყოფილიო.

— როგორ იმოგზაურე? — ახლა მე ვკითხე.

— მთელი სანაპირო შემოვიარე. ვინც კი ცოცხალია, ყველა ზღვასგაღმა მიდის.

— შენ რას იზამ, ჩვენთან დარჩები, თუ ისევ წახვალ?

— ერთ გოგოს მათრახი უნდა ჩავუგდო ეზოში, — მითხრა ხმადაბლა, — პერე ვნახოთ, რა იქნება. იქნებ კი გესტუმრო ამ საღამოთი.

მათრახს სასურველ ქალიშვილს უგდებდნენ ხოლმე ეზოში. თუკი მათრახს უკანვე გადმოგიგდებდნენ, აღარათრის იმედი არ უნდა გქონოდა.

ნეტა ვინაა მისი რჩეული? ყველა ჩვენი საპატარძლო გავიხსენე, მაგრამ ვერ მივხვდი, ვის უნდა დაეპყრო ჯეგუაქოს გული. მგონი, არც მინახავს, რომ ვინმესთან ყოფილიყო. მოვიდა კნიშევი და ჩემს გვერდით დადგა, რატომღაც ფაფახი მოიხადა — გაჩეჩილი, რახანია გაუკრეჭავი თმა ჰქონდა.

— რაო, თქვენო კეთილშობილებავ, გვიახლოვდება აღსასრული? გაგვი-თენდა შავი დღე.

უსაშველო განწირულება ედგა თვალებში, მისი შემხედვარე უცებ მეც შევჩქვიფდი და დავიბენი. სადღაც, მუცელსა და გულს შორის რაღაცამ მწვა-ნედ მიკბინა და კარგა ხანს ვერ მოვიცილე ეს ტკივილი.

ჩაფიქრებულმა თავზე ფაფახი დაიხურა, კვლავ მოიხადა, ერთხანს ხელში ატრიალა, მერე კვლავ დაიხურა და ხელი ჩაიქნია.

— ცოლმა რაღად მიგატოვა? — ვკითხე.

— მე რა მაგისი თავმდეგი ვარ, ჩასიძებული კაცი. თქვა, შვილიშვილის გა-დარჩენაზე უნდა ვიფიქროთო...

— შენც წასულიყავი.

— სად, თურქებთან?! — უცებ გაბრაზდა და მგელივით შემხედა, მაგრამ წამსვე შეშინდა, დაცხრა და გამცილდა.

მე და აჭუკი ყანაში წავედით თოხების წამოსაღებად. დავსხედით. საფიქ-რალმა წამილო. მერე მოვფხიზლდი და აჭუკს შევხედე. ნაფოტით თოხს მიწას აკლიდა და რაღაცას ლილინებდა ხმადაბლა. სხვა შაფსულებისა არ იყოს, კარგი სმენა ჰქონდა, რიტმის შეგრძნებაზე ხომ არას ვამბობ. სიმღერა ყველას უყვარ-და აულში, დიდსა თუ პატარას. სიმღერით იმსუბუქებდნენ გულის დარდს, სიმ-ღერა იფარავდათ გაჭირვებაში. ზამთარში მე და აჭუკი თხებზე სანადიროდ წა-ვედით, ხუთი მონადირე გვახლდა. დიდი თოვლი მოვიდა, კაცს დაფარავდა, კი-ნადამ ზვავმა წაგვილო, ძლივს მივარღვევდით თოვლს, სიქა გაგვძვრა, მივეყარე-ნით ნამქერში, სასიკვდილო თვლებმა მოგვერია. მაშინ აჭუკმა ძალით აგვაყენა, ჩავეხვიეთ ერთმანეთს, თავი-თავზე მივექუჭკეთ, აჭუკმა კი სიმღერა წამოიწყო. ჩვენი გზა ძნელიათ, — მღეროდა, — მაგრამ მაინც დავბრუნდებითო აულში, იქ დედაკაცები აერაზე ცეცხლს აღვივებენო. მონადირეებმა უმაღლესად აიტაცეს ჰანგი, მკაცრად აკეციეს და ნელ-ნელა მომეშვა დაღლილობა, უძლოურება.

წმენდდა აჯუკი თოხის პირს, რაღაცას ფიქრობდა.

— მომისმინე, — ვკითხე მე, — თქვენი წინაპრები და წინაპართა წინაპრები, ასევე ნატუხაელთა, შაფსულთა და უბიხთა მამა-პაპანი მუდამ ამ ადგილებში სახლობდნენ?

— იმ ქვეყანას წასული ჯერ არავეინ მობრუნებულა, ამბობენ წინაპრები მოეტანა, — აჯუკმა გვერდზე გადადო თოხი. — ამბობენ, უხსოვარ წარსულში, ჯერ კიდევ იესოზე და მუჰამედზე ადრე, ხალხი შორს, ზღვასგალმა ცხოვრობდა, სადაც არაბეთში. სულ რვა ტომი ყოფილა. ქვეყნის ნახვა მოუნდათ და, ვინ საით წავიდა და ვინ საით. ყურანში ასეა ნათქვამი: კაცი ოდესმე წარმოადგენდნენ ერთს ხალხსა. მერე დაცილდნენ. დაკარგეს ერთმანეთი, ტომი ტომს ხვდებოდა და ველარა ცნობდა, ისე ებრძოდნენ ერთმანეთს, თითქოსდა უცხოები იყვნენ. — აჯუკს კვლავ ღიმილი ჩაუდგა მზერაში. — აგერ, შენც ხომ ვერ მიცანი, როცა ერთმანეთს შეეხვდით. მეც ველარ გიცანი.

— მაგრამ ხომ მაინც ვიცანით ერთმანეთი, — შევეპასუხე.

მან მოწონების ნიშნად დამიქნია თავი.

— ჰოდა, იმას გიყვებოდით... ჩვენმა ტომმა ის მიწა-წყალი გამოიარა, სადაც მერე და მერე ყირიმის ხანის სამფლობელო გაშენდა. ზოგიერთი იღლებოდა გზაში, ჩერდებოდა და რა ადგილიც მოეწონებოდათ, იქ იშენებდნენ ხოლმე აულებს. დანარჩენები კი ამ ადგილებში მოვიდნენ და დაესახლნენ... შენ კარგად თქვი: მაინც ვიცანით ერთმანეთი. მე ასე მგონია: ადამიანებს დაავიწყდათ, რომ ყველანი ერთი ხალხი ვართ; ვიდრე ამას არ გაიხსენებენ, ქვეყანაზე მშვიდობა არ იქნება.

კიდევ დიდხანს ვილაპარაკეთ და, ჩვენ-ჩვენ სახლებში წამოსასვლელად რომ ავდექით, შორიდან დაგვიძახეს:

— აჯუკა, იაკუბ! მოდიან!

ოზერმესი აულის ბოლოს ჩაეგება ჯარს. ჩვეულებრივ, ოფიცრებს სთხოვა, თავი დაგვანებეთ, ტყუილ-უბრალოდ სისხლი რად დაიღვაროსო! მაგრამ, როცა დაბრუნდა, უარის ნიშნად გააქნია თავი.

ჯარი აულს შელამებულზე მოადგა და მდინარის გაღმა, დიდ ველზე დაბანაკდა. სიჩუმეში ცულების კაკუნი გახმიანდა, აჯუკმა იცოდა, რომ ღამით, სიბნელეში აულს არ შემოუტევენ, ამიტომ რამდენიმე კაცი ჩასასაფრებლად გაგზავნა, დანარჩენები კი ალიონამდე შინ გაუშვა.

„მოდიან“ რომ გავიგონე, თითქოს მეხი დამეცა. მივყიალეზდი, საითაც ფეხები წამიყვანდა, უაზროდ დავდიოდით, არც რაიმე იმედი მქონდა, უგონო მორჩილებით ველოდი ოზერმესის დაბრუნებას. გულგრილად ვისმენდი აჯუკის განკარგულებებს და იმაზე ვფიქრობდი, რა ამაო იყო-მეთქი მთელი ჩემი მცდელობა წარსულისაგან გაქცევისა. სულ ერთია, წარსული მაინც მიყვლებდა, დაბეწეოდა და ისევ ის სჯობდა. სულაც არ გამოვყოლოდი ოზერმესს, ტყვია მეკრა შუბლში, რამეთუ ამით მაინც არაფერს დაკარგავდი, გავთავისუფლდებოდი კი ყოველივე იმისგან, რაც ასე მქენჯნიდა, მით უმეტეს ახლა, როცა თავისუფლების გემო გავიგე, როცა შრომისა და სიყვარულის მაღლი შევიცანი. რა უაზრო ჩანდა ახლა თავის დამშვიდება-შეგულიანება, გადარჩენის იმედი, ყანაში მუშაობა, საუბარი, სიცილი, როცა უავე ყულფი მქონდა ყელზე მოხვეული და საცაა კიდევ დაიჭიმებოდა ეს ყულფი, ამომძვრებოდა სული და მეტად ველარასოდეს დავინახავდი ამ ვარსკვლავებით მოჭედულ ცას.

არ ვიცი, რის ბრალი იყო, მაგრამ უეცრად საშინლად მომინდა რალაც მექნა, რამე გამეკეთებინა. ასე მგლებისგან დევნილმა, დაზაფრულმა მგელმა იცის, ციცაბო კლდის პირას მიჩიხულმა — უცებ მოუბრუნდება მდევნელთ, კბილებს დაკრეჭს, შიშისაგან შარდი გასდის, მაგრამ მაინც იბრძვის, ხუტუცა-ყარგად იცის, რომ სულ ერთია, მალე დაგლეჯენ. გულში აყუვლებული ტვირთი უკვე დამიცხრა. ადგილს ვერ ვპოულობდი, თავს ძალას ვატანდი, რომ სადმე წავსულიყავი, რამე მეღონა. იქნებ ამიტომაც ვთქვი, ბანაკთან მივიპარები და ჯარისკაცთა ლაპარაკს მივაყურადებ, იქნებ გავიგო, ჯარი რას აპირებს-მეთქი.

— აფერუმ! — მხარი დამიჭირა აჯუკმა. — წადი. კარგად მისმინე, რა გითხრა: ქვემოთ, კლდესთან გადადი მდინარეზე, მერე ტყე-ტყე იარე, ბუჩქნარში ჩაწეკი ტყის მხრიდან, ისე, რომ პირქარი გცემდეს. ძაღლები თუ ჰყავთ, სუნს ვერ აიღებენ. დიდხანს არ დარჩე, თორემ მთვარე ამოვა და იქნებ შეგამჩნიონ. ალიასთან დაგელოდები, ზარბაზანი რომ დგას.

ჩანჩქერს ჩავსცდი, მერე ერთხანს გაეჩერდი და სმენად ვიქეცი. ცის კაბადონზე შვიდი ძმა, ანუ, როგორც ჩვენ ვეძახით — დიდი დათვის თანავარსკვლავედი ციმციმებდა. სადღაც, აულში სათლი გაჩხარუნდა, წკრიალა ხმით გაიციინა ვილაც გოგონამ, ცხენმა წამოიჭიხვინა. კვლავ გაისმა სიცილი. ბიბას ხმას ჰგავდა. ნეტავი თუ მოდენა საძოვრიდან ჩვენი ცხენი? ორწლიანი კვიცი იყო, თავზე უბალნო ნიკორი ჰქონდა და ამიტომ კუიჯი — ქაჩალი დაარქვეს. დაუდგარი იყო, სულ ბიბასა ჰგავდა. გოგონამ რამდენჯერმე სცადა ზურგზე შეჭდომოდა და ეჭენებინა, მაგრამ კვიცმა უმალ გადმოაგდო, გაიქცა. მუდამ თავს გვაძებნივებდა ხოლმე.

— აბა, თითო-თითო ჭიქა, დადექი-ით! — გაისმა ფელდფებელთა მჭექარე ხმები.

რა ხანია, არ მსმენია ეს ბრძანება. გადავიარე ფონი, ტყეში შევედი. ფისის სურნელი იდგა. უჩუმრად მივაბიჯებდი წიწვით მოფენილ მიწაზე, ტყის პირას გავედი. ბუჩქნარი კონცხივით ერთვოდა მინდორს.

საუზმის მაუწყებელი დაფდაფთა გრიალი გაისმა — ესეც მთელს ხეობაში გახშიანდა. რალაცამ მომილიტინა ყელში, აი, მაისის მომწარო თაფლმა რომ იცის ხოლმე. ხეს მოვეფარე და ბანაკის თვალიერებას შევუდექი. ბანაკს ირგვლივ ხერგილი ჰქონდა მოვლებული. აქეთ, ბუჩქნარისკენ საზიდრები ეყენათ, მათ შორის ორთვალას მოხსნილი ზარბაზანი იდგა. საზიდრების უკან კოცონები ენთო. აქედან ვერ ვიგებდი ჯარისკაცების ლაპარაკს. მარცხნივ, ტყის სიახლოეს, რალაც მრუმე ილანდებოდა. ჩავჯექი, კარგად დავაკვირდი. უცებ თამბაქოს ნამწვმა გაიკიაფა და ჩაქრა. ეტყობა, ფარულად ჩასაფრებული ჯარისკაცები იყვნენ — ვილაცა ვერ გაფრთხილდა და თამბაქო გააბოლა. არავის რომ არ შეეგმჩინე, ბუჩქების მარჯვნივ უნდა გავცოცებულიყავი. ხანჯალი გვერდზე მოვიქციე, ჩოხის კალთები ქამარში ჩავიკეცე, ქალამნები ამოვიჭიმე.

— ლოცვაზე! — გაისმა ფელდფებელთა ბრძანება, როცა დაფდაფთა სადამიო გრიალი მიწყდა.

სწორედ ახლა მქონდა მიპარვის დრო. დავწეკი და ნელა გავცოცდი ბანაკისკენ, თან მიწას ვუფათურებდი ხელს, ხმელ ტოტს არ გადავაწყდე-მეთქი.

— მამათ ჩვენო, რომელი ხარ ცათა შინა, — ხმაშეწყობილად გააბეს ასეულთა სიმღერის გუნდებმა.

ისევ რალაცამ შემილიტინა ყელში, ცრემლებმა ამიწვეს თვალები. იმიტომ

კი არა, რომ ლოცვა შესმოდა, — ბავშვობაში დასწავლილი. მეტე რამდენჯერ განმიმეორებია დილიდან საღამომდე, წლიდან წლამდე, არა, სევდას მიღვრიდა გულში ეს სიტყვები, სევდას იმ ყოველივეზე, უკვე აღარასოდეს რომ არ დამიბრუნდებოდა, მახსენებდა პროტეას, მდინარისპირა ჩრდილოვან პარკს, ტყბილ ქაფს, დედაჩემი სპილენძის ტაშტში მდულარ ალუბლის მურაბას ჩემთვის რომ მოხდიდა ხოლმე, კადეტთა კორპუსის საერთო ოთახს, სადაც ფანჯარასთან იდგა ჩემი საწოლი და ფანჯრიდანაც კრემლი და სამების ტაძარი ჩანდა, ვუშბათებზე მუდამ ყვავ-ყორანი რომ დასტრიალებდა. ყურებში მიწკრიალებდა ეს გრძნობით მოპირთავეებული სიტყვები, და მაინც ლოცვა არაფერ შუაში იყო, მთავარი ის გახლდათ, რომ ჩემს საკუთარ, ძირეულ-რუსულ სიტყვებს ვისმენდი და ასე მეჩვენებოდა, სიტყვები კი არა, ერთმანეთში არეული ოქროსა და ვერცხლის მონეტები ცვიოდა გამოხარატებულ გობზე. უკვე სულ ბოლო ბუჩქთან მივცოცდი, აქედან ხერგილამდე ათიოდე მეტრზე მეტი არც იქნებოდა, ვიწექი, პირისაზე ნესტიან მიწაში მქონდა ჩარგული და დარდით გულმოწყლული ვტიროდი. დაე, გამკიცხოს, ვისაც სურს, მაგრამ იმ წამს ვინმეს რომ დავენახე და ეყვილა: „სდექ, ვინ მოდისო“, უეჭველად გავეპასუხებოდი. მაგრამ არავის შევეუძინევივარ. ვიწექი ცივ ბალახში და ვფიქრობდი: თუმცა აქამდე არ მიდარდია ამ ყოველივე ძვირფასსა და ჩემეულზე, სულ ერთია, ადრე თუ გვიან დარდი მაინც გაიღვიძებდა-მეთქი.

სმენად ვიყავი ქცეული. ბოლოს ქარმა ბანაკის მხრიდან მოუბერა და უახლოეს კოცონთან მჯდომი ჯარისკაცების ლაპარაკი მომიტანა. ამბობდნენ, იმი მალე დამთავრდებაო და ყველას, ვისაც კი ვადა გაუვიდა, სარჩევად დაურიგებენ აქაურ მიწებს; ოფიცრებს ოთხას დესეტინას, ჯარისკაცებს კი ოცდაათ-ოცდაათსო. ვილაცის ჯაერიანი ხმა არ დაეთანხმა: კაზაკებს, იქნებ, პო, ჯარისკაცებს კი ხვიშტს მისცემნო; მაგრამ გენერლები, მოგეცა ლხენა, მიხედავენ თავიანთ თავს, არ იზარალებენო. მერე ვილაცამ ტყუილ-უბრალოდ თავწაგებულ ცუნტრუკა ვანიანტკა შეიცოდა და უმაღ ვიფიქრე, ალბათ იმ უწვერულ ყმაწვილზე ლაპარაკობენ, ვისი თავიც სალიხმა მოიტანა-მეთქი. არა მგონია. კაზაკი ყოფილიყოს იგი. ამ დროს ვილაც მოვიდა კოცონთან. ხრინწიანი ბოხი ხმა მომესმა და კინალამ წამოვხტი — ჩვენი ფელდფებელის, კოჟენიკოვის ხმა ვიცანი, სწორედ იმ კაცისა, მე რომ მწვრთნიდა, მარტივ ჯარისკაცულ მეცნიერებას რომ მასწავლიდა, უფროსთან გაჯორვას რომ მაცილებდა. არ ვიცი, მოულოდნელობამ მიყო, თუ მთელს ტანში გამჯდარმა სინესტემ, მაგრამ კანკალი კი ამივარდა. სხვების ლაპარაკიც მომესმა — ორი ვილაც გამოსცდა საზიდარს, დადგნენ და შარდვა დაიწყეს.

— წყეული აული! — შეიგინა ერთმა და გადააფურთხა. — ეს რომ არ გამოგვჩხეროდა, უკვე ადგილზე ვიქნებოდით.

გაივორონსკი იყო — ვიცანი და გამიხარდა. დიახ, ამ ოდესღაც საბულველი კაცის ხმაც კი მეამა და, ერთმანეთს პირისპირ რომ შევეროდით, ალბათ კელზეც ჩამოვეკიდებოდი. ბანაკთან ჯაშუშური ცნობებისათვის მიცოცებული მსტოვარი, მათ ლაპარაკს ვისმენდი და გული მათკენ მიწევდა, იმას მიელტვოდა, რაც უკვე ჩემეული არ იყო, მაგრამ მაინც ჩამრჩენოდა გულში, არ გამქრალიყო ისევე, როგორც ჩვილობის ხალი მიგყვება ხოლმე მთელი ჩვენი სიცოცხლის განმავლობაში.

— გრაფმა ალუთქვა ოფრეისს, არ დაგივიწყებთო, — გაისმა მეორე, ჩე-

მთვის უცნობი ხმა. — ცერემონიალს თუ მივუსწრებთ, ჩვენი ბატალიონი კოლონის თავში წავა და დიდი მთავარიც...

— კარგით, პორუჩიკო, — შეაწყვეტინა გაივრონსკიმ. — ვითომ არ იცოდეთ, ფლავი რომ დასწრებაზეა. სანამ ჩვენ იქ მივალთ, ყველა გილდო დარბეზული იქნება. სახელი და დიდება არ ეყო ჩვენს პოლკოვნიკს. შეუჭდა ეშმაკი, ამ აულის განადგურებას თხოულობს. კაცმა ამდენი წელიწადი იომო და, როცა აღარაფერი დარჩა ბოლომდე, როყო ტყვია მოგხვდეს...

— პოლკოვნიკმა ბრძანა, ტყვია და ყუმბარა არ დაინანოთო. ალიონზე ჩანჩქერს ზემოთ ავაგორებთ ზარბაზანს, იქიდან სულ რიხინ-რიხინით წავა...

— თქვენ რალა გიჭირთ, პორუჩიკო, შორიდან ადვილია, მე კი ჩემი ასეულით პირველი უნდა გადავიდე მდინარეზე, ტყვიების წვიმაში...

წავიდნენ, საზიდარს მიეფარნენ. მე კი ერთობ გამახარა სასარგებლო ცნობების გაგებამ.

ახლა ხშირად მგონია, რომ თავს ვიტყუებდი მაშინ, როცა ვფიქრობდი, თითქოს სამშობლოს კვამლმა მიშიზიდა, არა, ყველაფერმა ერთად მაცთუნა, იმ გზამაც, რომელიც უარყვავი, კარიერამაც, რომელიც არად ჩავაგდე, სხვაგვარად რომ ვთქვათ — ცხოვრების იმ მონურმა წესმა, რომელშიაც ერთნი ჩემი ბედის განმგებელი იყვნენ, ხოლო მეორეთა ჩემს ხელქვეითთა ბედს მე თვითონ განვაგებდი. ვერ მომისაზრებია, რა გარდაქმნებია საჭირო საიმისოდ, ანდა კიდევ რამდენი საუკუნე უნდა გავიდეს, რომ ჩვენც შინაგანად განვთავისუფლდეთ და სხვების თავისუფლებაც ვიწამოთ. მაგრამ ასე ახლა ვფიქრობ, მაშინ კი მიწას დამხობილი ვიწექი, მესმოდა კოცონთან მჯდომი ჯარისკაცების ნაცნობი, მშობლიური სიმღერა და ვტიროდი. ვუსმენდი სიმღერას და ვფიქრობდი: აი, ახლა რომ დავიყვირო — ძმებო, არ მესროლოთ-მეთქი და წამოვდგე, რალაც ერთი-ორი წუთის შემდეგ ბანაკში ვიქნები, ყველა მომვარდება და გადამეხვევა-მეთქი, ხოლო თუკი სიმართლეს არ ვიტყოდი (ბანაკში მისული კი მართლაც არ ვიტყოდი სიმართლეს), ჩერქეზთა ტყვეობიდან გამოქცეულ მამაც პორუჩიკს მეორე დღესვე დიდ მთავარს წარუდგენდნენ, გიორგის ჯვარს ჩამოპკიდებდნენ, დააწინაურებდნენ, მისცემდნენ ორი წლის ჯამაგირს, ჯანზე მოსასვლელად — შვებულებას, დანიშნავდნენ ჯერ ასეულის, მერე ბატალიონის, მერე პოლკის მეთაურად, ბოლოს გენერალ-მაიორობას გაიკრავდა, სამსახურიდან გადადგებოდა, ხოლო კიდევ ერთი ასეთი ომი რომ ამტყდარიყო ანდა სადმე დაღესტანსა თუ ვისოცკის სამშობლოში ამბოხი დაეწყოთ, იქნებ გენერალ-ფელდმარშლობამდეც მიეღწია თავად ბარიატინსკივით, იმ ამბავით კი, ასე მოიქცეოდა თუ აულში დაბრუნდებოდა, არაფერი შეიცვლებოდა სამყაროში გარდა ასეთი, სრულიად უმნიშვნელო რამისა — ერთი არამზადით მეტი იქნებოდა... საზოგადოება თუკი გაიგებდა სიმართლეს, არამზადას უეჭველად გაამართლებდა, მაგრამ საზოგადოება ვერასოდეს გაიგებდა ამას. გაიგებდნენ სხვები, ისინი, ვინც აულში ჩემს დაბრუნებას ელოდნენ და, რაც მთავარია, მე მეცოდინებოდა...

მთის წვერს შუქი შემოადგა — მალე მთვარე ამოვიდოდა. ტყისაკენ გამოვცოცდი, მერე ავდექი და, ცოტათი რომ შევმთბარიყავი, გამოვიქეცი. მივადექი მდინარეს, ზოგან ფონი გავტოპე, ზოგან ლოდიდან ლოდზე გადავხტი. ერთგან ორმოში ჩავვარდი, დავსველდი. გამოვედი ნაპირზე, ერთი დაბალი, დაკორძილი მუხის ძირას ჩამოვჯექი, რათა პაჭიჭები გამეწურა.

ვიდაცის წყნარი ხმა მომესმა — ჭაბუკი და ქალიშვილი ეშვებოდნენ მდი-

ნარისაკენ, ფერდობი ჩამოიარეს. მუხის ქვემოთა ტოტები მფარავდა და ვერ და-
მინახეს. ქალიშვილი ფეხშიშველა გატყაპუნდა წყალში და კლდეზე ავიდა, ქა-
ბუკი კი ჩოხის გახდას შეუდგა. საბანაოდ მოსული ვერცხვამალაობაში
კვლავ ხმამალლა დაიწყეს ლაპარაკი, რათა ჩანჩქერის ხმს დაეხმარათ და
ერთმანეთისათვის მიეწვდინათ სათქმელი.

ოზერმესი იყო. გამახსენდა მისი ნათქვამი — ერთ გოგოს მათრახი უნდა
ჩავუგდოო ეზოში. ეტყობა, ქალიშვილს აუღია მათრახი, ისე აქ საბანაოდ არ
მოვიდოდნენ. ვინაა ოზერმესის რჩეული? ის-ის იყო, უნდა დაშეიხა მისთვის,
მაგრამ თავი შევიკავე, მივხვდი, რომ ხელი არ უნდა შემეშალა... თითქოს შო-
რიდან მესმოდა მათი ლაპარაკი. ასე მაყურებლები უმზერენ და უსმენენ ხოლ-
მე თეატრის სცენაზე წარმოდგენილ სახიობას.

ქალიშვილი ღიმილით (მე მას ვერა ვხედავდი, მაგრამ ხმაზე ვატყობდი,
რომ იღიმებოდა) შეეკითხა ოზერმესს, რა ქონება გაბადიაო, და ოზერმესმაც
ღიმილითვე მიუგო: არც სახლი მაქვს, არც ცხენი მყავს, არც ხარები, ეს ერ-
თი ჭიანჭური მაქვს და მამისეული ნაბადიო.

სადღაც შორს, ზევით ვიღაცამ დაიყვირა, მგონი, რუსულად. ბანაკიდან
სროლა მოისმა. კიდევ რამდენჯერმე გაისროლეს. ეჭო მთებს მოედო.

ოზერმესი და ქალიშვილი გაყუჩდნენ, მერე ისევ დაიწყეს ლაპარაკი,
ოდონდ ხმადაბლა. ცალკეული სიტყვებილა მესმოდა. ბოლოს მივხვდი, რომ
ჩებახანი ახლდა ოზერმესს და გამიხარდა, რამეთუ მხოლოდ იგი, უცოდველი,
უიარაღო ადამიანი, ხალხის ჭირთა მეოხი კაცი იყო ამ მზეთუნახავის ღირსი.

— ხვალ მეომრებს უნდა ვუმღერო, — თქვა ოზერმესმა. — მერე კი, თუ
გადავრჩი, შენს გარდა არავინ მეყოლება მსმენელი. წავალთ. შეიძლება იქ წა-
ვიდეთ, სადაც მუდმივი თოვლი ძევს. თოვლს მაინც არავინ წაგვართმევს.

მთის თავზე მთვარის კიდე ამოჩნდა. მის მოყვითალო შუქზე დავინახე, რო-
გორ მოხვია მხრებზე ოზერმესმა ჩებახანს ხელი, როგორ აუყვანენ აღმართს, გა-
ვიგონე სიმივით დაჭიმული ხმა ქალიშვილისა:

— ამაღამდელ ღამეს მაინც ვერავინ წაგვართმევს მე და შენ!..

აულში რომ დავბრუნდი, აჯუკს ვუთხარი, ალიონზე ზარბაზანს ჩანჩქერს
ზემოთ დადგამენ, პირველად კი ფონის მხრიდან შემოგვიტევენ-მეთქი.

— ასეც ვიცოდი, — მითხრა კმაყოფილმა. — კარგა ხანს არ გამოჩნდი.
ნტერი რომ აებნია, ალიამ ყვირილი და გინება დაიწყო. პოდა, სროლა ატეხეს.

მე ვუთხარი, სროლა გავიგე, მაგრამ უკვე ჩვენს ნაპირზე ვიყავი, შეყოვნე-
ბით კი იმიტომ შევყოვნდი, ოზერმესსა და ჩებახანს შეუღლების წინა ღამეს
ბანაობა დავაცალე-მეთქი.

— ირემი და შერცხალი! — თქვა აჯუკმა. — კარგი!.. ჯიგიტები უნდა გავ-
გზავნოთ ჩასასაფრებლად, ჩანჩქერში გადაუძახონ იმათი ზარბაზანი.

ღმერთმა იცის, რატომ, იქნებ იმიტომ, რომ ასე შეძრული და აწრიალებუ-
ლი ვიყავი, თავში მკრეხელური აზრი მომივიდა, ენა ვერ გავაჩერე და აჯუკს
ვუთხარი:

— ზოგი მშობლიურ მიწას ტოვებს და თურქეთში მიდის, ზოგი იარალით
ხელში კვდება, მაგრამ ზოგი მისთვის გამოყოფილ მიწაზე მიდის და სახლდება.
პოდა, ჩვენზე უფრო ჭკვიანები და წინდახედულები ხომ არ აღმოჩნდებიან
ისინი მომავალში? იმათი ერთი ნაწილი მაინც, ვინც მორჩილება განაცხადა, ავი
თავისთავსაც იხსნის და შთამომავლობასაც გადაარჩენს?

„ჩვენზე“ უფრო ჭკვიანები-მეთქი იმიტომ ვთქვი, სიტყვები შემერბილებინა, მაგრამ აჯუკმა ამას ყურადღება არ მიაქცია, ცოტა ხნით ჩაფიქრდა და ზითხრა:

— პო, ბევრი ბედული, ნატუხაელი და სხვა, თავიანთ აზნაურებთან ერთად, მეფის სარდლების მიერ მითითებულ ადგილას წავიდა. კარგად იცოდა, რა ბედი ეწევათ მათ. არწივს ყველაზე მახვილი თვალი აქვს, მაგრამ თავისი სიმალლიდან ისიც ვერ დაინახავს მომავალ ზაფხულს და ზამთარს. აი, საიქიოში რომ კარგა ხანს ვიცხოვრებთ, მერე ენახავთ, ვინ იყო მართალი. ზოგმა იქნებ ჩვენი შეცდომაც ვალიაოთ, სხვამაც სხვა თქვას... შენ რომ ამბობ — ჭკვიანები იქნებ ისინი აღმოჩნდნენ, ვინაც საკუთარი თავისა და შთამომავლობის გადარჩენისათვის ქედი მოიხარაო — ვერ ამბობ გზიანს, ცუდი ნათქვამია. აბა, ვის შეუძლია თქვას, როდის მორჩილება ჯობს და როდის ისეთად დარჩენა, როგორც ჩვენი მამა-პაპანი ყოფილან? კაცი ერთხელ რომ დაიჩოქებს, მერე ხოხვასაც მიეჩვევა, ხალხსაც ყბის ქვეშ მოექცევა თვალები, როგორც თხუნელას აქვს... მე ერთი რამ ვიცი: კაცმა თავისი სახლი უნდა დაიცვას, ხალხმა კი — თავისი მიწა. ასე იყო, ასე არის და ასე იქნება!

ამან კიდევ უფრო გამიძლიერა ავბედითი მომავლის წინაშე შიში და დაბნეულობა.

ილიას ზარბაზანთან მივედი. ზარბაზანი ფიცრულ ლაფეტზე შეეყენებინათ, იქვე გროვად ეყარა მდინარიდან ამოტანილი, წყლისგან მომრგვალებული რიყის ქვები. ხევში კი, ორ ვეება მუხას შორის დანთებული კოცონის პირას, სალიხთან ერთად თვით ილია წამოწოლილიყო.

წამოდგა, ფლატესთან მივიდა, ხელები პირზე მიიღო და მჭექარე ხმით დაიძახა:

— პეი, ყურმოჭრილო მონებო! თქვე ჩანჩურა ფეხოსნებო, თქვენა! ვისაც თავისუფლება გინდათ, ჩვენსკენ გადმოდით! ქვეყნის რუსობაა ჩვენთან, მიწას ვხნავთ, ქალები გვყავს, თქვენს მეფე ალექსაშკასაც თავზე ვაშარდავთ!

გულზე მომეფონა, ასე რომ თათხავდა ბანაკს, რომლის ახლოსაც სულ ცოტა ხნის წინათ მწარედ ვიტანჯებოდი, თითქოს საკუთარ თავზე ვიძიე შური — ვუთხარი:

— უფრო მაგრად, ილია, მისცხე, მისცხე მაგათ!

ღობისკენ გამომავალ ფანჯრებში შუქი ენთო ეზო გავიარე, ოთახში შევედი და ისე ღრმად ამოვისუნთქე, თითქოს ღობიდან კარებამდე წყალქვეშ ბეწლოს და ამოსუნთქვა არ შემძლებოდეს.

ტკაცუნობდა კვარი. კუთხეში, ტახტზე ზაქირს ეიინა, პირს ამწლაკუნებდა ძილში. აქაც გადმომყვა! ზაიდეთი კი საქალებოს კარებში იდგა და შეძმობცქეროდა. გაკოხტავებულიყო ჩემი მომლოდინე. გავიგონე მისი ოდნავ შეკავებული სუნთქვა. სახეზე თითქოს არაფერს იმჩინევდა, მაგრამ ჩემი დანახვის სიხარული ისე გამოუკრთოდა ნაკვთებში, როგორც შუქი — მკრთალი მიხით დაფარულ სანთურში.

ყველაფერს ერთდროულად რომ მოვავლე თვალი, — ზაქირის ტახტსა და ტახტსზემთ აკრულ ხალიჩას, საკვამურსა და ეერიას, საიდანაც მოხარული ზორცის სურნელი დიოდა, მოცახცახე კვარს, ესოდენ დიდი შრომით მონაგარ ჩემს წიგნებს შუქს რომ ჰფენდა, მეუღლის გაბრწყინებულ თვალებს — უმაღ

შევიგნე ის, რაც ჯერაც ვერ შემეგნო რიგიანად: აი, სწორედ ეს იყო ერთადერთი, ყველაზე მთავარი და ფასეული ჩვენს ცხოვრებაში. მე მხოლოდ მეჩვენებოდა, რომ დამავიწყდა ზაიდეთი, სინამდვილეში კი იგი მუდამ ჩემს გულში იყო, ჩემთან იყო სწორედ ისევე, აი, გული რომ ძგერს უჩვეულებულად, ფილტვები რომ სუნთქავს... გავუწოდე ხელები, მანაც უმცლ-მცლად მოვეხვიე, ხელში ავიტაცე, საქალებოში შევიყვანე.

მერე ფრთხილად, ზაქირი რომ არ გამეღვიძებინა, ტაბლა შევიტანე ზაიდეთის ოთახში. შევექცეოდით ყველაფერს, რაც კი ზაიდეთს მოემზადებინა, ზედაც ცივ წყალს ვაყოლებდით. დროდადრო ჭამას თავს ვანებებდი, რათა ცოლი შემექო და მის მოწყურებულ ტუჩებს დაეკონებოდი. სანამ იგი სუფრას აალაგებდა, ზაქირთან მივედი და ნაბადი გავუსწორე. ბიჭმა რაღაც წაიბუტბუტა, მხოლოდ „იაკუბი“ გავიგონე და ვიფიქრე — ვუყვარვარ, რაკი სიზმარშიც კი მე მხედავს-მეთქი. მეც მიყვარდა ეს კალმახივით სხმარტალა ბავშვი, ჩემი შეგირდი, რომელიც ადამის მიხედვით კი არა, ორივე ჩვენგანის ურთიერთარჩევანით მყავდა აღსაზრდელად აყვანილი. კვლავ რაღაც წამოიბუტბუტა და მის თავით დავიხარე — ახლა დედას ეძახდა...

ზაიდეთის ოთახში კვარი ჩაქრა. ვიცოდი, ბეშმეთსა და პერანგს იხდიდა სიბნელეში. თავადაც ტანთ გავიხადე, ფრთხილად გავემართე ტახტისაკენ, რომელზედაც უკვე მუდამ ჩემი სასურველი, ჩემსავით სულსწრაფი და მოწყურებული. ისე ჩავეხვიეთ ერთმანეთს, თითქოს მთელი ჩვენი ცხოვრების განმავლობაში გვეძებნოს და ახლად გვეპოვოს ერთურობა.

მთვარის შუქი შემოიჭრა ფანჯარაში, ზაიდეთის დაღლილ სახეს დაეცა. მან ხელი აიფარა სახეზე და ბედნიერმა, არც შემცბარა, ისე მითხრა:

— მე შენ თორმეტ ბიჭს ერთად გაგიჩენ.

უზოში გამოვედი და დიდ, ბრინჯაოსფრად მოვლვარე წითელ მთვარეს ვხედე. ახორში კუთხიმ დაიფრუტუნა, კედელს ფლოქვი ჰკრა. უცნაური სუნი ასდიოდა ტყესა და მიწას, მაჭრის სუნსა ჰგავდა. გამახსენდა, აჯუკმა რომ მი-თხრა, კიდევ საში, ის კი არა — ხუთ-ვათიშვილი მინდა მყავდესო, ანდა ის, რა გრძნობით უთხრა ჩებახანმა ოზერმესს — ამ ღამეს მაინც ვერავინ წაგვართმევსო, ისიც ვიგრძენი, როგორ მეღვრებოდა ტანში მიწის დამათრობელი სურნელი და როგორ მიღვიძებდა ზაიდეთთან დაბრუნების სურვილს, ისიც თითქმის ცხადლივ დავინახე, ამავე სურვილით შეპყრობილი მთელი აულის მამაკაცები რარიგ ხარბად ეალერსებოდნენ თავიანთ ცოლებს, ცოლებიც კმაყოფილების კენესით შთაისახავდნენ შვილებს, რომელთაც დაბადება აღარ ეწერათ.

შინ მობრუნებულა ზაიდეთმა დამიძახა:

— სადა ხარ ამდენ ხანს?

არც დაგვიძინია და განთიადიც მაშინდა შეენიშნერ, როცა აჯუკის ხმა შე-ოგვესმა.

მთვარე ჩასულიყო. აღმოსავლეთით მკრთალად მოსდებოდა ცას ვარდისფერი აისი. აჯუკი და ზარა ღობესთან იდგნენ, აჯუკს შაშხანა ეჭირა, ზარასაც თოფი მოეგდო მხარზე. მათ ახლოს ბიბა დახტოდა, რაღაცას ტიტინებდა. ზარა უწყობდა.

წავიდეთ, — ვუთხარი ზაიდეთს.

სანამ იგი იცვამდა, მე ზაქირს დავუწყე ნჯღრევა. დიდი ძილისგულა გახლდათ, გაღვიძება არ უნდოდა, მხოლოდ მაშინ წამოდგა, როცა ვუჩურჩულე, მაშინ გეძახის-მეთქი.

ამოვიხრე, ავიღე შაშხანა, გარეთ გამოვედი, კარი გამოვიხურე.

აღიონის ბინდბუნდში ყველას ფერმკრთალი სახე ჰქონდა. ზაქირი ამოქნარებდა, გამწყვრალი ზარა პირგამეხებით შეჰყურებდა ბიბას, მღუმიარედ იდგა შაშხანას დაყრდნობილი აჭუკი. ზაიდეთი იბუზებოდა ნესტიან ქაჩაში — ვუთხარი, შინ შედი და ნაბადი მოისხი-მეთქი. აჭუკიც, ზარაც, შექცლეს სხვაგვაროდ გამზადებულ ხალხს მაგონებდა, ცხენების მოლოდინში რომ დგანან ხოლმე ფუნდუკის ეზოში.

გადავწყვიტეთ — ზაიდეთი, ბიბა და ზაქირი აულის ბოლოს გაგვეგზავნა, რათა ფიჭვის ჭალასთან დამალულიყვნენ ეოლოს ბუჩქნარში. საეჭვო იყო, რომ იჭაურობისთვის სროლა აეტეხათ. ზაიდეთის გაფითრებულ სახეს შეეხედე. „მეც წამიყვანე, — მევედრებოდნენ მისი თვალები, — მეც შენთან წამიყვანე“.

თავს ძალა დაეატანე და ვუთხარი:

— ბიბასა და ზაქირს მიხედე, იქ დაგველოდეთ.

მორჩილად დამიქნია თავი, ბიბასა და ზაქირს ხელი ჩაავლო და წავიდნენ. თითქოს ბურანში ვხედავდი სამივეს.

ბორცვზე ილიას ზარბაზანმა დაიგრიალა და მთელი მიდამო გააღვიძა.

წვრილმანებს აღარ მოვყვები. დამჭრეს და, საბედნიეროდ, ბევრი რამ არ დამინახავს. მაგრამ ისიც, რისი დანახვაც წილად მხვდა, საკმაოზე მეტი იყო, რომ მერე, მთელი წლების განმავლობაში დამლამობით ბოდვა არ მომცდილებოდა.

როცა აჭუკმა, ზარამ და მე ილიასთან მივირბინეთ, იგი უკვე გაცხარებით საქმიანობდა: ზარბაზანს დენთითა და წვრილი რიყის ქვით ტენიდა, კოცონიდან მუგუზალი მოჰქონდა, ფალიას მუგუზალს ადებდა და ზარბაზანიც გრიალებდა. უკან იწევდა ფიცრულ ლაფეტთან ერთად, ილია კვლავ წინ აგდებდა და ცოლს ვასძახოდა, რომ მაღიმალ მოეწოდებინა რიყის ქვები. ფონს უმიზნებდა, ჯარისკაცებს მდინარეზე გადმოსვლას არ ანებებდა, რამდენჯერმე რომ გაისვრიდა, ტყვიებს არად ჩააგდებდა და ხეების საფრიდან გამოხტებოდა ხოლმე, მტერს მუშტს უღერებდა, იგინებოდა და ხარხარებდა.

ის ზარბაზანი, ვუშინ ბანაკში რომ ვნახე, დუმდა. ეტყობა, აჭუკის გაგზავნილმა ჭივიტებმა გადააგდეს ჩანჩქერში. მალე აულის მეორე მხრიდანაც მოისმა იოფების ბათქები.

აჭუკი, ზარა, სალიზი და მე, რამდენიმე მეომართან ერთად, ფერდობზე დავეშვიტე და ფონის სიახლოვეს გავიჯაჭვეთ. მე ერთი პატარა ბორცვის უკან ჩავიმალე. მარცხნივ, მეჩხერ ბუჩქნარში აჭუკი და ზარა ჩასაფრებულებიყვნენ და ისროდნენ. მდინარის გაღმა გაივრონსკი დავლანდე, რაღაცას ყვიროდა და ხელებს აქნევდა, ალბათ საიერიშოდ აქეზებდა ჯარისკაცებს. მივხვდი, ომის დამთავრება რომ ვაიგეს, არ უნდოდათ ბოლო დღეს დალუპვა, იწვნენ და ელოდნენ, როდის შესუსტდებოდა მტრის ცეცხლი. შემდეგ როგორც გავიგე ლაპარაკში, თურმე არც პოლკოვნიკი ოფრეინი და არც სხვა ოფიცრობა ელოდა ამგვარ მედგარ წინააღმდეგობას.

ვილაც გამოქანდა, ჩემს გვერდით დაეცა მიწაზე და მომეკრო. ზაიდეთი იყო.

— ბიბა და ზაქირი სადღა არიან? — ვკითხე.

— დავმალე. აულში ჯარისკაცები შემოვიდნენ, კნიშმა მოასწავლა გზა.

ტყეზე გამოატარა, — მძიმედ სუნთქავდა და მიყვებოდა ზაიდეთი დაჭრილი ხომ არა ხარ?

— წადი, — ვუბრიახე, — ახლავე წადი!

თვალეში შემხედა, მეც ხელი მოვხვიე და წამით ყველაფერი დაშავდა. ეტყობა, ისევ ვერაფერს ხედავდა ჩემს გარდა, თუმცა ეჭვი შემდეგ მივხვდი, რომ ყველაფერს ხედავდა და ყველაფერი ესმოდა.

ილიას ზარბაზანი დადუმდა, ალბათ დენთი გამოეღია. ჯარისკაცებმა არეული „ურას“ ყიეინით იწყეს მდინარეზე გადმოსვლა. ზოგიერთი, მოკლული თუ დაჭრილი, ეცემოდა, წყალს მიჰქონდა. ჩვენი მხრიდანაც თანდათან სუსტდებოდა სროლა — სულ უფრო და უფრო მცირდებოდა აულის დამცველთა რიცხვი.

— ესროლე, — გაფაციცებით მიჩურჩულა ზაიდეთმა, — ჩქარა ესროლე! ჩვენი ჯერიც დამდგარიყო. პირდაპირ ჩვენსკენ გამოობოდა ათიოდე ჯარისკაცი, ყველაზე წინ — ფელდფებელი კოჩევნიკოვი. დავუბიზნე მის ფართო მკერდს, მაგრამ არ ვესროლე, მომეჩვენა, თითქოს მან მიცნო და კეთილად ჩაიციხა.

ჯარისკაცები შედგნენ და ერთობლივ გვესროლეს. ჩვენი მეომრები ხანჯლებით ეკვეთნენ მტერს.

უცებ ზაიდეთი გაყუჩდა, ბალახზე დაუშვა თავი.

— რასა შვრები? — ვკითხე და შაშხანა მივაგდე. არაფერი მიპასუხა. გულადმა გადმოვაბრუნე — მკვდარი იყო. ვერ ვნახე, ტყვია სად მოხვედროდა, რადგან ამასობაში ჯარისკაცები მომვარდნენ და ერთმა მათგანმა ორჯერ ჩამცა სიშტი.

შემდეგ ხან გონს მოვდიოდი, ხან კვლავ არყოფნაში ვინთქმებოდი. მგონი დავინახე, როგორ ჩამირბინა აჯუკმა და ზარამ. სადღაც შორს ისევ „ურას“ ყვიროდნენ. ტყვისაკენ გარბოდა ილია, რაც კი შეეძლო, ხმამაღლა იგინებოდა. უილაკ მანჯღრევდა და რაღაცას ჩამძახოდა, არ ვიცი — შატსულურ თუ რუსულ ენაზე. თვალი რომ გავახილე, სახლების თავზე ამდგარი კვამლი დავინახე. აჯუკის სახლიდან სროლა მოისმოდა, თუმცა აქედან, ბორცვიდან, არ შემეძლო ამის დანახვა, ალბათ მერე დავინახე, როცა ჩვენს სახლამდე მივცოცდი. არ ვიცი, სად და რატომ მივათრევედი ზაიდეთის გვამს. მტანჯავდა იმის შეგრძნება, რომ კოჩევნიკოვს არ ვესროლე; იგი რომ არ დამენდო, ზაიდეთი ცოცხალი იქნებოდა, ყოველ შემთხვევაში — იქ, მდინარესთან იქნებ არ მოხვედროდა ტყვია და, მაშასადამე, ჩემი ბრალი იყო მისი სიკვდილი, მე უნდა დამეცვა ცოლი, მაგრამ არ დავიცავი. მან კი იმითომ მომაშურა, რომ ჩემი ხვედრი გაეზიარებინა... მახსოვს მოკლული შუმაფი და მის გვამზე მტირალი მოხუცი სურეთი. მაგონდება, როგორ იწვოდა ჩვენი სახლი, როგორ გამოვარდა ახორიდან კუიჭი, როგორ მიჭენაობდა და მის კვალზე დადევნებულ ჯარისკაცებს გაურბოდა. სხვა ჯარისკაცები გაცხარებით ჩეხავდნენ აყვავებულ ხეხილს. მახსოვს, უცებ როგორ წამოხტა მოკლული ზარას გვერდით მწოლი აჯუკი, ახლოს მდგარ ჯარისკაცს როგორ ჩასცა ფერდში ხანჯალი, დანარჩენებიც როგორ ეცნენ მას და დაუწყეს კონდახებით ცემა, ხიშტებით ჯვლეთა. ზაიდეთი სადღაც დავკარგე. გავცოცდი და თავგაჩეხილ ედილეს გადავაწყდი, ვზახე რომ ეგდო. ალბათ, ნართლაც ასე იყო ყველაფერი — ახლა ძნელია ერთმანეთისაგან გავარჩიო ნამდვილი და აღვზნებული გონების ნაყოფი. ზაიდეთი უნდა მეპოვა, აუცილებლად უნდა მეპოვა, მივცოცავდი ნახევრად დაბრმავებული და ძალღონეშიხდი-

ლი, ვაწყდებოდი რალაც ლოდებსა და მკვდარ სხეულებს, დროდადრო გულ-
იღმა ვწევბოდი სულის მოსათქმელად, ჩემს ზემოთ კი შავი კვამლი რბოლქვე-
ბოდა ცაზე... სულ ახლო ტკაცუნებდა ცეცხლი, ალი მილოკავდა თმას, სახესა და
ხელებს მიწვავდა, მაგრამ ტკივილს ვერ ვგრძნობდი, მხოლოდ ყველაფერს მხრჩო-
ლებდა ნესტოებს და ვახველებდი, ვიხუთებოდი, თვალები მჭებინებდა და კი-
ლაცამ ჭიანური აახმიანა და სადღაც შორს ოზერმესი და ჩებახანი მოვლანდე-
აულს სტოვებდნენ, ზედ მიწის პირზე მიცურავდნენ და მთებიც გან-გან დგე-
ბოდნენ, გზას უთმობდნენ მათ მზით გაბრწყინებული თოვლიანი მწვერვალები-
საკენ... მერე ჩემს თავით დახრილი კოყევნიკოვი დავინახე, ხრინწიანი ხმით
ჩამძახოდა:

— თქვენო კეთილშობილებავ, თქვენო კეთილშობილებავ!

ნჯღრევამ გამომათხიზლა, ყოველი განძრევა მკერდში ტკივილად მეხმიანე-
ბოდა, სადღაც მივდიოდი საზიდრითა თუ ცხენით, მაშინვე გრძნობა დავკარგე
და ხელახლა იმან გამომათხიზლა, რომ წვიმის ცივი, წვრილი წვეთები დამდიო-
და სახეზე. დიდი, რუხი კარვის ახლოს, ფარაჯაზე ვიწექი. კარვიდან ხმამალალი
ლაპარაკი მოისმოდა. ვიღაც გამოვიდა, ჩემს ახლოს გაჩერდა.

— შეხედეთ, ბატონებო, რა სქელი ღრუბლები ფარავენ მთებს.

— ეს იმიტომ, თქვენო უმაღლესობავ, — თქვა მეორე ხმამ, — რომ მთებს
უძძიშთ მათი მძლეველი ლაშქრის ცქერა!

— ბრავო, გრაფო!

— აბა, როგორაა თქვენი გმირი? საკაცე ისე დადგით, ცერემონიის ცქერა
შეიძლოს.

— თქვენო საიმპერატორო უდიდებულესობავ, ჩვენი ბატალიონის ჯარის-
კაცები ამბობენ, ხელით ვატაროთო. — მომეჩვენა, რომ ეს ოფრეინის ხმა იყო.

— ძალიან სუსტად ხომ არ არის? რას ამბობენ მკურნალები?

თავი ამიწიეს და კეფის ქვეშ რალაც რბილი ამომიდეს.

— ბატონო პორუჩიკო! გესმით, ბატონო პორუჩიკო? დიდი თავადი გდებთ
ნატივს...

ქუთუთოები ავწიე და დიდი თავადის — მიხეილის პორტრეტების მიხედ-
ვით ნაცნობი სახე დავინახე. ისეთივე დაქანებული შუბლი ჰქონდა, როგორიც
მის ძმას, მკერდზე სცემდა ფართო, ფაფუკი წვერი, კაზაკური ფაფახის ქვემო-
დან თანაგრძნობით დამყურებდა ლამაზი, ოდნავ ცივი თვალები.

— თავს როგორა გრძნობთ, პორუჩიკო?

მივხვდი, რომ არაფერი მელანდებოდა და მართლაც დიდი თავადისა და
მისი ამაღის ფერხით ვიწექი. მინდოდა სიტყვა გამომეგო, მაგრამ მკერდში
რალაც ამითუხთუხდა, ამოვახველე და ენაც გამეხსნა:

— თქვენ მკვლელი ხართ, — ვთქვი, თან მძულვარედ ავყურებდი დიდი
თავადის ჯანსაღ, ნატიფ სახეს, — თქვენ მოკალით ჩემი ცოლი...

— ბოდავს! — შეშფოთებით წამოიძახა ვიღაცამ.

— მე ტყვედ არ ვყოფილვარ, — განვაგრძე სათქმელი. — თქვენ კი, სირც-
ფილი ყველას, მკვლელეზო!..

ძალა გამომელია, გრძნობა დავკარგე, ხოლო როცა ისევ გონს მოვეგე,
უკვე პარაკლისი დაწყებულიყო, ქუდმოხდილნი იდგნენ ჯარისკაცები, საწიგნეს-
თან ქარში ფარფარებდნენ დახრილი დროშები. რამდენიმე მღვდელი წირავდა.
ბორცვზე ჩანდა გენერლებში ჩამდგარი დიდი თავადი, ქვემოთ კი, ბორცვის ძი-

რას გიორგის ჯვრის ევალერი ოფიცრები და ჯარისკაცები გამწვრივებულ-
ყვნენ. ვალობდნენ გუნდები, ქუხდა და მთებს ექოდ ედებოდა ზარბაზნების
ბათქები, დაფდაფთა გრიალი ისმოდა.

დიდი თავადი გახარებული იყო, რაკი ამიერიდან სანდუგანთქმულ მხე-
დართმთავრად შევიდოდა ისტორიაში, ოფიცრებს გამარჯვება და ჯილდოები
ახარებდათ, დაბალჩინოსნებს კი ის უხაროდათ, ბოლოს და ბოლოს ომი რომ
დამთავრდა და ცოცხლები გადარჩნენ. ყველაფერი მხიარული, საზეიმო ჩანდა,
სინამდვილეში კი ეს პარადი კი არა, გადაშენების პირზე მიმდგარ შატსულთა
და უბახთა პანაშვიდი იყო.

ჩემს ახლოს არავინ ჩანდა. წვიმა შეწყდა, ღრუბლებში მზის სხივი გამო-
კრთა. დიდი თავადი ცხენით უვლიდა ჯარს და იმეორებდა:

— ხელმწიფე-იმპერატორის სახელით გმადლობთ, ვაჟკაცებო, ძნელი, პა-
ტიოსანი და ერთგული სამსახურისათვის!

ვხედავდი ცერემონიალურ მარშს, მერე დიდი თავადის სუფრაზე ამტყდა-
რი, შამპანურის საცობების ბათქაბუთქი და სადღეგრძელოები მესმოდა. ვილაც
ვილაცას ხმამაღლა კარნახობდა მეფისათვის გასაგზავნ სატელეგრაფო დეპეშას:
„მაქვს პატივი მოვულოცო თქვენს უდიდებულესობას კავკასიის სახელოვანი
ომის დამთავრება წერტილი ამიერიდან არ რჩება არც ერთი დაუმორჩილებე-
ლი ტომი წერტილი დღეს სამადლობელო პარაკლისი გადავიხადეთ მთელი ჯა-
რის თანდასწრებით...“

ჯარისკაცებმა საჭმელი მომიტანეს. მათ შორის დავინახე კნიშევიც —
ძველი მუნღირი ეცვა, აცაბაცა გაურბოდა წვრილი მოცისფრო თვალები. ზიზ-
ლით ვიბრუნე პირი. ჯარისკაცთა ნაუბრიდან გავიგე: ილიას დაუვლია ხელი
ზარბაზნისთვის, დაძაბულა, აუწყვია და ბორცვზე ამომავალი ჯარისკაცებისათ-
ვის უტყორცნია: სამი კაცი სასიკვდილოდ დაუშავებია და უვნებლად გაქცეუ-
ლა. იმასაც წავკარი ყური — აულის მახლობლად გოგო და ბიჭუნა უნახავთ
ბუჩქებში, გოგონა ერთ შტაბის ოფიცერს აუყვანია, ბიჭი კი ვილაცის დენ-
შჩიკს პყოლია მოსამსახურედ. იქნებ, ბიბა და ზაქირი იყვნენ. გამოკითხვა ვერ
შევძელი, რადგან კვლავ ცუდად შევიქენი.

ერთი დღის შემდეგ გაგრის ციხე-სიმაგრეში წამიყვანეს, ლაზარეთში დამა-
წვინეს და მკურნალობა დამიწყეს. არ გამკვირვებია, რაკი ვიცოდი, რომ ეს
ჩვენი ჰუმანური წესი იყო — სიკვდილმისჯილ კაცსაც კი, თუკი ავადაა, ჯერ
მოარიენენ, მერე კი გასაპნულ ყულფს ჩამოაცვამენ კისერზე. რამდენიმე დღე
რომ გავიდა, სულ სხვა რამ გამიკვირდა: მკურნალები ისე მეპყრობოდნენ, თით-
ქოს ვადაც მნიშვნელოვანი პიროვნება ვიყავი. გამოვიკითხე ამ უცნაური ყუ-
რადღების მიზეზი და გავიგე, რომ თვითონ მთავარსარდალს უბრძანებია ჩემ-
დამი აეთი მოპყრობა. ჯავრი მომერია, მიგზვდი დიდი თავადის თვალთმაქცო-
ბას — სააშკარაოზე გამოჰქონდა თავისი გულკეთილობა და დიდსულოვნება.
მსახიოები გახლავან ამა ქვეყნის უფალნი, თანაც ცუდზე-ცუდი მსახიობები!

ისიც გავიგე, თუმცა ხმამაღლა აცხადებდნენ — ომი დამთავრდაო, ბრძო-
ლა ძალი ცგრძელდებოდა, ზაკუჩინები კვლავ იგერიებდნენ რუსთა ჯარს. საძრა-
ობა რამ მქონოდა, მათთან გაქცევას შევეცდებოდი, მაგრამ რა შემეძლო, ცი-
ებ-ცხედლებით ვიყავ გათანგული, ხოლო როცა მოვმჯობინდი, აულოთა უკანას-
კნელ დამცველებსაც მოუთავეს ხელი.

ერთ დღეს, როცა გამოვიღვიძე, ჩემდა გასაკვირად, ოფრეინი დავინახე,

საწოლთან მეჯდა. მივაშტერდი, მოჩვენება მეგონა, მან კი მშვიდად გამიღიმა და ჯანმრთელობის ამბავი მკითხა.

— იმიტომ მოხვედით, რომ ციხეში წამიყვანოთ? რა პატივია ვთქვი. არ სწყენია, ლაპარაკი გამიბა. ყურებს არ ვუჯერებდი. მეფხრა, ლაპარაკის შემდეგ შვებულებას მოგცემენ და, იქნებ, სამსახურის გაგრძელებას დაგრონო.

— ეს როგორ გავიგოთ? — ვკითხე.

კვლავ აღერსიანად გამიღიმა, ჩემი გაბოროტება თითქოს არც შეამჩნია და დამიწყო ახსნა. შემპარავად, არც ისე შთამაგონებლად ლაპარაკობდა, რატომღაც სულმთლად ლაქუცად იქცა. კარგა ხანს ვერაფერი გავუგე, მხოლოდ ბოლოს შევიგნე, თურმე თხოვნა უნდოდათ ჩემგან, სხვა არაფერი. მოკლედ რომ ვთქვათ, არამზადად უნდა ვექციეთ. ეტყობა ვილაცას, იქნებ თვით დიდ თავადს გულზე არ ეხატებოდა ლალატი. რუსეთის არმიას არ უნდა ჰყავდეს მოლაღატე ოფიცერი. ჰოდა, რომ არ ჰყოლოდა, მე ყველაფერი შეპატიებოდა, მხოლოდ არ უნდა გავკერპებულიყავი. დუმილის წილ მთავაზობდნენ კარიერას, ფულს, უფროსთა ყოველგვარ წყალობას. გამახსენდა, სწორედ ამგვარი საცთური რომ მქონდა ბანაკთან მიცოცებულს, ავფეთქდი, გააფთრებულმა გინება დავუწყე ოფრენს, ვუყვირე: აქედან აიბარგე-მეთქი. მაგრამ იგი მხოლოდ ახამხამებდა თავის წვრილ, ღორულ თვალებს და გაუნძრევლად იჯდა ტაბურეტზე. მერე რაღაც თქვა. მის ნათქვამს აზრი არა მქონდა, რადგან, ბოლოს და ბოლოს, მაინც დავარტყამდი... არ ვიცი, ძალა რამ მომცა — ისეთი სილა ვუთავაზე, მაშინვე ძირს დაეცა.

თხრობას აღარ გავაჭიანურებ. ვაძულე ისინი, რომ გავესამართლებინეთ. კატორღაში მაინც არ გამგზავნეს, ციმბირში სამუდამოდ გადასახლება მომისაჯეს.

ამ დღეებში ენისეისკში წავალ, მივიღებ საჭირო ქაღალდებს და დავტოვებ აქაურობას. ზემოთ როგორც ვთქვი, ზაქირისა და ბიბას კვალი უნდა მოვძებნო. იმ ხეობაში ასვლა, სადაც აული მდებარეობდა, ალბათ არა ღირს — ამ ათი წლის განმავლობაში უკვე ბალახი დაფარავდა ყველაფერს.

ზოგჯერ ჩემი სათაყვანებელი ზაიდეთის ღიმილს ვიგონებ, ზოგჯერაც ხმა მესმის მისი. რაც უფრო შორს და შორს მივყავარ წლებს მისგან, მით უფრო მწარედ ვგრძნობ ჩემს დანაკარგს. უკვე ისე ველარავის შევიყვარებ, როგორც ზაიდეთი მიყვარდა და არც მე შემიყვარებს ვინმე ისე, როგორც ზაიდეთს ვუყვარდი. ზოგჯერ ისიც მგონია, რომ ზაიდეთმა მხოლოდ გრძნობა დაკარგა, მე კი მკვდრად ჩავთვალე. თუმცა, სინამდვილეში, შეცდომა შეუძლებელი იყო. სადღაც რომ მივათრევდი, აკი თანდათან ეყინებოდა სხეული.

როგორ უნდა შეურიგდე კაცი იმ აზრს, როგორ უნდა დაიჯერო, რომ სილამაზე მოკლეს, რომ სილამაზე ისევ და ისევ მოკლავენ? „კაცი ოდესმე წარმოადგენდნენ ერთს ხალხსა, მერე დაცილდნენ“. — ხშირად მახსენდება ეს სიტყვები. რამდენიმე დღის წინათ მესიზმრა, თითქოს ვცდილობდი ფანჯრის მინა გამეტეხა და ჯარგვლის სქელი კედლის მიღმა მყოფი ხალხისთვის დამეყვირა, ერთმანეთი იცანით-მეთქი, მაგრამ მინა არ დამყვა, მხოლოდ ხელი გავიჭერი და გულისტკივილმა გამომალვიდა...

ამაზე კიდევ წყდება იაკოვ კაისაროვის ჩანაწერები.



თარგმნა გიორგი ნიშნიანიძემ

აირგის სიმღერა

ანდირყუაის კართან რო ნადირია,
რა მსუქანია, რა დიდია
ძირს ჩამორეკავს აირგი ნადირს —
გაძლნენ შვილები,
მონაგარი გამრავლდეს მათი
— აირგ, შენ მხოლოდ ზღვისპირეთს ძარცვავ,
მალალ მწვერვალებს ჰყავხარ დარაჯად
და არცა შენი საფარში, არცა
კვალი არა ჩანს.
თეთრონზე ზიხარ, ვერ იგუებ სხვა ფერის ცხენებს,
მდინარეთაგან გადმოლახავ მღვრიეს მარტოდენ,
გზადაგზა მყავე წყლები გართობენ,
მოდინხარ რიხით
და მოგაქვს ჩვენთვის უნაგირზე დაკრული ჯიხვი,
მეხისხმად ისმის ხეობებში შენი ფეხის ხმა.
მღერიხარ ყველა უღელტეხილზე.
ქამრისსიფართე გზებით მოდის ჩვენამდე ხორცი —
სულ წითელი აქვს ჩვენს ბიჭებს ზურგი,
შენ გიმღერიან აფვეიფშაა!

ესლამის თეთრი ძროხა



ეროვნული
ბიბლიოთეკა

თოვლივით თეთრი ესლამის ძროხა,
 უა, უა, ნანიკაარა!
 ერთს გაატანეს, მეორეს მოჰყავს,
 უა, ამარჯა ნანიკაარა!
 მწარედ იბლავლა თურმე საწყალმა,
 უა, უა, ნანიკაარა!
 ერთმა დაკლა და სხვამ გაატყავა,
 უა, უა, ნანიკაარა!
 მერე ვილაცამ აქნა ნაჭრებად,
 უა, უა, ნანიკაარა!
 მეორემ ხელით ქვაბში ჩაჭედა,
 უასარადა ნანიკაარა!
 სხვამ ამოიღო ხორცი იქედან,
 უა, უა, ნანიკაარა!
 ვინც ამოიღო, მან აწ იგემა,
 უა, ამარჯა ნანიკაარა!
 ვინც არ იგემა, იმან ჭამა და
 უა, უა, ნანიკაარა!
 ესლამის ძროხა წარსულს ჩაბარდა
 უასარადა ნანიკაარა!

ურმული

უოო, ლომა, უოო ბუსკა, აბა, ორთავ ერთად, უა,
 ორივენი კარგები ხართ, მე და ჩემმა ღმერთმა, უა,
 ხორცი გემრიელი იცით, ტყავსაც არა უშავს, უა,
 კაცი ქვეყნად ვერ მონახავს თქვენზე გამძლე მუშას, უა,
 მაგრამ არვინ არ გაფასებთ, პატივს არსად გცემენ, უა,
 კონა ჩალას დაგიყრიან, გუბის წყალს გასმევენ, უა,
 ყურებით რომ მოგათრევენ, უღელს დაგადგამენ, უა,
 აპეურებს მოგიჭერენ, ხორცსაც ამოგჭამენ, უა,
 მეხრე ქედზე დაგაჯდებათ, გადაგიჭერთ სახრეს, უა,
 უოო — უა, დიდო — უა, რა ვუთხრა იმ მეხრეს, უა.
 დიდები ხართ, შველაცა და სარფაც დიდი იცით, უა,
 მიტომ უნდა წამოგყარონ დილა-ბნელზე ციმციმ, უა,
 ქვეყნის ტვირთსაც აგკიდებენ, დიდ ფულს მოეღიან, უა,
 თქვენ რომ კაპიკს დაგახარჯავთ, აბა რომელია? უა,
 ყანაში რომ შეჯლიგინდით ერთხელ, სისხამ დილით, უა,
 პატრონს მაშინ აზღვევინეს ხუთი ფუთი ფქვილი, უა,
 უო-უარაიდა, უო-უარაიდა, აბა ორთავ ერთად, უა,
 ორივენი კარგები ხართ, მე და ჩემმა ღმერთმა, უა.

სიმღერა ლუალუა — ფჰა ნინასა და ახალგაზრდა ედრისზე

ბორცვზე დგას მისი პატარა
 ლამაზი აკუასკია,
 გარს ქვის კედელი არტყია,
 ზედ საფირონი ასხია,
 შვიდი ოთახი ამშვენებს,
 თითოში შვიდი ნალია,
 თანაც ისეთი რბილია,
 ბატის ბუნდლს მიუქარია,
 ზედ ლუალუა — ფჰა ნინა
 დანვება, გაგიხარია,
 ატლასის ზენარს გაიგებს,
 ძალზე ფაქიზი კანი აქვს,
 გადაბრუნდება, იტირებს,
 ბედზე განყრება ძალიან —
 გვერდი მეტკინა სანყალსო,
 სულ გაჭირვების ბრალია!
 თივთიკის წინდა ჩაუცვამს,
 ფაჩუჩებს ძირი სქელი აქვს,
 შიგ კიდევ გეჯა ჩაუდევს,
 ზედ ბენვი დაუფენია,
 ნოხზე გაივლის — ფილა ქვა
 ან მიწა რა სათქმელია,
 იტირებს — ფეხი მეტკინა,

ასე ცხოვრება ქნელია!
 ედრის, შენ დადი ფანვალებს,
 გულს რა იმედი გიმაგრებს,
 ჩალით მოწნული ქოხი გაქვს,
 კედელს აკლია სიმალლე,
 შიგ ძალლიც არ ნამონვება,
 ქალიშვილს რა გააჩერებს,
 თხა რაა, ერთი თივანიც
 არ მოუცია გამჩენ ღმერთს.
 ვერც საოფიცრო დამბაჩა,
 ვერც შენი თეთრი კალამი,
 ვერც ძველებური ნაბადი,
 სულ რომ მოცვივა ბალანი,
 ვერც ყაბალახი, ვერც ჩოხა,
 ნაძენძი როგორც ჯეჯიმი,
 ვერც კუზიანი თეთრონი,
 ვერც წუდა, ქუსლმოგლეჯილი
 შენც იცი, რომ ვერ მოხიბლავს
 ამ ქვეყნად ვერცერთ
 ქალიშვილს
 და ლუალუა — ფჰა ნინას
 სიყვარულს მაინც არ იშლი.

აჯირაანთ სიმღერა

უაა, ჩვენთან,
 ჩვენთან ერთად ვინ იბადება?
 უაა, ჩვენთან ერთად ვინ კვდება?
 — ვინ და აჯირიფა დანაყეი!
 ვისთვისაც ჭალა ზადაანის იყო ბალიში,
 ვინც რომ ჭაობებს ტყვიით აშრობდა,
 ვისთვის ცხოვრება იყო ლაშქრობა!
 ვინ ჰკრებდა ნადირს ბნელი ქვაბით ანუ ხნარცვითა?
 მტერს შვილის გაზრდას ვინ არ აცლიდა?
 — ვინ და აჯირიფა დანაყეი!
 ყარაჩაელთა ულაყები ჯოგს ვინ მოსწყვიტა?
 გზა ვინ გაკაფა, ვინ აფრინა ცხენი ბორცვიდან?
 ლამკაცის ველზე ვინ ისვენებდა?
 ცხენს ვინ ხედნიდა დაუს სერებთან?

ბოლოს მიუვალ ბაქიბეის კლდესთან უეცრად
 ვინ აღესრულა?
 ნყვდიად ლამეს ვინ შეუერთდა?
 — ვინ და აჯირიფა დანაყეი!



* * *

შინ არ იყო და სოფელი დაარბიეს,
 ხალხი დაატყვევეს, ღობე დაარღვიეს,
 პირუტყვი გარეკეს.
 ცოლი შემოხვდა — აბააფსი, ჩემო ვაჟკაცო,
 ხმალმარო შენმა ან იკაშკაშოს!
 აისხა მაშინ იარაღი ღიმით მწარეთი —
 თუ ველარ შეგხვდი სააქაოში,
 საიქიოში მოვიკითხოთ ჩვენ ერთმანეთი! —
 თქვა და მძარცველებს
 ნაშუადღევზე წამოენია.
 — შეჩერდით! — თქვა მან.
 — რაო? — უთხრეს — თვითონ ვინა ხარ?
 შენისთანაო ბევრი გვინახავს!
 — მაშ, თუ ასეა,
 ბოტს შეხედეთ! — თქვა და ისროლა,
 რქა მოატეხა, მოაგლიჯა ყურიც კინალამ,
 — ველარ მიცანით, ვინა ვარო,
 ტყვეებს მოეშვით! —
 ეხო გავარდა მიდამოებში...
 — თხას რქა მოატყდა,
 ეგ არაფერი,
 ამისთვის ხომ არ დავიზაფრებით!
 — მაშ, მენინავის ფაფახს უყურეთ! —
 თქვა და ისროლა:
 თვალი მოჰკრეს ფაფახს გაფრენილს.
 — ახლა რას იტყვით,
 ტყვეებს ახლა მაინც შეეშვით! —
 აყალმაყალი ატყდა ტყვეებში,
 — რა მოხდა,
 ქარმა გადამაძრო თავზე ფაფახი,
 ქუდი სხვადა მაქვს! —
 არ ტყდებოდა მტერი ამაყი.
 — მაშ, მე მიყურეთ,
 ახლა გაფრთხილდით,
 მინა მოგელით
 დანაყეის ტყვიით გათხრილი! —
 თქვა და იომა,



ძირს დაყარა მტერი იოლადა,
 ასი დახოცა
 და თოფის სროლით
 გვამიდან გვამზე
 გადადიოდა.
 თოფმა უმტყუნა —
 გაიჩხირა ტყვია ლულაში,
 კეტი აიღო,
 გადაისვა ხელი უღვაშზე,
 დასცხო და დასცხო დანაყემ,
 დანარჩენები კეტით გაჟლიტა,
 ერთი გადურჩა მთელი ლაშქრიდან,
 სახელი მისი აგრბა ყაიმათ.
 — უაა, აჯირიფა,
 ბევრჯერ მსმენია შენი დიდება,
 დასტურ ყოფილხარ ღირსი კიდევაც,
 მაგრამ რად ხოცავ ყველას ერთიან,
 ამბის მიმტანი მტერსაც სჭირდება.
 — რაკი ასეა, რაკი ამდენს მიხვდი თვითონვე,
 ამბის მიმტანად შენ მოგიტოვებ.
 მერე ხელ-ფეხის შეხსნა დაუნყო
 თვისტომთ და ამ დროს აგრბა ყაიმათმა
 თქვა: შემომხედე ერთიც აჯირიფავ! —
 და სიტყვას ცხელი ტყვიაც მიამატა.
 ტყვია ზედ ჭიპის თავზე გაჩერდა —
 ვკვდებო! — შეკრთა დანაყეი, —
 მგონი, გამწირა ჩემმა გამჩენმა!
 ყაბალახი ნაიკრა ნატყვიარზე,
 მერე სოფლელებიც დატრიალდნენ —
 შინ მიიტანეს გმირი უვნებლად.
 — რა მოხდა, მოკვდი, —
 ცოლს ეუბნება, —
 ხალხი ხომ მაინც დავაბრუნეო
 და ცოლმაც დაჭრილს კვერი დაუკრა!
 — შენ მოკვდი, მაგრამ
 ვერ გახსენოს ვერვინ აუგად!
 — ჩქარა ძმებო! — თქვა მომაკვდავმა,
 უცბად სამივე თავთით დაუდგა:
 უფროსი — აჯირიფა კიამიში,
 უმცროსი — უამარი,
 შუათანა — შარაჰმათი
 და მათთან ხალხი უამრავი.
 — უაა, კიამიშ, ხო ხარ უფროსი!
 — დიახო — უთხრა.
 — შენი სიტყვა ჭრის ჩვენს საუფლოში,



შურს, აბააფსი, სიტყვით იძიებ! —
 და ალაბაშა გაუნოდა პირმოციმციმე,
 მერე თვალები მიმოატარა,
 — შენა, შარაჰმათ? — უთხრა შუათანას, —
 ქელებს და ქორწილს შენ არ აკლდები
 და საფიხვნოში გავალია დიდნი საქმენი,
 ლამაზი ხარ და
 ჩემი ხმალი უფრო დაგხატავს
 როდესაც ქალებს მიაცილებ შინ თამაანთა,
 სილამაზითაც შეგიძლია შურისძიება,
 შენ ხმალმაც უნდა დაგამშვენოს აუცილებლად.
 — უა, უმცროსო ძმაო უამარ! —
 მარტო სახელის ხსენებამაც ხმა დაუაშა, —
 მხოლოდ შენ ერთს გაქვს ჩემი თვალები,
 სისხლის ალებაც შენ გევალება.
 სამ დღეს დაგიცდი,
 მერე მოვკვდები.
 შენ გიყურებენ ახლა მოყვრები.
 ჩემი ხელით მაქვს თოფი დატენილი,
 შიგ ტყვია გდია მეხის ნატეხივით,
 და გამახარებ, უკეთუ
 იმით შეუნგრევ მკერდს იმ უკეთურს.
 თქვა უამარმა:
 — აგრბა ვინ არის?!
 ხმელა ყინული ვჭამო ყინვარის,
 თუ არ ვანანო!
 აილო თოფი და გზას გაუყვა,
 გამოაფხიზლა შუაგზაზე რალაც ხმაურმა —
 ქალი მოთქვამდა
 ქოხის ფანჯრიდან:
 — როგორ გაგწირესო, დანაყეი აჯირიფა!
 ჰკითხა უამარმა: რატომ დასტირიო?
 ქალმა — მომკვდარა ჩემი გაზრდილიო!
 — ძმა ვარო, — უთხრა უამარმა, —
 მტერი უნდა მოვკლა დანაყეის,
 ან მოვკლავ ან მეც გადავყვები.
 ამასობაში მოვიდა მანჩაც —
 ამ ქალის ვაჟი,
 სტუმარს მოუსმინა და შიში-რამ ჩაუდგა თვალში.
 — თუ ნახვალ, — უთხრა, — შენც იგივე მოგელის მაშინ.
 შორს დაიჭირა უამარმა,
 ხელი დაავლო რაჯიბას და გავარდა კარში.
 თან გაჰყვა მანჩაც, მანაც მკერდში ჩაიღო კაჟი.
 ყანაში მოჰკრეს თვალი ყაიმათს,
 ცეცხლისპირ იჯდა და ნაელო ფიქრს ერთიანად,

მიეპარნენ და ჩაიჩოქეს სამტროდ მოსულთა,
 უამარის გულს სისხლი მოსწყურდა,
 ფეხქვეშ გადატყდა უცებ ტოტი-რამ
 შეკრთა ყაიმათ და იარალს წაეპოტინა
 მაგრამ გავარდა თოფი უეცრად, ბიზ...
 ზედ ჭიპის თავზე გაჩერდა ტყვია,
 რეტი დაესხა ყაიმათს და მუხლი მოეჭრა.
 ჩოხის მასრაში უამარმა სულ ერთი მისხი
 ჩაასხა აგრბა ყაიმათის ცოდვილი სისხლი.
 — დღეს მე ვარ შენი შემმუსვრელი! —
 უთხრა მომაკვდავს, —
 მე, დანაყეის ძმამ და ქომაგმა,
 მისივე ტყვიით მოგილე ბოლო!
 უკან გამობრუნდა მანჩა და უამარი.
 ხალხი შეიყარა უამრავი.
 თქვეს: აჯირიფას თოფის ხმა იყო,
 სისხლი მომაკვდავმა როგორ აიღოო?!
 აფრინეს მღევარიც, მისდიეს კვალდაკვალ
 და ველარ გაბედეს გადასვლა გადაღმა.
 სამი დღე ჰქონდა ვადად უამარს,
 მაგრამ მეორე დღესვე დაბრუნდა.
 — მოხვედი? — ჰკითხა დანაყეიმ სულგანაბულმა,
 — მშვიდობით მოველ, — უთხრა ძმამ და
 მასრა მიართვა,
 ღონე მოეცა დანაყეის და აწრიალდა,
 ტახტზეც წამოჯდა:
 — მტრის სისხლია, ზუსტად მისია,
 მადლობთ, უამარ, დასტურ ჩემი თოფი გისვრია,
 საფლავში ჯავრი აღარ ჩამყვება,
 მშვიდობით, ძმებო!
 კუბოს კარამდის
 სულ ასე ერთად გეველოთ მარადის! —
 და აჯირიფა დანაყეიმ თავისი ხელით
 შეიხსნა ჩოხა და მიიცვალა.

ზარმაცი ქალი

სადმე თუ მიდის, ცხვირ-პირს ისველებს,
 ხოლო სახეზე და ყელ-კისერზე
 ბინძურ პირსახორცს ისვამს ყასიდად,
 გავა და გავას ზანტად გაზიდავს.

სად არ გაივლის,
 ვის არ შეუვლის
 და დაბრუნდება შინ დამშეული.
 შემოდგამს ღომს და ოთახს ნახევრად
 კუდმოცვეთილი ცოცხით დახვეტავს.
 აღარ დააცლის ღომს მოშუშებას,
 მაგრამ ღომმაც თუ ველარ უშველა,
 ძილს მიეცემა ტახტზე ნებისად
 და თვალს გაახელს შეღამებისას.
 არც ეზოში და არც შინ არაფერს
 არც მიხედავს და არც მიაღაგებს —
 ჭორი ხომ იცის ხუთი დუყინი —
 დგას და რატრატებს თუთიყუშივით,
 პირში გატყუებს,
 თქმას არ დაგაცლის
 და გადის მთელი დამე ლაქლაქში.



სიზღარა ღმერთებზე

ატლარჭოფა თემირყუარა
 უა, ჰეი, ჰეი, უა,
 შვილებს როგორ გაუჭირდეთ,
 მათი შემწე ღმერთი თუა!
 რაოდენმცა შენი ესმით,
 ისე მოგაგებენ პატივს,
 ხოლო რაღაც თუ ეშლებათ,
 შენც გესმოდეს, ღმერთო, მათი.
 დიდი ბატონების სიცხე
 არის ჭეშმარიტი შვება,
 — უასა რადაშ სიარმიხუა,
 დიდ ბატონებს ასე ნებავთ!
 ჰაიტი ამარჯა, სიმღერა თქვით,
 სიმებს ხელი არ შეუშვათ,
 სიარმიხუა უარა — დარა,
 რად სიუამა უარად — გუშა!

□

იასუსი ინოუე

სანადირო თოფი



მოთხრობა

თარგმნა ლილი მჭადლიშვილმა

იაპონელი მწერალი, ხელოვნების აკადემიის წევრი იასუსი ინოუე (დაიბ. 1907 წ.) არაერთი რომანისა და მოთხრობის ავტორია. 1966 წელს იაპონიაში ოცდაექვს ტომად გამოიცა მწერლის თხზულებანი. იასუსი ინოუეს მინიჭებული აქვს აკუტაგავას სახელობის პრემია.

მას წინათ მონადირეთა ჟურნალის ბოლო ნომერში ჩემი ლექსი — „სანადირო თოფი“ დაიბეჭდა. რომ არვინ იფიქროს, თითქოს ნადირობის რაიმე ნიჭი ან სურვილი გამაჩნდეს, ამთავითვე მოგახსენებთ — ბავშვობიდან დედის კალთის ქვეშ ვიზრდებოდი, დედაჩემთან კი სიკვდილს, უბრალოდ, სიტყვაზეც ვერავინ ახსენებდა. ალბათ ამიტომაცაა, რაც თავი მახსოვს, ხელში, სათამაშო თოფი რა არის, სათამაშო თოფიც არასოდეს ამიღია.

საქმე ის გახლავთ, ჟურნალის რედაქტორად იმხანად ერთმა ჩემმა სკოლის ამხანაგმა დაჩნყო მუშაობა. მართალია, კაი ხანია ერთმანეთთან მიმოწერა აღარ გვექონდა, მაგრამ იცოდა, ლექსებით ისევე ვიყავი გატაცებული, როგორც იმ ჩვენს შორეულ სიტყაბუკეში. არ ვიცი, შემთხვევა მიეცა რაიმე თუ უბრალოდ თავისი ხანგრძლივი უყურადღებობის გამოსყიდვა უნდოდა, მთხოვა, ჟურნალისათვის ნადირობის თემაზე რაიმე ლექსი დამეწერა.

ყველაფერი ძველებურად რომ ყოფილიყო, ალბათ მაშინვე გადაწყვეტილ უარს ვეტყოდი — არც ჟურნალთან მქონდა საერთო და მით უმეტეს, არც ნადირობისა გამეგებოდა არაფერი. მაგრამ, საოცარი ის არის, იმხანად რატომღაც ადამიანის მარტოობისა და სანადირო თოფის ურთიერთდამოკიდებულებაზე ფიქრი ამეკვიპატა. ისე ვიყავი ამ პოეტური აღმაფრენით შთაგონებული, მინდოდა რაღაც დამეწერა ამის თაობაზე.

ნოემბრის ერთ ცივ საღამოს, როცა ზამთრის სუსხი და სიცივე უკვე ძვალსა და რბილში ატანს, მიუუჯექი ჩემს საწერ მაგიდას და შუალამე კარგა ხნის გადასული იყო, ლექსის წერას რომ მოვჩჩი. ლექსი მეორე დღესვე ჟურნალის რედაქციაში გავაგზავნე.

ვინაიდან პროზად დაწერილ ამ ლექსს გარკვეული კავშირი აქვს ამბავთან, რომლის მოყოლასაც ახლა ვაპირებ, ნება მომეცით, თქვენც წარმოგიდგინოთ იგი:

„ამაგის მთის ბუჩქნარით დაფარულ ფერდობზე ვინრო ბილიკი მიიკლავნება. ბილიკს ტანმაღალი მამაკაცი მიუყვება, პირში ჩამქრალი ყალიონი უჭირავს. მიდის და თოვლით მოთრთვილულ მინაზე ჩექმის ღრმა ნაკვალევს ტოვებს, წინ მეძებარი მიუძღვის. ნაბლისფერ ქურთუკზე პატრონტაში უკეთია, პატრონტაში ოცდახუთი ტყვია უდევს. მხარზე „ჩერჩილის“ მარკის ორლულიანი თოფი ჰკიდია... ნეტავი რამ აიძულა, ხელში აეღო ფო-

ლადის ეს კრიალა იარაღი, რომელსაც შეუძლია ასე უდრტივინველად მოსპოს კაცის სიცოცხლე? გავყურებდი ახოვან მონადირეს და ვგრძნობდი, სურვილი როგორ მეუფლებოდა, უკან ავდევენებოდი, მეც ამ მთის ბილიკით მევლო...

იმ დღიდან დიდი ქალაქის ვაგზლის ორომტრიალსა თუ უქმად მოყაყანე ბრბოში გარეულს, ხშირად მომნატრებია, გავრიდებოდი ყველას და ყველაფერს, იმ მონადირესავით ნელა და აუღელვებლად მევლო მარტოობის ბილიკზე... ასეთ წუთებში ჩემს ოვალწინ გაიღვებს არა ის, ნაადრევი ზამთრის სიცივისაგან დასუსხული ამაგის მთის შემოგარენი, არამედ დამშრალი მდინარის თეთრი, სევდის აღმძვრული კალაპოტი... ის კრიალა სანადირო თოფი კი, რომელიც თითქოს მძიმე ტვირთად დასწოლოდა ხანში შესული მონადირის მხრებსა და ეულ სულს, ჩემს გულში ინვევს მომაკვდინებელი სილამაზის უჩვეულო განცდას, განცდას, რომელიც ისე არასოდეს დამეუფლებოდა, ის თოფი ცოცხალი არსებისავენ რომ არ ყოფილიყო მიმართული".

ჩემი ამხანაგის მიერ გამოგზავნილი ჟურნალის იმ ნომერს რომ ვფურცლავდი, მხოლოდ მაშინლა მივხვდი, ეტყობა, ავჩქარდი, ცოტა არ იყოს, დაუფიქრებლად მოვიტყვი-მეთქი. მართალია, ლექსის სათაური ძალიანაც შეეფერებოდა ჟურნალის ხასიათს, მაგრამ შინაარსზე ვერაფერს მოგახსენებთ. გვერდი, რომელზედაც ამ ლექსის გარდა არაფერი იყო დაბეჭდილი, განცალკევებით მდგარ ციხე-სიმაგრეს ჰგავდა. მასში ისე ავხსენი, ყოველ შემთხვევაში, შევეცადე ისე ამეხსნა არსი იმ საგნისა, რასაც სანადირო თოფი ჰქვია, როგორც ეს ჩემი პოეტური ინტუიციით აღვიქვი. ცხადია, არავითარი პრობლემა არ წამოიჭრებოდა, ლექსი სხვა რომელიმე ჟურნალში რომ გამომექვეყნებინა, მაგრამ მონადირეთა კლუბის ორგანოში, რომელიც მხოლოდ იმისათვის იყო მონოდებული, პროპაგანდა გაენია მონადირეობისათვის, როგორც ყველაზე უფასო და კეთილშობილური სპორტისათვის, ჩემი თვალსაზრისი სანადირო თოფის თაობაზე, ერეტიკულად თუ არა, მეტისმეტად ოდიოზურად მაინც ჟღერდა. წარმოდგენილი მაქვს, რა უხერხულ მდგომარეობაში ჩავარდებოდა ჩემი მეგობარი, პირველად ხელნაწერს რომ წაიკითხავდა. მის ამ მეგობრულ თავდადებაზე, მართალი გითხრათ, საშინელი სინდისის ქენჯნა ვიგრძენი. ისიც კი ვიფიქრე, ვაითუ კლუბის რომელიმე წევრი ადგეს და ამავე ჟურნალის ფურცლებზე ერთი გვარიანად გამომლანძლოს-მეთქი. მაგრამ ჩემი ეს შიში ამაო გამოდგა, საბედნიეროდ თუ საუბედუროდ, მონადირეებს ლექსი, ჩანს, სულაც არ შეუმჩნევიათ, ის კი არა, მის წასაკითხად, მგონი, თავიც არავის შეუწუხებია. და აი, იმ ამბების შემდეგ ორიოდ თვე იქნებოდა გასული, ლექსი თითქმის მივიწყებულიც მქონდა. რომ ერთ მშვენიერ დღეს ვილაც ძიოსუკი მისუგის წერილი მივიღე.

მახსოვს, სადღაც ამოვიკითხე, ტაიშანის მთის ერთ-ერთი უძველესი ძეგლის იეროგლიფები, მომდევნო ეპოქების ისტორიკოსთა სიტყვებით რომ ვთქვათ, ქარიშხლის შემდეგ გამობრწყინებული მზის შუქივით ენთოთ. თეთრი იაპონური ქალაქის კონვერტზე გამოყვანილმა ხელმოწერამ რატომღაც ტაიშანის ის იეროგლიფები გამახსენა. მისუგის ნაჩქარევი, მსხვილი იეროგლიფები გულს საოცარი სინატიფით ავსებდა, მაგრამ საკმარისი იყო ოდნავ დაჰკვირვებოდი, თვითვეული იეროგლიფი სახეში სიცარიელისა და უმიზნობის სიოდ შემოგეფინებოდა. კონვერტი, ეტყობა, მარცხენა ხელში ეჭირა, ფუნჯის ბარაქიანი მოსმით, ერთის ამოსუნთქვით გამოჰყავდა წარწერა, თითქოს ვერც იმას იტყოდი, ცივი ხელწერა აქვსო, მაგრამ როგორღაც თვითდაჯერებულობა, ვნებადამცხრალი აუღელვებლობა და სულიერი სიძაბუნე იგრძნობოდა, მოკლედ რომ ვთქვათ, მისი გაკრული ხელწარწერი ერთი შეხედვით არცთუ ისე კარგად განგანყოფინებდა მათი ავტორის მიმართ, მაშინვე თვალში თვითდამკვიდრების (რაც ასე დამახასიათებელია ჩვენი თანამედროვე ადამიანისათვის) დიდი სურვილი და მისწრაფება გვეცემოდა. თუმცა არც იმ წერვებისმომშლელ ღვარჭნილობას იყო მოკლებული, ლამაზი ხელწერით თავმომწონე კაცის წარწერს რომ ახასიათებს.

ასეა თუ ისე, კონვერტი ისეთ შთამაგონებელ შთაბეჭდილებას ტოვებდა, ეჭვიც არ შემპარავია, იგი სრულიად შემთხვევით აღმოჩნდა ჩემს უბრალო საფოსტო ყუთში-მეთქი. წერილი იმ თეთრ ჩინურ ფურცლებზე იყო დანერვილი, რომელსაც ჩვეულებისამებრ მხატვრები ხმარობენ. ბარათზეც იგივე გაკრული ხელი და იგივე მსხვილი, გამოკვეთილი იეროგლიფები იყო გამოყვანილი:

„ამ რამოდენიმე დღის წინ ჟურნალ „მონადირის მეგობარს“ რომ ვფურცლავდი, შემთხვევით ჩემი ყურადღება თქვენმა შესანიშნავმა წარწერებმა — „სანადირო თოფმა“

მიიყვრო. მე ერთი უბრალო კაცი ვარ, ლექსის წერილმანებში მაინცადაზიანც დიდად ვერ ვერკვევი, ის კი არა, გულახდილად რომ ვითხრათ, მგონი, პირველი შემთხვევაა, ლექსს რომ გული დაუზღუ და ბოლომდე ჩავიკითხე. უმორჩილესად გთხოვთ, მამაკითოთ ასეთი უეცრობა, მაგრამ თქვენი საპატიო სახელი დღემდე ჩემთვის სრულიად უცნობი გახლდათ. ერთი კია, იმ ლექსის წაკითხვისას ისეთი მღელვარება ვიგრძენი, რომლის მსგავსიც ჩემს გულს დიდი ხანია აღარ გაჰქარებია"...

უკრძალავ

ამ სტრიქონებმა უკვე კარგა ხანს მივიწყებული ჩემი ისევე უცნობი ლექსი გამახსენა: მაშ ასე, ესეც შენი მონადირის პროტესტი! თანაც ყველაფრიდან ჩანდა, მოწინააღმდეგე ღირსეული კაცი უნდა ყოფილიყო. მაგრამ შერე და შერე სულ უფრო მეტად ვრწმუნდებოდი. ჩემი შიში უშედეგო, ხოლო წერილის შინაარსი სრულიად მოულოდნელი იყო.

ძიოსუკე მისუგი თავაზიანად, ლამაზი სიტყვებით (თუმცა მის ამ სიტყვებშიც იგივე თავდაჯერება და გულგრილობა გამოსჭვიოდა) მწერდა:

"არ ვიცი, მაქვს თუ არა უფლება, გამოვთქვა ჩემი მოსაზრება, იმ კაცის პირველსახედ, რომელიც „სანადირო თოფში" აღწერეთ, თქვენი მონა-მორჩილი და ამ წერილის ავტორი მესახება-მეტეი? ვფიქრობ, იმ დღეს ბნორედ ჩემი ახოვანი აღნაგობა მოგხვდათ თვალში, ამაგის მთის ფერდობზე სანადიროდ რომ მივდიოდი. ვერ წარმოიდგენთ, გული როგორ ამიბუყდა, საგანგებოდ ხოხბებზე განრთვნილი ჩემი ხალებიანი მწვეარიც რომ არ დაივიწყეთ. არ დაივიწყეთ ჩემი ლონდონელი მასწავლებლის ნაჩუქარი სანადირო თოფი „ჩერჩილი" და ჩემი საყვარელი ჩიბუხიც კი ეს კიდევ არაფერი, თქვენ ძირისძირობამდე ჩასწვდით ჩემს სულიერ განწყობილებას, რაშიაც ჩემდა სამარცხვინოდ თვითონაც არ ვიყავი ხერხიანად გარკვეული და პატარა ლექსში გასაოცარი ძალით აღწერეთ... ასეა, მხოლოდ ჭეშმარიტი პოეტი ფლობს იმ განსაკუთრებულ ტალანტს, რომელიც სრულიად მიუნყდომელია ჩვეულებრივი მოკვდავისათვის. მხოლოდ ისღა დამრჩენია, თავიანი ვცე, ქედი მოვიხარო თქვენი ამ უდიდესი ნიჭისა და ტალანტის წინაშე".

ამ ადგილამდე რომ ჩავედი, შევეცადე გამეხსენებინა იმ მონადირის გარეგნობა, ხუთიოდე თვის წინ კრიპტომერიის ხეივანში სეირნობისას შემთხვევით რომ შევხვდი. რამდენი არ ვეცაბე, აღმედგინა მისი სახე, მაგრამ ვერა და ვერაფერს გავხდი, ის კი ძალიან კარგად მახსოვს, რა საოცარი სიმარტოვე და მიუსაფრობა გამოსჭვიოდა ბილიკზე წელა მიმაველი ტანმაღალი მამაკაცის გარეგნობაში. ისიც მახსოვს, გუნებაში როგორ გავიფიქრე, ეს ახოვანი შუახნის კაცი, ეტყობა, ვილაც პატივისცემი ბატონი უნდა ბრძანდებოდეს-მეტეი.

კაცმა რომ თქვას, არავითარი მიზეზი არა მქონდა, ყურადღება მიმექცია და დავეკვირვებოდი იმ უცნობს, მაგრამ ისე იყო დაფიქრებული, ისეთ სევდას დაევაწებინა მის ირგვლივ და ეს ყოველივე ისე უჩვეულო იყო ჩვეულებრივი მონადირისათვის, გვერდით რომ ჩამიარა, მივბრუნდი და ყურებაც კი დაუწყე. მალე იმ უცნობმა ბილიკიდან გადაუხვია და ფეხი რომ არ დასცურებოდა, ფრთხილად შეუყვა ბუჩქნარით დაფარულ ამაგის მთის კალთას. და აი, მეც მხოლოდ ის მარტოობა და მიუსაფრობა მიხდოდა მეჩვენებინა ჩემს ლექსში. რაც შეეხება ნადირობას, მთელი ჩემი ცოდნა იმით ამოიწურა, მივხვდი, მონადირის უკან მიმაველი ძალღი საუკეთესო ჯიშის მწვეარი უნდა იყოს-მეტეი. ისე შორს ვიყავი ნადირობასა და ყოველივე იმასთან, რაც სპორტის ამ უჩვეულეს სახეობასთან არის დაკავშირებული, წარმოადგენაც არა მქონდა, რა მარკისა იყო მონადირის მხარზე გადაკიდებული ის თოფი.

მხოლოდ ცოტა მოგვიანებით, ნოემბრის იმ ცივ ღამეს გავიგე, ყველაზე საუკეთესო სანადირო თოფებად თურმე „რიჩარდისა" და „ჩერჩილის" მარკის თოფები ითვლებოდა და ჩემი ის უფალი მონადირეც სწორედ იმ საუკეთესო ინგლისური თოფით — „ჩერჩილით" შევაიარაღე.

მართალია, ძიოსუკემ ლექსის გმირად თავისი თავი კი მიიჩნია, მაგრამ ჩემთვის იგი კვლავ იმ უცნობ და უცხო პიროვნებად რჩებოდა.

ძიოსუკე მისუგის წერილი კი ასე მთავრდებოდა:

"ის, რაც ახლა მე თქვენ უნდა გთხოვოთ, ალბათ უცნაურად და მოულოდნელად მოგეჩვენებათ. ამ წუთას ჩემს წინ ჩემს სახელზე გამოგზავნილი სამი წერილი მიდევს. ერთი პირობა მიხდოდა, დამეწვა ის წერილები, მაგრამ იმ მშვენიერი ლექსის წაკითხვის შემდეგ გადავწყვიტე თქვენთვის გამოგეგზავნა. უმორჩილესად გთხოვთ, მომიტყუოთ, რა-

მეთუ ვარლვევ თქვენს სიმშვიდესა და მყუდროებას. იმედი მაქვს, როგორმე დროს გამო-
ძებნით და ნაიკითხავთ. ეს არის და ეს, ამ წერილების გამოგზავნისას არავითარი სხვა
შიზანი არ მქონია. უბრალოდ, მინდოდა გაგეგოთ, რას წარმოადგენს „ჩამშრალი მდინა-
რის ის თეთრი კალაპოტი“, რომელში ჩახედვამაც მე მომიწია. ადამიანი დიდი სულელი
არსებაა, არ შუუძლია, ვინმეს არ გაენდოს, თავისი ტკივილი თუ სიხარული არ გაუზიაროს.
თავად მე აქამდე ასეთი სურვილი არასოდეს მქონია, მაგრამ როდესაც შეუტყვევე ყველა
არსებობა და ის ინტერესი, რომელიც თქვენ ჩემი მოკრძალებული პიროვნების მიმართ
გამოიჩინეთ, მოულოდნელად ვიგრძენი, როგორ გაჩნდა ჩემს გულში განდობის ნადილი.
ერთი სული მქონდა, გული გადამეხსნა, თავიდან ბოლომდე ყველაფერი გულახდილად
მეთქვა. წერილებს რომ ნაიკითხავთ, შეგიძლიათ დასწვათ. როდესაც თქვენ ამაგის მთის
ძირას დამინახეთ და ყურადღების ღირსად ჩამთვალეთ, ეს წერილები დაახლოებით იმ
დღეების მიღებული მქონდა. სხვათა შორის, ნადირობისადმი ინტერესი გაცილებით ადრე
გამიჩნდა, მაშინ როდესაც ჯერ კიდევ ასე მარტოდმარტო არ ვიყავი ამ უსაზღვრო ქვეყ-
ნიურებაზე. სანადირო თოფი კი იმდროიდან იქცა ჩემი ცხოვრების განუყრელ თანამგზავ-
რად, როცა ჯერ წარმოდგენაც არა მქონდა იმ მარცხზე, რომელიც ჩემს პირად ცხოვრე-
ბასა და სამსახურებრივ კარიერას ელოდა“.

ორი დღის შემდეგ რაღაც მოზრდილი პაკეტი მივიღე. ეს პაკეტიც იძუდანი იყო გა-
მოგზავნილი და ამასაც ხელს ძიოსუკე მისუგი აწერდა. პაკეტში სამი წერილი იყო —
მისუგის სახელზე გამოგზავნილი სამი ქალის წერილი. წერილები რომ ნავიკითხე... არა,
არაფერს ვიტყვი იმ გრძნობებსა და განცდებზე, წერილების კითხვისას რომ დამეუფლა,
უბრალოდ აედგები და სამივეს თავიდან ბოლომდე სიტყვასიტყვით გადმოვიწერ. ერთი კი
უნდა გითხრათ — რატომღაც დარწმუნებული ვიყავი, მისუგის დიდი თანამდებობა და
მნიშვნელოვანი ადგილი უნდა სჭეროდა საზოგადოებაში, ამიტომაც მის სახელს „გამო-
ჩენილ პიროვნებათა“ და „სახელისა და გვარების“ ლექსიკონებში დავუწყე ძებნა, მაგრამ
ვერსად რომ ვერ მივაგენი, ვიფიქრე, ალბათ ნამდვილ გვარსა და სახელს არ აწერს-მეთქი
და მისი ნამდვილი გვარისა და სახელის ადგილას ჩემ მიერ გამოგონილი ძიოსუკე მისუგი
ჩაენერე. მინდა ისიც გითხრათ, რომ წერილებში მოხსენიებული არც ერთი გვარი და
სახელი ნამდვილი არ გახლავთ.

სიოკოს წერილი

„ძვირფასო, ძვირფასო ბიძია ძიოსუკე!

აი, უკვე სამი კვირა გავიდა მას შემდეგ, რაც ჩემი დედიკო გარდაიცვალა. გუშინა
და დღეს სამძიმარზე აღარავინ მოსულა. სახლი თითქოს დაცარიელდა, გაუდაბურდა.
დღეს პირველად შევიგრძენი მთელის არსებით, რომ იგი ამ ქვეყანაზე აღარ იყო და
ჩემს გულში ენით უთქმელმა სევდამ დაისადგურა. ალბათ ძალიან დაიღალეთ, აკი ყვე-
ლაფერმა თქვენს ზურგზე გადაიარა — დაკრძალვამაცა და ამ ამბავთან დაკავშირებულმა
ყოველგვარმა წერილმანმა საზრუნავმაც. თან ისე უცნაურად მოხდა ყველაფერი, ჩემ
მაგივრადაც, ვინ მოთვლის, რამდენჯერ მოგინიათ პოლიციაში წასვლა და საქმეების მოგ-
ვარება. არ ვიცი, როგორ გადაგიხადოთ მადლობა იმ დიდი სიკეთისა და ზრუნვისათვის,
რაც ჩემს მიმართ გამოიჩინეთ. ვნუხვარ, რომ ისე უცბად მოგინიათ სამსახურის საქმეებზე
ტოკიოში გამგზავრება, მეშინია, იმ უკიდურესმა დაღლილობამ ცუდად არ იმოქმედოს
თქვენს ჯანმრთელობაზე.

თუ თქვენი საქმეები ისე აენყო, როგორც წასვლის წინ ვარაუდობდით, ალბათ ტო-
კიოში უკვე მოისაქმიანებდით და ახლა იძუს გამჭვირვალე, მაგრამ ცივი და სევდიანი
ტყეების მშვენიერებით ტკბებით. ამ წერილის წერა იმ იმედით დავიწყე, დარწმუნებული
ვიყავი, მას სწორედ იძუში ჩასვლის შემდეგ მიიღებდით.

მინდოდა, ისეთი წერილი მომეწერა, მის ნაკითხვაზე იმ თქვენი ყალიონის მოწვევა
და ზღვის სანაპიროზე გავლა მოგსურვებოდათ. გაუყვებოდით ზღვას ნაპირ-ნაპირ და სა-
ხეს გრილ ზღვაურს მიაგებებდით. ვერ წარმოიდგენთ, რამდენჯერ დავიწყე და რამდენ-
ჯერ დავხიე ეს წერილი. წერილის შინაარსის მოფიქრებაზე საათობით ვწვალობდი, მინ-
დოდა გულწრფელად გამენდო ჩემი მღელვარე ფიქრები, ვიცოდე, ყველაფერს გამიგებდით.
მაგრამ კალამს ხელს მოკვიდებდი თუ არა, ჩემს საბრალო თავში ისეუ აიბურდებოდა
აზრი, ისე მოჯარდებოდა მწარე ფიქრი, როგორც თეთრქაფმორეული ტალღები ქარიან
დღეს... და ისევე გამიწყდებოდა ფიქრის ძაფი...

ნება მომეცით, გულახდილად გითხრათ — მე უკვე ყველაფერი ვიცი ჩემი დედიკოსა და თქვენი დამოკიდებულების შესახებ. ეს ამბავი ზუსტად მისი გარდაცვალების წინა დღეს შევიტყვე — მისი დღიურები ნავიკითხე, ჩემთვის ალბათ აუტანელი იქნებოდა თქვენთან პირისპირ საუბარი, ალბათ ვერც ვერაფერს ვეტყვოდი, ამიტომაც ისევე წერილის მოწერა ვამჯობინე. არ გეგონოთ, მეშინია, ანდა ვფიქრობდეს, ფიქრებს ვწვლიტო საშინელი, რაღაც მოუხდენელი რამ მოხდა — უბრალოდ, უმძიმესმა სევდამ მოუწყაქმე გული, მე ახლა თქვენ გამო როდი ელონდები ან ჩემი დედიკოს ანდა ჩემი საკუთარი თავის გამო — როგორც კი პირს გავხსნი და ყოველივე ამაზე სიტყვის თქმას დავაპირებ. ეს ლურჯი უძირო ზეცა თუ ეს შემოდგომის მზის სხივები, თქვენს ბაღში აყვავებული ინდური იასამანი თუ ნიაზე მოცახცახე ბამბუკის ფოთლები — ყველაფერი, ყველაფერი ენითუთქმელი სევდით იწისლება. მას შემდეგ, რაც დედაჩემის დღიურები ნავიკითხე, დღეში, ვინ მოთვლის, რამდენჯერ იცვლება ბუნება, რამდენჯერ იფერება სევდისფრად. არ ვიცი, იცით თუ არა თქვენ, ძვირფასო ძია ძიოსუკე, წითლის, ლურჯისა თუ პალიტრის მთელი იმ ოცდაათზე მეტი ფერის გარდა, კიდევ ერთი — სევდისა და მწუხარების ფერიც რომ არსებობს?

თქვენი სიყვარული არავის დაულოცავს, მას ლოცვა-კურთხევის მიღების უფლება არა ჰქონდა. იმ თქვენი ნამალავი სიყვარულის შესახებ თქვენ ორს გარდა არავინ არაფერი იცოდა — არც დეიდა მიდორიძე, არც მე, არც შინაურმა და არც გარეულმა. დღემდე ასე ვიყავი დარწმუნებული, სიყვარული ღვთისა და კაცისაგან ნაკურთხი, მზესავით ნათელი გრძნობაა-მეთქი. მეგონა, სიყვარული ის კამკამა ნაკადული იყო, ხეებით მოწივდილი, ნაირ-ნაირი ყვავილებითა და ხასხასა ბალახით ნაპირებმოჭრულებულ კალაპოტში რომ მორაკრავებს, მზის სხივებში მოელვარე ტალღებს რომ მოალივლივებს. ვერასოდეს წარმოვიდგენდი, იმ მინისქვეშა ნაკადულის მსგავსი სიყვარულიც თუ იყო, რომელიც, არავინ უწყის, საიდან მოდის ან საით მიედინება.

თურმე მთელი ცამეტი წელიწადი მატყუებდა ჩემი დედა... მთელი ცამეტი წელიწადი... ისე ნავიდა, გული არ გამიხსნა, თავისი სიცრუე თან წაიღო. განა შემდეგ წარმომედგინა, რამეს დამიმალავდა, ასეთი საიდუმლო ექნებოდა? რამდენჯერ უთქვამს, მე და შენ სულ მარტოდმარტონი ვართ ამ ქვეყანაზე — ერთმანეთის მეტი არავინ გავაჩნიაო.

მამაჩემის ამბავს რომ ვკითხავდი, მხოლოდ ამას მეტყვოდა, აი, გაიზრდები, გათხოვდები და ყველაფერს მაშინ ვეტყვიო. რომ იცოდეთ, როგორ ვნატრობდი ჩქარა გავზრდილიყავი, არა, იმიტომ კი არა, მათი დაცვილების მიზეზი მაინტერესებდა, უბრალოდ, ვგრძნობდი, როგორ უჭირდა იმ საიდუმლოს ტარება. აბა, რა ვიცოდი, ის კი არა, უფრო დიდი, უფრო მძიმე საიდუმლო რომ ჰქონია! პატარა რომ ვიყავი, ვინ იცის, რამდენჯერ მოუყვლია იმ ეშმაკდაპატრონებული მგლის ზღაპარი, რომელმაც კურდღელი მოატყუა და ამ სიცრუის გამო ქვად იქცა. მაშ როგორ შეეძლო, ასე ეცრუა, ასე მოეტყუებინეთ მეცა და დეიდა მიდორიძე, უცხოცა და შინაურიც. რა ისეთი სატანა, ისეთი რა ეშმაკი დაპატრონებოდა მის სულს? საბრალო, საბრალო ჩემი დედა, ათასჯერ უფრო საცოდავი, ვიდრე ის ეშმაკს ნაზიარები მატყუარა მგელი! მეცა და ძიოსუკეც ორივენი დიდი ბოროტმოქმედები ვართო. ნუთუ შეიძლებოდა ჩემი ძვირფასი დედიკო ან ჩემი საყვარელი ბიძია ძიოსუკე ბოროტმოქმედები ყოფილიყვნენ?! ალბათ რა მწუხარე უნდა იყოს ის სიყვარული, რომლის შენარჩუნება მხოლოდ და მხოლოდ უდიდესი ბოროტმოქმედების ფასად შეიძლება. პატარა რომ ვიყავი, ერთ-ერთი ტაძრის დღეობაზე, ქალაქ ნისონომიაში, ვიდაცამ მინის პატარა ბურთულა მაჩუქა, შიგ ყვავილის ლამაზი ფურცელი იყო ჩატანებული. ბურთი გულში ჩავიკარი, მწარედ ავტირდი და გავიქეცი. ყველანი გაოცებულები დარჩნენ, ვერავინ გაიგო, ასე გულამოსკვნილი რატომ ვტიროდი. მე კი ვუყურებდი ცივ მინაში ამოქოლილი ყვავილის ფურცელს, რომლისთვისაც აღარც განაფხული იქნებოდა არასოდეს, აღარც შემოდგომა და გული მწარე ცრემლით მევესებოდა. და აი, ჩემი გული კვლავ მწუხარებით არის სავსე თქვენი საბრალო, იმ ბედკრული ყვავილის ფურცელივით საცოდავი სიყვარულის გამო.

ძვირფასო, ძვირფასო ძია ძიოსუკე! ალბათ ძალიან გაბრაზდით, მე ასე ქურდულად რომ ნავიკითხე ჩემი საბრალო დედიკოს დღიურები. მაგრამ მისი გარდაცვალების წინა დღეს, ვერ წარმოიდგენთ, რა საშინელი წინათგრძნობა მტანჯავდა. ვგრძნობდი, აღარაფერი ეშველებოდა, მისი აღსასრულის დღე უკვე მოახლოებული იყო. ხომ გახსოვთ, უკანასკნელი ექვსი თვის განმავლობაში დედა სულ ავადმყოფობდა, თუმცა ის პატარა სიც-

ხეები რომ არა, ავადმყოფს არაფერი უგავდა — ისეთი საუცხოო სახის ფერი ჰქონდა, ისე კარგად ჭამდა, ის კი არა, თითქოს ცოტა მოიმატა კიდეცა. და მაინც, მთელ მის გარეგნობას, განსაკუთრებით მის სუსტ, უღონოდ დაშვებულ მხრებს ისეთი ენით უფქვე-ლი სევდის დალი აჩნდა, შეხედავდი და გული მოგიკვდებოდა. სიკვდილის წინა დღეს მის სანახავად დეიდა მიდორი მოვიდა. დედაჩემის ოთახის კარი შევხსენი, სტუმარი შემოვიღე. მეთქი, უნდა მეთქვა, რომ გაოცებისაგან წამოვიყვირე. დედა ჩემკენ ხურგებრუნებულად იჯდა, ტანთ რუხცისფერზოლიანი, ბრტყელეკალას მსხვილყვავილებამოქარგული ძვირფასი ჰაორი უცვა — სწორედ ის ჰაორი, აი, უკვე რამდენი წელიწადია კომოდის უჯრაში ჩაკე-ცილი რომ იდო, ამ ბოლო დროს სულ მპირდებოდა, შენ უნდა გაჩუქო, მეტისმეტად ჭრულია, ჩემთვის უკვე შეუფერებელია!

— რა იყო? — გაოცებულმა მკითხა დედამ და ჩემკენ შემობრუნდა.

— აკი... — დავინწყე ალელვებულმა, მაგრამ ენა ჩამივარდა, სიტყვის გაგრძელება ვეღარ შევძელი. საოცარია, — გამიელვა გუნებაში, — ნეტავი ასე რას გავკოცდი, ვი-თომ რა არის გასაკვირი ამ ლამაზ, ძველებურ მოსასხამში?.. რაც ავადაა, ამისათვის ხომ აღარც გართობაა, არც ჩაცმა, არც დახურვა. ცოტა უფრო მოგვიანებით, ამ ამბავს რომ ჩაუფიქრდი, ყველაფერს მიცხვდი, ჰაორი ისე უხდებოდა, ისეთი დიდებული, ისეთი მომ-ხიბვლელი, თან ისეთი სევდიანი იყო. მართლაც რომ თვალს მოგჭრიდა — ასეთი ლამაზი მე იგი არასოდეს მენახა. ოთახში რომ შევედი, მიდორიც ფუხდაფუხ შემომყვა. ჩანს, ურც იმან შეიკავა თავი გაოცებისაგან, იდგა და გაოგნებული მისჩერებოდა. დედაჩემის მშვენიერი, გულისწამლები სახე თვალდაან არ მომშორებია, მთელი დღე გული მიკენე-სოდა.

იმ დღეს საშინელი ქარი ქროდა, საღამო ხანს, როგორც იქნა, ჩანყნარდა. მე და ჩვე-ნი მოახლე სადაიე ჩამოყრილი ფოთლის დასაწვავად ბაღში ჩავედით, თან წინადღეს მამა-სისხლად ნაყიდი ნამჯაც ჩავიტანე — ამასაც დაწვავ, ცხელ ნაცარს დედაჩემის კოტაცუ-ზე დავყრი-მეთქი. დედა ამ დროს სასტუმრო ოთახში იჯდა და თვალყურს გვადევნებდა. მერე ღია გალერეაში გამოვიდა, წითელ ქალაღში გახვეული რაღაც შეკვრა გამოიტანა:

აჰა, ესეც დანვი.

— რა არის? — ვკითხე მე.

— რა შენი საქმეა, — როგორღაც მკვახედ მომახალა დედაჩემმა, მაგრამ მაშინვე ოდნავ გაიღიმა და წყნარად მითხრა: — ჩემი დღიურებია, ასევე შეხვეული დანვი.

მერე ერთბაშად მიტრიალდა და წავიდა, ისე მიდიოდა, თითქოს ქარი ატორტმანებ-და — ფრთხილად, გაუბედავად ადგამდა ნაბიჯებს.

ნამჯა უკვე ლურჯ კვამლში ინავლებოდა, რომ, როგორც იქნა, გადავწყვიტე — ჩუ-მად ავიპარე მეორე სართულზე, ჩემს ოთახში შევედი და დედაჩემის დღიური თაროზე წი-გნებს უკან შევმალე. იმ ღამეს ქარი ისევ ამოვარდა. ხმაურზე ფრთხილად წამოვდექი ლოგინიდან და ფანჯარაში გავიხედე — ბალი მთვარის მენამულ შუქში იყო გახვეული... ქარმა თანდათან იმატა. ყალყზე შემდგარი ტალღები ხმაურით ასკდებოდნენ ჩრდილოე-თის კლდოვან ნაპირს. დედასა და სადაიეს რა ხანია ეძინათ, მე კი ვერ იქნა და თვალი ვერ მოვხუჭე. ოთახში რომ არავინ შემოსულიყო, კარს ენციკლოპედიის მძიმე ტომები მივანყვე, ფარდა ჩამოვუშვი — ფანჯრიდან მთვარის შუქი აღწევდა და რატომღაც შიშით მაკრთობდა. მერე მაგიდის ლამბა ავანთე, სტუდენტური საერთო რვეული — დედაჩემის დღიური გვერდით დავიდე.

ძვირფასო, ძვირფასო ძია ძიოსუკე!

ვფიქრობდი, ამ შემთხვევით თუ არ ვისარგებლე, მერე უკვე ვეღარასოდეს გავიგებ ჩემი მშობლების დაცულების მიზეზს-მეთქი. მართალი რომ გითხრათ, ადრე არასოდეს მიცდია რაიმე გამეგო მამაჩემზე, თუმცა გულში მუდამ სათუთად ვინახავდი მის სახელსა და ხსოვნას — დარწმუნებული ვიყავი, როცა გავთხოვდებოდი, თვითონ დედაჩემი მეტყო-და ყველაფერს. მაგრამ იმ ნუთიდან, კარი რომ შევხსენი და ჩემი დედიკო იმ ძვირფას ჰაორში გამონყობილი ვნახე, მწარედ დავრწმუნდი, ეს დღე არასოდეს დადგებოდა...

როდესაც მამაჩემი დისერტაციის დასაცავად კიოტოს უნივერსიტეტში წავიდა, მე და დედა (მაშინ უკვე ხუთი წლისა ვიყავი) ბებიასა და მოსამსახურესთან ერთად აკასიში დავ-რჩით. აპრილის ერთ ქარვან დღეს კარზე ვიღაც უცხო ქალმა მოაკაკუნა, ხელში ძუძუთა ბავშვი ეჭირა. ქალი სასტუმრო ოთახში შემოვიდა, ბავშვი ნანდანის აღისფერ ნაყოფთა

გვერდით ტოკონომაში ჩაანვინა, კალათიდან ქვედა კიმონო ამოიღო, თბი შეიხსნა და ყველას თვალნი ტანსაცმლის გამოცვლას შეუდგა. დედა, რომელსაც ამ დროს სინით ჩაი შემოჰქონდა, გაოცებული შედგა — მიხვდა, ის ქალი ჭკუიდან იყო გადაშცდარი. როგორც მოგვიანებით შევიტყვე, ტოკონომაში მძინარე ის ბავშვი უფროსი მამაჩემისა და იმ უცხო ქალის შვილი იყო.

ბავშვი მაშინვე გარდაიცვალა, ქალი კი, საბედნიეროდ, მალევე გამოკეთდა და ვიღაც ოკაიამელმა ჯჭარმა ითხოვა. რაღა იქნებოდა, ამ ამბების შემდეგ მომკიდა დედამ ხელი და სამუდამად მიატოვა ის სახლიცა და ქალაქი აკასიც.

ერთხელ, კარგა დიდი ხნის შემდეგ, მაშინ მე უკვე ქალთა კოლეჯში ვსწავლობდი, ბებიაჩემს მისეთი რაღაც მითხრა: აიაკო გაბრაზებული იყო, ცხელ გულზე მოუვიდა, აბა, ახლა რაღა ეშველებაო...

მე კი რატომღაც დღემდე ასე მეგონა, დედამ ჩანს ვერ აპატიო მამას მაშინდელი ის წყენა და გულისტკივილი-მეთქი. შვიდ წლამდე დარწმუნებული ვიყავი, მამა ადრევე გარდაიცვალა. მართალი რომ გითხრათ, ჩემს გულში იგი არც ახლა არის ცოცხალი, თუმცა კი ქალაქ ჰიოგამდე, სადაც მამაჩემი საკუთარ, დიდ საავადმყოფოს განაგებს, სულ რაღაც ერთი საათის სავალი თუ იქნება.

დედაჩემის დღიური რომ გადავშალე, პირველივე სიტყვა, რომელიც უმაღლეს თვალში მომხვდა, „ბოროტმოქმედება“ იყო. ვინ იცის, რამდენჯერ მეორდებოდა ეს სიტყვა! ისინი თითქოს ერთმანეთზე იყვნენ აყორავებულნი, სადღაც, ბოლოში, ამ ყორის სიმძიმის ქვეშ კი თითქოს სულს დაფავდა უსუსური, ილაჯგამოლეული იეროგლიფებით გამოყვანილი ეს ორიოდ სიტყვა: „ღმერთო, შეშინდე!.. მამატიო, ჩემო მიდორი!“ ამ სიტყვების ნაკითხვაზე ყველა სხვა სიტყვა ერთბაშად თითქოს სადღაც გაქრა, დარჩა მხოლოდ ის ერთი, ერთადერთი წინადადება და იგი ავბედით სატანასავით დაეუფლა ჩემს გულსა და გონებას.

შეშინებულმა დღიური დავხურე. ვერ წარმოიდგენს, რა მძიმე, რა აუტანელი იყო ის წუთები! ირგვლივ სამარისებური სიჩუმე გამეფებულიყო, სიჩუმეში მხოლოდ ჩემი გამალებული გულის ძგერაღა ისმოდა. სკამიდან წამოვდექი, კარ-ფანჯარა ერთხელ კიდევ შევამოწმე, მერე ისევ მაგიდას მივუჯექი, დღიური თამამად გადავშალე და ბოლომდე გულდაგულ ჩავიკითხე, მაგრამ მამაჩემის სახელს ხსენებაც ვერსად ვნახე: მთელ დღიურში — მე ეს ალბათ სიზმრადაც არასოდეს დამესიზმრებოდა! — მხოლოდ და მხოლოდ დედასა და თქვენს დამოკიდებულებაზე იყო ლაპარაკი. რას არ შეხვდებოდა კაცი ამ დღიურში — მწუხარებას, ტანჯვას, სიხარულს, უიმედობას, მუდარასა და სიკვდილზე ოცნებას... თურმე რამდენჯერ, რამდენჯერ გადაუნყვებია ამ ქვეყნიდან წასვლა — როგორც კი მიდორი ძიოსუკესა და ჩემს ამბავს შეიტყობს, მაშინვე თავს მოვიკლავო... ვინ იფიქრებდა, რომ დედას, ვინც მუდამ ასე გულლიად, მუდამ ასეთი სიხარულით ხვდებოდა მიდორის, ვისაც შეეძლო დილიდან დაღამებამდე მის გვერდით მჯდარიყო და მხიარულად ესაუბრა, ასეთი შიში ექნებოდა ამ ქალისა.

დღიურს რომ ვკითხულობდი, მივხვდი, მთელი ეს ცამეტი წელიწადი სიკვდილზე ფიქრი თავიდან არ მოშორებია. ხანდახან რამოდენიმე დღე, ზოგჯერ კი მთელი ორი-სამი თვის განმავლობაში ერთი სიტყვაც არა ჰქონდა ჩანერილი. ყოველი სტრიქონიდან დედაჩემის სახე შემომცქეროდა, თავს სიკვდილის აჩრდილი დასდგომოდა და მოსვენებას არ აძლევდა. მხოლოდ სიკვდილი... სიკვდილის მეტი ველარაფერი მიშველისო! რატომ, რატომ ჩანერა ეს სასონარკვეთით აღსავსე სიტყვები! „რახან სიკვდილი გადაუნყვითე, მაშ რატომ მეშინია? აბა, შენ იცი, ჩემო სიოკო, როგორ ყოჩაღადაც მოიქცევი!“ რამ, რამ აიძულა ჩემი დედიკო ეს მწარე სიტყვები დაენერა? ნუთუ სიყვარული, ნუთუ ეს მშვენიერი, ეს ნათელი გრძნობა იყო ამისი მიზეზი? გახსოვთ, ერთხელ დაბადების დღეს წიგნი რომ მაჩუქეთ? იმ წიგნში სიყვარული თმაგაშლილ, ფეხშიშველა ასულთან იყო შედარებული. იგი ისე შემართული იდგა სასწაულმოქმედ წყაროსთან, თითქოს სადაც არის უნდა გაფრინდესო; ხელისგულები მაღალ, ყვავილის კოკრებივით მკვრივ მკერდზე ჰქონდა დაწყობილი. როგორ არა ჰგავს იმ წიგნში გამოსახული სიყვარული იმას, რაც თქვენსა და დედაჩემს შორის იყო!

დღიურის ნაკითხვის შემდეგ მიდორი ჩემთვისაც ყველაზე საშიში, ყველაზე მოსარიდებელი ადამიანი გახდა, დედაჩემის ტანჯვა — ვაითუ ეს საიდუმლო მიდორიმაც შეიტყოსო — ჩემს ტანჯვა-წამებად იქცა. ყოველ მის დანახვაზე, იმ ჩემი სათაყვანო დეიდა მიდორის დანახვაზე, რომელიც საკუთარ დედაზე ნაკლებად როდი მიყვარდა, საშინელი

შიში და მღელვარება მიპყრობდა! განა იმან არ მომიტანა ის ლამაზი, ვარდებით მოხატული ზურგჩანთა, როდესაც პირველად ნაუფდი ასიას დაწყებით სკოლაში. მახსოვს ზღვისპირეთის სამკურნალო სასწავლებელში რომ გამგზავნეს, რეზინის გასაბერი თოჯი/მაჩუქა. დღეს არ გამოტოვებდა, ნაირ-ნაირი საჩუქრებით არ ავევსე. საათობით იჯდა ჩემ გვერდით და ძმები გრიმების ზღაპრებს ზეპირად მასწავლიდა. არ მახსოვს ჩემი ცხოვრების არც ერთი მნიშვნელოვანი დღე, არც ერთი დასამახსოვრებელი შემთხვევა კდელიძე მჭიდვრით ჩემს გვერდით არა ყოფილიყო, იგი ხომ დედაჩემის ყველაზე მახლობელი, ყველაზე საყვარელი კუზინა იყო. თქვენც კარგად იცით, მიდორი ახლაც რა შესანიშნავად ცეკვავს. უნინ კი გოლფსა და მაჯონგში, ცურვასა და თხილამურებით სრიალში ჩვენ შორის ტოლი არავინ ჰყავდა. და აი, ამქვეყნად ახლა ყველაზე უფრო ამ ადამიანის მეშინია, მეშინია ჩემი დეიდა მიდორისა, ვისი ნამცხვრის გემოსაც კი ალბათ ვერასოდეს დაივიწყებდი, ერთხელაც რომ გაგესინჯა; ვისაც ასე სულითა და გულით შეეძლო თვითონაც ეხარა და ემხიარულა, სხვაც გაეხარ-გაემხიარულებინა. დაჰპატიჟებდა ტაკარაცუკას ახალგაზრდა მსახიობ გოგონებს და ჩვენთან ერთად ილხენდა. მეშინია იმ ადამიანისა, რომელიც ამქვეყნად ყველაზე ნათელი, ვარდით ტურფა და მომხიბვლელი მეჩვენებოდა!

თუ ამ ქვეყნიერებაზე რაიმე იდუმალი წინათგრძნობა არსებობს, მაშინ მე ერთხელ უკვე განვიცადე რაღაც ამდაგვარი. გასულ წელს, სწორედ ამ დროს, მე და ჩემი ამხანაგი, ის იყო, ელექტრომატარებელში უნდა ჩავმსხდარიყავით, სკოლაში წავსულიყავით, რომ უცბად შინ დარჩენილი ინგლისური ენის სახელმძღვანელო გამახსენდა. ამხანაგს ვთხოვე, სადგურზე დაეცადა და მაშინვე შინისაკენ გავიქეცი. ჭიშკართან რომ მივედი, უცებ შევჩერდი — რაღაც ძალა მაკავებდა, ჭიშკრისაკენ ნაბიჯის გადადგმას მიშლიდა. იმ დილას მოსამსახურე დედამ საყიდლებზე გაგზავნა, ვიცოდი, შინ ახლა მარტო უნდა ყოფილიყო. ვიდექი ჭიშკრის წინ, ეზოში იელის ბუჩქებს შევცქეროდი და შესვლას ვერ ვებედავდი, საოცარია, ასე მეგონა, დედას მყუდროებას დაფურლვევდი, ის კი არა, გულსაც ვატკენდი. ბოლოს მოვბრუნდი და ისევ სადგურისაკენ წამოვედი. საოცარი მარტოობა ვიგრძენი, მივაბიჯებდი მდინარე ასიას ნაპირას და ფეხქვეშ მოხვედრილ კენჭებს ფეხისწვერით აქეთ-იქით ვისროდი. სადგურზე რომ მივედი, მოსაცდელ დარბაზში მოწყვეტით დავეშვი ხის სკამზე, ვიჯექი ჩემთვის პირუჩუმრა და ამხანაგის ლაქლაქს დაბნეული ვუსმენდი.

არც მანამდე და არც მას შემდეგ ამგვარი რამ არასოდეს განმიცდია. ახლაც შიშით ვიგონებ უბედურების მომასწავებელ იმ წინათგრძნობას. ვინ იცის, იქნებ მიდორისაც ჰქონდა ამგვარი წინათგრძნობა ანუ ეს რაღაც უცნაური განათება გონებისა? აკი რამდენჯერ ამაყადაც გამოოცხადებია, მწვერულით ალღო მაქვსო. მარტო იმის გაფიქრებაზედაც კი, ვაითუ მიდორი ყველაფერს ხვდებოდა-მეთქი, ამ წუთშიაც მთელი სხეული ხურვებაშეყრილივით მიკანკალებს. მაგრამ არა, აკი ყველაფერი ჩავლილია, ეს ამბავი უკვე ისტორიას არის ჩაბარებული. აკი ჩემი დედიკოც მხოლოდ იმიტომ წავიდა იმ ქვეყანას, თავისი ის საიდუმლო თან წაეღო...

იმ დღეს (მე ალბათ არასოდეს დამაფიქსედება ის ავბედითი დღე), ვიდრე ხანმოკლე და შემზარავი აგონია დაეწყებოდა, აგონია, რომლის ყოველ გახსენებაზე საშინელი კანკალი ამიტანს ხოლმე, დედამ თავისთან დამიძახა. სახე ბურხაკუ, ოქატრის თოჯინასავით გადასტკეცოდა.

— ეს წუთია სანამლავი დავლიე... დავილაღე, სიცოცხლის ღონე აღარა მაქვს, — თქვა დედამ. ისეთი წკრიალა ხმა ჰქონდა, ზეციური მუსიკა გეგონებოდა, თითქოს მე კი არა, ღმერთს ელაპარაკებოდა, სადღაც, ჩემს ზემოთ. ამ დროს ყურში საშინელი გრუნჯი — დღიურში სიტყვებისაგან აყორავებული ეიფელის კოშკის ნგრევის ხმა ჩამესმა — ცამეტ წელიწადს ნაგები ბოროტების უზარმაზარი შენობა თავზე ენგრეოდა სიცოცხლისაგან დაღლილსა და განამებულ ჩემს დედას. მე გაქვავებული ვიდექი მის წინ — სადღაც სივრცეში იკარგებოდა მისი უმიზნო მზერა... ანაზღად შემოდგომის ქარი რომ წამოუბერავს, ბალახს მიწაზე რომ გააკრავს, მეც ასე ერთბაშად მომიცვა უცნაურმა, როგორიღაც გაუცნობიერებულმა გულისწყრომამ. ვიდექი და სასომიხდილ, ჩამქრალ სახეში დაჟინებით ჩავცქეროდი.

მაშ ასე...

ეს ორად ორი სიტყვა ისე წარმოვთქვი, მთელი ეს ამბავი ჩემს საყვარელ დედას კი არა, თითქოს ვიღაც გადამთიულს შეეხებოდა.

ვთქვი და გულზე ცივი წყალი გადამესხა. მერე ისე გულგრილად წამოვდექი, ჩემი

საქციელთ თვითონვე გაოგნებული ვიყავი და თქვენთან დასარეკად ფერეფნის ბოლოს ტელეფონისაკენ გავნიე. ის იყო, ყურმილი ავიღე, რომ დედაჩემის წამოკიდება მომესმა... ჩემს დარეკვაზე თქვენ კი არა, პირველმა მიდორიმ მოიბრინა. დედას მისთვის ხელში ხელი ჩავლო და უკვე სულს ლევდა — იმ ქალის ხელზე ლევდა სულს, ვინც ასე უყვარდა და ვისიც ასე ეშინოდა. თეთრი, თოვლივით ქათქათა სუდარაც სწორედ იმ ქალმა წააფარა ლამაზ, უკვე ამქვეყნიური ტანჯვა-წამებისაგან განწმენდილ მშვენიერ სახეზე.

იმ პირველ ღამეს შემადრწუნებელ მდუმარებას დაევალებინა მთელ სახლში. ექიმი და პოლიციელები წავიდნენ, წავიდნენ გამოსათხოვრად შემოსული მეზობლებიც, დავრჩით მხოლოდ სამნი — თქვენ, მიდორი და მე. ვისხედით გაჩუმებულები და შორიდან წამოსული ტალღების ჩუმ შრიალს ვუსმენდით. სანთლები რომ ჩაიწვებოდა, წამოდგებოდა რომელიმე ჩვენთაგანი, სანთლებს მოუკიდებდა, ფანჯარას გამოაღებდა, ოთახს გაანიავებდა, მჭმუნვარედ შეხედავდა მიცვალებულის სურათს და უკანვე შემობრუნდებოდა. თქვენი რიგი რომ დადგებოდა, სურათს სევდიანად ჩააცქერდებოდით და მწუხარე სახეზე წყნარი, გაურკვეველი ღიმილი მოგეფინებოდათ. იმ წუთებში არაერთხელ მიფიქრია, მართალია, დედამ ბევრი სიმწარე და მწუხარება გაიარა, მაინც ბედნიერი ქალი იყო-მეთქი.

ღამის ცხრა საათი იქნებოდა, ფანჯარასთან მივდექი და ერთბაშად ხმამალა ავლრიალდი. უცბად მხარზე თქვენი ხელის შეხება ვიგრძენი, ერთხანს ასე გაჩუმებული იდექით ჩემ გვერდით, მერე სიტყვის უთქმელადვე გატრიალდით... მე კი იმ წუთას მხოლოდ დედაჩემს როდი დავტიროდი — გულს ისიც მიკლავდა, უკანასკნელ წუთებშიაც კი თქვენი სახელის ხსენება რომ ვერ გაბედა, და რომ ჩემს დარეკვაზე პირველი თქვენ კი არა, მიდორი მოვიდა... მწუხარებით ვფიქრობდი იმ თქვენს წამალვებ სიყვარულზე და ისიც ისეთივე საბრალო და უმწეო მეჩვენებოდა, როგორც მინის ბურთულაში ამოქოლილი ყვავილის ის ფურცელი. მერე ფანჯარა გამოვხსენი, გავყურებდი ცივად მოციმციმე ვარსკვლავებით მოჭიქულ ცას და ცრემლის შეკავენას ამაოდ ვცდილობდი. მერე ისიც წარმოვიდგინე, როგორ მიფრინავდა ეს სისკარული ცისაკენ, როგორ უგზო-უჯლოდ დაბორილებდა ცივად მოკამკამე ვარსკვლავებს შორის, და ისევ მწარედ ავქვითინდი. ისე ეულად, ისე საბრალოდ მეხატებოდა ვარსკვლავეთში გზაარეული, ამ ქვეყანაზე არდალოცვილი სიყვარული, მასთან შედარებით ერთი ადამიანის — თუნდაც მშობელი დედის სიკვდილიც კი ისეთ დიდ უბედურებად აღარ მეჩვენებოდა.

იმ ღამეს სუსის საქმელად ჩხირებს ხელი მოვკადე თუ არა, ცრემლი ისევ ყელში მომებჯინა და ისევ ავტირდი.

— რას იზამ, უნდა გამაგრდე. ვიცი, ვერაფრით დაგებმარები და ამისი შეგნება გულს მიკლავს, — მითხრა წყნარად მიდორიმ.

მე თავი ავნიე და მიდორის ცრემლით მონამსულ, უმშვენიერეს თვალებს რომ შევხედე, უარყოფის ნიშნად თავი გავაქნიე. მაშინ მისთვის აღბათ სრულიად გაუგებარი იყო ჩემი ეს საქციელი, მე კი იმ წუთას მხოლოდ მიდორის სიბრალული მატირებდა. ვუყურებდი, როგორ ანანილებდა ოთხ თეფშზე — თქვენთვის, თავისთვის, ჩემთვისა და ჩემი საბრალო დედიკოსათვის საქმელს და ცრემლი ღაბაღღაობით მცვიოდა.

კიდევ ერთხელაც ვიტირე იმ ღამეს — გახსოვთ, რომ მითხარით, ცოტა ხანს წამონექი, დაისვენე, ხვალ ძალიან მძიმე დღე იქნებაო? მართლაც, მეზობელ ოთახში გავედი და დავნიექი თუ არა, მკედარივით ჩამეძინა. უკვე შუალამე იქნებოდა, უცბად ხელნაკრავივით გამეღვიძა. ერთიანად ოფლში ვიყავი გახვითქული. გვერდითა ოთახში, იქ, სადაც მიცვალებული იყო დასვენებული, კვლავინდებურად სამარისებური სიჩუმე სუფევდა. მერე თქვენი სანთებელას ჩხაკუნის და ეს სიტყვები შემომესმა:

„ნადი, ცოტა დაისვენე, აქ მე დავრჩები“.

„ჯობია თქვენ დაისვენოთ, მე არაფერი მიჭირს, დაღლილი სულ არა ვარ“.

მერე ისევ ხანგრძლივი სიჩუმე ჩამონვა და მე ისევ მწარედ ავტირდი. იმ წუთას მხოლოდ იმაზე ვტიროდი, თქვენ ორივენი — თქვენცა და მიდორიც იმ ოთახში რომ იყავით, სადაც ჩემს საბრალო დედიკო ესვენა და რომ თვითეული თქვენგანი საკუთარ ფიქრსა და საზრუნავში იყო გართული. ახლა იმაზე ვფიქრობდი, რა ცრუ, რა გაუტანელია-მეთქი ადამიანი და გულამოსკვნილი ვტიროდი და ვტიროდი.

ძვირფასო, ძვირფასო ბიძია ძიოსუკე! აი, მე დაწვრილებით მოგწერეთ ყველაფერი, რაზედაც ვიფიქრე და რაც განვიცადე იმ დღეებში. იმედი მაქვს, გაიგებთ ჩემს თხოვნას — ჩემთვის სასურველი იქნებოდა, დღეიდან არასოდეს აღარ შეგხვედროდით — აღარც

თქვენ, აღარც დეიდა მიდორის, მე უკვე ვეღარასოდეს შევძლებ ძველებურად მივენდო, ისე უშუალოდ და გულთადად მივიღო თქვენი აღერსი და ყურადღება. ვეცდები, სამუდამოდ დავივიწყო ის ბოროტმოქმედება, რომელმაც ჩემი საბრალო დედოკო დაღუპა.

მეტს მე უკვე ვეღარაფერს მოგწერთ.

ასიაში ჩვენი სახლი ძია ცუშურას მინდა ჩავაბარო. მე ისევ აკასიში დევბრუნდები, გავხსნი ერთ პატარა ატელიეს და თავს საკუთარი შრომა-გარჯით ვირჩევ დედაქრავის ანდერში მიბარებს, როცა კი რაიმე გამიჭირდება, დახმარებისათვის თქვენ მოგმართოთ. მაგრამ, დედამ ჩემი ახლანდელი მდგომარეობა რომ იცოდეს, ალბათ თვითონვე იტყოდა უარს თავის ამ სიტყვებზე.

დღეს დედაჩემის ფლიური ბაღში ჩავიტანე და ასანთი მოვუკიდე. ბოლოს იმ დღიურიდან ერთი მუჭა ფერფლის მეტი რომ აღარაფერი დარჩა, წყლის მოსატანად წავედი, მაგრამ უკან რომ მოვბრუნდი, იმ ადგილას ის ერთი მუჭა ფერფლიც აღარ იყო — იგი უარს წაეღო და ხის ჩამოცვენილ ფოთლებთან ერთად მთელ ბაღში მიმოეფანტა.

ამ წერილთან ერთად გიგზავნით თქვენს სახელზე დანერილ დედაჩემის წერილსაც — მე იგი თქვენი ტოკიოში გამგზავრების მეორე დღეს ვნახე, როდესაც მის საწერ მაგიდას ვალაგებდი“.

მიდორის წერილი

„ბატონო ძიოსუკე მისუგი!

ახლა, როცა ასე ოფიციალურად, ასე უცხოსავით მოგმართავთ, გული ისე მითრთის, თითქოს ოცდაცამეტი წლის ქალი კი არა, ახლად შელერებული გოგო ვიყო და ამ წერილს გულის სატრფოს ვწერდე. უკანასკნელი ათი წლის მანძილზე, ზოგჯერ თქვენგან დაფარულად, უფრო ხშირად კი სრულიად დაუფარავად, ვინ იცის, რამდენი სასიყვარულო წერილი დავწერე, მაგრამ ვაი რომ არც ერთი იმ წერილთაგანი თქვენი მისამართით არასოდეს გამომიგზავნია. გულწრფელად რომ გითხრათ, მე ეს, ცოტა არ იყოს, უცნაურად მეჩვენება, თქვენ, თქვენ რა აზრისა ბრძანდებით?

ერთხელ ბატონი ტაკაძის მეუღლე (ალბათ გახსოვთ ის ქალი, სახეზე ფერუმარილს რომ დაიდებს, ნამდვილი მელაკუდა გეგონება) ოსაკელ და კობოელ ცნობილ გვამთა განქიქებას რომ მორჩა, ბოლოს თქვენც მოგდგათ და კაი ლაზათიანად შეგამკოთ — რა კაცია, ქალისა არაფერი გაეგება, ასეთი კაცი აბა რომელ ქალს მოენონება, გულწრფელად რომელი ქალი შეიყვარებსო. ამ სიტყვებს რომ ამბობდა, მგონი, ცოტა შეჭიკჭიკებულად გახლდათ, თუმცა, მე თუ მკითხავთ, იგი არცთუ ისე შორს იყო ქეშმარიტებისაგან — თქვენ იმ ადამიანებს როდი ეკუთვნით, მარტოობა და მელანქოლია რომ სტანჯავთ. თქვენი გამოხედვა არასოდეს დაუმძიმებია სევდას, თქვენს სახეზე მხოლოდ გულგრილობა, მხოლოდ ურწმუნოებაა აღბეჭდილი. თქვენ მუდამ თქვენი უცილობელი აზრი გაგაჩნიათ ყოველი მოვლენისა თუ საგნის მიმართ. და აი, თქვენი ეს თავდაჯერება ყველას აღიზიანებს, ყველას სურს, შეგირფით საკუთარი თავის ეს შეუვალი რწმენა. ერთი სიტყვით, არაფრით საინტერესო არ ბრძანდებით, ქალებისათვის ხომ პირდაპირ აუტანელიც ხართ, მართლაც რომ გულწრფელად ალბათ ვერც ერთი ქალი ვერ შეგიყვარებთ — ანდა, კაცმა რომ თქვას, რა აზრი აქვს? ნუთუ ერთხელ მაინც არ დაფიქრებულხართ, იმ ჩემი სასიყვარულო წერილებიდან თქვენი მისამართით ერთიც რომ არასოდეს გამომიგზავნია? აკი გითხარით, მე ეს, ცოტა არ იყოს, უცნაურად მეჩვენება — ოდესმე ერთი წერილი ხომ უნდა მომენერა, თუნდაც ერთი წერილი მაინც!.. კაცმა რომ თქვას, დავუშვათ, ის წერილები სხვათა და სხვათა მისამართით დაიგზავნა, მაგრამ, თუ ვივარაუდებთ, რომ მათი წერისას მხოლოდ და მხოლოდ თქვენ მედექით თვალწინ და რომ იმ დროს თქვენს მეტი არავინ მახსოვდა, რა მნიშვნელობა აქვს, ვის ხელში მოხვდებოდნენ ისინი. ხომ შეიძლება, ჩემი ასაკისათვის შეუფერებლად მორცხვსა და გულუბრყვილოს, საკუთარ მეუღლესთან სინაზით სავსე წერილების მიწერისა შემრცხვენოდა და მის სახელზე დანერილი ის წერილები სხვებისათვის მეგზავნა. ეტყობა, უბედურ ვარსკვლავზე ვარ გაჩენილი, ბედის მწერლისაგან უკუღმართ ბედზე დანერილი.

ალბათ ვერასდროს ვერ ჩავწვდები

თქვენს მაღალ აზრებს...

მინდა მოვიდე, მოგეახლოთ,

მოგეხალისოთ,
მაგრამ ვაითუ დაგირღვიოთ
ხეცოური ეს მყუდროება!..



ეს ლექსი გასული წლის შემოდგომაზე დაწერე. მინდოდა პოეტურად გამომეხატა ჩემი მაშინდელი განწყობილება, განწყობილება იმ ქალისა, რომელსაც ვერც ვხვდებოდა თქვენი ძვირფასი მყუდროების დარღვევა, მაშინ როცა იმ თქვენს ოფიციალურ განმარტოებულ, ხელში ძველთაძველი ფაიფურის ფინჯანი გეჭირათ და გულდაგულ ათვალთვლებდით (ო, რა უსულგულო, რა უგრძობელი იყავით იმ წუთას!). დიდი ცრუმენტელა ვინმე ბრძანდებოდა... — იქნებ ესეც კი გაიფიქროთ... მაგრამ, ვაი, რომ ძალიან სცდებით, მთელი ის ღამე თეთრად გავათენე, თან მაჯონგს ვთამაშობდი, თან ახალი თქვენი კაბინეტისაკენ მეჭირა. მართალია, ის ლექსიც, მსგავსად წერილებისა, თქვენ კი არა, იმ ყმანვილ ფილოსოფოსს დავუდე მაგიდაზე, რომელმაც ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდამ მიაღწია შესაშურ კარიერას, ვისაც ჩემი ამ თავქარიანი ცელქობით (ეს თქვენც კარგად მოგეხსენებათ) გული და გონება ავურიე და ვისი გამოისობითაც ჩემი სახელი ღამის ყოველდღე იხსენიებოდა ვულგარულ გაზეთებში (ამ ამბების გამო თქვენც, ვინ მოთვლის, რამდენჯერ გიგრძენიათ თავი უხერხულად), ჩემი ეს საქციელი კი მხოლოდ და მხოლოდ იმით იყო გამოწვეული, მინდოდა ოდნავ, სულ ოდნავ მაინც შემერყია თქვენი ის უცნაური სიამაყე. მივალწიე კი ვითომ რაიმეს?..

ამ დაუფიქრებელი ლაქლაქით ალბათ კიდევ უფრო გაღიზიანებთ, ამიტომაც ვცდილობ, რაც შეიძლება დროით გადავიდე საქმიან საუბარზე.

თქვენც კარგად მოგეხსენებათ, ჩვენი ცოლქმრობა რა ხანია ფიქციად იქცა, თქვენთვის ალბათ უკეთესიც იქნება, სულაც თუ განთავისუფლდებით ამ უღლისაგან. როგორ ფიქრობთ, ხომ არ დაჰკრა საბოლოო განშორების ჟამმა, ასე ვთქვათ, ხომ არ დადგა დრო ჩვენი ოფიციალური განქორწინებისა?

ამას წინათ სამსახურიდან დათხოვნილ მენარმეთა გვარებს შორის თქვენი გვარიც ამოვიკითხე და, ვერ წარმოიდგენთ, როგორ გავოცდი. ახლა, როდესაც გთხოვეს, თქვენი საპატიო თანამდებობიდან გადამდგარიყავით, ვფიქრობ, ყველაზე ხელსაყრელი მომენტიცაა, რათა საბოლოოდ მოეღოს ბოლო ჩვენს ამ არაბუნებრივ დამოკიდებულებას. ჩემი მოთხოვნები, მოკლედ რომ ჩამოვაყალიბო, ასეთია: ჩემთვის სრულიად საკმარისი იქნება ქალაქგარეთა სახლები იასსა და ტაკარაცუკაში. ამიერიდან ალბათ იასში დავსახლდები, ფართობიც საკმარისია და ბუნებაც შესანიშნავი. რაც შეეხება ტაკარაცუკას სახლს, გაფყიდი ორ მილიონ იენად და მთელი ჩემი ცხოვრება იოლას გავალ ამ თანხით. შეგიძლიათ ეს ჩემს უკანასკნელ ჭირვეულობად, ჩემს ერთადერთ, პირველსა და უკანასკნელ თხოვნად ჩათვალოთ — მე ხომ მთელი ამ ერთად ცხოვრების მანძილზე შემთხვევაც კი არ მახსოვს, რითიმე გაგენებივრებივრებინეთ, ასეთია ჩემი წინადადება, წინადადება, რომელიც თქვენთვის ალბათ მოულოდნელი იქნება. მაგრამ, მერწმუნეთ, ეს იმას როდი ნიშნავს, თითქოს ვინმე იმდაგვარი მეგულებოდეს, ვისთვისაც შემედლო ჩემი საყვარელი ადამიანი მენოდებინა. სამწუხაროდ, დღემდე არ შემხვედრია ისეთი კაცი, ვისაც, არ შემრცხვებოდა და ჩემს შეყვარებულად გამოვაცხადებდი. ისე რომ, ამას იქნება თქვენი ეჭვი, თითქოს იყოს ვინმე ისეთი, ვინც ჩემი მდგომარეობითა და ჩემი ფულებით სარგებლობას მოინდომებდა. ვაი რომ ამ ხანგრძლივი ათი წლის შემდეგაც კი კვლავაც ისეთივე ცხოველმყოფელია ის პირველი სიხარულის გრძნობა, რომელიც თქვენს ახალგაზრდა მეუღლეს მიანიჭეთ (სიტყვამ მოიტანა და, ახლა ისეთ მამაკაცსაც ვერ მოძებნი, ცოტა ტანადი იყოს და ცოტა ხეირიანად იყოს გაკრეჭილი).

ერთხელ გაზეთში ერთი ასეთი ამბავი ამოვიკითხე — სირიის უდაბნოში ვიღაც შიშველი ჭაბუკი უნახავთ, იგი თურმე ირმის ჯოგს შერეოდა და ჯოგთან ერთად ცხოვრობდა. გაზეთში იმ ჭაბუკის სურათიც იყო დაბეჭდილი — დავხედე და გარცვებისაგან გაეშეშდი: ხშირი, ჩამოშვებული თმა, ამაყი, გაქვავებული მზერა, ჩამოქანდაკებული პროფილი, მაღალი, ჩამოქნილი კანჭები... ღმერთო, რა ღამაზი, რა საოცარი იყო! იმის გახსენებაზე დღესაც სისხლი საფეთქლებში მირტყამს. მას შემდეგ, რაც ის ფოტოსურათზე გამოსახული ჭაბუკი ვიხილე, ყველა სხვა მამაკაცი არაჩვეულებრივად მოსაწყენი, საოცრად ბანალური მეჩვენება. თუ თქვენს მეუღლეს ოდესმე თქვენი ღალატით ერთი წამითაც კი გულში გაუვლია, მხოლოდ ამ ირემა ჭაბუკის სურათის შემხედვარეს, ეს არის და ეს. მაგრამ

საკმარისია მისი სუფთა, მკვრივი კანი წარმოვიდგინო, წარმოვიდგინო იმ ყვანჯილის უჩვეულო ბედი, გული უმაღლესი ჩიტივით შემოფარტქალდეს.

ერთხელ, ამ ორიოდუ წლის წინათ, მაშინ მე ბატონი მხატვარ-მოდერნისტი ვიყავი გატაცებული (ალბათ იცით, რა ზღაპრებს არ ჰყვებოდნენ ჩვენს ურთიერთობაზე, ის კი აბა წაიდან გეცოდინებათ, ის კაცი ჩემს გულს იოტისოდენადაც რომ არასოდეს გააქარუბია) მახსოვს, როგორიღაც თანაგრძნობითა თუ სიბრალულით შემომხედეთ, თუმცა იმ წუთას შესაძლებელი თითქოს არაფერი მჭირდა. მიუხედავად ამისა, თქვენმა შემოხედვამ გული სინახით ამივსო. მართალია, თქვენი თვალები იმ ჭაბუკის თვალებს ვერ შეედრებოდნენ, მაგრამ, რა შეუდარებელი იყვნენ და რა ამოდ, რა სულითა და გულით მენადა, რაღაც უფრო მეტი, უფრო მნიშვნელოვანი ეთქვათ იმ თვალებს... სხვა რაღაც დამრჩენოდა, იმ საღამოს მხატვრის ცივ სახელოსნოში წავედი და ჩემს დახატვაზე დავეთანხმე. სიმართლე რომ გითხრათ, როგორც მხატვარი, მე იგი დღესაც ნიჭიერ კაცად მიმაჩნია (თავისი სტილითა და მანერით რატომღაც უტრილიოს მაგონებს), როგორც ადამიანი კი, დიდი ვერაფერი შვილი გახლავთ — მეტისმეტად დიდგულაა, სახელით განებივრებული და თვითკმაყოფილი. ერთის შეხედვით, თითქოს სასიამოვნო სახე აქვს, ასე ეთქვათ, ლამაზიც კი, მაგრამ აზრი და მართალი აკლია, ის კი არა, პირში ჩიბუხს რომ გაირჭობს და ბედნიერი, თვითკმაყოფილი სახით გააბოლებს. ცოტა არ იყოს, სასაცილოც კია.

თქვენც კარგად მოგეხსენებათ, ამ ზაფხულს ახლა ფოკეი ციმურათი ვიყავი გატაცებული. და აი, თქვენს გამოხედვაში უკვე ჩემდამი სიბრალული და თანაგრძნობა კი არა, ზიზღი და სიძულვილი გამოსჭვივოდა. ამას წინათ შემთხვევით დერეფანში შეგხვდით. სახეში რომ შემოგხედეთ, ასე მეგონა, თქვენს თვალებში ფოთლების სიმწვანე იყო არეკლილი. მხოლოდ მერეღა მივხვდი — ფოთლების სიმწვანე კი არა, თვლებში თურმე ბრაზისა და შეურიგებლობის ნაპერწკალი გიკრთოდათ. მე რომ ამას თავიდანვე მივმხვდარიყავი, შევეცდებოდი ჩემი გული ყოველგვარი თქვენი შემოხედვისათვის მომემზადებინა. მაგრამ ვაი რომ ასე მოხერხებულად ჰფარავდით თქვენს ჭეშმარიტ გრძნობებს. თქვენი შეუვალე გულჩახვეულობა ჩემთვის სრულიად გაუგებარი და მიუწვდომელი იყო. რომ იცოდეთ, როგორ ვნატრობდი, ერთხელ მაინც შეჩვენებინა ციმურა, თავის ფაშატზე, თავის „ცისფერ დიდებაზე“ ამხედრებული ჩიტივით რომ გაინავარდებდა. თქვენც რომ შეგეხედათ მაგ თქვენი სათვალისა და იმ საყვარელი, მთელი სულითა და გულით ერთი მიზნისაკენ მიმართული არსებისათვის (რა თქმა უნდა, „ცისფერი დიდება“ კი არა, მისი მხედარი — ციმურა მყავს მხედველობაში), დარწმუნებული ვარ, არც თქვენ დარჩებოდით გულგრილი.

და აი, საკმარისი იყო ჩემი ერთი შემოხედვა, წარმატებებით განებივრებულ ამ ჭაბუკს გამარჯვების არაჩვეულებრივ სწრაფვა, არაჩვეულებრივი ნებისყოფა გამოემჟღავნებინა ჩემს ცხოვრებაში პირველად ფხედავდი ასეთ საოცარ ტემპერამენტს. მას სწუროდა ჩემი შექება, მაგრამ საკმარისია ამხედრებულიყო თავის ჩალისფერ ფაშატზე, იმ თავის „ცისფერ დიდებაზე“, რომ აღარაფერი ახსოვდა (თავად მეც კი) — მთელის არსებით დემონურ სწრაფვას მიეცემოდა. ასეთ წუთებში, რომ იცოდეთ, რა საოცარი სისავსით შევიგრძნობდი ცხოვრებას, რა წარმტაცია. რა მომხიბვლელი მეჩვენებოდა. სწორედ ასეთ წუთებში ვაჩუქე ის სამი ძველთაძველი ბრილიანტი, ისე რომ ოდნავი სინანულიც არ მიგრძენია, მაგრამ ჭაბუკი ცხენოსანი მხოლოდ მანამდე იყო მიმზიდველი, ვიდრე იმ თავის „ცისფერ დიდებაზე“ იჯდა და ნიაფივით დააქროლებდა. საკმარისია ფეხი მიწაზე დაეკარებინა, რომ უმაღლესი გაუთლელ ბიჭად ქცეულიყო, რომელმაც ნესიერად ყავის დალევაც არ იცოდა. მიუხედავად ამისა, ჩემთვის ამ გულლია, თავზეხელაღებულ ბიჭთან სეირნობა გაცილებით უფრო სასიამოვნო გახლდათ, ვიდრე ლიტერატორ სენოოსა ან იმ მოდერნისტ მხატვართან.

ლაბარაკში ისე გავერთე, მგონი მთავარი სათქმელი დამაინწყდა... იასში რომ გადავხახლდები, არ მინდა განდეგილივით გულხელდაკრეფილმა ვიცხოვრო, გადავწყვიტე, ყვავილების მოშენებას მივყო ხელი — რამდენადაც ვიცი, ყვავილებს კარგი შემოსავალი აქვს. ვფიქრობ, ამ საქმისათვის ჩვენი ძიძა, ჩვენი ახალგაზრდა მოახლე და ის ორი ქალიშვილი, რომლებიც შესანიშნავად ერკვევიან ყვავილების მოვლა-მოშენებაში, სრულიად საკმარისი უნდა იყოს. არა მგონია, გაუჭირდეთ ან თუნდაც დიდი ჯაფა დაადგეთ ორასიოდე ძირი მიხაკის მოყვანაში. ერთხანს მამაკაცებისათვის ჩემი სახლის კარი ჩაკეტილი იქნება. მართალი გითხრათ, ისე მომბეზრდნენ, მათი დანახვაც აღარ მინდა — მერწმუნეთ, სიმართლეს გეუბნებით. მინდა ახალი ცხოვრება დაეინყო, იმედი მაქვს, სწორედ მასში ვპოვებ ჩემს ჭეშმარიტ ბედნიერებას.

თქვენთვის ალბათ მოულოდნელი იქნება, ალბათ გაგოცებთ ჩემი ეს წინადადება განქორ-
ნინების თაობაზე. მე კი მგონია, უფრო იმას უნდა გაეოცებინეთ, აქამდე რომ გაჩუმებული
ვიყავი. აი, გავქცერი ჩვენს წარსულ ცხოვრებას და მიკვირს, როგორ, როგორ გავატარეთ ერ-
თად ეს ათი წელიწადი! მართალია, თავქარიანობას მისაყვედურებდნენ, მართალია, ყველა-
ნი გაოცებულები იყვნენ, ეს რა უცნაური ცოლ-ქმარიო, მიუხედავად [ბეჭედი] საზოგადოე-
ბაში ჩემი რეპუტაცია ბოლომდე შეუბღალავი დარჩა, ის კი არც [ბეჭედი] პატივსაც კი
დამდებდნენ და მაჭანკლადაც კი მაგზავნიდნენ...

არ ვიცოდი, ასე თუ გამიჭირდებოდა გამოსამშვიდობებელი წერილის დანერა. მართალია,
წუნწუნი და ცრემლის ღვრა გულსამრევია, მაგრამ არც ჩხუბი და თავშეუკავებლობაა რა-
იმის მაქნისი. მინდოდა, ჩემი ეს წერილი დაგვხმარებოდა, რათა კეთილ მეგობრებად დავცი-
ლებულიყავით ერთმანეთს, მაგრამ ვგრძნობ, ამოდ დავშვრები — ამ სტრიქონების წაკითხ-
ვაზე თქვენ ალბათ კიდევ უფრო გაღიზიანდებით. ალბათ საშინლად ქერქეტა და უგუნური
მოგეჩვენებით. რას იზამ, არა მგონია, რომელიმე ქალმა შეძლოს და ქმარს ლამაზად მისწე-
როს — გავიყაროთო. და აი, იძულებული ვარ ოფიციალურად მოგმართოთ, ვფიქრობ, ეს
უფრო შეეფერება ამგვარი წერილის შინაარსს. ნუ შინყენთ. ბარათის ეს ბოლო ნაწილი
თქვენთვის ესოდენ არასასიამოვნო თუ იქნება, მერწმუნეთ. ამით მხოლოდ და მხოლოდ
თქვენი გულგრილობისაგან თავი მინდა დავიცვა.

ეს ამბავი ათას ცხრაას ოცდაათობმეტი წლის თებერვალში დაიწყო... დაახლოებით დილის
ცხრა საათი იქნებოდა, სასტუმრო „ატამის“ მეორე სართულზე, ჩემი ოთახის ფანჯარასთან
მივედი და ზღვისაკენ გავიხედე — ნაცრისფერ კოსტიუმში გამონყობილი ნელა მიაბიჯებ-
დით კლდოვანი სანაპიროს გასწვრივ (ღმერთო, რამდენი დრო გავიდა მას შემდეგ! მთელი
დღე გიჟივით დავდიოდი, თითქოს სიზმარში ვიყავი). დამშვიდდით, ძვირფასო, დამშვიდდით
და განაგრძეთ კითხვა... მალე რუხცისფერზოლიან, ბრტყელეკალას ყვავილებამოქარგულ
ძვირფას ქაორში გამონყობილი ტანშალალი ქალი წამოგენიათ, .. ო, რომ იცოდეთ, რა ელდა-
სავით მეცა გულზე ის ლამაზი ქაორი! არ მეგონა, ჩემი ეჭვი და წინათგრძნობა ასე მალე
ამიხდებოდა. გუშინ საღამოს მეც ხომ ამ ეჭვის შესამონკმებლად ჩამოვედი ამ ქალაქში. მთე-
ლი ის ლამე თეთრად გავათენე, თვალის არ მომიხუჭავს. თან სულ იმას ვფიქრობდი, იქნებ
სიზმარია-მეთქი! აბა რა მომეკითხებოდა, სულ რაღაც ოცი წლის გულუბრ-
ყვილო, გამოუცდელი გოგო ვიყავი (სწორედ იმხელა, რამხელაც ახლა სიოკოა). ხომ
წარმოგიდგენიათ, ახლად გათხოვილი ყმაწვილი ქალისათვის რა მძიძე, რა გულსატკენი
უნდა ყოფილიყო ეს ამბავი! სული მეხუთებოდა, სასტუმროში გაჩერება აღარ შემეძლო,
მაშინვე სართულის მორიგეს დავურეკე, ფული გადავიხადე და გიჟივით გარეთ გამოვეარდი.
ერთხანს გაოგნებული ვიდექი, არ ვიცოდი, პირდაპირ სადგურში წავსულიყავი, თუ ჯერ სა-
ნაპიროზე გამეულო... მკერდში რაღაც საშინლად მტკიოდა და ვცდილობდი როგორმე ჩა-
მეხშო ეს აუტანელი ტკივილი. ბოლოს ისევ სანაპიროსაკენ წასვლა დავაპირე, რამოდენიმე
ნაბიჯი კიდევაც გადავდგი, მაგრამ მაშინვე შევჩერდი. ვიდექი და ისევ ვყოყმანობდი, დიდ-
ხანს, დიდხანს გავფურებდი მზის სხივებში „ბერლინის ლაგვარდისფრად“ მოლივლივე ნა-
ზამთრალ ზღვას, მერე მოვტრიალდი, ზღვას ზურგი ვაბრუნე და პირდაპირ სადგურისაკენ
წამოვედი. და აი, ამ დღიდან მოვდივარ და მოვდივარ ამ გზაზე... მაშინ ალბათ ზღვის სა-
ნაპიროსაკენ რომ წამოვსულიყავი, იქ, სადაც თქვენ იყავით, თქვენ და რუხცისფერზოლიან
ძვირფას ქაორში გამონყობილი ის ქალი, ჩემთვის ახლა ალბათ ყველაფერი სხვაგვარად
იქნებოდა, ალბათ სხვაგვარად ამეწყობოდა ცხოვრება.

რამ, რამ შემიკრა ფეხი? იქნებ იმ რწმენამა და შათგონებამ, მე როგორ შევედრები აიაკ-
ოს, ჩემს მზეთუნახავ დეიდაშვილს, ვერც გამოცდილებით, ვერც ცოდნით, ვერც გონებით.
ვერც ლიტერატურის ღრმა წვდომით, ვერც მუსიკის ასე საოცარი განცდის ნიჭით-მეთქი. მე-
გონა, მასავით მოხდენილად ვერასოდეს დავიჭერდი ყავის ფინჯანს. აიაკოსავით ასე ნატი-
ფად ვერასოდეს მოვიხმარდი კოსმეტიკას... აი, საკუთარი თავის დამცირება, დამცირება ახ-
ლად შერთული ოცი წლის ცოლისა, რომლის პორტრეტის დასახატადაც თეთრ, კრიალა ქა-
ლადზე ერთი ნაზი, ფაქიზი პწკარის გავლებაც კი საკმარისი იყო. არ ვიცი, გამოგიცდიათ
თუ არა, ციე ზღვაში ჩაყვინთვისას უცბად გაირინდები, სუნთქვასაც კი შეიკრავ, ვინაიდან
ყოველი უმნიშვნელო მოძრაობა სიცვიის უსიამო შეგრძნებას გიცხოველებს. მეც სწორედ ასე
მეშინოდა, არ გავტოვებულყავი, ხელი არ გამეხმრია. მერე... მერე კარგა დიდმა ხანმა
განვლო, ვიდრე ამ გადაწყვეტილებას მივიღებდი — რახან ასეა, რახან ასე უღმერთოდ მატ-
ყუებს, მეც სამაგიეროს სიცრუითვე გადავუხედი-მეთქი...

სასტუმრო „ატამის“ ფანჯრიდან რომ დაგინახეთ, ეს ამბავი დაახლოებით ერთი წლის შემდეგ მოხდა: ჩემი სკოლის მეგობრებთან ერთად ექსკურსიაზე მივდიოდი, ის იყო სადგურ „სანომანას“ მოსაცდელ დარბაზში ფეხი შევდგი, რომ ხელნაკრავივით უკანვე გამოვბრუნდი — სადგურში შენა და აიაკოს მოგკარით თვალი.

არასოდეს დამავინწყდება ჭრიჭინობლების სიმღერით გაჯერებული ის სადგურ... დიდხანს, დიდხანს ვიდევნი აიაკოს სახლის მაგრად ჩაგმანული ჭიშკრის წინ, შევეყურებდი მეორე სართულის ფარდებდაშვებული ფანჯრებიდან გამოფონილ მკრთალ სინათლეს და ზარის ლილაკზე თითის დაჭერას ვერ ვბედავდი. არ მახსოვს, წელიწადის რა დრო იყო — გაზაფხული თუ შემოდგომა... რამდენი ასეთი ამბავი მაგონდება, რამდენი რამ შემეძლო მეთქვა, ავჯანყებულ იყავი, მე კი რატომღაც სულ ვდუმდი. და იცით, რა არის ყველაზე უცნაური: როგორც კი ჩემს ცნობიერებაში „ბერლინის ლაჯვარდისფერი“, მზის სხივებში მოზიმზიმე ზღვის ის პატარა ნაგლეჯი ამოტივტივდებოდა, გვერდში გამდგარი ის საშინელი ტკივილი, ლამის ჭკუიდან რომ მშლიდა, თითქოს ყუჩდებოდა, უმალ თითქოს საოცარი სიმშვიდე მეუფლებოდა.

არ დავფარავ, იყო თვეები, გრძელი, შემზარავი თვეები, როცა ასე მეგონა, საცაა გავგიჟდები-მეთქი. საბედნიეროდ, ყოვლის მკურნალმა დრომ შესანიშნავად გადაჭრა ყველა ის პრობლემა, ასეა თუ ისე, ყველა ის ტკივილი ჩააყუჩა.

როგორც გავარვარებული რკინა ცივდება თანდათან, ასე თანდათან ცივდებოდა ჩვენი ურთიერთობაც. დღითი დღე სულ უფრო მშორდებოდი, სულ უფრო გულგრილი ხდებოდი. თქვენს შემხედვარეს მერე და მერე მეც ასე მეუფლებოდა სიცივე. ბოლოს ჩვენი ურთიერთობა ჭირხლით შეთრთვილული ნამწამების შეხებას უფრო ჰგავდა. ოჯახი? ეს მშვენიერი, ადამიანური სითბო-სიყვარულით გაჯერებული სიტყვა ჩვენი სახლისა და ურთიერთობის გამოსახატავად სრულიად უადგილო იყო, ამას ალბათ ციხე უფრო მიესადაგებოდა. და, აი, ამ ციხეში გამოკეტილები ჩვენ უღმერთოდ ვატყუებდით ერთმანეთს (მაგრამ განა თქვენ პირველი არ დაადექით ამ სიცრუის გზას?). საოცარია, რა სამწუხარო გარიგებაზე არ მიდიან ადამიანები! ჩვენი ცხოვრება იმ ორ საიდუმლოზე იყო აგებული, რომელსაც ასე გულდაგულ ვუმაღავდით ერთმანეთს. ჩემს იმ მიუტევებელ საქციელს თქვენ ხან განკითხვის თვალთ შუქურებდით, ხან ზიზღით, ზოგჯერ თქვენს თვალებში მწუხარე სევდაც გამოკრთებოდა, მაგრამ თავი მუდამ ისე გეჭირათ, თითქოს ვერც ვერაფერს გრძნობდით, ვერც ვერაფერს ხედავდით. რამდენჯერ აბაზანიდან ხმამაღლა მიბრძანებია მოახლისათვის, სიგარეტი მომიტანე-მეთქი, პუდრით დაუდევრად მომიბზნია სასტუმრო ოთახი თუ დერეფანი... ველაპარაკებოდი ვინმე მამაკაცს ტელეფონზე და მთელ ოთახს ვალსის ცეკვით ვუვლიდი; მოვიპატარავებდი ტაკარაცუკას მსახიობებს, მაგიდას გავუშლიდი. მათთან ერთად სურათებს ვიღებდი. მოვყრიდი ქვეყნის სტუდენტებს და მათთან ერთად ვღრეობდი... მაგრამ მე ხომ ამას განგებ, სრულის შეგნებით ჩავდიოდი — ვიცოდი, როგორ ვალიზიასებდათ ჩემი ასეთი საქციელი... ეჰ, ერთი საყვედური მაინც გეთქვათ, ერთხელ მაინც გამოგეპირათ თქვენი წყენა... არა, თქვენ ასე არასოდეს მოქცეულხართ — ჩვენს ძველ ციხე-სიმაგრეში სრულ სიმშვიდე და მყუდროება სუფევდა. მხოლოდ ის პაერი, ჩვენ რომ ვსუნთქავდით, უდაბნოს ცივ ქართაგან გატაცებულივით, ველური სისინით მიქროდა და მიქროდა. ღმერთმა უწყის საით, ალბათ სადღაც, იდუმალებითსააქენ... თქვენ ხომ ასე განაფული იყავით ხობბებსა და გვრიტებზე ნადირობაში, რატომ ერთხელ მაინც არ მომიშვირეთ ეგ თქვენი სანადირო თოფი, გულში რატომ არ მესროლეთ! ჩემი მოტყუების გზას რომ დაადექით, რილასთვის დამინდეთ, რატომ არ მოიქცით უფრო მკაცრად, უფრო გულახდილად.

ათ წელზე მეტია ვითმენდი და ვითმენდი ამ სიცრუეს, მეგონა, რალაც მოხდებოდა, რალაც შეიცვლებოდა — გულის სიღრმეში იმედის ნაპერწკალი არ ქრებოდა, როგორი უნდა ყოფილიყო ამ ამბის აღსასრული? პირადად მე იგი ასე მესახებოდა — ან ერთ მშვენიერ დღეს მოგაყრდნობდით მკერდზე თავს და თვალებს სამარადისოდ დავხუჭავდი ან იმ ხანჯალს, გახსოვთ, ეგვიპტიდან რომ ჩამოიტანეთ, გულში ისე ჩაგცხებდით, სისხლს შადრევანივით ამოესხა. როგორ გგონიათ, ამ ორიდან რომელი უფრო მენადა? მართალი გითხრათ, არ ვიცი, ვერაფერს გეტყვით.

ერთი ასეთი შემთხვევაც მახსენდება. ამ ხუთიოდე წლის წინ, თქვენ მაშინ ახალი დაბრუნებული იყავით სამხრეთიდან, ორი დღე შინ არ ვიყავი, მესამე დღეს ოდნავ შემთვრალი დავბრუნდი. ვიცოდი, რამოდენიმე დღით ტოკიოში უნდა წასულიყავით, მაგრამ, ჩემდა ვასაოცრად, თქვენ ისევე სახლში დამხვდით — იჯექით სასადილო ოთახში და თოფს ხელ-

ში დინჯად ატრიალებდით. მე ერთი კი მოგესალმეთ, მაშინვე აივანზე გავედი, დივანზე
თქვენკენ ზურგშექცევით დავჯექი და გახურებული სახე გრილ ნიავს მივუშვირე. ბალში
ჩადგმული მაგიდის თავზე გადაჭიმული ტენტი ევრანივით იყო, ადენის კარის მიწაზე ოთ-
ახის ნაწილი ირეკლებოდა და მეც ასე შემოუბრუნებლად ყველა თქვენს მოქმედებას ვხე-
დავდი. ორი დღის ხმაურიანი დროსტარებით დაღლილ-დაქანცული ვიჯექი ჩემთვის მონ-
ყნილი და „ეკრანზე“ თქვენს გამოსახულებას შევხურებდი. ლტუნს ტანში განმინდეთ, რა-
მოდენიშეჯერ ჩახმახი ფეხზე შეაყენეთ და ისევ დაუშვით, მეტი ტანსაცმელს არ შეიძეთ,
თვალი ოდნავ მოჭუტეთ და დამიმიზნეთ.

ნუთუ ჩემი მოკვლა გქონდათ გადაწყვეტილი? რომ იცოდეთ, როგორ მინდოდა გამე-
გო, მართლა ასე იყო თუ არა? ვითომ არაფერი შემიმჩნევია-მეთქი, თვალეზი დავხუჭე და
გავირინდე... ნეტავი სად მიმზნებდით—მხარსა, კისერსა თუ კეფაში? ვიჯექი და მოუთ-
მენლად ველოდი, ირგვლივ გამეფებულ მდუმარებაში ჩახმახი როდის გაიჩხაკუნებდა —
გადაწყვეტილი მქონდა, ამ ხმაურს გავიგონებდი თუ არა, აქაოდა, ტყვია მომხვდა-მეთქი,
დივნიდან გადმოვფარდნილიყავი. განაბული, ათრთოლებული ველოდი და ველოდი, მინდო-
და რაც შეიძლება კარგად გამეთამაშებინა ჩემს მიერ ჩაფიქრებული ეს სცენა.

კარგა ხანს ვიჯექი ასე თვალეზდახუჭული. თვალი რომ გავახილე, თოფი ისევ ჩემკენ
გქონდათ მომართული. ჯერ გავყურდი, მერე უცებ შემოვბრუნდი და პირდაპირ სახეში შე-
მოგხედეთ. ამის დანახვაზე თოფი ელდანაკრავივით განიეთ, იმ წელიწადს პირველად აყვა-
ვებულ, ამაგიდან ჩემს ჩამოტანილ ყვავილის ბუჩქს დაუმიზნეთ და... ჩახმახმაც ყრუდ
გაიჩხაკუნა... ღმერთო, რატომ, რატომ არ მესროლეთ, რატომ არ ესროლეთ თქვენს მოლა-
ლატე ცოლს? მაშინ ხომ იგი ნამდვილად იმსახურებდა იმ სასჯელს. გამოჰკრავდით ჩახ-
მახს ხელს და ეგ იყო და ეგ... თქვენ რომ მაშინ ის ღალატით არ გეპატიებინათ, ბრაზითა
და შურისძიებით აღსავსეს ტყვია შიგ გულში რომ გეხალვებინათ, იქნებ მონანიე და გუ-
ლათრთოლებული მკერდზედაც დაგკვდომოდით... იქნებ პირიქითაც მოვქცეულიყავი, იქნებ
მეც დამემტკიცებინა, თქვენზე არანაკლებად რომ შემეძლო მიზანში სროლა. მაგრამ ვაი
რომ ასე არ მოიქცეით! მეც სხვა რაღა დამრჩენოდა, დივანიდან წამოვდექი და ჩემი ოთა-
ხისაკენ განგებ ბარბაც-ბარბაცით წავედი. მივდიოდი და თან რომელიღაც მოდურ სიმ-
ღერას — „პარიზის ცის ქვეშ“ თუ რაღაც ამდაგვარს ვმღეროდი.

მას შემდეგ გაიარა რამოდენიმე წელიწადი, მაგრამ არასოდეს მოგვეცა შემთხვევა, ბოლო
მოგველო ჩვენი ამ არანორმალური ურთიერთობისათვის. გასულ წელს ჩვენს ბალში ნი-
თელი შროშანა ისე გადარეული ყვაოდა, ისეთი გესლიანი, ისეთი უცნაური ნითელი ფე-
რი მქონდა, ვუყურებდი და, ახლა კი ალბათ რაღაც შეიცვლება, უსათუოდ რაღაც მოხ-
დება-მეთქი, — ვფიქრობდი...

უკანასკნელად აიაკოსთან მისი სიკვდილის წინა დღეს მივედი. იმ დღეს მთელი ამ ათი
წლის შემდეგ პირველად ვიხილე მის ტანზე ის ძვირფასი მოსასხამი, ატამის ახლად ამო-
სული მზით გაცისკროვნებული იმ საბედისწერო დიდიდან ასე ავი სიზმარივით რომ აჰ-
კვიატებოდა ჩემს სულსა და გონებას. ისევ ისე ხასხასებდნენ ბრტყელეკალას მსხვილი, სო-
სანისფერი ყვავილები და რატომღაც ასე მეჩვენა, ეს ძვირფასი, ნიავევით მსუბუქი მოსა-
სხამი მძიმე ტვირთად დასწოლოდა თქვენთვის ასე სანუკვარ, სუსტსა და ნატიფ მხრებს.
ოთახში რომ შევედი, აიაკოს წინ დივანზე ჩამოვჯექი — ვაიმე, რა ლამაზი, რა მომხიბვ-
ლელი ხარ-მეთქი, — გაოცებულმა ჩემდაუნებურად წამოვიძახე. ერთბაშად სისხლი თავ-
ში მეცა — უტეხობა და უდიერება იმ დედაკაცისა, რომელმაც ოცი წლის ყმანვილ ქალს
ქმარი წაართვა და ხანგრძლივი მოთმინება იმ ოცი წლის ყმანვილი ქალისა ოდესმე ხომ
უნდა აწონილიყო სამართლის სასწორზე? და აი, ჩანს, განკითხვის ამ უცილობელმა ჟამ-
მაც მოანია და მეც უდრტვინველად დავდე ბრტყელეკალას სოსანისფერი ყვავილების წინ
ის საიდუმლო, რომელსაც აგერ უკვე ათ წელზე მეტია სათუთად ვინახავდი ჩემს გულში.

— ოი, როგორ მეცნობა ეს მოსასხამი. — თქვენი უტიფრად.

ამ სიტყვებზე აიაკომ ოდნავ წამოიკვილა და შემომხედა. მე ისევ დაფინებით მივჩერე-
ბოდი თვალეზში.

— განა სწორედ ეს პაორი არ გეცვა, ატამში მისუგის შესახვედრად რომ ჩახვედი.
მაპატიე, ჩემო აიაკო, მაგრამ მეც ვიფასი მაშინ ატამში, ყველაფერი ჩემი საკუთარი თვა-
ლით ვნახე.

აიაკოს მიტკლისფერი დაედო. ტუჩები ისე უცახცახებდა, თითქოს უნდოდა რაღაც

ეთქვა, მაგრამ ხმის ამოღების თავი აღარ ჰქონდა. მერე თვალები დახარა და მუხლებზე დასვენებულ თავის თეთრ, ფერმკრთალ ხელებს დააცქერდა.

ანაზღადა გულში ისეთი შვება ვიგრძენი, ზაფხულის თაკარა სიცხეში შხაპაშხუბა. წამოსული მაღლიანი წვიმა რომ გაამებს და გაგაგრილებს. აი ესეც ის სანუკვარ წყლი, რომელსაც ამ ხანგრძლივი წლების განმავლობაში ველოდი-მეთქი, — გავიფიქრე. თან საშინალო სევდაც შემომანვა — ვნუსდი, იძულებული რომ ვიყავი, ასეთი უფროსეული სასტიკი დაბოლოება ამერჩია. მზად ვიყავი, ქვადა და ლოდად ვქცეულიყავი და მუხლებზე დაუხრულვებლად მეცქირა და მეცქირა აიაკოსათვის. წარმოდგენილი მაქვს, იმ წუთას თვითონაც როგორ ნატრობდა, მინა გამხეთქოდა, თან ჩავეტანე — მერე მიცვალებულივით გაფითრებული სახე ასწია, დამშვიდებით შემომხედა და მაშინვე მივხვდი, საამქვერო პირი აღარ ჰქონდა, უკვე სასიკვდილოდ იყო განწირული. ანაზღადა ღრუბლებიდან მზემ უკანასკნელად გამოანათა... მეზობელი სახლიდან წამოსული როიალის ხმა ერთბაშად მიწყდა.

— ნუ ღელავ, სულაც არა ვბრაზობ, შემიძლია სამუდამოდ გადმოგილოცო მისუგი. — ამ სიტყვებით ვერანდაზე გავედი. მალე აიაკოსათვის მოტანილი თეთრი ვარდების თაიგული, ხელში უკანვე შემოვბრუნდი, თაიგული თაროზე მდგარ ლარნაკში ჩავდე. ყვავილები ოქნავ შევასწორე, მერე თაქნაქინდრულ აიაკოს შევხედე და ალბათ უკანასკნელად ვხედავ-მეთქი. — გავიფიქრე (ღმერთო, რა მძიმე, რა თავზარდამცემი იყო ეს წინათგრძნობა!).

— ყველაფერს ასე გულთან ნუ მიიტან, — ვუთხარი გამომშვიდობებისას, განა მე კი არ გატყუებდი მთელი ეს ათი წელიწადო, ახლა ბარიბარსა ვართ-მეთქი ორივენი, — ვთქვი და როგორღაც დაუფიქრებლად გავიცინე. მას კი მთელი ამ ხნის განმავლობაში ენა არ დაუძრავს, ხმა არ ამოუღია, იჯდა სასონარკვეთილი და მდუმარე — ო, რა საოცარი იყო ეს დუმილი, თითქოს აღარც კი სუნთქავდა.

მიდორი! მომესმა ზურგსუკან, მაგრამ მე უკვე აღარ გავჩერებულვარ.

დერეფანში სიოკოს დავეჯახე — დედამისისათვის სინით ჩაი შემოჰქონდა.

რა იყო, რა დაგემართათ, ასე გაფითრებული რატომა ხართ? — მომადახა შეშინებულმა და მხოლოდ ახლალა მივხვდი, თავადაც როგორი აღელვებულ ვიყავი.

ახლა ალბათ გასაგებია, რატომ არის აუცილებელი ჩვენი დაცილება, უფრო სწორად, თქვენ რატომ ველარ შესძლებთ ჩემ გვერდით ცხოვრებას. გთხოვთ, მომიტევეთ ის კადნიერება, რომლის უფლებაც ჩემს თავს ამ გრძელი წერილის წერასაც მივეცი. თქვენთვისაც ალბათ ამკარაა, აი უკვე დადგა ფაში ჩვენი უსიხარულო ცოლ-ქმრობის აღსასრულისა. გთხოვთ, თუ ეს შესაძლებელია, პირდაპირ იძულებულად გამოგზავნოთ განქორწინების თანხმობა.

ნება მომეცით, ესეც მოგახსენოთ — გუშინ მოსამსახურის მაგიერად მე დავალაგე თქვენი კაბინეტი (მართალი გითხრათ, აღარც კი მახსოვს, როდის ვიყავი ამ მიზნით უკანასკნელად თქვენს ოთახში). იქ გამეფებულმა მყუდროებამ გამოაცა — რა მშვიდი, რა სასიამოვნო ადგილი იყო ფიქრისა და ოცნებისათვის. მოხერხებული სავარძელი ჩასაჯდომად და განსაცხრომად მიხმობდა, ნინსეის ნახელავ ლარნაკში ყვავილები სანთლებივით ენთო. ეს წერილიც იქვე, თქვენს კაბინეტში დავწერე. გოგენის ნახატი, ვფიქრობ, სულაც არ შეეფერება იმ გარემოს, ამიტომაც ავდექი და კედლიდან თქვენ დაუკითხავად ჩამოვხსენი (თუ უფლებას მომცემთ, მე მას ჩემს სახლში იასში წავიღებ). მის ადგილას ვლამინკას ზამთრის პეიზაჟი ჩამოვკიდე. განვაახლე თქვენი გარდერობიც — თქვენ იქ სამასალ ზამთრის კოსტიუმსა და ჩემი გემოვნებით შერჩეულ სამ ჰალსტუხს ნახავთ, არ ვიცო მთავრობებათ თუ არა

აიაკოს წერილი

ამ წერილს რომ მიიღებთ, ალბათ უკვე ცოცხალი აღარ ვიქნები მე არ ვიცი, რა არის სიკვდილი, ერთში კი დარწმუნებული ვარ — იგი ამ ქვეყნიდან თან წაიღებს ჩემს სიხარულსაც და მწუხარებასაც, ჩემთან ერთად გაქრება ჩემი სევდიანი ფიქრები, არარაობად იქცევა ჩემი სულიცა და ჩემი სხეულიც...

იქნებ ეს წერილი ჩემი სიკვდილიდან რამოდენიმე საათის ან იქნებ რამოდენიმე დღის შემდეგაც მიიღოთ. ალბათ მაშინ მაინც ჩასწვდებით იმ მწუხარე ფიქრებს, რომლითაც ჯერაც ისევ სავსეა ჩემი გული. ამ წერილით კიდევ ერთ ისეთ ამბავსაც შეიტყობთ, რასაც ალბათ ვერასოდეს წარმოიდგენდით... მოისმენთ ჩემს ხმას, ჩემს წუხილს, თქვენც ისევე

დამინყებთ საუბარს, ისე გაოცდებით, ისე განმაცდით... ისევე გამოჯანჯრდებით, როგორც ცოცხალს... არა მგონია, თვალზე ცრემლი მოგერიოთ, მაგრამ ისე დამწუხრდებით, თვალში ისეთი სევდა ჩაგოდგებათ, როგორიც არავის უნახავს ჩემს გარდა (თავად მიდგორი-საც კი). ო, რა სულელი ხარო! — ვიცი მეტყვეით და ისე ცხოვლად ჩამესმის ახლა ეს სიტყვები, თვალწინ ისე მიდგახართ, ასე მგონია, თქვენს გვერდით ვხივარ, პერისპირ გესაუბრებით.

როგორც კი კონვერტს გახსნით, წერილის უკანასკნელ სტრიქონამდე, უკანასკნელ იეროგლიფამდე, თქვენს გვერდით ვიქნები, თქვენი სულის ყოველ კუთხე-კუნჭულში შევალნევი, მოგონებებით ავავსებ თქვენს გულს. ვიდრე ამ სიტყვების, ვიდრე ჩემი მწუხარე სულის კითხვაში იქნებით გართული, ისევე აღორძინდება ჩემი სიცოცხლე ამ ნალვლიან სტრიქონებში, მაგრამ სულ რაღაც თხუთმეტსა და ოც წუთს, მხოლოდ თხუთმეტსა ან ოც წუთს! სიკვდილის წინ დანერვილი წერილი... რა უცნაური სიტყვებია! ალბათ ასევე უცნაურად მოგეჩვენებათ ამ სტრიქონებში ჩამწვედული ჩემი ხანმოკლე სიცოცხლეც და აი, თუნდაც ამ ერთი, ერთადერთი ხანმოკლე წუთისათვის მინდა გულწრფელად გითხრათ ყველაფერი, აღსარებასავით გადმოგიშალოთ ჩემი სული. რომ იცოდეთ, რა ძნელია ახლა, ასეთ წუთებში ამაზე საუბარი, მაგრამ ცოცხალი ალბათ ვერასოდეს გაგენდობოდით, არასოდეს გეცოდინებოდით ისეთი, როგორიც სინამდვილეში ვარ ანუ ვინ ან როგორი ვიყავი...

ამ წუთშიაც თვალწინ მიდგას სველი, ნანვიძარი ხეები და სადგურის უკან აღმართული შემოდგომის ფოთლებით გადაწითლებული ტენოს მთა. ო, რა სილამაზე იყო! ვიდექით მეიკანის ჩაის სახლის ძველი ჭიშკრის თაღქვეშ, წვიმის გადაღებას ვუცდიდით და მთას აღტაცებული შევყურებდით. და აი, რა ოინი გვიყო, სადამდე გვიწია მწუხრს მიტანებული შემოდგომის იმ წვიმიანი დღის ჯადომა თუ ცდუნებაში სცრიდა და სცრიდა წერილი წვიმა. წუთით გადაიკარებდა და ისევ მოუშვებდა ცა პირს. ისევ წვიმის თხელ, ჰაეროვან მარმაში გაეხვეოდა ტენოს მთა... ცამეტმა წელიწადმა გაიარა იმ დღიდან, ცამეტმა გრძელმა წელიწადმა, ჩემს გულში კი ისევ სანთელივით ანთია შემოდგომის ის ყვითელი, ნანვიძარი ხეები და წვიმის იმ კრიალა წვეთებით მოცრემლილი წითელი, წითელი ფოთლები...

იმ დღეს ჩვენ პირველად დავრჩით მარტონი. იმდენი, იმდენი მატარეთ კოტოს გარეუბნებში, დაღლილობისაგან ფეხზე ძლივს ვიდექი. თქვენ კი სულ ლაპარაკობდით და ლაპარაკობდით, რაღას არ მიყუებოდით, რა მიმზიდველსა და სასიამოვნო სისულელეს არ ამბობდით — რომ სიყვარული მხოლოდ და მხოლოდ გატაცება იყო, რომ თქვენ გატაცებული იყავით იშვიათი ლარნაკებით და ამაში ცუდს არაფერს ხედავდით, რომ მოხიბლული და გატაცებული იყავით ჩემით და არც ამაში ხედავდით რაიმე ცუდსა და სააუგოს. ბორაულმა ტენოს მთან თავისი ჭეშმარიტი სილამაზე, მხოლოდ ჩვენ ორი გვაზიარა თავის იდუმალ ხიბლსა და მშვენიერებას, რომ ჩვენ ორივემ ერთდროულად, ერთის ძალით შევიგრძენით მისი ეს ჯადო და ხიბლი და რომ ეს ყოველივე უკვე წინასწარვე იყო განსაზღვრული, რომ ახლა ჩვენთვის უკან დასახვევი გზა აღარ არსებობდა, რომ ამას უკვე აღარაფერი ეშველებოდა. ჭირვეული ბავშვივით მარწმუნებდით, ის კი არა, ლამის მემუქრებოდით კიდეც. რაც შემეძლო, ვცდილობდი, გაგრიდებოდით, თავი შორს დამეჭირა, მაგრამ თქვენმა ახირებულმა, უცნაურმა შედარებებმა, თქვენმა გადაკრულმა, მოიარებით ნათქვამმა, ჩანს, თავისით გაიკვალა გზა ჩემი გულისაკენ. თქვენი დაუსაბამო სევდა, რომლის დაფარვასაც ამაოდ ცდილობდით უკმეხი სიტყვებითა თუ მუქარით, ბედნიერების უმშვენიერეს ყვავილებად გაიფურჩქნა ჩემს სულში, ვინაიდან მივხვდი, რომ... გუყვარდით.

საოცარია, მე, რომელმაც ერთადერთი, უნებლიე შეცდომაც კი არ ვაპატიე საკუთარ ქმარს, რა იოლად, რა დაუფიქრებლად დავადექი ლალატის ამ დიდსა და გრძელ გზას!

როცა მარტოდმარტონი დავრჩით ქალაქ ატამის სასტუმროში, თქვენ პირველმა მითხარით — ამიერიდან მე და შენ ბოროტმოქმედები უნდა გავხდეთო. გახსოვთ, რა ქარიანი ღამე იყო? ზღვიდან წამოსული ქარი ფანჯრის დარაბებს აწყდებოდა, გულისწამლებად ღრჭიალებდნენ და ღრჭიალებდნენ ანჯამები. შუალამისას გულმა აღარ მოგიტმინათ, წამოდექით, დარაბები მაგრად ჩაკეტეთ და ჰაერისათვის კარი რომ გამოაღეთ, შორს, შუაგულ ზღვაში ცეცხლმოდებული სათევზაო ნავი დავინახე — ალი კოცონივით ბრიალებდა. წარმოდგენილი მაქვს, იმ წუთას რა უბედურ დღეში იქნებოდა ის ხალხი, ალბათ ისხდნენ ასე ბედისაგან განწირულები და სიკვდილს თვალეში შესცივინებდნენ. მაგრამ ჩვენ მაშინ იმათ უბედურებაზე არ ვფიქრობდით, იმ ზღაპრული სანახაობით, იმ საოცარი სილა-

მაზით ვიყავით გულშეძრულნი. კარი რომ მიაჯახუნეთ, ერთბაშად საოცარმა შესწოთებამ შემოაბყრო. კარს გიჟივით ვეცი და გამოვალე. მაგრამ იმ ნავის ხსენებაც აღარსად იყო — ნელა ირწეოდა, ვერცხლისფერად ლივლივებდა ზღვის შავად ჩაბნელებული ზედაპირი. იმ ღამემდე, იმ საბედისწერო ღამემდე, სადღაც, სულის სიღრმეში ჯერ კიდევ ღვიოდა იმედის პატარა ნაპერწკალი — მეგონა, შევძლებდი და ჩემს გულში აღმოვაჩენდი რაღაც მალას, რომელიც თქვენთან განშორებაში დამეხმარებოდა. მაგრამ იმ ღამესაც და მის შემდეგ დამცემი ხანძრის შემდეგ, საოცარი გრძნობა დამეუფლა — ახლა უკვე ასე მეგონა, ის რაც ჩვენს შორის ხდებოდა, გარდაუვალი და უცილობელი იყო. გახსოვთ, ასე რომ მითხარით, ამიერიდან ბოროტმოქმედები უნდა გავხდეთ, მთელი ჩვენი ცხოვრება უნდა ვიცრუოთო. მე კი უწყობანოდ გიპასუხეთ — მაშინ ჩვენ უდიდეს ბოროტმოქმედებად უნდა ვიქცეთ, არა მარტო მიდორის, მთელი ამ ხალხის, მთელი ქვეყნიერების წინაშე უნდა ვიცრუოთ და ვიცრუოთ-მეთქი. და აი, იმ დღის შემდეგ, რაც ჩვენი ის საიდუმლო შეხვედრები დაიწყო, იმ ღამეს პირველად დავიძინე დამშვიდებით.

ისეთი გრძნობა მქონდა, ზღვაში ჩაძნეარი იმ პატარა ნავის ბედისწერა, ჩვენი სიყვარულის ბედისწერა და იგი სიკვდილამდე თან გააყვება ჩვენი ცხოვრების სევდიან დღეებს-მეთქი. ამ წუთშიაც თვალწინ ის პატარა, ცეცხლის ალში გახვეული ნავი, ზღვაზე გაჩაღებული ხანძრის ის კაშკაშა, მენამული ალი მითამაშებს. ასე მეგონა, ის საბედისწერო ხანძარი ამ წარმავალ, ცოდვილ დედამიწაზე ჩემს მიერ განცდილი საშინელი ტანჯვის, ამ საშინელი წამების სიმბოლური განთქმა, წუთიერი განსახება იყო.

ვინ, ვინ მოთვლის რაოდენი ტანჯვა, რამდენი მწუხარება გამოვიარე ამ ცამეტ წელიწადში! და მაინც ყველაზე ბედნიერი, ყველაზე ილბლიანი ქალი ვიყავი ყველაზე უფრო ბედნიერ ქალთა შორის.

დღეს ჩემი დღიური გადავათვალიერე. „ბოროტმოქმედება“, „სიკვდილი“, „სიყვარული“ — ყოველ მის გვერდზე, ყოველ მის ფურცელზე მეორდება ეს სიტყვები. ამ სიტყვებმა ერთხელ კიდევ გამახსენა ის ცრემლით, ეჭვითა და ტანჯვით აღსავსე მძიმე წლები, მიუხედავად ამისა, დღიური ხელისგულზე რომ დავიდე, მე მხოლოდ სიყვარულისა და ბედნიერების სიმძიმე შევიგრძენი — მხოლოდ სიყვარულისა და ბედნიერების! და მაინც თან მუდამ დანაშაულთან თანაღმობის, შეცოდების გრძნობა მდევდა, თავს მუდამ სიკვდილის აჩრდილი დამტრიალებდა — როგორც კი მიდორი ამ ამბავს შეიტყობს, იმავე დღეს თავს მოვიკლავ, ჩემს ამ დანაშაულს სიკვდილით გამოვისყიდო-მეთქი, — ეს აზრი გონებიდან არა მშორდებოდა. აი, რა დიდი, რა განუზომელი იყო ჩემი ბედნიერება!

განა ოდესმე შეგეძლოთ წარმოგიდგინათ, გარდა იმ აიაკოსი, რომელსაც თქვენ იცნობდით და რომელიც გიყვარდათ, იყო კიდევ სხვა, მეორე აიაკო (ალბათ ძალიან გაოცდებით, ალბათ უცნაურად და არაბუნებრივად მოგერწმუნებთ ეს სიტყვები, მაგრამ არ ვიცი სხვაგვარად როგორ გამოვთქვა ჩემი აზრი). ჩანს, ჩემს არსებაში ცხოვრობდა კიდევ ერთი — სხვა პიროვნება, სხვა ქალი, მე კი სრულიად არაფერი ვიცოდი, თქვენ ხომ ეს ალბათ სიზმრადაც არასოდეს დაგვისიზმრებოდათ.

გახსოვთ, ერთხელ ასეთი რაღაც მითხარით, ყოველ ადამიანს თავისი უხსენებელი ჰყავსო, ხომ გახსოვთ?... იმ დღეს კიოტოს უნივერსიტეტის პროფესორს — ტაკადას უნდა შეხვედროდით. ვიდრე თქვენ საუბარში იყავით გართული, დრო რომ გამეყვანა, დერეფნის ბოლოს, მინის ქილებში დასაპირტულ უხსენებლებს დავუჩუქე ოვალიერება. აბა რა სასიამოვნო საყურებელიც ის იყო! უცბად საშინელ გუნებაზე დავდექი, თითქმის მთელი ნახევარი საათი დაჰყავით პროფესორის კაბინეტში, იქიდან რომ გამოხვედით, უხსენებლებზე მიმითითეთ და ხუმრობით მითხარით — ეს აიაკოს უხსენებელია, ეს მიდორისა, აი, ეს კი ჩემო, მიდორის უხსენებელი სამხრეთული ჯიშის, პატარა, ღია ყავისფერი, ჩემი კი ავსტრალიიდან ჩამოყვანილი, თეთრად მოწინწკლული, შახათივით თავწამახული მცურავი იყო. აჰ, რატომ, რატომ მითხარით ეს საშინელი სიტყვები, თქვით და დაივიწყეთ, მე კი იგი საშუალოდ ჩამრჩა სულსა და მეხსიერებაში. მას შემდეგ რამდენჯერ დავფიქრებულვარ — კაცმა რომ თქვას, მაინც რას წარმოადგენს ის უხსენებელი, რომელიც თურმე ადამიანის სულშია დაბუდებული-მეთქი?

მიდორი რომ მოვიდა, შუადღე უკვე კარგა ხნის გადასული იყო, მე ჩემთვის დაფიქრებული ვიჯექი სავარძელში, ტანთ ის რუხცისფერზოლიანი შაორი შემოსა, რომელიც თქვენ მიტორიდან ჩამომიტანეთ და რომელიც ასე ძალიან მიყვარდა. როგორც კი ოთახში წვიხი შემოადგა, როგორც კი იმ შაორს თვალი მოჰკრა, შეცბუნებული ერთ ადგილას გა-

შეშდა. ერთხანს ორივენი ასე გაჩუმებულენი შევეყურებდით ერთმანეთს, ბოლოს მიდორინ წყნარად წარმოთქვა:

— განა ეს ჰაორი არ გეცვა მაშინაც... მეც იქ ვიყავი, ყველაფერი საკუთარი თვალთ ვნახეო.

თქვა და ისე გაფითრდა, ისე წარმოთქვა ეს სიტყვები, თითქოს ხანგრძლივად დამიტრიალა გულ-მუცელში.

პირველად ჯერ ვერაფერს მივხვდი, მაგრამ, მერე და მერე ნათქვამის აზრს ჩავწვდი, ჩემდა უნებურად ჰაორის კალთები მჭიდროდ შემოვიხვიე და ელდანაკრავივით გავირონდე.

მაშ. გამოდის რომ, ყველაფერი სცოდნია, ყველაფერი, ყველაფერი სცოდნია იმთავითვე! ერთბაშად საოცარი სიმშვიდე დამეუფლა. ისეთი გრძნობა მქონდა, თითქოს სადღაც აბობოქრებულ ზღვაში ვიყავი, უშველებელი, მთასავით აგორებული ტალღები ზარითა და ზათქით აწყდებოდნენ ზღვის ნაპირს, მე კი ვიჯექი ჩემთვის არხეირად და აინუნ-შიაც არაფერს ვაგდედდი. ო, როგორ მენადა, ხელში ხელი ჩამეველო მიდორისათვის, დამე-მშვიდებინა, რაიმე თბილი და საალერსო მეთქვა.

საოცარია, აი ის დღეც, რომელსაც ასე შიშითა და გულისფანცქალით ველოდი, ახლა კი გულში შიშის ნატამალიც აღარ მქონდა — საიდუმლოს, მთელი ცამეტი წელიწადია ჩვენ ასე გულდაგულ რომ ვფარავდით, ფარდა სულ რაღაც ერთ წუთში აეხადა, მაგრამ ფარდის იქით სიკვდილი კი არა, რაზედაც ამდენსა და ასე ძრწოლათ ვფიქრობდი, საოცარი სიმშვიდე (არ ვიცი, როგორ აგისხნათ უფრო ზუსტად), საოცარი მყუდროება სუფევდა. მხრებიდან თითქოს მძიმე ტვირთი ჩამომეხსნა, სამაგეროდ ისეთი სიცარიელე ჩამო-დგა ჩემს გულში. ისეთი საშინელი მონყენილობა ვიგრძენი, ცრემლი ყელში მომებჯინა. თან რაღაც საოცარი გააზატებისა თუ განრიდების გრძნობა დამეუფლა, შეცბუნებული, გაოგნებული მივჩერებოდი მიდორის, მაგრამ ვერც ვერაფერს ვხედავდი, არც არაფერი მესმოდა.

გონს რომ მოვედი, მიდორი უკვე ოთახიდან გადიოდა. არ ვიცი, რატომ დაფუძახე, იქნებ მინდოდა, დიდხანს, დაუსრულებლად მჯდარიყო ჩემს გვერდით? არა, ალბათ მოუ-რიდებლად ვეტყოდი — დამანებე მისუგო, დროა ჩემი კანონიერი მეუღლე გახდეს-მეთქი, იქნებ პირიქითაც მეთქვა.

მაგრამ ჩემი ის ძახილი ყურადაც არ უღია მიდორის.

აი, მან უკვე ყველაფერი იცის, ესე იგი, ჩემი აღსასრულის დღემაც მოაწია, დამნაშავე ვარ, დიახ, დამნაშავე ვარ-მეთქი, — გავიფიქრე გუნებაში, მაგრამ რა მნიშვნელობა აქვს საკუთარი დანაშაულის მხოლოდ სიტყვიერ აღიარებას? ნუთუ ადამიანი, რომელიც ერთ-ხელ გაბრიყვდა და ეშმაკს მიჰყიდა სული, იმ ეშმაკისაგან თავს ვეღარასოდეს იხსნის? ნუთუ მთელი ამ ცამეტი წლის განმავლობაში ღმერთსაც ვატყუებდი და საკუთარ თავსაც? დიდხანს, დიდხანს ვიჯექი ასე ფიქრებში ჩაძირული, მერე თვალზე რული მომეკიდა და მალე ღრმა ძილმა წამიღო. სიოკომ რომ გამაღვიძა, მთელ სხეულში ისეთ საშინელ ტკივილს ვგრძნობდი, განძრევის მეშინოდა. თითქოს ცამეტ წელს ჩემს სულსა და სხეულში დაგროვილმა დაღლილობამ ერთბაშად დამრია ხელი. თვალი რომ გავახილე, სასთუმალ-თან ჩემი აკახელი ბიძა მეჯდა (გახსოვთ, ერთხელ გაგაცანით). ოსაკაში საქმეზე მიმავალს გზად ჩემთან შემოველო, მთელი ნახევარი საათი სულ ლაპარაკობდა და ლაპარაკობდა, რა აღარ თქვა, რა აღარ გაიხსენა. მერე უცბად აფაციფუცდა, მატარებელზე მაგვიანდუ-ბაო და სასწრაფოდ წამოდგა. ის იყო, კარებში გადიოდა, რომ როგორღაც სხვათა შორის მიიხრა:

— შენ თუ იცი, კადოტამ ცოლი რომ ითხოვა.

მთელი ამ ხანგრძლივი წლების შემდეგ ეს პირველი შემთხვევა იყო, ჩემი ყოფილი ქმრის სახელს ჩემი თანდასწრებით რომ ამბობდნენ. აკი გითხარით, ბიძაჩემმა ეს ისე, სხვათა შორის ახსენა, მე კი ამ ამბავმა საოცრად ამალეღვა.

— ცოლი? როდის? — ვიკითხე და ვიგრძენი, ხმა როგორ ამითრთოლდა.

— ასე, ალბათ, ორი სამი თვე იქნება... ამბობენ, პიოგოში, იქვე, საავადმყოფოს გვე-რდით სახლს იშენებსო.

— მართლა? — კი ვთქვი, მაგრამ სიტყვა შუაზე გამიწყდა.

ბიძაჩემი რომ გავაცილე, სასტუმრო ოთახამდე ძლივს მივლასლასდი, თვალთ დამიბნე-ლდა. გონება ამერია, რომ არ ნავეცუულიყავი, სკამის ზურგს ჩავეჭიდე. მერე ძალ-ღონე მოვიკრიბე და მიხის კარიდან ეზოში გავიხედე — საშინელი ქარი ქროდა. ხის ტოტებს

ერთმანეთზე ახლიდა, მაგრამ ჩემს ყურთასმენამდე ჩქამიც არ აღწევდა, თითქოს აქვარი-
უმში ვიჯექი, მინის კედლებიდან წყალქვეშა სამყაროს გავყურებდი.

— მორჩა, — წაგილულულულე უაზროდ.

— რა, დედა, რა მორჩა? — მომესმა სიოკოს ხმა, თუმცა ისიც კი ვერ გავიგე, ოთახში
როდის შემოვიდა.

— რა ვიცი... — ვთქვი და რატომღაც გავიცინე.

— დედა, რა არი, რა სისულელეებს ლაპარაკობთ, დედიკო!.. ლოგინში მაინც ჩაწე-
ქით, — სიოკო მხარში შემომიდგა და დიდის გაჭირვებით სანოლამდე მიმიყვანა. ისეთი
გრძნობა მქონდა, თითქოს წყალმა ჯებირი გადმოხეთქა, ნიაღვარივით წამოსულ ღვარ-
ცოფს ყველაფერი თან მიჰქონდა. ნიდაყვით ბალიშს დავეყრდენი და ვიდრე სიოკო ოთახ-
ში იყო, შევეცადე თავი შემეკავებინა, მაგრამ სამზარეულოში გავიდა თუ არა, თვალებიდან
ცრემლებმა იწვიმა.

ვერასოდეს წარმოვიდგენდი, კადოტას ცოლის შერთვა გულზე ასე მომხდებოდა. არ
მახსოვს, რამდენი დრო გავიდა, ვიდრე მინის კარიდან სიოკოს დავინახავდი — იგი მო-
სამსახურესთან ერთად ბაღში ჩასულიყო და ჩამოცვენილ ფოთლებს წვადა. მზე უკვე
პორიზონტს მიჰფარებოდა, საოცრად მშვიდი, მყუდრო საღამო იდგა.

— აბა, უკვე წვავენ... — ისე ჩავიბუტბუტე, თითქოს მათ ამ მოქმედებაში რაიმე
აზრსა და მნიშვნელობას ვხედავდი.

მერე ლოგინიდან წამოვდექი და სანერი მაგიდის უჯრიდან დღიური ამოვიღე. აღ-
ბათ ესეც ბეღია, აღბათ იმიტომ აანთო სიოკომ ეს კოცონი, დროა, ჩემი ეს დღიური დაი-
წეას-მეთქი, — ვბუტბუტებდი. მერე ვერანდაზე სავარძელში ჩავჯექი, დღიური გადავშა-
ლე — „დანაშაული“... „სიკვდილი“... „სიყვარული“... ცამეტი წლის განმავლობაში, ვინ
იცის, რამდენჯერ ჩაგწერე ეს სიტყვები. დღიურს ვფურცლავდი და გუნებაში ვფიქრობდი,
ერთი წუთიც და ნაცრად ჩაინავლება ჩემი ეს მწუხარებაც და სიხარულიც, ზეცას ლურჯ
კვამლად შეეფინება-მეთქი.

სიოკოს დღიურს რომ ვაძლევდი, ჩემი სიკვდილი უკვე გადაწყვეტილი იყო — მეტი
აღარ შემეძლო, ვგრძნობდი, სიცოცხლის თავი და ძალა აღარ მქონდა.

რაც ერთმანეთს დავეცილდით, ჯერ საზღვარგარეთ იყო კადოტა სასწავლებლად, მერე
ომში წავიდა, ჩანს, დღემდე ცოლის შერთვის ხელსაყრელი შემთხვევა არ მიეცა. ვიცოდი,
ჩვენი დაცილების შემდეგ იგი სულ მარტო ცხოვრობდა, ეტყობა, სწორედ ეს იყო ჩემი
ცხოვრების დასაყრდენი, ისე რომ, თავადაც არაფერი ეიცოდი ამის შესახებ. მერწმუნეთ,
მას შემდეგ, რაც ერთმანეთს დავეცილდით, კადოტა თვალითაც არ მინახავს, მართალი გით-
ხრათ, მისი ნახვის ოდნავი სურვილიც არასოდეს მქონია. ლამის მისი სახელიც კი ამოვ-
შალე ჩემი მეხსიერებიდან...

ერთხელ, ამ რამოდენიმე წლის წინათ, სიოკო სურათების ალბომს ათვალეირებდა. —
დედიკო, ეს რა უცნაურად არის ჩაკრული თქვენი და ძამას სურათები, სახეები ერთმანეთს
ისე ესებებიან, თითქოს კოცნიანო.

— აბა, რა სისულელეებს მიედ-მოედებო-მეთქი, — ერთი კი ვუთხარი, მაგრამ სიოკოს
მიერ დაუფიქრებლად ნათქვამი სიტყვები როგორღაც გულზე მომხვდა. მიუხედავად ამი-
სა, აზრადაც არასოდეს მომსვლია, ჩვენი ის ჯერ კიდევ თაფლობის თვეში გადაღებული
ფოტოები ალბომიდან ამომვლო ან, უბრალოდ, გადაშეადგოლებინა მაინც.


აი, ახლა ხომ გასაგებია, როგორი ვიყავი, როგორი იყო ის მეორე „მე“ ანუ ჩემი მეო-
რე ნახევარი, როგორი ყოფილა ის პატარა, თეთრწინა კლუბიანი გველის წინილი, რომე-
ლიც, თქვენი სიტყვით რომ ვთქვათ, ჩემს სულში ცხოვრობდა.

მაინც რას, რას წარმოადგენს ის ქვეწარმავალი, რომელიც თურმე ყოველი ადამიანის
სულსა და ბუნებაში სახლობს? იქნებ ეჭვის, ჭირვეულობის, ბედისწერის ბატია? რატომ,
რატომ უნდა ვატარებდეთ საკუთარ არსში ეშმაკეულს? რატომ, მაინც რატომ? მახსოვს,
რომელიღაც წიგნში ამოვიკითხე, ეს წუთისოფელი მხოლოდ ტანჯვა-წამებისააო. ახლა,
როცა ამ წერილს ვწერ, ასე მგონია, ჩემს გულს რაღაც უამურად ცივი, რაღაც საოცრად
სევდიანი ეხება, საშინლად ვიტანჯები, მაგრამ ამ ტანჯვისაგან ხსნა და გამოსავალი არ-
საიდან არის.

აი, უკვე რამდენი დაწერე, რამდენი რამ გითხარით და მხოლოდ ახლალა შეენიშნე —
ჩემს თავზე, ჩემს რაობაზე თითქმის არაფერი მითქვამს. სიტყვაც არ დამიძრავს, რას
წარმოვადგენ ანუ როგორი ვარ სინამდვილეში რაც უფრო მეტს ვწერ, ვგრძნობ, სულ უფ-

რო მეტად მღალატობს გამბედაობა, სულ უფრო მეტად და მეტად გავურბივარ იმ სათქმელს, რაც ყველაზე დიდ საშინელებად მიმაჩნია.

„... მეორე „მე“, რომლის შესახებაც აქამდე არაფერი ვიცოდი... — რა იული სათქმელია, რა კარგი გამოსავალია, რა მშვენიერი თავდასაძვრენია!!! ცოტა ხანით გწერდით, დღეს პირველად აღმოვაჩინე ჩემს არსებაში თეთრწინკლებიანი პატარა უხსენებელი-მეტეი.



ბიზლიჩიშვილი

ტყუილია!..

ერთი ასეთი საშინელი ამბავი მახსენდება — ექვს აგვისტოს, ღამით, ოსაკასა და კობეს შუა მთელი რაიონი ცეცხლის ზღვად იყო ქცეული. მე და იოკომ ის ღამე თქვენს მიერ გათხრილ თავშესაფარში გავატარეთ. აი უკვე ვინ იცის, მერამდენედ გადაიზუზუნა ბომბდამშენმა, მერამდენედ იფეთქა ხანძარი. ერთბაშად საოცარი სევდა, საოცარი სასონარკვეთა დამეუფლა. თავს ვეღარ ვერეოდი, უნით უთქმელი კაეშანი გულს მიღრღნიდა. ბოლოს გარეთ გამოვედი, დამძიმებულ ფეხებს ძლივს ვადგამდი, მუხლები შეკეცებოდა... გამოვედი თუ არა, თქვენ დაგინახეთ.

ცას წითელი არილი მოსდებოდა, იქვე, თქვენს სახლთან ხანძარი ბრიალებდა, თქვენ კი ყველა და ყველაფერი მიგეტოვებინათ, სასწრაფოდ ჩვენკენ გამოქცეულიყავით და ახლა თავშესაფრის შესასვლელთან იდევით. ის იყო, ისევ თავშესაფარში შევბრუნდით, რომ ერთბაშად გულამოსკვნილი ავტირდი. ორივეს, თქვენცა და სიოკოსაც ასე გეგონათ, ჩემი ეს ისტერიკა შიშით იყო გამოწვეული... თქვენ კი არა, ვერც მაშინა და ვერც შემდეგ ჩემს ამ საცქიერს ვერავითარი ახსნა და გამართლება ვერ ვუპოვე. მაპატიეთ, მაგრამ, როგორც თქვენ არ გაგაჩერათ ჩემზე ზრუნვაში და სიყვარულში (რომელსაც სულაც არ ვიმსახურებდი), იმ წუთას მეც ასე შენადა, პიოგოში კადიტას თეთრად გამრიალებულ თავშესაფრის წინ აღმოვჩენილიყავი (ეს თავშესაფარი ერთხელ მატარებლის ფანჯრიდან დავინახე). ამ სურვილით ისე ვიყავი შეპყრობილი, მთელი სხეული მითრთოდა. თავს რომ ვეღარ მოვერიე, უილაჯობისაგან მწარედ ავტირდი.

უნდა გამოგიტყდეთ, რაღაც ამდაგვარი ადრეც არაერთხელ მომსვლია. გახსოვთ, ის თეთრწინკლებიანი პატარა უხსენებელი? მაშინ მიშისაგან მთელი სხეული გამიცვივდა — ასეთი საშინელება მე ჯერ არასოდეს განმეცადა. არა მგონია, იმ სიტყვებისათვის რაიმე განსაკუთრებული მნიშვნელობა მიგეცათ, მე კი ასე მეგონა. შიგ გულის სიღრმეში ჩამხედეთ, მის ყოველ კუთხე-კუნჭულში ჩააღნიეთ. მე დამფრთხალმა შემოგაფეთეთ თვალები, თქვენ კი პირში ჩამქრალი პაპიროსი ჩაგედოთ და სადღაც სიფრცეში იმზირებოდით. არ ვიცი, იქნებ მომეჩვენა კიდევაც. მაგრამ ასეთი სევდიანი არასოდეს მენახეთ. ეს იყო მხოლოდ წამით, მერე ჩემკენ შემობრუნდით და სახეზე კვლავ ის ჩვეული, მშვიდი და ალერსიანი ღიმილი მოგეფინათ.

თავდაპირველად გარკვევით ვერ წარმოვიდგინე, როგორი იყო ჩემი ის მეორე ნახევარი, ის მეორე „მე“. ახლა კი დარწმუნებულ ვარ, იგი ნამდვილად ის თეთრწინკლებიანი პატარა უხსენებელია, კიოტოს უნივერსიტეტში რომ მაჩვენეთ. იმ ღამეს დღიურის არა ერთი და ორი გვერდი გადავაჭრე ამ სიტყვებით. მერე წარმოვიდგინე, როგორ ბურთოვით დახვეულა ჩემს გულში, მახათივით ნვრილი თავი როგორ წამოუყვლავებია, ისეთი ნაზი, ისეთი ნატიფია, სამშვენიისი გეგონება! ჩემს სულში, ჩემს არსებაში ჩაბუდებულ ამ უკეთურებას ისეთი სათნო, ისეთი სათუთი სახიერება მიუღია. ღმერთსაც კი გულს მოუღობოს... ხედავთ, რა თამამ, რა გაბედულ აზრებს მივაგენი! ეს კია, იმ ღამის შემდეგ კიდევ უფრო დიდ ბოროტმოქმედად შევიცანი თავი.

აი, უკვე რამდენი რამ გითხარით, რამდენი რამ შეიტყვეთ ჩემს შესახებ, მაგრამ მეტი ძალ-ღონის მოკრება, კიდევ უფრო მეტი ვაჟაკობა მმართებს, რათა ბოლომდე გითხრათ ყველაფერი. გემუდარებით, შემინდეთ და ნუ გამკიცხავთ! გახსოვთ, რა ქარიანი ღამე ატამის სასტუმროში? გახსოვთ, ერთმანეთს როგორ შევფიცეთ, ჩვენი სიყვარულისათვის დღეიდან უდიდესი ბოროტმოქმედები გავმხდარიყავით, ყველასთან გვეცრუა, ყველა მოგვეტყუებინა, არავის და არაფერს მოვრიდებოდით?

გუთხარით ერთმანეთს ეს კადნიერი ფიცი და გავრუმდით — სათქმელი და სალაპარაკო სხვა უკვე აღარაფერი გვეტონდა. ვინეკით ქათქათა, გახამებულ ზენრებზე და წყვილად მდუმარედ გავცქეროდით. ის საოცარი მდუმარების წუთები დღემდე გონებიდან არ ამომდის. არ ვიცი, რამდენ ხანს ვინეკით ასე გარუმებულები — ხუთი წუთი, ათი, ერთი საათი? არ ვიცი...

საოცარია, მაგრამ იმ წუთებში ისე მარტო ვიყავი, თავს ისე ბოვანოდ, ისე ეულად ვგრძნობდი, მგონია, ალარც კი მახსოვდა, იქვე, ჩემ გვერდით რომ იყავით. დიდხანს, დიდხანს ვინეტი ასე ჩემს სულთან განმარტოებული... აი, ახლაც ვიგონებ და მიკვირს, რატომ, რატომ უნდა მეგრძნო ასეთი უსაშველო სიმარტოვე, როცა ეს-ესაა ჩვენი ის საიდუმლო კავშირი შეგვართ.

როცა ასე მთხოვდით, ამიერიდან ბოროტმოქმედები უნდა ვიყვნეთ, ჩვენი ფარი და ჯავშანი ამიერიდან სიცრუე უნდა იყოსო, ნუთუ ერთხელ მაინც აზრადაც არ მოგსვლიათ, ვითუ ოდესმე თქვენ თვითონაც ყოფილიყავით მოტყუებული? მე კი მაშინვე ის გავიფიქრე, არავის დაეინდობდი — არც თქვენ, არც მიდორის, საკუთარ თავსაც კი! რას იზამ, ჩანს, ასეთია ჩემი ბედისწერა!

ინთავითვე ვიცოდი, კადოტას ლალატი შემთხვევითი იყო, მიუხედავად ამისა, ის შემთხვევით ლალატიც ვერ ვაპატიე. აი, რატომ გადავწყვიტე, რადაც არ უნდა დამჯდომოდა, იმ გრძნობებისაგან გაეთავისუფლებულიყავი, რომელიც მასთან მაკავშირებდა და რომელშიაც ასე ძნელი იყო სიყვარულისა და სიძულვილის გარჩევა. ყველაფრისათვის მზად ვიყავი, ოღონდ როგორმე დამევიწყებინა, საშინლად ვიტანჯებოდი, ერთავად იმ გამოსავალს ვეძებდი, რაც ოდნავ მაინც გამინელებდა ამ ტანჯვას.

აგერ, ცამეტი წელი გავიდა მას შემდეგ, მთელი ცამეტი წელიწადი, ჩემს გულში კი არაფერი შეცვლილა.

გიყვარდეს თუ უყვარდეს? — რა საბედისწერო არჩევანია! არ მახსოვს, ქალთა კოლეჯის მეორე თუ მესამე კურსზე ვიყავი, ინგლისურ ენაში გამოცდას ვაბარებდი — ზმნის აქტიური და პასიური ფორმები უნდა განგვესაზღვრა. ფურცელზე ჩამოწერილ ზმნებს შორის ზმნის ასეთი წყვილუღიცი ეწერა — „გიყვარდეს — უყვარდეს“.

ვიდრე ყველანი ფურცლებს ჩავკირკიტებდით, უკანა რიგებიდან დაკეცილი ქალაღი გადმომაწოდეს.

ვიღაც კითხვას სვამდა — რომელი გირჩევნია, გიყვარდეს თუ უყვარდესო? „უყვარდესთან“ კალმითა თუ ნაირ-ნაირი ფანქრებით აუარებელი წრე იყო მოხაზული. „გიყვარდესთან“ კი — არც ერთი. მეც სხვა დანარჩენთა მსგავსად, ჩემი ნიშანი „უყვარდეს“ გვერდით დავსვი. ალბათ, თხუთმეტ-თექვსმეტი წლის მოზარდები, რომელთაც ჯერ არც ერთი გაგვეგებოდა ხეირიანად, არც მეორე, უბრალოდ, ქვეშეცნეულად ვგრძნობდით, რომ ადამიანის ბედნიერებისათვის აუცილებლად ვიღაცის სიყვარული იყო საჭირო.

მთელ კლასში მხოლოდ ერთადერთი ქალიშვილი აღმოჩნდა, რომელმაც ერთი კი დახედა ქალაღდს და „გიყვარდეს“ გვერდით კარგა ბარაქიანი წრე მოხაზა. რატომ ესეც ჩვენსავით არ მოიქცა-მეთქი, როგორღაც ათვალწუნებით შევხედე, თუმცა — მე ეს დღემდე შესანიშნავად მახსოვს — იმავე წუთს გულში მაინც სინანულმა გამკრა — არა, „უყვარდეს“ კი არა, „გიყვარდეს“ უნდა დამეწერა-მეთქი. ერთი ჩვეულებრივი გოგო იყო, სულ ბუტუსურასავით დადიოდა, არავის ეკარებოდა. არ ვიცდი, როგორ აენყო იმისი ცხოვრება, მაგრამ ახლა, როცა ამ წერილს გწერთ, ვერ წარმოიდგენთ, როგორ ცხადლიყ მიდგას თვალწინ მისი სახე, თუმცა აგერ უკვე ოც წელზე მეტია თვალი შორიდანაც არ მომიკრავს.

ნეტავი სიკვდილის წინ ღმერთი რომელს უფრო აირჩევდა, პატივს რომელს უფრო მიაგებდა — იმას, ვინც სიყვარულით და ბედნიერებით იყო გაფუფუნებული, თუ იმ ქალს, ვისაც ბევრი არაფერი სიკეთე უნახავს, არც მაინცდამაინც სიყვარულით გაუნებიერებია არვის, მაგრამ თვითონ თამამად შეუძლია განაცხადოს — ბედნიერი ვიყავი, რამეთუ მიყვარდაო!... ხომ შეიძლება ეს სწორედ იმ ჩვეულებრივი გოგოს ხვედრი იყოს, სწორედ ის არაფრით გამორჩეული ქალიშვილი იყოს ღმერთის ის რჩეული?

წუთით წარმოვიდგინე, როგორ დგას ღმერთის წინაშე ზვაობრად თავანული, თმაგადატევეებული, ტანსაცმელჩამოხეული და ამაყად როგორ ამბობს ბედნიერი ვიყავი, რამეთუ მიყვარდაო! იტყვის და მიწაზე უსულოდ დაეცემა...

ო, რა აუტანელია ეს ფიქრი, მინდა სადღაც გადავიკარგო, გავერიდო, მინდა როგორმე თავიდან მოვიშორო ამაყად თავანული იმ ქალის სახება, მაგრამ ამოდ... რატომ, რატომ არ შეხსნებიან, ასე რატომ მანამებენ ეს აუტანელი, მღელვარე ფიქრები, მე ხომ ორიოდე საათის სიცოცხლედა მიწერია? ან იქნებ სწორედ ეს არის მისაგებელი იმ ქალისა, ვინც სიყვარულის ტანჯვას ვერ გაუძლო, ქალისა, ვინც ბედნიერებასა და სი-

ხარულს მხოლოდ იმაში ეძიებდა, თვითონ კი არ ეზიდა სიყვარულის მიმე ტვირთი, თავად ყოფილიყო სასურველი და საყვარელი.

ვნუხვარ, რომ ცამეტი წლის იმ დიდი სიყვარულის სამაგიეროდ, იტულებული ვარ ასეთი წერილი მოგწეროთ.

აი, უკვე ჩემი აღსასრულის ფამაც მოაწია. საცაა ზღვაში ჩაინახვლება ცეცხლმოდებუ-
ლი ის პატარა ნავი... ვგრძნობ, უკვე სიცოცხლის ღონე აღარა მაქვს. ვგრძნობ, შევძელი
და აგიხსენით, ვინ ვიყავი ანუ რას წარმოვადგენდი. ამ თხუთმეტ-ოც წუთში, რომელიც
ჩემი წერილის წაკითხვას მოანდომეთ, ვფიქრობ, თვალნათლივ დაინახეთ ჩემი ნამდვილი
ცხოვრება რაიმე შეფერადებისა და შელამაზების გარეშე.

ნება მომეცით, გამოთხოვების წინ ერთხელ კიდევ გითხრათ — ჩემი ცხოვრების ეს
ცამეტი წელიწადი მშვენიერი სიზმარი იყო, თქვენი იმ დიდი და ლამაზი სიყვარულის
წყალობით, ბედნიერი ვიყავი, ყველაზე ბედნიერი ყველაზე ბედნიერ ქალთა შორის...

ძიოსუკე მისუგისადმი მიწერილი ეს მესამე წერილიც რომ ჩავიკითხე, შუალამე თით-
ქმის გადასული იყო. საწერი მაგიდის უჯრიდან ახლა თავად მისუგის წერილი ამოვიღე
და ერთხელ კიდევ გადავიკითხე. ჩემი ყურადღება რატომღაც იმ ბოლო წინადადებას მი-
იპყრო, რომლითაც წერილი მთავრდებოდა.

„ნადირობით საკმაოდ დიდი ხნის წინათ დავინტერესდი, მაშინ ჯერ კიდევ ასე
ტლუდ და უულად არ დავდიოდი ამ დიდსა და უსიხარულო ქვეყანაზე; სანადირო თოფი
კი იმ დროიდან იქცა ჩემს განუყრელ თანამგზავრად, როცა ჯერ სულაც არაფერი მი-
წინასწარმეტყველებდა ამ მარცხს სამსახურებრივ კარიერასა თუ პირად ცხოვრებაში“.

ანაზღად ლამაზად გამოყვანილმა იმ იეროგლიფებმა ისეთი ურვითა და მწუხარე-
ბით შემომანათა, შემკრთალმა თვალებიც კი დავხუჭე. აიაკოს სიტყვებით რომ ვთქვათ,
იქნებ სწორედ ეს იყო ის უხსენებელი, რომელიც მისუგის არსებაში ცხოვრობდა?

მაგიდიდან წამოვდექი, ჩრდილო ფანჯარასთან მივედი და დიდხანს, დიდხანს გავც-
ქეროდი შავად ჩაბნელებულ ღამის წყვდიადს. რომელსაც შორეული ელექტრომატარებ-
ლისაგან ჩამოტოვებული ცისფერი ელვა თუ გადახაზავდა ხანდახან. ნეტავი რით იყო
მისუგისათვის ამ სამი ქალის ეს სამი წერილი საგულისხმო. რა ამცნო, ისეთი რა ამო-
იკითხა. რა იყო მისთვის ამ წერილებში ახალი და შეუცნობელი?

დიდხანს ვიდექი ღია ფანჯარასთან, სახეზე ღამის გრილი ნიავი დამთამაშებდა.
ორივე ხელით ფანჯრის რაფას ჩაჭიდებული დიდხანს, დიდხანს გავცქეროდი სიბნელეში
ჩაყვინთულ პატარა, ბარდაგადავლილ ბაღს და ასე მეგონა, ეს იმ მდინარის თეთრი,
ჩამშრალი კალაპოტი იყო. მისუგი თავის ამ წერილში რომ მწერდა.



თარგმნა შივი ალხაზიშვილმა

შესანიშნავი ფილოსოფოსისა და პოეტის ვლადიმერ სოლოვიოვის ლექსთა პირველი წიგნი 1891 წელს გამოვიდა მოსკოვში. ბოლო გამოცემა (ვ. სოლოვიოვი, ლექსები და სახუმარო პიესები, „სოვეტსკი პისატელი“ ლენინგრადის განყოფილება, 1974 წ.) ითვალისწინებს ყველა წინარე გამოცემას და მასში უფრო სრულადაა წარმოდგენილი მისი პოეტური შემოქმედება.

ვლადიმერ სოლოვიოვი (1853-1900) უფრო ცნობილია, როგორც ფილოსოფოსი, მაგრამ ამასთანავე ფრიად ორიგინალური და თავისებური პოეტია, რომელიც ჟუკოვსკის, ტიუტჩევის და ფეტის შემოქმედებით ტრადიციებზე აღიზარდა. ვლადიმერ სოლოვიოვმა დაიმკვიდრა თავისი პოეტური სტილი და როგორც ფილოსოფოსმა და პოეტმა უდიდესი ზეგავლენა მოახდინა მეცხრამეტე საუკუნის ბოლო მეოთხედსა და მეოცე საუკუნის დასაწყისში მოღვაწე რუსი ინტელიგენციის მსოფლმხედველობაზე. მისი საპროგრამო ლექსი „პანმონგოლიზმი“ თავისებურად დაუპირისპირდა გვიანდელი სლავიანოფილების მოსაზრებას. — „მოსკოვი მესამე რომია!“. „პანმონგოლიზმში“ გამოკვეთილი მოსაზრებით სოლოვიოვი იზიარებს ტიუტჩევის ცნობილ პოზიციას, რომ მხოლოდ... სიყვარული და რწმენა, ძალადობის უარყოფა უნდა იყოს რუსეთის მისია... აქვე იბეჭდება ვლადიმერ სოლოვიოვის ფილოსოფიური ლირიკისათვის დამახასიათებელი რამდენიმე ლექსი.

ამ მცირე ანოტაციაში შეუძლებელია ოდნავ მაინც აისახოს ვლადიმერ სოლოვიოვის — ფილოსოფოსის და პოეტის, წინააღმდეგობებით აღსავსე პიროვნების სრული პორტრეტი.

* * *

ყარიბო მგზავრო, ჩამოვსხდეთ ერთად,
თვალთ გიბნელდება, ქრება თავანი,
სული მოითქვი, შემოდი ჩემთან,
ბინდდება, ჩადის მზე ჩამავალი.

საიდან მოხველ ან საით მიხვალ —
არ გეკითხები, არაფერს გერჩი,

მე გიპასუხებ სახელს თუ მკითხავ
და სასოებით ჩაგიკრავ მკერდში.

დრო და სიკვდილი არ აკლებს ზრუნვას
ხალხს და ქვეყანას ანგრევს ღალატით,
ყველაფერს შთანთქავს წყვედიადის ბრუნვა,
სიყვარულის მზე არის მარადი.

1887

ა ლ კ ა ე ზ უ ი

უსიტყვო აზრებს, გრძნობათა წყურვილს
გულში მთრთოლვარე დინება ახლავს.
ძლივს მოციმციმე იმედს და სურვილს
გადაუარა ცისფერმა ტალღამ.

ცისფერი მთები მაღლდება ირგვლივ,
შორს ცისფერი ზღვა ნისლებში მიწვა,
მოშორდა სული მიწიერ გვირგვინს
და სული მაინც ვერ ტოვებს მიწას.

იმედის ნაპირს, სასურველ ნაპირს
თითქოს მივყვები მაღლა და მაღლა,
უსიტყვო აზრის, გრძნობების მძაფრის
მოემართება ცისფერი ტალღა.

1886

პ ა ნ მ ო ნ გ ო ლ ი ზ ი

მძვინვარე სიტყვა — პანმონგოლიზმი,
სმენას რატომღაც ესაღბუნება,
რაცღაც დიადი თითქოს მოისმის,
უფლის ნებით რომ შექმნა ბუნებამ.

ბიზანტია რომ დაფარა თალხმა,
საკურთხეველი გაცივდა ღვთისა,
როცა უარყო მესია ხალხმა,
ურწმუნოება მოედო ნისლად.

მაშინ აშალა აღმოსავლეთით
ხალხი უცხო და უცნობი ჯიშის
და ბედისწერამ იგი დაფლითა,
მეორე რომი დაემხო შიშით.



არ გვსურს მოვიმკათ ძველი ცოდვები
ბიზანტიური ნგრევის და ომის,
თუმცა მლიქვნელნი კვლავ გინოდებენ:
— რუსეთო, შენ ხარ მესამე რომი!

დაე, აღსრულდეს, რადგან ღვთის რისხვას
არ აქვს საწყისი და დასასრული,
ვხედავ აპირებს ახალ სისხლისღვრას
ჯოგი უცნობი და თავგასული.

მალაის ზღვასთან, ალტაის მთებთან —
აღმოსავლეთის ტომთა ბელადნი
ჰკრებენ ჩინეთის დახრილ კედელთან
ჯარებს აღჭურვილს ფეხით — ყელამდი.

კალიებივით აურაცხელი,
გაუმადლარნი რბევით, ომებით,
არამქვეყნიურ ძალის მნახველნი,
ჩრდილოეთისკენ დიან ტომები.

რუსეთო, გაქრა ძველი ედემი,
არწივი ველარ აიმართება
და შენი დროშის მონაფლეთები
დღეს ყვითელ ბავშვებს მისცეს სათრევად.

ვინ იფიქრებდა დაცემულს ომით
გნახავდა შთენილს საწყალ ფიქრებთან?!
ჩაფერფლილია მესამე რომი,
ხოლო მეოთხე აღარ იქნება!

1894

პრომეთეოს

როცა ნათელში სული შენი იხილავს ერთად —
ტყუილს და მართალს, კეთილს და ბოროტს
და შეიყვარებს ერთიანად სამყაროს ფეთქვას,
ანწყოს და წარსულს, საწყისს და ბოლოს.

როცა დათმენის ნეტარებას იგრძნობ ფრთაგაშლილს,
 როცა გონება იგრძნობს ბოლომდე,
 რომ მხოლოდ ბავშვურ წარმოსახვაში
 ცოცხლობს სიცრუე და სიბოროტე.



დადგება ჟამი შემოქმედი სულის დამტევი
 და შენი შუქის სხივი ეული,
 სამყაროსეულ ნისლებს განდევნის,
 სხივი მიწიერ სიზმრებს ჩვეული.

გაქრება ზღუდე და გალღვება ბორკილი ცივი
 და გაიგონებ ღვთაებრივი გუნდის გალობას,
 როცა ყველაფერს გაანათებს მარადი სხივი
 და შეერევა ყოველივეს და მთლიანობას.

1874

* *

ეს სიცოცხლე თამაშია ლანდების,
 და ლანდები გზას მივყვებით ეკლიანს,
 ეს სიცოცხლე — შორეული სანთლების,
 წმინდა დღეთა მკრთალი ანარეკლია.

ო, თანდათან ერთდებიან ლანდები,
 იკარგება ადრეული მშვენიება,
 ზმანებანი ისევ გაიფანტება,
 არასოდეს აღარ მომეჩვენება.

გამთენიის ნაცრისფერი ბინდია —
 დედამიწის ბუნდოვანი მანდილი,
 გულში წმინდა ჟრუანტელი მინთია,
 აღსრულდება — ნუთუ გულის წადილი?!

შეისმინე, მარადისის ძახილი;
 დაიჯერე, გაქრებიან ლანდები,
 მარადი დღე ახლოვდება ახალი,
 ლანდებივით მკრთალდებიან დარდები.

1875

□



ინგლისურიდან თარგმნა ზაზა ალექსიძემ

ვერასოდეს მიხვდები, ძვირფასო, რა ძლიერ მიუხარხარა!

კარნავალი უნდა მოაწყონ და თანაც სად, ყინულის ძველი ქარხნის უკან, თავისუფალ ადგილას! მთელი შუადღე საბარგო მანქანებს სკლიდნენ. გიგანტურ ქოლგასავით გაიშალა კარუსელი, ბავშვებისათვის ეშმაკის ბორბალი გაძართეს. მანქანები ორჯერ ჩაეფლნენ ტალახში. ყველგან თივაა მიმოფანტული სცენა დადგეს და განათებაც მოაწყეს. აბა, ახლა კი დროა ჯიბეში ხურდა მოიხხრიკო. ვახშობაც გადავიდა და ზაფხულის გრძელი დღის დასრულებამდე ერთი საათიღა დარჩა. დახე, სემი ჰანენპაუზური კარნავალზე გარბის. გლორია გრინგის ბანდა შუადღიდან მოყოლებული იქ ტრიალებს, სახლში დროზე მისვლის ფიქრი აწუხებთ თუ რა? ოპ, ნეტავ ჩქარა გამიშვან. რა საშინელებაა, როცა კაცს ღარიბი, ზოზინა და ნუღამ დაღვრემილი მშობლები გყავს!

ორმოცდაათი ცენტი. მეტს ბენი ვერ მოსთხოვდა მშობლებს. ზუსტად თითო ხუთცენტიანი შოდის მისი სიკოცხლის ყოველ წელიწადზე. ერთი შეხედვით ბევრიცაა თითქოს. შეშლილი მისის მოფერტის სახლის სახურავის თავზე ეშმაკის ბორბალს ვარდისფრად მოუხატავს ცა. ბენის წარმოდგენაში ვარდისფრის სამანი მონეტის ნაკვდევიდან კიდევ გადაებლართა, ხელს რომ უფლიანებდა. ამ სახლს კიდევ ერთი სახლი მოსდევს. მერე ყინულის ქარხანასაც გასცდება და მივა კიდევ. ბენის გარდა მთელი ქვეყანა უკვე იქ შეყრილა. იგი ჩქარობს, ჩქარობს, ჰაენბურთმა ლამისაა თოვები დაწყვიტოს. ეშმაკის ბორბალიც კისკენ მიიწევს, მხოლოდ ბენიღა დარჩება მარტოდმარტო დაცარიელებულ, ბინდმორეულ ქუჩებში.

მერეღა რა უნდა იყიდოს? არც ისე ბევრი ხალხი მოსულა აქ. უფროსები პატარებით ხელში სწრაფად მიდი-მოდიან თივათყრალ ბილიკებზე. მოხეტიალე მსახიობები, რომლებიც სინამდვილეში ბოშები არ არიან, თვალს არ აშორებენ და ხელის ზანტი ქნევით თავისთან უხშობენ. აგერ ვიღაც სამ ძველ ბურთს ყიდის, კარუსელთან მოხუცი ხეიბარი დამდგარა და ხალხს ეპატივება. აქეთ ერთი ჩასუქებული ქალბატონი თაბაშირის ღვთისმშობლებით ვაჭრობს, ცოტა მოშორებით ბატიბუტის დახლის თავზე ადამიანის ჩონჩხი ჩამოუქონწიალებიათ. ბიჭი ხარ და ამდენ ცდუნებას ნუ აძუვები! გვერდს აუვლიდა, მაგრამ ადვილი საქმეა?! ნეტავ აქ უფრო მრავლად შეგროვილიყო ხალხი. ისე თავს ცოტა გასულელებულად გრძნობს. თითქოს მთელი ეს ტექნიკა აქ იმისათვის დაუბნავებიათ, რომ საცოდავი ორმოცდაათი ცენტი დასტყუონ. ბენი შორიდან ადვენებს თვალს ერთ ჯმუხ მამაკაცს, პერანგის სახელოები გულმოდგინედ რომ აუკაპიწებია და რეზინისენიან დისკოს ატრიალებს. კიდრე ორ ლურსმანს შორის შეჩერდებოდეს, რეზინი ნელ-ნელა რაკუნით უვლის წრეს. ლურსმნებს შორის ადგილები დანომრილია და სწორედ ის ნომერი იგებს, რომელზედაც რეზინის ენა ჩერდება. მხოლოდ ერთი მეზღვაური და სკოლის სპორტულ ქურთუკში გამოწყობილი ორი უფროსკლასელი ბიჭი ცდის ბედს. ვერც ერთი ვერ იგებს. დისკოს პატრონს აკაპიწებული სახელოდან მსხვილი, მოსვირინგებული მკლავი მოუჩანს და წაგე-

ბულ ხუთცენტიანებს ხვეტავს გრძელი დაფიდან, „კლასობანას“ მსგავსად რომ არის დაყოფილი და დანომრილი. ბიჭებს ქილვაშები ლაქლაქა ყბებზე ჩამოზრდიან, ხსენი უნდა ისოდ ჩამოდიან ხუთცენტიანებს. დისკო კვლავ ჩერდება, ამჯერად მზიარული შეძახილი გაისმის, დისკოს პატრონი ჯიბეში იყოფს ხელს და ბიჭებს წინ დაუთვლელად უყრის მთელ მუჭა ხუთცენტიანებს. ბიჭები, თითქოს ბინძური ხუმრობა გაიგონესო, ისე აფჩენენ სალექსი ჩაქვინის გამართნილ პირს, შეტრიალდებიან და მიდიან. სინათლის ცივა შუქი მათ ქურთუკებზე ხედავს. „ჭეი მოგება ვის უნდა, აბა, ყველა იგებს!“ — მაგიდა დაცარიელებულა. კაცი ხმამაღლა უხმობს გამკლავლებს, მისი წყლისფერი თვალები კი უაზროდ მიშტერებიან ბენს, მათში სიცარიელეა აღზეკდილი, რაც საოცრად ესადაგება ბენის მდგომარეობას: უხეში მატერიის შარვალს, ორმოცდაათ ცენტს, მის ასაკსა და ადგილს სამყაროში და ყოველივე ამასთან ერთად დიდ სინანულს იმის გამო, რომ ყველგან უნდა ყოფნა, ყოველ დროს, და ამ უბადრუკ ადგილას კი იმყოფება. კაცი თვალს აშორებს და ახლა მხოლოდ საკუთარი თავის შესაქცევად ატრიალებს დისკოს.

ბენის თითებს ორმოცდაათცენტიანი დიდ, მთრგუნავ ძალად ეჩვენება და ამიტომაც უნდა დაილეწოს, დაიმსხვრეს, ხოლო ბრჭყვიალა ნამსხვრევები კი ირგვლივ მიმოფანტულ, მბზინავ თივაში ჩაიკარგოს, პირველივე დახლიდან ტკბილ ბამბას ყიდულობს და ფუშფუშა, ვარდისფერ, მწებვარე ტკბილეულთან ერთად ხურდაში ოცდახუთ, ათ და ხუთცენტიან მონეტებს უბრუნებენ. ეს სამი მონეტაა მთელი მისი სამდიდრე.

ხალხმა იმატა, ხერხის კბილებივით შავ, უშნო სილუეტებად ჩალაგებულ სასლებს წინ გამოიშალნენ. შუქმა იფეთქა და მთელი საკარნავალო მოედანი გაანათა. სახლები ნელ-ნელა გაუჩინარდნენ. გაჩორაღდნებულ, ღია სცენაზე თეთრ კოვბოურ ქედებში, ბრჭყვიალა ქვედაკაბებისა და ჩექმებში გამოწყობილი სამი ქალიშვილი გამოჩნდა. მათ თეთრებშივე ჩაცმული კაცი ახლავთ, ხელში ოქროსფერსიმებიანი თეთრი გიტარა უკავია. ხალხმა ზედ სცენასთან მიაგდო ბენი. ერთ-ერთი ქალიშვილი მიკროფონში ახველებს: პერს ყურთა სმენის წამლები ხმა კვეთს. ხალხში სიჩუმე ისადგურებს. ქალიშვილები ტაქტს ფრთხილად აყოლებენ ფეხის წვერებს და მღერაიან: „ღამე სიზმარში გიხილე, ძვირფასო, გეხვეოდი“. ელეგანტური ქვედაკაბების ბრჭყვიალმა ბენს თვალი აუწვა და ცრემლიც ჩამოადინა. ქალიშვილების ხმამაღალი გოდება იპყრობს, სიმღერით სტიმავს და ქვითინით ავსებს ბენის გულს. „შევეცი, თავი ჩაგვიდე, და-ა-ა ავტირდი“. გულისამრევებდ დაშაქრული მისამღერი გაისმის, და ბენს ისეთი შეგრძნება იპყრობს, თითქოს ცოტაც და ამ სიტკბოთი გასიყვებული თავი გაუსკდება.

ქალიშვილები ისევ მღერაიან, თუმცა სხვა სიმღერები პირველთან ვეღარ მოვლენ. მალე მათ ადგილს სცენაზე ერთი, უზომოდ ფართო შარვლიანი გამზდარი ბერიკაცი იკავებს, თითებს ატკაცუნებს და მზიარულად უკვირებზე ზემოდან ხალხს, მერე კი უწმაწურ ანეკდოტებს ყვება. ბენის ირგვლივ მდგარი კეთილი, ჩასუქებული დეიდები, ვის გვერდშიც იგი თავს მშვიდად და უხიფათოდ გრძნობს, სიცილით იგუდებიან. ბენი იძურწება და ცდლობს იმ პირველი სიმღერის სატყვები გაიხსენოს — „შენ ხარ ჩემი მზის შუქი“, „ნუ წამართმევენ მზის შუქს“. ხურდა ფულია უმძიმებს ჯიბეს, ამასაც მოიშორებს და ბაბუაწვერას თესლივით გაჰყვება ნიავს.

იგი იმ ფარდულისკენ მიემართება, სადაც დისკო ტრიალებს, მეშვიდე ნომერზე ხუთცენტიანს ჩამოდის და აგებს.

შემდეგ იმავე ნომერზე ათცენტიანს ჩამოდის და ისევ აგებს.

ბენთან ერთად ორი კაცი თამაშობს. მათ უხეშ შარვლებში გამოკრული ბარძაყებით ბენი დაფასთან მიუჭყლეტაოთ და თითქმის სულ აღარ ჩანს. ისინი ოცდახუთცენტიანებს დასახურდავებლად დაფის შიდა მხარეზე დებენ. ბენიც ასევე იქცევა. ხელმოსვირინგებული კაცი მონეტებს კრფს და სანაცვლოდ, თითების დახვეწილი უცდომელი მოძრაობით, დაფაზე ხუთცენტიანებს აწყობს სვეტებად. ბენს სუნთქვა ეკვრის, შეძრწუნებული ვრძნობს, რომ კაცი თავისი უაზრო თვალებით გვერდიდანაც ხედავს მის სახეს. იგი ზორბა სხეულს დინჯად ხრის წინ და დაფაზე ბენისათვის განკუთვნილ ხუთცენტიანებს აათითაოდ ყრის. მეორე რომ უნდა დაეგდო, ხელი ოდნავ შეაყოვნა. ბენს ლოყები აეწვა და ხელებზე მიწის ფერი დაედო, ხუთცენტიანის ჩამოსვლისას თითები უკანკალეს. კაცი დისკოს უბრუნდება, ატრიალებს და ბენი ზედიზედ სამ ხუთცენტიანს აგებს. რაკრავა დისკო სახეგაბადრულ ღმერთად ესაჩება. როდესაც მოსვირინგებული ხელი, ზედ გამოსახული ცისფერი თევზით, ღუზითა და უცნაური სიტყვით „მშვიდობა“, მის ხუთცენტიანებს ხვეტავს, ბენს ეჩვენება, რომ პუნქტირით დახაზული კანი რალაც აზრს აფრქვევს და სიტყვების ნაკადის მოლოდინში თავს ხრის. არაფერი არ ითქვა, კაცი დისკოს მიუბრუნდა, თუმცა ბენს ისევ აკრთობს მისგან გამოსხივებული რამორგუნველი ძალა. თანაც მაგიდის კუთხეში მკრთალზოლიან კოსტიუმში გამოწყობილი მანკაკაცი დაძვარა და მას მისჩერე-

ბია, ბენი ფულის მოშორებას ჩქარობს და თავის ორ უკანასკნელ ხუთცენტის ჩამოდის ისევ მუშვიდე ნომერზე.

რეზინის ენა ტკაცუნებს და სანამ დისკო ტრიალებს, ზოლიანკოსტიუმისანი სელმოსვირინგებულს რალაცას ეუბნება, ისიც მისკენ იხრება. ზოლიანკოსტიუმისანის ხმა არ ისმის, მაგრამ მისი ხელის შეუმჩნეველი მოძრაობაცა და გვერდიდან ნასროლი მზერაც ბენისკენ არის მიმართული.

რეზინის ენა სულ უფრო და უფრო ნელა მოძრაობს, ბოლოს შეიღებინ...
ბიჭო! ბიჭო!

ბენმა წააგო და ალა შეუძლია წავიდეს. მუცელი რალაც საეწვოდ გვრემს. „ბიჭო“, — ხელმოსვირინგებული თავზე წამოდგომია. ბენი გრძნობს, რაგინდ სწრაფად მოცობოს, ამ მკლავებს ვერსად გაექცევა, მაინც მისწვდებიან და მარწუხებში მოამწყვდევენ.

— ჰა?

— რამდენისა ხარ, ბიჭო?

— ათის.

— რაო, მამაშენს ბევრი ფული აქვს?

მის გარშემო ბიჭები სიცილით იტყვიან. დიდი ხანია შეეჩვია ამ როლს: ვინ მოსთვლის რამდენჯერ გაუმასხარავებიათ მასწავლებლებსა და უფროს ბიჭებს. ყველაფერს ხედება და სურს ყველას აუხსნას, იმიტომ კი არა აქვს თვალები სველი და ლოყები აქარხლებული, რომ წაგება სწყინს. არა! სიხარულის, თავისუფლების შეგრძნებაა ამის მიზეზი. მაგრამ ამისათვის ბევრი სიტყვაცა საჭირო, მას კი ერთსიტყვიანი პასუხი „არა“-ც კი უფლში გასჩხერია და ძლივს ლუღლუღებს რალაცას.

— აბა, — და ხელის გაწაფული მოძრაობით სვირინგებისანი კაცი ბენისკენ იმ მონეტებს აცურებს, ბოლოს რომ ჩამოვიდა. შემდეგ ჭიბეში იყოფს ხელს. ჩვეულებისამებრ ხუთი ხუთცენტისისაგან შემდგარი სვეტი ამოაქვს. ოთხს ყრის, მეხუთეს კი თითებში აჩერებს, იმდენ ხანს ყოყმანობს, რომ ბენი მაჯის ზემოთ ცისფრად გამოყვანილ „მშვიდობის“ გადაკითხვასაც კი ასწრებს. ერთხანს მონეტას ხელისგულზე ათამაშებს, იქიდან კი ტუჩკიანი წიხსაფრის ჭიბეში ჩააგდებს.

— აბა ბიჭო, მოუსვი ჩქარა, აქ აღარ გნახო.

ბენი ხელში ატრიალებს მონეტებს, შეღებულ ფიცრებს უაზროდ ავლებს თვალს და მხრებჩამოყრილი ნელა შორდება იქაურობას. მთელი გზა ნაწვიმის ღვარებში ტოპავს. მთლად გაილუმბა წყლის შხეფებისაგან. პაერი კვლავ დახუთულია, ის კი ისევ და ისევ ანგარიშობს და საბოლოოდ ასკენის, რომ გააცურეს: ორმოცი: ოცდახუთცენტისანი, ათცენტისანი და ხუთცენტისანი პუნდა, დაუბრუნეს კი მხოლოდ ექვსი ხუთცენტისანი — ოცდაათი. უსაძართლობაა: ფულის წასაგებად ჯერ კიდევ პატარა ხარო და ათცენტისანი კი წაგლიჯეს. დანაკარგი, დაკარგული ათცენტისანი პაწაწინა ხერელს ჰგავს, რაშიც ყოველივე არსებული გაედინება. ბენს სველი მუხლები უკანკალებს, მიდის და ცდილობს დაემალოს ყველა შეზღვაურს. ჩასუქებულ ქალსა თუ სკოლის მოსწავლეს — ყველას, ვინც კი მისი სარცხვილის მოწმე გახდა. ექვსი ხუთცენტისანით დამძიმებული ჭიბე წამდაუწუმ ბარძაყს ეხება. გზაზე მიმოფანტული თივა ოქროს წვიმასავით ბრჭყვიალებს. შორს, ხერხის კბილებივით წაწვეტილი შპილები ამოზიდულიყვნენ თეთრ სახურავებს შორის, რომელთაც ნაწვიმარზე მტერის სუნი ასდიოდათ და ჰგუდუნენ ფერადი, გამჭვირვალე ბურთებით მორთულ საახალწლო ნაძვის ხეს. ბიჭუნა ზმანებას თვალს ვერ უსწორებს და წამწამებს საცოდავად ახამხამებს.

და იი, ასე, ყოველთვის, როცა მთელი ჩვენი არსებით გვწაღია სამყაროს შევერწყათ, იგი გესლიან ლამაზმანად იქცევა და ყველა ჩვენს მცდელობას აქარწყლებს.



სცემოს ჯადოქარმა დედიაო?

ყოველ საღამოს, ხოლო შაბათობით ნაშუადღევსაც კი, ჯეკი ზღაპრებს უამბობდა თავის გოგონას და ისე აძინებდა. ზღაპრები მისივე შეთხზული გაბლდათ და გოგონა მათ ორი წლის ასაკიდან ისმენდა. ორი წლის განმავლობაში, ამ განუწყვეტელ მწვლპარეობაში ჯეკს სათქმელი შემოეხარჯა. ყოველი ახალი ზღაპარი დიდად არ განსხვავდებო-

და პირვანდელისაგან: პაწაწა არსებას, სახელად როჯერს (როჯერ თევზი, როჯერ ციყვი, როჯერ ორითინა) ყოველთვის რაღაც აწუხებდა და რჩევის საკითხადად, როგორც წესი, ბრძენ, მოხუც ბუს მიაშურებდა ხოლმე. ბუ ჯადოქართან გააგზავნიდა, რომლის სასწაულმოქმედებაც ყოველგვარ გასაჭირს შველოდა. მართალია, გასამრჯელოდ იმაზე მეტს შიშობდა, რასაც როჯერის ქისა გასწვდებოდა, მაგრამ ჯადოქარი რის ჯადოქარია, თუ იმ ადგენას არ შიშობდა, სადაც ფულის შოვნა შეიძლებოდა. ვახარებული როჯერი სხვა ცხოველებთან გარბოდა სათამაშოდ, გულს რომ იჩერებდა თამაშით, შინ დაბრუნდებოდა დედოქოსთან, ზუსტად იმ დროისათვის მიობენდა, როცა მატარებელი სტვენით ჩამოივლიდა და შეატკობინებდა, ბოსტონიდან მამიკო ჩანოგიყვანეო. ჯეკი მათ ოჯახურ ვახშამსაც აღწერდა და ზღაპარულ თავდებოდა. განსაკუთრებით შაბათი იყო მომქანცველი, ვინაიდან ჯონ ნაშუადღევს აღარ ეძინებოდა და ჭეკსაც კარგად ესმოდა, რომ ამოდ ირჩებოდა.

პატარა გოგონამ (თუმცა რაღაც პატარა ეთქმოდა, ნაშუადღევს დასაძინებლად რომ ჩააწვენდნენ მშობლების ფართო საწოლში, ანდა მაშინ, როცა ავად იყო, ფეხით საწოლის შუაგულს სწვდებოდა უკვე) როგორც იქნა საწოლში მოიკალათა და როცა ჩამოშვებულ ფარდებში გამომტრთალმა შექმა ბალიშში ჩაფლული პუტკუნა სახე გაუსხივოსნა, ჭეკს იმედი მიეცა, ეგება სასწაული მოხდეს და ჯომ დაიძინოსო. ჯონ ძამიკოს, ორი წლის ბოძის უკვე კარგა ხანია ეძინა, მაგრამ საწოვარას ვერ შელევდა.

— დღეს ვისი ზღაპარი მოგიყვე? — იკითხა ჭეკმა.

— როჯერ... — ჯომ გაიღიმა და თვალები ისეთნაირად მოჭუტა, აქაოდა, ვფიქრობო. შეგლეგ დედამისივით ცისფერი თვალები დააჭყიტა და მტკიცედ განაცხადა, — მყრალასი.

ახალი ცხოველი, ალბათ საბავშვო ბაღში უამბებს მყრალაზე. ახალი გმირის გამოჩენამ ჭეკს შემოქმედებითი ცეცხლი გაუღვია. „კეთილი, — დაიწყო მან, — იყო და არა იყო რა, იყო ერთი პაწაწა არსება, სახელად როჯერ-მყრალა, ერთ უღრან, დაბურულ ტყეში ცხოვრობდა. როჯერს ძალიან ცუდი სუნი ასდიოდა.

— მართალია, — დაეთანხმა ჯონ.

— ისეთი ცუდი სუნი ასდიოდა, რომ ტყის არც ერთი ბინადარი არ ეთამაშებოდა. — ჯომ ცოტა არ იყოს შეფიქრიაუნებულმა ახედა, ამას კი აღარ ელოდა, — დააპირებდა თუ არა ცხოველებთან თამაშს, — ჭეკს თავისი პატარაობა, ბავშვური ტკივილები გაახსენდა და ამან თბრობას განსაკუთრებული ელფერი შემატა, — მაშინვე ერთი ამბავი ატყდებოდა ხოლმე, უპ, ოპ, მყრალა როჯერ-მყრალა მოდისო, და ყველა თავკუდმოგლეჯილი გარბოდა. მარტო დარჩენილ როჯერ-მყრალას კი თვალებიდან ორი პაწაწა მრგვალი კურცხალი ჩამოუგორდებოდა. — ჯონს ქვედა ტუჩი გამოებურცა, როცა მამამ საჩვენებელი თითი ცხვირზე ჩამოუსვა, რათა ეჩვენებინა, როჯერს ცრემლი როგორ ჩამოუგორდა.

— მერედა ბუს არ ნახავს? — ბავშვს ხმაზე აღელვება დაეტყო.

ჯეკი საწოლზე იყო ჩამომჯდარი იგრძნო, ბავშვმა ნერვიულად შეატკოვა ფეხი და საბანი შეიბრა. ეამა — იგი ხომ რაღაც მართალს ყვებოდა, იმას ყვებოდა, რაც ბავშვს უნდა სცოდნოდა. თბრობის ეშხში შესულ ჭეკს ზღაპრის მოკლედ თქმა არ ეპრიანებოდა, მაგრამ ამ დროს ჭეკდა სართულზე სკამმა დაიჭრიალა და გაახსენდა. სასტუმრო ოთახის ავეჯის შეღებვაში რომ უხდა დახმარებოდა კლერს.

— ჰოდა, ერთხელაც გზას გაუდგა დაღვრემილი. ბევრი იარა თუ ცოტა იარა, ერთ ძალიან მაღალ ხეს მიადგა, რომლის კენწეროზეც ერთი უშველებელი ფრინველი იჯდა. სწორედ ეს იყო მოხუცი ბრძენი ბუ.

— კარგია...

— „მისტერ ბუ, — მიმართა როჯერ-მყრალამ, — ცუდი სუნი მდის და ყველა პაწაწა ცხოველი გამირბის“. „ნამდვილად ცუდი სუნი გდის. — კვერი დაუტრა ბუმ, — თახაც ძალიან, ძალიან ცუდი სუნი“. „რა შეშველება?“ — მწარედ ატირდა როჯერი.

— ჯადოქარი, ჯადოქარი... — აბტუნაედა საწოლში ჯონ.

— აბა, ჯონ, ზღაპარს მამიკო ყვება იქნებ თვითონა გსურს მამიკოს ზღაპარი მოუყვი?

— არა, შენ მოყევი.

— მაშინ, დაწეჭი და თვალები დახუჭე.

გოგონამ თავი ბალიშში ჩარგო და შეახსენა. შენ თვითონ მოიჯონეო.

— კეთილი, დიდხანს იფიქრა ბუმ და ბოლოს ჰკითხა, — ჯადოქარის საძებნელად რატომ არ მიდიხარო.

— მამიკო.

— რა იყო?

— მართლა ხდება სასწაულები? — ერთი თვეც არ იყო, რაც ჭეჭმა შეამჩნია, რომ ბავშვს ჭეჭმარტების დადგენის სურვილი გაღვიძებოდა, როცა გაიგო, ობაზები ბალღინჯოებს ჭამენო, დედამისს მიუბრუნდა და ჰკითხა—მართლა ჭამენო? ხოლო როცა კლერმა აუხსნა, დამერთ ცა-შიაც არის და ჩვენ გვერდითაც იმყოფებაო, ეშმაკურად გაიღიმა და მამამისს წააცოცლა მართ-
ლაო?

— ზღაპრებში ხდება, — მოუჭრა ჭეჭმა, არ ვსიამოვნა, თბრობა რომ შეაწყვეტინეს! — მუმ დაარიგა: უღრან ტყეში მოგიწევს გზის გაკვლევა. შემდეგ ვაშლის ხეები შემარგნებენ და გაღალატებ და ნაკადულსაც რომ უკან მოიტოვებ...

— ნაკადული რაღაა?

— პატარა მდინარე და ნაკადულსაც რომ უკან მოიტოვებ, ჯაღოქრის სახლს დაინახავო. ჰოდა, გაუდგა როჯერი გზას და ბევრი იარა თუ ცოტა იარა, ერთ პატარა თეთრ სახლს მიადგა და კარზე დააკაკუნა. — ეს რომ თქვა, ჭეჭმა ფანჯრის რაფაზე დააკაკუნა და ჯო სიამოვნებისა-გან აცმუტდა საწოლში. — კაცუნზე ერთი ჩია მოხუცი გამოვიდა, გრძელი, თეთრი წვერი ჰქონდა და თავზე ცისფერი, წვეტიანი ქუდი ეხურა. „ეს რა საშინელი სუნია გდისო?“ — ჭეჭი კარგად ბაძავდა ჯაღოქრს: სახეს დაღმეკდა, თვალებს გაღმოკარკლავდა და ცივ გამყინავ ხმაზე ლაპა-რაკობდა. ცოტა არ იყოს, მოსწონდა კიდევ თავი მოხუცის როლში.

— „ვიცი, — ამოიოხრა როჯერ-მყრალამ, — უველა პაწაწა ცხოველი გაძირბის. დიდმა, ბრძენმა ბუმ მათხრა, მხოლოდ თქვენ შეგიძლიათ მიშველოთ“

— „რაო? ვნახოთ, შემადი, ოღონდ ახლოს არ მოშეკარო“. — ჰოდა, ჯო, შიგნით უამრავი ჯაღოსნურა ნივთი იყო, დამტვერილი და ერთად დახვავებული, რადგანაც ჯაღოქრს მოსამსახუ-რე არ ჰყავდა.

— რატომ?

— რატომ და იმიტომ, რომ ჯაღოქარი იყო, თანაც ძალიან მოხუცი.

— მოკვდება?

— არა, ჯაღოქრები არ კვდებიან. ჰოდა, ხელი მიაფათურ-მოაფათურა, სადღაც ერთი ძველი ჯოხი გამოჩხრიკა, რომელიც სინამდვილეში ჯაღოსნური იყო, და როჯერ-მყრალას ჰკითხა: რისი სუნი ვსურს აგდიოდესო? როჯერმა იფიქრა, იფიქრა და განაცხადა — ვარდისო.

— რა კარგია! — ჩაურთო ჯომ.

ჭეჭმა საიდუმლოდ ჩაუჭრა თვალი და ჩაიბღერა, თან ჯაღოქრის ბებრულ, უსიამო ხმას ბა-ძავდა:

პოკუს-ფოკუს აბრაკადაბრა,
როჯერ-მყრალა, როგორა ხარ,
ასწიე უური, ინატრე ვარდი,
როჯერ-მყრალა, ნუ გაქვს დარდი.
ახდის

წამით შეეკონდა, თვალი შეასწრო, როგორ აღებეჭდა მის გოგონას სახეზე აღფრთოვანება, როგორ დაებერა წესტოები, წარბები აეზიდა და უხმო სიცილში ჭვედა ტუჩი ჩამოეწია. თვალი შეასწრო და გაოგნდა — ნანახმა მეუღლე მოაგონა — კოკტილზე დაპატიყვიულს, მისაც ასე-თივე ყალბი სიამის ღიმილი დასთანაშებდა, აქაოდა, ზღაპრულ დროს ვატარებო.

— უეცრად, — ჩურჩულით თქვა ჭეჭმა. — ჯაღოქრის სახლში ვარდის სურნელი დატრიალ-და. — „ვარდი!“ — შესძახა როჯერ-თევზმა, ჯაღოქარი კი აუჭიკყინდა, შვიდი პენი მერგებო.

— მამიკო!

— რა იყო?

— როჯერ-მყრალა შენ თქვი როჯერ-თევზიო.

— ჰო, მყრალა.

— შენ კი როჯერ-თევზი თქვი. ხომ სისულელეა?

— მართლაც და სისულელე მოუვიდა შენს მოხუც გამოჩურჩუტებულ მამიკოს, რაზე გავ-ჩერდი? ჰო, ფულზე გეუბნებოდი, იცი, რა მოხდა?

— მითხარი.

— ოკეი, მაგრამ ოთხი პენის გარდა არაფერი მამადიანო. — თქვა როჯერ-მყრალამ და ტირი-ლი მორთო, ჯომ სახე დამანჭა, აქაოდა, მეტირებო, მაგრამ, რაღა თქმა უნდა, თვალთმაქცობდა,

ჩვეს არ ესიამოვნა, დაბლა ავეჭი აკრიალდა. კლერისათვის არაფრით არ შეიძლებაოდა სიმძიმის აწვეა — ექვსი თვის ფეხშიმე იყო, მესამე ბავშვს ელოდებოდა.

— აბა ჩქარა, ბილიკს გაუყვევი. ბოლოში რომ გახვალ, სამჯერ შემოტრიალდი, ჯადოსნურ ქას დაინახავ, შიგ კი სამ პენიანს იპოვიო, უთხრა ჯადოქარმა. ჰოდა, ბილიკი რომ გათავდა, როჯერ-მყრალა სამჯერ შემოტრიალდა, ჯადოსნურ ქაში ჩაიხედა და მართლაც სამი მონეტა არ იპოვა! ფული ჯადოქარს წაუღო, თვითონ კი ბედნიერებისაგან გაბრუნებული ტყეში გაეარდა. ისეთ საამო სურნელს აფრქვევდა, რომ ყველა პაწაწა ცხოველი შემოეხვია გარს, მელედა, რა არ ითამაშეს: დაჭერობანა, ბეისბოლი, კალათბურთი, ლაქროსი, პოკერი, ფეხბურთი, რაკეტაფელა.

— რიკ-ტაფელა რა არის?

— ჯოხებით სათამაშოა.

— ჯადოქარს რომ ჯადოსნური ჯოხი აქვს, ისეთით, არა?

— ჰო, იმდაგვარით. მთელი დღე თამაშითა და სიცილით ვული იჭერეს, ხოლო შებინდდა თუ არა, თავთავის დედოკობთან მოკეტრცხლეს.

ფარდებში დღის სინათლე ატანდა, ჯომ ხელები ააფათურა და ფანჯარაში გაქყეტვა დააპირა, — ეგონა, ზღაპარი მორჩაო. ჩვეს არ უყვარდა, მის მონაცოლს ასე გულგრილად რომ უსმენდნენ, მით უმეტეს ქალები. — აბა, ჯო, თუ მისმენ?

— კი.

— მისმინე, ძალიან საინტერესოა. როჯერ-მყრალას დედამ თქვა: „ეს რა საშინელია სუნია“.

— რა-ა?

— როჯერ-მყრალამ კი უპასუხა: ეს მე ვარ, დედიკო, ვარდის სუნი მდისო. ვინ მოგცა შენ ეგ სუნისო, ჰკითხა დედამ. ჯადოქარმაო. ეს რა თავხედობაა, ახლავე წავიდეთ იმ საზიზღარ ჯადოქართანო.

ჯო ლოგინზე წამოჭდა და დაუფარავი შიშით ხელები გაასავსავა.

— მამიკო, მერე როჯერი ეტყვის, ყველა პაწაწა ცხოველი გამირბისო!

— კეთილი, — თქვა ჩემმა. — მაგრამ, დედიკო, ყველა პაწაწა ცხოველი რომ გამირბისო? ამაზე დედამ უპასუხა: რა მენადვლებო. სწორედ ისეთი სუნი გდოდა, როგორც პატარა მყრალას უნდა ჰქონოდა, აბა მოემზადე, ჯადოქართან უნდა წავიდეთო. ქოლგა აიღო და როჯერი ჯადოქართან წაიყვანა. მისვლისთანავე ის ქოლგა ჯადოქარს პირდაპირ თავში ჩასცხო.

— არა! — ჯომ ხელი გაიშვირა, რომ მამისათვის პირზე აეფარებინა, მაგრამ ვერ გაბედა. თუმცა ძალიან აღელვებული კი იყო.

— მაშინ ჯადოქარმა ჯოხი ჩაართუა დედას თავში და პატარა მყრალას ძველი სუნი აღარ დაუბრუნა, — უსაზღვროდ დიდი იყო გოგონას აღტყინება.

— არა! — უთხრა ჩემმა. — ჯადოქარმა თქვა, ოკეიო, და როჯერ-მყრალამაც ვარდის სუნი დაკარგა, ის ისევ ძველებურად ყარდა.

— მაგრამ სხვა პაწაწა ცხოველები, სხვა რაო, — აზლუქუნდა ჯო.

— ჯოან, ეს მამიკოს ზღაპარია. გინდა მამიკომ ზღაპრები აღარ გიამბოს? — გოგონას გაკვირვება აღებეჭდა მკრთალი შუქით განათებულ ფართო სახეზე. — აი, რა მოხდა მერე, როჯერ-მყრალა და დედამისი სახლისაკენ გამოემართნენ და გზაზე შემოესმათ — „გუ-გუ, გუუ-უუუ“. ეს ის გუგულა მატარებელი გახლდათ, რომელსაც მამიკო-მყრალა ბოსტონიდან ჩამოკყავდა. ვაბშმად ლობით, დაბეგვილი ღორის ხორცი, ნიახური, ღვიძლი, კარტოფილის პიურე და დესერტად „აუპ, რა არის!“ ნამცხვარი მიირთვეს. როცა როჯერ-მყრალა დასაძინებლად დაწვა, მასთან დედიკო-მყრალა მივიდა, მოეხვია და უთხრა, რომ პაწაწა მყრალას ისევ ის ძველი სუნი ჰქონდა და ამიტომაც დედიკოს ძალიან უყვარდა. ამით ზღაპარიც მთავრდება.

— მაგრამ, მამიკო...

— რა?

— სხვა პატარა ცხოველები თუღა გაურბოდნენ?

— არა, ბოლოს და ბოლოს მის სუნს შეეჩვივნენ და ყურადღებას აღარ აქცევდნენ.

— რა არის ბოლოს და ბოლოს?

— ცოტა ხნის შემდეგ.

— შტერი დედიკო ყოფილა.

— სრულებითაც არა! — ისე ცხარედ წამოიძახა, რომ გოგონამ გაკვირვებით შეხედა, ჩემმა კი ჯოს თვალების გამომეტყველებით დაასკვნა: ნამდვილად ჰგონია, რომ მყრალას სახით დედაჩემს ვიცავ, ან მსგავსი რამ სისულელე წარმოიდგინაო. — აბა, ახლა კი მინდა, რომ შენი დიდი, მძიმე თავი ბალიშზე დადო და კარგად გამოიძინო. — ამ სიტყვებით ფარდა ისე გაასწო-

რა, რომ ოთახში სინათლის ნატამალიც აღარ შემოპარულიყო და ფეხიკრეფით კარისაკენ გაემართა. უკვე გადიოდა, რომ თვალი მოჰკრა, როგორ წამოსკუპდა ქო ლოგინში. — აბა დაიფარე საბანი და დაიძინე, სწრაა-ფად! ბოძს რა ხანია სძინავს.

ქო წამოდგა და საწოლის ზამბარებზე ფრთხილად შეკუნტრუშდა.

— მამიკო...

— რა იყო?

— ხვალე ისეთ ზღაპარს მომიყვები, რომელშიც ჯადოქარი თავის ჯადოსნურ ჯონს აიღებს და იმ დედიკოს ჩაართყამს, — დაძაბულობისაგან ფუმფულა ხელები აუცახცახდა, — შიგ თავში.

— არა, აბა ეგ რა ზღაპარია. საქმე ის არის, რომ პატარა მყრალას თავისი დედიკო ყველა პაწაწა ცხოველს ერჩივნა, თანაც დედამისმა იცოდა, რაც უმჯობესი იყო.

— არა, ხვალე იტყვი, რომ ჩაართყა იტყვი, იცოდე! — გოგონამ ფეხები პაერში აიქნია და ისე დაეშვა საწოლზე, რომ ზამბარებმა კენესა და ჩივილი მორთეს. მრავალჯერ უთამაშია ასე, მაგრამ ამჯერად არ გაუცინია. — იტყვი, იცოდე, მამიკო!

— ეარგი, ვნახოთ. საწოლიდან არ აღგე. დაისვენე მაინც. შენ ხომ კარგი გოგო ხარ.

კარი მოიხურა და კიბეზე დაეშვა. კლერს გაზეთები გაეშალა. საღებავის ქილა გაეხსნა და სკამის ზურგს ფუნჯს უსვამდა. საორსულო კაბაზე ჭეკის ძველი პერანგი გადაეცვა. ზევიდან ფეხის ხმა მოესმა.

— ჯოან, ვინდა ამოვიდე და მიგტყუპო: — ფეხის ხმა შეწყდა.

— გრძელი ზღაპარი კი იყო, — თქვა კლერმა.

— საბრალო ბავშვი, — უპასუხა ჭეკმა და მთლად მისაფათებულმა ცოლის საქმიანობას დაუწყო ცქერა, ცოლ-ქმარი რიკულების, ჩარჩოებისა და თამასების ტყვეობაში მოექცა. მოწითალო-ყავისფერი ავეჯი სანახევროდ უკვე სპილოს ძვლისფრად იყო შეღებილი. ჭეკი უსიამო გრძნობამ შეიპყრო, თითქოსდა ცოლთან ერთად მართლაც ტყვეობაში ყოფილიყოს. მას კი აღარც დალაპარაკება სწადდა ცოლთან, აღარც მისთან მუშაობა, აღარც მისი შენება და საერთოდ აღარც არაფერი.



სერბები ესენინი

წერილი დედას



ეროვნული
ბიბლიოთეკა

თარგმნა კალე ზოგოხიძემ

შენ ისევ ცოცხლობ, მოხუცო დედავ,
მეც ცოცხალი ვარ, სალამი შენდა!
დე, შუქს აფენდეს მაგ ქოხსა ზედა
ჩამავალი მზე უცნაურ ფერთა!

მე ასე მწერენ — გიშფოთავს გული.
და ჩემზე დარდი განუხებს მრუმე;
დაეხეტები, ვით ბედით კრული —
დანაოჭებულ ძველ კაბით თურმე!

და მოჩვენება სალამოს ბინდში
საშინელებად დაგყვება თანა, —
თითქოს ლოთებმა მე სადღაც ლხინში
მკერდში დამარტყეს ფინური დანა.

ო, არა უშავს, დანყნარდი, გწამდეს,
რომ თავს დააღწევ უცნაურ ბოდვებს!
ნუ დაიჯერებ, რომ იმდენს ვსვამდე —
დედა ვერ ვნახო და, ისე მოვკვდე!

გჯეროდეს, შემრჩა სინაზე კიდევ,
შენზე ვოცნებობ მე ყოველ წამში;
მსურს, დაგიბრუნო გულის სიმშვიდე, —
როგორმე შენთან დავბრუნდე სახლში!

გჯეროდეს, მოვალ, როდესაც გაშლის
სპეტაკ ყვავილებს ბალნარი ჩვენი,
კვლავ დავიძინებ ღარიბულ სახლში,
რომ შევება ვიგრძნო ალერსის მფენი.

მხოლოდ ამას გთხოვ, ძვირფასო დედავ,
 ნუ გამაღვიძებ ადრე, ვით წინათ;
 ნურც შემისფოთებ ბავშვობის სევდას —
 მოღლილს, მოქანცულს, სადღაც როს სძინავს!



ეროვნული
 ბიბლიოთეკა

ნუ მირჩევ, არ მსურს ლოცვები ძველი,
 წარსული მოკვდა, ზღაპრებიც ქრება;
 მაცოცხლებს შენი ალერსი წრფელი,
 შენა ხარ ჩემი იმედი, შეება!

მოეშვი დარდებს, გამხნევდი გულით,
 ნუ სწუხხარ შვილზე, დაიცხრე სევდა;
 ან ნულარ ივლი, ვით ბედით კრული
 ძველებურ კაბით, ძვირფასო დედა!..

□

პაუნიგტონ ირპინგი

რძე ვან ვინკლი



მოთხრობა

ინგლისურიდან თარგმნა ქეთევან ტოროტაძემ

3ვინც ჰეძონს აღმა აპყოლია, უსათუოდ დაამახსოვრდებოდა კაატსკილის მთები — აპალაჩების განშტოება. ამ მთებს მდინარის დასავლეთიდანაც დაინახავს კაცი. შალა აზიდული მთები ბატონკაცურად დაპყურებენ გარემოს. წელიწადის დრონი, ამინდის ყოველი ცვლილება, დღის ყოველი საათი ჩადოსნურ ფორმას და ელფერს აძლევს ამ მთებს; ამიტომაც ახლომახლო მცხოვრები ქალები მათ ბარომეტრად მიიჩნევენ. მზიან და წყნარ ამინდში მთებს მოლურჯო-მეწამული ფერი ადევთ, მათი კონტურები კი მკაფიოდ აღიბეჭდება ხოლმე სადამოს მოწმენდილ ცაზე. ზოგჯერ, როცა ირგვლივ ღრუბლის ნასახიეც კი არ ჩანს, მთების მწვერვალებზე ნაცრისფერი ნისლი დიდების შარავანდედივით ბრწყინავს და კიაფობს ჩამავალი მზის სხივებში.

ამ ზღაპრული მთების ძირში მოგზაური ადვილად შეამჩნევს სოფლიდან ამომავალ მსუბუქ კვამლს. ყავრის სახურავეები სწორედ იქ გამოკრთის ხეებს შორის, სადაც მთების ლურჯი ფერი პეიზაჟის ხასხასა სიმწვანეს ერწყმის. ეს არის ძველისძველი პატარა სოფელი, რომელიც პროვინციის არსებობის ადრეულ ხანაში, ქველი პიტერ სტაივესანტის¹ (ღმერთმა აცხონოს) მმართველობის დასაწყისში დაარსეს პოლანდიელმა კოლონისტებმა. სოფელში ჯერ კიდევ შემორჩენილია პირველი ახალმოშენების მიერ პოლანდიდან ჩამოტანილი პატარა ყვითელი აგურით ნაგები, ფლიუგერებით დამშენებული სახლები, გისოსიანი ფანჯრებითა და ფრონტონიანი ფასადებით.

სწორედ ამ სოფელში, ერთ-ერთ ასეთ სახლში (სიძარტლევ რომ ვთქვათ, დრო-ყამსა და აედარს თავისი კვალი დაეჩნია მისთვის) მრავალი წლის განმავლობაში, იმ დროიდან მოყოლებული, რაც ეს მხარე დიდი ბრიტანეთის პროვინცია იყო, ცხოვრობდა ერთი უბრალო, გულკეთილი კაცი, სახელად რიპ ვან ვინკლი. იგი იმ ვან ვინკლების შთამომავალი გახლდათ, რომელთაც ასე გამოიჩინეს თავი პიტერ სტაივესანტის რაინდულ ხანაში და ფორტ ქრისტინას² ალყის დროსაც თან ახლდნენ მას. რიპს თავისი მეომარი წინაპრებისა თითქმის აღარაფერი ეცხო. უბრალო, ალაღმართალი კაცი იყო, უფრო მეტიც, გულკეთილი მეზობელი და ცოლის მონა-მორჩილი. სწორედ ამიტომაც იყო ესოდენ თავმდაბალი, რამაც მას საჩვეყნოდ გაუთქვა სახელი. სწორედ ის მამაკაცები არიან გარეთ თვინიერნი და თავმდაბალნი, რომელთაც შინ ანჩხლი ცოლები უზით. ოჯახური დარღვისა და ვარამის გავარვარებულ ღუმელში კაცები დამყოლნი და ლმობიერნი ხდებიან. ცოლის საყვედურები კი პირველი მასწავლებელია მოთმინების და დიდსულოვნებისა. ამიტომ კაპასი ცოლის წყველა-კრულვა ზოგჯერ ლოცვა-კურთხევასავითაა და თუ ასეა, მაშინ რიპ ვან ვინკლი სამგზის კურთხეული იყო.

რიპ ვან ვინკლი ძალიან უყვარდათ სოფლის ქალებს, და როგორც ეს მშვენიერთა სქესს

¹ პიტერ სტაივესანტი — ჩრდილო ამერიკაში პოლანდიური კოლონიის, ახალი ნიდერლანდების უკანასკნელი გუბერნატორი.

² ფორტი ქრისტინა — შვედური სიმაგრე ახალი ამსტრედამის მიდამოებში, რომელიც აიღეს პოლანდიელებმა პიტერ სტაივესანტის მეთაურობით 1655 წ.

სჩვევია, ოჯახურ კინკლაობაში ყოველთვის მის მხარეზე იყვნენ და არც ცდებოდნენ, როდესაც სალამოს საქორაოდ თავშეყრილები ყველაფერში ქალბატონ ვან ვინკლს ადანაშაულებდნენ. რიპ ვან ვინკლის გამოჩენას სოფლის ბავშვებიც მხიარული ყიყინით ზედებოდნენ. ის ესწრებოდა ყველა მათ გართობა-თამაშობას, უკეთებდა სათამაშოებს, ასწავლიდა ფრანის აშვებას და ბურთულეებით თამაშს, უყვებოდა ზღაპრებს მოჩვენებებზე, კუდიანებსა და ინდრელებზე. სოფლის გზაზე მიმავალ რიპს ბავშვები გუნდად ეხვეოდნენ გარს, ტანსაცმელზე ეკიდებოდნენ, ზურგზე აცოცდებოდნენ და ათასგვარ ოინებს უკეთებდნენ, რიპიც ყველაფერს უთმუნდა. მთელს სოფელში ძაღლიც კი არ უყუფდა მას.

რიპს ერთი დიდი ნაკლი ჰქონდა: სძულდა ყოველგვარი შრომა. ეს არ იყო სიზარმაცითა და უძლეურობით გამოწვეული; არა, რიპს შეეძლო გაუნძრევლად მჭდარიყო სველ კლდეზე თათრის შუბივით გრძელი ანკესით ხელში და თუნდაც ერთი კიჭყინაც არ დაეჭირა. მხარზე გადებული სანადირო თოფით საათობით დაეხეტებოდა ტყეებსა და ქაობებში, მთებსა და ველებში ორიოდ ციყვისა და გარეული მტრედის მოსაკლავად. მეზობელს უარს არ ეტყოდა დახმარებაზე, რა მძიმე სამუშაოც არ უნდა ყოფილიყო. სიმინდის დაფშვნაში და ქვის ყორების შეწებაში ხომ ტოლი არ ჰყავდა. სოფლის ქალებიც ხშირად იშველიებდნენ და წვრილმან საქმეებს აკეთებინებდნენ, რაზეც თავიანთი ჩიუტი ქმრები უარს ეუბნებოდნენ. ერთი სიტყვით, რიპს ოღონდ საკუთარ საქმეს ნუ გააკეთებინებდი და მზად იყო ყველას თხოვნა შეესრულებინა. ოჯახის შენახვისა და ფერმის მოვლა-პატრონობაზე თავს არ იწუხებდა.

რიპმა განაცხადა კიდევ, ფერმაში მუშაობა არც ღირსო. მართლაც, ასეთი უფარგისი მიწის ნაკვეთი არავის ჰქონდა მთელ მხარეში. ამ მიწაზე არაფერი ხარობდა და რიპის მოწადინება საქმეს ვერ უშველიდა. ღობე ირღვეოდა, ძროხა ან სადღაც იკარგებოდა ან კომბოსტოს ნათესებში გადადიოდა. მის მინდვრებს სარეველაც უხვად მოსდებოდა. წვიმაც სწორედ იქ დატბორავდა მიწას, სადაც რიპს რამე საქმე ჰქონდა გასაკეთებელი. საგვარეულო მამული რიპის ხელში თანდათან ვერანდებოდა, და ბოლოს სიმინდისა და პამიდვრის ნათესების მხოლოდ პატარა ნაკვეთი დაარჩა. მთელს იმ არემარეში ასეთი უფარგისი და მოუვლელი მამული მართლაც რომ არავის ჰქონდა.

რიპის ბავშვებიც ობლებივით ჩამოხეულ-ჩამოძონძილი დადიოდნენ და ველურებს ჰგავდნენ. მის ვაჟს, რიპს, რომელიც პირწაყარდნილი მამა იყო, ეტყობოდა, ძველ ტანსაცმელთან ერთად მამის ჩვევებიც გამოჰყოლოდა. მამის გაცვეთილ განიერ შარვალში გამოწყობილი ბიჭი დედას კვიცივით კუდში დასდევდა, თან იძულებული იყო შარვალი ცალი ხელით ზევით აეწია, როგორც მშვენიერი ქალბატონები იწევენ ხოლმე შლეიფს ცუდ ამინდში.

რიპ ვან ვინკლი მაინც იმ მოსულელს და ყველაფრით ემაყოფილ მოკვდავთ ეკუთვნოდა. რომელნიც იოლად უყურებენ ცხოვრებას, ვისთვისაც სულ ერთია, თეთრ პურს შეჭამენ თუ შავს. ოღონდ ნაკლები გარჯითა და ზრუნვით მოიპოვონ. მათ ურჩევნიათ იმიმშილონ, ოღონდ ფულის საშოვნელად თითიც არ გაანძრიონ. თავის ნებაზე რომ მიგეშვათ, რიპი მთელ ცხოვრებას სტვენა-სტვენაში გაატარებდა, მაგრამ ცოლი ერთთავად საყვედურებით ავსებდა. ზარმაცი და უდარდელი ხარ, შენს ხელში ოჯახი მთლად გაპარტახდაო. ქალი მთელი დღე ენას არ აჩერებდა და ყველაფერი, რასაც რიპი იტყოდა ან გააკეთებდა, ოჯახში უსათუოდ სალაპარაკო გახდებოდა. ამ საყვედურებზე რიპს მხოლოდ ერთი პასუხი ჰქონდა და იმასაც ისე ხშირად მიმართავდა, რომ ბოლოს ჩვეულებაში გადაეზარდა: მხრებს იჩეჩდა, თავს აქნევდა, თვლებს ზევით აღაპყრობდა, თქმით კი არაფერს იტყოდა. ამაზე მთლად ირეოდა მისი ცოლი. ასე რომ, რიპი იძულებული ხდებოდა სახლს გასცლოდა და იქ შეეფარებინა თავი, სადაც მორჩილი ქმრები იკრიბებოდნენ.

ოჯახში რიპის ერთადერთი თანამგრძნობელი იყო მასავით დაბეჩავებული ძაღლი ვულფი. ზარმაცებმა ერთმანეთი მონახესო, ამბობდა ქალბატონი ვან ვინკლი და როცა მისი ქმარი ოჯახიდან გადაიკარგებოდა ხოლმე, ძაღლს აბრალებდა და ავი თვალითაც კი უყურებდა. მართალია, ვულფივით კეთილშობილი და გულადი ძაღლი მთელს იმ არემარეს არ ახსოვდა, მაგრამ რაგინდ გულადიც არ უნდა ყოფილიყო, ამ მუდამ ჩასაფრებული და მოჩხუბარი ქალის ენა-მწირეობას ვერ უძლებდა. სახლში რომ შევიდოდა, ვულფი შიშისაგან კუდამოძუებული დამნაშავესავით დასუნსულვებდა, თან ქალბატონ ვან ვინკლს ცერად გახედავდა და ცოცხის ან ციცხვის ოდნავი მოქნევისას წკმუტუნით გავარდებოდა გარეთ.

გალიოდა ვან ვინკლების კოლქმრობის წლები და რიპის მდგომარეობა უფრო აუტანელი

ხდებოდა. მძიმე ხასიათს დრო ვერაფერს შველის და მწარე ენაც ერთადერთი იარაღია, რომელიც ხშირი ხმარებით უფრო ბასრი ხდება. სახლიდან გაგდებული რიპი ბრძენთა, ფილოსოფოსთა და სოფლის უსაქმურთა თავყრილობას აფარებდა თავს და კარგა ხანს ამით მაინც იოხებდა გულს. სხდომები მისი უდიდებულესობის, ლოყებლავლავა ჯობა მესამის პორტრეტით დამშვენებული პატარა დუქნის წინ სკამზე იმართებოდა. ზაფხულის მცხუნვარე დღეებში ისინი ჩერთში ისხდნენ და თავს იქცევდნენ სოფლის ქორებით. მაგრამ ყველაფერი უმჯობესოდ მოღვაწე მოიგებდა დიდად, მათი ბრძნული კამათი რომ მოესმინა. განსაკუთრებით მწიფე მსჯელობდნენ ბრძნულად. როცა ამკლელ-ჩამკლელისაგან შემთხვევით ძველი გაზეთი ჩაუვარდებოდათ ხოლმე ხელში. რა აღტაცებით უსმენდნენ სკოლის მასწავლებელს — დერიკ ვან ბუმელს, ნასწავლსა და მკვირცხლ ჩია კაცს, რომელიც გაბმულად უკითხავდა გაზეთს. მას ლექსიკონის ყველაზე რთული სიტყვაც კი არ აშინებდა. რა ბრძნულად მსჯელობდნენ რამდენიმე თვის წინათ მომხდარ საქვეყნო ამბებზე.

მათ თავყრილობას ხელმძღვანელობდა ნიკოლას ვედერი, სოფლის პატრიარქი და მედუქნე. ის თავისი დუქნის კართან იჯდა დიდიდან საღამომდე. მზე რომ მიადგებოდა, მხოლოდ მაშინ თუ მოინაცვლებდა ადგილს და დიდი ხის ჩრდილს შეაფარებდა თავს. ასე რომ, მეზობლები მისი მოძრაობის მიხედვით ისე ზუსტად გეტყოდნენ დროს, თითქოს მზის საათისათვის შეეხედოთ. მის ლაპარაკს იშვიათად გაიგონებდით; იგი მუდამ ჩიბუხს ეწეოდა. და მაინც, მისი მიმდევრები (ყველა დიდ პიროვნებას ჰყავს მიმდევარი) ძალიან კარგად უგებდნენ ვედერს და მის აზრებსაც ადვილად კითხულობდნენ. შემჩნეული ჰქონდათ, რომ როდესაც რაიმე წაკითხული ან შონაყოლი არ მოეწონებოდა, ჩიბუხს უფრო ღონიერად და გაბრაზებული მოქაჩავდა და პატარა, ხშირ ბოლქვებს უშვებდა. თუ მოეწონებოდა — ნელა და მშვიდად შეისუნთქავდა და მხოლოდ მსუბუქ კვამლს გამოუშვებდა ხოლმე. ზოგჯერ ჩიბუხს პირიდან გამოიღებდა და მოწონების ნიშნად თავს იქნევდა, სურნელოვანი კვამლი კი ბოლქვებად ადიოდა მაღლა. ბოლოს უბედური რიპი კაპასმა ცოლმა ამ ციხე-სიმაგრედანაც გამოათრია. მოულოდნელად დაესხმებოდა ხოლმე თავს წყნარ თავყრილობას და ყველას ლანძღვით იკლებდა. ამ ანჩხლი დედაკაცის მწარე ენისაგან არც კეთილშობილი ნიკოლას ვედერი იყო დაზღვეული, რომელსაც ქალი ქმრის გაზარმაცებაში სდებდა ბრალს.

საწყალი რიპი ბოლოს სასოწარკვეთილებაში ჩავარდა. სხვა გზა აღარ ჰქონდა, ფერმაში მუშაობისა და ცოლის ლანძღვა-გინებისათვის თავი რომ დაეღწია, თოფს იღებდა ხოლმე და ტყეში გასწევდა სახეტიალოდ. იქ ხის ძირში ჩამოჯდებოდა, აბგიდან საგზალს ამოიღებდა და ვულფს უზიარებდა — ეცოდებოდა ერთგული მეგობარი, გასაჭირშიც რომ არ შორდებოდა გვერდიდან. „შე საწყალო ვულფ, — ეტყოდა ხოლმე, — რა ძალღური ცხოვრება გაქვს შენი ქალბატონის ხელში. მაგრამ არა უშავს, მეგობარო, სანამ ცოცხალი ვარ. არაფერს გაგიჭირვებ“. ვულფი კუდს აქიცინებდა, ნადვლიანად შეჰყურებდა პატრონს თვალებში და, თუ ძალღებს თანაგრძნობა შეუძლიათ, მჯერა, რომ ვულფი მთელი სულითა და გულით თანაუგრძნობდა პატრონს.

შემოდგომის ერთ მშვენიერ დღეს თავისი საყვარელი საქმით — ციყვებზე ნადირობით გატაცებული რიპი კაატსკილის მთების ერთ-ერთ უმაღლეს მწვერვალზე აღმოჩნდა. თოფის გასროლას მხოლოდ მთები ეხმაურებოდა. მოსაღამოებულზე აქოშინებული და დაღლილი რიპი მთის ბალახით დაფარულ მწვანე ბორცვზე მიეგდო. კლდის შეერილზედაც, უფსკრულს რომ ჩაჰყურებდა, ბალახი ბიბინებდა. დაბლა ხეებს შორის რიპი ხედავდა რამდენიმე მილზე გადაჭიმულ ხშირ ტყეებს. შორს მოჩანდა ჰუძონი, მდორედ, მაგრამ დიდებულად რომ მიედინებოდა. მდინარეს ალისფერი ათინათი დასთამაშებდა. წყლის მოსარკულ ზედაპირზე ზანტად მიცურავდნენ ორჩხომელები, რომლებიც ბოლოს ლურჯ სივრცეში ინთქმებოდნენ.

რიპმა ახლა მეორე მხარეს ღრმა, უკაცურ, შიშისმომგვრელ და გაბურღულ ღარტაფში ჩაიხედა, რომლის ფსკერი კლდიდან ჩამონაშალ ქვა-ღორღს დაეფარა. ჩამავალი მზის სხივები ძლივს აღწევდა ღარტაფში. რიპი კარგა ხანს იწვა და სანახაობით ტკბებოდა. საღამოს ბინდი ჩამოწვა, მთების გრძელი ლურჯი ჩრდილები მინდვრებს დაეფინა. რიპი მიხედა, სოფელში ჩასვლამდე დაუღამდებოდა და ქალბატონ ვან ვინკლთან მოსალოდნელი ჩხუბი რომ წარმოიდგინა, ღრმად ამოიოხრა.

ის იყო, რიპმა ჩასვლა დააპირა, რომ შორიდან ყვირილი შემოესმა: „რიპ ვან ვინკლ! რიპ ვან ვინკლ!“ მიიხედ-მოიხედა, მაგრამ ვერაფერი დაინახა ყვავის გარდა, მთას რომ დასტრიალებდა თავზე; იფიქრა, ყურმა ხომ არ მომატყუაო, და კვლავ დააპირა ძირს ჩასვლა, რომ საღამოს წყნარი ჰაერი ისევ შეარხია იგივე ძახილმა: „რიპ ვან ვინკლ! რიპ ვან ვინკლ!“ —

ვულფს ზურგზე ბალანი აეშალა. ხმამაღლა შეიღრინა და პატრონის გვერდზე გაიტრუნა. თან შეშფოთებული იყურებოდა ლარტაფში. რიპმა ახლა გაურკვეველი შიში იგრძობა. მანაც იქით გაიხედა და რაღაც უცნაური არსება დაინახა: ზურგზე მძიმე ტვირთმოკიდებული გაჭირვებით მიბობდა კლდეებზე. რიპს გაუკვირდა, ამ მიყრუებულ და უკაცრიელ ადგილას ადამიანს რა უნდაო, მაგრამ იფიქრა, ეს ალბათ ჩემი მეზობელი იქნება, დახმარება სჭირდებაო, და დაბლა დაეშვა.

ახლოს რომ მივიდა, უცნობის უჩვეულო გარეგნობამ კიდევ უფრო გააკვირვა. დაბალი, ჭმუხი მოხუცი იყო, ხშირი გაბურძღვნილი თმა და ქალარა წვერი ჰქონდა. ეცვა ძველი პოლანდიური ყაიდის ტანსაცმელი — წელზე ჭამარშემოქერილი ტილოს კურტაკი და რამდენიმე შარვალი. ზემოთა შარვალი ხალვათი იყო. გვერდებზე დილებითა და მუხლებთან ლენტებით მორთული, მხარზე კასრი ჰქონდა შედგმული ეტეობა, შიგ რაღაც ესხა. უცნობი რიპს ანიშნებდა, მოდი, ტვირთის წაღებაში მიშველეო. თუმცა რიპი საკმაოდ უნდობლად უყურებდა ამ ახალ ნაცნობობას, მაინც ჩვეული სიმკვირცხლით დაემორჩილა. ასე ერთმანეთის დახმარებით შეუყვანენ ვიწრო ლარტაფს, რომელიც, ეტეობა, შთის ნაკადის დამშრალი კალაპოტი იყო. ასვლისას რიპს წამდაუწყუმ ესმოდა ზარების რეკვის მსგავსი ხმა, მეხივით რომ ქუხდა მთებში. ის ან ღრმა ხრამიდან მოისპოდა, ან მაღალ კლდეებში ჩაკარგული ხეობიდან, საითკენაც მათი მიხვეულ-მოხვეული ბილიკი მიემართებოდა. რიპი წამით შეჩერდა, მაგრამ გაიფიქრა, ალბათ მაღალ მთებში კოკისპირულად წვიმს და მალე გადაიღებს, როგორც საერთოდ იცისო, და გზა განაგრძო. ხეობა რომ გაიარეს, ამფითეატრის მსგავს პატარა ტაფობს შეადგინენ, რომელსაც გარს უფსკრული ეკრა. უფსკრულს ტოტებგაშლილი ხეები ჩაჰყურებდნენ, ასე რომ კაცი თვალს ძლიერს ჰკიდებდა ლაყვარდოვან ცასა და საღამოს ქულა ღრუბლებს, მთელი ამ ხნის განმავლობაში რიპი და მისი თანამგზავრი მდუმარედ მდევლევდნენ გზას, თუმცა რიპს ძალიან აინტერესებდა, რატომ ამოიტანეს ამ უკაცრიელ მთებში სასმელით სავსე კასრი. მაგრამ უცნობი ისეთი უხიავი და უცნაური ვინმე ჩანდა, რომ რიპს შიში იპყრობდა და მასთან გაშინაურობას ვერ ბედავდა.

ამფითეატრში შესვლისას განსაცვიფრებელი რამ წარმოუდგა თვალწინ. მოვაკებული ადგილის შეიგულში რამდენიმე უცნაური გარეგნობის კაცი კეგლს თამაშობდა. მათ უჩვეულოდ ეცვათ — ზოგს მაკლე კამზოლი ემოსა, ზოგს ქურთუკი, ჭამრებზე გრძელი დანები ეკიდათ, უმრავლესობა კი რიპის მეგზურივით ვეებერთელა შარვლებში იყო გამოწყობილი. სახეებიც უჩვეულო ჰქონდათ — ერთი დიდთავა იყო, ბრტყელი სახე და ღორის კრუტა თვალები ჰქონდა, მეორე თითქმის ცხვირად იყო ქცეული, თავზე თეთრი წოწოლა ქუდი ეტურა, მამლის წითელი ბოლოთი მორთული. ყველას სხვადასხვა ფორმისა და ფერის წვერი ჰქონდა. ერთი მათგანი, როგორც ჩანდა, მეთაური, ჩასუქებული მოხუცი იყო, ზონრებიანი კამზოლი ეცვა, წელზე ბრტყელი ჭამარი შემოერთყა. ფრთებით დამშვენებული მაღალი ქუდი ეხურა და წითელი წინდები და ვარდებით მორთული მაღალქუსლიანი ფეხსაცმლები ეცვა. ამ ხალხმა რიპს მოაგონა სოფლის მღვდლის, დომინი ვან შეიკის სასტუმრო ოთახში ჩამოკიდებული კოლონიზაციის დროს პოლანდიიდან ჩამოტანილი ძველი ფლამანდიური სურათი.

რიპს ყველაზე მეტად ის ეუცნაურა, რომ ეს ხალხი ერთობოდა და მაინც ყველას პირქუში გამომეტყველება ჰქონდა. ასეთი დაღვრემილი მოთამაშენი არასოდეს ენახა რიპს. ირგვლივ იდუმალი სიჩუმე გამეფებულიყო, რომელსაც ხანდახან არღვევდა გაგორებული ბურთების ხმა, მეხის გრუხუნით რომ გაისმოდა მთებში.

როდესაც რიპი და მისი თანამგზავრი ახლოს მივიდნენ, მათ უცბად შეწყვიტეს თამაში და ისეთი უძრავი, გაყინული თვალებით შეხედეს, თან ისეთი უცნაური, უსიცოცხლო გამომეტყველება ჰქონდათ, რომ რიპს გული გადაუქანდა და მუხლები მოეკვითა. მისმა თანამგზავრმა კასრიდან დიდ დოჭებში ჩააცალა სასმელი და რიპს ანიშნა, მოთამაშეებს მიართვიო. შეშინებული და აცახცახებული რიპი დაემორჩილა. მათ ჩუმად დალიეს სასმელი და კვლავ განაგრძეს თამაში.

რიპს თანდათან გაუარა შიშმა და აემა წინათგრძნობამ. როდესაც არაფერი არ უყურებდა, სასმელს ჭამნიკიც კი გაუსინჯა და შეამჩნია, რომ მას მშვენიერი პოლანდიური ღვინის გემო ჰქონდა. საერთოდ რიპს სმა უყვარდა და ცდუნებას ვეღარ გაუძლო. ერთი ყლუბი კიდევ მოსვა. ერთს მეორე მიაყოლა და დოქს თითქმის ძირი გამოუთეთრა. ბოლოს გონება დაებინდა, თავბრუ დაეხია, თავი ჩაქინდრა და ღრმა ძილს მიეცა.

როცა გამოიღვიძა, ნახა, რომ მწვანე მოლზე იწვა. სწორედ იქ, სადაც პირველად მოჭრა თვალი მოხუცი კაცი. რიპმა თვალები მოიფშვნიტა. ნათელი, მზიანი დილა იყო. ბუჩქებში

ჩიტები დაფრთხილებდნენ და ჭიკჭიკებდნენ, მალა არწივი ირაოს ჰკრავდა; მისი ცელქი ნი-
ვი ჭროდა. „ნუთუ მთელი ღამე აქ მეძინა?“ — გაიფიქრა რიპმა. გაიხსენა, დაძინებამდე რაც გადახ-
და. უცნაური კაცი, სასმელით საესე კასრი, ხეობა მთაში, მივარდნილი თავშესაფარი კლდეებს
შორის, დაღვრემილი კეგლის მოთამაშეები, დოქი. „დოქი! ის წყვეტს დოქს“ — გაიფიქრა რი-
პმა. — რით ვიმართლო თავი ქალბატონ ვან ვინკლთან?“

გოგონა იქნებოდა

რიპმა თოფი მოიძია, მაგრამ გაწმენდილი და გაპრიალებული სანადირო თოფის მაგივრად
დაქანგულლულიანი ძველი კაყის თოფიდა შერჩა ხელში, რომელსაც საკეტი მოსძრობოდა და
კონდახიც მატლებს გამოეხრათ. რიპს ეჭვი შეეპარა, ალბათ იმ არამზადებმა ოინი მიყვეს, დამა-
თვრეს და თოფი მომპარესო. ვულფიც აღარსად ჩანდა, ციყვს ან მწყერს თუ გაეკიდა. რიპ-
მა დაუსტვინა, დაუძახა კიდევ, მაგრამ ამაოდ. ექომ გაიმეორა მისი სტვენა და ძახილი, ძალლი
კი არ ჩანდა.

რიპმა გადაწყვიტა იმ ადგილს სწვეოდა, სადაც წინა ღამეს გამოთვრა და თუ ვინმეს შე-
ხედებოდა, თავისი თოფი და ძალლი მოეთხოვა. წასასვლელად რომ წამოიწია, სახსრები აღარ
დაემორჩილა, ვერც ჩვეული სიმკვირცხლე იგრძნო. „მთაში ძილი მწყენს, — გაიფიქრა რიპმა,
— თუ ამ დროსტარებამ ქარები ამიშალა, ქალბატონი ვან ვინკლი კარგ დროს გამატარებინებს“.
რიპი ძლივს ჩაბობლდა ხრამში, იპოვა ის ღარტაფი, სადაც ის და მისი თანამგზავრი წინალამით
აეიდნენ. მაგრამ მისდა გასაოცრად, ახლა იქ მთის მდინარე მოქუხდა, აქაფებული კლდეებს
უხეტქებოდა და ხრამს მსუილით აყრუებდა. რიპმა მაინც სკადა ნაპირ-ნაპირ ველო, გაჭირვებით
მიიკვლევდა გზას არყის ხეებში, ეკალიჭისა და გარეული თხილის ბუჩქებში, ზოგჯერ ველურ
ვაზშიც გაეხმებოდა ხოლმე, ხიდან ხეზე რომ იყო გაბმული.

ბოლოს რიპმა მიაღწია იმ ადგილს, სადაც ხევში კლდეებს შორის ამფითეატრი ეგულე-
ბოდა, მაგრამ ახლა მისი კვალიც აღარსად ჩანდა. მთებს გაუვალი კედელი აღემართათ, საიდანაც
აქაფებული წყლის ნაკადი მოედინებოდა და ხეებით დაჩრდილულ პატარა ტბას ერთვოდა.
საწყალი რიპი იძულებული გახდა აქ გაჩერებულიყო. მან ისევ დაუძახა და დაუსტვინა ძალღს,
მაგრამ პასუხად მოესმა მხოლოდ სულელი ყვავების ყრანტალი, რომლებიც უფსკრულზე გად-
მოყიდებული გამხმარი ხის თავზე დაფრინავდნენ. ყვავები ამ სიმაღლეზე თავს თითქოს უშიშ-
რად გრძობდნენ და დასტინოდნენ გაჭირვებაში ჩაეარდნილ უბედურ კაცს. რა უნდა ექნა?
შუადღე ახლოვდებოდა, უსაუზმოდ დარჩენილ რიპს შიმშილი აწუხებდა. გული სტკიოდა ძალ-
ლისა და თოფის დაკარგვის გამო. ცოლთან შეხვედრისაც ეშინოდა, მაგრამ არც მთაში შიმში-
ლით სიკვდილი უნდოდა. რიპმა თავი გადააქნია, ეანგიანი თოფი მხარზე გადაიკიდა და შეწუ-
ხებული და შეშფოთებული შინისაკენ გაეშურა.

სოფელს რომ მიუახლოვდა, გზაზე რამდენიმე კაცი შემოხვდა. მაგრამ ვერც ერთი ვერ
იცნო, რამაც, ცოტა არ იყოს, გააკვირვა; ეგონა, ამ მხარეში ყველას იცნობდა. შემხვედრთ ტა-
ნსაცმელიც რაღაც უჩვეულო ეცვათ. თვითონაც გააკვირვებული უყურებდნენ რიპს და თან
ნიკაპს ისრესდნენ. რიპმაც მოისვა ნიკაპზე ხელი და გაოცდა — წვერი ერთ ფუტზე მოზრ-
დოდა.

რიპი სოფელში შევიდა. უცნობი ბავშვების გუნდი ყიყინით გამოეკიდა, ნახეთ, რამსიგრ-
ძე წვერი აქვსო. ძაღლებიც უყუფდნენ. რიპმა ვერაფერ ვერ იცნო. სოფელი შეცვლილიყო. გა-
ზრდილიყო და ხალხმრავალი გამხდარიყო. იდგა ახალი სახლები, რომლებიც ადრე არასოდეს
ენახა, მისი ნაცნობი სახლები კი გამქრალიყო. კარებზე უცნობი გვარები ეწერა, უცნობი
სახეები მოჩანდა ფანჯრებში, ირგვლივ ყველაფერი უჩვეულო იყო. რიპს გულმა რეჩხი უყო.
ექვი შეეპარა, მეცა და ყველაფერიც გარშემო მოკადოებული ხომ არა ვართო. რასაკვირ-
ველია, ეს მისი მშობლიური სოფელი იყო, საიდანაც წინა ღამით წავიდა, აი კაატსკილის მთე-
ბი, შორის ვერცხლისფერი პუძონი მიედინება, გორაკები და დაბლობები ზუსტად ისეთივეა,
როგორიც ადრე იყო. რიპი საგონებელში ჩავარდა. „როგორ ამირია გონება წუხანდელმა იმ
ერთმა დოქმა ღვინომ“, — გაიფიქრა მან.

რიპმა გუმანით გაიგნო გზა სახლისაკენ. შეშინებული მღუმარედ უახლოვდებოდა, თან
ყოველ წუთს ელოდა ქალბატონ ვან ვინკლის გამყინავი ხმის გაგონებას. სახლი დანგრეული
დახვდა — სახურავი ჩამოქცეოდა, ფანჯრები ჩამტვრეულიყო, კარებიც ანჯამებიდან მოწყვეტი-
ლიყო. შიმშილით გაძვალტყავებულ ძაღლსაც, ვულფს რომ ჰგავდა, იქვე მოერთხა ფეხი. რიპმა
დაუძახა, მაგრამ ძაღლმა შეუღრინა, კბილები დაკრიჭა და გაიძურწა. ეტყობა, ავი ძაღლი იყო.
„ჩემმა ძაღლმაც კი დამივიწყა“, — ამოიოხრა საბრალო რიპმა.

რიპი სახლში შევიდა, რომელსაც, სიმართლე რომ ვთქვათ, ქალბატონი ვან ვინკლი კარ-
გად უვლიდა. სახლი ცარიელი იყო, გავერანებული და აშკარად მიტოვებული. მწუხარებამ რიპს

ცოლის შიში დაავიწყა — ხმაბლლა უხმობდა ცოლსა და შვილებს. მხოლოდ შიშოვებული ოთახები ეხმაურებოდნენ მის ძახილს და ისევ სიჩუმე ისადგურებდა.

რიპი თავისი ძველი თავშესაფრისაკენ — სოფლის დუქნისაკენ გაეშურა. მანქანა აღარც ის დახვდა, მის ადგილას დიდი ხის შენობა იდგა, რომელიც საცაა დაინგრეოდგ. მანქანის ძვანჯრები ძველმანით ამოვესოთ, კარზე კი ეწერა: „შვერთებული შტატების ოტელი, ჯონათანი დულიტლი“, დიდი ხის ნაცვლად, რომლის ჩრდილშიაც ადრე მყუდრო პოლანდიური დუქანი იდგა, ახლა მალალი ბოძი აღეშართათ. ბოძს წითელი ჩაჩივით რაღაც ჰქონდა ჩამოცმული, ჩაჩზე კი ზოლებიანი და ვარსკვლავებიანი დროშა ფრიალებდა. ეს ყველაფერი ძალზე უცნაური და გაუგებარი იყო რიპისათვის. მან იცნო მეფე ჯორჯის ლაქაფაი სახე აბრაზე, რომლის ქვეშაც ხშირად გაუბოლებია ჩიბუხი, მაგრამ მეფეც საოცრად შეცვლილიყო. წითელი მუნდირი ლურჯ-ყვითლად შეეღებათ, ხელში კვერთხის ნაცვლად ხმალი ეპყრა, თავზე სამკუთხა ტუდი ეხურა, ქვეშ კი დიდი ასოებით ეწერა: გენერალი ვაშინგტონი.

კართან, როგორც ყოველთვის, ხალხი ირეოდა, მაგრამ რიპმა ვერაფერ იცნო, ხალხს თითქოს ხასიათიც კი გამოსცვლოდა: ჩვეული უხალისობისა და ძილისმომგვრელი სიმშვიდის ნაცვლად ირგვლივ საქმიანი, მღელვარე ატმოსფერო შექმნილიყო. რიპი ამაოდ ეძებდა ფართო სახიან ბრძენ ნიკოლას ვედერს, ცოტას რომ ლაპარაკობდა და სამაგიეროდ მშვენიერ გრძელ ჩიბუხს რომ აბოლებდა ხოლმე. მერე ძებნა დაუწყო სკოლის მასწავლებელს ვან ბუმელს, რომელიც ძუნწად ყვებოდა ხოლმე ძველი გაზეთის შინაარსს. მათ ნაცვლად დახვდა გამბდარი, ფიცხი ახალგაზრდა, რომელსაც ვიბეები სარეკლამო ფურცლებით ჰქონდა გამოტენილი დ მგზნებარე სიტყვას წარმოთქვამდა მოქალაქეთა უფლებებზე, არჩევნებზე, კონგრესის წევრებზე თავისუფლებებზე, ბანკერ პილზე, სამოცდათექვსმეტი წლის³ გამირებზე... ეს ყველაფერი გოგნებული ვან ვინკლისათვის ჩიხურივით იყო.

რიპის გარეგნობამ, მისმა გრძელმა ქალარა წვერმა, ეანგიანმა თოფმა, უცნაურმა ტანსაცმელმა და უკან დადევნებულმა ქალებისა და ბავშვების გუნდმა მალე მიიპყრო სოფლის პოლიტიკოსთა ყურადღება. გარს შემოეხვივნენ და თავით ფეხამდე ცნობისმოყვარეობით ათვალიერებდნენ. ორატორი მასთან მიიჭრა. გვერდზე გაიხმო და ჰკითხა, რომელ მხარეს აძლევთ ხმასო, რიპი სულელივით მიაჩერდა. მეორემ, დაბალმა საქმიანმა კაცმა, მკლავზე მოქაჩა, თითის წვერებზე აიწია და უურში ჩასძახა, ფედერალისტთა პარტიას ეკუთვნით თუ დემოკრატიულსო. რიპს ვერ გაეგო, რას ეკითხებოდნენ. ამ დროს ერთმა მედიდურმა მოხუცმა ჯენტლმენმა, წოწოლა სამკუთხა ტუდი რომ ეხურა, ბრბოში იდაყვებით გზა გაიკვლია და რიპის წინ აღიმართა, ერთი ხელით დოინჯი შემოირტყა, მეორეთი ჯოხს დაეყრდნო, მახვილი თვალებით კი ლამის სულში ჩაუძვრა რიპს და მკაცრად ჰკითხა, რატომ მოხვედით არჩევნებზე მხარზე გადაკიდებული თოფით, სოფელში ამბოხებას ხომ არ აწყობთო?

— რას ამბობთ, ბატონებო, — წამოიძახა თავზარდაცემულმა რიპმა, — მე ერთი საწყალი უთქმელი კაცი ვარ, ამ ადგილების მკვიდრი და მეფის ერთგული, ღმერთმა აკურთხოს იგი!

ხალხმა ყვირილი ატეხა — „ტორი! ტორი! ჩამუშე! ლტოლვილი! ჩაქოლეთ! გააძევეთ! სამკუთხაქუდიანმა მედიდურმა კაცმა ძლივს დაამოშშინა ხალხი, შემდეგ წარბები აზიდა და კელავ მკაცრად ჰკითხა რიპს, რისთვის მოხვედით აქ, ვის ეძებთ. საწყალი რიპი მორჩილად არწმუნებდა, ცუდი არაფერი მიდევს გულში, მხოლოდ მეზობლების საძებრად მოვედი, რომელთაც აქ დუქანი ჰქონდათო.

— ვინ არიან ისინი? დაგვისახელეთ.

რიპი ერთი წუთით ჩაფიქრდა, მერე კი იკითხა:

— სად არის ნიკოლას ვედერი?

მკირე ხნით სიჩუმე ჩამოვლოდა, შემდეგ ერთმა მოხუცმა კაცმა წერილი ხმით წამოიძახა:

— ნიკოლას ვედერი! თერამეტი წელია, გარდაიცვალა! ეკლესიის ეზოში მისი საფლავის წარწერა ყველაფერს გაუწყებდათ, მაგრამ ახლა ის ხის ქვარიც დაღბა და დაიშალა.

— ბრუმ დატჩერი სადღაა?

³ ბანკერ პილში ბოსტონის მახლობლად 1775 წ. 16 ივნისის ღამეს მოხდა დამოუკიდებლობისათვის ომის ერთ-ერთი პირველი ბრძოლა.

⁴ 1776 წელი იყო ქვეყნის დამოუკიდებლობისათვის მეზობლი ახალგაზრდა ამერიკული არმიის მძიმე გამოცდის წელი.

⁵ ტორის ანუ ლოთილისტებს უწოდებდნენ ბრიტანეთის იმპერიის მომხრეებს იმ პერიოდში.

— ომი რომ დაიწყო, ჯარში წავიდა, ზოგი ამბობს, სტოუნი პოინტი⁶ იქვე დროს მოკლესო, სხვები კი ამტკიცებენ, ენტონიზ ნოუსთან⁷ ქარიშხლის დროს დაიხრწოთ არ ვიცი, რა მოუვიდა, უკან კი აღარ დაბრუნებულა და...

— სკოლის მასწავლებელი ვან ბუმელი სადაა?

— ისიც ომში წავიდა, სახალხო ლაშქრის გენერალი გახდა და ახლა კონგრესშია, რიპს გული მოუკვდა, თავისი ოჯახისა და ამხანაგების ამბავი რომ გაიგო, ახლა ის მარტოდმარტო იყო დედამიწის ზურგზე. პასუხებიც ანციფრებდა, რადგან ისინი ისეთ საკითხებს შეეხებოდნენ, რაც მას ვერ გაეგო — ომს, კონგრესს, სტოუნი პოინტს. გამბედაობა აღარ ეყო, რომ სხვა მეგობრებიც მოეკითხა და სასოწარკვეთილმა დაიყვირა: — ნუთუ აქ რიპ ვან ვინკლს არავინ იცნობს?

— რიპ ვან ვინკლს? — წამოიძახა ორმა თუ სამმა კაცმა. — როგორ არა! აი, ის არის რიპ ვან ვინკლი, ხეს რომ მიყრდნობია.

რიპმა გაიხედა და თავისი ზუსტი ორეული დაინახა; სწორედ ასეთი იყო მაშინ, მთაში რომ წავიდა: ასეთივე ზარმაცი და ჩამოძონძილი. საწყალი კაცი უხერხულ მდგომარეობაში ჩავარდა, თანაც დაეკვდა, მაშ მუ ვინღა ვარო. შეცბუნებულს სამკუთხაქუდიანმა კაცმა ჰკითხა, ვინა ხართ და რა გქვიათო.

— დმერთმა უწყის, — წამოიძახა გონებაარეულმა რიპმა, — მე ის აღარა ვარ, ვინც ვიყავი. სხვა ვინმე ვარ... აი, იქ ვარ მე. არა, ის სხვა ეილაკაა, ჩემს ტანისამოსში გამოწყობილი. წუხელ მე მე ვიყავი, მაგრამ მთაში ჩამეძინა, თოფი გამომიცვალეს და ყველაფერი შეიცვალა, მეც გამოვიცვალე და ველარ გეტყვით, რა მქვია ან ვინა ვარ.

იქ მყოფებმა ერთმანეთს გადახედეს, თავი მრავალმნიშვნელოვნად გადააქნიეს და ერთმანეთს თვალი ჩაუტრეს, თან შუბლზე თითი მიიკაკუნეს. ჩურჩულიც კი ატყდა, თოფი წავართვათ, სანამ მოხუცი უბედურებას გადაგვყრიდესო. ამის თქმა იყო და სამკუთხაქუდიანმა მედიდურმა კაცმა სწრაფად დაიხია უკან. სწორედ ამ გადამწყვეტ წუთში ახალგაზრდა სანდომიანმა ქალმა ბრბო გაარღვია, რათა ჭაღარა წვერიანი კაცისათვის შეეხედა. მას ხელში ფუნჩულა ბავშვი ეჭირა, ბავშვს რიპის შეეშინდა და ტირილი მორთო.

— სუ, რიპ, — დაუყვავა ქალმა, — ჩუ, შე სულელო, მოხუცი არაფერს გავნებს.

ბავშვის სახელმა, ქალის გარეგნობამ, მისმა ხმამ რიპს მოგონებები აუშალა.

— რა გქვია, კეთილო ქალო? — ჰკითხა მან.

— ჯუდიტ გარდნერი.

— მამაშენს რა ჰქვია?

— რიპ ვან ვინკლი ერქვა იმ საწყალს, მაგრამ აგერ უკვე ოცი წელია, რაც სახლიდან წავიდა თოფით და აღარ გამოჩენილა, უგზო-უკვლოდ დაიკარგა. ძალი მარტო დაბრუნდა შინ. რიპს კი რა დაეშარათა, თავი მოიკლა თუ ინდიელებმა მოიტაცეს, ვერავინ ვერცხვით. მე მაშინ პატარა ვიყავი.

რიპს მხოლოდ ერთი რამ დარჩა გასაგები. აკანკალებული ხმით ჰკითხა:

— დედამენი სადღაა?

— ისიც მალე გარდაიცვალა. ახალინგლისელი ვაჭრის სიყვარულით გადარეულმა ვენები გადაიჭრა.

ამ ცნობამ რიპს ცოტათი გული გაუკეთა. თავი ველარ შეიკავა და თავისი ქალიშვილი და მისი ბავშვი გულში ჩაიკრა.

— მე ვარ მამაშენი, — წამოიძახა მან, — ერთ დროს ახალგაზრდა, ახლა კი მოხუცი რიპ ვან ვინკლი. ნუთუ არავინ იცნობს საწყალ რიპ ვან ვინკლს?

კველა განციფრებული იდგა, ბოლოს ერთი მოხუცი ქალი ბრბოს გამოეყო. შუბლზე ხელი მოიჩრდილა, რიპს ერთი წუთით სახეში მიაჩერდა და წამოიძახა:

— ეს ხომ რიპ ვან ვინკლია. სწორედ ის არის. კეთილი იყოს შენი დაბრუნება, ძველო მეზობელო. მაინც სად იყავი მთელი ეს ოცი წელიწადი?

რიპმა თბრობა მალე დაასრულა, რადგან მთელი ოცი წელიწადი მისთვის ერთ ღამეს უდრიდა. მეზობლები გაოცებული უყურებდნენ, ზოგი ერთმანეთს თვალს უკრავდა და დამცინავად ლაპარაკობდა. საფრთხემ რომ გაიარა, სამკუთხაქუდიანი მედიდური კაცი დაბრუნდა და შეწუხებულმა თავი გადააქნია. მთელმა საკრებულომაც თავი გადააქნია.

⁶ სტოუნი პოინტი — ინგლისური ფორტი მდ. ჰუძონზე. 1779 წ. აიღო ამერიკის არმიამ.

⁷ ენტონიზ ნოუსი — კონცხი მდ. ჰუძონზე ფორტ ქრისტინას რაიონში.

ბოლოს მაინც გადაწყვიტეს, მოხუც პიტერ ვანდერდონკს ვეთხოვოთ რჩევა. იგი მართა ბო-
ლიოდა გზაზე. მოხუცი იმ ისტორიკოსის შთამომავალი გახლდათ, რომელსაც ამ სახელმწიფოს
პირველი მარტიანე დაეწერა. პიტერი სოფლის უხუცესი მცხოვრები იყო და იმ არემარეში ღირ-
სსშესანიშნავი მოვლენებისა და ტრადიციების კარგი მცოდნე. მან რიპი შემწივედ და
მისი შონაყოლიც დაადასტურა. ხალხი დაარწმუნა, რომ მისი წინაპრის გადმოცემული
ლის მთებში ყოველთვის ცხოვრობდნენ რალაც უცნაური არსებები, რომ დიდი პენრი ჰუძონი,
ქვეყნისა და მდინარის პირველი აღმომჩენი, ხომალდ „ნახევარმოვარის“ ეკიპაჟთან ერთად ყო-
ველ ოც წელიწადში ერთხელ გამოიღვიძებს ხოლმე მთებში, კვლავ ესტუმრება თავის აღმო-
ჩენილ ადგილებს და დარაჯობს მდინარესა და დიდ ქალაქს, რომელთაც მისი სახელი ჰქვია.
პიტერმა თქვა, ერთხელ მამაჩემსაც უნახავს ისინი, ძველ პოლანდიურ ტანსაცმელში გამოწყო-
ბილნი კეგლს რომ თამაშობდნენ მთის გამოქვაბულშიო. თვითონ პიტერსაც გაეგონა თურმე
ერთ ზაფხულს შუადღისას კეგლის ბურთების ხმა, მენის შორეული გრილივით რომ ისმო-
და.

ბევრი რომ არ გავაგრძელოთ, ხალხმა თავი მიანება რიპს და მათთვის უფრო მნიშვნე-
ლოვან საქმეს — არჩევნებს მიუბრუნდა. რიპი ქალიშვილმა წაიყვანა თავის მყუდრო და გვა-
რიანად მოწყობილ სახლში. მისი ქმარი ერთი მსუქანი მხიარული ფერმერი იყო. რიპმა მაშინვე
იცნო ერთ-ერთი იმ ბიჭუნათაგანი, ოდესღაც ზურგზე რომ შეახტებოდა ხოლმე. რაც შეეხება რი-
პის მემკვიდრე ვაჟს. — ხეზე რომ იყო მიყრდნობილი რიპის დაბრუნების დღეს და პირწავარ-
დნილი შამა გახლდათ, — ფერმაში მუშაობდა კირით, მაგრამ მემკვიდრეობით მამამისის სიზა-
რმაცე გამოჰყოლოდა და საკუთარ საქმეს დიდად არ დაგიდევდათ.

რიპმა კვლავ დაიწყო ძველებურად სეირნობა და აღრინდელი ჩვეულებებიც გაიხსენა.
ძველი მეგობრებიდანაც ბევრი იპოვა, თუმცა დროს თავისი მსახერალი ხელი ყველასთვის და-
ემჩნია. ამიტომ მან ახალგაზრდებთან დამეგობრება ამჯობინა და მალე მათი დიდი სიყვარუ-
ლი დაიმსახურა.

რიპს სახლში საქმე არაფერი ჰქონდა, თანაც ისეთ ბედნიერ დროს ჩამოვიდა, როდესაც
ადამიანს შეეძლო ეზარმაეცა და დასჯითაც არავინ დასჯოდა ამისათვის. პოდა, ადგა და კვლავ
მოძებნა თავისი ადგილი სასტუმროს წინ მერხზე. მას პატრეს სცემდნენ როგორც სოფლის პა-
ტრიარქსა და „ომამდელი დროის“ მემკვიდრეს. რიპს საკმაოდ დრო დასჭირდა, სანამ სოფლის
ქორებს ალღოს აუღებდა და სანამ თავისი ხანგრძლივი ძილის დროს მომხდარ უცნაურ მოვ-
ლენებს ჩასწვდებოდა. როგორ მოხდა რეკოლუცია, როგორ გადაიგდო ქვეყანამ ძველი ინგლი-
სის უღელი და იმის მაგივრად, რომ მისი უდიდებულესობა მეფე ჯორჯ III-ის ქვეშევრდომი
ყოფილიყო, ახლა შეერთებული შტატების თავისუფალი მოქალაქე გახლდათ. მართალია, რიპი
არ იყო პოლიტიკოსი, სახელმწიფოებისა და იმპერიების ცვლა დიდ შთაბეჭდილებას მასზე არ
ახდენდა, მაგრამ დესპოტიზმის ერთი სახე კი მან მწარედ გამოსცადა — ეს გახლდათ დედა-
კაცის ბატონობა. საბედნიეროდ, მასაც ბოლო მოეღო. რიპმა თავი დააღწია ცოლქმრობის
უღელს. ახლა შეეძლო მაშინ დაბრუნებულიყო შინ, როცა მოესურვებოდა, აღარ ჰქონდა ქალბა-
ტონ ვან ვინკლის შიში. მაგრამ როცა ცოლის სახელს უხსენებდნენ, თავს აქნევდა, მხრებს
იჩეჩავდა და თავლებს ატრიალებდა, რაც შეიძლებოდა მიგელოთ ბედისადმი მორჩილების ნიშ-
ნად ან თავისუფლების სიხარულის გამოხატულებად.

რიპი მისტერ დულიტლის სასტუმროში ჩამოსულ ყოველ უცნობს უყვებოდა თავის ამბავს.
შეამჩნიეს, რომ თავდაპირველად ყოველ მოყოლაზე ზოგიერთ ადგილს ცვლიდა, რაც, ეჭვგა-
რეშეა, იმით იყო გამოწვეული, რომ ახალი გაღვიძებული გახლდათ. ბოლოს უკვე რიპი ზუს-
ტად ისეთნაირად ყვებოდა ამ ამბავს, როგორც მე მოგიყვებით და მთელს მეზობლობაში კაცმა,
ქალმა თუ ბავშვმა ზეპირად იცოდა. ზოგს ამ ამბის სიმართლეში ეჭვი ეპარებოდა, ამბობდა,
რიპი სრულ ჰუჯაზე არ არისო. მაგრამ ძველ პოლანდიელ მცხოვრებლებს სჯეროდათ მისი. მათ
ჯერაც არ გაუგონიათ ქექა-ქუხილი ზაფხულში შუადღისას კაატსკილში, მაგრამ მაინც ამბო-
ბენ, პენრი ჰუძონი და მისი ეკიპაჟი კეგლს თამაშობენო. ყველა დაჩაგრული ქმარი იმაზე ოც-
ნებობს, ნეტავი ერთი ყლუპი ღვინო მომასმევიანა რიპ ვან ვინკლის დოქიდანო.

8 პენრი ჰუძონი — ცნობილი ინგლისელი ზღვაოსანი (1575—1611). ინდოეთისაკენ ჩრდი-
ლო-დასავლეთის გზის ძიებაში 1609 წ. აღმოაჩინა და შეისწავლა მდ. ჰუძონი და უბე კანადის
ჩრდილოეთით, რომელსაც აგრეთვე მისი სახელი უწოდეს. აქ, ისტორიკოსებისათვის უცნობი
მიზეზით, აჯანყებულმა ეკიპაჟმა ის თავის ვაჟთან და რაზმის რვა წევრთან ერთად გადასვა პა-
ტარა ნავში. მათი ბედ-იღბალი გაურკვეველი დარჩა.

მინაწერი. ზოგს შეიძლება ეგონოს, ეს ამბავი მისტერ ნიკერბოკერს შთაგონა გერმანულ-მა თქმულებამ იმპერატორ ფრედერიკ დერ როტბარტსა და კიპჰაუზერის მთებზე. მაგრამ ქვემოთ მოყვანილი მინაწერი გვიჩვენებს, რომ ეს ამბავი სრული ჭეშმარიტება გახლავთ:

„მოთხრობა რიპ ვან ვინკლზე ბევრს შეიძლება დაუჭერებელი უჩვეულობის, მაგრამ ძალიანაც მჯერა, რადგან ვიცი, რომ ჩვენი ძველპოლანდიურ დასახლებათა ქრისტიანული მისიონარული მოვლენების ხშირი მოწმე იყო. მართლაც, ჰუძონის გაყოლებაზე მდებარე სოფლებში ამაზე უცნაური ამბებიც მომისმენია. მათ უტყუარობაში ეჭვის შეტანა არ შეიძლებოდა. მე პირადად მისაუბრია რიპ ვან ვინკლთან, რომელიც, უკანასკნელად რომ ვნახე, ერთი დარბაისული და პატივცემული მოხუცი გახლდათ, ისე ჭკვიანურად და დალაგებულად ჰყვებოდა ყველაფერს, რომ, ვფიქრობ, არც ერთ კეთილსინდისიერ ადამიანს არ დაეჭვებდა მისი ნაამბობი. ვნახე ამ ამბის დამადასტურებელი საბუთიც, რომელზედაც ამ მხარის მოსამართლეს საკუთარი ხელით დაუსვამს ჯვარი. მაშასადამე, მოთხრობის სიმართლეში ეჭვის შეტანა არ შეიძლება“.

დ. ნ.

პოსტკრიპტუმი. ქვემოთ მოყვანილია მოგზაურობის ჩანაწერები მისტერ ნიკერბოკერის მოგონებების წიგნიდან:

„კაატსკილი, ანუ კაატსკილის მთები ყოველთვის იყო ზღაპრების მხარე. ინდიელები მათ სულების ადგილსამყოფლად მიიჩნევდნენ, რომლებიც ამინდს განაგებდნენ, ხან კაშაშა მზეს მოუვლენდნენ ქვეყანას, ხანაც ღრუბლებს. ილბლიანი ნადირობაც მათ ნება-სურვილზე იყო დამოკიდებული. სულებს მბრძანებლობდა სულების დედა — ბებერი ინდიელი ქალი. ია კაატსკილის უმაღლეს მწვერვალზე ცხოვრობდა და დღისა და ღამის კარიბჭეებს ზედამხედველობდა, რომ ისინი დროზე გაეღოთ და დაეკეტათ. ის კიდებდა ცაზე ახალ მთვარეს, ძველს კი ვარსკვლავებად კრიდა. გვალვების დროს, თუ გულს მოუღობდით, ზაფხულის ქულა ღრუბლებს მოქსოვდა აბლაბუდისა და დილის ნამისაგან და მთის თხემიდან ბამბის გაპენტოლი ქულებივით გაფანტავდა ჰაერში, მერე კი მზის სიმხურვალე აღნობდა ღრუბლებს და ისინიც შხაპუნა წვიმად მოველინებოდნენ ხოლმე დედამიწას, გაზაფხულზე მინდვრებს მწვანედ ააბიბინებდნენ, ხილს ამწიფებდნენ, წვიმანაპკურები ჭეჭილიც საათში თითო დუმიით იზრდებოდა. თუ სულების დედა გაჯავრებული იყო, თავს მოუყრიდა შავ-შავ ღრუბლებს და ჩაქდებოდა მათ შორის, როგორც მუცელგაბერილი ობობა ზის ხოლმე ქსელის შუაში; ეს ღრუბლები ცას რომ მოედებოდა, ქვეყანას უბედურება ატყდებოდა თავს.“

ძველად, მოგვეთხრობენ ინდიელთა თქმულებები, კაატსკილის მთების მივარდნილ და მოყრუებულ ადგილებს იცავდა მენიტუ ანუ სული, რომელსაც დიდად სიამოვნებდა წითელკანიანებისათვის ბორბებისა და სიავის მიყენება. ზოგჯერ დათვის, ავაზის ან ირმის სახეს იღებდა და გაბრიყვებული მონადირეც ქანცის გაწყვეტამდე დასდევდა უღრან ტყეებსა და მთებში. მერე სული ღრიალით გავარდებოდა ხოლმე და შეძრწუნებულ მონადირეს ტოვებდა თვალჩაუწყვდეელი უფსკრულის ან გაშმაგებული ჩანჩქერის პირას.

დღესაც გაჩვენებენ ამ სულის საყვარელ ადგილსამყოფელს. ეს არის დიდი კლდე მიყრუებულ მთაში. ამ ადგილს კლდის წალკოტს ეძახიან, რადგან ზედ კლდეზე ვაზია ასული, ხოლო ირგვლივ არემარე მინდვრის ყვაეილებითაა გადაჭრელებული. კლდის ძირას პატარა ტბაა, სადაც განმარტოებით ცხოვრობენ წყლის ბულები; წყლის ზედაპირზე მოტივტივე თეთრ დუმიფარებზე წყლის გველები მზეს ეფიცებიან. ამ ადგილისა ინდიელებს დიდი რიდი და შიში აქვთ. თურმე ოდესღაც ერთ გაბედულ მონადირეს გზა აებნა და კლდის წალკოტს მიაღწა. ხეთა ტოტებში გოგრები შეამჩნია. ხელი სტაცა ერთს და გაიქცა, მაგრამ სიჩქარეში გოგრა კლდეებში ჩაუვარდა. იმ ადგილიდან წყალმა ამოხეთქა, მონადირე უფსკრულისაკენ წაიღო და კლდეებს შეანარცხა, თვითონ კი ჰუძონისაკენ გაიკვალა გზა და ახლაც ასე მიედინება. ეს გახლავთ სწორედ ის ნაკადი, რომელსაც კაატერს-კილს უწოდებენ“.

9 გრძნეული სული ჩრდ. ამერიკელ ინდიელთა მითოლოგიაში.



ანტონ ჩეხოვი

ივანოვი დრამა ოცხვ მოქმედებად



თარგმნა მიხაილ ქალივიძემ

მოქმედი პირობა:

ივანოვი ნიკოლაი ალექსევიჩი — საგლეხო საქმეთა საკრებულოს მუდმივი წევრი

ანა კეტროვანა — მისი ცოლი, გათხოვებამდე სარა აბრამსონი უბაღალსკი ვახუშტი სემიონოვიჩი — გრაფი, ივანოვის ბიძა ლედის მხრით ლეგაძევი კავალ კირილოვიჩი — საერობო გამგეობის თავმჯდომარე ზინაიდა სავინანა — მისი ცოლი

საშა — ლებედევების ქალიშვილი 20 წლისა
ლვოვი ევგენი კონსტანტინოვიჩი — ახალგაზრდა ექიმი
გაბაჰინა მარუა ეგოროვანა — ახალგაზრდა ქვრივი, მდიდარი ვაჭრის შვილი კოსიჩი დიმიტრი ნიკიტინი — აქციზის მოხელე
ზორკინი მიხაილ მიხაილოვიჩი — ივანოვის წორეული ნათესავი, მისი მამულის მმართველი

ავდოტია ნაზაროვანა — გაურკვეველი ხელობის დედაბერი
ეგორუშკა — ლებედევების ოჯახში შეკედლებული მუქთახორა
კირველი სტუშარი
მეოტა სტუშარი
მესამე სტუშარი
მეოთხე სტუშარი

კატრე — ივანოვის ლაქია
გავრილა — ლებედევების ლაქია
სტუშარი კალეზი და კალეზი, მსახურები

მოქმედება უზა რუსეთის ერთ-ერთ მაზრაში ხდება

მოქმედება კირველი

ბალი ივანოვის მამულში. მარცხნივ ააენიანი სახლის ფსადი ჩანს. ერთი ფანჯარა ღიაა. აივნის წინ პატარა ნახევარწრიული მოედანია, საიდანაც ბალის სიღრმეში ორი ხეივანი მიემართება. მარჯვენა მხარეს მაგიდები და მერხები. ერთ მაგიდაზე ლამპა ანთია. საღამოვდება. საჩლიდან როიალისა და ჩელოს შეწყობილი ხმა ისმის.



ივანოვი და პორკინი

ეროვნული

ბეჭდვითი ქარხანა

ივანოვი მავიდასთან ზის და წიგნს კითხულობს. ბაღის სიღრმეში, პორკინი გამოჩნდება. ჩექმები აცვია, ხელში სანადირო თოფი უჭირავს. ეტყობა, ნასვამია. ივანოვს დაინახავს. უხეიერდით მიეპარება და თოფს დაუმიზნებს.

ივანოვი (შეშინებული წამოვარდება) — მიშა, ღმერთო ჩემო, რა არი ეხ?! როგორ შემაშინეთ! ისედაც უგენუბოდ ვარ, თქვენ კი... გაგონილა ასეთი სულელური ხუმრობა?!

პორკინი (ხარხარებს) — კარგი, დამშვიდდით... შო, დამნაშავე ვარ, დამნაშავე!... (გვერდით მიუჯდება) მეტხ ალარ ვიზამ!.. (ქუდს მოიხდის) უმ, ცხელა! არ დაიჭერებთ, ძვირფასო, და სამ საათში ჩვიდმეტი ვერსი გავიარე! მოკვდი კაცი!.. აი, ნახეთ, გული როგორ მიცემს.

ივანოვი (კითხულობს) — კარგით, მერე..

პორკინი — არა, ნახეთ. (მის ხელს გულთან მიიდებს) გეხმით, დაგ-დუგ, დაგ-დუგ!.. ეს იმას ნიშნავს, რომ გულის მანკი მაქვს და უოველ წუთში შეიძლება მოვკვდე... გეწყინებათ რომ მოვკვდე?

ივანოვი — მერე, მიშა... ვკითხულობ.

პორკინი — არა, მართლა.. გეწყინებათ, რომ მოვკვდე? ნიკოლაი აღდექხევიჩი, თქვენ გეკითხებით: გეწყინებათ თუ არა, რომ მოვკვდე?

ივანოვი — თავი გამანებეთ, გეთყვამ!

პორკინი — მიპახუხეთ, საყვარელო, გეწყინებათ თუ არა?

ივანოვი — მე ის მწყიმს, რიბ არყის სუნი გდით. ეს საზიზღრობაა, მიშა!

პორკინი (იციინის) — მართლა მდის? მმ, უყურე შენი!.. თუმცა რა გასაკვირია: გნაში გამომძიებელი შემხვდა და მაგრა შეგუბერეთ, რვა-რვა ჭიქა გადავყარით!.. ისე, კაცმა რომ თქვას, არყის სმა ორგანიზმისთვის მავნებელია. ხომ მავნებელია? გეკითხებით, მავნებელია?

ივანოვი — ზოლოს და ბოლოს, ეს აუტანელია! დამცინით, თუ რა ხდება?!

პორკინი — კარგი, დამშვიდდით.. დამნაშავე ვარ, შო, დამნაშავე! მეტხ ალარ ვიზამ! იჭექით თქვენთვის და იკითხეთ. (აღგება და მიდის) რა ხალხია, ღმერთო, დაპარაკიც ეწარებათ! (ისევ დაბრუნდება) შო, მართლა, კნალამ დამავიწყდა. ოთხმოცდაორი მანეთი მომეცით.

ივანოვი — რის ოთხმოცდაორი მანეთი?

პორკინი — მუშებს უნდა გავუხსნორდე.

ივანოვი — არა მაქვს ფული.

პორკინი — უმორჩილესად გამადლობთ! (გამოაჯიერებს) „არა მაქვს ფული“! მუშებს რაღა ვუთხრა?

ივანოვი — არ ვიცი. ამჟამად ფული არა მაქვს. პირველ რიცხვამდე მოიცადეთ, ჰამაგირს ნივილებ და გავუხსნორდები.

პორკინი — პირველ რიცხვამდე? ეს კაცი გადამრევს! მუშები პირველში კი არა ხვალ დილით მოვლენ!

ივანოვი — რა უქნა მე? მომკალით ახლა, დამახრჩვეთ! რა უსაქციელობაა, მიშა, სწორედ მაშინ, ჩამაცივდებით ხოლმე, როცა წიგნს ვკითხულობ ან რაღაცას ვწერ...

პორკინი — გეკითხებით: მუშებს ფული უნდა მივცე თუ არა?.. თუმცა რას გელაპარაკებით, მაინც არ გეხმით! (ხელს ჩაიქნევს) მემამულეები გამოშიჩნდნენ! მიწათმფლობელები რაციონალური მეურნეობის მოავენი. არა, მართლა, გაგონილა ასეთი ხაქმე კაცს ათასი დესეტინა ჰქონდეს და ჯიბეში კაპუცი არ უქყოფდეს?! ღვინის სარდალების პატონი იყოს და კორპსადრობი არა ჰქონდეს?!.. აი, ავიღებ და ხვალვე ცხენებს გაგიყიდით! რა გგონიათ, მოგერიდებით? არაფერიც. მოუშველი შერია ხომ გაგიყიდეთ, ახლა ქვავხაც გავუილი! (ბოლოს სცემს) დაახ, ავიღებ და გავუილი! მე ის კი არა ვარ..



იგივე, შაბელსკი და ანა პეტროვნა. შაბელსკის ხმა ფანჯარის გარეშე უნდა მოსულიყო, ჩემად... ნუ უბრაბუნებთ!.. არა, გეთაყვა, თქვენთან დაკავრა შენაღობა... ნისთანა სმენა მოხარშულ ქარიყლაპიასაც არ ექნება!"

ანა პეტროვნა (ფანჯარაში გამოიხედავს) — ვინ ლაპარაკობს მანდ?... ო, მიშა, თქვენი ხართ, რას დადიხართ აქეთ-იქით?

ბორკინი — თქვენი Nicola-voilà-ს გადამკიდე ყირაზე რომ არ ვდგები, ის მიკვირს!

ანა პეტროვნა — მიშა, გეთაყვა, უბრაბუნეთ ვინმეს კროკეტის მოედანზე თევა მიიტანონ.

ბორკინი — თავი გამანებეთ, თუ ღმერთი გწამთ!

ანა პეტროვნა — ეგ რა კილოა? სულ არ შეგშეფენით ასეთი უკმებობა, ქალების სიუცარული თუ გინდათ დაიმსახუროთ, მათი თანდასწრებით არ უნდა გაქაფრდეთ ხოლმე, სხვათა შორის, სოლიდურობაც არ გიხდებათ! (ქმარს) ნიკოლა, მოდიოთ თევაში ვიკოტრიალთ!

ივანოვი — ფანჯარას მოცილდით, ანიუტა, გაცივდებო! (ყვირის) ძია, ფანჯარა მიხურეთ! (ფანჯარა იხურება).

ბორკინი (ივანოვს) — სხვათა შორის, ორ დღეში ლებედვს პროცენტები უნდა გადაუხადოთ, ხომ არ დაგავიწყდათ?

ივანოვი — ვიცი, ვიცი, დღეს მივალ და ვთხოვ მოიცადოს. (საათს დახედავს)

ბორკინი — როდის აპირებთ წასვლას?

ივანოვი — ახლა.

ბორკინი (გამოცოცხლდება) — მოიცაო, მოიცაო, დღეს ხომ შუროჩკის დაბადებას დღეა? უყურე შენ, კინალამ დაშაფიწყდა! (შეხტება სიხარულისგან) მეც მოვდივარ! მეც! (წიშტურებს) შოო-ვდივარ!.. წავალ ახლა, წყალს გადავყავლებ, ქაღალდს გავდებავ, ერთ-ორ წვეთ ნიშადურსაც მივიღებ და... იალა! იხევე თავიდან შემოიძლია დავიწყოს!.. ემ, ნიკოლაი ალექსევიჩი, ძვირფასო ჩემო... ჩემი სულის ანგელოზო... აი, თქვენ სულ ნერვიულობთ, წუწუნებთ, სულ სახე ჩამოგტირით, ჩვენ კი ერთად, იცით, რა საქმეებს დავატრიალებდით? ოღონდ მოისურვეთ და თქვენი გულისთვის უველაფერს გავაყეთებ... ვანდათ, მარტოშა ბ.ბაქინას ცოლად ვითხოვ! მისი მზითვის ნახევარი კი თქვენი იყოს... ნახევარი რომელია, სულ წაიღეთ!

ივანოვი — სიხულელეს რომავთ.

ბორკინი — არა, სერიოზულად ვამბობ, მარტოშას შევირთავ, მზითვე კი შუაზე გავყოთ... თუმცა, რას გელაპარაკებით, ვანა თქვენ ამას გაიგებთ? (გამოაქაჩვრებს) „სიხულელეს რომავთ“!.. კარგი კაცი ხართ, ქვიანი, მაგრამ ფხა გაკლიათ თუ რაშია საქმე, ვერ გამოგიბა! გაქანება არა გაქვთ, აი, ასეთი, კაცი რომ უცებ აიწყვდეს და უველაფერს ფეხებზე დაიკიდებს... ფსიქოპათიკ ხართ, დონდლოც, ნორმალური რომ უფილიყავით, ერთი წლის შემდეგ მილიონა გქნებოდათ! აი, პეტრევიო, თუ გინდათ... მე რომ ახლა 2500 მანეთი მქონდეს, ორი კვირას შემდეგ ოცი ათასი მქნებოდა! არ გჭერათ? სიხულელე გგონიათ? არა, ბატონო, სიხულელე არ არი, მომეცით 2500 მანეთი და ერთი კვირის შემდეგ ოცი ათასს ჩაგაბარებთ!.. მდინარის ვაღმა ნაპირზე, ოვხაანოვი მიწის ნაკვეთს უიღის, ზუსტად ჩვენს პირდაპირ არა, ის ნაკვეთი რომ გვეყიდა, ორივე ნაპირი ჩვენი იქნებოდა და მაშინ მდინარეზე კაშხალს ავაგებდით, გესმით, რას გეუბნებით? ხმას გავაფრცულდებდით, ვითომ წისქვილის აშენება გვინდა და მდინარე უნდა დავაგუბოთ, როგორც კი ამას ვიტყვოდით, უველანი ვინც ჩვენს ქვემოთ, მდინარის დაღმა ცხოვრობს, ყვირილს ატეხავდნენ: ეს რას გვიშვრებითო! ჩვენ კი ვეტყვოდით: კაშხლის აგება თუ არ გნებავთ, ფულები ჩამოყაჭეთ! გესმით? სარევის ფაბრიკა ხუთი ათასს მოგვეცემდა, კოროლკოვი სამი ათასს დადებდა, სამონასტრო ბერებიც ხუთი ათასს გაიმეტებდნენ და...

ივანოვი — ფოკუსებია ეგ, მიშა, თუ ღმერთი გწამთ, თქვენთვის შეინახეთ, აღარ გამოგონოთ, თორემ წავიხუბებთ!

ბორკინი (შავილაზე შესქეპდება) — რასაკვირველია, ასეც ვიცოდით! ოფითონაც არაფერს აქეთებთ და მეც ხელს მიშლით!



ივინვე, შაბელსკი და ლვოვი ურჩივნენ
გონიერებას

შაბელსკი (ლვოვთან ერთად სახლიდან გამოდის) — ექიმები იგივე ვეკილები არიან, ოდნოდ იმ განსხვავებით, რომ ვეკილები მარტო მარცვავენ ხალხს, ექიმები კი მარცვავენ და კლავენ კიდევც... დამსწრე საზოგადოებაზე არ ელაპარაკობს (მერხზე ჩამოჭდება) სულ თაღლითები და მყვლეფავეები არიან! არ ვიცი, სადმე ზღაპრულ არკადიაში იქნებ მოიძებნოს გამონაკლისის სახით პატოსანა ესკულაპის მსახური, მაგრამ პირადად მე ბარე ოცო ათასი მანეთი დავაბარე ჩემს მკურნალობას და ერთი ექიმში არ შემხვედრია, რომ პატენტისანი გაიძვერის შთაბეჭდილებას არა ცოცვებდეს...

ბორკინი (ივანოვს) — დიახ, თვითონაც არაფერს აკეთებთ და მეც ხელს მიშლით. ამიტომაც ვართ უფულოდ!

შაბელსკი — ვიმეორებ, დამსწრე საზოგადოებას ეს არ ენება... გამონაკლისი, რასაკვირველია, არსებობს, თუმცა პირადად მე... (ამტკნარებს)

ივანოვი (წიგნს დახურავს) — ხალხს რას შეტუჯით, ექიმო?

ლვოვი (ფანჯრისკენ გაიხედავს) — იგივეს, რაც დიდიმ გიობარით: დაუყოვნებლივ ურჩიში უნდა წავიდეს.

შაბელსკი (ჩაიხიბებითებს) — ურჩიში... გესმის, მიშა? აფსუს, ექიმები რომ არა ვართ, სულ ადვილი საქმე ყოფილა მკურნალობა... ერთხელ ცხვირს დააცემინებს ვინმე უსაქმობისგან გაბეზრებული ქალბატონი არგო ან ოფელია, ან დაახველებს, ან კიდევ რაღაცა მოუვა და იმავე წუთს, მეცნიერული კანონების თანახმად, ახალგაზრდა ექიმს მივუჩინთ, მერე ურჩიში გავამგზავრებთ, იქ ვინმე მოარშიყე თათარი დახვდება და...

ივანოვი — ენა გაჩერე, ძია! (ლვოვს) ურჩიში წასასვლელად ფულია საჭირო, დავუშვავთ ვიშოვე, ანა პეტროვნას რომ არ უნდა იქ წახვლა?

ლვოვი — დიახ, არ უნდა.

(პაუზა)

ბორკინი — მოითმინეთ, ექიმო... ისეთი რა სჭირს ჩვენ ქალბატონს, რომ ურჩიში მისი წასვლა აუცილებელი იყოს?

ლვოვი (ისევ ფანჯრისკენ გაიხედავს) — ჭლები აქვს.

ბორკინი — გრიბა! ისე კი, ხომ იცით, სახეზეც ეტყობა, რომ დიდი დღე არ უწევია.

ლვოვი — ჩუმად ელაპარაკეთ, ოთახში ისმის.

(პაუზა)

ბორკინი (ამოოხვრით) — მაინც რა არი ჩვენი ცხოვრება? ადამიანის სიცოცხლე მინდორში საუცხოოდ გაფურჩქნელ უვავილსა შგავს: მოვა თხა, მოწიწების და — ფაფუ! აღარაა უკავილი!

შაბელსკი — სისულელეა უველაფერი! სისულელეა და მიქარვა (ამტკნარებს) დიახ, მიქარვა და თაღლითობა!

(პაუზა)

ბორკინი — მე კი, ბატონებო, ეს წუთია ნიკოლაი ალექსიევიჩის ჭკუას ვარიგებლი, ფულის შოვნა არ იცო-მეთქი, ერთი დიდებული გეგმა შევთავაზე, მაგრამ ჩემი დენთი, როგორც იტყვიან, ნებსიან ფაღიაზე დაიხნა და... აბა, რა უნდა ელაპარაკო ამ კაცს? შენუდეთ, როგორ ჩამოსტირის სახე! სუფთა მელანქოლიაა, ცარიელი სპლინია და ეშმაკმა იცის, კიდევ რაა!

შაბელსკი (ადგება და გაიშეშობება) — ვენიალური ვოგრა გაქვს, მე ოხერო! ათაა რაღაცას იგონებ, უველას ჭკუას ახწავლი... ერთხელ ჩემთვისაც გერჩია რაზე! მო, რას მიუურებ? მითხარი, როგორ მოვიქცე, გამოსავალი მაჩვენე!

ბორკინი (ისიც ადგება) — წავალ, ვიბანავებ, ნახვამდის, ბატონებო! (გრაფს) თქვენი მდგომარეობიდან კი ბარე ოციოდე გამოსავალი არსებობს, თქვენს ადგილას ვიყო, ერთ კვირაში ოცი ათასი შექნებოდა. (მოდის)

შაბელსკი (დაეღვენება) — როგორ, მასწავლე.

ბორკინი — ხასწავლებელი არაფერია, უბრალო საქმეა... (დაბრუნდება) ნიკოლაი ალექ-

სივენი, მანეთი მომეცით. (ივანოვი უხმოდ ფულს გაუწვდის) მერსი (გრაფს) თქვენ ახლა ხელ-
ში ხელ კოწირის ქაღალდები გიჭირავთ.

შაბელსკი — რა კოწირებია?

ბორკინი — აქი გითხარით, თქვენს ადგილას ვიყო, ერთ კვირაში ოცდაათი ათასი შექ-
ნებოდა. (გადის გრაფთან ერთად).

ივანოვი (პაუზის შემდეგ) — ზედმეტი ადამიანები, ზედმეტი სიტუაციები... თან ეს სა-
შინელი აუცილებლობა, როცა ვალდებული ხარ უველას უხშირო, უველას სულელურ შეკითხ-
ვაზე პასუხი გასცე... დამალა ამან, ექიმო, დამასწავლა წამდაუწუმ ვლიზიანობები, ისეთი ფიცი-
ნი და უკმეხი გავხდი ხაკუთარ თავს ველარ ვცნობ. მთელი დღე თავი მტკივა, უძილობაც დამ-
ჩემდა, ყურებიც მიწივის... არ ვიცი პირდაპირ, რა ვქნა, სად წავიდე...

ლვოვი — ნიკოლაი ალექსიევიჩ, მე სერიოზულად მინდა მოგელაპარაკოთ.

ივანოვი — ბრძანეთ.

ლვოვი — ისე ანა პეტროვნაზე მოგახსენებთ. (ქდება) ყირიმში იგი მარტო არ წავა,
თქვენც უნდა გაყავთ.

ივანოვი — ორივენი ვერ წავალთ, ამას დიდი თანხა დასჭირდება, თან სამსახურიდან
არ გამიშვებენ, წელს უკვე ვიყავი შვებულებაში.

ლვოვი — დავუშვათ, მართალს ამბობთ. მაშინ სხვას გეტყვით... ქლეკის უმთავრესი წა-
შალი — აბსოლუტური სიმშვიდეა. თქვენი ცოლი კი ხელ მოუსვენრად არი, ხელ გაღიზიანე-
ბულია... თქვენი დამოკიდებულება მას ალღევებს... მაპატიეთ, მაგრამ პირდაპირი კაცი ვარ და
პირში გეტყვით: თქვენი საქციელი მას კლავს! (პაუზა) ნიკოლაი ალექსიევიჩ, ნება მომეცით
ვიფიქრო, რომ თქვენ უკეთესი ხართ. ვიდრე მგონია.

ივანოვი — მართალია... უველაფერი რაც თქვით მართალია, შეხატლოა, საშინლად
დამნაშავე ვიყო მის წინაშე... დიახ, საშინლად... მაგრამ თვითონ ვერ გავრკვეულვარ ამ ამბავ-
ში... დავიბენი და აზრი მერევა... რაღაც უცნაური სიზმრები დამეფულა და ვერ გამიგია რემ
თავს რა ხდება... (ფანჯრისკენ გაიხედავს) იქით გავიდეთ. (ადგებიან და მიდიან)

მოდა, იმას ვამბობდი, ექიმო... თავიდან მოგიყვებოდათ ჩემს ამბავს, მაგრამ გრძელია
და იმდენად რთულია, დილამდე ვერ გავათავებ... ანიუტა შესანიშნავი ქალია, არჩევულებრივი...
ხშირ გულახთვის მან რჩული შეიცვალა, ნშობლები მიატოვა, შეძლებულ ცხოვრებაზე უარი
თქვა... დარწმუნებული ვარ, ამაზე დიდ მსხვერპლსაც გაიდებდა ისე, რომ არც დაფიქრდებო-
და.. მე კი... აბა, რას წარმოვადგენ მე? საშუალო, რიგითი ადამიანი ვარ. არც თავი გამომი-
ჩენია, არც მსხვერპლი გამიღია... თუმცა ეს გრძელი ამბავია, საქმე ისაა, ძვირფასო ექიმო, რომ
(ყოყმანობს) მოკლეთ, თავის დროზე მე ცოლი სიყვარულით ვითხოვე და ვეფიცებოდი კიდევ
ღობოს კარამდე შეეყარები-მეთქი, მაგრამ აი... ხუთი წელი გავიდა, მას ისევ ვუყვარვარ, მე კი...
(ხელეებს გაშლის) თქვენ ახლა მითხარით, ქლეკი აქვს და მალე მოკვდებაო... მრცხენია ამის
თქმა, მაგრამ თქვენმა სიტყვებმა ჩემზე სრულებით არ იმოქმედა... დიახ, სიბრალული რაა, ისიც
კი არ მიგრძენია, უბრალოდ დაღლილობას ვგრძნობ და ხულიერ სიცარიელეს... ვინმემ რომ მო-
მისმინოს, ალბათ იტყვის, რა საშინელი კაციაო, მე კი პავითონ ვერ გამიგია, ჩემ ხელში რა
ხდება... (ხეივანს მიყვებიან და გადიან)

4

შაბელსკი, მერე ანა პეტროვნა

შაბელსკი (შემოდის და ხარხარებს) — არა, ბატონებო... თანდითი კი არა, ბრძენი უო-
ფილა, გენიოსი! ძველის ღირსია ასეთი კაცი! თანამედროვე სისაძაგლის რა სახეობა გინდათ,
რომ მასში არ იყოს: ვექილიც არი, ექიმიც, კუკუველიც და მოლარეც! (იივინს კიბეზე ჩამოჭ-
დება) უველაზე საკვირველი კი ის არი, რომ არავითარი კურსები არ დაუმთავრებია, წარმო-
მიდგენია, რა არამზადა იქნებოდა, კულტურასა და ჰუმანიტარულ მეცნიერებებს რომ დაუფლუ-
ბოდა.. როგორ თქვა? „თუ მოიხურვებთ, ერთ კვირაში ოცი ათასი გექნებათო!... თქვენი გრა-
ფის ტიტული კიდევ ერთი კოწირიაო!...“ (ხარხარებს) „მშითვიან ქალიშვილებში ვინც გინდათ
ცოლად გამოგყვებათო!“ (ანა პეტროვნა ფანჯრის გამოაოებს და გამოიხედავს) „გნებავთ, მარ-
ფუშას გაგირიგებთო!“... Qui est cegue c'est მარფუშა? აბ, ვიცი... ბალაბალკინაა თუ ბაბაკალ-
კინა... აი, ის — მრცხავ ქალს რომ ჰგავს!

ანა პეტროვნა (კაკლუცად) — გრა-აჟ, ვის ელაპარაკებით მან?

შაბაღსკი — რაშია საქმე?

(ანა პეტროვნა გადაიკისკისებს)

შაბაღსკი (ცხრაული აქცენტით) — რას იცინით, დაგენაცვლო?

ანა პეტროვნა — ერთი ღრაზა გამაბხენდა, სადილზე რომ თქვით, განსოვთ? ქურდი გადარჩენილიო... ცხენი შორჩენილიო...

შაბაღსკი — ქურდი ყულფს გადარჩენილი,

თუ ცხენი ფეხშორჩენილი,

თუ მონათლული ურია —

სამივე ერთი ქურია!

ანა პეტროვნა (იცინის) — რა ენა გაქვთ, გრაჟ! უბრალო კალამბურიც ვერ ვითქვამთ, გესლი რომ არ გაურიოთ. (სეროიზულად) არა, მართლა, გრაჟ: რატომ ხართ ეგეთი ბოროტა? თქვენთან ყოფნა მოსაწყენია და ხახიფათიც. სულ იღრინებით, სულ ბუზღუნებით... კაცმა რომ მოგისმინოთ, თქვენ გარშემო მარტო არამზადები ტრიალებენ. მათხარით გულახდილად: კეთილი სიტყვა თუ ვითქვამთ ვინმეზე?

შაბაღსკი — გამოცდას მიწყობთ?

ანა პეტროვნა — ხუთი წელია ერთ ჭერქვეშ ვცხოვრობთ და ერთხელ არ მახსოვს დამშვიდებით, გესლისა და დაცინვის გარეშე გეხსენებინოთ ვინმე. რა დაგიშავათ ხალხმა? ნუთუ გგონიათ, რომ ყველაზე კარგი ხართ?

შაბაღსკი — სრულებითაც არ მგონია. მეც ისეთივე არამზადა და დორი ვარ, როგორც სხვები! როგორც იტყვიან, მოვეტონი და ნაგავი! სულ ვაჯინებ ჩემ თავს, მართლაც, რას წარმოვადგენ? ოდესღაც მდიდარი და თავისუფალი ვიყავი, ცოტა ბედნიერიც. ახლა? ახლა მუქთახორა ვარ, მესუფრია და ყველას ხელწამოხაკრავი მახსარა. ნებვი, ერთი სიტყვით! ბოდა, ამის გამო გული მომდის, ვიგინები და შხამს ვანთხევი! სხვები კი იცინიან. მეც ვიცინი და მაშინ სინანულით ამბობენ: რამ გადარია ეს ბებერიო! ხშირად კი უურსაც არ მათხოვებენ, უბრალოდ ვერ მაშჩენვენ.

ანა პეტროვნა (შწიღად) — ისევ კივის.

შაბაღსკი — ვინ?

ანა პეტროვნა — ბუკიოტი, ყოველ საღამოს კივის.

შაბაღსკი — იკივლოს. იმაზე უარესი, რაც არის, მაინც არ იქნება. (გაიზმორება) ებ, ჩემო ძვირფასო ხარა! მომაგებინა ~~ხელა~~ ახი ან ორახი ათახი და მე ვიცი, რასაც ვიზამდა. ყოფნას გიტირებდათ ყველას! მიგაფურთხებდით და ისე მოვუსვამდი აქედან, უკან არც კი მოვახედავდი!

ანა პეტროვნა — სად წახვიდოდით?

შაბაღსკი — პირველ ყოვლისა, მოსკოვში. იქ ბოშებს მოვუსმენდი, ქერე პარიზში წავიდოდი, იქ ბინას ვიქირავებდი და რუსულ ეკლესიაში ვივლიდი...

ანა პეტროვნა — შერე?

შაბაღსკი — შერე ცოლის საფლავს მოვინახულებდი. მთელი დღეები მახთან ვიქდებოდი და ვიფიქრებდი, სულ ვიფიქრებდი, ხანამ იქვე, საფლავზე, ძაღლივით სული არ ამომხდებოდა... ჩემი ცოლი პარიზშია დასაფლავებული.

(პაუზა)

ანა პეტროვნა — საშინელი მოწყენილობაა. ისევ დუეტად ხომ არ დაგვეკრა?

შაბაღსკი — ნოტები მოამზადეთ.

ნ.

ივანოვი (ლევითან ერთად ხეივანით ზრუნდება) — თქვენ, ჩემო მეგობარო, კურსები წარმან დაამთავრეთ, ახალგაზრდა ხართ, მე კი უკვე ვა შემსრულდა, ამიტომ უფლება მაქვს რჩევა-დარიგება მოგცეთ... არამც და არამც ებრაელი ქალი არ ითხოვოთ, არც ფსიქოპატი ვინცდათ, არც ცუდმეცნიერი... ისევ საშუალო რამ აირჩიეთ, ჩვეულებრივი, უფერული — არც კარგი იყოს, არც ცუდი... და ხაერთოდ, შაბლინის მიხედვით იცხოვრეთ! რაც უფრო ჩამქრალი და ერთფეროვანი ფონი გექნებათ, უკეთესია. დამიჯერეთ. მარტოდმარტო ათასების წინააღმდეგ ნუ გაილაშქრებთ, ქარის წისკვილებს ნუ შეებრძოლებით, შუბლით კედლის განგრევაბ

სუ შეეცდებით... ღმერთმა დაგიფაროს ყოველგვარი რაციონალური შეურწმუნებლობა. არაჩვეულებრივი სკოლებისაგან, მგზნებარე გამოსვლებისაგან... თქვენს ნიჭურ ნაიკეტეტ და რუმად, შეუმჩნევლად აკეთეთ თქვენი პატარა, ღვთის შერი ბოძებული საქმე. ეს უფრო სახელოა, დამიჭერეთ, უფრო პატიოსანია და ჯანმრთელიც არი... ჩემი ცხოვრება კი, ყველაფერი რაც განვიცადე, ძალზე მომქანცველი იყო... ო, რა მომქანცველი იყო რამდენი წიცდომა შექმნა ჩადენილი, რამდენი უსამართლობა და უაზრობა. ვინ მოთვლის ახლა? (გრაფს უაინბახს, გალიზიანებულის რა არი, ძია, სულ თვალში რომ მეჩხირები? მაყალე კაცთან ლაპარაკი)

შაბელსკი (მტირალა ხმით) — დახწყევლოს ღმერთმა, სად ჯანაბაში წავიდე?! (სწრაფად წამოდგება და სახლისკენ მიდის)

ივანოვი (მიძახებს) — შაპატიე, ძია, შაპატიე... (ღვოვს) აბა, რად ვაწყენინე? არა, ნამდვილად მოშლილი ვარ, რაღაცა უნდა ვუღონო ჩემ თავს!

ლვოვი (ლელავს) — შე ყურადღებით მოგხსინეთ, ნაკოლაი ალექსევიჩ... მოგისმინეთ და ბოდიშს ვიხდი, მაგრამ პირში ვებტვით ყველაფერს, რასაც ვფიქრობ... თქვენს ხმაში, თქვენს ინტონაციაში, განხაკუთრებთ კი თქვენს სიტყვებში... დიახ, სიტყვებში, იმდენი უსულგულო ეგოიზმია, ისეთი გულქვაობაა, რომ... არ ვიცი პირდაპირ, რა ვთქვათ თქვენთვის ყველაზე ახლობელი ადამიანი იღუპება... იღუპება იმის გამო, რომ თქვენი ახლობელია! მისი დღეები დათვლილია, თქვენ კი... თქვენ აინუნშიც არ აგდებთ ამას, დადიხართ, რჩევა-დარიგებებს იძლევით, თავს იწონებთ... მოკლედ, სიტყვები არ მყოფნის... ძალზე არ მომწონხართ, ნაკოლაი ალექსევიჩს.

ივანოვი — შესაძლოა, შესაძლოა, გარეშე ადამიანისათვის შეიძლება უფრო გასაგებიც იყოს... დიახ, ხავსებით დასაშვებია, რომ თქვენ უკეთ გგსმით ჩემი მდგომარეობა, ალბათ მართლა დამნაშავე ვარ, ძლიერ დამნაშავე... (ყურს მიუგდებს) მგონი, ეტლი ჩამოდვა, წავალ, ჩავიცივამ. (სახლისკენ მიდის, შეჩერდება) თქვენ არ გიყვარვართ, ექიმო, და არც მალაგო ამას... გულწრფელი კაცი ხართ, ეს კარგია, (სახლში შედის)

ლვოვი (მარტო) — დახწყევლოს ღმერთმა, ისევ ვერ ვუთხარი რაც მინდოდა! რა ვქნა, არ შემიძლია მასთან დამშვიდებით ლაპარაკი! პირს გავაღებ თუ არა, რაღაც მომაწვება აქ... (ცელზე ხელს დაიდებს) და სულთამბუთავივით მანჩიობს!... მძულს, მთელი ჩემი არხებით მძულს ეს ტარტიუფი, ეს სულით ამაღლებული გაიძვერა!.. აი, ახლაც, მაღის! მისი საცოდავი ცოლი უკანასკნელ დღეშია, ემუდარება, ერთ საღამოს მაინც ჩემთან დარჩიო, ეს კი, დაბნელებდა თუ არა, ფეხს დაჰკრავს და სახლიდან გარბის! არ შეუძლია შინ ყოფნა! საკუთარ სახლში ვერ ჩერდება! ერთ საღამოს მაინც შინ რომ დარჩეს, გაგიჟდება და შუბლში ტყვიას ისლის!... საწყალო! თართო ასპარეზი სკირდება, რომ კიდევ ერთი სისაძაგლე ჩაიდინოს! ო, ვიცი, განა არ ვიცი, რატომ დაეთრევა იმ ღებუდევებს ოჯახში ვიცი!

6

ლვოვი, ივანოვი (შლიაპით და პალტოში), შაბელსკი და ანა პეტროვნა

შაბელსკი (ივანოვთან და ანა პეტროვნასთან ერთად სახლიდან გამოდის) — ბოლოს და ბოლოს ეს შეუბრალებლობაა, ნაკოლაი რა წესია, გეთაყვა, ყოველ საღამოს სადღაც მიდიხარ, ჩვენ კი მარტო ვრჩებით! მოწყენილობისაგან რვა საათზე ვიძინებთ. ეს ცხოვრება კი არა უმსგავსობაა! შენ თუ შეგიძლია სადღაც წახვლა, ჩვენ რატომ არ შეგვიძლია? რაშია საქმე?

ანა პეტროვნა — თავი გაანებეთ, გრაფ, წავადეს.

ივანოვი (კოლს) — აბა, სად უნდა წამოხვიდე სიცხიანი? შენ ავად ხარ და მზის ჩასვლის შემდეგ შინ უნდა იქდე, ცივი შაერი შენთვის საზიანოა... აი, ექიმს ჰკითხე, ბავშვი არა ხარ, ანიუტა, უნდა იფიქრო. (გრაფს) შენ რაღა გინდა იქ?

შაბელსკი — იქ კი არა, ჯანდაბაში წამოვალ, ნიანგს ხახაში ჩავუვარდები, ოღონდ აქაურობას მომაშორე! მომწყინდა, გესმის? სახლში ქლომისაგან მთლად გამოვუყუერიდი, ყველას თავა მოვაბეზრე!... შენ აქ, შენს ცოლთან მტოვებ, რომ არ მოიწყინოს, შე კი ამ საცოდავს ტვინი ამოვჭამე, ღამის არი გაგიჟდეს ქალი!

ანა პეტროვნა — თავი გაანებეთ, გრაფ, წავიდეს, დრო გაატარახ.

ივანოვი — აბა, ეს რა სათქმელია, ანა? მშვენივრად იცი, რომ შე იქ დროს გასატარებლად არ მივდივარ. ვექსელის თარბაზე უნდა მოვილაპარაკო.

ანა პეტროვნა — თავს რატომ იმართლებ? წადი, ვინ გაჩერებს.

ივანოვი — ბატონებო, ნუ ვჭამთ ერთმანეთს, ნუთუ ეს აუცილებელია?!

შაბელსკი (მტირალი ხმით) — ნიკოლა, საყვარელო... გემუდარები, წამოყვანი ერთხელ ძვალს გადავავლებ იქაურ არამშადებს და ცოტას გავერთობი. აღსკომას ნუკო სტუმრად არ ვყოფილვარ!

ივანოვი (გალიზიანებული) — კარგი, წამოდი... ო, როგორ მომაბეზრეთ თავი!

შაბელსკი — მაშ, თანახმა ხარ? მერხი, მერხი.. (გამოცოცხლდება, ივანოვს ხელს გაუყრის და განზე გაიყვანს) შენი ჩალის ქუდი ხომ შეიძლება დავიხურო?

ივანოვი — შეიძლება... ოღონდ მალე, თუ ღმერთი გწამს! (გრაფი შინ შევარდება) ო, როგორ მომაბეზრეთ თავი!.. ღმერთო ჩემო, რას ვლაპარაკობ? მაპატიე, ანიუტა, თვითონაც არ მესმის რას ვლაპარაკობ... მშვიდობით, პირველი საათისთვის მოვბრუნდები.

ანა პეტროვნა (პაუზის შემდეგ) — ნიკოლა, ძვირფასო... დარჩი.

ივანოვი (ლელავს) — არა, ანიუტა, არა, ჩემო კარგო, ჩემო კეთილო, ჩემო საწყალო, გემუდარები, ნუ მთხოვ, ნუ მიშლი საღამოობით სახლიდან წასვლას!.. განა არ ვიცი, რომ სახტიკად ვიქცევი, უსამართლობას ჩავდივარ, მაგრამ ნება მომეცი, ჩავდივარ ეს უსამართლობა!.. შინ ყოფნა ჩემთვის აუტანელი გახდა. მზე რომ ჩავა, შავი ნაღველი მომაწვება ხოლმე და ლამის არი ქუიდან შევიშალო!.. ნუ შეკითხები რისგან არი, თვითონ არ ვიცი! გეფიცები, არ ვიცი!.. სახლში ნაღველი მკლავს, ღებდევებთან მივალ და იქ უარესია. იქიდან დავბრუნდები და ისევ ხევდა შემაპურობს და ვარ ასე მთელი ღამე გაწამებული...

ანა პეტროვნა — დარჩენილიყავი, ერთად ვივანშებდით, ვინაუბრებდით... გინდა, მუსიკის მოგასმენინებდი: მე და ბუზღუნამ შენთვის რამდენიმე დუეტი მოვამზადეთ... (მოებხევა) დარჩი (პაუზა) რა მოგდის, ძვირფასო, ერთი წელია ვეღარ გცნობ. რამ შეგცვალა ასე?

ივანოვი — არ ვიცი, არ ვიცი...

ანა პეტროვნა — რატომ გამირბინარ ყოველ საღამოს? აღარ გინდა ჩემთან ყოფნა?

ივანოვი — თუ ასე გაინტერესებს, გეტყვი... ვიცი, გულს გატკენს ჩემი სიტყვები, მაგრამ სიმართლე ჭობია... გესმის, ნაღვლიანად როცა ვარ, აღარავის დანახვა არ მინდა, ყველანა მეჭაგრებთან და მათ შორის, შენც... ჰო, მაპატიე, მაგრამ ასეთ დროს შენც აღარ მიუვარხარ და ამიტომ გავრბივარ სახლიდან.

ანა პეტროვნა — ა, მესმის, მესმის... იცი რა, საყვარელო... აბა, სცადე ჯა ძველებურად გაიცინე! ან გაბრაზდი!.. მოდი, დღეს შინ დარჩი, ერთად ვივანშემოთ, თუ გინდა ნაყენიც დავლიო და გამხიარულდები ან გინდა, მე გიმდერებ? ან შენ კაბინეტში ჩავიკეტოთ ძველებურად, შუქი ჩავაქროთ და სიბნელეში შენი უფუნებობის ამბავი მომიყევი! შენ ისეთი დატანჯული გამოხედვა გაქვს! მე თვალეში მოგაჩერდები, ვიტარებ და ორივეს გულზე მოგვეშვება... (იციანის, თან ტირის) ის როგორ არი. „უვავილები ყოველ გაზაფხულს მეორდებიან, სიხარული კი არა“... ასეა?.. წადი, გეთავა, წადი.

ივანოვი — ილოცე ჩემზე, ანა! (მოდის, შეჩერდება, ყოყმანობს), არა, არ შემოძლია! (სწრაფად გადის)

ანა პეტროვნა — წადი... (მაგიდას მიუჭდება)

ლვოვი (ბოლთას სცემს) — ანა პეტროვნა! გთხოვთ ერთხელ და სამუდამოდ დაიმახსოვროთ თქვენი დღის წესრიგი: ექვსი საათის შემდეგ შინ უნდა შეხვიდეთ და მზის ამოსვლამდე კარში აღარ გამოხვიდეთ. საღამოს სინესტე თქვენთვის საწიანოა.

ანა პეტროვნა (ხუმრობით, სამხედრო ყაიდაზე) — არის, ბატონო!

ლვოვი — რას ნიშნავს „არის“? სერიოზულად გეუბნებით.

ანა პეტროვნა — მე კი არ მინდა სერიოზული ვიყო! (ახველებს)

ლვოვი — ან, ხედავთ... უკვე ახველებთ

ლვოვი, ანა პეტროვნა და შაბელსკი

შაბელსკი (სახლიდან გამობრბის პალტოში და შლიაპით) — ნიკოლა! ნიკოლა ხადლაა? ეტლი არ მოურთმევიათ? (სწრაფად მიუახლოვდება ანა პეტროვნას და ხელზე კოცნის)ღამე მშვი-

დობიხა, შადამი (იბანქება) გევალტი ბოდიში მომიხდია, თუ შეიძლება (ხტუნვა-ხტუნვით გადის)
ლვოვი — მახხარა!

(პაუზა, შორიდან გარმონის ხმა ისმის) უკრაინული

ანა პეტროვნა — რა მოწყენილობაა, ღმერთო!.. იქ ახლა შეეტლებნა და მზარეულ ქა-
ლებს მეჭლისი გაუმართავთ, მე კი მიტოვებულივით ვარ. (პაუზა) ექიმო, რას დადიხართ მანდ?
მოდით, დაჭექით.

ლვოვი — არ შემიძლია ჯდომა.

(პაუზა)

ანა პეტროვნა — სამზარეულოში „ჩიტო-გვრიტო“ უკრავენ... (ჩაიბღერებს) „ჩიტო-
გვრიტო... ჩიტო-გვრიტო...“ (პაუზა) დედ-მამა თუ გყავთ, ექიმო?

ლვოვი — მამა გარდაიცვალა, დედა ცოცხალია.

ანა პეტროვნა — დედაზე დარდობთ?

ლვოვი — ხად მცალია მაგისთვის.

ანა პეტროვნა (იციინის) — „უვაფილები უოველ გაზაფხულს მეორდებიან, სიხარული კი,
— არა“... ვინ თქვა ეს? ღმერთო, გამახხენე... მგონი ჩემმა ქმარმა თქვა.. (მიაყურადებს) ისევ
ბუკიოტი კივის.

ლვოვი — იკივლოს.

ანა პეტროვნა — იცით, ექიმო, ამ ბოლო დროს მე დასკვნამდე მივედი, რომ ზედმა ანგარი-
შის სწორების დროს უბინდისოდ მომატყუა. არა, მართლა რამდენ ადამიანს, მათ შორის ჩემზე
ბევრჯერ უარესსაც, ამკვეყნად ზედნიერება რგებია, მაგრამ ესოდენ დიდი ფასი არავის გადაუხ-
დია. მე კი უოველთვის, გესმით, უოველთვის, უოველი ფეხის ნაბიჯზე ჩემი სიხარულითა თუ სია-
შოანების საფასურს ვიხდიდი და იცით, რა ძვირი დამიჭდა ცხოვრება? ჰოდა, ვფიქრობ ახლა: რა-
ში მახდევინებდნენ ამდენ პროცენტებს. (პაუზა) აი, თქვენ ხულ შელოლიაეებით, მიფრთხილდებით,
გეშინიათ სიმართლე მითხრათ, მაგრამ როგორ გგონიათ, თვითონ ვერ ვხვდები რა მჭირს?... მშვე-
ნიერად ვხვდები... თუმცა, ამაზე ლაპარაკი არ ღირს. (ებრაული აქცენტით) ბოდიში მომიხდია,
თუ შეიძლება (იციინის) სასაცილო ანეგდოტების მოყოლა თუ იცით?

ლვოვი — არა.

ანა პეტროვნა — ჩემმა ქმარმა კი იცის... (პაუზა) ადამიანთა უსამართლობაც მაკვირვებს.
რატომ ხდება, რომ სიყვარულს სიყვარულითვე არ პასუხობენ, სიმართლის საპასუხოდ კი უოვე-
ლთვის ტყუილს ამბობენ? ან როდემდე უნდა ვძულდე ჩემს მშობლებს? აქედან ორმოცდაათი ვე-
რსის მანძილზე ცხოვრობენ და, გეგონება, ჩემს გვერდით იყვნენო, ისე ცხადად ვგრძნობ მათ სი-
ძულვილს. წარმოიდგინეთ, ძილშიაც არ მახვენებს.. ჩემი ქმრის საქციელიც მაკვირვებს. როგორ
მითხრა? „ხადამოობით, შავი ნაღველი რომ მომაწვება, არავის დანახვა არ მინდა და შენც აღარ
მიყვარხარო“... საწყალი ნიკოლა, რა გადიზიანებულაი თვითონაც ვერ გრძნობს როგორ მატკინა
გული... თუმცა მესმის მისი მდგომარეობა... კი, მაგრამ... ვითომ მართლ სადამოობით არ ვუყვარ-
ვარ? ერთიც ვნახოთ და საერთოდ მომიძულოს?... არა, ეს შეუძლებელია!.. თუმცა შეუძლებელი
რატომ არი? იქნებ... არა, არა! ამაზე ფიქრიც არ შეიძლება (ჩაიბღერებს) „ჩიტო-გვრიტო... ჩიტო-
გვრიტო...“ (შეშინებული) რა საშინელი ფიქრი ამეკვიატა?! თქვენ, ექიმო, უცოლო ხართ და ბევ-
რი რამ აღბათ არ გესმით.

ლვოვი — აი, თქვენ ვიკვირთ... (გვერდით მიუჭდება) თუმცა, თქვენ კი არა, მე თვითონ
მიკვირს... დიდი ხანია მიკვირს... ამიხსენით, გეთაყვა, როგორ მოხდა, რომ თქვენ, ჭკვიანი, პატი-
ოსანი და ნათელი პიროვნება ასე მოტყუვდით, ასე ბრმად დაემორჩილეთ ვიდაცის ნება-სურვილს
და ამ ბუკიოტების ბუდეში გამოამწყვდევინეთ თავი? რა გინდათ აქ? რა საერთო გაქვთ იმ გულ-
ქვა და უოვლად გამოფიტულ... თუმცა თავი დავანებოთ თქვენს ქმარს! რა გაკავშირებთ ამ უწმინ-
დურ გარემოსთან? მიმოიხედეთ, რა ხალხი ვახვევიათ? რომელი ერთი დაგინახელოთ? ის ჩაფან-
გული ღრენია გიჟი გრაფი თუ ის გათახსირებული გაიძვერა ბორკინი? გამაგებინეთ, თუ ღმერთი
გწამთ: როგორ მოხვდით ამ საგიჟეთში?

ანა პეტროვნა (იციინის) — ზუსტად ასევე ლაპარაკობდა ისიც... ზუსტად ასევე, ოდონდ
იმას უფრო მგზნებარე სახე ჰქონდა და ლაპარაკის დროს თვალები ნაკვერცხლებივით უბრწყი-
ნავდა... განაგრძეთ, ექიმო, განაგრძეთ!

ლვოვი (აღგება და ხელს ჩაიქნევს) — რა უნდა განვაგრძო, შინ შედით!

ანა პეტროვნა — აი, თქვენ აძაგებთ ნიკოლაი ალექსევიჩს, ასეთია — ისეთიაო... რა

იცით, როგორა? ნახევარი წელია იცნობთ... არა, ექიმო, ჩემი ქმარი შესანიშნავი პიროვნებაა და ძალზე ვწუხვარ, რომ ორი-ხამი წლის წინათ არ იცნობდით... ეს ახლა უგუნებოდა, გაჩუმებულია, არაფერს აკეთებს, წინათ კი... ო, რა კარგი იყო პირველი დანახვისთანავე შემიყვარდა (იცინის) შევხედე თუ არა, — ზოპ! და სათაგურის კარიც მოიკეტა! მარტო ერთ-ერთი სიტყვა მოთხრა: წამოძვე- ვიო და შეც წამით არ დავფიქრებულვარ, ყველაფერი მივატოვე და გასუყვამ... (პაუზა) ახლა შე- იცვალა, ის აღარ არის... ყოველ ხალამოს ლებედევებთან დადის და ქალებში ერთობა, მე კი... მე ამ ბაღში ვზივარ და ბუკიოტის კივილს ვუხმენ....

(ლამის დარაჯის სარეკელას რახუნი ისმის)

ძმები გყავთ, ექიმო?

ლვოვი — არა. (ანა პეტროვნა ქვითინებს) რა მოგივიდათ?

ანა პეტროვნა (აღგება) — აღარ შემიძლია, უნდა წავიდე!

ლვოვი — ხად?

ანა პეტროვნა — იმასთან... უთხარით ეტლი ჩამოაყენონ. მივდივარ!

(სახლში შედის)

ლვოვი — არა, გეთაყვათ, ასეთ პირობებში მკურნალობაზე კატეგორიულ უარს ვაცხა- დები დიახ. უარს ვაცხადები ის აღარ კმარა, რომ გასამრჯელოს არ მიხდიან, ხულისაც მიფორიაქებენ და... ერთი სიტყვით, მკურნალობაზე უარს ვაცხადებ! კმარა! (სახლში შედის).

ფ ა რ დ ა

მომხელეა მეორე

ძვირფასი ივეჯით მორთული დარბაზი ლებედევების სახლში. შუაში — ბაღში გა- სასვლელია, მარჯვნივ და მარცხნივ — თითო კარებია. ქალი, კანდელაბრები და სუ- რათები — შალითებშია შეფუთული.

1.

ზა

ზინაიდა სავიშნა, კოსიხი, ავდოტია ნაზაროვნა, ეგორუშკა, გავრილა, მოსამსახურე ქალი, სტუმრად მოსული დედაბრები, ქალიშვილები, ახალგაზრდა ვაჟები და ბაბა- კინა.

ზინაიდა სავიშნა დივანზე ზის, მის ირგვლივ სავარძლებში სტუმრად მოსული დე- დაბრები სხედან; სკამები ახალგაზრდებს უკავიათ. სცენის სიღრმეში — კოსიხი, ავდოტია ნაზაროვნა, ეგორუშკა და ერთ-ერთი სტუმარი კარტს თამაშობენ. მარჯვენა კართან გავრილა ატუზულა. მოსამსახურე ქალი ხონჩით ტკბილეულს დაატარებს. მარჯვენა კარში წამდაუწუმ შემოდის და გადიან სტუმრები. შემოდის ბაბაკინა და ზინაიდა სავიშნასკენ გაემართება.

ზინაიდა სავიშნა (გახარებული) — მართა ეგოროვნა... როგორ გამახარეთ!

ბაბაკინა — გამარჯობათ, ზინაიდა სავიშნა! მაქვს პატივი ახალშობილი მოგილოცოთ. (ენ- ვევიან ერთმანეთს და კოცნიან) ღმერთმა ქნას, როგორც იტყვიან....

ზინაიდა სავიშნა — გმადლობთ. საყვარელო. როგორ ბრძანდებით?

ბაბაკინა — დიდად მადლიერი ვარ თქვენი. (გვერდით მიუჯდება) გამარჯობათ, ახალგა- ზრდებო!

პირველი სტუმარი (იცინის) — ახალგაზრდებო? თქვენ რა, ბებერი ხართ?

ბაბაკინა — ეჰ, რაღა დროს ჩვენი ახალგაზრდობაა? ფენი არ ჩავვივა...

პირველი სტუმარი (მორიდებულად ჩაიკინებს) — რახა ბრძანდით? ქვრივს ვეძახიან, თო- რემ ისე... შემირცხვენია თქვენთან ქალიშვილები!

(გავრილა ბაბაკინას ჩაის მიართმევს)

ზინაიდა სავიშნა (გავრილას) — ცარიელი ჩაი რა მოხატანია? მურაბაც მოგეუოდებინა. კინკრივისა თუნდაც...

ბაბაპინა — ნუ წუბღებით, დიდად მაღლიერი ვარ თქვენი.

(პაუზა)

პირველი სტუმარი — მარტა ეგოროვნა, თქვენ მუშაინოს ვწით მოხვედით?

ბაბაპინა — არა, წაიმიწიწე გამოვიარე, იქ უკეთესი გზაა.

პირველი სტუმარი — გასაგებია.

კოსინი (კარტს თამაშობს) — ორი ყვავი.

ეგორუშაპ — პასი.

ავდოტია ნაზაროვნა — პასი.

მეორე სტუმარი — მეც პასი.

ბაბაპინა — ზინაიდა სავიშნა, ძვირფასო, თქვენ ალბათ გაიგებდით, რომ ლატარიის ბილეთები ისევ გაძვირებულია. გაგონილა: პირველი სესხი უკვე ორას სამოცდაათი მანეთია, მეორე კი, სულ ნაკლები, ორას ორმოცდაათად ფასობს!

ზინაიდა სავიშნა (ამოიხვეწით) — ნეტაი იმას, ვისაც ბევრი აქვს!

ბაბაპინა — ნუ იტყვით, ძვირფასო! ფასმა კი აიწია, მაგრამ კაპიტალის დაბანდებას მაინც აწრი არა აქვს. მარტო დაწვევთა რა ქდება, ახა იანგარიშეთ!

ზინაიდა სავიშნა — მართალს ბრძანებთ, საყვარელო, მაგრამ... იმედია მაინც (ამოიხვეწით) ღმერთი მოწყალება...

მესამე სტუმარი — ჩემი თვალსაზრისით, ქაღალატონებო... ვფიქრობ, რომ დღესდღეობით კაპიტალის ფლობა არც თუ ისე ხელსაყრელია... დიახ... პროცენტის თამახუქები საქმოდ მცირე დივიდენტებს იძლევა, ხოლო ფულის ბრუნვაში ჩაშვება ერთობ საშიშია... მე ვფიქრობ, ქაღალატონებო, რომ ადამიანი, ვისაც დღესდღეობით კაპიტალი გააჩნია, უფრო კრიტიკულ მდგომარეობაშია, ვიდრე ის, ვისაც, ქაღალატონებო...

ბაბაპინა (ამოიხვეწით) — მართალს ბრძანებთ. (პირველი სტუმარი ამოქნარებს) რატომ ამოქნარებთ, აქ ქალები სხედან.

პირველი სტუმარი — პარდონ, უნებლიეთ მომივივლა.

(ზინაიდა სავიშნა აღგება და მარჯვენა კარში გავა. ხანგრძლივი დუმილი)

ეგორუშაპ — ორი აგური.

ავდოტია ნაზაროვნა — პასი.

მეორე სტუმარი — პასი.

კოსინი — მეც პასი.

ბაბაპინა (თავისთვის) — ღმერთო, რა მოწყენილობაა! სული ამოხდება ადამიანს?!

2.

იგინივე, ზინაიდა სავიშნა და ლებედევი

ზინაიდა სავიშნა (ქმართან ერთად მარჯვენა კარში შემოდის. ლებედევს ჩუმად) — რას უწიხარ იქ პატარძალივით, სტუმრებს მოხედე! (თავის ადგილზე ქდება)

ლებედევი (ამოქნარებს) — ვაი ჩვენს ცოდვას... (ბაბაპინის დაინახავს) ამას ვის ვხედავ? მარმელადი! შაქარლამა! (ხელზე კოცნის) როგორ მყავს თქვენი უძვირფასესი...

ბაბაპინა — დიდად მაღლიერი ვარ თქვენი.

ლებედევი — მადლობა ღმერთს, მადლობა ღმერთს... (სავარძელში ჩაეშვება) მაშ ასე... გავრილა!

(გავრილა ორი ჭიქით არაყს და წყალს მიართმევს. ლებედევი არაყს გადაკრავს და წყალს დააყოლებს)

პირველი სტუმარი — გაამოთ.

ლებედევი — რამ უნდა მაამოს, სული რომ არ მძვრება, ის მიკვირს!

(ცოლს) ზუზუშკა, ჩვენი ახალშობილი სადღაა?

კოსინი (გაბუტული ხმით) — არა, გამაგებინეთ რაშია საქმე? ბოლო კარტის გარეშე რატომ დავრჩით? (წამოეარდება) ჯასწყევლოს ღმერთმა, რატომ წავაგეთ, რატომ?

ავდოტია ნაზაროვნა (ისიც წამოეარდება გაბრაზებული) — იმიტომ, ჩემო ბატონო, რომ კარტის სათამაშოდ არ უნდა დაქდე, როცა თამაში არ იცი! რა უფლება გქონდა სხვის ფერში რომ ჩადიოდი? ჰოდა, იუაფი ახლა მაგ შენი დამწინდებული ტუზის ანაბარა!

(ორივენი მაგიდას მოსცილდებიან და ავანსცენაზე გამორბიან)

კოსინი (მტირალი ხმით) — მოითმინეთ, ბატონებო, მოითმინეთ! მე ხელში მქონდა აგურის ტუზი, ხელმწიფე, ქალი, ყვავის ტუზი და ერთი, გესმით, მხოლოდ ერთი პატარა თხილიანი... მე, ბატონო, უკონირო თამაში გამოვაცხადე...

ავდომტია ნაზაროვანა (არ აცლის) — უკონირო მე გამოვაცხადე! შენ ორი უკონირო თქვი!

კოსინი — ეს აღმაშფოთებელია... მოითმინეთ... თქვენ გქონდათ... მე მქონდა... თქვენ... (ლებედევს) პაველ კირილიჩ, თუ ღმერთი გწამთ, განსაჩეთ... მე ხელში მქონდა აგურის ტუზი, ხელმწიფე, ქალი....

ლეგედვი (ყურებში თითებს დაიკობს) — თავი გამანებეთ!

ავდომტია ნაზაროვანა (ყვირის) — უკონირო თამაში მე გამოვაცხადე! მე!

კოსინი (გაცოფებული) — წვეული და არამწადა ვიყო, თუ ოდესმე ვეთამაშო ამ ზუთხს, ამასი (სწრაფად გადის ბაღში, მეორე სტუმარი მას მიყვება, მაგიდასთან მარტო ეგორუშკა რჩება)

ავდომტია ნაზაროვანა — უპ, ოფლმა დამახხა მაგის გადამკიდეს!.. ზუთხიო! ზუთხიო! ხარ და ერთი მეტიც!

ბაბაქინა — თქვენც კარგა ბრაზიანი უოფილხართ, ბებია.

ავდომტია ნაზაროვანა (ახლალა შეამჩნევს ბაბაქინას, ხელებს გაშლის) — ღმერთო დიდებულო! ჩვენი ანგელოზი, ჩვენი მზეთუნახავი აქ უოფილა, მე კი, ბრუციანი, ვერა ვხედავ! შენ შემოგვედღე, ჩემო გვრიტო, ჩემო ვარდო გაფურჩქნილო! (მხარზე კოცნის, გვერდით მიუჯდება) როგორ მიხარია, რომ გხედავი მოიცა, რიგიანად დაგათვალეირო, შე ჩემო თეთრო გედო!.. თფუი, თფუი, თვალი არ გეცეხს!

ლეგედვი — ტუზიდ-უბრალოდ ნუ ქაქანებ, ბებერო! ქობია საქმრო მოუძებნე ამ ქალს.

ავდომტია ნაზაროვანა — პოდა, მოვუძებნი, რა გგონია! ისე არ ჩაფწვები მიწაში, რომ ეგა და ჩვენი საშენკა არ დავაქორწინო! აი, ენა გამიხმებს, თუ ვტყუოდე! (ამოოხვრით) თუმცა, სადღა ნაბავ ახლა ხახიძოებს? ა, შეხედე, რას გვანან ჩვენი ახალგაზრდები! სხედან გაფხორილი მამლე-ბივით....

მესამე სტუმარი — ერთობ უხვირო შედარებაა, ჩემი აზრით, ქალბატონო, ახლანდელი ვაჟები თუ ცოლებ არ თხოულობენ, ეს, ასე ვთქვათ, სოციალური პირობების ბრალია....

ლეგედვი — პო, კარგი, ნუ ფილოსოფოსობ... არ მიყვარს ეგეთები!

3.

ივინივე და საშა

საშა (ბალიდან შემოდის და მამას მიუახლოვდება) — შესანიშნავი ამინდია, ბატონებო, ოთახში რას უხხედხართ?

ზინაიდა სავიშნა — შვილო, მარტა ეგოროვანა გვეხტუმრა, ვერ ხედავ?

საშა — მამატიეთ (მივა ბაბაქინასთან და მიესალმება)

ბაბაქინა — გაამაუებულხარ, საშენკა, თავს აღარ გვიყადრებ... ერთხელ შემოგვევლო ჩვენსა. (კოცნიან ერთმანეთს) მომილოცავს.

საშა — გმადლობთ. (ისევ მამასთან მიდის და გვერდით მიუჯდება)

ლეგედვი — მართალი ხართ, ჩემო ბატონო. ხახიძოების შოვნა ახლა ძალზე ძნელია. ხახიძოს კი არა, რიგიან მათარხაც ვერ მონახავ! ეხლანდელი ახალგაზრდობა, — არავის ხაწყუნად არ ვამბობ ამას, — რაღაც უნიათოა, დახწყევდოს ღმერთმა, ჩამყავებულთა თუ ჩახარშული, ვერ გაშიგია. არც ცეკვა იციან, არც ხაუბარბი, არც სმა...

ავდომტია ნაზაროვანა — მაგაზე რა მოგახხენოთ! სმაში უოჩალები არიან, ოღონდ დააღვეინე!

ლეგედვი — ეგენი რომ სვამენ, ისეთ სმას რა კეუა აქვს?! ეგრე ხომ ცხენიო სვამს! კაცი თუ ხარ, ხაზრიანად უნდა დალიო. ჩემს ახალგაზრდობაში, მახსოვს, დილიდან საღამომდე ლექციებს თავს ვაკლავდი, მაგრამ დაღამდებოდა თუ არა, ერთი ხული მქონდა სადმე განათებული ფანჯარა დამენახა; გავქანდებოდი იქა და დილაზე ციბრუტივით ვტრიალებდი, ვცეკვავდი, ქალი-შვილებს ვართობდი... სხვათა შორის, ამასაც არ ვიკლებდი (ყელზე წკიბურტს გაირტყამს). მახსოვს, ხულ ენად ვიყავი გაკრეფილი, ათას ტყუილს და მართალს ვამბობდი, ვფილოსოფოსობდი კიდევ... ეხლანდელი ახალგაზრდები კი რას გვანან? (ხელს ჩაიქნევს) არც ღმერთს არგვიან, არც ეშ-

მაქს მთელ მაზრაში ერთი წესიერი ახალგაზრდა შეგულება და ისიც ცოლიანია. (ამოოხვრით) თუ-
მცა, ამ ხოლო დროს იმანაც აურია.

ბაბაპინა — ვისზე ამბობთ?

ლეგიდვი — ნიკოლაშა ივანოვიზე.

ბაბაპინა — კარგი შამაკაცია. (სახე დაებრძინებდა) უბედურია ოღონდ.

წინაიღა საპიშნა — ეჰ, ჩემო კარგო, აბა როგორ უნდა იყოს ბედნიერი? (ამოოხვრით) მოტყუვდა, საწყალი, ძალიან მოტყუვდა! ის თავისი ურია ცოლი რომ მარტყანა, დაღწევი ტყუილი ჰქონდა, რომ ქალის მშობლები კარგ შვითევს გამოატანდნენ, ხულ ოქროთი აავსებდნენ. მაგრამ პერიქით მოხდა. იმ დღიდან, რაც ქალმა რჩული შეიცვალა, მშობლებს მისი დანახვა აღარ უნდათ! დასწყევლებს და შეაჩვენებს! ჰოდა, კაპიტაც არ ერგო მის ქმარს... ახლა კი ნანობს, მაგრამ რაღა დროსია?!

საშა — არაა ეგ მართალი, დედა!

წინაიღა საპიშნა — მართალია, შვილო, მართალი მთელმა ქვეყანამ იცის. სარგებელი რომ არ ჰქონოდა, ებრაელს შეირთავდა? განა რუხი ცოტაა? მოტყუვდა, შვილო, ანგარიში შეეშალა. (გამოცოცხლდება) უნდა ნახოთ ახლა, რა დღეში მყავს ცოლი! ყოველ ხალამოს, სახლში რომ მოვა, დაეტაკება და ეჩხუბება: „შენმა დედა-მამამ უხინდისოდ მომატყუესო, მიბრძანდი ჩემი სახლიდანო!“ ის კი, აბა, სად უნდა წავიდეს? მშობლები აღარ მიიღებენ. მოახლედ დაუდგებოდა ვინმეს, მაგრამ მუშაობას მიჩვეული არ არის.. ჰოდა, წის გაჩუმებული და იხმენს ქმრის საყვედურებს, ხანამ გრაფი არ გამოექომაგება... გრაფი რომ არ ყოფილიყო, აქამდე მისი ქმარი ხელში შეიკლავდა საწყალს!

ავდოტია ნაზაროვანა — იმასაც ამბობენ, ქმარი თურმე სარდაფში ჩაკეტავს ხოლმე და უბრძანებს: „ხეთქე, შე ასეთო და იხეთო, ნიორიო!“ ისიც ჭამს, საცოდავი, ხანამ ყელზე არ დაადგება! (ყველანი იცინიან)

საშა — მამა, ეგ ხომ ტყუილია, ტყუილი!

ლეგიდვი — რა გინადვლება, იუბედონ... (ყვირის) გავრილა!

(გავრილა ისევ არაყს და წყალს მიართმევს)

წინაიღა საპიშნა — იშიტომაც გაკოტრდა ეგ უბედური! ვერც ერთ საქმეს თავი ვერ მოახა ბორკინი რომ არ უვლიდეს მის მამულს, ეგა და მისი ურია ცოლი შიმშილით დაიხოცებოდნენ! (ამოოხვრით) ჩვენც ზარალი მოგვაყენა. (ბაბაპინას) არ დაიჭერებო, საყვარელო, და საში წელია ჩვენი ცხრა ათასი მართებს!

ბაბაპინა (გაოცებული) — ცხრა ათასი?

წინაიღა საპიშნა — აბა ჩემმა ძვირფასმა ქმარმა მიართვა, თორემ მე რას მივცემდი... არ იცის ამ კაცმა, ვის უნდა ახეხხოს და ვის — არა. კაპიტალზე აღარაფერს ვამზობ, — ჭანი გავარდეს! — პროცენტები მაინც გადაგვიხადოს წესიერად!

საშა (გაცხარდება) — დედაჩემო, თქვენ ეს უკვე ათასჯერ გითქვამთ!

წინაიღა საპიშნა — მერე შენ რა? რას ექომაგები?

საშა (აღგება) — აბა რატომ ლანძღავთ კაცს, ვისაც თქვენთვის არაფერი დაუშავებია?

მეორე სტუმარი — აღუქსანდრა პავლოვანა, ორიოდ სიტყვა, თუ შეიძლება, მეც მათქმე ვინეთ... ივანოვს მე დიდ პატივს ვცემ და გოველთვის საამაყოდ მიმანდა... მაგრამ, ჩვენ შორის დარჩეს, და ის კაცი მე მგონია, ცოტა ავანტურისტია.

საშა — ჰოდა, მომილოცავს, თუ გგონიათ!

მესამე სტუმარი — ამის დასადასტურებლად, თუ გნებავთ, ერთ ფაქტსაც მოვიყვან, რომელიც მისმა ატაშემ, ან უფრო სწორად, მისმა ჩიჩერონემ ბორკინმა მოცნობა... თურმე ორი წლის წინათ, საქონლის ეპიზოტის პერიოდში, ივანოვმა საქონელი შეიძინა, დააზღვია იგი...

წინაიღა საპიშნა — დიახ, დიახ, მეც მითხრეს ეგ ამბავი!

მესამე სტუმარი — დააზღვია... მერე საქონელს ჭირი შეყარა და საზღვევი პრემიაც მიიღო!

საშა — ხისულელება! არავითარი საქონელი არავის არ უყიდა და არც პრემია მიუღია! თვითონ ბორკინმა მოიგონა ეს სულელური გეგმა და ქვეყანას მოხდო! ივანოვმა რომ გაიგო, ხულ შავი დღე აყარა, ბორკინი მან ორი კვირა ბოდიშებს უბდიდა... ივანოვი თუ დამნაშავეა, მართო იმაში, რომ რბილი კაცია, ნებხეყოფა არ ყოფნის კინწიხვრით გააგდოს ეგ ბორკინია თუ ვილა-ცა! და კიდევ იმაშია დამნაშავე, რომ მეთისმეტად ენდობა ხალხს, ყველაფერი, რაც გააჩნდა,

მომპარეს და დაიტაცეს! მისი აზრებითა და წამოწყებებით, ვისაც არ ეზარება, ყველამ ისარგებ-
ლა და ხელი მოითბოს

ლეგაღვი — ხო, ხო, როგორ გაცხარდა... კმარა, შურა, დაწყნარდი

საშა — აბა სიხუდელეს რატომ ლაპარაკობენ? ბოლოს და ბოლოს ეს მოსაწყენია! სულ
ივანოვი და ივანოვის მეტი ხალაპარაკო არ გაჩნიათ! (კარისკენ მიდის და დაბრუნდება) გაკვირვე-
ბული ვარ, ღმერთმანი! (ახალგაზრდებს) თქვენი ამბავიც მაკვირვებს. „მე თუ არ მოგ-
წყინდათ ახე უსაქმოდ ჯდომა? თქვენს გარშემო ბაერიც კი გაიყინა! მტყუნებო! თბისაგან ხმა ამო-
იღეო, თქვით რამე, გაართეთ ქალიშვილები, გაინძერით! ივანოვის გარდა თუ სხვა სიუჟეტი არ გა-
გაჩნიათ, იცინეთ მაინც, იმღერეთ, იცეკვეთ...“

ლეგაღვი — მიდი, მიდი, გაათხე!

საშა — არა, მართლს ვამბობ. ჩემი ხატით მაინც გაინძერით! ცეკვა-თამაში თუ არ გინ-
დათ და სიცილის გუნებაზეც არ ხართ, თუ ყველაფერი მოგბეზრდათ და აღარაფერი გაინტერე-
სებთ, — გემუდარებით, გთხოვთ, ერთხელ მაინც თქვენ სიცოცხლეში, სახეიროდ, კურიოზის სა-
ხით, სხვების გასაკვირვებლად ან გასაცინებლად მაინც, ძალა მოიკრიფეთ და ყველამ ერთად მოი-
მოქმედეთ რამე გონებასახვილური, თავისებური, გამორჩეული; ან თქვით რამე, თუნდაც უხამსო-
ბა ან უტიფრობა, ოღონდ სასაცილო იყოს და ახალი ან ყველამ ერთად ჩაიღინეთ რაღაც, თუნ-
დაც ძლივს შესამჩნევი, პატარა საქციელი. ოღონდ ისეთი, გმირობას რომ გავდეს და ამის დანა-
ხვაზე ქალიშვილებმა ერთხმად დაიძახონ: „ღმერთო ჩემო, ეს რა უოფილაო!“... არა, მართლა.
თქვენ ხომ გინდათ თავი მოაწონოთ ქალიშვილებს? მაშ რატომ არ ცდილობთ ამას? თუმცა, რა
უნდა გელაპარაკოთ? თქვენ ეს არა ხართ, რაც უნდა იყოს! არა! თქვენ ეს არა ხართ, არა! ის არა
ხართ!.. თქვენი შემხედვარე ბუზებიც კი იხოცებიან და ახოლებული ლამპები ხრჩოლვას იწყე-
ბენ!.. არა, თქვენ ეს არა ხართ, რაც უნდა იყოს! არა! ათასჯერ მითქვამს და გავიმეორებ! თქვენ
ეს არა ხართ, რაც უნდა იყოს! არა ხართ, არა!

4.
ივინივე, ივანოვი და შაბელსკი

შაბელსკი (ივანოვთან ერთად მარჯვენა კარში შემოდის) — ეს ვინაა, გამოთქმით რომ ლაპა-
რაკობს? შუროჩკა, თქვენ ხართ? (სიცილით ხელს ართმევს) მომილოცავს, ჩემო ანგელოზო! ღმე-
რთხა ვთხოვ, რაც შეიძლება გვიან მოკვდეთ და ხელმეორედ აღარ გაჩნდეთ ამ ქვეყანაზე.

ზინაიდა სავინა (გახარებული) — ნიკოლაი აღექსევევიჩი გრაფ!

ლეგაღვი — ვაჰ! ამას ვის ვხედავ... გრაფი (მისკენ გაეშურება)

შაბელსკი (ზინაიდა სავინას და ბაბაკინას დაინახავს და მათკენ ხელს გაიშვერს) — ორი
სახაზინო ბანკი ერთ დივანზე! რა ხაამო ხანახავია! (ზინაიდა სავინას) ზუზუშკას სალამი! (ბაბა-
კინას) გამარჯობათ, პუტკუნავ!

ზინაიდა სავინა — ძლიერ მიხარია! გრაფ, რა იშვიათი სტუმარი გახდით? (ყვირის)
გავრილა, ჩაი!.. დაბრძანდით, გეთაყვა. (ადგება, მარჯვენა კარში გავა და უმაღვე დაბრუნდება
შეწუხებული სახით. საშა მამას გვერდით მიუჭდება. ივანოვი უხმოდ ესალმება ყველას)

ლეგაღვი (შაბელსკის) — საიდან, ადამიანო? რა ქარმა გადმოგაგდო?
(ეხვევა და კოცნის) აი, სიურპრიზი!.. დიდი უსინდისო კი ხარ, შე არამზადავ! აბა, რა პატიოსნებაა
ეს? წესიერი ხალხი ახე არ იქცევა! (ხელს გაუყრის და განზე გაიყვანს) რატომ არ დადიხარ ჩვენ-
თან, გვემღურო?

შაბელსკი — როგორ მოვიდე, რით? ჯოხის ცხენზე შევჭდე? საკუთარი ეტლი არ გამაჩ-
ნია, ნიკოლას კი არხად გავყავარ, შინ მტოვებს, რომ მისი ხარა გავართო... გამომიარე და წა-
მიყვანე, თუ გენატრები!

ლეგაღვი (ხელს ჩაიქნევს) — რას ამბობ! ჩემი ცოლი თავს მოიკლავს და ცხენებს
არ მომცემს!.. არადა, იცი, როგორ მიყვარხარ?! ყველაზე ძვირფასი და ახლობელი ხარ! ძველები-
დან მართო მე და შენლა დავრჩით... „მე შენში მიყვარს წარსულის ტანჯვა და ჩემი სიურპე აწ და-
დუბუღის!..“ ხედავ, ვტირის! (გრაფს ეხვევა)

შაბელსკი — მომცილდი, მომცილდი! ისეთი სუნი გდის, საარყე ქვებში მგონია ჩემი თავი!

ლეგაღვი — ვერც კი წარმოიდგენ, როგორ მომენატრა მეგობრები! ლამის არი თავი
ჩამოვიხრჩო მოწყენილობისგან! (ხმადაბლა) ჩემმა ცოლმა თავისი გამსახებელი სალაროთი პა-

ტიოსანი ხალხი ხულ დაიფრინა, მარტო კაცობიებშილა დარჩენენ... აი, ეხენი... დუდკინებია თუ ბუდკინები, ვერ გაიგებს... შო, კარგი, კარგი, ჩაი მიირთვი.

(გაეროლა გრაფს ჩაის მიართმევს)

ზინაიდა სავიშნა (გაეროლას, შეწუხებული სახით) — ცარიელი ჩაი რა მოხატანი უყო? მურაბაც მოგერთმია, კინკრეთისა თუნდაც...

შაბაღსკი (გადაიხარხარებს, ივანოვს) — რა გითხარი, გახსოვს? (ლებედევს) გნაში რომ მოვდიოდით, დავენიძლავე: აი, ნახე, ზუზუშკამ კინკრეთის მურაბა თუ არ მოიტანოს-შეტქვი!

ზინაიდა სავიშნა — თქვენ ხომ დაცინვის გარეშე არ შეგიძლიათ, გრაფ!

ლებედევი — ოცი ფუთი მოხარშა, გახადება არ უნდა?!

შაბაღსკი — (მაგიდას მიუჯდება, ზინაიდას სავიშნას) — მაშ, ფულს ისევ აგროვებთ, ძვირფასო? მილიონი გექნებათ?

ზინაიდა სავიშნა (ამოოხვრით) — ეპ, ვინმე რომ შეგვხედოს, ჩვენზე მდიდარი არავინ ეგონება, მაგრამ სადაა ფული?

შაბაღსკი — შო, კარგი, კარგი ვიცით, რა ცუდი მონარდეცა ხართ!

(ლებედევს) პაშა, შენ მაინც მითხარი მართალი: მილიონი დააგროვეთ?

ლებედევი — რა ვიცი, ზუზუშკას ბკითხე.

შაბაღსკი (ბაბაქინას) — მილიონი მალე ამ პუტკუნასაც ექნება! ნახე, როგორ გალამაზებულია და გახუჭებულია შეხედავ და ხელად მიხვდები, რომ ფული ბლომადა აქვს!

ბაბაქინა — დიდად მადლიერი ვარ თქვენი, თქვენო ბრწყინვალეებავ, ოღონდ დაცინვები არ მიყვარს.

შაბაღსკი — ძვირფასო ჩემო ბანკო, განა ეს დაცინვაა? სულის ყივილია, საყვარელო! გრძნობათა სიჭარბე ამეტყველებს ჩემს ბაგეებს! თქვენ და ზუზუშკა უხანდვროდ მიყვარხართ! (მხიარულად) თქვენ რომ გიყურებთ, პირდაპირ კკუას ვკარგავ! ვტკბები და აღტაცებისაგან ლამის გავფრინდე!

ზინაიდა სავიშნა — ისევ ისეთი ხართ, როგორც იყავით. (ეგორუშკას) ხანთლები ჩააქრე. კარტს მაინც აღარ თამაშობთ და ტყუილად რაზე დაიწვას? (ეგორუშკა შეკრთება, აღგება და სანთლებს აქრობს) ნიკოლაი აღექსევიჩ, თქვენი შეულღე როგორ ბრძანდება?

ივანოვი — ცუდად არი, დღეს ექიმმა დაბეჭითებით გამომიცხადა ტლექი აქვსო.

ზინაიდა სავიშნა — ნუთუ მართლა? რა საწყენია! (ამოოხვრით) ჩვენ ისე გვიყვარს თქვენი შეულღე.

შაბაღსკი — სისულელეა! სისულელეა ყველაფერი და ექიმური თაღლითობა! არავითარი ტლექი იმას არა აქვს. უბრალოდ, ესკულაპს სიამოვნებს ქალის ოჯახში ყოველდღე სიარული და რაღაც ტლექი გამოიგონა! რა ენადვლება, რა? ქმარი მაინც არ ეჭვიანობს.

(ივანოვი უსიამოვნოდ შეიშმუშნება)

რაც შეეხება ხარას, მე მისი არც ერთი სიტყვა არ მჭერა! და საერთოდ, არასოდეს ვენდობოდი არც ექიმებს, არც ვექილებს, არც დედაკაცებს... სისულელეა ყველაფერი! სისულელე და თაღლითობა!

ლებედევი (შაბაღსკის) — ხაკვირველი პიროვნება ხარ, მატვეი! მიზანთრობად გინდა მოგვაჩვენო თავი და აღარ იცი, როგორ დაგვარწმუნო ამაში! ვინმე რომ შეგხედოს, ჩვეულბრივი ადამიანი ეგონები, მაგრამ ხმას ამოიღებ თუ არა, თითქოს ძირძიტა ამოგხვლია ენაზე ან ანთება დაგიწყოს...

შაბაღსკი — მაშ, რას მიჩივ? თაღლითებსა და არამზადებს გადავებვიო?

ლებედევი — სად ხედავ თაღლითებსა და არამზადებს?

შაბაღსკი — დამსწრე საზოგადოებაზე არ ვლაპარაკობ, მაგრამ....

ლებედევი — შოდა, მაგაშია ხაქმე, თამაშობ და თავს იგდებ.

შაბაღსკი — ვთამაშობ... შენ რა გიპირს, არავითარი მსოფლმხედველობა არ გაგაჩნია.

ლებედევი — რა მსოფლმხედველობა უნდა მქონდეს? ვზივარ და ყოველ წუთს ველოდები როდის ამოშნდება სულის ესაა ჩემი მსოფლმხედველობა! რაღა დროს ჩვენი მსოფლმხედველობაა, შე დალოცვილო, ცალი ფეხი სამარეში გვიდგას! (ყვირის) გავრილა!

შაბაღსკი — გეყოფა, შენ ისედაც კარგა გაგავრილებული ხარ. კარხალივით დაგწითლებია ცხვირი!

ლებედევი (სევამს) — არა უშავს, საქორწინოდ არავინ შეძახის!

ზინაიდა სავიშნა — ექიმმა ლვოვმა კი ხულ დაგვიფიწყა, დიდი ხანია არ ყოფილა ჩვენთან.

საშა — არ მომწონს ეს კაცი. მთარული პატროსნებაა. ჰიქა წყალს არ დაღვეს ისე, პაპი-როსს არ მოწვეს, რომ თავისი არაჩვეულებრივი პატროსნებით არ დაიკვებოს სდუმს თუ ლაპარაკობს, შუბლზე თითქოს აწერია: მიუურეთ, რა პატროსანი ვარო!... მოხაწუენია მასთან უოფნა.

შაბაღსპი — გონებაშეზღუდული, უტიფარი მკურნალია უოველ ფენის ნაბიჯზე თუ თიუუშივით გაიძახის (გამოჯაგრებით): გზა მიეციოთ პატროსანი შრომასო და თავისი თავი მეორე დობროლიუბოვი ჰგონია! ვინც არ უვირის, ის არამზადაა. შენუდულოებები რომ პირდაპირ განსაცვიფრებელი აქვს: გლენკაცი თუ შეძლებულია და ადამიანურად ცხოვრობს, მაშასადამე მამაძადლი და მყვლეფავია!.. მე, მაგალითად, ხავერდის პიჯაკი მაცვია და ლაქია შემსახურება, — ესე იგი მამაძადლი და ბატონ-უმობის ტრფიალი ვარ!.. ის დალოცვილი ისეთი პატროსანია, ისეთი, რომ ლამის გასკდეს პატროსნებისაგან! სულ შფოთავს და წრიალებს. მართალი გითხრათ, შეშინია კიდევ მისი. დმერთმანი! ერთიც ვნახოთ და მოვალეობის გრძნობისაგან იმდენად გამოტვინდეს, რომ საბალხოდ თავში ჩამაფაროს ან შემაგინოს!

ივანოვი — მეც დამლალა მასთან ურთიერთობამ, მაგრამ მაინც მომწონს. უადრესად გუღწრფელია.

შაბაღსპი — კარგი გუღწრფელობაა, დმერთმანი! გუშინ საღამოს გამაჩერა და უოველად უმიზეზოდ მომახალა: „მე თქვენ ძალზე არ მომწონხართო!“ უმორჩილესად გმადლობთ! თან ჩვეულებრივი ხმით კი არ მეუბნება ამას, — კანკალებს, თვალეები უბრწყინავს... ერთი სიტყვით, მზადაა ცოფიანი მგელისვით დამეტაკოს და უელი გამომლადროსი ეშმაკსაც წაუღია მისი გუღწრფელობა! კი, ბატონო, დავუშვათ, მართლა არ მოვწონვარ, ვეზიზღები, — ეს ბუნებრივიცაა, თვითონ ვიცი, რისი ღირსიც ვარ, — მაგრამ რა საჭიროა პირში თქმა? საძაველი კი ვარ, მაგრამ თმა გამთეთრებია და, უველაფერს თავი რომ გავანებო, ჩემ კალარას მაინც პატივი უნდა სცეს!.. მიმიფურთხებია ასეთი უნიქო და უღმობელი პატროსნებისათვის!

ლეგედევი — კარგი, დამშვიდდი. თავის დროზე შენც იყავი ახალგაზრდა და უნდა გაუგო.

შაბაღსპი — დიახ, თავის დროზე ახალგაზრდა და სულელი მეც ვიყავი. ჩაცკის როლს ვთამაშობდი და არამზადებხა და გაიძვერებს ვთათხავდი! მაგრამ არახოდეს ჩემ სიცოცხლეში ქურდისთვის ქურდი არ დამიძახია და ჩამოხრჩობილის სახლში თოკზე არ მილაპარაკა! ზრდილობიანი უმაწვილი ვიყავი, კარგ ოჯახში ჯაზრდილი! ეს თქვენა ხებრე მკურნალი კო, დარწმუნებული ვარ, თავისი მოწოდების სიმალღეზე და მეშვიდე ცაზე იგრძნობდა! თავს, ერთხელ მაინც რომ საშუალება მისცემოდა იმ თავისი პრინციპებისა და ზოგადსაკაცობრიო იდეალების საფუძველზე საჭაროდ სილა გაეწნა ან თავი გაეხეთქა ჩემთვის!

ლეგედევი — ახალგაზრდები საერთოდ ფიცხები არიან. მე, მაგალითად, ბიძა მყავდა მეგელიანელი... დამპატივებდა ხოლმე სტუმრებს, მათთან ერთად დაღვედა, იქეიფებდა, მერე ხკამზე შედგებოდა და მოხდგებოდა: „თქვე ასეთებო-ისეთებოო... უველანი უფიცები ხართო... ხოროტი ძალაა თქვენშიო... ახალი ცხოვრების განთიადი მოღისო...“ დიწყებდა და აღარ გაათავებდა! სულ მიწახთან გაახწორებდა უველას!

საშა — სტუმრები რაღას ამბობდნენ?

ლეგედევი — არაფერს. უსშენდნენ და სვამდნენ თავისთვის... თუმცა, ერთხელ, მახსოვს, დუელში გამოვიწვიე... დიახ, საკუთარი ბიძა!.. ბეკონის თაობაზე შეეკამათდით. მახსოვს, აი, იქ ვიდექი. სადაც ახლა მატყეი დგას, ბიძაჩემი კი, განსვენებულ გერასიმ ნილიჩთან ერთად, იქ იქდა, ნიკოლაშას ადგილას... ჰოდა, გერასიმ ნილიჩი ეუბნება ბიძაჩემს...

(შემოდის ბორკინი)

ნ.

იგინივე და ბორკინი (ფრანტივით გამოწყობილი, ხტუნვა-ხტუნვით და ღიღინით მარჯვენა კარში შემოდის. საერთო გამოცოცხლება)

ქალიშვილები — მიხაილ მიხაიჩი!
ლეგედევი — მიშელ მიშელიჩი! ხსენებაზეო, რომ იტყვიან...
შაბაღსპი — პირველი კაცი ხაზოგადოებაში!
ბორკინი — აი, მეც აქ ვარ! (საშასთან მიიბრუნს) კეთილშობილო სენიორინა! სითამაშეს ვიკრებ და მთელ მსოფლიოს თქვენისთანა შესანიშნავი უვაგილის დაბადებას ვულოცავ! ნება მომეცით, ჩემი აღტაცების ძღვენი — ჩემი ნახელავი მოგართვათ... (შეკრულას გაუწვდის)

აი, ეს შუშხუნებია და ბენგალური ცეცხლი. დაე, მათმა ნათელმა ისევე განფანტოს ღამის უკუნი, როგორც თქვენი სახის შუქი ჩვენი ცხოვრების წყვილად ანათებს (თეატრალურად თავს უკრავს).

საშა — გმადლობთ.

ლუბილევი — (ხარხარებს, ივანოვს) — რატომ არ გააგდებ ამ იუდას?

ბორკინი (ლებედევს) — პაველ კირილიჩს (ივანოვს) ჩემს ხელისუფლებს (ჩაიმღერებს) ნიკოლა-ვუალა... გი-გო-გო... (ყველას ჩამოუვლის) უპატივცემულეს ზინაიდა სავიშნას... დვთაებრივ მარტა ეგოროვნასი უბუცეს ავდოტია ნაზაროვნასი... უბრწყინვალეს გრაფსი...

უბაქლი (ხარხარებს) — პირველი კაცი საზოგადოებაში შემოვიდა და ატმოსფერო, თუ ატმობთ, უმაღლესი გათხიერდა!

ბორკინი — უფ, დავიღალე!.. მგონი ყველას მივესალმე?.. ახალს რას იტყვით, ბატონებო? განსაკუთრებული ხომ არაფერი მომხდარა, ისეთი, მაგრად რომ უარდეს? (გამოცოცხლებული, ზინაიდა სავიშნას) ჰო, მართლა, დედილო, მომისმინეთ, რა უნდა გითხრათ... მოვდივარ ახლა თქვენთან... (გავრილას) გავრიუშა, გეთაყვა, ჩაი მომიტანე, ოღონდ კინკრთის მურაბა არ დამანახოს... (ისევ ზინაიდა სავიშნას) ჰოდა, მოვდივარ ახლა თქვენთან და ვხედავ, მდინარის პირას გლეხები ძეწნებს ქერქს აცლიან. განა არ აქობებდა, ის ძეწნარი იჭარით გავეცათ?

ლუბილევი (ივანოვს) — რატომ არ გააგდებ ამ იუდას?

ზინაიდა სავიშნა (შეშინებული) — მართალია, ხომ იცით! ეს როგორ ვერ მოვიფიქრე?

ბორკინი (ხელებს გაშლის, ჩაბუქნავს) — არ შემიძლია გაუნძრევლად ყოფნა! რაღაც განსაკუთრებული მინდა ჩავიდინო... მარტა ეგოროვნა, დღეს კარგ გუნებაზე ვარ! აღვწნებულცი (მღერის) „შენი თვალების ცეცხლით დაშწვარი...“

ზინაიდა სავიშნა — რამე მოიფიქრეთ, მიშედ, თორემ სტუმრებმა მოიწყინეს.

ბორკინი — რაშია საქმე, ბატონებო, ცხვირი რაღა ჩამოგიშვიათ! ნაფიც მსახურლებივით რას უსხედხართ; წარმოვადგინოთ რამე, მა? რას მოისურვებთ? ფანტი გინდათ თუ დამალობანა ვითამაშოთ? გინდათ, ვიცეკვოთ? ან იქნებ შუშხუნები აუშვათ?

ვალისვილუბი (ერთხმად) — შუშხუნები, შუშხუნები! (ბალში გაცვივდებიან).

საშა (ივანოვს) — რატომ მოიწყინეთ?

ივანოვი — თავი მტკივა, უგუნებოდ ვარ...

საშა — იქით ოთახში გავიდეთ.

(მარჯვენა კარში გადიან. სტუმრებიც ბალში გაიკრიფებიან. დარბაზში მარტო ზინაიდა სავიშნა და ლებედევი რჩებიან)

ზინაიდა სავიშნა — აი მესმის. ახალგაზრდა კაცი! მოვიდა თუ არა, ყველა გამხიარულდა (ლამპას ჩაუწევს) ხინათლე ხაჭირო აღარაა, — სტუმრები მაინც ბალში არიან. (სანთლებს აქრობს)

ლუბილევი (უკან მიყვება) — პატარა ხუფრა მაინც გაგვეშალა, ქალო, უხერხულია...

ზინაიდა სავიშნა — რა ამბავია ამდენი სანთელი! ტყუილად კი არ ამბობს ხალხი: მდიდრები ხართო! (სანთლებს აქრობს)

ლუბილევი (უკან მიყვება) — რამე ვაჭამოთ სტუმრებს... ახალგაზრდები არიან, მოშივდებოდათ...

ზინაიდა სავიშნა — გრაფს ჩაი დაუტოვებია... აფხუხ, შაქარში!

ლუბილევი (ხელს ჩაიქნევს) — თფუი! (ბალში გადის გულმოსული)

6.

ივანოვი და საშა

საშა (ივანოვთან ერთად დარბაზში შემოდის) — ბალშია ყველა.

ივანოვი — ასეა საქმე, შუროჩკა... უწინ ბევრს ვმუშაობდი და ბევრსაც ვფიქრობდი, მაგრამ არახოდეს არ ვიღლებოდი. ახლა კი, არც ვმუშაობ, არც ვფიქრობ და ხულ დაღლილი ვარ. არა მარტო ფიზიკურად, — სულიერადაც. დღედაღამ სინდისი მქენჯნის, ხულ დამნაშავე მგონია თავი, თუმცა თვითონაც არ ვიცი, ვის წინაშე ვარ დამნაშავე... ამას კიდევ ცოლის

ავადმყოფობაც დაემატა, უფულობა, გაუთავებელი კინკლაობა, ჭორები, ზედმეტი ლაპარაკი, ეს სულელი ბორკინი და... საკუთარ სახლში ცხოვრება წამებად შექცა... გულახდილად გეტყვით შუროჩკა, ცოლის დანახვა აღარ მინდა, თუმცა მას ძველებურად ვუყვარვარ და უჩემოდ ვერ ძლებს... თქვენ ჩემი ძველი მეგობარი ხართ და გულწრფელობისთვის ან დამძრახვით... აი, ახლაც... თქვენთან გულის გადასაცემად მოვედი, გართობა მინდოდა, მაგრამ აქაც მოვიწყინე და ისევ შინ მიმიწევს ვული... მაპატიეთ, მაგრამ მე შეუმჩნეველად ვადიპარები.

საშა. ნიკოლაი ალექსევიჩი, მე მესმის თქვენი. მთელი უბედურების იმეორება რომ მართო ხართ... თქვენს გვერდით საუვარელი არსება უნდა იყოს, რომელიც გაგიგებთ და გითანაგრძნობთ. მართო სიუვარულს შეუძლია თქვენი განახლება!

ნიკანოზი — რას ამბობთ, ძვირფასო! ისლა მაკლია ახლა, ამ ხნის კაცმა ახალი რომანი დავიწყო! ღმერთმა დამიფაროს ამ უბედურებისგან! არა, ჩემო ჭკვიანო გოგონავ, რომანში არაა საქმე... გულწრფელად გეტყვით, ყველაფერი შემოძლია ავიტანო: უგუნებობაც, სიგიჟიც, გაკოტრებაც, ცოლის დაკარგვაც, ჩემი ნაადრევი სიბერეც, მართლობაც, მაგრამ საკუთარი თავისადმი ჩემს დამცინავ დამოკიდებულებას ვეღარ ვუძლებ, არ შემოძლია! სირცხვილისაგან ვიწვი, როცა ვფიქრობ, რომ მე, ჯანდონით სავსე მამაკაცი, ეშმაკმა იცის, რას დავემსგავსე: მამლეთი ვარ, მანფრედი თუ უბრალოდ ზედმეტი ადამიანი, — თვითონაც ვერ გამოვიდა არიან ამქვეყნად პატარა კაცუნები, მათ ეამაყებოთ კიდევ მამლეთს ან ზედმეტ ადამიანს რომ შეადარებენ, ჩემთვის კი სამარცხვინოა ეს, რადგან ამაყი ვარ და ხწორედ ამიტომ ვიტანჯები!

საშა (ლამის ატირდეს, თან ხუმრობით) — მოდი, ამერიკაში გავიქცეთ!

ნიკანოზი — ამ ოთახის კარამდე მისვლა შეზარება, ამერიკაში რა წამიყვანს! (ბალში გასასვლელისაკენ მიემართებთან) თქვენთვის კი, შურა, აქ ცხოვრება მართლა ძნელია. ამ ხალხს რომ ვუყურებ, შიში მიპყრობს: ვის უნდა გაყვეთ ცოლად? ერთადერთი იმედია, — იქნებ ვინმე გზადგავდეთმა პორუჩიკმა ან სტუდენტმა მოგიტაცოს და აქაურობას მოგაშოროს.

7.

ზინაიდა სავიშნა (შემოდის მურაბის ქლით ხელში)

ნიკანოზი (დაინახავს შემოსულს) — ბოდიში, შურა... ახლავ დაგეწევით (საშა ბალში გადის) ზინაიდა სავიშნა, თქვენთან ერთი ხათხოვარი მაქვს.

ზინაიდა სავიშნა — რა გნებავთ, ბატონო?

ნიკანოზი (ყოყმანობს) — საქმე ისაა, რომ... ჩემი ვექსილის ვადა ზეგ თავდება. დიდად დამავალებდით, თუ ცოტა ხანს დამაცდიდით პროცენტების გადახდას. ამჟამად უფულოდ ვარ და...

ზინაიდა სავიშნა (ბალზე შეშინებული) — რას ბრძანებთ, ბატონო, ვგ როგორ შეიძლება? რა წესია ეს? არა, გეთაყვა, თუ ღმერთი გწამთ, ნუ იგონებთ რალაცას და ნუ მაწვადებთ!

ნიკანოზი — მაპატიეთ, მაპატიეთ... (ბალში გადის)

ზინაიდა სავიშნა — უჰ, როგორ შემაშინა... სულ ჯანკალებს! (მარჯვენა კარში გავა)

8.

კოსიხი (მარცხენა კარში შემოვარდება აქოშინებული) დასწყევლოს ღმერთმა! შე ხელში აგურის ტუზი მქონდა, ხელმწიფე, ქალი, ყვავის ტუზი და მხოლოდ ერთი პატარა თბილიანი... იმ ოხერმა კი პატარა შლემის გამოცხადება ვერ მოიხაზრა! (მარჯვენა კარში გადის)

9.

ავდოტია ნაზაროვნა და პირველი სტუმარი

ავდოტია ნაზაროვნა (პირველ სტუმართან ერთად ბალიდან შემოდის) — სულ ცხვარს ამოვუნაყავდი მაგ უნამუხოსს! გაგონილა ასეთი ამბავი: ხუთი საათიდან აქა ვზივარ და ერთი დობებული ქაშაყიც არ მოუტანიათ! ეს რა ოჯახია, ღმერთო ჩემო!

პირველი სტუმარი — თან როგორი მოწყენილობაა? მართლა რა ხალხი უფიქლა: არც გაჭმევენ, არც გართობენ... გაგიფიქრებთ კაცი შენი არ ვიცი, ბებერო, მე კი ახლა ერთ კიქას სადმე გადაგკრავ და შინისკენ მოვუსვამ! არც შენი საცოლე მინდა, არც არაფერია! რა დროს ხიუვარულია, როცა ხალხის აქეთია უფლები არ დამიღევია?!



ავდომტიკ ნაზაროვან — წამო, მოვძებნოთ, სადმე ექნებათ გადაძალუღი.
პირველი სტუმარი — არაყი მგონი სახადილო ოთახშია, განჭინაში...
ხრათ, ეს გაგვიღებს! (მარცხენა კარში გადიან)

10.

ანა პეტროვნა და ლვოვი (მარჯვენა კარში შემოდებიან)

ანა პეტროვნა — მერე რა? ჩვენი მოსვლა მაინც გაუხარდებათ... არაფინაა, ეტყობა, ბაღში გასულან.

ლვოვი — აბა, რა საჭირო იყო ჩემი აქ მოსვლა? ან თქვენ აქ რა გინდათ? რა ხართ თო გაქვთ ამ სვავებთან? პატიოსანი კაცი აქაურ ჰაერს არც უნდა სუნთქავდეს!

ანა პეტროვნა — უური მიგდეთ, პატიოსანო კაცი! სხვათა შორის, ეს უზრდელობაა, როცა ქალს აცილებთ და მთელი ჭა მარტო საკუთარ პატიოსნებაზე ეჩიჩინებით! შესაძლოა, მართალიც იყოთ და ამ შემთხვევაში პატიოსნადაც იქცევოდით, მაგრამ ყველაფერს თავი რომ გაფანტოთ, ეს უბრალოდ მოსაწყენია! საკუთარ ღირსებებზე დაპარაკს ქალებთან უნდა ერიდოთ, დაე, თვითონ მიხვდნენ რა კაცია ხართ... ჩემი ნიკოლა, თქვენი ხნის რომ იყო, ქალებს საზოგადოებაში მარტო მღეროდა და ანეგდოტებს ყვებოდა, მაგრამ ქალები მაინც ხვდებოდნენ, რა კაცია!

ლვოვი — თავი გამანებეთ თქვენი ნიკოლათი, კარგად ვიცი, რას წარმოადგენს!

ანა პეტროვნა — საქმეც ისაა, რომ არ იცვთ. კარგი ადამიანი ხართ, მაგრამ ბევრი რამ არ გესმით... ბაღში გავიღეთ... (მიდიან) ჩემი ქმრისაგან ერთბელაც არ გამიგონია ასეთი სიტყვები: „პატიოსანი ვარ... ამ ხალხში სული მებუთება... სვავები... მიკოტების ბუდე...“ სამხეტებს უურადლებას არ აქცევდა. თუ ჭაბრაზდებოდა, იტყოდა ხოლმე: „რა უსამართლოდ მოვიქცევი დღეს“... ან „ეს ადამიანი ნამდვილად შეცოდებოა...“ ახეა, დიან! თქვენ კი...
(ბაღში გადიან)

11.

ავდომტიკ ნაზაროვნა და პირველი სტუმარი

პირველი სტუმარი (მარცხენა კარში შემოდის) — სახადილოში არაფერია, იქნებ საკუქნაოში დაშაღებს? აბა, იქით გავიღეთ.

ავდომტიკ ნაზაროვნა — სულ ცხვარს ამოვუნაყავდი მაგ უნამუსოს, მაგასა! (მარჯვენა კარში გადიან)

12.

ბაბაქინა, ბორკინი და შაბელსკი (ბაბაქინა და ბორკინი სიცილით შემოუარდებიან დარბაზში. შაბელსკი ხელების ფშენეტით და ხტუნვა-ხტუნვით მათ მოსდევს)

ბაბაქინა — რა მოწყენილობაა, ღმერთო! (კისკისებს) არა, მართლა რა მოწყენილობაა?! ყველანი დადიან ან ისე სხედან, თითქოს ხარი გადაუყლაპავთო! მოწყენილობისგან ხახხრები გამეყინა, უნდა გავივარჯიშო. (ხტის).

(ბორკინი წელზე ხელს მოხვევს და ლოყაზე კოცნის)

შაბელსკი (ხითხითებს და თითს ატკაცუნებს) დასწუვევლოს ღმერთმა, უუურე ამათ!

ბაბაქინა — ხელი გამიშვით, თორემ გრაფი რაღაცას იფიქრებს! კარგით ახლა, შოშ-ცილდით!

ბორკინი — ჩემო ანგელოზო, ჩემი გულის მარგალიტო! (კოცნის) ორი ათას სამასი მანეთი მასესხეთ!

ბაბაპინა — აბა, აბა, ეგეთები არ იყოს რაც გინდათ და როგორც გინდათ, ოღონდ ფულის საკითხში დიდად მადლიერი ვარ თქვენის არავითარ შემთხვევაში...

შაბელსკი (გარშემო უტრიალებს და სიამოვნებისგან ცქმუტავს) — პუტკუნა, პუტკუნა! ერთობ სახიამოვნოა, დიან...

ბორკინი (უცებ სერიოზულად) — მართლაც გვეყოფა, საქმეზე გადავიდეთ. გელაპარაკებით პირდაპირ, კომერციის ენით და გულახდილად მიპასუხეთ ყოველგვარ ცინიკებსა და ფოკუსების გარეშე: ხო თუ არა? (გრაფზე მიუთითებს) აი, ამ კაცს [ფულს] უნდა, არანაკლებ სამი ათასი მანეთი წლიური შემოსავალი, თქვენ ქმარი გპირდებათ, თანახმა ხართ გრაფის ცოლი გახდეთ?

შაბელსკი (ხითხითებს) — საოცარი ცინიკოხია!

ბორკინი — გინდათ თუ არა გრაფის ცოლი გახდეთ?

ბაბაპინა (ძლიერ ლელავს) — იგონებთ რაღაცას... ასეთი საქმე იოლად არ კეთდება... გრაფს თუ ნებავს, თვითონ შეუძლია და... გარდა ამისა, მე არ ვიცი, როგორ იქნება ასე უცებ...

ბორკინი — ნუ მიეღ-მოედებით! კომერციის საქმეა, ბოლოს და ბოლოს, ხო თუ არა?

შაბელსკი (იციინის და თითებს იმტვრევს) — მართლაც, ხომ იცი... დასწყევლოს ღმერთმა! რა მოხდება ვითომ, რომ ჩემ თავს ეს სიხამადღე გავუკეთო? ჰა, პუტკუნავ? (ბაბაპინას ლოყაზე კოცნის) რა კარგია, ღმერთო ჩემო! ქორფა კიტრივით არ არის!

ბაბაპინა — მოიცაო, მოიცაო... სულ დამაზნოეთ. წადით აქედან! თუმცა, არა, დარჩით.

ბორკინი — ჩქარა! ხო თუ არა? ჩვენ არ გვცალკია!

ბაბაპინა — იცით რა, გრაფ? სტუმრად მოზრძანდით ჩემთან, სამიოდე დღით... ჩემ სახლში მხიარულებთ, ახე კი არ არის... ხვალ მოზრძანდით თუ გნებავთ. (ბორკინს) თქვენ ხუმრობთ?

ბორკინი (გულმოსული) — გაგონილა ხერიოზულ საქმეში ხუმრობა?

ბაბაპინა — მოიცაო, მოიცაო... ოპ, გული მიღონდება ნამდვილად გული მიმდის... გრაფის ცოლი... არიქა, წყალი!

(ბორკინი და შაბელსკი ხელს გაუყრიან, ლოყაზე კოცნიან და სიცილითა და ხტუნვა-ხტუნვით მარჯვენა კარში გაყავთ)

ივანოვი, საშა, შემდეგ ანა პეტროვნა (ივანოვი და საშა დარბაზში შემორბიან)

ივანოვი (სასოწარკვეთილი თავში ხელს იტაცებს) — არა, ეს შეუძლებელია არ გინდათ, შურა, არ გინდათ!

საშა (გატაცებით) — გაგიჟებით მიუვარხართ! უთქვენოდ ჩემს ცხოვრებას აზრი არა აქვს, — ვერც ბედნიერი ვიქნები, ვერც გახარებული... თქვენა ხართ ჩემთვის ყველაფერი!

ივანოვი — რა ხაჭირია, აბა, რა ხაჭირია ეს? ღმერთო ჩემო, აღარაფერი მეხმის... არ გინდათ, ჩემო კარგო, არ გინდათ!

საშა — ჩემს ბავშვობაში ერთადერთი ჩემი სიხარული თქვენ იყავით, საკუთარი თავივით მიუვარდით თქვენცა და თქვენი ხულიც, ახლა კი... ახლა, როცა გავიზარდე, ნამდვილად შემიყვარდით, სადაც გინდათ წამოვალ თქვენთან, საფლავშიაც ჩაგყვებით, ოღონდ მაღე, თუ ღმერთი გწამთ. მაღე მომაშორეთ აქაურობას... აღარ შემიძლია, სული მეხუთება!

ივანოვი (გაბედნიერებული იციინის) — ეს რა ხდება, ღმერთო? ნუთუ ისევ თავიდან იწყება ცხოვრება? მართლა ასეა, შურა? (გულში ჩაიკრავს) ჩემო სიხარულო! (კოცნის) ჩემო სიკაბუცივ! ჩემო იმედო და მომავლო!

(შემოდის ანა პეტროვნა, დაინახავს ჩახუტებულ ივანოვსა და საშას და ელდანაცემით შეჩერდება)

საშ, ვცოცხლობთ, არა, შუროჩკა? ისევ შეგვიძლია ვიმუშაოთ, საქმეს მოვეკიდოთ? ასეა, ხომ?

(ისევ კოცნიან ერთმანეთს. ივანოვი უცებ მობრუნდება და ცოლს დაინახავს)

ივანოვი (შეძრწუნებული) — ხარა?

მოქალაქეა მისამე



ივანოვის სამუშაო კაბინეტი. საწერ მაგიდაზე უწესრიგოდ დაყრილია ქაღალდები, წიგნები, საუწყებო გზიწილებანი, იქვეა შანდლები, რევოლვერები და სხვა ათს-სგვარი წერილმანი. ანთია ლამპა. მაგიდაზე დგას არყის გრაფინი, თევზის ქაშაყის ნარჩენებით, პურის ნაჭრებითა და მთხვე კიტრით... კედლებზე ჰკიდია სურათები, საადგილმამულო გეგმები, ძველებური თოფები, დამბაჩები, ნამგლები, ცხენის მათრახები და სხვა. შუადღეა.

1.

შაბელსკი, ლებედევი, ბორკინი და პეტრე
(შაბელსკი და ლებედევი საწერ მაგიდას უსხედან. ბორკინი მხედარივით სკამს გადაჯდომია. პეტრე კართანაა ატუზული)

ლებედევი — ხაფრანგეთი ხავსებით გარკვეულ პოლიტიკას ატარებს. ფრანგებმა იციან რა უნდათ: ყახბებს გაყვლეფავენ და ამით გათავდება ყველაფერი. გერმანია კი, ჩემო ძმაო, სხვა მანგზე მდერის, ხაფრანგეთის გარდა მას კიდევ ბევრი სატკივარი აქვს.

შაბელსკი — სისულელეა! მე თუ მკითხავ, გერმანელებიცა და ფრანგებიც დედლები არიან ერთმანეთს ჭიბეში დამალული მუშტით ემუქრებიან! ამას იქით არც წავა ხაქმე, ჩხუბი არ მოხდება!

ბორკინი — ჩხუბი რა აუცილებელია? და ხაერთოდ, რა ხაქიროა ხაომარი შუადება, კონგრესები, ხარჯები? მე რას ვიზამდი, იცით? მთელი რუსეთის უპატრონო ძალებს თავს მოვუყრიდი, კარგა დიდი დოზით პასტერის ხაწამლავს შევუშხაპუნებდი და უცხოეთის ქვეყნებს მივუსხვედი. ერთ თვეში ჩვენი მტრები ხულ გაცოფდებოდნენ და ერთმანეთს გადაქამდნენ!

ლებედევი (იცინის) — რომ უხედო, ერთი ბეწო თავი აბია ამ ოხერს, მაგრამ ხულ გენიალური აზრებითა აქვს გამოტენილი! ოკენაშიც არ იქნება იმდენი თევზი!

შაბელსკი — ვირტუოზია! აგაშენა ღმერთმა, მიშეღ. რა ხანია ეგრე არ მიციხია!

ლებედევი (სერიოზულად) — ყველაფერი კარგია, ბატონებო, მაგრამ თან ხაქმე არ დაგვაინფუდეს... რეპეტე! (სამ ქიქას შეავსებს) გაგვიმარჯოს. (გადაჰკრავენ და ლუკმას დააყოლებენ) როგორ უხდება არაყს ეს დალოცვილი ქაშაყი!

შაბელსკი — არაფერიც! მთავე კიტრი ჭობია. ქვეყნის გაჩენის დღიდან მეცნიერებს მთავე კიტრზე უკეთესი არაფერი გამოუგონიათ. (პეტრეს) პიოტრ, კიტრი მოგვიტანე კიდევ. შარეულს უთხარი ოთხი ღვეწელიც შეწვას, ხახვიანი, და ცხლად მოგვართვი! (პეტრე გიღის)

ლებედევი — არაყს ხიზილალაც უხდება. ოღონდ როგორ, თუ იცით? ამასაც ჭკუა უნდა. ერთი კოვზი ხიზილალა უნდა ავიღოთ, უმჯობესია აზელილი, ორი ფოჩი ხახვი, ცოტა პროვანსული ზეთი, ეს ყველაფერი ერთმანეთში აურიოთ, მერე ამას ზემოდან ცოტა ლიმონიც დააწვეთოთ და... მოკვდები, ისეთი გემრიელია! მარტო ხუნი გადაგრევის!

ბორკინი — არყის მისაყოლებლად შემწვარი ციმორიც ვარგა, ოღონდ უნდა იცოდეთ როგორ შეწვა... კარგად რომ გაასუფთავენ და გამოშიგნავ, მერე ხმელი პურის ნაფხვენში უნდა ამოავლო და დიდხანს წვა, ხანამ მთლად არ გამოშრება... კბილებში უნდა კნაწუნობდეს: ხრაშ-ხრაშ, ხრაშ-ხრაშ... მაშინაა გემრიელი!

შაბელსკი — წუხელ ბაბაკინახთან არყის მისაყოლებლად თეთრი სოკო მოიტანეს.

ლებედევი — კარგია, კიდევ...

შაბელსკი — თავისებურად მომზადებული იყო: ხახვითა და დაფნის ფოთლით, ათასნაირი ხანელებლებით შეკმაზული. ქვაბს ხუფი რომ ახადეს, ოთახში ისეთი სურნელი დატრიალდა, ისეთი გემრიელი იყო, თითებს ჩაიყვნეტდი!

ლებედევი — ხაქმე, ბატონებო! თან ხაქმე! რეპეტე! (სვამენ) გაგვიმარჯოს... (საათს შეხედავს) ნიკოლაშას, ეტყობა, დაგვიანდება. აღარ მოვუცდი. (შაბელსკის) მაშ, შენ ამბობ ბაბაკინახთან სოკოთი გაგვიმარჯობდნენ? ჩვენ ხახვში კი ჭერ სოკოს ხხენებაც არ არი... გაგვებინე ერთი, რა გინდა იმ მარფუტკასთან? ამ ბოლო დროს მოუხშირე იქ ხიარულს.

შაბაღსკი (ბორკინზე მიუთითებს) — აი, ამ კაცს უნდა გამოვიგოს ის ქალი.

ლეგაღვი — გაგივიგოს? რამდენი წლისა ხარ შენ?

შაბაღსკი — ხამოცდაორის.

ლეგაღვი — რა უჭირს, კარგი ასაკია. მარფუტკაც სწორედ შენი შესაფერია.

ბორკინი — მარფუტკაში არაა საქმე, მის ხტერდინგებზე ლაპარაკი.

ლეგაღვი — კი მაღა გქონია, ძმომ მარფუტკას ხტერდინგები! იხვის ტოლმასაც ხომ

არ იხებებდი?

ბორკინი — იხვის ტოლმა იქნება, როცა დაქორწინდება და ამპოშეს გაიხქელებს! შუ-

რით გახქელებით ყველანი!

შაბაღსკი — ეს გენიოსი მგონი მართლა არ ხუმრობს. დარწმუნებულია, რომ დავუჭერებ

და ცოლს ვითხოვ.

ბორკინი — მაშ როგორ? განა თქვენ ამაში დარწმუნებული არ ხართ?

შაბაღსკი — შენ ვინ ხარ? როდის ვითხარი, დარწმუნებული ვარ-მეთქი?

ბორკინი — მადლობელი ვარ თქვენი... დიდი მადლობა! მაშასადამე, თქვენ ჩემი გაცურ-

ება გინდათ? ხან ერთს ამბობთ, ხან მეორეს, ეშმაკიც ვერ გაგიგებთ! მე კი იმ ქალს უკვე

პატიოსანი ხიტყვა მივეცი... ესე იგი, არ თხოულობთ?

შაბაღსკი (მხრებს აიჩეჩავს) — სერიოზულად ლაპარაკობს, ხომ იცი... საკვირველი კა-

ცია!

ბორკინი (აღშფოთებული) — მაშინ რაღაზე ავაფორიაქეთ ის წესიერი ქალი? გიჟდე-

ბა, ისე უნდა გრაფის ცოლი გახდეს! არც ქამს, არც ძინავს, მოსვენება დაკარგა... შეიძლება

ასე ხუმრობა? განა ეს პატიოსანი საქციელია?

შაბაღსკი — (თითს გაატკაცუნებს) — არადა, რა სერიოზული იქნება, მართლა რომ ვით-

ხოვო?! მა? მოდი, გავუკეთებ ჩემს თავს ასეთ სისაძაგლეს, ავიღებ და ვითხოვ! ყველას ჯიბ-

სზე.

(შემოდის ლვოვი)

2.

ლეგაღვი — ესკულაპიას ჩემი უმდაბლესი... (ლვოვს ხელს ჩამოართმევს) როგორაა ის?

(ჩაიხდურებს) „არქა, ექიმო, მიშველეთ, თორემ უხიკვდილოდ ვკვდები!“

ლვოვი — ნიკოლაი აღიქხევევიჩი არ მოხუდა?

ლეგაღვი — არა, მეც ერთი საათია ვუცდი.

(ლვოვი მოუთმენლად ბოლთას სცემს)

ლეგაღვი — ანა პეტროვნა მთავარ არი, ძვირფასო?

ლვოვი — ცუდად.

ლეგაღვი (ამოოხვრით) — არ შეიძლება, ასე ვთქვათ, ჩვენი პატივისცემა გამოვუც-

ხადოთ?

ლვოვი — არა... მგონი დაიძინა. (პაუზა)

ლეგაღვი — რა შესანიშნავი, რა სიმპათიური ქალია! (ამოოხვრით) მახსოვს, გული

რომ წაუვიდა ჩვენ სახლში, შუროჩკას დახადების დღეს, შევხედე თუ არა, მაშინვე მივხვდი:

დიდი დღე არ უწერია... ვერ გამოვიდა მაინც, გული რატომ წაუვიდა? მივირბინე და რას

ვხედავ? გაფითრებული გდია იატაკზე, ნიკოლაშა კი თავს დასდგომია დაჩოქილი და იმასაც

სახეზე ფერი არ ადევს... შუროჩკაც იქვეა და ტირის.. იმ დღის მერე, მე და შუროჩკა მთე-

ლი კვირა ვიუბივით ვიყავით.

შაბაღსკი (ლვოვს) — გამაგებინეთ ერთი, დიდად პატივცემულო მეცნიერების ქურუ-

მოს რომელმა სწავლულმა აღმოაჩინა, რომ გულბოყვის დაავადების დროს ქალებს განსაკუთ-

რებით ახალგაზრდა ექიმებთან ურთიერთობა რგებთ და ისიც, რაც შეიძლება ხანგრძლივი?

ეს უდიდესი აღმოჩენაა, დიან, უდიდესი! ოღონდ არ ვიცი, მედიცინის რომელ სფეროს განე-

კუთვნება: აღოპატიას თუ გომეოპატიას? (ლვოვი პასუხის გაცემას დააპირებს, მაგრამ გადაი-

ფიქრებს, ზიზღით შეხედავს და გავა) ხო-ხო-ხო, რა გამანადგურებლად შემომხედა! არ მომსპო-

ამ ოხერმა?!

1 ამპოშე — ჯიბე (ფრ.).

ლეგაღვი — ვერ დააყენებ მაგ ენას? რატომ აწყენინე კაცს?

შაბელსკი (გაღიზიანებული) — აბა რად ტუუის? ჭლეჭი აქვს, უიმედოა, მოკვდება...

ვერ ვიტან ასეთ ჩამეებს!

ლეგაღვი — რატომ გგონია, რომ ტუუის?

შაბელსკი (აღგება და ბოლთას სცემს) — იმიტომ რომ დაუშვებლად მიმაჩნია ცოცხალი ადამიანის ასე უეცარი ხიკვდილი... მოვრჩეთ ამაზე დაპარაკს!



3.

კოსიხი (შემორბის აქოშინებული) — ნიკოლაი ალექსევიჩი შინ არის? გამარჯობათ!

(აჩქარებით ყველას ხელს ჩამოართმევს) შინ არი-მეთქი?

გორპინი — არა.

კოსიხი (დაჯდება და ისევ წამოხტება) — აბა, წავედი. (სწრაფად არაყს გადაკრავს და ლუქმას დააყოლებს) კარგად ბრძანდებოდეთ... იმდენი ხაქმე მაქვს, ფეხზე ძლივს ვდგავარ..

ლეგაღვი — ხაიდან გადმოგაგდო ქარმა?

კოსიხი — ბარბანოვთან ვიყავი... მთელი დამე ბანკოს ვთამაშობდით, ეს წუთია დავამთავრეთ... სულ გამატყავეს... იმ დამთხვეულმა ბარბანოვმა თამაში არ იცის! (მტირალა ხმით) წარმოიდგინეთ, მე თხილს ჩავდივარ... (ბორკინს მიმართავს, რომელიც გაუბრბის) ის კი აგურით თამაშობს... თან ალუბის გარეშე! (ლებედევს) ან მაგაღრთად, ოთხ ჯვრის ვთამაშობთ. მე ხელში მაქვს ტუუი, ქალი — შოსტი, ყვავის ათიანი...

ლეგაღვი (ყურებს დაიცობს) — არ მაინტერესებს, არა! თავი გამანებეთ!

კოსიხი (გრაფს) — გეხმით, რას ვამბობ? მე ხელში მაქვს ტუუი, ქალი — შოსტი, ყვავის ათიანი...

შაბელსკი (ხელით იგერიებს) — მომცილდით, მომცილდით...

კოსიხი — და უცებ ასეთი უბედურება ხდება: ყვავის ათიანს პირველი ჩახვლისთანავე მიჭრიან...

შაბელსკი (მაგილაზე დაგდებულ რევოლვერს აიღებს) — მომცილდით, თორემ გესვრით!

კოსიხი (ხელს ჩაიქნევს) — რა ხალხია, ღმერთო! კაცს ვერ დაეღაპარაკები! თითქო ავსტრალიაში ვცხოვრობდით: არც ხაერთო ინტერესები აქვთ, არც სოლიდარობა, ყველა თავისთვისაა... თუმცა, უნდა წავიდე, ნახვამდის! (ქუდს ხელს დაავლებს) იმდენი ხაქმე მაქვს, დრო აღარ ითმენს... (ლებედევს ხელს გაუწვდის) პახის (ყველას გაეცინება) (კოსიხი გადის და ავლოტი ნაზაროვნას შეეჯახება)

4.

ავლოტია ნაზაროვნა (შეკვირებს) — გაგიხმა თავი, კინაღამ წამაქციე!

ყველანი — ა-ა-ა ვინც მოვიდა, გაუმარჯოს კაცო, ეს ქალი ყველგან როგორ ახწრებს?!
ავლოტია ნაზაროვნა — დახე, ხად უოფილან! მე კი ამათ ძებნაში მთელი სახლი გადავქოთე!.. გამარჯობათ, შევარდნებო! თქვენს პურისქამას გაუმარჯოს!

ლეგაღვი — რაზე მოხულებარ?

ავლოტია ნაზაროვნა — საქმეზე, ბატონო, საქმეზე. (გრაფს) ეს საქმე თქვენ გეხებათ, თქვენო ბრწყინვალეებო. (თავს უკრავს) მოკითხვა დამაბარეს და თქვენი ჩანმრთელობის ამბავის შეტუბაც მთხოვეს... ისიც უთხარიო, — ჩემმა მზეთუმიანამა, — ამ საღამოს თუ არ გვესტუმრება, თვალებს სულ ცრემლით ამოვიღამებო... განზე გაიყვანეთ და ჩემი დანაბარები უურში ჩახრუტულდეთ... არადა, დახამალი რა არი? სულ შინაურები არა ვართ? თანაც ისეთი საქმეა, — ქათმებს

ხომ არ ვიპარავთ? — კანონითა და სიყვარულით ვიქცევით, ერთმანეთთან შეთანხმების საფუძველზე... მოდა... (არაყს თვალს არ აშორებს) ებ, ჯანი გავარდეს! არასოდეს არ დამიღვევია, მაგრამ ასეთი კარგი საქმის გამო ერთ ჭიქას გადავკრავ!

ლეგაღვი — მეც დავღვევ. (დაასხამს) გაშაგებინე, ქალო, რა მისჯისა არაა ბერდები? ბარე იცდაათი წელია გიცნობ და ხუთ იგეთი ხარ... რამდენისა იქნები?

ავდომტია ნაზაროვნი — ებ, სათვალავი ამერია... ორი ქმარი მიწას მივაბარე, შესამდედაც გავთხოვდებოდი, მაგრამ უშვითვოდ ვინ წამიყვანს? რვა ხული შეილი შეყავდა. (ჭიქას აიღებს) ღმერთი შეგვეწიოს! კაი საქმე წამოვიწყეთ და კარგადაც დავვებოლოვებინოს! ესენი ტკბილად შეაბერდნენ ერთმანეთს, ჩვენ კი მათი ბედნიერებით გავიხაროთ... ღმერთმა სიკეთე მოგცეთ! (სვამს) ხასტიკი არაყია!

შაბალსკი (ხარხარებს, ლებღღვს) — გესმის შენ? უველაზე კურიოზული კი ისაა, რომ ამ ხალხს ხერიოზულად სჭერა, თითქოს მე... საკვირველია, ღმერთმანი! (აღგება) არადა, ვითომ რა მოხდება, რომ ჩემს თავს ეს სისაძაგლე გავუყეთო? ჰა? უველას ჯიბრზე! თითქო ჩემს თავს ვე უბნებოდე: ესეც შენ, ბებერიო ძაღლო, ხეთქე!.. რას იტყვი, პაშა, ჰა?

ლეგაღვი — ხისულღღვს როშავ! ჩვენ ახლა, ძმაო, სიკვდილზე უნდა ვიფიქროთ, რაღა დროს ჩვენი მარფუტკები და სტერლინგებია? ჩვენი საქმე წახულია.

შაბალსკი — ნუ იტყვი, პაშა, ნუ! მე მაინც ვიწამ ამას, აი, ნახავ! პატროსან სიტყვას გაძღვე, ვიწამ!

(შემოდინ ივანოვი და ლვოვი)

ნ.

ლვოვი (ივანოვს) — გთხოვთ ხუთი წუთით მოიცადლოთ ჩემთვის.

ლეგაღვი — გამარჯობა, საყვარელო! (გადაეხვევა და კოცნის ივანოვს) ერთი საათია გელოდები.

ავდომტია ნაზაროვნი (თავს უკრავს) — გამარჯობათ, ჩემო ბატონო.

ივანოვი (გალიზიანებით) აბა, რას გავს ეს, ბატონებო? ჩემი კაბინეტი ისევ სამიკიტნოდ გადაგიქცევიათ! რამდენჯერ გთხოვეთ, ნუ შვრებით ამას, თქვენ კი მაინც არ იშლით! (მავადასთან მიდის) არაყი დაგიქცევიათ, ქაღალდები დაგიხვედლებიათ... უველგან პურის ნატეხები ყრია, კიტრები... საზიზღრობაა ეს!

ლეგაღვი — დამნაშავე ვარ, ნიკოლაშა, დამნაშავე... მაპატიე... ხერიოზულ საქმეზე მოვედი შენთან.

გორკინი — მეც საქმე მაქვს.

ლვოვი — ნიკოლაი აღეჭხევიჩი, შეიძლება მოგველაპარაკოთ?

ივანოვი — ამათაც საქმე ჰქონიათ, მოითმინეთ... (ლებღღვს) რა გინდა?

ლეგაღვი — ბატონებო, მე მსურს კონფიდენციურად ველაპარაკო, გთხოვთ! (უველანი გადიან)

ივანოვი — ძალიან გთხოვ, პაშა... შენ თუ სვამ, დალიე, ეგ შენი საქმეა, აღბათ ვერ გადაიჩვევი, ბიძაჩემს კი, თუ ღმერთი გწამს, ნუ აღვივინებ! მაგისტვის სმა არ შეიძლება, ადრე არაყს პირს არ აკარებდა!

ლეგაღვი — მაპატიე, ვეთაყვა, არ ვიცოდი... უურადღებაც არ მიმიქცევია.

ივანოვი — ვერ ხედავ, ბებერი ბავშვია. ღმერთმა დაიფაროს და რამე რომ მოუვიდეს, ისევ ჩემი თავსატეხი უნდა გახდეს... რა გინდოდა? (პაუზა)

ლეგაღვი — იცი, ჩემო საყვარელო... არც კი ვიცი, როგორ ვითხრა... მეშინია, მეტისმეტად უხინდისოდ არ გამომივიდეს... მოკლედ, მე თვითონ მრცხვენია, ენა მებმის, მაგრამ რა ვქნა, შედი ჩემს მდგომარეობაში, ხზვისი მორჩილი ვარ, ხუსტი და უნებისყოფო... ერთი სიტყვით, ჩვარი ვარ... მაპატიე, თუ ღმერთი გწამს...

ივანოვი — რაშია საქმე?

ლეგაღვი — ცოლმა გამომგზავნა... გემუდარები, მოიღე მოწყალება და გადაუხადე ის პროცენტებია თუ რაღაც არ დაიჭერებ, შემგამა ქალმა, პირდაპირ სული ამომხადა მიაშავე ის ფული და მოიცილე თავიდან!

ივანოვი — პაშა... ხომ იცი, რომ ამჟამად ფული არა მაქვს.

ლეგაღვი — ვიცი, ვიცი... მაგრამ რა ექნა? აღარ იცდის ის ქალი! ვექხელი რომ ვაპროტესტოს, მერე მე და ჩემმა შუროჩკამ თვალეში როგორღა შეგხედოთ?

ივანოვი — მე თვითონ მრცხვენია... ნეტა მიწა გამსკდომოდა და ამ დღეში არ ჩავჯვარდნილიყავი, მაგრამ... სად ვიშოვო ფული, მახწავლე, სად? ერთი გზა მხოლოდ შემთქმამდე უნდა მოიცადოს, სანამ პურს გავყიდი და...

ლეგაღვი (ყვირის) — ის ქალი არ იცდის, არა! (პაუზა)

ივანოვი — ცულ მდგომარეობაში ხარ, მესმის, მაგრამ მე შენზე უარეს დღეში ვარ. (დადის და ფიქრობს) ვერაფერი მომიფიქრებია... გასაყიდიც არაფერი მაქვს...

ლეგაღვი — მიღებახთან რომ მისუდიყავი? მას ხომ შენი 12 ათასი მართებს?! (ივანოვი უიმედოდ ხელს ჩაიქნევს) მოდი, რა ექნათ, იცი? ალბათ გამიჯავრდები, მაგრამ... პატივი მეც ბებერ ლოთს, მეგობრულად... მე და შენ ხომ ძველი ძმაცაცები ვართ, ყოფილი სტუდენტები, ლიბერალები... საერთო იდეები გვასულდგმულვდა... მოსკოვის უნივერსიტეტში ვსწავლობდით... ალმა მატერ... (საფულეს ამოიღებს) აგერ აქ პატარა თანხა მაქვს გადამალული... ჩვენ სახლში კაციშვილმა არ იცის ამის შესახებ... გამომართვი... სუნხად გაძღვი, რა გგონია? (ფულს ამოიღებს და მაგიდაზე დადებს) მიაფურთხე თავმოყვარეობას და ამ საქმეს მეგობრულად შეხედე. მე, მაგალითად, გამოგართმევდი. კატოხან სიტყვას გაძღვი (პაუზა) ათას ასი მანეთია... დღესვე მიუტანე და შენი საკუთარი ხელით მიაშავე... მხამად შეგერგოთ-თქო, წინაიდა სავიშნა, ეს ფულის ჩახეტქეთ-თქო, წინაიდა სავიშნა, ეს ფულის ჩახეტქეთ-თქო... ოღონდ, იცოდე, არავითარ შემთხვევაში არ უნდა მიხვდეს, რომ მე გახსხე ქვარი გვწერია შენცა და მეც, რომ გავვიგოს — გადაგვახალებს! (სახეში შეხედავს ივანოვს) არ გინდა? თაკილობ?... კარგი, კარგი, მე ვინუმრე... ღვთის გულისათვის, მამატიე... (პაუზა) ცუდად ხარ? (ივანოვი ხელს ჩაიქნევს) ასეა საქმე, ძმაო, (ამოობერით) მწუხარებისა და ვარამის დრო დაგიდგა... მე თუ მკითხავ, ადამიანი სამოვარივითაა, სულ მუდამ თაროზე კი არ იდგება, ხივრიდესი... ერთხელაც იქნება, ჩამოიღებენ და შიგ ნაკვერცხლებს ჩაყრიან; ფშშ-ფშშ... ბარემ უარო შედარებაა, მაგრამ ამაზე უკეთესი რომ ვერ მომიფიქრებია? (ამოობერით) ისე კი, უბედურება სულს აკაეებს. მე, მაგალითად, სულ არ მეცოდები, დარწმუნებული ვარ, ამ მდგომარეობიდანაც გამოვალ, როგორც იტყვიან, წყალნი წავლენ და ქვიშანი დარჩებიანო... მაგრამ ხალხის ამბავი მაკვირვებს! ვერ წარმოიდგენ, ნიკოლაშა, რა უამყრალბები არიან!... მაინც, საინტერესოა, ვინ იგონებს ამ კორებს? შენზე, მაგალითად, ჩვენს მაზრაში ისეთ რაღაცებს ყვებიან, თმა უაღუზე დაგიდგება! სულ არ გამიკვირდება, რომ ერთ მშვენიერ დღეს კარზე პროკურორის მხანაგო მოგადგეს და... მოკლედ, ძმაო, მკვლელიცა ხარ, სიხხლისმღვრელიც, ავაზაკიც...

ივანოვი — ეგ არაფერია. მე ახლა თავის ტკივილი უფრო მაწუხებს.

ლეგაღვი — ბევრს ფიქრობ და იმიტომ.

ივანოვი — არაფერსაც არ ვფიქრობ.

ლეგაღვი — იცი, რა, ძმაო? მოდი, მიაფურთხე ყველაფერს და ჩვენთან წავიდეთ. შუროჩკას უყვარხარ, პატივს გცემს, გაფახებს... ის, ხომ იცი, პატოხანი გოგოა, კევიანი. არც დედასა ჰგავს, არც მამას... არც კი ვიცი, ვის დაემსგავსა! ზოგჯერ ვუყურებ ხოლმე და არცა მჭერა, თუ ჩემისთანა ცხვირგახიებულ ლოთს ასეთი კარგი შვილი მყავს! წავიდეთ ჩვენთან. შუროჩკას დაეღაპარაკები, კევიანურ რაღაცას ეტყვი და — გაერთობი! მართლა ძვირფასი ადამიანია, თავდადებული, გულწრფელი...

(პაუზა)

ივანოვი — პაშა, ძვირფასო... დამტოვე მარტო.

ლეგაღვი — კი ბატონო, მესმის... (აჩქარდება წასასვლელად) განა არ მესმის? ცოცხლის ივანოვს) მშვიდობით იყავი. (საათს დახედავს) კინაღამ დამავიწყდა, დღეს სკოლის გახსნას უნდა დავესწრო... (კარისკენ გაემართება და შეჩერდება) იცი, რა კევიანი გოგოა? წუხელ შენ გახსენით, მერე კორებსზე ჩამოვადგეთ სიტყვა და... (იცივის) აფორიში მითხრა, ხომ იცი?! „მამიკოო, ციციანათლები ღამით იმიტომ ანათებენ, რომ ჩიტებმა დაინახონ და შეკამონ, კარგი ადამიანები კი კორებისა და ცილისწამების გამოსაკვებად არსებობენო!“ როგორია, პა? გენიოსი შვილი მყავს! მეორე ეორე სანდია!

ივანოვი — პაშა (მიუახლოვდება) ამიხსენი, რა მომდის?

ლეგენი — მე თვითონ მინდოდა მეკითხა, მაგრამ, გამოგიტყდები, მომერადა... არ ვიცი, ძმაო, ერთი მხრივ, ვასაკიში რომ ხარ, თითქოს იმიტომ დაინაგრე, მაგრამ... მეორე მხრივ, ისიც ვიცი, მაგარი ხარ და ყველაფრის ატანა შეგიძლია... სხვა რაღაცაა შენს თავს, სხვა არ ვიცი რა არი, ვერ გამოვიდა

ივანოვი — მეც არ მესმის... ზოგჯერ მგონია... თუმცა, არა! (პაუზა) მო, მშინ... თქმა მინდოდა.. ერთი მუშა მყავდა, თუ გახსოვს, სემიონი. შენ იმას იცნობდი... ერთხელ, ადრობის დროს, — ქალებთან თავის გამოჩენა უნდოდა, თუ რა იყო, არ ვიცი, — ორი ტომარა ხორბალი აიკიდა და წელი მოწყდა... დიდხანს აღარ უცოცხდია... მეც მგონი წელი მოვიწყვიტე, პაშა... ქერ იყო გომნაზია, უნივერსიტეტი, მერე მეურნეობა, სხვადასხვა დინებები, გეგმები... შეხედულებებიც განსხვავებული მქონდა, ცოლიც სხვანაირად ვითხოვე, — ისე არა, როგორც სხვებმა... შედგეტად ფიცხიც ვიყავი, რისკიც მიყვარდა... ფულებს, შენ იცი, რა ხელგაშლილად ვხარჯავდი... ბედნიერიც და უბედურიც ვიყავი ისე, როგორც ჩვენს მაზრაში არავინ უფილა, შოდა... ყოველივე ეს — ჩემი ტომრებია, პაშა! ავიკიდე და ვერ გავუძელი, წელი მომწყდა (პაუზა) ოცი წლის ასაკში ჩვენ ყველანი უკვე გმირები ვართ, ყველაფერს ვეპოტინებით, ყველაფერი შეგვიძლია... ოცდაათისთვის კი ქანცი გვწყდება, ვიღლებით და აღარაფრად ვარგივართ... რით შეგვიძლია ახსნა ეს დაღლილობა? რით? თუმცა, შესაძლოა, რახაც ვამბობ სულ სხვაა და სრულებით არ მგავს იმას, რისი თქმაც მინდოდა... მო, რასაკვირველია, ეს სულ სხვაა! ეს ის არ არის, არა! (პაუზა) შენ წადი, პაშა. თავი მოგაბეზრე.

ლეგენი (უცებ მოისაზრებს) — იცი რა, ძმაო? შენ გარემომ დაგდუპა! ყველაფერი გარემოს ბრალია!

ივანოვი (დაღლილი ხმით) — ხისუღელეს ამბობ, პაშა. წადი.

ლეგენი — მართლაც ხისუღელეა. ახლა თვითონ ვხედავ, რომ ხისუღელეა. წავედი მე... მშვიდობით. (გაღის)

6.

ივანოვი (მარტო) — ცუდი ვარ, უბედური და საწყალის არაფრის მაქნისი თანაც მარტო პაშასავით გაცვეთილი, გალოთებული კაცი თუ იმეგობრებს ჩემთან და პატივსა მცემს... ღმერთო ჩემო, როგორ მძულს ჩემი თავი! როგორ მეზიზღება ჩემი ხმა, ჩემი მიხვრა-მოხვრა, ჩემი ხელები, ტანსაცმელი, ფიქრები... სასაცილოა და საწყენი, აბა რა არი: სულ რაღაც ერთი წლის წინათ ქანმრთელი და ღონიერი ვიყავი, ხალისიც მქონდა, დაღლა რა იყო, არ ვიცოდი... აი, ამ ხელებით ვშრომობდი, ლაპარაკი კი ისე მეხერხებოდა, გულქვა რეგვენსაც ავატირებდი, თვითონაც ავტირებოდი სხვისი უბედურების დანახვაზე და შიშვლოთდებოდი, როცა ბოროტებას წავაწყდებოდი! შთაგონებაც ხშირად მაკითხავდა ვინ იცის, რაბდენი ღამე მითევია სამუშაო მაგიდასთან პოეტურად ჩაფიქრებულსა და მეოცნებეს... რწმენაც მქონდა... მომავალში რომ ვიუურებოდი, ასე მეგონა, იქიდან დედაჩემის თვალები მიცქეროდნენ აღერსითა და სიყვარულით... ახლა კი? ღმერთო ჩემო, რას დავემსგავსე! დავიღალე, აღარაფრის მჭერა, არც არაფრის თავი მაქვს და არც არაფერი მინდა! ტვინიც აღარ მემორჩილება, მკლავიც, ფეხიც... მამული მთლად გატიალებულია, ტყეებს ჩებავენ... მოკლედ... (ტირის) დაობლებული შვილივით შემომცქერის ჩემი მიწა და შევლას ითხოვს, მე კი არ ვიცი რა ვიღონო, რადგან აღარაფერს ველოდები და არც არაფერი მენანება... ხვალინდელი დღის შიშით შეპყრობილია ჩემი სული... (პაუზა) ახლა სარას ამბავი ავიღოთ... საუკუნო სიყვარულს ვეფიცებოდი, ბედნიერ მომავალს ვპირდებოდი, ისე ვაიმედებდი, რომ ბოლოს დამიჯერა და რა გამოვიდა? ვერ გაუძლო მის მიერ გაღებული მსხვერპლის სიმძიმეს! ხუთი წლის განმავლობაში ცდილობდა აეწია ეს ტვირთი და... ვერ შეხძლო! თვალნათლივ ვხედავდი როგორ ელვოდა ღონე საკუთარ სინდისთან ჭიდილში, მაგრამ ღმერთია მოწმე, — ერთი დაჩივლება, ერთი საყვედურიც არ წამოსცდენია! მე კი... მადლობა რით გადავუხადე? გული ავიცრუე მასზე! რატომ? რისთვის? თვითონ არ მესმის... აი, ახლა სარა იტანჯება, უკანასკნელ დღეშია, მე კი უხინდისო ლაჩარევით სახლიდან გავრბივარ, რომ მისი ფერმკრთალი სახე, მისი ჩავარდნილი მკერდი და ჩემდამი მუდარით მოპყრობილი მწერა არ დავინახო... სირცხვილია, სირცხვილი! (პაუზა) შურა ბავშვია და ჩემი უბედურება გულთან ახლო მიაქვს. სიყვარულს მიხსნის ამ ხნის კაცს, მე კი, გამოჩერჩეტებული ბებერი, იმის მაგივრად, რომ ქვუა დავარიგო და დავაშოშმინო, მისი ხმის მუსიკით მოჯადოებული, სიხარულისგან ვთვრები, ყველაფერს ვივიწყებ და აღტაცებული ვავყვირი: „რა ბედნიერებაა! ცხოვრება თავიდან იწყება!“ მეორე დღეს კი ისევ მჭერა ეს ბედნიერე-

ბა, როგორც ეშმაკის არხებობა. რა მომდის მაინც? რომელი უფსკრულისაკენ მივაქანებ ჩემს თავს? ან ეს ხისუსტე საიდანაა? რა დაემართა ჩემს ნერვებს? საკმარისია ავადმყოფმა ცოლმა ერთი საწყენი სიტყვა მითხრას, ოდნავ შეღაზოს ჩემი თავმოყვარეობა, ან მოხამსახურეს შეეშალოს რამე, ან თოფმა მიმტყუნოს გახროდინ დროს და ისეთი უბეში, ისეთი ბოროტი ვადები, საკუთარ თავს ვეღარ ვცნობ (პაუზა) არ მესმის არაფერი არ მესმის ლამის ტყვია დავინადლო შუბლში!

ლვოვი (შემოდის) — ნიკოლაი ალექსევიჩი, მე მსურს მოგელაპარაკო.

ივანოვი — ამდენი მოლაპარაკება არ იქნება, ექიმო. დავილაღე.

ლვოვი — მაინც უნდა მომიხმინოთ.

ივანოვი — ყოველ დღე გისმენთ და ვერ გამიგია. რა გნებავთ ჩემგან.

ლვოვი — გარკვევით და გასაგებად ვლაპარაკობ. თუ კაცს გული აქვს, გაიგებს.

ივანოვი — ცოლი რომ უკანასკნელ დღეში მყავს, ვიცი... გამოუსწორებლად დამნაშავე ვარ მის წინაშე, ვიცი... პატიოსანი და პირში მოქმედი კაცი რომ ხართ, ესეც ვიცი... რა გნებავთ კიდევ?

ლვოვი — მე ადამიანის ხისასტიკე მაშფოთებს... ქალი კვდება. ამ ქალს მშობლები მყავს. მას უყვარს იხინი და სიკვდილის წინ მათი ნახვა უნდა. მშობლებმა მშვენივრად იციან, რომ მათი შვილის დღეები დათვლილია, ისიც იციან, რომ მის გულში მათდანი სიყვარული არ განედლებულა, მაგრამ... წყევლი ხისასტიკე! მათ თითქოს ვიღაცის გაკვირვება ხურთ თავიანთი ხარწმუნოებრივი სიკერპით და ისევ და ისევ წყევლიან თავის ნაშიერს! თქვენ ის ადამიანი ხართ, ვისთვისაც ქალი უველაფერი გახწირა: საკუთარი ოჯახიც, აუშფოთველი ხინდისიც და მაინც, მიუხედავად ამისა, უველას დასანახავად, ამქარად, თან საფსებით გარკვეული მიზნით ლებედვებთან დაიარები!

ივანოვი — ო, ღმერთო! ორი კვირაა მათთან არ ვყოფილვარ!

ლვოვი (არ უსმენს) — თქვენისთანა კაცს პირში უნდა ელაპარაკო... დიახ, ყოველგვარი მივიბვი-მოკიბვის გარეშე და თუ ჩემი მოსმენა არ გსურთ, ნუ მისმენთ! მე ყოველ მოვლენას თავის ნაზღვილ სახელს ვარქმევ და მშვენივრად მესმის, რომ თქვენ მისი სიკვდილი ახალი თავგადასავლებისთვის გპირდებით. დაე, ასე იყოს, მაგრამ ნუთუ არ შეგიძლიათ ცოტა მოიცადოთ? აცალეთ თავის დროზე მოკვდეს, ნუ უხწრაფებთ სიცოცხლეს, ნუ გეშინიათ, ღებედვეთ თავისი მდიდარი მშითვით არსად გაგაქცევათ! თქვენ ისეთი შეხანიშნავი ტარტიუფი ბრძანდებით, რომ ახლა თუ არა, ერთი ან ორი წლის შემდეგ ისევე მოხიბლავთ და გააბრუებთ იმ გოგოს და მის ქონებასაც ისევე დაეპატრონებით, როგორც ახლა! რაღას ჩქარობთ, არ მესმის? რატომ გინდათ თქვენი ცოლი მაინცდამაინც დღეს გათავდეს და არა, ვთქვათ, ერთ თვეში ან ერთი წლის შემდეგ? ივანოვი — რა წაშებაა. ექიმო, თქვენ მეტიხმეტად ცუდი ექიმი ხართ, თუ გგონიათ, რომ ადამიანის მოთმინებას საზღვარი არა აქვს თავს ძლივს ვიკავებ, რომ შეურაცხყოფაზე შეურაცხყოფითვე არ გამახუბოთ.

ლვოვი — კმარა, კმარა, ვის ატუუებთ?! ნილაბი ჩამოიხსენით!

ივანოვი — საკვირველია, კვიანი კაცი ხართ და უბრალო რამ არ გეხმით. თქვენი აზრით, ჩემი საქციელის ახსნა სულ ადვილად შეიძლება. ასეა, ხომ? ცოლი ვითხოვე იმ ანგარიშით, რომ კარგ მშითვეს გამოატანდნენ. იმედი არ გამიმართლდა და ახლა საცოდავ ქალს სიცოცხლეს ვუმწარებ, რომ რაც შეიძლება მალე საიქოს მივაბრძანო, რათა სხვა ქალი შევიერთო და იმის ქონებას დავეპატრონო. ასე ფიქრობთ, არა? რა უბრალოდ ხდება ყველაფერი! ადამიანი ყოველად მარტავი და ადვილად გასაგები მანქანა უოფილა!... არა, ექიმო, თვითუფლი ჩვენგანი ათასგვარი ბორბლებით, კანჭიკებით და მუსრუქებით არი გამოტენილი და ეს იმდენად რთული მექანიზმია, რომ უფლება არა გვაქვს ერთმანეთზე პირველი შთაბეჭდილებისა და ორიოდ გარეგნული ნიშნის მიხედვით ვიმსჯელოთ. მე, მაგალითად, თქვენი არ მესმის, თქვენ ჩემი არ გეხმით და ხაერნის მიხედვით ვიმსჯელოთ. მე, მაგალითად, თქვენი არ მესმის, თქვენ ჩემი არ გეხმით და ხაერნის მიხედვით ვიმსჯელოთ. მე, მაგალითად, თქვენი არ მესმის, თქვენ ჩემი არ გეხმით და ხაერნის მიხედვით ვიმსჯელოთ. მე, მაგალითად, თქვენი არ მესმის, თქვენ ჩემი არ გეხმით და ხაერნის მიხედვით ვიმსჯელოთ.

ივანოვი — რა წაშებაა. ექიმო, თქვენ მეტიხმეტად ცუდი ექიმი ხართ, თუ გგონიათ, რომ ადამიანის მოთმინებას საზღვარი არა აქვს თავს ძლივს ვიკავებ, რომ შეურაცხყოფაზე შეურაცხყოფითვე არ გამახუბოთ.

ლვოვი — კმარა, კმარა, ვის ატუუებთ?! ნილაბი ჩამოიხსენით!

ივანოვი — საკვირველია, კვიანი კაცი ხართ და უბრალო რამ არ გეხმით. თქვენი აზრით, ჩემი საქციელის ახსნა სულ ადვილად შეიძლება. ასეა, ხომ? ცოლი ვითხოვე იმ ანგარიშით, რომ კარგ მშითვეს გამოატანდნენ. იმედი არ გამიმართლდა და ახლა საცოდავ ქალს სიცოცხლეს ვუმწარებ, რომ რაც შეიძლება მალე საიქოს მივაბრძანო, რათა სხვა ქალი შევიერთო და იმის ქონებას დავეპატრონო. ასე ფიქრობთ, არა? რა უბრალოდ ხდება ყველაფერი! ადამიანი ყოველად მარტავი და ადვილად გასაგები მანქანა უოფილა!... არა, ექიმო, თვითუფლი ჩვენგანი ათასგვარი ბორბლებით, კანჭიკებით და მუსრუქებით არი გამოტენილი და ეს იმდენად რთული მექანიზმია, რომ უფლება არა გვაქვს ერთმანეთზე პირველი შთაბეჭდილებისა და ორიოდ გარეგნული ნიშნის მიხედვით ვიმსჯელოთ. მე, მაგალითად, თქვენი არ მესმის, თქვენ ჩემი არ გეხმით და ხაერნის მიხედვით ვიმსჯელოთ. მე, მაგალითად, თქვენი არ მესმის, თქვენ ჩემი არ გეხმით და ხაერნის მიხედვით ვიმსჯელოთ.

ივანოვი — რა წაშებაა. ექიმო, თქვენ მეტიხმეტად ცუდი ექიმი ხართ, თუ გგონიათ, რომ ადამიანის მოთმინებას საზღვარი არა აქვს თავს ძლივს ვიკავებ, რომ შეურაცხყოფაზე შეურაცხყოფითვე არ გამახუბოთ.

ლვოვი — ნუთუ თქვენ მართლა გგონიათ, რომ ისეთი გაუმგვირვალე ბრძანდებით, ან მე იმდენად უტყინო ვარ, რომ უხინდისობა და პატიოსნებას შორის განსხვავებას ვერ ვხედავ?

ივანოვი — მე და თქვენ, ერთობა, ვერახოდეს ვერ მოვრიგდებით. უკანასკნელად გეკითხებით. კეთილი ინებეთ და ყოველგვარი წინასიტყვაობის გარეშე მიპასუხეთ: რა გნებავთ ჩემგან? რას გინდათ მიაღწიოთ? (ღიზიანდება) ბოლოს და ბოლოს, გამაგებინეთ: ვისთან მაქვს პატივი ვსაუბრობდე — ჩემს პროკურორთან თუ ჩემი ცოლის მკურნალთან?

ლვოვი — დიახ, მკურნალი ვარ და როგორც მკურნალი მოვითხოვ ასე ნუ იქცევით! თქვენი საქციელი ანა პეტროვნას ბკლავს!

ივანოვი — რა ვქნა, მითხარით? როგორ მოვიქციე? თუ ჩემზე კარგად გესმით ჩემი მდგომარეობა, ამიხსენით: რა უნდა გავაკეთო?

ლვოვი — უოველ შენთხვევაში ასე აშკარად და უტიფრად ნუ მოქმედებ!

ივანოვი — კი, ღმერთო ჩემო! თვითონ თუ გესმით, რას ღაპარაკობთ? (წყალს სვამს) თავი გამანებეთ! ათიათასჯერ დამნაშავე ვარ და ამ დანაშაულისათვის პასუხს ღვთის წინაშე ვაგებ, ოღონდ თქვენ არავინ მოგცათ უფლება უოველდღე მაწამოთ და სული ამომხადოთ!

ლვოვი — თქვენ ვინდა მოგცათ უფლება, რომ ჩემს სიმატლეს შეურაცხყოფთ? სული მომიშხამა თქვენთან ურთიერთობაში ხანამ ამ წყველ მაწარაში ჩამოვიდოდი, წარმოდგენაც არ მქონდა რანაირი შეიძლება იყოს ადამიანი. ვიცოდი, სულელები არიან, გიჟებიც, გრძნობას აყოლილი ტიპებიც, მაგრამ ადამიანი თუ შეგნებულად ბოროტმოქმედი იქნებოდა, — არ შეგონა! მე პატივს ვცემდი ადამიანებს, ზოგიერთები მიყვარდნენ კიდევ, მაგრამ თქვენ რომ დაგინახეთ...

ივანოვი — ვიცი, ვიცი... არაერთხელ გაგიგონია!

ლვოვი — გაგიგონიათ? (დაინახავს საშას, რომელიც საცხენოსნო ტანსაცმელში გამოწყობილი, მათრახით ხელში, ოთახში შემოდის) ახლა, მგონი, შესანიშნავად გავუგეთ ერთმანეთს. კარგად ხრძანდებოდეთ! (მხრებს აიჩეჩავს და ვადის)

7.

ივანოვი (შეშინებული) — შურა?

საშა — კი, მე ვარ... გამარჯობა. არ შელოდი? ჩვენთან რატომ არ მოდიხარ?

ივანოვი — შურა, ღვთის გულისხმთვის... რა გაუფრთხილებლობაა! შენმა მოსვლამ შეიძლება საშინლად ამოქმედოს ჩემ ცოლზე.

საშა — ვერ დამინახავს, უკანა კარით შემოვედი... ახლავე წავალ, ძალზე ვღელავდი. როგორა ხარ? რატომ არ დადიხარ ჩვენთან?

ივანოვი — ჩემი ცოლი ისედაც შეურაცხყოფილია, თითქმის კვდება, შენ კი... აბა, რა იყო აქ მოსვლა? შურა, შურა, ეს დაუფიქრებლობაა! ეს, ბოლოს და ბოლოს, შეუბრალებლობაა!

საშა — რა უნდა მექნა? ორი კვირა არ გამოჩენილხარ, წერილებზეც არ მპასუხობდი... დაგიტანჯე. მე შეგონა რაღაც დაგემართა, ავად გახდი, მოკვდი... ერთი დამეც არ მძინებია... ნუ ღელავ, ახლავე წავალ. შენ ოღონდ მითხარი, ჯანმრთელად ხარ?

ივანოვი — არა, შურა, არა! გავაწამე ჩემი თავი და სხვებიც მოსვენებას არ მაძლევენ... არ ვიცი, პირდაპირ, რა ვქნა? შენც თავს დამდგომიხარ... ღმერთო ჩემო, რა ავადმყოფურია ეს, რა არანორმალურია! შურა, შურა, მე დამნაშავე ვარ, ძლიერ დამნაშავე!

საშა — როგორ გიყვარს საშინელი და გულისამაჩუებელი სიტყვები... დამნაშავე ხარ? რაში ხარ დამნაშავე?

ივანოვი — არ ვიცი, არ ვიცი...

საშა — ეგ რა პასუხია? თუ შესცოდე რამე, უნდა იცოდე, რა შესცოდე. ყალბ ფულებს ბეჭდავდი?

ივანოვი — ნეტავი შენ, ხუმრობის თავი გაქვს!

საშა — იქნებ იმაში ხარ დამნაშავე, რომ ცოლზე გული აიცრუე? რა შენი ბრალია? ადამიანის გრძნობა მის ნება-ხურვილს არ ემორჩილება. შენ ეს არ გინდოდა... ან იქნებ დამნაშავე ხარ, რომ შენმა ცოლმა დაგვინახა, როცა სიყვარულს გიხსნიდი? ესეც შემთხვევით მოხდა, შენ ეს არ გინდოდა.

ივანოვი (შეაწყვეტინებს) — და ასე შემდეგ, ასე შემდეგ... შეიყვარე, გული აიცრუე, ადამიანის გრძნობა მის ნება-ხურვილს არ ემორჩილება... ეს სულ ცარიელი სიტყვებია, ვაცვეთილი ფრაზებია და არაფერს შველის!

საშა — მომქანცველია შენთან ღაპარაკი. (კედელზე გაკრულ სურათს მიჩერდება) ეს ძალი ნატურიდანაა დახატული?

ივანოვი — კი, ნატურიდან... ჩვენი რომანიც ცარიელი სიტყვებია, განუცნობელი ცნებაა... იყო კაცი, რომელსაც ნიადაგი გამოეცალა, სასოწარკვეთილებას მიეცა, მაგრამ მოვიდა ქალი — ახალგაზრდა და სულიერად ჯანსაღი, დახმარების ხელი გაუწოდა და წამოაყენა... უოველივე ეს მარტო წიგნებშია დამაჯერებელი და ღამაში, სინამდვილეში კი...

ტყვი... წადი ახლა შენს ცოლთან, გვირდით დაუჭეპი და ფეხი არ მოიცვალო! იქვე იქი... ერთი წელი დაკირდება — იქვე, ათი წელი დაკირდება — ათი წელი იქვე... შენი ვატი მოიხადე! თან იღარდე, ხაწუალ ქალს პატიება სთხოვე და იტირე, ბევრი იტირე... ასეა საჭირო... ოღონდ, რაც მთავარია — შენი ხაჭმე არ დაგავიწყდეს!

ეგრევე!

ივანოვი (დაიღმინებდა) უცნაურია, მაგრამ იხეთი გრძნობა მაქვს! უფროსი [ხედავს] მხარი და-მელიოს!

საშა — აბა, შენ იცი! უფალი შეგეწიოს... ჩემზე შეგიძლია არ იფიქრო, ორ კვირაში ერთხელ თუ წერილს გამომიგზავნი, მადლობელი ვიქნები. მე კი ხშირად მოგწერ. (ოთახში ბორკინი შემოიხედავს)

8.

ბორკინი — შეიძლება შემოვიდე? (საშას დაინახავს) უკაცრავად, არაფერი დამინახავს! (შემოდის) ბონჟური! (თავის დაკვირვით ორივეს ესალმება)

საშა (შემცბარი) — გამარჯობათ...

ბორკინი — გასუქებულხართ, უფრო გაღამაზებულხართ...

საშა (ივანოვს) — მაშ წავედი, ნიკოლაი აღექსევიჩი... წავედი. (გაღის)

ბორკინი — ხიზმარია თუ სინამდვილე? პროზისაკენ მივიღებოდი და პოეზიას წავაწყდი! (ჩაიმღერებს) „გამომეცხადე, ვით საოცრება...“ (ივანოვი აღელვებული ბოლთას სცემს)

ბორკინი (სავარძელში გამოიქიმება) — ისე კი, ნიკოლა, ხომ იცი... ამ ქალში რაღაც არი იხეთი, რაც სხვებს არ გააჩნიათ... რაღაც განსაკუთრებული, ფანტასმაგორიული, ასე ვთქვათ... (ამოოხვრით) ფაქტიურად ჩვენს მაზრაში უველაზე მდიდარი საპატარძლოა... თუმცა დედამისი იხეთი ბებერი ბოლოკია, — შტრისას მიხი დამოუყრება!.. მართალია, მიხი სიკვდილის შემდეგ მთელი ქონება ქალიშვილს დარჩება, მაგრამ რა იცი, როდის მოკვდება? არადა, მანამდე ერთ ათას მანეთს მოგიგდებს, ორიოდღე ღეიბსა და უთოს მოგაშავებს და თან მადლობით კი არ დაკმაყოფილდება, — მუხლებში უნდა ჩაუვარდე და მიწას თავი უნდა ახალო! (ჩიბეში იქექება) ხომ არ მოგვეწია? აქ სადღაც ღოს-დე-მახოროსი მქონდა... არ ინებებთ? (სიგარას გაუწვდის) ჩინებული თუთუნა.

ივანოვი (მიეჭრება გაცეცხლებული) — ახლავე დასტოვეთ ჩემი სახლის გესმით? აქ აღარ დაგინახოთ!

ბორკინი — რა მოგვივიათ, ნიკოლა? რატომ მიბრაზდებით?

ივანოვი — ვინ მოგცათ ეს სიგარეზი? განა არ ვიცი ხალ დადინხართ უოველ საღამოს ან იმ მოხუცს ხალ დაათრევთ?!

ბორკინი (მხრებს იჩიჩავს) — მერე, თქვენ რა გესაქმებათ?

ივანოვი — არამზადა ხართ, არამზადა! თქვენი თაღლითური პროექტების გამო მთელ მაზრაში თავი მომეჭრა და გარეთ ვერ გამოვსულვარი მე და თქვენ საერთო არაფერი გვაქვს! მე გთხოვთ... მე მოვითხოვ ახლავე, ამ წუთშივე დასტოვოთ ჩემი სახლი! (აღელვებული დაღის სცენაზე)

ბორკინი — თქვენ ახლა გაღიზიანებული ხართ და იმიტომ მიყვირით... მაინც არ მწყინს. მღანძღეთ რამდენიც გინდათ. (იატაკზე დავარდნილ სიგარას დასწვდება) შეღანქოღია კი უნდა ჩამოიშოროთ, გიმნაზისტი არა ხართ!

ივანოვი — რა გითხარით? (კანკალებს) მოთმინებიდან ნუ გამომიყვანთ... შემოდის ანა პეტროვნა

ბორკინი — აი, თქვენი ცოლიც... წავედი მე. (გაღის) (ივანოვი მაგიდასთან გაჩერდება თავდახრილი)

ანა პეტროვნა (პაუზის შემდეგ) — იმ ქალს აქ რა უნდოდა? (პაუზა) მე გეკითხებით, იმ ქალს აქ რა უნდოდა?

ივანოვი — ნუ მეკითხები, ანიუტა... (პაუზა) მე ვიცი, ძლიერ დამნაშავე ვარ შენს წინაშე... რა სასჯელიც გინდა დამადე, უველაფერზე თანახმა ვარ, ოღონდ ნუ მეკითხები... ლაპარაკის თავი არ მაქვს...

ანა პეტროვნა (გაბრაზებით) — იმ ქალს აქ რა უნდოდა, რა? (პაუზა) აჰ, გასაგებია... მაშ, აი, როგორი უოფილხარი ძლივს არ გავიგე როგორი ხარ... უსინდისო, სულმდაბალი ადამიანი!

განსოვს. ხუთი წლის წინათ რომ მოხვედრი და მიიხარო „მიყვარხარო?“ მე სულელმა დაგიჩერე. უველაფერი მივატოვე და გამოგყევი... თურმე ტყუილი უოფილა უოველივე, რასაც შეუბნებოდი ქეშმარიტებაზე, სიკეთეზე. შენ ხაკუთარ პატიოსან გეგმებზე... სულ ტყუილი უოფილა! მე კი თვითეული შენი სიტყვა მჭეროდა!

ივანოვი — ანუტა, მე შენთვის ტყუილი არასოდეს მითქვამს.

ანა კეტროვი — ხუთი წელი გავატარეთ ერთად... მე ვიტანჯებოდი, აქვან [გაქვან] მაგრამ მიყვარდი და ერთი წუთითაც არ გცილდებოდი. შენ ჩემი სათაყვანო კერპი იყავდი... რა გინდა? თურმე მთელი ამ ხნის განმავლობაში თვალს მიხვევდი, უოველად უხინდისოდ მატყუებდი...

ივანოვი — ნუ ამბობ ასე, ნუ! მე ვცდებოდი, მაგრამ არასოდეს არ მომიტყუებინარ... ამაში მაინც ნუ მადანაშაულებ!

ანა კეტროვი — ახლა უველაფერი გასაგებია... ცოლად იმიტომ მიიხვედი, რომ გეგონა მშობლები მაპატიებდნენ და ფულს მომცემდნენ...

ივანოვი — ო, ღმერთო ჩემო... უოველგვარ მოთმინებას საზღვარი აქვს! (ტირის)

ანა კეტროვი — გაჩუმდის... მერე, უფულოდ რომ დარჩი, სხვა ხერხს მიმართე. მე ახლა უველაფერი მესმის, კარგად მესმის... (ტირის) შენ არასოდეს არ გუვარებივარ, არა! არც ერთგული უოფილხარ ჩემი!

ივანოვი — ხარა, ეს მართალი არაა... რაც გინდა თქვი, მაგრამ ტყუილით მაინც ნუ შეურაცხყოფ!

ანა კეტროვი — უხინდისო, სულმდაბალი ადამიანი ლებედვის ფული მართებს და ახლა, ვალი რომ თავიდან აიცილოს, მის ქალიშვილს ეკურკურება... ახე, ხომ? ისიც გინდა ჩემსავით გააბრიყვო?

ივანოვი — გაჩუმდი, ღვთის გულისათვის, თორემ არ ვიცი რას ვიზამ... გაჩუმდი-მეთქი! ბოლმა მახრჩობს და შეიძლება შეურაცხყოფა მოგაყენოს!

ანა კეტროვი — სულ მუდამ ტყუილი, ერთხელ არ გითქვამს მართალი... მართო მე კი არა, მთელ ქვეყანას ატყუებდი... უველა შენს მიერ წამოწყებულ უხინდისო საქმეს ბორკინს აბრალებდი, მაგრამ ახლა ვიცი, კარგად ვიცი — რა კაცი ხარ!

ივანოვი — ხარა, გაჩუმდი... წადი აქედან, თორემ თავს ვერ შევიკავებ, რაღაცას გეტყვი და... უნის წვერზე მიტრიალებს ის საშინელი სიტყვა... გაჩუმდი-მეთქი, გაჩუმდი! (უვირის) გაჩუმდი, შე ურიაგ, შენა!

ანა კეტროვი — არ გავჩუმდები! ამდენ ხანს მატყუებდი და რა გამაჩუმებს!

ივანოვი — მაშ არ გაჩუმდები? (თავს ებრძვის) ღვთის გულისათვის...

ანა კეტროვი — წადი ახლა და ლებედვას ქალიშვილი მოატყუე!

ივანოვი — კარგი... მაშ, იცოდე... შენ მალე მოკვდები. გესმის? ექიმმა მიიხარა, მალე მოკვდები.

ანა კეტროვი — (ულონოდ დაეშვება სკამზე, მიმქრალი ხმით) — როდის გითხრა? (პაუზა)

ივანოვი (თავში ხელს იტაცებს) — რა ჩავიდინე, ღმერთო... რა ჩავიდინე!.. დამნაშავე ვარ, ხარა, მაპატიე... მაპატიე! (ქვითინებს)

ფარდა

მესამე და მეოთხე მოქმედებებს შორის ერთი წელიწადი გადის

მოქმედება მეოთხე

სასტუმრო ოთახი ლებედვის სახლში. წინ თალია, ოთახს დარბაზთან რომ აკავშირებს. მარჯვნივ და მარცხნივ — ორი კარია. სასტუმრო მორთულია ძველებური ავეჯით, ბრინჯაოს ნივთებით, საგვარეულო პორტრეტებით და სხვ. პიანინოზე ვიოლინო დებს, იქვე ჩელო აყუდია. მთელი მოქმედების განმავლობაში სასტუმროში და დარბაზში საზეიმოდ ჩაცმული სტუმრები სეირნობენ.

1.

ლვოვი (შემოდის, საათს შეხედავს) — ხუთი საათი სრულდება. კურთხევა! ხაცია დაიწყება... დალოცავენ და ჭვრის დასაწერად წაიყვანენ... ეხეც შენი ხიკეთისა და სამართლის დღესასწაული! სარას გაძარცვა ვერ შეხდლო, საფლავში ჩაიყვანა, ახლა სხვა მონახა, რომ ისიც გააბრუოს, გაძარცვოს და საწყალი სარასი არ იყოს, საიქიოში შიაბრძანოს! (პაუზა) ალბათ მეშვიდე ცაზეა სიხარულისგან!.. მშვენიერად იცხოვრებს, ღრმა სიბერემდე მიაღწევს და დაშვიდებული სინდისით გარდაიცვლება... არა, ვაჟბატონო! ამ სიხარულს ჩაგიმწარები! ნილას რომ მოგაძრობ და უველას რომ დავანახებ რა კაციცა ხარ, შენი მეშვიდე ცოდან იხე დაეშვები უირამალა და ისეთ ორმოში ჩავარდები, თვით სატანაც ვერ ამოგიყვანს იქიდან!.. მე პატროსანი კაცი ვარ და ვალდებული ვარ ამ საქმეში ჩავერიო, რომ სიმართლეს გამოვექომაგო და ბრმებს თვალი ავუხილო! ჩემს ვალს მოვიხდი თუ არა, იმწუთასვე დავტოვებ ამ წყეულ მაზრას! (ჩაუქრდება) კი მაგრამ... როგორ მოვიქცე? ლებედევებთან მოლაპარაკებას აზრი არა აქვს... იქნებ დუელში გამოვიწვიო? სკანდალი ავტებო და წავეჩხუბო?... ღმერთო ჩემო, პატარა ბიჭივით ვდელავ, ვერაფერი მომიხაზრებია... რა ვქნა. დუელში გამოვიწვიო?

2.

კოსიხი (შემოდის, გახარებული ლვოვს მივარდება) — წუხელ პატარა შლემი გამოვაცხადე და ზედიზედ ორი ხელი მოვიგე! ოღონდ იმ ბარაბანოვმა ისევ აურია... ვეუბნები: უკოზიროდ ვთამაშობ-მეთქი, ის კი პასს აცხადებს!.. ორ ჭვრიანს ვაცხადებ. ის ისევ პასია!.. ორ აგურიანს ჩავდივარ ხამ ჭვრიანზე და წარმოიდგინეთ... არა, თქვენ წარმოიდგინეთ: შლემს ვაცხადებ, იმას კი თურმე ტუზი ბქონდა და მიმაღავეს! მაგ უტვინოს ტუზი რომ ერყენებინა, დიდ შლემს გამოვაცხადებდი და...

ლვოვი — მაპატიეთ, მე კარტს არ ვთამაშობ და თქვენს მდელვარებას ვერ გავიზიარებ... მალე დაიწყებენ?

კოსიხი — მალე. ზუზუშკას ახულიერებენ: ტირის ის უბედური, მზითევი ენანება.

ლვოვი — თუ საკუთარი ქალიშვილი?

კოსიხი — მზითევი. მართლაც ხაწყენია: ჩაესიძება და ვალს აღარ გადაიხდის. სიძის თამასუქებს ხომ ვერ გააპროტესტებენ?

3.

ბაბაპინა (მდიდრულად ჩაცმული შემოდის და ლვოვსა და კოსიხს მელიდურად გადახედავს. კოსიხი ხელს აიფარებს და ხითბითებს. ბაბაპინა ზიზლით შეხედავს) — ტუტუცი! (კოსიხი მიეპარება, წელზე თითით შეუღიტიანებს და გადაიხარხარებს) — ხეპრე.

კოსიხი (ხარხარებს) — სულ გამოსტერდა ეგ სულელის ხანამ მის ბრწყინვალებას არ უმიწნებდა, ქალი ქალად იყო, ჩვეულებრივი დედაკაცი, ახლა კი ვერ ნიკარები! (გამოაჩაერებს) ხეპრე!

ლვოვი — მომისმინეთ... რა აზრისა ხართ ივანოვზე? ოღონდ გულახდილად მითხარით.

კოსიხი — კაპიკად არა ღირს, ფინაჩია! შარშან, არ მახსოვს, უველიერზე იყო თუ დიდმარხვობას, სათამაშოდ დავსხედით: მე, ბორკინი და ეგა... კარტს მე ვარიგებდი...

ლვოვი (შეაწყვეტიანებს) — კარგი აღამიანია?

კოსიხი — ვინა, ივანოვი? ჭიბგირების ერთია გაიძვერა! რაღა ეგა და რაღა გრაფი — უნოსვით გრძნობენ, ხად რა იხეირონი ურიაზე ხომ შეცდა? ახლა ზუზუშკას ზანდუკებს უმიწნებს, ხანაძლეოს ვდებ, თუ ერთ წელიწადში ლებედევებსაც სამათხოვროდ არ გაუხადოს საქმე! ეგ ზუზუშკას გაფცქვინის, გრაფი — ბაბაპინას და იქნებიან არხეინად, დროს გაატარებენ!.. რაღაც გაფითრებული მეჩვენებით, ცუდად ხომ არა ხართ?

ლვოვი — არა, წუხელ დავლიე და მეტი მომივიდა.

4.

ლეხედევი (შემოდის საშასთან ერთად) — აქ ვილაპარაკოთ (ლვოვსა და კოსიხს) აბა, კაციკამიებო, ბარიშნებთან გაბრძანდით, საიდუმლო გვაქვს.

კოსიხი (საშას ჩაუელის და თითს გაატკაცუნებს) — დახატულივით არ არის? კოსიხის ქალია!

ლეგედევი — გაიარე, ველურო, გაიარე!

(ლევი და კოსიხი გადიან)

დაქე, შვილო... აი ასე.. (თეითონაც ჩამოჯდება და მიმოიხედავს) მიუტრე და სათანადო ყურადღებითა და მოკრძალებით მომისმინე... ხაქმე შემდეგშია... დედაშენმა დამავალა გადმოგცე, გესმის? ჩემდათავად კი არ გეუბნები, დედაშენმა მიბრძანა.

საშა — მოკლედ თქვი, მამა!

ლეგედევი — მზითევში, როგორც იცე, 15 ათასი გერგება, ვერცხლის ფულით, შოდა, მერე ლაპარაკი არ იყოს... მოიცა, ბოლომდე მომისმინე... ეს დასაწყისია, მთავარს ახლა გეტყვ... მამ, 15 ათასი მზითევია, მაგრამ ნიკოლაი ალექსეევიჩს დედაშენის 9 ათასი მართებს, ამიტომ თხუთმეტს ცხრა რომ გამოვაკლოთ... ერთი სიტყვით...

საშა — რად მეუბნები მაგას?

ლეგედევი — დედაშენმა დამავალა.

საშა — თავი გამანებეთ! ჩემი ან ხაკუთარი პატივისცემა რომ გქონოდათ, ასეთ საუბარს არ გამიბამდით. არ მჭირდება თქვენი მზითევი! არასოდეს არ მითხოვია და არცა გთხოვთ!

ლეგედევი — რას მიწყრები, შვილო; რა გითხარი ისეთი? გოგოლს უწერია, საიდანღაც ორი ვირთხა გამოძვრა, იქაურობა დასუნეს და გაეცალენო... შენ კი, ჩემო განათლებულო, არც დაგისუნია, ისე მიჭავრდები!

საშა — თავი გამანებეთ! თქვენი კრიტიკული ანგარიშიანობა ჩემ სმენას შეურაცხყოფს!

ლეგედევი — ფუი, თქვენი ქოქი გაქრა! თქვენ ბოლოს და ბოლოს იქამდე მიმიყვანთ, რომ ან ყელს გამოვიჭრი, ან ვიდაცა შემომაკვდებამ! ის ოხერი დედაკაცი დილა-საღამოა ტირის, წუწუნებს, კაპიყებს ითვლის, ამას კი, ამ ჭკვიან, ჰუმანურ, დასწყევლოს ღმერთმა, ემანსიპირებულ ქალიშვილს ხაკუთარი მამისთვის ვერ ვაუგია! დამიხედეთ ერთი ამას! მე თურმე მის სმენას შევურაცხე! იცე თუ არა შენ, რომ ხანამ აქ შენთან მოვიდოდი და შენს სმენას შევურაცხოდი, იქ (კარისკენ მიუთითებს) სულ ნაკუნ-ნაკუნ ამქნეს, ჭვარს მაცვეს, სული ამომხადეს!.. არ ეხმის, არა! არაფრის ვაგება არ უნდა! სულ გამოაშტერეს ეს საწყაალი... ჯანდაბას თქვენი თავი! (ადგება და მიდის, შეჩერდება) არ მომწონს, არა!

საშა — რა არ მოგწონს?

ლეგედევი — უველაფერი!

საშა — მაინც?

ლეგედევი — უველაფერი-მეთქი! ჰო, უველაფერი... მათ შორის შენი ქორწილიც! (საშას მიუახლოვდება, აღერსიანად) მაპატიე, შვილო... იქნებ ეს ქორწინება გონივრულიც იყოს, პატიოსნურიც, ამაღლებულიც, პრინციპულიც, მაგრამ... ის არ არი, რაც უნდა იყოს. არა, არ არის სხვა ქორწილებს არ გავს. შენ ახალგაზრდა ხარ, ლამაზი, ხუფთა, ის კი — ცხოვრებისაგან ნათრევი, გაცვეთილი და დაჭვრიყვებული კაცია... არ მესმის მისი და რა ვქნა?! (საშას კოცნის) მაპატიე, შვილო, მაგრამ ამაში რაღაც სიბინძურება. ხალხიც ათას რაღაცას ამბობს, აქაოდა, როგორ მოხდაო, რომ ის ურია ქალი მოკვდა თუ არა, ახალი ცოლის მოყვანა გადაწყვიტაო... (კილოს შეიცვლის) თუმცა, შენ ჩემ უბედობას უტრს ნუ უგდებ! დედაკაცივით გავხდი მეც, ჰორიკანებს ავუყვი... ნუ მისმენ, ნუ! ნურავის ნუ დაუჭერებ, შენი ჭკუით მოიჭეცი.

საშა — მამა... თვითონაც ვგრძნობ, რომ ის არ არი, რაც უნდა იყოს. არ არი, არა! რა დღეში ვარ, რომ იცოდე?! მამა, მამა! მრცხვენია კიდევ და მეშინია ამის თქმა, მაგრამ... გამამხნევე, საყვარელო, დღეთს გულისათვის... მასწავლე, როგორ მოვიქცე.

ლეგედევი — რაო, რა თქვი?

საშა — მეშინია-მეთქი. ასე არასოდეს არ მშინებია... (მიმოიხედავს) მეც არ მესმის მისი, ხრულებით არ მესმის და ალბათ ვერასოდეს ვერ გაფუგებ... მთელი ამ ხნის განმავლობაში, რაც დანიშნული ვარ, ერთხელ არ გაუღიშია ჩემთვის, არც თვალი გაუხწორებია... სულ დარდობს რაღაცას, ჩივის, სულ თავის დანაშაულზე ლაპარაკობს... დავილაღე, მამა. ზოგჯერ მგონია, აღარ მიყვარს ისე, როგორც უნდა მიყვარდეს. თან აქ რომ შოდის და მარტონი ვრჩებით, საშინლად მწყინდება მასთან ყოფნა... რას ნიშნავს ეს, მამიკო, ამიხსენი? მეშინია!

ლეგედევი — ჩემო ანგელოზო... ჩემო ერთადერთო შვილო... დამიჭერე შენ ბებერ მამას, უარი უთხარი!

საშა (შეშფოთებით) — რას ამბობ, მამა?!

ლეგედევი — ჰო, შეილო, უარი უთხარი! მართალია, ალიაქოთი ატყდება, მთელი მაწრაც აყაყანდება, მაგრამ განა არ ჯობია ერთ სკანდალს გაუძლო, ვიდრე მთელი შეწი ცხოვრება უბედური იყო?!

საშა — ნუ ამბობ მაგას, მამა, ნუ! მოსმენაც არ მინდა. ამაზე არც უნდა ვიფიქრო... ის კარგი კაცია. რა ვუყოთ, რომ უბედურია და უცნაური, უნდა გავუგო მას, კიდევ უფრო შევიყვარო და ფეხზე დავაყენო! მე მაინც შევასრულებ ჩემს განზრახვას, ეს გადაწყვეტილია!

ლეგედევი — ეს განზრახვა კი არა, სიგიჟეა!

საშა — კმარა. მე ვითხარი ის, რასაც საკუთარ თავს არ გავუმსხელები. გაფიცებ ყველაფერს, არავისთან წამოგცდეს. დავივიწყოთ, რაც ვთქვი.

ლეგედევი — არაფერი მეხმის, ან მე დავბერდი და გამოვტვიინდი, ანდა თქვენ ყველანი ისეთი კვიციანები გახდით, რომ, ღმერთო მომკალი, და არაფერი გამეგება!

5.

შაბაღსკი (შემოსვლისთანავე) — ეშმაკსაც წაუღია ყველა და ყველაფერი ეს აღმაშფოთებელია!

ლეგედევი — რაშია საქმე? რა გინდა?

შაბაღსკი — არა, სერიოზულად... აი, ავიდებ და ჩემს თავს ისეთ სისაძაგლეს გავუბოთებ, რომ ყველას გული აგერიოთ! აი, ნახავ, თუ არ გავაკეთო! პატროსან სიტყვას გაძღვე! მე უკვე ბორკინს ვუთხარი, დღესვე ხასიძოდ გამომაცხადებს! (იციინს) თქვენ თუ ნაძირადები ხართ, მე რა — თქვენზე ნაკლები ვარ?!

ლეგედევი — როგორ მომამბეზრე თავი, შატვეი... შენ იმდენს იუბედებ, რომ ბოლოს, მაპატიე ამ გამოთქმისათვის, და ყვითელ სახლში მივაბრძანებენ.

შაბაღსკი — ყვითელი სახლი რა, ვითომ სხვა სახლებზე უარხია? კი, ბატონო! მოწყალება მოიღე და ახლავე წამაბრძანე! მადლობასაც გეტყვი ამისთანა მაიმუნებს, აქ რომ ვხედავ. იქ მაინც არ დავინახავ! თაღლითებისა და უტვინო არამზადების ხელში ვარ. თვითონაც მეზიზღება ჩემი თავი, არც ერთი ჩემი სიტყვა არ მჭერა!

ლეგედევი — იცი, რა მქენი? პირში ძენძი ჩაიდრე, ცაცხლი წაუკიდე და ხალხს მიატოვო. ლე! ან უკეთესს გეტყვი: ქუდი დაიხურე და შინ მიბრძანდი! აქ, ძმაო, ქორწილია, ხალხი მზიარულობს, შენ კი — „ყვავა-ყვავა“ — ყორანივით თავზე დაგვჩხავი! ჰო, მართლა... შინ წადი (შაბაღსკი პიანინოს შუბლით მიეყრდნობა და ტირის) შატვეი! რა მოგივიდა, ძმაო? გაწყენინე საყვარელო? მაპატიე, მაპატიე ბებერ ძაღლს! მაპატიე, მე ღოთხ... აი, წყალი მოსვი.

შაბაღსკი — არ მინდა. (თავს ასწევს)

ლეგედევი — რა გატირებს?

შაბაღსკი — არაფერი, ისე...

ლეგედევი — არა, ძმაო, ნუ სტყუი... რატომ ტირი? რა მიზეზია?

შაბაღსკი — აგერ, ამ... ჩემოს შევხედე და ის საწყალი ქალი გამახსენდა.

ლეგედევი — აბა, რა დროს იმის ხსენებაა? ღმერთმა ხახუფვეველი დაუშკვიდროს და იმაზე დაპარაკი ახლა უხერხულია...

შაბაღსკი — ერთად ვუკრავდით ხოლმე... დუეტად... შესანიშნავი ქალი იყო, საკვირველი...

(საშა იტვითინდება)

ლეგედევი — შენ რაღა გატირებს? კარგი, გაჩუმდი. ღმერთო ჩემო, ეს რა ხალხია? ერთიც ტირის, მეორეც... გარეთ მაინც ვადით, სტუმრებმა არ დაგინახონ.

შაბაღსკი — პაშა, ძვირფასო... მზიან ამინდში ხახაფლაოც კი მზიარულად გამოიყურება... იმედი რომ აქვს კაცს, სიბერეც ტკბილია... მე კი აღარც ერთი იმედი არ დამჩა, არც ერთი!

ლეგედევი — მართალია, უბედური კაცია ხარ. არც მიმკვიდრე გყავს, ფულიც არ გაგაჩნია, საქმესაც არ ადგიხარ... რას იზამ, ეგეთი ბედი გქონია. (საშას) კარგი ახლა, გაჩუმდი! შენ რაღა გატირებს?

შაბაღსკი — პაშა, საყვარელო... ფული მომიცი. მართალია, ვერ დაგიბრუნებ, მაგრამ იმქვეყნად გავსწორდებით... პარიზში წავალ, ცოლის ხაფლავს მოვიხაზულებ, ჩემ სიცოცხლეში რაც მე ფული გამიჩუქებია... ნახევარი ქონება ნაცნობ-მეგობრებს დავურიგე. უფლება მაქვს გთხოვო, მით უმეტეს, ჩემი მეგობარი ხარ...

ლეგადევი (დაიბნევა) — რა ექნა, ძვირფასო, კაპიკი არ გამაჩნია... თუმცა, მოიცა... შო, კარგი, კარგი, ვერაფერს დაგპირდები, მაგრამ რაღაცას მოვიფიქრებ... გესმის? რაღაცას აუცილედ ზღადა მოვიფიქრებ... (თავისთვის) შეშოკლეს!



6.

ბაბაპინა (შემოდის) — ჩემი კავალერი რაღა იქნა? (გრაფს) გრაფ, რატომ დამტოვეთ? არ გრცხვენიათ, საზიზღარო?! (მკლავზე მარაოს შემოაკრავს)

შაბალსკი (ზიზღით) — თავი დამანებეთ! მე თქვენ მძულხართ!

ბაბაპინა (გაოგნებული) — რაო?

შაბალსკი — მომცილდით! მომცილდით-მეთქი!

ბაბაპინა (სავარძელში ჩაესვენება) — აჰ! (ტირის)

ზინაიდა სავინა (შემოდის ატირებული) — იქ ეტლი გაჩერდა, მგონი, სასიძოს მათა რია... ალბათ უნდა დავლოცოთ პატარძალი... (ქვითინებს)

საშა (მუდარით) — დედა!

ლეგადევი — მიდი, მიდი... ყველამ ერთად! კვარტეტია?!.. გეყოფ ცრემლის ღვრა! მატყვი მარფა ეგოროვნა! ასე ზომ მეც... მეც ამატირებთ. (ტირის) ღმერთო დიდებულო!

ზინაიდა სავინა (საშას) — დედაშენი თუ მოიძულე... აღარავის თუ არ უჭერებ... გაღირსებ მაგ სიამოვნებას, დაგლოცავ...

(მოულოდნელად შემოდის ივანოვი, ჟრაკი აცვია, თეთრი ხელთათმანები უკეთია)

ლეგადევი — ესღა გვაკლდა!

საშა — შენ აქ რა გინდა? რატომ მოხვედი?

ივანოვი — უკაცრავად, ბატონებო. ნება მომეცით საშას მარტოდმარტო მოველაპარაკო.

ლეგადევი — ეს რა წესია? ჯვრისწერამდე პატარძალთან მისვლა არ იქნება, შენ ახლა ეკლესიაში უნდა მიდიოდდი!

ივანოვი — პაშა, მე გთხოვ...

(ლებედვეი მხრებს აიჩქრევს და გავა, მას მიყვებიან ზინაიდა სავინა და ბაბაპინა)

7.

საშა (უკმაყოფილოდ) — რა გინდა?

ივანოვი — ბოლმა მახრჩობს... არ შემიძლია დამშვიდებით ვილაპარაკო... მომიხმინე, ეს წუთია ჯვრისდასაწერად ვემზადებოდი, სარკეში ჩავიხედე და ჩერს საფეთქლებზე ქალარა შევაჩნიე! შურა არ გვინდა, რა?! სანამ გვიანი არ არი, შევწყვიტოთ ეს კომედია. შენ ახალგაზრდა ხარ, ხუფთა, ცხოვრების გზა კიდევ გასავლელი გაქვს, მე კი...

საშა — ეგ ათასჯერ მომიხმენია. მომბეზრდა. წადი ახლა ეკლესიაში და ხალხს ნუ აჩერებ.

ივანოვი — ეკლესიაში კი არა, შინ წავალ. შენ კი თქვენებს გამოუცხადე, რომ ქორწილი არ შედგება, როგორმე აუხსენი. დროა, გონს მოვიდეთ, მე ცოტა წავიშამლეთ, შენ ხულით ამალღებუდი, თავგანწირული ქალიშვილის როდი ითამაშე და — კმარა, გავათავოთ!

საშა (შეურაცხყოფილი) — როგორ შელაპარაკები? მე შენ არ გისმენ.

ივანოვი — მე კი მაინც გეტყვი და მომიხმენ!

საშა — აქ რატომ მოხვედი, გამაგებინე? შენი წუწუნი გინდა გამაგონო? ან იქნებ დამცინი?

ივანოვი — წუწუნისო? არა, ეს წუწუნი არ არი, დაცინვით კი დიახაც დავცინი, ოღონდ შენ კი არა, საკუთარ თავს დავცინი და რომ შემეძლოს, უფრო მეტადაც დავცინებდი, ისე, რომ ნთელი ქვეყნის სამასხარაო გავხდეს... დავინახე თუ არა სარკეში ჩემი თავი, ჩემ სინდისში თითქოს უუმბარა ვასკდაო, გამეცინა და სირცხვილისაგან კინაღამ ჰკუიდან შევიშალე! (იცინის) მეღანქოლია! კეთილშობილი სევდა! ანგარიშიუცემელი ნადველი... ისღა მაკლია ახლა ლექსების წერაც დავიწყოს ვიწუწუნო, ყველას თავი შევაბრალო, ყველა და მათ შორის ჩემი თავიც დავარწმუნო, რომ უკვე აღარაფრად ვარგივარ, ვანგი მომეკიდა, ნებისყოფა დავკარგე და უელამდე ჩაფლული ვარ ამ საზიზღარ მეღანქოლიაში, — თან უთველივე ეს ვიცოდე, შეგნებული მქონდეს იმ დროს,

როცა ქვეყანას შუე ანათებს და თვით კიანჯველაც კი, შინისკენ ტვირთს რომ შრატრევს, თავისი ბედით კმაყოფილია?... არა, ნურას უკაცრავად, ამაზე ვერ დავთანხმდები! ან როგორ უნდა შეუჩივდეს კაცი იმას, როცა ერთნი მას თაღლითად თვლიან, მეორენი სიბრაღეებით უყურებენ, მესამენი დახმარებას სთავაზობენ, მეოთხენი კი, — რაც უველაზე უარესია! — მტრულად იხმენენ მის ოხვრა-კვნესას, მეორე მუშამედი მგონიათ და წუთი-წუთზე მისგან ხელის ხარჭმუხუბების გამოცხადებას მოედიან... არა, მადლობა ღმერთს, სიამაუე და სინდისი კიდევ შემჩინია! აქეთ რომ მოვდიოდი, სულ დავცინოდი ჩემს თავს და ასე მეგონა, ჩემთან ერთად ჩიტებიცა და ხეებიც იცინოდნენ!

საშა — ეგ ბოღმა კი არა, სიგიჟეა!

ივანოვი — ასე გგონია? არა, შურა, მე ვიცი არა ვარ. მე ახლა უველაფერს უკეთესად ვხედავ და ჩემი აზრი ისეთივე სუფთაა, როგორც შენი სინდისი... ჩვენ გვიყვარს ერთმანეთი, მაგრამ ჩვენი შეუღლება არ მოხდება. მე თვითონ შემიძლია რამდენიც მინდა ვიგიჟო, ვიმწუხრო, მაგრამ სხვისი დადუქვის უფლება არ მაქვს! ჩემი გაუთავებელი ბუზღუნით ჩემ ცოდს მიხი სიცოცხლის უკანასკნელი წელი გავუმწარე. ხანამ ჩემი საცოლე იყავი, — არ ვ კი, შეამჩნიე თუ არა, — შენ თითქმის სიცილს გადაეჩვიე და რამდენიმე წლით დამიბერდი კიი კც... მამაშენი, ვისაც ცხოვრება ასე კარგად ესმოდა, ჩემი წუალობით მთლად დაიბნა და კაციშვილის სიტყვა აღარ ესმის. სადაც არ უნდა წავიდე, — ყრილობა იქნება, წვეულება თუ ნადირობა, — უველგან მოწუენილობა, დაბნეულობა და უკმაყოფილება შემაქვს... მოიცა, ნუ მაწუვეტიენებ!.. ახლა უხეში ვარ, მკაცრი და აღრენილი, მაგრამ ბრაზი მანჩრობს და სხვანაირად ლაპარაკი არ შემიძლია. ჩემ სიცოცხლეში არასოდეს ტყუილი არ მითქვამს, არც ცხოვრება მივინებია უმიზეზოდ, მაგრამ ახლა ბუზღუნა გავხდი, ჩემდაუნებურად, — თვითონაც ვერც ვამჩნევ, როგორ ხდება — სულ ცხოვრების გინებაში ვარ, სულ ბედს ვუჩივი, ვიწუველები და უველა, ვინც მისმენს, ჩემსავით ბუზღუნა და ცხოვრების უმიზეზოდ მივინებელი ხდება... თან, თუ შეამჩნიე, თავი როგორ მიკვირავს? თითქოს ქვეყანას ჩემს არსებობას ვამადლიდე!.. ეშმაკსაც წაუღია ჩემი თავი!

საშა — მოიცა, მოიცა... შენი ნათქვამიდან გამოდის, თითქო ბუზღუნი უკვე მოგაყვოდა და ახალი ცხოვრების დაწყებას აპირებ. მაგას რა ჯობია!

ივანოვი — არაფერიც არ გამოდის! რომელ ახალ ცხოვრებაზე მეუბნები? მე დაღუპული კაცი ვარ, გესმის, დაღუპული! დროა, ორივემ შევიგნოთ ეს მამ, ახალი ცხოვრება!

საშა — გონს მოდი! რატომ გგონია, რომ დაღუპული ხარ? ეს რა ცინიზმია? ლაპარაკიც არ მინდა შენთან, ეკლესიაში წადი!

ივანოვი — დაღუპული ვარ, დაღუპული!

საშა — ნუ უვირი, სტუმრებო გაიგონებენ!

ივანოვი — როცა ხაკმაოდ გონებაგახსნილი, განათლებული და ჯანმრთელი ადამიანი მოულოდნელად, თითქოს უოველგვარი ხილული მიზეზის გარეშე უკვებ წუწუნს დაიწყებს და ცხოვრების ფსკერისკენ დაექანება, მას ვედარაფერი შეაჩერებს და მისი გადარჩენა შეუძლებელია! აბა, მითხარი, რამ უნდა მიხსნას ამ მდგომარეობიდან? ლოთობა მე არ შემიძლია, — არაყი თავს მტკენს. ცუდი ლექსების წერა არ შეხერხება. მაშ, რა ვქნა? ჩემი სულიერი სიზარმაცე გავადმერთო და რაღაც განსაკუთრებულ, ღვთაებრივ ნიჭად ჩავთვალო? ამას ვერ ვიზამ. სიზარმაცე — სიზარმაცეა, სისუსტე — სისუსტეა და მათ სხვა ხახელწოდება არ მოეძებნება... მოკლედ, წასულია ჩემი საქმე. ამას ლაპარაკიც არ უნდა. (მიმოიხედავს) აქ შეიძლება ხელი შეგვიშალონ... მომისმინე, თუ გვიყარვარ, ახლავე უნდა გახვიდე შენს მშობლებთან, სტუმრებთან და ჩემთან შეუღლებაზე უარი განაცხადო!

საშა — ოჰ, ნიკოლაი... როგორ დამდადე, რომ იცოდდე! კვიანი კაცი ხარ, გულისხმიერი და აბა, მითხარი, შეიძლება ასე, სულ ახალ და ახალ ამოცანებს რომ მაძლევ ამოხახხნელად? დღე არ გავა, რომ რაიმე თავხატეხი არ გამიჩინო. ღმერთო ჩემო, მე სულ სხვა, მოქმედ სიყვარულზე ვოცნებობდი! ეს ხომ ტანჯვაა და არა სიყვარული?!

ივანოვი — ჰოდა, ჩემი ცოლი რომ გახდები, უფრო რთული ამოცანების ამოხსნა მოგიწევს... უარი უნდა თქვა ჩემ ცოდობაზე, გესმის? შენ ახლა მარტო პატიოსანი ქალის სიჭიუტე გალაპარაკებს და არა სიყვარული. მაინცდამაინც ჩემი გადარჩენა გინდოდა! თავგანწირული საქციელი გხურდა ჩაგედინა და ამით საკუთარი თავმოყვარეობა დაგეკმაყოფილებინა... ახლა თვითონვე მზადა ხარ უკან დაიხიო, მაგრამ ჭიუტობ.

საშა — რა უცნაური გიჟური ლოგიკაა! აბა, როგორ მიგატოვო! სულ მარტოხელა კაცი

ხარ, არც დედა გყავს, არც დები, არც მეგობრები. ფულიც არა გაქვს, შენი მამულიც გაპარტახებულია, ხალხიც ათასნაირ ცილს გწამებს...

ივანოვი — სისულელე მომივიდა, რომ აქ მოვედი. ჩემებურად უნდა გამეკეთებინა... (შემოდის ლებედევი)



8.

საშა (მისკენ გაექანება) — მამა თუ ღმერთი გწამს, გააგებინე რამე... გიყვივით მომივარდა და გინდა თუ არა, ჩემ ცოლობაზე უარი თქვიო! აუხსენი ამ კაცს, რომ მისი დიდსულოვნება სრულებით არა მჭირდება! თვითონ ვიცი, რასაც ვაკეთებ!

ლებედევი — არ მესმის... რომელ დიდსულოვნებაზე ლაპარაკობ?

ივანოვი — ქორწილი არ იქნება.

საშა — იქნება მამა, უთხარი, რომ ქორწილი იქნება!

ლებედევი — მოიცა, მოიცა... რატომ არ გინდა იქორწინო?

ივანოვი — მე უკვე ავუხსენი შენ შეიღს. არ ესმის.

ლებედევი — მაგას კი არა, მე ამიხსენი! შენ თან ისე ამიხსენი, რომ გავიგო... ეგ, ნიკოლაი ალექსიევიჩი ღმერთმა გაგსაჯოს და ისე აურ-დაურიე ჩვენი ცხოვრება... ასე მგონია, ჭურში ვიჭდე. აღარაფერი მესმის. ეს რა უბედურებაა ჩვენს თავს?! ღმერთო დიდებულო! აბა, მითხარი, რა ვქნა ახლა? როგორ მოვიქცე? ამ სიბერის დროს დუელში გამოგიწვიო?

ივანოვი — დუელი რა საჭიროა? ადამიანს ჰკუა უნდა მქონდეს და რუსული ენა უნდა ესმოდეს.

საშა (აღელვებული დადის სცენაზე) — ეს საშინელებაა, საშინელება! პირდაპირ ბავშვით მსჯელობს!

ლებედევი — ისლა დამრჩენია, ბელები გავშალე... მომიხსინე, ნიკოლაი. შენ ახლა გგონია, გონივრულად იქცევი, როგორც კარგი ფსიქოლოგი და გულისხმობიერი პიროვნება, ჩემი აზრით კი ეს უბედურება და სკანდალია! უური მიგდე მოხუც კაცს, უკანასკნელად მაინც მომიხსინე... ასე, რას გეტყვი? გონება დაიმშვიდე. უბრალოდ შეხედე ამ მდგომარეობას და ისე მოიქცევი, როგორც სხვები იქცევიან... ამქვეყნად უველაფერი მარტივია. ჭერი თეთრია, ჩექმები შავია, შაქარი ტკბილია... შენ და საშას ერთმანეთი გიყვართ. ჰოდა, თუ მართლა გიყვარს ჩემი შვილა, — დარჩი. თუ არა და, — წადი. საყვედურს არავინ გეტყვის. ხედავ, რა უბრალოდაა საქმე? თქვენ ორივეს ჯანმრთელობა არ გაკლიათ, ჰკუითაც არ გაწყენინათ ღმერთმა. სინდისიერიც ხართ. მაღლობა ღმერთს, არც გშაათ, არც გწყურიათ... მეტი რა გინდა? ფული არა გაქვს? დიდი ამბავი! განა ფულშია ბედნიერება? რასაკვირველია, მე მესმის... შენი მამული დაგირავებუელია, პროცენტების გადახდის საშუალება არ გაგაჩნია, მაგრამ მე ხომ მამა ვარ... შენი მდგომარეობა მესმის... დედამისმა რაც უნდა, ის ქნას... ჯანდაბას მისი თავი! ფულს არ გაძლევთ? არცაა საჭირო. აი, ჩემი შვილა ამბობს, მზითევი არ მინდაო... პრინციპები, შოპენჰაუერი... სისულელეა უველაფერი! მე აგერ ბანკში ათი ათასი მიდევს, ჩემი საკუთარი ფულია... (მიმოიხედავს) ჩვენ სახლში ამის შესახებ არავინ იცის! დედაჩემის დანატოვარია... ჰოდა, გქონდეთ ის ფული! წაიღეთ და მოიხმარეთ, ოღონდ ერთი პირობით: მატყვის ორი ათასი უნდა მიხცეთ...

(დარბაზში სტუმრები შემოდინ)

ივანოვი — მოვრჩეთ ამაზე, პაშა... მე ისე მოვიქცევი, როგორც სინდისი მიკარნახებს.

საშა — მეც ისე მოვიქცევი, როგორც სინდისი მიკარნახებს. არსადაც არ გაგიშვებ! წავალ. დედას დავუძახებ... (გაღის).

9.

ლებედევი — არ მესმის მომკალით და არ მესმის!

ივანოვი — მომიხსინე, შე საწყალო... მე ახლა იმის მტკიცებას არ დაგიწყებ, პატიოსანი ვარ თუ უსინდისო, გიყვი ვარ თუ ნორმალური... შენ მაინც ვერ გაიგებ... ახალგაზრდობაში ფიცხიც ვიყავი, გულწრფელიც და ჰკვიანიც. მიყვარდა, მძულდა და მჭეროდა რაღაცის, ოღონდ არა ისე, როგორც სხვებს. ათი კაცის ოდენას ვშრომობდი, ვოცნებობდი. ქარის წისქვილებს ვეომებო-

დი, შუბლით კედლის განგრევას ვცდილობდი და... ვერ მოვზომე დონე. ანგარიში უცემლად, გრძობას აყრდილმა, უხაშველოდ მიძიმე ტვირთი ავიკიდე და წელი მომწყდა! ხეობმალი გადა-
 მიტყდა, გესმის? სულ წეჩქარებოდა, ხანამ ახალგაზრდა ვიყავი, ყველაფერი ბინდოდა მომესწრო,
 მთვრალივით აღგზნებული, თავდაუზოგავად ვმუშაობდი და... მითხარე, რაღაცა შექმნილი სხვა-
 ნაირად მოგქცეულიყავი? ჩვენ ხომ ასე ცოტანი ვართ, საქმეს კი რა უნდა გავაძლიეროთ, რამ-
 დენი საქმეა გახაკრებელი? მოდა, მეც ვებრძოდი ცხოვრებას, ვეჭიდებოდი და ხედავ, ბოლოს რა
 სასტიკად დავისაჯე? წელი მომწყდა! ცხოვრებამ სამაგიერო გადამიხადა.. ჯერ ოცდაათი წლისა
 ვარ და უკვე ნაბახურევს ვგავარ, დავბერდი, საშინაო ხალათი მაყვია და ფლოსტებით დავიარე-
 ბი! თავის ტკივილით გატანჯული, სულიერად დაღლილი და გაზარმაცებული, ურწმუნოებით მოზ-
 ხამული, უხიყვარულოდ და უშიწნოდ დავძრწივარ ადამიანთა შორის და თვითონაც ვერ გამიგია:
 ვინ ვარ, რისთვის ვარსებობ ან რა მინდა? მე უკვე ჩიყვარული სისულელე მგონია, ალერსი გულს
 მირევს, შრომა უნაყოფოდ მიმაჩნია და არც სიმღერის, არც მგზნებარე სიტყვების მოსმენა აღარ
 შემიძლია, რადგან ყველაფერი უაღბლო მგონია... და უველგან, სადაც მივდივარ, თან ჩემი შავი
 ნალველი, მოწყენილობა, უკმაყოფილება და ცხოვრებისადმი გაუნელებელი ზიზღი მიმაქვს... და-
 ვიღუპე, პაშა, ნამდვილად დავიდუბე! შენს წინაშე ახლა ცხოვრებაზე ხელჩაქნეული, გულაცრუე-
 ბული და უოვლად უმნიშვნელო, უოველდღიური საქმეებით გახრეხილი ადამიანია, იგი სირცხვი-
 ლით იწვის, თავის სისუსტეს თვითონვე დასცინის, მაგრამ ამ მდგომარეობიდან გამოსავალს ვერ
 პოულობს... შენ ვერ წარმოიდგენ, როგორ იტანჯება ჩემი შეღახული თავმოყვარეობა, ჩემი სი-
 მაყუ... ო, რა გაცოფებული ვარ საკუთარ თავზე! (წაბარბაცდება) ხედავ, სადამდე მივდი: ფეხზეც
 ვერ ვდგავარ... დავსუსტდი, პაშა... ბიძაჩემს დაუძახეთ, შინ წამიყვანოს.

(დარბანში ეილაკ დაიძახებს: „სასიძოს მაყარი მოვიდა!“)

10.

შაბეღსპი — (შემოსვლისთანავე) — სხვის ნახარ ფრაკში გამოწყობილი, უხელთათნა-
 ნოდ... ღმერთო ჩემო, ყველას დახაციანი გავხდი! საითაც გავიხედავ, რაღაცას ჩურჩულებენ, ოხუ-
 ნჯობენ, იღიმებიან... საზიზღარი კაცუნები!

ბორკინი (სწრაფად შემოდის თაივლით ხელში, ფრაკშია გამოწყობილი და მკერდზე მა-
 ყრობის ნიშანი — თეთრი ვარდი უბნეია) — უბ, მოვკვდი კაცი ნეფე სადღაა, ნეფე? (ივანოვს)
 უყურეთ ამახი ეკლესიაში რა ხანია ელოდებიან, ეს კი აქ ფილოსოფოსობს!... თქვენ ხუმარა ხართ,
 ხომ იცით? ანა, მართლა ხუმარა ხართ.. აქ რატომ მოხვედით? განა არ იცით, რომ პატარძალი
 ეკლესიაში მე უნდა მივიყვანო? ნუთუ ამდენი არ გესმით?..

ლვოვი (შემოდის, ივანოვს) — აბ, აქ ბრძანდებით... (ხმამალა) მოწყალეო ხელმწიფე!
 ყველას გახაგონად ვაცხადებ, რომ თქვენ არამწადა ხართ!

ივანოვი (კვიად) — უმორჩილესად გმადლობთ.
 (საერთო შესფოთება, ჩოჩქოლი)

ბორკინი (ლვოვს) — მოწყალეო ხელმწიფე, ეს ხიმდაბღეა! მე თქვენ დუელში გიწვევთ!

ლვოვი — თქვენთან დუელი კი არა, ლაპარაკიც დამამცირებლად მიმაჩნია. ბატონ ივანო-
 ვს კი, თუ მოისურვებს, შეუძლია ახლავე გამისწორდეს.

შაბეღსპი — მოწყალეო ხელმწიფე, დუელში მე გიწვევთ! დიახ!

საშა (ლვოვს) — რისთვის, რისთვის? გამაჯებინეთ, რატომ მიაყენეთ შეურაცხყოფა? ბა-
 ტონებო, აცადეთ, თქვას: რატომ მიაყენა შეურაცხყოფა?!

ლვოვი — აღექსანდრა პავლოვნა, უშიწნოდ არაფერი გამიკეთებია. მე აქ პატიოსან კა-
 ცად მოვედი, რათა თვალი აგეხილოთ და გთხოვთ, მომისმინოთ!

საშა — რა შეგიძლიათ მითხრათ, რა? პატიოსანი რომ ხართ, მთელმა ქვეყანამ იცის, თქვენ
 ის მითხარით, თუ გესმით, რა ჩაიღინეთ? აი, ახლა, შემოხვედით აქ და როგორც პატიოსანმა კა-
 ცმა, ნიკოლაი აღექსიევიჩს საშინელი შეურაცხყოფა მიაყენეთ. ადრეც, კარგად მახსოვს, მოხვე-
 ნებას არ აძლევდით, სულ კუდში დასდევდით და ხიცოცხლეს უმწარებდით. თქვენ მაშინაც დარ-
 წმუნებული იყავით, რომ პატიოსანი კაცი ბრძანდებოდით და თქვენი ვალია ისე მოიქცეთ, როგორც
 იქცევოდით. თქვენ მის პირად ცხოვრებაში ერეოდით, ლანძღავდით, სჭიდით მის საქციელს და ერ-
 თი წუთითაც ეჭვი არ გეპარებოდათ, რომ პატიოსანი ხართ... სადაც ხელი მიგისწვდებოდათ, — ნაც-
 ნობი იყო თუ უცნობი. — ყველას ანონიმურ წერილებს ხწერდით, ამ წერილებში მასაც, მეც და

ფში გვეხრიდით და ყოველივე ამას შეგნებულად აკეთებდით, რადგან ღრმად დარწმუნებული იყავით, რომ პატრონანი კაცი ხართ! გჭეროდით, რომ ეს პატრონური საქციელია და ამ რწმენით თქვენ, ექიმი, მის ავადმყოფ ცოლსაც არ ინდობდით და თქვენი კორიკანობითა და ეჭვიანობით მოხუცებას არ აძლევდით... რა ბოროტებაც არ უნდა ჩაგედინათ, რა უხინფრეოებაც არ უნდა გაგაკეთებინათ, ყოველთვის გერივენებოდით, რომ არაჩვეულებრივად სუფთა, სწავლულ, სწავლულად აღამიანი ბრძანდებით!

ივანოვი (იციანის) — ქორწილი კი არა, პარლამენტი! ბრავო, ბრავო!

საშა (ლეოვს) — დაფიქრდით ახლა და მიპასუხეთ: გესმით, რას სჩადინართ? უტვიხო, უგულ ხალხის (ივანოვს ხელს მოჰკიდებს) წავიდეთ, ნიკოლაი! წამოდი, შაშა!

ივანოვი — რა დროს წახვლია, მოიცა ერთ წუთს... მე ახლა ყველაფერს გავარკვევ... ჩემში ისევ გაიდვიდა ახალგაზრდობამ, ისევ ძველი ივანოვი აღაპარაკდა... (რევოლუერს ამოიღებს)

საშა (შეჰყვირებს) — ვიცი, ვიცი, რასაც იწამს... ნიკოლაი, დვთის გულისათვის!

ივანოვი — კმარა, მეყოფა! აქამდე სულ ძირს მივგეჰანებოდი... ახლა უნდა გავჩერდები. ხინდიხიც კარგი საქონელია... ჩამომეცალეთ! გმადლობთ, საშა!

საშა (ყვირის) — ნიკოლაი, დვთის გულისათვის... გააჩერეთ!

ივანოვი — თავი დამანებეთ! (სწრაფად განზე გადის და თავს იკლავს)

ფარდა





მთხრობა

ინგლისურიდან თარგმნა ანა რატიანია

დია გვივინი ყოველთვის როდი იყო საგრაფოს პროკურორი, აგერ უკვე
ოცი წელიწადია, რაც პროკურორობას თავი დაანება, თანაც ისე ცოტა ხა-
ნი იმუშავა, მხოლოდ ბებრებს თუ ახსოვდათ და ისიც ერთი-ორს, რადგან მაშინ მან მხოლოდ
ერთადერთი საქმე გაარჩია.

იმ დროს იგი ოცდარვა წლის ახალგაზრდა კაცი იყო; ერთი წლის წინათ დაემთავრე-
ბინა შტატის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი; ამ საქმეს საკუთარი სურვილით
მოეკიდა. ჰაჰა დაიყოლია, ხელი არ შემიშალო, საქმეს დამოუკიდებლად განვიხილავო. ჰაჰა-
შაც შეუსრულა წადილი, რადგან ეჭვი არავის ეპარებოდა, რომ სასამართლო განხილვა წმინ-
და ფორმლობად იქცეოდა.

ერთი სიტყვით, მან ამ საქმეს ხელს მოჰკიდა, დიდი ხნის შემდეგ ისევ ირწმუნებოდა,
ეს იყო ერთადერთი საქმე, რომელსაც ვარჩევდი იმის დრმა შეგნებით, რომ უფლება და სა-
მართლიანობა ჩემს მხარეზე იყო, და მაინც წავიგეო, თუმცა სინამდვილეში არც წაუგია; სა-
სამართლოს საშემოდგომო სესიაზე საქმე გადადეს, ხოლო შემდეგ საგაზაფხულო სესიაზე
ბრალდებული გაამართლეს. ბრალდებული იყო დარბაისელი, შეძლებული ფერმერი, ოჯახის
მამა, სახელად ბუკრაიტი, იმ შორეულ ოლქიდან, რომელსაც ფრანგის ხეეს ეძახდნენ, ხოლო
დაზარალებული კი ქარაფშუტა არამზადა, რომელიც თავის თავს ბაკ ტორპს უწოდებდა. ერ-
თი უთვისტომო კაცი იყო, არავინ იცოდა, საიდან აღმოჩნდა ჩვენში, უყვარდა ჩხუბი და ქა-
ლადის თამაში. ვისკის გამოხდაც მისი საყვარელი საქმე იყო. ერთხელ ქურდობაზედაც წა-
ასწრეს მემფისის გზაზე, როცა მოპარულ ნახირს მიერეკებოდა; თავისი საქონელი მაშინვე
იცნო პატრონმა.

ეს ამბავი თავისთავად ძველი და საკმაოდ ბანალური გახლდათ. საქმეში ჩვიდმეტი წლის
სოფლელი გოგო იყო გარეული. ეს გოგო დიდი წარმოდგენისა იყო თავისთავზე, თანაც თავ-
დაუქერელი, კადნიერი, უტიფარი და ენამწარე. მამა ცდილობდა ქალიშვილის მორჩულებას,
მაგრამ ვერას გახდა, უკრძალივდა ვაყებთან შეხვედრას, შინიდან ფეხი არსად გადგაო, ეუბ-
ნებოდა, მაგრამ ერთხელ, შუალამისას ქალიშვილი მაინც გაიპარა, მეორე დღეს კი დილის
ოთხ საათზე ბუკრაიტი აღვიძებებს უილი ვარნერს, სახალხო მსაჯულს და ოლქის უფროს პო-
ლიციელს; გადასცემს ვარნერს თავის დამბახას და ეუბნება: „გამოვეცხადდი, რომ ჩავბარდე
მართლმსაჯულებას; ორი საათის წინ ტორპი მოგკალი“. მეზობელს, სახელად კუიკს, ვინც
პირველი აღმოჩნდა ტრაგედიის ადგილას, ტორპის ხელში უნახავს ჩახმახზე შეყენებული და-
მბახა; მემფისის გაზეთებში ფრანგის ხეეში მომხდარი შემთხვევის შესახებ მოკლე ცნობების
გამოქვეყნებიდან ერთი კვირის შემდეგ ჩამოვიდა ქალი, რომელმაც ტორპის ცოლად გამო-

აცხადა თავი, ამის დასამტკიცებლად წარმოადგინა ქორწინების მოწმობა და შეუდგა იმის გარკვევას, ტორპს ფული ხომ არ დარჩაო.

მაგონდება, როგორ გაუკვირდა ყველას, დიდმა ქიურიმ საქმე რომ მაინც გადასცა სასამართლოს; როდესაც მდივანმა საბრალდებო დასკვნა წაიკითხა, ყველა ფიქრობდა, შეიძლება სანაძლეო დადო, ნაფიც მსაჯულთ ათი წუთის ცდაც კი აო მოუხდებოდა.

ოლქის პროკურორიც კი საქმეს თანაშემწეების მეშვეობით აწარმოებდა; მოწმეთა დაკითხვას და მოწმეთა ჩვენებას ერთი საათიც კი არ დაჭირვებია. შემდეგ ძია გეივინი წამოდგა და მახსოვს, როგორ მოავლო თვალი ნაფიც მსაჯულებს — თერთმეტ კაცს — ფერმერებს და ვაჭრებს და იმ მეთორმეტე კაცს, ვისაც ყველაფერი უნდა გაეფუჭებინა, გამხდარ, დაბალ, თმაქალარა კაცს, მთიელ ფერმერს რომ ჰგავდა. მთიელი ფერმერები საერთოდ ჩია აღნაგობისანი არიან, მათ მუდამ ქანცგამწყვეტი შრომის დალი აჩნიათ და თანაც საოცრად უცვლელნი რჩებიან. ორმოცდაათ წელს რომ მიაღწევენ, მერე უკვე ეამთასელას აღარ ემორჩილებიან.

ძია გეივინი ხმადაბლა, თითქმის ერთფეროვნად ლაპარაკობდა, იმ მაღალფარდოვნების გარეშე, რასაც ჩვენ მიგვაჩნია სისხლის სამართლის პროცესებში; მხოლოდ სიტყვებს ჩაურთავდა ხოლმე ისეთს, რამდენადმე რომ განსხვავდება იმ სიტყვებისაგან, უფრო მოგვიანებით რომ შეისწავლა.

— ყველა სამხრეთელს აკენიდანვე გვასაზრდოებს რამდენიმე მცნება, რომლებსაც ყველაფერზე მაღლა ვაყენებთ. ერთი პირველთაგანი — და არა უპირველესთაგანი, უბრალოდ ერთ-ერთი მათგანი — ის მცნება გახლავთ, რომ მხოლოდ საკუთარი სიცოცხლით შეიძლება ზღო შენ მიერ წართმეული სიცოცხლე, რომ ერთის სიკვდილი მხოლოდ სანახევროდ აგვირგვინებს საქმეს. თუ ეს ასეა, მაშინ შეგვეძლო გვეხსნა ორივე ადამიანის სიცოცხლე, თუ ბრალდებულს შევაჩერებდით მანამდე, ვიდრე იმ დამით დატოვებდა თავის სახლს; შეგვეძლო გვეხსნა თუნდაც ერთ-ერთი, მაშინაც კი, თუ იძულებული ვიქნებოდით ბრალდებულისათვის მოგვესპო სიცოცხლე და ამ გზით შეგვეჩერებინა. მხოლოდ მართლმსაჯულებამ ვერ გაიგო ამის შესახებ ვერაფერი თავის დროზე. აი მეც ამის გამო ვლაპარაკობ არა მკვდარზე, არა იმაზე, თუ როგორი იყო ტორპი, არა იმ საქციელის მორალურ მხარეზე, რომელიც მან ჩაიდინა, არა თვით დაცვაზე, — ბრალდებულმა მართებულად თუ უმართებულად მიიყვანა საქმე უკიდურეს შედეგამდე, — არამედ მე ვლაპარაკობ თვით ჩვენზე, იმათზე, ვინც მკვდარი არ არის, სწორედ იმაზე, რაც ჩვენ არ ვიცით ჩვენზე, იმ ადამიანებზე, რომელთაც სულის სიდრმეში სურთ მოიქცნენ კარგად და არაფის არაფერი დაუშავონ — შე ვგულსიხმობ ადამიანებს მთელი თავიანთი ადამიანური ვნებებით, გრძნობებითა და შეხედულებებით, რომლებიც ვითარცა ხლართები ებურდებიან სხვა ადამიანებს, და რომელთა მიღებისა თუ მიუღებლობის ძალა ჩვენ არ შეგვწყვეს. როდესაც კეთილგონიერება გვკარნახობს მოვიქცეთ მათ შესაბამისად ან მათ საწინააღმდეგოდ. ის, ვინც მე უნდა დავიცვა — კიდევ ერთი კაცია, ვისაც ნაწილ-ნაწილად აჩანავებს სწორედ ეს ვნებები, ინსტინქტები და შეხედულებები ტრაგიკულ ვითარებაში, როდესაც მის ქალიშვილს ემუქრება გარდუვალი უბედურება, ქალიშვილს, ვინც ახალგაზრდობისათვის დამახასიათებელი ჭიუტი უგზურების გამო ვერ შესძლო გაფრთხილებოდა საკუთარ თავს. ჩვენ წინაშეა ვნებათა და ინსტინქტთა ის ძველი ხლართი, რომელთა მემკვიდრეობით მიღება არ უთხოვია ბუკრაიტის ქალიშვილს და ბუკრაიტმაც, როგორც შესძლო თავისი ნიჭის და რწმენის მიხედვით, მდგომარეობიდან გამოსავალი პოვა და არაფის არ სთხოვა დახმარება, ხოლო შემდეგ არც კი უფიქრია თავი დაედგინა პასუხისმგებლობისაგან თავისი გადაწყვეტილებისა და თავისი საქციელის გამო.

ის დაჭდა. ოლქის პროკურორის თანაშემწე უბრალოდ წამოიწია ადგილიდან, თავი დაუკრა სასამართლოს და კვლავ დაჭდა. ნაფიცი მსაჯულები გავიდნენ, ჩვენ კი დარბაზში დავრჩით. თვით მოსამართლეს კი დარჩა თავის ადგილას. და მე მახსოვს, როდესაც მოსამართლის მაგიდის ზემოთ დაკიდული საათის ისარმა ათი წუთის გასვლა გვანიშნა. ხოლო შემდეგ კი ნახევარი საათისა, მოსამართლემ თავისთან მიიხმო სასამართლოს ბოქაული და რაღაც წასჩურჩულა. ბოქაული გავიდა კარში და ისევ მალე დაბრუნდა; მან რაღაც უთხრა მოსამარ-

თლეს ჩუმად. მოსამართლე წამოდგა, დააკეუნა თავისი ჩაქუჩი და შესვენებზე გამოაცხადა, დარბაზში ყველა გაირინდა, ანდა რაღაც ამის მსგავსი მოხდა.

შინ გავიქეცი, ვისადილე და ისევ გამოვიქეცი ქალაქისაკენ. კანტორაში, სადაც პაპა და ბიძაჩემი მუშაობდნენ, არაფერი იყო. პირველი დაბრუნდა პაპაჩემი, ვისაც ვეძებე. ვერაფერი მიტოვებდა უარი ეთქვა ნასადილევის ძილზე. უკვე დღის მეოთხე საათი იყო და არც მთელმა ქალაქმა იცოდა, რომ ძია გეივინის ნაფიცმა მსაჯულებმა ვერ შეძლეს მიეღოთ ერთსულლოვანი გადაწყვეტილება: თერთმეტმა ნაფიცმა მსაჯულმა ბრალდებული ბუკრაიტი გაამართლა, ერთი კი წინააღმდეგ წავიდა; მერე აჩქარებით შემოვიდა ძია გეივინი. პაპამ თქვა: — კარგია, გეივინ, რომ დროზე გაჩუმდი, ახლა გაპაპულეებული მართ შენ ხარ, ისე კი შეიძლებოდა გაპაპულეებული დარჩენილიყო შენი კლიენტიც.

— სრული სიმართლეა, სერ, — თქვა ძია გეივინმა და შემომხედა თავისი ნათელი თვალებით, — მოდი აქ, ჩიკ, — მითხრა მან. — ერთი წუთით მჭირდება.

— სთხოვე მოსამართლე ფრეიზერს დაგიბრუნოს შენი შედეგრი, მერე კიდევ ჩარლმა გააკეთოს დასკვნა, — თქვა პაპამ. მაგრამ ჩვენ უკვე ოთახში აღარ ვიყავით, შუა კიბეზე ძია გეივინი შეჩერდა, ხელი მხარზე დამადო.

— ეს არცთუ დიდი პატიოსნებაა, — თქვა მან, — მაგრამ ხშირად სამართლიანობას ისეთი ხერხებით აღწევენ, რომ ამის გამგონებ ყურები უნდა დაიცო. ნაფიცი მსაჯულები გადაიყვანეს მისის რაუნსველის პანსიონის უკანა ოთახში. ოთახი სწორედ აი იმ თუთის ხის პირდაპირაა. იქნებ შესძლო შეუმჩნეველად გახვიდე უკანა ეზოში და ფრთხილად აცოცდე ხეზე...

არავის შევუმჩნევივარ, ქარისგან აქოჩრილ ფოთლებში დამალულმა ჩუმად შევიხედე ოთახში, დავინახე და გავიგონე ყველაფერი — ცხრა გაჯავრებული, გულმოსული მამაკაცი, ოთახის შორეულ კუთხეში იჯდა, მისტერ პოლანდი, ნაფიცი მსაჯულთა მამასახლისი, ვილაცასთან ერთად იდგა იმ სკამის წინ, რომელზედაც დაკოპსებულიყო ჩია, მთელი კაცუნა სახელად ფენტრი.

— თქვენ ხომ აღიარებთ, რომ ტორპი ბუკრაიტის ჩვიდმეტი წლის ქალიშვილთან ერთად გაიქცა, ხომ ასეა? — თქვა მისტერ პოლანდმა. — ხომ აღიარებთ, რომ ის იპოვეს, ხელში რევოლვერი ეჭირათ. ხომ აღიარებთ, იმის დამარხვაც კი ვერ მოასწარიტ, რომ ვილაცა ქალი გამოცხადდა და დაასაბუთა, მისი ცოლი ვართ. თქვენ ხომ აღიარებთ, რომ ტორპი იყო არა მართო უმაქნისი, არამედ საშიში კაციც, და თუ ბუკრაიტი არა, სულ ერთია, ადრე თუ გვიან. სხვა მაინც მოკლავდა, და რომ ბუკრაიტს უბრალოდ ბედმა უმტყუნა, ხომ ასეა?

— პო, — თქვა ფენტრიმ.
— მაშ, რაღა გინდათ? — თქვა მისტერ პოლანდმა. — აბა, თქვით, რა ვსურათ?
— დიდ ბოდიშს ვიხდი, მე არაფერი მინდა, — თქვა ფენტრიმ. — მხოლოდ ხმას არ მივცემ, რომ მისტერ ბუკრაიტი გამოუშვან.

და მართლაც არ მისცა ხმა. იმავე დღეს ფრეიზერმა დაითხოვა ნაფიცი მსაჯულები და საქმე გადაიტანა სასამართლოს შემდგომ სესიაზე განსახილველად. მეორე დღით კი, როცა ჯერ კიდევ არ მესაუზმა, ჩემთან ძია გეივინი შემოვიდა.

— დედას უთხარი, შეიძლება დილაამდე ვერ დავბრუნდეთ-თქო, — თქვა მან. — პირობას ვაძლევ, რომ არც ტყვიას გესვრიან, არც გველი დაგკბენს და არც ბევრ ბატიბუტს შეგაკმევენ... გაიგე, ამ საქმეში აუცილებლად უნდა გავერკვეთ.

ჩვენ ახლა გამალებით მიგქროდით ჩრდილო-აღმოსავლეთის გზაზე. გეივინს ნათელი თვალები ჰქონდა. მხერაც სრულიად შეუმფოთებელი, თუმცა ცოტათი დამაბული და შეფიქრია-ნებული ჩანდა.

— ფენტრი დაიბადა, გაიზარდა და მთელი თავისი ცხოვრება გაატარა აქ. ამ მხარეში, ფრანგის ხევიდან ოცდაათი მილს დაშორებით. მან დაიფიცა, წინათ არასდროს არ მინახავს ბუკრაიტიო. მართლაც ერთი შეხედვით შეამჩნევა კაცი, რომ მუშაობისაგან ქანცგაწყვეტილს არასდროს არ ექნებოდა იმდენი თავისუფალი დრო, ტყუილების თქმა ესწავლა.

თითქმის შუადღემდე ვიარეთ. ახლა ნაყოფიერ დაბლობზე კი არა, მთა-გორიან ადგილას, ნაძვნარსა და გვირგვინში, მწირი ნიადაგის მხარეში ვიმყოფებოდით, სადაც თიხნარიან ფერდობებზე დაგვალული სიმინდისა და ბამბის ნაკვეთები იყო, ღმერთმა უწყის, რახიარად ხარობდა აქ სიმინდი და ბამბა. ან როგორ ცოცხლობდნენ ის ადამიანები, ვისაც ეს მწი-

რი ნიადაგი კვებავდა და აცმევდა. ამ გზასაც, სადაც ჩვენ მივდიოდით, გზა არ ეთქმოდა, ისეთი ვიწრო, მიხვეულ-მოხვეული, ღორღიანი და მტერიანი იყო, რომ მანქანა თითქმის ნახევარია გზა მხოლოდ მეორე სიჩქარით მილოდავდა. მერე დავეინახეთ საფოსტო ყუთი, ჩემი მიეჭლებნათ „ჭ. ა. ფენტრი“. ცოტა მოშორებით ოროთახიანი ხის სახლი იდგა, რომელსაც წინკარის ნაცვლად ვიწრო კიბე ჰქონდა და მეც, თორმეტი წლის ბიჭმა მაშინვე შევამჩნიე, რომ აქაურობას კარგა ხანია ქალის ხელი არ ვაკარებია.

უცბად გაისმა: „შეჩერდი! ადგილიდან არ დაიძრა!“ არადა, ჩვენ არც კი დაგვიჩანავს ფეხშიშველა, უსიამოვნოდ ულვაშგაბურძენული მოხუცი; ტანთ დაფლეთილ-დაკერებული კომბინეზონი ეცვა. თავის ვაჭიშვილზე უფრო გამხდარი და დაბალი იყო. თურმე კიბის თავზე იდგა, მუცელზე ორლულიანი თოფი მიეკრა და სიბრაზისაგან კანკალებდა, ან იქნებ სულაც ბებრული უძღურებისაგანაც.

— მისტერ ფენტრი, — თქვა ძია გეივინმა.

— კმარა მისი დევნა და წამება! — მოხუცი, ეტყობოდა, გაბოროტებული იყო. გაათურებით იყვირა: — აქედან წაეთრიეთ! ჩემი ეზოდან წაეთრიეთ! აბა სწრაფად!

— წავიდეთ, — შშვიდად თქვა ძია გეივინმა.

შემდეგი საფოსტო ყუთი დაახლოებით ერთი მილის დაშორებით ვნახეთ. სახლი შეღებულიც კი იყო, აივნის საფეხურებთან ლამაზად მოჩანდა პეტუნის ყვავილნარი: მიწა აქ უკეთესი იყო, ამჭერადაც აივანზე დაგვხვდა ვიღაც მამაკაცი.

— სალამი მისტერ სტივენს, — თქვა მამაკაცი. — გამოდის, ჭეკსონ ფენტრიმ გაგიფუქით მთელი საქმე.

— სალამი, მისტერ პრუიტ, გამოდის, ასეა, გვიამბეთ.

— ოღონდ დედაჩემმა ჩემზე მეტი იცის ამის შესახებ, — თქვა პრუიტმა. — ამოდით ვერანდაზე.

ჩვენც ავედით.

— ეს ვეჭილი სტივენსია, — თქვა პრუიტმა, — კაპიტან სტივენსის შვილი, ქალაქიდან. სურს გაიგოს რაიმე ჭეკსონ ფენტრიზე.

ასე ვისხედით მათთან, სანამ დედა-შვილი რიგრიგობით გვიყვებოდა.

— მათი მიწა, — თქვა პრუიტმა, — პო, იმ მიწის ნაწილს გზიდან დაინახავდით, ის კი, რაც არ გინახავთ, სულაც არ არის უკეთესი, მაგრამ მისი მამა-პაპა ამ მიწას ხნავდა, კირნახულს იწვედა, ქალაქს არჩენდა, გადასახადებს იხდიდა და არავეისგან არაფერს სესხულობდა. არ ვიცი, გაჭირვებას თავს როგორ აღწევდნენ, მაგრამ როგორღაც იოლად კი გადიოდნენ. მერე ჭეკსონიც ისე წამოიზარდა, უკვე შეეძლო გუთნის სახელურს მისწვდნოდა. ის კი არადა, მას შემდეგ არც გაზრდილვ, მისიანებიდან ერთსაც არ შეეძლო გაზრდილიყო, ალბათ ამიტომაც არ იზრდებოდნენ. დადგა დრო და ჭეკსონმაც ხელი მიჰყო ამ მიწის მოხენას, ოცდახუთ წლამდე ხნავდა, ოცდახუთისა იყო, მაგრამ ორმოცი წლისას ჰგავდა. საქმეში არავეის იშველიებდა. ცოლი არ შეურთავს და ცხოვრობდა მამა-შვილი მარტო-ღმარტო, თვითონვე ირეცხავდნენ, იკეთებდნენ საქმელს და საერთოდ როგორ უნდა ეთხოვა ცოლი, როდესაც ორთავეს, მამასაც და შვილსაც, ერთი წყვილი ფეხსაცმელი ჰქონდათ.

პოდა, ერთხელ სალამოს მოვიდა ჩემთან და მითხრა: სამუშაო ვიშოვეო სახერხ ქარხანაში, ფრანგის ხეში.

— ფრანგის ხეში? — იკითხა ძია გეივინმა და სახეზე გაკვირვება გამოეხატა, უფრო მეტიც, თვალეები გაუბრწყინდა და მოეჭურტა კიდევაც. — გასაგებია, — თქვა მან.

— დღიური სამუშაო ჰქონდა, — თქვა პრუიტმა, — ასეთი სამუშაოთი ვერ გამდიდრდები, მაგრამ ლუკმა პურს კი იშოვი. ამრიგად, შვილი ფენტრი მოურიგდა ზანგს, ჩემს აქ არ ყოფნაში მამაჩემს მიეხმარე მიწის დამუშავებაშიო. აბა, მე ყოველთვის ხომ ვერ მოვიცლიდი მამამისისთვის მიმეხედა.

— შენ მაინც ხშირად იცლიდი სამაგისოდ, — უთხრა მისის პრუიტმა.

— მათ სახლთან საკმაოდ ახლო მივდიოდი, — თქვა პრუიტმა, — ისე ახლო მივდიოდი, რომ მესმოდა, როგორ ლანძღავდა იგი ზანგს, ნელა ირჩებოო, ვხედავდი, როგორ ცდილობდა ზანგი არ ჩამორჩენოდა პაპა ფენტრის და გავიფიქრე, კიდევ კარგი, ჭეკსონმა ორი ზანგი არ დაიჭირავა ფერმაში სამუშაოდ, თორემ ხნიერი კაცი (მაშინ ის სამოც წელს იყო მიღწეული) თუნდაც ერთი დღე იქდეს სავარძელში ხის ძირში უსაქმოდ, არც შეშა დაქრას და

არც მიწა თოხნოს, მზის ჩასვლამდისაც ვერ მიალწევს, უმაღლვე მოკვდება-მეთქი, აი ასე დატოვა ჯექსონმა მოხუცი, ორ წელიწადნახევარს აღარ გამოჩენილა.

— არა, პირველსავე წელს დაბრუნდა შინ, — თქვა მისის პრუიტმა.

— მართალია, — თქვა პრუიტმა, — ოცდაათი მილი სულ ფეხით გამოიარა, შობა იღღესასწაულა, მერე კი ისევ ფეხით დაბრუნდა უკან სახერხ ჯარხანაში.

— ეის სახერხ ჯარხანაში? — იკითხა გეივინმა.

— კუიკისა, — თქვა პრუიტმა, — ბებერი ბენი კუიკისა, მეორე მთავარი კლარც ჩამოსულა სახლში, მერე დაახლოებით მარტის დამდეგს, როდესაც ფრანგის ხეში (იქ, სადაც წყალში ყრიან მორებს) მდინარე აღიდებას იწყებდა და როდესაც უკვე შეიძლებოდა კაცს ეფიქრა, რომ იგი ნამდვილად მესამე წელსაც ტყის საქრელად დარჩებოდა, სამუდამოდ დაბრუნდა შინ, მაგრამ ფეხით კი არ დაბრუნდა, ამჯერად ორთვალა დაეჭირაებინა, თან მოიყვანა თხა და ძუძუთა ბავშვი.

— ჯექსონის ჩამოსვლა არც კი გაგვიგია, — თქვა მისის პრუიტმა, — ბავშვის ამბავი მხოლოდ ერთი კვირის თავზე გამომქლავდა.

— მაშ ასე, — თქვა გეივინმა, — განაგრძეთ.

— ხოლო, როცა გავიგე ეს ამბავი და წავედი მათთან, — თქვა მისის პრუიტმა, — ბავშვი ორი კვირისაც არ იყო, საოცარია, როგორ მოახერხა, ბავშვი რომ არ მოუკვდა; მხოლოდ თხის რძეს ასმევდა. ბავშვის საფენებზე ლაპარაკიც ხოც ზედმეტი იყო, დაფლეთილ ფქვილის ტომრებში ახვევდა ჩვილს, ესეც ბებია ქალმა ასწავლა. მერე მე შევეუკერე ერთი-ორი საფენი და წავედი მათთან, მან ზანგი დატოვა მინდორში მამამისის დამხმარედ, ხოლო თვითონ საქმელს ამზადებდა, რეცხდა, ბავშვს უვლიდა, თხას წველიდა, ბავშვი რომ გამოეკვება; ვეუბნები: „მომეცი, ჩემთან წავიყვან ბავშვს, თუნდაც დროებით, სანამ საწოვარას არ დაანებებებს თავს, გინდა, შენც გადმოდი ჩემთან“, — მან კი მხოლოდ შემომხედა და თქვა: „გმადლობთ, დედილო, თვითონ მოვუვლი როგორმე ჩემს საქმეს“.

არ მოვეშვი, ვეუბნები: რალაც არ გაგვიგია, რომ ცოლი გეთხოვოს. — კი, დედილო, — ამბობს იგი, — ნამდვილად ვითხოვე ცოლი შარშან, მშობიარობას გადაყვა. — ეინ იყო ის ქალი, ვეკითხები, ფრანგის ხევიდან იყო-მეთქი? ის კი მეუბნება: — არა, დედილო, შორიდან იყო. — ვეკითხები, რა ერქვა-მეთქი? მისის სმითიო, მეუბნება.

— ჯექსონი აბლაუბდად ლაპარაკობდა, ხეირიანად ტყუილის თქმაც კი ვერ ესწავლა, — თქვა პრუიტმა. — მაგრამ ეს ყმაწვილი ფეხზე დააყენა, შემოდგომაზე მათ ქირნახული მოზიდეს მინდორიდან, მერე ზანგი გაუშვა, გაზაფხულზე წინანდებურად ისევ ორნი მუშაობდნენ — ის და მოხუცი. ზურგზე მოიგდებდა ხოლმე ტომარას და ბავშვს ჩასვამდა შიგ სწორედ იმგვარად, როგორც ინდიელებმა იციან, ზოგჯერ, სანამ მიწა ღებებოდა, მე მივედიოდი, იქ და ვხედავდი: ჯექსონი და მამამისი მიწას ხნავენ, ბურჭებს კრიან, ხოლო ღობის სარზე ჩამოკიდებულ ტომარაში ბავშვს სძინავს ზეზეურად. ხელები ტანზე აქვს მიკრული, თითქოს ბუმბულში იწვეს. იმ გაზაფხულზე ბავშვმა ფეხი აიდგა, და მე, ხანდახან დავდგებოდი ხოლმე მესერთან და ვუყურებდი, როგორ მიბობლავდა ეს პატარა არსება პირდაპირ ნახნავში და მთელი ძალით ცდილობდა არ ჩამორჩენოდა ჯექსონს.

— ჯექსონი ტანსაცმელსაც კი უკერავდა, — თქვა მისის პრუიტმა, — თავისი ხელით უკერავდა, მეც შევეუკერე რალაც-რალაცები და მივუტანე, ამას იკითხა ლმერთმა დამიფაროს, რომ კიდევ ჩავერიო ამ საქმეში, აღებით კი აილო ტანსაცმელი და მადლობაც მითხრა, მაგრამ ერთი უნდა შეგეხედათ მისთვის! შეიძლებოდა გეფიქრათ, რომ ბიჭუნას გამო თვით მიწაზეც კი ეტვიანობსო, რადგან მიწა იყო ბიჭის მარჩენალი, ურომლისოდაც მას სიცოცხლე არ შეეძლო. ეცდილობდი დამეთანხმებინა ჯექსონი, ბავშვი ეკლესიაში წაეყვანა და მოენათლა, მითხრა, ბავშვს უკვე დაეარქვითო სახელი, ჯექსონ და ლონგსტრიტ ფენტრი ჰქვია, მამაჩემს ორივე სახელი მოსწონსო. — დაუმატა მან.

— ჯექსონს ფეხი არსად გაუდგამს აქედან, — თქვა პრუიტმა. — აბა, სად წავიდოდა ბიჭის შეყურე, ჯექსონს ბიჭი კიდევაც რომ მოეპარა ფრანგის ხეში, ამაზე უკეთესად ვერსად დამალავდა.

— კარგი, — თქვა ძია გეივინმა. — მერე რა მოხდა?

— სულ ეს არის და ეს, — თქვა პრუიტმა. — შემდგომ ზაფხულს ის ბიჭთან ერთად გადაიკარგა.

— გადაიკარგა? — შეეკითხა ძია გეივინი.

— სწორედ რომ ასეა. უბრალოდ, ერთხელ დილით ისინი გაქრნენ — შორბა და გათავდა. გავიდა ხუთი წელი და ჭეკსონი დაბრუნდა. როდის — არ ვიცი. უბრალოდ, ერთხელ, დილით ის უკვე აქ იყო. ჰოდა, რამდენიმე ხნის შემდეგ ვერ მოვითმინე, წავედი და დაედექი ლობესთან. იგი მიწას ხნავდა, მალე კვალმა ლობესთან გამოიყვანა, იგი მოდის, მაგრამ ჩემთვის არავითარი ყურადღება არ მოუქცევია. ვეუბნები: „ბიჭუნა სად არის?“ — „რომელი ბიჭუნა?“

ბიჭუნა სად არის?

პრუიტებმა მიგვიპატიეს სადილზე.

ძია გეივინმა მადლობა უთხრა.

— საუბრე თან გვაქვს, თანაც ვარწერის დუქნამდე კიდევ ოცდაათი მილია, იქიდან ჭეფერსონამდე კი ოცდაორი. გზები კი ჩვენში ჭერ კიდევ ვერ შეეჩვივნენ ავტომობილებს.

ფრანგის ხევში მდებარე ვარწერის დუქნამდე სწორედ მზის ჩასვლისას მივალწიეთ. ცარიელ ვერანდაზე ვილაყ კაცი დავლანდეთ. ის კიბეზე დაეშვა და მანქანასთან მოვიდა.

ეს კაცი აიშემ კუიკი იყო, სწორედ ის მოწმე, ვინც პირველად წააწყდა ტორპის გვამს. კუიკი იყო ორმოცდაათ წელს მიღწეული აყლაყულა მამაკაცი.

— გელოდით, — თქვა მან, — გამოდის, რომ ორავული წყალში გადააგდეთ, — მან წამწამები დააფახულა, — აი, ფენტრიზე გეუბნებით.

— ჰო, — თქვა ძია გეივინმა. — რატომ არ მითხარით?

— არც მიფიქრია, — თქვა კუიკმა. — ისე კი გავიგე, რომ თქვენს ნაფიც მსაჯულებს ერთი ხმა დააკლდათ და უმაღლე ვიგრძენი კავშირი ამ სახელებს შორის.

— სახელებს შორის? — თქვა ძია გეივინმა. — რომელ სახელებს... თუმცა არაფერია მოყვებით, მოყვებით. — კუიკი იმდენ ხანს ჰყვებოდა, რამდენსაც ეს ამბავი მოითხოვდა.

— იგი დაიჭირა მამამ. ჰოდა, როცა გავიგე, საიდანაც იყო, უმაღლე გავიფიქრე: სხვა არ ვიცი, მაგრამ მუშაობით კი იმუშავებს-მეთქი, რადგან იმ ადგილებში თუ რაშე იციან, მუშაობაა, ქანცის გამწყვეტი მუშაობა. კიდევ, რაც მე ვერ გავითვალისწინე, ის გახლავთ, რომ ამ კაცს ჭარბად ჰქონდა სიყვარულის უნარი. შავონდება, ასე ვფიქრობდი, იქაურ კაცს სიყვარულისათვის საერთოდ არა სცალია-მეთქი, — იმ მიზეზების გამო, რაზედაც უკვე მოგახსენეთ, სახელდობრ, იმის გამო, რომ თვით სიყვარულის გაგება მისთვის დაკარგული იყო წარსულ თაობებში, როდესაც უკვე პირველსავე მის წინაპართაგან მოუხდა აერჩია ორიდან ერთი: ან ბრძოლა სიყვარულისათვის ან ბრძოლა არსებობისათვის.

ერთი სიტყვით, მან დაიწყო მუშაობა და იღებდა იმდენივე გასამრჯელოს, რასაც და რამდენსაც ზანგები იღებდნენ ისეთივე სამუშაოს შესრულებაში. შემდგომ წელს, როდესაც ჩვენ საქმეს შევეუდექით, იგი უკვე ისე იყო ყველაფერში გამოწრთობილი, ისე მისჩვეოდა ყველაფერს, რომ შუა ზაფხულში დამოუკიდებლად მართავდა მთელ სახერხ ქარხანას. ზაფხულის ბოლოს მამას ერთხელაც არ გაუხედავს იქითკენ, მე კი როცა მომეგუნებებოდა, მაშინ შევივლიდი ხოლმე, კვირაში ერთხელ, შესაძლოა, უფრო იშვიათადაც. ის ზანთარიც მან ჩვენთან გაატარა.

ერთხელ თებერვალში როგორღაც დათბა და მახსოვს, სული რაღაცამ შემიშფოთა. გამყავს ცხენი და მივდივარ იქ. ყველაფერზე უწინ ის ქალი დავინახე და საერთოდ ის ქალი პირველად ვნახე; ახალგაზრდა იყო და არ ვიცი, შესაძლოა, ნორმალური ჯანმრთელობა რომ ჰქონდა. ლამაზიც კი მოსჩვენებოდა ადამიანს, მაგრამ იგი მარტო გამხდარი კი არა, ილაჯგაწყვეტილიც იყო. ვერ გაიგებდი, როგორ ედგა სული. არა, სასომიხდილი კი არა, უბრალოდ ძლიერ ავად იყო, თუმცა ჭერ კიდევ ფეხზე იდგა. ასეთ დღეში მხოლოდ იმის გამო არ იყო, რომ ბავშვს ელოდა, თანაც სულ მალე. ჰოდა, ვეუბნები: ვინ არის-მეთქი ეს ქალი. მან შემომხედა და თქვა: „ჩემი ცალია“. მე ვეუბნები: „დიდი ხანია? შემოდგომაზე არავითარი ცალი არ გყოლია. ეს ქალი კი სადაც არის მოიმშობიარებს“. ჭეკსონმა თქვა: „ჩვენ რა, წავიდეთ?“ მე კი ვეუბნები: „რატომ?“

— კარგი. — თქვა ძია გეივინმა. — შევეუდგეთ საქმეს.

— ვერ გამოიგია, სად მიავნო იმ ქალს. არ ვიცი, თავად იპოვა სადმე ახლომახლო, თუ თვითონ ქალი მოვიდა ერთ მშვენიერ დღეს ან მშვენიერ ღამეს სახერხ ქარხანაში, მან კი შეხედა ქალს და მერე ყველაფერი მოხდა ისე, როგორც ლექსში წერს პოეტი: არავინ იცის, როდის და სად გტყორცნის ისარს სიყვარული, ან როდის დაგცემს მუხს ქექა-ქუხილი, მხო-

ლიად ორჯერ ეს არ ხდება, რადგან ერთხელაც საკმარისია. არა მგონია, ის ქალი დასდევდა ქმარს, რომელმაც მიატოვა იგი, — ეტყობა, მამაკაცი გაიპარა, როგორც კი ქალმა უთხრა, ბავშვი შეეკოლებათ. ასე მგონია, მხოლოდ შიშის და სირცხვილი არ იყო იმის მიზეზი, რომ ქალს შინ დაბრუნება არ უნდოდა; მამა და ძმები ხომ თავიდან ეუბნებოდნენ, იმ კაცს ცოლად ნუ გააყვები. ვფიქრობ, ამ ქალის ძარღვებში უბრალოდ აჩქეფდა მისი მოდგომის სისხლი, — იცით, შევთმიან, შევეგრემან ქალებს ხშირად შეიპყრობს ხოლმე ასეთი მზაკვრული გახელებული სიამაყე, რაც დიდი ჭკუისაგან არ არის გამოწვეული.

ასეა თუ ისე, ქალი იქ აღმოჩნდა და, ვფიქრობ, ის უკვე ხედებოდა, რომ დიდხანს ვერ გაატანდა, ხოლო კაცი კი ეუბნებოდა: მოდი, შევეუღლდეთო. ქალმა უბასუხა: „ცოლად ვერ გამოგყვები, მე უკვე მყავსო ქმარი“. პოდა, დაუდგა მას მოლოცვების დრო: წევს იგი თავის ლეიბზე, მამაკაცი საქმელს კოვზით აჭმევს, ქალმა კი, მე ვფიქრობ, იცის, ამიერიდან ფეხზე ვეღარ წამოდგება; მამაკაცმა მოიყვანა ბებიაქალი, დაიბადა ბავშვი და ორთავე საბოლოოდ მიხვდა, რომ ქალი საწოლიდან ვეღარასდროს წამოდგებოდა. შესაძლოა, ბოლოს და ბოლოს კაცმა დაარწმუნა იგი. ან იქნებ თავადაც ასე ფიქრობდა, უკვე სულ ერთია, რაც იქნებოდა, და „ჰო“ თქვა; კაცმა გამოიყვანა ჯორი (ადრე მამამ ნება დართო ეს ჯორი დაეტოვებინა საბერს ქარხანაში) და შვიდი მილი ქენებით გაიარა, მღვდელ უიტფილდის სახლამდის. განთიადისას მოიყვანა იგი. უიტფილდმა მათ ჯვარი დაწერა, ქალი გარდაიცვალა. ჯექსონმა და უიტფილდმა ერთად დაასაფლავეს იგი. საღამოს ჩვენთან მოვიდა, შამას უთხრა, სამუშაოს თავს ეანებებო, და ჯორი დაგვიტოვა. რამდენიმე დღის შემდეგ საბერს ქარხანაში წავედი, ის იქ აღარ იყო, მხოლოდ თივის ლეიბი, თუნუქის ღუმელი, ჯამი და ტაფა დამხვდა, რაც მას დედამ ათხოვა, — ყველაფერი გარეცხილი იყო და თაროზე ეწყო. ხოლო მესამე ზაფხულს ეს ძმები, მათ ტორპებს ეძახდნენ...

— ტორპები, — გაიმეორა ძია გეივინმა.

— შევთმიანები და შევეგრემანები, როგორც თვითონ ის ქალი იყო — უმცროსი ხომ გაპრილი ვაშლივით ჰგავდა, — მოვიდნენ ეტლით შერიფის თანაშემწესთან თუ სასამართლოს აღმასრულებელთან ერთად, თან მოიტანეს ქალიაღი, ბეჭედდასმული, დალუქულიც კი, ყველაფერი ისე იყო, როგორც წესი და რიგია. მე კი ვეუბნები: „განა შეიძლება ასე? ქალი მოვიდა აქ თავისი სურვილით, ავადმყოფი და თითქმის შიშველი, და მამაკაცმა მიიღო იგი. ასმევდა და აჭმევდა, უვლიდა და ბებია ქალიც კი მოუყვანა, მერე კი მღვდელსაც დაუძახა, რომ მიწისათვის მიეზარებინა, ხოლო ქალის სიკვდილამდე კიდევაც დაიწერეს ჯვარი. ამას მღვდელიცა და ბებია ქალიც დაგიდასტურებენ“. უფროსი ძმა კი ამბობს: „ცოლად ვერ შეირთავდა, რადგან ქალს ქმარი ჰყავდა. ჩვენ უკვე გავარკვიეთ ეს საქმე“. მე ვეუბნები: „მერე რა? მან ბიჭი თავისთან წაიყვანა, როდესაც ის არაფერს არ უნდოდა. ორ წელზე მეტ ხანს ზრდიდა ამ ბავშვს, აჭმევდა, ასმევდა, აცმევდა“. ამ დროს უფროსმა ძმამ ჯიბიდან ფულით სავსე ქიას გამოუჩინა თავი, მერე ხელი გაუშვა და ქიას უკანვე ჩავარდა ჯიბეში. „ნუ გეშინია, არაფერს დავუშვებთ, მხოლოდ ბიჭუნა მოგვანახინე. ის ჩვენი სისხლი და ხორცია. გვინდა ჩვენთან ცხოვრობდეს; ჩვენს სურვილს შევისრულებთ“. ვერ გეტყვით, თითქოს მაშინ ჩემს სიცოცხლეში პირველად მომივიდა აზრად, რომ ამქვეყნად ყველაფერი ისე არ ხდება, როგორც საქროა, რომ უფრო ხშირად პირიქითაა, და მე, მაშასადამე, ვეუბნები: „იქამდე ოცდაათი მილია. თქვენ აღბათ აქ გაათევთ ღამეს და ცხენებს დაასვენებთ“. უფროსმა ძმამ შემომხვდა და თქვა: „ცხენები არ დალლილან. არ შევჩერდებით“. „მაშინ, — ვეუბნები, — მეც თქვენთან წამოვალ“. „ქენით სიკეთე, — ვეუბნება, — წამოდიოთ ჩვენთან ერთად“.

ჩვენ შუალამემდე მიგრახრაზებდით. გავიფიქრე, იქნებ როგორმე ვიხელთო დრო და გავაფრთხილო იგი, თუნდაც რომ იქამდე სულ ფეხით მომიხდეს-მეთქი სიარული. შევისვენეთ და მიწაზე დავეწქეთ, უფროსს აზრადაც არ მოსვლია დაწოლილიყო. მან თქვა: „რატომღაც არ მეძინება. ცოტა ხნით ჩამოვყვები“. აი, მაშასადამე, არაფერი გამომდიოდა და წავედი დასაძინებლად. მერე კი უკვე მზეც ამოვიდა და ვეღარაფერს ვიღონებდი. ცხრა საათზე თუ ცოტათი უფრო ადრე მივედიოთ საფოსტო ყუთამდე, ზედ გვარი და სახელი ეწერა. ასე რომ, გვერდს ვერ ავუჭკევდით. სახლი ცარიელი აღმოჩნდა, არაფერ იყო შიგ, მერე გვესმის ნაჩახის ხმა. შემოვუარეთ სახლს უკანიდან, ჯექსონმა გამოიხედა საყადელს იქიდან, ერთბაშად დაინახა ის, რასაც აღბათ ყოველ ცისმარე დღეს ელოდა ამ სამი წლის განმავლობაში. იგი არც კი შეეკონებულა. ბიჭუნას უთხრა: „გაიქეცი, მინდორში გაიქეცი პაპასთან! გაიქეცი“, — თვითონ

კი ნაჯახი არც დაუშვია ძირს, ისე გამოქანდა და უფროს ძმას მოუღერა. კიდევ კარგი, რომ მივასწარი და ნაჯახს ტარში ვწვდი, უფროსი ძმა კი თვითონ ჭექსონს მივარდა. — ასე, ლამის პაერში ავიტაცეთ და გავაკავეთ, უკეთ რომ ვოქვათ, ეცდილობდით გაკავებას. ვეუბნები: „დაშშვიდდი, ჭექსონი კანონი მაგათ მხარეზეა“.

ამ დროს რაღაც მეძგერა და დამიწყო ფეხზე ცემა და ფხაჭნა — ეს პატარა ბიჭე იყო. კრინტსაც არ ძრავდა, ისე მომვარდებოდა ხან მე, ხან ქალის ძმას, ცდილობდა ჩემს მუცელზე ზვეით ჩაერთყა ჩვენთვის ის შეშა. ფენტრიმ რომ დააპო, „დაიჭი ეგ და ეტლთან წაათრიე“, თქვა უფროსმა ძმამ, უმცროსმა ბიჭი დაიჭირა. მისი დაკავება თითქმის ისეთივე ძნელი იყო, როგორც თვით ფენტრისა, ისევე ისროდა წიხლებს და უსხლტებოდა ხელიდან მაშინაც კი, როდესაც უმცროსმა ძმამ ხელები მოხვია და მაგრად ჩაბლუჭა. მაგრამ ბიჭს ერთხელაც არ დაუყვანესია, ხოლო ფენტრი ისე იგრიხებოდა და იქაჩებოდა, თითქოს ორი კაცის ძალა მისცემოდა, სანამ უმცროსი ძმა ბიჭთან ერთად არ მიეფარა თვალს. მერე კი მოეშვა. თითქოს მთელი ძელები დაეშალაო. უფროსმა ძმამ საყადელთან მიიყვანა იგი, ძალაგამოცლილი ზურვით მიეყრდნო დაპობილ შეშას, მძიმედ სუნთქავდა, პირზე ღუფი მოადგა. მე მას ვუთხარი: „ასე ამბობენ, ჭექსონი კანონიერად როგორ იქნებოდა მასთან, როცა ქალს ჭმარი დღესაც ცოცხალი ჰყავს“.

— ვიცი, — ამბობს ის, ამბობს კი არა, ჩურჩულებს, — ველოდი ამას! ალბათ ამიტომ მოხდა ასე მოულოდნელად. ახლა არაფერი ეშველება ამ საქმეს!

— ბოდიში ყოველივე ამისათვის, — ამბობს ძმა, — გასულ კვირამდე ვერაფრის ვაგება ვერ მოვახერხეთ. მაგრამ ბავშვს ხომ ჩვენი სისხლი აქვს ძარღვებში. გვსურს ჩვენთან იცხოვროს. თქვენ კეთილშობილურად მოიქეციეთ. მადლობელი ვართ. დედამისი თქვენი მადლობელია. აი ეს თქვენ, — ამბობს, ჩიბიდან ამოიღო ფულით სავსე ქისა და ფენტრის ხელში ჩაუღო. მერე შებრუნდა და წავიდა.

— ყველაფერი კანონიერია, ჭექსონ, — ვთქვი მე. — მაგრამ კანონს ხომ ორი მხარე აქვს. ჩვენ წავალთ ქალაქში და კაპიტან სტივენსს მოველაპარაკებით. მე თქვენთან ერთად წამოვალ.

მერე ძლივს გაიმართა წელში და საყადელზე დაჯდა. ახლა იგი არც ისე მძიმედ სუნთქავდა და უკეთესად გამოიყურებოდა, მხოლოდ თვალების გამომეტყველება არ შეცვლია, ისევ უაზროდ შემოგვეცქეროდა. მერე მალა ასწია ხელი, რომელშიაც ქისა ეჭირა და სახე მოიწმინდა იმ ქისით, თითქოს ცხვირსახოცი იყო; მე მგონია, მანამდე ვერც კი შეამჩნია, რომ ხელში რაღაც ჰქონდა, რადგან როცა ხელი ჩამოუშვა, ალბათ ერთ ხუთ წუთს მაინც გაკვირვებული დაჰყურებდა ფულით სავსე ქისას. მერე კი აიღო და გადააგდო — კი არ დაბერტყა, უბრალოდ მოისროლა, როგორც ერთ მუჭა მიწას ვადაყრიან ხოლმე, როცა უნდათ გასინჯონ და გაიგონ, აღმოაცენებს თუ არა თესლს — პირდაპირ შეშის გროვაზე მოისროლა, მერე ადგა და ეზოს გავლით პატარა ტყისაკენ წავიდა, წავიდა ისე, რომ ნაბიჭი არ აუჩქარებია; შეხედულად იმ პატარა ბიჭზე უფრო დიდი არ ჩანდა. ასე წავიდა ტყეში.

და აი, ნახევარი წლის შემდეგ, რაც ტორპი აქ დასახლდა და დაიწყო სმა, აყალ-მაყალი და სხვისი საქონლის მითვისება, ერთხელ აქ ვერანდაზე ზის ბაკ ტორპი, ზის შეზარხოშებული, ისე როგორც ყოველთვის, რამდენიმე თავის ძმაბიჭში, რომლებსაც იგი ზოგჯერ სასიკვდილოდ სცემდა. მე კი სხვათა შორის გავიხედე და ფენტრი დავინახე; გზაზე თავის ჯორზე იჯდა.

უბრალოდ იჯდა, მორჩა და გათავდა, უკვე ყველა ამ ოცდაათი მილის მტვერი შეერია ცხენების ოფლს და ტალახის კვერებივით ცხვებოდა. ის კი სულ უყურებდა და უყურებდა ტორპს, დიდხანს იჯდა ასე. არაფერს ამბობდა, უბრალოდ იჯდა გამოლენჩებული და უყურებდა ტორპს. მერე მოაბრუნა ჯორი და გასწია თავისი გორაკებისკენ, საიდანაც, როგორც ჩანს, აკობებდა არასდროს არ წასულიყო. სხვათა შორის შესაძლოა მართალიც იყო ის, ვინც თქვა, ჭკა-ქუხილს და სიყვარულს ვერსად დაეშალეობო, თანაც თავი არ შემოიწუხებია იმაზე ფიქრით, ნეტავ რამ მოიყვანა-მეთქი აქ ფენტრი, ჩემთვის მათ სახელებს შორის არავითარი კავშირი არ იყო. ტორპი რაღაცას მაგონებდა, მხოლოდ ის, მეორე საქმე მოხდა ოცის წლის უკან, მე ის ერთხელაც არ მომგონებია, სანამ არ გავიგონე თქვენი ნაფიცი მსაჯულების შესახებ. ცხადია, ის ხმას არ მისცემდა ბუკრაიტის განთავისუფლებას...

— პო, ცხადია, არ მისცემდა ხმას. — თქვა ძია გეივინმა. — არიან ამკვეყნად ასეთი ჩემი, შეუმჩნეველი და უსაზღვროდ მტკიცე ადამიანები, ისინი ითმუნენ, ითმუნენ, კვლავ ითმუნენ — ხვალ, კიდევ ხვალ, კიდევ ხვალ. ცხადია, ის არ მისცემდა ხმას ბუკრაიტის განთავისუფლებას.

— მე კი მივცემდი ხმას, — ცოქვი მე. — გაათავისუფლებდი მას, რა? — რა? — რომ ბატონი უფრო კაცი იყო. ის...

— არა, არც შენ მისცემდი ხმას, — თქვა ძია გეივინმა. — მთავარი ეს მოწოდებული მამაკაცი — ბატონი როდია. ბუკრაიტის ადგილას მას შეეძლო ტყვია ესროლა ამ კაცისათვის, შესაძლოა უფრო ადრეც, ვიდრე ბუკრაიტს. საქმე ის არის, თუმცა ადამიანური სახე დაკარგა და გულიც გამხეცებული ჰქონდა — ის გული, ბუკრაიტმა რომ გაუჩერა. მაინც შერჩენოდა რაღაც, შესაძლოა სული კი არა, არამედ ცოტაოდენი ხსოვნა იმ პატარა ბიჭუნასი. სწორედ იმ ჯეკსონ და ლონგსტრიტ ფენტრისა, თუმცა ეს მამაკაცი, ოდესღაც ბიჭუნა, ვერაფერს ხედავდა. მხოლოდ ფენტრიმ იცოდა ყველაფერი და შენც, შენც არ გაათავისუფლებდი ბუკრაიტს. გახსოვდეს ეს ყოველთვის.





რომანი

ინგლისურიდან თარგმნა ჯულიეტა მჭედლიძე-პაპრაძე

იანამედროვეობის ერთ-ერთ ყველაზე ცნობილ სატირიკოსს ივლინ ვოს (1903—1966) მეოცე საუკუნის ინგლისურ ლიტერატურაში ძალზე მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს.

რომანი „ნეტარხსენებული“ სრულ წარმოდგენას გვიქმნის მწერლის შემოქმედებით მანერაზე. რომანის გროტესკული სამყარო საშუალებას აძლევს მწერალს მომაკვდინებლად დასცინოს მისთვის საძულველი, მექანიკური ცივილიზაციის მახინჯ გამოვლინებებს.

...ქვეყნად არ შეიძლება დაუსრულებლად ბატონობდეს სიხარბე, ანგარიშობა და თაყვანისცემა მისი „უდიდებულესობა“ სტანდარტისადმი, უხამსობისა და სულიერი გახევებისადმი... — ეს არის ი. ვოს ნაწარმოებთა დედაპირი, თითქმის ყველა მისი რომანი და მოთხრობა იმ საზოგადოების მკაცრი განაჩენია, სადაც თვით მწერალი ცხოვრობდა, რომლის ნაქლსაც ასე ნათლად ხედავდა და ასე მწარედაც დასცინოდა.

თავი I

მთელი ჯღე სულისშემბუთავი ხვატი იდგა. უკვე ბინდდებოდა, როცა ტყით შემოსილ ბორცვებს მიღმა მიყუჩებული ოკეანიდან გრილი სიო დაიძრა. გაფრთხილებულმა მზემ ნელინელ იწყო ოკეანეში ჩაძირვა. ნიავი ჭერ მტერისაგან ჩამსვებულ-ჩაჯანგებული პალმების თოთლვებს წაეთამაშა, მერე ბაყაყების ყიყინისა და ქრიკინობელების ქრიკინისაგან მოქსოვილი და სიცხისაგან თითქოს გამყიდვებული ბგერები გაანედო და მახლობელი კოტეჯებიდან გადმოღვრილ მუსიკის ჰანგებს ჩააწნა.

დაისის ლბილმა ნათებამ საღებავგამოხუნებულ, კედლებჩამოშლილ ბუნგალოებსა და ელმწარალ აუზს შორის გაშლილი შამბნარიც კი მომხიბლავი გახაოა; მოქანავე სავარძლებში მონებიც კი ორი ინგლისელი ჯენტლმენიც, რომელთაც ხელში სოდაგარეული ვისკით საუსე ტიპები ეჭირათ და მუხლებზე ძველი ეურნალები ედოთ და რომლებიც არაფრით არ განსხვავდებოდნენ დედამიწის მიუარდნილ ყუთხეებში ზრაკლად მიმოფანტულ თანამოძმეთაგან, წამიერად დაიპყრო, ეფემერული განახლების თანაზიარი გახადა.

— სადაც არის ემბროუზ ებერკრომბიც აქ გაჩნდება. ნეტავი რა უნდა? დიუბარებია უთუოდ მოვალე. — წამოიწყო ბაიერმა ინგლისელმა. — იქნებ ერთი ტიქა კიდევ ებოვოთ სადმე. — მიმართა მანვე ახალგაზრდა ინგლისელს და მერე კირვეული მოკამათის კრებაზე განაგრძო: — ვინ არიან კირვეგორი, კაფუკა, კონოლი, კომპტონ ბარნეტი, სარტრი ან „შოტლანდიელი“ უილსონი? რა უნდათ, რას მოიხზოვენ?

- ზოგიერთის სახელი მეც გამიგონია, ინგლისიდან ჩემი წამოსვლის წინ ახსენებდნენ.
- „შოტლანდიელ“ უილსონსაც ახსენებდნენ?
- არა, რაღაც არ წავიხსენებ!
- აი, ეს არის „შოტლანდიელი“ უილსონი! დააკვირდი ამ ნახატებს! გაგეგება რაზე?
- არა!
- არა, ხომ?

სერ ფრენსის ჰინსლის წუთისწინანდელი გამოკოცხლება ახლა აპათიამ შეცვალა. ეურნალი „ბორიზონტი“ ხელიდან გააგდო და დამშალ აუზში ჩამუჭებულ ჩრდილებს მიაპყრო გულგრილი მზერა. მას ჰკვირავდა, ნერვიული სახე ჰქონდა; მშვიდი ცხოვრებისა და მუდმივი მოწყვნილობისაგან ნაკვთები ოდნავ გატლანქებოდა.

— ერთ დროს ჰოპკინსზეც ლაპარაკობდნენ, ჯოისზეც და ჰერტრულა სტაინზეც. მათიც არაფერი გამეგებოდა. ყველაფერ ახალს ძნელად ვეთვისები საერთოდ. „ზოლას გავლენა არნოდ ბენეტზე“, „ჰენლის გავლენა ფლეკერზე“, მოდერნიზტებთან ჩემი სიახლოვე ამაზე შორს არ მიდიოდა. „ინგლისელი პასტორი ინგლისურ პროზაში“ ან კიდევ „პოეზია და საკავალერიო შეტყეები“ და სხვა ამდაგვარი თემები უფრო მომწონდა. იყო დრო, სივრცისაც მოსწონდათ. მერე აღარ მოეწონათ. მეც გამინელდა ინტერესი და საერთოდ. პირველი გამოგდევარ ბოლმე თამაშიდან ვიგორძენი, გარემო უნდა შემეცვალა და დავტოვე კიდევ ინგლისი. აქაურ პავსას კარგად ვეგუები, ხალხიც პატიოსანი და კეთილშობილია. რაც მთავარია, სულაც არ დაგიდევენ, მათ ლაპარაკს უსმენს თუ არა ეინმე. ეს კარგად დაიმახსოვრე, ჩემო ბიჭუნავ! ესაი საიდუმლო იმ ძალდაუტანებელი და ბუნებრივი ქცევისა, რითაც აქაურები გამოირჩევიან, აქ ყველა საკუთარი სიამოვნებისათვის ლაპარაკობს მხოლოდ. გინდა თუ არა ყურადღივით ჩემი ნათქვამით, — ამისთვის აქ არავინ იკლავს თავს.

- აი, ემბროუზ ებერკრომბიც მოვიდა. — თქვა ახალგაზრდა ინგლისელმა.
- აქა მშვიდობა! ფრენკ! სალამი ბარლოუსს! — თქვა ებერკრომბიმ კიბეზე ამოსვლისას. — უპ, რა პაპანაქებაა! ნება მიბოძეთ ჩამოვჯდე! თუ მე მისხამო, გთხოვთ სოდიანი წყლით გამიზავოთ. — მიმართა მან ბარლოუსს.

სერ ემბროუზს ფლანგლის შუქი ნაცრისფერი კოსტიუმი ეცვა. ყელზე იტონის კრიკეტის მოყვარულთა კლუბის ვარდებით მოჩითული ჰალსტუხი ეკეთა და ყავისფერზონრიანი ჩალის ქუდი ეხურა. წესად ჰქონდა კარგ ამინდში ამგვარიდ გამოწყობილს ეკლო. ავდარში კი კეპსა და ვაპიუშონიან მოსასხამს არ იცილებდა. როგორც მისი მეუღლე, გულშოწყალე ლედი ებერკრომბი ამბობდა, სერ ემბროუზი, ასე „სამოციოდე წლის იქნებოდა“. თუმცა, სერ ემბროუზს ახალგაზრდულა გარეგნობის შესანარჩუნებლად სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა ჰქონდა ვამრისელასთან გაჩაღებული. მაინც მრავალწლიან ბატალიებში დაღლილს, ახლა მოხუცობის განკუთვნილი პატივი და მოკრძალება მონატრებოდა. ამ ბოლო დროს ერთ რამედ უღირდა, თუ ვინმესაგან ერთხელ მაინც გაიგონებდა: აი, ჩვენი ბერძუნაო.

— დიდა ხანია მინდოდა შენი ნახვა, მაგრამ რას იზამ! საქმეებში ისე ეფლობი კაცი, შეგობრების ნახვასაც ვეღარ ახერხებ. არა, არ ვარგა ასე აქ ინგლისელებში ერთმანეთი არ უნდა დაეკარგოთ. — თქვა სერ ემბროუზმა და სერ ჰინსლის მიუბრუნდა: — რატომ გვემალები, ფრენკ, შე ძველო განდევილო?

- გახსოვს, აქვე ახლოს რომ სახლობდი!
- ნუთუ მართლა! ღმერთმანი არა სცდები! ბევერლი ჰილზე გადასვლამდე მართლაც აქ ეცხოვრობდი. ახლა, როგორც მოგეხსენებათ, ბელ-ეარზე ვართ. ცოდვა გამხელილი სჯობს, თქ თავს მაინცდამაინც კარგად ვერ ვგრძნობ. პესიფიკ პელისაიდზე მიწის პატარა ნაკვეთი ყიყიდე. სამშენებლო მასალის გაიადებას ველოდები. სად, აბა, სად ეცხოვრობდი? ტუნის იქითა მხარეს, არა?

დიახ, ეს იყო ოცხე მეტი წლის წინათ. იმ დროს აქაურობა, ამჟამად მიტოვებული და თითქმის უკაცური, ქალაქის ყველაზე ფეშენებელურ უბნად ითვლებოდა. მაშინ კარმაგობაში ახლად ფეხშედგმული სერ ფრენსისი, — ერთადერთი ჭეშმარიტი არისტოკრატი პოლიველში, ინგლისური სათვისტომოს მამასახლისი, „მეგალოპოლიტან პიქჩერისის“ მთავარი სეცენარისტი და

ამევე დროს კრიკეტის კლუბის პრეზიდენტიც იყო. ხოლო ახალგაზრდი უფრო სწორად მოახალგაზრდაო ემბროუზ ებერკრომბი დაუცხრომლად საქმიანობდა: შეუსვენებლოვ აცხობდა და აცხობდა ილაჯის გამწყვეტ, აკრობატულ-პეროიკულ-ისტორიული როლების მოვლ სერაას და თითქმის ყოველ საღამოს დასანაყრებლად. სერ ფრენსისთან შეივლიდა ხოლმე... ბოლო დროს პალიკუდში ძალზე მომრავლდნენ ინგლისელი ტიტულოვანი პიროვნებანი. ზეჯეფრედო-წყმდვილად არისტოკრატიული წარმოშობისა იყო. რაც შეეხება, სერ ემბროუზს ცენ-სერ-ფრენსისს აგდებულად „ლოიდ ჯორჯის ეპოქის პროდუქტი“ შეარქვა. უკუღმა დატრიალებულმა ბედის ჩარხმა კარგა დიდ მანძილზე დააშორა ქარმაჯი ჯენტლმენი მოახალგაზრდაოს. სერ ფრენსისი, იქამდეც კი მივიდა, რომ სარეკლამო განყოფილებაში დაიწყო მუშაობა და კრიკეტის კლუბის თორმეტ ვიცე-პრეზიდენტთან ერთ-ერთის პოსტიდა ეკავა. ამომშრალ-ამოკაროელებული ცურაო აუზიც, სადაც ოდესღაც ელავდა აწ შივიწყებულ ლამაზმანთა ქვედა კიდურები, წნარით დაფარულიყო.

და მაინც ამ ორი ჯენტლმენის ურთიერთობას რაინდული დამოკიდებულების ხიბლი კ შეჩვენოდა.

— როგორ მიდის საქმეები „მეგალოში“? — ჰკითხა სერ ემბროუზმა სერ ფრენსისს.
 — დიდ ალიაქოთში ვართ. ხუანიტა დელ პაბლო შავ დღეს გვაყრის.
 — „გემრაველი, მიზნედილი და ავხორცი დიაცი“?
 — სცდები იგი ვახლავთ, ან უფრო სწორად ვახლდათ: „უკარება, ბრწყინვალე, საღინტივით ულმოებელი ქალი“. ამ ფრაზის ავტორი მე ვარ და შეგიძლია მენდო. ამ ეპიპეტებმა, ამათებურად რომ ვთქვათ, ხალხი ჭკუაზე ასწია და კინოვარიკულაჟო რეკლამას მანამდე უცხო პეწი შესძინა. დელ პაბლო იმთავითვე ჩემი protégé იყო. ახლაც თვალწინ მიდგას მისი მოსვლის დღე. საცოდავ ლეოს მისი თვალეზი მოეწონა ხუანიტას მაშინ ჯერ ისევე ბეიბი აარონსონის ეძახდნენ. შესანიშნავი თვალეზი და საუცხოო შავი თმა ჰქონდა. ლეონაც, არც აალო, არც დაილო და ესპანელად მონათლა, ცხვირი კარგა გვაროანად დაუმოკლა და ექვსი კვირით მექსიკაში მიავლინა ფლამენკოს სტილის შესასწავლად. ამგვარი დამუშავების შემდეგ გადმომცეს, მე შევეურჩიე ფსევდონიმი, მე ვაქციე ანტიფაშისტ-ლტოლვილად. მე ვარწმუნებდი ყველას, შამაკაცები სძულს, რადგანაც მაროკოელი ფრანკისტები საზიზღრად მოექცნენ-მეთქი. მაშინ მსგავსი რამერუმეები ახალი ხილი იყო. აკი კიდევაც წამოეგნენ ანკესზე! მისს დელ პაბლო თავისებურად მშვენიერიც კი იყო! წარმოიდგინეთ მარალაც რომ საზარელი ბუნებრიობით დაკრეჭილი კბილები ფეხები არ ჰქონდა ღიდად ფოტოგენიური. მაგრამ ამასაც ვშველოდით. — გრძელ კაბებს ვაცმევდათ, და თუ ძალადობის სცენას ვიღებდით, სადაც მისი სხეულის ქვედა ნახევარი იყო საჭირო მის მაგივრად დუბლიორი გამოგვყავდა. მისს დელ პაბლოთი ვამაყობდი და არც მიმტყუნა ბარე ათი წელი კიდევ გამოგვადგებოდა. მაგრამ ახლა ჩვენმა უფროსობამ პოლიტიკა შეცვალა, მხოლოდ ჯანსაღი სულისკვეთებით გამსჭვალული ფილმები უნდათ, „კეთილგონიერთა ლიგის“ გულის მოგება სურთ, ასე რომ, ჩვენს ხუანიტას თავიდან მოუხდა ეველაფრის დაწყება. ამჯერად სტუდიის ირლანდიელი გოგონები სჭირდება. ხუანიტას თმა ჯერ გაუბაცეს, მერე სტაფილოსფრად შეუღებეს. რეჯისორს ვარწმუნებ, ირლანდიელი ქალიშვილები შეგერემანები არიან-მეთქი. მაგრამ ვინ ღავიჯერა! მაინც თავისი გაიტანა. მისს დელ პაბლო ახლა დღეში ათ საათს ვარჯიშობს ირლანდიულ გამოთქმებში. იმ საწყალს საქმე იმითაც გაურთულეს, რომ კბილები დააძრეს. წინათ მომნიბლავი ღიმილი არ სჭირდებოდათ და ხუანიტას საკუთარი კბალების დაკრეჭაც ჰყოფნიდა. ახლა მას ერთთავად მზიარული კისკისი მოუწევს, ამისათვის კი ლამაზი კბილებია საჭირო. სამი დღეა ვწვალობ და სახელი ვერ მოვაწონე. რაც არ შევთავაზე, ყველაფერზე უარი მტკიცა. მორინი დავარქვა — მორინი უკვე გავაგს, დივიდრა — ამის გამოთქმაზე ყბებს დაიმტვრევს კაცი, უნა — ჩინურივით ქლერს, ბრიჯიტა — მეტისმეტად უბრალოა! მისს დელ პაბლო პირდაპირ ცოფებს ჰყრის...

სერ ემბროუზი აქაუროთა წესის მიხედვით, უკვე აღარ უსმენდა.

— ააა! ჯანსაღი ფილმები ყველას პირზე აყვია. — თქვა მან ბოლოს და დაუმატა: — იცი, რა ვთქვი ამის თაობაზე „დანისა და ჩანგლის“ კლუბში ამას წინათ? კინემატოგრაფიაში ჩემი მოსვლის დღიდან ორი პრინციპით ეხელმძღვანელობ: არასოდეს გააკეთო კამერის წინ ის, რაც საცოჯახში არ გააკეთებ და პირიქით, ოჯახში არ გააკეთო ის, რასაც კამერის წინ არ გააკეთებ მეთქი.

ვიდრე სერ ემბროუზი ამ თემას ანვითარებდა, სერ ფრენსისი თავისი ფიქრების მდინარებამ მიჰყვა. ასე რომ, მოქანავე საღარდლებში გადაწოლილი ორი ჯენტლმენი თითქმის მთელი

საათი ხან ენამჭევრობდა, ხან ფიქრებში იძირებოდა და თანაც მონოკლებიდან ბინდუნდის მოძალეებას შესცქეროდა. ამასობაში ახალგაზრდა ინგლისელი დროდადრო ვისკით უვსებდა მათ ზიქებს და არც საკუთარ თავს ივიწყებდა.

სალამო სერ ფრენსისს მოგონებებს აღუძრავდა. გახუმების ჯერო რომ მოეწედა იგი ფიქრებში ისევ ოცდახუთი წლის წინანდელი ლონდონის ნისლიანი ქუჩების ბინადარი ხდებოდა, ქუჩებისა, რომლებმაც ცეპელენტა თავდასხმებისაგან გამოწვეული შიშის ნიშნებს სამუდამოდ დაადწიეს თავი. თვალწინ ხან ჰაროლდ მონრო დაუდგებოდნენ ქუჩის კუთხულაობდა ლექსებს წიგნების მაღაზიაში, ხანაც ბლანდენის ბოლო გამოსვლა „ლანდონ მერკურნი“, აგონდებოდა რობინ უე ლა კონდამენი „ფენიქსის“ დილის სპექტაკლში, საუბრე მოდთინ გროსვენორ სკვერზე, ჩაის სმა გოსთან — ჰანოვერ-ტერასზე. აგონდებოდა ფლიტსტრიტზე ლუდის ერთ-ერთ დუქანში თავშეყრილი თორმეტი მოპოეტო ნევრასთენიკი მეტროლენდში კრიკეტის სათამაშოდ წასვლას რომ აპირებდნენ: რედაქციიდან გამოგზავნილი ბიჭი სახელოში ეჭაჩგურება და სვეტებად აწყობილ მასალას აჩეჩებს ხელში. გაუთავებელი სადღეგრძელოები გაუთავებელ ბანკეტებზე მამულის ღირსეულ შეილთა, აწ მარადისობის მკვიდრთა ხსოვნის პატივსაცემად...

სერ ემბროუზს გაცილებით მეტი ჰქონდა მოსაგონარი, მაგრამ იგი ყოველთვის მხოლოდ აწმყოთი ცხოვრობდა. ახლაც მხოლოდ თავის ახლანდელ მდგომარეობაზე ფიქრობდა, ამჟამინდელი წარმატებები ახსენდებოდა და ამით ნეტარებდა.

— ესეც ასე! დროა ავიბარგო, თორემ ჩემს ქალბატონს ლოდინით თვალები ამოულამდება. — თქვა მან ბოლოს, მაგრამ არც კი განძრეულა. მერე ბარლოუს მიუბრუნდა და ჰკითხა:

— იქვენი საქმეები როგორ მიდის, ბარლოუ? ამ ბოლო დროს კრიკეტის მოედანზე ედარ გხედავთ. „მეგალოში“ ალბათ ძალიან დაგტვირთეს.

— აი, ისე ძალიან. ფაქტიურად ჩემს კონტრაქტს სამი კვირის წინ გაუვიდა ვადა.

— მართლა? ალბათ გიხარიათ! ცოტას დაისვენებთ! მე გამეხარდებოდა! ბარლოუმ არ უპასუხა.

— მოამისმინეთ, ბარლოუ! იქნებ ჩემი რჩევა ჰკუთაში დაგიძღვთ: სანამ მნიშვნელოვანი რამ არ გამოჩნდება, ხელი არაფერს მოჰკიდოთ. პირველსავე შემოთავაზებულ წინადადებას არასოდეს არ დასთანხმდეთ. აქ იმას აფასებენ, ვინც საკუთარი თავის წონა იცის, მთავარია ამითი პატავისცემა შეინარჩუნოთ. იცით, ბარლოუ, ჩვენ — ინგლისელები აქ განსაკუთრებულ მდგომარეობაში ვიმყოფებით. ცოტას იქნებ კიდევ დაგვეცინიან — დასცინიან ჩვენს ლაპარაკს, ჩაცმულობას, ჩვენს მონოკლებს. დაე, ჩაგვთვალონ სნობებად. ერთი რამ უდავოა, დიდ პატივს გვცემენ. ჩვენს სიტყვას მათთვის კანონის ძალა აქვს. ჩვენი ფასი იციათ, ისიც გარკვეულ როლს თამაშობს, რომ აქ მხოლოდ უმაღლესი ტიპის ინგლისელები მოღვაწეობენ. დამერწმუნეთ, ბარლოუ, ზოგჯერ ჩვენი ქვეყნის უფრო მგონია თავი. ეს მეტად საპასუხისმგებლო ამბავია და თითოეული აქ მცხოვრები ინგლისელი ვალდებულია ამას მოელი სისიუხით გრძნობდეს. ცხადია, ყველას მაღალი თანამდებობა ვერ გვეკავება, მაგრამ პასუხისმგებლობას კი ყველა ერთნაირად უნდა ვგრძნობდეთ. თითონ განსაჩეთ — ხელმოცარულ ინგლისელს ვერსად ვერ ნახავთ. თვით ინგლისს თუ არ მივიღებთ მხედველობაში, რა თქმა უნდა. ეს კარგად მოეხსენებათ და ამას ჩვენს თავდაპირვან უნდა ეუმაღლოდეთ. არის ერთი-ორი ისეთი სამუშაო, რომელსაც ინგლისელი უბრალოდ ხელს არ მოჰკიდებს. ამ რამდენიმე წლის წინათ ერთ, ფრიად წესიერ ყმაწვილს მეტად სამწუხარო ამბავი შეემთხვა. ნიჭიერი მხატვარი-დეკორატორი იყო, მაგრამ თუ ნიჭილება ასე ითქვას, მთლად გაამერიკელდა: მზა ტანსაცმელს იცვამდა, აჭიმის ნაცვლად კამარს ირტყამდა, უპალსტუხოდ დაბრძანდებოდა და სასადილოებში იკვებებოდა. მერე კი, დიჩეჩებოდა? — სტუდიას თავი მიანება და ერთ იტალიელთან ერთად რესტორანი გახსნა. რა თქმა უნდა, ამ იტალიელმა გააცურა! ბოლოს ბარმენობაც აღარ დაიწუნა. იდგა და კოკტეილებს აზავებდა! კომპარული ამბავია! ჩვენი კლუბის წევრებმა ინგლისში დასაბრუნებლად გზის ფული შეუფაროვეთ, მაგრამ წარმოიდგინეთ, არ ისურვა იმ თავხედმა. იქაც კარგად ვგრძნობ იავსო, განაცხადა. ამით მან გამოუსწორებელი ზიანი მოგვაცენა. ნამდვილი დეზერტირი იყო. მაღლობა დმერთს, ომმა გვიშველა, იძულებული გახდა ინგლისში დაბრუნებულიყო და ნორვეგიაში მოკლეს. ამით დანაშაული გამოისყიდა, მაგრამ განა უმჯობესი არ არის გამოსასყიდი არაფერი ჩაიღინო კაცმა? თქვენ, ბარლოუ, ასე ვთქვათ, ცნობილი პიროვნება ხართ. ასე რომ არ იყოს, პოლიუდში არ იქნებოდით. მართალია, ამჯერად პოეტებს დიდად არ სწყალობენ, მაგრამ ერთ მშვენიერ დღეს თქვენი სამსახურიც დასჭირდებათ. აი, მაშინ კი მოგადგებიან კარზე. თუ, რა თქმა უნდა, ამ ხნის განმავლობაში მათ კეთილგანწყობას შეინარჩუნებთ. ბოი

ხედებით, რაზეც გელაპარაკებით, ბარლოუ? თუმცა, კმარა ამდენი ჭკუის დარიგება, ჩემი ქალ-ბატონი ალბათ სადილად მიმელის. დროა ავიბარგო. სასიამოვნო იყო შენთან წასაუბრება, ფრენკ! ნახვამდის! ურიგო არ იქნება უფრო ხშირად თუ შემოივლი ხოლმე კრივეტის კლუბში, აარგად იყავით, ახალგაზრდავ, და გულში ამოიჭერთ, რაც გითხარით. იქნებ შენ ერთი რეგ-ვენი ბერიკაცი ვარ, მაგრამ ვიცი, რასაც ვამბობ! არც ერთი არ ადგეთ: გაცილენა რად მიხდა, გზას ისედაც გავიგნებ!

ეროვნული

მთლად ჩამობნელდა. სერ ემბროუზის მანქანის შუქფარებიდან გამოტყორცნილი მფრფრელები ყვითელი შუქი ჯერ მარაოდ გაიშალა პალმის ხეებში, მერე ბუნგალოთა ფასადებს გაჰკრა ფრთა და ნელ-ნელა გაუჩინარდა ჰოლივუდის ბულვარში.

- როგორ ფიქრობთ, რას მოასწავებს ეს ყოველივე? — ჰკითხა დენისმა სერ ფრენსისს.
- ეტყობა, რაღაც იყნოსა, ამიტომაც შემოიარა.
- ბოლოს და ბოლოს ხომ მაინც გაიგებდნენ.

— ჰოდა, თუ აქაურ ანგლისელთა საათვისტომოდან მოკვეთა სარწმუნოებისათვის ტანჯვად ჩაცმულება, განეშხაღო წამებულის შარავანდელოთ თავშესამკობად! დღეს სამსახურში არა ყოფილხარ?

— ლამის ცვლაში ვმუშაობ. დილით ლექსის დაწერაც მოვასწარი, ოცდაათი სტრიქონია. წაგიკითხოთ?

— აჰ, არა, არა! — მარდად გაეპასუხა სერ ფრენსისი. — ჩემი „განდევლობის“ ერთ-ერთი უბირატესობა ისიც არის, რომ არასოდეს მიხდება გამოუტყვევებელი ლექსების კითხვა. რაკი სიტყვამ მოიტანა, გამოგიტყდები, არა თუ გამოუტყვევებელ ლექსებს, გამოტყვევებულსაც აღარ ვკითხულობ. ჯერ ნურავის უჩვენებ, შეინახე; მარტოობისას გაილაშქრა-გააშალაშინე. მე კი ეგ ლექსები, ვიცი, სევდას მომგვრიან. სულ ერთია, ვერ გავიგებ, ვინძლო შევეტყვე კიდევ, საჭირო კია ამდენი მსხვერპლის გაღება-მეთქი. შენ ნიჭიერი კაცი ხარ, ინგლისური პოეზიის რძედი და მომავალი. ზუსტად ასე თქვეს ერთხელ შენზე და მეც მთელი სულთა და გულით ეიოწმუნე ეს. მე კი ხელოვნების წინაშე მარტო იმითაც მოვიხადე ვალი, რომ დავგნმარე თავი დავგნსნა იმ უღლიდან, რომელსაც თავად დიდი ხანია შევეურიგდი და თითქმის შევეგუე კიდევ.

ბავშვობისას, საშობაო სპექტაკლზე ხომ წაუყვანინხარ უფროსებს, ბარლოუ? თუ გახსოვს ერთ პიესას ასეთი სულიერული სასულწოდება ჰქონდა: „სადაც ცისარტყელა უჩანარდება“, შშინდა გიორგი და ეინმე მიჩქანი ნფრინავე სალიჩით დრაკონის ქვეყანაში ჩამოდიან, რომ გზაბნეული ბავშვები შინ დააბრუნონ. ამ პიესის გასსენებისას მუდამ ერთი აზრი მიტრიალებს თავში: სხვის ცხოვრებაში ჩარევის უფლება არავის არ უნდა ჰქონდეს. იქ, დრაკონის ქვეყანაში ბავშვები თავს ბედნიერად გრძნობდნენ. შინიდან მოწერალ წერილებს დიდი მოწაწებით ღებულობდნენ, მაგრამ არც კი კითხულობდნენ. შენი ლექსებიც სახლიდან მოწერილ, გაუხსნელ ბართებს მაგონებს, ასევე ვფიქრობ კირკეგორზე, კაფკაზე და „შოტლანდიელ“ უელსონზეც. მე მოწიწებით ვეპყრობი მათ, არც აღშფოთებას გამოვთქვამ და არც პროტესტს. ჭკია შემისვს, ჩემო კეთილო! მე შენი memento mori ვარ. მე დრაკონთა სამეფოს ტყვედ ქმნილი გახლავართ. ჰოლივუდი ამდღეს აზრს ჩემს სიცოცხლეს.

იქნებ მიაქციე ჟურნალდება, იმას წინათ ერთ ჟურნალში სხეულს მოცილებული ძაღლის თავის სურათი დაბეჭდეს რუსები თავიანთი შავჩეების განსახორციელებლად ამ თავს სიცოცხლეს უნარჩუნებენ, სისხლს სინჯარიდან ხელოვნურად აწვდიან. ჰოდა, ეს თავი კატის სუნს იყნოსავს თუ არა, მაშინვე ნერწყვის ყლაპვას მოჰყვება ხოლმე; ჩვენ ყველანი იმ უტანო თავს ვგავართ, სტუდია სასიცოცხლო იმპულსებს გვიგზავნის. ჩვენ ჩვენდათავად დღენაკლულის უბადრუკი რეაქციის თავი გვაქვს მხოლოდ. თუ, ღმერთმა დაიფაროს, და ჩვენი კავშირი ჰოლივუდთან შეწყდა, სულს გადაფრთხობთ, მიხარია, როცა მაგონდება რომ თითქმის წელიწადზე მეტია ყოველ ცისმარე დღეს ჩემი მაგალითი გედგა ოვალწინ და რომ ამ მაგალითმა გძირული გადაწყვეტილება მიგაღებინა: ხელი მოგეკიდა უფრო საიმედო საქმისათვის. მაგალითი ხომ თვალწინ გქონდა და გქონდა და ზოგჯერ მგონი საკმაოდ უხვსიტყვიან რჩევა-დარიგებებსაც ვაძლევდი.

- მართალია, ააასჯერ ვითქვამთ!
- ვითომ ასე მრავალგზის! დიდი-დიდი ერთი-ორჯერ მეთქვას, ისიც, ალბათ, ბახუსის გავლენით. არა, არა! ათასჯერო რომ ამბობ, ნამდვილად აზვიადებ. მგონია მხოლოდ იმას გიჩრევიდი,

1 გახსოვდეს სიკვდილი (ლათ.)

ევროპაში დაბრუნდი-მეთქი. არასოდეს მირჩევია შენთვის ასეთი პირქუში და დედოფალ კლი-
ნაბედის ეპოქისათვის შესაფერი საქმიანობა გამოგენახა. ერთი ეს მიიხარო, შენი ახალი შეფი
კმაყოფილია?

— გუშინ მიიხარა, ამ საქმისათვის ზედგამოჭრილი ხარო. ჩემი წინამორბედი თავისი უად-
გილო ენთუზიაზმით შეურაცხყოფდა თურმე კლიენტებს. მე კი მოკრძალებული ვარ და ეს
მოსწონთ. ამ შთაბეჭდილებას ინგლისურ აქცენტთან მელანქონიური გამოხატულების შეხამება
იძლევა. თურმე ჩვენს რამდენიმე კლიენტს ეს ძალიან მოსწონებოდა. ~~დასრულებულია~~ ალუ-
ნიშნავს.

— კარგია, კარგი! მაგრამ ჩვენი თანამემამულენი ნუ დაგაეიწყდება, მათგან მოწონებას ნუ
ელი. ხომ გაიგე რა თქვა ჩვენმა სტუმარმა? ზოგიერთ საქმეს ინგლისელი არ იყვარებსო. შენი
სამსახური სწორედ ასეთ „ზოგიერთ საქმეთა“ კატეგორიას მიეკუთვნება, ჩემო კარგო!



დენის ბარლოუ ნასადილევს მანქანით გაემგზავრა ბერბანკში. უკან მოიტოვა გაჩახჩა-
ხებული მოტელები, „მოჩურჩულე ველის“ მემორიალური პარკის მოთქროვილ ჭიშკარსა და
მზით განათებულ ტაძრებს გასცდა და ქალაქის გარეუბანში თავისი სამსახურის კანტორას მი-
იღვა. მისს პოსკის დენისის მოლოდინში სახის მოხატვა და გაბუდრვა მოესწრო, ქუდიც დაე-
ხურა.

— ხომ არ დავაგვიანე? — ჰკითხა დენისმა.
— ოქრო ხარ, ოქრო! პლანეტარიუმში გავრბივარ პაემანზე, თორემ ყავას მოგიდუღებდი.
მთელი დღე უსაქმოდ ვიჯექი. მხოლოდ თრიალდ სამგლოვიარო ბარათი გავაგზავნე. პო, მისტერ
შულცმა დაგიბარა, თუ რაიმე მიიღო, მაცივარში შეინახე, ამ პაპანაქებაში რომ არ გაფუჭლუ-
სო. აბა, კარგად მენახე! — მიამახა ქალმა დენისს, ქვეყნის საქმე მოიტოვა და სწრაფად
გაუჩინარდა.

კანტორის ცივსა და პირქუშ დახვეწილობას ბუხრის თავზე შემოდებული ორი ბრინჯაოს
ლევეის ქანდაკება ოდნე არბილებდა, მეტალის დაბალი, თეთრი, მომინანქრებული ურიკა რომ
არა, გაქირდებოდა ამ ოთახის გამორჩევა ათასობით სხვა თანამედროვე ამერიკული მისაღები
ოთახისაგან; ურიკა და კლინიკის სუნი! ტელეფონის გვერდით ვარდებანი ღარნაკი იდგა. ვარ-
დების სურნელება კარბოლმეფის სუნს შექილებოდა, მაგრამ ვერ დაემარცხებინა.

დენისი ერთ-ერთ სავარძელში ჩაჯდა, ღებები ურიკაზე შემოაწყო და საკითხავად მოემზა-
და.

ბრიტანეთის საპაერო ძალებში სამსახურმა დენისი უბრალო კითხვის მოყვარულიდან ფანა-
ტიკოს მკითხველად აქცია. ზოგიერთი ცნობილი და ცოტა არ იყოს უკვე გაცვეთილი სტრიქონი
ზღვა ააოციაციებიდან სწორედ იმ გრძნობებს ბადებდა მის არსებაში, რომელთა განცდაც დენისს
სწყუროდა. იგი ცდებს როდი აყენებდა: ლექსები მისთვის ჩაცადი, უტყუარი წამალი იყო, პოე-
ზიის ანთოლოგიას ისე გადაშლიდა ხოლმე, როგორც ქალები ხსნიან თავიანთი საყვარელი სიგა-
რეტების კოლოფს.

ფანჯრებს მიღმა ქუჩაში მანქანები შეუწყვეტლივ მიმოქროდნენ... აბდღეჩაილებული ფა-
რები, მთელი ხმით ჩართული რადიომიმღებები...

„უსიტყვოდ ვქენები მე შენს მკლავებში,
აქ, ქვეყნის კიდე-დასალიერში...“

კითხულობდა დენისი. „აქ, ქვეყნის კიდე-დასალიერში... კიდე-დასალიერში“ ისე იმეორებ-
და დენისი, როგორც ბერი გაიმეორებს ხოლმე საიდუმლოებით მოცული ლოცვის სიტყ-
ვებს.

ამ დროს ტელეფონმა დარეკა. დენისმა ყურმილი აიღო.
— „სამოთხის ბედნიერი სანახები“ გასმენთ!
ქალს, როგორც ჩანდა, მღელვარებისა და მოძალებულ გრძნობათაგან, ხმა ჩახლქოდა. სხვა
დროს და სხვა პირობებში დენისი იფიქრებდა, მთვრალიაო:
— თეოდორა ჰაინკელი გელაპარაკებოთ, მისის უოლტერ ჰაინკელი! ვია დოლოროზა 207.

1 ა. ტენისონის ლექსიდან „ტიფონი“.

ნელ-ეარი; ახლავე უნდა მოხვიდეთ. ტელეფონით ყველაფრის თქმა არ შემოიძლია. ჩემი პატარა არტური ზუსტად ეს წუთია შემოიტანეს სახლში. დილის რომ გაეარდა სახლიდან, აღარც დაბრუნებულა. მეც დიდად არ მიჯავრია, იმიტომ, რომ წინათაც მომხდარა ასე. მისტერ ჰაინკელს უნებარია: უოლტერ, ჩემო კარგო, ვერსადაც ვერ გამოგყვები, სანამ არ ვივიგებ არტურს სად გადაიკარგა-მეთქი. მან მიპასუხა: რა უმსგავსოებაა, ხომ არ შეიძლება მისის ლესტერ სკრანჩის ვალოდინოთ. მეც დაეუჭერე და წავედიო. მისტერ ლესტერ სკრანჩის მხარმარჯენივ ვიჯექი, ეს უბედურება რომ შემატყობინეს. ალო, ალო! ხომ მისმენთ:

ეროვნული
გზაურობა

საშრობზე დადებული ყურმილი დენისმა ისევ აიღო ხელში.

— ახლავე გეახლებით, მისის ჰაინკელ! ვია ლოლოროზა 207 თქვით, არა?

— მე ვთქვი, მისტერ ლესტერ სკრანჩის მხარმარჯენივ ვიჯექი, ეს ამბავი რომ შემატყობინეს-მეთქი. მისტერ ლესტერმა და მისტერ ჰაინკელმა მანქანამდე ძლივს მიმიყვანეს.

— ახლავე მოვდივარ!

— სანამ სული მიდგას, ჩემს თავს ამ დაუღვერობას ვერ ვაპატიებ. შინ არაფერ ვიყავით, როცა მოიყვანეს. მოსამსახურეც კი არ იყო შინ. ნავის მანქანის მძღოლმა აფთიაქიდან დაგვირეკა... ალო, ალო! მისმენთ? იმას გუუბნებოდით, გეთაყვა, აფთიაქიდან დაგვირეკა-მეთქი.

— გამოვდივარ, მისის ჰაინკელ!

დენისმა კანტორა გამოიყურა და მანქანა უკანა სვლით გამოიყვანა გარაფიდან. თავისი მანქანა კი არა, სამსახურისა. — უბრალო შავი ფურგონი, რომელსაც ოფიციალური ვიზიტებისათვის იყენებდნენ. დენისი ნახევარ საათში დამწუხრებულთა აპარტამენტებთან გაჩნდა. ეზოში, ბილივზე საგარეოდ გამოწყობილი, ლოყებდავღაფა კაცი შემოეგება. მანპინძელს აქაურ არისტოკრატიულ წრეებში იმხანად მიღებული მოდის მიხედვით ტვიდის კოსტუმი, სანდლები და გულზე მონოგრამამოქარგული მდელოსფერი აბრეშუმის ხალათი ეცვა. მონოგრამა თითქმის ნახევარ მეტრდს უფარავდა.

— მიხარია თქვენი მოსვლა. — შეაგება მან დენისს.

— ყოველგვარი სიკეთე მისტერ უ. პ.-ს! — წამოსცდა დენისს?

— რა ბრძანეთ?

— „სამოთხის ბუნდური სანახებიდან“ გახლავართ! — განუძარტა დენისმა.

— დიახ, დიახ! მობრძანდით!

დენისმა ფურგონიდან კონტეინერი ვადმოიღო.

— ხომ ჩაეტევა?

— დიდიც კია!

სახლში შევიდნენ. ვრძელსა და ღრმად გულამოდებულ სამეჯლისო კაბაში გამოწყობილი, ბრილიანტის ტიარით დამშვენებული ქალბატონი ჰაინკელი ჰოლში იჯდა და ხელში ჭიქა ეჭირა.

— ქალბატონ ჰაინკელისათვის ეს აუნაზღაურებელი დანაკლისია. — უთხრა მისტერ ჰაინკელმა დენისს.

— სიტყვა აღარ დასძრათ მასზე! თვალითაც აღარ დამანახოთ! — თქვა ქალბატონმა.

— ჩვენი დაწესებულება ყველაფერს მოაგვარებს! — აღუთქვა დენისმა.

— აქეთ მობრძანდით. სამხარეთლოში!

ტერიერი ბაჟის გვერდით, წყლის დასაწრეტ ფიცარზე დაედოთ. დენისმა ძალღი კონტეინერზე გადაიტანა.

— იქნება ხელი წამომაშველოთ! — მიუბრუნდა დენისი მისტერ ჰაინკელს. დენისმა და მისტერ ჰაინკელმა ძალღი გარეთ გაიტანეს და ფურგონში ჩადეს.

— ცერემონიალის თაობაზე ახლავე მოვილაპარაკოთ, თუ ხვალ დილით?

— ახლავე სჯობს. დილაობით არა მკალია ხოლმე. — უპასუხა მისტერ ჰაინკელმა და კაბინეტში მიიწვია.

კაბინეტში საწერ მაგიდაზე ლანგრით სასმელები დაედგათ. კაცებმა ვისკი მოსვეს.

— ჩვენი ფირმის ბროშურას ხომ არ ინებებთ? აქ ჩვენი მომსახურების ყველა სახეა ჩამოთ-

1 სკრანჩი — კრიალი (ინგლ.).

2 კიტატა ცნობილი მიძღვნიდან, რომელიც გამომცემლობამ წაუშქვარა შექსპირის სონეტებს. „ბატონ უ. პ.-ს ყოველგვარი სიკეთე და საუკუნო სიციცხლე, რაც აღუთქვა მას ჩვენმა უკვდავმა მგოსანმა“. რამდენადაც დენისისათვის ეს ასოციაცია ბუნებრივია, იმდენად წარმოუდგენელია პოლივუდელი უოლტერ ჰაინკელისათვის (უ. პ.-სათვის).

ვლილი, რა გირჩეენიათ — გადაწყვიტეთ. მიწას მივაბაროთ თუ კრემაციას ამჯობინებთ? — პკითხა დენისმა მისტერ ჰაინკელს.

- რაო, რა ბრძანეთ?
- დაეფლათ თუ დავწვათ?
- დაწვა აჯობებს.

— სხვა(ასხვა) ფორმის ურნები გვაქვს აი, ფოტოები, ამოიჩვენეთ!



— რომელიც ყველაზე საუკეთესოა, ის მიიღა!

— ფერფლიანი ურნა ჩვენი კოლუმბარუმის ნიშში შევიანახოთ თუ გირჩეენიათ შინ გქონდეთ?

- პირველად რომ თქვით, ისე იყოს!
- რელიგიურ რიტუალებზე რას იტყვიან? პასტორი გეყავს, იგი მზად არის დახმარების ნელი გამოგაწოდოთ.
- მისტერ...
- ბარლოუ!
- მისტერ ბარლოუ, მე და ჩემი მეუღლე დიდად ღვთისმოსაენი არა ვართ მაგრამ ახლა მისის ჰაინკელი ყველაფერზე თანახმა იქნება, რაც კი ანუგეშებს.

— პირველი კლასის მიხედვით დაკრძალვა ითვალისწინებს რამდენიმე უნიკალური სახის მომსახურებას. კრემატორიუმში ცეცხლის ანთების მომენტში გალიიდან პტრედს კუშვებთ ხოლმე, რაც დაღუპული ცხოველის სულის სიმბოლოდ ითვლება.

- დიახ, დიახ! კომედოვნებ მისის ჰაინკელს მტრედის ამბავი მოეწონება!
- ...თქვენი ცხოველის დაღუპვის ყოველ წლისთავზე უსასყიდლოდ გეგზავნებათ დაახლოებით ასეთი შინაარსის სამახსოვრო ბარათი: „დღეს თქვენი არტური სამოთხეში გიხსენებთ და კულის ქიციანი მოგესალმებათ“.

- ბრწყინვალე ჩანაფიქრია, მისტერ ბარლოუ!
- რაკი ასეა, აი, აქ ხელი მოაწერეთ შეკვეთას.

წამოსვლისას დენისს პოლში გავლა მოუხდა და მისის ჰაინკელის ნაღვლიანი თავის დაკერა გაიყოლა. მისტერ ჰაინკელმა დენისი მანქანამდე მიაცილა და, სასიამოვნო იყო თქვენი გაცნობა, ამ გასაპირის უამს დიდად შემეწიეთო, — უთხრა.

— ეს გახლავთ „სამოთხის ბედნიური საჩაღების“ უპირველესი მიზანი! — უპასუხა დენისმა და მანქანა დაძრა.

სამსახურში დაბრუნებისთანავე დენისმა ძალოს გვამი მაცივარში შეინახა. მაცივარი საქმად მოზრდული იყო, იქ უკვე მოეჩვენებინათ ორიოდე პატარა გვამი. სიამის კატის გვერდით ხილის წვენიით სავსე ქილა იდგა, რქვე თეფშზე სენდვიჩები დაელაგებინათ. დენისმა უანშამი მისაღებ ოთახში გაიტანა და წიგნის კითხვა ვანახლა.

თავი II

გავიდა რამდენიმე კვირა. გადაუღებლად წვიმდა. ამ პერიოდისათვის შეკვეთებმა იკლო და ბოლოს სულაც შეწყდა. ბარლოუ სამსახურით ფრიად კმაყოფილი გახლდათ. საერთოდ, ხელოვანი კაცი ინტერესთა მრავალმხრივობასა და პუნქტუალობას შესანიშნავად უთანხმებს ერთმანეთს, იგი მხოლოდ ერთგვაროვან ან დროებით სამუშაოს ვერ იტანს. ეს აზრი დენისს პირველად ომში ყოფნისას დაეხდა. მისი მეგობარი — პოეტური პიროვნება — ბოლომდე დიდი ენთუზიაზმით ეკიდებოდა თავის საქმიანობას გრენადერთა პოლკში. თვითონ დენისს კი დიდი ხანია ესიკვდილებოდა სატრანსპორტო ნაწილში სამსახური. დენისის ლექსების პირველი და ერთადერთი კრებული რომ გამოვიდა, აგი იტალიის ერთ-ერთ პორტში სამხედრო-საპაერო ძალთა მომარაგების ნაწილებში მსახურობდა. იმხანად ინგლისი მგალობელ ჩიტთა ბუდედ არ გამოდგებოდა. ლამები სულ ტყუილად იღამებდნენ თვალებს თოვლიან სივრცეთა ჭვრეტით და ახალი რუპერტ ბრუკის გამოცხადებას ამოდ ელოდნენ. ბომბების გრილისა და მისი უდიდებულესობა ინგლისის დედოფლის კანცელარიის თანამშრომელთა დახვეწილი, ყალბი მხნეობით დაწერილი პუბლიკაციების ფონზე დენისის ლექსებას კრებულმა დაახლოებით ისეთივე შაბეჭდილება მოახდინა, როგორც ოკუპირებულ ევროპაში წინააღმდეგობის ფრონტის არალეგალურ გამოცემებს ქქონდა. დენისის ლექსები აქეს და ადიდეს და ქაღალდის ხაკლებობა რომ არა, რომანივით კარგა დიდი ტირაჟითაც გამოსცემდნენ, როგორც კი „სანდი ტაიმსმა“ დენისის ლექსების

ორსვეტოანი მიმოხილვა დაბეჭდა და ამ ამბავმა კაზერტამდე მიაღწია, დენისს მაშინვე ავიაციის ერთ-ერთი მარშლის პირადი თანამშემწეობა შესთავაზეს. დენისმა თანამდებობაზე ცივი უარი ვა-
ნაკხადა და თავისსავე ნაწილში დარჩა. ლექსების კრებულისათვის დენისს სამშობლოში არა
ერთი და ორი ლიტერატურული პრემია მიანიჭეს. არმიიდან დემობილიზებული დენისი პოლი-
ვუდში ჩავიდა და შელის ცხოვრების შესახებ სცენარის ერთ-ერთი ავტორთაგანი გახდა.

„მეგალოპოლიტან სტუდიაში“ ისეთივე უაზრო ფაციფუცი იყო გამეფებული, როგორც
ქარში ენახა, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ ამ ფაციფუსს კინოსტუდიისაფუძის დამაბასრებელ-
ბელი ნერვიული დაძაბულობა აორკეცებდა. ამის მხილველი დენისი შეწუხდა, სასოწარკვეთა
დაეუფლა და გაექცა იქაურობას. ამჟამად საკუთარი ხვედრით კმაყოფილი დენისი ახალი, ღირ-
სეული პროფესიის კარგ სპეციალისტად ითვლებოდა და კმაყოფილი მისტერ შულცის ქებას
იმსახურებდა, ხოლო მისს პოსკი საგონებელში ჩავარდნილიყო.

პირველად თავის სიციცხლეში ახლა მიხვდა დენისი, რას ნიშნავს ახალი გზების გაკაფე-
მისი გზა ვიწრო იყო, უპრეტენზო — თუმცა კი ფრიად ღირსეული, — და უკიდვგანო სიერცე-
ებისაყენ მაილტვოდა.

დენისის ყველა კლიენტი პაინკლებივით ხელგაშლილი და დამკოლი როდი იყო. ზოგს
ათ დოლარად ღირებული დაკრძალვაც კი აფხრთხობდა, ზოგიც მხოლოდ პალზამს გაუკეთებდა
ხოლმე თავის ნებიერას, მეჩუ სადღაც აღმოსავლეთში მიემგზავრებოდა და საერთოდ ავიწყდებ-
ოდა ცხოველი, ერთხელ, ერთმა ქალმა მკვდარი დაბვი მთელი კვირით მაცივარში შეანახვისა,
მეჩუ საერთოდ აღარ დაკრძალა ცხოველი, ფიტუფი გააკეთებინა, დიახ, დენბისს სამსახურ-
ოებრივ პრაქტიკაში ამგვარი შეგზნელი დღეებიც იყო. თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ შიგა-
დაშიგ ასეთ დღეებს შიშპანხეს რიტუალური, თითქმის წარმართული ორგინის მსგავსი კრემა-
ციკა. ან კანარის სიტის დაკრძალვა მოჰყვებოდა ხოლმე და ერთი ციკქნა საფლავზე საზღვაო
შესაყვირენი ნალარას უკრავდნენ. კალიფორნიის შტატის კანონები კრძალავენ ადამიანის ფერ-
ელის მობნევის თვითმფრინავიდან, მაგრამ ცხოველზე საშყაროს წარმომადგენელთათვის ცის
კარი ღიაა. ერთხელ დენისს ბედმა ისე გაუღიმა, რომ წილად ერგო ხატაურა კატის ფურფლი
მიმოებნია „ჩამავალი მზის“ ბულვარის თავზე, ეს მომენტი იქაური გაზეთის კორესპონდენტმა
გადაიღო და ამ ამბავმა აგი საბოლოოდ დააკნინა საზოგადოების თვალში. დენისს ეს დიდად
არ შეუცხადებია, ამასობაში მის პოემას, კიბზე მხოხავი გველივით სიგრძეში ხან ემატებოდა
და ხანაც აკლდებოდა, თუმცა წინ კი მიიწეედა. მისტერ შულცმა ხელფასი მოუმატა, კაბუეობის
დროინდელი იარებიც უშუშდებოდა. აჟ, ქვეყნის ამ „კიდე — დასალიერში“, დენისმა ის მშვი-
დი სიხარული განიცადა, რომელიც მხოლოდ ერთხელ, ისიც ბავშვობისას რგომნო: აღდგომი
დღეს, ფეხბურთის თამაშისას დენისმა ფეხი იღრძო და ამ საპატიო ტრამვას რომ იშუშებდა, იზო-
ლატორში მწოლარეს ესმოდა სკოლის შენობაში როგორ ფაციფუცობდნენ, როგორ ემზადებოდ-
ნენ ვარჯიშზე წასასვლელად.

...დენისი, დიხაც, აღმავალი გზით მიდიოდა, მაგრამ სერ ფრენსისი წარმატებებით ეერ დაიკ-
ვეხნიდა, მოხუცი თანდათანობით კარგავდა სულიერ წონასწორობას. საჭმელსაც ველარ იო-
გებდა რიგიანად და დილაუთენია რულგამკრთალი ვერანდაზე დაბორიალობდა. ხუანიტა დელ
პაბლო თავისი მდგომარეობით მეტად გაღიზიანებული იყო და რადგანაც ამა ქვეყნის ძლიერ-
ათვის წინააღმდეგობის გაწევის თავი არა ჰქონდა, ისევ თავის ძველ მეგობარს, სერ ფრენსისს
უშრობდა სისხლს. სერ ფრენსისი დენისსლა შესჩიოდა თავის გასაჭირს. ხოლო ხუანიტას იმპრე-
სარიოს საკითხის მეტაფიზიკური მხარე უფრო აინტერესებდა: უნდოდა სცოდნოდა, ჰქონდა თუ
არა უფლება უარი ეთქმევინებინა დელ პაბლოსათვის საკუთარ თავზე ან შეიძლებოდა თუ არა
რაიმე ხელშეკრულების დადება ამ მსახიობთან, სანამ მას სხვა პიროვნებად არ აქცევდნენ. ხუა-
ნიტა სხვა პიროვნებად სერ ფრენსისს უნდა ექცია, რა ადვილად, ხელის ერთი, ჯადოსნური მოს-
მით გააცოცხლა სერ ფრენსისმა ამ ათი წლის წინათ ხუანიტას სახე: „ბილბაოს სანაპიროებიდან
მოვლენილა დაელექტროებულა მენადა!“... ახლა კი რარიგ უჭირს კელტური მითოლოგიის
სიღრმეების მოჩხრეკა და ხუანიტას ახალი ბიოგრაფიის შეთხზვა — „მურნის მთები, ფეხშიშ-
ველა გოგონა, იქაური გლეხები ფერიის შვილობილს რომ ეძახიან: მთის სულების შესაიდუმ-
ლე, აბტაჯანა, ერთხელ სახედარი ახორიდან გამოუშვა და საცოდავი ინგლისელი ტურისტები
ტყე-ლრე ახეტილა“... ყველაფერ ამას სერ ფრენსისი ხმამაღლა უკითხავდა დენისს, მაგრამ თი-
თონვე გრძნობდა, არაფრად ვარგოდა.

იგივე წაიკითხა სერ ფრენსისმა სამხატვრო საბჭოზეც, მისი მსმენელები იყვნენ: თვითონ
სახელდასარქმევი მსახიობი, მისი იმპრესარიო და ადვოკატი; იქვე ბრძანდებოდნენ „მეგალო-
პოლიტანის“ იურიდიული განყოფილების გამგე, რეკლამისა და კადრების განყოფილების გამ-

გეები და საზღვარგარეთთან ურთიერთობის განყოფილების უფროსი. პოლიტუდში მუშაობის მთელი ხნის განმავლობაში სერ ფრენსისს კორპორაციის დიდი სინდრონის უფროსი ეს მნათობი ერთად თავმოყრილი ჯერ არ ენახა. მათ ისე უარპყვეს ხუანიტა დელ პარკო ბიოგრაფიის სერ ფრენსისეული ვერსია, რომ არც ეი უკამათიათ.

— ერთი კვირა დაისვენე, ფრენს! იქნებ უკეთესი რამ მოიფიქრებ! — საჭმეს საერთოდ ვეღარ უღებ გულის! — უთბრა სერ ფრენსისს კადრების განყოფილების გამგემ.

— არა, რას ამბობთ! თათბირი ქალიან დამეხმარა. ახლა კარგად მესმის, რასაც მოითხოვთ, ბატონებო. დარწმუნებული ვარ აღარ გამიჭირდება, — უმწეოდ თქვა სერ ფრენსისმა.

— თუკი რამეს მოგვიტანთ, სიამოვნებით წავიკითხავ, — თქვა საგარეო ურთიერთობათა განყოფილების გამგემ.

სერ ფრენსისმა კაბინეტის კარი გამოიკიტა. ძლიერთა ამა ქვეყნისამ ერაუტოს გადახედეს და თავი გადააქნიეს.

— ესეც კიდევ ერთი თანაშრომელყოფილი! — დაადევნა კაბინეტიდან კასულ სერ ფრენსისს კადრებას განყოფილების გამგემ.

— ჩემი ცოლის ბიძაშვილია ჩამოსული ჩვენთან. სცადოს ბედი, იქნებ გამოუვიდეს რამე, — წამოაყენა წინადადება რეკლამის განყოფილების გამგემ.

— კარგი, სემ, სცადოს, სცადოს! — ერთბაშად დაეთანხმა ყველა.

ამის შემდეგ სერ ფრენსისი რამდენიმე დღე შინ იჯდა. სტუდიიდან ყოველდღე მოდიოდა სტენოგრაფისტი ქალი და მის ნაქარნახევს იწერდა. სერ ფრენსისმა მიაგრო ახალ სახელს ხუანიტასათვის და ბიოგრაფიაც შეუთხზა: — «კეთლინ ფიცბურკი — გალფეი ბლეიზერის სიამაყე! საღამოს მწუხრი ნელა ეშვება ამ პირქუში მხარის ციციბო კლდეებზე. მეძებრებით გარშემორტყმული კეთლინ ფიცბურკი ეულად დგას შორს ფიცბურკის კოშკის ნანგრევებიდან...»

ერა მშვენიერ დღეს სტენოგრაფისტი ქალი აღარ გამოჩნდა. სერ ფრენსისმა სტუდიაში დარეკა. ხან ერთ განყოფილებასთან შეაერთეს და ხანაც მეორესთან, სანამ ბოლოს ვილაციის ხმამ არ განუცხადა: მისს გავროკორდატო მაყურებელთან კონტაქტის განყოფილებაში გადავიყვანეთ. დიან. სერ ფრენსის, დიან! ასე გვიბრძანეს!

— კი, ბატონო, მაგრამ სხვა ვინმე ხომ უნდა გამომიგზავნოთ?

— ამყამად გერაგინ მოგვიხელთებია, სერ ფრენსის!

— გასაგებია! გამიჭირდება, მაგრამ რაკი სხვა გზა არ არის, მანდ მოვალ და სამუშაოს სტუდიაში დავამთავრებ, იქნებ მანქანა მიინც გამომიგზავნოთ?

— ახლავე მისტერ ვან-გლუკთან შეგაერთებთ!

ისევე დაიწყო სერ ფრენსისის გადართვა-გადმორთვა ერთი კაბინეტიდან მეორეში, სანამ ყურმილში ვილაციამ არ თქვა, სატრანსპორტო განყოფილება გისმენთო, სერ ფრენსისის თხოვნა რომ მოისმინა, ხმამ უქასუხა: — არა, სერ ფრენსის, არ შემიძლია! ძალიან ვწუხვარ, მაგრამ ამყამად არც ერთი მანქანა არ არის თავისუფალი!

სერ ფრენსისმა მხრებზე მეფე ლირის წამოსასხამის კირთი იგრძნო. იგი სტუდიაში ტაქსით მივიდა. შესასვლელში მჯდარ გოგონას რატომღაც ჩვეულებრივზე ოდნავ ნაკლები ზრდილობიანობით დაუკრა თავი.

— დილა მშვიდობისა, სერ ფრენსის! რით შემიძლია გემსახუროთ?

— გმადლობთ, არაფერი არ მინდა?

— ვინმეს ხომ არ ეძებთ?

— არა, არავის!

მფლიტტე გოგონამ გაოკებით შეხედა სერ ფრენსისს!

— ზევით აღიხართ?

— ამას რა კითხვა უნდა? შესამე სართულზე ამიყვანე!

სერ ფრენსისმა ნაცნობი, უღიმღამო დერდფანი გაიარა და თავისი კაბინეტის კარი შეაღო. მოწყვეტით შეჩერდა. მის მაგიდასთან ვილაც იჯდა.

— მაპატიეთ, შემეშალა! როგორ დამემართა! სხვა დროს არ მომსვლია. — თქვა სერ ფრენსისმა, უკან გამობრუნდა და კარი გამოიხურა. გამოხურულ კარზე წარწერა გულდასმით შეათვალიერა. კარს მისი კაბინეტის ნომერი ჰქონდა. არა, არ შეწყდარა! მამ, რატომ მიუკრავთ «ლორენცო მედიჩი» იმ ადგილას, სადაც მთელი ოცი წელიწადი, — მას შემდეგ, რაც სასცენარო განყოფილებიდან გადმოვიდა, — მისი გვარი ეწერა?

სერ ფრენსისმა ისევე შეაღო კარი.

— იციო, აქ აღბათ რაღაც გაუგებრობა!

— არ არის გამორიცხული — მხიარულად უპასუხა მისტერ მედიჩი, — აქ ყველაფერი თავდაყირა მეჩვენება. თითქმის მთელი კვირა ამ ოთახიდან ხარახურის გამოყრას მოვლენდი. ნაგვით იყო სავსე, თითქოს ვიღაცას ეცხოვროს. რა ნაგავი აღარ იყო! წამლები, წიგნები, ფოტოსურათები, ბავშვის სათამაშოები. ეს ყველაფერი თურმე ერთ ბრიტანულს ეკუთვნოდა. რომელიც აქედან მიაბრძანეს.

— მე ის ბრიტანელი გახლავართ და როგორც ხედავთ, არსადაც არ მჩუქობდნენოც არს.

— მიხარია, გულით მიხარია! მგონი ისეთი არაფერი გამოყოფილია ნაგვისათვის, რაც თქვენთვის ძვირფასი იქნებოდა. იქნებ ჯერ არც გადაუყრიათ.

— ახლავე ენახავ ოტო ბაუმბაინს!

— ეგეც დიდი დამთხვეული ვინმეა, მაგრამ არა მგონია თქვენი ძველშანების ამბავი იცოდეს. ყველაფერს დერეფანში გავუძახე, იქნებ დამლაგებელმა ვითხრათ რამე...

სერ ფრენსისი დერეფანს დაუყვდა და დირექტორის შაადგილის კაბინეტში შევიდა.

— მისტერ ბაუმბაინი ახლა თათბირზეა, უუთხრა, დაგირეკოთ?

— არა, დაველოდები.

სერ ფრენსისი შოსაიდელში სკამზე ჩამოჯდა. მბუჭდავი ქალები ტელეფონით გაუთავებლად ლაპარაკობდნენ უაღრესად ინტიმურ თემებზე. როდის, როდის მისტერ ბაუმბაინიც შენოვიდა.

— შენა ხარ, ფრენკ! კარგი ჰქვნი რომ შემოგვიარე! უოჩაღ, უოჩაღ! არა, მართლა! ძალიან მიხარია! ზშირად შემოგვიარე ხოლმე, ფრენკ!

— შენთან საქმე მაქვს, ოტო!

— ახლა არა მცალია ფრენკ! რას იტყვი, მომადელო კვირას რომ დაგირეკო?

— ეს-ეს არის ჩემს კაბინეტში ვინმე მედიჩი აღმოვაჩინე.

— ჰო, ასეა, ფრენკ! მაგრამ მედიჩი კი არა, მედისი. თვითონ ასე გამოთქვამს თავის გეარს. შენ ისე აგდებულად ახსენე, თითქოს ვიღაც ვიგინდოო იყოს, სინამდვილეში მისტერ მედიჩი ბრწყინვალე ახალგაზრდაა. ძალზე სუფთა და პირდაპირ შესანიშნავი ანეკტა აქვს. ძალიან არტული ვიქნები, თუ საშუალება მომეცემა და ერთბაშად გაგაცნობთ.

— ძალიან კარგი, მაგრამ მე სადღა დაგვადე?

— გთხოვ, გამიგო, ფრენკ! მეც ძალიან წინდა ამ საკითხზე გელაპარაკო, მაგრამ ახლა არასგზით არ შემიძლია. მართალი არა ვარ, ჩემო ფისუნო?

— არ გცალიათ, მისტერ ბაუმბაინ, რასაკვირველია, არ გცალიათ! — კვერი დაუქრა მისტერ ბაუმბაინს ერთ-ერთმა შლივანმა.

— აი, ხომ გესმის, ფრენკ! წუთითაც კი არა მაქვს მოცლა. იცი, რას გეტყვი, საყვარელო? — მიმართა მან შლივან ქალს. — მოდი, სერ ფრენსისს მისტერ ერიქსონთან მოუყვარახქინე შეხვედრა.

ასე უა ამრიგად იხილა სერ ფრენსისმა მისტერ ერიქსონი და მისგან ჩრდილოელი კაცის მოურიდებლობითა და პირდაპირობით შეიტყო ის, რასაც თვითონაც ეკვე კარგა ხანია ხვდებოდა: სახელდობრ ის, რომ მის ხანგრძლივ მოღვაწეობას „შეგალობოლიტან ფინქერს ინკორპორეტიდის“ სასიკეთოდ ბოლო მოეღო.

— უბრალო ზრდილობა მოითხოვს თავის დროზე მკოდნოდა ამის თაობაზე. — ძლივს ამოღერდა სერ ფრენსისმა.

— შეტყობინება უკვე გამოგიგზავნეთ, მაგრამ ალბათ სადმე შეაყოვნებდნენ; ხომ იცით, როგორც ხდება საერთოდ. ათასი განყოფილება უნდა მოიაროს ქალაქში: იურიდიული, საფინანსო და საწარმოო კონტლიქტებისა. არა მგონია, თქვენს საქმეს რაიმე დაბრკოლება შეექმნას. საბედნიეროდ. პროფკავშირის წევრი არა ხართ. ზოგჯერ ეს სამკუთხედი უკმაყოფილებას გამოთქვამს, როცა კადრების უთავბოლო მოწვევა სდება, როცა ევროპიდან ან ჩინეთიდან ჩამოვიყვანთ სპეციალისტებს და მერე ერთ კვირაში ავტოკრავთ ხოლმე გუდა-ნაპაღს. თუმცა ეს თქვენ არ გეხებათ. თქვენ სარეკორდო დროის განმავლობაში გვემსახურეთ, მგონი, ოცდახუთი წელი, არა? თქვენს ხელშეკრულებაში საშობლოში დასაბრუნებელ პილეთზეც კი არაფერია ნათქვამი. ასე რომ თქვენს განთავისუფლებაზე ადვილი არაფერია.

მისტერ ერიქსონის კაბინეტიდან გამოსულმა სერ ფრენსისმა უკანმოუხედავად დატოვა ეს სკისავით აზუზუნებული შენობა, რომელსაც უილბურ კ. ლუთის სახელობის შემორიალური ბლოკი ეწოდებოდა. ჰოლავუდში რომ ჩამოვიდა, ეს შენობა არც კი არსებობდა. უილბურ კ. ლუთიც ცოცხალი იყო მაშინ. ერთხელ სერ ფრენსისს ხელიც კი ჩამოართვა. სერ ფრენსისი ამ შენობის დაბადების მომსწრე იყო. მაშინ იგი ბრწყინვალე თუ არა, ერთ-ერთ მნიშვნელოვან

ფიგურად მაინც ითვლებოდა პოლიცედში. მომსწრე ყოფილა, როგორ იკავებდნენ და ტოვებდნენ კაზინეტებს მავანნი და მავანნი, როგორ იცვლებოდა წარწერები კარებზე უნახავს თანამშრომლების მიღებაც და მათი გასტუმრებაც. ახსოვს, როდის მოვიდნენ თვით მისტერ ერიქსონი და ბაუმბაინი. ხოლო სხვანი მრავალნი — რომელთა გვარები მუხსნიერების აღარ შემორჩა — როგორ წავეიდნენ. ახსოვს საცოდავი ლეოც, რომელმაც დიდ წარმატებას მიაღწია, მაგრამ ბოლოს ისე მოკვდა, სასტუმროს ვალიც კი ვერ გაისტუმრა.

— ნახეთ ვისაც ეძებდით? — ჰკითხა სერ ფრენსისს ვესტიბიულში მავიდასთან მჯდარმა ვოგონამ.

სერ ფრენსისი მზით განათებულ ქუჩაში გავიდა.



სამხრეთ კალიფორნიის მიწაზე ბალახი კარგად ვერ ხარობს. ბალახი კი როგორც მოგესვენებათ, კრიკეტის განვითარებისათვის აუცილებელი პირობაა. ამ სპორტივთ კლუბის მხოლოდ რამდენიმე ახალგაზრდა წევრი იყო სინამდვილეში დანტერესებული. უმრავლესობისათვის კლუბს ისეთივე მცირე მნიშვნელობა ჰქონდა, როგორც თევზით ვაჭრობას ან ხარაზობას აქვს ლონდონის სიტის გილდიის კომპანიისათვის. კლუბი მათთვის ინგლისური წარმოშობის სიმბოლო იყო მხოლოდ. აქ აგროვებდნენ ისინი შესაწირავებს წითელი ჯერის სასარგებლოდ, თავისუფლად გრძნობდნენ თავს და თავიანთ პატრონთა და მფარველთა თვალსა და ყურს მოცილებულნი თავისუფლად ენაჭარტალობდნენ რაზედაც მოესურვებოდათ. სწორედ ამ კლუბში შეჰყარა ინგლისური სათვისტომოს წევრები სერ ფრენსისს პინსლის მოულოდნელმა სიკვდილმა, აქ იხმო ყველა სამგლოვიარო ზარმა.

- პირველად ბარლოუმ ნახა!
- აბა, ბარლოუ? მეგალოში რომ მუშაობს?
- რომ მუშაობდა! ხელშეკრულება გაუთავდა და აღარ განუახლეს. შერე...
- ვაცი, ვიცი! სამარცხვინო ამბავია!
- სერ ფრენსისს არ ვიცნობდი. მისი ვარსკვლავი ჩემს ჩამოსვლამდე ჩაესვენა.
- იცის ვინმემ, რატომ მოიქცა ასე?
- არც მას გაუგრძელეს ხელშეკრულება.

ეს სიტყვები ყველა იქ მყოფთათვის ავბედითად ეღერდა. ამ საბედისწერო სიტყვების წარმოთქმისას მალულად ან ხის რაიმე ნივთს უნდა შეხებოდნენ ან თითები გადაეჯვარდინებინათ. უმჯობესია, საბიფათო სიტყვა სულაც არ გადმოხსცილდეს ბაგეს. ყველა მათგანის სიციცხლე ხომ ხელშეკრულების დადების დღიდან იწყება და მისი ვადის გასვლით მთავრდება! იშის იქით დროის შეუცნობელი უკიდვგანო უდაბნოა გადაშლილი.

— სერ ემბროუზი რატომ აგვიანებს? უთქვამს, ამ საღამოს აუცილებლად მოვალა.

როგორც იქნა, სერ ემბროუზიც გამოჩნდა. უკვე მოესწრო სპორტიული ქურთუკის სალილეში კრების სამგლოვიარო ბაფთის გაკეთება. გვიანი იყო, მაგრამ შეთავაზებულ თინჯან ჩაიზე უარი მაინც არ უთქვამს. შერე ღრმად შეისუნთქა მოლოდინით სულისშეტუთვიმდე დამძიმებული ჰაერი და დაიწყო:

- უეჭველია, უკვე ყველამ იცით, რაც დაემართა საცოდავ ფრენკს. ჩუჩჩული.
- საწყალი! ძალზე ცუდად წაუვიდა საქმე ბოლო დროს. პოლიცედში ჩემს მეტი კაცი არ დარჩენილა, ვისაც ფრენკის წარმატებათა ამბავი ახსოვს. კაცურ კაცად ვიცნობდით!
- ჯენტლმენი და განსწავლული პაროვნება იყო!
- ჰეშმარიტად! თანაც იგი ამერიკის კინო-წარმოებაში მოსული კეთილშობილი წარმოშობის პირველი ინგლისელი გახლდათ. დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ მან ამოაშენა ის სამარცხველი, რომელზედაც მე. — ჩვენ ყველანი, — ეკმნიდით და ვაშენებდით. ის იყო ჩვენი პირველი ელჩი ამ მიწა-წყალზე.
- ჩემი ორმა რწმენით „მეგალოს“ მისთვის ხელი არ უნდა ეკრა.

1 სიტის გილდიის კომპანია — სავაჭრო კომპანია, რომელიც ჩამოყალიბდა ერთ-ერთი გილდიისაგან (მათ განსაკუთრებული ფორმის ტანსაცმელი ჰქონდათ).

— ფრენკის ხელფასი კომპანიას დიდ ტვირთად არ დააწვებოდა. იმ საცოდავს დიდი ხნის სიცოცხლე ისედაც აღარ ეწერა, რა ბევრი დაუჯდებოდათ მისი შენახვა!

— აქ აღამიანები დიდხანს ცოცხლობენ!

— აჰ! საქმე მართო ფულს როდი ეხება. მიზეზი სხვაც იყო. — სერ ემბროუზმა ერთხანს იყუჩა. მერე ოდნეუ ყალბი, შემპარაფი ხმით განაგრძო: — ვფიქრობ, უმჯობესია ყველაფერი გითხრა. ეს ისეთი საქმეა, ყველა ჩვენგანის ცხოვრებაზე მოახდენს გავლენას. ბოლო წაწვევში ფრენკს ხშირად ვეღარ ნახულობდით. მე კი ვხვდებოდი ხოლმე; წესად მაქვს ყველა აქ მცხოვრები ინგლისელი თვალქვეშ ვიყოლიო. როგორც მოგეხსენებათ, მან ერთი ახალგაზრდა ინგლისელი შევივრდომა, სახელად დენის ბარლოუ.

კლუბის წევრებმა ერთმანეთს გადახედეს — ზოგმა ვიცითო, ზოგმაც საგონებელში ჩავარდნილმა.

— ცუდად არ განიგოთ, ბარლოუს საწინააღმდეგო არაფერა მაქვს! აქ რგი კარგი პოეტის რეპუტაციით ჩამოვიდა. მაგრამ რას იზამ, ალბათ ბედმა არ გაუღიმა; ამის გამო, რა თქმა უნდა, ვერ ვუსაყვედურებთ. აქ ყველას ძნელი გამოცდა ელის. მხოლოდ საუკეთესონი არ იჭრებიან. ბარლოუ ჩაიჭრა. მისი ამბავი გავიგე თუ არა, მაშინვე გულახდლად ვურჩიე, აქაურობას გასცლოდა. ეს თქვენდამი მოვალეობის გრძნობამ მიკარნახა. რა საქაროა პოლიფუდში ღარიბი ინგლისელები ირეოდნენ. ასეც ვუთხარი, მიუკიბ-მოუკიბავად და პატიოსნად — როგორც ინგლისელმა ინგლისელს. უმრავლესობამ იცის რა ჩაიდინა ბარლოუმ ამ საუბრის შემდეგ: ცხოველთა დამკრძალავ ბიუროში დაიწყო მუშაობა. ვთქვალ, აფრიკაში ჩასულმა ინგლისელმა უღირსი საქციელი ჩაიდინა. მას ადგილობრივი ხელისუფალნი სასწრაფოდ ინგლისში აბრუნებენ. სამწუხაროდ, ჩვენ ასეთი უფლებამოსილებები გვაქვს. დიახ, სამწუხაროა, რომ არ გვაქვს! ერთის მიერ ჩადენილი სისულელე ყველას ჩირქს გვცხებს. არა მგონია ფრენკი „მეგალოდან“ დაეთხოვათ, სხვა ყველაფერს დენისის ამბავიც რომ არ დამატებოდა. ვაიგეს, ვისთან ერთადაც ცხოვრობდა, ვაიგეს, რომ დენისი ცხოველთა დამკრძალავ ბიუროში მუშაობდა და... თვითონ განსაჯეთ, ჰქინდათ კი სხვა გამოსავალი? ჩემზე უკეთ მოგეხსენებათ, რა თვალთუყურებენ ამგვარ ამბებს. ჩვენი ამერიკელი კოლეგებისადმი არავითარი საყვედური არ გვეთქმის. ისინა არავის არაფერში ტოლს არ უდებენ, მსოფლიოში უძლიერესი კინო-ინდუსტრია შექმნეს. ესაა მხოლოდ, მათ საკუთარი ეტალონები აქვთ! რა უფლება გვაქვს, ამის გამო ვაეკიბოთ ისანი? კონკურენციის გამო იძულებული არიან პიროვნება მხოლოდ ისე შეაფასონ, რამდენიც იგი სინამდვილეში ღირს. ყველაფერი რეპუტაციაზე დამოკიდებული, „უასადზე“ — როგორც აღმოსავლეთში ამბობენ! თუ რეპუტაციას დაკარგავ, ყველაფერს უნდა გამოეთხოვო. მეტი რომ არაფერი ვთქვალ, ფრენკმა რეპუტაცია დაკარგა. პირადად ახალგაზრდა ბარლოუ ძალიან მეცოდება. მის ადვილას ყოფნას არ ვისურვებდი. ახლა სწორედ იქიდან მოვდივარ. ვიფიქრე, უსათუოდ უნდა ენახო-მეთქი, იმედი მაქვს არ დაივიწყებთ, რომ მისი უპირველესი მტერი გამოუცდელობა იყო, თან სხვისიც არა სჯეროდა..

— დაკრძალვის მთელი თადარიგი მას მივიანდე. პოლიცია საცოდავი ფრენკის ნეშტს გადმოგვცემს თუ არა, დენისი მაშინვე „მოჩურჩულე ველში“ წავა. ჩემი აზრით საქარო იყო რაღაცა საქმე მიგვეცა მისთვის. გული ხომ უნდა გადააყოლოს! თანაც მსგავს შემთხვევებში აქაურებს ჩვენი ერთსულოვნება უნდა ვუჩვენოთ, პირი არ უნდა შევირცხვინოთ. იქნებ ჭიბუკების მოჩხრეკაც დაგვკირდეს. არა მგონია, საცოდავ ფრენკს რამე დარჩენოდეს. გაღებულნი ფული დაკარგულად არ ჩაითვლება, თუკი ჩვენს პრესტიჟს კინომრეწველობის უფალთა თვალში რაიმეს წაუმატებს. ეაშინგტონს დავუკავშირდი და დაკრძალვაზე ჩვენი ელჩის გამოგზავნა ვითხოვე. ეტყობა, ვერ მოახერხებენ. კიდევ დავრეკავ. ამას დიდი მნიშვნელობა ექნება. ჩვენს ერთსულოვნებას და დარაზმულობას რომ დაინახვენ, სტუდიებიც აღარ გაგვიდგებიან განზე.

სანამ სერ ემბროუზი დაპარაკობდა, მზე ბუჩქებით დაფარულ გორაკის მოედარა. ცა ისევ განათებული იყო, მაგრამ სიბნელე უკვე მოხობავდა კრიკეტის სათამაშო მინდვრის გადატრუსულსა და შეთხელებულ ბალახზე და თან გამჭოლავი სიცივე მოჰქონდა.

თავი III

დენის ბარლოუ მგრძნობიარე ახალგაზრდებს უფრო მიეკუთვნებოდა, ვიდრე ღრმა განცდიან მქონეთ. თავისი ცხოვრებას ოცდარვა წელი მან ძალადობის გვერდიგვერდ გაატარა. იგი იმ თაობის წარმომადგენელი იყო, რომელსაც სიკვდილთან პასტორისებური დამოკიდებულება სია-

მოენებს. დენისმა თავის სიკოცხლეში პირველად იმ დილით ნახა მიცველებული ახლოდან, როცა ლამის ცვლიდან დაბრუნებულსა და დაღლილს სერ ფრენისი ძელზე დაკიდებული დაუხვდა. სურათი შემაპრწყუნებელი იყო, მაგრამ დენისის გონებამ მომხდარი ფაქტი ისე აღიქვა, როგორც ერთხელვე დადგენილი წესისა და რიგის მორიგი. გამოვლენა, სხვაეჭვებთან უმარბერი ეპოქის ადამიანისათვის ასეთ აღმოჩენას შეიძლება მთელი ცხოვრება შეეტრიალებინა. სხვათაათვის კი ეს შემთხვევა ისეთი რამ გახლდათ, რასაც (საგანთა არსებული მდგომარეობისა გამო) იგი თითქოს მოელოდა კიდევ. ამიტომაც „მოჩურჩულე ველისაჲენ“ მიმავალი დენისი სასიამოვნო აღელვებასა და ცნობისმოყვარეობას უფრო მოეცვა, ვიდრე ძრწოლას.

ამ დიდი ნეკროპოლისის სახელი ჰოლივუდში ყველას პირზე ეკერა და დენისსაც უთვალავ-ქერ სმენია. ადგილობრივი გაზეთები ყოველთვის იტყობინებოდნენ როცა „მოჩურჩულე ველი“ რომელიმე წარჩინებულ გვამს განსაკუთრებული პატივით კრძალავდა ან როცა ეს ორგანიზაცია ახალ შედეგს შემაჯგბდა თავისი მოდერნისტული ხელოვნების საგანძურს. ბოლო ხანებში ამ დაწესებულებებისადმი ინტერესი დენისს უფრო მეტად გაუცხოველდა, პროფესიული გაუხდა. „სამოთხის ბედნიერი სანახები“ „მოჩურჩულე ველის“ მოკრძალებული კონკურენციის მიზნით იყო ჩაფიქრებულ-დაარსებული. ქარგონი, რომელზეც ახლა ბარლოუ სამსახურში ლაპარაკობდა, „მოჩურჩულე ველის“ თავანკარა და ამაღლებული სტილის ვარიაციას წარმოადგენდა. მისტერ შულცს არაერთხელ აღმოხდენია დაკრძალვის ცერემონიალის შემდეგ: ასეთი დაკრძალვა თვით „მოჩურჩულე ველსაც“ პატივს დასდებდათ.

დენის ბარლოუ. — პოეტი და ნებიერ პირუტყვთა მესაფლავე — „მოჩურჩულე ველის“ მოოქროვილ ალაყაფში ისე შეგრიალდა, თითქოს ვატიკანში პირველად მიმავალი მისიონერი მღვდელი ანდა ეიფელის კოშკის სანახავად მოსული ეკვატორული აფრიკის უმაღლესი რანგის ბელადი ყოფილაყოს.

ალაყაფის კარები უზარმაზარი იყო, მსოფლიოში ყველაზე დიდი და ახლად მოოქროვილი. წარწერა გვამცნობდა. ევროპაში არსებული მსგავსი დაწესებულებანი უფრო მოკრძალებული ზომების განლაყო. კარს მიღმა ოქროსფერი ურთხელი, მოკირწყლული ფართო გზა და შეკრებილ-შელამაზებული მღელღ მოჩანდა, რომელზედაც გადაშლილი წიგნის ფორმის მქონე მარმარილოს მასიური კედელი აღემართათ და ზედ ოცდაათსანტიმეტრიანი ასოებით დაეწერათ.

ხ ი ლ ვ ა

„...და ვიხილე სიზმარი იგი. მეზმანა უცხო რამ, ქმნილი ბედნიერებისათვის. ხოლო იქ, განგებისა და ხელოვნების მიერ ადამიანის სულის ასამაღლებლად შექმნილ სასწაულთა შორის, თვალი ვკიდე ნეტარხსენებულთა ბედნიერ ნავსაყუდელს. და ვიხილე აჰვისი ეამის მომლოდინენი! ისინი ვიწრო ნაკადულის წაპირას დგანან, ნაკადულისა, რომელიც მათ უკვე წარსულთაგან განაცალკევებს. ყველა ბედნიერია, დიდიც და პატარაც — ბედნიერნი არიან მშვენიერებით გარემოსილნი, ბედნიერნი არიან იმის შეგნებით, რომ მათი სულმნათი ნეტარხსენებულნი მათ სიახლოვეს იპყოფებიან, აღესილნი იმგვარი სიმშვენიერითა და ბედნიერებით, რაიც მიუწვდომელია მიწიერი არსებობისათვის.

და მესმა ღაღადისი: ჰქმენ ესე!
და გაჰქრა ხილვა! ხოლო შთამაგონა ამა გამოცხადების ნათელმა ძალმა შემექმნა იგი — „მოჩურჩულე ველი“.
მაშ, შთამოდი, მგზავრო, და ჰპოვე სავანე შენი!“
ბოლოში კურსივით უზარმაზარი ფაქსიმილე ამოეტვიფრათ.

უილგორ კენუორთი
ნ ა თ ი ლ მ ხ ი ლ ვ ე ლ ი

იქვე გვერდით ხის უბრალო დაფა იდგა, რომელზედაც წაეწერათ, ფასების თაობაზე აღნიშნისტრაციულ შენობაში იკითხეთო; გზის ჩვენებაც არ დავიწყებოდათ: იარეთ სულ პირდაპირ!

დენისმაც პირდაპირ გასწია. გადაჭრა ამწიანებული პარკი და სულ მალე ღვაღწინ ისეთი სურათი გადაეშალა, ინგლისში რომ ყოფილიყო, იფიქრებდა, მეფე ედუარდის დროინდელი ბანკარის საზაფხულო რეზიდენციაში მოეხვდიო. მცენარეებით დაბურთული, ფრონტონიანი შავ-

1 ნეკროპოლისი (ბერძ.) მკვდართა ქალაქი.

თეთრი შენობა ფიგურული საკვამურებითა და რკინის ფლუგერებით იყო დამრეკენებული. ბარლოუმ თავისი მანქანა სხვა მანქანებს ამოუყვება ვვერდით და ბზის ბუჩქებით მოარშობულ ბილიკს თუხით გაუყვია. სამკურნალო, მკენარეების დატბორილ ბაღს, მზის საათს, ქვის სკამსა და სამტრედეს ჩაუარა. მის ყურთასმენას ყოველი მხრიდან მუსიკის ნაზი ხმები სწვდებოდა. ბაღის სხვადასხვა კუთხეში დადგმულ შენიღბულ განადლიერებლებიდან მთელს ყრვემარულს უფიქრობდა „ინდური სატრფიალო მელოდია“, რომელსაც ორდონზე ასრულებდნენ.

„მეგალოპოლიტან სტუდიაში“ ახლად მისულმა ბარლოუმ სტუდიის ტერიტორიის დათვალიერებისას ძლავს ირწმუნა, სხვადასხვა სტილისა და მანერის ქუჩები და მოედნები სინამდვილეში მხოლოდ მობათქაშებული ფასადები რომ იყო, უკანიდან რომ შემოგვევლოთ. კედლების ნაცვლად აფიშების გასაკრავი ფირფიცრები რომ შეგარებოდათ ხელში. „მოჩურჩულე ველში“ სრულიად საწინააღმდეგო ილუზია იქმნებოდა. დენის ბარლოუს არ სჯეროდა, რომ მის წინაშე აღმართული შენობა სამგანზომილებიანი და მაშასადამე ნაძვლილი იყო. იქნებ ამიტომაც „მოჩურჩულე ველის“ ყველა კუნკულში ძნელად დასაჯერებელი რეალობის შემწედ ნახატიანი წარწერები მოეშველიებინათ. ერთ-ერთი წარწერა იტყობინებოდა: „ძველი ინგლისური ფეოდალური მამულის ეს ზუსტი ასლი, ისევე როგორც „მოჩურჩულე ველის“ სხვა შენობები, აგებულია უმადლესი ხარისხის ფოლადისა და ბეტონისაგან. საძირკველი კლდეზეა ამოყვანილი. შენობა ცეცხლგამძლეა. მისთვის არც მიწისძვრაა საშიში და არც... იყოს ხსენება მათი უკუნისით უკუნისამდე, ვინც სახელი თვისი სამუდამოდ ჩაწერა „მოჩურჩულე ველის“ ანალებში“.

გამოტოვებული ადგილის შესავსებად უკვე მუშაობდნენ. დენისი ამოშლილ სიტყვას დაავიერდა, დაფაზე კვალი დარჩენილიყო და ამოკითხვა შეიძლებოდა. „აფეთქების“ სანაცვლოდ „ტომურ აფეთქებას“ წერდნენ.

მუსიკა ყველგან სდევდა დენისს, ერთი სკვერიდან მეორეში მიაცილებდა. „მოჩურჩულე ველის“ ადმინისტრაციულ კორპუსამდე მისასვლელად დენისს ყვავილების მაღაზიის სალონში უნდა გაევიღო. შეამჩნია, დახლზე დაწყობილ იასამნებს ახალგაზრდა ქალი სუნამოს აკურებდა. ნეორე ტელეფონით ლაპარაკობდა: „...ო, მისის ბოგოლოვ! ძალიან ვწუხვარ, მაგრამ დახმარება არ შემიძლია! თქვენ ისეთ რამეს ითხოვთ. რასაც, „მოჩურჩულე ველის“ მომსახურება არ იოვალისწინებს. ნათელმზილველს არ მოსწონს გვირგვინები და ჭვრები, ცოცხალ ყვავილებს ამჯობინებს. ეს თვით ნათელმზილველის იდეაა. დარწმუნებული ვარ თვით მისტერ ბოგოლოვსაც ნოეწონებოდა ეს აზრი. მისის ბოგოლოვ, იქნებ უმჯობესი იყოს ყველაფრის მოგვარება ჩვენ მოცულობით. თქვენ მხოლოდ ის გვითხარით, რამდენს გადაიხდით, დანარჩენს ჩვენ მოვაგვარებთ. კარგით, მისის ბოგოლოვ! გმადლობთ! დიდად სასიამოვნოა!“

დენისი ყვავილების სალონს გასცა, ცნობათა ბიუროს კარი შეაღო და ხის კოჭებიან საბანკეტო დარბაზში აღმოჩნდა. „ინდური სატრფიალო მელოდია“ აქაც აღწევდა და ნაზ ნაკადად იღვრებოდა მუხის მუქი პანელებიდან. ახალგაზრდა ქალი თანამშრომელთა ჯგუფს გამოეყო და დენისს შეეგება. იგი იმ ტიპის დახვეწილ, თავაზიან, ენერგიულ ახალგაზრდა ქალების მოდგმას ეკუთვნოდა. ბარლოუს ყოველ ფეხის ნაბიჯზე რომ ივდებოდნენ შეერთებულ შტატებში. მაღალ სკერდზე თეთრა კოფთა შემოკვალთოდა. კოფთის ცალ მხარეს ამოქარგული წარწერა გვაუწყებდა, რომ იგი ვახლდათ... მორგის დიასახლისი!

- რით შემიძლია გემსახუროთ?
- დაკრძალვის ამბავი მინდა მოვაგვარო!
- თქვენი?
- რა თქმა უნდა, არა! ვგაგარ მიცვალებულს?
- რა ბრძანეთ?
- მიგავს-მეთქი რამე მომაკვდავს?
- ოპ, როგორ გეკადრებათ! ჩვენი მომავალი კლიენტები ხშირად წინასწარ გვიდებენ ხელშეკრულებას. აქეთ მობრძანდით, გეთაყვა!

ქალმა დარბაზი გაიარა და ბარლოუს გეორგიანული ეპოქის გემოვნებით მორთულ ოთახში შეუძღვა.

- ინდური სატრფიალო მელოდია ბულბულის სტვენამ შესცვალა.
- ბარლოუ და მისი მასპინძელი ჩითის შპალერებიან მომცრო ოთახში ჩამოსხდნენ და მოსალაპარაკებლად მოემზადნენ.
- უპირველესად საჭიროა ძირითადი მონაცემები ჩამაწერინოთ.
- ბარლოუმ თავი წარუდგინა და სერ ფრენსისის გვარი ჩააწერინა.
- მაშ ასე. მისტერ ბარლოუ! ბრძანეთ, რა გნებავთ! ჯერ, რასაკვირველია, ბაღზამირება,

მერე კრემაცია, ანდა კრემაციის გარეშე, როგორც მოისურვებთ, ჩვენი კრემატორიუმი მეცნიერების უკანასკნელი სიტყვის მიხედვით არის მოწყობილი. კრემაცია ისეთ დიდ ტემპერატურაზე ხდება, რომ უმნიშვნელო ელემენტები სრულიად ორთქლდება. ზოგს არ მოსწონს კუბოსა და ტანსაცმლის ფერდლი მიცვალებულის ფერფლს რომ ერევა, ამიტომ ჩვეულებრივი წესით დაკრძალვას ამჯობინებენ, ჩვეულებრივი წესით დაკრძალვა ნეტარხსენებულის მიწისათვის მიბარებას გულახმობს. ურნით დაკრძალვა — ურნიზაციაა; კედელში დაკრძალვა — შურიზაცია. ამ ბოლო დროს ზოგი სარკოფაგიზაციას ამჯობინებს. ეს უკანასკნელი წესი ძალზე ორიგინალურია, კუბოს ათავსებენ პერმეტულად დაუბრუნებელ მარმარილოს ან ბრინჯაოს სარკოფაგს შიგნით და მუდმივად შესანახად მავზოლეუმის ნიშში დგამენ. სარკოფაგს ზემოდან დატანებული აქვს ჩვეულებრივი ან ფერადი მინის სარკმელი. რასაკვირველია ასეთი დაკრძალვა მხოლოდ მისთვის არის ხელმისაწვდომი, ვისთვისაც ფასს მნიშვნელობა არა აქვს.

- ჩვენ გვინდა ჩვენი მეგობარი მიწას მივაბაროთ.
- „მოჩურჩულე ველში“ სხვა დროსაც ყოფილხართ?
- პირველად ვარ.

— მაშ, ნება მიბოძეთ „ბილვის“ შინაარსი აგიხსნათ. ჩვენი პარკი ზონებად არის დაყოფილი. ყოველ ზონას თავისი სახელი ჰქვია და თვითველი ზონის შუაგულში ხელოვნების რომელიმე ნიმუშია აღმართული. სხვადასხვა ზონას, რაღა თქმა უნდა, სხვადასხვა ფასი აქვს. უფრო მეტიც: თვით ზონის შიგნით განსხვავებულია ფასები, იმის მიხედვით, თუ რამდენად ახლოს არის საფლავი ხელოვნების ნიმუშთან. გვაქვს ორმოცდაათდოლარიანი ადგილები. ასეთები მლოცვარის ზონაშია. ეს ზონა კრემატორიუმის საწყობის უკან მდებარეობს და ჩვენ ეს არის დავიწყეთ მისი ათვისება. ყველაზე ძვირია ტბის კუნძულის ახლომახლო მდებარე ადგილები. თითო ადგილი ათას დოლარამდე ღირს. შემდეგ მოდის „შეყვარებულთა ნავსაყუდელი“, იქ შუაგულში როდენას „კოცნის“ მშვენიერი მარმარილოს ასლია მოთავსებული, სასაფლაოები წყვილ-წყვილად იყიდება. თითო წყვილი 750 დოლარი ღირს. თქვენი ნეტარხსენებული ცოლიანი იყო?

- არა.
- პროფესია?
- მწერალი.

— მაშ, პოეტების კუთხე მისთვის ზედგამოჭრილი იქნება. ჩვენთან ბევრ ცნობილ სახელს შეხვდებით, ზოგი უკვე პირადად არის წარმოდგენილი, ზოგსაც წინასწარ აქვს ადგილი შეყვებითი. თქვენ, რა თქმა უნდა, იცნობთ ამგვარი ბერგსონის ნაწარმოებებს.

- გამიგია.
- სწორედ გუშინ მიუყიდეთ ადგილი მისს ბერგსონს ცნობილი ბერძენი პოეტის პომეროსის ძეგლის ქვეშ. შეგვიძლია თქვენი მეგობარი ბერგსონის გვერდით მოვათავსოთ. იქნებ გირჩევნიათ საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე ეს ზონა დაათვალიეროთ?
- ყველაფერი მინდა ვნახო.

— სანახავი, რაღა თქმა უნდა. ბევრია! გიდი ყველა კუთხე-კუჩქულს დაგატარებთ, მისტერ ბარლოუ. მანამდე ზოგი რამ ჩამაწერინეთ.

- რომელ სარწმუნოებას აღიარებდა თქვენი მიცვალებული?
- აგნოსტიკოსი იყო.
- ჩვენთან ორი თავისუფალი ეკლესია და თავისუფალი ეკლესიის რამდენიმე მღვდელი გვყავს. ებრაელები და კათოლიკები თავიანთ ეკლესიებში იხდიან წირვას.

— სერ ემბროუზ ებერკრომბი, მგონი, განსაკუთრებული პანაშვილის გადახდას უპირებს განსვენებულს.

- აჰ, ასეა სჯემ? თუ თქვენი ნეტარხსენებული მეგობარი ფილმებში მონაწილეობდა. „არდილთა სამეფოში“ უნდა დაიკრძალოს.
- მე მგონი თვითონ მას პომეროსია და მისს ბერგსონის მეზობლობა უფრო მოეწონებოდა.

— მაშინ ყველაზე მიზანშეწონილი უნივერსიტეტის ეკლესია იქნება. ეკლესიაში ცერემონიული ძალიან არ გავაქიანუროთ. თქვენი ნეტარხსენებული კავკასიელია?

- საიდან მოიგონეთ? წმინდა წყლის ინგლისელი გახლავთ.
- სწორედ ინგლისელები არიან წმინდა წყლის კავკასიელები. მისტერ ბარლოუ!... პარკის

ზონები სხედასხვა უბნებად არის დაყოფილი. სინმართმხილველმა ეს წესი თავი განსვენებულთა კეთილდღეობისათვის შექოილო. განკითხვის ეამს ადამიანები ამჯობინებენ თავისიანებით იყვნენ გარშემორტყმულნი.

— მივხვდით, რასაც გულისხმობთ! გარწმუნებთ, სერ ფრენსისი ასპროცენტრანე თეთრკანიანი იყო.

ეს რომ თქვა, დენისს თვალწინ დაუდგა სერ ფრენსისის სახება, ამ ბოლოს დროს მოსვენებას რომ არ აძლევდა. სულ თან რომ სდევდა: უსიციოცხლო, ცარიელ ტომარასავით მოშვებული სხეული, ჩალურჯებულ-ჩასისხლიანებული სახე, თვალები, ბუდეებიდან გადმოცვენას რომ ღამობდნენ; ალაგ-ალაგ ჩალურჯებული ლოყები, საბუღალტრო დავთრის მარმარილოსნაირად აქრელებულ ყდას რომ მიუგავდა. სოსისივით გასიებული, გაშავებული და კბილებშუა გამოჩრილი ენა...

— ახლა კუბოს საკითხი მოვაგვაროთ.

დიდ დარბაზში ყველა ზომისა და მასალის კუბოების გამოფენა მოეწყობო.

საიდანღაც ისევ ისმოდა ბუღბუღლის სტეგნა.

— ინტელიგენტები ორ ნაწილად გაყოფილ თავსახურს ამჯობინებენ. ასეთი თავსახურიდან მხოლოდ სხეულის ზედა ნაწილი მოჩანს.

— მოჩანს?

— დიახ, ხომ უნდა გამოეხიზონ თავისი ეამის მომლოდინენი თავიანთ ნეტარხსენებულს?

— დიახ, გასაგებია, მაგრამ ჩვენს შემთხვევაში ეს მიზანშეწონილი არ იქნება. გვამი საშინლად არის დამახინჯებული.

— თუ რაიმე განსაკუთრებულ შემთხვევასთან გვაქვს საქმე, კონსტრუქტოლოგებსაც უნდა მოეთათბიროთ. ახლაც უნდა ნახოთ რომელიმე მაიგანი და მოელაპარაკოთ. თავისი საქმის დიდი ოსტატები არიან.

დენისი არ ჩქარობდა. მან გულდასმით დაათვალიერა გასაყიდად გამოტანილი ყველა კუბო და დაასკვნა, რომ აქ გამოფენილი ყველაზე უბრალო ნიმუშიც კი სჯობდა „სამოთხის ბედნიერი სანახების“ ყველაზე ძვირფას ეგზემპლარს. 2,000 დოლარიან კუბოთა რიგს მიახლოებულ დენისს თავი ფარაონების ეგვიპტეში ეგონა. აქვე აღენიშნავთ, რომ დარბაზში წარმოდგენილ კუბოებზე უფრო ძვირფასიანებიც ჰქონდათ „მოჩურჩულე ველში“. დენისმა არჩევანი კაკლის ხის მასიურ კუბოზე შეაჩერა. კუბო ბრინჯაოს მოსართავეებით დაემშვენებინათ და შიგნიდან დალიანდაგებული ატლასი გამოეკრათ. სახურავიც ორნაწილიანი ჰქონდა.

— როგორ გგონიათ, მოახერხებენ კონსტრუქტოლოგები ნორმალური შესახედაობა მისცენ მიცვალებულს?

— გასულ თვეს ერთი მიცვალებული მოგვივიდა. ოკეანეში დამხრჩვალყო. თურმე მთელი ერთი თვე ეძებდნენ და ჭირისუფალმა საათითლა იცნო. ჩვენებმა ეს გაფიჩხებული გვამიც კი ბოარჯულეს. — უპასუხა ქალმა. მისი მაღალფარდოვანი მეტყველებიდან, აქამდე განუყრელად რომ ახლდა მის ახსნა-განმარტებებს, ნატამალიც კი აღარ დარჩა:

— ჩვენი ძმა ისე გამოიყურებოდა, თითქოს ქორწილისათვის ემზადებო. იკიან ბიჭებმა თავისი ხელობა. გინდაც ატომური ბომბი დასცემოდა, მაინც შეაკოწიწებდნენ და გაალამაზებდნენ.

— სწორედ რომ დიდი ნუგეშია!

— ჰო, მეც ასე ვფიქრობ. — უპასუხა ქალმა და კვლავ სათვალესავით მოირგო ამაღლებული პროფესიული მეტყველება.

— როგორ შემოსავთ თქვენს ნეტარხსენებულს? ჩვენ აქ სამკერვალოც გვაქვს. ზოგჯერ განსაკუთრებით ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ, ნეტარხსენებულს თავისი ძველი ტანსაცმელი აღარ ადგება. ზოგჯერაც თავისი ეამის მომლოდინენი ზედმეტ ხარჯად თვლიან ძვირფასა ტანსაცმლის საფლავში ჩატანებას. მოგეხსენებათ, კუბოში ჩასაცმელი ტანსაცმელი დიდხანს სახმარად არ არის გამიზნული. ამიტომ ასეთი სახის მომსახურება ჩვენთან ძალიან იაფი ჯდება. მით უმეტეს მაშინ, თუ ნეტარხსენებულს სხეულის მხოლოდ ზედა ნაწილი მოუჩანს და ვილკტისა და პერანგის მეტი არაფერი სჭირდება. აჯობებს მუქი ფერის მაუდი ავირჩიოთ. შავი ფერის ტანსაცმელი კარგ იონს ჰქმნის ყვავილებისთვის!

ამ ფრაზამ საბოლოოდ მოსუსხა დენისი ბოლოს ესლა მოახერხა ეთქვა:

— სერ ფრენსისი დენდი არასოდეს ყოფილა. არა მგონია, მისი ტანსაცმლიდან ამოირჩეს კუბოში ჩასაცმელად ვარგისი რამ. ჩვენთან, ევროპაში ამ მიზნით, მგონი, სუდარას იყენებენ.

— ჩვენ, რა თქმა უნდა, სუდარებიც გვაქვს! მობრძანდით, გიჩვენებთ!

მასპინძელი დენისს თაროებისაკენ გაუძღვა, თაროები საეკლესიო სამოსელის შესახებ კარადებს ჰგავდა. ერთ-ერთი თაროდან ქალმა რაღაც ვადმოიღო. დენისს მსგავსი არაფერი ენახა. ქალმა კლიენტის დაინტერესება რომ შეამჩნია, საშუალება მისცა უფრო გულმოდგინედ დაეთვალაწიერებინა. ერთი შეხედვით ეს ჩვეულებრივი, წინიდან დიღებით შეკრული კოსტუმი გეგონებოდათ, მაგრამ ზურგი ჰქონდა ჩახსნილი, სახელოები არ იყო ჩაფარდნილი. თავისუფლად იხსნებოდა, არც თეთრი მანუეტები დაეიწყებოდათ და ეიღეტის ტუტეებზეც ნაჭრით იყო ამოვსებული. საყელოსთან ბაფთა-ქალსტუხი მიეწებებინათ. საყელოც გაჭრილი იყო უკან, ეს გახლდათ მოჩვენებითობის აპოთეოზი.

— ამ სამოსის გამოგონების პრიორიტეტი ჩვენ გვეკუთვნის, თუმცა ამ ბოლო დროს ბევრი ცდილობს მოგვბადოს. ეს აზრი ვოდევილის მსახიობებმა შთაგვაგონეს: მათ ხომ წამდაუწუმ სჭირდებათ ტანსაცმლის გამოცვლა. ასეთა ფორმის ჩასაცმელი საშუალებას გვაძლევს ისე შევმოსოთ ნეტარხსენებული, რომ არ გავანძრიოთ.

- დიდებულია! ეგონებ, ჩვენ სწორედ ასეთი რამ გვჭირდება!
- შარვალიც?
- შარვალი რა როლი თამაშობს?

— ეს დამოკიდებულია იმაზე, თუ სად გამოეთხოვებიან მიცვალებულს: განსასვენებელ ოთახში თუ კუბოში ჩასვენებულს.

- ჯერ განსასვენებელ ოთახსაც მოვიჩინებ და ისე გადავწყვეტ.
- მობრძანდით, მობრძანდით!

ქალმა ბარლოუ დარბაზიდან გაიყვანა და კიბეზე აუძღვა.

ბუღბუღის სტვენა ორღანის ხმამ შესცვალა. განსასვენებელი ოთახისაკენ მათ პენდელის მგლოდიები მიაცილებდათ.

გზად მორგის დიასახლისმა თავის ერთ-ერთ კოლეგას ჰკითხა:

- რომელი ოთახი გვაქვს თავისუფალი?
- ნარგიზებიანი, — უპასუხა თანამშრომელმა.
- აქეთ მობრძანდით, მისტერ ბარლოუ!

დამუშავებული მუხისგან ნაკეთები მრავალი კარი განვლეს, სანამ ნარგიზებიანი ოთახს მიადგებოდნენ. ქალმა კარი გამოაღო და სტუმარი წინ გაუშვა. დენისი მომცრო ოთახში აღმოჩნდა. ოთახში ღია ფერის ავეჯი იდგა. შპალერიც ნათელი ფერების შეეოჩიათ. ამ ოთახს ადვილად მიამსგავსებდით თანამედროვე მდიდრული კლუბის დარბაზს, ერთი პატარა დეტალი რომ არა: ქოთნის ყვავილებით გარშემორტყმული, ჩითგადაკრული ტახტი, რომელზედაც სამეჯლისო ტანსაცმელში გამოწყობილი მოხუცი ქალი უსვენა და რომელიც ცვილისაგან ვაკეთებულს ჰგავდა. მოხუცისათვის თეთრი ხელთათმანები ჩაეცმიათ და ხელში თაიგული მიეცათ, ცხვირზეც პენსპე დაეკოსებინათ.

— აჰ, მამატიეთ! ეს რა დამემართა! შეცდომით ენძელების ოთახში მოვხვდით! — წამოიძახა ქალმა და თუმცა ყველაფერი ისედაც ნათელი იყო. მაინც განუწარტა დენისს: — ეს ოთახი უკვე დაკავებულია!

- დიახ! — უპასუხა დენისმა.

— ამ ნეტარხსენებულთან გამოთხოვება შუადღემდე არ შედგება. ნეტარხსენებულთან გამოსათხოვრად თავისი უამის მომლოდინეთა შემოშვებამდე კოსმეტოლოგები კიდევ ერთხელ ვადახედვენ ხოლმე თავიანთ ნახელავს, ამიტომ სანამ კოსმეტოლოგები წამოგვადგებოდნენ თავს, სჭობს აქაურობას გავეცალოთ. ამრიგად, ჩემი პატარა შეცდომის მეოხებით თქვენ უკვე შეგეშმნათ წარმოდგენა იმაზე, რასაც ჩვენ შეზღონებზე დასვენებულ ნეტარხსენებულთაგან გამოთხოვებას ვუწოდებთ. მამაკაცებისათვის ჰირსუფალს ვურჩევთ ნახევრად დახურული კუბო აირჩიონ, რადგან ჯენტლმენის ფეხები იშვიათად გამოიყურება ღირსეულად.

მორგის დიასახლისი დენისს გარეთ გაუძღვა.

- გამოსათხოვრად ბევრი ხალხი მოვა?
- დიახ, კეთილშობილ საცდოდ იქნებიან.
- მაშინ, უმჯობესია ისეთი სალონი შეუქვედოთ, რომელსაც წინა ოთახიც ექნება, ორქიდების სალონი ზედამოჭრილი იქნება თქვენთვის, შეუუკვეთოთ?

- კარგი იქნება!
 - შეზღონებს ინებებთ, თუ ნახევრად დახურულ კუბოს?
 - ნახევრად დახურული კუბო იყოს.
- ქალმა ბარლოუ მისაღებ ოთახში გაიყვანა.

- განსვენებულთან მიულოდნელმა შეხვედრამ ხომ არ შეგაცბუნათ, მისტერ ბარლოუ?
- გამოგიტყდებით მართლაც შევეკრით.

— დაკრძალვის დღეს სულ სხვაგვარად იქნება ყველაფერი. ნეტარხსენებულთან გამოთხო-
 ება დიდი, ძალზე დიდი ჩუგუშია თავისი გამოს მომლოდინეთათვის. თავისი გამოს მომლოდინეებს
 ნეტარხსენებულს სიცოცხლის ბოლო პერიოდში საავადმყოფოში ზედაეხ. ახლა სახლში, სასიკ-
 ვდალო სარეცელზე მიჯაჭვულს, მომაკვდავის სამყოფელის პირველ დეტალში ^{მეცხრამეტე} ^{საუბრის} ^{განხილვის}
 ტყმულს. სულ სხვაა აქ, ჩვენთან! ჩვენთან ისინი თავის ნეტარხსენებულს ისევე იმეთს იხილდნენ,
 როგორსაც კარგადმყოფობის დროს იცნობდნენ. მხნეს და ხალისიანს, ერთთავად ვარდაქმნილსა
 და ძერწეცვლილს; ჩვეულებრივი დაკრძალვისას ნეტარხსენებულთან გამოსათხოვრად მოსულ-
 სი ძლიეს ახერხებენ მიცვალებულისათვის თვალის ერთ შევლებას, მაშინვე სხვას უთმობენ აღ-
 გილს. ჩვენთან კი, განსასვენებელ ოთახში გამოთხოვება რამდენ ხანსაც ვსურთ იმდენ ხანს
 გრძელდება. საშუალება გეძლევათ სამუდამოდ ჩაიბეჭდოთ გონებაში ჩვენგან წასულის უშეგ-
 ნიერესი სახეობა.

დენისის დაკვირვებით ქალი ხან ნათელმხილველის სიტყვებით: ლაპარაკობდა, ხანაც თავისი
 საკუთარი — კოცხალი და ფრთიანი ენით. მისადებ ოთახში რომ გავიღებინ, ქალი ძალიანაც
 ბუნებრივად აღაპარაკდა.

- მაშ ასე, მისტერ ბარლოუ! რაც მიხდოდა ყველაფერი დავაზუსტე, ახლა ხელიც მოა-
 წერეთ შეკვეთას და ბე დაკვიტოვით.

დენისისათვის მოულოდნელი არ ყოფილა ეს პროცედურა. შეკვეთის მიღება „სამოსტის
 სენიერ სანახებშიც“ ყოველთვის ამგვარად მთავრდებოდა. დენისმა 500 დოლარი გადაიხადა
 და ქალს ქვითარი გამოართვა.

- ახლა კოსმეტოლოგი გელით, მისტერ ბარლოუ! რაც საჭიროა, მასაც ჩააწერინეთ. ნება
 მიბოძეთ, სანამ წიხვიდოდეთ თქვენი ყურადღება წინასწარი შეკვეთების სისტემას მივაპყრო.

- „მოჩურჩულე ველზე“ ყველაფერი მაინტერესებს, მაგრამ ეს ასექტი — ყველაზე
 სკვებად.

— ეს სიატემა ორი თვალსაზრისით: არის ხელსაყრელი — ფინანსური და ფსიქოლოგიური
 თვალსაზრისით, — დაიწყო ქალმა ისეთ კილოზე, თითქოს უაზროდ დახეპირებულ ლექსს ამ-
 ბობსო. — თქვენი ასაკის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, თქვენ ახლა ფულის შოვნის ოპტიმალური
 შესაძლებლობათა უახას უახლოვდებით. ალბათ, მომავალზეც ფიქრობთ, ფულის აბანდებთ, სა-
 დაზღვევო პოლისებს იძენთ და სხვადასხვა... ალბათ იმაზეც ფიქრობთ, ცხოვრების დასასრული
 მშვიდი და უღრუბლო გქონდეთ. ერთზე კი ალბათ არ გიფიქრიათ: ოდესმე წარმოგიდგე-
 ნიათ თუ არა, რა დიდ საზოგადოებრივ უტოვებთ თქვენს ახლობლებს თქვენი გარდაცვალების შემ-
 დგა? გასულ თვეს ჩვენთან წინასწარი შეკვეთის გასაფორმებლად ცოლქმარი მოვიდა. სი-
 ცოცხლით სავსე, ღირსეული მოქალაქენი იყვნენ, ჰყავდათ ორი, ახლად შეღერებული ქალი-
 შვილი, წინასწარი შეკვეთების გაფორმება როგორ ხდებოდა. იკითხეს, ჩვენმა დაწესებულებამ
 მათზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. რამდენიმე დღეში ხელშეკრულების გასაფორმებლად
 გამოვივლითო, გვითხრეს, მაგრამ მეორე დღეს საცენტომობილო კატასტროფაში დაიღუპნენ.
 ჩვენთან მათი დაობლებული ქალიშვილები მოვიდნენ, უნდოდათ გაეგოთ, როგორი ხელშეკრუ-
 ლება დაგვიდეს მათმა მშობლებმა, ჩვენ რა შეგვეძლო! ვუთხარი, რომ არავითარი ხელშეკრუ-
 ლება არ არსებობდა. ამრიგად ყველაზე მძიმე წუთებში საცოდავო ბავშვები სრულიად უზუგუ-
 შოდ დარჩნენ. ხომ აცობებდა შეგეძლებოდა უბედური ბავშვებისათვის გვეთქვა: „მოჩურჩულე
 ველი“ მოგესალმებათ და დახმარების ხელს გიწვდით“.

- ყველაფერი გასაგებია, მაგრამ ბავშვები არ მყავს. თანაც უცხოელი გახლავართ და აქ
 სკვდილს არ ვაპირებ.

- გეშინიათ სიკვდილის, მისტერ ბარლოუ?
- არა, არ მეშინია!

— ყოველივე შეუცნობელისადმი შიში ბუნებრივია, მაგრამ როგორც კი ამ შეუცნობელს
 მსჯელობის საგნად გახდით, საშინელი ფიქრები მაშინვე უკუდგებიან. ამას ფსიქოანალიტიკოსები
 ვასწავლიან. გამოამზუურეთ სიკვდილის ფარული შიში, ყველაფერს ჩვეულებრივის პოზიციები-
 დან შეხედეთ. მისტერ ბარლოუ! გაცნობიერეთ, რომ სიკვდილი მართა თქვენი ტრაგედია კი
 არა, ყველას ხვედრია. რა მშვენიერად წერს ჰამლეტი: „რაც კოცხალია, დაღუპვა ვლის“¹. ამ
 პრობლემებისადმი ყურადღების მიპყრობა თქვენ ალბათ საშინელებად მივაჩნით, მისტერ ბარ-

¹ დედოფლის დამაბინჯებელი რეპლიკა „ჰამლეტიდან“.

ლოუ! გარწმუნებთ. მეცნიერულმა კვლევა-ძიებებმა სრულიად საწინააღმდეგარაგად დაადასტურეს. თურმე ადამიანთა სასიცოცხლო ენერჯია უდროოდ სიკვდილის მიმართ იმრჩება და კონების შეძენის პოტენციალიც ეცემა. შიშის უკვლავების შემთხვევაში კი ადამიანი ცხოვრებისაგან უფრო მეტის მიღების იმედით ცოცხლობს. მაშ, ახლავე, სანამ ამხანაგის დროც გაქვთ და ჯანმრთელობაც ხელს გიწყობთ, ამოირჩიეთ, რა სახის მომსახურებას დასტავებდით თქვენი სიკვდილის მერე. გადაიხადეთ ფული, ხელსაყრელ შემთხვევას ხელიდან ნუ გაუშვებთ! ახლავე მოცილებთ თავიდან ყოველგვარი საზრუნავი, „მოჩურჩულე ველი“ მხად არის გვესახუროთ.

- თქვენს წინადადებას ვუღიანებით ავწონ-დავწონი.
- ბროშურას დაგიტოვებთ! ახლა კი კოსმეტოლოგს ჩავაბარებ თქვენს თავს.

ქალი ოთახიდან გავიდა და დენისის გონებიდანაც ერთბაშად ამოიშალა. სად არ უნახავს დენისის ამგვარი ყაიდის ქალები! ნეტავი როგორ არჩევნ ამერიკელი დედები თავიანთ ქალიშვილებს სხეებისაგან?! ალბათ რაღაც სხვისთვის უჭილავი ნიშნებით, ისევე, როგორც ევროპელის თვალისათვის ერთნაირი ჩინელები ანსხვავებენო ერთმანეთს, — დაასკენა დენისმა თავის გულში. მორგას დიასახლისი წყლის ორი წვეთივით ჰგავდა ერთ-ერთ იმ ქალთაგანს, ყოველი დენისის ნაბიჯზე რომ გვხვდებიან მდივნებად ან სტიუარდებსებად. იგი „სამოთხის ბედნიერი სანაქების“ თანამშრომელსაც, მისს პოსკისაც ჰგავდა. ერთი სიტყვით, იგი მასაური წარმოების უკუშარიტი პროდუქტი გახლდათ, ერთი იმათთაგანი, რომელიც შეიძლება ნიუ-იორკის გასტრონომიულ მაღაზიაში დატოვოთ და ათასი მილის დაშორებით სან-ფრანცისკოში, სიგარეტის გამყიდველ ქალში შეიყნოთ. ეს ქალები იქაურ გაზეთებში შესაშური თანმიმდევრულობითა და სისტემატურობით გამოქვეყნებულ კომიქსებს ჰგვანან. დარწმუნებული ბრძახდებოდეთ, სან-ფრანცისკოელი ეგზემპლარი სინაზის წუთებში ზუსტად იმ სიტყვებს იბუტბუტებს ან პოლიტიკაზე საუბრისას იგივე სიმპათიებსა და ანტიპათიებს გამოთქვამს, რასაც მისი ნიუ-იორკელი ორუული ჩვეულებრივ ასეთ ქალებთან ურთიერთობა მამაკაცებისათვის ძალზე ხელსაყრელია, მაგრამ რაკი დენისი ძველი ცივილიზაციის წარმომადგენელი იყო და მოთხოვნილებანიც უფრო დახვეწილი ჰქონდა, ქალი მისთვის უბირველესად იყო უკონტურო, ხელშეუხებელი განუმეორებლობა. განათებულ კარებში ჩამდგარი სილუეტი; დენისი სხეულის იმ დაფარულ მშვენიერებას ეტრფოდა, ხავერდის ტანსაცმლის ხეულებში რომ იმალება. მას არამც და არამც არ ხიბლავდა ამ მდიდარი კონტინენტის ფუფუნება, არც საცურაო აუზებში მოელვარე მაღალი წვივები ალაგზნებდა და არც პროექტორის შუქით განათებული მოხატული თეატრები თუ შეღებილი ტუჩები. ითახში შემოსული გოგონა განუმეორებელი იყო! არა, შეუცნობელი კი არაფერი ჰქონდა, მაგრამ მისი დანახვისთანავე დენისის გონებას ტალღასავით მოაწყდა შედარება: ეული ევა სტერილურსა და ნოფუტფუტე ედემში. ქალიშვილი ადამის მოდგმის აწ გადაშენებული ჭიშკა უკანასკნელ მოპიკანს ჰგავდა. მას თქვისი პროფესიისათვის შესაფერი თეთრი ხალათი ეცვა, შემოსვლისთანავე მაგიდასთან დაჯდა და საწერი კალამი ოთახიდან ეს-ეს არის გასული მორგის დიასახლისისეული პროფესიული თვითდაჯერებით მოიმარჯვა. და მაინც ეს ის ქალიშვილი იყო, ღისაც დენისი მარტობაში გატარებული მთელი წლის განზავლობაში ეძებდა: ქალიშვილს შავი თმა, სქელი წარბები და სხივმიუყარები, გამჭვირვალე კანი ჰქონდა. ტუჩები შეეღება, მაგრამ სხვა ამერიკელი ქალებივით უშნოდ როდი შეეთხიპნა! აღისფერ ქონს ტუჩების ნაზი ხაზები არ ამოევსო, მის ტუჩებში უნაპირო ხორციელი ტკობა იმალებოდა. ქალს ოვალური სახე და დახვეწილი, კლასიკური პროფილი ჰქონდა. მომწვანო, ღვთაებრივ თვალებში მოვარეულის გამონედვას დალანდავდა კაცი. ქალმა დაილაპარაკა. დენისს სუნთქვა შეეკრა: ხმა ძალზე ჩვეულებრივი აღმოაჩნდა.

- რით ვარდაიცვალა თქვენი ნეტარსენებული?
- თავი ჩამოიხრჩო!
- სახე ძალიან დაუმახინჯდა?
- საზარლად!

— ჰო, ხდება ხოლმე. ამ საქმეს ალბათ თვით მისტერ ჯოიბოი! მოჰკიდებს ხელს. მასაუება ძალიან შველის. საჭიროა ჩალურჯებული ადგილებიდან ჩაკოლტებული სისხლი ვანიდევნოს. მისტერ ჯოიბოი ამ საქმის დიდოსტატია, ოქროს ხელები აქვს.

- თქვენ, თქვენ რა გევალებათ?
- თმა, სახის კანი და ფრჩხილები! თანაც მებალზამეთ მითითებებს ვაძლევ, სხეულის პო-

1 Joyboy — მხიარული ბიჭი (ინგლ.).

ზისა და სახის გამომეტყველებს შესახებ. თქვენი ნეტარხსენებულის ფოტოსურათი ხომ არ გაქვთ? სურათი ძალიან გვეხპარება სახის აღდგენაში. ხალისიანი მობჟეცი იყო?

— არა, პირიქით!

— მშვიდი და ფილოსოფიური გამომეტყველება მივცეთ თუ მტკიცე და დაფიქრებული?

— პირველად რომ თქვით, ის აჯობებს.

— ასეთი გამომეტყველების შექმნა ყველაზე ძნელია. მაგრამ მისტერ ჯორჯის მსგავსად დახელოვნებული. „მხიარული, უღრუბლო ბავშვობის ღიმილის“ ავტორიც ისაა. თქვენს ნეტარხსენებულს საკუთარი თმა ჰქონდა თუ პარიკს ხმარობდა? სახის ფერზე რას მეტყვიით? ჩვენ სახის ფერის სამ ჯგუფს ვარჩევთ: სოფლურს, სპორტულსა და მეცნიერულს. სხვანაირად რომ ეთქვათ: ლაღლაჟას, შავგვრემანსა და თეთრს. აჰა, მეცნიერული? სათვალეც? აჰა, მონოკლი! მონოკლი ძნელი მოსარგებია სახეზე. ბუნებრიობის შესანარჩუნებლად მისტერ ჯორჯის ნეტარხსენებულებს თავს ოდნავ გვერდზე გადაუხრის ხოლმე. ასეთ პოზაში მონოკლი ან პენსნე სახეზე ძნელი დასამაგრებელია; თანაც მიცვალებულის სახეზე მონოკლი ძალზე არაბუნებრივად გამოიყურება. მაინცდამაინც მონოკლი გინდათ?

— სერ ფრენსისი და მონოკლი განუყრელი იყვნენ.

— კარგით, მისტერ ბარლოუ! ექვს გარეშეა მისტერ ჯორჯის ამასაც მოახერხებს.

— რაც შეეხება თვალებს, ნამდვილად სჯობს დახუჭული ჰქონდეს.

— ნეტარხსენებულმა თავი თოკით ჩამოიხრჩო?

— აჭიმით! თქვენთან მგონი ჩამოსაბმელს ეძახიან.

— არა უშავს! აი, თოკი წარუშლელ კვალს სტოვებს ყელზე. გასულ თვეში ერთი ნეტარხსენებული მოგვიყვანეს, თავი ელექტროგაყვანილობის მავთულით ჩამოეხრჩო თვით მისტერ ჯორჯის კი ვერაფერს ვახდა. სხვა გზა არ იყო და კისერი შეეუხვიეთ. თოკით ჩამომხვრჩალს ჩამოსაბმელით ჩამომხვრჩალი სჯობია.

— მისტერ ჯორჯის დიდ პატივს უნდა სცემდეთ!

— ნამდვილი ხელოვანია!

— თქვენი პროფესიით კმაყოფილი ხართ?

— აქ მუშაობა საპატიო საქმედ მიმაჩნია.

— დიდი ხანია აქ მუშაობთ?

დენის შემჩნეული ჰქონდა, ამერიკელები ხალისიანად უყვებიან სხვებს თავიანთ სამსახურზე. ამ კოსმეტოლოგმა კი ფარად სიტყვაძენობა იხმარა და დენისისაგან თავი შორს დაიჭირა. თვრამეტი თვეო, მოკლედ უბასუხა და მაშინვე საქმიან კილოზე დაიწყო:

— თითქმის აღარაფერი მაქვს შესაკითხი. ისეთი დამახასიათებელი გარეგნული ნიშნები ხომ არა აქვს მიცვალებულს, რის შენარჩუნებასაც თქვენ ისურვებდით? ზოგი ქირისუფალი თავის ნეტარხსენებულს ჩიბუბს უდებს პირში. იქნებ ვსურთ ხელში რაიმე ნივთი ჩაუდოთ? ბავშვებს ხელში სათამაშოებს ვაჭერბებთ. რაიმე განსაკუთრებული ჩვევა ხომ არ ჰქონია თქვენს ნეტარხსენებულს? ზოგს მუსიკალური ინსტრუმენტი მოსწონს. ერთმა ქალბატონმა კი მოისურვა ხელში ყურმილი სკეროდა და ისე გამოთხოვებოდა თავის ახლობლებს.

— არა, ეს ჩვენ არ გამოგვადგება!

— ყვავილები? პო, მართლა! პროთეზის შესახებ. თავისი კბილები ჰქონდა ნეტარხსენებულს თუ პროთეზს ხმარობდა? ზუსტად დამიდგინეთ! ზოგჯერ პოლიციის მორგში პროთეზები იკარგება. მისტერ ჯორჯის ეს ხელს უშლის მუშაობაში. თავისმკვლელო ნეტარხსენებულნი ხშირად პროთეზიანები არიან.

— სახლში მოვძებნი და თუ ვერ ვიპოვე, პოლიციაში მოვიქითხაე.

— სხვა არაფერი მჭირდება. დიდ მადლობას მოგახსენებთ, მისტერ ბარლოუ! სასიამოვნო იყო თქვენი გაცნობა.

— კიდევ როდის გნახავთ?

— ზეგ! ცოტა ადრე უნდა მოხვიდეთ, სანამ გამოთხოვება დაიწყებოდეს. თვითონ დარწმუნდით, რომ ყველაფერი ისეა გაკეთებული, როგორც თქვენ ვსურდათ.

— ვინ ვიქითხო?

— ორქიდების სალონის კოსმეტოლოგი.

— საბელი?

— საბელი საჭირო არ არის.

კოსმეტოლოგი ოთახიდან გავიდა და იმავე წუთს მორგის დიასახლისი გამოჩნდა, რომლის არსებობაც უკვე დაიწყებოდა დენისს.

- მისტერ ბარლოუ, ზონათა გიდი გელოდებათ.
- ბარლოუ ღრმა ფიქრებიდან გამოერკვა.
- არ არის საჭირო, დღეს ისედაც ბევრი რამ ვნახე.



თავი IV

დაკრძალვის ცერემონიალში მონაწილეობის მისაღებად დენისი შეფს სამსახურიდან დაეთხოვა. მისტერ შულცს ძალიან ეჯავრებოდა მუშაობის საათებში თანამშრომელთა გაშვება. ხალისი არც ახლა გამოუჩენია. ამის მიზეზი ის გახლდათ, რომ რაც უფრო მეტი ავტომობილი ჩამოდიოდა ქვეყნის საავტომობილო კონვეიერებიდან, მით უფრო მეტი ცხოველის გვამი შემოპქონდათ „სამოთხის ბედნიერი სანახების“ მორგში. პასადენაში საკმელი პროდუქტები მოიწამლა. ამის გამო მაკივარი გვამებით იყო გამოტენილი და კრემატორიუმიც დილიდან საღამომდე განუწყვეტლივ ხრჩოლავდა.

— თუ „მოჩურჩულე ველში“ გამიშვებთ, მეტად საჭირო გამოცდილებას მივიღებ, მუშაობის ახალ მეთოდებს დავაკვირდები და ჩვენთან გამოვიყენებ, — უთხრა დენისმა მისტერ შულცს იმ მიზნით, იქნებ როგორმე შევარბილო შეფის შესაძლო საყვედური.

— სულაც არ მჭირდება ახალი მეთოდები. იაფფასიანი საწვავი, დაბალი ხელფასები, გულმოდგინე მუშაობა! აი, ჩემი ახალი მეთოდები და ახალი იდეები. შეესიტყვა მისტერ შულცი დენისს და განაგრძო: — თვითონ განსაჯეთ, მისტერ ბარლოუ! მთელს სანაპიროზე ამ დარგში მართო ჩვენ ვმუშაობთ. სან-ფრანცისკოდან მოყოლებული მექსიკის საზღვრებამდე ჩვენი ყაიდის არც ერთი დაწესებულება არ არსებობს, ამავე დროს ჩვენს კლიენტებს ხუთი ათას დოლარს ხომ არ ვახდევინებთ მათი საყვარელი ცხოველების დაკრძალვისათვის. ის კი არაადა ხუთასი დოლარის გადახდაც კი არ უნდათ. დიდი-დიდი ორი კლიენტი გყავდეს თვეში. ჩვენი კლიენტები მართო იმას მოითხოვენ როგორმე იაფად გამოვიყვანო, ქალაქის მმართველობას არ ჩაუვარდეს მათი ცხოველი ხელში და ამით პატრონს თავი არ მოეჭრას. ზოგი მაინც ისეთ საფლავს შეგვიკვეთავს ხოლმე, რომ მომსახურების საფასურიანად ორმოცდაათი დოლარიც კი არ ჯდება. ომის შემდეგ აღარავინ მარხავს ცხოველს ზარ-ზეიმით. ადამიანები თვალთმაქცები არიან, მისტერ ბარლოუ! ვითომდა ცხოველები გვიყვარსო, საკუთარი შვილებივით ექცევიან, მერე, როდესაც საიდანაც გამომტყვრალი მანქანა იმ უბედურს სულს გააფრთხობინებს, დაიდგრება ცრემლების ზღვა, არის ერთი ტირილი და მოთქმა, მაგრამ საქმე საქმეზე რომ მიდგება, მეკითხებიან: მისტერ შულც, ძალიან ხომ არ შევრცხვებით, საფლავის ქვა რომ არ შევუკვეთოთო. ასეთია რეალობა, ჩემო კარგო!

— „მოჩურჩულე ველის“ ხომ არ გშურთ, მისტერ შულც?

— არც მთლად უმაგისობაა. ან კი როგორ არ შემშურდეს, როცა ვხედავ რა პატივით მარხავენ ადამიანები სიცოცხლეში საძულველ ახლობლებს. აბა, შეადარე მათი ნეტარხსენებულები ჩემს ცხოველებს. ცხოველს უყვარს თავისი პატრონი, იცავს მას, შეკითხვებით თავს არ აბეზრებს, სასაყვედუროდ ხომ კრინტსაც არ სძრავს. ცხოველისათვის სულ ერთია მისი პატრონი ღარიბია თუ მდიდარი, ავადმყოფი თუ ჯანმრთელი. აი, ასეთ ერთგულ არსებას ზოგი უგულო ისე დამარხავს, ზოგიც მძორის მეტი არაფერი იყოს. კარგი, მისტერ ბარლოუ, სამი დღით განთავისუფლებთ! არ გეგონოთ კი რომ ამ სამი დღის ხელფასს გამოგიწერთ იმის იმედით, ეგებ „მოჩურჩულე ველში“ რაიმე ახალი იდეა დაებადოს-მეთქი.

დენის ბარლოუ გამომძიებელთან დიდხანს არ შეუყოვნებიათ. ჩვენება ჩამოართვეს და გამოუშვეს. „მოჩურჩულე ველის“ ფურგონმა ნეშტი დაუყოვნებლივ წაიღო. პრესის წარმომადგენლები სერ ემბროუზმა დიდი ტაქტიკითა და მოხერხებულობით დააშოშმინა. შემდეგ, მასავეთ საბელოვანი ინგლისური წარმოშობის მოქალაქეთა შეშვეობით წირვის რიტუალზე შეუთანხმდა პოლიეუდს. პოლიეუდში მოწყობილი ლიტურგიები რევისორის ხელს უფრო მოითხოვენ, ვიდრე ეკლესიის მსახურისას. საქმე იმითაც რთულდებოდა, რომ კრიკეტის კლუბის ყველა წევრი მოითხოვდა, ამ სპექტაკლში რაიმე როლი ეთამაშა.

— განსვენებულის ნაწარმოებებიდან ნაწყვეტი აუცილებლად უნდა წაევიკითხოთ. აქვამად მე არც ერთი არ მაქვს ხელთ. კაცი ბინას რომ გამოიცვლი, ასეთი რამეები ყოველთვის გაიბნევა ხოლმე. თქვენ ლიტერატურაში გარკვეული კაცი ხართ, ბარლოუ! უეჭველია, მოახერხებთ შესაფერისი ნაწყვეტის შერჩევას. ამ ნაწყვეტში სერ ფრენსისის პიროვნება უნდა იგრძნობოდეს — უნდა ჩანდეს მისი სიყვარული ბუნებისადმი, მისი პირდაპირობა...

— უყვარდა კი ფრენსს ბუნება ანდა იყო პირდაპირი?!

— როგორ არ უყვარდა! თუ არ უყვარდა, უნდა ყვარებოდა! ლიტერატურულ წრეებში მას კარგად იცნობდნენ და სხვა მისთანანი... სამეფო ჯილდოებიც ჰქონდა.

— მისი ნაწარმოებები რაღაც არ მომხვედრია თვალში, — თქვა დენისმა.

— მონახეთ რამე, ბარლოუ! მისი ციტატები მონახეთ! თუნდაც სულ პატარა რაღაცეებიც და ბოლოს, თვითონ დაწერეთ. მის სტილს იცნობთ და არ უნდა გაგიჭირდეთ. კლავტო ქარუჭოფი ფიქრით რამე! საფლავზე წასაკითხად ლექსიც უნდა დაიწეროს. დალაზვროს ეშმაკმა, სხვა რომ არა იყოს რა, მისგან დიდად დავალებული ბრძანდებით და სხვათა შორის, ჩვენგანაც. თქვენგან არც ისე ბევრს მოვითხოვთ. ყველაზე მძიმე ტვირთს ჩვენ ვკისრულობთ.

— სწორედ რომ მძიმე ტვირთია! — გაიფიქრა ბარლოუმ, როცა მოსაწყვევ პირთა სიის შედგენით ვართულ კრიკეტის კლუბის წევრებს გადახედა. ამ საკითხის გამო აზრთა დიდი სხვაობა სუფევდა. კლუბის წევრთა ერთი ნაწილი წყნარი დაკრძალვის მომხრე იყო. საკმარისად მიაჩნდათ, მხოლოდ ბრიტანეთის ქვეშევრდომთა მოწვევა; უმრავლესობას, სერ ემბროუზის შეთაურობით, უნდოდა კინოწარმოების ყველა ხელმძღვანელი მოეწვია. სერ ემბროუზის აზრით ასეთ შემთხვევაში „დროშების გამოკიდება“ არ ივარგებდა. მით უფრო, რომ სერ ფრენსისის გარდა ჭირისუფალი არავინ იყო. არავის ეჭვი არ შეჰპარვია, ვინ გაიმარჯვებდა.

სერ ემბროუზის მხარეზე იყო მძიმე არტილერია და მოსაწყვევი ბარათებიც დიდი რაოდენობით თაბუქდეს.



დენისს თავსატეხი გასჩენოდა: უნდა გამოეჩხრიკა სერ ფრენსისის შემოქმედებითი შემკვიდრება. ბუნგალოში მათ სულ რამდენიმე წიგნი ჰქონდათ და ისიც დენისის საკუთრება იყო. სერ ფრენსისმა წერას თავი მაშინ მიანება, როცა დენისმა მისი იყო დაიწყო წერა-კითხვა. ამიტომ სადღან უნდა სცოდნოდა რამე იმ მომხიბლავ ნაწარმოებთა შესახებ, რომლებიც მისი აკვანში ყოფნის პერიოდში გამოდიოდა. სად უნდა ენახა ლოვატ ფრეიზერის ავტოგრაფით თავფურცელდამშვენებული, ყდამოხატული და ქალაქის იარლიყიანი წიგნები, რომლებიც ზედაპირული, მაგრამ ცოცხალი გონების ნაყოფს წარმოადგენდნენ... ბიოგრაფიები, მოგზაურობათა აღწერილობანი, კრიტიკული წერილები, ლექსები, დრამები, რომანი... ერთი სიტყვით, ყველაფერი, რასაც კაზმულაიტ-ვეაობას უწოდებენ. რომანი „თავისუფალი ადამიანი განთიადს ეგებება“ სერ ფრენსისის ნაწარმოებთაგან ყველაზე პრეტენზიული, ნახევრად ავტოგრაფიული, ერთი მეოთხედით პოლიტიკურა და ერთი მეოთხედითაც მისტიკური ნაწარმოები გახლდათ. ამ რომანმა ბუტსის ხელმოწერით გლლის გულუბამდე მიაღწია და სერ ფრენსისს თავის დროზე საპატიო რაინდის წოდება მოუტანა. „თავისუფალი ადამიანი განთიადს ეგებება“ ბოლო წლებში აღარ გამოსულა და მისი ყველა მოწერილი აფორიზმი, ერთ დროს დიდ პატივში რომ იყო, დავიწყებას მისცემოდა.

როცა დენისი „მეგალოპოლიტენ სტუდიაში“ პირველად შეხვდა სერ ფრენსისს, მისი გვარი „ჰინსლი“, თითქოს ეცნო. სერ ფრენსისს ჰინსლის ერთი სონეტი თანამედროვე პოეზიის ანთოლოგიაშიც კი იყო შეტანილი, მაგრამ დენისისათვის რომ გეკითხათ, გეტყვოდათ, ამ სონეტის ავტორი მგონი სადღაც, დარდანელთან მოჰკლესო. ამიტომ რა გასაკვირია, რომ დენისი სერ ფრენსისის არც ერთ ნაწარმოებს არ იცნობდა. სერ ფრენსისის ნაცნობთაგან ეს ამბავი არც არავის უყვირდა. სიცოცხლის ბოლომდე იგი ყველაზე ნაკლებ პატივმოყვარე ლიტერატორი იყო და მაშასადამე, ყველაზე ნაკლებ პატივცემულიც.

ამიტომ იყო, რომ დიდხანს და ამაოდ დაშვრა დენისი სერ ფრენსისის ნაწარმოებების ძებნაში. სასოწარკვეთილი უკვე საჯარო ბიბლიოთეკის დალაშქერას აპირებდა, როცა უჯრაში ჟურნალ „აპოლონის“ ერთი გაქონილ-გაცრეცილი ნომერი აღმოაჩინა. ღმერთმა უწყის რისთვის შეენახა სერ ფრენსისს ეს ჟურნალი ცხვირსახოცების უჯრაში. ჟურნალი 1920 წლის თებერვლისა იყო, ცისფერი ყდა სიძველისაგან გამოხუნებულ-განაცრისფერებულ იყო. ამ ნომრის ავტორები ძირითადად პოეტი ქალები იყვნენ. ბევრი მათგანი ალბათ უკვე დიდი ხანია დიდუდაც გახდა... ჟურნალს ბოლოში დართული ჰქონდა რეცენზია, ხელმოწერილი ინიციალებით ფ. ჰ. რეცენზია ჟურნალის პირველ გვერდებზე დაბეჭდილ სონეტებს შეეხებოდა. რეცენზირებული სონეტების ავტორი ქალის გვარი დიდი ხანია დავიწყების ფერფლს დაეფარა. მაგრამ სწორედ აქ, ამ სტრიქონებში ზომ არ იმალება რაღაც ისეთი, რაც სერ ფრენსისს „სულს და გულს უდაგავდა“, რაც ნათელს მოჰფენს სამშობლოდან მისი გადმოხვეწის მიზეზებს და საჭირო აღარ იქნება საჯარო ბიბლიოთეკაში შეუღლო — ფიქრობდა დენისი.

„ეს სიფრიფანა წიგნი დაღდასმული მგზნებარე, მოაზროვნე, საშუალოზე ბევრად აღმა-

ტებული ნიქის...“ სერ ფრენსისის ეს რეცენზია დენისმა ყურნალიდან ამოჭრა და სერ ემბროუზს გაუგზავნა.

ამის შემდეგ დენისი დაკვეთილ ლექსს ჩაუჭდა.



„მოჩურჩულე ველის“ მეორე სართულზე ვერ ნახავდით ვერც დამუშავებულ მუხას, ვერც ჩიოს, ვერც ფუმფულა ნოხებსა და ვერც გეორგიანული სტილით ნაგებ კიბეებს. აქედან იწყებოდა სამყარო, სადაც უბრალო მოკვდავთ იშვიათად თუ შეუშვებდნენ. აქ რვა ფუტი სიგრძე-სიგანის, ღია გალიის მსგავსი ლიფტით შეიძლებოდა ასვლა. აქ ყველაფერი ფაიფურის და ქაშანურის იყო. ყველგან ლინოლეუმი და ქრომირებული ფოლადი გამეფებულიყო. ამ სართულზე საბალზამო ოთახები განელაგებინათ. თვალს ხვდებოდა დამრეც იატაკზე დაგებული ფაიფურის ფილები, ღრმა სადინარებიანი სატუმბი დგუშები, ონკანები, მილები. ფორმალდებილის მძიმე სუნით გაყვანილიყო პაერი. ცოტა მოშორებით საკოსმეტიკო ოთახები იწყებოდა. იქიდან შამპუნის, შეტრუსული თმის, აცეტონისა და ლავანდის სურნელი გამოდიოდა.

მსახურმა საკაცე ემეს კაბინასთან მიაგორა. საკაცეს მისტერ ჯოიბოი მიჰყვებოდა.

- დილა მშვიდობისა, მისს ტანატოგენოს!
- დილა მშვიდობისა, მისტერ ჯოიბოი!

— ჩამომხრჩვალე ნეტარხენებელი მოგიყვანეთ. ორქიდეების სალონში უნდა დავასვენოთ.

„მოჩურჩულე ველში“ მისტერ ჯოიბოი პროფესიული მანერების ეტალონად იყო მიჩნეული. ჯოიბოის მოსვლამდე ამ დაწესებულების თანამშრომელთა დამოკიდებულებას საქმისადმი ერთგვარი ვულგარულობის იერი დაპკრავდა. ყველა, მიმღებიდან დაწყებული საწარმოო განყოფილებით გათავებული, ერთთავად ჭხამს გამოთქმებს ხმარობდა. ეს გვამიო, ეს ტანო და სხვა ამგვარი. ერთი, წარმოშობით ტებსელი მებალზამე ზოგჯერ ლეშაყ კი ამბობდა. მისტერ ჯოიბოის დანიშნიდან ერთი კვირაც კი არ იყო გასული, რომ ზემოთ ხსენებულ ყმაწვილკაცს გუდა-ნაბადი აუკრეს. მისტერ ჯოიბოი უფროს მესაფლავედ რომ დანიშნეს, ემე ტანატოგენოსი უკვე ერთი თვე იყო, რაც უმცროს კოსმეტოლოგად მუშაობდა. ემე ძრწოლვით იფონებდა იმ ერთ თვეს, რთცა ჯოიბოი მასთან არ მუშაობდა. ქალისათვის ჯოიბოის არსებობა უღრუბლო ზეცის ტოლფასი იყო. რაც დრო გადიოდა ქალს სულ უფრო მეტად მსჭვალავდა ჯოიბოისადმი მადლიერების გრძნობა.

ამერიკის კინემატოგრაფის სტანდარტებით თუ ვიმსჯელებთ, მისტერ ჯოიბოის ლამაზ მამაკაცად ვერ ჩათვლიდით. მაღალი იყო, მაგრამ უშნოდ აწოწილი და არა ათლეტური აგებულებისა, რადაცნაირი უფორმო და უჭიშო სხეული, მეჩხერი წარბები და პენსნეში შეყუყუელი, მონაცრისფრო-მოწითალო ქუთუთოებში ჩამსხდარი უწამწამო თვალები ჰქონდა. წესით კბილებს მაინც უნდა დაემშვენებინა, რადგან სწორი და თეთრი კბილები ჰქონდა. მაგრამ მისი სახისათვის ისინი ზომაზე მეტად დიდი და შეუფერებელი ჩანდნენ, ამიტომაც არ უხდებოდა. თანაც ცოტა ბრტყელტერფა და ზომაზე მეტად ღიბიანიც იყო. მისტერ ჯოიბოის ყველა ეს ფიზიკური ნაკლი ქალს მის მორალურ სრულყოფილებასა და შეუდარებლად მომხიბლავ ხმასთან შედარებით ძალზე უმნიშვნელოდ ეჩვენებოდა. მისტერ ჯოიბოის რომ უსმენდა, ასე ეგონა, ველში გამაძლიერებელი უდგას და ხმა საიდანლაც, შორეული სტუდიიდან მესმისო. მისტერ ჯოიბოის ყოველი სიტყვის გადაცემა რადიოთი მაშინაც კი შეიძლებოდა, როცა რადიოს ყველაზე მეტი მსმენელი ჰყავს.

მისტერ ჯოიბოის ეს საუკეთესო თვისებები გაკვირვებას არ უნდა იწვევდეს. აკი მისტერ ენუორთი ყველაფერ საუკეთესოს ეძიებდა და ყიდულობდა კიდევ. მისტერ ჯოიბოი „მოჩურჩულე ველში“ საუკეთესო რეპუტაციით მოვიდა. საბალზამო საქმის ბაკალავრობა მან შუა დასავლეთ შტატებში მიიღო. „მოჩურჩულე ველში“ მოსვლამდე იგი რამდენიმე წელს მუშაობდა აღმოსავლეთ შტატების ერთ-ერთი ცნობილი უნივერსიტეტის მესაფლავეთა ფაკულტეტზე, მან ამერიკის დამკრძალავ ბიუროთა საზოგადოების მიერ მოწყობილ ორ საერთაშორისო კონგრესში მიიღო მონაწილეობა და ამ კონგრესების მთავარი მდივანიც ვახლდათ. მისტერ ჯოიბოი ხე აძღვანელობდა კეთილი ნების დელეგაციას, რომელიც სამხრეთ ამერიკის მესაფლავეებთან სტუძრად გაგზავნეს. მისი სურათი ერთხელ „ტაიმის“ ფურცლებზეც კი გამოაქვეყნეს. რა ვუყოთ მერე, რომ წარწერა ცოტა არ იყოს ზედმეტად თავისუფალი, ზედმეტად ძმაბიჭური ჰქონდა!

ჯოიბოის საბალზამოში მოსვლას დიდი მითქმა-მოთქმა უძლოდა წინ. რას არ ამბობდნენ. ესაო, ისაო, წმინდა წყლის თეორეტიკოსიაო. ამგვარ მითქმა-მოთქმას მისტერ ჯოიბოიმ პირველსავე დღეს

გამოაცალა საფუძველი. საქმარისი იყო თვალი მოგეკრათ მისთვის გვამზე მუშაობისას, რომ მაშინვე მისდამი ღრმა პატივისცემით განიმსჯელებოდით. როგორც კარგი მონადირე იცნობა უწყვირზე შნლიანი ჯდომის მიხედვით, ჯოიბოის დახვეწილი პროფესიონალიზმიც თვალის ერთი შევლებით გამოიკნობოდა.

ერეკენული

მისტერ ჯოიბოი უცოლო იყო და „მოჩურჩულე ველში“ მომუშავე ყველა ქალი წყნარად ჰქამდა მას. ემეც გრძნობდა, რომ მის ხმას ჯოიბოისთან საუბრისას უღერადობი ემატებოდა.

— გაგიჭირდათ მისი დამუშავება, მისტერ ჯოიბოი?

— ჰო, საქმათღი მგონი ახლა ყველაფერი რიგზეა.

მისტერ ჯოიბოიმ ზეწარი ჩამოსწია და სერ ფრენსისს შიშველი სხეული გამოუჩინა. მას მხოლოდ ტილოს თეთრი ტრუსები ეცვა. სხეულიც თეთრი და ძველ მარმარილოსავით ოდნავ გამჭვირვალე ჰქონდა.

— აჰ, რა მშვენიერია! — შესძახა ქალმა.

— ჰო, კარგი გამოვიდა! — დაეთანხმა მისტერ ჯოიბოი და სერ ფრენსისს ბარძაყზე ხელი ისე წაუტყაპუნა, თითქოს ქათმის გამყიდველი იყო და მუშტარს საქონელს აწონებდა.

— რბილი და ნაზია, — დაუმატა მისტერ ჯოიბოიმ, სერ ფრენსისს ხელი აუწია და ფრ. სილად მოუხარა მაჯაში.

— ორიოდ საათში პოზა უნდა მივცეთ. თავის ოდნავ გვერდზე გადახრა დაგვიჭირდება. | სულე არტერიაზე ნაწიბურები ამჩნევია და როგორმე უნდა დავუშალოთ. იი, თავის კანი კი მშვენიერად გაშრა!

— ეს გამომეტყველება „ბავშვობის უღრუბლო ღიმილს“ გამოხატავს, არა, მისტერ ჯოიბოი?

— სრული სიმართლეა, მისს ემე! არ მოგწონთ, განა?

— აჰ, როგორ არა! ძალიან მომწონს, მაგრამ მის ჰირისუფალს ასეთი გამომეტყველება რომ არ შეუკვეთავს?

— მისს ტანატოგენოს, უნებურად ისე გამომდის, რომ ყველა ჩემი დამუშავებული ნე. კარხსუნებული გილიმით!

— აჰ, მისტერ ჯოიბოი!

— მერწმუნეთ, მისს ტანატოგენოს, მერწმუნეთ! ამ შემთხვევაში მე უძლური ვარ! რადესაც თქვენთან გამოსაგზავნ ნეტარხსენებულზე ვმუშაობ, რაღაც შინაგანი ძილა ჩამჩურჩულებს: იგი მისს ტანატოგენოსმა უნდა ნახოს-მეთქი, და ჩემდა უნებურად თითები ღიმილს ძერწავენ. ნუთუ არ შევიმჩნევიათ?

— ჯერ კიდევ გასულ კვირას შევამჩნიე და გავიფიქრე: მისტერ ჯოიბოის გამოგზავნილი ყველა მიცვალებული მომხიბლავია-მეთქი.

— თქვენთვის ყველაფერს გაგაკეთებ, მისს ტანატოგენოს!

ამ სართულზე მუსიკის ჰანგებს საბალნამო ოთახების ონკანთა ჩხრიალი და თუხთუხი სცვლიდა. კოსმეტოლოგთა ოთახებიდან ელექტროსამრობების ზუზუნი გამოდიოდა.

ემე ღვთისმსახურივით დიდი გულისყურით, მშვიდად და მეთოდური თანმიმდევრობით მუშაობდა, ჯერ შამპუნით ბანდა მიცვალებულს თავს, მერე პარსავდა და სულ ბოლოს მანიკურს უკეთებდა. ახლაც ქალმა სერ ფრენსისს თეთრი თმა უშაზე გადაუყო, გაძვალტყავებულ ლოყებზე აქაფებული საპონი წაუსვა და საპარსი თავგამეტებით აამოძრავა. მერე ფრჩხილები მოაჭრა და თითებ უურადლებით დაუთვალიერა, დუდკოები ზომ არსად აქვსო. სულ ბოლოს საღებავებითა და ფუნჯებით სავსე გორგოლაჭებიანი მაგიდა ახლოს მიიწია და მთელი მონდომებით შეუდგა მისი შემოქმედების ყველაზე პასუხსაგები ნაწილის შესრულებას.

ძირითად სამუშაოს ემე ორ საათს მოუნდა. სერ ფრენსისს კისერი და ხელები მთლიანად დაუმუშავა. სახეზე საღებავი წაუსვა. ფერები მკვეთრი და მყვირალა იყო, ხოლო ჩრდილები ზომიერად მეტად მუქი, მაგრამ ასე კოსმეტიკური კაბინეტის თვალისმომჭრელ სინათლეზე ჩანდა. გამოსათხოვარი ოთახის ქარვისფერ შუქზე, ანდა საკურთხევლის ჩრდილებიან სინათლეში ყველაფერი სათაოდოდ წარმოჩინდებოდა. ემემ სერ ფრენსისს ქუთუთოებს ლურჯი საღებავი შემოავლო, მერე ერთი ნაბიჯით უკან დაიხია და თვითკმაყოფილებით აღესილი მიაჩერდა თავის ნამოღვაწარს.

მისტერ ჯოიბოი ქალს ფეხაკრეფით მიუახლოვდა, გვერდით დაუდგა და ნამუშევარს დააცქერდა.

— შესანიშნავია, მისს ტანატოგენოს! თქვენი მუღამ მჭეროდა. მჭეროდა, რომ ჩემი ჩანაფიქრის ზორცმესხმას შესძლებდით. მარტენა თვალის ქუთუთომ ზომ არ გაგაწვალათ?

— კოტა!

— შიგნითა კუთხე ოდნავ ჩამოვარდნილი ჰქონდა, არა?

— დიახ, მაგრამ საცხი ჩავუდღე და ექვსი ნომერი წებოთი დავაწებე!

— ყოჩაღ! ჩემი კარნახი არასოდეს არ გვირდებოთ. ჩვენ შეხმატკბილებულად ვმუშაობთ. ასე მგონია, მისს ტანატოგენოს, ნეტარხსენებულის მეშვეობით გესაუბრებით. ნუთუ არასოდეს არაფერი გიგრძენიათ, მისს ტანატოგენოს?

— ვგრძნობ და ვამაყობ, მისტერ ჯოიბოი! თქვენგან გამოგზავნილი წერილები უფრო მეტად უფროსი უფროსის განსაკუთრებული ყურადღებით ვამუშავებ!

— მჭერა თქვენი, მისს ტანატოგენოს! ღმერთი იყოს თქვენი შემწე!

მისტერ ჯოიბოიმ ამოიოხრა. ამ დროს მუშის ხმა მოესმათ. მან მისტერ ჯოიბოის პკითხა, ორი მიცვალელებული მოიტანეს და ეინ უნდა დაამუშაოსო.

მისტერ ჯოიბოიმ ერთხელაც ამოიოხრა და ერთ-ერთ თანამშრომელს მიუბრუნდა:

— თავისუფალი ხართ, მისტერ ფოგელ?

— დიახ, მისტერ ჯოიბოი!

— ამ რრიდან ერთი — ბავშვია, თქვენთან დავტოვო, მისტერ ჯოიბოი? — ისევ იკითხა მუშამ.

— კი, როგორც ყოველთვის. დედა და შვილი ხომ არ არიან?

მუშამ იარლიყებს დახედა მიცვალელებულთა მაჯებზე და უპასუხა:

— არა, მისტერ ჯოიბოი! სრულიად უცხონი არიან ერთმანეთისათვის.

— კეთილი! მეორეს თქვენ მიხედეთ, მისტერ ფოგელ! არა მცალია, მაგრამ დედა-შვილი რომ იყვნენ, ორივეს მე მოვკიდებდი ხელს. ბალზამირების ძალზე ბევრი, გამოუცდელი თვალისათვის ერთმანეთისაგან ძნელად გასარჩევი მანერა არსებობს, მაგრამ მე რა გამომეპარება; როცა სხვადასხვა მებალზამის მიერ დამუშაებულ დედა-შვილს ვხედავ, ასე მგონია, ერთმანეთისთვის სრულიად უცხონი გამხდარან, რაღაც უხილავ ძალას სიკვდილზე მეტად დაუცილებია ისინი ერთმანეთისათვის-მეთქი. თქვენ ეს უცნაურად გეჩვენებათ, არა?

— ბავშვები ძალიან გიყვართ, მისტერ ჯოიბოი?

— მიყვარს, მისს ტანატოგენოს! გულში არასოდეს გამივლია რომელიმე ნეტარხსენებულის დაჩაგვრა, მაგრამ მეც ხომ ადამიანი ვარ! ბავშვის გულუბრყვილო გვამი საუკეთესო გრძნობებს აღვიძებს ჩემს არსებაში. ჩემმა საყვარელმა თემამ გამიტაცა... არ კი მცალია... სამუშაო მელის... ამ დროს მუშები მოვიდნენ, სერ ფრენსისი სუდარით შემოსეს და სანამ სხეული საბოლოოდ გაფიჩხდებოდა, კუბოში ჩადეს.

ემემ გადასწია ფარდა, რომელიც საბალზამოს კოსმეტიკოსთა ოთახისაგან გამოჰყოფდა და ასისტენტს უთხრა:

— გადაეციოთ მისტერ ჯოიბოის, გეთაყვა, რომ ნეტარხსენებული უკვე მზად არის. ვფიქრობ მისი მოსვლის დროა. გვამი გაშეშებას დაუკად.

მისტერ ჯოიბოიმ ონკანი დავეტა და სერ ფრენსისს მიუახლოვდა. მკლავებში ხელები ჩაავლო და გულხელი ისე დაუკრიფა, რითაც მორჩილებას გამოხატავენ ხოლმე. მერე თავი აუწია, ბალიში გაუსწორა და ისე დაასვენა, რომ სახე სანახევროდ გამოსჩენოდა. ცოტა უკან დაიხია, თავის ნახელავს კრიტიკული თვალი შეავლო, წინ გადმოიხარა და სერ ფრენსისს ახლა ნიკაპი აუწია.

— აი, ახლა სრულყოფილია! — თქვა მისტერ ჯოიბოიმ.

— კუბოში ჩადებისას გრიმი ზოგან გაუთხუპნიათ, ფუნჯით შეუსწორეთ, მისს ტანატოგენოს. — მიმართა ჯოიბოიმ ქალს.

— კეთილი, მისტერ ჯოიბოი!

მისტერ ჯოიბოი შედგა, სულ ერთი წამით შეყოყმანდა, მაგრამ მერე მტკიცედ შებრუნდა წასასვლელად.

— აბა, დროა! ბავშვს უნდა მივხედო!

თავი V

დაკრძალვა ხუთშაბათისათვის დაინიშნა, მიცვალელებულთა გამოთხოვება კი ოთხშაბათს ორქიდეების სალონში უნდა მომხდარიყო. ოთხშაბათ დილით დენისმა ერთხელ კიდევ შეიარა „მოჩურჩულე ველში“. უნდოდა დარწმუნებულიყო, ყველაფერი იყო თუ არა მზად. დენისი პირდაპირ ორქიდეების სალონში შეიყვანეს. იქ ყვავილების ზღვა დაუხვდა. ყვავილები პირველი სართულიდან ამოეტანათ. ისინი თითქოს თავს იწონებდნენ ბუნებრიობით. აქვე იყო კრიკეტის კლუბის სიმბოლო — გადაკვარდინებული ტაფელები და კარი, რაც აქ კრიკეტის კლუბის ხელმძღვანელობის თანხმობით მოეტანათ. ამის თაობაზე თვით მისტერ კენუორთმა გამოთქვა აზრი: „ტაფელი და კარი სიცოცხლის სიმბოლოა და არა სიკვდილისო“. — განაცხადა მან და ტაფელისა და კარის სა-

კითხი დადებამად გადაწყდა.

წინარი ყვაილებით ისე აევსოთ, სხვა აღარაფერი ჩანდა — არც ავეჯი და არც სხვა რამ ნორთულობა. ორკარიანი გასასვლელით პირდაპირ განსასვენებელ ოთახში შეიძლებოდა შესვლა. დენისმა კარის სახელურს ხელი მოჰკიდა და შედგა. იგრძნო, სახელურს მეორე მხრიდანაც წაეტანა ვიღაცა. ასობით რომანში ხვდებიან ასე პირველად ერთმანეთს შეყვარებულები. კარი გაიღო და დენისი ემე ტანატოგენოსის პირისპირ აღმოჩნდა. ემეს ზურგს უკან ყვაილები ზედა მოჩანდა. თითქოს ქალსაც ორანჯერიის მძაფრი სურნელი გამოჰყოლოდა.

კარნიზიდან საეკლესიო მუსიკის ჰანგები იღვრებოდა. გუნდი დაბალ ხმაზე ვალობდა. სწორედ იმ დროს, როდესაც დენისი და ემე ერთმანეთის პირისპირ აღმოჩნდნენ, მომღერლის მორთულვარე ხმამ ტკბილად ჩაარაკრაკა: „ოო, მტრედის ფრთები რომ მქონდეს“.

სალონში მყუდროებამ დაისადგურა. პერიოდ მომღერლის ხმასავით საიდანაც შორიდან აღწევდა ოთახში — გასტერილებული და გარდაქმნილი. აქ ტემპერატურა ჩვეულებრივ ამერიკულ ბინებთან შედარებით ოდნავ დაბალი იყო. განცალკევებული და მიმყუდროვებული ეს სალონი უკაცურ სტეპში, მთავარი მაგისტრალიდან დაცილებულ ჩიხში ჩარჩენილი მატარებლის ვაგონს ღამსგავსებოდა.

— მობრძანდით, მისტერ ბარლოუ! — დაარღვია სიჩუმე ემემ. მან დენისს გზა დაუთმო. დენისმა შუა ოთახში ყვაილების ხომლი დალანდა. დენისი შეფე ეღუარდის შეფობას არ მოსწრებია და არც არასოდეს უნახავს იმ დროის ორანჯერეა ყვაილობისას. მაგრამ მიახლოებითი წარმოდგენა ჰქონდა იმ ეპოქაზე. წუნს ვერავენ დასდებდა. წყვილ-წყვილად დალაგებული ოქროსფრად მოვარაყებული სკამებიც არ დავიწყებოდათ. სკამები თითქოს ელოდნენ გახამებულ ტანსაცმელში გამოწყობილსა და ჩაბრილიანტებულ მოარშიყე ქალ-ვაჟებს.

ოთახში კატაფალი არ იდგა. კუბო ყვაილებით მორთულ პოსტამენტზე დაედგათ, რომელიც ნოხიანი იატაკიდან რამდენიმე დიუმით ამაღლებულიყო. სერ ფრენსისის სხეულს სანახევროდ ფარავდა კუბოს სახურავი. დენისს რატომღაც გაახსენდა მარტის ცვილის ქანდაკება აბაზანაში. ტანსაცმელი შესანიშნავად მოერგოთ სერ ფრენსისისათვის. კოსტუმის სალილეში ყვაილი გაეკეთებინათ, ერთი ხელში დაეკერინებინათ. თოვლივით ქათქათა თმა, შუაზე გადაეყოთ და გაყოფის ადგილი შუბლიდან საქოჩრემდე თავის ქალას უფერულ ზოლად დამჩნეოდა. სიფრიფანა კანი თითქმის არ ეტყობოდა და კაცი იფიქრებდა, მარადიულ, უხრწნელ ქალას ვკვრეტო. ოქროსჩარხიანი მონოკლიდან ფაქიზად შედებილი ქუთუთოები მოუჩანდა.

ოთახში სრული სიმყუდროვე სუფევდა და ეს გაყუჩება უფრო საშინელი იყო, ვიდრე თუნდაც უადგილო ხმაური. სერ ფრენსისი უფრო პატარა ჩანდა, ვიდრე სიცოცხლეში იყო. მიცვალებულის სახე — ადამის მოდგმის ეს უხამსი პაროდია — საზარელი სანახავი გამხდარიყო. — კუს ბაკანივით უასაკო და არაადამიანური, შეთითხნილ-შეთხიპნილი თვითკმაყოფილი ნიღაბი!

ამასთან შედარებით საბრძოლელას ყულფში თავგაყოფილი კაცის სახე დენისს იმ მზიარულ სამეჯლისო ნიღბად მოეჩვენა, შობის დამეს სალადობოდ რომ იფარებენ ხოლმე.

ემე გვერდით ედგა თავის შედევერს. ისეთი გამომეტყველება ჰქონდა, როგორც მხატვრებს აქვთ, როცა მეგობრებს თავის ახალ ნამუშევრებს უჩვენებენ. ქალმა იგრძნო დენისს მოულოდნელობისაგან სუნთქვა შეეკრა.

— კმაყოფილი ხართ? — ჰკითხა ქალმა.

— ზომამზე მეტადაც, — უბასუხა დენისმა და სწრაფად დაუმატა. — მგონი გამაგრებულა კიდევ!

— დიახ!

— შეიძლება ხელი შევახო?

— არა, გეთავყათ, ნუ შეეხებით, დააჩნდება!

— კეთილი!

„მოჩურჩულე ველის“ ეტიკეტის თანახმად ფიქრებში ჩაფლული დენისი ემემ მარტო დატოვა.

მთელი დღე მოდიოდა და მოდიოდა ხალხი ორქიდების სალონში. „მოჩურჩულე ველის“ თანამშრომელი გოგონა წინა ოთახში იჯდა და მომსვლელთა გვარებს აღნუსხავდა. ჭირისუფალნი პირველ დღეს ბრწყინვალე საზოგადოებას არ მოულოდნენ. კინოვარსკვლავები, პროდიუსერები, განყოფილებათა გამგეები მხოლოდ დაკრძალვის დღეს შემოვივლიდნენ ალბათ. ჯერ კი წვრილ-

ფეხობა ირეოდა. დაკრძალვის წინა დღე ქორწილის წინა დღით მოწყობილ თავყრილობას წააგვი-
ამ დროს ახლობლები, მოცლილი და უმნიშვნელო ხალხი იყრის თავს და საქორწილო საჩუქრებს
ათვალისწინებენ. ორქიდებების სალონში ახლა ის ხალხი სჭარბობდა, ყველაფერზე დისტურის და-
ერა რომ სჩვევიათ. კაცი ბჭობდა, ღმერთი იცინოდაო! ეს ზრდილი, ჩასუქებული ჯენტლმენები
ყველაფრისადმი თანხმობას გამოხატავდნენ და სიკვდილის ბრმა წილას თავეს დაკვირით ემზად-
დობებოდნენ.

სერ ემბროუზმა ერთი წუთით შემოირბინა.

— ხვალისათვის ყველაფერი მზად არის არა, ბარლოუ? ოდას ხომ წერო? სულ ცოტა ნახ-
ვარი საათი მაინც უნდა მქონდეს დაკრძალვამდე, რომ სარკის წინ წავიკითხო. ხომ მოასწრებო?

— იმედი მაქვს.

— ოდას საფლავზე წავიკითხავ, ნაწევრებს მისი ნაწარმოებებიდან ეკლესიაში წაიკითხვენ
და ხუანიტა დღე პაბლო „მწვანე რტოს“ იმღერებს. მარტო ეს ერთადერთი ირლანდიური სიმ-
ღერა იცის და იმასაც ფლამენკოს სტილით ასრულებს. ეკლესიაში ადგილების ამბავი თუ მო-
აგვარეთ?

— ჯერ არა.

— კრიკეტის კლუბის წევრები, რა თქმა უნდა, გვერდიგვერდ დასხდებიან. პირველ ოთხ რიგს
აღმათ „მეგალოპოლიტენ სტუდია“ მოითხოვს. იქნებ თვით მისტერ ერიკსონიც მოვიდეს. უმჯო-
ბესია ამ ამბების მოგვარება თქვენ მოგანდოთ.

ქუჩაში გასვლისას სერ ემბროუზმა თავისთვის ჩაილაპარაკა: საცოდავი ბარლოუ! როგორ
განიცადა დენისის სიკვდილი, უნდა დაეტვირთო, გულს გადააყოლებს!

დენისი უნივერსიტეტის ეკლესიისაკენ გაეშურა. ეკლესია პატარა იყო, ქვით ნაგები. გორი-
კის თავზე, აბალგაზრდა მუხის ხეებს შორის ოთხკუთხა კოშკი მოჩანდა. შესასვლელთან, თუ გინ-
დოდა, ავტომატს ჩართავდი და ეკლესიის შესახებ ლექციას მოისმენდი. დენისი შედგა, დიქტორის
ხმას ყურა მიუგდო. თითქოს რაღაც ეცნო! ასეთი ხმით სათავგადასავლო ფილმებს ახმოვანებენ.

...თქვენ ხედავთ ოქსფორდის წმ. პეტრეს გალავანგარე ტაძარს. ეს არის უძველესი ტაძარი,
რომელსაც ინგლისელები მხურვალედ სცემენ თაყვანს. მსოფლიოს მრავალი კუთხიდან აქ სტუ-
დენტთა „რა ერთი და ორი თაობა მოსულა და მომავალზე უოცნებია. მომავალი დიდი მეცნიერე-
ბი და სხელმწიფო მოღვაწენი, მაშინ სრულიად ნორჩნი, აქ თავიანთ ტრიუმფალურ მომავალზე
ოცნებობდნენ. აქ გეგმავდა თავის ბრწყინვალე პროეტურ კარიერას შელი. აქედან შედგა ფეხ-
ბრავალმა აბალგაზრდამ წარმატებისა და ბედნიერების ბილიკებზე. ეს ტაძარია ნეტარხსენებულის
სულის სიმბოლო. აქედან იღებს დასაბამს მისი მომავალი წარმატების უსასრულო ისტორია უქ-
ნითი უკუნისამდე. ეს ის წარმატებაა, რომელიც ყველა ჩვენთაგანის ხვედრია, რაც არ უნდა იმე-
დატუებული და გულგატეხილი ვიყოთ მიწიერი ცხოვრებისაგან.

ეს ტაძარი მისი დიდებული ორიგინალის უბრალო ასლი როდია; იგი ძველ ოსტატთა ჩანა-
ფიქრის აბალი ხორცშესხმაა. იმ დიდებულ ოსტატთა ჩანაფიქრის ხორცშესხმაა, პრიმიტიული და
ტლანქი იარაღებით რომ ცდილობდნენ შედევრების შექმნას. ეამთა მსახვრალმა სვლამ ხელსუ-
მშვენიერი ორიგინალი ინგლისში. აქ კი თქვენ ხედავთ ამ ძეგლს იმ სახით, როგორიც იგი მის წე-
მქმნელთ ოცნებაში წარმოედგინათ. თქვენ ხედავთ, რომ გვერდითი ნეფები მთლად მინისა და პ-
რველი ხარისხის ფოლადისაგან არის ნაგები. ამ მშვენიერ ნაგებობაზე არანაკლებ მშვენიერი ლუ-
გენდა არსებობს: 1935 წელს დოქტორი კენუორთი ევროპაში მოგზაურობდა. ამ მოგზაურობის
მიზანი იყო ძველი სამყაროს ხელოვნების საგანძურთაგან ისეთი ძეგლების შერჩევა, რომლებიც
„მოჩურჩულე ველისათვის“ გამოდგებოდა. ძიებამ დოქტორი კენუორთი ოქსფორდში მიიყვანა.
წმ. პეტრეს ცნობილ ნორმანდიულ ტაძარში. ეს ტაძარი მისტერ კენუორთს ძალზე პირქუში ერ-
ვენა, თანაც უმნიშვნელო და კაეშნის მომგვრელი მემორიალებით გავსებული. „რატომ ეწოდება ამ
ტაძარს გალავანგარეთა? — იკითხა თურმე დოქტორმა კენუორთმა და აი რა უბასუხეს: ძველად,
თურმე ქალაქის საქმიან ნაწილს გალავანი ჰქონდა შემოვლებული და ტაძარი ამ გალავანს გარეთ
იყო მოქცეული. „ჩემს ტაძარს საერთოდ არ ექნება გალავანი“, — თქვა მაშინ დოქტორმა კენუო-
რთმა და აი, იგი თქვენ წინაშეა: დუთიური შუქით განათებული, სავსე სუფთა ჰაერითა და ფრთო-
სანთა გალობით, ჩაფლული ყვავილნარში...“

დენისი ყურადღებით უსმენდა პაროდების სამიზნედ ქცეულ ინტონაციებს, თუმცა ისიც უნ-
და ითქვას, პაროდია ვერასოდეს აღწევს ხოლმე ორიგინალის აბსურდულობასა და ჰიპნოზურ და-
მაჯერებლობას. ამჯერად დენისს დიქტორის ხმა ან ტექსტი ტექნიკური ან წმინდა სატირული თუ
ლსაზრისით როდი აინტერესებდა. „მოჩურჩულე ველმა“ იგი უკვე მოიგდო თავის კლანჭებში. ინ-
ტელექტის ქრობის მიჯნაზე, რომლის გადალახვას მხოლოდ ხელოვანი შედავენ, ათასგვარ ურ-

დღეს მოეყარათ თავი. დენისიც ამ ზღვარზე იდგა და მხოლოდ სიმბოლოთა წაკითხვას ახერხებდა.

დიქტორი გაჩუმდა, მაგრამ მცირე პაუზის შემდეგ ისევ დაიწყო:
 „თქვენ ხედავთ ოქსფორდის წმ. პეტრეს ვალაჟანგარე ტაძარს...“

დენისმა აპარატი გამოართო. იმ ადგილას დაბრუნდა, სადაც წირვა უნდა გადაეხადათ და თავისი პროზაული მისიის შესრულებას შეუდგა. კრიკეტის კლუბის სამდივნომ იგი დაბეჭდილი ბარათებით მოამარაგა. ამ ბარათების სკამებზე განლაგება სრულიად უბრალო ამბავი იყო. ტრენის გვერდით მიცვალბულთა ახლო ნათესავები სხდებოდნენ ხოლმე. გრძელი სკამე კვერდით ექნენ ფისაგან გამჭვირვალე ფარდით იყო გამოყოფილი. ამ სკამს მიცვალბულის ოჯახის წევრები იკავებდნენ. ეს იმიტომ, რომ საჭიროების შემთხვევაში ზედმეტად ცნობისმოყვარე თვალთაგან დაცულნი ყოფილიყვნენ. ეს ადგილები დაუთმო დენისმა ადგილობრივი გაზეთის სასკანდალო ქრონიკის რეპორტიორებს. საჭმეს დენისი ნახევარ საათში მორჩა და ეკლესიის ბაღში გავიდა. ბაღი არაფერში ტოლს არ უდებდა ეკლესიას, არაფრით არ ჩამორჩებოდა მას — არც ფერთა სიუხვითა და არც მგალობელ ჩიტთა სიმრავლით.

დენისს ოღა ჯერაც არ დაეწერა და ეს ამბავი გულზე მძიმე ლოდან აწვა. დამთავრებული კი არა, ჯერ დაწყებულიც არ ჰქონდა ყვევითა სურნელით გაჯერებული, სულისშემხუთავი პაერი სამუშაო განწყობილებას უფუჭებდა. ესეც არ იყოს, რაღაც ხმა დაფინებით სთხოვდა უფრო მნიშვნელოვანი საქმისათვის მიეპრო ყურადღება, ვიდრე სერ ფრენსისის დაკრძალვა იყო. დენისმა მანქანა ჰიშვართან დატოვა და ხრეშით მოკირწყლულ დაღმართ ბილიკს დაუყვა. ქამთა სვლისაგან ჩაშავებული ბრინჯაოს ფირფიტები საფლავებზე მოდებულ ხავსში ძლივს ჩანდა. ყოველი მხრიდან წყლის ჩუხჩუხი ისმოდა. ბალახებში ჩამალული მიწებიდან წყალი მომცრო შადრევნებად ჩქედდა და მოციმციმე ცისარტყელებად იშლებოდა. ყოველ შადრევანში ბრინჯაოს ან მარმარილოს ალფორიულ ბავშვურად გულუბრყვილო თუ ეროტიულ ქანდაკებას ამოეყო თავი. აქ ნახავდით წვეროსან მოგეს, თაბაშირის ბურთის მსგავს ნივთს რომ ჩაშტერებოდა და მომაელის ამოცნობას ლამობდა, მის გვერდით კი ჩვილ ბავშვს გულში მიკი-თაგუნა ჩაეხუტებინა.

ბილიკმა გვერდზე გადაუხვია. დენისმა მოსახვევში ბაფთების არტახებით შეკრული დედისობილა ანდრომედა შეამჩნია, რომელიც თავის გამჭვირვალე მხარზე მოკალათებულ პეპელას დაჰყურებდა. დენისის შემოქმედებითი ალლო კვალალებული მეძებარეით ფზიზლობდა. ეტყობა, „მოჩურჩულე ველში“ იმალებოდა ისეთი რამ, რაც დენისს სჭირდებოდა და რისი აღმოჩენაც მხოლოდ მას შეეძლო.

ბოლოს დენისი ლილიებითა და წყლის ფრინველებით სავსე ტბის პირას აღმოჩნდა. იქვე განუხადებას მოჰქრა თვალი, რომელიც ინისფრის კუნძულზე გასამგზავრებელი ბილეტების შეძენის შესაძლებლობაზე აუწყებდა მკითხველთ. პრიმიტიულ ნავმისადგომთან სამი შეყვარებული ქალვაკი იდგა. დენისმა ბილეთი იყიდა.

— მხოლოდ ერთი? — გაიოცა ბილეთების გამყიდველმა ქალმა.

შეყვარებულები დენისივით გაბრუებულებიყვნენ და გარშემო ვერაფერს ამჩნევდნენ. პირველი სიყვარულის დამათრობელი მიაზმის თითქმის ხელშესახები ნისლი განაცალკევებდა მათ გარესამყაროსაგან. დენისი არავის შეუმჩნევია, სანამ მეორე ნაპირიდან ნაესაყუდელს უხმაუროდ არ მოადგა ელექტრო ბორანი. ყველანი ბორანზე ავიდნენ და ხანმოკლე მოგზაურობის შემდეგ პატარა კუნძულზე გადასხდნენ. ქალ-ვაკნი დაბურული ბალის ჩრდილებში გაუჩინარდნენ.

დენისი ნაპირზე შეყოვნდა.

— ელოდები ვინმეს, ჰირიმე? — ჰკითხა გამყოლმა.

— არა, არავის!

— დღეს არც ერთი გოგოსათვის არ მომიკრავს თვალი. ვინმე რომ მოსულიყო, შევამჩნევდი. აქ უმთავრესად უკვე დაწყვილებულები მოდიან. ზოგი პაემანს აქ უნიშნავს ხოლმე გოგოს, მაგრამ გოგოები, როგორც წესი, არ მოდიან. ჩემი აზრით, სანამ ბილეთს იყიდდე, გოგო უნდა გაინაღლო.

— სკდები, მეგობარო! ლექსი მინდა დაეწერო და იმიტომ მოვედი. როგორ ფიქრობ, შესაფერი ადგილია?

— არ ვიცი, ძმაო, ვერაფერს გეტყვი! ლექსი არასოდეს დამიწერია. ისე კი აქაურობას პოეტურ ადგილად თვლიან. თვითონ კუნძულსაც რაღაც პოეტური სახელი ჰქვია! აქ სკებსაც ნახავო. ერთ დროს ფუტკრებიც ჰყავდათ, მაგრამ აქ სალაღობოდ მოსულ შეყვარებულებს ჰკბენდნენ და

1 ლაპარაკია ირლანდიელი პოეტის უილიამ იეტსის (1865—1939) ლექსზე: „კუნძული ინისფრის ტბაში“.

ნამდვილი ფუტკრები მექანიკური დანადგარებით შეცვალეს, ასე ვთქვათ, მეცნიერულ დონეზე მოაწყვეს აქაურობა. არც უკანალებია დაკბენილი და პოეტურობაც, სულო და გულო, რამდენიც გინდა იმდენია. დასაფლავად, იცოცხლე, პოეტურია აქაურობა! თითო საფლავი კია არასი დოლარი ღირს! ნამდვილად რომ მულტიპოეტური ადგილია მთელს ამ ოხერ პარკში. მახსოვს პარკის გაშენება რომ დაიწყეს, ფიქრობდნენ, ირლანდიელების სასაფლაო იქნებოდა; ფიქრობდნენ, როგორც მოგეხსენებათ, თვითონაც პოეტური ხალხია და ამოდენა ფულს [დღის შემოსავალი] ვადაყრიან. ქალაქში მათ კათოლიკური, იაფფასიანი სასაფლაო აქვთ. კარგი წრის მდიდარი ებრაელებილა შემოგვრჩნენ. ხომ იცი, მათ სიმარტოვე უყვართ. რაკი კუნძულს გარშემო წყალი აკრავს, მაწანწალა ცხოველებს აქ ვერ ნახავთ. სხვა სასაფლაოებზე მათგან მოსვენება არ არის. წლიურ ანგარიშს რომ აკეთებდა, მისტერ კენუორთმა ძალზე მოხდენილად თქვა: სასაფლაოთა უმრავლესობა ძალღების ტუალეტებად და კატების ღამის სადგომებად არის ქცეული. ხომ გონებამახვილური შედარებაა? მაშ, როგორ გგონიათ! დოქტორი კენუორთი თავს არ შეირცხვენს, როცა საქმე წლიურ ანგარიშს ეხება. ძაღლებისა და კატების საკითხი ჩვენთან მოხსნილია, მაგრამ გოგო-ბიჭები არ გვასვენებენ. საპროშტნაოლ ჩვენთან დაიარებიან, კატებივით მათაც ალბათ უკაცური სასაფლაოები ხიბლავთ!

ტყვეს რამდენიმე ნორჩი წყვილი გამოეყო. იდგნენ და მებორნის ნიშანს ელოდნენ, რომ ბორანზე ასულიყვნენ, სიყვარულის ქვესკნელიდან ამოტივტივებული, მოჯადოებული ფრანჩესკოები და პაოლოები! ერთი გოგო სადღეჭი რეზინის ბუშტებს ბერავდა და ძალიან ჰგავდა მცობნავ აქლემს. მის ფართოდ გახელილ თვალებში ეს-ეს არის განცდილი განცხრომის კვალი ჯერაც არ წაშლილიყო.

უზარმაზარ პარკთან შედარებით კუნძული მომცრო და მყუდრო ჩანდა. უცხო თვალთაგან მის ნაპირებს ბუჩქნარის ზოლი იფარავდა. შეკრეჭილი ბალახის ბილიკები ფოთლოვანი კორუმებისა და განმარტოებული საფლაგებისაკენ მიიკლავნებოდა. ბოლოს ყველა ეს ბილიკი კუნძულის ცენტრში იყრიდა თავს, იქ სადაც ოქროცერცვას ცხრა რიგით გარშემორტყმული მოწნული ქოხი იდგა. მოწნული სკებიც იქვე ჩაედგათ. საზრიანად გაანგარიშებული ფადარგვის რომელიღაც მეთოდის წყალობით ოქროცერცვას ცხრა რიგთაგან რომელიმე აუცილებლად ჰყვავდა და მთელი წლის განმავლობაში ქოხს წითლად ამრდღვიალებული ყვავილები ერთყა გარს. აქ მანქანა-დანადგარების ხრიალი გარკვევით ისმოდა, სხვაგან კი, უფრო მოშორებით, ეს ბგერები შეიძლება მართლაც ფუტკრების ზუზუნად მოჩვენებოდა კაცს. სკების სიხლოვეს საფლაგები ყველაზე ძვირი ღირდა, თუმცა სხვა საფლაგთაგან ისინი არაფრით განსხვავდებოდნენ. გარშემო ყველგან ბრინჯაოს უბრალო ხავსმოკიდებულ ფირფიტებზე ლოს-ანელოსის კომერციული ელიტის უავგუსტესტთა სახელები ეწერა. დენისმა ქოხში შეიხედა და რომელიღაც წყვილს მყუდროება დაურღვია. ბოდიში მოიხადა და ელდანაკრავივით გამობრუნდა უკან. სკებშიც შეიხედა. ყოველი სკის შუაგულში წითლად მოციმციმე ელექტროთვალე დამაჩერებლად ირწმუნებდა, აპარატურა სანიმუშოდ მუშაობდა.

თბილი დღე იყო. მარადმწვანე მცენარეთა ფოთლებს ნელი სიოც კი არ არხევდა. დრო ნელა მიიზღაზნებოდა, ძალზე ნელა. დენისი ერთ პატარა ბილიკს მიჰყვა და უცებ ჩიხში აღმოჩნდა. აქ, როგორც ჩანს ოჯახური სამარხი იყო. ფირფიტამ დენისს აუწყა, რომ აქ ხილის უდიდესი მაგნიტის ოჯახის წევრები განისვენებდნენ. კაიზერის „უკურკო“, ვარდისფერი ხორცსავესე ატმები ყველა მაღაზიის ვიტრინიდან შესცინოდა გამვლელს; კაიზერის ნახევარსაათიანი სარეკლამო გადაცემა ვაგნერის მუსიკის თანხლებით ამ ქვეყნის ყველა სამზარეულოში გაისმოდა. ამ ოჯახის ორ წევრს უკვე დაეკავებინა აქ თავისი კუთვნილი ადგილი — კაიზერის ბიძის ცოლსა და კაიზერის მეუღლეს. დროთა განმავლობაში, მისთვის განკუთვნილი დროის ჩამოფურცვლის შემდეგ თვით კაიზერიც აქვე ჰპოვებდა განსასვენებელს.

ხეთა რტოები სტელ ფარდად ვადმოპფენოდა დედამიწას. დენისი ამ ხშირ ჩრდილში წამოწვა. მექანიკური ფუტკრების ზუზუნი აქ ნამდვილს ჰგავდა. დრომ სრბოლას უმატა.

დენისს თან უბის წიგნაკი და ფანქარი წამოედო. არც ერთი ლექსი, რომელთაც დენისს სახელი გაუთქვეს და ახლანდელ განსაკუთრებულ მდგომარეობამდე მიადწევენეს, მსგავს გარემოცვაში არ შეუქმნია. ისინი ომის გზებზე, ჯარისკაცურ ვაგონებში დაიბადნენ. იარაღით გამოტენილი ვაგონები... ვილაციის მკრთალად განათებული მუხლები... გაურკვეველი სახეები, ყინვიან ჰაერს შერეული სიგარეტის ბოლი... მოულოდნელი გაჩერებები... უკაცური და ჩაბნელებული სადგურები... ის ლექსები დენისმა ნისენის ბარაკებში დაწერა; ის ლექსები გაზაფხულის საღამოებში

1 ნისენის ბარაკი — ასაწყობი ბარაკი.

შთაგონა. ის ლექსები მანანას ბურჭებით მოფენილ ველებზე და სატრანსპორტო თვითმფრინავების რეინის სკამებზე დაიწერა. აქ კი, მართლაც რომ ვერ დაწერ ყველაზე სანუკვარ ლექსს, იმ ლექსს, რისთვისაც ღირდა ამქვეყნიად მოსვლა. განა აქ სული ინეტარებს? დენისის სული სულ უფრო და უფრო გაუბედავიდ ფეთქავდა და სულ უფრო და უფრო უნიათოდ მოითხოვდა თავის საიდუმლოებით მოცულ უფლებებს.

მომთენთავი, ხორშაკიანი შუადღე მოგონებებისათვის უფრო განაწყობდა დენისს, ვიდრე სა-
თხველად. მის გონებაში ზანტად ტივტივებდნენ ანთოლოგიიდან დამახსოვრებულნი —

ჩავფლათ მიწაში ისე — არ შევიხაროთ წარბი
ჩავფლავთ მიწაში რაინდს — დახვეწილ პროზის არბიტრს!
თან გავაყოლოთ უნდა კინოსტუდიის ლოცვა,
შეუდარებელ რაინდს მიწაში ჩავფლავთ როცა!

და შემდეგ:

თვალეზგადმოკარკლულიო, გადმოგდებულ ენით —
მითხრეს, ჭერში ეკიდათ ფრენის პინსლი ჩვენი!
დაგიტირე! მივაწყველე ის სახლრც და ჭერიც!
გახსოვს? როგორ დავცინოდით ერთად ლოს-ანჯელოსს!
ფორმალისების ბალზამნასვამს, მოთხვრილს, როგორც კახპას,
არ დაგვტოვებს აქ არავინ — გაგიყვანენ გაღმა!
არც ძალიახ ცოცხალი და არც ძალიან მკვდარი —
კაცუნა ხარ გაუხრწნელი, სწორედ ვარდის დარი!

დენისმა თავზე ჭერად დამხობილ ლავანდის ფოთლებს ახედა. უკურკო ატამი! რა ზედ კა-
მოჭრილია ეს მეტაფორა ფრენის პინსლიზე! დენისს გაახსენდა კაიზერის ცნობილ, უკურკო
ატამს ერთხელ გემო რომ გაუსინჯა. ატამს ელოდა და ტკბილით გაელენთილი ბამბის მსგავსი რა-
ღაც კი შერჩა პირში. საბრალო პინსლი სწორედ ასეთ ნაყოფს აგონებდა დენისს.

ვერ იქნა და ვერაფერი ვერ დაწერა დენისმა. შთაგონება დუმდა. მოვალეობის გრძნობაც
მიუხრებელიყო. დამე ჩამოწვება და მამაკაცები მაშინ შეუდგებიან მუშაობას! ახლა კი შეიძლება
ფლამინგოებს უცქიროს და მისტერ კაიზერის ცხოვრებაზე იფიქროს. დენისი საფლავეებს მიუბ-
რუნდა და საფლავის ქვებზე ამოტვიფრულ ფაქსიმილეთა შესწავლას შეუდგა. თუ კალიგრაფიის
მიხედვით ვიმსჯელებთ, კაიზერები ძლიერი ხასიათის ქალებით ვერ დაიკვებნიდნენ. მისტერ კაი-
ზერს ისინი არაფერში დახმარებიან. „უკურკო ატამი“, როგორც ჩანს, თავიდან ბოლომდე მხოლოდ
მისი გენიის ნაყოფი იყო.

მოახლოებული ნაბიჯების ხმა შემოესმა დენისს. ნაბიჯებზე ეტყობოდა ქალი მოდიოდა. მამა-
კაცმა თანმიმდევრულად ჯერ ტერფებს მოჰკრა თვალი, მერე კოჭებს, წვივებს და ბოლოს თემოებს.
იჭაური ქალების ფეხების მსგავსად უცნობის ფეხებიც ლამაზი ფორმისა იყო და ლამაზადაც შე-
მოტმასნოდნენ ზედ აბრეშუმის წინდები. ნეტავი, რომელია ამ უცნაური ცივილიზაციის პირვე-
ლადი პროდუქტი — ტერფი თუ ფეხსაცმელი, ფეხები თუ ნეილონის წინდა — გაიფიქრა დენის-
მა, ან იქნებ ეს ტიპიური, აბრეშუმის წინდებში გამოწყობილი ელევანტური წვივები, ცელოფანის
პირში გამოხვეული იყიდება ყველა მაღაზიაში. ანდა იქნებ არსებობს რაღაც მარტივი მეთოდი
და ყველაფერს ამას ადვილად მოარგებენ ხოლმე ცოტა ზემოთ მდებარე რეზინისავე გასტერი-
ლებულ ფორმებს! იქნებ ეს ყველაფერი პლასტმასისაგან დამზადებულ მსუბუქ თავებთან ერ-
თად იყიდება. ვინ იცის, მთელი ეს მოწყობილობა უკვე გამზადებული გამოდის კონვეიერები-
დან, რათა მამაკაცებმა ოჯახურ საქიროებათათვის გამოიყენონ!

დენისი გატრუნული იწვა. ქალიშვილი მიუახლოვდა, ფანჩატურში შევიდა და ის იყო ჩი-
მოსაჯდომად მოემზადა, რომ მაშინდა შეამჩნია დენისი და „ოპო“ წამოიძახა.

დენისი წამოდგა. მის წინ ის კოსმეტიკოსი იდგა, ვინც ფრენისის „დაამუშავა“. მას ელიფსის

¹ ეს სტრიქონები უ. ჯ. კორნის ლექსის „პერაკლიტეს“ ცინიკურ პერიფრაზს წარმოადგენს.
თარგმნა ტარიელ ჭანტურიამ.

ფორმის, მზის უზარმაზარი სათვალე ეკეთა. დამხვდური რომ უკეთ დაენახა, ქალიშვილმა სათვალე მოიძრო და როგორც ჩანს, მანაც იცნო დენისი.

— აჰ, ვთხოვთ მამატიოთ! თქვენ ორქიდეების სალონის ნეტარხსენებულის მეგობარი არა ხართ? აი, იმ კაცისა, თავი რომ ჩამოიხრჩო? ცოცხალთა სახეებს ცუდად ვიმახსოვრებ! ძალიან კი შემაშინეთ. აქ არავინ მეგულებოდა.

— ადგილი ხომ არ წაგართვით? — ჰკითხა დენისმა.

— არა, რას ბრძანებთ! ეს ადგილი არც თქვენია და არც ჩემი, მისტერ კაიზერისაა! ამ დროს აქაურობა, როგორც წესი, უკაცურია და სამსახურის შემდეგ აქ მოვდივარ ხოლმე. შევეჩვიე და ჩემიდაც ამიტომ ვთვლი. იყავით, მე სხვაგან წავალ!

— როგორ გეკადრებათ! მე წავალ! ლექსი მინდოდა დამეწერა და ამიტომ მოვედი.

— ლექსი?

კაცმა უჩვეულო რამ თქვა! აქამდე ქალი მას იმ გულგრილი მეგობრულობით მიმართავდა, რაიც ამ უთვისტომოთა და გადმოხვეწილთა საუფლოში ზრდილობიან ქცევად ითვლება. ლექსის ხსენებაზე კი თვალეები გაუფართოვდა.

— ლექსით თქვით? — ჩაეძია ხელმეორედ.

— დიახ, პოეტი ვარ.

— დიდებულია! ცოცხალი პოეტი ჯერ არ მინახავს! სოფი დალმეირ კრამპს ხომ იცნობთ?

— არა!

— ამჟამად იგი პოეტთა კუნძულში განისვენებს. „მოჩურჩულე ველში“ ჩემი მოსვლიდან დაიხლოებით ერთი თვე იყო გასული, ჩვენთან რომ მოიტანეს. მაშინ დამწყები კონსტრუქციის ვიყავი და ნება არ დამრთეს დამემუშაებინა. ავარიში მოჰყვა და მისი დამუშავება განსაკუთრებულ ცოდნას მოითხოვდა. მისი სახის შესწავლა მაინც მოვახერხე. ძალზე მკვეთრად გამოხატული ინდივიდუალობა ჰქონდა. პირდაპირ შეიძლება ითქვას, რომ მის სახეზე ვისწავლე „მოჩურჩულე ველის“ ხერხებით პიროვნების ინდივიდუალობის გამოხატვის ხელოვნება. ამჟამად, განსაკუთრებით ძლიერი პიროვნების დამუშავება როცა გვჭირდება, მისტერ ჯოიბოი მე მიგზავნის ხოლმე.

— მე რომ მოვკვდე, ხელს არ მომკიდებთ?

— ძნელი დასამუშავებელი იქნებით, — უპასუხა ქალმა და პროფესიული თვალთ ჩათვალე რა შამაკაცი, — თქვენს ასაკში სული მკვეთრად არ არის გამოხატული. სული მძაფრობს ან მთლად ნორჩებში ან კიდევ ღრმა მოხუცებულებში. ყოველ შემთხვევაში ძალ-ღონეს არ დაევიწყებდით, რომ მიზნისათვის მიმედღია. ჩემი აზრით, პოეტობა შესანიშნავი რამაა.

— თქვენც ხომ პოეტური საქმიანობა გიწევთ ამ დაწესებულებაში. — ცხადია, დენისმა ეს ხუმრობით, ქალის გასადიზიანებლად თქვა, ქალმა კი მთელი სერიოზულობით უპასუხა:

— ვიცი, განა არ ვიცი! მაგრამ ზოგჯერ, სამუშაო დღის ბოლოს ძალზე დადლილს მგონია, რომ ყველაფერი დროებითი და მოჩვენებითია. ხვდებით, რასაც ეგულისხმობ? ვთქვათ, თქვენ ან სოფი დალმეირმა ლექსი დაწერეთ — დაგიბეჭდავენ! შეიძლება რადიოთიც გადასცენ. ლექსს მილიონობით ადამიანი მოისმენს და ადგილი შესაძლებელია მომავალმა თაობებმა მრავალი წლის განმავლობაში იკითხონ. ჩემი ნამუშევარი კი სულ რამდენიმე საათს სძლებს, მერე ანადგურებენ. უკეთეს შემთხვევაში, მავზოლეუმში შეიძლება მოხედეს, მაგრამ დროთა განმავლობაში იქაც ფუჭდება ერთი ნამუშევარი ვნახე. ათი წელი არც არის, რაც მავზოლეუმში თნახება და ფერები უკვე მთლად ამოხუნებულა. განა ის, რაც ასე მოკლე დროის განმავლობაში ფუჭდება, შეიძლება დიდი ხელოვნების ნიმუშად მივიჩნიოთ?

— თქვენს შემოქმედებას მსახიობის, მომღერლის ანდა პიანისტის პოზიციებიდან უნდა შეხედოთ, — ანუგეშა დენისმა ქალი.

— ასეც ვიქცევი. თუმცა ახლა მათაც შეუძლიათ თავისი ხელოვნების უკვდავოება: ფირფიტაზე ჩაწერა, მაგალითად.

— მარტოდ მყოფი აქ მაგაზე ფიქრობთ ხოლმე? — დაინტერესდა დენისი.

— დიახ, ამ ბოლო დროს ვფიქრობ ხოლმე. თავდაპირველად ისე, უბრალოდ მოვდიოდი ჩრდილში ვწვებოდი და ვფიქრობდი: რა ბედნიერი ვარ აქ რომ ვმუშაობ-მეთქი.

— ახლა ასე აღარ ფიქრობთ?

— რა თქმა უნდა, ახლაც ასევე ვფიქრობ. დილაობითაც იგივეს ვგრძნობ და სამსახურში ყოფნისასაც. საღამოობით კი რაღაც მემართება. ალბათ ეს ყველა ხელოვანის ხვედრია. განა პოეტობაც ასევე არ არიან?

— კიდევ მითხარით რამე თქვენს სამსახურზე, — სთხოვა დენისმა.

— გუშინ ხომ თქვენი თვალით ნახეთ ყველაფერი!

— მომიყევით საერთოდ თქვენზეც და თქვენს საქმიანობაზეც. რამ გაიძულათ ხელი მოგვეკიდათ ამ საქმისათვის? ან ხელობა სად ისწავლეთ? ბავშვობიდანვე თუ გიტაცებდათ მსგავსი საქმიანობა? ყველაფერი მაინტერესებს.

— ხელოვნებისადმი ყოველთვის დიდ მიდრეკილებას ვიჩენდი, — დაიწყო ემეცი. — კოლეჯში სწავლისას მეორე სპეციალობად ხელოვნება ავირჩიე. ამ საგანს მთელი სემესტრი ვსწავლობდი. მამაჩემი რომ რელიგიას არ გაეკოტრებინა და იძულებული არ გაემხდარიყავი რაიმე ხელობა შესწავლა, ხელოვნებას პირველ სპეციალობადაც კი ავირჩევდი.

— რელიგიამ გააკოტრა?

— დიახ, ჭეშმარიტმა ევანგელიემ¹. ემეცი ამიტომ დამარქვა! ემე მაკფერსონის პატივსაცემად. მერე, როცა ამ საქმიანობამ გააკოტრა, მამაჩემს უნდოდა სახელი დამოეცვალა ჩემთვის, მაგრამ თითქოს მომეწუბაო, ვერაფრით ვეღარ მოვიცილე. ჩემი ახალი სახელი ვერ იქნა და ვერ დაიმახსოვრა დედაჩემმა. სულ ავიწყდებოდა და სხვა რაღაცას მეძახოდა. იცით, თუ სახელს ერთხელ გამოიცვლით, მერე აზრი აღარა აქვს გაჩერებას, ყოველთვის უკეთესი და უკეთესი გინდა ადამიანს. საცოდავი დედაჩემი ლოთი იყო! ყოველთვის ემეს ამჯობინებდა და აკი შემრჩა კიდევაც.

— კოლეჯში სხვას რას სწავლობდით? — ჰკითხა ისევ დენისმა.

— ფილოსოფიას და ჩინურს. ჩინური მაინცა და მაინც კარგად ვერ შევითვისე. მართალია ისე, საერთო განათლებისათვის გვასწავლიდნენ, მეორეხარისხოვანი საგანი იყო, მაგრამ მაინც მინდოდა მცოდნოდა.

— აჰა, გასაგებია! მთავარი რაღა იყო?

— კოსმეტოკა!

— აა!

— დიახ! თმის დახვევა, მასაჟები, პარაფინის ნიღბები. საერთოდ ყველაფერი, რასაც სილამაზის სალონებში აკეთებენ. იმ განსხვავებით, რომ ჩვენ საგნის ისტორიასა და თეორიულ კურსს ვავდიოდით. სადიბლომთ თემად „თმის აღმოსავლური ვარცხნილობა“ ავირჩიე. ჩინურიც ამიტომ მინდოდა მცოდნოდა, ვფიქრობდი დამჭირდება-მეთქი. ჩინური არაფერში არ გამომიდგა. სამაგიეროდ ჩემს დიპლომში აღნიშნულია, რომ მე განსაკუთრებით კარგად ვიცი ხელოვნება და ფსიქოლოგია.

— კოლეჯში ფილოსოფიას, ხელოვნების ისტორიას და ჩინურს რომ სწავლობდით, თან მორგზე ოცნებობდით?

— არაფერიც, თუ მართლა გაინტერესებთ, მოგიყვებით. მოგიყვებით ჩემს, მართლაც რომ პოეტურ ამბავს. სკოლა 1943 წელს დავამთავრე. ბევრი ჩემი თანაკლასელი გოგო სამხედრო სამსახურში შევიდა. მე არასოდეს ვყოფილვარ გატაცებული სამხედრო საქმით. პატრიოტიზმი არ მაკლდა, მაგრამ ომი არ მაინტერესებს. ახლა ყველა ასე ფიქრობს. მე კი 43-ში ვფიქრობდი ასე. ამიტომაც დავიწყე მუშაობა ბევრელი უოლდორფის სილამაზის სალონში. თუმცა ომს ვერც იქ დავემალე! ჩვენს კლიენტებს პირზე სულ ომი და ბომბები ეკერათ. მათ შორის ერთი ქალბატონი — მისის კომსტოკი, ყველას აჭარბებდა. ეს ქალი შაბათ დილაობით მოდიოდა. თმას ლილაგარეული წყლით იღებავდა. როგორც ჩანს, მოვეწონე. ყოველთვის ჩემთან ჯდებოდა. სხვებზე მეტად კი მოწონდი, მაგრამ ოცდახუთ ცენტზე მეტი არასოდეს უჩუქებია! მისის კომსტოკს ერთი ვაჟიშვილი ვაშინგტონში ჰყავდა, ერთიც — დელიში. შვილიშვილი იტალიაში მყავსო, ამბობდა. მის დისწულსაც განათლების სისტემაში რაღაც მაღალი პოსტი ეყავა. ყოველ შაბათს ერთსა და იმავეს მიყვებოდა. იქამდე მიმიყვანა. შაბათი დილა შემძულდა. მალე მისის კომსტოკი ავად გახდა, მაგრამ მაინც არ მომეშვა. კვირაობით სახლში მიბარებდა, შინ ვემსახურებოდი. წარმოიდგინეთ ოცდახუთ ცენტს კაბიკიც არ მოუმატა. შინაც იგივე საუბრები გრძელდებოდა, მხოლოდ უფრო სულელური. წარმოიდგინეთ ჩემი გაოცება, როდესაც ერთ მშვენიერ დღეს ჩვენმა შეფმა, მისტერ ჯებმა დამიძახა და მითხრა: მისს ტანატოგენოს, ძალიან მიჭირს ამ თხოვნით მოგმართოთ, რადგან არ ვიცი რა აზრის იქნებით, მაგრამ სხვა გამოსავალს ვერ ვხედავ. მისის კომსტოკი გარდაიცვალა, მისი ვაშინგტონელი ვაჟიშვილია ჩამოსული და სურს დედამისს თმა ისე დაუვარცხნოთ, როგორც სიცოცხლეში ივარცხნიდა. მისი ბოლოდროინდელი არც ერთი ფოტო არ აქვთ და „მოჩურჩულე ველ-

1. „ჭეშმარიტი ევანგელიეს საერთაშორისო ეკლესია“ ერთ-ერთი ამერიკული სექტა, რომელიც 1918 წელს ლოს-ანჯელოსში დააარსა ემე მაკფერსონმა. იგი ღვთისმსახურებისას იყენებდა მუსიკას, ეფექტურ განათებას.

ში“ არ იციან მისის კომსტოკის თმის ვარცხნილობა. მისტერ კომსტოკიც ვერ ახერხებს გააგებინოს სახელდობრ როგორი ვარცხნილობა სურს. მისტერ კომსტოკი მადლიერი დაეჩინებათ, თუ „მოჩურჩულე ველში“ წახვალთ და მისის კომსტოკს თმას ისე დაუვარცხნით, როგორც ეს მისტერ კომსტოკს სურს.

ალარ ვიცოდი რა პასუხი გამეცა ამგვარ თხოვნაზე. მიცვალე მანამდე მანამდე მენახა. მაშაჩემი რომ მოკვდა (თუ მკვდარია), ჩვენთან ალარ ცხოვრობდა. დედამ ჩემთვის მე რომ კოლეჯს ვამთავრებდი, იმ პერიოდში მამაჩემის სამეცნიერო აღმოსავლეთ შტატებში წავიდა და იქ სადაც მოკვდა. მანამდე არც „მოჩურჩულე ველში“ ვყოფილვარ. მამაჩემის გაკოტრების შემდეგ დედამ რელიგია გამოიცვალა და რადგან იმ რწმენის ხალხი საერთოდ არ სცნობს სიკვდილის არსებობას, სიკვდილს ვერ უხსენებდი. ჰოდა, პირველად აქ რომ მოვდიოდი, ვდეღავდი. წარმოიდგინეთ, საშინელი აზრის ვიყავი აქაურობაზე. სულ სხვაგვარად კი ყოფილა. თქვენ უკვე ნახეთ ყველაფერი და იცით, რასაც ვგულისხმობ.

პოლკოვნიკმა კომსტოკმა ხელი ჩამომართვა, ყმაწვილო ქალო, თქვენი საქციელი ჭეშმარიტად ჩინებულა და კეთილშობილურიაო, მითხრა და ორმოცდოლარიანი მაჩუქა.

საბაღ-ხამოში შემეყვანეს. მაგიდაზე საქორწინო ტანსაცმელში გამოწყობილი მისის კომსტოკი იწვა. რა დამაფიქვებს ამ სურათს! მისის კომსტოკი მთლად გარდაქმნილიყო. არა, ეს სიტყვა საქმის არსს მთლიანად ვერ გამოხატავს! ალარც კი მახსოვს რამდენჯერ შემისრულებია სასიამოვნო მოვალეობა, მიცვალე მთელი ჭირისუფლისათვის მიჩვენებია. თითქმის ყველას ერთი და იგივე აღმოხდება ხოლმე: „ღმერთო ჩემო, მთლად გარდასახულიაო“.

მისის კომსტოკს კოსმეტიკოსის ხელი ჯერ არ მიჰკარებოდა. თმა ჭუჭყიანი და გაწებილი ჰქონდა. სანთელივით ყვითელი და ცივი იყო. პირველად შეხებაც კი ვერ გავბედე. ბოლოს, რადგანაც სხვა გზა არ იყო, თმა ჯერ შამპუნით, მერე კი ლილიანი წყლით დავბანე და ისე დაუვარცხნე, როგორც სიცოცხლეში მავარცხნივებდა ხოლმე. ახლა თმა თავზე კულულებად ეყარა. სადაც შეთხვლებული ჰქონდა, ოდნავ აფუჩეჩე. სანამ მისის კომსტოკს თმა უშრებოდა, კოსმეტიკოსმა სახე სელევაკებით დაუმუშავა. მან ნება დამართო მისი მუშაობისათვის თვალყური შედეგებინა. სიტყვამ მოიტანა და მითხრა, „მოჩურჩულე ველს“ უმცროსი კოსმეტიკოსი სჭირდებაო. მეც ავდექი და მისტერ ჯებს მიუკიბავ-მოუკიბავად ვუთხარი, გადავდივარ თქვენგან-შეთქი. ეს დაახლოებით ორი წლის წინ მოხდა. მას შემდეგ აქ ვმუშაობ.

— არასოდეს გიხანიათ?

— აჰ, როგორ გეკადრებათ! არც ერთი წუთით. ჩემი შემოქმედების შედეგი წარმავალი შეჩვენება-შეთქი რომ ვამბობდი, განა ყველა ხელოვანი ასე არ ფიქრობს თავის ხელოვნებაზე? აი, თქვენ თვითონ, განა არასოდეს გიფიქრებთ ამაზე?

— „მოჩურჩულე ველში“ უფრო მეტს გიხდიან, ვიდრე სილამაზის სალონში გიხდიდნენ? — არ უპასუხა დენისმა ქალის კითხვას.

— კი, ცოტა მეტს, მაგრამ ალბათ თვითონაც ხელებით, რომ მიცვალე მთელი საჩუქრად ვერაფერს მოგცემენ. ასე რომ, საბოლოო ჯამში ერთი და იგივე გამოდის. მე აქ ფული როდი მაინტერესებს! სულაც უფასოდ ვიმუშავებდი, მაგრამ ჭამა ხომ მიწდა! თანაც ჩვენი შეფი თითქმის გვაძულეებს რიგიანად გამოვიყურებოდეთ. ჩემი პროფესიისადმი ჭეშმარიტი სიყვარული პირველად გასულ წელს ვიგრძენი. მანამდე მხოლოდ ის მახარებდა, რომ ჩემს კლიენტებს ლაპარაკი არ შეეძლოთ. კარგა ხანი გავიდა, სანამ მივხვდებოდი, თუ რა ღვთისნიერ საქმეს მოგვიდებ ხელი. მარტო ის რად ღირს, რომ იცი შენი ყოველდღიური საქმიანობით ვიდაცის დარდიან გულს მალამოდ უნდა დაედო. თქმა არ უნდა, ჩემი წვლილი ამ დიდ საქმეში სულ მცირეა. მე მხოლოდ მებაღე-ხამეთა თანაშემწე ვარ, მაგრამ ხშირად ჭირისუფალთ ჩვენი შემოქმედების საბოლოო შედეგს ვუჩვენებ ხოლმე და მათ საპასუხოდ რეაქციას ვაკვირდები, თქვენი გუშინდელი განცდები მახსოვს. ბრიტანელი ხართ და თავშეკავებული ბრძანდებით, მაგრამ მე ხომ მივხვდი, რასაც გრძნობდით.

— სერ ფრენსისი სრულიად გარდაქმნილ-გარდასახული იყო!

— მისტერ ჯობისის მოსვლისთანავე მე აშკარად ვიგრძენი, რა დაწესებულებაა „მოჩურჩულე ველი“. მისტერ ჯობისი წმინდანია! მისი მოსვლის პირველი დღიდანვე მორგის თანამშრომელთა მეტყველება დაიხვეწა და მაღალფარდოვანი გახდა. არასოდეს დამაფიქვდება, ერთხელ მისტერ ჯობისიმ უმცროს ასისტენტს რომ უთხრა: — მისტერ პარკს, გთხოვთ დაიმახსოვროთ, რომ თქვენ „ბედნიერი სანახების“ თანამშრომელი არა ხართო.

დენისს არაფრით გამოუმეღავენებია ხსენებულ დაწესებულებასთან თავისი აბლო კავშირი. სიხარულის ჟრუანტელმა დაურბინა სხეულში, როცა გაახსენდა, რომ წინა დღეს, ემესთან მეტი გულითადობის დამყარების მიზნით ერთი კი დააპირა ეთქვა, სადაც მუშაობდა, მაგრამ შემდეგ გ-

დაიფიქრა, როგორც ჩანს, მის აღსარებას სათანადოდ ვერ შეაფასებდნენ. საიდუმლო არც ამჯერად გაუცია დენისს.

— ამ დაწესებულებაზე თქვენ ალბათ არაფერი გსმენიათ, მისტერ ბარლოუ. ასე უწოდებენ იმ საზარელ ადგილს, სადაც ცხოველებს მარხავენ.

— არაპოეტური ადგილია?

— არ ვიცი, იქ არასოდეს ვყოფილვარ, მაგრამ სხვებისაგან გამიგონია, რომ ძალსხმის ცხელბუნებენ მოგვბაძონ. ცდილობენ, ყველაფერი ისე გააკეთონ, როგორც ჩვენთან ხდება, რა საშინელი მკრეხელობაა!

— საღამოობით აქ მოსული რაზე ფიქრობთ ხოლმე? — სიტყვა ბანზე აუგდო დენისმა.

— სიკვდილსა და ხელოვნებაზე, — დაუფიქრებლად უპასუხა ემე ტანატოგენოსმა.

— „...საალერსო სიტყვით, თუ კაზმული სიტყვით...“ — ჩაილაპარაკა დენისმა.

— რაო, რა თქვით?

— ლექსს ვამბობდი —

...საალერსო სიტყვით
 თუ კაზმული სიტყვით —
 ჩემს ნახევარ-მიჯნურს —
 ბევრჯერ ვუხმე სიკვდილს,
 რათა შუადამით
 მომვლენოდა მხსნელი!
 ახლაც აღსრულებას —
 ამაღლებას ველი!..!

— თქვენ დაწერეთ?

დენისი შეყოყმანდა.

— მოგწონთ?

— დიახ, მშვენიერია! რამდენჯერ მიფიქრია ზუსტად ასე და ვერ კი გამომითქვამს. „ჩემს ნახევარ-მიჯნურს. ბევრჯერ ვუხმე სიკვდილს“, ან „ახლაც აღსრულებას, ამაღლებას ველი“. აი, რატომ დაირსეს „მოჩურჩულე ველი“! ბედნიერია, ვისაც ასე წერა შეუძლია. როდის დაწერეთ, აქ პირველად რომ მოხვედით?

— არა, ვაცილებით ადრე დაიწერა.

— თვით „მოჩურჩულე ველში“, აქ, ტბის კუნძულზე რომ დაგეწერათ, მაშინაც კი არ იქნებოდა უფრო მშვენიერი. ახლაც ჩემი მოსვლის წინ მაგის მსგავს ლექსს წერდით?

— ზუსტად მსგავსს არა!

კობწია სამრევლოდან ზარის მელოდითურმა ტრელეებმა ტბის ზედაპირი მსუბუქად გადმოირბინეს და მობაასეთ დრო ამცნეს.

— უკვე ექვსი საათია, დღეს შინ ადრე უნდა მივიდე.

— მეც ლექსი მაქვს დასამთავრებელი.

— აქ დარჩებით და აქ დაწერთ?

— არა, შინ! თქვენთან ერთად წამოვალ!

— როცა დაწერთ, დიდი სიამოვნებით წავიკითხავ.

— გამოგიგზავნით.

— მე ემე ტანატოგენოსი მქვია. აქვე ახლოს ვცხოვრობ, მაგრამ აჯობებს „მოჩურჩულე ველში“ გამომიგზავნოთ. აქ არის ჩემი ნამდვილი ოჯახი.

დენისი და ემე ბორანთან რომ მივიდნენ, მებორნემ დენისს თვალი შეთქმულივით ჩაუკრა და ჩაულაპარაკა.

— მაინც მოვიდა შენი ტურფა, ძამია?

თავი VI

მისტერ ჯობისი უოველი მოძრაობა პროფესიულ თვითკმაყოფილებას გამოხატავდა. მან რეზინის ხელთათმანები უიდას² პიესის პერსონაჟის სინატიფით წაიძრო, რომელიც ეს-ეს არის გა-

1 ჯონ კიტსის ლექსიდან „ოდა ბულბულისადმი“. თარგმნა ტარიელ ჭანტურიაძემ.

2 უიდა — ინგლისელი მწერალი ქალის, მარია ლუიზა დე ლა რამეს (1839-1908 წ.) ფსევდო-

მოვიდა საჭინბოდან. ასისტენტს ახალი წყვილი ხელთათმანი გამზადებული ექირა. პირველ სა-
რთულზე მეყვავილე ქალებს რომ სადარბაზო ბარათები ჰქონდათ, სწორედ ისეთი ბარათი აიღო
ხელში მისტერ ჯოიბოიმ და ქირურგიული მაკრატლით, ხელის ერთი მოქნილი მრძობით ოვალი
გამოჭრა. ორივე მხრიდან ნახევარ-ნახევარი დიუმი ჩამოაჭრა, გვამზე დაიხარა, ყბები მოუსინჯა
და როცა დარწმუნდა, მაგრად აქვს კრიკა შეკრულით, ტუჩები გადაუწია და გამოჭრილი ქალღლი
კბილებსა და ღრძილებზე გადააფარა. მთავარი ამის შემდეგ იწყებოდა, ასისტენტი შეუწინაღებელი
აღტაცებით ადევნებდა თვალს მისტერ ჯოიბოის თითებს. იმას, თუ არაგორი ზუსტი მრძობით
გადაუკეცა მან კუთხეები ქალღლდს, როგორ მოუყარა ერთად თავი გამშრალსა და უფერულ ტუ-
ჩებს რეზინწამოცმული თითების ალერსიანი მოთათუნებით და აჰა, შედეგიც! მწუხარების გამომ-
ხატველი ხაზების ნაცვლად მიცვალბულის სახეზე ღიმილი გადაიშალა. აი, ნამდვილი ხელოვნე-
ბა! ხელის ხლება აღარ სჭირდება! მისტერ ჯოიბოიმ ოდნავ უკან დაიხია, ხელთათმანები წაიძრო
და წარმოთქვა:

— მის ტანატოგენოსს გაუგზავნეთ!

კარგა ხანია ემესთან მხოლოდ გაღიმებული მიცვალბულები მიჰქონდათ. ღიმილი ყოველ-
თვის ერთნაირი როდი იყო — ევოლუციას განიცდიდა. მშვიდი, უღრუბლო ღიმილი თანდათანო-
ბით შეიცვალა ზეიმის, აღტაცების განწყობილებით. სხვა თანამშრომელ ქალებს პირქუშ, უაზრო
და უმეტყველო სახეებზე უბდებოდათ მუშაობა. ემეს კი ყოველთვის ხელთ ჰქონდა ნათელი, გა-
ცისკროვნებული ღიმილი.

მისტერ ჯოიბოის ესოდენ დიდი ყურადღება ემეს მიმართ კოსმეტიკოს ქალებს მაინცა და
მაინც არ სიამოვნებდათ. ჯოიბოის წინაშე კეკლუცობა მათ სამუშაო საათებს მიმზიდველობას მა-
ტებდა, თუმცა ყველას საკუთარი მბრძანებელი ან თაყვანისმცემელი ჰყავდა. თანაც, რომელი მათ-
განი გაბედავდა სერიოზულად იმის გაფიქრებასაც კი, რომ მისტერ ჯოიბოის ღირსად დაესაბა თა-
ვი. უნდა გენახათ მისტერ ჯოიბოი კოსმეტიკოს ქალებს როგორ ჩამოუვლიდა ხოლმე. მოწაფეებს
შორის ჩამდგარი ხელოვანი დაგიდგებოდათ თვალწინ, ზოგს შეაქებდა, ზოგს რაღაცას შეუსწო-
რებდა; ამ დროს ჯოიბოი ცალ ხელს თანამშრომლის მხარს უთათუნებდა, მეორეს — მიცვალე-
ბულის თქმოს. ქალების თვალში მისტერ ჯოიბოი რომანტიული შარავანდედით იყო გარემოსილი.
ყველა თანაბრად ეთაყვანებოდა და ვერ წარმოედგინათ, რომ იგი ერთი რომელიმეს საკუთრება
გამხდარიყო. ემეს თავს უხერხულად გრძნობდა ამგვარ სიტუაციაში.

იმ დილით ემე ჩვეული გულწრფელობით ვერ შეეგება მისტერ ჯოიბოის გამოგზავნილ გა-
ღიმებულ მიცვალბულს. წინა საღამოს ქალმა ისეთი რამ ჩაიდინა, რასაც მისტერ ჯოიბოი
არასგზით არ მოუწონებდა.

ხსენებულ ქალაქში ცხოვრობდა და მოღვაწეობდა ერთი სულიერი მამა, რომელიც ადგილო-
ბრივ გაზეთში ყოველდღე აქვეყნებდა ბრძნულ რჩევა-დარიგებებს. გაზეთის ამ რუბრიკას ოდეს-
ღაც, „დეიდა ლიდიას ფოსტა“ ერქვა. ეს იყო დიდი ხნის წინათ, მაშინ ოჯახურ-ნათესაური ურ-
თიერთობანი ჯერ კიდევ მოდაში იყო... ამჟამად ეს რუბრიკა „გურუ ბრამინის სიბრძნედ“ მოენა-
თლათ, რუბრიკას ნახევრად შიშველი წვეროსანის სურათი ამშვენებდა. ამ ქალაქის ყველა გასაჭი-
რში ჩავარდნილი მოქალაქე რჩევა-დარიგების მისაღებად სიბრძნის ამ ეგზოტიკურ წყაროს მიმა-
რთავდა ხოლმე.

არავინ იფიქროს ამ ქვეყანაში წესად მიღებული უცერემონიო გულახდილობა და პირ-
დაპირობა მის მოქალაქეთა გულში ექვემდებარების ადგილს აღარ ტოვებდეს, ყოვლისმომცველი კე-
თილგანწყობილება თავსატეხს არავის უჩენდეს! ნურას უკაცრავად! ეტიკეტის, ბავშვის ფსი-
ქოლოგიის, ესთეტიკის, სექსისა და აგრეთვე სხვა მრავალი პრობლემა ამ ედემის მცხოვრებთა
აწუხებთ! ამიტომაც გურუ ბრამინს არასოდეს უგრძენია კორესპონდენტთა სიმცირე და ისიც
ნუგეშისმცემლად და პრობლემათა გადამჭრელად ევლინებოდა თანამოქალაქეთ.

ღიმილით სახეგაცისკროვნებულმა გვამებმა მისტერ ჯოიბოის იდუმალი გრძნობანი რომ ნა-
თელპყვეს, ემემ რჩევისათვის სწორედ ზემოხსენებულ გურუ ბრამინს მიმართა. ემე ჯოიბოის
გრძნობებს არ დაგიდევდათ. საკუთარ თავში ვერ გარკვეულიყო და ეს აწუხებდა.

„ე. ტ. ჩემი აზრით, თქვენ იგი ჯერ კიდევ არ გიყვართ. მამაკაცის პროფესიული ოსტატობით
აღტაცება, მისი ხასიათის ღირსებათა აღიარება შეიძლება მეგობრობის საფუძველი გახდეს და

ნიმი. მისი რომანის გმირები მაღალი საზოგადოების წარმომადგენლები არიან და არაჩვეულებრი-
ვად დახვეწილი მანერებით გამოირჩევიან.

არა სიყვარულისა. ის, რასაც თქვენ გრძნობთ მისთან ყოფნისას, არ მიუთითებს მისდამი თქვენს ხორციელ ღატაკებაზე. ყოველ შემთხვევაში, ჯერჯერობით არა! მაგრამ ესეც იცოდეთ: ბევრს სიყვარული ქორწინების შემდეგ ეწვევა ხოლმე. ცნობილია შემთხვევები, როდესაც ქორწინებიდან რამდენიმე ხნის შემდეგ შეპყვარებიათ ერთმანეთი — ზოგჯერ ნაბოლარას შეძენის შემდეგაც კი. ხშირად შეხვდით თქვენს მეგობარს, სიყვარული შესაძლოა, გეწვიოთ!“

ეს ბარათი ემემ ბრამინისაგან მანამდე მიიღო. სანამ დენის ბარლოუსტონს შეხვედრებოდა უფრო აუფორიატებდა ისედაც აფორიატებულ სულს. ტბათა კუნძულზე დენისის ნახვისა და გაცნობის შემდეგ ექვსი კვირა გასულიყო. ამ დღით კი, სამსახურში რომ მიდიოდა, ემემ კიდევ ერთი წერილი გაუგზავნა თავის მრჩეველს. ქალი შუაღამემდე წერდა წერილს. ასეთი ვრცელი წერილი მას თავის დღეში არ დაუწერია.

„ძვირფასო გურუ ბრამინ!“

იქნებ გახსოვთ, მაისში წერილი მოგწერეთ. რჩევას გთხოვდით. ამჯერად მარკიან და ჩემს მისამართიან კონვერტს გიგზავნი. გთხოვთ ბარათი პირადად მე მომწეროთ. ისეთი რამ მინდა გაგანდოთ, რას გაზეთში გამოქვეყნებასაც არ ვისურვებდი. გთხოვთ, დაუყოვნებლივ მიპასუხოთ, და თუ დაუყოვნებლივ არ შეგიძლიათ, მაშინ, როგორც კი საშუალებას გამოიჩინებთ, მაშინვე. იმიტომ, რომ ძალიან ვარ შეშფოთებული და დროზე უნდა ვიღონო რამე.

შეგახსენებთ, რადგან შესაძლოა აღარ გახსოვდეთ, რომ მე ამ მამაკაცთან ერთად ვმუშაობ. იგი ჩვენი განყოფილების უფროსია და ჩემი აზრით, ყოველმხრივ შესანიშნავი პიროვნება. ასეთ რაფინირებულსა და წარმატებულ პიროვნებასთან ურთიერთობა დიდ პრივილეგიად მიმაჩნია. იგი ხელმძღვანელად არის დაბადებული, კემმარტი ხელოვანი და უადრესად ზრდილი ადამიანია. ჩემდამი იგი განსაკუთრებულ ყურადღებას იჩენს. მიმახვედრა, რომ სხვა ქალიშვილებთან შედარებით უპირატესობას მე მანიჭებს. და თუმცა ჯერ არაფერი უთქვამს, — იგი ისეთი პიროვნება როდია, ასეთი რამ ადვილად თქვას, — მჯერა, ვუყვარვარ. მაგრამ მე მასთან ყოფნისას არასოდეს არ მიჩნდება ისეთი გრძნობები, როგორც სხვა ქალიშვილებს უჩნდებათ, მათივე თქმით, შეყვარებულებთან ყოფნისას, ჩემი განცდები არც კინოში ნანახ გრძნობებს მაგონებს.

გრძნობა სულ სხვა მამაკაცთან ყოფნისას მიჩნდება, მაგრამ იგი სრულიადაც არ არის შესანიშნავი პიროვნება. ჯერ ერთი ინგლისელია და ამიტომაც ბევრად განსხვავდება კემმარტი ამერიკელისაგან. მისი აქცენტი კი არა მაქვს მხედველობაში, არც მისი მანერები ჭამის დროს! იგი ბევრ რამეს, რაც ჩვენთვის წმინდაა-წმინდაა, ცინიკურად უყურებს. არა მგონია რელიგიას პატივს სცემდეს. დიდი მორწმუნე არც მე ვარ, კოლეჯში სწავლისას პროგრესულ იდეებს ვიზიარებდი, თანაც ჩემს რელიგიურ აღზრდას და საერთოდ, ჩემს აღზრდას ბევრი ხარვეზი გააჩნია, მაგრამ სამაგიეროდ ეთიკური ვარ (რადგან ეს წერილი დასაბეჭდად არ არის განკუთვნილი, გამოგიტყდებით, რომ დედაჩემი ალკოპოლიკი იყო. იქნებ ამის ბრალიც არის, რომ სხვა გოგონებთან შედარებით უფრო მგრძნობიარე და მორცხვი ვარ). ამ ინგლისელს კი წარმოდგენაც არა აქვს მოქალაქეობრივსა და საზოგადოებრივს მოვალეობებზე. იგი პოეტია და ინგლისში წიგნიც გამოსცა, რომელიც კრიტიკამ ძალიან კარგად მიიღო. წიგნიც ვნახე და კრიტიკული წერილებიც. ასე რომ, ეს სინამდვილეა. თავის ახლანდელ სამსახურზე იგი რაღაც გაურკვევლად ლაპარაკობს. ზოგჯერ ისე გამოდის, თითქოს კინოში მუშაობდეს, ზოგჯერ კაცს ეგონება, ლექსების წერის მეტს არაფერს აკეთებსო. მასთან სახლშიც ვიყავი. მარტო ცხოვრობს. მისი მეგობარი (მამაკაცი) ექვსი თვის წინ მოკვდა. არა მგონია, ვინმესთან დადიოდეს ანდა ცოლიანი იყოს. ფულიც არ უნდა ჰქონდეს ბევრი, სამაგიეროდ დახვეწილი, არამერიკული სტილის გარეგნობა აქვს. და საერთოდ, მასთან ყოფნა ძალზე საინტერესოა. განსაკუთრებით კი მაშინ, როცა იგი უდიერად არ იხსენიებს ზოგიერთ რამეს. მაგალითად — „მოჩურჩულე ველის“ შემორჩალები პარკში ხელოვნების ქმნილებათა მიმართ იგი უპატივცემლობას გამოხატავს. ჩემი აზრით კი ეს პარკი ყველაფერ იმის კვინტესენციას წარმოადგენს, რაც კი რამ საუკეთესოა ცხოვრების ამერიკულ წესში. პოდა, ვიქონიო ნამდვილი ბედნიერების იმედი?

თანაც იგი სრულიად უკულტუროა! თავიდან მეგონა, კულტურული იქნება, რადგან პოეტია, ევროპაში უცხოვრია და ნამდვილი ხელოვნება უნახავს-მეთქი, მაგრამ ჩვენს ბევრ დიდ მწერალს არაფრად აგდებს.

ზოგჯერ ძალზე ნაზია და მოსიყვარულე, მერე უცებ არაეთიკურად იტყვება და მეც არაეთიკური გრძნობები მიჩნდება. ასე რომ, თქვენი რჩევა ძვირად მიღირს. ვიმედოვნებ, ამ გრძელმა ბარათმა ძალიან არ დაგღალათ.

თქვენი ერთგული ემე ტანატოგენოსი.

მან ბერი ლექსი მომიძღვნა. ზოგი მათგანი ძალზე შშვენეირია და ეთიკური, ზოგი კი — არა“. აი, ამ ფოსტით გაგზავნილ წერილზე ფიქრი იყო, ემეს სინდისს მძიმე ტვირთად რომ აწვა. გულს ცოტა მაშინდა მოეშვა, როცა მიხვდა, მისტერ ჯოიბოი იმ დილით მისადმი ყურადღების გამოხატვას მართოდენ გვამებზე აღბეჭდილი ღიმილით აპირებდა.

გულმოდგინედ ლებავდა ემე თავის კლიენტებს. დენისიც თავის მხრივ „სამოთხის ბედნიერ სანახებში“ იყო დაკავებული. ორივე ღუმელი მუშაობდა. ექვსი ძალზე ერთი კატა და ერთი გა-რეული თბა უნდა დაემუშაებინათ. კრემაციას არც ერთის პატრონი არ ესწრებოდა და მისტერ შულცსა და დენისს შეეძლოთ ენერგიულად და უცერემონიოდ ემოქმედათ. ძალღისა და კატის დაწვა ოციოდე წუთის ამბავი იყო. დენისმა გავარვარებული ნაცარი ღუმელიდან გამოიღო და გასაციებლად წარწერებიან ვედროში ჩაყარა. თხის დაწვას დაახლოებით ერთი საათი დასჭი-რდა. დენისი დროდადრო სათვალთვალოდან ღუმელში იყურებოდა. ბოლოს მან თხის რქებით შემკული თავი საჩხრკეთ დაამტვრია, გაზი გამორთო და ღუმელის კარი ღია დატოვა; მერე კონ-ტინერები მოამზადა. მხოლოდ ერთი კლიენტის შეგულიანება მოახერხეს მან და მისტერ შულცმა და ურნა აყიდინეს.

— მივდივარ! — თქვა მისტერ შულცმა. — თქვენ კი ფერფლის შეგრილებამდე შეიცადეთ, გეთაყვა! კატის ფერფლის გარდა, სხვები სახლებში უნდა დაარვიოთ. კატა კოლუმბარიუმში და-რჩება.

— ო, კეი! მისტერ შულც! თხის ბარათს რა წარწერა გავუკეთო? ხომ არ დავწერ სამოთხი-დან კუდს გიქნევთ-მეთქი? თხები კუდს არ აქნევენ.

— აქნევენ, როცა კურკლავენ.

— ჰო, მაგრამ, მისასალმებელ ბარათში მაგას ხომ არ ჩავწერ. თხები არც კატებივით კრუტუ-ნებენ და არც ჩიტებივით გალობენ.

— ალბათ, უბრალოდ იხსენებენ პატრონებს!

დენისმა ბარათს ასეც დააწერა: „ამ საღამოს სამოთხეში თქვენი ბილი თქვენზე ფიქრობს“.

დენისმა ვედროში ჩაყრილი ნაცარი მოჩხრიკა. ნაცარს ჭერ ისევ ასდიოდა ბული. მერე კან-ტორაში დაბრუნდა და ოქსფორდში გამოცემულ ინგლისური პოეზიის ანთოლოგიაში ემესათვის ლექსის ძებნა განაგრძო.

დენისს სულ რამდენიმე წიგნი ჰქონდა, ამიტომ აღარ იცოდა რაღა გაეგზავნა ემესათვის. ჭერ ფიქრობდა, თვითონ მიეუძღვნა ემეს ლექსსო, მაგრამ ემეს ადრინდელი ავტორები უფრო მოეწო-ნა. ყველაზე უფრო მეტად საკუთარი მუზა არ ასვენებდა დენისს. პოემის წერა ჭერ კიდევ სერ ფრენსის ჰინსლის სიკოცხლეშივე მიატყდა. თითქოს მთელი საუკუნე გასულიყო მას მერე! დენი-სის მუზას პოემა როდი აფიქრებდა. მას უნდოდა რაღაც დიდი, რთული და მნიშვნელოვანი რამ გადაეცა დენისისათვის. ეს „რაღაც“ „მოჩურჩულე ველი“ იყო, მაგრამ სრულიად არ ეხებოდა ემეს ან თუ ეხებოდა, მხოლოდ გაკვრით. ადრე თუ გვიან საჭირო იქნება მუზის დაკმაყოფილება! ყვე-ლაზე მნიშვნელოვანი, რა თქმა უნდა, მუზაა, მაგრამ ამჟამად არანაკლებ მნიშვნელოვანია ანთო-ლოგიის საკვებით ემეს დაკმაყოფილება. ერთხელ კინალამ გამომეღვენდა დენისის ეშმაკობა. „ზა-ფხულის დილაც ვერ გახდება შენი სადარი“! რომ მოისმინა, ემემ თქვა, სკოლაში ნასწავლ რომე-ლილაც ლექსს მაგონებსო. ერთხელაც გამოთქმა „შუალამისას სარეცელზე“ ქალმა არაეთიკურად ჩასთვალა და კინალამ მოეჭრა დენისს თავი. „სძინავს ფოთოლს ალისფერს და თეთრსაც სძინავს“² პირდაპირ მიზანს მოხვდა, მაგრამ ამგვარი ამაღლებული, მსუყე და ვნებიანი ლექსი დენისმა ცო-ტა იცოდა. კალიფორნიული ფლირტის ლაბირინთებში ინგლისური პოეზია არასაიმედო გამყოლი აღმოჩნდა. ინგლისური ლექსები ძალიან ზედაპირული, ძალიან მოსაწყენი, ძალიან გადაპრანჭული ან ძალიან პურიტანული იყო. ეს ლექსები ვედრებოდნენ, აღმართებდნენ ან სწყევლიდნენ ადრე-სატს. დენისს კი რაღაც გამოეშვევი, რაღაც რეკლამის მსგავსი სჭირდებოდა. მას სურდა ემესათვის მიეძღვნა არა ისეთი ლექსი, რომელშიც შთამბეჭდავად აღწერდა თავის ან თვით ემეს ღირსებებს, ირამედ იმ უნაპირო ნეტარების განცდას, რასაც მამაცაი ქალს სთავაზობს. ფილმები და პოპმოდერნლები ამის დიდი ოსტატები არიან, ინგლისელ პოეტებს კი, როგორც ჩანს, ამის ნიჭი არ გააჩნდათ.

1 შექსპირის მე-18 სონეტი, თარგმანი რ. თაბუკაშვილის.

2 ტენისონის „პრინცესადან“.

დენისმა ნახევარი საათის შემდეგ შეწყვიტა ლექსის ძებნა. ორი ძალი კონტინერებში გადასატანად უკვე მზად იყო. მოთეთრო-მონაცრისფერო ფერფლში ჯერ ისევ ღვიოდა თხის ნარჩენები. როგორც ჩანს, დღეს ემე ლექსს ვერ მიიღებს უკეთესია პლანეტარიუმში წაიყვანოს.



• •

მებალზამენი „მოჩურჩულე ველის“ სხვა თანამშრომლებთან ერთად სადილობდნენ სასადილოში. ისინი შუა დარბაზში სხდებოდნენ და რიგრიგობით მასპინძლობდნენ ერთმანეთს. რიგრიგობით იხდიდნენ ფულს. ეს ტრადიცია, მართალია, დიდი ხანი არ არის რაც დამკვიდრდა, მაგრამ დიდი გულმოდგინებით კი იცავდნენ. მისტერ ჯობოიმ წილი ჰყარა, ფულის გადახდა მას ერგო ბედად და მანაც ხალისიანად გადაიხადა. საბოლოო ანგარიშით კველას დაახლოებით ერთნაირი თანხის გადახდა უწევდა, მაგრამ ეს თამაში მათთვის იმით იყო მიმზიდველი, რომ შეეძლოთ სხვებისათვის ეჩვენებინათ ათი, თუნდ ოცი დოლარის მოგება-წაგებას ჩვენთვის არსებითი მნიშვნელობა არა აქვსო.

მისტერ ჯობოი საჭმლის მონელების დამაჩქარებელი აბის წუწნით გამოვიდა სასადილოდან. კართან შედგა და შეიკადა. ქალები თითო-თითოდ ან წყვილ-წყვილად, სიგარეტის წვეთ ტოვებდნენ სასადილოს. მათ შორის მხოლოდ ემე არ ეწეოდა სიგარეტს. მისტერ ჯობოიმ ემეს დაუცადა. სასადილოდან ერთად გამოვიდნენ, პარკში შევიდნენ და ალევგორიულ ქანდაკებათა შორიახლოს შედგნენ. ქანდაკებათა ამ ჯგუფს „ყოფიერების გამოცანა“ ერქვა.

— მინდა იცოდეთ, მისს ტანატოგენოს, რომ თქვენს შრომისმოყვარეობას დიდად ვაფასებ.

— გმადლობთ, მისტერ ჯობოი!

— ამის თაობაზე გუშინ სიზმართმხილველსაც ვესაუბრე.

— ოო! გმადლობთ, მისტერ ჯობოი!

— მისს ტანატოგენოს, ხომ იცით რა * შორსმჭვრეტელი ადამიანია სიზმართმხილველი. კარგად მოგეხსენებათ მისი ქვრეტის დიდი უნარი. იგი უსაზღვრო წარმოსახვის ადამიანია. მას მიაჩნია, რომ დროა ქალებმა სათანადო ადგილი დაიკავეთ „მოჩურჩულე ველის“ აპარატში. თავისი საქმიანობით მათ დაამტკიცეს, რომ არიან ამის ღირსნი. სიზმართმხილველი მიივდა, რომ ზოგიერთ, ზედმეტად მგრძნობიარე ადამიანს არ მოსწონს, თავისი ნეტარხსენებული უხერხულ მდგომარეობაში ჩააყენოს. ეს გამოწვეულია იმით, რომ ჭირისუფალს უაღრესად აქვს განვითარებული სირცხვილის გრძნობა. ეს ერთგვარად გასაგებია კიდევ. ამით ბრკოლდება ნეტარხსენებულის წინაშე მოვალეობის აღსრულების საქმე. ერთი სიტყვით, მისს ტანატოგენოს, სიზმართმხილველს სურს ქალს ასწავლოს ბალზამირება და მისი არჩევანი, ძალზე ჭკვიანური არჩევანი, თქვენზე შეჩერდა.

— ოოო! მისტერ ჯობოი!

— არაფერი არ თქვათ! ისედაც ვიცი, რასაც გრძნობთ! მაშ, გადავცე, რომ თანახმა ხართ?

— ო, მისტერ ჯობოი!

— ახლა კი, თუ ნებას დამრთავთ, ჩემს პატარა სურვილსაც გაგიმხელთ. ვგონებ, ამ ახალი ამბის აღნიშვნა იქნება საჭირო. რაკი საბაბიც გვაქვს, მით უკეთესი! დიდ პატივს დამდებთ, ამ საღამოს ჩემთან ერთად თუ ივასშმებთ.

— არც კი ვიცი რა გიპასუხოთ მისტერ ჯობოი. დღესათვის უკვე დანიშნული შექვს პაემანის მსგავსი შეხვედრა ერთ ადამიანთან.

— ჰო, მაგრამ, ეს მანამდე იყო, სანამ ახალ ამბავს შეიტყობდით. ეს კი, ჩემი აზრით, მთლიანად სცვლის გარემოებას. თანაც არ გეგონოთ მარტონი ვიქნებით. ჩემთან სახლში მინდა დაგპატიჟოთ. ვფიქრობ, დავიმსახურე დიდი პატივი და სიამოვნება ჩემს დედიკოს წარვუღვინო პირველი მებალზამე ქალი.

• •

ემე მთელი დღე აფორიაქებული იყო. შუადღემდე ვერ იქნა და ვერ დაუდო საქმე, გული. კიდევ კარგი, მნიშვნელოვანი არაფერი ჰქონდა გასაქვთებელი. ჯერ თანამშრომელი მიეზმარა: გვამის სრიალა კეფაზე თმა მიაწებებინა, მერე ერთი ჩვილი ბიჭუნას სახეს ვარდისფერი დაუბრუნა. ამ ხნის განმავლობაში ქალი მთელი არსებით მებალზამეთა ოთახში იყო. არ გამოჰპარვია არც ონკანების სტვენა-შიშინი, არც ასისტენტთა ნაბიჯების ხმა — აქეთ-იქით რამ მიმოდინდნენ თავდახურული ტაშტებით ხელში, რომლებშიც თირკმლები ეწყო. ესმო.

და ხმადაბალი ბრძანებები, რომელიც ხან ძაფს მოითხოვდა ნაკერისათვის, ხანაც ძარღვების შესახვევ მასალას. ემეს არასოდეს დაედგა ფეხი საბალზამოში. მალე მას ყველგან შესვლის უფლება ექნება!

ოთხი საათი იქნებოდა, როდესაც უფროსმა კოსმეტიკოსმა უთხრა, შეგიძლია სამუშაო დამთავრებულად ჩათვალო და შინ წახვიდეო. ემემ ჩვეული მზრუნველობით აკრიფა საღებავები, ბოთლები, გულდასმით გარეცხა ფუნჯები და ტანსაცმლის გამახსუცხლებლად გასახდელში შევიდა.

პაემანი ტბის ნაპირას ჰქონდათ დანიშნული. დენისმა დაიგვიანა. ბოლოს, როცა, როგორც იქნა, მოვიდა, შეურაცხმყოფელი სიმშვილით მოისმინა ემეს ვახშმად მიწვევის ამბავი.

- ეს ის მისტერ ჯოიბოია?! საინტერესო იქნება!
- ემემ ვერ დაიტია საიდუმლო და ყველაფერი დაწვრილებით მოუყვა.
- ეს კი აღარ არის უბრალო ამბავი! რამდენს მოგიმატებენ?
- არ ვიცი, არ მიკითხაეს.
- ალბათ ბლომად! ნეტავი კვირაში ასი დოლარი გამოვა?
- აჰ! მისტერ ჯოიბოის გარდა მაგდენს არაფერს ღებულობს.
- იქნებ ორმოცდაათი მაინც! არც ორმოცდაათი დოლარია ურიგო! მაშინ დაქორწინებასაც მოვახერხებთ!

ემე გაშრა, დენისს მიაშტერდა.

— რა თქვი?

— დავქორწინდებით-მეთქი! რა არის გაუგებარი! არა, ორმოცდაათ დოლარზე ნაკლები არაფრით არ იქნება!

— ერთი ეს მითხარი, თუ ღმერთი გწამს, რატომ ხარ დარწმუნებული რომ გამოგყვები?

— მაშ როგორ, გოგონი? აქამდე მხოლოდ ფულის საკითხი მაფიქრებდა. თუკი ჩემი შენახვა შეგეძლება, ხელს რაღა შეგვიშლის?

— ამერიკელი თავს მოიკლავს და ცოლის ხარჯზე კი არ იცხოვრებს.

— მე ხომ ევროპელი ვარ! ჩემს მიხრწნილ ცივილიზაციაში მსგავს ცრურწმენებს არ დაგიდევინ. ორმოცდაათი დოლარი ფუფუნებით ვერ გვაცხოვრებს, მაგრამ ცოტა გაჭირვებაც უნდა აიტანო კაცმა.

— ეს სიმდაბლეა!

— ნუ სულელობ! შენ რა, მართლა გაბრაზდი?

ემე მართლა გაბრაზდა, მოწყვეტით შებრუნდა და წაიდა.

სალამოს, მისტერ ჯოიბოისთან სტუმრად წასვლს წინ ემემ ასეთი ბარათი დაწერა:

„თუ შეიძლება, დილით რომ წაგვადგინო გამოვიგზავნეთ, პასუხისათვის ნულარ გაირჩებით, ვიცი, როგორც უნდა მოვიქცე“.

ეს ამბავი ემემ გურუ ბრამინს ელვა დებეშით აცნობა.

ემემ ზედმიწევნით ზუსტად შეასრულა ყველა ის რიტუალი, რასაც ამერიკელი ქალიშვილები სატრფოსთან შესახვედრად მზადებისას ასრულებენ: ოფლსაწინააღმდეგო ხსნარი შეისხურა ილიებში, პირში სურნელოვანი სითხე გამოივლო, თმის დასავარცხნად ჩამომჯდარმა რამდენიმე წვეთი არომატული წვეთები იპკურა, რომელსაც „ჯუნგლების შხამი“ ერქვა. რეკლამა გაუწევდათ, რომ მაღარიით გაყდენთილი ქაობების სიღრმეებიდან, სადაც ტამტამის ჯადოსნური ხმები დაჟინებით ითხოვენ მსხვერპლს, სანადიროდ გამოსული უღმობელი კანიბალივით მოცოცავს თქვენსკენ ჯანეტას შემოქმედებითი გენიის მალაღბარისხოვანი პროდუქტი — „ჯუნგლების შხამი“.

ოჯახურ გარემოში სავაზმოდ გამოწყობილი ემე მშვიდად ელოდა მისტერ ჯოიბოის მელოდიურ შეძახილს — ეჰეი, გამოდით! ბედი უხმობდა და ემეც მზად იყო მიპყოლოდა ძახილს.

ვახშამმა ემეს მოლოდინი გაუცრუა. საერთოდ არ გაუმართლდა ქალს იმედები. ემე სტუმრად იშვიათად დადიოდა, ძალზე იშვიათად და ალბათ ამიტომაც არ იცოდა რისი იმედი უნდა ჰქონოდა. ქალი იცნობდა ჯოიბოის, როგორც სწორუპოვარ სპეციალისტს, როგორც უურჩალო „კუბოს“ კორესპონდენტს, როგორც მისტერ კენუორთის ახლო მეგობარს, დამკრძალავი ბიუროს ერთადერთ მანათობელ ვარსკვლავს. სინგურის საღებავში ამოვლებული ფუნჯით

ემე კრძალვით ავლებდა კონტურებს მისტერ ჯოიბოის უნაკლო ნახელავს, იცნობდა მას, როგორც როტარიაული კლუბის წევრს და პითიასის ორდენის კავალერს, ხედავდა მის მანქანას, თვითონ მას ყოველთვის ახალ, პეწიან ტანსაცმელში გამოწყობილს და ეგონა, რომ სამსახურიდან პირადი ცხოვრების სამყაროში გადასახლებულ ჯოიბოის უფრო მაღალ დონეზე უზღებოდა ცხოვრება, ვიდრე თვით ემეს. სინამდვილეში ასე არ აღმოჩნდა.

კარგა ხანს მიიკვლევდნენ ემე და ჯოიბოი მანქანით გზას წმინდა მონიკას ბტლვარში. კვარტალი კვარტალს სცვლიდა და ახლად შეღებილი სახლების უსახურობა [ქველ] უფრო [მეტად] ხედებოდა თვალს. შეიძლება ადრე უფრო ლამაზი იყო იქაურობა, მაგრამ [მეც] შენუბებს შორის დარჩენილი გაუდაბნოებული ადგილები, ცხადია, სიკვალუცეს ვერ მატებდა გარემოს. ბოლოს ჯოიბოის მანქანა ხის სახლთან გაჩერდა, რომელიც არაფრით არ გამოირჩეოდა სხვათაგან. სახლი რომ არაფრით არ იყო გამორჩეული მეზობელ შენობათაგან, არც იყო გასაკვირი. ფაქტია, რომ თვით უბრწყინვალესი მეზობლებიც კი ვერ ღებულობს იმდენს, რამდენსაც რომელიმე კინოვარსკვლავი. თანაც მისტერ ჯოიბოი პრაქტიკული კაცი გახლდათ — ფულს აგროვებდა, დაზღვევის ფულიც ხომ უნდა შეეტანა! ჯოიბოის სურდა ოდესმე ისიც პატივდებული პიროვნება გამხდარიყო. მაშინ საკუთარ სახლსაც შეიძენს, შეიღებაც ეყოლება. მანამდე კი უაზროდ ან „დედიკოზე“ დახარჯული ყოველი კაპიკი ჯოიბოის გადაყრილად მიაჩნდა.

— ვერ იქნა და ბალისათვის ვერ მოვიცალე! — თქვა მისტერ ჯოიბოიმ ემეს გამოხედვაში ამოკითხული უსიტყვო საყვედურის პასუხად. — დასივლეთ შტატებიდან რომ ჩამოვსახლდით, ეს პატარა სახლი ნაუცბათევეად ვიყიდე, დედიკოს თანამესაფარი ხომ უნდა ჰქონოდა.

მისტერ ჯოიბოიმ სადარბაზო კარი გააღო, ემე წინ გაუშვა და ქალის ზურგს ამოფარებული ხმამალა დააგუგუნა:

— ა-უუ! დე-დი-კო! აი, ჩვენც მოვედით!

პატარა ბინაში გრგვინვასავით გაისმოდა ვიღაცის ხმამალალი ლაპარაკი. მისტერ ჯოიბოიმ ოთახის კარი შეაღო და ხმაურის წყარო აღმოაჩინა; ულახათო სასტუმრო ოთახში მაგიდაზე დადგმულ რადიომიმღებს ისე ახლოს მისჯდომოდა მისის ჯოიბოი, ზედ მიჭედებული კონებოდა აღამიანს.

— სანამ არ დაამთავრებს, ხმა არ ამოიღოთ! — უთხრა მისის ჯოიბოიმ ქალ-ვაჟს.

მისტერ ჯოიბოიმ ემეს თვალი ჩაუკრა.

— ჩეს წინაპარს ახალი ამბების მოსმენა უყვარს!

— ჩუმად-მეთქი! — გამშაგებით გაიმეორა მისის ჯოიბოიმ.

დიქტორს ხმაც ხრინწიანი ჰქონდა და ინფორმაციასაც მცდარს აწვდიდა მსმენსლებს. შალე იგი სხვამ შესცვალა და შემპარავ კილოზე ტუალეტის ქაღალდის ქება-დიდებას მოჰყვა. ამასობაში თითქმის ათი წუთი გავიდა. ემე და მისტერ ჯოიბოი გატრუნული ისხდნენ.

— გამოთიშე! — უთხრა ბოლოს შეიღს მისის ჯოიბოიმ, — გამოაცხადეს, ომი წელსაც იქნება!

— ეს ემე ტანატოგენოსია, დედიკო!

— ძალიან კარგი! ვახშამი სამზარეულოშია, როცა გინდათ, მაშინ ჰკამეთ.

— გშიათ, ემე?

— არა! ჰო!.. ცოტა!

— მოდი, ვნახოთ, რა მოგვიზადა ჩვენმა დედიკომ!

— რაც სხვა დროს! სიურპრიზებისათვის არა მცალია!

მისის ჯოიბოის იდაყვთან ნაჭერგადაფარებული უცნაური საგანი მიედგა. ქალი შებრუნდა, გადასაფარებელი გადასწია და მავთულის გალია გამოაჩინა, გალიაში ერთიანად გაქუცული თუთიყუში იჯდა.

— სამბო, სამბო! — დაუძახა ქალმა თუთიყუშს მომსყიდველი ხმით.

ჩიტმა თავი გვერდზე გადასწია და თვალები ააპარპალა.

— სამბო, რატომ არ გინდა დამელაპარაკო? — ჩაეკითხა ქალი თუთიყუშს.

— რაა ამბობ, დედიკო! თითქოს არ იცოდე, ჩვენი სამბო რომ კარგა ხანია აღარ ლაპარაკობს.

— როცა შენ არა ხარ, დიხხაც რომ მელაპარაკება! არა, ჩემო სამბო?

ჩიტმა თავი გვერდზე გადასწია, ცალი თვალი დახუჭა, ორიოდ შერჩენილი ბუმბული აიფოფრა და მატარებელივით დაიქმინა.

— აი, თუ არ ლაპარაკობს! სამბო რომ არ მყავდეს, სამბოს რომ არ ვუყვარდე, ისე მოგვკვდებოდი, კაციშვილი ვერ გაიგებდა.

დაკონსერვებული ატრიის სუფი და ერთი თუფში სალათი ჰქონდათ ^{ვასშობი} რომელშიც დაკონსერვებული კიბორჩხალები იყო არეული. ამას აგვირგვინებდა ყავა და ნაყინი. ემე თუფშების შემოტანაში მიეხმარა მისტერ ჯოიბოის რადიო მაგიდიდენ ^{გაუფუდგეს} და სუფრა გააწყვეს. მისის ჯოიბოი არ განძრეულა, მტრულად აღევენებდა თუფს ^{მაფუფუფურეს}. ასეა! განსაკუთრებულ პიროვნებათა დედები ხშირად თავგზას უბნევენ პირმშოთა გულისწორებს. მისის ჯოიბოის ბოროტი თვალეები და წვრილად ჩაბუჭებული თმა ჰქონდა. ძალზე სქელ ცხვირზე პენსნე დაეკოსებინა. პირდაპირ სამარცხვინო კაბა ეცვა სრულიად უფორმო ტანზე.

— ასეთ ადვილას და ასე ცხოვრებას მიჩვეული არა ვართ. — წამოიწყო მისის ჯოიბოიმ. — აქ აღმოსავლეთ შტატებიდან გადმოვსახლდით. ჩემთვის რომ დაეჯერებინათ, დღესაც იქ უნდა ვცხოვრობდეთ. ვერმონტში ფერადკანაანი მოსამსახურე გოგონა გვყავდა. კვირაში თხუთმეტ დოლარს ვაძლევდით და მადლობასაც გვეუბნებოდა. აქ თხუთმეტ დოლარად ვინ დაგიდგება! და საერთოდ, რას იშოვის აქ ადამიანი! შეხედეთ ერთი, რას ჰკავს ეს სალათი! იქ ყველაფერი უხვად იყო. უფრო იაფადაც და უფრო კარგიც. თუმცა არც იქ გვქონია რამე მოჭარბებულად. განსაკუთრებით თუ მხედველობაში მივიღებთ იმ თანხას, რასაც ოჯახის სარჩენად ვღებულობ.

- დედიკოს ოხუნჯობა უყვარს! — თქვა მისტერ ჯოიბოიმ.
- ოხუნჯობაო?! შენ ოხუნჯობას ეძახი შენი მოცემული ფულით ოჯახის რჩენას? სტუმრებსაც რომ მიპატიუებ?! მოხუცი ემეს მიაშტერდა და უთხრა.
- ვერმონტში ქალებიც მუშაობენ.
- ხომ ვითხარი, დედიკო, ემე ძალიან ბევრს მუშაობს-მეთქი.
- კარგი სამსახური კი უშოვია, მე და ჩემმა ღმერთმა! ჩემს ქალიშვილს იქ როგორ ვამუშავებდი! დედა არა გყავს?
- დედაჩემი აღმოსავლეთ შტატებშია, იქნება მოკვდა კიდევ.
- იქ სიკვდილი მირჩევნია აქ სიცოცხლეს! იქნებ მოკვდაო? აი, ასე ზრუნავენ ახლანდელი შვილები მშობლებზე!
- კმარა, დედიკო! ასეთი ლაპარაკისათვის საბაბი არ მომიცია. კარგად იცი, როგორ ვზრუნავ...

ძლივსძლივობით გავიდა იმდენი დრო, წამოსვლა უხერხულად რომ აღარ ჩაითვლებოდა. მისტერ ჯოიბოიმ ემე ჭიშკრამდე გამწვავილა.

- ჩემი მანქანით წაგიყვანდით, მაგრამ არ მინდა დედა მარტო დავტოვო. ავტობუსი აქვე კუთხეში ჩერდება, ადვილად წახვალთ.
- ოო! მე რა მიშავს!
- დედიკოს ძალიან მოეწონეთ.
- ვითომ?
- კი, კი ნამდვილად! დედიკოს თუ ვინმე მოეწონა, მასთან ისევე უშუალოდ იქცევა ხოლმე, როგორც ჩემთან.
- მართლაც ზედმიწევნით უშუალოდ იქცეოდა.
- ნამდვილად, ნამდვილად! ძალზე უშუალოდ მოგვექცათ სრული ჭეშმარიტება! თქვენ დედიკოზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინეთ!
- იმ საღამოს დაწოლის წინ ემემ კიდევ ერთი წერილი მისწერა გურუ ბრამინს.

თავი VII

— „გურუ ბრამინის“ შტატი ერთი სხარტი მდივანი გოგონასა და ორიც პირქუში მამაკაცისაგან შედგებოდა. ერთი პირქუში მამაკაცი რუბრიკაში აქვეყნებდა წერილებს, მეორე პირქუშს კი — ვინმე მისტერ სლამპს პირად წერილებზე პასუხის გაცემა უვალეებოდა. პირქუში მამაკაცების სამსახურში მისვლამდე მდივანს წერილების გადარჩევა და შესაბამის მაგიდებზე მათი დაწყობა უნდა მოესწრო. მისტერ სლამპი იმდროინდელი თანამშრომელი იყო, როცა რუბრიკას „დეიდა ლიდიას ფოსტა“ ერქვა, და მუშაობის სტილიც მაშინდელი შემორჩენოდა. მისტერ სლამპს ყოველთვის უფრო ცოტა წერილები ერგებოდა ხოლმე, რადგანაც „გურუ ბრამინის“ კორესპონდენტებს მოსწონდათ თავისი გასაჭირის სააშკარაოზე გა-

მოფენა. ეს საკუთარი ღირსების გრძობას უნერგავდა მათ და ზოგჯერ ამით სხვა მკითხველბთან მიმოწერის გაბმის საშუალებაც ეძლეოდათ.

ემეს წერილს „ჯუნგლების შხამის“ სურნელი ჯერ ისევე ასდიოდა.

„ძვირფასო ემე! — დაიწყო კარნახი მისტერ სლამპმა და მოწეული სიგარეტების გროვას კიდევ ერთი ნამწვავი მიუმატა. „თქვენი ბოლო წერილის კილომ ცოტა არ იყო შემამდლოთ“.

მისტერ სლამპი ისეთ სიგარეტებს ეწეოდა, რომლებიც, რეკლამას თუ დავუჭერებთ, ერთადერთი მიზნით გამოუშვეს: მწვევლთა სასუნთქი გზების სამკურნალოდ! რეკლამის ამ მტკიცების საწინააღმდეგოდ მისტერ სლამპს ხველება აწვალებდა. კიდევ უფრო მეტად წვალობდა მდივანი გოგონა. დილიდან მოყოლებული მისტერ სლამპი საშინლად ახველებდა. ხველება სადღაც ქვესკნელში იღებდა დასაბამს და მას მხოლოდ ვისკი თუ შეაჩერებდა. უსაშველოდ მძიმე დღეებშიც დაუდგებოდათ ხოლმე და მაშინ საცოდავ მდივან გოგონას ეგონა, მისტერ სლამპი სადაცაა აღებინებსო. დღესაც ასეთი საშინელი დღე გაუთენდათ. მისტერ სლამპი ახველებდა, ცახცახებდა, ძაგდაგებდა და სახიდან სიმწრის ოფლს წამდაუწყებ იწმენდა.

„მეოჯახე ამერიკელი გოგონა თქვენ მიერ აღწერილ ამბავში დასაძრახს ვერაფერს დაინახავს. შინ მიწვევით და დედის გაცნობით თქვენმა მეგობარმა დიდი პატივი დაგდოთ. დედამისი, რა ნამდვილი დედა იქნებოდა, თქვენი ნახვა რომ არ მოესურვებინა. მოვა დრო, ემე, და თქვენი ვაჟიშვილიც გაგაცნობთ ვინმეს! არც ის გაგიკვირდეთ, თქვენი მეგობარი დედას საოჯახო საქმეებში რომ ეხმარება. ვფიქრობ ამით მას ჩრდილი არ აღგება. იწერებით, წინსაფარი ღირსებას უკარგავსო. იცოდეთ, ადამიანი ღირსების მწვერვალებს მაშინ აღწევს, თუ ცრურწმენებს არ გაიბატონებს და სხვას დახმარების ხელს გაუწვდის. მისდამი თქვენი დამოკიდებულების შეცვლის ნამდვილი მიზეზი ის გახლავთ, რომ თქვენ იგი არ გიყვართ. პირველსავე ხელსაყრელ შემთხვევაში მოუწოდებლად უნდა გამოუტყდეთ.

კარგად გცოდნიათ თქვენი მეორე თაყვანისმცემლის უველა ნაკლი. ვენდობი თქვენს კეთილგონიერებას, თქვენს უნარს, ჭეშმარიტი ფასეულობა გაარჩიოთ გარეგნული ეფექტურობისაგან. საერთოდაც გენდობით და არჩევანის უფლებაც თქვენთვის მომინდვია. ლექსები ძალიან კარგია, მაგრამ, ჩემი აზრით, თუ კაცი ხალისით ეკიდება წვრილმან ოჯახურ საქმეს, იგი სულ ცოტა ათიოდე ენამჭევრ პოეტს მაინც უდრის“.

— ხომ არ გადავამლაშე?

— მართლაც ცოტა ზედმეტი მოგივიდათ, მისტერ სლამპ!

— დასწყევლოს ღმერთმა! ცუდად ვარ! ეს გოგოც კარგა ნათრევი ვიღაცა ჩანს!

— თუ არ ვცდები, ეს ჩვენთვის ახალი ხილი არ უნდა იყოს.

— ეგეც კი! კარგი, კილო ოდნავ შეარბილე! სხვა წერილიც გვაქვს. აი, ფრჩხილების ნეტა რომ აქვს ჩვევად, იმ ქალისა. ამას წინათ რა უურჩიეთ?

— მშვენიერებაზე ფიქრი.

— მისწერეთ, არ შეწყვიტოს ფიქრი.

* *

რედაქციიდან ხუთი მილის დაშორებით, პაწაწინა კოსმეტიკურ კაბინეტში ემემ მცირე ხნით შეაღიკა მუშაობა და იმ დილით დენისისაგან მიღებული ლექსი კიდევ ერთხელ გადაიკითხა.

ამ თვალეზმა ზოგი — მოკლა, (კითხულობდა იგი)

ზოგი ვინმე — გადარია!

მე კი დამწვა! — ცქერა მათი —

ჩაუმიქრალი დადარია!

იმ დაღალის როკვა მზიბლავს,

მის სხეულს რომ გარს ავლია!

არც იცოდე სიყვარული —

ეს მკლავები გასწავლიან!

სიყვარულით სიკვდილისთვის

კაცს რომ მცირე რამეც ყოფნის,

ეს თითები ამტკიცებენ —

სულ აღმასით შესამკობნი!

შენ იცოცხლე, მშვენიერო!
სად გეძებო ოღონდ, საით!
მზერა ჩემი შენს სახეზე
ეძებს, ეძებს — ლოცვასავეთ!..¹



ობოლი ცრემლი ჩამოუგორდა ქალს ლოცვაზე და მიცვალებულის გაყინულ ღიმილზე და-
იმსხვრა. ემემ ლექსი აბრეშუმის ხალათის ჭიბეში შეინახა და მისმა პატარა, რბილმა ხელე-
მა გვამის სახეზე გამალებული სრბოლა იწყეს.

* *

„სამოთხის ბედნიერი სანახების“ კანტორაში დენისმა მისტერ შულცს უთხრა:

— მისტერ შულც, მსურს მდგომარეობა გავიუმჯობესო!

— ეს რომ ახლა შეუძლებელია, თქვენც კარგად მოგეხსენებათ. ჩვენი საქმეები მაინცა
და მაინც კარგად ვერ მიდის. თქვენს წინამორბედზე იაედაც ხუთი დოლარით მეტს იღებთ. არ
იმსახურებთ-მეთქი, არ ვაბზობ, თუ საქმეები გამომიცეთდა, ხელფასს პირველად თქვენ მოგი-
მატებთ.

— ცოლის შერთვას ვაპირებ. ჩემმა საცოლემ არ იცის, აქ რომ ვმუშაობ. იგი რომან-
ტიული გოგონაა. აქ სამსახურს მომიწონებს თუ არა, ისიც არ ვიცი.

შკამთესი ადგილი შეგულებული გაქვთ?

— არა!

— მაშ, იმ თქვენს საცოლეს უთხარით, თავისი რომანტიკა ცოტა ხნით გვერდზე გადასდოს.
ორმოცი დოლარი ყოველ კვირა, რაც არ უნდა იყოს, ორმოცი დოლარია.

— ჩვიმსური პრობლემების უნებლიე მსხვერპლი გავხდი, მისტერ შულც! პენრი ჩვიმ-
სი თუ წაგიკითხავთ?

— განა არ იცით, სულ რომ ვერ ვიცლი კითხვისთვის?

— პენრი ჩვიმსს რომ გაუგოთ, საკმარისია წაიკითხოთ მისი მხოლოდ ერთი ნაწარმოე-
ბი. მისი შემოქმედება ერთი პრობლემის გარშემო ტრიალებს — გულუბრყვილო ამერიკე-
ლის და გამოქვეყილი ევროპელის გარშემო.

— და მიაჩნია, რომ ამერიკელებს ადვილად გაგვაცურებს, არა?

— პირიქით, პირიქით! თვითონ გულუბრყვილო ამერიკელია.

— არ მცალია მე იმ ბიჭბუჭებისათვის, რომლებიც თავისი ხალხის გაბიაბრუებაა არ
ერიდებიან.

— აჰ, როგორ გეკადრებათ! მაგის მსგავსიც კი არაფერია. მის რომანებს, გარკვეული აზ-
რით, შეიძლება ტრაგედიებიც კი ვუწოდოთ.

— მით უმეტეს! ტრაგედიებისათვის სულ არ მცალია! ხელი მომიკიდე ერთი ამ კუბოს.
პასტორის მოსვლას აღარაფერი უკლია.

ცხოველის ესოდენი პატივით დაკრძალვის ეს პირველი შემთხვევა მიეცათ ამ თვეში. კარგა
ბლომად ქირისუფალი მოგროვდა და მათი თანდასწრებით ნაგაზის კუბო ყვავილებით ავსე-
ბულ საფლავეში ჩაუშვეს. ნეტარმა მამა ბართლომეომ წირვა დაიწყო: „დღემოკლეა ნაგაზი,
ნაშობი ძუენისა და მისი ხანმოკლე სიცოცხლის სწრაფწარმავალი ეამიც აღსავსეა დარდითა
და ნაღველით. და ველინება იგი ქვეყანასა ამას, რათა მსწრაფლ დასტკნეს ვითარცა ყვავილი
და აჩრდილივით გაუჩინარდეს, და დაინთქას უსასრულობასა შინა...“

მოგვიანებით, მისტერ ბართლომეოს გასამრჯელოს რომ უხდიდა, დენისმა ჰკითხა:

— მითხარით, გეთაყვა, როგორ შეუძლია კაცს თავისუფალი ეკლესიის მღვდელი გახ-
დეს?

— ზეციური ძახილი უნდა ჩამოესმას!

— ჰო, ეს თავისთავად ასეა, მაგრამ შერე რა უნდა გააკეთოს, თავისუფალი ეკლესიის ეპის-
კოპოსმა უნდა აკურთხოს?

— ჩადა საჭიროა! ის, ვისაც ზეციური ძახილი ჩამოესმის, ადამიანის შუამდგომლობას აღარ
საჭიროებს.

— ესე იგი, შეგიძლია ერთ მშვენიერ დღეს გამოაცხადო, თავისუფალი ეკლესიის მღვდელი
ვარო და საქმეს შეუდგე?

1. თარგმნა ტარიელ ჭანტურიაძე.

— ხარჯის გაღება იქნება საჭირო. ბინის საკითხი უნდა მოაგვაროთ. შეგიძლიათ ბანკების დახმარების იმედი იქონიოთ. აქეთ, რადიომშენელებიც არ გამორიცხვთ ანგარიშიდან.

— ერთ ჩემს მეგობარს ზეციური ხმა მოესმა, მისტერ ბართოლომეო!

— იმ თქვენს მეგობარს ვურჩევ, კარგად დაფიქრდეს და მერე მიაპყროს ხმენაძახილს. კონკურენცია წლითწლივით მატულობს, განსაკუთრებით აქ, ლოს-ანჯელესში. ^{სადაც} ახლად გამომცხვარი მღვდელი არაფერს არ ერიდება. ფსიქიატრიაშიც ჰყოფენ ცხვირს და არც სპირიტუზმს იწუნებენ.

— ასე არ ვარგა!

— ეს არ უღიად სცილდება საღვთო წერილის ფარგლებს!

— იმ ჩემს მეგობარს სურს სპეციალობად დაკრძალვები გაიხადოს.

— დაკრძალვებში არაფერი არ ყრია, მისტერ ბარლოუ! ნათლობებსა და ჯვრისწერაში უფრო მეტი ხეირია.

— ამეამად ჩემს მეგობარს ნათლობები და ჯვრისწერა არ აინტერესებს. მისთვის მთავარია ღირსების საკითხი. როგორ ფიქრობთ, თავისუფალი ეკლესიის მღვდელი თავისი სოციალური სტატუსით მებაღეა ვერ გაუტოლდება?

— მგონი კი! რელიგიის მსახურისადმი პატივისცემა ღრმად არის ფესვგადგმული ამერიკელთა გულებში.



უი-კირკ-ოფ-ოლდ-ლენგ-საინის¹ მომცრო ეკლესია პარკის განაპირას საუნივერსიტეტო ეკლესიისა და შავზოლუემისგან მოშორებით დგას. ამ დაბალ შენობას არც სამრეკლო აქვს და არც რამ სამკაულები. ბერნსისა და პარი ლოდერის² სახელზე აშენებული ეს ეკლესია უფრო ხიბლავს, ვიდრე ანცვიფრებს ადამიანს. ეკლესიას მიშენებულ პატარა ფლიგელში ის ნივთები გამოფენილი, რომლებიც მათ ხსოვნას უკავშირდება. ერთადერთი მორთულობა, ეკლესიის ინტერიერს განსაკუთრებულ ელფერს რომ მატებს, ხასხასა შოტლანდიური ნობი გახლავთ. თავდაპირველად ეკლესიის გარშემო მანანას ბუჩქები დარგეს. კალიფორნიის მზემ მცენარეები ასე გააღადა, რომ მისტერ კენუორთის პირვანდელ ჩანაფიქრს საფრთხე შეექმნა. ამიტომ მისტერ კენუორთმა ბუჩქები ამოაძირკვინა და მათ ნაცვლად ეკლესიას გაღაენი შემოაგლო, ^{რო} რომ გადაასწორებინა და ასფალტი დააგებინა. საბოლოოდ ეკლესია ძალზე დაემგვანა სკოლის ეზოს, რითაც სრული პარმონია დამყარდა ეკლესიასა და იმ ერის განათლების დიდ ტრადიციებს შორის, რომელსაც ეს ეკლესია მსახურებდა. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ სიზმართმხილველის გემოვნებისათვის უცხო იყო, როგორც სისადავის უადგილო გამოდევნება, ასევე ტრადიციების ბრმად მიყოლა... მან სიახლენი შემოიღო: „მოჩურჩულე ველში“ ემეს მოსვლამდე ორი წლით ადრე სიზმართმხილველმა ამ ასკეტურ ადგილას „შეყვარებულთა კუთხე“ მოაწყო. აქაურობა, ცხადია, არ ჰგავდა მცენარეულით უხვად დაფარულ ტბათა კუნძულს, ქალ-ვაეს რომ პოეტური ფლირტისათვის განაწყობდა, მაგრამ სამაგიეროდ სიზმართმხილველი რაღაც ქვეშაირტად შოტლანდიურს ჰვრეტდა ასეთ გარემოში. აქ მოსახერხებელი იყო საქმიანი გარიგება ან უკვე დადებულ ხელშეკრულებაზე ბეჭდის დასმა.

„შეყვარებულთა კუთხე“ წარმოადგენდა დაუმუშავებელი გრანიტისაგან გამოკვეთილ, რაოდენიან მერხს. მერხს შუაზე გრანიტისავე ფირფიტა ჰყოფდა, რომელშიაც გული გამოექრათ. უკანა მხრიდან წარწერა გაეკეთებინათ:

შეყვარებულთა სკამი

„ეს სკამი გამოკვეთილია აბერდინის მთიანი შემოგარენიდან ჩამოტანილი შოტლანდიურა ქვისაგან. იგი ბრიუსის გულის ძველთაძველი სიმბოლოა. ბარის შოტლანდიის მცხოვრებთა ტრადიციით, თუ შეყვარებულები ამ სკამზე ერთმანეთს სამუდამო ერთგულებას აღუთქვამენ და მერე ბრიუსის³ გულის ფორმია მჭონე ქრილიდან ამ ფიცს კოცნით შეადუღაბებენ, მათ

1 შოტლანდიურ დიალექტზე — „ძველ, კეთილ დროებათა საყდარი“.
 2 პარი ლოდერი (1870-1950) — შოტლანდიელი საესტრადო მომღერალი და კომპოზიტორი, კომიკური სიმღერების ავტორი.
 3 რობერტ დე ბრიუსი (1274-1329) — შოტლანდიის მეფე. მისი გული ცალკე იყო დამარხული.

მრავალი დღენეტარი გაუთენდებათ და ანდერსენთა უკვდავი წყვილის მსგავსად ცხოვრების ციკაბო თავდაღმართს ზელიხელჩაკიდებულნი ჩაივლიან“.

ფიცის სიტყვები საფეხურზე იმგვარად ამოეკვეთათ, რომ სკამზე მსხლომთ წაქითხვა არ გასჭირვებოდათ:



„მანამ შეყვარები,
ვიდრე დაცხრებიან დრო-ქამის ქარები;
ვიდრე კლდე დადნება,
ვიდრე ზღვა დაშრება,
მანამ შეყვარები“.

ფართო საზოგადოებას ძალიან მოეწონა ეს იდეა და შეყვარებულებმა პარკში სიარულს უმატეს. მარტოსულს აქ არაფერი ესაქმება. ფიცის ცერემონია ერთი წუთიც არ გრძელდება, მაგრამ უმეტესწილად გრძელი რიგები იმართება „შეყვარებულთა სკამის“ წინ. დგანან ქალ-ვაენი და თავის რიგს ელიან. ებრაული, ბალტიისპირული და სლავური კილოკავით წაქითხული ფიცის ტექსტი ადამისეამინდელ საიდუმლო შელოცვას ემსგავსება. აი, გრანიტის ზერელში ტუჩსაწვდილი შეყვარებულები ერთმანეთს კოცნიან და სასწრაფოდ უთმობენ ადგილს მომდევნო წყვილს. შეუცნობად საიდუმლოს ნაზიარები, გაოგნებული ქალ-ვაენი კარგა ხნით მუნჯდება. აქ ჩიტებიც კი მიჩუმებულან, სამაგიეროდ ნაძვებსა და შემორჩენილ მანანის ბუჩქებს შორის შოტლანდიური სალამური დაკვნისის.

1 წორედ აქ მოიყვანა ემემ დენისი ჯოიბოსი ოჯახში ვახშობიდან რამდენიმე დღის შემდეგ. ქალი ურყევი არჩევანი გაეკეთებინა.

ქებზე უხვად მიმობნეულ წარწერებს თვალი რომ მოავლო, დენისს გულში გაუხარდა, რომ შოტლანდიური დიალექტისადმი თანდაყოლილმა სიძულვილმა ხიფათს გადაარჩინა — ემეათვის ვაგზავნილ სატრფიალო ლექსებში რობერტ ბერნსის არც ერთი ლექსი არ გაურკვევია. დენისსა და ემეს რიგმა რომ მოაღწია, ისინი ქვის სკამზე ერთმანეთის გვერდიგვერდ დასხდნენ.

„ვიდრე დაცხრებიან დრო-ქამის ქარები“... — ჩურჩულით დაიწყო ემემ.

ქალის სახე მომზიბლავად გამოჩნდა პატარა ჭრილში. დენისმა და ემემ ერთმანეთს აკოცეს. მერე საზეიმო იერით წამოდგნენ და თავისი რიგის მომლოდინენი თავჩაქინდრულებმა დატოვეს.

— დენის, რას ნიშნავს „დღენეტარი გაუთენდებათ“?

— აზრზე არა ვარ! „დღენეტარი“ ალბათ იმგვარი დღეა შოტლანდიაში, ახალი წლის დადგომამდე რომ იცის ხოლმე.

— ეგ რაღას ნიშნავს?

— აი, გლაზგოში ზოგ-ზოგნი ასფალტზე რომ არწყევენ.

— ოჰ!

— იცი ეგ ლექსი როგორ მთავრდება?

„ახლა დაღმა მივჩანჩალებთ, ჯონ.
კვლავ შენთან ვარ და შენ ჩემთან ხარ;
საფლავეშიაც ერთად ჩავალთ, ჯონ;
დავიძინებთ იქაც მხარ და მხარ.“¹

— ყოველთვის უხეშ ლექსებს მეუბნები, დენის! პასტორობის მაინც არ აპირებდე!
— დავაზუსტოთ! თავისუფალი ეკლესიის პასტორობას! თუმცა ამგვარ საკითხებში ანაბატისტებს უფრო ვემხრობი. ისიც გაითვალისწინეთ, რომ დანიშნულთათვის აკრძალული თემები არ არსებობს. მათთვის ყველაფერი ეთიკურია.

მცირე პაუზის შემდეგ ემემ თქვა:

— მისტერ ჯოიბოსთან და კიდევ ერთ ვინმესთან წერილის მიწერა დამჭირდება.

წერილები ემემ იმავე ღამეს დაწერა და დილის ფოსტით გაგზავნა.

რედაქციაში მისტერ სლამპმა ეს თქვა მხოლოდ:

— გაუგზავნეთ ჩვეულებრივი მილოცვის ბარათი და რჩევები.

¹ რ. ბერნსის ლექსიდან „შენს სახეს გულით თან რომ ვატარებ“, თარგმ. თამარ ერისთავია.

— კი მაგრამ, მან ჩვენი ნაძაგები კაცი აირჩია, მისტერ სლამპ!

— ამას ხაზს ნუ გაუსვამთ.

რედაქციიდან ხუთი მილის მოშორებით ემემ ცხედარს სუდარა ვადახადა. მისცვალეზული მისტერ ჯოიბოის გამოგზავნილი იყო. გვამს საბუზე უკიდევანო მწუხარება აღბეჭდოდა. ემეს გული შეეკუმშა.



თავი VIII

იმ დღით მისტერ სლამპმა სამსახურში დაიგვიანა. ნაბახუსევი გახლდათ.

— ტანატოგენოსისაგან კიდევ ერთი წერილი მივიღეთ, ვფიქრობდი კი, დავისვენე-მეთქი ამ ქალბატონისაგან! — ჩაილაპარაკა მისტერ სლამპმა.

„ძვირფასო გურუ ბრამინ!

სამი კვირის წინ მოგწერეთ, ყველაფერი მოგვარდა. საბოლოო გადაწყვეტილება მივიღე და თავს ბედნიერად ვგრძნობ-მეთქი, მაგრამ მე ისევ უბედური ვარ, წინანდელზე უფრო უბედური. ჩემი ბრიტანელი თაყვანისმცემელი ძალიან ალერსიანია, ლექსებსაც მიძღვნის, მაგრამ იგი ჩემგან არაეთიკურ საქციელს მოითხოვს და დამცინის, როდესაც უარს ვუბნები და ვუხეწები ცოტა მოიცადოს. ეჭვი მეპარება, შევქმნით კი ოდესმე ქეშმარიტად ამერიკულ ოჯახს? მას სურს პასტორი გახდეს. ადრეც მოგწერეთ, რომ მე პროგრესულად ვაზროვნებ და არც ერთ სარწმუნოებას არ ვეკუთვნი, მაგრამ არ შეიძლება ცინიკურად უყურებდე რეალობას. თუნდაც მხოლოდ იმიტომ, რომ რწმენა ზოგიერთებს ბედნიერებას ანიჭებს. ევოლუცი! ჩვენს საფეხურზე ყველას ხომ ვერ მოვთხოვთ პროგრესულად აზროვნებდეს! ჩემი თაყვანისმცემელი ჯერ კიდევ არ გამბარა პასტორი. ამბობს, რაღაც საქმეები მაქვს მოსაგვარებელი არ კი ამბობს, ასეთი რა საქმეებია. და ზოგჯერ მეჩვენება, რომ რაღაცა ცუდს მიმაღაცს.

ჩემი კარიერის საკითხიც მაწუხებს. მე დიდ შესაძლებლობათა წინაშე ვიდექი. ჩემი მდგომარეობის გაუმჯობესების საკითხი იდგა. ახლა კი აღარაფერი ისმის. ჩვენი განყოფილების უფროსი ის ჯენტლმენია, ვისზედაც გწერდით, დედამისს საოჯახო საქმეებში ეხმარება-მეთქი. რაკი მე ინგლისელი თაყვანისმცემელი ვირჩიე და ამის თაობაზე შევატყობინე, სამსახურის საქმეებზედაც კი აღარ მელაპარაკება. ჩვენი სამსახური ისეთია, იქ აუცილებლად ბედნიერი უნდა იყო — ასეთია ამ დაწესებულების ერთ-ერთი წესთაგანი. ჩემ მიერ ხსენებული ჯენტლმენი ბედნიერების ეტალონად ითვლებოდა. ახლა იგი უბედურია. ჩვენი დაწესებულების მიზანია ადასთან ბედნიერება მიანიჭოს. ზოგჯერ იმასაც კი ვფიქრობ, მისტერ ჯოიბოი კეთილი არ არის. ეთქი. ადრე არ ეტყობოდა. ჩემი ინგლისელი თაყვანისმცემელი ბოროტად ხუმრობს მასზე.

ისიც მაწუხებს, რომ ჩემი დანიშნული ზედმეტ ინტერესს იჩენს ჩემი პროფესიისადმი. რა, რასაკვირველია, ბუნებრივია, დანიშნული შენი სამსახურით რომ დაინტერესდება. მე მხოლოდ ის მინდა ვთქვა, რომ ყოველ პროფესიას აქვს თავისი საიდუმლოება, რაზეც სამსახურის გარეთ არ ლაპარაკობენ. მას კი სწორედ ასეთი რამეები აინტერესებს“.

— ასეთია ქალის ბუნება! ბოდიშით ვასკდება, თუ რომელიმე თაყვანისმცემელი ხელიდან დაუსხლტა! — დაასკვნა მისტერ სლამპმა.

სამუშაო მაგიდაზე ემეს ხშირად ხედებოდა დენისისაგან გამოგზავნილი ბარათები. წინა საღამოს ერთმანეთს კუშტად დააცილდნენ. ამიტომ, სანამ დაიძინებდა, დენისმა ანთოლოგიიდან ლექსი გადმოიწერა და მეორე დღით, სამსახურში მიმავალმა, ემეს ფოსტით გაუგზავნა. დენისის ლამაზი ხელით გადაწერილ ლექსებს იმ ადგილის შევსება ევალეზობოდათ, რაც მისტერ ჯოიბოის მიერ გამოგზავნილი მიცვალეზულების სახეთაგან გაცისკროვნებული ღიმილის გაქრობამ შექმნა, გვამები ემეს ისეთი მწარე საყვედურით შემოსცქეროდნენ, როგორცაც თვით ამ გამოშეტყველებათა შემქმნელი.

წინა საღამოს დენისთან მომხდარი წაქინკლაეების გამო ემე ცუდ გუნებაზე იყო, მაგრამ სამსახურში მისულს დენისის გამოგზავნილი ლექსი რომ დახვდა, ესაიმოვნა. ემემ ლექსი წაიკითხა და მისი გული კიდევ ერთხელ გადიშალა სასიყვარულოდ:

ემე, შენი მშვენიერება
გავს ნიკეელთა გაფისულ სანდალს.¹

1 ე. პოს ლექსიდან „ელენესადმი“. საბელი ელენე შეცვლილია ემეთი, თარგმნა ტარიელ ჯანტურიაშვილმა.

ქუჩაში გასასვლელად ჩაცმულმა მისტერ ჯოიბოიმ საკოსმეტიკო ოთახებს ჩაუარა. სახე მგლოვიარესავით გაქვავებოდა. ემემ მუდარაშერეული სიმორცხვით გაუღიმა. ჯოიბოიმ თავი მძიმედ დაუკრა და გაიარა. სწორედ მაშინ იყო, ემემ თავისდაუნებურად დენისისაგან გამოგზავნილი ლექსის ზედა კუთხეში რომ მიაწერა: „შეეცადეთ გამიგოთ, ემე“. მერე საბალზამო ოთახში შეუმჩნეველად შევიდა და ქალღმერთის ფურცელი იმ გვამს დაადო. გულზე, რომელიც მალე მისტერ ჯოიბოს ყურადღების არეში მოექცეოდა.

მისტერ ჯოიბოი ერთი საათის შემდეგ დაბრუნდა. ემემ გაიგონა, როგორ შევიდა იგი თავის ოთახში, გაიგონა ონკანებში წყლის შხუილი. საუზმემდე ერთმანეთი აღარ უნახავთ.

— ის ლექსი ცუდად როდია დაწერილი, — უთხრა ემეს ჯოიბოიმ, როცა ერთმანეთს შეხვდნენ.

- ჩემმა დანიშნულმა მომიძღვნა.
- იმ ბრიტანელმა, რომელთანაც სამშაბათს ვნახეთ?
- დიახ, ინგლისში იგი ცნობილი პოეტია.
- ნუთუ მართლა! არასოდეს მინახავს ინგლისელი პოეტი.
- სწავლობს, პასტორობა უნდა.
- მართლა? იცით რა, ემე? მისი ლექსები თუ კიდევ გაქვთ, წამაეკითხეთ, ძალიან გამეხარდება!

- არ ვიცოდი, ლექსები თუ გიყვარდათ, მისტერ ჯოიბოი!
- იმედგაცრუება და მწუხარება კაცს ერთგვარად პოეტურად განაწყობს!
- მისი ბევრი ლექსი მაქვს, აქ ვინახავ.
- დიდი სიამოვნებით შევისწავლიდი ყველას. წუხელის „დანისა და ჩანგლის“ კლუბში ვისადილე. იქ ერთი პასადენელი კაცი გავიცანი, ლიტერატორია. მაგ ლექსებს იმ კაცს ვუჩვენებ. იქნებ თქვენს მეგობარს რამეში დაეხმაროს.

— თქვენ ჰემშარიტი რაინდი ყოფილხართ, მისტერ ჯოიბოი!

ემე გაჩუმდა. დენისზე დანიშვნის შემდეგ ჯოიბოისთან ამდენი აღარ ულაპარაკია. ქალი ერთიანად მონუსხა ჯოიბოის კეთილშობილებამ.

- ვიმედოვნებ, მისის ჯოიბოი კარგად ბრძანდება, — მორცხვად თქვა ემემ.
- დედიკო კარგად გერ არის! უბედურება შეემთხვა. გაბსოვთ მისი თუთიყუში, სამბო?
- რასაკვირველია!
- მოკვდა ბებერი იყო. ასზე მეტის თუ არა, ასი წლის მაინც იქნებოდა, მაგრამ აღსასრული მაინც მოულოდნელი იყო. მისის ჯოიბოი მართლაც, რომ ძალზე განიცდის.

- ოო, როგორ ვწუხვარ!
- კი, ნამდვილად ძალიან განიცდის! ასე უგუნებოდ ჯერ არ მინახავს!
- დღეს მთელი დღია სამბოს დაკრძალვაზე დავრბოდი. „სამოთხის ბედნიერ სანახებში“ ვიყავი. დაკრძალვა ოთხშაბათსაა. პოდა, იცით რა ვიფიქრე? დედიკოს ამ შტატში ცოტა ნაცნობ-მეგობარი ჰყავს. ალბათ გაეხარდება, დაკრძალვაზე ვინმე რომ მივიდეს. სამბოსაც, სანამ ახალგაზრდა იყო, ადამიანებთან ურთიერთობა ძალზე უყვარდა. აღმოსავლეთ შტატებში რომ ეცხოვრობდით, წვეულება ყველაზე ძალიან მას უყვარდა ხოლმე. საწყენიც კია, უკანასკნელ პატივს თუ არავინ სცემს, დაკრძალვის რიტუალს თუ არავინ დაესწრება.

- რას ბრძანებთ, მისტერ ჯოიბოი! რასაკვირველია წამოვალ, სიხარულით წამოვალ!
- მართლა მოხვალთ, მისს ტანატოგენოს? დიდ პატივს დავცდებით! ასე და ამგვარად ეწვია ემე „სამოთხის ბედნიერ სანახებს“.

თავი IX

მისს ტანატოგენოსი ლოს-ანჯელოსელთა ენაზე მეტყველებდა. მისი გონების ლატაკი მორთულობა, ამ მორთულობის ყოველი ნივთი, რომლებზედაც უცბონი წამდიუწუმ ბორძიკობდნენ, შექენილი იყო აქიურ საშუალო სკოლასა და უნივერსიტეტში. ემე რეკლამის შესაბამისად მორთულ-მოკაზმული და მოდურ სუნამომოპკურებული გამოდიოდა საზოგადოებაში. მისი გონება და სხეული თითქმის არ განირჩეოდა აქიური სტანდარტისაგან, მაგრამ სული! აჰ! სული სრულიად სხვა რამ არის! მისი სული ამალღებულ სფეროებში უნდა გეძებნათ და არა აქ, მიწაზე — ჰესფერიდების ერთი ამბრის სურნელებით გაქლენთილ ბაღებში; — უნდა გეძებნათ მთებში, აისის გამქვირვალე ჰაერში, ელადის მწვერვალებზე — იქ, სადაც არწი-

ვები დალივლივეზენ. კაფეებისა და ხილის დუქნების ოდიოგანვე შავბნელი საქმიანობა (მობარულის შესყიდვა, შუამავლობა) ემეს ქვეშეცნეულად აკავშირებდა მალალ მიფებში მობინადრე მისი რასის წარმომადგენლებთან. ასაკის მატებასთან ერთად ის უნა, რომელსაც ემე ფლობდა, სულ ნაკლებად გამოხატავდა ქალის სულის გაზრდილ მოთხოვნილებებს. ემეს გონებაში შემორჩენილი ცხოვრებისეული ფაქტები თანდათანობით უფერულდებოდნენ. სარკეში დანახული ორეული ემეს ნაკლებად აგონებდა საკუთარ თავს. ემე საღებავსა და სუთარ პიროვნებაზე, წმინდა სასუფეველში დაივანა. ამიტომ უნახესი ფიცით მასთან შეკრული მამაკაცის სიცრუემ ემეს არსების მცირე ნაწილი ხელპყრო. უდავოა ემეს გული დაიმსხვრა, მაგრამ მისი გულიც ადგილობრივი წარმოების პატარა, იაფფასიანი ხელსაწყო იყო მხოლოდ! უფრო ამაღლებული პოზიციიდან ემე გრძობდა, რომ საკმე გამარტივდა. ამ ქალის ბუნებაში დამყოლობის იშვიათ ნიქს დაებუდებინა. აქამდე ემე მხოლოდ იმას ცდილობდა, იმ ორი მოქიშვე თაყვანისმცემლის ყოველი ნაკლი თუ ღირსება უზუსტეს სასწორზე აეწონა. ახლა ყოყმანსა და განსჯას აზრი აღარ ჰქონდა. „ჭუნგლების შხამის“ მომხიბლავი და ვნებიანი ყივილი დადუმდა. და მაინც გურუ ბრამინისადმი მიწერილი წერილი იმ სტილით იყო დაწერილი, რაიც სრულიად შეესაბამებოდა ემეს აღზრდა-განათლებას.

* *

მისტერ სლამპი გაუპარსავიც იყო და დაბეჭითებით არც იმის მტკიცება შეიძლებოდა, ფხიზელიათ.

— სლამპი სულ უფრო და უფრო ეშვება ძნელს, — თქვა მთავარმა რედაქტორმა. — გადაეცით, მიფრთხილდეს, თორემ გავაგდებ!

მისტერ სლამპმა არ უწყობდა, რომ მის თავზე აგბედითი ღრუბლები მოგროვილიყო.

— ღმერთო ჩემო, ისეც ტანატოგენოსია?! — შეჰყვირა მან, — რას იწერება, შემოგვევლე? დღეს ბერიიანად ვერც კი ვარჩევ ნაწერს!

— საშინელი რამ შემთხვევია, მისტერ სლამპ! მისი შეყვარებული ცრუ და ორპირი ვა-მომდგარა.

— აა! ურჩიეთ, მეორეს გაჰყვას!

— ასედაც აპირებს!

* *

დენისისა და ემეს დანიშვნის ამბავი არც ერთ გაზეთში არ გამოუცხადებიათ, მისტერ ჯონსა და ემეს შესახებ კი „მესაფლავეთა ჟურნალი“ იტყობინებოდა. ამ ამბავს მთელი სოფტანეარი მიუძღვნეს. ჟურნალ „კუბოსში“ მათი ფოტოები მოათავსეს. ხოლო აქაურმა ჟურნალმა „რაზედ ჩურჩულებს ველი“ მათი სიყვარულის ამბავს თითქმის მთელი ნომერი მიუძღვნა. დანიშნა ქორწინების დღე. ჭვარი საუნივერსიტეტო ეკლესიაში უნდა დაეწერათ. მისტერ ჯობიბო ბაბტისტი იყო და ბაბტისტი მიცვალებულების წესის აღმსრულებელმა მღვდელმა სიხარულით შესთავაზა მათ თავისი სამსახური. მეგარდერობე ქალმა საპატარაქლოსათვის თეთრი სუდარა იშოვა. მისტერ კენუორამმა სურვილი გამოთქვა პარადად დასწრებადა ჭვრისწერას. ემესთან დასამუშავებლად გაგზავნილი გვამები ახლა ზარზევით იკრიკებოდნენ.

მთელი ეს ხანი დენისს ემე არ უნახავს. ბოლოს თუფიყუშის კუბოსთან შეხვდნენ ერთმანეთს. პატარა, მაგრამ ფუფუნებით მორთულ კუბოსთან მდგარმა დენისმა ქალს ურცხვად ჩაუქრა თვალი. გულში დენისი რა ექმა უნდა, შემცბარი იყო. ამჯობინა ერთი-ორი დღით ივალში აღარ მოხვედროდა ქალს. ამასობაში განცხადებაც წაიკითხა ემესა და ჯობიბოს ნიშნობის თაობაზე.

ემეს საშუალება არ ჰქონდა მორიდებოდა მისთვის არასასურველ პიროვნებებთან შეხვედრას. ვერავის გააფრთხილებდა: „მისტერ ბარლოუს არ ვლებულობ, სახლში არა ვარო“, ვერ უბრძანებდა მსახურებს არ მიეღოთ იგი. ემეს ხომ მსახურები არა ჰყავდა. ტელეფონი დარეკავდა და თვითონ უნდა ეპასუხა. ჭამაც ხომ უნდოდა. მაღაზიაშიც უნდა წასულიყო. ყველა ამ შემთხვევაში აგი უმწეო იყო თავიდან აეცილებინა ის შემთხვევითი მეგობრული შეხვედრები, რითაც ესოდენ მდიდარია ამერიკელი კაცის ყოფა.

ქორწილამდე სულ ცოტა დრო იყო დარჩენილი, დენისი ქალს რომ დაუდარაჯდა, საფუნ-თელშეში მიმავალს უკან გაჰყვა და მის გვერდით სკამზე ჩამოჯდა.

— ჰელლო, ემე! შენთან სალაპარაკო მაქვს!

— ახლა ეს უაზრობაა!

— აღარ განსოვს, ჩემო გოგონი, რომ დანიშნულები ვართ და მალე უნდა ვიქორწინოთ!

თეოლოგიაში დიდ წარმატებებს ვაღწევ. შორს აღარ არის ის დღეც, როცა საქმროს უფლებებს გამოვიყენებ.

— მაგას სიკვდილი მირჩევნია!

— გამოგიტყდები და შენი ეგ არჩევანი როგორღაც მხედველობიდან გამომჩნია. იცი, ნიგ-
ვნიახ ღვეზელს პირველიად ეჭამ. სწორად მიფიქრია, ნეტავი როგორია-მეთქი, არაფრის გემო
არ ჰქონია, უგემური რომ იყოს, ისე არ გაგიკვირდება კაცს! მოდრე ემე, გულაბდილად ვილაპა-
რაკოთ!

— განა უფლება არა მაქვს აზრი შევიცვალო?

— ემეკობ! აღარ გახსოვს, რა საზეიმოდ აღმითქვი ერთგულება?

— ეგ მართალია, მაგრამ შევეციდი ლექსებს მიგზავნიდი, მატყუებდი, ჩემი დაწერილიაო.
ნაწყვეტები ზეპირადაც კი ვისწავლე. სხვისი დაწერილი კი ყოფილა. ზოგი ლექსის ავტორი
თურმე ასზე მეტი წლის წინათ მომკვდარა. ჩემს სიცოცხლეში ისე გავიზნებელი არასოდეს
გყოფილვარ, როგორც მაშინ, ეს ტყუილი რომ შეგიტყე.

— მართო ეს არის მაზღვი?

— და კიდევ ის საზარელი „სამოთხის ბედნიერი სანახები“. მივდივარ! არაფრის ჭამა არ
შემიძლია!

— ეს კაფე შენი ამორჩეულია. მე როცა გპატივებდი, ასეთ საღვეზელეში არასოდეს შე-
მიყვანიხარ.

— თუ, მე გპატივებდი ხოლმე!

— ამას არსებითი მნიშვნელობა არა აქვს! ჭუჩაში ატირებული ხომ არ ავლი წამო,
ჩემი მანქანით წაგიყვან. აქვე კუთხეში დგას.

ქალ-ვაჟი ნეონის შუქით განათებულ ქუჩაში გამოვიდა.

— გეყოფა, ემე, ნუ იბუტები!

— იბუტებიო! მძულხარ!

— ამას წინათ რომ გნახე, ჯერ ისევ დანიშნულება ვიყავით და ოჯახის უფელში
შეგმას ვაპირებდით. იმის უფლებაც აღარ მაქვს, ახსნი-განმარტება მოგთხოვო? ამრიგად, შენ
მხოლოდ ის გაწუხებს, რომ იმ საყოველთაოდ ცნობილი შედეგების ავტორი მე არა ვარ? ის
შენი პოპკოა კი არის მათი ავტორი!

— შენ გინდოდა მოგეტყუებინე. გინდოდა მგონებოდა, რომ ის ლექსები შენი დაწე-
რილია!

— კარგი, ემე, გეყოფა! ძალიან უსამართლოდ მეტყევი. ეს მე უნდა ამცრუებოდა შენზე
გული, როდესაც მივხვდი რომ ქალიშვილი, რომელსაც ჩემს გრძნობებს ასე უხვად ვაღვედი,
სრულიად უვიცი იყო, არ იცნობდა ლიტერატურული საგანძურის ყველაზე ცნობილ შედეგ-
ტებს. მე ვიკოდი, რომ განათლების ევროპული სტანდარტები განსხვავდება ოქვენის სტანდარ-
ტებისაგან. ექვს გარეშეა, შენ უფრო მეტი იცი ფსიქოლოგიასა და ჩანურში, მაგრამ იმ მიხ-
რწინილ სამყაროში, საიდანაც მე გასლავართ, ეტირება ეროვნული სენია. ადრე ანტიკური ხა-
ნის კლასიკოსება იყვნენ მოდაში, აბლა ლირიკაზე გადავიდნენ.

— არც ერთ სიტყვას აღარ დაეიჯერებ!

— რა არის აქ დაუჯერებელი?

— საერთოდ აღარ მჭერა შენი!

— ჰო, ეს სხვა ამბავია! ერთია, საერთოდ არაფრის არ გჭეროდეს და სულ სხვაა, ვინ-
მესი არ გჭეროდეს.

— ოჰ, მეყოფა ამდენი ფილოსოფია!

— კარგი, მართლაც გვეყოფა!

დენისმა მანქანა გზიდან გადაიყვანა და შეეცადა ქალისათვის ხელი მოეხვია, გაკაპასე-
ბულ ემე ხელიდან დაუსხლტა. დენისი მის ნებას დაჰყვა, შეეშვა და სივარეტს მოუკიდა.
მანქანის კუთხეში მიყუჩული ემე დიდხანს სლუკუნებდა. მერე მოულოდნელად წამოისროლა:

— რა საშინელი დაქრძალვა იყო!

— ჯობის თუთიყუში? ამას ადვილად გგიხსნი. მისტერ ჯობისი მოითხოვდა კუბოს ახა-
ღეო, მე უარს ვეუბნებოდი. ბოლოს და ბოლოს ამ საქმეში მე უფრო მეტი მესმის. ვის-
წავლე! ძაღლებისა და კატებისათვის ღია კუბოს არა უშავს რა, ისინი ბუნებრივად მოკუნტუ-
ლები წვანან, თუთიყუშები კი არა! ბალიშზე დასვენებული თუთიყუში სულელურად გამოი-
ყურება. რა მექნა, სნობიზმის შეუვალ კედელს წავაწყდი: თქვენმა მებალწამემ განმიცხადა,
როგორც „მოჩურჩულე ველში“ კრძალავენ, „სამოთხის ბედნიერ სანახებშიც“ უთუოდ ისე

უნდა დაკრძალონო. იქნებ ეს ყველაფერი საგანგებოდაც კი მოაწყონ? ღარწმუნებული ვარ, ამ ღვთისმორწმუნე ქვეწარმავალს დიახაც სურდა, თუთიყუში სასაცილო გამოჩენილიყო. უნდოდა, ანაშენი შენს თვალში დავემცირებინე. ნამდვილად ასეა ვინ შეგატყობინა დაკრძალვის დრო? იცნობდი განსვენებულ თუთიყუმს?

— როგორც კი გამახსენდება, ჩემზე დანიშნული იყავი და ჩემგან ნაჩუმად ვარ დაწესებულებაში დადიოდი...

— შენ, ჩემო ემე, როგორც ჰეშმარიტ ამერიკელს, სხვებზე ნაკლებად უნდა გაწუხებდეს, როცა ზესვლას უმდაბლესი საფეხურიდან იწყებენ. იმის პრეტენზია არა მაქვს, დამკრძალავ დაწესებულებაში მისტერ ჯოიბოსის მსგავსი საპატიო ადგილი მიკავია-მეთქი, მაგრამ არ დაგავიწყდეს, რომ მასზე ახალგაზრდა ვარ, გაცილებით უკეთესი გარეგნობისა და ჯერჯერობით კბილებიც საკუთარი მაქვს. რაც შეეხება მომავალს, თავისუფალი ეკლესიის წიაღში დიდ წარმატებებს მოველი. ვინ იცის, იქნებ „მოჩურჩულე ველის“ მთავარი მოძღვარი გაგხდეს. შენს ჯოიბოსის კი გვამების ფაქტურაში ამოხდება სული. მე მქადაგებლის დიდი ნიჭი მაქვს, მეჩვიდმეტე საუკუნის მქადაგებელთა მეტაფიზიკური სტილი ნიტაცებს. ქადაგების ეს მანერა ინტელექტს ტლანქ გრძობებზე მალლა აყენებს, ქადაგების ასეთი მანერა უილიამ ლოდის¹ მანერას ჰგავს: ზარზეიმური, სიტყვაუხვი, გონებაშაჩვილური, არადოგმატური, ცრურწმენათაგან სრულიად თავისუფალი. უკვე სამოსელზეც ვიფიქრე: სახელო ფართო ექნება, შესაძლოა...

— თუ ღმერთი გწამს გაჩუმდი! ნერვებს ნუ მიშლი!

— გაფრთხილებ, ემე! გაფრთხილებ, როგორც შენი მომავალი მეუღლე და სულიერი მოძღვარი: საყვარელ პიროვნებას ასე არ ელაპარაკებიან.

— არ მიყვარხარ!

— „ვიდრემდე უსკერი დაშრება ზღვისა“.

— არ მესმის რაზე ლაპარაკობ!

— „...და კლდეს დაადნობს სხივები მზისა“... მე მგონი, ყველაფერი ნათელია. „მე მეყვა-აა-რები“... არ შეიძლება ეს სიტყვები არ გახსოვდეს. სწორედ ასე გამოთქვამენ ამ სიტყვას თქვენი პოპმოდერნები: „მე მეყვა-აა-რები, ჩემო კარგო, უკანასკნელ ამოსუნთქვამდე“... მართალია, ბოლო სიტყვები ცოტა არადამაჯერებლად ედერს, მაგრამ საერთო აზრი გასაგებია— გასაგებია ცხოვრებაზე გულაცრუებული და გულგატეხილი ადამიანისათვისაც კი. შენ რა, ბრიუსის გულიც დაგავიწყდა?

ქვითინი შეწყდა და ჩამოწოლილ სიჩუმეში დენისი მიხვდა, რომ მანქანის კუთხეში მიყურებული ქალის პატარა, მომხიბლავი თავი მთელი დატვირთვით ამუშავდა.

— ეს ლექსი ბრიუსმა დაწერა?

— არა, მაგრამ მათი სახელები ისე ჰგავს ერთმანეთს, რომ განსხვავება ყურადღას აღიქვამს.

მცირე პაუზა.

— ეს ბრიუსია თუ ვილაცა, ამ ფიციდან თავის დაცხნის გზას არ გვტოვებს?

დენისი მაინცდამაინც დიდ იმედს არ ამყარებდა „კირკ ოფ ოულდ ლენგ საინში“ დადებულ ფიცზე. ეს ამბავი მან დაცინვით ახსენა, მაგრამ ქალის რეაქცია რომ დაინახა, უმალ ჩაეჭიდა ამ ახალ შესაძლებლობას.

— ყური მიგდე, უტკბილესო და უსასოო არსებავ! შენ ახლა დილემის წინაშე დგახარ; ეს ევროპულად იგივეა, რასაც თქვენებურად ხათაბალაში ჩავარდნა ჰქვია...

— შინ წამიყვანე!

— კარგი, გზაში ყველაფერს ავიხსნი. „მოჩურჩულე ველი“ შენ ამკვეციერი სამოთხე გგონია. მესმის შენი. ჩემებურად, ტლანქ-ბრიტანულად, ვიზიარებ კიდევ შენს ენთუზიაზმს. ამ საკითხზე ოპუსის დაწერასაც კი ვაპირებდი, მაგრამ სავალალოდ დოუსონივით ვერ დავიტრაბახებ: „წაიკითხავთ თუ არა, ყველაფერს გაიგებთ-მეთქი“. შენ ვერ გაიგებ, ვენაცვალე! ერთ

¹ უილიამ ლოდი (1573-1645) — ვენტურურის არქიეპისკოპოსი, ცნობილი ქადაგი.

² იგულისხმება ბერსი და ბრიუსი.

³ ერნესტ დოუსონი (1867-1800), ინგლისელი პოეტი.

სიტყვასაც ვერ გაიგებ! ეს ისე, სხვათა შორის! განვაგრძოთ: შენი ჯობილი „მოჩურჩულე ველის“ ხორცშესხმული ხატია — შუალედური, მაკავშირებელი რგოლია მისტერ კენუორთსა და უბრალო მოკვდავთ შორის. ჩვენ ორივე, შენც და მეც „მოჩურჩულე ველმა“ გაგვაბრუნა. „განმკურნავ სიკვდილს შეყვარებულს“... გახსოვს ერთხელ რომ გითხარა? შემდგომი გართულებების თავიდან ასაცილებლად აქვე დავსძენ, რომ არც ამ ლექსის ავტორობის პატივი მაქვს შენ „მოჩურჩულე ველის“ ბაიადერა ანუ ქურუმი ქალი ხარ. იალთან ბუნებრივია, რომ შენით ვარ გატაცებული, შენ კი — მისტერ ჯობილით. აბა, შენს ფსიქოლოგებს ჰკითხე, ასეთ ამბები ყოველ ფეხის ნაბიჯზე თუ არ ხდება! ...ნათელმხილველის თვალსაზრისით მე შეიძლება ბევრი ნაკლი მქონდეს, — თუთიყუში მართლაც სულელურად გამოიყურებოდა, რა ვუყოთ მერე? განა შენ „მოჩურჩულე ველისათვის“ ყველაზე უწმინდესი ფიციტ არ შემომფიცე, საუკუნოდ შეყვარებო? ახლა გესმის, რა არის შენი დილემა, ანუ ხათაბალა, ანუ impasse? სიწმინდე ერთია! არჩევანი არ არსებობს! თუ ბერნსის ან ბრიუსის გულის წინაშე დადებულ ფიცს წმინდად არ ჩათვლი, ჯობილის სარეცელის გაზიარება რომ არამც და არამც არ ჩაითვლება სიწმინდედ.

გაოგნებული ემე დუმდა. დენისს არ ეგონა, მისი სიტყვები ასე ძლიერ აუ იმოქმედებდა კალზე.

- მოვედით კიდევ! — დენისმა მანქანა ემეს სახლის წინ გააჩერა. მაბაკაცი გრძნობდა რომ ახლა სულ ოღნავი სინაზის გამოჩენაც კი გაუფუჭებდა საქმეს.
- აბა, გადმოხტის!
- ემეს ხმა არ ამოუღია. არც განძრეულა. ბოლოს ჩურჩულით ჰკითხა:
- შენ ხომ შეგიძლია გამანთავისუფლო ფიცისაგან?
- რა თქმა უნდა, შემიძლია, მაგრამ არა მსურს!
- თუკი დაგივიწყე? თუკი აღარ მიყვარხარ?
- არ დაგივიწყებივარ!
- დამავიწყდი! როცა ვერ გხედე, ვერც კი გამიხსენებია, როგორი ხარ! ჩემთან თუ არა ხარ, შენზე სულ არ ვდიქრობ!



ოთახად წოდებულ ბეტონის გალიაში გამომწვდევულ ეულად დარჩენილ ემეს ექვის და მონთა მთელი ლაშქარი დაესია. რადიო ჩართო, მუსიკამ ტევტონურ ვნებათა უაზრო ქარიშხლის ტყვეპყო ქალი და სიგიჟის ციკაბო ფლატეები მიმოატარა. მერე მუსიკა უცებ შეწყდა და გამოაცხადეს: გადაცემა კომპანია „კაიზერის უკურკო ატმის“ შეკვეთით მოეწყობო. „გახსოვდეთ, ამჟამად ბაზარზე გამოტანილი არც ერთი ჯაშის ატამი არ არის ამ ჩინივით სრულყოფილი და სრულიად უკურკო; კაიზერის უკურკო ატმის ყიდვისას ოქვენ აძენთ მხოლოდ და მხოლოდ ატმის წვნიან რბილობს და სხვა არაფერსო“, — აუწყა დიქტორმა ემეს.

- ემე ტელეფონს მიუბრუნდა და ჯობილის ნომერი აკრაფა.
- სასწრაფოდ მოდი ჩემთან, საშინლად ვიტანჯები!
- ყურმილში ადამიანური და მექანიკური წარმოშობის ბგერათა დომხალი იღგა, ჯობილის მშვიდი ხმა გაკირვებით იკვალავდა გზას ამ ქაოსში და ოღნავ, ძლივს გასაგონად, ზედიზედ იმეორებდა:
- ხმამალა თქვი, შემოგველე... არაფერი არ მესმის, ვენაცვალე...
- საშინელ დღეში ვარ!
- ძალიან ცუდად ისმის, ძვირფასო. დედიკოს ახალი ჩიტი ჰყავს. აი ლაპარაკსაც ასწავლის... ღომ არ აჯობებს, ეს საუბარი ხვალისათვის გადავდეთ? ისეთი რა საქმეა, გადადება რომ არ შეიძლება?!
- მოდა, ახლავე მოდი! არ შემიძლია, ვერ გავუძლებ!
- აბა, რას ამბობ, ვენაცვალე! თვითონ განსაჯე, დღის დედიკო მართო როგორ დავტოვო?! ახალი ჩიტი ეს-ეს არის მოუყვანეს! წარმოგიდგენია რა დღეში ჩავარდებო, მართო რომ დავ-

1 impasse (ფრანგ.) გამოუვალი მდგომარეობა.

ტოვო? დედოკოსათვის ეს საღამო მეტად მნიშვნელოვანია, საყვარელო! ვალდებული ვარ დღეს მის გვერდით ვიყო!

— საქმე ჩვენს ქორწინებას ეხება!

— პო, გენაცვალე, ასეც ვიფიქრე! უამრავი წერილმანი საქმე გამოჩნდება ხოლმე ასეთ დროს. ხელ დილით ყველაფერი უფრო ადვილად გადასაწყვეტი მოგეჩვენება. კარგად გამოიძინე, საყვარელო, და ყველაფერი რიგზე იქნება.

— ახლავე უნდა გნახო, დაუყოვნებლივ!

— ყური დამიგდე, საყვარელო! მინდა ახლავე შეგაჩვიო ჩემს ხასიათს! ისე მოიქეცი, როგორც Pappá ვიბრძანებს, თორემ შენი Pappá სერიოზულად გაბრაზდება.

ემემ ყურმილი დადო. შეშწნედ ისევ კლასიკური მუსიკა მოიხმო. ქალი ბგერების წარღვნამ წაღეკა და გააოგნა. ეს უკვე მეტისმეტი იყო. მერე ერობაშად ჩამოწოლილ სიჩუმეში მისმა გონებამ ერთიც გაიბრძოლა: ტელეფონი... რედაქცია...

— ვურუ ბრამინს თხოვეთ!

— სამწუხაროდ საღამომობით იგი არ მუშაობს.

— ძალიან საჭირო საქმე მაქვს! ხომ არ შეგიძლიათ, გეთაყვა, მისი ბინის ტელეფონი მომიკეთ?

— ორი რედაქტორი გყავს. თქვენ რომელი გნებავთ?

— ორი? არ ვიცი! მე ის მინდა, რომელიც წერილებს პასუხობს.

— მისტერ სლამპი გდომებიათ. იგი ჩვენთან აღარ მუშაობს. ამ დროს სახლშიც ვერ დაიჭერთ. იქნებ მუნის სამიკიტნოში იპოვოთ. ჩვენი თანამშრომლები საღამომობით იქ ხშირად დადიან.

— სლამპი მისი ნამდვილი გვარია?

— რა ვიცი, თვითონ ასე ამტკიცებს, გენაცვალე და!

მისტერ სლამპი სამსახურიდან დაითხოვეს. თვითონ მისტერ სლამპი არ იყო ბაიბურში. თორემ რედაქციაში დიდი ხანია ყველა მოელოდა ამას. ამ გაუგონარი ეერაგობის ამბავს მისტერ სლამპი ახლა ყველა სამიკიტნოში რიგრაგობით ყვებოდა. მაინცდამაინც დიდი გულსყურით არ უსმენდნენ.

— ტელეფონთან გთხოვენ, მისტერ სლამპი! თუ გინდათ ვეტყვი, რომ აქ არა ხართ.

იმ წუთში მისტერ სლამპის გონება ისე იყო მომართული, რომ წარმოიდგინა, მთავარი რედაქტორი მირეკავს, თავისი დანაშაულის მონანიება სურსო და ამ განწყობილებით მივიდა ტელეფონთან.

— მისტერ სლამპი ბრძანდებით?

— დიახ!

— ძლავს გიპოვეთ! მე ემე ტანატოგენოსი ვარ... გახსოვართ?

სლამპზე უკეთ ვის უნდა ხსომებოდა ეს სახელი!

— რასაკვირველია! — კარგა ხნის დუმის შემდეგ უპასუხა მისტერ სლამპმა.

— მისტერ სლამპი! იმედმიხდელი ვარ, თქვენი რჩევა მჭირდება... გახსოვთ ის ინგლისელი, ვისზედაც იწერდით...

მისტერ სლამპმა ყურმილი გვერდით მდგარ კაცს შიადო ყურზე, იქედნურად ჩაიღიმა და მხრები აიჩეჩა. ბოლოს ყურმილი დახლზე დადო. სიგარეტს მოუკიდა, მერე ერთიც გადაჰკრა. კიდევ შეუკვეთა. ლაქებიან დახლზე დადებული ყურმილიდან გაბზული ბუბუნი ისმოდა. ემეს კარგა ხანი დასჭირდა, რომ თავისი გასაკვირი დაწვრილებით მოეყოლა. თანმიმდევრული თხრობა რომ შეწყდა, ყურმილიდან ნაწყვეტ-ნაწყვეტი, გაგუდული ჩურჩული მოისმა. მისტერ სლამპმა ყურმილი ხელში აიღო.

— ალო, მისტერ სლამპ, მისმენთ? გამიგეთ? ალო!.. ალო!

— რა იყო, დაიყო, რა დაგემართა?

— გაიგეა, რაც გითხარით?

— რასაკვირველია, გავიგე, ყველაფერი მშვენივრად გავიგე!

— ჰოდა, რა გქნა, როგორ მოვიქცე?

— როგორ მოიქცე? ახლავე მოგახსენებ, როგორც უნდა მოიქცე! უნდა უნდა სულ უნდა სართულზე ადი, მონახე ერთი მოწონებული კონტა ფანჯარა და ვაღმობტი ასე და ამგვარად მოიქცი!

- ტელეფონში ჯერ ხანმოკლე, შეკავებული ჭვითინი გაისმა და შეტყობინდა: „გმადლობთ“.
- ვურჩიე, ზეცაში აბრძანდი-მეთქი.
- გავიგონეთ.
- მართალი არა ვარ თუ?
- შენი საქმისა შენ უკეთ იცი!
- ღმერთო დიდებულო, ამ გვარის პატრონმა უკეთესი რა უნდა გააკეთოს!



საბაზანო ოთახში იმ ხელსაწყო-იარაღებსა და ნაირ-ნაირ საცხ-მალამოთა შორის, რაიც უველა ქალის ვამარჯვებათა საწინდარია, ქალის დაზვენებისათვის აუცილებელი ძილის წამლე-ნიც ელაგა. ემემ მისთვის ჩვეული დოზა დალია, დაწვა და ძილის მოლოდინში გაუჩნდა. ძილ-ტუში იღერსასა და მოთერების გარეშე უცებ და უხეშად ეახლა; ქალს არც მისი ფრთხილი შეხება უგრძნია, არც ტკბილი განცხრომა; არ ჰქონია არც სიმსუბუქისა და სიერცეში ლივლი-ვისა თუ მიწიერი ნარწუხებიდან თავდახსნილობის შეგრძნება... 9 საათსა და 40 წუთზე ემეს ჯერ ისევ ეღვიძა... ილაჯი გაუწყდა, სათუთქლებზე თითქოს სალტეებს უჭერდნენ, გულისგამაწ-ერილებელ ტკივილს გრძობდა... როგორც იქნა, თვალები მოუწყლიანდა, დაამთენარა... შერე უცებ უკვე 5 საათი და 25 წუთი იყო. ემეს უკვე ეღვიძა...

ისევ ბნელოდა. უვარსკვლავო ევა ეხურა თავზე ნათურებით აცივებულ უკაცურ ქუჩებს. ემე წამოდგა, ჩაიცვა და ნეონის რკალებით განათებულ ქუჩაში გავიდა. მოკლე მანძილი თა-ვისი ბინიდან „მოწურჩულე ველამდე“ ისე განვლო, არავინ არ შეხვედრია. „ოქროს ჭიშკარს“ შუალამის შემდეგ კეტავდნენ, მაგრამ გვერდითი პატარა კარი არასოდეს არ იკეტებოდა. ამ კარით ღამის მორიგეები სარგებლობდნენ. ემეც აქედან შევიდა და ნაცნობ გზას „ოთლდ ლენგ საინის“ ეკლესიისაკენ გაუყვა. აქ სკამზე ჩამოჯდა და აისხ დაელოდა. აწ დაშვიდებულ, ვო-ნებადაწმენდილ ქალს ღამის უკუნეთში, უნუგემო მარტოსულობაში მთავარ კითხვაზე პასუხი ეპოვა. წინაპართა სულებს თუ ეთათბირა, — ურწმუნოთა და განკიცხულთა იმ რასის წარმო-მადგენელთ, რომელთაც თავისი ძველი ღვთაებანი დაჰგმეს, ჩასხდნენ გემებში და მთელს სამ-ყაროს მოედნენ. განგებამ უწყის, რომელი ფურიები სდევნიდნენ მათ, რომელ ბნელ ქუჩა-ბანდებში და რამდენ წარმართულ ენაზე მოლიპარაკეთა შორის მიმოივანტნენ! ემეს მამა ქეშმა-რიტი ევანგელიის ეკლესიის ხშირი სტუმარი იყო, დედა სვამდა! მაგრამ წინასწარმეტყველური ატიკური ხმანი ემეს უფრო მაღალ ხვედრს უწინასწარმეტყველებდნენ. ეს ხმები, რომელნიც იადესლაც, სულ სხვა საუკუნეებში ქვესქნელას ლაბირინთთა ხლართებში მოჭირიე მონოტავ-რებზე მღეროდნენ, ახლა მშვიდად უამბობდნენ ქალს ბოტის მოლივლივე სანაპიროებზე. მოუთ-ხრობდნენ უძრავად მდგარ, აბჯარასხიულ მდუმარე მეომრებზე და არც სადღაც, განზე გამზი-რალ ავამემნონს ივიწყებდნენ, არც ალცესტასა და არც ამაყ ანტიგონეს.

აღმოსაველეთი განათდა. უღე-ღამის დაუსაბამო და უხასრულო მონაცვლეობის ზღვარზე მხოლოდ ეს ადრეული ეამია აქ კაცთაგან შეუზბოლაგი და ესეც ამიტომ, რომ აქაური ხალხი დილობით გვიან დგება. ექსტაზში შესული ემე მბრწყინავ ქანდაკებებს მიშტერებოდა. დილის ნათელში თანდათანობით რომ თეთრდებოდნენ და სიერცეში ნათლად იკვეთებოდნენ. ვერცხ-ლისფრად მოკააგე მღელოები ჯერ განაცრისფრდა და მერღლა დაედო მწვანე ფერი. ქალს სხე-ულში სითბომ დაუარა. უცებ თვალსაწიერამდე გადაშლილი ჟერდობები სინათლის მოფარფა-ტე სხივების არენად იქცა, უთვალავმა პაწაწინა ცისარტყელამ იწყო როკვა. როგორც ჩანს, მო-რიგემ სარწყავი დანადგარი ჩართო და მიწაში ჩამალული მიღებიდან წყლის ჭავლებმა იფეთქეს. ურიკებითა და სხვა ხელსაწყო-იარაღებით აღჭურვილი მეზღეები იქაურობას მიედნენ და თავი-ანთ მრავალრიცხოვან მოვალეობათა აღსრულებას მიპყვეს ხელი. დღე დაიწყო.

ემე სწრაფად დაეშვა წითელი ხრემით მოკარწყულ ბილიკზე, მორგიაკენ მიიჩქაროდა. ღამის ცვლის თანამშრომლები მისაღებში ეავას შეგქცეოდნენ. ემეს დანახვა არავის გაჰკვარვე-

1 ემე ტანატოგენოსი — სიყვარული, სიკვდილის მიერ ნაშობი (ასეთია გმირის სახელისა და ვვარის პაროდული-პათეთიკური მნიშვნელობა).

ბია, არც ის გაუოცებიათ, ქალმა უხმოდ რომ ჩაიარა. მათი სამსახური ისეთი იყო, დღე-ღამის წებისმიერ დროს შეიძლებოდა გამოსჩენოდა კაცს სასწრაჟო საქმე. ემე ლიფტით სულ ზედა სართულზე ავიდა. იქ გარინდება სუფევდა, არავინ იყო, სუდარაგადაფარებულ ცხედრის გარდა. ქალმა იცოდა რასაც ეძებდა და ისიც იცოდა, სადაც უნდა ეძებნა. შპრიცი და ლურჯი, ბრტყელტუჩა ბოთლი მონახა. ბარათი არ დაუტოვებია, არავის დამშვიდობებულა, არც არავისთან ბოდიში არ მოუხდია თავისი საქციელისათვის. იმ წუთებში მის გონებას უიქტივო ქაბუჭე გადობრივ მოვალეობას ან ადამიანურ ვალდებულებაზე არც კა გაჰკარებია. მას აღარც მოქიშპენი — დენისი და მისტერ ჯოიბოი — ახსოვდა. საქმე ეხებოდა მხოლოდ მას და იმ დეთაებას, რომელსაც ის მსახურებდა.

და სრულიად შემთხვევითი იყო, რომ ინექციისათვის ემემ მისტერ ჯოიბოის სამუშაო ოთახში გამოიყენა.

თავი X

მისტერ შულცმა დენისის ადგილას ახალი თანამშრომელი შიილო. მისთვის პროფესიის საიდუმლოებათა ახსნა-განმარტებას დენისი ერთ კვირას მოუწადა. ახალი თანამშრომელი ნიჭიერი ახალგაზრდა ჩანდა და დაწესებულების საქმიანობის ყველა წგრილმანი ძალზე აინტერესებდა.

— შესაძლოა თქვენნაირი ხიბლი და თქვენი მიდგომა მას არა აქვს, მაგრამ სხვაფრივ კი, გგონებ, გამიმარაღებს, — უთხრა დენისს მისტერ შულცმა.

იმ დილით დენისმა თავის შეგირდს კრემატორიუმის გამოსუფთავება დაავალა. შერე ის იყო წყუდგა ქადაგთა დაუსწრებელი სწავლების კურსის მიხედვით დავალებს მომზადებას, რომ კანტორის კარი მოულოდნელად გაიღო და დენისს თავისი შორეული ნაცნობი და ემეს სიყვარულის მოცილე მისტერ ჯოიბოი გამოეცხადა.

— ნუთუ ახალი თუთიყუშიც მოგიკვდათ, მისტერ ჯოიბოი? — გაიოცა დენისმა.

მისტერ ჯოიბოი დაჭდა. მოჩვენებას ჰგავდა; რომ დარწმუნდა, მარტონი ვართო, ალუღ-უღუღა:

— ემე! — როგორც იქნა დასძრა ენა.

დენისმა სიტყვებს უდიდესი ირონია ჩააქსოვა:

— ვიმედოვნებ, ემეს დაკრძალვის ცერემონიალს არ შეუწუხებებიხართ!

ამ სიტყვების გაგონებაზე მისტერ ჯოიბოი უცაბედად აფეთქდა:

— იცოდით, ნამდვილად იცოდით! ალბათ, თქვენ მოჰკალით იგი თქვენ მოჰკალით ჩემი ბუნჩულია-ბაჩულია!

— ხომ არ გაგიყებულხართ, მისტერ ჯოიბოი!

— ემე მკვდარია!

— ჩემი საცოლე?

— ჩემი საცოლე!

— ახლა ამაზე კამათის დრო არ არის, ჯოიბოი! რატომ გგონიათ ემე მკვდარი? გუშინ, გვიან საღამოს საღ-საღამათი იყო!

— ჩემს სამუშაო ოთახში სუდარაგადაფარებული დევს.

— პო, ეს კი ისეთი რამეა, რასაც თქვენი გაზეთები ნივთიერ მტკიცებას უწოდებენ. დარწმუნებული ხართ, რომ ნამდვილად ემეა?

— რასაკეარველია დარწმუნებული ვარ! თავი მოიწამლა!

— რას ამბობთ, ნიგვზიანი ღვეზელით?

— კალიუმ ციანიდით! თვითონ გაიკეთა ნემსი!

— ეს ბევრ საფიქრებელს წარმოშობს, ჯოიბოი! მე მიყვარდა ის ქალი! — თქვა დენისმა მცირე დუმილის შემდეგ.

— არა, მე მიყვარდა!

— ეინ იფიქრებდა!

— ის ჩემი ბაჩულია-ბუნჩულია იყო!



— გთხოვთ ჩვენი სერიოზული საუბრის დროს ნუ იხმართ ამ ინტერესსა და ცოტა არ იყოს უცნაურ გამოთქმებს, რა იღონეთ?

— ჯერ გავსინჯე, მერე სუღარა გადავადვარე, ნახევრად დანუშავებული გვაშეპისათვის ჩვენ ზოგჯერ კედლის მაცივრებს ვხმარობთ, იქ შევიწახე.

ჯოიბოი თავშეუქავებლად ატირდა.

— ჩემთან რამ მოგიყვანათ?

მისტერ ჯოიბოიმ რაღაც დაისრუტუნა.

— ვერ გავიგე!

— დამეხმარეთ! მისი სიკვდილი თქვენი ბრალია, ვალდებული ხართ მომეხმაროთ!

— ახლა იმის დრო არ არის, ერთმანეთს გადავაბრალოთ დანაშაული, ჯოიბოი! ნება მიბოძეთ შეგახსენოთ, რომ თქვენ ბრძანდებით ის პიროვნება, ვინც ემე საჯაროდ დანიშნა. თქვენს ნდგომარეობაში მყოფი ადამიანის ემოციები ადვილი გასაგებია, მაგრამ ზედმეტსაც ნუ იზამთ! ენე, რა თქმა უნდა, არასოდეს მიმიჩნევია ფსიქიურად სრულყოფილ პიროვნებად! თქვენ?

— ის ჩემი...

— არ თქვა, ჯოიბოი, არ გაიმეორო, თორემ გარეთ გავიძახებ!

მისტერ ჯოიბოი უფრო საწყალობლად ატირდა.

ამ დროს შევირძმა კარი შემოაღო და მჯერალი მამაკაცის ხილვით შემცბარი შედგა.

— შემოდით, შემოდით! — მიიწვია იგი დენისმა, — კლიენტი გვეახლა. მან თავისი პატარა საყვარელი ნებიერა დაჭარგა. თქვენ უნდა შეეჩვიოთ გრძობათა ამგვარ გამოვლინებებს. რაზე შემოხვედით?

— გაზის ლუმელი უკვე ნორმალურად მუშაობს-მეთქი, მინდოდა მეთქვა.

— ჩინებულია! ახლა წადით და ურიკა მოამზადეთ.

მარტონი რომ დარჩნენ, დენისა ისევ ჯოიბოის მიუბრუნდა:

— თავა შეიკავეთ, ჯოიბოი და პირდაპირ მიოხარით, რას მოიხატვთ ჩენგან. ჯერჯერ... ბით მხოლოდ ვილაც დედიკოებზე, მამიკოებზე და ბაჩულიებზე მოსთქვამთ.

მისტერ ჯოიბოიმ ახლა სულ სხვა რაღაც წაიბურტყუნა.

— ამჯერად „მისტერ კენუორთის“ მსგავსი რაღაც მომესმა. ეს გინდოდათ გეოქკათ?

მისტერ ჯოიბოიმ ნერწყვი გადაყლაბა.

— მისტერ კენუორთმა უკვე გაიგო?

მისტერ ჯოიბოიმ ამოიგმინა.

— ჯერ არ იცის?

ჯოიბოიმ ამოიხვნეშა.

— ეგებ გინდათ, მე მოვახსენო ეს ამბავი?

გმინვა.

— იცით, ეს სპირიტუზმის სენსის უფრო ჰგავს.

— დავილუბე, — ამოღერდა ჯოიბოიმ, — დედიკო!

— გგონიათ, თქვენს კარიერაზე ცუდად იმოქმედებს, თუ დოქტორი კენუორთი გაიგებს, რომ მოწამლულ საცოლეს მაცივარში ინახავო? თქვენი დედიკოს მომავლის გადასარჩენად ეს როგორმე თავიდან უნდა ავიცილოთ? გინდათ, რომ იმ გვამის გაუჩინარებაში დაგეხმაროთ?

ოსკრა და სიტყვების ქარინახალი:

— ვალდებული ხართ დამეხმაროთ... უველაფერი თქვენი ბრალია... საცოდავი ამერიკელი, გულუბრყვილო ბავშვი... ყალბი ლექსები... ჩემი ბაჩულია... დედიკო... ბავშვი... უნდა დამეხმაროთ! უნდა დამეხმაროთ!..

— ამდენი „უნდა“ არ მომწონს, მისტერ ჯოიბოი! იცით, ერთხელ დედოფალმა ელისაბედმა თავის არქივისკოპოსს — სხვათა შორის, ჭეშმარიტად დამოუკიდებელი ეკლესიის მოძღვარს — ასე უთხრა: ჩემო კეთილო, „უნდა“ მონარქებთან საუბრისას ხშირად გამოსაყენებელი სიტყვა არ გახლავთო. იმ მაცივარს აქვენ გარდა კიდევ ვინ ხმარობს?

გმინვა.

— კარგი, ახლა წადით, ჯოიბოი, სამსახურში დაბრუნდით. მოვიფიქრებ. ნასადილევს მოდით და მნახეთ.

მისტერ ჯოიბოი გავიდა. დენისმა შეიცადა სანამ ჯოიბოის მანქანა დაიძვრებოდა. მერე კანტორის უკან, ცხოველთა სასაფლაოზე გავიდა და ჩაფიქრდა. დენისი არაფერ და არაფერ ისტრევებდა. მის ფიქრთა მოზიარე ყოფილიყო ვინმე, მით უმეტეს ჯოიბოი.

ფიქრებიდან დენისი მასმა კიდევ ერთმა ყოფილმა ნაცნობმა — ჯოიბოიზე, ^{ქუტუნმა} ~~ახლო~~ ნაცნობმა — გამოიყვანა.

გრილი დღე იყო. ტვიდის კოსტიუმსა და კაპიუშონიან წამოსასხამში გამოწყობილ ემბროუზ ებერკრომბს ნაბდის სანადირო ქუდი ეხურა. ზუსტად ისე ჩაეცვა, როგორც კინოში ოდესღაც მის მიერ განსახიერებულ კომიკურ პერსონაჟებს — პროვინციული ინგლისის მცხოვრებთა წვეფერებოდათ. ხელთ მწყემსის არგანი ეპყრა.

— ვშრომობთ და ვშრომობთ, ბარლოუ, არა?

— დღეს თითქმის სულ არ მქონია საქმე. იმედი მაქვს, ჩემთან აუნაზღაურებელ დანაღლისს არ მოუყვანიხართ.

— არა, მაგის მსგავსი არაფერია. აქ ცხოველი არასოდეს მიყოლივია. თუმცა კი, რაღა დაგიმალოთ, და თვალში ძალიან მაკლია. მამაჩემის ოჯახში ქვეყნის ძაღლები და ცხენები გვეყავდა. თქვენც, ხომ? ცუდად არ გამიგოთ და ამ ქვეყანაში ცხოველს როგორ გაიჩენს კაცი. ქვეყანა, რასაკვირველია. მშვენიერია, მაგრამ ვისაც ცხოველები გულით უყვარს, აქ რა ჩამოაყვანივს.

სერ ემბროუზი მცირე ხნით გაჩუმდა და უბრალო ქანდაკებები გულდასმით მოათვალიერა.

— მშვენიერი ადგილია! ვწუხვარ, რომ აქედან წესვლას აპირებთ!

— ჩემი ბარათი მიიღეთ?

— დიახ, აი, აქა მაქვს! ჯერ ვიფიქრე, ვიღაც ლუგუზად მეხუმრა-მეოჯი. მაშ, მართალია? — მან წამოსასხამიდან დაბეჭდილი ბარათი ამოაძვრინა და დენისს მიაწოდა.

„ავიაციის მაიორი, მისი უწმინდესობა, დენის ბარლოუ, იუწყება, რომ იგი სულ მალე ლოს-ანჯელოსში, არბაკალ ავენიუზე (№ 1154) გახსნის კანტორას. გარანტირებულია დამოუკიდებელი ეკლესიის ყველა საქმის მომსახურებას დაუყოვნებლივი აღსრულება. ფასები ხელმისაწვდომია. სპეციალიზაცია — დაკრძალვები, პანეგირიკები — ლექსად და პროზად, აღსარებითი საიდუმლოება უზრუნველყოფილი იქნება“.

— დ. ახ, სრული სიმართლეა. — აქვა დენისმა.

— აჰ, როგორ ვშიშობდი, მართალი არ გამოდგეს-მეოქი პაუზა.

— ბარათები სააგენტომ დაავზავნა. არ მეგონა, ასე თუ დაგაინტერესებდათ, — თქვა დენისმა.

— ხომ ხედავთ, დამაინტერესა! სადმე მყუდრო ადგილს ვერ მოვნახავთ, რომ მშვიდად ვისაუბროთ?

ნელავი, სერ ემბროუზი ის კაცი ხომ არ არის, ვისგანაც პირველი აღსარება უნდა მივიღოთ. ფიქრობდა დენისი და თან სტუმარი კანტორისაკენ მიჰყავდა. იქ ორი ინგლისელი ერთმანეთს პირისპირ დაჯდა. შეგირდმა თავი შემოპყრო და მოახსენა, ფურგონი მზადააო.

ბოლოს სერ ემბროუზმა, როგორც იქნა, ხმა ამოიღო.

— ასე არ ივარგებს, დენის! ნება მიბოძე, ასაკოვანი კაცის პრივილეგიები გამოვიყენო და გულახდილად ვითხრა: ასე არ ივარგებს! ბოლოს და ბოლოს შენ ინგლისელი ხარ. აქაურები მშვენიერი ბიჭები არიან, მაგრამ ხომ იცი, ცხოვრებაში როგორ ხდებია ხოლმე? ყველაზე საუკეთესოთა შორისაც მოიძებნებიან ნაძირალები. ჩემზე უკეთ მოგეხსენება საერთაშორისო მდგომარეობა. ეურნალისტები და პოლიტიკოსები შემთხვევას ხელიდან არ გაუშვებენ, რომ როგორმე ჩვენი სამშობლოს პრესტიჟი ძირს დასცენ. შენ მათ წისქვილზე ასხამ წყალს. მე ისიც არ მომეწონა, აქ რომ დაიწყე მუშაობა. თუ გახსოვს, ვითხარი კიდევ თავის დროზე. მაშინ საქმე მხოლოდ პირადად შენ გეხებოდა. ახლა კი, როცა საქმე რელიგიაზე მიდგა, სულ სხვა ამბავია. არ გეგონოს, ინგლისის სოფლის მრევლივით მშვიდი, წყნარი ხალხი გეყოლება. ამის იმედი ნუ გექნება. მენდე, მე ვიცნობ ამ ქვეყანას.

— თქვეგან მივევრს, სერ ემბროუზ! განა ჩემი მიზანიც საზოგადოების უფრო მაღალ სფეროებზე ასვლა არ არის?

— მაშ, სანამ დროა, აქაურობას გაეცალე, ჩემო ბიჭუნა!..

სერ ემბროუზი ინგლისის სამრეწველო კრიზისსაც კი შეეხო. ილაპარაკა იმაზე, თუ როგორ სჭირდება სამშობლოს დოლარები და ახალგაზრდები, არც ის დაივიწყა, რა დაქინებით იღვწიან ინგლისური სათვისტომოს წევრები კინომრეწველობაში, რათა ინგლისელთა ღირსება შესაფერ დონეზე იდგეს და სხვ. და სხვ.

— სამშობლოში დაბრუნდი, ჩემო კარგო, სამშობლოში, შენი ადგილია აქ არის! — დინა მან ბოლოს.

— სხვათა შორის, ზეციური ხმა, ადრე რომ ჩამესმოდა, თითქოს შესუსტდა. განცხადების შეტანის მერე აზრი შემეცვალა.

— დიდებულია! — თქვა სერ ემბროუზმა.

— ესაა მხოლოდ, ზოგი პრაქტიკული ხასიათის სიძნელე მამრკოლებს. მთელი ჩემი დანაზოგი თეოლოგიის შესწავლას შევალიე.

— ასეც ვიცოდი! აი, როდის დაგვჭირდა კრიკეტის კლუბი. ნუმც გაგათენებია ისეთი დღე, როცა დაგვეზარება გაჭირვებაში ჩავარდნილი თანამემამულისათვის ხელის გამართვა გუშინ სალამოს კლუბის კომიტეტის სხდომა გქონდა. თქვენზეც ვილაპარაკეთ. ყველა თანახმაა ერთი სიტყვით, ჩემო ბიჭუნა, სამშობლოში ვაგისტუმრებთ!

— პირველი კლასით!

— ტურისტულით. ამბობენ, საკმაოდ კომფორტულიაო. რას იტყვიო?

— მატარებელში საერთაშორისო ვაგონი ამიღეთ!

— არავითარი საერთაშორისო!

— კეთილი! ალბათ მომიწევს ეკლესიის მსახურთათვის შესაფერ ასკეტაზმს შევეჩვიო.

— აი, ეს მესმის! ახლა ადამიანურად ლაპარაკობთ! — თქვა სერ ემბროუზმა. — ჩემიც თანა მატებს, წუხელისვე მოვაწერეთ ხელი.



მეზალზეამე რამდენიმე საათის შემდეგ დაბრუნდა.

— დამშვიდდით უავე? თუ ასეა, დაჯექით და ყურადღებით მომისმინეთ. თქვენ ორი პრობლემა გაქვთ გადასაწყვეტი, ჯობიო! ნება მიბოძეთ ხაზგასმით აღვნიშნო, რომ ეს თქვენი პრობლემებია და არა ჩემი. თქვენ უნდა მოიცილოთ თავიდან თქვენი საცოლის გვაში. თქვენი კარიერაა საფრთხეში და არა ჩემი. მაშ, ასე! ორი პრობლემა გაქვთ გადასაწყვეტი: გვამის აორთქლება და თქვენი საცოლის გაუჩინარების მიზეზთა ახსნა. დახმარებისათვის თქვენ მე მომმართეთ. საქმე ისე დატრიალდა, რომ მე და მხოლოდ მე შემიძლია თქვენი ხსნა. ჩვენ აქ შესანიშნავი კრემატორიუმი გვაქვს. „სამოთხის ბედნიერი სანახების“ თანამშრომელნი იმით ვართ ბედნიერნი, რომ არავითარი ფორმალობით არ ვიზღუდავთ თავს. კუბო რომ შემოვიტანო აქ და მისტერ შულცს ვუთხრა: მისტერ შულც, ცხვარი უნდა დავწვა-მეთქი მეტყვის, მიდი, შენ იციო! იყო დრო, ამის გამო ცხვირს გვიბზუებდით! ახლა, ვინძლო სხვაგვარად ფიქრობთ! საჭიროა ის თქვენი ნეტარხსენებული, ნება მომეცით ეს გამოთქმა ვიხმარო, აქ გადმოვიტანოთ. სალამოს, სამუშაოს დამთავრების შემდეგ, სწორედ რომ შესაფერი ურო იქნება.

პრობლემა მეორე: როგორ აეხსნათ ქალის გაუჩინარება! მისს ტანატოგენოსს ნაცნობები ცოტა ჰყავდა და ნათესავები, მგონი, სულაც არა ჰყოლია. და აი, ქორწილის წინა დღეს იგი ქრება! ყველამ იცის, რომ ოდესღაც მისი თაყვანისმცემელი ვიყავი, უბრალო ასახსნელია და ადვილადაც დაიჯერებენ, რომ ქალის თანდაყოლილმა, კარგმა გემოვნებამ იძალა და იგი თავის პირველ შეყვარებულთან ერთად გაიპარა! ერთია მხოლოდ! მის გაუჩინარებასთან ერთად მეც უნდა გავქრე პორიზონტიდან. კარგად მოვეხსენებათ, კალიფორნიაში კაციშვილი არ კითხულობს რა ხდება ამ მთებს მიღმა. შეიძლება ჩვენმა საქციელმა ხალხის გაკიცხვა დაიმსახუროს, მაგრამ ეს დიდხანს არ გასტანს. პირადად თქვენი წილხვედრი პიროვნების დამამცირებელი შებრალება იქნება, მაგრამ მეტი რა გზაა, უნდა გაუძლოთ! ამ ბოლო დროს რატომღაც ვეღარ ვიტან ლოს-ანჯელოსის არაპოეტურ ატმოსფეროს. ქვეყნის სამუშაო მატებს, ამ ქალაქში კი თავი ვერაფრისათვის მომიბამს. აქ მხოლოდ ჩვენი საერთო ნორჩი მეგობარი მაკავებდა, და კიდევ, ჩემი ხელმოკლეობა. ხელმოკლეობამ გამახსენა, ჯობიო! თქვენ ფული ალბათ ბლომად გაქვთ!

— სადაზღვევო პოლისები მატებს!

— რამდენს მოგცემენ? ხუთი ათას დოლარს?

— არა, მაგდენს არაფრით არ მომცემენ.

— ორს?

— არც ორს!

— მაშ რამდენს?

— დაახლოებით ათას დოლარამდე!

— სასწრაფოდ გამოიტანეთ! ეს თანხა მთლიანად დამჭირდება. ეს ჩემიც გადამიხურდავეო, ორივე ერთად შეიძლება მიყუარს! აქვე იქნებ სენტიმენტალობად მოგეჩვენოს, მაგრამ მე მსურს წვერთებული მტატებიდან ისეთივე კომფორტით გავემგზავრო, როგორც ჩამოვედი. „მოჩურჩულე ველი“, „მეგალოპოლიტენ სტუდიას“ სტუმართმოყვარეობაში არ უნდა ჩამორჩეს... ბანკიდან მოგზაურობათა ბიუროში წახვალთ და ინგლისში გასამგზავრებელ ბილეთს ამიღებთ. ნიუ-იორკამდე საერთაშორისო ვაგონთა წავალ. გემ „კუნარდერზე“ ცალკე კაიუტის დამიჯავშნაეთ! აბაზანით! გაუთვალისწინებელი ხარჯებისთვისაც კარგა ბლომად ფული დამჭირდება. ფული ხელზე უნდა მქონდეს. ასე რომ, რაც ბილეთის აღების შემდეგ დაგჩვენებთ, სულ აქ მომიტანეთ. ყველაფერი გასაგებია? ძალიან კარგი! ჩასადილევს ჩემი ფურგონით თქვენს მოგზაურ ვიქნები.



• •

მისტერ ჯოიბოი დენისს მორგის შესასვლელთან ელოდა. „მოჩურჩულე ველში“ გვამების გადასაზიდად სრულიად უხმაურო მოწყობილობას იყენებდნენ. სწრაფსა და უხმაურო საზიდარაზე დენისის მოტანილი კონტეინერი მოათავსეს. შეიტანეს კარიბელი — გამოიტანეს ტვირთიანი და „სამოთხის ბედნიერი სანახებისაკენ“ გასწიეს. იქ შედარებით კუსტარული მეთოდებით მოქმედებდნენ, მაგრამ ორ მამაკაცს არ გასჭირვებია კრემატორიუმამდე ტვირთის ხელით მიტანა და მისი მოთავსება გაზის ღუმელში. დენისმა გაზი მოუშვა და ანთო. აგერიტ ამოშენებულ ღუმელში ცეცხლის ენები ასავსავდნენ... დენისმა რკინის კარი მიხურა.

— დარჩებით? ჩემი ანგარიშით საათნახევარი მაინც დამჭირდება! — აქვს დენისმა.

— მას ყველაფერში წესრიგი უყვარდა. მიმძიმს იმაზე ფიქრი, რომ იგი აი, ასე მიდის ჩვენგან.

— მინდოდა წირვა გადამეხადა, ეს იქნებოდა ჩემი პარველი და უკანასკნელი ღვთისმომსახურება თავისუფალი ეკლესიის წიაღში.

— ამის ატანა უკვე შეუძლებელია!

— კეთილი! მაშინ ლექსს წავიკითხავ, ლექსს, რომელიც საგანგებოდ ამ შემთხვევისათვის დავწერე.

ძვირფასო ემე, შენი მშვენება
პგავს ნიკეელთა გაფისულ სანდალს...

— აბა, აბა! ეგენი არ იყოს! ისევ სხვისი ლექსები!

— ნუ დაივიწყებთ, გეთაყვათ, სად იმყოფებით!..

...რომ მიაქანებს დაღლილ-დაქანცულ
მაწანწალა ხალხს იქითკენ, სადაც
სამშობლო მხარე ფულს ეგულება!

— ზედ გამოკრილია ამ შემთხვევისათვის, არა?

მისტერ ჯოიბოი უკვე გადიოდა შენობიდან.

აგურის ღუმელში ცეცხლი ღმუოდა. დენისს არ შეეძლო იქაურობის მიტოვება, სანამ ყველაფერი ღველფად არ იქცეოდა. მის გავარჯარებული ნაცარი უნდა გამოეღო, თავის ქალა და თემოს ძვლები მაყაშით ჩაემსხვრია და ნაცარში აერია. ეს სულ ბოლოს! ჭერჯერობით ეს დენისი კანტორაში შევიდა, ფურნალში კრემაციის დაწყება აღნიშნა. სანამ „სამოთხის ბედნიერი სანახები“ იარსებებს, ჯოიბოი ყოველი წლის ამ რიცხვში ასეთ ბარათს მიიღებს: „თქვენი სწია ემე კულს გიქიციანებთ და თქვენზე ფიქრობს სამოთხეში“.

...პგავს ნიკეელთა გაფისულ სანდალს,
რომ მიაქანებს დაღლილ-დაქანცულ

მაწანწალა ხალხს იქითკენ სადაც
სამშობლო მხარე გულს ეგულება!

ლოს-ანჯელოსში გატარებულ ამ უკანასკნელ საღამოს დენისი მიმხვდა ჩოყო, რარიგ მოწყა-
ლედ მოექცა ბედი. სხვანი და სხვანი, შესაძლოა, დენისზე ბევრად უფრო ღირსეულნიც, უმოწყ-
ალოდ გაიწირნენ — აქ ყაველი მტკაველი მიწა მათი ძვლებით იყო გამოჩეჩებული. დენისი
კი შინ ბრუნდებოდა, და ბრუნდებოდა არა სულით ხორცამდე გაფიცვნილი, არამედ გამდიდრე-
ბულიც კი. თუმცა დენისმაც შესწირა თავისი წილი მსხვერპლი საყოველით კატისტროფის
პანორამულ სურათს, აქ მან დატოვა ის, რაც დიდი ჯანია ხელს უშლიდა ცხოვრებაში — თავისი
ალალმართალი გული. სანაცვლოდ თან მიჰქონდა უდიდესი განძი შემოქმედისა — უზო-
პოდ დიდი გამოცდილების უფორმო ლოდი. ტვირთი მიჰქონდა თავისი ძველი და პირქუში
ქვეყნის ნაპირებისაკენ, რათა იქ გულმოდგინე რუდუნებით დაემუშაებინა, მხოლოდ გამჩენმა
უწყის, რა ეამი და რაოდენი რუდუნება დასჭირდებოდა ლოდის დამუშავებას. ზოგჯერ მთელი
ცხოვრებაც კი ხანმოკლე ჩანს ამგვარი ლოდის დასამუშავებლად.
დენისმა მისის პოსკის მიერ სამუშაო მაგიდაზე დატოვებული რომანი იიღო, მოხერხებულად
მოეწყო და ნეტარსენებულის საბოლოო ჩაფერფვლის მოლოდინში კითხვას შეუდგა.



1 თარგმნა ტარიელ ჭანტურიაძე.

პიქტორია ტოპარევა

გედნიერი დასასრული



მთხრობა

თარგმნა ჯაბა ასათიანმა

მე გამთენიისას მოვეკედი, დილის ოთხსა და ხუთ საათს შორის. ჯერ ხელ-ფეხზე შემცივდა, გეგონება, სველ წინდებსა და ხელთათმანებს მაცმევდნენ. მერე სიცივე გულსაც მისწვდა. გულმა ცემა შეწყვიტა და ისეთი გრძობა დამეუფლა, თითქოს ღრმა ჭის ფსკერზე დავეშვი. მართალია, ჭის ფსკერზე ადრე არასოდეს ვნოლილვარ, მაგრამ აქამდე სიკვდილითაც ადრასოდეს მოვმკვდარვარ.

პირისახე ნილაბივით გამიქვავდა, აღარ მემორჩილებოდა. არც არაფერი მტკიოდა და არც არაფერს ვნალვლობდი. უძრავად ვინექი ჭის ფსკერზე. აღარც ის მანალვლებდა, ნეტა როგორ გამოვიყურები-მეთქი.

რვა საათზე დერეფნიდან ნაბიჯის ხმა მომესმა, საბავშვო ოთახიდან გამოვიდა ჩემი დაფიშვილი იურანია.

„ისევ ფეხშიშველაა“ — გავიფიქრე. მას ტყის ბიჭივით ფეხშიშველა უყვარდა ტანტალი. მეც მუდამ ერთსა და იმავეს ვეუბნებოდი: „ფეხზე ჩაიცვი“.

იურანიამ დერეფანი გაიარა და მამამისის ოთახთან შეჩერდა. ქმარმა ჩაახველა და გვერდი იცვალა.

გაიჭრიალა კარმა — ალბათ იურანიამ გამოალო და მამას პირფერული ჩურჩულით ჰკითხა:

— გაიღვიძე?

— რა გინდა? — ჰკითხა ქმარმა, ხმაზე შევატყვე, შეურაცხყოფილი იყო. ძალიან სწყინდა, როცა უქმე დღეს შეაწუხებდნენ.

— კინოში უნდა წავიდე. აბონემენტი მაქვს. ცხრაზე იწყება, — ისევ ჩურჩულით განაგრძო იურანიამ.

ბიჭს ეგონა, ჩურჩულით თუ ეტყოდა, თითქმის არ გააღვიძებდა მამას და მასაც შეეძლო ისე ეპასუხა, რომ არ გაეღვიძა.

— დედაშენი გააღვიძე, — ბრძანა ქმარმა.

ქმარს არ უყვარდა, როცა საქმეს გადაულოცავდნენ, თუმცა თავის მოვალეობებსაც ზიზღით ეკიდებოდა.

ახლა ჩემი ოთახის კარმა გაიჭრიალა.

იურანიამ ერთხანს იყურა, მერე თქვა:

— დედას სძინავს.

— არა უშავს რა, ადგება, — დაამშვიდა ქმარმა.

— სძინავს, — გაუმეორა იურანიამ. — და ფერი არა აქვს.

თორმეტ საათზე სავადმყოფოში წამიყვანეს, მეორე დღეს კი უკანვე გამომწერეს.

ჩამაცვეს ის გრძელი კაბა, შარშან პარიზიდან რომ ჩამომიტანეს და მაშინ კიდევ ერთი პრობლემა მომემატა: კარგი კაბის პრობლემა. მას მე ვერსად ვიცვამდი და შრილა, ბრწყინვალე კაბა ისე უქმად გვიდა კარადაში, როგორც ტყუილუფრატულუქმსწენება იმისა, რომ ადამიანი ბედნიერებისთვის არის გაჩენილი.

მეექვსე სართულზე მცხოვრებმა მეზობელმა ქალმა თქვა:

— ასე ახალგაზრდას იმქვეყნად ჯერ მიიღებენ...

— ბიჭი გასაზრდელი დაურჩა, — ამოიოხრა მეორე მეზობელმა ქალმა.

ამ ქალმა თავისი ვაჟი საპენსიო ასაკისა მოყარა, მე კი, ჩემსას მესამე კლასამდეც ვერ მივყვები... მეზობელმა მთელი ჩემი ჩველი ცხოვრება ერთ წამში გაიზარა და თავი გადააქნია.

იურანია მოდიოდა და მიდიოდა, თავი ამაყად ეჭირა. ყველა ეფერებოდა და მასაც დიდად სიამოვნებდა საყოველთაო თავყვანისცემა. უგუნებობა არ ეტყობოდა. ამასწინათ გავაფრთხილე:

— თუ აღარ დავბრუნდი და გითხრეს, დედაშენი მოკვდაო, არ დაიჯერო.

— სად იქნები?

— ღრუბელზე დავსახლდები და იქიდან დაგიწყებ თვალყურის დევნებას.

— კარგი, — დამეთანხმა იურანია.

მეეზოვე ნიურა გაოცებული იყო: გუშინ ქუჩაში ვუნახივარ ხელჩანთებით დატვირთული და მეზობელთან ჩემი საუბარიც გაუგონია.

საუბარი კი ასე დაიწყო:

— ეფიმ, რას ვგაგხარ?

— რა მოხდა? — გაოცდა ეფიმი.

— გასახიხოვარი ქალიშვილივით გამოპრანჭულხარ.

— მე მუდამ ასე ვიცვამ, — ეწყინა ეფიმს.

— მამაკაცი მრისხანე და ფეთხუმი უნდა იყოს, — მივუგდე და სადარბაზოში შევვარდი.

მე ჯერ კიდევ გუშინ აქ ვიყავი, ყველასთან ერთად ვენეოდი ცხოვრების ჭაპანს, დღეს კი — ღმერთმა უწყის სად ვარ და თუკი ეს გადაადგილება ჩემს ცხოვრებაში მოხდა, ეს ნიშნავს, რომ ამგვარი გადაადგილება საერთოდ არსებობს და ვისაც გნებავთ იმას შეიძლება შეემთხვას, თუნდაც ნიურას.

ქმარი ჩემს ავადმყოფობას შუადამ ეჭვის თვალით უყურებდა. ახლა არც ჩემი სიკვდილი დაიჯერა. ალბათ სულის სიღრმეში სწამდა, რომ ეს ყველაფერი ჩემი ოინბაზობის ნაყოფი იყო.

ოთახი ხალხით იყო სავსე, მე რატომღაც მეგონა, უფრო ცოტა ხალხი მოვიდოდა. სიმართლე რომ ვთქვა, ვფიქრობდი, დამმარხავიც არავინ მეყოლება-მეთქი. ყველგან და ყოველთვის ყველაფერს მარტო ვაკეთებდი, სხვის იმედად არასოდეს ვყოფილვარ. საკუთარი თავის დამარხვა თავად რომ შემძლებოდა, ეჭვი არ გეპარებოდა, არავის შევანუხებდი, თავს თავად გავიპატიოსნებდი.

ჩემდა გასაკვირად ყველაფერს უჩემოდ მოევლო: საფლავიც იშოვეს, საბუთებიც გააფორმეს.

მამჩის ბიუროს თანამშრომელმა ქალმა, ნაცრისფერი კოფთა რომ ეცვა, ქმარს ცნობა მისცა, სამაგიეროდ ჩემი პასპორტი მოსთხოვა. ქმარმა პასპორტი გაუნოდა, ქალმა პასპორტში უგულისყუროდ ჩაიხედა, მერე შუაზე გადახია და ორივე ნაწილი მონულ კალათში ჩაყარა.

როცა ქმარმა დაინახა, რომ ჩემი კუთვნილი პასპორტი გადახიეს, მიხვდა, მართლაც ამონერილი ვიყავი ცხოვრებიდან და ახლა ყოველგვარი მცდელობა უაზრობა გახლდათ. ახლა იგი თავისუფალი იყო, მაგრამ როგორ ესარგებლა ამ თავისუფლებით, ჯერ ცხადად არ იცოდა. არც ის იცოდა, საერთოდ თუ სჭირდებოდა თავისუფლება, როგორც არ უნდა თქვა, ჩემგან სარგებელი უფრო მეტი ჰქონდა, ვიდრე საზრუნავ-საფიქრალი.

შესვენების დროს მოიბრინეს ჩემმა მეგობრებმა ალიამ და ელიამ. ორივენი ლამაზები იყვნენ, მაგრამ ალიას სილამაზეს მხოლოდ მე ვხედავდი, ელიასას — უკლებლივ ყველა.

ალია მარტო ცხოვრობდა, არც სიყვარული ჰქონდა, არც ოჯახი. იგი მე ბედნიერ ქალად მთვლიდა და ვერაფრით დაეჯერებინა, ვერაფრით მიმხვდარიყო — რამ მაიძულა უზრუნველი ცხოვრების ახლანდელ ყოფაზე გაცვლა. რაც არ უნდა შეგმობოდა, ასე უძრავად ნოლას ხომ ყველაფერი სჯობდა...

ელია ჩემსავით ბედნიერი იყო, მასაც სალამოს კაბის პრობლემა აწუხებდა. ისიც ჩემსავით დაიღალა ვარიანტებით. კი არ დაიღალა, ამ ვარიანტებმა გაძარცვა და დააცარიელა, მაგრამ ახლა იმ აზრზე იყო, რომ თავისი ნებით არასოდეს ნაფიქროდა ცხოვრებიდან, თასის შესმა ბოლომდე მოუნევედა.

გულდამძიმებული გოგოები ნიღბად ქცეულ ჩემს სახეს მდუმარედ შეჰყურებდნენ. ჩემი სიკვდილი მათთვის ჭკუის სასწავლი გაკვეთილი გახლდათ.

თვითნებ მათგანთან ცალ-ცალკე ვმეგობრობდი, ერთმანეთს კი ვერაფრით შეეთვისებინა, ერთმანეთის მიმართ რაღაც ზნეობრივი პრეტენზიები ჰქონდათ, მაგრამ ახლა, ჩემს კუბოსთან ეს პრეტენზიები უმნიშვნელო ჩანდა.

— ყველანი ვართ დამნაშავენი, — თქვა ალიამ. — არავინ ვიცოდით, რა ცეცხლი უტირიალებდა გულში, დახმარება არავის უცდია.

— როგორ დავხმარებოდით... მას ხომ არავინ სჭირდებოდა.

ტელეფონი ხშირად რეკავდა. ყურმილს ქმარი იღებდა და ამბობდა, რომ არ შემეძლო საუბარი, რადგან ცოცხალი აღარ ვიყავი.

ეტყობა ამ ცნობით შეძრწუნებული ადამიანები კარგა ხანს დუმდნენ, არ იცოდნენ, როგორ მოქცეულიყვნენ: რამე ეკითხათ თუ უსიტყვოდ დაეკიდათ ყურმილი. დამრეკავი დუმდა, დუმდა ქმარიც. მერე ემშვიდობებოდნენ ერთმანეთს და ქმარი ყურმილს კიდებდა.

ნეტა იმან თუ დარეკა? ალბათ არა. მე მიცდის. ბოლო შეხვედრისას გადავწყვიტეთ: სიყვარული სულაც არ გვაძლევდა იმის უფლებას, რომ ჩვენი შვილებისათვის ცხოვრება დაგვენგროა და დავინწყეთ ისეთი ვარიანტის ძებნა, რისი წყალობითაც ყველა თავს კარგად იგრძნობდა.

ბუხი რომ თავს ახლის ხოლმე ფანჯრის შუშას, სწორედ ისე ვცოდვილობდით, საკუთარი ფრთების ფართქუნის ხმაც კი გვესმოდა, თუმცა სასიკეთო მაინც ვერაფერი მოვიფიქრეთ.

- მოდი, დავშორდეთ, — შევთავაზე მე.
- მერე როგორ ვიცხოვროთ? — მკითხა.
- ეს კი აღარ ვიცოდი. არც მან იცოდა.
- როგორ და, ასე... — დავამშვიდე.
- ეს რა ცხოვრებაა!
- გამოსავალი?
- თვითმფრინავიანად რომ დავილუპო, ეს ყველაზე უკეთესი დასასრული იქნება.
- მერე ბავშვები? — ვკითხე.
- მათ ჩემი ხსოვნა ეყვარებათ.
- ...საინტერესოა, დარეკა თუ არა? თუ ახლაც ჩვეულებისამებრ ორი დღის მერე დამირეკავს.

— გარდაიცვალა, — უპასუხებს ქმარი.

ის გაჩუმდება. არც ქმარი გააგრძელებს საუბარს. მერე ქმარი დაემშვიდობება და ყურმილს დაკიდებს. ესეც ასე. ყოველგვარი ვარიანტების გარეშე.

სიკვდილი იმით არის მოსაწყენი, რომ ვარიანტებს გამოორიცხავს.

სალამოს სხვა ქალაქიდან დედაჩემი ჩამოვიდა.

დედამ ქმარს უთხრა, რომ არ დაუტოვებდა არც ერთ თეფშას და ბალიშისპირს. ის მირჩევნია, ყველაფერი დაეამტვრიო და დავფხრინო, ვიდრე შენ დაგრჩესო.

ქმარს ენყინა და უთხრა:

— მორჩით სისულელეებს.

დედამ უპასუხა: ჩემი ქალიშვილის სიკვდილი მხოლოდ შენი ბრალია და მის მაგივრად სჯობდა შენ მომკვდარიყავიო.

ქმარმა უპასუხა:

— ახლა დედაჩემს ჰკითხეთ.

ათე საათისათვის ყველანი ნავიდ-ნამოვიდნენ. ბინა დაცარიელდა, სადღაც მალლა და შორს საათი ტიკტიკებდა. მერე გუგუნი მომესმა, თითქოს ონვანი მოუშვეს. მივხვდი, ქმარმა ტელევიზორი ჩართო, ფეხბურთის გადმოცემას უყურებდა.

ოთახში დედაჩემი შევიდა და ქმარს ჰკითხა:

— ფეხბურთს უყურებ?

ქმარმა უპასუხა:

— მაშ რა ექნა?

მართლაც რა უნდა ექნა...

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მე ორი დღის შემდეგ დამასაფლავეს.

თოვლი თითქმის გამლხელიყო, ნაკადულებს დაეღარა სველი დედამიწა, ეს სურათი ცოცხლებს გულს უმძიმებდა.

ჩემი სამარის გვერდით რამდენიმე ახალი საფლავი იყო, საფლავებზე დანყობილ ხელოვნურ თაიგულებს ცელოფანის ზენრები ეფარა.

გავა დრო, ჩათავდება ნვიმების ალო, დედამიწაც აშრება, სამარეებსაც ცელოფანის ზენრებს გადახდიან და კოხტა, მორთულ-მოკაზმული საფლავები თვალს ეამება.

კუბოს სარქველზე გორიხები აბრახუნდა.

საფლავის ბორცვი პატარა გამოვიდა, ძლივს შეამჩნევდა კაცი, საფლავზე ცოცხალი ყვავილები დააწყვეს. ცოცხალი ყვავილები კი სჯობია იმ გვირგვინებს, თუმცა ხელოვნური გვირგვინები უფრო პრაქტიკულია.

მერე კი, ღმერთი ვიხილე.

იგი ლამაზი გარეგნობის ახალგაზრდა კაცი აღმოჩნდა.

ღმერთს მოკლე, პრიალა კაბაში გამოწყობილი მივუახლოვდი და თვალეში ჩავსუდე.

— მაპატიეთ, — ვთხოვე.

— ხალხი სულ იმას მთხოვს, დედამიწაზე ყოფნა გავუხანგრძლივო, შენ კი, ადექი და თვითონ წამოხვედი. რამ გაიძულა?

— სხვა გზა ვერ ვიპოვე.

— ამის გარდა?

აქ ვარიანტები მაინც არ არის. ვარიანტებმა დამლალა.

-- მოგეტმინა.

-- ბედს ვერც შევურიგდი და ვერც რამე შევცვალე.

უეცრად წარსული ცხოვრების ერთმა ამბავმა თავი შემახსენა და უნებურად ავჭირდი.

მშერთმა თავზე ხელი გადამისვა.

-- ნულარ ტირი, იყურე. ხომ ხედავ, რომ მენანები.

— რამდენი გეძახე... როგორ ველოდი შენს ხმას. იქნებ რამე გერჩია. რად არ ისმინე ჩემი ვედრება?

— განა არ გიპასუხე: მოითმინე, ყველაფერი გაივლის-მეთქი.

— მართლა გაივლიდა?

— რა თქმა უნდა. ჯერ კიდევ ყველაფერს მოესწრებოდი.

— ნუთუ?

— უფრო უკეთესს.

— მაშ შენი ხმა რატომ ვერ გავიგონე?

— იმიტომ, რომ შენს სულში სიყვარულს უფრო ღრმად გაედგა ფესვი, ვიდრე ღმერთს. სიყვარულის ხმას უსმენდი.

ღმერთმა ლოყაზე ხელისგული ჩამომისვა, ცრემლი მომწმინდა. იგი ტანმაღალი, გრძელთმიანი კაცი იყო, თანამედროვე ახალგაზრდებს მაგონებდა.

ჩვენს მალლა ჩემი კაბის წინწკლებივით ბრჭყვიალებდა ვარსკვლავთ მტვერი.


— რამე ხომ არა გსურს? — მკითხა ღმერთმა.

— იმისი ნახვა.

ღმერთმა ერთხანს ირმის ნახტომის კვალდაკვალ მატარა, მერე შეჩერდა, ხელი აიქ-
ნია და ჩემი სული გაანთავისუფლა.

სულმა კი იქამდე იფრინა, სანამ თვალშეუდგამ წყვილი არ გააღწია.

მერე ერთხანს იმისი სახლის თავზე იტრიალა და გაღებულ სარკმელში შეფრინდა,
რაფაზე ჩამოსკუპდა.

ის მაგიდასთან იჯდა და თავის გოგონას დურაკობანას ეთამაშებოდა. 
ფრთხილად მივუახლოვდი და იმის კარტს ჩავხედე.

იგი აგებდა. მე არ შემეძლო რამე შეკარნახა.

მან ჩვეულებისამებრ ორი დღის შემდეგ დამირეკა.

ყურმილი მე ავიღე.

იგი დუმდა. მაინც ვიცანი. ვუთხარი:

— აი, ავდგები და მოკვდები, მაშინ კი მთელ ცხოვრებას ნააგებ.

— მოკვდები... — ხმა გამცა. — შენ სულ ეგრე იმუქრები.

ისევ გავჩუმდით. ხშირად ვდუმდით ხოლმე ასე, სულ არ გვწყინდებოდა. ქალაქის
სხვადასხვა ბოლოში ვიდევით და ერთმანეთის სუნთქვას ვუსმენდით.

□



თარგმნა იზა ორჯონიძე

უზენდესი ხსოვნა

ვიდრე წყვილიადის ყინულებში შეაბიჯებდე,
ძალიან მინდა შემოხვიდე
ჩემი ორი სტრიქონის ნათელს — სამარადისოს!
როცა უდაბნო და ქვიშნარი საუკუნეთა
რაც იყო — ყოველს დავიწყებას მიაბარებენ,
ვითა გუშაგნი, წარსდგებიან ეს სტრიქონები
და შენს სამარეს დაიცავენ ერთგულებითა.

სუნოს დილა

მე შენადნობი ვარ ნაწილების,
ეს ნაწილები სხვისია ყველა.
შენ ჩემს ღირსებებს ნუ შეაქებ მაინცდამაინც.
შენგანაც ბევრი წამოვიღე,
ცამაც მავალა,
დღემაც, ღამემაც,
რაც კი შეეძლოთ მინაწილეს დაუნანებლად.
ყველაზე მეტი მზემ მიბოძა და ველმა მწვანემ...
როცა მოვკვდები, დაუბრუნდება ყოველივე
ჩემს უშურველ კეთილისმყოფელთ
და იქ, სადაც მე ახლა ვცხოვრობ,
სიჩუმე და მყუდროება დაისადგურებს.
მაგრამ ჩემი მწყურვალე სული,
სული გაჩენის დღით შთაბერილი
სააქაოში დაუტევებს მხოლოდ სიყვარულს,
რომლით პირთამდე სავსე იყო ჩემი ცხოვრება,

მკვდრებს სამარემდე
მივაცილებდი



ადამიანისათვის, ყველაფერი ადამიანისათვის
(ნ. ვრეტაკოსის „ანტიგონეს ტრაგედია“)

მკვდრებს სამარემდე მივაცილებდი,
ვუმღერდი გმირებს —
ვიქმოდი ყოველს მხოლოდ შენი სიყვარულისთვის
დროშებს, გულდაგულ გადამალულს,
ზეცას ვუნვდენდი,
მზეს ვუნვდენდი —
მხოლოდ შენი სიყვარულისთვის.
ვნახე ჯალათნი,
კაცისმკვლელებს თვალში ჩავხედე —
მხოლოდ შენი სიყვარულისთვის.
მაგრამ იცოდე, პატიებას არ ვთხოვ არავის
თუნდაც შენი სიყვარულისთვის...
ქვაზე ფრჩხილებით ამოვკანრავე:
„მე დავივიწყე სიყვარული
მხოლოდ შენი სიყვარულისთვის“.

მზისადმი

მანათობელო!
სამუდამოდ გემშვიდობები,
მოდე და წაღმა დააბრუნე შენი ბორბალი,
მე ნუ გამათბობ, მე ვერავინ ველარ მიშველის.
თმაში ჩამინან სხივთა ბაბთები,
მინდა რომ ღამეს, ზვარაკივით მორთული შევხვდე...
გესმის, ჩემს ძვლებში მოჩუხჩუხებს შენი წყარონი,
გაცივებულან ძვლები, თუმცა წყლებს იმ წყაროთა
არა სწადიათ დადუმება,
ო, დიდო მზეო,
შენ უდარდელი ის ბალები გაათბე ოღონდ,
რომლებიც ერთხელ სასაფლაოზე
ჩემი სამარის შორიახლოს ითამაშებენ...

ერთხელაც ღამით



ერთხელაც ღამით თუ არ დავბრუნდე,
 გათენებამდე ნუ შეშფოთდები,
 ნუ შეშფოთდები ნურც საღამომდე,
 კვირამდე მაინც ნურას ინაღვლებ,
 აქვე ვარ სადმე, ახლომახლო, ავადმყოფის
 სასთუმალს ვუზი,
 ან წყაროს ვეძებ, ან უცნობებს კარს მივადექი,
 პური ან წყალი მივუტანე...
 შენ ფხიზლად იყავ, კერიაში ცეცხლს ნუ გააქრობ,
 რადგან ყოველთვის თავით ფეხამდე სველს მომელოდე.
 სუფთა პერანგი მზადა გქონდეს და გზას უცქირე,
 კარსაც ხშირად მიაყურადე,
 რომ ნაბიჯების ხმაზე მიცნო
 ქვეყნის ბოლოდან
 უმთვარო და უვარსკვლავო ღამით
 შენთან დაბრუნებული.

ციუბ-ცხელაბა

საბრალო დედავ,
 გასაღები მომეცი ერთი,
 მინდა გავაღო კარი ჩვენი ძველი სახლისა,
 ჩემი სიყრმის მომენატრა ტანისამოსი.
 თან წაღება მსურს, მცივა, დედილო!
 აქ, ჩრდილოეთში მზე გველემშაპს მოუტაცია.
 მითხარი მაინც, სად შეინახე
 თესლი ათასგვარ ყვავილებისა,
 გაზაფხული მომდგარა კარზე
 ჩვენ კი რატომღაც მზად არა ვართ მის დასახვედრად.
 ო, დედაჩემო,
 გამაღვიძე მზის ამოსვლისას
 ვიდრე ვარსკვლავნი დილის ბურუსში გაიცრებოდნენ
 ცა,
 მზე,
 ზღვა ლურჯი
 ჩაენებოდეს გაზაფხულს თმაში,
 და ისევ, ისევ დაფარავდეს სარკმელს ჩვენსას
 ყურთამდე ღიას.
 მე კი ქალაქს გავემგზავრები,
 ყორნისფერ ცხენს და

ხმაღს ვიყიდი თეთრად ეღვარეს,
 გადავევლები ზღვასა და ხმელეთს
 და შორეთისკენ დაძრულ ღრუბლებში
 გაიღვლებს საყვარელი ქალის ხატება.
 გამთენიისას ჩავალ ბარში
 და ბორბოტებას შევებრძოლები,
 უნდა დავიხსნა ტანჯვისაგან ქვეყნიერება.
 ო, ჩემო დებო,
 რა გაცეკვებთ,
 მთვარიანში ციბრუტივით რა გატრიალებთ?!



წერილი თანამეგობარსადმი

რა ვუყო თუკი მძვინვარე ვარ ვით ოკეანე
 და გული ჩემი ცეკვავს როგორც ენები ცეცხლის.
 მაინც ვიპოვი პასუხს შენი შწარე დუმილის-
 დე ბრიალებდეს სისხლი
 ვით ტყე ცეცხლმოდებული,
 ო, მე მაინც გამოგიგზავნი
 ხელუხლებელ ღიმილს ბავშვობის,
 რომელიც მუდამ ჭაში ჩასულ მთვარეს მაგონებს.
 შენ ხარ იმედი დილის სხივი უუნაზესი,
 არ გამამხილო,
 ცისკრის ვარსკვლავთან
 არ წამოგცდეს, რომ მე უკვე ცოტა რამ მჯერა.
 შეხედე მთებს და გადათვალე ხრამი, უფსკრული
 სადაც მივლია,
 მიმითვალე მწვერვალებიც
 და ვარსკვლავებიც,
 სადამდეც ხელი მიმიწვდენია
 ცრემლი გულისა დაღვარე და
 ჩემს მაგივრად უთხარი იმათ
 წარმტაცია-თქო სიცოცხლე და ქვეყნიერება
 და უსუსტესი ამოკვნესაც კი ჩემი გულისა,
 საზეიმო არის ქორალი,
 და ყოველი ჩემი ნაბიჯი გამარჯვებაა!
 უთხარი ისიც,
 ჩემი ყოველი გაღიმება
 ლახვარია-თქო სიკვდილისათვის.
 და თუ მამული დაგვიქუცმაცეს
 და მოძმენი წამოაჩოქეს,
 ხოლო მე ისევ ცოცხალი ვარ
 და ვდგავარ როგორც კედელი ქვისა,

რომელსაც მკერდზე ეხეთქება
 ქარიშხალი შავი თუჯისა,
 გვედრები,
 მაშინ უფრო, უფრო უთხარი,
 რომ მე ღიმილი გამოვუგზავნე ჩემი ბავშვობის,
 ღიმილი ტყვიამიუკარები,
 ჭაში ჩასული მთვარის სადარი...



...
 შენ მოგიძღვენი ჩემი რწმენა
 გადაგიშალე წიგნი. —
 სულის ყოველი გვერდი
 დიახ, წმინდაა და კურთხეული სისხლი მოძმისა.
 შეეხმიანე, შეგიძლია ნახო ჩემი გულისფიცარი,
 ეს წითელი ასოები ნუ შეგაშინებს,
 მერე რაა, რომ ცრემლებსა ჰგვანან
 ღვთისმშობლის თვალთგან ნამოცვენილებს
 და ვით სუნთქვა მარიამისა
 მკვრივია და გამჭვირვალე ეს ასოები.
 სწორედ ამიტომ მგზნებარე და ცეცხლოვანი
 სტრიქონები,
 ფურცლები,
 გულის!
 შეახე ხელი გაბმულ სიტყვებს
 და თუ აჟღერდნენ —
 დალიე ჩემი სულის წყალი
 ვითა მანანას,
 წამონანვიმს დაღალულ თვალთა,
 სვამს ყვავილი,
 არ გამამხილო,
 ნურც რაიმეს შეალამაზებ,
 უთხარი ისე,
 სხვათა შორის,
 რომ ღიმილი გამოვუგზავნე ჩემი ბავშვობის,
 რომელსაც ტყვია არ მოხვედრია,
 რომელიც ჭაში ჩასულ მთვარეს თუ შეედრება:
 და მდინარის გაყოლებაზე ალვების ძირას,
 შენს სევდას რომ უნანავებენ,
 ქვიშაზე ჩხირით მიაწერე ჩემი სახელი:
 იმედი,
 მერმე — სიყვარული,
 ბოლოს — დუმილი.
 ხოლო როს დაწერ მყის წაშალე ესე ყოველი
 და თქვი რომ ქარი,
 უსახლკარო ქარი ვარ მხოლოდ

რომელმაც დროთა ხერხემალზე გადაიქროლა,
 უთხარი იმათ გზად შემოყრილ ყოველ ღერაკზე
 მიუბამს-თქო ბედაური
 ოქროსალვირამოდებული
 და დაუმატე,
 რომ მე მზეც ვარ,
 ვმოძრაობ მიწყვიც
 და როს კვირადღით
 საზეიმოდ მოვიკაზმები,
 როს უცისფერეს იმედთაგან
 მონაქსოვი მმოსავს სამოსი
 და ღრუბლიან გზად მივაბიჯებ,
 ქვეყნიერებას ეფინება შუქი ნამდვილი.
 სიმართლე უთხარ,
 არ მომწერა ერთი სტრიქონიც,
 მაგრამ ღიმილი გამოგზავნა-თქო,
 რომელსაც ტყვია არ შეხებია,
 რომელიც მოჰგავს
 ჭაში ჩასულ გაბადრულ მთვარეს.



□

ვერდორ აბრამოვი

რასა სტირიან ცხენებო



მოდხრობა

თარგმნა ნოდარ აბრამოვი

ყოველთვის, როცა კი სოფლის ფერდობიდან დობიროში, საძოვარზე ჩავსულვარ, მუდამ ასე მგონებია, ესაა და ჩემს შორეულ ბაღობას ვეწვიე-მეთქი — სურნელოვანი ბალახის, კრიჭინებისა და ხეხილების საუფლოს, და, რაც მთავარია, კვლავ საცხენეთში, ცხენების ქვეყანაში გავჩნდი-მეთქი. ეს დასაბლული ცხენები კი აქვე ძოვდნენ, თავთავიანთი პალოს გასადევარზე.

ხშირად პური მქონია თან და ცხენებისათვის ლუკმა მიმიწოდებია; თუ უპუროდ ჩავიდოდი, მაინც გავუჩერდებოდი ხოლმე, ზურგსა და კისერზე მეგობრულად ვუტყაპუნებდი ხელს, ტკბილი სიტყვით გულს ვუკეთებდი, თბილ, ხავერდოვან ბაგეებზე ვეთათუნებოდი და მერე დიდხანს, ლამის მთელ დღეს ვგრძნობდი, როგორ ამდიოდა ხელისგულზე ცხენის სუნი, რომელსაც ათას სუნში გამოარჩევს კაცი.

ნაირ-ნაირ ფიქრებს ამიშლიდნენ ხოლმე ეს ცხენები.

ისინი მიჩქროლებდნენ, მიხარებდნენ გლეხკაცურ გულს, თავიანთი განსაკუთრებული, ცხენური მშვენიებით ამკობდნენ უკაცრიელ მინდორს, რომელზეც ალაგ-ალაგ ქაობის ბურცობები და ტირიფის ბუჩქები ამოზრდილიყო. და მე, წუთი რა არის, საათობით შემეძლო მეცქირა ამ კეთილი და გონიერი ცხოველებისათვის, მესმინა, როგორ ახრამუნებდნენ ბალახს, და ამ გაბმულ ხმიანობას იშვიათად როგორ გაკვეთდა ხან უკმაყოფილო ჩაფრუტუნება ანდა წამიერი ფრთხვიანობა — ეს მაშინ იცოდნენ, როცა მტვრიანი ან ურგები ბალახი მოხვდებოდათ ენაზე.

მაგრამ უფრო ხშირად ეს ცხენები სიბრაღისა და მათ წინაშე რაღაც იდუმალი დანაშაულის გრძნობას მიღვივებდნენ.

ნიადაგ მთვრალი მიკოლკა მეჭინიბე, დღეცა და ღამეც ისე გაილეოდა, ერთს არ ჩააკითხავდა ხოლმე და პალოების გარშემო, ბალახი რაღა საკითხავია, მიწაც

კი შავად იყო ამოდრღნილი და ამოქმული, სანამდისაც კი ფესვებს კბილი მოტკიდებოდა. ცხენები ერთთავად იტანჯებოდნენ, წყურვილი ჰკლავდათ, მწერები არ უსვენებდნენ — მყუდრო სალამოობით ლეგა ღრუბელივით ეხვიათ კოლო და მუმლი.

რალა გავაგრძელო — ცუდი დღე ედგათ ბეჩაეებს. ამიტომაც მეწადა, რაც ჩემს ხელთ იყო, რალაცით გამელამაზებინა, შემემსუბუქებინა მამაკ სხეული. მერე განა მარტო მე ვიყავი, იშვიათად გამოერეოდა ისეთი ბებრუნანას დედაკაცი, რომ მინდორზე გასვლისას მათი ცოდვით არ დამწვარიყო.

ამჯერად კი არ მივდიოდი, გავრბოდი ცხენებისაკენ, რადგანაც ნათ შორის, იცით, ვის მოვკარი თვალი? ჩემს საყვარელ ფაშატს — კლარას, ანუ თაფლას. ასე ვეძახდი უბრალოდ, როგორც ჩვეულებად ჰქონდათ იმ კარგ დროებაში, რომ ცხენებს არ ერქვათ შტორმი და იღეა, არც გამარჯვება და დამკვრელი, არც კოსმოსი, არამედ იყვნენ ქურანები, ლურჯაები, საღარები — ჩვეულებრივი ცხენები თავიანთი ჩვეულებრივი სახელებითურთ.

თაფლაც იმავე აღნაგობისა და სისხლის ცხენი იყო, რაც სხვა ფაშატები და იაბოები, მისი ჯილაგის — ეგრეთ წოდებული მეზენური ცხენები ტანად პატარანი არიან, შეუხედავნი, მაგრამ ძალზე ამტანნი, ადვილად შესანახნი და ჩრდილოურ ცხოვრებას კარგად შეგუებულნი. თაფლასაც თავის მოძმეებზე ნაკლები ჯათა როდი ედგა. ოთხი-ხუთი წლისას კეხის ნადგამზე უკვე ზურგი დაშავებოდა, მუცელი ჩამოზრდოდა, ფერდებზე ძარღვები შეჰბერვოდა.

მაგრამ თაფლა მაინც გამოიჩინოდა, უკეთესი ცხენი იყო თავის ოგურში.

ზოგიერთი მათგანის შეხედვა შეგზარავდა.

გაუბედურებულები იყვნენ, ზამთრის ბალანიც არ გასცვენოდათ ხეირიანად და ბლუჯა-ბლუჯად ეკიდათ ტანზე, თვალებიდან ჩირქი სდიოდათ, რალაც უაზრო მორჩილებას გამოხატავდა მათი მზერა და დაჩაგრული, მოტეხილი ტანი

ეს თაფლაზე არ ითქმოდა. იგი სუფთა ფაშატი იყო, თანაც ჯერ კიდევ შემორჩენოდა მხიარული ხასიათი, ნალველი ვერ მორეოდა, ახალგაზრდული ონავრობაც არ განელებოდა.

ჩვეულებრივ, როდესაც ფერდობზე მომავალს დამინახავდა, მთელი ტანი ეძგიბებოდა, შეიმართებოდა, თავისი კრიალა ხმით შემომჰკიხვინებდა, ხანდახან კი, სანამდისაც თოკი გასწვდებოდა, პალოს შემოურბენდა ანუ, როგორც მი დავარქვი, სიხარულისა და სალამის წრეს შემოიჩინებდა.

დღეს თაფლას ჩემს მიახლოებაზე ვერაფერი გამოცოცხლება შევატყვეპალ ასთან იდგა უძრავად, გაქვავებულიყო, შტერად დამდგარიყო, ისე როგორც მხოლოდ ცხენებმა იციან დგომა, და იოტისოდენადაც არაფრით განსხვავდებოდა სხვა ფაშატებისა და იაბოებისაგან.

„ნეტა რა დამართნია? — შეშინებულმა გავიფიქრე, — ავადაა? გადავაეჩნე უდი ამ დროის მანძილზე?“ (თაფლა ორი კვირით შორეულ სათიბში ჰყავდათ წაყვანილი).

ეგრევე სიარულში წავამტვრიე პურს ყუა — ასე გემრიელი ლუკმის მიწოდებით დაიწყო ჩვენი მეგობრობა, მაგრამ ახლა ფაშატმა სულ გამაოცა: პირი მიიბრუნა, ზედაც არ შემომხედა.

— თაფლა, თაფლა... ხო ხედავ, მე ვარ, მე.

ვწვდი ხშირ, ჭაღარაშერთულ ქოჩორში, რომელიც სამი კვირის წინ მე

თვითონ შეეკრიჭე — თვალეზზე ეფინებოდა თმა, მივიზიდე და რა დავინახე? ცრემლები, დიდი, კაი ლობიოს მარცვლისოდენა კურცხლები ცხენისა.

— თაფლა, თაფლო, რა იყო, რა გემართება?

თაფლა კვლავ ჩუმად ტიროდა.

ეროვნული

გზისმარშრუტი

— კარგი, კარგი, რალაც უბედურება გწვევია, ცუდი ამბავი უნდა იყოს შენს თავს, მაგრამ ხომ უნდა მითხრა, რა დაგემართა?

— რალაც ლაპარაკი მოგვივიდა ერთმანეთში.

— ვისა, რა ერთმანეთშიო?

— ჩვენ, ცხენებს.

— თქვენ მოგივიდათ? — გავიკვირვე მე. — რა საქმეზე?

— ცხენების ცხოვრებაზე. მე მაგათ ვუთხარი, ისეთი დროც ყოფილა — ეთქვი, როდესაც ჩვენ, ცხენებს, ყველა სულდგმულზე მეტად გვიფრთხილდნენ და გვპატრონობდნენ. იმათ კი სიცილი დამაყარეს, მასხრად ამიგდეს... — და თაფლამ კვლავ ტირილი ამოუშვა.

ძლივს დავაშოშმინე. როგორც იქნა, ენა ამოიდგა და აი, რა მიაშბო მან.

იმ გადაკარგულ სათიბში, საიდანაც ახლახან შობრუნებულიყო, თაფლას ერთი ბებერი ფაშატი გაეცნო; იმის გვერდით შეებათ ცხენის სათიბელაში. ჰოდა, როცა ქანცგაწყვეტილებს სული ყელში მოებჯინებოდათ (სამუშაო იქ კატორღული ყოფილა, გაძლებაზე ვიყავითო), ეს ბებერი ფაშატი თურმე მღერას იწყებდა და ასე ამხნევებდა.

— ჩემს სიცოცხლეში მსგავსი არაფერი გამიგონია, — მიაშბობდ. თაფლა.

— იმ სიმღერით გავიგე, რომ ყოფილა ისეთი დრო, როცა ჩვენ, ცხენებს თურმე მარჩენალს გვეძახდნენ, გვპატრონობდნენ და გვეფერებოდნენ, ბაფთებს, ციწნავდნენ ძუა-ფაფარში. ჰოდა, ეს სიმღერები მესმოდა და სიცხეც მავიწყრებოდა, კრაზანებიც და ისიც, ბოროტი გლეხკაცი ღვედით რომ გვაჭრებდა. ღმერთმანი, იმ მძიმე მანქანის თრევაც მიაღვილდებოდა მაშინ. ვკითხავდი ხოლმე თამაშას, ასე ერქვა ფაშატს, — გულს ხომ არ მიმშვიდებ-მეთქი? შენ, თვითონ ხომ არ გამოთქვი-მეთქი ეს ლამაზი სიმღერები ცხენების ბედნიერ ცხოვრებაზე? არაო, მარწყუნებდა, ეს ყველაფერი სრული სიმართლეა და ამ სიმღერებს ჯერ კიდევ დედაჩემი იტყოდაო. ქორთვა კვიცი რომ ვიყავი, მაშინ მიმღეროდნენ. ხოლო დედაჩემს თავისი დედისგან გაეგონაო. აი, ასე გადადიოდა შვილიდან შვილზე მათ გვარეულობაში ბედნიერი დროის სიმღერები.

— ჰოდა, — ბოლო მოაბა თავის მონათხრობს თაფლამ, — ამ დილით, როგორც კი ბალახზე გამოგვრეკეს, ჩემს დობილებს და ძმობილებს ბებერი ფაშატის სიმღერა ვუმღერე და მათ ეგრევე შემომძახეს: „სიცრუეა ეს, ქორია, ხმა გაქ'ანდე! გული ნუ შეგვიჭამე. ისედაც თავი მოგვძულეზია.“

თაფლამ სასოებით შემომანათა დიდი, ჯერ კიდევ დანამული, სევდიანი თვალეზი, რომელთა იისფერ წიაღში უცებ ჩემი თავი დავინახე — პატარა, ნამცეცა კაცუნა.

— მითხარით... თქვენ ხომ ადამიანი ხართ, თქვენც იმათი მოდგმისა ხართ, მთელი ცხოვრება ბატონებად რომ გვახვევიან... მითხარით, ყოფილა ისეთი დროება, როდესაც ცხენებს კარგად გვეცხოვრებოდა? ცრუობდა ის ბებერი ფაშატი? მომატყუა?

მე თვალი ვერ გავუსწორე თაფლას ჯიქურ, პასუხის მომლოდინე მზერას, თვალი მოვარიდე და მომეჩვენა, რომ ყოველი მხრიდან ცხენების დიდრონი და გამომცდელი თვალები მომშტერებოდა. ნუთუ იმ ამბავს, რასაც თაფლა მკვითხებოდა, სხვა ცხენებიც ჩაეგდო საგონებელში? ასე იყო თუ ისე, ალბათ შეყურებოდა ის ჩვეული ხრამუნი, რომელიც ნიადაგ ისმის მინდორში ცხენების ძოვის დროს.

ვერ ვიტყვი, რამდენ ხანს ვეწამე ასე უსიტყვოდ გორაკის ძირას დაცემულ მდელიოზე — შეიძლება წუთი იყო ან ათი წუთი, ეგებ საათიც, მაგრამ თავით ფეხამდე ოფლმა დამასხა.

ყველაფერი, ყველაფერი მართალი თქვა ბებერმა ფაშატმა, არაფერი მოიტყუა, ჰო, იყო, იყო ასეთი დროება და არც ისე დიდი ხნის წინათ. ხსოვნაშიც ჩამჩა, მეც მოვესწარი იმ დროს, როცა ცხენი კაცის სუნთქვა და სიცოცხლე იყო, როცა ყველაზე ნუგბარ ლუკმას მას უწილადებდნენ, ზოგჯერ პურის უკანასკნელ ნატეხსაც არ დაამადლიდნენ — ჩვენ როგორმე გავათრევთ სულს, ცარიელი კუჭითაც გადავიღამებთო, ჯერ არ მოგვშიებია თუ რაო. საღამოთი კი რა ამბავი შეუდგებოდათ, როცა მთელი დღის ნაჯაფარი ბაჩა ცხენი თავის ორლობებში შემოუხვევდა! მთელი ოჯახი დიდპატარიანად გამოვიდოდა შესახვედრად, რა ალერსსა და მადლს მიაგებებდნენ, რა რუდენებით გამოხსნიდნენ, მიხედავდნენ, წყალზე წაიყვანდნენ, საშურველით აურვებდნენ, წმენდნენ! დამლამობით კი რამდენჯერ ადგებოდა ხოლმე რომელიმე პატრონთაგანი, რათა თავიანთი საგანძურისათვის დაეხედათ.

ჰო, ჰო, საგანძურისათვის-მეთქი. გლეხკაცის ცხოვრების ბურჯი და იმედი ის იყო. რადგანაც უცხენოდ ვერსად გადადგამდი ფეხს: ვერც მინდორში ივარგებდი და ვერც ტყეში. ვერც ნამდვილ ლხინსა და ქეიფს გასწევდი უმისოდ.

ნახევარი საუკუნე ვიცხოვრე ამ ქვეყანაზე და, როგორც იტყვიან, ბევრი ლამაზი ენახე — ჩვენებურიცა და უცხოურიც, მაგრამ ყველიერზე ცხენებით რუსულ მოლხენას ვერაფერს შევეუდარებ.

ყველაფერი ისე იცვლიდა ფერს, თითქოს ზღაპარში ხდებოდა. იცვლიდნენ ფერს გლეხკაცები და ჯველი ბიჭები — ჭინკებივით ყინჩად ყელყელობდნენ რკინით მოსალტულ კავებზე დამდგარ, მსუბუქ, მოხატულ მარხილებზე. ფერს იცვლიდნენ ცხენები. მიდით, დღეობის თვალნოო, მიდით, ჯიგრებოო! არ მიმტყუნოთო! ვაჟკაცს გული გამიხარეთო, მთელ შარაზე ქარცეცხლი ააბრიალეთო.

ჰოდა, ცხენებიც უბერავდნენ. ზამთრის პაერში ცისარტყელებივით ანათებდნენ ფერად-ფერადი, მოხარატებული ოდრიკლები, ივლისის თაკარებას ასხივებდნენ ალვირ-ცალულ-პალდუმებზე ასხმული სპილენძის დაფერილი სამშვენისები, და ეღერდნენ და ეღერდნენ ეფვნები, სალბუნი და ნეტარება რუსი კაცის გულისა.

გლეხი ბიჭის პირველი სათამაშო ხის ცხენი იყო. ცხენი დასცქეროდა ბავშვს მამაპაპეული სახლის სახურავიდან, ზღაპრული რაშის ამბავს უმღეროდა და უყვებოდა დედა. ბიჭი რომ წამოიზრდებოდა, საბედოს თავის ხელითვე გამოხვეწილი ცხენით უმშვენებდა ჯარას; ცხენზე ლოცულობდა — ჩემს სოფელში ერთი სალოცავი, სახატე და ნიშიც არ მახსოვს ეგორ ძლევაშემოსილის, წმინდა გიორგის გარეშე; ხოლო თითქმის ყოველი ჭიშკარი მთელი სიცოცხლე

ბედს მონატრებული გლეხკაცის ნუგეშად მიჭედებული ნაღით შემოგეგებებო-
და.

ცხენი იყო ყველაფერი, ცხენზე იდგა ყველაფერი. გლეხკაცის მთელი ცხოვრება დაბადებიდან კუბოს კარამდე...

პოდა, რაღა გასაკვირია, რომ პირველი კოლმეურნეობების დროს სწორედ ცხენების გამო ამტყდარა ერთი ვაი-უშველებელი.

დილიდან საღამომდის თავლასთან ირეოდა, მიტინგებს მართავდა ხალხი, შავრასთვის მინდოდა დაუშავებიათო, ლურჯა მწყურვალი დაუგდიათო, საღარი უწყალოდ ურბენინებიათო, საზიდარზე უღმერთოდ ბევრი დაუდვიათო... პო-
და, დასცემდნენ კიეინს, მავანი მავანს დრუნჩში მუშტსაც გაუქანებდა.

ან კი რა გასაკვირია, მამულს, ხენა-თესვას მოკიდებული ხალხის, გლეხ-
კაცების ამბავი, რომელთაც მთელი სიცოცხლე ცხენი აჭმევდა პურს.

მე ხომ ერთი გაკიდებანებული კაცი ვიყავი, უნივერსიტეტის სტუდენტი, და ჯერ კიდევ ომის დაწყებამდე მშვიდად ვერ ჩავუვლიდი ჩვენს ქურანას, რომელიც ოდესღაც მზესავით ადგა თავზე ჩვენს წვრილშვილ, ადრე დაობლებულ ოჯახს. თვით ომმაც, დიახ. ომმაც-მეთქი, ვერ დამავიწყა ჩვენს ოჯახს შეზრდი-
ლი იაბო.

მახსოვს, სოფელში ორმოცდაშვიდში დავბრუნდი. შიმშილი იდგა, გაპარ-
ტახებულიყო, თითქოს აყრილიყო სოფელი. ყველა ოჯახში შინმოუსვლელს დასტიროდნენ, მაგრამ როგორც კი ცხენს მოვკარ თვალი, მაშინვე ქურანა გა-
ვიხსენე.

— აღარაა თქვენი ქურანა, — მიპასუხა ბებერმა მეჩინიბემ, — ტყის ფრონ-
ტზე მიაბარა სული უფალს. შენა გგონია, მარტო ხალხი იბრძოდა ამ ომში? არა, ცხენებიც სჭედდნენ გამარჯვებას, და მერე როგორ, იცი...

ქურანას, როგორც შემდეგ შევიტყვე, სიცოცხლის აღსასრული სწორედ გამარჯვების დღეს დასდგომია. რაღაცით ხომ უნდა აღენიშნათ, ედღესასწაუ-
ლათ ეს დღე? პოდა, გადაუწყვეტიათ, ყველაზე ბებერი ჯაგლაგი შევიწიროთო. რაღა გავაგრძელო: როდესაც ქურანამ ტყიდან თავისი მორიგი ტვირთითურთ ძლივს მოათრია ფეხები, ზემოდან, ხე-ტყის ყორედან, ვეება მორები დასცეს...

აღბათ ყოველ ჩვენგანში სულდგმულობს პუშკინისეული ბრძენი ოლეგი. და სამიოდ წლის უკან, როდესაც როსოხში მომიხდა ყოფნა, სადაც ომის დროს ხე-ტყეს ამზადებდნენ, ვეცადე ჩემი ცხენის ნატამალი მეპოვა.

ხე-ტყის დამამზადებელი პუნქტი დიდი ხანია აღარ არსებობდა, ოდესღაც ბერიკაცებისა და პატარა ბიჭების მოცოდვილებული ფიცრულები ჩაშლილიყო, ჭინჭარს გადაევლო, ხოლო ხეების სათრევ შუროზე, სადაც მიწა დამპალ ჩინ-
ჩხვარსა და ქერქს გაეპატივებინა, ვარდისფერი თხაწართხალას ხშირი ბარდები აყვირებულყო.

მივიარ-მოვიარე ამ ბარდებში, ერთი-ორ ადგილას ბილიკიც გავიტანე, მაგრამ ცხენისას ვერაფერს მივაგენი.

...თაფლა კვლავინდებურად იმედიანად, სასოებით შემოძყურებდა. სხვა ცხენებიც შემომცქეროდნენ. ასე მეგონა, გორაკს ქვემოთ რაც მინდორი იყო, მთელი არემარე, ცხენის თვალებად ქცეულიყო. ყველანი, საბლით პალოება მიკრული ცოცხლებიც, ისინიც, რომლებიც დიდი ხანია ამქვეყნად აღარ იყვნენ, მთელი საცხენეთი — ცოცხალიცა და მკვდარიც, შემომჩერებოდა, იდგა და პასუხს ელოდა.

მე კი ვითომ ცა ქუდად არ მიმაჩნდა და დედამიწა ქალამნადო, უცებ ასე ლოთიფოთურად შევეუძახე მათ:

— აბა, მოწყენა არ გამაგონოთ, მაგ სისულელით ნუ გამოიტენით გოგრას, მიდით და პური ლოლნეთ, სანამ კბილი ეკიდება.

ამის შემდეგ თაფლას თვალი მოვარიდე და წინ გამოშვეკრილ თაფლას აღრევე მომზადებული ყუა დავუგდე, შემდეგ სხვა ცხენებსაც ჩამოვურივე პური და კვლავ იმგვარადვე ძველბიჭურად აღვაპყარი ხელები:

— კარგად მეყოლეთ! ამ საქმეს ერთი შუშა მაინც დასჭირდება... — და მოდური ჯინსის ჯიბეებში ღრმად ჩავიყავი ხელები და სწრაფად, არხეინი ნაბიჯით გავეშურე მდინარისაკენ.

აბა რა უნდა მეპასუხა ამ ბეჩავებისათვის? უნდა მეთქვა, ბებერ ფაშატს არაფერი მოუგონებია, ერთხელაც ცხენებისთვის მართლა იდგა-მეთქი ბედნიერი დრო?

დამშრალი ტბა გადავიარე და ძველ, ჯერ კიდევ კერძობის დროიდან შემორჩენილ მიჯნაზე გავედი, რომელიც ყოველთვის გულს მიხარებდა აბიბინებული ბალახეულით.

მაგრამ ახლა ველარაფერს ვხედავდი.

მთელი ჩემი არსება, ყურთასმენა უკან, ცხენებისაკენ მქონდა მიპყრობილი. ველოდი, ნერვის ყოველი ძაფით ველოდი, როდის დაუწყებდნენ ისინი პურს ღრღნას, ჩვეული ხრამუნით მისდგებოდნენ საძოვარს და ბალახის პარსვას გააგრძელებდნენ.

იმ მხრიდან ჩქამი არ ისმოდა.

და მაშინ ანაზდად მივხვდი, რომ გამოუსწორებელი, საშინელი საქმე ჩავიდინე, მოვატყუე თაფლა, მოვატყუე ყველა ეს საცოდავი ჯაგლაგი და სამუდამოდ დაიკარგა ის გულწრფელობა და ნდობა, რომელიც აქამდე ჩემსა და თაფლას შორის იყო-მეთქი.

ჰოდა, ნალველმა შემიპყრო, ცხენის გულში დაბუდებული შავი ნალველი მომეძალა. მუხლის ძარღვი ჩამიწყვიტა ამ ნალველმა. და მალე თვით ჩემი თავიც რალაც ფეთხუმ, გადაშენებულ არსებად წარმომიდგა ასე მეგონა, მეც ამ ცხენების ჯილაგისა ვარ-მეთქი.

ფლენერი ო'კონორი

ხელოვნური ზანგნი



მოთხრობა

ინგლისურიდან თარგმნა მანანა ფორჩხიძემ

ფლენერი ო'კონორი (1925—1964) — ამერიკელი მწერალი ქალი. კრიტიკოსები მის შემოქმედებას განიხილავენ, როგორც ახალ ეტაპს ე. წ. „სამხრეთული ტრადიციის“ განვითარებაში, რომლის აღიარებულ ოსტატებად ითვლებიან: უილიამ ფოლკნერი, ტომას ვულფი, ერსკინ კოლდუელი, ტრუმენ კეპოტი და სხვა.

გალვიძებისთანავე მთვარის შუქით განათებულ ოთახს მოავლო თვალი, სანოლში წამოჯდა და ავერცხლისფერებულ იატაკის ფიცრებს გახედა. შემდეგ მზერა ტიკის ბალიშისპირზე გადაიტანა, მთვარის შუქზე ფარჩისას რომ დამსგავსებოდა და იმავ წუთში, ხუთიოდე ნაბიჯზე, პირის საპარს სარკეში მთვარეც დაინახა. მოხუცს მოეჩვენა, თითქოს მთვარე ოთახში შემოსვლის ნებართვას თხოვდა, მერე მთვარემ ადგილი ინაცვლა და ყველაფერს კეთილშობილური შუქი მოფინა. კედელთან მიმდგარ სკამს დაძაბული შესახედაობა მიეცა, თითქოს ბრძანების მოლოდინშიყო. სკამის ზურგზე გადაკიდებულ მისტერ ჰედის შარვალსაც კეთილშობილური იერი დაედო, იმის მსგავსი, მსახურის ხელზე გადაკიდებულ დიდებულის მოსასხამს რომ აქვს ხოლმე. სევდიანი იყო მთვარე. სარკიდან მომზირალი მთვარის გამოსახულება საჯინბოს თავზე აცურებულ მთვარეს შეჰყურებდა და იმ ახალგაზრდას ჰგავდა, უეცრად საკუთარი სიბერე რომ წარმოუდგება თვალწინ. მისტერ ჰედს შეეძლო ეთქვა მთვარისთვის, სიბერეც ღვთისაგან არის ბოძებული და მხოლოდ წლებს მოაქვს ის ცხოვრებისეული სიბრძნე, ახალგაზრდის შესაფერის მეურვედ რომ აქცევს კაცსო (ეს საკუთარი გამოცდილებითაც კარგად იცოდა).

რკინის სანოლის თავს ჩასჭიდა ხელი და წამოინია, რომ სკამის გვერდით, გადმობრუნებულ სათლზე მდგარი საათის ციფერბლატი დაენახა. დილის ორი საათი იყო. საათი ზარს აღარ რეკავდა, მაგრამ მისტერ ჰედს ისედაც ეღვიძებოდა. თუმცა სამოცი წლისა იყო, ჯერ კიდევ ჰქონდა სწრაფი რეაქციის უნარი და მის სულიერ სწრაფვასაც ძლიერი ხასიათი და ნებისყოფა წარმართავდა, რაზედაც მისი სახის ნაკვთებიც ნათლად მეტყველებდნენ. გრძელი სახე ჰქონდა, ჩამოვარდნილი ყბა, წაგრძელებული ცხვირი და ცოცხალი,

მაგრამ მშვიდი თვალები. მთვარის შუქი მათ ცივ ელვარებასა და ანტიკურ სიტყვებს ანიჭებდა. ასეთი თვალები მხოლოდ ადამიანთა გონების ერთ-ერთ უდიდეს განმგებელს შეიძლება ჰქონოდა. მაგალითად, ვირგილიუსს, რომელიც შუალამისას წამოაბრძანეს დანტეს სახლებლად, ანდა, უფრო სწორად, რაფაელსა ჰგავდა, რომელიც დღესაც მსოფლიოში გააღვიძა ტობიასთან გასამგზავრებლად. ერთადერთი ბნელი ადგილი ოთხსაშუალო საანოლი იყო, რომელსაც ფანჯრის ჩრდილი ადგა.

ნელსონი ერთიანად მოკუნტულიყო, მუხლები ნიკაპთან მიეტანა და ეძინა. მალაზიიდან გამოგზავნილი ახალი კოსტიუმი და შლაპა ყურებითვე დაეწყო იქვე, საწოლთან, გაღვიძებისთანავე რომ ჩაეცვა. ღამის ქოთანის სიბნელეს გაქცეოდა და თოვლივით ქათქათა პატარა ანგელოზით საპატრიო ყარაულში იდგა, ბავშვის ძილს სდარაჯობდა. მისტერ ჰედი ისევ დანვა, სრულიად დარწმუნებული იყო, იმდენი ძალა კი მიქვს, ეს დღე, როგორც ნესი და რიგია, ისე ჩავატარო. აუცილებლად ნელსონზე ადრე უნდა ამდგარიყო და მის გაღვიძებამდე საუზმე მოემზადებინა. ბიჭს ყოველთვის გუნება უფუჭდებოდა, როდესაც მისტერ ჰედი ადგომას დაასწრებდა. ექვსის ნახევარზე რომ სადგურზე ყოფილიყვნენ, სახლიდან ოთხ საათზე უნდა გასულიყვნენ. ხუთ საათსა და ორმოცდახუთ წუთზე მატარებელი სადგურზე გაჩერდებოდა და დაგვიანება არაფრით არ შეიძლებოდა.

ბიჭისთვის ეს პირველი გასეირნება იყო ქალაქში, თუმცა მისთვის რომ გეკითხათ, გეტყვით, მეორედ მივდივარ, მე ხომ იქ დავიბადეო. მისტერ ჰედმა ბევრჯერ უთხრა, აბა მაშინ მაგდენი ჭკუა სადა გქონდა, რა იცოდი, სად იყავიო, მაგრამ ბიჭი მაინც თავისას არ იშლიდა და გაიძახოდა, ახლა მეორედ მივდივარო. მისტერ ჰედი კი მესამედ მოგზაურობდა. ამიტომ იყო, ნელსონმა რომ უთხრა:

— მე ჯერ ათისაც არა ვარ და უკვე მეორედ მივდივარ.

მისტერ ჰედი კი არა და არ ეთანხმებოდა.

— თხუთმეტი წელია იქ აღარ ყოფილხარ, ერთი მითხარი, გზა როგორ უნდა გაიგნო? ეკითხებოდა ნელსონი. — ვინ იცის, იქნებ ყველაფერი შეიცვალა.

— ნეტა გზააბნეული როდის გინახივარ?

რაც მართალია, მართალია, არასოდეს უნახავს. მაგრამ ისეთი ბავშვი არ იყო, ასე ადვილად რაიმე დაეთმო და მისტერ ჰედს უთხრა: აბა, სად უნდა დაქარგულიყავი, ძალიანაც რომ გინდოდეს, აქ ვერსად დაიკარგებიო.

— ეჰ, იმასაც მოვესწრები, შენი პირითა თქვა, არც ისეთი ჭკვიანი ვყოფილვარო, — ბრძნულად დასძინა მისტერ ჰედმა.

რამდენიმე თვე იყო, რაც ქალაქში წასვლაზე ფიქრობდა, განსაკუთრებით კი ამ ამბის ზნეობრივ მხარეზე. ეს მოგზაურობა ბიჭისთვის მთელი ცხოვრების გაკვეთილი უნდა ყოფილიყო, უნდა შეეგნო, რომ მარტო ქალაქური წარმოსობა ვერაფერი საამაყო ამბავია. ვაჩვენებ ერთი, რაც არის ეს ქალაქი, ყველაფერს ვაჩვენებ, რაც კი ნახვად ღირს, პოდა, ბიჭს მეორედ აღარც მოუნდება ქალაქში წასვლა და მთელ ცხოვრებას სახლში გაატარებს, მიხვდება, არც ისეთი ჭკვიანი ვყოფილვარო, — ფიქრობდა მისტერ ჰედი და ამ ფიქრებში ჩაეძინა კიდევ.

ოთხის ნახევარზე შემწვარი ხორცის სუნმა გააღვიძა და ფეხზე წამოხტა. ნელსონის საწოლი ცარიელი იყო, ტანსაცმლის ყუთები თავმოხდილი ეყარა. სწრაფად ჩაიცვა შარვალი და მეორე ოთახში გავარდა. ბიჭს მჭადი გამოეცხო, ხორცი შეენვა და კონსერვის ქილიდან ცივ ყავას სვამდა. ახალი კოსტიუმი ჩაეცვა, ახალი ნაცრისფერი შლაპა ძალიან დიდი ჰქონდა და თვალებზე ჩამოფხატოდა. თვითონვე შეუკვეთეს ერთი ნომრით დიდი, იქნებ თავი გაეზარდოსო. ნელსონი ჩუმად იჯდა, მაგრამ ეტყობოდა, სრულ კმაყოფილებას განიცდიდა. აქაოდა, ბაბუას ადგომა დავასწარიო.

მისტერ ჰედი ქურასთან მივიდა და შემწვარი ხორცი ტაფიანად მაგიდაზე მიიტანა.

— საჩქარო არაფერი გვაქვს, მალე ნახავ, რაც არის ეგ შენი ქალაქი, — თქვა მისტერ ჰედმა და ბიჭის პირდაპირ დაჯდა.

ნაცრისფერმა ქუდმა ცხვირიდან შუბლზე გადაინაცვლა და გამომწვევად გაქვავებული სახე გამოაჩინა, ასე რომ ნააგავდა მისტერ ჰედს. ბაბუა და შვილიშვილი ისე ჰგავდნენ

ერთმანეთს, ძმები გეგონებოდათ და თანაც თითქმის ერთი წლოვანებისა, რადგან დღის შუქზე მისტერ პედი ახალგაზრდულად გამოიყურებოდა, ბიჭს კი მოხუცის გამოხედვა ჰქონდა, თითქოს ყველაფერი უკვე იცისო, ის კი არადა, ზოგიერთი რამის დაფიქრებაც უნდაო.

ერთ დროს მისტერ პედს ცოლიც ჰყავდა და ქალიშვილიც. ცოლი რომ გარდაეცვალა, ქალიშვილი ვიღაცას გაეკიდა და მალე ნელსონთან ერთად დაბრუნდა. ერთ დღეს კი ფეხზე ველარ წამოდგა, გარდაეცვალა და მისტერ პედს ერთი წლის ნელსონი წააბარა. შოდა, მერე მისტერ პედმა რალაც ეშმაკად ნელსონს უთხრა, ატლანტაში დაიბადეო. ეს რომ არ ეთქვა, ნელსონიც აღარ დაიყინებდა, ქალაქში მეორედ მივდივარო.

— შეიძლება სულაც არ მოგეწონოს, — განაგრძობდა მისტერ პედი. — იქაურობა სულ ზანგებითაა სავსე.

ბიჭს არაფერი უთქვამს, მაგრამ ისეთი სახე მიიღო, თითქოს ეუბნებოდა, ერთი ძენც, ზანგებით როგორ უნდა შემაშინოო.

— კი მაგრამ, ზანგები ხომ ჯერ თვალითაც არ გინახავს! — არ ეშვებოდა მისტერ პედი.

— რალაც ადრე ვერ მოგივიდა ადგომა, — როგორც იქნა, შეეპასუხა ნელსონი.

მისტერ პედი კი თავისას განაგრძობდა: ზანგი თვალითაც არ გინახავს, ჩვენს მხარეში ერთსაც ველარ ნახავ, თორმეტი წელია, რაც უკანასკნელი ზანგი გავაძვევთ, შენ მაშინ დაბადებულნიც არ იყავიო. ამას რომ ამბობდა, თან გამომწვევად უყურებდა ბიჭს, აბა ერთი, გაბედე და მიტხარი, ზანგი მინახავსო..

— რა იცი, იქნებ ვნახე, ქალაქში რო ვცხოვრობდი, იქნებ ძალიან ბევრიც მინახავს.

— კიდევ რომ გენახა, ვერ მიხვდებოდდი, რომ ზანგს უყურებდი, — უკვე თავს ველარ იკავებდა მისტერ პედი. — ექვსი თვის ბავშვი თუთრს შავისაგან როგორ გააჩვენს!

— ჯერ ვნახო და მერე დაინახავ, გავარჩევ თუ არა! — ჩაილაპარაკა ნელსონმა, ფეხზე წამოდგა, ნაცრისფერი, გულმოდგინედ ჩაკეცილი შლაპა შეისწორა და მოსასაქმებლად გავიდა.

სადგურზე დროზე ადრე გამოცხადდნენ და რელსებიდან სამიოდ ნაბიჯის მოძორებით დადგნენ. მისტერ პედს ქალაქის პარკით ნამცხვარი და სარდინის კონსერვი წამოეღო. მჭახე ყვითელი მზე აღმოსავლეთის მხრიდან ამოდოდა და ცა მღერივ წითელ ფერად შეუღებდა. წინ კი ყველაფერი ისევ ნაცრისფერი იყო. გამჭვირვალე ნაცრისფერი მთვარე თითის ანაბეჭდსა ჰგავდა, ისე მიმქრალიყო. მხოლოდ მეისრის ჯიხური და სათბობის შავი ცისტურნა მიგახვედრებდათ, რომ მატარა სადგურზე იყავით. რელსები ორ მწკრივად მოდიოდნენ და არსად ერთმანეთს არ კვეთავდნენ, სანამ გზის ორივე მხარეს მოსახვევში არ გაუჩინარდებოდნენ. მატარებლები ხეების გვირაბიდან გამორბოდნენ და, თითქოს ცივი ცის ეშინიათო, ისევ ხეებში იმალებოდნენ. მისტერ პედი წინასწარვე ბილეთის ყიდვისას შეუთხანხმდა მოლარეს; მატარებელი ხუთ საათსა და ორმოცდახუთ წუთზე ცოტა ხნით უნდა შეჩერებულიყო. სადგურზე, მაგრამ სულ იმის შიშში იყო, ვაითუ არ გააჩერონო. აი მაშინ კი ეტყოდა ნელსონი: ასეც ვიცოდი! აბა, შენი გულისთვის მატარებელს ვინ გააჩერებსო. ძილის უსარგებლო მთვარის შუქზე მატარებლის რელსები მყიფე და თეთრი ჩანდა. მოხუციც და ბავშვიც თვალგაშტერებული იდგნენ, თითქოს გამოცხადებას ელიანო.

მოულოდნელად, სანამ მისტერ პედი უკან გაბრუნებას მოიფიქრებდა, გამაფრთხილებელი საყვირის ხმა გაისმა და მათგან დაახლოებით ორას იარდზე მატარებელი გამოჩნდა. ნელა, თითქმის ჩუმად გამოსრიალდა ტყიანი მოსახვევიდან, წინ მხოლოდ ყვითელი სინათლე ენთო. მისტერ პედს რალაც არ სჯეროდა, მატარებელი შეჩერდებოდა და როცა მან სიჩქარეს უკლო, უფრო შეშინდა, ვაითუ ჩემი გასულელება უნდათო. ორივეს, მისტერ პედსაც და ნელსონსაც გადანყვეტილი ჰქონდათ, თუ მატარებელი არ შეჩერდებოდა, თვითონაც ისე მოქცეულიყვნენ, თითქოს ეს ამბავი სრულიადაც არ აწუხებდათ. ორთქლმავალმა ჩაიარა და პაერში ცხელი ლითონის სუნი დაატრიალა, მეორე ვაგონი კი სწორედ მათ წინ გაჩერდა. გასიებული გამცილებელი, სახე რომ ბებერ ბულდოგს მიუგავდა, კიბეზე ისე იდგა, თითქოს მათ ელოდაო, თუმცა ეტყობოდა, სულაც არ ენაღვლებოდა, ავიდოდნენ თუ არა მატარებელზე. „მარჯვნივ!“ — გაისმა გამცილებლის ხმა.

ნამიც და უკვე ვაგონში იყვნენ. შევიდნენ თუ არა, მატარებელიც დაიძრა. მგზავრების უმეტესობას ეძინა. ზოგს თავი სკამის სახელურზე გადაეკიდა, ზოგი მთელ სკამზე განრლილიყო, ზოგსაც ფეხები კარებისკენ გაეშვირა. მისტერ ჰედმა ორი თავისუფალი ადგილი დაინახა და ნელსონს უბიძგა:

— ფანჯარასათან მიდი! — ჩვეულებრივად კი ჩაილაპარაკა, მაგრამ ადრინდელ დილისთვის ძალიან ხმამაღლა გამოუვიდა, — ხომ ხედავ, არაფერ ზის, ესე იგი თავისუფალია, ნადი და დაჯექი!

— შესმის, — ჩაიბურტყუნა ბიჭმა, — შეგიძლია არ იყვირო! — დაჯდა და თავი ფანჯრისაკენ მიაბრუნა. ფანჯარაში შლაპის ფართო ფარფლებს ქვემოდან მოჩვენების ფერმკრთალი სახე უბღვერდა. მისტერ ჰედმა ფანჯარაში სულ სხვა მოჩვენება დაინახა: ფერმკრთალი იყო, თავზე შავი შლაპა ეხურა და იკრიჭებოდა. მისტერ ჰედი დაჯდა, მოხერხებულად მოეწყო და ბილეთის ხმამაღლა კითხვა დაიწყო, რაც ზედ ეწერა, ყველაფერი ნაკითხა. ხალხი ნელ-ნელა იწყებდა გამოცოცხლებას. რამდენიმეს გამოეღვიძა და მოხუცს მიაშტერდა.

— ქუდი მოიხადე, — გადაუჩურჩულა მისტერ ჰედმა ნელსონს. თვითონ ქუდი მოეხადა და მუხლებზე დაედო. კეფაზე ცოტაოდენი თეთრი თმა კიდევ შერჩენოდა. დროის დინებას თმისათვის თამბაქოს ფერი მიეცა. თავის წინა ნაწილი გამელოტებოდა და ერთიანად დანოჭებოდა. ნელსონმაც მოიხადა თავისი ნაცრისფერი ქუდი, ბაბუასავით მუხლებზე დაიდო და ორივემ გამცილებელს დაუწყო ლოდინი.

მათ პირდაპირ ვილაც კაცს ორი ადგილი დაეკავებინა, ფეხები ფანჯრისთვის მიებჯინა და ასე გაშხლართულს თავი სკამებს შუა, გასასვლელში გაეყო. ნაცრისფერი კოსტიუმი ეცვა, ყვითელი პერანგი შეხსნოდა. კაცმა თვალეები გაახილა და მისტერ ჰედმა ის-ის იყო მისალმება დააპირა, რომ უკნიდან გამცილებლის ყვირილი მოესმა: „ბილეთები!“

გამცილებელმა ბილეთები შეამოწმა და წავიდა. მისტერ ჰედმა უკან დასაბრუნებელი ბილეთები ნელსონს მისცა, თან დააყოლა „ჯიბეში ჩაიდე, არ დაკარგო, თორემ ქალაქში მოგინევს დარჩენა.“

— რა ვიცი, შეიძლება კიდევაც დავრჩე! — დინჯად შეეპასუხა ბიჭი.

— მატარებელში პირველად ზის! — ვითომ ბიჭის პასუხი არ გაუგონიაო, ისე მიუბრუნდა მისტერ ჰედი ყვითელპერანგიან კაცს, რომელსაც ახლა ფეხები ძირს ჩამოეშვა და ერთ სკამს დასჯერებოდა.

ნელსონმა შლაპა ისევ თვალეებზე ჩამოიფხატა და გაჯავრებული ფანჯრისკენ შეტრიალდა.

— ამქვეყნად არაფერი უნახავს, — განაგრძო მისტერ ჰედმა, — ახალშობილთვის უვიცია. ერთხელ ყველაფერს ვაჩვენებ და სამუდამოდ ეყოფა! — ბავშვი გადაიხარა და უცნობს მიმართა:

— მე ქალაქში დავიბადე. მართლა იქ დავიბადე! — ხმამაღლა, დაჯერებით ლაპარაკობდა, შაგრამ უცნობი ისე იყურებოდა, თითქოს არაფერი ესმისო.

შემოუკებულ უპეებზე მუქი იისფერი ზოლები ემჩნეოდა. მისტერ ჰედი წინ გადაიხარა და უცნობს მხარზე დაადო ხელი: — ეჰ, გამიჩინა ამანაც საქმე! — ფიქრიანად ნამოინჟო იქვე საუბარი. — ერთხელ ყველაფერს ვაჩვენებ და მორჩა. ბიჭმა ყველაფერი უნდა იცოდეს!

— ეგრეა, — როგორც იქნა, ხმა ამოიღო კაცმა, თან თავის შესიებულ ფეხებს დაჰყურებდა. ჯერ მარცხენა ფეხი ასწია და დაათვალიერა, შემდეგ მარჯვენა. ვაგონში ხალხი ამოძრავდა. ზმორებითა და მთქნარებით დგებოდნენ. ცალკეული ხმები საერთო გუგუნში იკარგებოდა. უცებ მისტერ ჰედს სახე ერთიანად შეეცვალა, კინაღამ პირიც ბოლომდე მოკუმა, თვალეებში რაღაც სასტიკი ელვარება ჩაუდგა და მოუსვენრობა დაეტყო. სადღაც ვაგონის ბოლოსკენ იყურებოდა. თავმოუბრუნებლად სტაცა ნელსონს ხელი და უბიძგა: — შეხედე!

უზარმაზარი ყავისფერი კაცი ნელა მოიწვედა წინ. ღია ფერის კოსტიუმი ეცვა, სატინის ყვითელ პალსტუხზე ლალის ქინძისთავი მიემაგრებინა. კოსტიუმის ქვეშ წინგამოგდე-

ბული მუცელი მიუღ-მოუდიოდა. ზედ ერთი ხელი დაესვენებინა, მეორეში ხელჯობი ეჭი-რა, რომელსაც ყოველი ნაბიჯის გადადგმაზე დინჯად წევდა მალლა და მერე ისევ ძირს უშ-ვებდა. ძალიან ნელა მოდიოდა. დიდი თეთრი უღვაშები და ხუჭუჭა თმა ენებოდა. უკან ორი ახალგაზრდა ქალი მოჰყვებოდა: ორივენი ყავისფერები იყვნენ. ერთს ყვითელი კაბა ეცვა, მეორეს — მწვანე. ძალაუნებურად ისინიც ნელა მოდიოდნენ, კაცს უკან მოჰყვებოდნენ და თან დაბალი, მკერდისმიერი ხმით საუბრობდნენ.

მისტერ პედი სულ უფრო და უფრო მაგრად უჭერდა ხელს ნელსონს. ყავისფერ თითზე ნამოცმული საფირონის ბეჭედი ხელჯობთან ერთად ადი-ჩადიოდა. როდესაც სამეული გა-ქუსნორდათ, ბეჭედი მისტერ პედის თვალებში აკიაფდა, მაგრამ მისტერ პედს თავი არ აუ-წევია, არც უზარმაზარ კაცს ჩამოუხედავს დაბლა. ვაგონი ჩაიარეს და გაუჩინარდნენ. მი-სტერ პედმა, როგორც იქნა, ხელი უშვა ნელსონს.

— აბა, რა იყო, თუ იცი?

— ადამიანი, — ისე უთხრა ბიჭმა, ეტყობა, მობეზრებოდა, ბაბუას მთლად სულელად რომ გამოჰყავდა.

— რანაირი ადამიანი? — არ ეშვებოდა მისტერ პედი.

— მსუქანი, — ბიჭი უკვე ფრთხილობდა, ემანდ რამე სისულელე არ ნამომცდესო.

— ესე იგი, არ იცი, რანაირი ადამიანი იყო, — დაასკვნა მისტერ პედმა.

— მოხუცი კაცი იყო, — უპასუხა ბიჭმა და იგრძნო, ეს დღე კარგს არაფერს უქად-და.

— ზანგი იყო, — თქვა მისტერ პედმა და სკამის ზურგს მიესვენა.

ნელსონი სკამზე შედგა და ვაგონის ბოლოსაკენ დაიწყო ყურება ზანგი აღარსად ჩან-და.

— ვფიქრობდი, შავკანიანს უცებ იცნობს-მეთქი. პირველ ჩამოსვლაზე ხომ ბევრი ზან-გი ნახე! — განაგრძობდა მისტერ პედი. — ჯერ შავკანიანი არ უნახავს, — გადაულაპა-რაკა პირდაპირ მჯდომ კაცს.

ბიჭი ისევ სკამზე ჩამოცურდა და ნაიბურტყუნა:

— შენ არ მითხარი, შავები არიანო! ეგრე გეთქვა, ყავისფერებია-თქო. აბა როგორ უნ-და მეცნო? წესიერად არაფერს იტყვი!


— სულელი ხარ! — თქვა მისტერ პედმა და მოპირდაპირე სკამზე გადაჯდა. ნელსონმა ისევ იქით დაიწყო ყურება, სადაც ზანგი გაუჩინარდა. ბიჭი უკვე დარწმუნებუ-ლი იყო, ზანგმა სწორედ ჩემს გასასულელებლად ჩამოიარა ვაგონშიო, და მთელი არსებით შესძულდა იგი. ახლალა მიხვდა, რატომ სძულდა ბაბუამისს შავკანიანები. თავი ფანჯრის-კენ მიაბრუნა, იქიდან მოშზირალი სახე კი თითქოს ეუბნებოდა, იქნებ დღის გამოცდას ვერც გაუძლოო. ნეტა ქალაქს მაინც თუ ვიცნობო, ფიქრობდა ბიჭი.

მისტერ პედმა ლაპარაკით გული იჯერა და მერეღა მიხვდა, რომ მის მოსაუბრეს ეძი-ნა. მაშინ წამოდგა და ნელსონს შესთავაზა: წამოდი ერთი მატარებელს დაგათვალიერები-ნებო. განსაკუთრებით უნდოდა ბიჭისათვის ტუალეტი ეჩვენებინა, ასე რომ პირველად იქ-ით გასწიეს. მისტერ პედმა ისე მედიდურად უჩვენა ნელსონს წყლის გასაცეხელი მონყო-ბილობა, თითქოს მისი გამოგონილი ყოფილიყოს. ერთონკანიანი ნიჟარაც ნახეს, სადაც თურმე მგზავრები კბილებს იხეხავდნენ. რამდენიმე ვაგონი გაიარეს და ვაგონ-რესტორან-საც მიადგნენ.

ეს მთელ მატარებელში ყველაზე უფრო მდიდრული ვაგონი იყო — კვერცხისგულის-ფერი კედლებითა და იატაკზე გაფენილი ლეინისფერი ნოხებით. მაგიდები ფართო ფან-ჯრებთან მიედგათ. ყავის ფინჯნებში და ჭიქებში ფანჯრის მიღმა პეიზაჟი ირეკლებოდა. თეთრ კოსტიუმსა და წინსაფარში გამონყობილი სამი ძალზე შავი ზანგი სინით ხელში მაგიდებს შორის მიმობროდა და მგზავრებს თავს დასტრიალებდა. ერთი მათგანი მისტერ პედსა და ნელსონს დაეტაკა.

— სწორედ ორი ადგილი გვაქვს! — ეუბნებოდა იგი და თან ორ თითს უჩვენებდა.

მისტერ პედმა ყველას გასაგონად უპასუხა:



— წამოსვლისას კარგად გეახელით.

ოფიციალტს დიდი ყავისფერი სათვალე გუგებს კიდევ უფრო უფართოვებდა.

— მაშინ, გეთაყვა, განზე გადაქით, — თქვა ოფიციალტმა და ხელი აიქნია, თითქოს ბუზებს იგერიებდნენ.

არც მისტერ ჰედსა და არც ნელსონს ფეხი არ მოუცვლიათ.

— შეხედე! — ხელი გაჰკრა ნელსონს მისტერ ჰედმა.

ვაგონ-რესტორნის ერთ კუთხეში ორი მაგიდა მიედგათ და დანარჩენი მაგიდებისაგან ზაფრანის ფერი ფარდით გამოეყოთ. ერთი მაგიდა განყობილი იყო, მაგრამ თავისუფალი, მეორესთან კი, სწორედ მათ პირდაპირ, ის უზარმაზარი ზანგი იჯდა, ქალებს ხმადაბლა ელაპარაკებოდა და თან ფუნთუშაზე კარაქს უსვამდა. ნალვლიანი სახე შეშუპებოდა, თეთრი, გახამებული საყელო კისერში ჩასტედოდა.

ერთი შეხედე, სად შეურეკაეთ! წამოდი, სამზარეულო გაჩვენო, — უთხრა მისტერ ჰედმა ნელსონს და მაგიდებს შუა გაუძღვა. ამ დროს შავკანიანი ოფიციალტის ხმა შემოესმათ:

— მგზავრების შესვლა სამზარეულოში აკრძალულია! მგზავრების შესვლა სამზარეულოში აკრძალულია! — დამარცვლით იმეორებდა იგი.

მისტერ ჰედი ადგილზევე შეტრიალდა და ოფიციალტს მიახალა:

— კიდევ კარგი, თორემ ხომ შეგვჭამდნენ ტარაკნები!

მგზავრებს გაეცინათ. ნასიამოვნები მისტერ ჰედი და ნელსონი ვაგონიდან გამოვიდნენ. შინაურობაში მისტერ ჰედს ენამოსწრებული კაცის საშტლი პქონდა და ნელსონი ერთბაშად ჩამაყით აივსო. მიხვდა, მოხუცი მისი ერთადერთი იმედი იყო ამ უცნობ სამყაროში. ბაზუა რომ დაკარგოს, მთელი დედამიწის ზურგზე ახლობელი აღარავინ ეყოლება. საშინელმა შიშმა შეიპყრო, ძალიან მოუნდა პატარა ბავშვივით ჩაბლაუჭებოდა მისტერ ჰედის პიჯაკს.

უკან დბრუნებისას მატარებლის ფანჯრებიდან შეამჩნიეს, რომ მიდამო აქა-იქ პატარა სახლებითა და ქოხებით დანიწკლულიყო. მატარებლის ხაზს სამანქანო გზა მიჰყვებოდა. ზედ ნამცეცა მანქანები სწრაფად მიმოქროდნენ. ნელსონმა შეამჩნია, სუნთქვა ახლა უფრო ჭირდა, ვიდრე ნახევარი საათის წინ. მათ პირდაპირ მჯდარი კაცი წასულიყო. აღარავინ ჩანდა, რომ მისტერ ჰედი გამოლაპარაკებოდა და საკუთარი ანარეკლის მიღმა ფანჯარაში დაიწყო ყურება, თან ხმამაღლა კითხულობდა შემხვედრი შენობების აბრებს: „ფქვილი — სამხრეთელი ქალწული“, „ბამბულის ქსოვილები — სამხრეთის მზეთუნახავი“, „ფეთის არაქისის კარაქი“, „სამხრეთის შტატების ქიმიური კორპორაცია“.

— გაჩუმდი, — ჩაისისინა ნელსონმა.

ხალხი ნელ-ნელა წამოიშალა და ბადურა თაროებიდან ბარგის ჩამოლაგება დაიწყო. ქალები პალტოებს იცვამდნენ და შლაპებს იხურავდნენ. უცებ ვაგონში გამცილებელმა შემოყო თავი, რაღაც ჩაიბურტყუნა და გაქრა. აკანკალებული ნელსონი ფეხზე წამოხტა. მისტერ ჰედმა მხარში ხელი მოჰკიდა და დასვა.

— ჯერ იჯექი, — დაუყვავა მოხუცმა. — პირველად ქალაქის გარეუბანში ჩერდება, აი მეორედ კი ქალაქში გავჩერდებით.

ეს ამბავი მისტერ ჰედმა პირველ ჩამოსვლაზე გაიგო, როდესაც ქალაქის გარეუბანში ჩამოვიდა და მერე ცენტრში მისვლა თხუთმეტი ცენტი დაუჯდა. გაფითრებული ნელსონი სკამის ზურგს მიეყრდნო. არასოდეს უფიქრია, ბაბუაჩემის გარეშე კაცად არ ვარგვივარო, ახლა კი ნათლად იგრძნო, ასეთი რამ არასოდეს დამართნია.

მატარებელი გაჩერდა, რამდენიმე მგზავრი დატოვა და ისე გასრიალდა, თითქოს სულაც არ გაჩერებულაო. უშნო, ყავისფერი სახლების უკან ცისფერი შენობები წამომართულიყვნენ. მათ თავზე კი ფერმკრთალი, მონაცრისფრო-ვარდისფერი ცა სადღაც ზევით მიემართებოდა და ქრებოდა. მატარებელი დამხარისხებულ სადგურში შევიდა. ნელსონი ვერცხლისფერი რელსების ცქერით იყო გართული. ისინი მრავლდებოდნენ, ერთმანეთს ჰკვეთდნენ და მერე ყველა თავისი გზით მიდიოდა. სანამ ნელსონი რელსების დათვლას დაიწყებდა, ფანჯარაში ისევ ის სახე გამოჩნდა: ფერმკრთალი, მაგრამ მაინც მკაფიოდ გამოსახული. ნელსონმა თავი მოაბრუნა. მატარებელი სადგურში შევიდა. ორივე — მისტერ ჰედიცა და

ნელსონიც წამოხტნენ და კარს ეცნენ. არც ერთს არ შეუმჩნევია სკამზე დატოვებული ქალაღდის პაკი.

ერთიანად დაძაბულებმა გადაიარეს პატარა სადგური და მძიმე ალაყაფის კარის გავლით მანქანების ორომტრიალში მოხვდნენ. უამრავი ხალხი სამსახურისაკენ მიიქაროდა. ნელსონმა აღარ იცოდა, საით გაეხედა. მისტერ ჰედი კედელს მიეყრდნო და თვალს გაუშტერდა სიჩუმე ბიჭმა დაარღვია:

— მაჩვენე ერთი, რაც უნდა მანახო! საიდან დავინყო?

მისტერ ჰედი ისევ ჩუმად იყო. შემდეგ, თითქოს ამდენი მოსიარულე ხალხის დანახვამ გონზე მოიყვანაო, ნელსონს გადაულაპარაკა: „ვიაროთ!“ და ქუჩას დაუყვა. ნელსონიც უკან მიჰყვა, თან შლაპას ისწორებდა. ერთბაშად იმდენი უცნობი და უნახავი რამ დაატყდა თავს, რომ პირველი კვარტალი სიზმარეულივით გაიარა. მოსახვევში მისტერ ჰედმა უკან მოიხედა, სადგურის ნაცრისფერ ბეტონისგუმბათიან შენობას გახედა და თავი დაიიმედა, თუ ამ გუმბათს თვლიდან არ დაგვარგავ, შუადღისთვის გზას უკან ადვილად გამოვიგნებო. მიდიოდნენ და ნელსონიც თანდათან იქაურობას თვალს აჩვენებდა. მალაზიის ვიტრინები ნაირ-ნაირი საქონლით გამოეტენათ. რას არ ნახავდით: კავეულის გალანტერეას, წინილების საკვებს, სპირტიან სასმელებს. ერთ ადგილას მისტერ ჰედმა განსაკუთრებით გაამახვილებინა ნელსონს ყურადღება, შეხვალ აქ, ჩამოჯდები, ფეხებს მალლა შეაწყობ და ზანგი ფეხსაცმელებს გაგიპრიალებსო. მაგრამ არსად არ შედიოდნენ. მისტერ ჰედს მტკიცედ ჰქონდა გადაწყვეტილი, არც ერთ მალაზიაში არ შესულიყო. პირველად რომ ჩამოვიდა, მალაზიაში დაიკარგა და გზა მანამდე ვერ გაიგნო, სანამ რამდენიმე კაცმა შეურაცხყოფა არ მიაყენა.

შუა კვარტალს რომ მიადნოეს, ერთ-ერთი მალაზიის წინ სასწორი დაინახეს. სათითაოდ შედგნენ ზედ, ერთპენიანი ჩააგდეს და სამაგიეროდ პატარა ბილეთები მიიღეს. მისტერ ჰედის ქალაღდზე ეწერა: „თქვენ იწონით ას ოც გირვანქას, პატიოსანი და მამაცი ხართ. ყველა თქვენი ამხანაგი აღტაცებულია თქვენით“. მისტერ ჰედმა ქალაღდი ჯიბეში ჩაიღო, თან გაკვირვებული იყო, მანქანამ ასე სწორად როგორ გამოიცნო ჩემი ხასიათი და წონაში რატომ შეცდაო, რადგან ცოტა ხნის წინ მარცვლეულის სასწორზე აიწონა და იცოდა, რომ მხოლოდ ას ათ გირვანქას იწონოდა. ნელსონის ქალაღდზე კი ეწერა: „თქვენ იწონით ოთხმოცდათვრამეტე გირვანქას. დიდი მომავალი გელით. უფრთხილდით შავკანიან ქალებს!“ ნელსონი არც ერთ შავკანიან ქალს არ იცნობდა და მხოლოდ სამოცდარვა ფუნტი იყო. მისტერ ჰედის აზრით მანქანამ ექვსიანი შებრუნებით დაბეჭდა და ამიტომ ექვსის ნაცვლად ცხრიანი გამოვიდაო.

მეხუთე კვარტლის ბოლოდან მისტერ ჰედმა სადგურის გუმბათი ველარ დაინახა და მარცხნივ გადაუხვია. ნელსონს შეეძლო თითოეული მალაზიის წინ საათობით მდგარიყო, მაგრამ გვერდით უფრო საინტერესო მალაზია ეგულებოდა და სულ წინ მიიწევდა. „მე აქ დავიბადე!“ — უცებ წამოიძახა ნელსონმა. შეშინებულმა მისტერ ჰედმა უკან მოიხედა. ბიჭს ოფლიანი სახე უბრწყინავდა: „მე აქაური ვარ!“

მისტერ ჰედი თავზარდაცემული იდგა. მიხვდა, გადამწყვეტი წუთი დადგა.

— ახლა ისეთ რამეს გაჩვენებ, რაც ჯერ არ გინახავს! — უთხრა ნელსონს და კანალიზაციის ქასთან მიიყვანა.

— ერთი ჩაჯექი და თავი შეყავი!

ბიჭმა ჩაიმუხლა და თავი ქაში ჩაყო. მისტერ ჰედს პიჯაკით ეჭირა. ტროტუარის ქვეშ წყალი გუგუნებდა. შეშინებული ნელსონი ფეხზე წამოხტა. მისტერ ჰედმა კანალიზაციის სისტემაზე დაუწყო ლაპარაკი. აუხსნა, ყოველი ქუჩის ქვეშ კანალიზაციის მილები გადის და მთელი ქალაქის ჭუჭყი იქ მიედინებაო. იქაურობა სულ ვირთხებითაა სავსე, შეიძლება ადამიანი შიგ ჩავარდეს და თუ ჩავარდა, დიდი შავი მილი შეისრუტავს, ყოველ წუთში ყოველ ქალაქელს ეს საფრთხე ემუქრება, შეიძლება ჩავარდეს კანალიზაციის მილში და მორჩა, სამუდამოდ დაიღუპებაო. მისტერ ჰედი ძალზე ხატონად ლაპარაკობდა. შეძრწუნებული ნელსონი ენაჩავარდნილი უსმენდა. ალბათ ეს მილებია პირდაპირ ჯოჯოხეთში რომ მიდისო, ფიქრობდა ბიჭი და მთელი იმქვეყნიური ცხოვრება ნათლად წარმოუდგა. შეშინებული სასწრაფოდ მოსცილდა კანალიზაციის ქის სარქველს.

— მერე რა, ხომ შეიძლება ამ ჭებისაგან თავი შორს დაიჭირო! — წამოიძახა ნელსონმა და ის ჯიუტი გამომეტყველება მიიღო, ბაბუამისს ყველაზე მეტად რომ აცოფებდა. — ჰო, აი თურმე სად დავიბადე!

მისტერ პედი საგონებელში ჩავარდა. ერთი კი წაიბურტყუნა, ჯერ სადა ხარო, და გზა განაგრძეს. კიდევ ორი კვარტალი გაიარეს და მარცხნივ გადაუხვიეს. ალბათ გუმბათს გარშემო ვუვლიო, ფიქრობდა მისტერ პედი. მართლაც, ნახევარი საათის შემდეგ ისევ სადგურთან აღმოჩნდნენ. პირველად ნელსონი ვერ ამჩნევდა, რომ ისევ იმავე მაღაზიებს ეათვალიერებდა, მაგრამ როცა იმ ადგილთან მივიდნენ, სადაც ზანგი ფენსაცმელებს აპირალებდა, ყველაფერს მიხვდა.

— აქ უკვე ვიყავით! — აყვირდა ნელსონი. — თვითონაც არ იცი, სად დამატარებ!

— მოიცა ერთი, ცოტა გზას გადაუხვიეთ, მერე რა მოხდა! — თქვა მისტერ პედმა და ახლა სხვა ქუჩას დაუყვინნა. გუმბათი არც ახლა დავინყებია და ორი კვარტლის გავლის შემდეგ კვლავ მარცხნივ გაუხვია. ქუჩის ორივე მხარეს ხის ორ-სამსართულიანი სახლები ჩამწკრივებულიყო. ქუჩაში მოსიარულენი სახლებში ადვილად იხედებოდნენ. მისტერ პედმა ერთ-ერთ ფანჯარაში შეიხედა. რკინის საწოლზე ზენარგადაფარებული ქალი იწვა. მისმა ყოველმცოდნე გამომეტყველებამ შესძრა მისტერ პედი. საიდანღაც ველოსიპედით ვიღაც ფეთიანი ბიჭი გამოხტა და კინალამ მისტერ პედს დაეტაკა.

— ისე გაგიტანენ, უკანაც არ მოიხედავენ. გვერდიდან ნუ მომცილდები, ჩემთან იარე, — უთხრა მისტერ პედმა ნელსონს.

კარგა ხანი გავიდა, სანამ მისტერ პედი გამოერკვეოდა და უკან მობრუნებას მოიფიქრებდა. ქუჩა უფრო და უფრო ვიწროვდებოდა. სულ ხის დაფუტუროებული შეუღებავი სახლები ხვდებოდათ. ნელსონმა ჯერ ერთი შავკანიანი დაინახა, მერე — მეორე, მერე კიდევ — ერთი.

— აქ თურმე ზანგები ცხოვრობენ. — ჩაილაპარაკა ნელსონმა.

— ნამოდი, სხვაგან წავიდეთ. ზანგების სანახავად ხომ არ ჩამოვსულვართ, — უთხრა მისტერ პედმა და სხვა ქუჩაზე ჩაუხვიეს, მაგრამ მაინც სულ ზანგები ხვდებოდათ. ნელსონს ეკლებმა დააყარა. ორივემ თანდათანობით ნაბიჯს უმატა. ერთი სული ჰქონდათ, სანამ იქაურობას გაეცლებოდნენ. საცვლებისამარა კაცები კარებში ჩამდგარიყვნენ, ქალები დანგრეულ ჭიშკრებთან გამოდგმულ სავარძლებში ირწეოდნენ, საკანალიზაციო თხრილთან მოთამაშე ზანგის ბავშვები მათ დანახვაზე თამაშს წყვეტდნენ, მაღაზიებში შავკანიანი მყიდველები ირეოდნენ. არც ერთ მაღაზიასთან აღარ შეჩერებულან. ყოველი მხრიდან შავ სახეებში ჩამსხდარი შავი თვალები შემოჰყურებდათ.

— ჰო, — ნამოიწყო მისტერ პედმა, — ალბათ აქ დაიბადე, ამ ზანგებში.

ნელსონი მოიღუშა.

— შენ მგონი, სულ აგებნა გზა, — ჩაილაპარაკა მან.

მისტერ პედი უცებ შემოტრიალდა და თვალით გუმბათს დაუწყო ძებნა. გუმბათი აღარსად ჩანდა.

— არაფერიც არ ამბნევია, — თქვა მისტერ პედმა. — მე მგონი, სიარული აღარ შეგიძლია.

— სულაც არ დავლლილვარ. ძალიან კი მომშივდა, — თქვა ნელსონმა. — ერთი ნამცხვარი მომეცი.

მაშინღა შეამჩნიეს, რომ საუზმე დაკარგოდათ.

— შენ არ გეჭირა პარკი? მე მქონოდა, ვიცი, როგორც შევინახავდი! — ბურდღუნებდა ნელსონი.

— თუ ყველაფერი შენს ჭკუაზე გინდა გააკეთო, მაშინ აქ დაგტოვებ და რაც გინდა, ის ჰქენი! — თქვა მისტერ პედმა და ძლიან ესიამოვნა გადაფითრებული ნელსონის დანახვა. თვითონაც კარგად იცოდა, რომ გზა აებნათ. ყოველ წუთს სადგურს უფრო და უფრო შორდებოდნენ. ორივე ოფლად იღვრებოდა. ფენსაცმელებს შეუჩვეველ ბიჭს ძალზე უჭირდა სიარული, თანაც ბეტონის ტროტუარზე. ერთი ჩასამუხბლი ადგილის ნახვა ორივეს ნატყრად გადაქცეოდა. მაგრამ ისევ მიდიოდნენ და მიდიოდნენ. ბიჭი კი სულ ბურტყუნებდა: „ჯერ პარკი დაკარგა, ახლა კიდევ გზა აებნა!“ მისტერ პედი პასუხობდა: „თუ ვინმეს უხარია, რომ შავკანიანებში დაიბადა, ძალიანაც კარგი!“

მზე უკვე მაღლა იდგა. ყოველი მხრიდან სადილის სუნი სცემდათ. ზანგები მათ საცქერლად გარეთ გამოკრეფილიყვნენ.

— ერთი ამათ მაინც რატომ არ ჰკითხავ გზას? — ამბობდა ნელსონი. — ხომ ხედავ, დავიკარგეთ!

— შენ რა, აქაური არა ხარ? — ეუბნებოდა მისტერ ჰედი. — მოდა, თუ ძალიან ვინდა, გზაც შენ იკითხე.



ნელსონს ეშინოდა ზანგებისა, თან არც ის უნდოდა, შავკანიან ბავშვებს მასხრად აეგდოთ. უცებ მალლა აიხედა და ერთი ზორბა, შავკანიანი დედაკაცი დაინახა. სახლის კარი პირდაპირ ტროტუარზე გამოდიოდა. ქალი კარს მიყრდნობოდა და ქუჩაში იცქირებოდა. თმა ოთხი დიუმის სიმაღლეზე ედგა, ტანი ვარდისფერ კაბაში გამოკვალთოდა, ყავისფერი შიშველი ფეხები ფეხისგულეებთან უვარდისფრდებოდა. როცა ახლოს მივიდნენ, ქალმა ზანტად ანია ხელი და თმაში შეაცურა.

ნელსონი შეჩერდა. ქალის შავი თვალების მზერა იგრძნო და სუნთქვა შეეკრა.

— ქალაქში როგორ ბრუნდებით ხოლმე? — იკითხა ნელსონმა და თვითონაც გაუკვირდა, ეს ჩემი ხმა როგორ იქნებაო.

ქალი ერთი წუთით შეყოვნდა და მერე უპასუხა:

— ქალაქში არა ხართ?! — ისეთი რბილი და მელოდირი ხმით გასცა პასუხი, ნელსონს მოეჩვენა, წყლის გრილი, სასიამოვნო წვეთები შემეფრქვაო.

— მატარებელთან როგორ გადიხართ? — ისევ ისეთი წვრილი ხმით იკითხა ნელსონმა.

— როგორ და, ტრამვაიზე დაჯექი, — უპასუხა ქალმა.

ნელსონი მიხვდა, ქალი მასხრად იგდებდა, მაგრამ ისე იყო არაქათგამოცლილი, გაბრაზების თავიც აღარ ჰქონდა. სუნთქვაშეკრული შეჰყურებდა და ხარბად ისრუტავდა მისი გარეგნობის ყოველ წვრილმანს. სავსე მუხლისთაფებიდან მზერა შუბლზე გადაიტანა, ოფლიან, მბზინვარე კისერსა და უზარმაზარ მკერდს შეხედა, შემდეგ შიშველ მკლავს გააყოლა თვალი, სანამ თითები თმაში არ ჩაიკარგა. უცებ ძალიან მოუნდა, ქალი დახრილიყო, ხელში აეყვანა, მკერდში ჩაეკრა და სახეზე მისი სუნთქვა ეგრძნო, სულ ღრმად, ღრმად ჩაიძირებოდა მის მზერაში და ისიც უფრო და უფრო ჩაიკრავდა გულში. ასეთი რამ არასოდეს განეცადა. თითქოს შავ გვირაბში მიექანებო.

— თაფლის კვერო, აი ასე პირდაპირ იარე და იმ ქუჩაზე გახვალ, სადაც ტრამვაი დადის.

ნელსონს ალბათ მუხლები მოეკვეთებოდა, მისტერ ჰედს ძალით რომ არ გამოეთრია. — მთლად გამოსულელდი! — ჩაიბუზღუნა მოხუცმა.

სწრაფად ჩაიარეს ქუჩა. ნელსონს აღარ მოუხედავს. ქუდი უფრო ჩამოიფხატა, სახე სირცხვილისგან ეწვოდა. გაახსენდა მატარებლის ფანჯარაში დანახული ლანდი, თითქოს ნიშნისმოგებით რომ უცინოდა, დილანდელი ცუდი წინათგრძნობაც განუახლდა, ისიც გაახსენდა, ქალაქში რომ ეწერა, შავკანიან ქალებს უფრთხილდიო; მისტერ ჰედის ქალაქში კი ეწერა, მამაცი და პატიოსანი ხარო. მაგრამ ჩააფრინდა მოხუცის ხელს, თითქოს საკუთარი უსუსურობის შეეშინდაო. ასე იშვიათად თუ მოქცეულა.

ქუჩა ჩაათავეს თუ არა, რელსებიც დაინახეს. ზედ გრძელი, ყვითელი ტრამვაი მოგრიხინებდა. მისტერ ჰედს ქალაქის ტრანსპორტით არასოდეს ესარგებლა და არც ამ ტრამვაიში ჩაჯდა. ნელსონი სულ ჩუმად იყო. დროდადრო ტუჩები შეუთრთოლდებოდა ხოლმე. მაგრამ მისტერ ჰედს საკუთარი გასაჭირი ადგა და ბავშვს ყურადღებას არ ექცევდა. იდგნენ ქუჩის კუთხეში და ზანგებს ზედაც არ უყურებდნენ. ისინიც თავთავიანთი გზით მიდიოდნენ, თითქოს თეთრები არიანო. თუმცა ზოგიერთები მაინც ჩერდებოდნენ, მისტერ ჰედსა და ნელსონს აშტერდებოდნენ. უცებ მისტერ ჰედს გონება გაუნათდა: რაღა ტრამვაიში ჩაეჯდე, მოდი, ტრამვაის რელსებს გავყვებიო. ნელსონს ხელი გაჰკრა და აუხსნა, ტრამვაის რელსებს უნდა გავყვით და სადგურში ისე მივალთო. მართლაც, მალე თეთრკანიანები დაინახეს და ცოტა გულზე მოეშვათ.

ნელსონი ტროტუარზე დაჯდა და კედელს მიეყრდნო.

— უნდა დავისვენო, — თქვა მან. — საუზმეც შენ დაგეკარგა და გზაც შენ აგებნა. მოდა, დაშაცადე, სანამ ცოტას დავისვენებდე.

— ვერა ხედავ რელსებს? ამათ უნდა დაუყვე და ყველაფერი რიგზე იქნება. კარგი, მე დამაინყდა პარკი, შენ სადღა იყავი? შენ რა გიჭირს, აქ დაიბადე, მშობლიურ ალაგას ხარ, უკვე მეორედ ჩამოხვედი. პოდა, ყველაფერი უნდა იცოდე! — ამბობდა თვითონაც ტროტუარზე ჩამომჯდარი მისტერ ჰედი.

ნელსონი გადალღეტილი ფეხებიდან ფეხსაცმელებს იხდიდა და ბაბუას უკრავდებოდა არ აქცევდა.

— იდექი და შიმპანზესავით იღრიჯებოდი, სანამ ის შავკანიანი დედაკაცი გზას გასწავლიდა. — განაგრძობდა მისტერ ჰედი.

— მე იმას ვამბობდი, აქ დავიბადე-მეთქი, — აკანკალებული ხმით წამოიწყო ნელსონმა. ხომ არ მითქვამს, მომწონს ქალაქი ან არ მომწონს-მეთქი. შინ მინდა, აქ რისთვის ჩამომიყვანე. სულ შენ არ გაიძახოდი, ქალაქში წავიდეთო. აბა ერთი მითხარი, რა იცი, იქნებ რელსები სულაც არ მიდის სადგურში?

ცოტა არ იყოს, მისტერ ჰედიც შეფიქრიანდა.

— ეს ხალხი კი სულ თეთრკანიანებია და! — ჩაილაპარაკა მან.

— აქ ჩვენ ჯერ არ გაგვივლია, — უპასუხა ნელსონმა.

ახლა აგურის სახლებიან კვარტალში იყვნენ. ოღონდ ვერ მიხვდებოდი, ცხოვრობდა ვინმე, თუ არა. ტროტუართან რამდენიმე ავტომობილი იდგა. აქა-იქ გამვლელიც გამოჩნდებოდა ხოლმე. ასფალტის მხურვალეობა ნელსონის სხელ კოსტიუმში ატანდა. ბავშვს თვალები ეხუჭებოდა, რამდენიმე წუთის შემდეგ თავი ჩაქინდრა და თითქოს შეამცივნაო, მხრები რამდენჯერმე შეუთამაშდა. შემდეგ გვერდზე გადაიხარა, ტროტუარზე გაწვა და ძალაგამოლეულნი ძილს მისცა თავი.

მისტერ ჰედი გაჩუმებული შეჰყურებდა. თვითონაც არაქათი გამოსცლოდა, მაგრამ ორივეს რომ ერთად დაეძინა, არ შეიძლებოდა. ვერც დაიძინებდა, რადგან ისიც კი არ იცოდა, სად იყო. ალბათ, ბიჭი რამდენიმე წუთში ისევ გაიღვიძებს. ძილი უფრო მოაყოლილებს და შეიკლავს მერე ხელში, ეს საუზმე რატომ დაგრჩა, ეს გზა რატომ აგებნაო. ექ, მე ვიცი, რა დღეში ჩავარდებოდი, აქ რომ არ ვიყო, — გაიფიქრა მისტერ ჰედმა და იმავ წუთში სხვა აზრმა გაუელვა. რამდენიმე წუთს მინაზე გართხმულ სხეულს დაჰყურებდა, მერე ფეხზე წამოდგა. ზოგჯერ აუცილებელიც კია, ბავშვს ჭკუა ასწავლო, ფიქრობდა მისტერ ჰედი. ისეთი გაკვეთილი უნდა მისცე, მთელი ცხოვრება დაამახსოვრდეს, მითუმეტეს ასეთ თავნებასა და ჯიუტს. ოციოდე ნაბიჯის გავლით ჩუმად მიიპარა ქუჩის კუთხემდე, ხეივანში მდგარ ნაგვის თავდახურულ ყუთზე ჩამოჯდა და ლოდინი დაიწყო: ერთი ვნახო, ნელსონი რას იზამს, მარტოს რომ გაეღვიძებო.

ბიჭს მოუსვენრად ეძინა, ძილბურანში რაღაც ხმები ჩაესმოდა. ეჩვენებოდა, თითქოს მისი არსების შავი კუნჭულებიდან შავი ფიგურები მოემართებოდნენ და სინათლისკენ მიისწრაფოდნენ. ძილში სახე უტოკავდა, მუხლები ნიკაპთან მიეტანა. უგულოდ, უხალისოდ ანათებდა მზე ვიწრო ქუჩას და ყოველივეს იმ სახით აჩენდა, როგორც სინამდვილეში იყო. რამდენიმე წუთის შემდეგ მისტერ ჰედი ბებური მაიმუნივით მოიკუნტა ურნის თავზე და გადანყვიტა, თუ ნელსონი მალე არ გაიღვიძებს, ურნაზე ფეხებს ავაბრაახუნებო. საათზე დაიხედა, უკვე ორი იყო. მატარებელი ექვს საათზე გადიოდა. დაგვიანების ისე ეშინოდა, გადაიხედა, უკვე ორი იყო. მატარებელი ექვს საათზე გადიოდა. დაგვიანების ისე ეშინოდა, ფიქრებასაც ვერ პედავდა. ფეხი ურნას დაჰკრა და ხეივანში ყრუ გუგუნე დაირხა.

ნელსონი ყვირილით წამოვარდა ფეხზე. მაშინვე იქით გაიხედა, სადაც ბაბუამისი ეგულებოდა და თვალები გაუფართოვდა. ერთხანს ადგილზე ტრიალებდა, მერე თავი უკან გადააგდო და ველური, შეშინებული კვიცივით მოსწყდა ადგილს. მისტერ ჰედი ურნიდან ჩამოხტა და უკან გამოედევნა. ბიჭი თითქმის აღარ ჩანდა, მხოლოდ რაღაც ნაცრისფერი გაკრთა ერთი კვარტლის მოშორებით და გაუჩინარდა. მისტერ ჰედი თავდაუზოგავად გარბოდა, მაგრამ ბავშვი აღარსად იყო. სრულიად ძალაგამოცლილმა მიაღწია მესამე გზაჯვარ-

რედინს და ნახევარი კვარტალის მოშორებით ისეთი რამ დაინახა, რომ ადგილზე გაშეშდა. ერთიანად მოხრილი მისტერ ჰედი სულსმოსათქმელად ნაგვის ყუთს ამოეჭარა.

ნელსონი ტროტუარზე იჯდა, მის გვერდით ვიღაც ქალი გაშხლართულიყო და კიოდა, იქვე ბადურა ეგდო, მთელი სანოვაგე ძირს ეყარა. ცნობისმოყვარე ქალებსაც მოეყარათ თავი. მისტერ ჰედს გარკვევით ესმოდა, როგორ გაჰკიოდა ის ქალი: „მომტყნეს ფეხი ყველაფერს მამაშენს გადავახდევინებ! სულ კაპიკ-კაპიკ გადავახდევინებ! პოლიცია! პოლიცია!“ ქალები ნელსონს აქეთ-იქით ექაჩებოდნენ, მაგრამ ბავშვი ისე იყო გაოგნებული, ფეხზე ვერა დგებოდა.

რალაჯა ძალამ აიძულა მისტერ ჰედი ნაგვის ყუთს მოშორებოდა და წინ წასულიყო. მაგრამ ფეხებს ძლივს მიათრევდა. არასოდეს ჰქონია პოლიციასთან საქმე. ქალები ისე ესუოდნენ ნელსონს, თითქოს სადაცაა ეცემიან და შუაზე გაგლეჯენო. ქალი კი ისევ გაჰკიოდდა: ფეხი მომტყნეს, ჩქარა პოლიციას დაუძახეთო. მისტერ ჰედი ისე ნელა მიინევდა წინ, გეგონებოდა, ერთ ნაბიჯს რომ წინ ადგამს, მეორეთი უკან იხევსო. ათიოდე ნაბიჯზე რომ მიუახლოვდა, ნელსონმა თვალი მოჰკრა და წამოხტა, მისტერ ჰედს ფეხებზე ხელი მოხვია. სულს ძლივს ითქვამდა.

ყველა მისტერ ჰედს შეაცქერდა. დაშავებული ქალი წამოჯდა და კივილი მორთო:

— დიახ, სერ, სულ თქვენ უნდა გადაიხადოთ, რაც საექიმოდ ფული დამჭირდება. სად არის პოლიციელი, ჩაინერეთ ამ კაცის მისამართი და გვარი!

მისტერ ჰედი ამოდ ცდილობდა, ნელსონის ჩაფრენილი თითები მოეშორებინა. მოხუცს თავი მხრებში კუსავით ჩაუვარდა. შიშისა და მოულოდნელობისაგან უაზრო შუშის თვლებით იყურებოდა.

— მომტყნა შენმა ბიჭმა ფეხი — ისევე მოჰყვა კივილს ქალი, — პოლიცია! პოლიცია!

მისტერ ჰედმა იგრძნო უკნიდან პოლიციელი უახლოვდებოდა. წინიდან გზა მოჭრილი იყო, გავეშებულნი ქალები კედელივით აღმართულიყვნენ.

— არ არის ჩემი ბიჭი! ჩემს სიცოცხლეში არ მინახავს!

მისტერ ჰედმა იგრძნო, როგორ გაეშალა ნელსონს თითები. შეძრწუნებულმა ქალებმა უკან დაიხიეს, თითქოს მისტერ ჰედის მიკარებისა ეშინიათო, ისეთი საშინელი იყო ადამიანი, რომელმაც საკუთარ სახეებასა და ხატზე თქვა უარი. ხალხი მდუმარედ გადაგა განზე. მისტერ ჰედმა გზა განაგრძო, ნელსონი უკან მოიტოვა, ველარაფერს ხედავდა. წინ მხოლოდ ბნელი გვირაბი მოჩანდა, წინათ ქუჩას რომ ჰგავდა.

ბიჭი ადგილიდან არ დაძრულა. კისერნაგრძელებული და ხელებჩამოყრილი იდგა. ფეხმოტეხილი ქალი წამოდგა და ნელსონს მუშტი მოუღერა, სხვები სიბრალულით შეჰყურებდნენ, მაგრამ ბიჭი ვერავის ამჩნევდა. პოლიციელი არსად ჩანდა.

ნუთის შემდეგ უაზროდ გადადგა ნაბიჯი. არ ცდილობდა ბაბუამისს დასწეოდა, უბრალოდ, ოციოდე ნაბიჯის მოშორებით მიჰყვებოდა. ხუთი კვარტალი ასე გაიარეს. მისტერ ჰედი მოხრილიყო, კისერი მხრებში ჩავარდნოდა. უკან მოხედვის ეშინოდა. ბოლოს, როგორც იქნა, თავი მოაბრუნა და ბიჭს მაინც იმედიანად გადახედა. ოციოდე ნაბიჯის მოშორებით ორი თვალი დაინახა, ზურგში ორკაპის კბილებივით რომ ესობოდნენ. ბიჭი ისეთი ბუნებისა იყო, ადვილად არავის არაფერს აპატიებდა, მაგრამ აქამდე საპატიებელიც არაფერი ჰქონდა. მისტერ ჰედსაც არასოდეს შეურცხვენია თავი. კიდევ ორი კვარტალი გაიარეს. მისტერ ჰედი მოტრიალდა და მნივანა, სასონარკვეთილი ხმით დაიძახა: „წამოდი, სადმე კოკა-კოლა დავლიოთ!

ნელსონი მისთვის უჩვეულო ქედმაღლობით შეტრიალდა და ბაბუამისს ზურგი აქცია.

მისტერ ჰედმა ახლად იგრძნო რა ძლიერი იყო ნელსონის სიძულვილი. მიდიოდნენ და მიდიოდნენ. მოხუცს სახე თანდათან სულმთლად ჩამოელვენთა. დიდი ხანია, ირგვლივ

ველარაფერს ამჩნევდა, მაგრამ მიხვდა, ტრამვაის რელსებს აღარ მიჰყვებოდნენ, აღარც გუმბათი ჩანდა სადმე. მზე უკვე შუბის ტარზე გადასულიყო. ღრმად იყო დარწმუნებული, თუ სიბნელემ ქალაქში მოგვისწრო, გვცემენ და გაგვძარცვავენო. მუკუნე დავიმსახურე ღვთის წყრომა, ფიქრობდა მოხუცი, მაგრამ ნუთუ ჩემი ცოდვებისათვის ნელსონმა უნდა აგოს პასუხი, ვაითუ ბიჭი დასაღუბავად მიმყავსო.

მიდიოდნენ და აგურის პატარა სახლებს ბოლო აღარ უჩანდა. უცებ მისტერ ჰედი გაზონის პირას მდგარ ონკანს გადააწყდა. ადრიანი დილიდან წყალი არ დაეღია, მაგრამ გრძნობდა, წყურვილის მოკვლის უფლება არ ჰქონდა. შემდეგ გაახსენდა, ნელსონს ალბათ წყალი ეწყურება, ერთად დავლევთ და ეს ისევ დაგვაახლოვებსო. ჩაიმუხლა, პირი ონკანს მიადო და წყალი დაღია, ისევ იმ განწირული, მწივანა ხმით გასძახა ნელსონს: „მოდი ერთი, წყალი დალიე!“

ამჯერად ნელსონი მთელი ნუთი თვალგაშტერებული იყურებოდა მისტერ ჰედის მიღმა. მოხუცი ისე წამოდგა, თითქოს წყლის მაგივრად შხამი დალიაო. ნელსონს ძალიან სწყუროდა. დილას მატარებელში მუყაოს ჭიქიდან ერთი ყლუპი წყალი მოსვა. ეს იყო და ეს, იმის მეტი არაფერი დაეღია. ონკანს მაინც გვერდი აუარა. არ შეეძლო იმ ონკანიდან დაეღია წყალი, საიდანაც ბაბუამისმა დაღია. მისტერ ჰედი ყველაფერს მიხვდა და სასო წარვიფეთა. მზის უკანასკნელი სხივებით განათებული მისტერ ჰედის სახე ჩაფერულილი და განადგურებული ჩანდა. ბიჭის უსაზღვრო სიძულვილი ფეხდაფეხ სდევდა. იცოდა, თუ რაღაც სასწაულით ღამით ქალაქში სიკვდილს გადაურჩებოდნენ, ეს სიძულვილი სიცოცხლის ბოლომდე გაგრძელდებოდა. ახლა სადღაც შავბნელ, უცხო ადგილას დახეტილობდა, წინ ხანგრძლივი, პატივს მოკლებული სიბერე ელოდა, მერე სიკვდილიც მოვიდოდა. სახარულით შევეგებები, აღსასრული ხომ ყველაფერის ბოლოაო, ფიქრობდა მოხუცი.

ნელსონს სულ ბაბუამისის ღალატი ედგა თვალწინ. თითქოს ამ ჩვენებას ყინულის თხევდი ფენა შემოავლოო, რათა განკითხვის დღეს განსასჯელად ხელუხლებლად წარედგინა. მიდიოდა და ყურადღებას არაფერს აქცევდა. დროდადრო გრძნობდა, როგორ მოემართებოდა, რაღაც შავი, უჩვეულო ფორმის სხეული მისი არსების სიღრმიდან, წინ მოიწევდა, რათა გაყინული ჩვენება ცხელი ხელის ერთი შეხებით გაექრო, და ბიჭს ტუჩები ებრიცებოდა.

მზე აგურის სახლების უკან ჩაიმალა. ვერც კი შეამჩნიეს, ისე აღმოჩნდნენ ფეშენებულურ გარეუბანში. მდიდრული შენობები გაზონებითა და აუზებით დაემშვენებინათ, ირგვლივ ყველაფერი ჩამკვდარიყო. ოთხი კვარტალი ისე გაიარეს, ძალღიჯ კი არ შეხვედრიათ. შორიდან თეთრი სახლები ნახევრად ჩაძირულ აისბერგებს ჰგავდნენ. ტროტუარებს ვერსად ნახავდით, სამაგიეროდ სახლებთან მისასვლელ ხეივნებს ბოლო არ უჩანდა.

ნელსონს არც ერთხელ არ უცდია მისტერ ჰედთან მიახლოება. მოხუცი იმ ზომამდე იყო მისული, ალბათ სადმე საკანალიზაციო ჭა რომ ენახა, შიგ ჩავარდებოდა და თავს დაიხრჩობდა. ნათლად წარმოუდგა ნელსონი, რომელიც ჭასთან იდგა და ოდნავი ინტერესით უყურებდა ბაბუამისის გაუჩინარებას.

ხმამალაღმა ყეფამ გამოაფხიზლა. თავი ასწია და ვილაც სქელი კაცი დაინახა, ორი ბუღდოგი რომ მოჰყვებოდა. უცებ მისტერ ჰედმა ისე დაიწყო ხელების ქნევა, თითქოს უკაცრიელ კუნძულზე მიტოვებული მეზღვაურიყო.

— დავიკარგე, დავიკარგე, გზას ველარ ვიგნებ, მე და ამ ბიჭს მატარებელზე გვაგვიანდება, აღარ ვიცი, სადგური საით არის! ღმერთო ჩემო, რა მეშველება? ღმერთო, შენ მიშველე!

გოლფის ბრიჯებში გამოწყობილმა მელოტმა კაცმა ჰკითხა, რომელ მატარებელზე გავვიანდებო. მისტერ ჰედმა ბილეთები ამოიღო, ხელები ისე უკანკალებდა, ბილეთებს ხელში ვერ იმაგრებდა. ნელსონმა რამდენიმე ნაბიჯი გადადგა მათკენ, მერე შეჩერდა და ურება დაუწყო.

— ესეც ასე, — ჩაილაპარკა მსუქანმა კაცმა და ბილეთები დაუბრუნა, — მო, ქალაქის სადგურში ველარ გახვალთ, მაგრამ მატარებელი აქვე, გარეუბანში ჩერდება და მიუსწრებთ. აქედან სამი კვარტალია გარეუბნის სადგურამდე, — თქვა მან და გზა უჩვენა.

მისტერ ჰედი პირში შეჰყურებდა და თანდათან მკვდრეთით დადგებოდა. კაცმა ახსნა-განმარტება მოათავა და თავის გზას გაუდგა, ძალღებაც ხტუნებას ტუნებას უკან მიჰყვინენ. მისტერ ჰედი ნელსონს მოუტრიალდა და სუნთქვაშეკრულმა უთხრა: — „ბიჭო, შინ მიუღივართ!“

ნელსონი ათიოდე ნაბიჯზე იდგა, ნაცრისფერი შლაპა ჩამოეფხატა და სულმთლად გაფიორებულყო. თვალები ცივად უელავდა. მის მზერაში არც რაიმე გრძნობა გამოსჭვიოდა და არც ინტერესი. უბრალოდ იდგა გაღუული, პატარა ბიჭი და იცდიდა. სიტყვა „შინ“ მისთვის არაფერს ნიშნავდა.

მისტერ ჰედი მძიმედ შეტრიალდა. ახლა კარგად იცოდა, რა დრო დადგებოდა, თუ გაზაფხულს ზაფხული არ შეცვლიდა, ზაფხულს — შემოდგომა და ზამთარი, რა იქნებოდა სითბო სინათლის გარეშე და ადამიანი ხსნის იმედს მოკლებული. უკვე აღარ ნაღვლობდა მატარებელზე დაგვიანებას. ალბათ სულაც დააფიქრებოდა სადგურზე წასვლა, უფროად რაღაც უცნაურს რომ არ მიეპყრო მისი ყურადღება, თითქოს ვიღაცა უკაცრიელი უდაბნოდან შეეხშიანაო.

ფართო მინდორს აგურის ყვითელი, დაბალი ღობე ერტყა. ზედ ნელში მოხრილი თაბაშირის ზანგი იჯდა. ზანგი ნელსონის ტანისა იყო. ეტყობოდა, მალე გადმოიქცეოდა, რადგან ბაიკაში, რითაც კედელზე მიემაგრებინათ, მთლად გამსკდარიყო. ერთი თვალი გათეთრებოდა, ხელში ნესვის ნაჭერი ეჭირა.

მისტერ ჰედი იდგა და ჩუმად უყურებდა, თანდათან ნელსონიც მიუახლოვდა. იდგნენ ორივენი და უყურებდნენ. ბოლოს თითქოს სული თან ამოაყოლაო, მისტერ ჰედმა ისე ჩაილაპარაკა: „ხელოვნური ზანგი“.

ვერ გაიგებდი, ზანგი ახალგაზრდა იყო თუ ბებერი. ისეთი საცოდავი იყო, რომ არც ერთს არ ჰგავდა. ალბათ მოქანდაკეს უნდოდა ბედნიერი, სახემხიარული ზანგი გამოეძერწა. ამიტომც ტუჩის კილოები ზემოთ ჰქონდა აწეული, მაგრამ ჩამომტვრეული თვალი და წინ წამოწეული პოზა ტანჯულ იერს აძლევდა.

— ხელოვნური ზანგი! — ხუსტად მისტერ ჰედივით გაიმეორა ნელსონმა.

ორივე კისერწაგრძელებული იდგა, მხრებში ერთნაირად მოხრილიყვნენ და ჯიბეებში ჩანყობილი ხელებიც ერთნაირად უკანკაშდებოდათ. მისტერ ჰედი ბებერ ბავშვს ჰგავდა, ნელსონი კი პატარა მოხუცს. თვალმოუშორებლად შეჰყურებდნენ ქანდაკებას, თითქოს რაღაც დიდი საიდუმლოს წინაშე დგანანო, თითქოს ვიღაცის გამარჯვების მონუმენტს შეჰყურებდნენ, რომელმაც ისინი საერთო მარცხის დროს გააერთიანაო. მან თითქოს გააღლო ყველა მათი უთანხმოება, რადგან იგი შეწყალებასავით ყველაფრის მომცველი იყო. მოხუცმა შეხედა ნელსონს და იგრძნო, რაღაცის თემა იყო საჭირო, რათა ბავშვს ისევ დაეჯერებინა, ბაბუაჩემი ბრძენი კაციო. ბავშვის თვალებიც პასუხს ელოდებოდნენ, თითქოს ევედრებოდნენ, გაგვაგებინე, ამქვეყნად რა ხდებაო.

მისტერ ჰედი რაღაც ძალზე მნიშვნელოვანის სათქმელად მოემზადა, და ამ დროს საკუთარი ხმა შემოესმა: „თურმე აქ ცოცხლები აღარ ყოფნით, ახლა ხელოვნური გაუკეთებიათ!“ ბიჭი ცოტა ხანს ჩუმად იდგა, შემდეგ უცნაურად აუთრთოლდა ტუჩები, თავი დააქნია და მისტერ ჰედს მიმართა:

— ჩქარა წავიდეთ შინ, სანამ კიდევ არ დაკვარგულვართ!

სწორედ მაშინ მივიდნენ სადგურში, როცა მატარებელი ბაქანთან მისრიალდა. მაშინვე ავიდნენ ვაგონში და ათი წუთით ადრე, სანამ მატარებელი საკვანძო სადგურს მიუახლოვდებოდა, უკვე კარში იდგნენ, ჩასახტომად მომზადებულნი, თუ ვინცოცაა მატარებელი არ გაჩერდებოდა.

მაგრამ მატარებელი სწორედ იმ დროს გაჩერდა, როდესაც სავსე, კაშკაშა მთვარე ღრუბლებიდან გამოცურდა და მინდვრებში სინათლე ჩააქცია. მატარებლიდან ჩამოვიდნენ. მათ ყოველ ნაბიჯზე ბალახი ირხეოდა და ვერცხლისფრად ლივლივებდა. პატარა სადგურს გარშემორტყმულ ხეებს უზარმაზარი თეთრი ღრუბლებით განათებულ ცის ფონზე კენწეროები ჩაშავებოდათ.

მისტერ ჰედი გარინდებული იდგა. ისევ იმ ენით უთქმელმა, დალოცვილმა გრძნობამ მოიკცა. მიხვდა, რომ ტანჯვას ვერა კაცი აარიდებს თავს, ტანჯვაში კი გულმონჯალეობა იშვება. უფალმა ყველაზე მეტად ბავშვები აზიარა ამ მადლს, მხოლოდ მას თუ ნაიზღვარებს ადამიანი იმეკვეყნად, რათა შემოქმედის ფერხთით დადოს. მისტერ ჰედი სირცხვილით იწვოდა. ძალზე მცირედი ძღვენით მიდიოდა ამ ქვეყნიდან. შეშინებულმა და საკუთარი სინდისი ღვთიური სრულყოფილებით სჯიდა. სინამდვილეში მან უქრებოდა. არასოდეს უფიქრია, დიდი ცოდვებით მაქვს სული დამძიმებული, მაგრამ ახლა მიხვდა, საკუთარი ბუნების ჭეშმარიტი არსი მიტომ გაეხადათ მისთვის შეუცნობელი, რომ სასონარკვეთილებაში არ ჩავარდნილიყო. იმასაც მიხვდა, ყველა ცოდვა რომ შენდობილი პქონდა იმ დროიდან, როცა ადამიანის სული პირველმა ცოდვამ დაამძიმა, იმ დრომდე, სანამ საწყალ ნელსონს უღალატებდა. იგრძნო, ყველაზე საშინელ ცოდვაზეც არ შექძლო ეთქვა: უფალო, მე ამის ჩამდენი არა ვარო და რადგან ღმერთს იმდენადვე უყვარს ადამიანი, რამდენადაც მოწყალეა, უკვე მზად იყო სამოთხის კარის შესაღებად.

შლაპის ფარფლი ნელსონს ნახევარ სახეს უმაღავდა. მოქანცული, ჭკვიანი ივალეებით შეპყურებდა მისტერ ჰედს, მაგრამ როდესაც მატარებელი შეშინებული გველივით შესრიალდა ტყეში, მასაც გაუნათდა სახე და წამოიძახა:

— კარგია, ერთხელ რომ წამოვედი, მეორედ იქ წამსვლელი აღარა ვარ!





დონ ლუის დე გონგორას პოეტური სახეები

თარგმნა მურვან ჯგუჯურიამ

ამთავითვე ვიტყვი: გონგორას პოეზიაზე საუბარი არც თუ ისე იოლი საქმეა. გონგორას პოეზია მეტად რთულია და განსაკუთრებული. მაგრამ შევეცდები, მცირე ხნით მაინც შეგიტყუოთ ჯადოსნური ემოციების რკალში, რომლის გარეშეც წარმოუდგენელია კულტურული ადამიანის ცხოვრება; ხოლო რომ არ მოგანყინოთ და მარტო ჩემი შეხედულებანი არ მოგახვიოთ თავს — გზადაგზა სხვათა ნააზრევსაც მოვიშველიებ ამ დიდი ანდალუზიელი პოეტის შესახებ.

იმედი მაქვს, გაგონილი გექნებათ, თუ ვინ იყო დონ ლუის დე გონგორა და აგრეთვე ისიც გეცოდინებათ, რას ნიშნავს პოეტური სახე. თავის დროზე ყველას გვისწავლია რიტორიკა და ლიტერატურა, და ჩვენი მოძღვარნიც, გარდა ზოგიერთი მათგანისა, იმას გვიქადაგებდნენ, რომ გონგორა იყო ჭეშმარიტი პოეტი, რომელიც მიზეზთა და მიზეზთა გამო, დროთა განმავლობაში გახდა მეტად ექსტრავაგანტური შემოქმედი. მან პოეტურ მეტყველებაში შემოიტანა უცნაური ზიგზაგები და რიტმები, რასაც თურმე ოდნეადაც ვერ აღიქვამს კაცის დალაგებული გონება. ამას გვასწავლიდნენ და იმავდროულად ცამდე აჰყავდათ ბანალური ნუნესი, ანდა კამპოამორა, — ქორწინების, ნათლისღებისა და მატარებლებით მგზავრობის მომღერალი, „რეპორტიორის“ სტილის პოეტი. ანდა კიდევ — სორილიო (შე, რალა თქმა უნდა, არ ვგულისხმობ დიდებულ სორილიეს, დრამებისა და ლეგენდების ავტორს), ვისი ლექსების ხმამაღლა კითხვა ასე უყვარდა ჩემი ლიტერატურის მასწავლებელს.

გონგორას გააფთრებით ესხმოდნენ თავს და გაშმაგებით იცავდნენ კიდევ. მისი ქმნილებანი დღესაც ცოცხლობენ, თითქოსდა აი, ეს წამია მელანი შეაშრათო, ხოლო მისი სახეულის გარშემო დღემდე გრძელდებოდა მითქმა-მოთქმა და, თუკი შეიძლება ასე იიღვას, რალაც-ნაირი მორიდებული კამათიც.

ენა იქმნება სახეთა მეშვეობით, ამ მხრივ ძალუშია მშობლიური ენა. სახურავის გადმონეულ ნაწილს ჩვენში „ფრთას“ ეძახიან, ხოლო ნუგბარ ჭამადს „მონაზვნის ამონაკენესს“. საყდრის გუმბათი შედარებულია „ფორთოხლის ნახევართან“. ასეთი შესანიშნავი სახეების რიცხვი აურწყავია. ანდალუზიური ხალხური ენის სახეობრიობა განსაცვიფრებელ სიზუსტესა და სიბრწყინვალეს იძენს გონგორას სიტყვაში.

წყალუხვი მდინარე, მინდორში რომ მდორედ მოედინება, აქაური გამოთქმით „წყლის ხარი“. ამგვარი ხატოვანი გამონათქვამი წარმოაჩენს სიტყვის მეფურ ღონესა და სიდიადეს. ერთმა გრენადელმა გლექსკაცმა მითხრა, რომ „ტირიფს წყლის ენაზე უყვარს აღმოცენება“. „წყლის ხარი“ და „წყლის ენა“ — აი, სახეები, ხალხის მიერ შექმნილი, რაც ასე მახლობელია გონგორას შემოქმედებისათვის.

„გონგორაზე ბევრი დაწერილა, მაგრამ დღემდე აუხსნელია, თუ როგორი რეფორმა მოახდინა მან პოეზიაში“, — ამ სიტყვებით იწყებენ გონგორაზე საუბარს ჩვენი მოწინავე და ფრთხილი მკვლევარები. არ მინდა აქ გავიხსენო მენენდესი-ი-პელაიო, რომელმაც ვერ გაიგო გონგორა, რადგან ძალზე კარგად იცოდა ყველა სხვა პოეტი. ხოლო ბატონმა ფიტსმორის ველიმ ერთხელ კიდევ დაგვარწმუნა კრიტიკოსის უმწეობაში, როცა განაცხადა, რომ

„მარტოობის პოემის“ ავტორის ერთადერთი მიზანი იყო, როგორმე თავისკენ მიექცია მკითხველის გულისყური.

ესპანეთში ბატონობდა და დღესაც ბოგინობს ის აზრი, თითქოს გონგორას გრამატიკის არაფერი ესმოდა და თითქოს მის პოეზიას არაფერი აკავშირებდეს მშვენიერებასთან. განთქმული ლიტერატორები და ენათმეცნიერები „მარტოობის პოემებს“ უყურებენ როგორც წყლულს, რაც აუცილებლად უნდა ამოიკვეთოს. ხოლო ხეპრე და გაუნათლებელი ხალხის ლანძღვა-გინება რა მოსატანია! მათ მოახერხეს გონგორას სახელისთვის გადაეფარებინათ ჩრდილი, და ნაცარი შეეყარათ თვალეში იმისთვის, ვისაც სულითა და გულით სწყუროდა გონგორას პოეზიას დასწაფებოდა; მთელი სამი საუკუნე ერთსადაიმავეს ჩაგვჩინებდნენ ყურში: ახლო არ მიეკაროთ, მანდ დიდი სიბნელეაო. ხოლო თავად გონგორა, მარტოსული და მოკვეთილი, როგორც კეთროვანი, იდგა და ელოდა ახალ თაობებს, რათა იმათთვის გადაეცა თავისი სახეებისა და მეტაფორების ჩახჩახა ხომლი.

ყველაფერს გემოვნება განსაზღვრავს, გონგორა კი არ უნდა წავიკითხოთ მხოლოდ — არამედ შევისწავლოთ. სხვა პოეტებისაგან განსხვავებით, თავისით რომ მოდიან და მოაქვთ თავიანთი გულისტკივილი და მონყენა, — გონგორას იქით უნდა ვეწვიოთ და ვეძიოთ ჩვენნივე გონებით. არაფერს მოგვეცემს ამ პოეტის პირველი ნაკითხვა. ფილოსოფიური ქმნილებანი იშვიათად შეიძლება რომ გაიგოს კაცმა, მაგრამ არავის მოუვა თავში, ქმნილების ავტორი შელანძლოს იმიტომ, რომ მისი ნაწარმოები გაუგებარია. თუმცა ამგვარი რამ პოეზიაში მგონი არცაა მოსალოდნელი.

რამ ჩააგონა გონგორას მანამდე არსებული ლირიკის გადატრიალება და რა იყო ამის ჭეშმარიტი მიზეზი? — თანდაყოლილი წყურვილი და ოცნება მშვენიერების ახალი ფორმისათვის ახალი სიტყვის მისადაგებისა; — კორდოვას მკვიდრმა ჩინებულად იცოდა ლათინური, მაგრამ მიზეზთა დასაბამი ისტორიაში როდი უნდა ვეძიოთ, არამედ — პოეტის სულში. ესპანურ ენაში მან პირველმა დააკანონა მეტაფორული აზროვნება.

გავა დრო და მარსელ პრუსტი იტყვის: „მხოლოდ და მხოლოდ მეტაფორას შეუძლია ჭამგრძელი გახადოს სტილი“.

გონგორას უყვარს ჭეშმარიტი სილამაზე. სილამაზე წმინდაა და მოუხელთებელი, თავისუფალი გულისგამანვრილებელი მონყენილობისაგან. ხალხს სჭირდება პური არსობისა, ხოლო იგი ეტრფის ძვირფას ქვებს. რეალურ სინამდვილეს მონყვეტილი, — იგი პოეტური სინამდვილის მენობტება.

პოეტს უნდა პქონდეს მახვილი თვალი, ყური და მძაფრად შეიგრძნოს გემო და სურნელი. „მარტოობის პოემაში“ გონგორა ამბობს:

ჭრელი ჩიტები — ჭრელი ციტრები,
თავს დასტრიალებენ ისინი
სოფლულების მგალობელ გუნდს,
ამ დროს მდინარე,
გალობა რომ უკეთ გაიგონოს,
ზვირთების თეთრი ქაფიდან ქმნის
იმდენ ყურს,
რამდენი კენჭიც გადაიარა.“

ხოლო უბრალო მწყემს გოგონას ასე აგვიწერს:

„მწყემსი გოგონა ამწვანებულ ნაპირზე
არჩევს და პკრეფს საუკეთესო ყვავილებს,
და თმას იმშვენებს.
ხოლო თავისი მშვენიერებით,
თუკი სხივებში მჩინარე ავრორა არაა, —
მზეა — ყვავილებში“.

მეტაფორა რომ გავაცოცხლოთ, ამისათვის აუცილებელია მიეცეს მას ფორმა და რადიუსი. მთავარი ბირთვი — ცენტრშია, და ირგვლივ იშლება პერსპექტივა, ეს ბირთვი იხსნება, იფურჩქნება, როგორც ყვავილი ჯერ უნახავი, მაგრამ სულ მალე შევისუნთქავთ იმის სურნელებას, ხოლო მისი ბრწყინვალება გვიქმნის განწყობას, რათა მას დავარქვათ ნამდვილი

სახელი. მეტაფორა ემორჩილება ხედვას და სწორედ ამ ხედვის მეშვეობით იძენს საგნობრიობას; ყველაზე არამინიერი ინგლისელი პოეტიც კი (კიტსი) ცდილობს შემოფარგლოს მეტაფორისა და სახის სივრცე, აი, რას გვეუბნება იგი: „მხოლოდ პოეზიას ხელწინაფება თავისი ზღაპრების მოყოლა“. თვალი იმას არ დაუშვებს, რომ ბინდმა შეფუთოს პოეტური სახის კონტურები.

ბრმადშობილი ვერ გახდება პლასტიკური სახეების შემქმნელი, არც ეცოდინება ბუნების პროპორციები; მისი ადგილი საუკეთესო შემთხვევაში მისტიკასა და ირრალურ სივრცეებშია მოზომილი.

ამრიგად, პოეტური ხატი აღმოცენდება ხედვის ნიადაგზე. შეგრძნება კი მას ანიჭებს მკაფიო ფეროვნებას. კინემატოგრაფისტი ჟან ეშტიენი ამბობს, რომ მეტაფორა ჰგავს „თეორემას, სადაც პირობითობა უცებ გადადის დასკვნაში“. ასეა ნამდვილად.

დონ ლუის დე გონგორას ორიგინალობა ისიც გახლავთ, რომ იგი პირდაპირ „ნადირობს“ პოეტურ სახეებსა და მეტაფორებზე და ამ ნადირობიკას, ცხენს რომ მიაგვლუებს, პირდაპირ მითში შეჭენდება ხოლმე. იგი გულმოდგინედ სწავლობს ძველ ბერძნულ ხელოვნებას, მითოლოგიას, გაურბის მთას და მიდის ზღვის სანაპიროზე, სადაც ქარი

„ტალღების ლაქვარდოვან სანთიობოს ჩამოაფარებს ხოლმე ფირუზის ფარდებს“.

და როგორც მოქანდაკე, იგი იქვე იწყებს თავისი ახალი პოემის ძერწვას. პარმონიითა და ბლასტიკით მოსავს გონშეუდგამ სახეებს, მის ხელში კონტინენტები და ოკანეები სათამაშოებს ემსგავსებიან და აქ, ერთმანეთს ერწყმის მიკრო და მაკრო კოსმოსი.

„ყმაწვილმა გაიხადა
ოკეანით შესმული ტანისამოსი,
დაუბრუნა ქვიშას და გაფინა მზეზე,
მზე — ცეცხლოვანი და ფერებიანი ენით
ოდნავ მიეკარება მას
და ითრევს, იწოცს თანდათან
მისი უწვრილესი ძაფიდან
უმცირეს ტალღას“....

ეს რვა სტრიქონი უფრო მეტ ნიუანსს შეიცავს, ვიდრე ტაროს „განთავისუფლებული იერუსალიმის“ მოზრდილი ნაწილი.

და რაკი იქით მიჰყავს თავისი ოცნება და შთაგონება, საითაც სურს და საითაც ეგუნებება, მას ძალუძს, როცა კი მოინდომებს, მოთოკოს თავისი თავი, რათა მართლა არ მოხვდეს სტიქიის ჯადოქრულ მარნუხებში და არ დაინეას იმგვარად, როგორც მრავალი გონდაკარგული პოეტი დამწვარა. აი, როგორ დაგვიხატა პოეტმა სუეცის არხი.

„არხი, რომელიც ჰყოფს ოკეანეს,
ბრძოლის გველეშაპს არ აძლევს ნებას,
რათა გაერთიანდეს —
ჩრდილოეთის დადაფნული თავი
და სამხრეთის კუდი,
გაჩახჩახებული ანტარქტიდის
თანავარსკვლავედებით“.

გაიხსენეთ მსოფლიო რუკის მარცხენა ფრთა. სხვა ადგილას იგი აგვიწერს ორი ქარის კონტურს, პოეტი თითქოს ხედავს მათ პროპორციებს:

„და ქრის აუსტრო (სამხრეთის ქარი),
რომელსაც მარად სველი აქვს ფრთები,
და ქრის იერსო (ჩრდილოეთის ქარი),
ასი პირით ამოსდის სული“.

ანდა აღწერს მაგელანის სრუტეს:

„როცა ეიპოვე წმინდა წყლის ვერცხლი,
ავიღე და შევაბი კარი,
თუმცაღა წვრილი,
მაგრამ სხვა და სხვა
და მარად ერთი და იგივე
ოკეანის შემაერთები...“



საყურადღებოა ის ამბავიც, რომ მცირე საგნებსაც ისეთივე სიყვარულით აღწერს პოეტი, როგორც დიდი მასშტაბის მოვლენებს. მისთვის ვაშლის სურნელი ისევე საამურიცაა, როგორც ზღვის სუნთქვა, ხოლო პანია ფუტკარი ისევე საკვირველია, როგორც ვეებერთელა ტყის წიაღი. მახვილი თვალით უმზერს იგი ბუნებას, და იცის, რომ ვაშლის შინასამყარო ისევე უსასრულოა, როგორც ოკეანისა; ვაშლის მნიფობა და შტოდან ჩამოვარდნა უდრის ოკეანის ტალღის მოქცევასა და მიქცევას. პოეტმა უნდა იცოდეს ეს. გონგორა ამბობს:

„მსხალი, რომლის ოქროცურელი აკვანი არის
წყითელთმიანი თივა,
ფერმკრთალი მისი გამზრდელი,
ინახავს მას, უვლის, თავზე დაჰფოფინებს
და ხელმადლიანი
ოქროსფერებით ასაჩუქრებს...“

პოეტისათვის — თივა, სადაც ჩავარდა მსხალი, „ფერმკრთალი გამზრდელია“, ეს „სა-
მკრთალი გამზრდელი „ინახავს მას, უვლის“, თავზე დაჰფოფინებს“, რათა არ მოხედეს
გამვლელის თვალი, ვიდრე კარგად არ დამნიფდება და ოქროსფერს არ მოიკიდებს.

აი, როგორ აღწერს იგი ხის ფულუროს (ანუ ციფე-სიმაგრეს), სადაც ფუტკარი ინახავს
თაფლს:

„მოფრინდა იგი,
მზიარული ამორძალი,
უგონიერესი დიდონის მეომარი,
უბრწყინვალესი რესპუბლიკიდან,
რომელსაც არა აქვს კარიბჭეები,
არა აქვს გაღაჟანი,
არამედ ქერქი ავლია გარშემო.
ამ კართაგენში მეფობს ფუტკარი,
ოქროსფრად მოზიმზიმე,
გაბრუებული ქარის ნექტარით,
გაბრუებული ციური ოშხივარით,
რადგანაც ხარბად შეისრუტა,
ცვარი წყნარი ვარსკვლავებისა“.

პოეტმა გამოქვაბული შეადარა „მინის უსასოო დამთქნარებას“.
თანამედროვე პოეტთაგან გონგორას მხოლოდ კევედო თუ გაუტოლდება ხანდახან,
მაგრამ კევედოს მეტაფორები მაინც ნაკლებად გვხიბლავენ.

მხოლოდ XX საუკუნემ მოგვცა დიდი პოეტი — სტიუფან მალარმე. მალარმეზე უკეთესი
სი მონაფე გონგორას არცა პყოლია. ეს ორი პოეტი თითქმის ერთნაირად აღიქვამს გარე-
მოს, მაგრამ გონგორა, როგორც პოეტი, უფრო ძლიერია, რადგან უფრო ღრმადაა შესუ-
ლი ენის წიაღში.

გონგორას კითხვისას ჩვენ თვალწინ ჩაივლიან ის საგნები, რაზედაც გვესაუბრება პო-
ეტი: ჭადრები, ყვავილები, მწყემსები, ზღვები, ეს ყველაფერი კორდოველი პოეტის სუ-
ლის ნაწილია. გონგორას ზღვა „მარმარილოში ჩასმული ზურმუხტის თვალია, „რომელ-
მაც“ არ იცის, რა არის მოსვენება“, ხოლო აღვის ხე „მწვანე სიმია“. ან რა საჭიროა ყვა-
ვილი სეჭიროს ხელში, როცა ყვავილზე დანერილ ლეფსს ვენაფები. ან ყვავილი იქნება ზე-
დმეტი, ან — ლექსი.

პოეტი, რომელიც ფიქრობს პოემის შექმნაზე, დაბურულ ტყეში სანადიროდ მიმავალ
კაცს მოგვაგონებს... გრილი წიაფი სცემს შორეთში მზირალ თვალებს. ხეთა სიჩუმეში ბზი-

ნავს მთვარე. ღიობში მოჩანს თეთრი ირემი. სინუმე ეფინება ლეჩქად ლამეში მიმავალ მდინარეს და პოეტი გზაზეა შემდგარი. საშიშია ეს ნამი პოეტისათვის. მან უნდა იცოდეს იმ ადგილების გეოგრაფია, საითკენაც მიემგზავრება და გულმშვიდად უნდა შეხედოს გზად შემხვედრ მახინჯ და მშვენიერ ხატებს: მან როგორც ულისემ ყურები უნდა დაიციოს სირენების გამაყრუებელი ხმაურისაგან, გვერდი უნდა აუაროს ცრუ მეტაფორებს და მხოლოდ ნამდვილსა და ცოცხალ მეტაფორებს აძგეროს მახვილი, ხოლო ასეთი ნადირობისათვის არავინაა ისე გამზადებული როგორც გონგორა. იგი იმგვარ ნადირს მისდევს, რომელსაც ფერაფერ ვერ ამჩნევს.

დიდი ფრანგი პოეტი პოლ ვერლენი ამბობდა, რომ მარტო შთაგონებაზე არ უნდა იყოს პოეტი დამოკიდებული. და თუმცა მე მჯერა ციხე მობერილი შთაგონების სიდიადე, მაინც მგონია, რომ ვალერი მარტალია; შთაგონება განანყოფს პოეტს ლექსის შესაქმნელად, მაგრამ შემოქმედებითი დინამიზმი სხვა რამეა. ჯერ უნდა დაინშინდოს გონება, რათა ლექსის საგანი მკაფიოდ გამოჩნდეს. არა მგონია, რომელიმე დიდ ხელოვანს ალგზნებულ მდგომარეობაში შეექმნას თავისი შედევრი. მისტიკოსებიც კი მაშინ ჰკიდებენ ხელს კალამს, როცა მათ სენაკს დასტოვებს საკვირველი ღვთის მტრედი და ღრუბლებში გაუჩინარდება; შთაგონებიდან ისე ბრუნდები, როგორც უცხო ქვეყნიდან, ხოლო მძაფრი ლექსი — ამ მოგზაურობის ამბავია.

შთაგონება იწვევს პოეტურ სახეს, მაგრამ სამოსელი მისი ჯერ კიდევ უჩინარია. სახემ რომ ხორცი შეისხას, საჭიროა მშვიდად და აუღელვებლად შევიმეცნოთ სიტყვის ხარისხი და პანგია. გონგორა რთული პოეტია, მაგრამ ამასთანავე ნათელი და გასაგები.

„ისეთი მშვენიერია ქალწული,
რომ იმის ორ მზეს
შეუძლია გააღღვოს ნორვეგია,
ხოლო ორ მკლავს —
გათეთროს ეთიოპია.“

ეს ნმინდა ანდალუზიური ფერწერაა — ესაა მხედრის საკვირველი ჯომარდობა, რომელმაც გადასურა გვადალკვივირი. აქ, როგორც ხელის გულზე, ისე ჩანს მისი ფანტაზიის სივრცე.

ორიოდე სიტყვით შევეხოთ გონგორას „სიბნელეს“. როგორია ეს „სიბნელე?“ მე მგონია, რომ გონგორა სცოდავს სწორედ თავისი დამაბრმავებელი სიბრწყინვალით; კაცი, რომელიც საერთოდ არ იცნობს პოეტურ სამყაროებს, არ შეიძლება დატკბეს მისი პოეზიით; როგორც ვერ დატკბება ფერწერული ტილოთი, თუმცა კი დაინახავს, იმ ტილოზე რა არის ახატული! გონგორა არა მარტო უნდა წაიკითხო, არამედ უნდა შეიყვაროს.

გაიფურჩქნენ ახალი სიტყვები, ახალი სივრცე გადაიშალა ჩვენი ენისათვის. დიდი პოეტი გაცოცხლებული ცვარია ენისა. ესპანურ ენას მეტი სამსახური გაუწია გონგორამ, ვიდრე თვითონ სერვანტესმა, და მიუხედავად ამისა, ჩვენი აკადემია მას ავტორიტეტად არ ჩაიჩნევს.

მაგრამ გონგორას „სიბნელეს“ თანდათან ჩამოსცილდა მძიმე ფარდა. — ენა მისი უკვე გაიგეს. უკვე აღარაა პოეტის ლექსიკონში გაუგებარი სიტყვა. მისი ლექსიკა ხალხში გავიდა. ხოლო, რაც კი აქამდე გაუგებარი დარჩა, — ეს მხოლოდ პოეტის მითოსური სამყაროა; ჯერ კიდევ ბევრი არ იცნობს მითოსს. მითში იძენს განუმეორებელ ფლერადობას გონგორას პოეზია. იგი ქმნის მინიშნებებით, შეფარვით და გვიჩვენებს პოეტური ხატის მხოლოდ ერთ ნახნავს. გარემოცულს ათასი სხვა ხატით. გონგორას პეიზაჟებში მძვინვარებს სტიქია, როგორც ყოვლისმომცველი ცოცხალი არსება.

„ზღვა ყრუ კი არ არის, —
გვატყუებს ცოდნა. —
თუმცა ის ხანდახან არ უსმენს მენავეს,
ან კიდევ უგულოდ ანჯღრევს ხომალდს, —
მას უფრო მეტი ასხია ყური,
ვიდრე იმ კაცმა დაიჩივლა.“

რომელიც ხნავდა მის მღელვარე ყანას;
 მან შეისრუტა ცრემლიანი აღსარება,
 ფრთებით რომ აიტაცა
 და ქარს გაატანა, —
 ექომ, მინარცხებულმა კლდოვან ციცაბოს,
 დამილა და არ გამოაჩინა,
 სანუკვარი,
 თუმცა, არც თუ ისე ნათელი ხმა, —
 და სწორედ იმ დროს.
 ქოხმახი იდგა, როგორც სიმღერის ბოლო!”



* *

„ოკეანე, — ესაა კენტავრი,
 ქაფისგან შექმნილი,
 რომელიც ტყეების სანაპიროს
 და ამაოდ ცდილობს შორ მთაზე ასვლას“...

გონგორას სტილი მაძლარი და დიდებულია, და არამც და არამც — „ბნელი“, ბნელი ჩვენა ვართ, რაკილა არ ძალგვიძს სინათლის დანახვა.

ურთულესი პრობლემები გადასჭრა პოეტმა. მან შექმნა ლირიკული პოემა, რაც ასე დაუპირისპირდა ეპიკურს. მაგრამ, როგორ გინდა შეინარჩუნო წმინდა ლირიული განწყობილება ამ შორეულ გზაზე, სადაც მიემართება სტრიქონების ესკადრონები? როგორ გინდა შეინარჩუნო, რომ ამბავში არ გადახვიდე? გონგორამდე ხომ დიდი ღირსება ენიჭებოდა სიუჟეტს, ამბავს, ხოლო თუკი არაფერს არ მოჰყვები, როგორ გინდა პოემა ნაკუნებად არ დაიშალოს, — და მთლიანობა არ დაიკარგოს? გონგორა თავისებურ გზას ადგას. ის მეტაფორებით ნაღმავს სტრიქონებს, უკან იხევს პოემის სიუჟეტი და ამბავი ემგვანება ჩონჩხს, რაზედაც ჰყვავიან პოეტური სახეები.

გონგორამ მთელი სიგრძე-სიგანით გაითვალისწინა ძველი ესპანელი პოეტების ტრადიცია და ისე შექმნა „მარტოობის პოემები“. ბუკოლიკური ქვეყანა რაზედაც ოცნებობდა სერვანტესი. არკადია, რაც ვერას გზით ვერ ამონურა ლოპე დე ვეგამ, და გონგორამ შეძლო შეუძლებელი.

შზის სხივებს ითვლიდა
 სპილოს ძვლის სავარცხლით
 პირმშვენიერი ხასინტა“...
 „ხელმა დაჩრდილა სავარცხელი...“

მცირე მოცულობის ლექსი ჰაეროვანი უნდა იყოს. გრძელმა ლექსმა მეტი აზრი უნდა დაიტოს. გავიხსენოთ XX საუკუნე: ვერლენი, ბეკერი; ხოლო ბოდლერი უფრო ფორმითაა რაინტერესებული.

გონგორა უკვდავების გზაზეა შემდგარი.

„თუკი საკუთარ თავზე ვიტყვი რაიმეს, — ჩემი პოემა ორმაგ სიხარულს მანიჭებს: გონიერი მკითხველი თუ შემხვდა, იგი ჩემს ნამოღვაწარს სათანადოდ დააფასებს. ხოლო სახელი ჩემი არასოდეს დაიკარგება, რადგან გავამდიდრე და გავაბრწყინე მშობლიური ენა“.

1627 წელია. ვალებში ჩაფლული, ავადმყოფი პოეტი, სულით ნაგვეში და განამებული ბრუნდება კორდოვაში, თავის ძველ სახლში. ბრუნდება არაგონის სანახებიდან, სადაც მწყემსებს ისე აქვთ წვერი მოშვებული, როგორც ახოვან მუხას ფოთლები. ბრუნდება მარტო, უმეგობრო, უნათესაეო. მარკიზ დე სიეტე იგლესიასი თავისი სიამაყის გამო ეზაფოტზე ადის, ხოლო გონგორას მარადი თავყვანისმცემელი მარკიზი დე ვილია მედიანა მოსყიდული ჯალათების მახვილმა განგმირა. პოეტის ეზო-კარი ფეხშიშველა მლოცველების საყდარს შესცქერის, ხოლო კორდოვა, ანდალუზიის ყველაზე მელანქოლიური ქალაქი, — ცხოვრობს თავისი ცხოვრებით, ჩუმად და შეუმჩნეველად, როგორც აქამდის; აღარც გონგორას დაბრუნება შეუმჩნევიათ აქ.

იგი დანგრეულია — გაპარტახებული. იგი ახლა დამშრალი წყალია და დაგვალული მინა. და რა ხდება მადრიდში? — არაფერი. თავქარიანი მადრიდი ტაშს უკრავს ლოპე დე ვეგას კომედიებს. მარტოობას ყველგან აიტანს კაცი, მაგრამ მარტოობა კორდოვაში? ამაზე საშინელი და დრამატული იქნება რამე? პოეტის თქმით, მას შერჩა მხოლოდ თავისი წიგნები, თავისი ფანჩატური და თავისი დალაქი — ძალზე მცირე რამ იმგვარი კაცისათვის, როგორც გონგორაა.

1627 წლის 23 მაისი, პოეტი დაჟინებით მოითხოვს, უთხრან, რომელი სახლია. გამოდის აიფანზე, მაგრამ ნაცნობ პეიზაჟს როდი ხედავს, ხედავს უსასრულო ლაყვარდს, ხედავს მახლობელი კოშკის თავზე ჩამონოლილ ქათქათა ღრუბელს. გონგორა პირჯვარს იწერს და ნვება ლოგინში, რომელსაც კომშისა და ფორთოხლის სურნელი ასდის, და მხოლოდ შემდგომად ამისა დასტოვებს მას სული თვისი, რათა აღმავალი კიბეებით შეერწყას ზეცას. ხოლო სერვანტესმა ასე დაახასიათა პოეტი:

„ეს სანუკვარი, ყველასათვის საყვარელი,
გამჭრიახი გონება, ღრმა და ხშიერი,
ეს პოეტი — პოეტების მეფე,
ყველაზე უკეთესი პოეტთა შორის,
რაც კი ოდესმე უნახავთ!“





გერმანულიდან თარგმნა გიორგი მაჭუტაძემ

ულრიკ პლენცდორფის მოთხრობის „ახალგაზრდა ვ-ს ახალი ვნებების“ გერმანიის თარგმანი

უარშანწინ ჟურნალ „საუნჯის“ მე-5 ნომერში, რომელიც გერმანულენოვან ლიტერატურას მიეძღვნა, სხვა ნაწარმოებებთან ერთად დაიბეჭდა გდრ-ელი მწერლის ულრიკ პლენცდორფის მოთხრობაც „ახალგაზრდა ვ-ს ახალი ვნებანი“. მოთხრობა თარგმნა გერმანისტმა დალი ფანჯიკიძემ. თარგმანის ჯერ მთლიანობაში ნაკითხვამ, შემდეგ კი დედანთან მისმა შედარებამ ჩემზე საუცხოო შთაბეჭდილება მოახდინა, რაც ზუსტი თარგმანით აიხსნება.

ამ მოთხრობის თარგმანი უთუოდ ქართული მთარგმნელობითი ხელოვნების დიდ მოვლენად უნდა ჩაითვალოს, ამასთან აღსანიშნავია, რომ აქ თავიდან ბოლომდე შენარჩუნებულია თარგმანის ძირითადი პრინციპი: „რაც შეიძლება ზუსტად, საჭიროებისამებრ თავისუფლად“.

გდრ-ის თანამედროვე ლიტერატურის სწორედ ამ ემნიღების (და არა რომელიმე სხვისი) არჩევანიც ხომ მთარგმნელი ქალის უტყუარ გემოვნებაზე მეტყველებს. ულრიკ პლენცდორფის მოთხრობა, გარკვეული აზრით, ახალ გზებს თვლავს და ფორმისა და შინაარსის თვალსაზრისით შეიძლება მნიშვნელოვანი ბიძგი მისცეს ლიტერატურის განვითარებას.

თომას მანის ენობრივ სტილს თუკი რთულად მივიჩნევთ, მაშინ უ. პლენცდორფის სტილიც არანაკლებ რთულად უნდა მივიჩნიოთ, თუმცა ამ ორი მწერლის ენა, მეტი რომ არ შეიძლება, ისე განსხვავდება ერთმანეთისაგან. პლენცდორფის მოთხრობა, ფორმით რომ საინტერესოა, მაგრამ სათარგმნელად ძნელი, — სულ იმ ძალზე თავისებური ენის ბრალია, რომლისთვისაც ნიშნულია ახალგაზრდებს შორის გავრცელებული ჟარგონი, ვულგარიზმები და მოდური სიტყვები, რაც თავის მხრივ ახლო კავშირშია ლექსიკურ, სტილისტურსა და სინტაქსურ თავისებურებებთან. ლაპარაკია შედარებით დღემოკლე ენაზე, რომელმაც შესაძლოა რამდენიმე წელიწადში სულ სხვანაირი სახე მიიღოს. აი, სწორედ ეს გარემოება აძნელებს საშინლად ამ ნაწარმოების თარგმნას; გვხვდება ადგილები, რომელთა გაგება თვით გერმანულ მკითხველსაც კი უჭირს; გარდა ამისა, ახალგაზრდობის ენა მეცნიერული თვალსაზრისითაც ჯერ კიდევ შესასწავლია, ამიტომ სტილისტური სპეციალური ლიტერატურა მთარგმნელს ვერაფერში დაეხმარებოდა, და თუ თარგმანი ასე საუცხოოდ გადმოსცემს დედანს, ეს იმას უნდა მივანეროთ, რომ მთარგმნელი არა მარტო სრულყოფილად ერკვევა გერმანული ენის სტრუქტურაში, არამედ ჩინებული ენობრივი გამოცდილებაც აქვს და ამიტომაც არ გასჭირვებია უამრავი დაბრკოლების დაძლევა; ნატიფი ალღოთი ჩაეძიება დალი ფანჯიკიძე გერმანული სიტყვებისა და გამოთქმების აზრობრივ და სტილისტურ ნიუანსებს და მუდამ პოულობს ზუსტ შესატყვისებს. ზოგჯერ თარგმანი სიტყვასიტყვით არ მისდევს დედანს, მაგრამ შინაარსი ყოველთვის უცვლელი რჩება. ახალგაზრდობაში გავრცელებული ჟარგონი, რაც ამ წიგნს სტილისტურად აცოცხლებს, დ. ფანჯიკიძემ ჩინებულად გადმოსცა. საერთოდ უნდა ითქვას, რომ მთარგმნელმა მთლიანად შეისისხლხორცა მწერლის ნააზრევ-ნაფიქრალი.

მთარგმნელისთვის (გერმანელი მკითხველისთვისაც) უსიამოვნო მაგარ-მაგარი ვულგარიზმები, რომლებიც აქა-იქ გვხვდება, ქართულ თარგმანში, გასაგები მიზეზის გამო, შერბილებულია. ამით თარგმანმა, ჩემი შეხედულებით, კი არ იზარალა არამედ მოიგო კიდევაც.

გერმანულ ტექსტში ზოგან გვხვდება გამოთქმები, რომელთაც, თუ პირდაპირ ვთარგმნით, ის აზრი ეკარგებათ, რაც გერმანულში აქვთ. ასეთ შემთხვევებში მთარგმნელმა მოძებნა ქართული შესატყვისები, ზუსტად რომ გადმოსცემენ ~~დედნისეულ~~ მნიშვნელობას.

არ მეგონა, თუ ასე კარგად შეიძლებოდა ენობრივად ესოდენ რთული ნაწარმოების თარგმნა, ამიტომ დალი ფანჯიკიძის დასახელებულმა თარგმანმა ჩემზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. მთარგმნელი ბოლომდე ჩანვდა ნაწარმოების სულს და ბრწყინვალედ გადმოსცა იგი.





შემოქმედებით სახელოსნოში

გაბრიელ გარსია მარკესი ლიტერატურაზე, თავის თავსა და თავის შემოქმედებაზე

1967 წლის შემდეგ, რაც გამოჩნდა გაბრიელ გარსია მარკესისათვის საქვეყნო აღიარების შომტანი რომანი „მარტოობის ასი წელი“, მწერალს აურაცხელ კითხვაზე მოუხდა პასუხის გაცემა და კვალდაკვალ მოთხრობა იმისა, თუ როგორ იწერებოდა მისი წიგნები. რამდენიმე წლის მანძილზე კოლუმბიელი ჩწერალი პიამოვნებით თანხმდებოდა: თხოვნას, მიეცა ინტერვიუ, როგორც ერთხელ თავად ახსნა — არა მარტო ჟურნალისტ-კოლეგებისადმი პროფესიული სოლიდარობის გამო, არამედ მკითხველთა პატივისცემის გამოც. ჭეშმარიტად, გარსია მარკესი თავის მკითხველს საცუთად და მადლიერებით ექცევა: იგი ეკუთვნის ისეთ მხატვართა რიცხვს, ვისთვისაც თვითგამოხატვის იმპულსი განუყოფელია მოთხოვნილებისაგან — გამუდმებით გრძნობდეს მკითხველის სიპასუხი რეაქციას, ცოცხალ „დამბიანურ თანაგრძნობას“.

მწერლის ოჩეული გამოხატვაშედეგები რუსულ ენაზე პირველად „ინოსტრანნაია ლიტერატურას“ 1971 წლის მეექვსე ნომერში გამოჩნდა (პუბლიკაცია და თარგმანი ეკუთვნის ვ. კუტიეშიკოვას). მომდევნო წლებში ახალ რომანებზე მუშაობით გართული გარსია მარკესი გაუბოდა ლიტერატურულ თემებზე სერიოზულ მსჯელობას. მხოლოდ „პატრიარქის შემოდგომის“ გამოსვლის შემდეგ (1975), თანაც არცთუ ისე მალე — დაიწყო ხელახლა საუბარი საკუთარ შენიჭებებზე.

ახალი ინტერვიუების კითხვის დროს, ბუნებრივია, მათ აღრინდებდნენ ვადარებთ და ერწმუნდებოდათ, რომ უცვლელი დარჩენილა გარსია მარკესის მხატვრული პროგრამა და საზოგადოებრივი პოზიცია, მისი უკომპრომისო პატიოსნება და საკუთარი თავის მიმართ უშეღავათო მომთხოვნელობა: მას ცხოვრებაში ყველაზე მნიშვნელოვნად კვლავინდებურად სამუშაო მაგიდასთან და საბეჭდო მანქანასთან გატარებული წუთები შიარნია. „მწერლის რეგოლოგიურა მოვალეობა კარგად წერა“, — თქვა მან 1968 წელს და ამ სიტყვებს ის დღესაც ამეორებს.

მწერალში, არსებითად, მოხდა მხოლოდ ერთი ცვლილება: ათი-თორმეტი წლის წინათ, როდესაც იგი მხურვალე თანაგრძნობას უცხადებდა მშობლიურ კონტინენტზე განმათავისუფლებელ მოძრაობას და სოციალიზმისადმი ერთგულებაზე ლაპარაკობდა, იქვე აღიარებდა, პოლიტიკური მოღვაწეობის უნარი არ შემწვესო. ახლა გარსია მარკესი აღარ ცდილობს ამის მტკიცებას — ნოელი მსოფლიო ადევნებს თვალყურს ბოლო წლებს მის პოლიტიკურ გამოსვლებს, მის მოთხოვნილებას ჩილეს ხუნტის დანაშაულობათა საერთაშორისო საძიებო კომისიის მუშაობაში. მის რაპერატიულ პუბლიცისტურ რეპორტაჟებს (ერთ-ერთ მათგანს — „ინტერნაციონალურ მოვალეობათა კარნაჟიო“, — ანგოლაში შექმნილ ვითარებას რომ ეძღვნება, საბჭოთა მკითხველი გაეცნო აქურნალ „ლათინური ამერიკის“ 1978 წლის მეექვსე და 1979 წლის მეორე ნომრებში).

რა იყო ამ ცვლილების მიზეზი? უწინარეს ყოვლისა, თვით 70-იანი წლების ისტორიული მოვლენები: ჩილელი ხალხის ტრაგედია, მოქალაქეობრივი პათოსნებისკენ რომ მოუწოდებდა მწერალს, ლათინურ ამერიკაში ანტიიმპერიალისტური მოძრაობის აფეთქება, რამაც კიდევ უფრო გაამძაფრა ქვეყნის საზოგადოებრივ-პოლიტიკური სტრუქტურის კრიზისი. მაგრამ აუცილებელია აღინიშნოს ერთიც — პირადი პასუხისმგებლობის გრძნობა მსოფლიო მოვლენათა განივ, რაც მათ უფრო მეტად მოაყვდა გარსია მარკესს, რაც უფრო მეტად ჩაწმენდებოდა, რომ მისმა წიგნებმა კემპარსტილ საყოველთაო პოპულარობა მოუტანეს, მოუხვეჭეს უდიდესი ადამიანური ავტორიტეტი და გაუფონარი ძალა შესძინეს ყოველ მის გამონათქვამს, ასე იგრძნო მან თავი ვალდებულად — პირადი აღიარება ჩაეყენებინა სამართლიანი საქმის საპასუხურში.

სწორედ ამ გრძნობამ უყარნახა მწერალს ფართოდ გახმაურებული განცხადება იმის თაობაზე, რომ ახალ მხატვრულ ნაწარმოებებს მანამდე არ გამოაქვეყნებს, სანამ პინოჩეტის დიქტატურა არ დაემხობა. შემდეგ ვარსია მარკესმა ხალხისათვის აღიარა, ამ განცხადების შეშვეობით ვცდილობდი მსოფლიოში გამეზარდა ჩილეს რეაქციული რეჟიმის მოწინააღმდეგენი — თუნდაც ჩემგან კარგი წიგნის მომლოდინე მკითხველთა ხარჯზე! ზოგს შეიძლება ეს სიტყვები კადნიერად მოეჩვენოს, ზოგს — არასერიოზულად... რას იზამ, მკაცრი სერიოზულობა მართლაც არ ახასიათებს გარსია მარკესს. ის ჩვეული ხუმრობის კილოთი გამოთქვამს სავსებით საფუძვლიან მოსაზრებებს: ჩვენს ეპოქაში, მწერალს, რომელსაც წილად ხვდა ბედნიერება გამხდარიყო მილიონობით ადამიანის ფიქრთა მპყრობელი, შეუძლია ამ ადამიანებზე გავლენა მოახდინოს არა მარტო სიტყვით, არამედ დუმილითაც.

ზოგიერთ გამონათქვამზე ვარსია მარკესს შეიძლება კიდევ შევედავოთ. ის უეჭველად მართალია, ლათინური ამერიკის რომანის ეგრეთ წოდებული ბუმის მთავარ მიზეზად კუბის რევოლუციას რომ მიიჩნევს, რომელმაც მთელი მსოფლიოს ყურადღება მიაპყრო ლათინურ ამერიკასა და მის კულტურას. მაგრამ მწერლის განცხადება იმის თაობაზე, თითქოს ევროპაში მანამდე სრულდება არ იცნობდნენ თანამედროვე ლათინურ ამერიკის ლიტერატურას, რამდენადმე გაზვიადებულად გვეჩვენება, პაბლო ნერუდას, ეორჟი ამადუს, ნიკოლას გილიენის, შემდეგ ახალი ლათინურამერიკული რომანის ფუძემდებლების — მიგელ ანხელ ასტურიისისა და ალესო კარბენტიერის ნაწარმოებებმა სხვადასხვა ენებზე და მათ შორის რუსულად თარგმნისთანავე, ჯერ კიდევ 40-იანი წლების ბოლოს, მოიპოვეს ევროპელ მკითხველთა აღიარება. რაც შეეხება ასტურიისს, რა თქმა უნდა, არ შეგვიძლია დავეთანხმოთ საბჭოთა მკითხველისათვის კარგად ცნობილი რომანის „სენიორ პრეზიდენტის“ მარკესისეულ დამამკირებელსა და გოვლად დაუსაზღოვებელ შეფასებას. აქ თავი იჩინა ორი მწერლის შემოქმედებითი მიზანდასახულობის საფუძვლიანმა განსხვავებულობამ, რაკი მათ პოლიტიკური დიქტატურის ერთსა და იმავე თემას მიმართეს სრულიად სხვადასხვა ისტორიულ პირობებში, მაგრამ შეიძლება თავისი როლი ითამაშა პირადმა დამოკიდებულებამაც: ცნობილია, რომ ასტურიისმა არ აღიარა „მარტოობის ასი წელი“ და ცხარედ დაესხა თავს მის ავტორს.

თანამედროვე ლათინურამერიკულ პროზაზე საუბრისას არ შეიძლება გვერდი ავუაროთ ეგრეთ წოდებული მაგიური რეალიზმის პრობლემას. ვარსია მარკესი იძლევა ამ პრობლემის საკსებით ნათელ ახსნას. „მაგიური“ მისთვის ხალხური წარმოსახვის რეალობაა, აქედან გამომდინარე — იგი ხალხის ცხოვრების განუყრელი ელემენტი, მხატვრული შემოქმედების დაუშრეტელი წყაროა. 1978 წლის 19 აგვისტოს, ჟურნალ „ლათინური ამერიკის“ რედაქციაში საბჭოთა ისტორიკოსებთან, ლიტერატურათმცოდნეებსა და მთარგმნელებთან შეხვედრისას მწერალს რომ ჰკითხეს: „რა უფრო გჯერათ, მაგიური რეალიზმი თუ ლიტერატურის მაგიაო“, — მან უპასუხა: „მე მწამს მაგია რეალური ცხოვრებისა. ვფიქრობ, კარბენტიერიც „მაგიურ რეალიზმს“ სინამდვილეში უწოდებს იმ სასწაულს, რასაც თვით რეალობა წარმოადგენს. სახელდობრ, ლათინური ამერიკის რეალობა სერთოდ, კერძოდ კი რეალობა კარიბის ქვეყნებისა... მაგრამ ჩვენ განათლება დეკარტეს მიხედვით მივიღეთ, ამ განათლებით გამოვედით ცხოვრებაში, ჩვენში კი ასეთი განათლება საკმარისი აღარ არის... ამიტომ ვფიქრობ: ერთადერთი, რაც უნდა ევალდებოდეს მწერალს, რომელსაც თავი მაგიური რეალიზმის „მაგიის“ წვერად მიაჩნია, ისაა, რომ სწამდეს რეალობა და არა ცდილობდეს მის ახსნას. დაე, იგი ახსნან კრიტიკოსებმა, მეცნიერებმა, სოციოლოგებმა და სხვებმა.“

მკითხველი შეიძლება განცვიფრდეს, ვარსია მარკესი ლიტერატურაზე მსჯელობისას ასეთ უდიდეს, ლამის პროვიდენციულ მნიშვნელობას რომ ანიჭებს კარიბის აუზის ქვეყნებს. მხედველობაშია მისაღები ის გარემოება, რომ მარკესისათვის კარიბის რეგიონს, კარიბის სამყაროს აქვს არა გეოგრაფიული, არამედ უფრო კულტურული გაგება (ამაოდ როდი შემოატყავს მას აქ ბრა

ზილია და ფოლკნერსაც კარბის ქვეყნების მწერალთა შორის მოიხსენიებს). გარსია მარკესი ამ იმეორებს და ავითარებს ალექს კარბენტეირის მოსაზრებას. თუკდაათი წელიწადია, რაც ალექს კარბენტეირი განუწყვეტლივ შეგვახსენებს, რომ სწორედ კარბის აუზის ქვეყნებში მოხდა სამი რასის ისტორიული შეხვედრა, რამაც სათავე დაუდო ახალი შერეული ერების ფორმირებას, და, ამრიგად, ამ რაიონში გრძელდებოდა ხმელთაშუა ზღვის ევროპულ ქვეყნებში რამდენიმე ათასწლეულის წინათ დაწყებული ხალხთა უდიდესი შერევა. კარბის სამყაროს წილად ზვდა ამ სისტემაში გამოსულიყო როგორც ლათინურამერიკული კულტურის ცოცხალი სამბოლო და თავის თავში გაეერთიანებინა მისი სამი ძირითადი ელემენტი: ინდიური, ევროპული და აფრიკული, რაღაც ვარკვეულწილად კი პირველსახეც მომავალი საკაცობრიო კულტურისა, რომელსაც შემკვიდრეობილ აქვს მიღებული სრულიად განსხვავებული საწყისები და ტრადიციები. რაც აბსოლუტურად უცხოა ყოველგვარი ეროვნული კარჩაკეტილობისა და განსაკუთრებულობათა თეორიებისათვის, ყოველგვარი რასიზმისათვის, როგორი სამოსითაც არ უნდა გვევლინებოდეს იგი.

აი, უკანასკნელი წლების გამონათქვამებში რატომ იმეორებს იგი ასე დაეინებით, რომ თითოეულმა მწერალმა აუცილებლივ უნდა აითვისოს კაცობრიობის არსებობის ათასწლეულების მანძილზე შექმნილი მთელი კულტურული მემკვიდრეობა. მარკესი უფრო მეტი ბასუენისმგებლობითა და გულახდილობით ლაპარაკობს ლიტერატურულ გავლენებზე, გვიშხელს ამ გავლენათა არცთუ ისე მარტივ მქეანძმს. თუ ოდესღაც გაცხარებით ამტკიცებდა, არაფრით არა ვარ დაეალებული ფოლკნერისაგან და ფოლკნერის წიგნები მას შემდეგ წავიკითხე, რაც „დაცვენილი ფოთლები“ გამოვაქვეყნეო, ახლა გვიშხელს, რა შთამავგონებელ, იმავე დროს, როგორ დამთრგუნველ მაგალითად ექცა ჩრდილოეთამერიკელი კლასიკოსი და როგორ გაუჭირდა მისი გავლენის დაძლევა.

იმის გასარკვევად, თუ რა მიაჩნია გარსია მარკესს მაგალითად და ნიმუშად, რისი დაძლევაც აუცილებლად ესახება, სავსებით დამახასიათებელია მისივე სიტყვები კაფკას შემოქმედებაზე — ეს სახელი მარკესმა დაასახელა მაშინვე, როგორც კი საბჭოთა კრიტიკოსებთან ხსენებული საუბრის დროს სიტყვა მის მიერ განცდილ ლიტერატურულ გავლენებზე ჩამოვარდა: „ჭერ კიდევ სკოლაში გამიჩნდა წერის უდიდესი სურვილი, მაგრამ მე ვცდილობდი, უფრო შორს წავსულიყავ. გადამელახა მანამდე წაკითხული მწერლების მიერ დადგენილი ზღვარი. შემდეგ, უნივერსიტეტში, ერთ ღამეს, შემთხვევით ხელში ჩამივარდა კაფკას მოთხრობების კრებული „მეტამორფოზები“. დავიწყე თუ არა კითხვა, გავიფიქრე: „თუკი ეს ლიტერატურისათვის გამოსადეგია, მაშასადამე — ღირს წერა. არ მეგონა, ამგვარი რამ თუ შეიძლებოდა. ვფიქრობდი, ეს აკრძალული იყო. რაკი ასეა, ხალხისათვის მეც მაქვს რაღაც სათქმელი-მეთქი. წერა მეორე უდესვე დავაწყე“.

თუმცა გარსია მარკესს სულ მალე აღარ აკმაყოფილებს კაფკას გავლენით დაწერილი მოთხრობები, „...ეს განყენებული მოთხრობები, რომლებსაც, არსებითად, არავითარი საერთო არა ჰქონია არა მარტო საერთოდ ჩემს ცხოვრებასთან, არამედ იმქამინდელ ჩემს ცხოვრებასთანაც. მერე მშობლიურ სოფელში მომიხდა დაბრუნება და პირისპირ შევეჯახე ნამდვილ ცხოვრებას, შევეჯახე სულ სხვა რეალობას, და მივხვდი, რომ ლიტერატურული იარაღი, რასაც იმ ხანებში ვფლობდი, მათ შორის ისიც, რაც კაფკას ნაწყალობევი იყო, არ ივარგებდა საიმისოდ, რისი დაწერაც მსურდა“.

ამავე საუბრის დროს, ლიტერატურული გავლენებს რომ შეეხო, გარსია მარკესმა ბევრი სხვა სახელი, ნაწარმოები და ლიტერატურული მოვლენა დაასახელა. მაგრამ განსაკუთრებული ადგილი რუსულ ლიტერატურას მიაკუთვნა. „პირველად, რასაკვირველია, დოსტოევსკის გავცანი მაგრამ თუკი შემომთავაზებენ მწერლის ამორჩევს მთელი მსოფლიო ლიტერატურიდან, მე რუს მწერალ ტოლსტოის დავასახელებდი. ვფიქრობ, „ომი და მშვიდობა“ ყველაზე დიდი რომანია, რაც კი კაცობრიობის ისტორიის მანძილზე დაწერილა. იგი იმსიმძიმეა, ვერ ასწევ, მაგრამ თან რა საოცრებაა! რუსი მესიტყვეები კი ყველა მომწონს, ვინც წამიკითხავს. დოსტოევსკის რაგინდ ცუდი თარგმანიც არ უნდა ყოფილიყო, მაინც გატაცებით ვკითხულობდი. ვფიქრობ, მსოფლიოს ყველა მწერლისათვის რუსი რომანისტები საფუძველთა საფუძველნი არიან...“

წაუკითხავს თუ არა მარკესს ბულგაკოვის „ოსტატი და მარგარიტა“? ამ შეკითხვას გარსია მარკესმა ცხარედ უპასუხა: „გეფიცებით, ეს წიგნი მას შემდეგ წავიკითხე, რაც „მარტოობის ასი წელი“ დავწერე, და მე მსურს, ეს გჭეროდეთ... ჩინებული წიგნია, ჩინებული“.

ყურნალისტებთან და კრიტიკოსებთან საუბრისას გარსია მარკესი საკუთარ ჩვეულებას არ დალატობს; ის მზიარულად ლაპარაკობს სეროზულ საკითხებზე, სეროზულად საუბრობს სასა-

ცილოზე, არ ერიდება ამტკიცოს ადრე თქმულის საწინააღმდეგო, არც ჰიპერბოლებზე იჩენს სიძუნწეს. თავის საუკეთესო ნაწარმოებად დაასახელა — „პოლოვნიკს არავინ არ სწერს“, და ისიც კი განაცხადა, თითქოს „მარტოობის ასი წელი“ მხოლოდ იმისათვის დაწერა, რათა ამ მოთხრობისათვის მიექცია მკითხველის ყურადღება. მაგრამ განა ადრე სწორედ ამ მოთხრობაზე არა თქვა, „მოწაფურად“ მიმაჩნიაო, რომელსაც ახლა (სრულიად დამსჯერებულად) ვგრე რიგად აღსვებს?

არ გამოვედევნებთ მწერლის წინააღმდეგობათა მხილებს, ესაა ცოცხალი მაძიებელი, მოუსვენარი აზრის წინააღმდეგობანი, რასაც, სხვათა შორის, იგი თავადვე შეიცნობს. მოსკოვში ყოფნისას როდესაც შეეკითხნენ, რას ფიქრობთ ერთი საბჭოთა კრიტიკოსის მოსაზრებაზე (მხედველობაში ჰყავდათ ვ. ზემსკოვი) იმის შესახებ, თითქოს „მარტოობის ასი წელი“ „პატრიარქის შემოდგომის“ პრელუდია არისო, გარსია მარკესმა, უწინააღრეს ყოვლისა, განაცხადა: „მე კრიტიკოსებს ათვალწუნებით ვუყურებ, ვარაუდი გამიწევია, ხანდახან ისეთ რამეს მოეგონებენ, არც ავტორსა და არც მკითხველს ახრადავ არ მოსვლიათ“. მაგრამ საუბარში შეყოლიების შემდეგ, არა თუ დაეთანხმა იქ მოტანილ მოსაზრებას, არამედ ახალი საბუთებითაც განამტკიცა იგი: „მთავარი, რაც მე მუდამ მაინტერესებდა — ძალაუფლების პრობლემაა, ვფიქრობ, აურელიანი ბუენდიას ომი, წაგების მაგივრად, რომ მოეგო. პატრიარქი გაზღებოდა... ბუენდიას შეგძლო ომი მოეგო, ძალაუფლება ხელში ჩაეგდო და ქვეყნად ყველაზე სისხლიან დიქტატორად ქცეულიყო. მაგრამ მაშინ წიგნი სულ სხვაგვარი გამოვიდოდა; ამიტომაც ეს გზა შემდგომისათვის, სხვა წიგნისათვის, დიქტატორზე დასაწერი წიგნისათვის შემოვიჩინებ, წიგნისათვის, რომლისკენაც ვისწრაფოდით, რომლის დაწერის სურვილიც დიდი ხანია მაწვალებდა. ამ თვალსაზრისით, მე მგონია, „მარტოობის ასი წელი“ პრელუდიაა „პატრიარქის შემოდგომისა“, მაგრამ ამავ მოსაზრების მიხედვით, დანარჩენი ნაწარმოებებიც მისი პრელუდიაა, ხომ ხედავთ, კრიტიკოსების უარყოფით დავიწყე, ბოლოს კი მათსავე ნათქვამს ვიმეორებ, რადგან, ეტყობა, მეც იგივეს ვფიქრობ!“

ამ აზრას განსამტკიცებლად გარსია მარკესმა ბევრი საგულასხმო რამ იამბო თავისი უკანასკნელი რომანის შექმნის თაობაზე. „მე, ლათინელ-ამერიკელი, სავსებით განსაკუთრებულ მდგომარეობაში აღმოვჩნდი: მე წილად არა მხვდა, მეცხოვრა დიქტატორის ხანაში. იმ პერიოდში ლათინურ ამერიკაში არა ყოფილა ჩემთვის შესაფერისი დიქტატორი, რათა საკუთარი თვალთ შეხილა, რას წარმოადგენდა იგი. მეც აღდექი და ესპანეთში წავედი. იქ იყო ერთი ადამიანის ნამდვილი ძველი დიქტატურა. სომოსას ოჯახის დიქტატურა, ამ თვალსაზრისით, არ ყოფილა ძველი დიქტატურა, იგი ესტაფეტასავით გადმოეცემოდა. წავედი ესპანეთში, მაგრამ იქ მარტოდენ მეხსიერებაზე დანდობით გამიძნულდა ლათინურ ამერიკაზე წერა... ესპანეთი წიგნს ავსებდა რეალური, ცხოვრებისეული შინაარსით, იძლეოდა უამრავ მასალას. მაგრამ ანაზღად შევატყვე, რომ თვით წიგნის საფუძველი, მისი არსი სრულიად სხვაგვარდებოდა, ენაც კი სახეს იცვლიდა, რადგან ყოველდღიურ ცხოვრებაში სულაც აღარ ვლაპარაკობდი იმ ენით, რა ენითაც ვწერდი. მაშინ საკუთარ თავს მივეცი იმგვარი დუფუნების ნება, რასაც ვერ ჩავიციენდი ადრე, „მარტოობის ასი წლის“ წერისას, — წიგნი გადავდე და კარიბის კუნძულებზე წავედი. სათითაოდ დავიარე ყველა კუნძული — სამი-ოთხი თვე ვიმოგზაურე, უკან რომ დავბრუნდით, ყველაფერს სულ სხვა თვალთ შევხედე და უკვე შემეძლო კიდევ წერის გაგრძელება“.

მწერალმა ილაპარაკა თავის უფრო ადრინდელ ჩანაფიქრზეც: „პატრიარქის შემოდგომა“ დიდი ხნის წინათ დავიწყე — მაშინ არა მქონდა მოფიქრებული სათაური. ეს იყო „მარტოობის ასი წლის“ დაწერამდე, მაგრამ არაფერი გამოდიოდა, თითქოს რაღაცა მიშლიდა ხელს, მე მგონია, უბრალოდ არ მყოფნიდა „მარტოობის ასი წლის“ გამოცდილება. მოფიქრებული კი კარგა ხანია მქონდა. ჩემი ვარაუდით, იგი უნდა ყოფილიყო ცხოვრება დიქტატორისა, რომელსაც სასამართლოზე თვითონვე უნდა მოეთხრო საკუთარი ამბავი. ეს აზრი ჩამინერგა ჰავანაში სოსა ბლანკოს ვასამართლებამ... კუბის რევოლუცია ააბობოქრა განსაკუთრებულმა შემთხვევამ — ბატისტას გენერალმა სოსა ბლანკომ საომარი მოქმედებიდან განზე მდგომ მწვედობიან მოსახლეობას მთელი უძრავ-მოძრავი ქონება გადაუწვა, ამრავალ მან გაიმეორა იგივე პოლიტიკა, რაც ადრე გამოიყენეს სომოსას მეომრებმა. და აი, გადაწყდა, ამ კაცისათვის მთელი მსოფლიოს კურნალისტების თანდასწრებით მოეწყოთ სახალხო სასამართლო, რათა ყველა დაერწმუნებინათ, რომ სამართლიანი იყო სასამართლო...“

სასამართლო დააწყო საღამოს შვიდ საათზე და დილის ექვს საათამდე გაგრძელდა. დამნაშავეს სიკვდილი მიუსაჯეს. სასამართლოზე ამხილეს ამ კაცის მიერ ჩადენილი ყველა მხედური დანაშაული, რადგან აქ თავი მოიყარა დაღუპულთა მთელმა ნათესაობამ, ყველამ ვინც კი ცოც

სალი გადარჩენილიყო, ისინი მთელ ღამეს უწყვეტ ნაკადად მოედინებოდნენ... შემადრწუნებელი სანაბობა იყო, საშინელება იყო, ადამიანს ასეთი რამის ჩადენა რომ შეეძლო, იმ ღამემ თავ-სარდამცემი შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე, გაუნძრევლად ვიჯექი და ერთი სიტყვაც არ გამომ-რჩენია. სასაკვდილო განაჩენი რომ წაიკითხეს, ფოტოგრაფებთან ერთად, ზღანკოს პარსებორ აღმოჩნდი. სახეზე მას ნაკვთიც არ შესტოვებია. ფეხდგომელა ისმენდა განაჩენს და მხოლოდ იმ წამს, როცა გაისმა, „სიკვდილი მიესაჯოსო“, ოდნავ აუკანკალდა მუხლები.

ამ ამბავმა თითქოს გონება გამინათა... გავიფიქრე: „ესეც შენი წიგნი, ესეც დიქტატორის წიგნი მელსაც ასამართლებენ“. მაგრამ ცოტა რომ დაეცხრი, დავმშვიდდი და ყოველგვარ განაჩენს ვაძევეთე, გავიფიქრე: არა, ასე არ ივარგებს, იმიტომ, რომ გმირის თვალსაზრისის გასაგებად თუ ის პირველი პირით ვალაპარაკე, მაშინ მე, როგორც მწერალი, პერსონაჟის ენის ვიქნები შე-პოჭილი, მე კი საკუთარი ენით რომ არ მესარგებლა — დასამშვიდებელი პერანგის ჩაცმა არ ამცდებოდა. იმიტომ ეს იღუა სულ უარგყავი და სხვაგვარ დასასრულს დავუწყე ძებნა.

აი, შემდეგ რა მეთოდი ვირჩიე: მრავალი წლის განმავლობაში, ალბათ ათი ან თორმეტი წელი კვითხულობდი ყველაფერს, რაც კი ლათინურამერიკელ დიქტატორებზე იყო დაწერილი — წერილებს, მოწმეთა ჩვენებებს, ბიოგრაფიებს, რეპორტაჟებს. შემდეგ, როცა ყველაფერი წა-ვიკითხე, რაზეც ხელი მიმიწვდებოდა, ვცადე დაშვიწყებინა. მერე კი იმის საფუძველზე, რაც ვიცოდი, ხელახლა შევთხზე ყველაფერი და ვცდილობდი არ გამომეყენებინა არც ერთი რეა-ლური შემთხვევა, და მესარგებლა, ასე ვთქვათ, იმ დადგენილი წესებით, რაც დიქტატურის შე-ქმნიზმს შეადგენდა. ამრიგად, ყველაფერი ჩელახლა ისე მოვიფიქრე, რომ ჩემი გმირი განსხვა-ებულად ყოფილიყო ყველა რეალურად არსებული დიქტატორისაგან და იმავე დროს ყველას ჰგვანებოდა“.

ეტყობა, ავტორს „პატრიარქის შემოდგომა“ თავის საუკეთესო წიგნად მიაჩნია, და დღეს-დღეობით ასეც არის, მაგრამ ეგრე მალე მაინც სუ დავეთანხმებით — ვინ იცის, რას იტყვის ხვალ, განა მაშინათვე, საბჭოთა ლათინოამერიკანისტებთან შეხვედრისას არ აღიარა, როგორ ეწვირფასება „მარტოობის ასი წელი“, როგორ აფიქრებს არ წიგნის პედი: „რაც შეეხება „მარ-ტოობის ას წელს“, ჩემთვის მთავარი არ არის მისი წარმეტება, მთავარი არც ისაა, რომ ვა-ყიდულია უამრავი ეგზემპლარი და კვლავაც იყიდება, მთავარი არც უკვე შესრულებული თარგმა-ნების რაოდენობაა — რომანი ოცდაათ ენაზეა თარგმნილი, ახლა კი საბჭოთა კავშირში და ნა-ციონალური რესპუბლიკების ხალხთა ენებზეც გამოდის. ჩემთვის მთავარია ის, რომ ეს წიგნი თაობიდან თაობას გადაეცეს, რომ წიგნი, რომელსაც მამები კითხულობენ, მოსწონდეთ შვი-ლებსაც და შვილიშვილებსაც. ვგონებ, სწორედ ამას ჰქვია „ლიტერატურაში დარჩენა“.

შკითხველს ვთავაზობთ ორ ინტერვიუს, რომელიც გარსია მარკესმა ბოლო ხანებში მისცა მექსიკურ ჟურნალ „სიემპრეს“ და კუბის ჟურნალ „ბოემიას“.

მეხსიანის ჟურნალ „სიემპრეს“ კორესპონდენტ ლუის სუარესისათვის მიცემული ინტერვიუდან (1978 წლის 19 ივნისი)

— ეგრეთ წოდებული მაგიური ლიტერატურა ჯერ კიდევ ჩამორჩენილი ხალხებისა და ქვეყ-ნების კუთვნილებია. განვითარების გარკვეულ დონეს რომ მიაღწიონ ამ ქვეყნებმა, გაქრება თუ არა მაგიური სამყარო და მიხი ლიტერატურაც, როგორც ლათინურ ამერიკაში, ისე სხვა ქვეყნებში, თუკი ხანაცვლოდ მიღწეული იქნება ცნობილი მატერიალური პროგრესი?

— ლათინური ამერიკის ეგრეთ წოდებული მაგიური ლიტერატურა, რომელიც შესაძლოა მსოფლიოში ყველაზე რეალისტურ ლიტერატურას წარმოადგენს, მოქცეულია უაღრესად განსაზ-ღვრული კულტურული რეგიონის ფარგლებში: ეს არის კარიბის აუნის ქვეყნები და ბრაზილია. ვარაუდობენ, თითქოს თავისი მაგიური მუხტის გამო იგი ზანგური ელემენტისაგან იყოს დავა-ლებული. სინამდვილეში ეს მუხტი გაცილებით ადრინდელი წარმოშობისაა. მაგიური ლიტერა-ტურის პირველი შედეგები ქრისტეფორე კოლუმბის დღეობით, და იგი ისეა განსჯვალული კარი-ბის სამყაროს მაგიით, რომ თვით ამ წიგნის ისტორიაც კი წარმოუდგენელი გამხდარა...

— კოლუმბის შემდეგ როგორღა გავრცელდა ან როგორ განვითარდა ლიტერატურული მაგია?

— აი, როგორ. კარიბის სამყაროს ვანტასტიკურისადმი სწრაფვა განმტკიცდა აფრიკიდან ჩამოყვანილ მონათა წყალობით, ზანგთა დაუჯებელი წარმოსახვით, მკვლევარებმა კი მცხოვრებ ინდიელთა წარმოსახვის, ანდალუსელთა ფანტაზიის დეკლარაციის¹ უმჯობესი თებულ ნებუნებრიობის რწმენას. ყოველივე ამის შედეგად არ შეიძლება წარმოქმნილიყო სხვაგვარი სინამდვილე, თუ არა ის, რომელშიც ჩვენ უცხოვრობთ, ამ სინამდვილეს კი არ შეიძლება წარმოექმნა სხვაგვარი ლიტერატურა და, რასაკვირველია, მხატვრობა და მუსიკა. თუ არა ის, რაც კარიბის რეგიონს გააჩნია. აფრო-კუბური მუსიკა, კალიფსო ან ტრინადადის რიტუალური სიმღერები შეესატყვისება ჩვენს ლიტერატურას, შეესატყვისება აგრეთვე, მაგალითად, ვილფრედო ლამის² მხატვრობას, იმიტომ, რომ ყოველივე ეს ერთი და იგივე რეალობის ესთეტიკური განოსატყვია.

— მოძავალში როგორღა იქნება, როცა მატერიალური კეთილდღეობისა და განვითარების წყალობით ლათინურ ამერიკაში ვითარება შეიცვლება?

— მე მგონია, მოძავალში ამ ესთეტიკურ გამოვლენათა ბედი დამოკიდებული იქნება არა იმდენად საზოგადოების განვითარებაზე, რამდენადაც იმ საზოგადოებას ხასიათზე, რომელშიც ხელ მოგვიხდება ცხოვრება სოციალისტურ საზოგადოებაში, რასაკვირველია, ყველა ეს ღირსება, ნაცვლად გაქრობისა. გაიცხრილება და განმტკიცდება, ეინაიდან მე მწამს, სოციალიზმი ხალხთა კულტურულ ტრადიციებს შემოინახავს და ბრწყინვალედაც განავითარებს.

იმედი მაქვს, სწორედ ასევე მოხდება კუბაში... მართლაც, რევოლუციის გამარჯვების სულ რაღაც ოცი წლის შემდეგ, მოწმენი გავხდით კუბაში სოციალისტური კულტურის სრულიად ამკარა გამოვლენისა, და მან მაგიური ტრადიციებიც გაითავისა.

— დღეს ბევრს ლაპარაკობენ ლიტერატურაში, ხელოვნებაში და საერთოდ ცხოვრებაში მიმხრობის პოზიციასა და მებრძოლ პოზიციაზე. როგორ უნდა გავიგოთ მიმხრობის პოზიცია ლიტერატურაში? ვის ან რისთვის ემხრობიან? როგორია შენი პოზიცია? როგორი უნდა იყოს, შენი აზრით, სხვათა პოზიცია?

— ჩვენ, მწერლებს, მხატვრებს, ცხოვრების მრავალი წლის მანძილზე ტვირთად გვაწვა უმკაცრესი კითხვები: რაში უნდა გამოიხატებოდეს ჩვენი მიმხრობლობა? რასაკვირველია, ასეთი მიმხრობლობა არსებობს და უნდა არსებობდეს კიდევ, მაგრამ ეს ეხება არა მარტო მწერლებსა და მხატვრებს, ეს ეხებათ ხუროებსაც, ექიმებსაც და ფეხბურთელებსაც. ყველა, ვინც ცდილობს შეცვალოს სამყარო გაცილებით უფრო სამართლიანი საზოგადოებით, რაღაცას უნდა ემხრობოდეს. და, მიუხედავად ამისა, კითხვა მაინც არ მომწონს, იმიტომ, რომ მას ფატალურად აბსტრაქტულ განსაზღვრებამდე მიგყავართ. მე ბევრჯერ მითქვამს, და ახლაც ვიმეორებ, რომ ჩემი, როგორც მწერლის, რევოლუციური მოვალეობა კარგად წერია, ეს საქმარისია ჩემთვის...

ერთხელ, კარიბის ზღვაზე გადაფრენისას, გრემ გრინმა მითხრა — ჩვენ, რომანისტები ინტელექტუალები კი არა, „ემოციონალები“ ვართო. ამან უდიდესი შეება მომანიჭა, რადგან უნდა ვიღიარო, მტრულად ვარ განწყობილი „ინტელექტუალების“ მიმართ, ვლიზიანდები, როცა ასე მიწოდებენ, ის კი არა, სინამდვილეში გვარიანი უნდობლობითაც ვეკიდები მათ. მაგრამ, რასაკვირველია, ამას საფუძვლად დეფინიციის პრობლემა უდევს.

— მაშ ვამ მიგაჩნიათ ინტელექტუალად?

— ინტელექტუალად მიმაჩნია უცნაური არსება, რომელიც სინამდვილეს უპირისპირებს წინასწარ აკვიატებულ თეორიას და ცდილობს, რაღაც არ უნდა დაუჯდეს, ჩატენოს მასში ეს სი-

¹ კალიფსო — ანტილიის კუნძულების ცეკვა, სიმღერის თანხლებით.
² ვილფრედო ლამი (დაიბადა 1902 წ.) — ცნობილი კუბელი მხატვარი.

ხანდელიც, აი, რატომაც, რომ ამ ტიპის ინტელექტუალურს დიდი უნდობლობით ვეკიდები ცხოვრების ყველა სფეროში, განსაკუთრებით პოლიტიკაში.

— რატომ აღიარებენ ჩვენში მწერლებად იმათ, ვისაც ამ სახელის მოსაპოვებლად ძლიერ ძლიერობით გაუვსიათ რამდენიმე ფურცელი?

ეროვნული

— ჩვენ, მწერლები, ვიყოფით ორ კატეგორიად: ერთი — ვინც წერს, მეორე — ვინც არ წერს. ისინი, ვინც არ წერენ, უფრო ჩანან, მოდურ საზოგადოებასაც სწორედ ისინი ავსებენ. მწერლობა ხომ მოდაა, თუნდაც არაფერს წერდე. მოდაში ყოფნა კი თავზე იმდენ საზოგადოებრივ საზრუნავს გაბვეს, თითქოს კინომსახიობი ან სილაჟის დედოფალი იყო. მეორენი — ის მწერლები, რომლებიც წერენ, ნაკლებად ჩანან, ვინაიდან მეშაობის გამო ძალზე მოუცლელეა არიან.

— მაშ რატომაც, რომ ლათინური ამერიკის ბევრი მწერალი — ამჯერად მხედველობაში მყვანან ისინი, ვინც წერენ — დღემდე ერთადერთი ნაწარმოების ავტორად რჩება?

— ვფიქრობ, ყველა მწერალი, მრავალი ტონით რომ ჰქონდეს დაწერილი, ზაინც ერთი წიგნის შემოქმედია. ეს ეხება, მაგალითად, ბალზას, კონრადს, მელვილს, ფოლკნერს, კაფკას. თითოეული ამ მწერლის ერთი რომელიმე წიგნი ამალღებულოა დანარჩენებთან შედარებით და, ამრიგად, ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, თითქოს ერთადერთი ნაწარმოების ავტორები იყვნენ. განვიხილოთ ცალ-ცალკე. სერვანტესს ბევრი წიგნი აქვს დაწერილი, მაგრამ ერთადერთი, რასაც აღიარებენ, არის „დონ კიხოტი“. მე კი, პირიქით, როგორც შემოქმედება, გაცილებით უფრო მომწონს მისი ზოგიერთი ნოველა, კერძოდ, ამბავი ლიცენციატ ვიდრიერისა. დანტეს უამრავი რამ დაუწერია, უწინარეს ყოვლისა, — დიდებული ლექსები, მგჯამ მხოლოდ „ღვთაებრივი კომედიის“ წყალობითაა ცნობილი. რაბლე, მილტონი, სოფოკლეს, ტოლსტოი — ყველანი თითქმის თითო ნაწარმოებით არიან სახელგანთქმულნი, თუმცა მრავალი წიგნი შეუქმნიათ. ძალზე საგულისხმა ბორხესის მაგალითი, რომელმაც სივსებით დანსაზრებულად მოიხვეჭა პოპულარობა და დიდება იმიტომ, რომ დაწერილი აქვს მრავალი დაფანტული ფურცელი, მაგრამ არ დაუწერია არც ერთი მნიშვნელოვანი წიგნი. რაკილა სიტყვამ მოიტანა, ბარემ ვიტყვი, — სწორედ ლათინურ ამერიკაში შეინიშნება განსაკუთრებულად იმისი მტკიცების ტენდენცია, რომ მწერლები ერთადერთი ნაწარმოების ავტორები არიან. თუმცა მე ჩემი მისაზრება გამაინთა ამის თაობაზე. მაგალითად, რომელიც გალიეგოსი ცნობილია მხოლოდ „დონა ბარბარას“ წყალობით, რომელიც, ვფიქრობ, თავისი დროის ძალზე კარგი რომანია, მაგრამ მე მაინც მისი „კანტაკლაო“ მირჩევნია. მიგელ ანხელ ასტურიას იცნობენ როგორც „სენიორ პრეზიდენტის“ ავტორს, თუმცა იგი, ჩემი აზრით, ჩვენს კონტინენტზე შექმნილი რომანებიდან ყველაზე უხეიროა. „გვატემალას ლეგენდებმა“ და სხვა უფრო მცირე მოცულობის ნაწარმოებებმა კი მათი ავტორი უიქვილად აქციეს ნობელის პრემიის ღირსად... მეორეს მხრივ, ხუან რულფოსათვის არაერთხელ უსაყვედურებიათ, რომ მან მხოლოდ „პედრო პარამო“ დაწერა. მოსვენებას არ აძლევენ, ეკითხებიან, მეორე წიგნს როდის გამოსცემო. ეს არ არის სწორი, რულფოს მოთხრობები ჩემთვის ისეთივე მნიშვნელოვანია, როგორც მისი რომანი „პედრო პარამო“, რომელიც, ვიმეორებ, ჩემი აზრით, ყველაზე საუკეთესო, ყველაზე ვრცელი, და ყველაზე მნიშვნელოვანი თუ არა, ესპანურ ენაზე შექმნილ რომანებს შორის მაინც არის ყველაზე საუცხოო. მე არასოდეს არ ვეკითხები მწერალს, რატომ აღარ წერს იგი, რულფოს მიმართ კი მით უფრო ფრთხილი ვარ. „პედრო პარამო“ რომ დამეწერა, სულ აღარაფერზე ვიზრუნებდი და სიცოცხლის ბოლომდე არაფრის დაწერას აღარ ვეცდებოდი.

— ამტკიცებენ, „მარტოობის ასი წელი“ ის ნაწარმოებია, რომელსაც მისი ავტორიც ვეღარ დაძლევა, რას იტყვი ამის თაობაზე? ისურვებდი თუ არა რაიმე საწინააღმდეგოს დამტკიცებას?

— რომანი „მარტოობის ასი წელი“ ჯერ კიდევ მის დაწერამდე მქონდა დაძლეული. მე მგონი, ჩემი საუკეთესო წიგნი ნამდვილად არის — „პოლეკოვნიკს არაეინ არ აწერს“. „მარტოობის ასი წლის“ ამგვარი ხვედრი კი იმით აიხანება, რომ იგი, გარკვეული მოსაზრების დაწერას აღარ ვეცდებოდი.

1 იგულისხმება სერვანტესის ნოველა „ლიცენციატ ვიდრიერი“, რომლის გმირს „კონიერ სულელს“ შეშისაგან შექმნილად წარმოუდგენია თავი. შესულია კრებულში „დამწოდურებელი ნოველები“. (1613).

ბით, მთელი მსოფლიოს ადამიანთა ცხოვრებას ჰგავს, და რომ აქ თხრობის ფორმამ — სწორ-
ხაზოვანმა, თანმიმდევრულმა და რამდენადმე ზედაპირულმაც კი ეს წიგნი უფრო პოპულარუ-
ლი გახადა, ვიდრე ჩემი სხვა წიგნები. როგორც ლიტერატურული ნაწარმოები, „პატრიარქის
შემოდგომა“ ბევრად უფრო მნიშვნელოვანია. ყოველ შემთხვევაში, ^{დაბრუნებული ვარ,} „პატ-
რიარქის შემოდგომა“ ის წიგნია, რომელიც დაფიქსებას გადამარჩენს მაშინ, როცა აღარავის
ემახსოვრება, რა არის „პოლკოვნიკი აურელიანო ბუენდია“ — ისტორიული მოღვაწე თუ ქუ-
ჩის უბრალო სახელწოდება.

— არსებობდა თუ არა სინამდვილეში ლათინულამერიკელ მწერალთა ზუმი?

— ლათინულამერიკელ მწერალთა ეგრეთ წოდებული ზუმი ნამდვილად არსებობდა, და იგი
წარმოადგენდა კუბის რევოლუციის ლოგიკურ შედეგს. ჭეშმარიტება ისაა, რომ ჩვენ, მწერალ-
თა უმრავლესობამ, ვისაც ბუმზე საუბრისას გვგულისხმობენ, წერა გაცილებით ადრე დაქიწყეთ,
ვიდრე ამაზე მსოფლიოში ხმაური ატყდებოდა.

მაგრამ ჩამორჩენილი და შორეული ლათინური ამერიკის ჭვეყნებს არცინ აქცევდა ყუ-
რადლებას. მე თავად პირველი მოთხრობა „დაცენილი ფოთლები“ 1953 წელს დაგწერე და სა-
მი წელი ვუცდიდი. სანამ მოწყალებას მოიღებდნენ და გამომიქვეყნებდნენ. სუან რულფომ
„პედრო პარამო“ 1955 წელს გამოაქვეყნა, კარლოა ფუენტესმა მკითხველის სამსჯავროზე იმა-
ვე ხანებში გამოიტანა თავისი „ულრუბლო ცის ქვეყანა“, ალესო კარპენტერმაც მანამდე გა-
ნთაქვეყნა პირველი მშვენიერი წიგნები. მიუხედავად ამისა, მხოლოდ კუბის რევოლუციის შემ-
დეგ გახდნენ ეს მწერლები ცნობილნი, მხოლოდ ამის შემდეგ მოვაპოვეთ პოპულარობა ლათინუ-
რი ამერიკის საზღვრებს გარეთ. ეს მოხდა იმის წყალობით, რომ ევროპა არის სიახლის
მოყვარული კონტინენტი. სიახლეზე მონადირეთა, სიახლეზე ინტელექტუალურ მონადირეთა კონ-
ტინენტი. და ისინი, გახსაკუთრებით ურანგები, კუბის რევოლუციას აღფრთოვანებულ მომხრე-
ებად ექცნენ, რადგან ვარაუდობდნენ, რომ ეს იქნებოდა მათთვის სასურველი, ესე იგი, საე-
სებით არარეალური რევოლუცია, ასეა თუ ისე, ამ რევოლუციამ აიძულა ისინი ყურად-
ღება მიექციათ ლათინური ამერიკისათვის, დაინტერესებულნიყვნენ მისით. კუბის რევოლუციის
ამბავი რომ შეიტყვეს, ევროპელები, განსაკუთრებით კი, როგორც აღვნიშნე, ფრანგები, საკუთარ
თავს ეკითხებოდნენ, სად იყო კუბა, და აი, სწორედ მაშინ, აღმოაჩინეს, რომ არსებობს ქვეყნის
ნაწილი, რომელსაც ჰქვია ლათინური ამერია. სწორედ მაშინ დაინტერესა ისინი ამ ქვეყანამ და
შეეცადნენ მის შესწავლას. ბევრ სხვა რამესთან ერთად, რაც მაშინ მათ აღმოაჩინეს, და რაც ლა-
თინურ ამერიკაში უკვე კარგა ხანია არსებობდა, იყო ლიტერატურაც, რაზედაც მანამდე წარმო-
დგენდა არა ჰქონიათ. აი, იმ ხანებში დაიწყეს სწორედ ჩვენი წიგნების გამოცემა, რომლებიც მა-
ნამდისაც ბევრჯერ ყოფილა ფრანგულსა და ჩრდილოეთამერიკულ გამომცემლობებში, მაგრამ გა-
მოცემაზე უარი უთქვამთ.

— ახლა რატომღა შეიცვალეს მოსაზრება?

— ახლა ეს წიგნები კარგად მოეჩვენათ. იმიტომ, რომ კუბის რევოლუცია რუმორად გვექ-
ცა. ამას გარდა, გავლენა მოახდინა სხვა ფენომენმაც — კულტურულმა კოლონიალიზმმა, რის
მსხვერპლიც ჩვენ, ლათინულამერიკელები მაშინ უფრო მეტად ვაყავით, ვიდრე, უღეს, ევრო-
პიდან და შეერთებული შტატებიდან ცნობა ცნობაზე მოდიოდა. რომ ჩვენი წიგნები მოსწონ-
დათ, მაშინ ამ წიგნებით აქაური გამომცემლობები და კრეატივოსებიც დაინტერესდნენ. ის კრე-
ტივოსები, რომლებიც ოდესღაც ამტკიცებდნენ, თითქოს უვარგისი ყოფილიყოს ჩვენი წიგნები,
ახლა საპირისპიროს ამტკიცებდნენ. ჩვენი გამოცემა დაიწყეს ლათინური ამერიკის გამომცემლო-
ბებმა და უკვე ლათინულამერიკელ მკითხველსაც მიეცა ჩვენი აღიარების შესაძლებლობა. ყუ-
რითხულია, რომ სწორედ ამგვარად, პარიზისა და ნიუ-იორკის მეშვეობით, სხვა კონტინენტები-
დან მოსული ცნობის წყალობით მივადწიეთ უმთავრესს — რაც ყველაზე მნიშვნელოვანია ლათი-
ნურამერიკული რომანის ბუმში. ჩვენ აღმოგვაჩინა ლათინულამერიკელმა მკითხველმა, მან შეიკ-
ნო, რომ ჰქონდა თავისი ლიტერატურა, რომელიც არა თუ ისევე კარგია, როგორც მსოფლიო-

ის დანარჩენი ქვეყნების ლიტერატურა, არამედ ასეთივედ დარჩებოდა მრავალი წლის მანძილზე. ვინაიდან, მე ვფიქრობ, ლათინური ამერიკა კვლავაც დიდხანს დარჩება შემოქმედების წყაროდ — იმ წყაროდ, რომლის მნიშვნელობაც გამუდმებით გაიზრდება იმისდაკვალად, თუ რა შესაძლებლობას მოგვცემს ჩვენი ქვეყნის განვითარება უფრო ღრმა თვითგამოსახვისათვის.

— არის თუ არა გარსია მარკესი იმ მწერალთა შორის, რომლებიც მოგწონს?

— გარსია მარკესი არ არის ის მწერალი, რომელიც ყველაზე უფრო მომწონს, მაგრამ ის მაინც მომწონს. რასაკვირველია, უფრო მეტად მომეწონებოდა, თვითონ რომ არ ვიყო და წიგნების წერა არ მევალებოდეს.

— რას წარმოადგენს პოლიტიკა შენთვის, როგორც ხაერთო თვალსაზრისით, იმავე დროს, როგორც კონკრეტული პრაქტიკა: დროის დაკარგვას, ორ ნაწარმოებს შორის უმეფობის ხანას თუ შემოქმედების გამამდიდრებელ წყაროს?

— სოლიდარობის გრძნობა იგივეა ჩემთვის, რაც კათოლიკესათვის წმინდა ზეარება და საესებით ნათლადაც მესახება, მე იმის თქმა მსურს, რომ თითოეული ჩვენგანი ყოველი ჩვენი მოქმედების გამო პასუხს ვაგებთ კაცობრიობის წინაშე. როცა ვინმე ამ კუშმარიტებას აღმოაჩენს, მისი პოლიტიკური შემეცნება უმადლეს დონემდე იქნება ასული. გულახდილად რომ ვაღიარო, ასე დამეძარტა მეც. ჩემს ცხოვრებაში არ გადამიდგამს არც ერთი ნაბიჯი, რაიმე პოლიტიკურ აქტს რომ არ წარმოადგენდეს.

— რა აზრის ხარ მწერლებზე — ან თითქმის მწერლებზე — რომლებიც იმის მოიმედებია არიან, რომ ოდესღაც შეძლებენ კარგად წერას? როგორ გესმის, ან ცხოვრებაში როგორ ახორციელებ მწერლური შრომის დისციპლინას?

— მწერლობა ვირული შრომაა. ისეთი გრძნობა მაქვს, რაც დრო გადის, წერა მით უფრო მიმწუნდება. იყო დრო, მიფიქრია: ეს იმიტომ ხდება, გამოხატვის უნარი ილევია-მეთქი, მაგრამ ახლა, ვგონებ, პირიქითაა. ვფიქრობ, საქმე ისაა, რომ პასუხისმგებლობის გრძნობა იზრდება. ისეთი შეგრძნება მიჩნდება, თანაც, რაც დრო გადის, უფრო მძაფრად, რომ ყოველ ჩემს სიტყვას, შეიძლება უფრო ფართო გამოხმაურება მოჰყვეს, შეიძლება გაცოცხლებით მეტსა და მეტ ხალხზე მოახდინოს მან შემოქმედება.

კუზის შურნალ „გოამიას“ კორესპონდენტ მანუელ პარეირასათვის მიცემული ინტერვიუ (1979 წლის 2 თებერვალი)

— ერთი წლის წინათ, შეიძლება ცოტა უფრო ადრე, ან ცოტა უფრო გვიან, თქვი — მწერალი რომ წერას დაიწყებს, კადნიერი უნდა იყოს და საკუთარ თავს დაუსახოს გარკვეული მიზანი: წეროს იმაზე უკეთესად, ვიდრე წერდა სერვანტესი, ლოპე-დე-ვეგა, კევედო და სხვები. შეგიძლია თუ არა ეს თეზისი უფრო საფუძვლიანად განავითარო?

— ვფიქრობ, მწერლის ხელობაში მოკრძალებულობა ზედმეტი სათნოებაა, რადგან თუკი შენ განზრახული გაქვს მოკრძალებულად წერა, მოკრძალებული დონის მწერლიდევ დარჩები. საჭიროა აღაქურვეო ამქვეყნიური ყველა პატივმოყვრული იარაღით და თვალწინ დაიყენო უდიდესი მაგალითები. ბოლოს და ბოლოს, წერას სწავლობ ამ უდიდესი მაგალითების წყალობით — ჩემთვის ასეთი მაგალითები არიან სოფოკლე და დოსტოევსკი.

რაკი ასეა, რატომ უნდა ცდილობდე წერდე ამ უდიდეს მაგალითებზე უფრო მოკრძალებულად? საქმე ისაა, მოიწადინო, წერდე იმაზე უკეთ, ვიდრე ისინი წერდნენ.

— მაშასადამე, შენც იზიარებ იმ აზრს, რაც რევი დებრემი განაცხადდა ერთ ინტერვიუში — მაგალითებს ებრძვიან იქამდე, სანამ მათ არ შეარყევენო...

— მაგაზე შეც ხშირად მიოვიქრია. ამიტომაც, ყოველთვის, რთვე ფოლკნერზე მესაუბრებინან, ვაცხადებ — ჩემი მიზანი ის კი არ არის, მივბადო ფოლკნერს, ჩემი მიზანია, თავი დავაღწიო მის გავლენას.

— სერვანტესისას?

— არა, არა მგონია, სერვანტესს ჩემზე გავლენა მოეხდინოს.

— ბიბლიაზე რაღას იტყვი?

— ბიბლიამ — კი. ყველაფერმა, რასაც ბიბლიური თქმულებები შეიცავს, ჩემზე უკვეწოდ ლად მოახდინა გავლენა. თუ გაგიწევიათ ვარაუდი, რომ ბიბლიას არაფრისა არ ეშინია?

— არც არაფრისა რცხვენია.

— ოღონდაც! რა გინდა, რომ ბიბლიას არ ხელეწიფოდეს. ძველ აღთქმაში ყველაფერი შესაძლებელია. იქ საშიში აბსოლუტურად არაფერია. ვთქვათ, ბიბლია დაწერა ერთმა რომელიმე ავტორმა, წარმოგიდგენია ამ სუბიექტის მოკრძალება? ამ სუბიექტმა, ვინც უნდა ყოფილიყო ის, ხომ განიზრახა უკეთესად შეექმნა მთელი სამყარო არსებულთან შედარებით, რომელიც მისი აზრით, ღმერთის მიერ იყო შექმნილი. ამრიგად, აქაც იგრძნობა უდიდესი პეტოქეობა.

— გამოდის რომ, მაგალითად ამ შემთხვევაში თავად უფალი ღმერთი გვევლინება?

— ამოცანა მდგომარეობდა იმაში, რათა დაძლეულიყო ღმერთის მაგალითი. დღეს კი მწერლებს იმაზეც გული უსკდებათ, მიზნად ლიტერატურულ კონკურსებზე გამარჯვება რომ დაისახონ, რაც, თეორიულად თუ ვატყვი, უწინარეს ყოვლისა, წარმოადგენს ნაწარმოების ვასაღების ფორმას; ეს კონკურსები უაღრესად მნიშვნელოვანია, რამდენადაც შესაძლებელს ხდის, დაძებნილ იქნას ფასეულობა, რაც, შესაძლოა, გამოუყენებელიც კი დარჩენილიყო, რადგან კონკრეტული შემთხვევაში კომერციული სტიმული ბატონობს. სამაგიეროდ, აქ, კუბაში კონკურსებს მნიშვნელოვანი დახმარების გაწევა შეუძლიათ. მაგრამ მათში მაინც დიდი სიფრთხეა დაფარული: მწერლები წერენ იმისათვის, რათა გამარჯვება მოიპოვონ კონკურსებზე. ამრიგად, მიზანი აქამდეა დაყვანილი. გამალებით წყვილ, რამენაირად დანიშნული ვადისთვის რომ მოასწრონ. ბოლოს, კონკურსზე იმარჯვებს ის, ვინც საუკეთესო აღმოჩნდება „იმ მომენტისათვის“ და არა ის, ვინც ცდილობდა სერვანტესსა თუ შექსპირზე უკეთ წერას.

— შენ არასოდეს გაგიგზავნია ნაწარმოები კონკურსზე?

— გამიგზავნია, მაგრამ ეს ნაწარმოები ადრე მქონდა დამთავრებული. თუ გინდა მოგიყვები ორ შემთხვევას, როგორ მივიღე კონკურსში მონაწილეობა.

— მომიყევი.

— პირველი შემთხვევა მოთხრობა „შაბაის მომდევნო დღეს“ ეხება. 1954 წელს კოლუმბიაში გამოცხადდა ეროვნული კონკურსი საუკეთესო მოთხრობაზე. როგორც ჩანს, კონკურსის მონაწილეთა დონე იმდენად უმაღლესი გამოდგა, რომ დაიწყეს ძებნა, იქნებ ვინმეს სადმე ცოტათი უკეთესი რამ მიეკვლია, რომ კონკურსის დონე რამენაირად აეწიათ, მაშინ ჩემთან მოდი ერთი მეგობარი და მეუბნება: ამაზე ნაღდი საქმე რა გინდა, შესთავაზე, ხელთ რაც გაქვს და მოგცემენ პრემიას, რადგან კონკურსზე ყველაფერი უხეიროზე უხეიროა, ჩვენ კი ეს ხელს არ გვაძლევსო. მეც ავდექი და წარვადგინე მანამდე დაწერილი მოთხრობა და გავიმარჯვე.

— მეორეჯერ როგორღა მიიღე მონაწილეობა?

— მეორე შემთხვევა ეხება რომანს — „უამი უკეთური“. ამ წიგნის წერა პარიზში დავიწყე. მაგრამ მუშაობა შევწყვიტე, რადგან რომანი ნათლად არა მქონდა წარმოდგენილი. 1958 წელს

¹ რევი დებრე (დაიბადა 1941 წ.) — ფრანგი სოციოლოგი, მწერალი, ესეისტი.

კარაკასში რომ ჩამოვეთრინდი, მუწაობა განვაგრძე. შუალედში დავწერე — „კოლუკონიკს არა ვინ არ სწერს“ — მოთხრობა, რომელსაც უყოყმანოდ ვაღიარებ ჩემს საუკეთესო ნაწარმოებად. უფრო მეტსაც გეტყვი და ხუმრობა არ გეგონოს: „მარტოობის ასი წელი“ დავწერე მხოლოდ იმისათვის, რათა ხალხს ეს მოთხრობა წაეკითხა. მას რატომღაც მაინც არ სწყალობს ზედი, ამრიგად, „უამი უკეთური“ ნაწყვეტ-ნაწყვეტ იწერებოდა. ეგრეობიდან კარაკასში შევუბნებინებ უფრო ნილი და პალსტუხით შეკრული ჩამოვიტანე. ვფიქრობ, ეს ჩემი უკანასკნელი ნაწარმოებია. რადგან მას შემდეგ იგი აღარ მიტარებია. იმ ხანებში მერსედესზე დავქორწინდი. დავიწყო თუ არა მან სახლის დალაგება, ქალაქის ეს გრაგნილი გამოჩხრიკა და მეკითხება: „ეს რაღა არისო“. წევ ვუპასუხებ, რომანია, მაგრამ არ მომწონს, უმჯობესია, გადავაგდო და სამუდამოდ დავივიწყო-მეთქი; ჩემს წინაშე ახლა სულ სხვა პერსპექტივები იყო გადაშლილი: ლათინურ ამერიკაში დაბრუნებულმა, კარაკასში უკვე ვიგრძენი კარიბის ზღვის სუნთქვა... კუბაც ის-ის იყო ასაფეთქებლად ემზადებოდა. მერსედესი წუთით დაფიქრდა, მერე თქვა, არა, არ იქნებაო, და გრაგნილი შეინახა.

— მაშასადამე, ამ რომანს მერსედესს უნდა ვუმაღლოდეთ...

— სინამდვილეში ყველა ჩემს რომანს მერსედესს უნდა ვუმაღლოდეთ. აი, მოგიყვებო „მარტოობის ასი წლის“ დაწერის ამბავს და თვითონვე მიხვდები, როგორა ვარ დავალებული მერსედესისაგან. ასე რომ, ნაგვის ყუთში აღარ ვადამიგდია „უამი უკეთური“ და რატაცნაირად დავასრულე კიდევ. მაგრამ მაინცდამაინც არ მჯეროდა რამედ თუ ივარგებდა. 1961-1962 წლებში, მეხიკოში რომ ვცხოვრობდი, კვლავ მოდის ჩემი მეგობარი და სიტყვასიტყვით მიმეორებს ადრინდელ ნათქვამს: „კოლუმბიაში ეროვნული ლიტერატურული კონკურსი ეწყობა: კონკურსზე რაცეი რამაა წარმოდგენილი, უფარგისზე უფარგისია, ასე რომ, თუ რამეს გაგზავნი, უეჭველად გაინარჩევებო“. მერსედესს მოვკითხე პალსტუხით შეკრული გრაგნილი, მას იგი სადღაც საკუჭნაოში შეენახა და იქიდან გამომიტანა. ხელნაწერს სათაური არა ჰქონდა, მეც ავდექი და „უსახელო“ დავარქვი... წარუადგინე კონკურსზე და კვლავ გავიმარჯვე. მშვენიერად მახსოვს, საძიათასი დოლარი მომცეს, ამ ფულით მერსედესის კლინიკაში ყოფნის საფასური გადავიხადე, სადაც მეორე ვაქიშვილი შემეძინა. ფული თითქოს ციდან ჩამომიცივდა. ესაა ის ორად ორი კონკურსი, რომელშიც მონაწილეობა მივიღე. ასე რომ, კონკურსებია წინააღმდეგი სულაც არა ვარ, მაგრამ მომაკვლინებელია, როცა იგი თვითმიზნად იქცევა.

— „მარტოობის ას წელზე“ რაღას იტყვი?

— ამ რომანმა გვარიანად გამაწვალა, რამდენჯერმე დავიწყე. შეკრებილი მქონდა მთელი მასალა, ნათლად ვხედავდი, როგორი უნდა ყოფილიყო მისი სტრუქტურა, მაგრამ ტონი ვერ გამომედებნა შესაფერისი — სხვაგვარად რომ ვთქვა, თვითონვე არა მჯეროდა, რაღაც ვეცებოდი. მე ზგონია, მწერალს ყველაფერზე შეუძლია მოგვითხროს. თავში რაც მოუვა, მაგრამ ერთი პირობით, უნდა შეეძლოს მკითხველის დაჭერება. იმისათვის კი, რომ მიხვდე, დაგიჭერებენ თუ არა, ყველაფერი, უწინარეს ყოვლისა, თავად უნდა გჯეროდეს. მე კი მიეუბრუნდებოდი თუ არა „მარტოობის ას წელს“, ჩემი თავისა თვითონვე არა მჯეროდა. ბოლოს, როგორც იქნა, მივხვდი, ტონი მეშლებოდა, ავდექი და მეც დავიწყე ძიება და იქნაღვე ვეძიე, სახან არ დავრწმუნდი, რომ ყველაზე ნადდი ბებიაჩემის თხრობის მანერა იყო, ყველაზე დაუჭერებელსა და ფანტასტიკურ რამეებსაც კი საესებით ზუნებრივი კილოთი რომ ჰყვებოდა; და მე, ლიტერატურული ხელობის ოვალსაზრისით, სწორედ ეს კილო მიმაჩნია „მარტოობის ასი წლის“ საფუძველად.

— ჩვეულებად გაქვს თუ არა, როცა რამეს წერ, დაწერილი ვინმეს წააკითხო?

— არასოდეს. არც ერთ სტრიქონს არავის არ ვაკითხებ. იმთავითვე ასე გადავწყვეტე და მკაცრადაც ვიცავ ამ წესს. იმიტომ, რომ, მე ასე ზგონია, ლიტერატურა თუ საზოგადოებრივი პროდუქტია. ლიტერატურული შრომა — აბსოლუტურად ინდივიდუალურია. გარდა მაგიაა, იგი ამ ქვეყნად ყველაზე უფრო მეტად მოითხოვს საკუთარ თავთან მარტო დარჩენას, ვერავინ დაგეხმარება იმას დაწერაში, რასაც შენ წერ. ამ დროს შენ ისევე მარტოდმარტო და უძწეო ხარ, როგორც შუაგულ ზღვაში ჩასაძირად განწირული გემი. და თუ შენ შემწეობაა სხვისგან მოვლი, რომ სხვას წააკითხებ და სხვა გირჩევს, რა გზით უნდა წახვიდე, ამან შეიძლება უფრო თავგზა აგიბნეოს და გაენოს, იმიტომ რომ, არავის შეუძლია გამოიცნოს, როცა რამეს წერ, თავში ნამ-

დვილად რა გაქვს. სამაგიეროდ, მე გამოვიმუშავე მუშაობის სისტემა, რომელიც ჩემს მეგობრებს მეტად დამქანცველად ეჩვენებათ; ყოველთვის, როცა რამეს ვწერ, გამუდმებით ვლაპარაკობ მასზე, ვუყვები მეგობრებს — ერთხელ კი არა უთვალავჯერ. ზოგი შეუბნებ, ერთი და იგივე მოთხრობა სამჯერ მაინც მომისმენიაო. ეს მე თვითონ აღარ მხსომები, შთაქი მოყოლილი ამბავი მუდამ ერთნაერთისაგან განსხვავებული და უფრო სრული მოსჩვენებიაო. ნამდვილად ასეც არის. იმიტომ, რომ მეგობრების რეაქციის მიხედვით, უხეიროსა და სუსტად აღვილებს გამოგზიარავ ხოლმე. ამგვარი მუშაობის წყალობით ვახერხებ საკუთარი თავის განსჯას, რაც სიბნელეში ორიენტირების საშუალებას მაძლევს, მსგავსად პილოტისა, რომელიც მიმართულებას ხელსაწყოთა საშუალებით საზღვრავს.

— მგონი, ახლა „მარტოობის ასი წლის“ შექმნაში მერსედესის მონაწილეობაზე აპირებდი საუბარს.

— მართალია, პოდა, ვაგვეგზავრეთ აკაპულკოში — მერსედესი, მე და ბავშვები, მაგრამ ანაზღად შუა გზაზე ვჩერდები და ვამბობ: „არა, საქმე შემდეგნაირად უნდა აეწყოს: „პაპა ბიქს ყინულის სანახავად წაიყვანს, ამ ამბავმა მოქმედი შოლტის შივილივით უნდა გაიხშიანოს. შემდეგ კი კვლავ ამგვარივე ტონით გაგრძელდეს“. მე უკან მებრუნდი და დავიწყე წიგნის წერა.

— აკაპულკომდე არ ჩასულხარ?

— არა, არ ჩავსულვარ. მერსედესმა მოთხრა, „სრულ კვებაზე ვერა ხარო“, მაგრამ ესეც მომიტოვინა; ვერ წარმოიდგენ, რამდენი რამ მოულოდენია მერსედესს ამგვარი სიგიჟეების გამო. მექსიკაში წერად ვიქეცი, იმიტომ, რომ ყველაზე ძნელი ყველგან და ყველაფერში — დაწყებაა. რომანისა თუ მოთხრობის პირველი ფრაზა ჰქმნის ტონს, სტილს. მოქმედების განვითარებას და ყველაფერს. მთავარი პრობლემა — დაწყებაა. იმის წყალობით, რომ წინ ძალზე სწრაფად მივიწყებდი, და შინაგანი დაფინებულ მოთხოვნის გამოც, ვფიქრობდი, წიგნს ექვს თვეში დავამთავრებდი, მაგრამ ოთხი თვის მუშაობის შემდეგ ერთი სენტავოც აღარ ვამაჩნდა, მე კი არასდროს არ მინდოდა სამუშაოდან მოწყვეტა. იმ ფულით, „ქამი უკეთურის“ გამო რომ მომცეს, როგორც ვთქვი, კლინიკის ვალი გადავიხადე, ამასთან, ვიყიდე ავტომანქანა. ახლა წავედი, მანქანა დავაგირავე და მერსედესს ვუთხარი: „პაპა, მთელი ეს ფული შენა გქონდეს, მე კი წერას გადაგრძელებ-მეთქი“. მაგრამ წიგნს ექვსი თვის ნაცვლად თვრამეტე თვე მოვანდომე. მიუხედავად ამისა, მერსედესს ერთხელაც არ დასცდენია, რომ მანქანის ფული დახარჯოდა. სახლის პატრონსაც დაერკვა და შეეხსენებინა, სამი თვის ქირა დაგიგროვდათო. მერსედესს უთქვამს: „არა-უშავს, სენიორ, მეცხრე თვემდე ვიქნებით თქვენი მოვალენი“. ასეც მოხდა. ცოტა ხნის შემდეგ მერსედესმა სახლის პატრონს ჩეკი გაუგზავნა და მთელი ცხრა თვის ვალი გადავიხადეთ. „მარტოობის ასი წლის“ გამოსვლის შემდეგ, როცა ამ კაცს წიგნის გარშემო ატეხილი ხმაურა გაეგო და თვითონაც წაეკითხა, მირეკავს და მეუბნება: „სენიორ გარსია მარკეს, დიდ პატივს დამდებთ თუ მეტყვით, რომ ასე თუ ისე, ამ რომანში მეცა მაქვს წვლილი შეტანილიო“. ერთი საზრუნავი სხვადა გექონდა: მერსედესმა იცოდა, რომ გარკვეული ვალის შემდეგ ჩემთვის 500 ფურცელი ქალაქი უნდა მოეტანა და სისტემატურადაც ვლებულობდი ჩემს კუთვნილ 500 ფურცელს, რის შედეგადაც მივალწავე მუშაობის ზუსტ რიტმს: დროის ერთსა და იმავე მონაკვეთში მუშაობდი ერთნაირი ნაყოფიერებით და ვხარჯავდი ქალაქის — ოთხად დაკრილი გაზეთის საბაველი ქალაქის — ერთსა და იმავე რაოდენობას. საქმე ისაა, რომ მე წერას ყოველთვის პირდაპირ მანქანაზე ვიწყებ, და თუ რამე შემეშალა, არ მომეწონა, ანდა მანქანის გამო მომივიდა შეცდომა, ისეთი გრძნობა მიჩნდება, თითქოს ეს უბრალო მანქანის შეცდომა კი არა, შემოქმედებითი შეცდომა იყოს. იმიტომ წერას თავიდან ვიწყებ, სუფთა ფურცლიდან, და ასე მიგრძობდა სულ ახალი და ახალი ფურცლები, სულ ერთი და იგივე ფრაზები, ოღონდ, უფრო ვიძელი და დახვეწილი. როცა უკვე მთელი გვერდი მზად მაქვს, ხელით ვასწორებ და ხელახლა ვბეჭდავ სუფთად. ერთხელ თორმეტგვერდიანი მოთხრობა დავწერე, მუშაობის დასრულებისას ვნახე, ხუთასი ფურცელი დამხარჯოდა. ეს უზარმაზარი ხარჯია, თანაც მე ელექტროსაბეჭდ მანქანაზე ვმუშაობ.

— მუდამ ელექტროსაბეჭდ მანქანაზე?

— დიან, რადგან ერთხელ რომ ასე დაიწყებ, მერე ეჩვევი და სხვაგვარად ვეღარ ახეობ მუშაობას. შექანიკური სიძნელეები დამწერსა და დაწერილს შორის წარმოქმნის დაბრკოლებებს, ელექტრომანქანა ამ დაბრკოლებებს ისე ამცირებს, ვეღარც ამჩნევ.

— ვგონია, ჩვეულებრივი საბუქდი მანქანის კლავიატურაზე თითების დატყვას ელექტროსაბუქდი მანქანის კლავიატურაზე თითების შეხება სჯობია?

— რასაკვირველია, ბევრი მწერალი ვიცი, ვისაც ელექტროსაბუქდ მანქანაზე მუშაობისა ეშინია. ეშინია იმიტომ, რომ — ვსარგებლობ შემთხვევით გითხრა ეს — ჯერ კიდევ არსებობს რომანტიკული შიტი, რაც ბევრ ჩემს რევოლუციონერ მეგობარზეც ახდენს გავლენას, თითქოს მწერალი და საერთოდ მხატვარი ძალზე უბედური უნდა იყოს. შიმშილით კუჭი უნდა უხმებოდეს, რომ შექმნას რაიმე. ნამდვილად კი პირიქითაა! ვფიქრობ, უკეთეს პირობებში გაცილებით უკეთესად შეიძლება წერა, ვერ ვიტყვი, თითქოს შიმშილგადატანილი უკეთ დაწერ. ვიდრე მაშინ, როცა იგი არ გამოგიცდია. ყველაფერი იმის ბრალია, რომ მწერლებსა და მხატვრებს იმდენი უშიშროლიათ, ახლა იგი აუცილებელი ეჩვენებათ. ნამდვილად კი, როგორ არა სჯობს, წერო — არაცარიელი სტომაქით, თანაც ელექტროსაბუქდი მანქანით! იცი, რას გეტყვი კიდევ: ერთი რომანტიკული შიტი, მაგრამ არსებობს სხვა რაღაცაც, რაც თანამედროვე მწერლებმა უსათუოდ უნდა გაითვალისწინონ. ახალგაზრდობისას თავისთავად გეწერება, თითქოს შადრევანად ხარ მომსკდარი, მაგრამ ეს სიადვილე თანდათანობით ქრება, როცა დულხარ და გადმოდულხარ, მაშინ თუ არ გამოიმუშავე შენი ხელობის გარკვეული ხერხი, შემდგომში, ძველებური უნარი თვალსა და ხელს შუა რომ გაგიქრება და ხელთ აღარავითარი ხერხი არ შეგჩნდება. წერას უკვე ვეღარ შეძლებ. როცა ვეღარ იშადრევანებ, ეს ხერხები უჩვეულოდ გშველის. მახსოვს, გატყვით რომ გმუშაობდი, ყველაფერს ვასწრებდი — ხან რეპორტაჟებს ეწერდი, ხან მოწინავე სტატიებს, ხან ათასგვარ შენიშვნებს, სამუშაოს დამთავრების შემდეგ კი რედაქციაში ვრჩებოდი და შუალამემდე მოთხრობებს ვთხზავდი. ხანდახან მოთხრობას ერთი ამოსუნთქვით ვამთავრებდი. განვლო დრომ და ახლა თავს ბედნიერად ვგრძნობ, მთელი დღის მუშაობის შემდეგ ერთი კარგი აბზაციც რომ დაეწერო, რომელსაც, როგორც წესი, მეორე დღეს მაინც გადავაკვირებ ხოლმე.

— ამან ჩვენ იქამდე მიგვიყვანა, რაც ჰემინგუეის „ლიტერატურულ სახელოსნოზე“ ადრეს გითქვამხ...

— მე ვგონი, ჰემინგუეი არ არის კარგი რომანისტი, სამაგიეროდ, დიდებული მოთხრობების ავტორია. ჰემინგუეის მოთხრობები თავისებურად სამაგალითონი არიან. გეტყვამხ, მისი რომანები რიგიანად ვერ არის აგებული, და მოიკოჭლებს, მოთხრობები — პირიქით. ყველა მისი მოთხრობა მაგალითია იმისა, თუ როგორი უნდა იყოს ამ უარის ნაწარმოები, დედამიწის რომელი კუთხეშიც არ უნდა იყოს დაწერილი, მაგრამ იცი რა, ყველაზე მეტად რაც მიყვარს ჰემინგუეისა — ეს არც მისი რომანებია და არც მოთხრობები, ეს გახლავს მისი რჩევი-დარიგებანი და ის აღმოჩენა, რაც მან მწერლურ საქმიანობაში მოახდინა.

— მეთოდი?

— ნამდვილად; ის არ ვკადღევს არც სტილის, არც ფილოსოფიისა და არც ლიტერატურული პოლიტიკის გაკვეთილებს; ის გვასწავლის ლიტერატურულ ტექნიკას და მეთოდს: შესაძლოა ამაში იყოს რაღაც სახიფათო და უარყოფითი; მისი ტექნიკა უაღრესად გონებისმიერია. მაგრამ მის მიერ მოცემული რჩევა-დარიგებანი საუკეთესოა. ერთ-ერთ პათგანში, აისბერგს რომ ეხება, გვეუბნება: მოახრობა, რომელიც ერთი შეხედვით ძალიან უბრალო ჩანს, დამუშავებულია არა იმაზე, რასაც გარეგნულად ვხედავთ, არამედ იმაზე, რაც ამის იქითაა დაფარული, ესე იგი, იმ აურაცხელი შესწავლილი მსალის მოცულობაზე, რომელიც აუცილებელია პატარა მოთხრობის დასაწერად.

იგი აისბერგს ჰგავს: ყინულის ხერხი, რომელსაც ვხედავთ, ძალზე დიდია, ამასთან მასივის მერგვდი ნაწილია მხოლოდ, შვიდი მერგვდი წყლის ქვეშაა დამალული — და სწორედ ესაა, რასაც იგი ემყარებაო. ჯერ ერთი, ყოველივე ეს სიმართლეა, მეორეც, კარგი იქნება, ახალგაზრდა მწერლებმა შეძლონ აქედან განზოგადებული დასკვნების გამოტანა. რადგან ნამდვილად წარმოუდგენელია შეიქმნას კარგი ლიტერატურა (გარდა გამონაკლისი შემთხვევისა, როცა ახალ-

დად გამოჩნდება ხოლმე არაჩვეულებრივი გენია), თუ არ იცნობ მთელ ლიტერატურას. არსებობს ტენდენცია, აგდებულად ეკიდებოდნენ ლიტერატურულ კულტურას, სტეროდეთ სტიქიურობისა და ზემთაგონებისა. ზემთარტება ასეა, რომ ლიტერატურა არის მენიერება და საჭიროა მისი დაუფლება, რომ ლიტერატურის განვითარების ათი ათასობით წლები დგას ყოველი მოთხრობის უკან, რომელიც დღეს იწერება: აი, სწორედ ამ ლიტერატურის შესაცნობად იწყობილებელი მოკრძალება და თავმდაბლობა. მოკრძალება, რომელიც მწერანს ხელს გიშლის, საჭიროა იმისათვის, რათა შეინწყველო მთელი ლიტერატურა და ხელდავდე, რა დიდებული იყო ყოველივე ის, დალახეროს ეშმაკმა, რაც ათი ათასი წლის წინათ იქმნებოდა, საჭიროა იმისათვის, რათა კვლავ განვაგრძოთ საქმე, რომელიც ბიბლიის დროიდან იღებს სათავეს. ბოლოს და ბოლოს, ლიტერატურას უნივერსიტეტში კი არ სწავლობ, სწავლობ მწერლის კითხვითა და ხელახლა გადაკითხვით.

ჰემინგუეის მეორე მნიშვნელოვანი რჩევა ეხება ყოველდღიური შრომის პრაქტიკას: „ყველაზე ძნელი, წერის დაწყებაა“. რაც უფრო ახალგაზრდა ხარ, გეადვილება იგი. მერე, თანდათან რომ ჭარმაგდები, სახელს იხვევ და, მაშასადამე, სამუშაოს მიმართ მეტ პასუხისმგებლობას გრძნობ, წერის დაწყება თანდათან უფრო გიძნელდება. დაუწერელი ქალილის სევდა ყველაზე სწინელი სევდაა, რაც კი გამომიცდია კლასტროფობიის შემდეგ. დაუწერელი ქალილის სევდა „კლასტროფობიური“ სევდაა. ჰემინგუეის რჩევა-დარიგების წაკითხვის მერე ამ სევდას თავი დავადწიე. დღევანდელი სამუშაო არაერთარ შემთხვევაში არ უნდა გადასდო, თუნდაც სულ განოგეცალოს არაქათი, ბირიჭით, საჭიროა, დღევანდელი სამუშაო ბოლომდე მიიყვანო ისე, რომ მეორე დღისათვის ცოტაოდენილა მოიტოვო, თანაც მოქმედების განვითარება მოფიქრებული უნდა გქონდეს. ამრიგად, მეორე დღეს იწყებ აქედან, აგრძელებ და დასამთავრებლად კვლავ ხელისათვის გადასდებ. ეს გშველეს, რათა თავიდან აიცილო უდიდესი დაძაბულობა და სევდა, მუშაობაც გაცილებით იოლი ხდება. ამრიგად, ჰემინგუეის საუბრიდან ის დასკვნა შეიძლება გამოვიტანოთ, რომ შესაძლოა, იგი დიდი მწერალი არ იყოს, მაგრამ ძალზე სახიფათო მანეც არის იმათთვის, ვინც ჰემინგუეის მწერლობას აუბრალოებს. ჰემინგუეი სულაც არ არის უბრალო მწერალი, ჰემინგუეის უბრალოება საგანგებოდ შემუშავებული უბრალოებაა! მე მაინტერესებს ჰემინგუეის მუშაობის მეთოდი, ჰემინგუეის ხელობა.

— მისი დამოკიდებულება ენასთან?

— არა, თუმცა როგორ არა, მაგრამ მე ჰემინგუეი თარგმანებით წამიკითხავს.

— ატმოსფერო, კონტექსტები?

— ერთ რამეს გეტყვი. იყო მომენტი, როცა ჰემინგუეი შეიძლებოდა კარიბის სამყაროს მწერალი გამხდარიყო იმის წყალობით, რომ კუბაში ცხოვრობდა. მაგრამ ეს არ მომხდარა, ეინაიდან იგი — მთელი ლიტერატურული თეორიაა და მისი შემოქმედებაც სწორედ ამ თეორიის პასუხი გახლავს.

— თეორია... მაგრამ ხომ არსებობს ანტილიელი მწერლებისათვის ნიშანდობლივი „ლიტერატურული სულიც“?

— თითოეული მწერალი თავისი საკუთარი რეალობის მიხედვით უნდა ეუშობდეს, ეს გარდაუვალია. ცუდია ის მწერალი, ვინც საკუთარი რეალობის მიხედვით არა ჰქმნის, მწერალი პირად გამოცდილებას თუ არ ემყარება — ყალბი გზით მიდის.

— ადრე შენ ფოლკნერი მოიხსენიე, მაგრამ ფოლკნერი ხომ სამხრეთულ პეიზაჟებს ხატავს, რომელიც კოლუმბიის ხანაპირო ზონას ჩამოგვავს, შენ კი მაშინ ვარაუდობდი, რომ...

— მაგრამ ფოლკნერი კარიბის სამყაროს მწერალია.

— კეთილი, მაგრამ განა ეს სხვაგვარი შემთხვევაა, ვიდრე ჰემინგუეისა?

— რასაკვირველია სხვაგვარი შემთხვევაა. მაგალითად, ჰემინგუეის მოთხრობა „შტორმის შემდეგ“ ფანტასტიკურია. ტრანსატლანტური ხომალდი ზღვის სიღრმეში როგორც შინის

ეიტრინაში ისე ჩანს, იგი წარმოუდგენლად მშვენიერია, მაგრამ, როცა ამ მოთხრობას კითხულობ, მაინც გგონია, რომ ჰემინგუეი თავს არ აძლევს თავისუფლებას, რაღაც ბრძვას.

— თავს არ აძლევს თავისუფლებას? რა მხრივ? წარმოსახვის თვალსაზრისით?

ეროვნული

— წარმოსახვის თვალსაზრისით იმითომ, რომ ჰემინგუეი თვორიტებს მსხვერპლად აღიქვამს რატურაში ამყარებს სიმკაცრის მისეულ პრინციპებს. ის ლიტერატურული სიმკაცრის მღვდელმთავარია. აქედან დასკვნა: ჰემინგუეის მიერ თავის შემოქმედებაში მოცემული ლიტერატურული ხელობის გაყვეთილები ღირებულებას წარმოადგენს ლიტერატურული ოსტატობის თვალსაზრისით. მაგრამ აქედან ასეთი დასკვნის გამოტანა, თითქოს ჰემინგუეი ამისი ერთადერთი მაგალითი იყოს, არამც და არამც არ შეიძლება.

— როგორც არ შეიძლება, მაგალითად, ესპანური ლიტერატურის უარყოფა, არა?

— არ შეიძლება მისი უარყოფა, იმითომ, რომ ამოდ ეყდები ლიტერატურის — კაცობრიობის ამ შემკვიდრების — ჯანვითარებას, თუ არ გვეოდინება ის ათეულათასობით წლები, რომლებიც ამ ლიტერატურის უკან დგას. რაკი ესპანურ ლიტერატურაზე ჩამოაგდეს სიტყვა, რაზედაც აქ ცოტა ვილაპარაკე, გამოგიტყდები, მე არა ვარ ესპანური რომანის დიდი თავყანისმცემელი. სერვანტესსა და პლუტურ რომანზე თუ მიდგება საქმე — აქ უფრო უდავოა, იგი უდიდესი ესპანური რომანია. სერვანტესზე მეტად მე, როგორც მწერალს, უფრო მაინტერესებს ავტორი ერთი პატარა წიგნისა, რომელსაც ძალიან იშვიათად იხსენიებენ — ესაა „ლაზარილი ტორმესელი“. შინაგან მონოლოგს (რომელმაც, როგორც ვარაუდობენ, რევოლუციური გადატრიალება მოახდინა ახალ რომანში) მიაწერენ ჯოისს; ჯოისს კი მსოფლიო ლიტერატურის მონუმენტი. ვერაფერ უარყოფს ჯოისის შინაგანი მონოლოგების ვირტუოზულობასა და შემოქმედების მწვერვალს. თუმცა, პირადად მე ვირჩინო ვულფის შინაგანი მონოლოგები უფრო მომწონს, ვიდრე ჯოისისა — ორივე ერთსა და იმავე წლებში მოღვაწეობდნენ და ძნელი იმის გარკვევა, პირველმა რომელმა გამოიყენა იგი. მაგრამ, თუკი სადმე შევხვდებით ჯოისისა და ვულფისებურ ნამდვილ შინაგან მონოლოგს, გოველგვარი ტექნიკური გადაწყვეტის გარეშე, საოცრად საზრიაანსა და განსაზღვრულს — ეს იქნება „ლაზარილი ტორმესელი“. „ლაზარილი“ ავტორს ფაბულის განვითარების გამო, რომლის მიხედვით ბრმა ცდილობს თვალხილული სადღიოს მოტყუებას, მკითხველისათვის უსაათოდ უნდა გაემგავნებინა ამ ბრმის აზრთა დინება, და ერთადერთი გამოსავალი გახლდათ გამოგონება იმისა, რაც მანამდე არ არაებობდა. და, რაც დღეს შინაგან მონოლოგად იწოდება. ამას იმითომ გუუბნები, რომ მიხვდები, რა ძნელია და თითქმის შეუძლებელიც ჩვენს დროში სერიოზულად დაჯდეს რომანის საწერად ისე, საფუძვლიანად თუ არ გაეცნობი „ლაზარილი ტორმესელს“. მაგრამ ამაზე სულაც არ ვაპირობდი საუბარს, როცა ვითხარი, ესპანური რომანი არცთუ ძალიან მაინტერესებს-მეთქი. ესპანურ ლიტერატურაში, უპარველეს ყოვლისა, პოეზია უნდა იცოდეს. ჩემს ფორმირებას მე, რსებითად, პოეზიის ვემადლი. ლიტერატურითაც პოეზიის წყალობით დავინტერესდი. უფრო მეტს ვაძვირებ — ცუდი პოეზიის წყალობით. იმითომ, რომ კარგ პოეზიამდე სხვაგვარად ვერ მიხვალ, თუ არა ცუდი პოეზიის შემწეობით. რემბოსა და ვალერს ისე ვერ შევიცნობ, თუ არ გვეოდინება წყნის დე არსე! და მთელი ის ცრემლნარევი პოეზია, რომელიც სტუდენტობის წლებში მოგწონს, როცა შეყვარებული ხარ. სწორედ ამითომ ვარ ცუდი პოეზიის დიდი თავყანისმცემელი. ამიტომაც, რომ ესპანურ ლიტერატურაში რომანზე უფრო პოეზია მიყვარს. მეტსაც ვაძვირებ, ვფიქრებ, რუბენ დარიოსათვის ჯერ არ მიუგიათ „პატრიარქის შემოდგომის“ დარი პატივი. წიგნი გახვდება რუბენის ლექსების სტრიქონები. წიგნი დაწერილია რუბენ დარიოს სტილით, და იგი სივსვა რუბენ დარიოსმცოდნეებთან ეშმაკური ძვალის პაჭუნით — მე სიმ ცედილობდი გამერკვია, ვინ იყო ყველაზე დიდი პოეტი ყველაზე დიდი ლიტერატორის უპოქაში; აღმოჩნდა, რომ ეს რუბენ დარიოა. ერთხანობას თავსაც კი ვირაობდი და ვხაზავდი იმ ადგილებს, სადაც ის არის მოხსენიებული. დაბოლოს, რუბენ დარიო ჩემი წიგნის ერთ-ერთ შემოქმედი პირიცაა და აქაც, ვინმეს მოსწონს ეს თუ არა, პროზად დაწერილი მისი პატარა ლექსი მაქვს ციტირებული, სადაც ნათქვამია: „არის შენს თეთრ ცხვირსაბოცზე ერთი ვებზელი, წითელი ვენზელი სახელისა — შენი სახელისა არა, ჩემო ბატონო“. „მარტოობის ას წელში“ ერთი პერსონა-

¹ გასპერ ნუნის დე არსე (1832-1903) — ესპანელი პოეტი და დრამატურგი.

გი აცხადებს, ლიტერატურა — საუკეთესო გასართობია, მოგონილი იქნათ, რომ აბუჩად
ვიგდოსო აღამიანები, ოდესმე, ალბათ, მიფუბრუნდებით „სარტობის ას წელს“ „ბოლქოვნიკს
არაყინ არ სწერს“, „პატრიარქის შემოდგომას“ და თვალნათლივ დაერწმუნდებით, რა ოხუნჯობე-
ბით, რა თავშესაქცევი ამბებით, რა ხალისითა და მუშაობის სიხარულითა და სწავლასთან სწავნებით, იმი-
ტომ, რომ ვერც ლიტერატურაში და საერთოდ ვერსად ვერ შექმნილ მამულსა და სწავლას დიდს,
თუ მისი შექმნით ბედნიერება არ განიცადე, ანდა, უკიდურეს შემთხვევაში, თუ მას არ მიიჩნევ
ბედნიერების მოპოვების საშუალებად.

— ადრე შენ გაარჩიე რემედოს მშვენიერის ამდღების ეპიზოდი და მე მეგონა, ხადაცაა
გამდღავებული ლიტერატურულ ხაიდუმლოებათა გულისგულს, რაც, ბოდოს და ბოდოს, პოე-
ზიამდე დაიყვანება. ყოველივე შემთხვევაშიდან კი გამოდის, რომ დაკვირვებას უფრო ენ-
დობი, ვიდრე წარმოსახვას.

— საქმე ის არის, რომ მეტისმეტად დაუფიქრებლად არ უნდა ირწმუნო ყოველივე ის,
რასაც გარსია მარკესის წარმოსახვაზე ლაპარაკობენ, ისიც, რაც მე მითქვამს, ცოტა გადაჭარბე-
ბულია. მე მგონია, ეს უბადალებული წარმოსახვა სხვა არაფერია, თუ არა სინამდვილის, სწორედ
რომ სინამდვილის შემოქმედებითი გადამუშავების სპეციფიური (ანდა არასპეციფიური)
უნარი.

— შენ სთქვი, რომ ყველაფერს, რაც კი დავიწერია, რეალური საფუძველი გაჩნია და რომ
შეგიძლია ამის დემონსტრირება და სტრაქონ-სტრიქონ მოტანა. ხომ არ იხურვებ მაგალითის
დასახელებას?

— ყველაფერს, რაც დამიწერია, აქვს რეალური საფუძველი, ასე რომ არ იყოს, ეს ფანტაზია
იქნებოდა, ფანტაზია კი— უოლტ დისნეია, რაც მე სრულებითაც არ მაინტერესებს. ერთი ბეწო
ფანტაზიაც რომ აღმომიჩინონ, თავს შერცხვენილად ვიგრძნობდი. არც ერთ ჩემს წიგნში არ
არის ფანტაზია. ავიღოთ თუნდაც მაურიისო ბაბილონის ყვითელი პეპლების ცნობილი ეპიზოდი,
რომელზეც ხშირად ამბობენ: „რა ფანტაზიაა!“ დალახეროს ეშმაკმა, არავითარი ფანტაზია, მა-
გისი მსგავსი არაფერია იქ! მშვენიერად მახსოვს, ექვსი წლისა ვიყავი, არაკატაკაში ჩვენს სახლში,
მონტიორი რომ დადიოდა. ლამის ახლაც ფვალნათლივ ვხედავ, იმ საღამოს ბებიაჩემი თეთრმა
პეპელამ რომ შეაშინა... ეგეც შენი საიდუმლოება, რომლის განმარტება არ შეიძლება.

— რა არ შეიძლება?

— ახსნა, იმიტომ, რომ ეს საიდუმლოებას გამდღავებებს უდრის: თუცა საქმე მთლად ეგ-
რეც არ ირის: ამით საიდუმლოება კიდევ უფრო ამოუცნობი ხდება. როცა ჯამბაზი გვეუბნება:
„ვერცხს აქედან და აქედან მიღებენ, მაგრამ მთელი საქმე ისაა, რომ მე აქ კი არა, აქა
და აქ მაქვს ძაფზე ჩამოკიდებულიო“ და გვიხსნის როგორ სჩადის ამას — ყველაფერი უფრო
მაგიური ხდება, ვიდრე მაშინ, ეს თავად მაგია რომ ყოფილიყო. იმიტომ, რომ მაგია თუა, მა-
შინ ის უფრო მარტივი რამაა, ხოლო როცა ხელოვნური ხრიკები და ხელის სიმარცხე გამოი-
ყენება, საქმე ყოველგვარ მაგიაზე მეტად რთულდება. ამიტომაც, რომ არ მაშინებს არავითარი
გამდღავება; ბებიაჩემი ჩვარს უქნევდა ყვითელს კი არა, თეთრ პეპელას, აფრთხობდა მას და
მესმოდა როგორ ყვიროდა: „დალახეროს ეშმაკმა! ვერ გამოგდია ეს პეპელა. ვამოჩნდება თუ არა
მონტიორი, ესეც მაშინვე შინ შემოფრინდება“. მე ეს ამბავი სამუდამოდ დამამახსოვრდა, ლი-
ტერატურულად დამუშავებული კი, შენც კარგად ხედავ, რაც გამოვიდა.

მაგრამ მიხდა ერთი რამეც ვითხრა. თავდაპირველად პეპლები, როგორც სინამდვილეში,
თეთრები იყვნენ, და მე თვითონაც ვერ დამეჭერებინა ვერაფერი, პეპლები რომ გაეყვირთლე.
მაშინ დავიჭერე, და, როგორც ეტყობა, მართო მე კი არა, სხვებმაც დაიჭერეს... ამრიგად, დაი-
მასხოვრე. არც ერთი ნაბიჯი, ნოკიდებული რეალური ამბიდან, რაც ახლა მოგიყვები. პეპლე-
ნის ფერის ჩათვლით, წაგნში მის ლიტერატურულ გარდასახვამდე არ შეიძლება ვანხორციელ-
დეს სხვაგვარად, თუ არა პოეტური ხერხით.

იგივე დაემართა რემედოს მშვენიერის ცად ამდღების ეპიზოდსაც. თავდაპირველად
განზრახული არცა მჭონდა მისი ცად ამდღება, ის რებეკასა და ამარანტასთან ერთად ტალანში
უნდა მჯდარიყო და ექარგა. მაგრამ ანაზღად გაიხედავენ და რემედოსს თვალს ეელარ მოკ-

კრავენ. ეს თითქმის კინემატოგრაფიული ხერხა იყო. მაგრამ რემედისი ჯერ მათ შაინც დედამიწაზე ეგულებოდათ. მაშინ გადაწყვიტე მასი სულითაც და ზორციითაც ცად ამალღება. საქმე ისაა, რომ გამახსენდა კიდევ ერთი სენიორა, რომლის შვილიშვილი განთიადისას სახლიდან გაიქცა. შვილიშვილის გაქცევით დარცხვენილმა მოხუცმა ხმა დაყარა, თითქოს იგი ცად ამალღებულყოფოს. იმის მიუხედავად, რომ დასცინოდნენ, ის თავისას შაინც არ იშლიდა, ყველას ამაზე ელაპარაკებოდა. ჰყვებოდა თითქოსდა საკუთარი თვალთ ნანახ რაღაც საქმეს — ნათებასა და ამდაგვარ რამეებზე... იმასაც ამბობდა, თუ ღვთისმშობელი ამალღდა, რატომ არ შეიძლება ჩემი შვილიშვილიც ამალღებულყოფო. ეს ყველაფერი, მე, როგორც მწერალს, წიგნის წერისას გამახსენდა. თუკი ღვთისმშობელ მარიაზე არსებულ მითში ლიტერატურული კვანძი იქ გაიხსნება, სადაც ღვთისმშობელი სულითაც და ზორციითაც ცაში ამალღდა, რატომ არ შეიძლება არსებულყოფო ჩემი გმირის ამბის ასეთივე ლიტერატურული დაბოლოება? წერას შევუდექი, მაგრამ ერთია ამისთანა დასკვნის გამოტანა და სულ სხვაა — მისი ლიტერატურული ზორციშესნა ისე, რომ მკითხველმა დაგიჯეროს: მოკლედ არ ჩანდა არავითარი ხერხი, რითაც შევძლებდი რემედისის ამალღებას, მაშინ მივხვდი, მისი ამალღებისათვის უსათუოდ პოესია უნდა გამომეყენებინა. ბევრი ვითიქრე, რა მელონა, რანაირად ამეყვანა იგი ცაში. ვზოში გამოვედი, ძლიერი ქარი ქროდა, ვილაც ქალი ცდილობდა შინ დარცხილი ზეწრების გაფენას; მაგრამ ქარი ზეწრებს ხელიდან სტაკებდა. ქალს გაფანტული ზეწრების მოკრეფაში მივეხმარე, რემედისის მშვენიერის ცად ამალღებისათვის კი სწორედ ეს ზეწრები გამოვიყენე. — რემედისი ამალღდა, აფრინდა და მას აღარაფერი დააბრკოლებდა!

— და ვერც ველარავითარი ღმერთი ვერ შეაჩერებდა...

— დაახ, ველარავითარი ღმერთი ველარ შეაჩერებდა. ხომ ვერ დააკავებ ზომილდის იალქანს, მე მგონია, თვალნათლივ შეიძლება აჩვენო, როგორ იწევს იგი მაღლა...

— რაკი საიდუმლოებაზე ჩამოვარდა სიტყვა: რაში მდგომარეობს, შენი აზრით, იდუმალღება მსოფლიოს იმ კუთხისა, რომელსაც კარიბის აუზს ეძახიან, სადაც ფანტასტიკური მოვლენები ხდება, და სადაც ევროპული ხიურრეალიზმი გაბითურებული გამოდის?

— კარიბის აუზი კარგად, კუნძულ-კუნძულ მაქვს შესწავლილი. რაკი სიტყვამ მოიტანა, იმსაც ვიტყვი, რომ იგივე ხდება ბრაზილიაშიც. ის კი, რაც შენ გაინტერესებს, უნდა ყუძიოთ თვით კარიბის ზღვის ისტორიაში, ყუძიოთ პირატების ბედ-იღბალში — შვედები იქნებოდნენ ისინი, ჰოლანდიელები თუ ინგლისელები; უნდა ყუძიოთ სინკრეტიზმში, ზანგურ ინგრედოენტში, რაც ჩვენ ასე გამოგვარჩევს. კარიბის ქვეყნებში წარმოქმნილი ადამიანური სინთეზი ფანტასტიკურ ზღვარს აღწევს. მარტინიკაზე მე ვნახე ოქროსფერთავსაფრიანი, ვეება მწვანეთვალღება თაფლისფერი მულატი, და, უნდა გითხრა, დღემდე მისი პადალი არსად შემხვედრია. კიურასაოზე ვნახე ინგლისელებთან ნაჯარი ზანგები... იცი რა, კარიბის ქვეყნებზე საუბარმა თუ შეგვიყოლია, დავიღუპები, თავს ვერ გავართმევ. მე ბარანკლიელი ვარ, კარტახენიდან, და ვიტყობ, კოლუმბიის დედაქალაქი ბოგოტა კი არა, კარაკასია, ბოგოტაში რომ წახვიდე, ტახსაცმელიც უნდა გამოიცვალო და ენაც...

— ბრაზილიაზე რაღას იტყვი?

— ბრაზილიის ბუნებრივი არეალი კარიბის აუზია.

— მაშინ რუკაზე უნდა გადავაადგილოთ.

— არ არის ურიგო იდეა. კარგი იქნებოდა, რუკაზე გადავევაადგილებინა... იცი, რაში მდგომარეობს კარიბის პრობლემა? ყველამ, ვინც კი აქ ჩამოვიდა, მოასურვა გავეეთებინა ის, რისი ვაკეთებაც ევროპაში ვერ შეძლო, და ამას ისტორიული შედეგიც უნდა მოჰყოლოდა. ერთი მაგალითი ვიქმაროთ: პირატებს ნიუორლეანმა ჰქონდათ საოპერო თეატრი, აქ დაჰყავდათ ადვიანთი ქალები, რომლებიც ბრილიანტის კბილებით იწონებდნენ თავს. წარმოგიდგენია ამისთანა ახირება? კარიბის სამყაროს მეორე საინტერესო თავისებულება, რასაც მუდამ ვამჩნევდი, მაგრამ ახლა პირველად ვამბობ, ესაა — საგანთა დამაშორიშორებელი სივრცე. აი, რა განახლებებს კარიბის სამყაროს დანარჩენებისაგან. რესტორანშიც კი მაგილები გაცილებით შორიწორს ღვას, ვიდრე მსოფლიოს სხვა რომელიმე კუთხეში. ესაა სივრცის სიმშაგე.

— იქნებ სიცხის ბრალია?

— რასაკვირველია, ამასთან იმის ბრალიცაა, რომ, დაღაბვროს ემბაკმა კაცი ნამდვილი ცხოვრებით უნდა ცხოვრობდეს.



— დაბოლოს, ერთი შეკითხვა: რას ფიქრობ დეტექტიურ რომანზე?

— ისინი მე ჩინებულა ნაწარმოებები მგონია შუამდე. იქ მთავარი თამაშია: ამბის დახლართვა და ხლართების დახსნა. ამბის დახლართვა დიდებულია, ხლართების დახსნა კი უკვე გულს გიტეხავს: გენიალური დეტექტივი არის სოფოკლეს „ოიდიპოს მეფე“. იმიტომ, რომ აქ დანაშაულის ძიების შემდეგ მკვლელი თვითონვე აღმოჩნდება; ასეთი რამ აღარ განმეორებულა; „ოიდიპოსის“ შემდეგ დავსახელებ დიკენსას „ედვინ დრუდის საიდუმლოებას“, ვინაიდან დიკენსი ისე მოკვდა, წიგნი ვერ დაასრულა და, ამრიგად, ვერაფერ შეიტყო, ვინ იყო მკვლელი. დეტექტიური რომანის ერთადერთი ნაკლი ისაა, რომ აღარაფერსაა საიდუმლოს არ გიტოვებს. ესაა ლიტერატურა, შექმნილი იმსათვის, რათა გააშიშვლოს და ფარდა ახადოს საიდუმლოებას. გასართობად მაინც დიდებულია. სხვათა შორის, მე მუდამ მკვლელს უფრო ვუჭერ მხარს, ვიდრე მაძებარს, რადგან წინასწარ ვიცა, წაგებული სწორედ ის გამოვა.

— რომანების დაწერას მართლა აღარ აპირებ?

— თემები აღარა მაქვს რომანებისა... და საუცხოო დღე იქნება ჩემთვის ის დღე, როცა ზღაპრულად გამიჩნდება თემები!

— მოლივუდსა და „მარტოობის ანთროპოლოგიის“ ეკრანიზაციის პროექტზე რა იხმის?

— პირველად მილიონი პენსია შემომთავაზეს, ახლა თითქმის ორ მილიონამდე ავიდნენ. მათ სურთ გაძარცვონ რომანი, გამოაცალკევონ აურელიანო ბუენდიას, რემედოსის და სხვების ამბები... გააკეთონ რაღაც სერიები, მაგრამ არ დავეთანხმები, არ დავეთანხმები იმიტომ, რომ მიჩვევნია მკითხველებს ჩემი პერსონაჟები ისეთებად ჰყავდეთ წარმოდგენილნი, როგორებიც არიან. იმ დღეს კი, როცა ეს ფული საჭირო აღმოჩნდება ლათინური ამერიკის რევოლუციისათვის, ამ კონტრაქტს დავდებ.

— დეტატიური ხუან ვახენტე მომესი უახლოესი პროტოტიპია „პატრიარქის შემოდგომის“ გმირისა. როგორღა გავიგოთ შენი განცხადება, რომ ეს წიგნი ავტობიოგრაფიული რომანია?

— მე შემძლია გიპასუხო ერთადერთი ფრაზით, ოღონდ ასევე ერთადერთ ფრაზად უნდა დარჩეს იგი: ძალაუფლების მარტოობას არაფერი ჰგავს ისე, როგორც დიდებულ მარტოობა.

შესავალი სტატია და პუბლიკაცია
ლ. ოსკოვატინსა

თარგმანი მედეა ზუგადაშვილისა



ალექსანდრ სტროგანოვი

თარგმნა ანდრო რობაძიძემ

პიკასოს სიუიტა 'შექსპირზე'

ალექსანდრე სტროგანოვიც კესე ეიღენება შექსპირის შემოქმედების მოტივებზე შესრულებულ პიკასოსეულ ნამუშევრებს. ეს ნახატები პიკასომ თავისი ხანგრძლივი და საინტერესო ცხოვრების უკანასკნელ წლებში შექმნა. სტროგანოვის ნაშრომის შესახებ ცნობილი რუსი მწერალი ვიქტორ შკლოვსკი წერდა: „მე ჩემი მხატვრული განათლებით ფერმწერი არა ვარ. მოქანდაკე გახლავართ. პირველად სწორედ სტროგანოვის წიგნის მეშვეობით შევიტყვე პიკასოს აზრთა წყობა.

პიკასოს სიცოცხლის უკანასკნელ დღემდე არ გაუწყვეტია კავშირი ესპანეთის და პარიზის ხელოვნებასთან. ყველა გამოფენას ესწრებოდა და ახალგაზრდა მხატვრების მეტოქე უფრო იყო, ვიდრე მეგობარი. პიკასო აკვირდებოდა საკუთარ თავს და ცხოვრებას, რადგან თვლიდა, რომ ხელოვნების საერთო განვითარებას ემსახურებოდა და ჩვენთვის სავსებით ნათელი იყო პიკასოს მონაწილეობა რევოლუციური ხელოვნების საერთო განვითარების საქმეში.

წინააღმდეგობის მონაწილე იყო მატისიც, ეს მე არაგონისგან შევიტყვე. ნაშრომი პიკასოზე ჩვენში უნდა დაიბეჭდოს, თავდაპირველად თუნდაც მცირე ტირაჟით.

წიგნებს არ ეშინიათ მცირე ტირაჟის, 500 ან 1000 ეგზემპლარი საკმარისია იმისათვის, რომ წიგნი ჩვენს მეხსიერებაში დარჩეს.

ა. ბლოკი სტამბაში დადიოდა და თვალყურს ადევნებდა, მისი წიგნების ზედმეტი ეგზემპლარები არ გამოეცათ, რათა ამით სხვა გამოცემები არ შეფერხებულყო. თუ გახსოვთ, ამაზე ჩიოდნენ სტამბაში.

მე მიმიღწევია 100 000 და 300 000 ტირაჟამდე, მაგრამ ახლაც ვნატრობ ისეთი წიგნი დამაწერინა, მე რომ დამაკმაყოფილებს, 500-1000 ეგზემპლარად დაიბეჭდება და 1000 წელს იცოცხლებს.

მე არ მქონია მიზნად სტატიის დაწერა ახალ მწერალზე: მხოლოდ იმის თქმა მინდა, რომ ეს მწერალი ნამდვილად ნიჭიერია. საკითხები, რომელიც მან თავის წინაშე დასვა და ნაწილობრივ გადაჭრა კიდევ, ძალზე მნიშვნელოვანია.

1 რამდენიმე თავი წიგნიდან.

პიკასოს ცხოვრების ბოლო ათი-თხუთმეტი წელი ძალზე შრომატევადი და დაძაბული იყო. ეს წლები და მხატვრის იმდროინდელი ნამუშევრები ნაკლებადაა ჩვენში ცნობილი. ამ დაძაბულმა წლებმა განსაზღვრა პიკასოს ცხოვრების ერთ-ერთი ყველაზე უფრო შთამბეჭდავი პერიოდი. აუცილებელია იმის ჩამოთვლა მაინც, რასაც გვერდს ვერ ავუქცევთ.

- კოლორიტს ქმნის ახალი პორიზონტები.
- ახალი თემები.
- ახალი ცხოვრების ახალი სივრცე.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

როცა ეცნობი პიკასოს ამ ათწლიანი ღწვის ნაყოფს, სხვა რომ აღარაფერი ვთქვათ, ერთ რამეში რწმუნდები: პიკასო არ ამთავრებს, წერტილს არ უსვამს თავის სათქმელს, პირიქით, აგრძელებს ერთხელ არჩეულ გზას — მომეტებული ძალისხმევით.

ამასთანავე მრავალ სიახლეს აძლევს დასაბამს.

პიკასოს გამოფენა, რომელიც 70-იან წლებში მოეწყო ავინიონის სასახლეში, წარმოგვიდგენა ორი წლით ადრე შექმნილ ნამუშევრებს — დღეს ამ პერიოდს „პიკასო 90“ ეწოდება, ეს ტილოები (რომელთა რიცხვი 200-ს აღემატება) თავს უყრის მხატვრის ყველა მიღწევას.

ამ ნამუშევრებს შორის საგანგებო ყურადღებას იქცევს პორტრეტების სერია № 103, 104, 106, 107 (ავინიონის კატალოგის მიხედვით).

შეხედავ და გმსკვალავს: ღრმად და მკვიდრად.

აი ჩვენს წინაშეა პორტრეტებისა და ნახევრად-ავტოპორტრეტების სერია. მე გამოვყოფდი № 104, (103) პორტრეტებს: ამ ქმნილებებმა მარადიული საამქვეყნო ადგილი მიაკუთვნა პიკასოს სამოციანი წლების ნამუშევრები მრავალრიცხოვანია და ამასთანავე წონადიც. გარკვევით ხედავ, როგორ აღრმავებს და ამძაფრებს მხატვარი ნაწახს.

ამ წლების სიუჟეტებიდან ერთ-ერთი ძალზე პეტყველი პორტრეტია „მხატვარი სოკრატესთან ერთად“.

გაგონილა თავი უმხრებოდ?

მხატვარი მართო არ არის, თუმცა კი ის მარტოსულია.

განცდების გაღრმავება და გამძაფრება სიცოცხლის ბოლო წლებში არაერთი მხატვრისათვის ყოფილა ნიშნული.

სომხეთი.

სარიანი ბაღშია. განმარტოვდა. მთებს გაჰყურებს.

ბრეზენტის სავეცი სკამი გამოუტანია. ფრთხილად დგამს ძირს, ეშინია არ წაიქცეს.

ჩაიჩოქა. ხელით კაკლის ზის ტოტს ეჭიდება.

ჩაჯდა. ზურგით თბილ ქერქს მიეყუდა. ზის.

მთებს გაჰყურებს. გაზაფხულია. ვარდისფერი ფურცლები ცვივა. ნება-ნება ეშვება, ძირს ეფინება. თბილა.

ფერდობები ალაგ — ზეთისხილისფერია, ალაგ — ყვითელი. ხატავს. კალმით. იცის: ცხოვრება და ახალი სივრცე. სამყარო.

და იცის — როდის.

სარიანის ბოლო ნამუშევრები მსოფლიო ხელოვნების საგანძურს ეკუთვნის. სათაურიც შესატყვისი აქვს: „სარიანის ბოლო წლების ნახატები“.

მაგრამ პიკასო — მემარულეა თუ მღვეარი? იგი მაცნეა.

და იცოდა — როდის.

ამ დროისათვის პიკასოა ქმედება ფერთა სამყაროში არაჩვეულებრივ ძალისხმევას იძენს. შეიძლებოდა გვეფიქრა, რომ მატისის შემოქმედება კოლორიტის გრძნობის მწვერვალი იყო მაგრამ მხოლოდ ახლა გახდა ნათელი, რომ ეს იყო გარკვეული დონე და მის კალამოტში შეძგომი მოძრაობა კოლორიტის შემჭიდროების გზით ხორციელდება.

პიკასომ პირველი ნაბიჯების გადადგმისთანავე უტყუარი სიზუსტით განსაზღვრა თავისი მდგომარეობა და შესაძლებლობები:

მე არ ვიცი როგორი ფერმწერი ვარ.

მე ვიცი როგორი მხატვარი ვარ.



დღეს ყველამ იცის როგორი მხატვარი და ფერმწერი იყო იგი.

პიკასოს ნაღვაწი ამ ათი წლის მანძილზე უძრავ სიმძიმედ ძევს დროში. მაგრამ ამ დონზეც კი შეგვიძლია გამოვეყოთ ის, რაც მოხდა 1964 წ. აპრილს და რამაც დასაბამი მისცა მხატვრის შემოქმედების ბოლო წლებს.

1964 წლის გაზაფხულზე პიკასო ხელს ჰკიდებს შექსპირის შემოქმედებას და კვნია ნახატების სერიას. ამ ნახატებს აერთიანებს ერთი ძირითადი თემა — შექსპირი.

შექსპირის შემოქმედებასთან ზიარება — დიდი მხატვრის თანმიმდევრული ნაბიჯი იყო.

არ არსებობს მოძრაობა უგზოდ და უნიშანსვეტოდ.
ბალზაკის პორტრეტები — მრავალი, სხვადასხვანაირი. დონ კიხოტი.
რემბრანდტი. პორტრეტები და პორტრეტები. მრავალი, ნაირგვარი.
ოვიდიუსი. მეტამორფოზები.

და მხოლოდ 1964 წელს პიკასოს შემოქმედებაში პირველად და მოულოდნელად მთელი თავისი სისრულით წარმოჩნდება შექსპირის სახე.

პიკასოს სიუიტი შექსპირზე — მოთხრობაა, ანდერძი — მხატვრის შეუხელებელი სწრაფვის ნაყოფი.

აქეთ ისწრაფვოდა მთელი ცხოვრების მანძილზე და აქედანვე განაგრძობს გზას.

იგი აღმოცენდება, დევიდება. იწვის, ქრება. ზოგჯერ კი დევიდება და თანაბრად იწვის. მაგრამ პა: ამოდუღდა, ცეცხლი მოედო, ახალი ძალით იფეთქა — ყოველ მომდევნო საფეხურზე სულ უფრო და უფრო მხურვალედ გიზგიზებს იწვის და უფრო და უფრო კაშკაშა შუქს ასხივებს. საფეხურს საფეხური ენაცვლება.

უკვე მომეტებული სიმხურვალით გიზგიზებს, მაგრამ უფერად რალაცამ მოუსწრაფა სიკოცხლე.

დრო უხილავია — მხილველთათვისაც კი — ის განუყოფელი ნაწილია უღვევი საწვავის სტრუქტურისა.

ჩემი მიზანია უბრალოდ მოგიტხროთ. თუ რას წარმოადგენს პიკასოს კვნილება შექსპირზე. ჩემი სიტყვები ვერ ამოწურავს სათქმელს. სიტყვები უბრალო თხრობისა.

შავი ტუშით შესრულებული ნახატები. შექსპირის პორტრეტი. პამლეტი. ამათ გარდა — ორი სილუეტი. ერთი ნიჩბით ხელში, მეორე — ცელით. ამათ გარდა — კიდევ რალაც.

ცხადია — უნდა დავაკვირდეთ.
ყოველივე ეს წიგნის მარჯვენა გვერდზეა აღბეჭდილი. ეს ხომ წიგნია.

მარცხენა გვერდზე — სუფთა ფურცელზე კლანთი ხაზებია. წითელი. ეს ხაზები ავსებს ფურცელს — პორიზონტალურად.

თავისუფლად.
ფართოფორმატიანი წიგნია. უჩვეულო ზომის. ნახატების ზომაც უჩვეულოა: მაგრამ ამაზე არ ფიქრობ — ხედავ — ჩვეულებრივზე დიდია. ნახატები დაწყვილებულია — მარჯვენა და მარცხენა გვერდის.

ყველა წყვილს თავისი ინდექსი აქვს — თარიღი — და ამ ინდექსითაა გამიჯნული ყოველი მომდევნო წყვილი წინასაგან. ინდექსი, წყვილი ნახატი, ინდექსი, წყვილი ნახატი და ა. შ. თორმეტი წყვილია სულ.

ცხადია მარცხენა და მარჯვენა გვერდებზე მოთავსებული სურათები მკვეთრად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან.

მარჯვენა გვერდის ნახატები წარმოადგენს სიუჟეტურ კომპოზიციას.
კომპოზიცია ყოველ ნახატში იკვლება, თუმცა მთლიანობაში შენარჩუნებულია პერსონაჟთა ხატვის მკაფიო სტილური ერთიანობა.

ჩვენთვის ნათელია ავტორის ძირითადი გეგმა — გეგმა შექსპირისადმი მიძღვნილი სიუიტის აგებისა. სიუიტი აგებულია ყველაათვისა ცნობილი საბავშვო ნახატების აგების პრინციპით. „იპოვე ამ ნახატში ის, რაც განასხვავებს მას იმ ნახატისაგან“.

პირველი მთაბეჭდილება მიაშიტური სისადავისა უკვალოდ ქრება შედარებისთანავე და შემდეგ კვლავ ბრუნდება თავისი პირუანდელი ნიშნით აღბეჭდილი.

Handwritten signature and a stamp with a sunburst emblem and the text "ეროვნული ბიბლიოთეკა".

Handwritten signature.

Handwritten signature.

ყველაზე უფრო ცხადად გამოკვეთილ პირველ პლანზე ორი პერსონაჟია: პამლეტი და შექსპირი.

მეორე უფრო ზოგადი პლანის სახეებია, ცელიანი და ნიჩბიანი კაცი.

ნახატებში მესამე, უფრო ზოგადი პლანიცაა, რომელიც შეგვიძლია განვიხილოთ, როგორც ფონი.

სიუჟეტის ყოველი პერსონაჟი განუწყვეტლივ მოძრაობს, მოქმედებს, სახეს იცვლის, — ცოცხლობს.

მაგრამ ეს მუდმივად ცვალებადი კომპოზიცია არ მოიცავს პირველ და ბოლო სამ ნახატს.

ამ სურათზე შექსპირის პორტრეტებია გამოსახული. — ერთმანეთისგან განსხვავებული, სხვადასხვაგვარი.

შე მიგითითებთ ძალზე თვალსაჩინო ცვლილებებს სიუჟეტურ კომპოზიციაში. საუბარი ეხება პამლეტს, რომლის მოქმედება უაღრესად აზრტევადია.

უიარაღო პამლეტის გამოცხადება.


პამლეტი აღჭურვილია.

საბრძოლველად გამზადებულმა პამლეტმა იარაღი მოიმარჯვა.

პამლეტი საბრძოლო მზადყოფნაშია.

პამლეტი კვლავ საბრძოლო მზადყოფნაშია — იარაღმომარჯვებული.

პამლეტმა შენიშნა.



იგი უარს ამბობს იარაღით მოქმედებაზე, მთელი ამ ხნის მანძილზე ჰამლეტს თავის ქალა უპყრია ხელთ — დასცქერის, მაყურებლისკენ აბრუნებს, მერე სულ უფრო და უფრო ზემოთ აიჭვს, დაბოლოს ზეალმართავს.

ჰამლეტის მოქმედება მჭიდროდ უკავშირდება და დამოკიდებულია „ნიჩბიანი“ და „ცელიანი“ კაცების მდგომარეობაზე. მისი ქცევა განუყოფლად ერწყმის მათ მოქმედებას. ეს ორი პერსონაჟი ხან რიგრიგობით მოქმედებს, ხან ერთად. ზოგჯერ სავსებით ქრებიან ასპარეზიდან. ქრებიან და ანაზღად კვლავ წამოყოფენ ხოლმე თავს.

თუკი კვლავინდებურად გავადევნებთ თვალს ჰამლეტს — სიუჟეტის ერთ-ერთ უმთავრეს პერსონაჟს, უეჭველად შევნიშნავთ: მის მიმართებას იარაღთან ღრმა ფიქრის კვალი ატყვია.

„ცელიანი“ კაცის შეუპოვარი მოქმედების შემდეგ ჰამლეტს თვალი ეხილება. ამ ნახატზე აღბეჭდილია ჰამლეტის მიერ „ტეშმარიტების ხილვის მომენტი“.

სიუჟეტის დასაწყისში ჰამლეტი ნაზ და უმწუო არსებად წარმოგვიდგება. სიუჟეტის დასასრულს კი უჩვეულო სიბრძნეს და სიძლიერეს იძენს.

ჰამლეტის შექურვა, იარაღის მომარჯვება და პირიქით, საბრძოლო მდგომარეობის დათმობა, ერთ-ერთი მთავარი მომენტია ძირითადი სიუჟეტური ხაზის განვითარებაში.

ჰამლეტის ხელში იარაღის ცნობიერი და კანონზომიერი გადანაცვლება შერწყმულია განსახილველი საიდუმლოს — თავის ქალის გადანაცვლებასთან. და უდიდესი დაძაბულობის ეპოს ჰამლეტის ყურადღება ხან თავის ქალას ეთმობა, ხან — იარაღს.

შექსპირის პორტრეტს მთავარი ადგილი უჭირავს თორმეტივე ნახატზე. ის ყველგან სხვადასხვანაირია.

შექსპირი სახეა იცვლის. მის აქტიურ შემეცნებას და მოქმედებას მყარი საფუძველი აქვს გარესამყაროში.

ჯერ ისა ვთქვათ, რაც პირველი შეხედვისთანავე გვხვდება თვალში: წიგნის მარჯვენა გვერდზე რაღაცას მოგვითხრობს ავტორი, ამ მოთხრობის შუა ნაწილი ერთ სიუჟეტურ ხაზს ექვემდებარება.

ბარება, თავში და ბოლოში კი სიუჟეტის მთავარი პერსონაჟის — შექსპირის პორტრეტები მოთავსებული.



წიგნის მარცხენა გვერდი კლაკნილი ხაზებითაა შევსებული.

ერთი შეხედვით, წიგნის მარცხენა გვერდზე მოთავსებულ ნახატებს თითქოს არაფერი უნდა ჰქონდეთ საერთო მარჯვენა გვერდზე მოთავსებულ ნახატებთან. მაგრამ ეს პირველი შთაბეჭდილება თანდათანობით, უკვალოდ ქრება.

პირველი განცდა: თავისუფლება და სისავსე, ძალისხმევა; სიძლიერე და კონცენტრაცია, სიმსუბუქე, არსებობის უწონადობის აღქმა; უამრავ ელემენტთა მოულოდნელობა და სირთულე; ეს კლაკნილი ხაზები სულაც არ არის კლაკნილი, რადგან რაღაც ფარულ ძალას პორიზონტალურ მდგომარეობაში მოჰყავს ისინი.

ისღა დაგვრჩენია, მოვიშველიოთ ცნება: „პიკასოს კლაკნილები“.

წიგნის მარცხენა გვერდები მთლიანად კლაკნილი ხაზებით არის შევსებული.

„პიკასოს კლაკნილები“ განუშეორებელია, მას არ ჰყავს წინამორბედი.

თუმცა ეს განუშეორებლობა ძალზე ცნობიერმა კანონებმა განაპირობა.

მიგითითებთ პიკასოს კლაკნილების ერთ უმთავრეს თავისებურებას, რაც პირველი ნახვისთანავე მოგხვდება თვალში.

კლაკნილი ხაზების რიცხვი თანდათანობით მცირდება.

მაგრამ ამ შემცირებასთან ერთად მნიშვნელოვანწილად იზრდება კლაკნილი ხაზების მასშტაბი და ამპლიტუდა, ამასთანავე, რთულდება მათი კონფიგურაცია — ფორმა.

ორივე ეს პროცესი ძალზე შთამბეჭდავია.

ჩანს კანონზომიერება.

კანონზომიერება თავისთავად სირთულეს ნიშნავს.

რთულია კანონზომიერების დადგენის გზა.

კლაკნილი ხაზების რიცხვი ამგვარი თანმიმდევრობით იცვლება: რვა, შვიდი, ექვსი, ხუთი, სუთი, ხუთი, ხუთი, სამი, სამი, სამი, სამი, სამი.

გამოიყოფა ამ ცვლილებათა სამი ნიშანდობლივი მომენტი: არსებობს „პლატო“, რომელიც ეთანადება რიცხვს „5“, შემდეგ არის ნახტომი „3“-მდე, შემდეგ ახალი „პლატო“ „3“.

„პლატო 5“ — ნახტომი — „პლატო 3“.

თუკი შევადარებთ პიკასოს კლაკნილების ცვლილებათა სურათს სიუჟეტურ კომპოზიციაში მიმდინარე ცვლილებებს, უთუოდ შევამჩნევთ მჭიდრო კავშირს მათ შორის.

ვიმეორებ: მარჯვენა და მარცხენა გვერდებზე განლაგებული ნახატების ყველაზე უფრო ზოგადი, უხეში პლანების თანხვედრა მეტყველებს მათ შორის არსებულ აშკარა კავშირზე.

ორივე სიბრტყეზე: „მარჯვნივ და მარცხნივ“ და სიუჟეტის „გასწვრავ“.

„პლატო 5“ (ჰამლეტის ღრმად ჩაფიქრება) — ნახტომი (ჰამლეტი „ქეშმარიტების ხილვის მომენტი“), („პლატო 3“) (ჰამლეტი და შექსპირის ბოლო სამი პორტრეტი).

აქედან მოყოლებული პიკასოს სიუჟეტი მნახველში საგულდაგულო შესწავლის სურვილს აღძრავს.

და მაშინათვე იფანტება ექვი ნახატთა შემთხვევითობისა და დაუკავშირებლობისა.

წიგნის მარცხენა გვერდის ნახატებზეც რაღაც ამბავია მოთხრობილი.

მე აქ გავჩერდები და აღარ გაგიზიარებთ ჩემს შთაბეჭდილებებს, რომლებიც შემეკმნა მარჯვენა და მარცხენა გვერდზე განლაგებული ნახატების შედარებისას. ამ უჩვეულო დოკუმენტის შესწავლა მომავლის საქმეა.

მე მოგაწვდით რამდენიმე ჩემეულ დაკვირვებას, რომელმაც შესაძლოა გარკვეული წვლილი შეიტანოს ამ ნამუშევრების შესწავლის საქმეში.

პიკასოს თემები და სახეები ყოველთვის ან თითქმის ყოველთვის სერიულია. ეს მხატვრის ბუნებიდან გამომდინარეობს. სიუჟეტის ასე ღრმად და თანმიმდევრულად გადმოცემა მხოლოდ პიკასოს ხელეწიფება.

მხატვრის ძველი ნამუშევრებისაგან განსხვავებით სიუჟეტის ფურცლებიდან უკიდურესი დაძაბულობა და თავშეკავება გამოსჭვივის. ყოველივე ამასთან ერთად, პიკასოსათვის აგრერიგად

დამახასიათებელი გამოხატვის სრული თავისუფლება ენიშნება მნახველს.

ხაზების პლასტიკური სიზუსტე უაღრესად მნიშვნელოვანი შინაარსის შემცველი იქნება იღებს დასაბამს სიუიტის შინაარსი. რადიკალური ცვლილებების შეუმჩნეველი სიძუსებზე — იყვე, როგორც ცხოვრებაში.

თვით სრულყოფილება გარდაქმნაა, გადასვლა ერთისა მეორეში, მომხდარი შეტყობილების პლასტიკურობას ორივე მოთხრობის საზრისით ეძლევა სიცოცხლე, ეს სრულყოფილება თავად იქცევა საზრისის ნაწილად. აქ არც ერთ წამს არ ცხრება სიცოცხლე. ჩვენს თვალწინაა ცვალებადობის პლასტიკურობა, ცოცხალ აწმყოში მოცემული წარსულისა და მომავლის უჩინარი ბალანსის სრულყოფა — ვითარცა გოგონა ბურთზე.

შექსპირზე შექმნილი სურათების ზოგადი აზრი მხატვრის მთელი ცხოვრებიდან ამოიკიანება.

პიკასოს ნახატები შექსპირზე მრავალწლიანი შემოქმედების წიაღში იშვა.

მხატვრის შემოქმედებითი შემკვიდრება აურწყავია, მაგრამ მის ცხოვრებას ერთი აზრი წარმართავს და ეს წარმართველი აზრი თუ განცდა უთუოდ დაგვეხმარება სიუიტაზე ფიქრობას.

ესაა საოცრად დაძაბული ყურადღება ადამიანის ცხოვრების შინაგანი სფეროში მიმართ.

აი ადამიანი ზის.

აი მისი ფორმები.

და აი მისი შინაგანი სფერო.

შთაბეჭდილების ეს დეიზში პიკასოს მთელ ცხოვრებას მსჭვალავს. ის, რასაც ჩვენ პიკასოს ეუწოდებთ, სხვა მთავარ მხარეებთან ერთად გულისხმობს ადამიანის შინაგანი ცხოვრების გამოსახვისადმი დაძაბულ ყურადღებას. — ეს ყველა დიდი მხატვრის საერთო თვისებაა.

შთაბეჭდილების გარდაქმნილ დეიზში ჩვენ შექსპირზე შექმნილ სიუიტაშიც ვპოულობთ. მ რამ აქ ის მოცემულია ადამიანის არსებობის გამომსახველი პიკასოსეული ფორმით.

ძლიერება, ენერჯია, სისავსე.

მართული ძალა, სიდიდე, აზრი.

მხოლოდ დასკვნადაა გამოსატანი.

პიკასოს კლაკნილები — მხატვრის სულის ავტოჩანაწერია; აბობოქრებული ვულკანის ავტოჩანაწერი; უკიდურესი ძაბვის მქონე გრძნობების ავტოკარდიოგრამა.

პიკასოს კლაკნილების ზოგი ადგილი კარდიოგრამას მოგვაგონებს, ზოგი — სეისმოგრამას. სიბშირე და ამპლიტუდა — კლაკნილი ხაზების ეს დამახასიათებელი ნიშნები — ნებისმიერ სფეროთა რხევითი პროცესების ატრიბუტებია. — მაგრამ ეს უკვე მეცნიერების დარგებს ეხება.

ცალკეული კლაკნილები — ოკეანის ზედაპირს მოგვაგონებენ.

სურათების გადათვალიერებისთანავე ვამჩნევთ თანდათანობით როგორ იზრდება კლაკნილი ხაზების კვანძისებური ელემენტების როლი.

და პირველი, რაც ეხმიანება ადრულ გრძნობას, პოეტის სიტყვებია:

«Мчатся тучи, выются тучи

домового ли хоронят, ведьму ль замуж выдают...

კლაკნილი ხაზები იხსნება — უკლებლივ ყველა — და მერე კვლავ იკვრება. და პირველი, რაც ეხმიანება ჩვენს გრძნობას, არის სიტყვები:

„დროთა კავშირი დაირღვა და
წყველმა ბედმა მე რად მარგუნა
მისი შეკვრა!“

დაბოლოს ესეც უნდა ითქვას: არ არსებობს ისეთი ფიზიკური ხელსაწყო, რომელიც შეძლებდეს აღენუსხა კლაკნილი ხაზების მიმოქცევა, — ეს ხელსაწყო მხატვრის გონებაა. — მის არსებობას მუდმივად გრძნობ.

ზოგი კლაკნილი ენცეფალოგრამას ჩამოჰგავს!

და მე აქ შევჩერდები, რადგან უკვე მოვკვლიე პიკასოს შემოქმედების განსაზღვრისათვის — აზრისა და არა ფორმის მხრივ — შესატყვის ტერმინს.

პიკასოს კლასიკიზმი ავტონომიური ფორმებისაა. თუმცა უნდა ითქვას, რომ ეს გამოთქმა, ისევე როგორც ყველა ტერმინი და განსაზღვრა ავტონომიურებს და აღარ იბეძვრება გამოსათქმელ მოვლენას.

ენციკლოპედია ტერმინს შესახებ არსებული მეცნიერების ერთ-ერთი სტრუქტურული დარგია. ის ერთადერთი დარგია, რომელიც უშუალოდ აღნუსხავს და აჯამებს ტერმინს — აქტიურობას.

პიკასოს უდიდესმა მხატვრულმა ნიჭმა, რომელსაც მძლავრი გონება მართავდა, ჩვენი საუკუნის ბოლო მეოთხედში მხატვარს განსაკუთრებული ადგილი დაუშველიდა ხელოვნების ისტორიაში.

პიკასოს მიერ შექსპირზე შექმნილი სურათის გაგება შეიძლება მხოლოდ ერთი თვალსაზრისით, რომელიც ორგვარ მიდგომას გულისხმობს:

პოეზიის გარეშე არ არსებობს სიცოცხლე;

სისტემის გარეშე არ არსებობს საზრისი.

პიკასოს სიუიტი წვდომისათვის არ შეიძლება უპირატესობა მივანიჭოთ რომელიმე მათგანს: ბუნების საგნების ზოგადპოეტური ქვრეტა ამირობებს სისტემურ ანალიზს მთელი მისი სისტემით და პირუკუ.

სხვაგვარად: პიკასოს ერთიანი თხრობიდან შეუძლებელია ისე „ამოვგლიჯოთ“ ცალკეული ნაწილები, ნაწყვეტები, ელემენტები, რომ არ დაირღვეს სურათის მთლიანობა.

სურათი უნდა განვიხილოთ, როგორც ერთიანი მთელი.

ყველაზე დიდი შეცდომა იქნებოდა აზრის ნატურალიზმი.

პიკასოს ქმნილებები ძალზე თანამედროვეა და ამავე დროს მათში მომავლისაკენ სწრაფვაცაა ნაგულისხმევი.

პიკასომ განახორციელა მეცნიერებისა და მხატვრულის სინთეზი და ალბათ არ არის საჭირო ლაპარაკი პიკასოსეული შერწყმის ამ თავისებურებაზე.

შექსპირზე შექმნილ ნაწარმოებში ერთმანეთს ერწყმის ალგებრა და ჰარმონია, გრძნობა და გონება, ამ ერთიანობას ეხედავთ ადამიანის წარმოსახვაში და მის წარმოდგენაში სამყაროზე.

მსოფლიოს შემეცნებას სიტყვაში აქვს თავისი ძალი.

პიკასოს ქმნილებებმა ეს ძალი სიცოცხლის უფრო ძველ სფეროს მიანიჭა, რომელშიც ძვეს ხედვა-მხილველობა. რადგან ახლა არსებობს მხილველი, რომელიც წვდება მსოფლმხედველობას. თუმცა არც ესაა მთლად სწორი.

პიკასო ყოველთვის ეკუთვნოდა პათიოსან ადამიანთა რიცხვს. მას საყოველთაო ბედნიერება სურდა.

იგი აქტიურ მოწინააღმდეგეთა რიგებში ჩადგა და ოკუპირებულ პარიზში დარჩა.

პიკასოს სურათები შექსპირზე მოთავსებულია წიგნში, რომელსაც ასეთი სათაური აქვს:

არაგონი — პიკასო — შექსპირი.

ლუი არაგონმაც ძნელი გზა განვლო.

არაგონის შექსპირი-ადმი მიძღვნილი ტექსტი, მხატვრული ნოველა — მოგონებაა და მწერლის ტექსტთა შორის საუკეთესოა: თავისუფალი, დახვეწილი, ვაჟაკური.

მხატვრის არჩევანი ზუსტია: მიძღვნა მეგობრისადმი.

ლუი არაგონის ამასწინანდელი ჩამოსვლა ჩვენს ქვეყანაში ძალზე სასიხარულო ფაქტია.

პიკასოს სიუიტი შექსპირზე სრულიად ახალი სიტყვაა სამყაროს მხატვრულსა და ბუნების მეცნიერულ შემეცნებაში; ეს ნაწარმოები მსოფლიო ხელოვნების ტრადიციათა ღრმა კალაპოტშია მოქცეული.

სურათები ამეღავნებენ განუყენებელი და რეალისტური ახსნის ერთიანობას.

ცხოვრების კალაპოტი ღრმაა.

პიკასოს აზრის საგანი და გრძნობათა სარბიელია სამყარო, ომი, ხალხი, მხატვარი, პიკასოს ქმნილება თავად ისტორიაა.

პორტრები ავტობიოგრაფიით

მ ო ზ ო ნ ა ზ ა

სხვა საყვარელ მწერალთა პორტრეტებთან ერთად დიდი ხანია კედელს მიმშვენებს დიდი ნორვეგიელი მწერლის, კნუტ ჰამსუნის სურათი მისივე ავტობიოგრაფიით. მწერალმა ეს პორტრეტი გამოუგზავნა ნორვეგიის პატარა ქალაქ ნორპოლმიდან ჩემს ძმას გრიგოლ ჯაფარიძეს.

ჩემი ძმა ახალგაზრდობიდანვე ისე იყო კნუტ ჰამსუნის ნაწერებით მოხიბლული, რომ ჯერ კიდევ სტუდენტობის დროს ფიქრობდა მისთვის აღფრთოვანებული წერილის მიწერას.

ბოლოს მაინც მისწერა. თუმცა კარგა დიდი ხნის შემდეგ, 1935 წელს, და, პატივისცემის ნიშნად წერილთან ერთად რუსთაველის „ვეფხისტყაოსანიც“ გაუგზავნა. რა თქმა უნდა, შეუძლო გერმანულ ენაზე თარგმნილი გაეგზავნა მწერლისთვის. მაგრამ ქართული არჩია.

ჩვენ ცხრაასიანი წლების დასაწყისში მოსკოვში ვსწავლობდით. იმ ხანად სტუდენტები მეტწილად უცხოური ლიტერატურით ვიყავით გატაცებული. რუსულ ლიტერატურას უკვე კარგად ვიცნობდით. მიუხედავად იმისა, რომ ქართულ ლიტერატურას გიმნაზიაში არ გვასწავლიდნენ, მშობლიური ლიტერატურის ყველა თვალსაჩინო მწერლის შემოქმედება მაინც ძირფესვიანად ვიცოდით.

უცხოური მწერლობიდან სტუდენტებს ყველაზე გამორჩეულად კნუტ ჰამსუნის შემოქმედება გვხიბლავდა. ვის არ ედო სასთუმალთან მისი „ვიქტორია“, „მისტერიები“, „პანი“, „შიმშილი“...

კნუტ ჰამსუნი (1859—1952) ლარიბი გლეხის შვილია, ორიგინალური ბიოგრაფიით მაქსიმ გორკის მოგვაგონებს. მასაც, გორკისა არ იყოს, არსად უსწავლია. თუ არ ჩავთვლით მშობლიური სოფლის დაწყებით სკოლას. თოთხმეტი წლის ბიჭს მშობლიური კერა მიუტოვებია და ლუკმა პურის საპოვრად სამუშაოს ძებნა დაუწყო. სად აღარ ყოფილა, სად აღარ უმუშავია: ფერმერებთან მოჯამაგირედ თუ გზის მუშად, ნოქრის თანაშემწედ თუ ომნიბუსის კონდუქტორად. მაგრამ შეება ვერსად უპოვია.

1887 წელს თვრამეტი წლის ყმანვილი ხელში იღებს კალამს. წერს მოთხრობებს, საგაზეთო წერილებს, რომლებსაც ხან უბეჭდავენ, ხან არა. ასეთ ჯახირში გაატარა რამდენიმე წელიწადი ნახევრადმშვიერმა კნუტ ჰამსუნმა, თუმცა ამერიკაზე შექმნილმა მისმა ვრცელმა წერილმა დიდი ინტერესიც გამოიწვია.

1890 წელს კნუტ ჰამსუნმა თავისი გატანჯული ცხოვრებისადმი მიძღვნილ წერილებს თავი მოუყარა. საფუძვლიანად გადაამუშავა და „შიმშილი“ დაარქვა. ამ ნახევრად ავტობიოგრაფიული ხასიათის, დიდი ფსიქოლიოგიური ოსტატობით დაწერილი მოთხრობის წყალობით მანამდე უცნობი კნუტ ჰედერსენი. რომელმაც მშობლიური სოფლის ჰამსუნდის სახელი აირჩია ფსევდონიმად, ცნობილი მწერალი შეიქმნა ნორვეგიაში. მალე „შიმშილი“ ითარგმნა სხვა ევროპულ ენებზე. მკითხველმა იგრძნო, რომ მსოფლიო ლიტერატურას მოეწვინა ორიგინალური, დიდად ნიჭიერი მწერალი.

„შიმშილს“ მალე მოჰყვა მწერლის სხვა მოთხრობები და რომანები: „ვიქტორია“, „პანი“, „მისტერიები“, ხოლო 1917 წელს გამოქვეყნდა კნუტ ჰამსუნის „მინის მადლი“.

რომელიც მეოცე საუკუნის მსოფლიო ლიტერატურაში მიჩნეულია ერთ-ერთ ყველაზე უფრო მონუმენტურ ეპიკურ ნაწარმოებად. ამ რომანის შექმნისათვის მწერალს ნობელის პრემია მიენიჭა.

ამ პატარა ნერილით მე მიზნად არ დამისახავს კნუტ ჰამსუნი, ვინც მე მოქმედების განხილვა-დახასიათება, რომელიც 15 ტომად გამოიცა მისი დაბადების 100 წლისთავზე 1959 წელს.

მწერალი ბევრს მოგზაურობდა. საქართველოშიც ჩამოსულა, გასცნობია ჩვენი ხალხის ცხოვრებას და შეუქმნია დრამა „თამარ მეფე“, ხოლო მეორე ნიგნი „ზღაპრულ ქვეყანაში“ წარმოადგენს რუსეთსა და კავკასიაში მოგზაურობის აღწერას.

„თამარ მეფე“ სამ მოქმედებიანი დრამაა. ისტორიულ სინამდვილესთან თითქმის საერთო არაფერი აქვს, იგი სიყვარულისა და სილამაზის სადიდებელი პიშია.

გავიხსენოთ ამ დრამის ერთ-ერთი სცენა. თამართან დარბაზში შემოჰყავთ დამარცხებული მტრის მეთაური, იარაღაყრილი ტუვის ხანი, თამარი ბრძანებს, ტყვეს იარაღი დაუბრუნონ.

- დიდი უბედურება გენია, ხანი შენ ტყვე ხარ ჩემს სასახლეში!
 - მართალს ბრძანებ, დიდებულო მეფე, მაგრამ ჩემს უბედურებას ბედნიერებაც ახლავს: მე ვიხილე თქვენი სილამაზე და გავიგონე ხმა...
 - რა ლამაზია მეფე საქართველოსი!
 - რა ლამაზია მეფე საქართველოსი!
- ისმის დარბაზში შეძახილები.

თამარი წინადადებას აძლევს მაჰმადიან ტყვეს მიიღოს ქრისტეს რჯული, თუკი სურს გადარჩენა. ხანი უარზეა.

— შენი წინასწარმეტყველი, მეფე, ებრაელია, ჩემი კი — არაბი. მე ჩემს სარწმუნოებას ვერ უარყოფ!

„თამარ მეფის“ გარდა ჩვენს ქვეყანაზე, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, შექმნილი აქვს ერთი პატარა ნიგნი, რომელსაც „ზღაპრულ ქვეყანაში“ ჰქვია და წარმოადგენს რუსეთსა და კავკასიაში მისი მოგზაურობის შთაბეჭდილებათა აღწერას.

ამ მოგზაურობის აღწერას მწერალი პეტერბურგიდან იწყებს. გზად მწერალი მოსკოვში შეჩერდება. იგი განცვიფრებულია ამ ქალაქის ორიგინალურობითა და სილამაზით. „სად არ ვყოფილვარ, რომელი კუთხე აღარ მიჩახავს, მაგრამ არსად შემხვედრია მოსკოვის კრემლის მსგავსი სილამაზე! სწორედ რომ ზღაპრულია!“

მოსკოვიდან საქართველომდე ჰამსუნი კავკასიაში (ახლანდელი ორჯონიკიძე) ჩერდება. იქიდან კი, საქართველოს სამხედრო გზით თბილისისაკენ მოემგზავრება... სტეფანწმინდა, დუშეთი, არაგვი, მხარზე კოკებშედგმული ქართველი ქალები...

„ესეც თბილისი! — ამბობს მწერალი. — ქალაქი, რომელზეც ასე ხშირად წერდნენ რუსი პოეტები და სადაც არაერთი რუსული რომანის მოქმედება წარმოებს. დავათ-ვალიერეთ ქალაქი, არ მოგვენონა, მაგრამ ვიპოვეთ ერთი პატარა კუთხე, რაც ძალიან ორიგინალური გვეჩვენა, და ხშირად ვესტუმრებოდით ხოლმე იქ ყოფნით ვერა ვძღვბოდით. აქ არც სარკიანი მალაზიები იყო, არც „ვარიეტეს“ თეატრი, არც ცხენიანი კონკა... ეს თითქოს სულ სხვა ქვეყანა იყო... ქუჩების მაგიერ საოცარი ლაბირინთები, ერთი სახლიდან მეორე სახლში გადებული კიბეები... და ასეთი იშვიათი სილამაზის კუთხეს გარს არტყია თანამედროვე ვაჭრული ქალაქი ამერიკული ხმაურით. ჩემი სასტუმრო „ლონდონია“, — განაგრძობს ჰამსუნი, — ქალაქში 160 ათსი მცხოვრებია (წარსულ საუკუნის ბოლო წლები იგულისხმება) კაცები ორჯერ მეტია ქალებზე. აქ 70 ენაზე ლაპარაკობენ... ქალაქში შემონახულია ქართველი მეფეების სასახლე, ამჟამად რომ საპატიმროდაა გადაქცეული. ქალაქში რომელიღაც რუსი გენერლის ძეგლი დგას (იგულისხმება ვორონცოვის ძეგლი, რომელიც რევოლუციამდე იდგა დღევანდელ მარქსის მოედანზე), ქართველებისათვის წმინდად მიჩნეულ მთაზე „მთაწმინდაზე“ აღმართულია დავითის მონასტერი, მონასტრის ახლოს ენახეთ გრიბოედოვის ძეგლი.

უსაზღვროდ აღტაცებულია მწერალი დასავლეთ საქართველოში მოგზაურობით. მას თბილისიდან მატარებლით უმგზავრია ბათუმამდე.

— აქ ისეთი მცენარეულობა გვხვდება, ისე მდიდარია ბუნება, — განაგრძობს მწერალი, — მსგავსი რომ არ შემხვედრია. ყოველ ფეხის ნაბიჯზე გაუვალნი დაბურული ტყეებია. კაკალი, მუხა, თელა, ნაბლი, თხილი... რა აღარ ხარობს ამ ღვთისმშობელ ქვეყანაში. ხარბად გავცქერით მატარებლის ფანჯრებიდან ამ დიდებულ სანახებს და მადლობას ვწირავთ უფალს, რომ ამ იშვიათი სანახაობის ღირსი გავხვად: ეს მხარე უმშვენიერესია მთელს კავკასიაში. — დასძენს მწერალი.

ასეთია ორიოდ სიტყვით ნორვეგიელი დიდი მწერლის კნუტ ჰამსუნის მთაბეტდოლება იმდროინდელ ჩვენს ქვეყანაზე.

კ. ჰამსუნის ნაწარმოებებს რუსეთში მთარგმნელიც ბევრი ჰყავდა და გამომცემელიც. მაშინდელი სტუდენტობა ამ დიდი მწერლის ნაწერებს გვაზიარა გამომცემლობა „პოლზამ“, რომელიც კერძო პირს ვ. ანტიკს და ამხანაგობას ეკუთვნოდა. ეს გამომცემლობა „უნივერსალური ბიბლიოთეკის“ სერიით რუსეთის ფართო საზოგადოებრიობას უმეტესად უცხო ლიტერატურის ნიმუშებს აცნობდა. „პოლზამზე“ მიანოდა რუს მკითხველს ილია ჭავჭავაძის „გლახის ნაამბობი“, აკაკი წერეთლის „ბაში-აჩუკი“, ალექსანდრე ყაზბეგის „ელიოსო“, რომელთა რუსულ ენაზე თარგმნის ბედნიერება მე და ჩემს ძმა გრიშას გვხვდა წილად.

„პოლზამ“ ნაწარმოებებს პატარა ფორმატის, ლაპაზად გაფორმებულ ნიგნებად ბეჭდავდა. ყოველ ნიგნს თავისი ნომერი ჰქონდა და ღირდა ათი კაპიკი, თუ ჩანარმოები დიდი იყო და ერთი ნომერი ვერ იტევდა, მაინც ერთ ნიგნად (ორ ნომრად) იბეჭდებოდა და მაშინ ფასიც ორმაგი იყო. ასე გამოიცა დიკენსის „დავით კოპერფილდი“, ფლობერის „მადამ ბოვარი“, შილერის „ყაჩაღები“ და სხვა. დიდი ტირაჟის მიუხედავად, „პოლზამს“ ნიგნები უმაღლესად ვერცხვდებოდა. ზოგი გამოცემა რამდენჯერმე დაიბეჭდა კიდევ მაგალითად, ილიას „გლახის ნაამბობი“ სამჯერ გამოიცა. იოსებ გრიშაშვილს, როცა რუსულად გამოცემული „გლახის ნაამბობი“ უნახავს, ისე გახარებია, რომ მაშინვე რამდენიმე კალი შეუძენია.

მადლიერების გრძნობით ვიგონებ „პოლზამს“ რედაქციას, რომელიც მოაგვსებულ იყო ტვერის (ახლანდელი გორკის) ქუჩაზე კოზიციის შესახვევში მდგარ ბახრუშინის მშვენიერ სახლში. მადლიერების გრძნობით ვიგონებ მთავარი რედაქტორის მოადგილეს, ცნობილ მთარგმნელსა და გულისხმიერ ადამიანს ნიკოლოზ ბრიონშტეინს, რომელმაც დიდი ამაგი დასდო მაშინ ქართული ლიტერატურის ნიმუშთა რუსულად ამეტიყველების საქმეს.

1935 წელს გრიშამ დაიწყო კ. ჰამსუნის ერთ-ერთი შედეგის — მისი საყვარელი „ჰანის“ ქართულად თარგმნა. სწორედ მაშინ გადაწყვიტა საყვარელი მწერლისათვის წერილის მიწერა. აი, წერილის შინაარსიც: „ულრმესად პატივცემულ ბატონო ჰამსუნს თითქმის ყოველდღე მიხდება იმ სასტუმრო „ლონდონის“ წინ გავლა, სადაც თქვენ თბილისში ყოფნისას ვაგიტარებიათ რამდენიმე დღე და მუდამ ხათლად წარმომიდგება თქვენი ნაწარმოებების გვირები. ხშირად მეუფლება სურვილი გამოგეხმაუროთ, მოგანვდინოთ ჩემი უგულთადესი სალამი ძვირფასთა შორის უძვირფასეს პოეტს.

მინდა გაგახსენოთ თბილისი და საქართველო, რომელსაც ჯერ კიდევ მაშინ უყვარდით. მის ცის ქვეშ რომ დაიარებოდით შორეული ნორვეგიიდან ჩამოსული ახალგაზრდა სტუმარი.

გულწრფელი სიყვარულის ნიშნად ამ წერილთან ერთად გიგზავნით ქართველი კაცისათვის ყველაზე საყვარელ ნიგნს — დიდი ქართველი პოეტის რუსთაველის პოემას.

ამასთან ერთად, ვთარგმნი რა ქართულ ენაზე თქვენს რომანს „ჰანს“, გთხოვთ თანხმობას როგორც „ჰანის“ თარგმანზე, ისე სხვა ნაწერებზე, რომელთა თარგმნასაც ახლო მომავალში ვაპირებ.

მინდა მჯეროდეს, რომ მე და ჩემს მეგობრებს გვექნება სიამოვნება, მივიღოთ სახსოვრად თქვენი რომელიმე ნიგნი ან პორტრეტი. მე ვას ნავიღებ სასტუმრო „ლონდონში“, ამ ბაღში, მის პირდაპირ მდებარე ბაღში და გავახსენებ თქვენს აქ ოდესღაც ყოფნის დღეებს.

იცოცხლეთ დიდხანს და იყავით ჯანმრთელად, დიდო ჰამსუნ, და იმ მრავალმილიონიან მადლიერ მკითხველთა შორის, რომელთაც უყვარხართ და ეყვარებით საუკუნეების მანძილზე, გთხოვთ მიგულოთ მეც, თქვენი ერთგული პატივისმცემელი გრიგოლ

ჯაფარიძე, რომელიც მოელის თქვენგან რაიმე ნიშანს იმაზე, რომ მიძღვთ ეს წერილი და წიგნი.

კავკასია, თბილისი, ორბელიანის ქუჩა, 36.

1935 წლის ნოემბერი“.

გრიშამ სულ მალე მიიღო ნორვეგიიდან ერთი მოზრდილი კონსერტი და გულ ფანტაზიით გახსნა ის. — მადლობის წერილი ეგონა, ოფიციალური, როგორც იცია ხოლმე დიდმა ადამიანებმა. მაგრამ რიგორ გაიხარა, როცა კონსერტში მწერლის ავტოგრაფით დამშვენებული პორტრეტი აღმოჩნდა, სწორედ პორტრეტი და არა წერილი! მაგრამ წერილიც ხომ იყო! კნუტ ჰამსუნის ხელით დანერვილი!

მერე გრიშამ პორტრეტის ასლი გადააღებინა და მე გადმომცა — კნუტ ჰამსუნის შენტანაც უნდა იყოსო.

ასე გაჩნდა ჩემს ოჯახში დიდი ნორვეგიელი მწერლის კნუტ ჰამსუნის პორტრეტი. მე ის მაგონებს საყვარელ მწერალს, მაგონებს ჩემს ძმას, ჩვენს საერთო წარსულს, ჩვენი ახალგაზრდული სულის დუღილს, და გატაცებებს.


□

მხატვრული ტექსტორი გ. წერეთელი. მხატვარი ა. ვართაგავა. ტექნოდაქტორი რ. იმნაიშვილი
გადაეცა წარმოებას 25/XII-80 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 25/III-81 წ. ქაღალდის ზომა
70x108¹/₁₆. სააქრ.-საგამომ. თაბახი 22,35. ნაბეჭდი თაბახი 27. ტირაჟი 10.000 შევკ. № 955.


ფასი 1 მან.

საქართველოს კვ ცვ-ის გამომცემლობის სტამბა, თბილისი, ლეხიანის ქ. № 14.

Типография изд-ства ЦК КП Грузии, Тбилиси ул. Ленина, 14.



რუსუდან ფატვიასვილი ლოყაწითელა ვაზლი. 6 წ.



რუსუდან ფატვიასვილი ხომალდის ჩაძირვა. 13 წ.

6194/163

78182

